წიგნის გამოცემაში აღმოჩენილი უანგარო ფინანსური მხარდაჭერისთვის, ავტორი ულრემს მადლობას უხდის საქართველოს პარლამენტის წევრს, მომავლის წინაშე სიტყვით თუ საქმით თავგაწირულ პიროვნებას, ბატონ კობა ნაყოფიას

GURI OTOBAIA

ENGIDUNIA

III

© **GURI OTOBAIA, I EDITION. 06. 09. 2010.**
IBSN 978-9941-0-1638-7

გური ოტოგბაია

ენგიდუნია

ბელეტრისტული
მატიანე

III

თბილისი
2010

იოანე-ზოსიმე

ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

დამარხულ არს ენაი ქართული
დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებ-
ლად, რაითა, ყოველსა ენასა ღმერთმან
ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაი მძინარე
არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას
ენასა ლაზარე ხქვიან!და ახალმან ნინო
მოაქცია და ხელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და
მართაი, და მეგობრობაი ამისთ ვის თქუა,
ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამასა ენასა
შინა დამარხულ არს. და ოთხისა დღისა
მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინას
წარმეტყუელმან რამეთუ ,,წელი ათასი —
ვითარცა ერთი დღეი‘‘, და სახარებასა შინა
ქართულსა თავსა ხოლო მათჰესსა წილი
ზის, რომელ ასო არს და იტყვის ყოვლად
ოთხ-ათასსა მარაგსა, და ესე არს ოთხი დღე,
და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის
მისთანავე დაფლული სიკუდილითა
ნათლის-ღებითა უფლისაითა,
და ესე ენაი შემკული და კურთხეული
სახელითა უფლისაითა, მდაბალი და
დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ
მოსვლისა უფლისა, და სასწაულად ესე
აქუს: ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი
უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან
დღესამომდე.და ესე ყოველი, რომელი
წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ,
ესე წილი ანბანისაი.

ენა

თავდაპირველი

ღვთიური სამება

1991 წლის აგვისტო-სექტემბრის პოლიტიკური დაპირისპირებულობის მოსალოდნელ შედეგებს სულშეძრული გამოვეხმაურები „რესპუბ- ლიკის“ ფურცლებიდან, რის გამოც გამჭოლ ქარში მოვ-ხვდები იანვრის დამდეგს — ავტომატის ჯერით დაიცხრილება ჩემი ბავშვების საძინებელი ოთახი, მაგრამ რადგანაც საქართველოს ერთიანობა, მისი მომავალი გაცილებით მეტია, ვინემ თვითშენარ-ჩუნების ინსტინქტით პირში წყლის დაგუბების განცდა; ვინაიდან გახლეჩილი ატომგულის თემაა დღეს დუტუ მეგრელის „პატარა ქართველის“ მოტივები და ოდესღაც კრიალოსანივით ასხმული „ქართლ-კახეთი-იმერეთი-გურია და სამეგრელო“ მამულის აუხდენელ ოცნებად ილანდება თვალ-საწიერზე კვლავაც, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის ერთადერთ გარანტად ისევ შე-კავშირება-თანადგომისათვის, ისევ შემრთლიანება-ჰარმონიისათვის ზრუნვა მესახება უმთავრეს სარბიელად, და რადგანაც სხვა საშველიც არსაიდან ჩანს, ზედაპირზე ამოტივტივებული კონფ-რონტაციის სავალალო რეზულტატებს კი არ გამოვედევნები, არამედ ჩვენი გათიშულობის უჩინარ, ქვეცნობიერ, თითქოსდა სრულიად უწყინარ მიზეზთაგანს — ლექსიკოგრაფიას, უწყინარს გარეგნუ-ლად, თორემ სინამდვილეში წინააღმდეგობებით სავსეს და ზოგ შემთხვევაში დანაშაულებრივსაც კი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უზარმაზარი, კოლოსალური შრომაა გაწეული. ლექ-სიკოგრაფიამ რამდენიმე თაობის უშრეტი ენერგია და ცინცხალი უნარი შეილია ჩვენში, მაგრამ გვარების ჩამოთვლას თავს ვარიდებ, ვინძლო, იქნებ ყველა ენათმეცნიერს ვერ მივაგო საკადრისი პა-ტივი, იქნებ გამომრჩეს რომელიმე ნებსით თუ უნებლიეთ, ასე რომ, მირჩევნია ზოგადად განვაცხადო:

— საშვილიშვილო საქმეთა ერთ ბირთვად, ერთ თაველად შეკვრის მცდელობისათვის ჩემი მრა-ვალგზისი თაყვანი თქვენ — დედაენის უანგარო მსახურო დევ-გმირნო-მეთქი, თუმცა ბარემ აქვე დავ-სძენდი: ლექსიკოგრაფია, სახელდობრ — ეტიმოლოგიური, განსაკუთრებით 1938 წლიდან დაანგ-რევს პარტიკულარიზმის უსახურ ჩარჩოებს; სწორედ აქედან ეზიარება იგი სინთეზური აზროვნების სიმაღლეებს. დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულა ამ წელს გამოცემული, არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, რომელიც სრულიად ახალ ჰორიზონტებს გადაუშლის ქართველური ენების სპეციალისტებს კვლევა-ძიების მეთოდებისა და საშუალებების თვალსაზრისით.

ეს კეთილგონიერი ტენდენცია შემდგომში სწორხაზოვნებით ვერ დაიკვეხნის მაინცდამაინც. არის ჩავარდნები, ზედმეტი სვლები, ველოსიპედის გამოგონება თუ ამერიკის აღმოჩენა, მაგრამ აქა-იქ ისევ წამოტივტივდებიან ხოლმე ღირსეული მემკვიდრენი სულცხონებული მეცნიერისა, ვთქვათ, როგო-რებიც გახლავან გ. კლიმოვი („ქართველური ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, 1964) თუ თ. გამ-ყრელიძე და გ. მაჭავარიანი — („სონანატთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“, 1965);

ასევე დიდებულია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხუთივე ტომი კრე-ბულთა სერიალისა „ეტიმოლოგიური ძიებანი“.

ფრიად საყურადღებოა ზ. სარჯველაძისა და ჰ. ფენრიხის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, (1990);

ამას წინათ კი მზის შუქს იხილავს კ. დანელიასა და ა. ცანავას „ქართული ხალხური სიტყვიერება“, (ტ. II, 1991), რომლებშიც თავმოყრილია ქართველური ენების პრობლემებით დაინტერესებული თით-ქმის ყველა სპეციალისტის დაკვირვება, მოსაზრება.

ზემოთდასახელებული პუბლიკაციები გარკვეული გაგებით წინ წასწევენ ჩვენს მიზანდასახულ სწრაფვას მითოსური დედაენის სათავეებისაკენ.

ჩვენს ხელთ არსებული ქართველური ენების, იგივე ქართლურის, მეგრულისა და სვანურის ეტი-მოლოგიური ლექსიკონების წყალობით კვლავაც გამოვლენილია რამდენიმე ათასი საერთო ფუძე-

არქეტიპი. მათი ურთიერთშეპირისპირების მეოხებით გაშიფრულია უამრავი ხელიხელსაგოგმანები დედა სიტყვა — ქართული სულისა და ცნობიერების უდასასრულო ოაზისი. მე თავს ვერ ვიდებ, როგორც დღემდე გამოცემული, ისე წინდებული ლექსიკონების ღირსება-ნაკლოვანებათა თუნდაც მიახლოებითი ანალიზისათვის, ვინაიდან ეს ენათმეცნიერთა პრეროგატივაა, მხოლოდ იმას დავამატებ, რომ იმპერიულ ძალებს ხელს აძლევდათ ერთიანი ქართული სულის დანაწევრება-დაქუცმაცება ქართლურ-მეგრულ-სვანურ ელემენტებად, მაგრამ თავისუფალი მამულისათვის გაშლილი ერთპიროვნული ბრძოლა ოდესმე ხომ მაინც გადაიზრდება საყოველთაოში, რომელიც თანამიმდევრულად დაასამარებს მისი დაკნინება-დაღუპვის ნებისმიერ მცდელობას!

აბა, სხვანაირად როგორ აიხსნება ის კურიოზული ფაქტიც, რომ აქამდე ვერაფრით გამოქვეყნებულა პ. ჭირაიას „ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული ლექსიკონი", ავტორი ჯერ კიდევ 1918 წელს (!) უსასყიდლოდ რომ გადასცემს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ათწლეულობით „საიმედოდ" ინახებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავებში?!

ველიკორუსული შოვინიზმის დაკრულზე მოცეკვავე ზოგ ხელმძღვანელ მუშაკს მაღალი ეშელონიდან დიახაც რომ ეჩოთირება საფუძვლიანი კვლევა-ძიება სვანურ-მეგრულისა, რათა ბნელს ნათელი არ მოჰფინოს, რათა დანაფლეთებულ მამულში არ აღორძინდეს ერთარსობის იდეა, იგივე სამსახოვანი ღვთაების — მამაღმერთის, ძე ღმერთისა და სულიწმინდის დარად, ქართლურ-მეგრულ-სვანურის უფლისეული, კოსმოგონიური ერთპიროვნულობა.

რაც შეეხება პარტიკულარულად მოაზროვნე ენათმეცნიერთა რიგს, მიაჩნდა და დღესაც ჰგონია, რომ მეგრულ-სვანურის პრობლემების მიჩქმალვა-მიფუჩეჩება ახლო მომავალში გამოიწვევს მათ თანდათანობით დეგრადაციას, ასიმილაციას, ქართიზაციას, და ბოლოს, ფიზიკურ სიკვდილს. სხვანაირად, მათი შეხედულებით, საუკუნეობით დაგროვილ სატკივართა გამომზეურებამ, შესაძლოა, უფრორე გააღვივოს წარსულში შიგადაშიგ თავწამოყოფილი სეპარატისტული განწყობილებანი.

არადა, დამალული ჭირის ავადსახსენებელი შედეგებიც ნათელია მცირეოდენ გონიერთათვის ზოგადეროვნულის საზიანოდ — განა სვანური-მეგრულის გილიოტინაზე გაყვანა და წარმართული დაზვარაკება გახდება ერთიანი, თავისუფალი სამშობლოს დედაენის დღეგრძელობისა და უკვდავების საწინდარი?! აბსურდია, სიბეცე, მოჭრილი ტოტის ანდაზის თემა!

გული მწყდება იმის გამოც, რომ ზოგი მეცნიერის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, ქართლურის, მეგრულისა და სვანურის გვერდით ლაზურიც დამოუკიდებელ ერთეულადაა შერაცხული, რაც ჩემი ღრმა რწმენით, რეალობას ნაკლებად შეესაბამება. რამდენადმე ეწინააღმდეგება ქართველური ენების აკადემიურ, ტრადიციულ გაგებას, რომლის მიხედვით დამოუკიდებელ ფორმებად არის აღიარებული საკუთრივ ქართლური, სვანური და ზანური ანუ მეგრულ-ჭანური (ლაზური).

მეგრულ-ლაზურის ღვიძლ ძმობასა და ტყუპისცალობაში მთელს საქართველოს დაარწმუნებს თურქეთის საზღვრების გახსნა. მეგრელისა და ლაზის საუბრისათვის, მიუხედავად საუკუნოვანი უკონტაქტობისა, ბარიერი არ არსებობს. ხოლო თუ შედარებით ანალიზს მივმართავთ, აქ უკვე მეცნიერულადაც დასტურდება, რომ მეტი წილი მათი ლექსიკის აქტიური თუ პასიური მარაგისა, იდენტურია. გადახრები შესამჩნევია მხოლოდ დიალექტოლოგიის ფარგლებში. მეგრული და ლაზური გაცილებით ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვინემ ქართლური და მისი კილოკავი თუშური.

როგორც ზემოთ ვთქვი, გაკეთებულია დიდი მამულიშვილური საქმე. ეტიმოლოგიური ლექსიკონების გაცნობისას ხშირად, ნაწილების — ქართლურის, მეგრულისა და სვანურის შეჯერების გზით, საერთო წინაპრის, მთელის — პროტოიბერიულის იღბლიანი რეანიმაციის მოწმენი ვხდებით, მაგრამ დავაკონკრეტებ, რომ ლელო ჯერჯერობით მხოლოდ სანახევროდაა გატანილი. ვგულისხმობ ეტიმოლოგიური ლექსიკონების მომავალში არა ახალ-ახალი მასალით შემდგომ განვრცობა-გაღრმავების აუცილებლობას, არამედ, ქართველურ ენათა მსგავსების მხარდამხარ მათი განსხვავებულობის წარმოჩენა-განმარტებასაც, რაც მეგრულ-სვანურში განთესილი მარგალიტების ერთიან ლექსიკონში თავმოუყრელად ლამის წარმოუდგენელია.

ვერცხლისწყლის — სინდიყის თვისებაა, დაცემისას იგი მსგავს ბურთულაკებად განიბნევა ხოლმე, მაგრამ რუდუნებით თუ შევეცდებით დაფანტულის შეერთებას, დაქუცმაცებული აღსდგება, განსხეულდება ერთმთლიანში.

უხერხულ შედარებად თუ არ ჩამომერთმევა, დაახლოებით ამგვარია დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური, სოციალური თუ თვით ლინგვისტიკური ვითარებაც.

აქვე ორიოდე სიტყვით ტრიადის ბუნებასაც შევეხები. თავი რომ დავანებოთ შუმერულ სამებას

— ქრისტიანული მოძღვრების პირველწყაროს — ტრიადა ჯერ კიდევ ანტიკური წიაღიდან (პლატონი, პროკლე), მოგვიანებით გერმანული კლასიკური ფილოსოფიიდან (ჰეგელი) იღებს სათავეს და გაიაზრება, როგორც ნებისმიერი მოვლენის, განვითარების სამეტაპიანი გზა, სადაც პირველი საფეხური — თეზა, საწყისი სტადიაა, იგი უეჭველად უნდა გადაიზარდოს მის აბსოლუტურ დაპირისპირებულობაში, უარყოფაში — ანტითეზაში და უკვე მესამე ფაზაში — სინთეზში, უნდა მოხდეს ორივეს შერწყმა, შეერთება პროგრესულისაკენ, დადებითისაკენ, სრულყოფისაკენ და ასე უსასრულოდ.

ქართულ აზროვნებას, ქართულ ფენომენს საერთოდ, ხსენებულ ჭრილში თუ განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ სადღაც მესამე ათასწლეულში ზედმიწევნით განხორციელებულა ჩვენში სინთეზ — I, ასევე წარმატებით ვზიარებივართ სინთეზ — II-ს მეთორმეტე საუკუნეში და მართლაც, საქართველო, როგორც პირველ, ასე მეორე სინთეზის დროს მიაღწევს სულიერ ფასეულობათა ზენიტს, კვინტენსაციას.

მას აქეთ რა ხანია ვესწრაფვით სინთეზ — III — იგივე ოცდათექვსმეტი თუ რვა საუკუნის წინანდელ საქართველოს, ოღონდ უფრო მაღალ რეგისტრში აყვანილს, უფრო გლობალურს, სიღრმისეულს. აბა, სხვა რა ჯადო-თილისმა ამოაკაშკაშებს „ოდოია“-ს, „ლილეო“-ს, „კრიმანჭულს“? აბა, სხვა რა გენია შეთხზავს „ოქროს საწმისისა“ და ღვიძლდაკორტნილი ამირანის მითებს?! აბა, სხვა რა ძალა ჩამოაქანდაკებს სწორუპოვარ „ვეფხისტყა- ოსანს“?! დიახ, სულ ცოტა ორგზის მაინც გაგვივლია ქართველებს სინთეზის, ანუ სულიერი წონასწორობის ფაზა, შეუთავსებლის შეთავსების ლაბორატორიული პროცესი — ტროასდროინდელ ეპოქასა თუ თამარის ზეობის ჟამს.

მესამე აღზევებაც უთუოდ მოაწევს ხვალ-ზეგ, მანამდე კი სამსახოვანი, სამ და ოცამდე დიალექტსა თუ კილო-კავზე აძრახებული, მაგრამ პოტენციაში ერთარსი საქართველოს ყოველდღიურობა გვიხმობს.

ჯერ კიდევ 1988 წლის ნოემბერში ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის გამოქვეყნებით შეძრული აღტკინებით ვწერ „ახალგაზრდა კომუნისტში“:

„უპრეცენდენტო ამბები ტრიალებს საქართველოში, ჩვენც ლელთ ღუნიას სანუკვარ სიტყვებთან ვართ.

ახლა საკუთრივ ერთი წინადადება:

ალბათ, მართლები არ ვიქნებით, თუ განვაცხადებთ, რომ პროექტის გამოქვეყნებამდე ქართველი ენათმეცნიერები გულხელდაკრეფილები იყვნენო. არამც და არამც. ბევრი საშვილიშვილო საქმე დაძრულა ადგილიდან.

ეს განსაკუთრებით ლექსიკოგრაფიას შეეხება. სულხან-საბას ტრადიციები კვლავაც გრძელდება.

გამოცემულია ვ. ბერიძის „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“;

თ. ბეროზაშვილის, მ. მესხიშვილისა და ლ. ნოზაძის „ქართული დიალექტიკის ლექსიკონი“;

პ. გაჩეჩილაძის „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა“;

ა. კობახიძის „რაჭული ლექსიკონი“;

ს. მენთეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონი“;

ი. სიხარულიძის „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“;

დ. და ნ.ქადაგიძეების „წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი“;

ა. ღამბაშიძის „ინგილოური ლექსიკონი“;

ალ. ღლონტის „ქართველურ კილო-თქმათა სიტყვის კონა“;

არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“;

ქ. ძოწენიძის „ზემო იმერული ლექსიკონი“, არაფერს ვამბობ ბიოლოგიურ, ვეტერინალურ, ზღვაოსნობის, სამხედრო, სოციოლოგიურ, ტერმინოლოგიურ, ტრანსპორტის, უცხო სიტყვათა, ფილოსოფიურ და ვინ მოსთვლის, რა ხასიათის ლექსიკონებზე...

დაბოლოს, ჩვენი ეროვნული სიამაყე — „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ — რვატომეული.

თუკი ამას დავუმატებთ პროექტში ნავარაუდევ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებს: გურულისას, ფშავურისას, ხევსურულისას, წრედი შეკრულა. უმეტესი კილო-კავის ლექსიკონი სამ-ოთხ წელიწადში ხელთ გვექნება.

პლუს ყოველივეს სვანური ლექსიკონი, რომელიც, სადაც არის დღის ნათელს იხილავს და მეგრულის ლექსიკონი შექმნის პროცესში რომაა, გამბედაობაღა გვაშორებს კონგენიალურ ნაბიჯამდე — ჩავწეროთ პროექტში: არსებული მასალების საფუძველზე შეიქმნას სრულიად საქართველოს, ანუ ქართველურ ენათა და კილო-კავთა სინთეზური, აკადემიური ლექსიკონი!

ასეთი ლექსიკონი, ვგონებ, ერთადერთი იქნება მსოფლიოში, ერთადერთი და ისიც — ქართული!

ჩვენი მომავალი თაობა კი მოგებული დარჩება ფრიად, ვინაიდან მზითევ-ანდერძივით მიიღებს წიგნს, რომელშიც თავს მოიყრის ზოგადეროვნული მეტყველება, ზოგადეროვნული სული, ზოგადეროვნული ცნობიერება!"

მართალია, წერილი კი გამოქვეყნდება, მაგრამ მასში განვითარებულ აზრს რატომღაც დუმილით შეხვდება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. არადა, რა ისეთ განუხორციელებელ იდეას ვქადაგებდი, კომერციული გამოცემებით წალეკილ ამ ჩვენს მამულში, რომ პირში წყალი დაგვეგუბებინა დიდსა და პატარას?! ისეთს რას ვითხოვდი, თავი ჩაგვექინდრა?! დროა ზოგადეროვნული ლექსიკონი შევქმნათ და დამღუპველ პარიტიკულარიზმს მოვეშვათ-მეთქი!

მოგვიანებით მრავალჯერ ვცდი ამ თემის განვრცობას, თანადროულ მასალებსაც მივკრიბ-მოვკრებ, მაგრამ მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდება, ნოემბერს აპრილი დაერთობა აპრილს — ივნისი, ივნისს — აგვისტო-სექტემბერი, ამ უკანასკნელს — სუსხიანი იანვარი და საერთო მორევში გადასროლილს, მელნის სურნელი გადამავიწყდება.

ისე კი გამუდმებით მიღიტინებს სულში და კვლავაც მიხმობს შუა სიტყვაზე გაწყვეტილი საუბარი. უფრო იმიტომაც, რომ უკვე გარდახდილია რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილების" პირველი წიგნის რედაქტორებთან დავა, რომლებიც არაფრით მანებებენ სალიტერატურო ქართულის დიალექტიზმებით „დანაგვიანებას".

ლიტონი სიტყვა არ გეგონოთ, არც ეს განცდა მოფრენილა ნაუცბადევად. იგი წლების მანძილზე მწიფდება ჩემში და იოტისოდენადაც არ შევცდები, თუ ჩემი თვალნათელი სამეგრელოს მოკრძალებულ საყვედურს განვასახიერებ იზოლირებული დედაქართულის მომხრეთა მისამართით, იმ სამეგრელოსი, ბარბაროსული დალაშქვრების მერეც გულთან რომ უსვენია ქართველობის ხატი და მირონი; სამეგრელოსი, რომლის სამეტყველო სალაროებიდან მარგალიტების ამოსაკრებად აქეზებს აკაკი სიტყვის ქართველ ოსტატებს.

საქმე ეხება იმ ენობრივ პოზიციას, რომლის პილპილს მთელი სიმძაფრით იწვნევს სახალხო მგოსნისაგან სასიქადულო წინამორბედი ჩემი — ვაჟა: ენას რომ დაუწუნებენ და საერთო ქართველურის მაგისტრალიდან გადახვევას ლამის ღალატად შეუფასებენ. ბრძოლის ველზე მარტოდმარტო დარჩენილი გენია არ შეუდრკება წმინდა ქართულიზმის სინდრომით შეპყრობილ ავტორიტეტს. უფრო მეტიც, იგი გულშიჩამწვდომად წარმოაჩენს მთისა და ბარის ჰარმონიის საკითხს, რომ თითოეული მათგანი აუცილებელია, ოღონდ ქართული გვარისა იყოს.

ვაჟა-ფშაველას ისტორიული სიმართლისდა მიუხედავად, მისი პასუხი ვერაფრით გასცდება პრობლემის ემპირიულ ხასიათს, თუმცა ეგეც არის — რამდენადმე შეურყვს ნიადაგს ქართლურ-კახურ-იმერული დიალექტების პრიორიტეტს მშობლიური მწერლობის წინაშე, მათ აღიარებს ზოგადეროვნულის ნორმად და ნიმუშად.

ვაჟას შემოქმედებითი მეთოდი სალიტერატურო ენისაკენ გზას გაუხსნის დაგუბებულ კილოკავებს მთიანეთისას, მაგრამ მეგრული და სვანური ხომ დამოუკიდებელი ქართული ერთეულებია უკვე ისტორიული უკუღმართობის გამოისობით და თვით საფიცარი სამეგრელოს კოლორიტის შექმნისათვის მოშველიებული ასიოდე სიტყვა საგრძნობლად გააჭიანურებს ჩემი ნაწარმოების დასტამბვას. თუმცა საბედნიეროდ, არც აქ აღმოვჩნდები პიონერი, პირველგამკვლევი: ჩვენი სასიქადულო მწერლობა იყო, არის და იქნება სამკვდრო-სასიცოცხლო არენა იდეალური სალიტერატურო ქართულისათვის.

თვით დიდოსტატი კონსტანტინეს შემოქმედებითი სავალი აღმართიც როდი მოფენილა იავარდითა და დიბა-ფარჩებით. იგი, როგორც დიდი ილია, ხმალშემართულ ომს გამოუცხადებს „აქვა დესტილატას"8 მაგვარ ფსევდო ქართულს — ეროვნულ ძირებსა და სათავეებს მოწყვეტილს.

ბატონ კონსტანტინესაც მრავლად უყოჟინებენ ე.წ. „წმინდა ქართულის" ქომაგი დოგმატიკოსები, მერე და ვის, გენიას, რომელმაც მოახდენს ძველი და ახალი ქართულის სამაგალითო შერწყმას!

„ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური ბუნების სიდარბაისლე — წერს იგი ერთგან, — **ხოლო აკაკიმ იმერული სილბო. XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშავურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური სალიტერატურო ქართული",** — აცხადებს მწერალი. ჭირვეული ოპონენტები კი ხან მერჩულეს ენის რესტავრატორს უწოდებენ, ხანაც დიალექტიზმებისა და არქაიზმების დიდოსტატს, მაგრამ ტვირთით წელდაზნექილი ქარავანი მიუგდებს ყურს განა წუთისოფლის ღავღავს?! და ასე, თანამიმდვრულად, ახალ-ახალი ცნებით, სიტყვებით მდიდრდება დედაქართული ჩვენი.

სწორედ ბატონი კონსტანტინეს შემოტანილია ქვემეხი, კუბოკრული, ძგიდე, მეინახე, რუსიციზ-

მების — „ორუდიეს“, „კლეტჩატის“, „კანტის“, „სოტრაპეზნიკის“ გასაძვებლად.

მოკლედ, მართლაც მეროჭიკე ბერივით მოუღლელი დიდოსტატი თავგადაკლული ეძიებდა ხალხის სულში მობინადრე განძეულობას და არსებობის კონსტიტუციურ უფლებას ანიჭებდა მათ ზოგადეროვნული სიტყვიერების უკიდეგანო იმპერიაში.

გავა ხანი, ფერს იცვლის წლები და წყლები, მაგრამ თითის ქნევას ვერც ჩემი სალიტერატურო ენა გადაურჩება.

მედავებიან სრულიად უწვრილმანესზე, მედავებიან სიტყვებზე, წინადადებათა გრამატიკულ წყობაზე, ზმნის ადგილმდებარეობაზე, მცენარეთა საკუთარ სახელებზე, რომელთა შესატყვისი დედაქართულს არ მოეძევება.

მე რომ ჩემი რედაქტორების პრეტენზიებისათვის მეგდო ყური, სარდიკიასა და მაფატიას ნაცვლად მცოცავი ბალახი უნდა მეწერა, ნოწკერიას ალაგას — სიგრძივ ნაპობი შეშა, ბოგიშბოგის მაგივრად — შორეულზე შორეული ნათესავი; ბულბულისა და იადონის სინონიმად არსად უნდა მეხსენებინა მაფშალია, და კიდევ ვინ მოსთვლის, მაგრამ სათაყვანებელი წინაპრებისაგან დაკვალიანებული სულმოკლეობას ვძლევ და ჩემს ლელოს შეძლებისდაგვარად გავიტან.

თაობების დაახლოებით ამგვარმა შემართებამ დაამკვიდრეს თანდათან სალიტერატურო ქართულში მეგრული წკვარამი და თუთარჩელა, ტყაშმაფა და თოლიგე; სვანური მახვში და მაჩუბი, მერხეული და ლამარია; გურული ჟალტამი და ღვარღვალი; იმერული ტკარცალი და გასოსიალება; ჯავახური ქველი, აჭარული ფიწალი, თუშური ფლასი, ქართლური სასინათო, რაჭული სოხანე, მესხური სულე! მთიულური სახიჩრიანი, ხევსურული საკანტალაოდ, ქიზიყური ნებრუცა და სხვა, ასე რომ, იმ უთანასწორო პაექრობების შემდეგ, ლამის საყოველთაო სულიერი ქანცგაწყვეტილობის ჟამს, უკვე თეორიულადაც მინდა შევეპასუხო ქართული სიტყვიერების თითქოსდა დიალექტიზმებით „ამღვრევისაგან“ დამცველებს.

მაინც როგორ წარმომესახება ქართველი, ქართული, საქართველო?!

ჩემი აზრით, ეს არის რაინდთა მრგვალი მაგიდა თანაბარუფლებიანი საუბრისათვის და არსებობისათვის მოგონილი, რომელ მრგვალ მაგიდასაც, აჰა, ბარემ ოცდათექვსმეტი საუკუნეა ვუსხედვართ: ხევსურები და მოხევეები, თუშები და მთიულები, გუდამაყრელები და ფშავლები, ქართლელები და კახელები, ჯავახელები და მესხები, იმერლები და გურულები, რაჭველები და ლეჩხუმელები, აჭარლები და იმერხეველები, მეგრელები და სვანები...

ბარემ სამი საუკუნეა ამ სერობისკენ მოისწრაფვიან ჩვენი სისხლხორცეული ძმები, ფერეიდნელი ქართველები თუ თურქეთის ლაზები, მოისწრაფვიან თავიანთი ენობრივი ფორმებით, გულში ჩასაკონებელი სიტყვებით, მოისწრაფვიან და ამ პროცესის შეჩერება უკვე არც მაცილს ძალუძს და მით უფრო — იმპერიებს, ვინაიდან უფლისეულია, ღვთით კურთხეული, მაცხოვრის მიერ არის ხელდასხმული.

ასე და ამგვარად, რა დროსაც ხმამაღლა ვაცხადებთ: **ქართველს, ქართულს, საქართველოს,** იმთავითვე ყველა კუთხე-კუნჭულს უნდა ვგულისხმობდეთ უკლებლივ, ყველა მხარე-უბნის ადათ-წესსა და ტრადიციას უნდა ვეთაყვანებოდეთ სულანთებული, თითოეული ჰანგისა და ფოლკლორის კანონმდებლობას უნდა ვადასტურებდეთ ზედმიწევნით ერთ მთელში შემჭიდროებული იმ სინდიყის დაფანტული ბურთულა-ნაწილაკების მსგავსად. სწორედ ამიტომ გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნდა და მიმაჩნია კვლავაც ზოგადეროვნული, ყოველი დიალექტიკურ-კილო-კავური ფორმის შემსრუტველი ლექსიკონის შექმნა და გამოცემა.

მე აქ თვალსაჩინოებისათვის მცირეოდენ მასალას მოვუხმობ და სათანადო ანალიზის შემდეგ თუ საკითხი ბუნდოვანი დარჩა, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!

მასალები ქართული ენის სინთეზური ლექსიკონისათვის

ქართლური	მეგრულ-ლაზური	სვანური	ქართული
ადამიანი	კოჩი	ამსუალდ	**ადამიანი**
გოგო	**ცირა,** ძღაბი, **კულანი**	**დინა**	**გოგო, ცირა კულანი, დინა**

დედა	**დედა,ნანა**	დედე	**დედა,ნანა**
კაცი	კოჩი	**მარე**	**კაცი,მარე**
მამა	მუმა, ბაბა	მუ, ბუა	**მამა**
მგელი	გერი	თხერე	**მგელი**
მზე	ბჟა	მიჟ	**მზე**
მიწა	**დიხა,** მინწა	გიმ	**მიწა, თიხა**
სამყარო	**ოდაბადე, დობადონა**	დეც, **ლარდა**	**სამყარო, ოდაბადე, ლარდა**
მამული	**ობადიში**		**ობადიში**
საშობლო	**შურობუმუ**		**შურობუმუ**
სახლი	ყუდე, ოხორ	ქორ	**სახლი**
ქარი	**ბორია,** იხი	**ბუქუ**	**ქარი, ბორია, ბუქი**
ქალი	ოსური, **ოხორჯა**	ზურალ	**ქალი, ოხორჯა**
ქმარი	ქომონჯი	ჭაშ	**ქმარი**
ღვიძლი	ჩხონჩხი	ყვიუე	**ღვიძლი**
ყვავილი	**ბეული,** ბირი	**დადალ,** დადილ	**ყვავილი, ბეული,**
შვილი	**სქუა,სკირი**	**გეზალ**	**შვილი, სქუა, სკირი, გეზალ**
ცოლი	ჩილი, ოხორჯა	ხუხუ	**ცოლი**
ძროხა	**ჩხოუ,** ფუჯი	**ფურ**	**ძროხა, ჩხოუ, ფურ**
წყალი	წყარი, წკარი	**ლიც**	**წყალი, ლიც**

ამ სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ჩემი ლინგვისტიკური ჰორიზონტი მოიკოჭლებს ქართული სიტყვათმშენებლობის პრობლემათა წინაშე. ჩემი ფუნქცია იმითღა ამოიწურება, რომ იქნებ რამენაირად მივმართო საზოგადოებრივი აზრი სინთეზური ლექსიკონის შექმნის საშვილიშვილო საქმისაკენ.

დამეთანხმებით, რომ თვალის ერთი გადავლებითაც დასტურდება ბევრი ნაცნობი ფორმა, როგორც მეგრულ-ლაზურში, ისე სვანურში. ისინი წარუშლელად აღიბეჭდებიან ჩვენს ცნობიერებაში: ცუდე — დაყუდებული, ნავსაყუდელი; ბორია — ქარბორია; ბუქუ — ქარბუქი; ყვიჟე — გაყვიჟინებული, გაწიწმატებული; ფური — დედალი პირუტყვის გაგებით; ლიც — ლიცლიცი, რაც მხოლოდ წყლისათვისაა დამახასიათებელი... მოკლედ, საუკუნეების მანძილზე ვინ იცის, რანაირად, რა ტანჯვა-წამებით გაიკვალეს მათ გზა დედაქართულისაკენ?! გვხვდება სიტყვები, რომლებიც სალიტერატურო ქართულის სინონიმად არ გამოგვადგება, ასეთებია: გერი და თხერე — მგლის მნიშვნელობით; პირველი არაღვიძლ შვილს ნიშნავს ერთ-ერთი მშობლისათვის, მეორე კი თხის ასოციაციას იწვევს აშკარად; უხერხულია ბუა მამის სინონიმად:

იხი — იხვს მოგვაგონებს;

ოსური — იმას, რაც ოსი ხალხისათვისაა დამახასიათებელი;

ჩონჩხი — ადამიანის ძვლოვანი სისტემის ერთიანობაა ქართულში;

ბირი — სამეტყველო ორგანო;

ქორი — მტაცებელი ფრინველი.

რაც შეეხება ქმარს, ღიმილის მომგვრელია ,,ჭაში მოვიდაო'' ვთქვათ. ასევე უპერსპექტივოა ძღაბი და ხეხუ უსიამო ჟღერადობის გამო. თავშეკავება გვმართებს ისეთი სიტყვებისაგანაც, რომელთა სახეცვლილება უმნიშვნელოა ფონეტიკური თვალსაზრისით: კაცი-კოჩი, ცოლი-ჩილი, წყალი-წყარი, მაგრამ რაოდენ სასიხარულოა, რომ დღესვე, უყოყმანოდ, დაუფიქრებლად შეგვეძლო გოგოს შესატყვისად შემოგვეტანა დინა, კულანი და ცირა; კაცის სინონიმად — მარე; სამყაროს (მამულის) პარალე-

ლურად — ოდაბადე, ობადიში, დობადონა, ლარდა, მემლექეთი, შურობუმუ; ყვავილისა — პეული, დადალი. მოკლედ, აურაცხელი განძი შეგვეძინებოდა ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით, რაც ახალ რეგისტრში აიტაცებდა ჩვენს ცნობიერებას. ყველაფერ ამასთან ერთად, ზოგადეროვნული სინთეზური ლექსიკონის შექმნა ცოტათი შორსმიმავალი მიზნისეულია;

როცა სვანეთის გოროზი მთების შთამომავალი თუ სამეგრელოს გადანისლული ჭორომების მემკვიდრე საუკუნეების ქარ-ცეცხლში გამოტარებულ გულისთქმას დედაენის წიაღში საიმედოდ დაბინავებულს იხილავს, მყისვე მოეხსენება კომპლექსი — „მე მეგრელი ვარ“, „მე სვანი ვარ“; ისინი ზოგჯერ განზე მაცქერალი მოკვდავებიდან უმალ მამულის მაჯისცემას მიყურადებულ მეციხოვნე-ღმერთკაცებად გარდაისახებიან.

ესეც რომ არა, განა მეგრულისა (ლაზური) და სვანური მარგალიტების შემოსვლით რაიმე დააკლდება დედაქართულს?! ქსნისა და არაგვის შემონაკადებით მტკვარი დაკნინდა თუ პირიქით, რომ არა ისინი, და კიდევ მრავალი ათეული ღელე-მღვრიე, წყურგილე თუ რუხტუნია, ჩვენი დედამდინარე ჩააღწევს ვითომ კასპიის ზღვამდე?!

მოჭრილად რომ ვთქვათ, თუკი ამ ათასწლეულშივე ჩვენი ეროვნული ცნობიერება არ განეწყობა სალიტერატურო ქართულში მეგრულის, სვანურის და კიდევ მრავალი დიალექტური ერთეულის კანონზომიერი მიღებისათვის, თუკი თუნდაც შორსმჭვრეტელური სოციალურ-პოლიტიკურ სარბიელსღა ვიმყოფინებთ თვითგამოსარკვევად და თვითდასამკვიდრებლად, თუკი ამთავითვე არ ვიზრუნებთ ერთიანი ქართული სულის მონოლითურობისათვის და შედუღაბებისათვის, ვეჭვობ, ოცდამეერთე საუკუნეშიაც განხორციელდეს ესოდენ სანატრელი სინთეზ — III — ქართლოსიანთა მესამე რენესანსი.

დიახ, მრავალძარღვიან სალიტერატურო ქართულს, თავისუფალი საქართველოს საკადრის დედაენას, დიალექტებთან ერთად მეგრულისა (ლაზური) და სვანურის ფაქიზი, მართებული შემოტანით შევქნით მხოლოდ. მხოლოდ ამგვარი დამოკიდებულებით ჩამოვაყალიბებთ ზოგადეროვნულ ფსიქიკას, ფენიქსისამებრ ფერფლითშობილი, გაუბზარავი სულისკვეთების საქართველოს!

ჩემს შემოქმედებით პრაქტიკაში, სულმნათი წინაპრებისა არ იყოს, უკვე დავადგები ხსენებულ გზას — რომან-ტრიადის პირველსავე წიგნში თამამად დავესესხები ლექსიკურ ერთეულებს ქართლურ-კახურიდანაც, იმერულიდანაც, გურულიდანაც, სვანურიდანაც, მეგრულ-ლაზურიდანაც და თუ აქა-იქ დიალექტიზმებით გატაცებას წამომაძახებენ, ზეციურო, მიუტევე მათ, რამეთუ არა უწყიან ქართული ენის ზოგადსაკაცობრიო მისიისა; რამეთუ დაწერილა ოდეს: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“; რამეთუ გვეწინასწარმეტყველა გულთმისნობით: „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის აღმოჩენა

ენის წარმოშობის საკითხი ადამიანს ოდითგანვე აინტერესებდა. მის შესახებ, ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, მრავალი თეორია ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამისა, ენის წარმოქ- მნის თაობაზე ერთ კონკრეტულ თეორიაზე ენათმეცნიერება დღემდე ვერ შეთანხმებულან. ეს იმიტომ, რომ ვერცერთი თეორია უზრუნველყოფს საკუთარი ჭეშმარიტების დასაბუთებს.

აღნიშნულმა მდგომარეობამ, უკანასკნელ პერიოდში, ენის წარმოშობის საკითხისადმი ინტერესის შენელებაც კი გამოიწვია. 1866 წელს პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოება ასეთ გან- ცხადებასაც კი გააკეთებს: არ იღებს მოხსენებებს, რომლებიც ენის წარმოშობას შეეხება. ენათმეცნიერებაში სადღეისოდ დამ- კვიდრებულია ამისთანა შეხედულებანი:

1. თანამედროვე მეტყველებაში თავდაპირველი კვალიც კი არ არის დარჩენილი და ამიტომაც შეუძლებელია მისი აღდგენა;

2. შეუძლებელია ენის ლექსიკის (სიტყვობრივი მარაგის) ჩვენს თვალწინ, როგორც ჯარისკაცებისა აღლუმზე (ვანდრიესი), ჩამოტარება და დათვალიერება, მისი მათემატიკურად გამოანგარიშება;

3. ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი არაფრითაა მოტივირებული და წარმოადგენს შემთხვევითსა და ნებისმიერს, უფრო მეტიც, საენათმეცნიერო ლიტერატურაში პირდაპირ აღნიშნავენ, რომ „ის პერიოდი, როდესაც ხდებოდა ენის წარმოშობა,

ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია წამოვაყენოთ ჰიპოთეზები მეტყველებისა და ენის წარმოშობის მიზეზებისა თუ პირობების შესახებ“.

აღნიშნულ და სხვა ანალოგიურ შეხედულებათა უსაფუძვლობას ამტკიცებს ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ფილოლოგიის კათედრის პროფესორის, ბატონ მამანტი ძაძამიას ნაშრომი „ენის წარმოშობის საიდუმლოება.“

მსოფლიო მნიშვნელობის მეგრულ-ქართული ენის ლექსიკონის შვიდტომეულს მალე მიიღებს ჩვენი მკითხველი. საყურადღებოა ისიც, რომ ბ-ნი მ. ძაძამია ენის წარმოშობის საიდ- უმლოების ამოხ- სნამდე მიიყვანა ქართველურ ენათაგან ერთ-ერთი ფენომენის, მეგრული ენის სიტყვათწარმომავლობის გამოკვლევამ და ამ ენის სალექსიკონო მასალაზე გაწეულმა მრავალ- წლიანი მუშაობამ. სხვათა შორის, უბრიანია აღინიშნოს შემდეგიც: მეგრულის ლექსიკონი, რომე- ლიც ტიტანური ძალისხმევით მზადდება, სრული ფორმით გამოცემის შემთხვევაში, ლაპის სამას- ტომეულს გადააჭარბებს. მამანტი ძაძამიას კვლევა-ძიების ობიექტური შეფასება გვაბედვინებს განვაცხადოთ: „ლაზარე აღდგინებულია!“

კვირაძალია. ორნი ვესტუმრებით ძაძამიებს ბინდისპირზე — ისტორიკოსი, ეზოტერიკოსი და ამავ- დროულად ბიზნესმენი თორნიკე შამათავა, რომელიც სანკტ- პეტერბურგში მოღვაწეობს და თქვენი მონა- მორჩილი. გაიხარებენ მასპინძლები. ბატონი მამანტი ურთულესი ოპერაციის მიუხედავად ომახიანად გამოიყურება. აქვს კაცს სამყაროისეული მიზანი და არაფრად დაგიდევს კოლეგების გამოხდომებს. ცნობილი ჭეშმარიტებაა: კაცობრიულ აღმოჩენებს უმეტესწილად დილეტანტები ახდენენ ხოლმე. ბატონ თორნიკეს ბევრი რამ სმენია თურმე ბატონი მამანტი ძაძამიას ფენომენზე, ისიც ერთი პერიოდი ზდუ-ს თანამშრომელი იყო ლაპის წელიწადი და ახლა ხარბად მიუგდებს ყურს.

— მეგრელი ენის სიტყვიერი მარაგი მართლაც რომ დაუჯერებელია. ინგლისელებმა მილიონ ოთხასაიათასიანი ლექსიკონი შექმნეს და ეს დიდ მიღწე- ვად მიიჩნევა თანამედროვე მსოფლიოში. მეგრული ენის ელასტიკურობა გაოცებას იწვევს ჩემში. რამ დენიმე ათეული წელიწადია ამ სასწაულს ვუტრი- ალებ. აქეთ ქალიშვილიც ცირა ძაძამია დოქტორი გახდა უკვე, მთელი ოჯახით ვიკვლევთ მის ბენებას და ელემენტარული საქმეები ხელიდან გაგვირბის. ძლივს დავაბინავეთ ჭირნახული. შეშა ჯერ კიდევ არ დამიმზადებია, არადა, ზამთარი კარზე მოგვადგა. მეგრული ენის ფენომენი გინესის წიგნშია შესატანი. მისი ძირითადი სიძლიერე ზმანაა. უკვე დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ მეგრული ენის ლექსიკა დაახლოებით 20 000 000 (ოც მილიონს!) აჭარბებს. აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს 2 ბგერა. მეგ- რულ ზმნას მსაზღვრელი არ სჭირდება უმეტეს- წილად. მაგალითისათვის „გეგნოცოც“ არ მოითხოვს დაიმატებით განმარტებას, „ტანშორჩილი კაცი გადას- კუბდა.“ ყოველივემ მე და ჩემს ქალიშვილს — ცირა ძაძამიას, გვაფიქრებინა, რომ იგი ბუნების ენაა, თავდაპირველი.

„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმომავლობა“ შვიდტომეულია. მასში განთავსებულია მილ- იონ ორასი ათასი სიტყვა! თითქოსდა დაუჯერე- ბელია, მაგრამ ფაქტი. შვიდტომეულს ბევრდავს გამომცემლობა „ინოვაცია“. სპონსორი გახლავთ აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია. დღესდღეობით ხუთი წიგნია დასტამბული, რომლებზედაც ძვირფასი ნადავლივით უდევს დამაშვრალი მარჯვენა გაუ- ტეხელი ბუნების კაცს ადამიანურ შესძლებლობათა უტყუარ დასტურად და ხაბარდა, ბატონებო!

* * *

„წინამდებარე ნაშრომში **(იგულისხმება მ. ძაძამიას „მეგრული დიალექტი“, თბ. 1991 წ., წიგნი II, გ.ო.)** წარმოდგენილი საგნის მოქმედების გამომხატველი 5 ძირითადი ზმნის: ,,გეგნორთგ“ — (გადავიდა), ,,რაგადანც“ — (ლაპარაკობს), ,,გოლახგ“ — (გალახა, ცემა), ,,გეშუ“ — (დალია) და ,,ოჭკუმუ“ — (შეჭამა) რიგში, შესაბამისად გვაქვს: 2806, 247, 106, 68 და 247 ხატოვანი ზმნა, მათი საერთო ჯამი კი 3454 ერთეულს შეადგენს“.

თვალსაჩინოებისათვის, გთავაზობთ ყველაზე მცირეწევრიან მასდარს ,,დალია“, თანაც ერთა- დერთი ზმნისწინის გამოყენებით:

,,**გებახუ**“ — სიამოვნებით და ზორბად დალევას გამოხატავს;

,,**გეგურგუ**“ — დიდი ნაკადით სიამოვნებით დალევას გამოხატავს;

,,**გეგურჯუ**“, ,,ქალეგურჯინუ“ — დიდი ოდენობით და სიამოვნებით დალევას გამოხატავს;

,,**გეთქვაფუ**“ — დაახლოებით იგივეს გამოხატავს;

,,გეთქუთქუ'' — დაახლოებით იგივეს გმოხატავს;
,,გელურწუ'' — შედარებით ნაკლები ნაკადის მიდენით, მაგრამ დიდი ოდენობით სითხის სიამოვნებით დალევას ნიშნავს;
,,გელურჯუ'' — დიდი ოდენობით სითხის მიძალებით დალევას გამოხატავს;
,,გელუმპუ'' — ლოპნით დიდძალი სითხის დალევას გამოხატავს;
,,გეპაპუ'' — რამდენადმე მიკროძალებით ან კიდევ მცირედის და მცირე ნაკადით ე.ი. ყლუპებით დალევას გამოხატავს;
,,გერაჟგ'' — რამდენადმე გიჟურად, ე.ი. ჩქარა, ერთობ დიდი ოდენობით სითხის დალევას გამოხატავს;
,,გერთქაფუ'' — ძალზე დიდი ოდენობის სითხის უცბად, რამდენადმე უშნოდ, გარკვეული სულსწრაფობით, ღორულად დალევას (ამოთქვლე ფას, გ.ო.) გამოხატავს;
,,გერუწუ'' — ბოლომდე, ჭურჭლის სავსებით დაცლამდე დალევას გამოხატავს;
,,გესასგ'' — დაახლოებით წრუპვით, მაგრამ სიამოვნებით დალევას გამოხატავს;
,,გეტირკგ'' — ერთობ ჩქარა (სულსწრაფობით, გ.ო.) და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეტკაბუ'' — ძალზე ბლომად და ვაჟკაცურად დალევას ნიშნავს;
,,გესვასვუ'' — წყნარა და მოწიწებით დალევას, ნაზად დალევას გამოხატავს;
,,გეტურკუ'' — სულსწრაფობით, ხარბად დალევას ნიშნავს;
,,გეტუცუ'' — ხარბად და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეფახუ '' — გემრიელად, სიამოვნებით დალევას გამოხატავს;
,,გექანჩე'' — გემრიელად, სიამოვნებით დალევას გამოხატვას;
,,გექაფუ'' — სწრაფად და ქაფივით დალევას გამოხატავს;
,,გექინჩგ'' — სწრაფად და ხარბად დალევას გამოხატავს;
,,გექურუ'' — ბლომად და ვაჟკაცურად დალევას გამოხატავს;
,,გექურჩუ'' — დიდი ნაკადის მიშვებით დალევას გამოხატავს;
,,გელვაბუ'' — დინჯად, მაგრამ სიამოვნებით და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გელვაფუ'' — დაახლოებით იგივეს გამოხატავს;
,,გელინჩგ'' — ხარბად და ბლომად, თანაც რამდენადმე მედიდურად დალევას გამოხატავს;
,,გელუფუ'' — დიდი ნაკადის მიშვებით და მიძალებით ბლომად დალევას გამოხატავს;
„გეყურწგ'' — ნაკლები ნაკადის მიშვებით, მაგრამ საკმაოდ ბლომად და ბოლომდე დალევას (ყლურწვას, გ.ო.) გამოხატავს;
,,გეყვაბუ'' — წყნარად, ან კიდევ რამდენადმე უშნოდ და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეშამბუ'' — ბოლომდე და ვაჟკაცურად დალევას ნიშნავს;
,,გეშარუგ'' — ხარბად და ბოლომდე დალევას ნიშნავს;
,,გეყინტნს'' — ძალზე სწრაფად დალევას გამოხატავს (,,ყინტუა'' — ყლაპვა);
,,გეშარუწუ'' — ბოლომდე ამორუწვას ნიშნავს;
,,გეშასქირუ'' — ამოაშრო, ბოლომდე, წვეთის დაუტოვებლად დალევას ნიშნავს.
,,გეშაშგ'' — რამდენადმე სიამოვნებით და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეშაშუ'' — ბოლომდე დალია;
,,გეშაწურწუ'' — ამოწრუპა, წრუპვით ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეშვაშვუ'' — რამდენადმე უშნოდ, ხარბად დალევას გამოხატავს;
,,გეშაწკარწკანტუ'' — ,,ამოაწიკწიკა'', პირწმინდად, ე.ი. სავსებით, მთლიანად დალევას გამოხატავს;
,,გეშახუპუ'' — ამოხვრიპა.
,,გეშაჯირქ'' — ,,ამოწმინდა'', ბოლომდე, მთლიანად დალევას ნიშნავს;
,,გეშუ'' — დალია.
,,გეძაღუ'' — პატარის მიერ დალევას, ან კიდევ მცირედის დალევას გამოხატავს;
,,გეცვაცვუ'' — ძლივს-ძლივობით, ან ცოტ-ცოტათი დალევას გამოხატავს;
,,გეძღვაბუ'' — მცირედის და რამდენადმე უშნოდ დალევას გამოხატავს;
,,გეძღვარგ'' — პატარის მიერ საკმაოდ ბევრის დალევას გამოხატავს;
,,გეძღვაძღვუ'' — არც ისე სიამოვნებით და მცირედის დალევას გამოხატავს;
,,გეძღვაკგ'' — პატარის მიერ მცირედის დალევას გამოხატავს;
,,გეწვაწვუ'' — კოხტად, კოპწიანობით (პეწიანად, გ.ო.) დალევას გამოხატავს;
,,გეწკვაპუ'' — ბოლომდე დალევას გამოხატავს;

,,გეწკვაწკვუ'' — ბოლომდე და მცირედი ყლუპებით დალევას გამოხატავს;
,,გეწკუპუ'' — ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეწურწუ'' — შეწრუპა;
,,გეჭაძბუ'' — ბოლომდე და ვაჟკაცურად დალევას გამოხატავს;
,,გეხვახვუ'' — სიამოვნებით და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეხვიპუ'' — ბოლომდე და რამდენადმე ხარბად დალევას გამოხატავს;
,,გეხუპუ'' — ხვრეპით დალევას ნიშნავს (,,ხვრეპა''-ხუპუა);
,,გეხუხუ'' — ,,ქელეხუხინე'' — სიამოვნებით და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეჯვარზ'' — ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეჯურჯუ'' — ძალზე ბევრის, საკმაოდ ძნელის ვაჟკაცურად დალევას გამოხატავს;
,,ქელეგურგინუ'' — გვრგვინვით (თქრიალით) ჩაიძახა მუცლისაკენ;
,,ქელეხორუ'' — ,,ჩაისახლა'', ბლომად და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,ქელეხუნუ'' — ,,შიგ ჩაისვა'', მთლიანად და ხარბად დალევას ნიშნავს;
,,ქელეხურჩინუ'' — ჩხრიალით ჩასხმით ბოლომდე დალევას გამოხატავს.

აქ ჩამოთვლილ ხატოვან ზმნებს კიდევ მრავალი დაეწყვილება და ეს გასაკვირი არ არის.

ცხადია, ბატონი მამანტი (კოლეგა ასულ ცირას თუ სხვათა დახმარებით), ვერ ამოწურავს მეგრული ზმნის თუნდაც ერთი ზმნისწინით წარმოებულ ფორმებს ,,დალევის, სმის'' თვალსაზრისით.

ასევე აღსანიშნავია, რომ აქ მოხმობილ მრავალ ზმნას გააჩნია მეორადი მნიშვნელობა, ანუ სინონიმური გაგება: მაგ. ,,გეშუ'' — ახსოვს; ,,გეფახუ'' — დაფუყულა. ისინი აქა-იქ სამბუნებოვანიცაა — ,,გეპაპუ'' — დაფიყვინებით ზის და პაპად იქცა.

,,მეგრულის ზმნისსართები, და კერძოდ, ზმნისწინები შეიძლება შევადაროთ ულრან ტყეს, სადაც ყოველი ხის, ყოველი მცენარის კარგად ნაცნობობის პირობებშიც, გზის გაგნება ერთობ ძნელია;

მეგრული ზმნები შეიძლება შევადაროთ ოკეანეს, რომლის გადაცურვასაც მაგელანის სიმამაცე სჭირდება.

ყოველივე ეს, კიდევ ერთხელ და სავსებით ნათლად ადასტურებს ქართული ენისა და ქართული ზმნის შესახებ დიდი ილიას მიერ თავის დროზე ნათქვამ ბრძნულ სიტყვებს:

„ჩვენ ენას ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც ბევრი სხვა, უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შეშნატრიან“;

„ზმნა სული და გულია მეტყველებისა... ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ ვერ წაუვა ჩვენს ენას“.

***

ძვირფასო მკითხველებო, ჩვენი საერთო სატკივრებისა და დაგუბებული სათქმელის ეტლს შებმული წინდებული ორი თავისთავადი პუბლიკაცია: ,,ენის წარმოშობის საიდუმლოება'' და ,,გეორგიული თეორია'' შეუკრეჭ-შეულამაზ- ებლად იმიტომაც წარმოგიდგინეთ, ჯერ ერთი, ბოლომდე გამოგვეცადა, როგორც ავტორთა ნებითი ბუნებრიობა თხრობისა, ისე თქვენი გამძლეობის საზღვრები ტექსტთა ზედმიწევნით სპეციფიკურობის გამო და ახლა, როცა გამოცდა წელგამართულ ,,დამაკმაყოფილებელზე'' მაინც ჩაგვიბარებია, ესოდენი ეზოტერიკული ბატალიების შემდეგ, იქნებ უმჯობესი იყოს ერთი საგულისხმო მიგნებაც წარმოგიდგინოთ, რომელიც აქამდე წარმოჩენილი ავტორების მოსაზრებებს არათუ აძლიერებს გარკვეული მიმართულებით, არამედ აკონკრეტებს მათ ხასიათს, ამიზნიერებს და სათანადო არემიდამოსაც განამზადებს გური ოტობაიას აკვიატებული სინთეზური მიდგომებისათვის:

მამანტი კაკამია

ენის წარმოშობის საიდუმლოება

საერთო დასკვნები

მეტყველებისა და ენის წარმოშობის საფუძვლები სიტყვათწარმომავლობაში იძებნება.
სიტყვათწარმომავლობაში მისი ფონეტიკური თავდასაბამი იკითხება.
სიტყვათწარმომავლობის ფონეტიკურ თავდასაბამს ბუნებაში მოცემული ბგერები წარმოადგენენ.

ბგერების გაღება დამახასიათებელია მოძრავი მატერიისათვის, ამ მოძრაობის გზაზე შემხვედრ წინააღმდეგობასთან კავშირში.

ბგერა არის მატერიათა ურთიერთდაჯახებისას წარმოშობილი ხმა, გადატანილი ამავდროულად წარმოშობილი ჰაერის ნაწილაკთა ტალღების განსაზღვრული რხევითი მოძრაობით, რაც შეიგრძნობა სმენით.

ბუნებაში მოცემული ბგერებისათვის, სამეტყველო ბგერებთან ერთად, დამახასიათებელია ნივთიერი წარმომავლობა. ამის მიხედვით, ისინი ფიზიკურ (მექანიკურ) ბგერებს წარმოადგენენ.

სამეტყველო ბგერებს, ბუნებაში მოცემული სხვა ბგერებისაგან განსხვავებით, ახასიათებთ წარმომავლობა. ისინი დამუშავებული ბგერებია და წარმოადგენენ ხანგრძლივი ადამიანური მოღვაწეობის შედეგს, გამიზნულს გარკვეული დანიშნულებით, რაც განსაზღვრავს მის სოციალურ მხარეს, სოციალურ ფასეულოებას.

სამეტყველო ბგერები წარმოადგენენ ბუნებაში მოცემული აუარება დაუნაწევრებელი ბგერათკომპლექსიდან ადამიანის მიერ, მათდამი ხმაბაძვის საფუძველზე გამომარცვლულ ფონეტიკურ (ბგერით) ერთეულებს; მოკლედ, ფონემებს, რომლებიც ისტორიულად, გარკვეული ცნებებით ანუ მნიშვნელობებით არიან დეტერმინებულნი (განსაზღვრულნი).

ადამიანურ მეტყველებას სიტყვებით წინ უძღოდა მეტყველების ერთგვარი ჩანასახოვანი ფორმა, რომლის დროსაც ადამიანები, ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმის მიბაძვით ეხმიანებოდნენ ბუნებისავე სახეებს — საგნებსა და მოვლენებს, და მათ შესახებ ერთმანეთსაც გარკვეულ ინფორმაციებს აწოდებდნენ. პრაქტიკულად, ეს იყო მეტყველების ბუნების საგნებისათვის და მოვლენებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ბგერათკომპლექსებით, ანუ შორისდებულებით (მაგალითად, ,,ჩხრრრ ჩხრრრ''-თი გამოიხატებოდა წყლის ჩხარჩხარი, ,,ჯღრრრ ჯღრრრ''-ით ფრინველის ჯღავჯღავი და ა.შ.) შორისდებულებთან წარმომქმნელ ფუნქციას ასრულებდა სონორების რიგი.

მეტყველების ამ დონისათვის დამახასიათებელი იყო ვიზუალური, და არა კონცეპტუალური აზროვნება. ამიტომაც, მას შეიძლება მეტყველება არც კი ეწოდოს. უფრო ეს იყო ადამიანური მეტყველებისათვის მოსამზადებელი პერიოდი, მისი წინარე ისტორია ანუ პრეისტორია.

მეტყველების განვითარება, რაც აზროვნების განვითარებასთან იყო დაკავშირებული, აუცილებლობით მოითხოვდა, ადამიანებს ერთმანეთისათვის ეჩვენებინათ ბუნების საგნები, მოვლენები და მათ შესახებ გაეზიარებინათ ინფორმაციები, როცა ეს საგნები და მოვლენები მოცემულ მომენტში უშუალოდ მათ თვალწინ არ იყო. ეს მოითხოვდა ბუნების საგნებისა და მოვლენებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ბგერების წარმოქმნას გარკვეული ჩვენებით — მიმთითებლური ტონალობით, ანუ მახვილოვნებით.

თავის მხრივ, ბუნების საგნებისა და მოვლენებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თანხმოვანი ბგერებისა და თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების წარმოთქმა, მათდამი ხმამიბაძვის საფუძველზე, მოითხოვდა სახმოსნო, შემდგომში, სამეტყველო ორგანოების დაძაბვას ანუ ემფაზიას, რამაც განაპირობა ამგვარი ბგერების დანაწევრებულად (გამომარცვლულად) წარმოთქმა, მათთანვე უთავდაპირველესი ემფატიკური ნახევრადხმოვანი ბგერის წარმოჩენით (თანხლებით).

ამდაგვარად, გამომარცვლულ თანხმოვან ბგერებთან და თანხმოვან ბგერათა ჰარმონიულ კომპლექსებთან, როგორც ფონეტიკურ (ბგერით) ერთეულებთან წარმოჩენილმა ემფატიკურმა ნახევრადხმოვანმა ბგერამ, მისმიერი ჩვენებით — მიმთითებლური ტონალობით ანუ მახვილით, უზრუნველყო აღნიშნული ბგერების დეტერმინირება (განსაზღვრულობა) ბუნების შესაბამის სახეთა ანუ საგანთა და მოვლენათა შესახებ კონკრეტული ცნებებით (მნიშვნელობებით).

ამ დროისათვის ადამიანი უკვე წარმოთქვამდა, მაგალითად, ბგერათერთობას ,,ჯღ(რჯღ)'' ნაცვლად ადრინდელი ,,ჯღრრრ-ჯღრრრ''-სი (შორისდებული).

ასე წარმოსდგა უთავდაპირველესი ემფატიკური ნახევრადხმოვანი ბგერა. ბუნებაში მოცემული აუარება ბგერიდან ერთეული თანხმოვანი ბგერებისა და თანხმოვანბგერათა ჰარმონიული კომპლექსების გამომნაწევრებელ ანუ გამომმარცვლელ ბგერად, მათთანვე ბუნების შესაბამის სახეთა (საგანთა და მოვლენათა) შესახებ შესაბამისი ცნებების (მნიშვნელობების) წარმოჩენა-დადასტურებით.

ბგერისავე ჩვენებით მიმთითებლური ტონალობით ანუ მახვილით მოაჭრა ზედმეტი კუდი, ადამიანმა დაგმო მონოტონური, — მაშასადამე, უფუნქციო ხმოვან-ბგერები და უზრუნველყო მათგან გარკვეული (ოღონდ, ზოგადი ანუ საერთო ხასიათის) მცნებებით (მნიშვნელობებით) დეტერმინებული (განსაზღვრული) ერთეული ხმოვანი ბგერების გამომარცვლა, მათთანვე ბგერისმიერი მახვილის წარმოჩენით.

ასე მოევლინა ადამიანურ მეტყველებას უთავდაპირველესი ემფატიკური ნახევრადხმოვანი ბგე-

რა, როგორც ყოველ სამეტყველო ბგერის წარმომქმნელი დედაბგერა, ანუ დიდობგერა, მასთანვე მარცვალწარმომქმნელი ბგერა და დასტურ-ბგერა.

თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მეტყველება იყო ერთმარცვლოვანი (მონოსილაბური), მაშასადამე, ერთცნებიანი ანუ ერთვალენტოვანი (მონოვალენტოვანი) თანხმოვნური (უფრო ზუსტად, ნახევრადხმოვნური). მეტყველება ანუ მეტყველება ერთეული თანხმოვანი ბგერებით, თანხმოვანბგერათა ჰარმონიული კომპლექსებით, ან ამათი ჯგუფებით, მათთანვე ნახევრად ხმოვანი (ᲒდასტურᲑგერის თანხლებით მეტყველების ამ დონეზე მარცვალწარმომქმნელ ფუნქციას) ბგერასთან ერთად, ასრულებდნენ სონორი ბგერებიც.

თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მეტყველება, პრაქტიკულად იყო მეტყველება ბუნებაში მოცემული ბგერებით, ანუ ბუნების სახეთა, საგანთა და მოვლენათა მიერ გაღებული ბგერებით, მათდამი ხმის მიბაძვის საფუძველზე, მოკლედ, ეს იყო მეტყველება ბუნების ენაზე.

მაშასადამე, თავდაპირველად ადამიანები ერთ ენაზე — ბუნების ენაზე მეტყველებდნენ. ეს მოიცავდა მეტყველებისა და ენის წარმოშობა-განვითარების პირველ დიდ საფეხურს.

თავდაპირველი თანხმოვნური მეტყველების პირობებში ერთეული თანხმოვანი ბგერები და თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები, როგორც ფონეტიკური (ბგერითი) ერთეულები, ან კიდევ, მათი ჯგუფები (განაერთები) გვევლინებოდნენ ბუნების სახეთა ანუ საგანთა და მოვლენათა შესახებ კონკრეტული ცნებებით (მნიშვნელ- ობებით) დეტერმინებულ (განსაზვრულ) თანხმოვნურ სიტყვებად.

ამ დროისათვის ხმოვანი ბგერები ჯერ კიდევ ცალკე გამოიყენებოდნენ. მეტყველების განვითარება, რაც აზროვნების განვითარებითა და ცნებების მომრავლებით იყო განპირობებული, აუცილებლობით მოითხოვდა ბუნების სახეთა (საგანთა და მოვლენათა) შესახებ კონკრეტული ცნებებით (მნიშვნელობებით) დეტერმინებული (განსაზღვრულ), სიტყვებთან, იგივე იდეამატარებულ ერთეულ თანხმოვნებთან, ან მათ ჯგუფთან, როგორც გაორმაგებულ ან ორძირიან სიტყვებთანძ ზოგადი ანუ საერთო ხასიათის ცნებების (მნიშვნე- ლობების) წარმომდგენი, — იგივე, ბუნების საგანთა და მოვლენათა სივრცესა და დროში განმსაზღვრელი (ა, ე, ი, უ) ან კიდევ, ცნებების დამადასტურებელი (ო) ხმოვანი ბგერების მოხმობას, ანუ ორივე სახის ცნების თავმოყრა-შეხამებას.

ეს პრაქტიკულად წარმოადგენდა ძირეულ თანხმოვნურ სიტყვათა აფიქსაციის, პრეფიქსაციის, სუფისაქციის და ინფიქსაციის (როცა საქმე თანხმოვანთა ჯგუფს შეეხებოდა), მაშასადამე, მორფემიზაციის ანუ მორფოლოგიზაციის, იგივე გრამატიზაციის პროცესს, რაც ამავე დროს თანხმოვნურიდან ხმოვნურ მეტყველებაზე გადასვლას ნიშნავს.

ამასთან ეს იყო ერთმარცვლოვანი (მონოსილაბური), მაშასადამე, ერთცნებიანი ანუ ერთვალენტოვანი (მონოვალენტოვანი) მეტყველებიდან მრავალმარცვლოვან (პოლისილაბურ), ე.ი. მრავალცნებიან ანუ მრავალვალენტოვან (პოლივალენტოვან) მეტყველებაზე გადასვლა.

ეს პროცესი მოიცავს მეტყველებისა და ენის განვითარების მეორე დიდ საფეხურს.

თანხმოვნურიდან ხმოვნურ მეტყველებაზე გადასვლა განაპირობა ბგერის განსაკუთრებულმა უნარმა — სწრაფვამ უ,ი,ო,ე,ა, (ამ თანამიმდევრობით) ხმოვანი ბგერებისაკენ, რაც სხვადასხვა ხმოვან ბგერებად მის გადასვლა-გახმოვანებაში, ანუ გასრულხმოვანებაში გამოიხატება.

ამ უნარის მეოხებით, ბგერა, თანხმოვნურ სიტყვებთან სიტყვათწარმოების კანონზომიერებათა საფუძველზე მოხმობილ ხმოვან ბგერებს თანდათანობით უთმობს საკუთარ ადგილს და ტოვებს არენას, მაგრამ იგი აბსოლუტურად როდი ქრება, არამედ განსხეულდება მარცვლის მახვილის სახით იმავე ხმოვან ბგერებში, რომელთაც ადგილი დაუთმო, რითაც გახაზავს მარცვალში დეტერმინებულ (განსაზღვრულ) კონკრეტულ ცნებას თუ მნიშვნელობას, ესე იგი ადასტურებს ამ უკანასკნელის ჭეშმარიტებას.

ამასთან Გ ბგერის გარდასახვა, საჭიროებისდა მიხედვით, ხდება როგორც არასრული გახმოვანებულების უფუნქციო ემფატიკურ ნახევრადხმოვან ბგერებად, ასევე სრულიად გახმოვანებულ ფუნქციამატარებელ ხმოვან ბგერებად და ზესრული გახმოვანების ბგერებადაც, რაც შესაბამისად: სუსტი, საშუალო და ძლიერი მახვილის მეოხებით გამოიხატებიან.

ამდენად, მახვილის სიძლიერე განსაზღვრავს ხმოვანთა გახმოვანების ხარისხს.

რაც შეეხება უმახვილო ბგერათშეერთებებს, მათთან ბგერა წარმოჩინდება მხოლოდ ნაცვეთის სახით, როგორც გარდამავალი ბგერა.

იმ საფუძველზე, რომ არ არსებობს ენა მახვილის გარეშე, აგრეთვე ემფატიკური ხმოვანების გარეშე, სიტყვის ბგერათშეერთებები კი — გარდამავალი ბგერის გარეშე, ხოლო მახვილიც, ემფატიკური ხმოვანებიც და გარდამავალი ბგერებიც სხვა არაფერია თუ არადა Გ დასტურ-ბგერის გამოვლი-

ნებანი ფონეტიკურ ერთეულში, (იქნება იგი მარცვალი, სიტყვა თუ წინადადება), ʒ ბგერა, მიუხედავად იმისა, გვევლინება თუ არა იგი ამჟამად მოცემული კონკრეტული ენის სამეტყველო ბგერით შემადგენლობაში, წარმოგვიდგება როგორც ადამიანური მეტყველების თანაზიარი კუთვნილება, მისი დაბადებიდანვე.

თანმედროვე ენების მიმართ ბგერის ისტორიულად თანაზიარობაზე მეტყველებენ შემდეგი ფაქტებიც: ʒ ბგერა დღემდე სახეზეა იმ ენებში, რომელთაც შემონახული აქვთ თავდაპირველი მეტყველებისათვის დამახასიათებელი თანხმოვნური სიტყვები. ასეთებს, ქართველური (იბერიული) ენებიდან წარმოადგენენ მეგრული, ჭანური და სვანური ენები, აგრეთვე საკუთრივ ქართული ენის მესხური და ჯავახური კილოები. წარმოთქმის ადგილის მიხედვით, ʒ ბგერის ანალოგებია სომხურის ხ, თურქულის? და რუსულის Û ბგერები. ბგერის გამოვლინებაა მაგარი ნიშნების , Ü ‘ არსებობა რუსულში, აგრეთვე თანხმოვნები ანუ დიფთონგები მრავალ ენაში; ʒ ბგერა როგორც უთავდაპირველესი ემფატიკური ნახევრადხმოვანი ბგერა, უხვად იფრქვევა ნებისმიერი ეროვნების ახალდაბადებული ბავშვის ბაგეთაგან, ფილტვებიდან ჰაერის ნაკადის პირველი ამოჭირხვნა-ატირებისდანვე; ʒ ბგერა გაისმის, ჩვეულებრივ, ʒ ბგერასთან ერთად, კვნესის დროს, ადამიანის, ასევე სხვა ცხოველების პირიდან. ʒბგერისათვის დამახასიათებელია ლავირების უნარი, — სრულყოფილ ხმოვან ბგერებამდე გახმოვანების, და პირიქით, სრულყოფილი ხმოვანებიდან არასრულ ხმოვანებამდე შემცირების ანუ რედუქცირების წყალობაა ის, რომ შესაძლებელია ხმოვანი ბგერების ნარნარად წარმოთქმა, რითაც, თავის მხრივ, არის განპირობებული ის, რომ ადამიანები დედამიწაზე, მიუხედავად მათი ეროვნებისა, თითქმის ერთნაირად ტირიან, იცინიან და მღერიან.

თავდაპირველად თანხმოვნური მეტყველების არსებობის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ამჟამად, ჩვენს პლანეტაზე, აფიქსირებული ანუ გრამატიზებულ, ესე იგი, სრულიად ან თითქმის სრულად გახმოვანებულ ენებს შორის არსებობენ არასრულყოფილი ფუნქციის ხმოვნებით გახმოვანებული ენები (მაგ. არაბული) და თვით ძირისეული ენები, რომელთათვისაც უცხოა აფიქსები (მაგ. ჩინური, ვიეტნამური ენები) თავდაპირველ თანხმოვნურ მეტყველებაზე მიუთითებენ სიტყვები: npcm თითი, cpr მუხა-სერბულში, dkr მგელი — ჩეხურში და ა.შ. თავდაპირველი თანხმოვნური მეტყველების კვალზე, მის გამოძახილზე მეტყველებს ძველად მხოლოდ თანხმოვნებით წერა ბერძნულში, ქართულსა და სხვა ენებში.

საფუძველმოკლებულია ენათმეცნიერებაში არსებული შეხედულებანი იმის შესახებ, რომ თანამედროვე მეტყველებაში ადრინდელის ნასახიც კი არ არის დარჩენილი და ამიტომ შეუძლებელია მისი აღდგენა; რომ ენის ლექსიკის უდიდესი ნაწილი არაფრითაა მოტივირებული და წარმოადგენს შემთხვევითსა და ნებისმიერს; რომ შეუძლებელია ენის ლექსიკის ჩვენს თვალწინ, როგორც ჯარისკაცებისა აღლუმზე (ვანდრიესი) ჩამოტარება და დათვალიერება, მისი მათემატიკურად გამოანგარიშება.

ზემოთაღნიშნული და სხვა დასკვნები სავსებით ნათლად დასტურდება გამოკვლევის ობიექტის — მეგრული ენის მონაცემებით, აგრეთვე ამ მონაცემების დანარჩენი ქართველური ენების, საერთო ქართული და რიგი სხვა ენების შესაბამის მონაცემებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

თანამედროვე მეგრულში, ჩვეულებრივ ხმოვნურ სიტყვებთან ერთად დღემდე, თანაბარი უფლებით იხმარება 500-ზე მეტი თანხმოვნური სიტყვა, რომლებთანაც, როგორც წესი, წარმოდგენილია (ბგერა, როგორც მარცვალწარმომქმნელი და დასტურ-ბგერა. იგი აქ ყველგან წარმოაჩენს მნიშვნელობას: ,,არის'' (მაგ. გʒ ჰგავს, მსგავსია, მსგავსი არის; კ რკოა, რკო არის; ჭ ʒ რკʒ მჭკნარია, მჭკნარი არის ან კიდევ ჭკნობადი, ჭკნობადი არის: ჯღʒ რჯღʒ ჯღავანა, ჯღავანა არის და ა.შ. (შდრ: ცეცხლი! მგელი!)

თანამედროვე მეგრულის აღნიშნულ 500-მდე თანხმოვნურ (იგივე ძირისეულ) სიტყვაზე, რომლებიც არც მხოლოდ ზმნებს და არც მხოლოდ სახელებს, არამედ, ერთდროულად ზმნებსაც და სახელებსაც წარმოადგენენ, არის დამყარებული (აგებული) ამ ენის მთელი ლექსიკური ფონდის დაახლოებით 33 პროცენტი, მათ შორის, ზმნური ლექსიკური ფონდის დაახლოებით მესამედი.

ამ ფონდების დანარჩენი ნაწილებიც აგებულია ოდინდელ ანალოგიურ თანხმოვნურ ძირებზე, რომლებიც სადღეისოდ გახმოვანებულია (ხმოვნებით აფიქსაციის მეოხებით), და ცალკე თანხმოვნური სიტყვების სახით უკვე აღარ გვხვდებიან, ამასთან, არის ასეთებად მათი დაყვანის პოტენციური შესაძლებლობა.

თავის მხრივ, მეგრულის ლექსიკა, მისი წინასწარი გაანგარიშებით, დაახლოებით 3,52 მილიონ ლექსიკურ ერთეულს, მათ შორის ზმნური ნაწილი (ზმნები და სახელზმნები) 3,49 მილიონ ლექსიკურ ერთეულს დაითვლის.

ანალიზით დასტურდება, რომ მეგრული ლექსიკის საკუთრივ ზმნური ნაწილი (დაახლ. 3,49 მლნ. ლექსიკ. ერთ.), რომელიც ამ ენის მთლიანი ლექსიკის დაახლოებით 99,1 პროცენტს შეადგენს, დამყარებულია სულ რაღაც 1500-მდე თანხმოვნურ ძირზე ანუ ძირისეულ თანხმოვნურ სიტყვაზეძ და მიღებულია ამათი აფიქსაციის, პრეფიქსაციის, სუფიქსაციისა და ინფიქსაციის, აგრეთვე ზმნისწინებით მათი გაფორმების გზით.

აღნიშნული სიტყვათსაწარმოებელი საშუალებებით კი, მეგრული ენა ძალზე მდიდარია.

კერძოდ, აქ ზმნური თანხმოვნური ძირების (როცა ისინი თანხმოვანთა ჯგუფებისაგან შედგებიან) ინფიქსებად, ჩვეულებრივ, გამოყენებულია 3 ან 4 ხმოვანი, ხშირად ხუთივე ხმოვანიც (მაგალითად წყლის ჩხარჩხარის გამომხატველი თანხმოვნური ძირისაგან „ჩხგ რჩხგ“ მიღებულია ხმოვნური მარტივი ფუძეები: ჩხარჩხარ, ჩხერჩხერ, ჩხირჩხირ, ჩხორჩხორ, ჩხურჩხურ) ამასთან მეგრულში სუფიქსების რაოდენობა, სხვადასხვა ზმნებთან 4, 8, 32, 64 ერთეულს და მეტსაც კი ადგენს, ხოლო ზმნისწინების საერთო რაოდენობა 83 ერთეულს აღწევს. შემდეგ ამისა, მაგალითად, იგივე წყლის ჩხარჩხარის გამომხატველ თანხმოვნურ ძირზე „ჩხ რჩხ რ“ დამყარებულია 19 ათასამდე ლექსიკური ერთეული.

ამდენად, ენის ლექსიკის სიმდიდრის განმსაზღვრელია სიტყვათსაწარმოებელ საშუალებათა სიუხვე.

ენის ლექსიკის სიმდიდრეს განაპირობებს აგრეთვე ძირისეული სიტყვათა სიუხვე, რითაც მეგრული ენა ძალზე მდიდარია.

იგი განსაკუთრებით მდიდარია სინონიმური ზმნებით, რასაც განაპირობებს შემდეგი: მეგრულში მრავლად არის წარმოდგენილი განსაზღვრებები, შედარებები, ეპითეტები, ხატოვანი სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივ (ძირითადში) ხმამიბაძვითია. ისინი კი (უფრო ზუსტად მათი ფუძეები) აქ გამოყენებულია ზმნური ლექსიკური ერთეულების (ზმნებისა და სახელზმნების) ფუძეებად. ამის შედეგად, მაგალითად, საგნის მოძრაობის გამომხატველ ზმნას □კერძოდ, სახელზმნასძ „ულა“ (სვლა, სიარული) ერთადერთი ზმნისწინის „გეგნო“-(გადა-) ეძებნება 3200-მდე სინონიმური ზმნა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა აშკარად ხმაბაძვითია.

ყველა ზმნისწინის გამოყენებით კი მეგრულში საგნის მოძრაობის გამომხატველი ზმნების რაოდენობა 3,2 მილიონამდე ლექსიკურ ერთეულს დაითვლის, რომელთა დაახლოებით 99 პროცენტი (მათი თანხმოვნური ძირების მიხედვით) აშკარად ხმაბაძვითია.

ამდენად, საფუძველსმოკლებულია ენათმეცნიერებაში არსებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოსდა ხმამიბაძვით სიტყვები ენის ლექსიკის მცირედსა და პერიფერიულ ნაწილს შეადგენს და ენის წარმოშობის საკითხის გამორკვევისას მას მხედველობაში არც კი უნდა ვიღებდეთ.

ის ფაქტიც, რომ ნებისმიერ ენაში სამეტყველო ბგერების აბსოლუტური უმრავლესობა აშკარად ხმამიბაძვითი თანხმოვანი ბგერებია, და ხმამიბაძვითობა იკითხება სხვა დანარჩენ ბგერებშიც, აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ენის წარმოშობის შესახებ არსებულ თეორიებს შორის პრიორიტეტი **ხმამიბაძვით თეორიას განეკუთვნება,** რაც ცხადია, არ გამორიცხავს სხვა თეორიების შესაბამის მნიშვნელობასაც.

თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მეტყველების წარმოშობის პირობებში, სხვადასხვა ადამიანები, მათი სხვადასხვა ჯგუფები, სასმენი და სახმოსნო (შემდგომში — სამეტყველო) ორგანოების რამდენადმე განსხვავებულად განვითარების გამო, ბუნების თვით ერთი და იმავე საგნის ან მოვლენის მიერ გაღებულ ბგერებს რამდენადმე განსხვავებულად აღიქვამდნენ და გამოხატავდნენ.

ამასთან, საგანთა და მოვლენათა სახელდებისათვის ისინი გარდა ხმაბაძვისა, მათს სხვადასხვა ნიშან-თვისებასაც იყენებდნენ (აქედან: „გუგული“ ქართ., „კუკუშკა“ რუს., „კუკუკ“ გერმ., „კუკულო“ იტალ., და ასე შემდეგ, მაგრამ: „ზოზულია“ უკრ., „ხოტოტოგისუ“ იაპ., „დუძიუან“ ჩინ. და სხვ.)

ამდენად, ორმა ძირითადმა პირობამ:

1. ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების მიერ ბუნების საგანთა და მოვლენათაგან გაღებული ბგერების რამდენადმე განსხვავებულად აღქმა-გამოხატვამ და ხმამიბაძვით სიტყვებად მათმა გამოყენებამ და

2. გარდა ხმამიბაძვისა, ბუნების საგანთა და მოვლენათა სახელდებამ მათი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (რაც შედარებით გვიანდელი ფაქტია), განსაზღვრა სხვადასხვა ენის, მათ შორის მონათესავესი წარმოშობა.

ენათა დამადასტურებელ უტყუარ საბუთს უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს სიტყვათა (შესატყვისობათა) ძირების მსგავსება, ზოგადად — ბგერათშესატყვისობათა მსგავსება. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგრამატიკო საშუალებათა მსგავსებასაც.

თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მეტყველებისათვის დამახასიათებელი თანხმოვნური სიტყ-

ვები, რომლებიც პრაქტიკულად ერთეულ თანხმოვან ბგერებს, ან თანხმოვან ბგერათა ჰარმონიულ კომპლექსებს, ან კიდევ, ამათ ჯგუფებს წარმოადგენდნენ, ნახევარხმოვანი დასტურ-ბგერის თანხლებით, აშკარად მტარებლობენ კონკრეტულ ცნებებს (მნიშვნე- ლობებს) ბუნების შესაბამის საგანთა და მოვლენათა შესახებ, მაგრამ თანხმოვნურიდან ხმოვნურ მეტყველებაზე გადასვლის პირობებში, როდესაც დასტურ-ბგერა არენიდან გასულია და გარდასახულია ხმოვნებში მარცვლის მახვილის სახით — ხმოვნურ სიტყვებში წარმოდგენილი ერთეული თანხმოვნები და თანხმოვან ბგერათა ჰ არმონიული კომპლექსები თავიანთი ბუნებრივი საფუძვლიდან დაშორებულნი ხდებიან და აშკარად ვერ ავლენენ საკუთარ მოტივირებულობას (კონკრეტული ცნებებით ანუ მნიშვნელობებით აღჭურვილობას, იგივე დეტერმინირებულობას ანუ განსაზღვრულობას) და გვევლინებიან პირობით ნიშანთა სისტემის სახით. ამ ნიშნების პირობითობის ხარისხი იზრდება მეტყველებისა და ენის განვითარების ზედაზედი საფეხურების მიხედვით. **აღნიშნულ საფუძველზე კარგავენ მეტყველება და ენა ბუნებრივ ხასიათს და ხდებიან ხელოვნურნი, რასაც თავის მხრივ, დიდად უწყობს ხელს დამწერლობა, სალიტერატურო ენის შემოღება.** (დაიხსომე ჯ.ჯ. კაკულიასთან მიმართებისთვის, გ.ო.)

ამდენად, ის ფაქტი, რომ თანამედროვე მეტყველებაც და ენაც წარმოგვიდგება, როგორც პირობით ნიშანთა სისტემა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ პირველყოფილ ადამიანებს, თავის დროზე, და ვთქვათ, რომ ალაპარაკებულიყვნენ, თანაც სხვადასხვა ენაზე, და საამისოდ გამოეყენებინათ ბგერები და მათგან შედგენილი სიტყვები, პირობით ნიშანთა სისტემის სახით.

ადამიანური მეტყველებისა და ენის წარმოშობა ემყარება მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივ საფუძველს — ბუნებაში არსებული მოცემული ბგერებისადმი ხმის მიბაძვას. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამეტყველო ბგერები მნიშვნელოვნად გარდაქმნილი ბგერებია, სადაც უნდა ფიგურირებდნენ ისინი სიტყვაში, სავსებით შესამჩნევად ავლენენ იმ კონკრეტულ ფუნქციას, რაც მათ ფონემოწარმოქმნითმა პროცესმა დასაბამიდანვე დააკისრა.

სხვაზე რომ არაფერი ითქვას, მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მეტყველება ყოფილიყო აფიქსირებული ანუ გრამატიზებული ხმოვნური მეტყველება და ამ უკანასკნელად მომდინარეობდეს სხვადასხვა ენაში მათი დეგრადაციის (დეაფიქსაციის, დემორფოლოგიზაციის) პროცესი და ეს, ე.ი. განვითარების უკუპროცესი ემუქრებოდეს ყველა ენას დედამიწაზე, საფუძველსმოკლებულია ენათმეცნიერებაში არსებული მოსაზრება ბგერის მეორეულობის, კერძოდ, მისი ი ან უ (ზოგჯერ ო) ხმოვანი ბგერებისაგან მათი შემცირების ან რედუქციის გზით წარმოშობის შესახებ.

იმ საფუძველზე, რომ თანამედროვე გრამატიზებული ენების ლექსიკა ძირითადად ემყარება თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მეტყველებისათვის დამახასიათებელ თანხმოვნურ (იგივე ძირისეულ) სიტყვებს (მრავალ ენაში ისინი უკვე გახმოვანებულია), რომლებიც პრაქტიკულად ხმაბაძვით ბგერებსა და ბგერათკომპლექსებს წარმოადგენენ და მოტივირებულნი არიან ფონეტიკური თავდასაბამიდანვე, ამასთან, მათი რაოდენობა ენებში, ჩვეულებრივ სულ რაღაც რამოდენიმე ასეულს შეადგენენ, მოცემული კონკრეტული ენის სიტყვათ წარმომავლობის გამორკვევა ძირითადში სწორედ ამგვარი სიტყვების წარმომავლობის გამოკვლევით (რაც მათი მოტივირებულობის გამოკვლევას გულისხმობს) უზრუნველიყოფა, მათთან ერთად, საგრამატიკო საშუალებების (აფიქსების, ზმნისწინების და სხვ.) წარმომავლობის გამოკვლევის პირობებში.

ამგვარად გამოკვლეული ენის შესწავლა კი, მის არმცოდნეს, შეეძლება ექსტერნული წესით — სულ რაღაც რამდენიმე კვირის ან თვის მანძილზე.

გარკვეული გაგებით საფუძველსმოკლებულია ენათმეცნიერებაში არსებული შეხედულებანი ე.წ. „უნივერსალური გენეტიკური ლინგვისტიკური პროგრამის", „უნივერსალური გრამატიკის" და სხვა სახის უნივერსალიების შესახებ.

ასეთი წარმოდგენები ილუზიური ხასიათისაა და განპირობებულია შესაბამისი მატერიალური საფუძველით. ეს საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს ერთადერთი უნივერსალური რეალობა — სამყარო, ანუ არსებობს სამყარო თავისი უნივერსალური რეალობებით.

ის ფაქტი, რომ ყოველი კონკრეტული ენა წარმოადგენს სამყაროს უნივერსალურ მოდელს, ანუ უნივერსალური სამყაროს მოდელირების კონკრეტულ ცდას, განსაზღვრავს სხვადასხვა ტიპოლოგიის ენების გასაოცარ მსგავსებას, მათივე უდიდესი განსხვავებულობის პირობებში.

ეს ფაქტი, თავის მხრივ, ასაფუძვლიანებს ილუზორულ წარმოდგენას უნივერსალური გრამატიკის (ადამიანის გონებაში წინასწარ დაპროგრამებული ერთგვარი ფენომენის) შესახებ.

ნებისმიერი ეროვნულობის ბავშვს უცხო ენებთან შედარებით მშობლიური ენის შესწავლა გაცილებით ეიოლება არა მის ტვინში ე.წ. ,,გენეტიკური ლინგვისტიკური პროგრამის'' წინასწარ წარმოდგენის (იგივე, მისი ტვინის, ,,როგორც ,,წინასწარ დაწერილი დაფის'') მეოხებით (როგორც ამას ენათმეცნიერებაში ზოგჯერ მიიჩნევენ), არამედ სასმენი და სამეტყველო ორგანოების, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საარტიკულაციო ბაზისის ისტორიულად შესაბამისი (მშობლიურის- ათვის დამახასიათებელი) განვითარების საფუძველზე.

ენის, როგორც სხვა ენებთან ან დიალექტებთან მიმართებაში დამოკიდებული ერთეულის კრიტერიუმად უნდა მიჩნეულიქნას ურთიერთგაგებინების დონე.

ამ საფუძველზე, მაგალითად, მეგრულ-ჭანურში, თანამედროვე ვითარების მიხედვით, მეგრული და ჭანური (რომლებიც ადრე დიალექტები იყვნენ) ცალ-ცალკე ენებად წარმოსდგებიან.

კაცობრიობის ენათა დასაბამიერ ენას ანუ ფუძე-ენას (იგივე დასაბამისეულ ენას) წარმოადგენს ბუნების ენა, ესე იგი ბუნების ენამ მისცა დასაბამი ნებისმიერ ენას დედამიწაზე.

ამ საფუძვლზე **თანამედროვე მონათესავე ენებს შორის დასაბამიერ ენას ანუ ფუძე-ენას წარმოადგენს ის ენა, რომელიც ყველაზე ახლოს არის ბუნების ენასთან. მაგალითად, ქართველურ ენებს შორის ასეთად გვევლინება მეგრული (მთლიანობაში: მეგრულ-ჭანური, იგივე მეგრულ-ლაზური, კოლხური, ანუ ზანური) ენა.**

ენაში დაუნჯებულია ადამიანთა საზოგადოების განვითარების, უწინარეს ყოვლისა, მისი გონებრივი განვითარების მთელი ისტორია, რაც ამავე დროს, უნივერსალური სამყაროს მოდელირების სიზუსტეს, ანუ სამყაროს რეალობათა შეცნობის დონეს გამოხატავს და პრაქტიკულად ენის ლექსიკის სიმდიდრეში რეალიზდება. ნებისმიერი ენის სიტყვათწარმომავლობის შესწავლას გამოკვლევას, როგორც წესი, მივყავართ არა მხოლოდ მოცემული კონკრეტული ენის, არამედ, საერთოდ ენის წარმოშობის შესწავლამდე, მისი საიდუმლოების ამოხსნამდე. სხვადასხვა, ტიპოლოგიურად განსხვავებული ენების სიტყვათწარმომავლობის გამოკვლევა იქნება საწინდარი გარანტი იმისა, რომ, თუ არა მთელი სიზუსტით, მიახლოებით მაინც აღდგენილიქნას თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მეტყველება და ენა, მათი მოდელი. ენის წარმოშობის საიდუმლოება სიტყვათწარმომავლობაში ინახება, ამიტომაც სიტყვათწარმომავლობის, როგორც ენათმეცნიერების ცალკე კონკრეტული დარგის ჩამოყალიბება, დროის მოთხოვნით ნაკარნახევი აუცილებლობაა.

* * *

„წინამდებარე ნაშრომში **(იგულისხმება მ. ძაძამიას „მეგრული დიალექტი“, თბ. 1991 წ., წიგნი II, გ.ო.)** წარმოდგენილი საგნის მოქმედების გამომხატველი 5 ძირითადი ზმნის: ,,გეგნ- ორთგ'' — (გადავიდა), ,,რაგადანც'' — (ლაპა- რაკობს), ,,გოლახგ'' — (გალახა, ცემა), ,,გეშუ'' — (დალია) და ,,ოჭკუმუ'' — (შეჭამა) რიგში, შესაბამისად გვაქვს: 2806, 247, 106, 68 და 247 ხატოვანი ზმნა, მათი საერთო ჯამი კი 3454 ერთეულს შეადგენს''.

თვალსაჩინოებისათვის, გთავაზობთ ყველაზე მცირეწევრიან მასდარს ,,დალია'', თანაც ერთადერთი ზმნისწინის გამოყენებით:

,,**გებახუ**'' — სიამოვნებით და ზორბად დალევას გამოხატავს;

,,**გეგურგუ**'' — დიდი ნაკადით სიამოვნებით დალევას გამოხატავს;

,,**გეგურჯუ**'', ,,ქალეგურჯინუ'' — დიდი ოდენობით და სიამოვნებით დალევას გამოხატავს;

,,**გეთქვაფუ**'' — დაახლოებით იგივეს გამოხატავს;

,,**გეთქუთქუ**'' — დაახლოებით იგივეს გმოხატავს;

,,**გელურწუ**'' — შედარებით ნაკლები ნაკადის მიდენით, მაგრამ დიდი ოდენობით სითხის სიამოვნებით დალევას ნიშნავს;

,,**გელურჯუ**'' — დიდი ოდენობით სითხის მიძალებით დალევას გამოხატავს;

,,**გელუმპუ**'' — ლოპნით დიდძალი სითხის დალევას გამოხატავს;

,,**გეპაპუ**'' — რამდენადმე მიკროძალებით ან კიდევ მცირედის და მცირე ნაკადით ე.ი. ყლუპებით დალევას გამოხატავს;

,,**გერაჟგ**'' — რამდენადმე გიჟურად, ე.ი. ჩქარა, ერთობ დიდი ოდენობით სითხის დალევას გამოხატავს;

,,**გერთქაფუ**'' — ძალზე დიდი ოდენობის სითხის უცბად, რამდენადმე უშნოდ, გარკვეული სულსწრაფობით, ღორულად დალევას (ამოთქვლე ფას, გ.ო.) გამოხატავს;

,,**გერუწუ**'' — ბოლომდე, ჭურჭლის სავსებით დაცლამდე დალევას გამოხატავს;

,,**გესასგ**'' — დაახლოებით წრუპვით, მაგრამ სიამოვნებით დალევას გამოხატავს;

,,გეტირკგ'' — ერთობ ჩქარა (სულსწრაფობით, გ.ო.) და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეტკაბუ'' — ძალზე ბლომად და ვაჟკაცურად დალევას ნიშნავს;
,,გესვასვუ'' — წყნარა და მოწიწებით დალევას, ნაზად დალევას გამოხატავს;
,,გეტურკუ'' — სულსწრაფობით, ხარბად დალევას ნიშნავს;
,,გეტუცუ'' — ხარბად და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეფახუ '' — გემრიელად, სიამოვნებით დალევას გამოხატავს;
,,გექანჩე'' — გემრიელად, სიამოვნებით დალევას გამოხატვას;
,,გექაფუ'' — სწრაფად და ქაფივით დალევას გამოხატავს;
,,გექინჩგ'' — სწრაფად და ხარბად დალევას გამოხატავს;
,,გექურუ'' — ბლომად და ვაჟკაცურად დალევას გამოხატავს;
,,გექურჩუ'' — დიდი ნაკადის მიშვებით დალევას გამოხატავს;
,,გელვაბუ'' — დინჯად, მაგრამ სიამოვნებით და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გელვაფუ'' — დაახლოებით იგივეს გამოხატავს;
,,გელინჩგ'' — ხარბად და ბლომად, თანაც რამდენადმე მედიდურად დალევას გამოხატავს;
,,გელუფუ'' — დიდი ნაკადის მიშვებით და მიძალებით ბლომად დალევას გამოხატავს;
„გეყურწგ'' — ნაკლები ნაკადის მიშვებით, მაგრამ საკმაოდ ბლომად და ბოლომდე დალევას (ყლურწვას, გ.ო.) გამოხატავს;
,,გეყვაბუ'' — წყნარად, ან კიდევ რამდენადმე უშნოდ და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეშამბუ'' — ბოლომდე და ვაჟკაცურად დალევას ნიშნავს;
,,გეშარუგ'' — ხარბად და ბოლომდე დალევას ნიშნავს;
,,გეყინტნს'' — ძალზე სწრაფად დალევას გამოხატავს (,,ყინტუა'' — ყლაპვა);
,,გეშარუწუ'' — ბოლომდე ამორუწვას ნიშნავს;
,,გეშასქ ირუ'' — ამოაშრო, ბოლომდე, წვეთის დაუტოვებლად დალევას ნიშნავს.
,,გეშაშგ'' — რამდენადმე სიამოვნებით და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეშაშუ'' — ბოლომდე დალია;
,,გეშაწურწუ'' — ამოწრუპა, წრუპვით ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეშვაშვუ'' — რამდენადმე უშნოდ, ხარბად დალევას გამოხატავს;
,,გეშაწკარწკანტუ'' — ,,ამოაწიკწიკა'', პირწმინდად, ე.ი. სავსებით, მთლიანად დალევას გამოხატავს;
,,გეშახუპუ'' — ამოხვრიპა.
,,გეშაჯირქ'' — ,,ამოწმინდა'', ბოლომდე, მთლიანად დალევას ნიშნავს;
,,გეშუ'' — დალია.
,,გეძალუ'' — პატარის მიერ დალევას, ან კიდევ მცირედის დალევას გამოხატავს;
,,გეცვაცვუ'' — ძლივს-ძლივობით, ან ცოტ-ცოტათი დალევას გამოხატავს;
,,გეძღვაბუ'' — მცირედის და რამდენადმე უშნოდ დალევას გამოხატავს;
,,გეძღვარგ'' — პატარის მიერ საკმაოდ ბევრის დალევას გამოხატავს;
,,გეძღვაძღვუ'' — არც ისე სიამოვნებით და მცირედის დალევას გამოხატავს;
,,გეძღვაკგ'' — პატარის მიერ მცირედის დალევას გამოხატავს;
,,გეწვაწვუ'' — კოხტად, კოპწიანობით (პეწიანად, გ.ო.) დალევას გამოხატავს;
,,გეწკვაპუ'' — ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეწკვაწკვუ'' — ბოლომდე და მცირედი ყლუპებით დალევას გამოხატავს;
,,გეწკუპუ — ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეწურწუ'' — შეწრუპა;
,,გეჭამბუ'' — ბოლომდე და ვაჟკაცურად დალევას გამოხატავს;
,,გეხვახვუ'' — სიამოვნებით და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეხვიპუ'' — ბოლომდე და რამდენადმე ხარბად დალევას გამოხატავს;
,,გეხუპუ'' — ხვრეპით დალევას ნიშნავს (,,ხვრეპა''-ხუპუა);
,,გეხუხუ'' — ,,ქელეხუხინე'' — სიამოვნებით და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეჯვარზ'' — ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,გეჯურჯუ'' — ძალზე ბევრის, საკმაოდ ძნელის ვაჟკაცურად დალევას გამოხატავს;
,,ქელეგურგინუ'' — გვრგვინვით (თქრიალით) ჩაიძახა მუცლისაკენ;
,,ქელეხორუ'' — ,,ჩაისახლა'', ბლომად და ბოლომდე დალევას გამოხატავს;
,,ქელეხუნუ'' — ,,შიგ ჩაისვა'', მთლიანად და ხარბად დალევას ნიშნავს;

,,ქელეხურჩინუ'' — ჩხრიალით ჩასხმით ბოლომდე დალევას გამოხატავს.

აქ ჩამოთვლილ ხატოვან ზმნებს კიდევ მრავალი დაეწყვილება და ეს გასაკვირი არ არის.

ცხადია, ბატონი მამანტი (კოლეგა ასულ ცირას თუ სხვათა დახმარებით), ვერ ამოწურავს მეგრული ზმნის თუნდაც ერთი ზმნისწინით წარმოებულ ფორმებს ,,დალევის, სმის'' თვალსაზრისით.

ასევე აღსანიშნავია, რომ აქ მოხმობილ მრავალ ზმნას გააჩნია მეორადი მნიშვნელობა, ანუ სინონიმური გაგება: მაგ. ,,გეშუ'' — ახსოვს; ,,გეფახუ'' — დაფუყულა. ისინი აქა-იქ სამბუნებოვანიცაა — ,,გეპაპუ'' — დაფიყვინებით ზის და პაპად იქცა.

,,მეგრულის ზმნისსართები, და კერძოდ, ზმნისწინები შეიძლება შევადაროთ უღრან ტყეს, სადაც ყოველი ხის, ყოველი მცენარის კარგად ნაცნობობის პირობებშიც, გზის გაგნება ერთობ ძნელია;

მეგრული ზმნები შეიძლება შევადაროთ ოკეანეს, რომლის გადაცურვასაც მაგელანის სიმამაცე სჭირდება.

ყოველივე ეს, კიდევ ერთხელ და სავსებით ნათლად ადასტურებს ქართული ენისა და ქართული ზმნის შესახებ დიდი ილიას მიერ თავის დროზე ნათქვამ ბრძნულ სიტყვებს:

„ჩვენ ენას ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც ბევრი სხვა, უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შეჰნატრიან";

„ზმნა სული და გულია მეტყველებისა... ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ ვერ წაუვა ჩვენს ენას".

ჯუნი-ჯუმბერ კაკულია:

,,ქართლის ცხოვრების''
პირუთვნელი რევიზორი

,,ანისტორესია'' ძველბერძნულად ისტორიის არცოდნას შეესატყვისება ბ-ნ ჯ.ჯ.კაკულიას სწავლებით — იგივე მანქურთობას, როცა საკუთარი მეობა დავიწყებულია და ვერც სხვისი აღნაგობით გიიოლდება ლაღი სიარული.

,,საქართველოს ისტორიის ახალი აღქმის'' ორივე წიგნი უზარმაზარი ინფორმაციის შემცველია, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა II ნაწილი ენის ფენომენის მიმართ ორიგინალური დამოკიდებულებითა.

ტოპონიმიკის, ქართული გვარ-სახელების ანალიზით, ჯ.ჯ.კაკულია ერთ ანბანურ ჭეშმარიტებამდე მისულა:

დღევანდელი და ბარე სამგზის ვრცელი ტერიტორია ჩვენი ამიერკავკასიაში, ყუბანიდან მოყოლებული სომხეთის თუ თურქეთის ტერიტორიების ნაწილი გაჟღენთილია კოლხიზმებით.

აქვე ლაკონურადაა ახსნილი ბა-ზე დამთავრებული გვარების სემანტიკა, ვინაიდან ,,ბა'' შვილის იდენტურია, ეს უკანასკნელი კი მომდინარეობს სკირიდან, სკილიდან, გაჩენილიდან, კვერცხიდან, მარქვალიდან. ,,წირ-ქვალი'' □ტოპ.) თუ შეესაბამება დაწრეტილ, გამომშრალ კლდოვან ადგილს, ქვიანეთს, საგულისხმოა, რომ **„მარ-ქვალი"** რაღაც ცოცხალის მატარებელი სიდიდე უნდა იყოს □ხაზი ჩვენია, გ.ო.), მოარული ქვა, მარ □სვ. კაცი) ქვალი, კაც-ქვა, ანუ ცოცხალი ქვა, რომლისგანაც რაღაც, ან ვიღაც უნდა იშვას. ვარაუდის ტვირთი ჩვენს მხრებზეა, მაგრამ იდეა ავტორთან დევს ემბრიონულ ვითარებაში და ,,ბა'' თუ ბავშვია, ბაღანა, მისი გაორმაგება — მამა, ,,ბაბა დიდი'' ან ბა□ბა)დიდი — მოხუცია.

ასევე საგულისხმოა ,,ბაიას'' წარმოჩენა პატარის, Baios □ბაიოს) მიმართებით.

ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოს ისტორიის ბალავრის მოშიშვლება, ანუ გაშიფვრა იმ რეალობისა, რაზედაც დაფუძნებულია ჩვენი დღევანდელობა.

ანალიზით კოლხიზმები მოიცავს მთელს ამიერკავკასიას: ,,გერგეტი'' მშობლიურს ნიშნავს, მაგრამ მოგვიანებით ვარკვევთ, რომ იგი წმინდა გიორგისეულს გულისხმობს, იგივე ,,ბერს'', ამ კულტის მსახურს, ჯგრაგს, გეგეს და კოლხიზმების არსებობის ნათელ დასტურად ფშავში მოშველიებულია თეთრი, შავი... არაგვი, რომლებიც დამოუკიდებელი მდინარეებია თავიანთი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, მათი სახელი კი მხოლოდ საზღვრის მნიშვნელობით აღიქმებოდა.

აქ შეუსვენებლივ ტრიალებს ძირი „არგ“, „არგვეთი“, მ-არგალი და ა.შ., რაც ცხადლივ გვიხატავს კოლხეთის კონტურებს კავკასიაში.

გაცხადებულია ლელთ ღუნიას ნამდვილი სახელი — ჯღუნა ხულელიძე. ასევე პიპოთეზურ ფაქტებზე დაყრდნობით ნაჩვენებია ბარათაშვილების ბარათა ქაჩიბაიასგან წარმომავლობა თუ ილია ჭავჭავაძის კოლხური მოდგმა, როგორც მთიდან ბარში ჩამოვაკებული ფენომენისა, რადგანაც დღევანდელ მეგრულში შემორჩენილია ტერმინი „აჭავჭარა“ და სხვა. დასახელებულ წიგნებში, როგორც ვახსენეთ აურაცხელი დოკუმენტური მასალაა გაშუქებული, რომელთა გონივრული ანალიზით უმეტესწილად მისაღები რეალობებია დახატული.

ვერავინ უარყოფს წყნეთის კოლხურ წარმოშობას, როგორც ეს ჩვენ ზემორე განგვიცხადებია. ტოპონიმიკა წარუშლელი მამხილებელი შრეა ჩვენი წარსულისა, ჩვენი ბიოგრაფიისა, რადგანაც იქ მოსახლე აბორიგენ ტომებს ხელის ერთი მოსმით ვერ მუსრავენ ხოლმე, ეს ყოველივე ასიმილაციის რთულზე ურთულესი პროცესია, ერთი ხალხის მეორისგან თანამიმდევრული დაურვების ხარჯზე და აქედან გამომდინარე, ტოპონიმიკა შეურყვნელი რჩება, როგორც სულზე ამოშანთული დამღა. და აწ თბილისის მახლობლად მცხოვრებ მავანს აღარაფრით ძალუძს „წყნეთის“ მნიშვნელობის გაშიფვრა, რადგანაც ეს სიტყვა მისთვის დახშულ ბგერათა გროვაა.

ადრეთქმულისამებრ კი წყნეთი მუხნარს შეესაბამება:

ჭყონეთი — ჭყონიეთი — ჭყანიეთი — წყანიეთი — წყნეთი □მუხნარი). მართლაც საკვირველია, თბილისის — ტიბულისის ახლოს როგორ უნდა გაჩენილიყო ჭყონეთი, კოლხური მუხნარი?!

კვლევის მიზანსწრაფულობა ავტორს მრავალ გაბედულ მოსაზრებას გამოათქმევინებს, რომელთა ჩვეულებრივი კონსტანტაციაც კი რამდენიმე ათეულ გვერდს შეიწირავდა ჩვენსას და რადგანაც საამისო სივრცე არ„გვეთმობა“ თანდაყოლილი მოკრძალების გამო, ვჯერდებით უძირითადესს, ცხადია, უმთავრესის გამოწვლილვით.

მნიშვნელოვნად გვესახება ბერძნული და მეგრული „რე-ს“ როლი არსებობის, ყოფნის, სუფევის მადასტურებელი ზმნის „არის“-ის ფორმირებაში. მათი ქართულ სემანტიკაში მოხარშვის შედეგადაა წარმოქმნილი: რება, რბოლა;

სადაურობის გამომხატველი ბოლოსართი ური, თავად ხევსური, ხევ და ხევ მოარულს ნიშნავს ჯ.ჯ.კაკულიას მტკიცებით, ასევე დამაჯერებლობას ღაღადებს ურიას გაშიფვრა, რომელი ყველრიც დღენიადაგ ხეტიალშია.

ამიტომაც გავბედეთ მარ-ქვალში □კვერცხი) მოძრავი ქვა დაგვენახა, მაგრამ არა ფერდობიდან დაგორებული, რომელიც ზვავის საწინდარია, არამედ შინაგანად მოძრავი ცოცხალის გაგებით;

ამ ვრცელ გამოკვლევაში არის რამ სადავოც □ორივე წიგნი 500 გვერდს აღემატება), ვთქვათ, ფორმა „უჯი“: არტან-უჯი, ხორნაბ-უჯი, რომელიც გაგებულია როგორც არტანს-უყურე□უჯინ), სათვალთვალო პუნქტის გაგებით. სამეთვალყურეოდ ჩვენ გვაქვს თანჯი, სა-თანჯო, სათვალთვალო. (დ.ფიფიას მეგრულ-ქართული ლექსიკონით „თარჯი“ საზღვარია) იქნებ აქ უჯის ადგილას უნდა ჟღერდეს ცუჯი, არტან ცუჯი, ანუ არტანისყურე, რაც ბუნებრივი ფორმებია ზანურ-ქართულში, თუმცა ასეთი მაგალითები თითზე ჩამოსათვლელია, და არც ჩვენს მიზანს წარმოადგენს მზეზე ხალების აღმოჩენა შეიარაღებული თვალით:

მაგალითისთვის „ალბანეთი“ და „იბერია“ ალბ-ალპ, მთიანეთს ნიშნავს, იბერია კი — სპარს. „ვარუჩან“ — მგლის ქვეყანას, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ზედაპირულობაა, რამეთუ ალბანეთისა და იბერიის აღზევებას კოლხეთზე გარკვეული პოლიტიკური ასპექტები ესაძირკვლება. მცირეაზიის დაპყრობის შემდეგ ალექსანდრე მაკედონელი უეცრად მიიცვალება და უზარმაზარი ტერიტორია პატარა სახელმწიფოებად დანამცეცდება.

„აქვე ძველ ებრაულში სარჯველაძისგან მოხმობილი მასალით ძუიუკძ ეწოდებოდა ადგილს, რომელიც მდებარეობდა მდინარის ან ზღვის გაღმა. იგი წარმოდგება ძიკძ ფუძისგან, რაც თავის მხრივ ნიშნავდა წყლიანი ან მთიანი ზღუდის, დაბრკოლების გადალახვას; მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე 23 საუკუნის წინ იბერელების შემოსვლა მისტიფიცირებულია „ქართლის ცხოვრების“ მიერ.

ავტორი მრავალი არგუმენტით აბათილებს ლეონტი მროველის ფანტაზიორობას, რომლის პასაჟები მოსე ხორენცის „დიდი არმენიის“ აშენების სამსახურშია, რათა რუსეთმა შეძლოს სომხე-

თის აღზევება და მუსულმანური სამყაროს წინააღმდეგ ერთგული თანამოკავშირის პოვნა.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად ფარნავაზს არ ძალუძს არმაზის საკერპთაყვანისმცემლო **გაც** და **გაიმ**-ის კულტის დამხობა, თუმცა განძით გამოტენილი ქვაბი კი მოუხილავს, ამიტომაც ჩადის კოლხეთის მეფესთან, ქუჯისთან. ნათესაურ კავშირსაც კი შეკრავს ამ უკანასკნელთან და გაერთიანებული ძალით კიდეც დაამარცხებენ ქართლის მმართველს აზონს.

მოგვიანებით ფარნავაზის თანამესკიპტრე და თანამეგვირგვინე ქუჯი ლოკალიზებულია დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაში, ის გაცურებულია, გაწბილებული თანამოსაგრე ცოლისძმისგან.

ბედის ირონიაც ამას ხქვია: ვავითარებთ მსჯელობას და ვვარაუდობთ:

რა ექნა დაუძლურებული კოლხეთის მეფეს, რომელსაც ოქროს საწმისი — კირბები, წინარებერძნული სამყაროს კულტურტრეგერობა ჩამოართვმევა ბედისწერით, რომელსაც სამი მხრიდან სხვადასხვა ორიენტაციისა და მრწამსის მტერი ეპოტინება, ახალი, ალექსანდრე მაკედონელის დაშლილი იმპერიის ნაწყვეტის პირისპირ აღმოჩნდა და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, თანაც იბერიული ნაკადი, იგივე ქართის ტომი ხომ სისხლით ნათესავნი გახლავან კოლხებისა, მაგრამ მერე და მერე იწყება ქართისეული ემანსიპაცია. იგი უკიდურესობამდე შეავიწროვებს კოლხურს, სოლივით შეეჭრება მის მთლიანობას, მის სხეულს გურიის სახით და მხოლოდ იქ არსებული ტოპონიმები თუ შემოგვინახავს ამ მიწა-წყალზე კოლხეთის ოდენიდელი არსებობის ნიშატს...

ჩვენ მსგავსი დამოკიდებულება გამოგვიხატავს საკითხის ირგვლივ ზემორე, მაგრამ სიახლეს მხოლოდ, ალბათ, ჯ.ჯ.კაკულიას ენათმეცნიერული ანალიზი შეიცავს. მ.ძაძამიას მიგნების თაობაზეც გვითქვამს რამდენადმე; გვისაუბრია კირბებზეც, კორიბანტებზეც, ხოლო მომდევნო აბზაცები ხელუხლებლად წარმოგვიჩენია:

„IV საუკუნეში რომის იმპერიაში ქრისტეანული რელიგია გამოცხადდა სახელმწიფოებრივ რელიგიად და შესაბამისად რომის იმპერიაში შემავალ ქვეყნებშიც □კოლხეთი, იბერია, არმენია...) IV საუკუნეშივე რომი გაიყო ორ იმპერიად — აღმოსავლეთ და დასავლეთ რომებად.

დასავლეთ რომი თავის ქვემდებარე ქვეყნებში ქრისტეანულ რელიგიას ნერგავდა მხოლოდ ლათინური ენითა და ლათინურივე ანბანით.

აღმოსავლეთ რომი □ბიზანტია) საპირისპიროდ, თავისი გავლენის ქვეყნებში ქრისტეანულ რწმენას ავრცელებდა ადგილობრივი ენის გამოყენებით. ამისათვის აუცილებელი შეიქმნა აბორიგენ ენათა შესაძლებლობების, გამომსახველი ანბანების შექმნა □მაგალითად: ასირიაში, სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობათა ბრძოლის შედეგად, შეიქმნა სამი ანბანი... ესტრანგელო, ნესტორიანული და იაკობიტური, თუმცა ასურული სალიტერატურო ენა ერთი იყო).

თითოეული რელიგიური მომდინარეობა ცდილობდა მორწმუნენი ღვთის მცნებას გასცნობოდნენ „ჭეშმარიტი“ მიმდინარეობის ანბანით და არა „მწვალებელთა“ ანბანებით. ბიზანტიურ სამყაროში ახალი ანბანის შექმნა არ წარმოადგენდა პრობლემას. ბიზანტიის გავლენის ქვეყნებში IV საუკუნიდან იწყება ანბანთა პარადი. ჩვენ ამ თემაზე მსჯელობისას უნდა გვახსოვდეს, რომ □ტაბაღუა 1.63): „ღვთისმსახურების ენა პირველად ბერძნული იყო. VII საუკუნეში კი ეკლესიებში დამკვიდრდა ქართული ენა“.

ამრიგად, ბიზანტიელთა მიზანს არ წარმოადგენდა ღვთისმსახურება აბორიგენთა ენაზე წარმოებულიყო, არამედ ის, რომ ქრისტიანული რელიგიის არსი აბორიგენთა მიერ საკუთარი ენით, ანუ საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობით უკეთ შეიმეცნებოდა თარგმნილი საღვთო წიგნების მეშვეობით. თარგმანის აუცილებლობამ წარმოშვა ახალი ამოცანები, ვინაიდან აბორიგენთა მეტყველებისათვის უცხო იყო სალიტერატურო ენათა გამოცდილება და მათი მეტყველება დიალექტიკური ხასიათისა გახლდათ, ანუ სცილდებოდა ხალხური მეტყველების დონეს.

საყოველთაო აღიარებით დიალექტიკური □არალიტერატურული) ენები მიგავენ წყალუხვ, თავაშვებულ მდინარეებს, რომლებსაც ძალუძთ კალაპოტი იქით შეიცვალონ საითაც მოესურვებათ. სალიტერატურო ენა მტკიცე ჯებირებში მოქცეული დინებაა, წინდაწინ განსაზღვრული მიმართულებით. ასევე ერთხმადაა აღიარებული დიალექტურ მეტყველებათა განსაცვიფრებელი სილამაზე. მაგრამ ასევე ეჭვმიუტანელია სალიტერატურო ენათა სიბრძნე და გარდუვალობა.

თქმულიდან გამომდინარე, ბიზანტიას დაქვემდებარებულ ქვეყნებში იწყება დიალექტიურ მეტყველებათა გარდაქმნა სალიტერატურო მეტყველებად და როგორც არნ.ჩიქობავა გვაუწყებს — არაერთი ლიტერატურა დაიწყო ბიბლიის თარგმნით.

კოლხთა სალიტერატურო ენის შესაქმნელად შეირჩა მეგრული ენა და ადგილი. სადაც ეს მისტერია შესრულდა, არის სამეგრელო, ჭოროხის ხეობა, კლარჯეთი, ოპიზა.

კლარჯეთი შეირჩა იმის გამო, რომ იგი გზაჯვარედინი გახლდათ სამი კოლხური ტომისა □გზაჯვარედინს, ჯ.ჯ.კაკულია აფხაზეთსაც უწოდებს, გ.ო.) — ლაზების, ჭანებისა და მესხებისა.

მესხებისა და ლაზიკეს უშუალო მეზობელი იბერია იყო, ხოლო იბერიისა და მესხეთისა — ალბანეთი.

მოსაზრების მნიშვნელობა ის გახლავთ, რომ მთელს ამ კოლხურ სივრცეში ერთი დამწერლობა შეიქმნა.

ალბანურ დამწერლობასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ 1937 წელს ი.ლ.აბულაძის მიერ აღმოჩენილი ქვისა და თიხის ფილებზე ამოკვეთილ მრგვალოვან წარწერებსაც ასევე დაახლოებით VI საუკუნეს განაკუთვნებენ.

ამდენად თავდაპირველად ალბანეთში შესაძლებელია ვიგულისხმოთ ქართული ანბანის გავრცელება, ვინაიდან ცნობილია, რომ ალბანეთში ქრისტეანობა, მსგავსად რომისა, საქართველოსი, ხაიასტანიასა, IV საუკუნეში გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად... ყოველშემთხვევაში ჩვენი მსჯელობა ნათლად ვრცელდება ალბანეთის დასავლეთზე, რომელიც შემდგომ მცნება „საქართველოს“ აუცილებელ შემადგენელ ნაწილებად იქცა.

კოლხურ სივრცეში — ჭანეთი, სვანეთი, სამეგრელო, მესხეთი, იბერია, ალბანეთი — ერთი დამწერლობის შექმნა — აღიარებაა ჩვენი სულიერი მამების მიერ, როგორც ერთი ჯიშის, ერთი კულტურის ტომთა თავყრილობისა და ასევე იმისა, რომ ქართული ენის ერთერთი უმთავრესი ფუნქცია, მისი შექმნის პროცესშივე, ამ ნათესაურ ტომთა გაერთიანება გახლდათ ერთ სახელმწიფოებრივ სისტემაში, ანუ აღდგენა კოლხთა უძველესი გაერთიანებისა — დიაოხისა.

რატომ შეირჩა მეგრული ენა? აქ უნდა გავიხსენოთ აგათია სქოლასტიკოსის მიერ მეგრელთა ცნობილი დახასიათება:

„ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ უსაფუძვლოდ... მე არ მეგულება სხვა ტომი ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც სიმდიდრის სიუხვით და ქვეშევრდომთა სიმრავლით, ისევე მიწა-წყლის სიკეთით, მოსავლიანობის სიჭარბით და ზნე-ჩვეულებათა სიმწყობრით და დახვეწილობით“. აქედან გამომდინარეობს, რომ მეგრელებს ყველაზე დიდი ტერიტორია ეკავათ მეზობელთა შორის და შესაბამისად ყველაზე მრავალრიცხოვანნიც იყვნენ.

უმთავრესი პირობა მაინც ის უნდა ყოფილიყო, რომ ძვ.წ. VI საუკუნიდან ლაზიკე თანდათან კრგავს თავის თვითმყოფად კოლხურ სახეს და IV საუკუნისათვის, ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ სამყაროსთან უმჭიდროესი ურთიერთობათა შედეგად ამ კულტურის შემადგენელი ხდება.

შესაბამისად, მეგრული ენა განიცდის ბერძნული ენის უძლიერესს ზეწოლას და IV საუკუნისათვის მეგრული ენისათვის ბერძნული ენა, აზროვნება ახლობელია, ნაცნობია, ის ბერძნული ენა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვეზიარეთ ქრისტეანული რწმენის მადლს:

„როცა ვსაუბრობთ ენის ხელოვნურ ბუნებაზე, არ უნდა წარმოვიდგინოთ ქაღალდისაგან გაკეთებული ყვავილი. ბევრად მართებული იქნება წარმოვიდგინოთ ჯიშიანი ცხენი, რომელიც მხოლოდ თავისი მხედრის ყოველ ნება-სურვილს მორჩილად ასრულებს. მრავალთათვის წარმოუდგენელია ქართული ენის ხელოვნური ბუნება სხვა სალიტერატურო ენათა წარმოშობის ისტორიათა არცოდნის გამო. ჩვენ ვნახეთ „ბარბაროსი“ ლათინების მიერ მაღალგანვითარებული საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ, ბერძნული დამწერლობის ზეგავლენით იწყება რომაული ლიტერატურის აღმოცენებ-განვითარება.

ლათინური ენა გადაეწყო ბერძნული გრამატიკული გამოცდილების გაზიარებით □გათვალისწინებით), შეივსო ბერძნული ლექსიკის მარაგით და ასეთი ძლიერი გავლენის შემდეგ სალიტერატუ-

რო ენა მკვეთრად ემიჯნება ხალხურ, ცოცხალ ენას.

სალიტერატურო ენა დასაწყის ფაზაში ერის მცირე ნაწილის კუთვნილებაა, სახელმწიფოებრივი, საეკლესიო ღონისძიებათა გატარების შემდგომ ხდება ერის მშობლიური ენა.

ლათინური დამწერლობის წარმოშობის ანალოგიური მაგალითია არაბული დამწერლობა. არაბებმა VII საუკუნის მეორე ნახევარში დაიპყრეს სპარსეთი და ასევე სხვა მეზობელი ქვეყნები. ამ პერიოდიდან იწყება არაბული კულტურის აღორძინება. □ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I,526) : ,,არაბული კულტურა, შუა საუკუნეების კულტურა, რომელიც ჩამოყალიბდა არაბთა სახელმწიფოში □VII-X ს.ს.) არაბი და მათ მიერ დაპყრობილი □ახლო და შუა აღმოსავლეთის, ჩრდილო აფრიკის და სამხრეთ-დასავლეთ ევროპის) ხალხების კულტურათა ურთიერთ ზემოქმედების პროცესში. სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი ,,არაბული კულტურა'' იხმარება, როგორც საკუთრივ არაბი, ისე სახალიფოს შემადგენლობაში შემავალი სხვა ხალხების შუასაუკუნეების არაბულენოვანი კულტურის აღსანიშნავად.

არაბეთის ნახევარკუნძულზე არაბების კულტურას წინ უსწრებდა ისლამამდელი არაბების — მომთაბარე და მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა. □IV-VI ს.ს.-ში არაბული კულტურა განიცდიდა ძველი იემენური, სირიულ-ელინისტური, იუდეველთა და ირანული აღმოცენებისა □VII ს.) და სახალიფოს შექმნის პერიოდში.'' ე.ი. არაბული კულტურის წარმოქმნის უმნიშვნელოვანესი იმპულსია VII საუკუნეში ახალი რელიგიის, ისლამის აღმოცენება და ურთიერთობა მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან □თუნდაც სპარსეთი). მაგრამ ასევე ,,დაბალი განვითარების არაბებმა'' უძლიერესი კვალი დაამჩნიეს სპარსულ კულტურას.

□ქ.ს.ე. V.212): ,,ძველი სპარსული მწერლობის ნიმუშად მიჩნეულია აქემენიდთა ლურსმული წარწერები და ზოროასტრული მოძღვრების წმინდა წიგნი ავესტა.

საშუალო სპარსული ე.წ. ფალაური ლიტერატურა სასანიანთა ეპოქას □III-VII ს.ს.) განეკუთვნება. ჩვენამდე მოღწეულ ძეგლთაგან აღსანიშნავია საგმირო ეპოსი □,,ზარერის იადგარი''), სარაინდო რომანი □,,არდაშირ პაპაკის საქმეთა წიგნი''), დიდაქტიკური კრებულები □,,ანუ - შირვანის დარიგებათა წიგნი'' და სხვა. ახალი სპარსული ლიტერატურა □ფარსი — დარი) ენაზე ჩაისახა IX ს-ში''; ამრიგად, IX საუკუნეში აღმოცენდა, აღორძინდა ახალი სპარსული ენა ,,ფარსი'' და ამისი უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ, რომ არაბები, რომელნიც გულმოწყალენი იყვნენ ქრისტეანული რწმენის მიმართ, ცეცხთაყვანისმცემლობას, რომელიც დამკვიდრებული იყო სპარსეთში არაბთა შემოსვლამდე, მახვილით ძირკვავდნენ და სანაცვლოდ ისლამს ნერგავდნენ სპარსეთში. ისლამის არაბულ ენაზე გავრცელებამ ის შედეგი გამოიღო, რომ გაქრა საშუალო სპარსული და შეიქმნა ახალი სპარსული ენა, რომლის ,,დამწერლობაში გამოყენებულია არაბული ანბანი'' და ასევე მის ,,ლექსიკაზე დიდი გავლენა მოახდინა არაბულმა ენამ''.

ამ მაგალითებიდან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ერის მიერ რელიგიური რწმენის გამოცვლა ვერ მოხერხდება რომელიმე მისიონერის კეთილი ზრახვებით; რომ აუცილებელია უდიდესი სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ორგანიზება, რაც მასშტაბურ კვალს ტოვებს ერის ცხოვრების ამ მონაკვეთში.

შედარებით დაბალი განვითარების არაბებმა იძულებული გახადეს შედარებით მაღალი კულტურის მატარებელი სპარსელები, □როგორც პროტოქართული სამყარო ინდოევროპულმა, პრომეთე-ამირანის კავკასიონზე მიჯაჭვის სიმბოლიკით, გ.ო.) რაღაც საუკუნე-ნახევარი არაბული გავლენის შემდგომ არაბული ლექსიკის გამოყენებით, არაბული ანბანით შეექმნათ ახალი ,,ფარსი'' ენა, უცილობლად არაბული გრამატიკის გათვალისწინებაც. ამდენად ჩვენთვის არ უნდა იყოს მიუღებელი, რომ კოლხეთი, რომელიც ძვ.წ. VI საუკუნიდან მაღალგანვითარებული ბერძნული კულტურის შემადგენელი ნაწილი ხდება, IV საუკუნეში ქრისტეანული რწმენის, როგორც სახელმწიფოებრივი რელიგიის მნიშვნელოვანი გარდატეხები მოეხდინა, ანუ ქრისტეანული რელიგიის გასავრცელებლად ბერძნულ-ლათინური დამწერლობის გავლენით შექმნილიყო ახალი სალიტერატურო კოლხური □ქართული) ენა.''

ბ-ნ ჯ.ჯ.კაკულიას უმთავრესი პოსტულატი გაცხადებულია, რომელიც მრავალი ცოცხალი მაგალითითაა დამტკიცებულ-გამაგრებული.

მოვიშველიებთ ორ სამახსოვრო მომენტს:

„ჩინურად დედას თავდაპირველად ეწოდებოდა „მა“ და შემდგომ „მამა“.

შუმერულ ენაში, რომელიც კავკასიურ ენათა მსგავსად განეკუთვნება აგლუტინაციურ ენათა ოჯახს, ერთმარცვლოვანი სიტყვები შედგებოდა ან განცალკევებით ხმოვნისგან □შ-ხუთი, უ-სახლი), ან თანხმოვანი+ხმოვანი □su-ხელი, eu-ადამიანი, ti-ისარი), ან ხმოვანი+თანხმოვანი □kur-მიწა, მხარე, მთა, mun-სახელი, gin-იყო ერთგული).

იგივე სურათია მეგრულში, როგორც უძველესი წარმომავლობის ენაში შემორჩენილია მრავალი ერთმარცვლოვანი სიტყვები: ჩა-ცა, ჯა-ხე, ტი-ცური, გი-ხგავს, ლი-ვარდება, წი-წელს, ჭინაწლავი, კი-რკო, ში-სველი, შუ-ახსოვს, ცი-თელა, ძი-ძევს, ჩი-ჭმევა, რდი-ყოფნა, დგუ-დგას“.

ეს სურათი, გაცილებით სრულყოფილადაა წარმოჩენილი ბ-ნ მამანტი ძაძამიასთან, როცა თანხმოვნურ სიტყვებს ნახევარხმოვანი დასტურბგერის მეშვეობით გადმოსცემს, მაგრამ ნუ გამოვედევნებით სრულყოფილების, ეტალონის ნიმუშს, რომ ტი — მკბენარიცაა, ტილიც; წი — წოვასაც ნიშნავს ბრძანებითი კილოთი, არსებითი სხვა რამეა, კერძოდ:

„ქართული არათუ თანხვედრილია ბერძნულ-ლათინური ანბანებისაა, არამედ მასში დაფიქსირებულია ლათინურ ანბანში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილება.

ასონიშანი „უ“ ლათინურ ანბანში მხოლოდ V საუკუნეში დამკვიდრდა, როგორც ცალკე გრაფემა, ადრე იგი კომპლექსურად გამოითქმებოდა.

მსგავსი მაგალითია მეგრული „ę“, რომელიც ბგერების „ი“-სა და „უ“-ს კომპლექსს წარმოადგენს, ე. ი. ლათინურ ანბანს ბგერა „უ“-ს ცალკე გამოსახულება V საუკუნეზე ადრე არ გააჩნია.

ქართული ანბანი ბერძნულ-ლათინური ანბანების გამოცდილებით შეიქმნა IV საუკუნის მეორე ნახევარში და შესაბამისად არც მას გააჩნდა განცალკევებით გრაფემა „უნი,“ რაც დასტურდება ს. ს. ორბელიანის „ “ □ვიე)-ს განმარტებაში:

„ესე -ე ძველად ტართან იჯდა და მეოთხასედ რიცხვად სვამდნენ და წერილთა შინაც სახმარ არს და ონსა -ეს „უნის“ ადგილას სმიდეს, რამეთუ „უნი“ მაშინ არ სცოდნიათ. შემდგომად „უნი“ მოუგონიათ და ოთხასად იგი დაუსვამთ და -ე რიცხვიდამ ამოუღიათ, არა მხოლოდ რიცხვიდამ ამოუღიეს, წერილთა შინა მისი კითხვაც დავიწყებიესყე“?!

პარადოქსია, როგორი დიაპაზონისაა ქართული გონება საკუთარი კულტურის ფესვების ძიების გზაზე — რანაირად გამორიცხავს ტრადიციონალისტი ჯ. ჯ. კაკულიას მოსაზრებებს ბ-ნ ზ. ქაფიანიძის პლატფორმა.

კოლხური ზმნისწინების სიუხვის გამო გვილაპარაკია, □83), რომელთა მეშვეობით დაახლოებით 1500 ძირეულ სიტყვას 9 მილიონამდე აბრუნებს-ატრიალებს წიგნიერი შთამომავალი ჩვენი XXI საუკუნეში.

გვისაუბრია აგრეთვე იმის თაობაზეც, რომ წყ, ჩხ, ცხ ბგერათკომპლექსებისა და ę ნახევარხმოვანი, დასტურბგერის მეშვეობით მიგნებულია კოლხური ენის თავდაპირველი ბუნება.

ახლა კი ასპარეზი კვლავ ბ-ნ ჯ. ჯ. კაკულიას დავუთმოთ:

„სვანური, მეგრული და ქართული ენების შედარებისას, თავდაპირველად უკვე ჩამოყალიბებული, იდენტური მნიშვნელობის სიტყვათა მოძიებით ცდილობდნენ წარმოეჩინათ ამ ენათა ნათესაური ბუნება.

□ჭარაია. 257): „მეგრული სიტყვა — კორინება, რომელიც ნიშნავს: „მონდომება, მოწადინება, მოსურვება, ნდომვა“. ეს სიტყვა არ შეგვხვდება არც სამწერლო ენაზე და ხალხის პირისაგან არ გვესმის ყველგან, მაგრამ მიმოვიხედავთ რა ირგვლივ, ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ რაჭულ კილოში დარჩენილა იგი სიტყვა სრულიად იმავე ფორმითა და მნიშვნელობით, იქ, გვესმის: „არ იკორინა“ — არ ინდომა, არ ისურვა. „არ გიჩინავებ“ რაჭაშივე, ვაგიგიჩინე ვერ გიცნობ. მოიტა, მოიტანე, მეგრულად: „მიიღი“, რომელსაც — ძველი ქართულის გარდაც ვხვდებით ფშავში: მაიღ □ვაჟა-ფშაველა) დუღს — მეგრულად ფუნს. □დუღილი, დუღება — ფუალა). ამ ორი ზმნათა ძირები ერთმანეთს არ ხგვანან და არც დამტკიცდება მათი ნათესაობა მეგრულ-ქართულის ფონეტიკურ კანონთა ძალით. ამ სიტყვებში მეგრული განსხვავებული ყოფილა ქართულისგანო, შესაძლოა იფიქროს ვინმემ, ასეთის მოსაზრების დამარღვეველ საბუთს იძლევა იგივე ვაჟა-ფშაველა, როცა გვეუბნება □სისხლი გვიფუის ძარღვებში). მაშასადამე სიტყვა ფუ-ნა, ფუ-ალა დარჩენილა, თუ არ ვცდებით, ფშავ-ხევსურეთში. სისრულისათვის ცოტა უფრო შორს რომ გავიხედოთ, იმავე სიტყ-

ვას და იმავე მნიშვნელობით ჩვენ სვანურშიც შევხვდებით. დუღილი — სვანურად ლი-ფუე, დუღს — ფუ-ე, ლიც ფუე —წყალი დუღს და სხვ. თამაში□-ობა) მეგრ. ლაყაფი, ფშაურ ლექსში ვკითხულობთ ,,ლაყაფ-ლუყაფი''.

სვანური ,,ლიც''-იდან წარმოსდგება ქართული ,,ლიც-ლიცი'' □წყალი ლიც-ლიცებს). სვანურ-მეგრული □კოლხური) ,,ფუ''-ება ქართულმა გამოიყენა სიტყვაში ,,აფუება'' □ცომი აფუვდა—ცომი ,,წამოდუღდა'').

ჩვენი საუკუნის დასაწყისისთვის პ.ჭარაიას მსგავსი მსჯელობა აუცილებელი იყო, რათა ქართულ საზოგადოებას, რომლის ეროვნულ ცნობიერებასაც საღათას ძილით ეძინა და დღესაც არ არის საბოლოოდ გამორკვეული, გაეთვითცნობიერებინა სვანურ-მეგრულ-ქართულ ენათა ერთობა, ერთი ოჯახიშვილობა. მამულიშვილთა ღვაწლით, დღეს ეს თემა ერთის საზრუნავს აღარ წარმოადგენს. სადღეისოდ გასარკვევია ამ ენათა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები. ჩვენს მიზანს — აღვიქვათ, რომ ქართული ენა არის IV საუკუნის მეორე ნახევარში ხელოვნურად შექმნილი, ქართული ეკლესიის ენა, ამოძრავებს არა ქართული ენის ბუნების დამცრობის სურვილი, არამედ იმის ცოდნა, რომ ამის გარეშე შეუძლებელია დავინახოთ ის შარავანდედი, რაც მოსავს ქართულ ენას:

ქართული ენა არ არის ქართლური ენა, ქართული ენა არ არის მეგრული ენა, ის არც სვანურია, არც მესხური, კახური, ჭანური, ის სრულიად ქართულია, ჩვენი ერის, კოლხურ-კავკასიურ ტომთა გამაერთიანებელი ქრისტეანული ეკლესიის ენაა:

,,საქართველოდ ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსა შიგან ქართული ენითა ჟამი შეიწირების და ლოცვა აღესრულების.''

ჭეშმარიტებას ბრძანებდა ი.ჭავჭავაძე: ,,დღესაც მთელს ამიერ კავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთსა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან''.

ქართველია არა ცალკერძ ქართლელი, ცალკერძ მეგრელი, სვანი, ჭანი, მესხი, კახი, ხერი ან სხვა მხარეთა შვილები, არამედ პიროვნება, რომლისთვისაც ქართული ენა სალოცავი ენაა და სამშობლო კი სრულიად საქართველოა.

იყო ქართველი — უნდა გასცილდე პირველყოფილს მდგომარეობას, უნდა ამაღლდე. □სასიხარულოა თანამოაზრეთა ამქარში ყოფნა, გ.ო.)

ქართული ენა დაიწყო სამეგრელოში, თორემ მის ჩამოყალიბებასა და სრულქმნაში საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულმა გაიღო თავისი ღვაწლი.

სხვანაირად ეს ენა საერთო ეროვნული ვერ გახდებოდა. ჩვენს მოსაზრებას — ქართული ენა დაიწყო სამეგრელოში □ჭოროხის ხეობაში) — ზურგს უმაგრებს პროკოფი კესარიელის □VI ს.) ცნობა.

პროკოფის ეს ცნობა ეჭვის ქვეშ აყენებს დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ შეხედულებას, რომ პალესტინის, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად აგებული მონასტერი, რომელშიც აღმოჩნდა ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუში, პეტრე იბერის მიერ იყო აშენებული. ამის გამო ამ მონასტერს იბერთა მონასტერი ეწოდება, ხოლო პროკოფის ცნობით იგი ლაზთა მონასტერია.

□გეორგიკა, II,192): ,,იერუსალიმში იუსტინემ შემდეგი მონასტრები განაახლა: წმინდა თალესესი, წმინდა გრიგოლისა.

იბერთა მონასტერი იერუსალიმში.

ლაზთა მონასტერი იერუსალიმის უდაბნოში.''

ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება ახალი არ არის:

□ბერძენიშვილი, VIII, 539): ,,ის ქართული წარწერა პალესტინიდან, გ.წერეთელმა რომ გამოსცა, მართლა ,,ლაზთა მონასტრისა'' ხომ არ არის?''

ვინაიდან ჩვენ ქართული საისტორიო წყაროების უმრავლესობის სამართლიანობაში ეჭვი სამართლიანად გვეპარება, პროკოფი კესარიელის ცნობას, VI საუკუნიდან, დოკუმენტურ მნიშვნელობას ვანიჭებთ. პროკოფი კესარიელი □507-562 წ.წ.) იუსტინიანე I-ის □482-565 წ.წ.) კარის ისტორიკოსი გახლდათ და ბრწყინვალედ იცოდა თავისი თანამედროვე სინამდვილე და ხელი მიუწვდებოდა ყოველგვარ საბუთზე. პროკოფი კესარიელი არაა დაინტერესებული ლაზთა ან იბერთა უპირატესობის წარმოჩინებით და სრულიად გარკვეულად მიუთითებს:

,,ლაზთა მონასტერი იერუსალიმის უდაბნოში'' □და არა ,,იბერთა მონასტერი იერუსალიმში'', აქ გარკვეულია ორი სინამდვილე, ორი მონასტერი, იბერთა და ლაზთა, ოღონდ ერთი თვით იერუსალიმში, ხოლო მეორე განაპირას, უდაბნოში, გ.ო.)

,,ხ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის კონცეფცია □წიგნიდან ,,ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი'', 1990 წ, გ. ო.) მეტად ახლოს დგას ჩვენ შეხედულებებთან.

აფიქსირებენ რა მეგრულ-ლაზურისა და ქართულის გამორჩეულ სიახლოვეს, მათი განშორების, ცალ-ცალკე ენებად დაყოფის პერიოდი თავისთავად გადმოაქვთ ბევრად ახლობელ პერიოდში, ვიდრე ამას მათი წინამორბედები აღიარებდნენ.

ჩვენს შორის არსებობს ასევე სხვაობაც: მეგრულ-ლაზურ და ქართულ ენათა სიახლოვეს ისინი ხსნიან საერთო-ქართველური ფუძის არსებობით და სხვაობას ამ ენათა შორის ხედავენ ბუნებრივი მიდრეკილებების განსხვავებაში. □ამგვარი წარმოდგენის გახლდათ ამ წუთამდე თქვენი მონა-მორჩილიც, გ.ო.)

ჩვენი წარმოდგენით კი ქართული ენა დაიწყო მეგრული ენიდან და შემდგომ იგი ჩამოყალიბდა სრულიად საქართველოში.

საერთოა აგრეთვე ის აქსიომა, რომ ჩამოყალიბების შემდგომ თავად ქართულმა ენამ უდიდესი გავლენა იქონია სვანურ, მეგრულ-ლაზურ ენებსა და სხვა დიალექტებზე. გარკვეული პერიოდის შემდგომ ქართული ენა ერთპიროვნული ლიდერი ხდება, ანუ აღსრულდა ის ჩანაფიქრი, რისთვისაც ეს ენა შეიქმნა. მიუხედავად არსებული სხვაობებისა, ამ ნაშრომის შედეგი: □იგულისხმება ხ.ფენრიხისა და სარჯველაძის დასახელებული ნაწარმოები, გ.ო.) საერთო ფუძეთა ძიება, სიტყვათა ურთიერთობა, დამხმარე ატრიბუტიკა □თავსართები, ბოლოსართები) აღწერა, მთლიანად მისაღებია.''

ამ მხრივ თვალსაჩინოა ბორკილის □ბორკი, მეგრ. ფეხი) და უფლებას □ფულუა, დამალვა) ანალიზი ზემოთხსენებული წიგნიდან:

ბორკი -ბორკ-ილიდა-ბორკი-ლიდა!ბრკოლ-ოლება

ბორკი — ბორკილი — ბარკა-ლი;

ფულდაფ-ლადა-ფლ-ულიჩა-ე-ფლ-ოსა-ფლო-ბისა-სა-ფლაოსა-მფლო-ბელომფლობელიფლობაუფლება.

ამის შემდგომ ბ-ნ ჯ.ჯ.კაკულია დასძენს:

,,აქვე გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ სომხურ ენაში კოლხური მეტყველების ძლიერი კვალი უნდა აიხსნას არა მეგრულ-ჭანურის გავლენით, არამედ მესხური ენის გავლენით.

ხაიასტანი სამეგრელოს არ ესაზღვრებოდა. სამეგრელოსა და ხაიასტანს შორის მდებარეობდა კოლხეთის მესხეთი □მტკვრის ზედა წელი). მცირე არმენია ესაზღვრებოდა ჭანეთს, მაგრამ მეზობლობით ხაიკთა ენაში კოლხურის გავლენის ახსნა უკმარია. ჯერ კიდევ სტრაბონიდან ცნობილია, რომ მესხეთი სამად გაიყო კოლხეთსა, იბერიასა და არმენიას შორის, ამის შემდგომ მესხთა ნაწილი ხაიკი ერის შემადგენელ ნაწილად იქცა □სტილი ყველგან დაცულია, გ.ო.) და რაც აისახა კიდეც ხაიკთა მეტყველებაში. მესხთა კოლხობა კი ხეკატე მილეტელის (ძვ.წ. VI ს.) მიერ იქნა აღიარებული''.

ახლა ერთხელაც მოვიხედოთ უკან ბ-ნ ჯ. ჯ. კაკულიას განხილული მასალისკენ: ჩვენ სინთე- ზური ანალიზის მეთოდით ვცდილობთ მრავალი თვალსაჩინოებით გამაგრებულ მოძღვრებათა გადმოცემას, რაც საკმარისზე მეტად გვირთულებს საქმეს დამაჯერებლობის თვალსაზრისით, თუმცა ,,ქართლის ცხოვრების'' რევიზორის შესაშური მიგნება — მთელს დღევანდელ საქართველოს კოლხეთი ფარავდა □ტოპონიმების ანალიზზე, ხოლო მოგვიანებით მეგრულ ენაზე დაყრდნობით) ცხადია, სხვა კილო-კავების შემოშველიებით, ერთხელაც საჭიროებს აფთიაქარის სასწორით მოზომილი არგუმენტების ნათელფენას.

ზანა აბაშის მდინარეა. ყველას გვახსოვს ბატონი კონსტანტინეს ცნობილი სიტყვები, როცა პატარა მდინარის პირას გაზრდილი მწერალი საკუთარ თავს შესძახებს, არიქა, დიდი მდინარეების სიახლოვეს დავაჟკაცებულმა თანამოკალმეებმა არ დაგჯაბნონო.

დიახ ზანა პატარა მდინარის სახელია, ხოლო ,,ალა'' წინასართი დაბლივად, და მაღლისკენ გვერდიგვერდ მსწრაფველობის ნიშნად, იგივე აღმითალმაცრივ მიმდევრობა, ,,მაშინ გამოდის

,,ალა-ზანი II — გვერდიგვერდ და დაბლით □ალა) მდინარე ,,ზანი'' — დანიელ ფიფიას მეგრული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი ,,ალაზანი'' განმარტებულია ,,შამბნარად''.

ვავითარებთ აზრს, რომ ,,ზანი'' რადგანაც მეგრელთა სახელია სვანურად, შეიძლება იგი გაიშიფროს, როგორც კოლხეთის აღმამავალ მდინარედ. ,,ნაყვარება'', ,,ნაყვანება'' და მისთ. ფორმების წარმომავლობა ,,ნოყოროფუე, ნოყვე'' ფორმებიდან, სახელობით ბრუნვაში მეგრულის კვალობაზე ,,კოჩქ ქუმორთუს''-ს მსგავსად ,,კაცმა მოვიდა'' კომპოზიტების არსებობა იმერულ-რაჭულში, და კიდევ უამრავი ნიმუშით წვეთ-წვეთობით შედედებულია დებულება:

,,ქართველურ ენათა ერთდროულად აღმოცენებისა და პარალელურად განვითარების თეორია სრულიად ვერ პასუხობდა ქართული ენის მკვლევართა კითხვებს... თუ მეგრული მეტყველება თავის ლექსიკურ მარაგს ძირითადად ზმნების, ზმნისწინების, ზმნიზედების უხვი რაოდენობის ხარჯზე ქმნის, ქართული ენა თავის ლექსიკურ მარაგს ავსებს ბევრად ნაკლები ზმნების, ზმნისწინების, ზმნიზედებისა და სხვა გრამატიკული ნორმების ინტენსიური გამოყენებით...

ქართული ენის შემქმნელთა მიერ ზმნისწინების მარაგის ასეთმა მკვეთრმა შემცირებამ □მეგრულში 79 — ქართულში 16) გამოიწვია ასევე მკვეთრი განსხვავება მეგრულ და ქართულ მეტყველებათა შორის. ამ ფაქტს ხელი შეუწყო ზმნისწინების მაქსიმალური გამოყენების ტექნიკამ, გამომდინარე ქართული ენის უმთავრესი პრინციპიდან — მინიმალური ლექსიკით — მაქსიმალური მცნებები...

□თოფურია, III, 185): ქართულის, ზანურის □მეგრულ-ჭანურისა) და სვანურის — გენეტიკური ნათესაობის პრობლემა დიდი ხანია გადაჭრილია. უკვე დადგენილია ამ ენათა ბგერათა სისტემისა და მთავარ ფონეტიკურ მოვლენათა ერთგვარობა, გრამატიკული წყობის ერთობლიობა, კერძოდ: წყება მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიათა და მათ გამომხატველ ექსპონენტთა ერთსახეობა, სიტყვათწარმოების წესისა და საწარმოებელ აფიქსთა მსგავსება, ბგერითი შესატყვისობანი და ლექსიკის ძირითადი ნაწილის ერთობლიობა. არსებობს ამის თაობაზე საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა და მკვლევართა ერთნაირი შეხედულება რიგ მოვლენებზე. მაგრამ იმავე სამეცნიერო ლიტერატურაში ნათლად არის აღნიშნული მჭიდრო კავშირი ზანურისა ქართულ და სვანურ ენებთან და ერთგვარი დაშორებულობა სვანურისა იმავე ქართულისაგან''.

,,ქართული ენის განსხვავებულობა მეგრულ-სვანურ და სხვა კავკასიურ ენათაგან, — აცხადებს ბ-ნ ჯ. ჯ. კაკულია, — განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ მისი ხელოვნური □მართვადი) ბუნებით.

ქართული ენის შემქმნელთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქრისტეანული რელიგიის გავრცელება ახლადშექმნილი, გამარტივებული კოლხური □ქართული) ენით, ისტორიულ კოლხეთში. ანუ აუცილებელია ქრისტეანული ფასულობანი, დაბუდდებული ბერძნულ წიგნებში, თარგმნილ იქნეს აბოირიგენთა გასაგები ენით.

კოლხებს, გამომდინარე მათი კავკასიური ბუნებიდან, მეტყველებაში გააჩნდათ ძლიერი შიშინა ფენა, რასაც განსაზღვრავდა შიშინა ,,ევროპელთათვის ძნელად წარმოსათქმელი'' ბგერების — შ, ჟ, ჯ, ჭ, ჩ ინტენსიური გამოყენება. ეს შიშინა ბგერები არ გააჩნია ბერძნულ-ლათინურ ენებს, და რაც თავისთავად ართულებდა ბერძნულ-ლათინურ და მეგრულ-სვანურ და სხვა კოლხურ ენათა ურთიერთობებს. ამისათვის გადაწყდა ახალ სალიტერატურო ენაში მაქსიმალურად შეემცირებინათ □და არა სრულიად მოესპოთ) ამ შიშინა ბგერათა გავლენა...''

მაგ.: ჭვეთიწვეთი, ჭნეხაწნეხა, ჭვაწვა, ჭითაწითე-ლი, ჭარაწერა, ჭყილიწყე-უ-ლი, ჭყონიწყნეთი, ჭყიშიმ-წყმსი, ბურჭიბერწი, და ა.შ.

...როცა ვამბობთ ,,ქართული ენის შემქმნელები'', ჩვენ არ ვგულისხმობთ კერძო პიროვნებებს და არც იმას, რომ ქართული ენა ერთი ხელის დაკვრით შეიქმნა.

ქართული ენის შემქმნელებში იგულისხმება ქართული ენის ფხიზელი მწეყმსი — ქართული ეკლესია, რომელსაც მტკიცედ ეპყრა ქართული ენის სრულყოფის, მისი მართვის სადავეები XV საუკუნემდე.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდგომ, ქართული ენა საერთო საზრუნავად იქცა, არადა, უწინარეს ქართული, ეკლესიური ენაა, სალოცავად შექმნილი ენა.''

,,არის თითქოსდა პირიქითა მაგალითები: ,,მარძგვანი-მარჯვენა. ამ მაგალითის საიდუმლო შემ-

დეგშია: მეგრული ორი თანხმოვანი „ძგ“ □მარ-ძგ-ვანი) იცვლება ერთი „ჯ“-თი □მარ-ჯ-ვენა), ანუ არ დაირღვა მთავარი პრინციპი — გამარტივება.“

აგრეთვე „ჩვენი მსჯელობის მართებულებას ამტკიცებენ შემდეგი ფაქტები: მეგრული სიტყვის „ს“ □ცალკე აღებული) ქართულში არასდროს იცვლება „შ“-თი, მაშინ როდესაც მეგრულში ხშირად იქცევა „ს“-თი □შური-სული, შხვა-სხვა, შუმა-სმა).

ამ რიგის მაგალითად ჩაითვლება: ჯაჯაძერა, ჯიკი-ძირკ-საძირკ-ველი, ჭკუჯი-ჭური — ჭურ-ჭელი, სქანი — შენი, სქირი — შვილი, სქვერი —შველი და ა.შ.

„შეიძლება წამოიდგინოთ უკულმა პროცესი ამ სიტყვათა წარმოქმნისა? ხოლო ფიქრი იმის შესახებ, რომ შესაძლოა ეს სიტყვები დამოუკიდებლად წარმოიქმნენ მეგრულ და ქართველურ ენათა საშყაროში, აბსურდის თეატრის შესაძლებლობებს აღემატება... ჩვენთვის ნათელი უნდა გამხდარიყო, რომ მეგრული შიშინა თანხმოვნების, ქართულში სისინა ბგერებით შეცვლა არის ხელოვნური პროცესი და არა ქართული ენის ბუნება. წინააღმდეგ სიტუაციაში ქართულს ასევე უნდა გაესისინებინა ქართულში აღმოსავლური ლექსიკიდან დანერგილი სიტყვები. მაგ. ჩაქუჩი — ცაქუცი; ჯანდაბა — ძანდაბა; ჯანჯალი — ძანძალი... თავად ქართულს მრავალი სიტყვა გააჩნია შიშინა ბგერებისგან შემდგარი და ერთი შეხედვით, არც გამოირჩევა სხვა კოლხურ-კავკასიურ ენათაგან“.

კი, მაგრამ ისმება კითხვა, რატომ? რა მოსაზრებით?

„ქართული ენის, ქართული ლექსიკის ფუძეები მთლიანად მოიძიება სვანურ, მეგრულ-ლაზურ და მესხურ ენებში, ანუ კოლხურ საშყაროში, ანუ ქართული ენა მოდერნიზებული კოლხური ენაა“.

P.S.

ჩაიხრიგინებს რამდენიმე თვე და ამჯერად ბატონი ჯუნი თავად ესტუმრება ჩვენს ოფისს კოსტავას 14-ში. ქუჩაში გამოვეცნაურებით ერთმანეთს.გაიხარებს სიტყვებს დაჭიდებული კაცი. ახალი წიგნების წყებას მომართმევს მომდევნო დღეს. დასახელებული ნაშრომის მესამე ნაწილს, სადაც გშეხების ენა მეგრულზე, იგივე კოლხურზე სფინქსივით ალაპარაკდება ნაცარ- მოყრილი ჩვენი სული.

ნაშრომი ყველასთვის სათაყვანებელი „იისა“ და „ô è à ë ê à“-ს იდენტიფი- კაციით იწყება. იაჟუჟუნა ორგანულად ეგვირისტება იავნანას სემან ტიკას და გოგებაშვილის მოთხრობის პეროსნაჟი ქეთოს გონებაში აღმოცენებულ ეროვნულ ძირებს. ავტორი ქართველ ისტო რიკოსთა ანისტორესიის — საკუთარი წარსულის განზრახ მიფუჩჩების სინდრომს აცამტვერებს თიხის კერპებივით. კოლხეთის ათასწლოვან საძირეს დამყნოყილმა საქარ თველომ ვერაფით შეიშნოვა მემკვიდრეობით ბოძებული ქორონიკონები და სხვათა საჯიჯ- გნად მიატოვა მშობლიური სიტყვაკაზმულობა.

ამიერიდან ჯ. ჯ. კაკულია ხელიდან არ უშვებს მცირე შანსსაც კი, რათა ნებაყოფლობითი მანქურთობა გავარვარებული შანთებით ამოწვას ქართლოსის შთამომავალი ისტორიოგრაფიიდან, რომელიც განგებ და მოფიქრებულად არ იხედება უშორესი წარსულისკენ, სადაც კოლხეთის დიდება დანთქმულა საკაცობრიო ნისლში. ნაშრომში ყოველ სტრიქონში, ყოველ ბწკარში გამოძერწილია ეროვნული თავმოყარეობის კრედო: ჩვენ უწინარესი **ევროელები ვართ.** მეტიც იგი შეეჭიდება არც თუ იოლ დილემას, რომ **„ევროპული ცივილი- ზაცია არის ქრისტეანიზებული ბერძნული ცივილიზაციის განვითარება, ანუ კოლხთა მშობლიური სამყაროს განვითარება“.** ავტორი შეუვალი თანამიმდევრობით მიუყვება აზროვნების ფრიალო აღმართებს, რათა ერთხელ და სამუდამოდ ვირწმუნოთ: **ჩვენი საბოლოო მიზანია დავამტკიცოთ „კოლხურ და შუმერულ კულტურათა თანადროული, ნათესაური ბუნება და აღვიქვათ, რომ ქრისტეანობისა და ბერძნული ცივილიზაციის ფესვები ჩვენი „აზია-ეგვიპტედან“ მომდინარეობს, ევროპული ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ჩვენს წინა აზიაში ჩამოყალიბდა და ამის შემდგომ საერთო კულტურამ ინაცვლა ჩრდილოეთით ჩვენსავე ევროპაში, ანუ ევროპული კულტურა იშვა და განვითარდა ჩვენს კოლხურ, ევრაზიულ სივრცეში. ამით გაცხადდება — კოლხთა (ქართველთა) შუდმივი სწრაფვა ევროლპული სახლისკენ არის სწრაფვა საკუთარი მრავალსაუ- კუნოვანი კულტურის განვითარებისაკენ და არა დროებითი მოვლენა, მით უმეტეს, რომ წინა აზიური კულტურისაგან მხოლოდ არქეოლოგიური ძეგლებია დარჩენილი და ამ სიმარტოვეში**

სულიერი გამყინვარება გველის“

მოვლენებს ვუსწრებ, მაგრამ ჯ. ჯ. კაკულიას მიზანი მეორე შენაკადსაც შეიცავს — რავც შკიძლება დამაჯერებლად დაამტკიცოს საქართველოს ესოდენად დაკნინებრის უმთავრესი მიზეზები. იგი არაფერს ერიდება ლინგვისტიკის პოლიტიკის რანგში ასაყვანად, როცა რუსეთის იმპერიულ მზაკვრობებს ახდის ნიღაბს გზადაგზა. ამ შემთხვევაში ანისტორესია — საკუთარი წარსულის მიზანმიმართული დავიწყება ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლის მთავარ მექანიზმად სახელდება, მაგრამ ყველაფერზე — რიგისობის მიხედვით.

,,კოლხურმა მეტყველებამ, გამიმდინარე ბგერათა მუსიკალური ბუნებიდან და მათი მუსიკალური იერარქიული მდგომარეობიდან, თითოეულ ბგერას მიანიჭა გამორჩეული მისტიკური მნიშვნელობა და ეს შესრულდა ისეთ მაღალ დონეზე, რომ კოლხური გამოცდილება გაზიარებულია მსოფლიოს როგორც ძველ, ისე ახალ ენათა მიერ და რის გამოც კოლხური მეტყველება წარმოდგება მსოფლიო მეტყველების ერთ-ერთ საწყის ენად''-ო, — მიზანმიმართულია ჩვენი ისტორევიზორი. აქ ახლებურადაა წაკითხული დროთა ვითარებაში გახუნებული უამრავი სიტყვა. მრავალ საინტერესო ეტომოლოგიურ ძიებათაგან ჩვენ- თვის განსაკუთრებულია სიტყვე- ბის: ,,ღმერთის'', ,,შუმერის'' და ,,ფსქი''-ს კაკუ- ლიასეული ინტერპრეტაცია.

აგერ, გააშკარავდა ჯერ კიდევ როდის, რამდენგზის გამოჩინებული დებულება, რომ ჩვენი ქვეყ- ნის სივრცემ ორგზის მაინც გაიარა რენესანსის ნანატრი ჟამი, აიეტის კოლხეთის ზეობის პეირიო- დსა თუ თამარ დედოფლის ეპოქის წიაღ.

პირველმა რენესანსმა მოგვცა ,,ოქროს საწმისი'' — კირბები — მეცნიერების სხვადასხვა დარ- გის ჩანაწერები ცხვრის ტყავზე; ხოლო მეორემ — ,,ვეფხის ტყაოსანი'', — რეფორმირებული კოლ- ხური ენის მარგალიტებით ხელიხელ საგოგმანებელი სიტყვათა გვირგვინი.

გამოვთქვამდი და გამოვთქვამ სურვილს მესამე სინთეზისას, როცა შეიქმნება სრულიად ქართ- ველურ ენათა სინთეზური ლექსიკონი, და ჩვენ მომავალ თაობებს შევუქმნით აურწყავ რეალობას; როცა ქართული **სუფევის** გამომხატველი ბგერითი ფორმა 9 მილიონს გადააჭარბებს. ეს ყველა- ფერი რენესანს-მესამის ვითარებაში ხომეროსის ბადალი გენიოსის მოვლინების ტოლფასია.

ბატონ ჯუნი ჯუმბერ კაკულიას — ,,ქართლის ცხოვრების'' პირუთვნელი რევიზორის საკითხე- ბისადმი სინთეზური მიდგომებით გაირკვევა ერთი უმთავრესი რეალობა:

კოლხური მეტყველების გარდაქმნით, გამარტივებით, ცნებითი მნიშვნელობების გაუპირატე- სოებით მივიღებთ ნაცადი ხელით გასხლულ ვაზს, რომელიც უხვად მოისხამს სიბრძნის მტევნებს; და ქრისტეს იდეების სამსახურში ჩამდგარი, ხატოვანი, სალოცავი ენა ჩამოიშორებს ძნელადწარ- მოსათქმელ ბგერათკომპლექსებს, ფორმებს, გაკეთილშობილდება.

განა იგივე გზა არ გაუვლია ბ-ნ ზ. ქაფია- ნიძის მტკიცებით შუმერულ-ქართულ ასომთავრულს, რომელიც უგულებელყოფს წარმართულ განსწავლულობებს და მხოლოდ მეტყველების ხასიათს დაუქვემდებარებს ანბანს, 35 ასო-ნიშანს 22-მდე შეამცირებს, მაგრამ წაშლის, გადაფხეკვის, ამო- ძირკვის დიდოსტატი მღვდელთმსახურობა, რაღაც დიადი მისიის აღსრულების მიზნით □დასტურად გამოდგება ძალადდამუნჯებული ,,ოდოია''), ბუნებრივია, ყველაფერს მოაქცევდა ქრის- ტეს რჯულის კვალობაზე, რამეთუ უფალთუფალი ბუნების კანონებში ჩარევას მკრეხელობად, ღმერთის ნების ხელყოფად მიიჩნევს, □მცნება პირველი) ამიტომაც თეორიულად წელგამართული ,,ბერები'' არაფრად დაგიდევენ კირბების — სამყაროს შემმეცნებელი წიგნის — კირბისის განი- ავქარებას, წარმართული ნიშების იავარქმნას და მათ ადგილას ახალი სალოცავების აღმართვას; მაგრამ გამოცდილია: ახალ ღვინოებს ახალ თხიერში ასხამენ, რათა ძველი არ განხეთქოს მათმა აბორგემბამან და არ დაინთხეს სრულად, ხოლო მივიწყებული მაინც იჩენს თავს მიუხედავად გა- მუდმებული მოსვრა-გადაშენებისა, ამოშუქდიდდება აკლდამებიდან, ჯვაროსნული ლაშქრობებიც კი ვეღარ გააცამტვერებს ჩვენი წინაპრების ნაღვაწ-ნამეცადინებს.

დიახ, ეს გახლავთ ჯვაროსნული ლაშქრობა მარადიულობის სიმბოლო ჯვრის Ѳ-სა და სარკისებური -ის — გონიერი მამრისა და მდედრის ერთობის უდასასრულო მოძრაობის დასათ- რგუნად, თუმცა თავად მაცხოვრისა არ იყოს, გამოუშკარავებელი არანაირი საიდუმლო დარჩება; გულსა შიგან მიმალული სიტყვა უცილობლად დაიძვრება ოდესმე ბაგეთაგან გალაკტიონის საზია- ნოდ, გინდა თევზის მსგავსად პირში ოკეანე გვქონდეს დაგუბებული. არ არსებობს დაფარული, რომელიც ზედაპირზე არ ამოტივტივდეს; თუნდაც აისბერგი იყოს, ამოტრიალდება ფუძით და კენწეროზე დამდგარ პირამიდასავით წარმოჩინდება.

დიახ, გიხაროდეთ, ლაზარე აღდგინებულია! მოახლოებულია ქართლოსიანთა III რენესანსის ნე-

ტარი ჟამი; პირველი აღზევების სათავეები წარღვნამდელ ათასწლეულებში იკარგება. II თამარის აცამ-ზევებას ემთხვევა, როცა ქართულმა სულიერებამ შეიწოვა წარმართული ცივილიზაციის დიდებითმო-სილი ფასეულო საჭირო კუთხით □პოლიფონია, არქიტექტურა, სიტყვის ყოვლისშემძლეობა) თუმცა ეს პრცესი ყოველთვის როდი წარიმართა სამართლიანობის პრინციპით, წარმართული, ცრუმორწმუ-ნეობის, ბუნებაში კირკიტის კვალობაზე, რასაც უფლისეული დოქტრინა კატეგორიულად კრძალავდა, ამოიშანთა ქრისტიანული დოგმატიზმით ყოველი ანტიმართლმადიდებლური. XXI საუკუნის კარიბჭეს კი ჩვენ უნდა შევხვდეთ ახალი სინთეზური სულისკვეთებით — აღვადგინოთ ჩვენს **სუფევაში** ჯვრის პრინციპით ცხოვრება. ქრისტიანულმა დოგმატიზმმა ხომ ჩიხში შეიყვანა კაცობრიობა □რელიგიური განსხვავებულობებს ეკუმენიზმიც ვეღარაფერს შველის უკვე), ყველას საკუთარი მოჭრილი მონეტა მიაჩნია ჭეშმარიტად, რომლის მეორე მხარეს საერთო უფალთუფალი ღმერთია გამოსახული, მთლიანი, მიუწვდომელი, ყველგანმსუფევი, განუყოფელი და გაწონასწორებული; დი-ალექტიკურ მა მატერიალიზმმა თავისი მაქსიმალიზმის წყალობით პოზიციები დათმო. მაშ, აღარ დადგა დრო-ჟამი, წინაპირობა ახალი მსოფლმხედველობის დასინთეზებისა? რაც შეეხება ენობ-რივ პოზიციას, როგორც არასდროს, მოახლოებულია ქართული ენის შემდგომი აღზევების გონიერი ხანა ქართლურ-სვანურ-მეგრულის ზედმიწევნით შერწყმის საფუძველზე, რომელიც მორიგ სიმაღლეებს აზიარებს ჩვენს არსებობას, ჩვენს **სუფევას...**

ლაზარე აღდგინებულა

ახლა კი გულდამშვიდებით შემიძლია დავასკვნა: დიახ, ზეიმობდეთ, მეგობრებო: **ლაზარე აღდ-გინებულია!** ნაპოვნია მაგიური ქუდბედი გასაღები, რომელიც ასწლეულობით წინ გვედო, ლაფა-როსთან მობიბინე სიკვდილის წამალივით, უმეცრებით რომ ვერ ვწყვეტდით ჩვენივე თავის უკვდავ-საყოფად;

დიახ, თვალწინ გვედო ერთობ მიძინებული ქართული სულის შემანჯღრეველ ეზოთერულ-მესიანისტური ტექსტის გასახსნელად, რომელსაც შემოკლებით ,,ქებაი''-ს ვეძახით.

,,ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი'' მწიგნობარი სასულიერო პირის, იოანე-ზოსიმეს, კალამს მიეწერება X საუკუნის არეალიდან და გეორგიანელთა დაკნინებული არსებობის მაინპულსებელი მნიშვნელობისაა დღევანდლობის თვალსაწიერიდან.

ოთხთავის მსგავსად ,,ქებაი'' 4 ეგზემპლარად შესრულებულ იოანე-ზოსიმესეულ თხზულებას მრა-ვალი ასპექტით გავაანალიზებთ ქვემორე, მაგრამ ამწუთას მახარობლის უგულწრფელესი აღტყინე-ბით შეგვიძლია შემოვძახოთ: **ლაზარე აღდგინებულია!** სულშთაბერილია ხელმეორედ, რადგა-ნაც ნაპოვნია მისი გასაღები, შიფრი, — ენა ლაზარესი, ენა ლაზეთისა, კოლხეთის ენა, მოგვიანებით ქართულად კურთხეული. დღეს მეგრულ-ჭანურ ტომებში მცირეოდენი სახეცვლილებებით მფეთქა-ვი ძალუმად, თავდავპირველი, დასაბამიერი ენა, როგორც საკუთრივ ქართულისა, ისე მსოფლიო ენათა მრავალრიცხოვანი ოჯახისა, სრულყოფილად რომ მოიცავს ათდღიან ოდისეას ღმერთის ენა-ზე, პლანეტა დედამიწის წიაღ.

გასაღები ნაპოვნია — რომლის არსი მარტივად და ლაკონურად შემდეგნაირია: **ნებისმიერი ენა ხმაბაძვითობის ნიადაგზეა წარმოშობილი. ადამიანთა ჯგუფები ჯერ კიდევ დანაწევ-რებული მეტყველების უქონლობის პირობებში მდინარეთა სანაპიროზე, ტბების სიახლო-ვეს გამოქვაბავდნენ კლდეებს,** ან ბუნებრივ მღვიმეებში მკვიდრდებოდნენ და ასეთნაირად აგრ-ძელებდნენ თავიანთ ჯიშ-ჯილაგს.

ამ ეტაპის მათი საზოგადოება მატრიარქალურია, მდედრის გვარისა. ადამიანს უკვე თავისუფ-ლად შეუძლია იარაღის ხმარება, მიწის მოჩიჩქვნა, ნადირის დაკოდვა, კედლების მოხატვა მამონტე-ბის მოძრავი ალისფერი სხეულებით,მაგრამ ჯერ კიდევ ენაბლუა, ენაბორძიკა, ენაბრგვილი.

მისი სამეტყველო აპარატურა სამიოდე თანხმოვნური ბგერათკომპლექსის ნიადაგზე წარმოებუ-ლი რამდენიმე ათეული ,,სიტყვით'' განისზღვრება და მართალია, ამ დროის ადამიანს ანთროპოლო-გები უკვე ეძახიან ჰომო საპიენსს, მაგრამ იგი ჯერეთ ვერ არის ენაგაკრეფილი. კაცობრიობის განვ-ლილ ცხოვრებას ფაზობრივად □როგორც ფიზიოლოგიურად ისე სოციალურად) იმეორებს ბავშვი. მას თანაბრად უჭირს გავლაც და დალაპარაკებაც. მისი უაზრო ტიტინი ცხოველური პერიოდის გამოძახილია და თითქმის კანონიკურია, როცა უკვე ფეხადგმული ბავშვი დარბის კიდეც, ღობე-ყორეს ედება, მაგრამ ლაპარაკი უძნელდება, და რადგანაც მეტყველება ადამიანში ბაზისური მომენ-ტია, დიახაც მოგვიანებით დაიძლევა მოზარდის ცნობიერება-I-ის ფორმირების ეტაპზე.

ამ საფეხურზე ბავშვის ფსიქოლოგიაში აბსოლუტურად რედუქცირებულია კაცობრიობის ისტო-

რიის მთავარი ფაზები და მომენტები. მაგრამ გადასაჭრელია ენების სიმრავლიდან გამომდინარე მათი უპირატესობისა თუ უუარქაულესობის საკითხი.

ჩვენი ავტორები საკმარისზე მეტად ჭკვიანები აღმოჩნდებიან, ეყოფათ მეცნიერული „**Aurea Mediocritas**" გრძნობა — მოზომილად გაგვიმხილონ მთავარი სათქმელი — თუ რისთვის არის ლაზარე აღდგინებული, ასე რომ, იძულებული ვარ ხაზგასმების მთელი პასუხისმგებლობა თავად ვიტვირთო:

ლაზარე აღდგინებულია! რადგანაც ნაპოვნია საკაცობრიო მეტყველების საფუძველთა საფუძველი — დასაბამისეული ადამიანის აუბნება ბუნების მოვლენებისადმი ხმაბაძვითი ხასიათით.

კაცი იმის შემწეობით დაწინაურდება ბუნების ნაშიერთაგან, რომ მას აღმოაჩნდა მიმბაძველობის საოცარი უნარი, რადგანაც იგი გახლავთ **Homo-mimetes**-ი. ბუნების მოწაფე ადამიანის თავდაპირველი ბგერები და ბგერათკომპლექსები წყლის ხმიანების მიახლოებაა და აქედან გამომდინარე წყ, ჩხ, ცხ ბგერათკომპლექსებით იწარმოება სიტყვათა გარკვეული გარემომცველობა, რაც იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნილებებს სავსებით აკმაყოფილებს, ამასთანავე ნახევარხმოვანი.

დასტურბგერის გაჩენა აკუსტიკურობას მიანიჭებს ადამიანის ხორხს და ელასტიურობას, მოქნილებას უანდერძებს ენას მისას. დასაბამისეულია ენა, რომელსაც ეს თავდაპირველი ბგერები და ბგერათკომპლექსები ეძებნება. (დასახელებული თეორია ცხადია, სასაცილოდ არ ეყოფა ვლ. ჩუბინიძესა და მისი ორიეტაციის ხალხს, რადგანაც მათი რწმენით ადამიანი წარღვნის შედეგად, ღვთიური მდგომარეობის წართმევის საშიშროებამ აიძულა შეექმნა დამწერლობა, რათა კალოსალური ცოდნა, ინფორმაცია სამყაროს აგებულების შესახებ განეფინა, გაემატერიალებინა ენის ფენომენში. და კასტური, კლანური მიდგომის გამო ეს ცოდნა დღითი დღე დავიწყებას მიეცა. მაგრამ ენა ღმერთის შექმნილი თუა, საინტერესოა, რისთვის მოატეხვინა თავის მრევლს იგი წყ, ჩხ, ცხ ბგერათკომპლექსებით, რად არ ააუბნა ისინი იმთავითვე კეთილხმოვანი სიტყვებით?!) უფრო ზუსტად კი, ენა, რომლის სიტყვები აგებულია წყ, ჩხ, ცხ და მათ მსგავსებადობის არეალში მოხვედრილ ძირებზე, ხმაბაძვითი ენაა. აქედან განვითირდება დედამიწაზე არსებული ყველა ენა, ამიტომაც თავდაპირველი ენა მონობაზისურია, ერთსახოვანი, ერთჯერადი. (გამოვთქვამ ვარაუდს, რომ ადვილმოსალოდნელია ხე ცნობადისა, სვეტიცხოველი, კირბები, ოქროს საწმისი კაცობრიობის ამეტყველებისა და დამწერლობითი კულტურის სიმბოლიზაციაა). ქართველური ენების საკუთრივ ქართული, სვანური და მეგრულ-ჭანურ-ლაზური, იგივე ზანური, აგებულია დასაბამისეული, ბუნებისგან გადმოღებული წყ, ჩხ, ცხ ბგერათკომპლექსების ბალავარზე.

სხვა ენები განვითარდებიან ჯერ ერთი, პირობების გარემომცველობის შესაფერისად, და მეორე, რადგანაც მოგვიანებულ პერიოდში უკვე ფორმირებულ და გამყიფებულ ადამიანის მეტყველებას ელასტიკურობა დაკარგული აქვს, მოწყდება ნელ-ნელა მშობლიურ სათავეს და გაკეთილხმოვანების გზას დაადგება, ამისთვის არის ზოგი თანამედროვე ენა, მაგ., იტალიური ჰარმონიული, საოპერო ენად ცნობილი, თავდაპირველი, მხოლოდშობილი პროტოქართული, პროტოიბერიული კი დარჩება თავისი ბუნების ერთგული. პირვანდელი ფორმების — გენური შეჭიდულობის მაგვარი თვისებით დანარჩუნება ქართველურ ენებში — საკაცობრიო ენის მშობელ დედად — „ალმა მატერად" მოვლინება და ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, ჩვენში როდი აღმოაცენს რაიმე უპირატესობის გრძნობას, გონებაშეზღუდულის ამბიციებს, რამეთუ ბავშვობის ასაკი შეუძლებელია ჯობდეს იმავე ინდივიდისათვის ჭარმაგს, მაგრამ თავდაპირველი ენის ძირების რეგენერაცია შემოთავაზებული ანალიზებით მიგვანიშნებს იმასაც, რომ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე კომპაქტურად, სტაბილურად ცხოვრობს ერთ ტერიტორიაზე, ნაკლებად ექვემდებარება გლობალურ ცვლილებებს.

ეს მტკიცდება ქართველური ენების ბუნებიდანაც, რადგანაც ქართველი ანთეოსივით უძლეველია, თუკი საკუთარ მიწა-წყალს არ მოსწყვეტ, თუკი არ მოაშორებ თავის ოდაბადეს, ობადიშს, მამულს, სამშობლოს, ლარდას, მემლექეთს, დობადონას, შურობუმუს, სადაც პირველად აიდგამს ფეხს და ენას, და აქედან მოყოლებული ტაატით მიუყვება საკაცობრიო ოკრობოკრო აღმართებს.

ათას წელიწადში ზოგი ენა კვდება და აღმოცენდება კიდეც. ათიათასი წლის მანძილზე კოლხეთ-იბერია... — საქართველო, შეძლებს საურთიერთობო ვარგისიანობის დონეზე შეენარჩუნებინათ დასაბამისეული ენა, უფრო სწორად, იქნებ დასაბამისეული ენის ბუნება განაპირობებს ჩვენი ფიზიკურ-ფსიქიკურ გადარჩენას, დამუხრუჭებას, ზედმიწევნით შენელებას სწრაფმავალი გადაგვარებისკენ, გაუცხოებისკენ;

დასაბამმისეული ენის პირველყოფილი აკუსტიკურობა დანარჩუნებულია ხმაბაძვითი ბგერათკომპლექსების მეოხებით და იმითაც, რომ კოლხეთ-იბერია სუფევს და მკვიდრობს კოსმიური ნათების,

სვეტიცხოველის ზემოქმედების არეალში ნელი მოქმედების კვადრატში — 43 და 42 (დააკვირდით 43-42-ის კაბალისტური ჯამია 13, ხოლო შიდა წევრებია 3-4, სამ-ოთხი, ,,სამოთხე''!) მიწისქვეშა სიცარიელის კონცხზე, კინკრიხოზე, რომელსაც უფალთუფალს, დაოს უწოდებს გენიალური ლაო ძი.

ლაზარე აღდგინებულია! ნაპოვნია კლიტე, რომელიც ამ ათასწლოვანი, სინელი ბერის ,,გადმოჩხაბილ''-ი აპოკალიფსური ძეგლის გახსნას გვპირდება, მაგრამ მოვლენებს ნუ გავუსწრებთ და ჯერ ,,ქებაის'' საპოლემიკო ტექსტს მივადევნოთ თვალი ჩვენეულ მოსაზრებათა საექსპოზიციოდ.

იოანე — ზოსიმე

,,ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი''

„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა, საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთან ამხილოს ამითა ენითა.

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰ ქვიან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან; ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაი. და მეგობრობაი ამისთვის თქუა, ვითარმედ „ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს“;

და ოთხისა (4, იგივე 13, გ.ო.) **დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ „წელი ათასი ვითარცა ერთი დღეი“.**

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათეისსა წილი ზის, რომელი ასოი არს და იტყვის ყოვლად ოთხიათასსა მარაგსა; — და ესე არს ოთხი დღეი, და ოთხისა დღისა მკუდარი. ამისთვის მისთანვე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მამისაითა.

და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა, და სასწაულად ესე აქუს ოთხმოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა, ქრისტეის მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისაი“.

დაგვეთანხმებით, ქართველი კაცისთვის არ არსებობს უფრორე დამაინტრიგებელი, უფრორე ზეაღმტაცი წინასწარმეტყველება, ვინემ იოანე-ზოსიმეს ,,ქებაია''. მოგვიანებულ პერიოდში მომრავლდება ამ საკრალური ტექსტის პლასტიკური ოპერაციის მცდელობები. იქ სადაც თეთრზე შავით წერია: ,,მეორედ მოსვლისა მისისა, საწამებლად'', გადაკეთდება ,,მეორედ მოსვლისა მესიისა, საწამებლად'', თითქოსდა ,,მისისა''-ში არ იგულისხმებოდეს, მესია, ქრისტე. ასევე ქირურგიას დაექვემდებარება ციფრობრივი მონაცემი 94 (რომლის დამახსოვრება გვმართებს მსჯელობის ფინიშისათვის) და სანაცვლოდ შემოგვეჩეჩა 104, რომლითაც მოხდება ცნების პროკრუსტესეული გაჭიმვა და რადგანაც ქართველებს 532 წლიანი მოქცევა ალექსანდრიულზე 104 წლით ადრე დაგვიწყია, ხომ უნდა მოარგოს მყესი მყესს? არადა, იოანე-ზოსიმესეული ,,94'' სულ სხვა ეზოთერიაა — 9-ისა და 13-ის საიდუმლოების ფლობას გულისხმობს.

იოანე-ზოსიმეს ზოგი მკვლევერი (ეპისკოპოსი იოანე-იონა, გ.ო.) ,,ქებაის'' მხოლოდ გადამწერად მიიჩნევს, რადგანაც ავტორს დედნიდან ასლის გადაღებისას არაფრით მოუვიდოდა სამი საგულისხმო შეცდომაო:

I. „და ესე რომელი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ასი ესე წელი ანბანისაი“.

II. „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ასი ესე წილი ანბანისაი“.

III. „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისაი“.

ამ სამ წინადადებაში I-თან ,,რომელი'' ორჯერაა ნახმარი და ტავტალოგია თვალში საცემია. თანაც აქცენტი ანბანიდან — წილი-დან წელზეა გადატანილი — ქრონოსზე. აქვე გაუგებარია ანბანის ასი წელი და ზედმეტობის შთაბეჭდილებას ქმნის, რაც III წინადადებითაც დასტურდება. მეორე წინადადება-წერილი ჩამოიშორებს პირველის ცთომილებებს ,,ასის'' გამოკლებით და მხოლოდ მესამე წარმოგვიდგება კანონიკურობის ელფერით. ციდა ტესქტის გადაწერისას შეუძლებელია იოანე-

ზოსიმეს ამდენი შეცდომა მოსვლოდა, მითუმეტეს პროფესიონალს, კალიგრაფისტს, მწიგნობარს. ხომ არ მიუთითებს ჩვენი სიტუაცია ორიგინალის უქონლობაზე, გადამწერის ხსომიერებით აღდგენაზე მესიანისტური მნიშვნელობის ტექსტისა ან უკვე ავტორის ლაბორატორიულ სამზარეულოზე, სადაც ტექსტის აღიარებული ვარიანტი საბოლოოა, შედეგია სტილური და შინაარსობრივი დახვეწისა?

მოკლედ, სინელი ბერ იოანე-ზოსიმესათვის, ვიდრე ,,ქებაი'' ავტორის თუ გადამწერის სტატუსი მიგვინიჭებია განვიხილოთ მკვლევართა დამოკიდებულება ამ ძეგლისადმი.

მეათე ზედირსეული ქართველი

დავიწყებთ იმით, რომ გიას გამსახურდიას სამთაბახიანი ესსე (რომელიც ავტორის შენიშვნისამებრ ნაწილია თურმე ვრცელი მონოგრაფიისა ,,იოანე ზოსიმეს ექსტოლოგიისა და მასთან დაკავშირებული ფილოლოგიურ-ეთნოლოგიური პრობლემების შესახებ'') ნიმუშია აზრის გაქანებისა და დიაპაზონისა საერთოდ, ხოლო ,,ქებაᲘს'' მისებური კომენტარები, ინტერპრეტაციანი ნაზიარებია განსჯის კლასიკურ მეთოდს და აქ დილეტანტური ირაციონალური ალბათობებისათვის ნიადაგი მწირია.

ზ.გამსახურდიამ პირველმა მიაქცევს ყურადღებას ,,ქებაᲘს'' ,,ენის'', როგორც ფენომენის სემანტიკას. იგი უამრავი ცხოველი მაგალითის მოშველიებით (ძველი აღთქმა, ს.ყაუხჩიშვილი...) ერთხელაც შეგვახსენებს, რომ თავდაპირველად ,,ენა'' ფართო მნიშვნელობით აღიქმებოდა, იგი თავისთავში სამეტყველო ფუნქციასთან ერთად გულისხმობდა ხალხს, ეროვნებას, მოდგმას. ეს დაზუსტება ნათელს მოხფინს რამდენადმე ,,ქებაᲘს'' საორჭოფო პასაჟებს. ასევე დაძებნილია ზოგი ტერმინის, სიტყვის დღევანდელი შესატყვისები, რაც უნიკალურ ძეგლს მისტიკურ საბურველს ჩამოაშორება.

ზ. გამსახურდიას მიხედვით ,,საწამებლად'' ეკვივალენტურია სარწმუნოსი, სარწმუნებლისა, ,,დასამოწმებლად'', ,,სვიდეტელსტვოვათ''; ,,მხილება'' — მსაჯულობა, განჩინება, ,,რაზობლაჩენიე''. ,,ქართული ეროვნება და მისი ენა (ქართველი ერი) შენარჩუნებულ იქნება მისი (ქრისტეს) მეორედ მოსვლის დღემდე, რათა მან სწამოს (ქრისტესთვის), რათა ყოველი ერი ღმერთმა ამხილოს ამ ერის მეშვეობით''. ასეთნაირად კითხულობს ზ. გამსახურდია ,,ქებაᲘს'' პირველ წინადადებას. ასევე თამამი და დასაბუთებულია იოანე-ლაზარეს იდენტურობის საკითხი. ახალ ნინოში იგი ხედავს თავდაპირველ ნინოს, კაპადოკიელს, ტომით ქართველს, ლაზარეს და მარიამივით მისტიკოსს, ნათელმხილველს, საქართველოს განმანათლებელს, სიმბოლოს სულის შინაგანი მედიტაციური აქტივობისა. ,,მეგობრობა'' კი თანაბრად ეხება, როგორც ლაზარე-იოანეს, ისე ქართულ მოდგმას — უუახლობლესს ქრისტესი ,,ფილიას'' მნიშვნელობით, საგანძურს კაცობრიობის ყველა ეზოთერული საიდუმლოსი, იმ მასშტაბითა და დოზით, რამდენიც ჩამოერთმევა მაცხოვარს, რადგანაც ჩვენს შესაძლებლობებს არღა ხელეწიფება, ძალუძდა მეტის ტვირთვა. მოკლედ, საუბარია არა ქრისტეს ყველა ეზოთერიულ საიდუმლოზე, არამედ იმ ნაწილზე, რომლის გადაცემასაც იგი შეძლებს თავის მოწაფეთათვის და კაცობრიობისათვის.

,,პროტო-ქართული მოდგმა და კულტურა პრეისტორიული ხანიდან უაღრესად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისტერიათა კულტურასთან, უფრო მეტიც, იგი იყო შემქმნელი ამ მისტერიათა, იყო მათი კულტურტრეგერი, რაც მოსჩანს არგონავტების მითიდან, აგრეთვე ანტიურობის მწერალთა და ისტორიკოსთა სხვა წყაროებიდან, აგრეთვე ,,ქართლის ცხოვრებიდან'', სადაც მოთხრობილია ფარნავაზ მეფის ინიციაცია სულიერი მზის მიერ, აგრეთვე ქვაბში საუნჯის პოვნა, რაც საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლოა მისტერიალურ სიბრძნესთან ზიარებისა. შემდგომში საქართველო ეზიარა ახალ, ქრისტიანულ სიბრძნეს, ქრისტიანულ ინიციაციას ,,ახალი ნინოს'' მეშვეობით.

აი, რას გულისხმობს იოანე-ზოსიმე, როდესაც ამბობს, რომ ,,ყოველი საიდუმლო ამა ენასა შინა დამარხულ არს''. საქართველო, გადმოცემით ღვთისშობლის წილხვდომილია. ღვთისმშობელი, სოფია, ანუ ზეციური დედა ეზოტერული თვალსაზრისით არის დედა მისტერიებისა, იზიდა, ,,მაგნა მატერ'' რელიგიებისა და კულტურებისა. ხოლო პირველქრისტიანთა და ეკლესიის მამათა გაგებით, იგი არის სულიწმინდის მიწიერი გამოცხადება, სულიწმინდისა, რომელიც არის მომცემელი ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნისა □სოფიასი) და ამავე დროს ცოდვათაგან განწმენდის მადლისა... ამრიგად, სახარების მიხედვით, სულიწმინდის მისსია არის კაცობრიობის ცოდვათა, ანუ ,,ყველა ენათა'' ცოდვათა მხილება. იგივე მისსია ეკისრება ქართველ ერს მომავალში, იოანე-ზოსიმეს თვალსაზრისით. ეჭვგარეშეა, იგი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, სულიწმიდის მიერ კაცობრიობის მომავალ მხილებას ქართველ ერს იმის გამო უკავშირებს, რომ საქართველო არის წილხვდომილი ღვთისმშობლისა, ხოლო ღვთისმშობე-

ლი არის სულიწმიდის მიწიერი გამოცხადება... ამრიგად, სულიწმინდა არის კაცობრიობის მამხილებელი და ამავე დროს ,,ყოველი საიდუმლოს'' ანუ საიდუმლო სიბრძნის მომმადლებელი. ასევე ქართული ენა, ქართული მოდგმა, ვინაიდან მისი მისსია იგივე სულიწმინდის მისსიაა, ე.ი. სულიწმინდა ქართული ენის, ანუ ქართული მოდგმის მეშვეობით განახორციელებს თავის მისსიას, როდესაც ამხელს კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს''.

განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის ,,ქება□ს'' ზ.გამსახურდიასეული ენათმეცნიერულ-ეთნოლოგიური მონაცემები: იოანე-ზოსიმეს ,,4 ათასის'' პირველი სამიათასწლიანი პერიოდი ემთხვევა ქართული ენის — ქართული მოდგმის ,,დამდაბლება-დაწუნებას'', რაც სინელი ბერის გაგებით სიკვდილის ბადალია. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ,,ქებაის'' შექმნის ეპოქაში საქართველოში არსებობდა რაღაც ცოდნა პრეისტორიული ხანის, პროტოქართული მოდგმისა და ენის შესახებ. ასე რომ, პროტო-ქართული (იაფეტური) მოდგმა და მისი ენა ,,დამდაბლებული'' და ,,დაწუნებული'' ხდება სწორედ ძვ.წ.მესამე ათასწლეულიდან, ანუ, თეოსოფიური ტერმინოლოგიით, კალიუგას — ბნელი პერიოდის დასაწყისიდან, როდესაც ევრაზიაში იწყება ინდოევროპელთა ექსპანსია და გაბატონება, რაც ბერძნულ მითოლოგიაში სიმბოლიზებულია იაპეტის ძის ტიტან პრომეთეს (,,წინასწარმეტყველური აზრის'') მიჯაჭვა კავკასიონზე და დედამიწაზე ზევსისა და მისი პანთეონის დომინირებით (პრომეთე — იაფეტური კაცობრიობა, ზევსი — ინდოევროპული კაცობრიობა).

პრომეთე არ არის ბერძნული ღვთაება, იგი იმ ხალხის ღმერთია, რომელიც ბერძნების მოსვლამდე ცხოვრობდა და მაღალი კულტურის მატარებელი იყო. ხოლო ოლიმპიელი ზევსი — წმინდა ბერძნული ღვთაებაა, ზევსი იმ ბერძნების ღმერთია, რომელიც კულტურის საკმაოდ დაბალ საფეხურზე იდგნენ, როდესაც მოვიდნენ და დასახლდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ახალმოსული ბერძნული მოსახლეობა ებრძოდა დიდი კულტურის მქონე ძველ მოსახლეობას, პროტო-ქართულს. ასე რომ, მკვლევარის განცხადებით, კავკასიაზე მიჯაჭვული პრომეთე უნდა გავიგოთ, როგორც მაღალი ცივილიზაციის მატარებელი პროტო-ქართული მოდგმის კავკასიაში ლოკალიზება, რამეთუ უფრო ადრინდელ ხანაში ეს მოდგმა აღავსებდა არა მხოლოდ კავკასიას, არამედ ინდოეთს, ხმელთაშუა ზღვის აუზს, ჩრდილო და სამხრეთ ევროპას, პირინეებს, ეგეოსის არქიპელაგს და მცირე აზიას.

ჩვენ გვექნება მსჯელობა პრომეთეს მნიშვნელობაზე ამირანთან მიმართებაში, ზ. გამსახურ- დიასთან კი იგი ღმერთებისთვის ღვთაებრივი მეობის ნაპერწკლის მომტაცებელი ინდური პრომათუსას ანასხლეტია. პრომეთეს მხსნელია მისი საქმეების გამგრძელებელი ჰერაკლე, უძველესი პელაზგურ-იბერიული ქალღმერთის ჰერას □ხაერას) მემკვიდრე, და ინდოევროპელი ზევსის ძე, პელაზგურ-იბერიულისა და ინდოევროპულის სინთეზი, ნაყოფი. ,,ჰერაკლეს მიერ მიჯაჭვული პრომეთეს განთავისუფლება და ზევსის არწივის მოკვლა მისტერიათა ენაზე ნიშნავს შემდეგს: იაფეტურ-პრომეთესეული, ანუ პროტო-ქართული, პროტოევროპული მოდგმა, რომელიც დათრგუნა და შეავიწროვა ინდოევროპულმა მოდგმამ □ზევსმა), ამჟამად მიჯაჭვულია კავკასიაზე, დამდაბლებული და დაწუნებული, მტრული მოდგმით გარშემორტყმული. მას გულ-ღვიძლს უღადრავს არწივი □ინდოევროპელთა იმპერიული ძლიერების სიმბოლო). მაგრამ მომავალში პრომეთე განთავისუფლდება, აღორძინდება და დაიბრუნებს თავის თავდაპირველ ძალასა და პოზიციას მსოფლიოში, როლს ცივილიზაციისა და კულტურის შემქმნელისა, მისტერიათა კულტურტრეგერისა და კაცობრიობის მსაჯულისას. მას გაანთავისუფლებს ხერაკლე, ანუ ინიციაციის ახალი კულტურა, რომელსაც პრომეთემ თავად მისცა დასაბამი, რომელიც მომავალში მიაღწევს სულიერი განვითარების უმაღლეს საფეხურს, სულიერ ყოვლისმძლეობას □ჰერაკლეს ყოვლისმძლეობა) და იქცევა უზენაეს თეურგიად. ეს უზენაესი თეურგია არის ქრისტიანული თეურგია, ქრისტესეული ინიციაცია, რომლითაც მან აღადგინა ლაზარე, რომელიც გაგრძელებაა ანტიური მისტერიებისა, ახალი და უმაღლესი ეტაპია თეურგიისა და ინიციაციისა. აი, რა იხსნის დამდაბლებულ და დაწუნებულ, მიჯაჭვულ პრომეთე-ამირანს; აი, რა გაანადგურებს იმ იმპერიულ ძლიერებას □ზევსის არწივს), რომელიც მას აწამებს''.

სამახსოვროა პარალელები: ,,იასონ'' — ,,იესო'', (,,იასის'' — წამალია, ხოლო ,,იესო'' — მკურნალი). ამასთან ერთად, ნიშანდობლივია ისიც, რომ პროტო-ქართული (იაფეტური) მოდგმა აღიარებულია მიღმა სამყაროში გარდასული კაცობრიობის მსაჯულად. იაფეტიდი მინოსი, კოლხი აიეტის სიძე, თანამეცხედრე კირკესი მკვდართა მსაჯულია ჰადესში. ხოლო მინოსის ძმა, რადამანთისი ელისეს ნეტართა ველის განმკითხავია კრონოსთან და იაპეტოსთან ერთად დანტეს ,,ჯოჯოხეთის'' მიხედვით.

ასე რომ, იოანე-ზოსიმეს კონცეფცია ქართული მოდგმის, როგორც კაცობრიობის მამხილებლის, მსაჯულის თაობაზე, ჯერ კიდევ პრეისტორიული ხანიდან იღებს სათავესო, აცხადებს მეცნიერი.

აქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ იაფეტური წინარე ენა ქურუმთა და მოგვთა ენა იყო, რომ

პროტოქართველები, პროტოევროპელები, პროტოარიელები წარმოადგენდნენ კაცობრიობის რელიგიერ ელიტას (ვლ .ჩუბინიძისეულად თუ ვიტყვით ღმერთებს, ზენაარულ ცოდნას დაუფლებულებს და ეზოთერულად ჩაკეტილებს ამ სიბრძნეში), ,,ამიტომ ქართული ენა ლაზარეა ყველა ენებს შორის, იგი პირველადი ენაა, მთავარი ენაა, ისევე როგორც ლაზარე-იოანე იყო მთავარი მოციქული იესო ქრისტესი, მოწაფე ,,რომელიც უყვარდა იესოს'' და რომელიც იყო მისი უახლოესი სულიერი მეგობარი. იგი იყო ამავე დროს ძეობილი ღვთისმშობლისა, ისევე როგორც საქართველოა ღვთისმშობლის წილხვდომილი''.

ზ. გამსახურდიას ანალიზით ,,ქებაჲს'' ტექსტის ,,უმეტესი'' იშიფრება როგორც უპირატესი, ხოლო 94 შეესაბამება იოანეს აპოკალიპსისის შექმნის თარიღს. დაბოლოს, ,,ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ'' □რატომღაც 150 სიტყვიანი და 10 სტრიქონიანი ძეგლი, გ.ო.), სხვა არაფერია თუ არა და ეგზეგეზა იოანეს სახარებისა და აპოკალიპსისისა.

,,ამის გამო ბუნებრივია, რომ ავტორი □იოანე-ზოსიმე, გ.ო.) ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ თარიღს. იოანეს სახარებამ და აპოკალიპსისმა იგავურად გამოაცხადა, ხოლო იოანე-ზოსიმემ განმარტა, რომ ქართული მოდგმა, ქართული ენა, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, ლაზარე ერთა და ენათა შორის, ოთხის დღის (4 ათასი წლის) მკვდარი, დამდაბლებული და დაწუნებული, რომელმაც უნდა აღასრულოს ქრისტესათვის არნახული მოწამეობა, მომავალში აღდგება, დაიბრუნებს უნივერსალურ პოზიციას კაცობრიობის სულიერი მოძღვრისას, ხოლო ქრისტეს მეორედ მოსვლისას გახდება მამხილებელი □მსაჯული) ცოდვილი კაცობრიობისა...''

დაახლოებით ასეთია მკვლევარ ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულება ,,ქება ს'' ასერგასსიტყვიანი, წარღვნის დღეთა ოდენობის, ტექსტისადმი!

ჩვენ შევეცადეთ მოშველიებული მასალიდან წარმოგვეჩინა არსებითი და რადგანაც არანაკლებმნიშვნელოვანი ნიუანსებისთვის დრო და ადგილი უკმარია, ბარემ სხვა ავტორთა შეხედულებებსაც მივაპყროთ დაუნჯებული მზერა რაციონალური მარცვლის მოსახელთებლად.

ხელდასმული — იოანე-იონა
(ეპისკოპოსი მურთაზ ჩახავა)

ბ-ნ ზვიად გამსახურდია იცნობდა ბ-ნ მურთაზ ჩახავას წინდებულ ნაშრომს □სქოლიოში, უკეთ შენიშვნაში, მითითებულია: ,,პარალელი'', 1984 წ. ხოლო ვრცელტანიანი ,,რა უნდა ვაკეთოთ''. ,,ქებაჲს'' იოანე-იონასეულ წიაღსვლებს 1993 წლით გვთავაზობს); მკვლევარის მოსაზრებით იოანე-ზოსიმეს ,,94'' წელი სასწაულად ქონებული უმეტეს (უპირატეს) სხვათა ენათა, შეესაბამება ქრისტიანული წელთაღრიცხვის რომელიღაცა ბოლო ორი ციფრს, თანაც მეორედ მოსვლის მიჯნას მიახლოებულს. აქედან გამომდინარე გასაგებია თუ ვლ. ჩუბინიძის ,,სასწაული'' (გამოცემულია 1993 წელს, გ.ო.) გივი ალაზნისპირელის, იოანე-იონას თხზულებანი). რისთვის არის 1994 წლით დათარიღებული, ფრიად ყურადსაღები მინიშნებანია!

ქება ს'' ქრონოლოგიებთან დაკავშირებით საუბრის მიწურულს, ფინიშნზე ზედმიწევნითი გულმოდგინებით ვიმსჯელებთ ციფრთა საკრალურობის თუ ,,დისციპლინა არკანის'' თვალუწვდენელ სიღრმეებზე, მაგრამ აქ, ეპისკოპოსის ნაზრევი გვარწმუნებს, რომ იგი დასჯერდა ერთხელ არჩეულ კრიტერიუმებს, შეეძლო თავადაც გადაესინჯა ,,ქებაჲს'' თვალშისაცემად შევიწროებული საზღვრები და გაბარიტები, მაგრამ პოზიციის ერთგული დარჩა, ჯიუტად გაიმეორა გნებავთ ცდომილი დებულებანიდაბატონ ზ. გამსახურდი ისაგან რადიკალურად განსხვავებულ შეფასებებს ბოლომდე უერთგულა. ჯერ ერთი, იოანე-იონა ზოსიმესეულ ,,ენას'' ყველგან პირდაპირი მნიშვნელობით განმარტავს, თუმცა აქა-იქ წინააღმდეგობრივად მჭევრმეტყველებს და უჭირს ,,ენის'' მესიანისტური ფუნქციის დაჯერება. ვერაფრით გაუცნობიერებია თუ ქართული ენით როგორ უნდა ემხილოს ,,ყველასა ენასა''. ეს წინააღმდეგობა ზ.გამსახურდიამ ჩინებულად მოხსნა ,,ენის'' სინონიმად ოდეს მოდგმა,ტომი, ეროვნება შემოიტანა. ჩვენ გულდასმით ჩავუკვირდით იოანე მოციქულის ,,გამოცხადებას'' და ენა მსგავს კონტექსტში სულ ცოტა ექვსჯერ მაინც მოვიხილეთ — გამოცხ.: 6,9;7,9;10,11;13,7;14,6;17,15.

ზვიად გამსახურდიას ,,წერილები, ესეები'' 1991 წელსაა გამოქვეყნებული, მაგრამ გამოცხადებისა და აპოკალიპსისის ავტორის ორგზის სეხნიას საჭიროდ არ მიუჩნევია მასში ჩახედვა. არადა, რამდენ რამეს მოეფინებოდა ნათელი?! მ.ჩახავა ,,ახალ ნინოში'' მირიან მეფის მეუღლეს, ნანას, ცნობილობს და იგი ძველის, კაბადოკიელის, წმინდა ნინოს პროტოტიპად მიუჩნევია, რადგანაც ,,რანაირად შეეძლო ამ კაპადოკიელ გოგონას პრინციპულად ჩარეულიყო სახელმწიფოს საშინაო საქმეებში და მეორე ქვეყნის ხელმწიფისათვის იბერიის ძველი, ტრადიციული რელიგიის გასაუქმებ-

ლად გამოეთხოვა ახალი რელიგიის დამფუძნებელთა მთელი ლაშქარი ეპისკოპოსთა და მღვდელმთავართა, დიაკონთა და მგალობელთა, მწიგნობართა და ხუროთმოძღვართა სახით? ამის გამო დაეკისრა ,,ახალ ნინოს'', ,,ძველი ნინოს'' მიმდევარს, იგივე ნანა დედოფალს, ჰელენესთან რანგით გატოლებულს, სამოციქულო ფუნქცია. ამ შემთხვევაში ,,ახალი ნინო'', ,,ძველი ნინოს'' მოციქულია, ლაზარეს (იბერიის) აღსადგომად მოწოდებული. ,,ძველი ნინოს'' სიტყვით, ნანასა და ჰელენეს მეგობრობით ეზიარა საქართველო ნათლისღების საიდუმლოს... მათმა მეგობრობამ შვიდ საიდუმლოს აზიარა იბერია... შვიდ საიდუმლოზე ააგო უფალმა მისი ტაძარი: 1. ნათლისღება; 2. მირონცხება; 3. ზიარება; 4. სინანული; 5. მღვდლობა; 6. ქორწინება; 7. ზეთისკურთხევა.''

ცხადია, ,,ქება ს'' ამდაგვარ ინტერპრეტაციასაც აქვს არსებობის უფლება და საფუძველიც, ოდეს ჩვენ მას საკრალურობის ნაცვლად ქრონიკის პროზაულობით დავმუხტავთ: ,,ყოველი აპოკალიფსური თხზულების ავტორია არა მისი შემთხზველი, არამედ მიღებული ინფორმაციის მაუწყებელი; რამეთუ ყოველი საკრალურის მაუწყებლად ანუ განმცხადებლად ბიბლიურ თხზულებებში მუდამ სულიწმიდა წარმოჩინდება''.

როცა იოანე-ზოსიმე წერდა: ,,და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხრას''-ო, **□საინტერესოა, საიდან მოაქვს იოანე-იონას ლექსემა „წარმოგითხრას", ვინაიდან ყველგან მისივე დამოწმებული თვალსაჩინოებით გარკვევით იკითხება „წარმოგითხარ". პირველ შემთხვევაში მოქმედება საგანს, ამჯერად „ქებაᲘს" მიეწერება, მეორეს მიხედვით თავად იოანე-ზოსიმეს, გნებავთ ავტორს, გნებავთ გადამწერს, მაგრამ უცილობლად სუბიექტს და არა ობიექტს. ნუთუ კალმისმიერი ლაფსუსია?! გ.ო**.) ნიშნავდა, თვით ამ ნაწერმა, ე.ი.მიღებული ინფორმაციის ანბანურმა ხორცშესხმამ ,,წარმოგითხრას'', ანუ გამცნოსო, გაუწყოსო; თავად მეორეხარისხოვანი ავტორი უკან იხევს.'' მოვიშველიოთ ციტატა კიდევ ცოტათი ზემოდან — ,,დასაფიქრებელია, იოანე-ზოსიმე ორი სახელით რომ აწერს ხელს. იქნებ აპოკალიფსური თხზულების ავტორი თავისი სახელის ბოლოში მოქცევით წინა პლანზე წამოსწევს იმ წიგნის ჭეშმარიტი ავტორის სახელს. იოანეს ავტორობას, მართალია, აპოკალიფსისი გვაუწყებს, მაგრამ მისი წიგნის ქართულობას ზოსიმე მიგვანიშნებს''.

აქვე უდაოდ გამოყოფის ღირსია ვარაუდები ლაზარეს მიძინების თარიღის დადგენასთან დაკავშირებით. ალბათ, ჰაერივით თანადროულია ესპანეთში, სოფელ ბოტორიტაში აღმოჩენილი ფირფიტების ინფორმაციის შემოშველიება, რომელიც ქართველ მკვლევარ შოთა ხვედელიძეს ამოუკითხავს და 4100 წლით დათარიღებულ იბერიელთა ტრაგიკულ ისტორიას მოგვითხრობს, დასაბამისეულს. ასევე მახვილგონივრულია 4 დღის მიძინებული ლაზარეს სამდღენახევარში — 3500 წელიწადში გამოღვიძება, თარიღების ორიგინალური შეჯერებით.

,,ლაზარე ქართული ენაა!'' — დაასკვნის პატროფილური აღტკინებით ავტორი. ამ ერთმა წინადადებამ მთვლემარე ერი შეანჯღრია. ,,თუკი ლაზარე ქართული ენაა, მას ხომ ლაზარეს ბედი უნდა ეწილადოსო?'' და აი, ერის სულში ჩასხლტა იმედის ნაპერწკალი, რომელიც იწყებს გმირის ძერწვას. ,,ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა!'' გაისმის ომახიანად.

,,ითქვა და ჭეშმარიტია! მთელი შემდგომი ცხოვრება კაცისა, რომელსაც გამარჯვებულ ფინალს მიუნიშნებენ, დამუხტულია იმ საბოლოო მიზნის მისაღწევად'', — აცხადება ,,ქება□ს'' ღვთაებრივი ცეცხლით ზეშთაგონებული და მერმე ქართველთა მობოშებული სულის ფენიქსისამებრ განმაახლებელი, ,,რა უნდა ვაკეთოთ'' წიგნის მეფსალმუნე იოანე-იონა — ეპისკოპოსი მურთაზ ჩახავა.

აბსოლუტური ჭეშმარიტების მფლობელი

ალბათ, აქამდე გემახსოვრებათ ჩვენი გულფიცხელი შეძახილი: ,,ლაზარე აღდგინებულია!'' ეს დაყივლება პირველად ენას ხვდება წილად, როგორც გრამატიკულ კატეგორიას, მაგრამ არც ისაა დასავიწყებელი, რომ ,,ქებაᲘს'' განჩხრეკვის მანძილზე, მართალია, მოზომილად, თავდაჭერილად, თუმცა ევრიკას სისხლაჩქროლებით რამდენიმეგზის კვლავაც წამოგვცდება სულის სალბუნებლად გაჩენილი ფრაზა: ,,ლაზარე აღდგინებულია!'' აქამდე ჩვენს გრძნობათა დაოკებას ესაძირკვლება გონებადაღვინებული პროფესიონალი მეცნიერების აკადემიზმი, მათი აუმღვრევლობა, აფთიაქარის უცდომელი სასწორით აწონვა საეპითეტო სიტყვისა საგანთა და მოვლენათა შეფასებისას, მაგრამ, სინთეზური აზროვნებისთვის მომართული ჩვენი გონება ვერ დაუშვებს ზერეალისტურ ცალმხრივობას — გზას გავუხსნით დილეტანტთა შემოქმედებას, დაშვებათა, ჰიპოთეზათა, ვერსიათა ქორალებს, ხშირ შემთხვევაში ზღაპრული ელფერით შეკმაზულ წიაღსვლებს, რომელთა ირაციონალუ-

რი პლატფორმა გამსახურდია - იოანე-იონას მოსაზრებებს პროფესიონალიზმით „შეზღუდულ“ ფასეულობებად მიიჩნევს მხოლოდრე. თავად ტრადიციული მეთოდოლოგიის მიმდევართათვის ფუნდამენტური ლოგიკის მიხედვით მეზერელეთა ჰაეროვანი კოშკები ღიმილისმომგვრელია ერთობ, მაგრამ უკვე დროსა და სივრცეში არსებულ თვალსაზრისებს ხელს ვერ ვკრავთ, ვიდრე არ შეგვიჯერებია ორი ვეპოზიცია და თითოეულისგან არ ამოგვისრუტავს ჩვენთვის სასარგებლო ნექტარი.

ვლ.ჩუბინიძე ზედმიწევნით ერთგულია ერთხელ და სამუდამოდ არჩეული მიმართებისა: თუკი „...არსებობდა ის დასაბამიერი ენა და დამწერლობა, ჩვენი არამიწიერი წინაპრის ცოდნა და გამოცდილება, რათა ის არ დაკარგულიყო შთამომავლობისათვის, თავისთავად ცხადია, ეს ენა დღესაც უნდა არსებობდეს და რომელიმე მცირე ერში მაინც უნდა იყოს შემორჩენილი დაწყებით ენასთან უფრო ახლოს მდგარი იმ ფორმით, რომლის საშუალებითაც შესაძლებლობა შეიქმნება შემდგომ მთლიანად მისი პირვანდელი სახით აღდგენისა და შესაბამისად, მასში არსებული უდიდესი ცოდნის გამომჟღავნებისა... განვაგრძოთ კვლევა ამ მიმართულებით, რათა გამოვავლინოთ ის ხალხი, რომელთა ენაში დღესდღეობით უფრო მეტადაა შემორჩენილი ძველი, დასაბამისეული ენის ძირები. **□ასეთ ძირებად თუ ხსოვნიერია, დასახელებულია წყ ჩხ და, ცხ ბგერათკომპლექსები ნახევარხმოვანი აქტიური მონაწილეობით, გ.ო.)**.. დედამიწაზე არსებული ნებისმიერი ენაც და დამწერლობაც, ქართულის ჩათვლით, ხსენებული ღმერთების (**პრომეთე-ამირან-არამხუტუსავით რომ დაებნენ დედამიწაზე კატასტროფის, წარღვნის შედეგად საფრენოსნო და სხვა აპარატურაწართმეულნი, ზეგანვითარებულ ცივილიზაცი (ებ)ასთან კონტაქტდაკარგულნი, გ.ო**.) ანუ ადამიანის ზეციური წინაპრების მიერ აბსოლუტური ჭეშმარიტების წვდომით მათ მიერვე ამ ცოდნის ენასა და დამწერლობაში დაკოდირებიული სახით ჩაბეჭდვით შექმნილ შიფროგრამას წარმოადგენს, რადგანაც ყოველი ენა, ბგერებით შეიკრიბება, ხოლო თითოეული ასო-ბგერა გარკვეული რაოდენობის ცნობა-ინფორმაციათა ცალკეულ კოდს წარმოადგენს, რომელთა სხვადასხვა დაჯგუფებათა კომბინაციებით აიღება მარცვალი, სიტყვა თუ წინადადება, დაბოლოს, შესაბამისად, თითოეული ენაც; სწორედ ამას შეგვაგონებს მეოთხე საუკუნის ქართული მწერლობის უბრწყინვალესი ნიმუში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელიც გვამცნობს „...რომელი ასოი არს იტყვის ოთხ ათასსა მარაგსა მისსა“. (ავტორი მოგვიტევებს თვითნებური მონტაჟების გამო, რომელსაც აზრის მდინარება აუცილებლობს — ამ გადაბმებს ხანდახან განუკითხავად ეწირება მრავალი მიწიერი ინფორმაცია, გ.ო.) ...ქართული ენა და დამწერლობა, სწორედ მითითებული უდიდესი ცოდნის შემნახავ... სპეციალურად ხელოვნურად შექმნილ ყულაბას წარმოადგენს და... თითოეული ადამიანი უნდა გახდეს ამ ცოდნის მფლობელი, რათა შესძლოს თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება. ეს ცოდნა კი შეიძლება მიღწეულ იქნას აბსოლუტური ჭეშმარიტების შემეცნებით ადამიანის მხრივ, რაც არამარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა — ადამიანთა ხსნა. ღმერთობა მხოლოდ იმ ყოვლისშემძლეობას ანიჭებს ძე ხორციელის ასეთ გზას ადამიანს მკრეხელურად მიუჩნევს რელიგია და მიუხედავად მაცხოვრის კატეგორიული მითითებისა I-II-III მცნების კვალობაზე, — ვლ. ჩუბინიძე ისევ ბიბლიურ სიბრძნეს იშველიებს ფარად და მეხამრიდად: „ეძიებდე და ჰპოვებდე, ითხოვდე და მოგვეცეს, ირეკდე და განგეღოს!“

დარვინიზმთან ჩუბინიძისეული პოლემიკის თაობაზე აღვნიშნეთ ზემორე, ხოლო ღვთისმოშიშობა ადამიანისა მისი აზროვნების შემბოჭავი ბორკილი თუა, რაღა დარჩენია — შეტევა ღმერთისკენ! ისე კი, სხვადასხვა ქრისტიანულ მიმდინარეობათა შორის ერთი მაინც რომ ყოფილიყო აბსოლუტურად სწორი, მაშინ ამდენი ქრისტიანული მიმართულებაც არ იარსებებდა (ასევე სხვა რელიგიური სკოლებიც: ბუდიზმი, იუდეიზმი, ზოროასტრიზმი, ისლამი, გ.ო.) დღეისთვის, რადგან სწორედ ერთში და აუცილებლად ჭეშმარიტში იქნებოდა ყველა შეთანხმებული. საერთო შეცდომა კი იმაში ვლინდება, რომ ფაქტიურად დღემდე არცერთი არ ცდილა, თვით ქრისტეს ჭეშმარიტი მითითების მიუხედავად, თავი ღმერთისთვის გაეტოლებინა, რადგან თვით ქართული ეკლესიის საერთო შეცდომის თუ შეგნებულად გატარებული ღონისძიებების გამო, სწორედ ეს ეკრძალებოდა და მკრეხელობად ეთვლებოდა ყოველ ქრისტიანს. აი, სწორედ ამ საშუალებებით, სიკვდილის შიშით, მათ მიაღწიეს ღმერთისკენ მიმავალი ერთადერთი კარის ჩაკეტვა,სწორედ ეს კარი იყო, მსგავსად „13 რიცხვის სისტემისა“ ტაბუდადებული“.

ძირითადი დებულებანი ვლ.ჩუბინიძისა მეტნაკლებად წარმოდგენილია, უფრო გამოწვლილვით კი „სასწაულის“ მიდევნება შეუძლებელია, რადგანაც მთელი წიგნის გადმოღება მოგვიწევს, ამიტომაც უმჯობესია ნაწარმოებში გაანალიზებულ მაგალითებს დავეყრდნოთ, რომლის მიხედვით თვალნათლივ იხატება ჩუბინიძისეული აბსოლუტური ჭეშმარიტების არსი.

1. „საფუძველი“ ავტორის გაგებით ესაა „სა-ფუძე-ძველი“;

2. ,,ქართული'' — გახლავთ ცოდნით ნაბრუნებ-ნაკეთები ენა, არა მხოლოდ ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების, არამედ მთელი ცივილიზაციის საკუთრება. აქედან გამომდინარე ,,ქართველი'' მცოდნეს, ანუ ჭეშმარიტება — შეცნობილ ადამიანს ნიშნავს, ეროვნული კუთვნილებისდა მიუხედავად; თავად ,,საქართველო'' — მთელი სამყაროა; (ქ-ართუ, ქ-აბრუნა, ჯვარისტრიალის გაგებით, გ.ო.).

3. ,,გადარჩენილი'' — ჩუბინიძესთან იკითხება როგორც **(„გას-დარჩენილი", ანუ დედამიწაზე დარჩენილი □გა შუმერულში, მეგრულში მთას უტოლდება, გ.ო.)**. ,,გას — დარჩენილები'' გახლავს ნოეს კიდობნის კაცობრიობა და წარღვნის დროს მაღალ მწვერვალებს თავშეფარებული ნამუსრევი ღვთიური ცივილიზაციისა.

4. ,,სულელი'' — პიროვნება, რომელიც ,,სულ-ელის''.

5. ,,სასწაული'' — არა განსაცვიფრებელი და საკვირველი, არამედ სასწავლი, ასათვისებელი.

6. ,,წარმართი'' — ,,წომირთელი'' მეგრ. (ეს სიტყვა წიმირთელად გამოითქმის კოლხეთში, გ.ო.), ანუ წინ მბრუნავი, ,,წინ მავალი'', ,,წინაპარი''. რასაც აძლიერებს რუსული ,,ÿçè÷í û é'' (ენაში კოდირებული ცოდნის მიმდევარი).

7. ,,გადაყვანა'' — დედამიწიდან აყვანა. გამოთქმულია მოსაზრება საქართველოში წარღვნისშემდგომი კულტურის განვითარების სვანეთიდან □მწვერვალებიდან დაშვების თეორიის შესაბამისად, გ.ო.) დაწყება.

8. Âëàäèì èð. âëàäè ì èð! — ადამიანო, ეუფლე სამყაროს!

9. ,,სწავლა''— სცავლა—ცას ვლა.

10. ,,სამშობლო'' — სამშობიარო ადგილი;

11. ,,ნათესავი'' — მეგრულად ნათასე — **(უნდა იყოს ნათესე, გ.ო.);**

12. ,,გამოგონება'' — ოდესმე არარსებულის შექმნა კი არ არის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მოგონება-გახსენება დედამიწაზე იმისა, რისი რეალურად არსებობაც ადამიანს თავიდანვე კარგად მოეხსენებოდა, ხოლო გარკვეული მიზეზების გამო დაავიწყდა და ახლაღა მიაგნო დაკარგულს.

13.,,ოქრო'' — ორქო მეგრ. ,,ორე, ქო'' — ,,არი, კი'', ანუ სინამდვილე, ჭეშმარიტება. ,,ოქროს საწმისი'' არის ,,არიკის'' ანუ ჭეშმარიტების საწმისი, საწამისი, ანუ სარწმუნოსი □ურუქი — ბიბლ. ერეხი — ბერძ.ორქოია, ახ—ვარქა, ჯ.კაკულია).

14. ,,სოფელი'' — სოფირი, ცალკედ განხეული, ცალკედ გამოყოფილი. აქედან ფილოსოფია ,,სწავლის მოყვარულს'' ნიშნავს, უფრო ზუსტია სიბრძნის მოყვარეობა, მაგრამ ჩუბინიძისეულად ეს სიტყვა შემდეგნაირად იშიფრება: ,,ფილ დო სოფირი'', რაც ნიშნავს: ,,ფრენილი და განხეული, ანუ ცდომილი''.

15. ,,მაია'' — საოცრად მაღალი ცივილიზაციის ხალხი — ,,მა-ია'' მეგრულის მიხედვით თითქოს იდენტურია: ,,მე ვარ სრულყოფილი შვილი მამაზეციერისა''. **(საკვარაუდებელია მაიას კავშირი აიასთან და ჰაია-სტანთან, გ.ო.).**

16. ,,ვარძია'' — ვარძირა, ვერ გნახო, ანუ დასამალი ადგილი;

17. ,,ხაშური'' — შობა სულისა — ხალა შურიში.

18. აგარა — აქაურობაში ტირილი.

19. გორი — ეძებე!

20. ქუთაისი — მეგრულად — ქუთეში — ქვით ნაშენი.

21. იოანე-ზოსიმე — იონ სო სი რექ — წაიყვანე სადაც შენ ხარ.

22. ბერბერები — ბერ-ბერე-ბი — ბერ-ბიჭი **(შვილი, ლაზ. გ.ო.)**

23. ყველაფერი — ირფილი — ყოველი ფრენილი.

24. გაბოროტებული — გა — ,,ბოროთ ტებული'', ანუ ცოდნის გარეშე, ბრმად დატოვებული. ბორო მეგრ. სულელს, გონებრივად ბრმას ნიშნავს.

25. ,,საქარა—საქარე **(!)**

26. ,,ათლანთი''-სგან წარმოსდგება სიტყვა ატლანტისი, რაც ნიშნავს ,,აქაურობაში ვარდნით ყოფილი'', ანუ ,,კოსმოსიდან ჩამოსული'' — აი, მარტივი ახსნა ატლანტისის საიდუმლოებისა'' (ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს!)

27. ,,მართი'' — მარტი, ,,მე ვაბრუნე, ვაკელი, ვამატე, ვყავი, ვამრავლე'' აი, რა აქტიურ ცხოვრებაში იყო ამ დროს ადამიანი!'' **(მართი, მართუ მეგრულში აღიქმება აგრეთვე როგორც ყოფადი, სწორი, მბრუნავი, მორეკი, გადამდები, გ.ო.).**

28. ,,კეთილი'' — ,,გაკეთებული'';

29. ,,ანაფორა'' — დამალვა;

30. ,,ნანინა'' — ,,ნანაშ ნინა'', ანუ მშობლიური ენა, რომელიც ,,ნანინას'' გვიმღერის **(ნანა ცის ღვთაებაა შუმერულში, გ.ო.).**

31. ,,ლაპარაკი'', ,,ლაპარიკი'' — ,,ლაფა'' ვარდნა არა-კი — ტყუილ-მართალი, ლაფა ,,ვარდნა'' არი-კი — დიახაც არის, კი, ორმაგი დასტურით, ლაპარაკი იგივეა, რაც ფრენით წამოსული, წარ-მოთქმული არა-კი, ანუ ვარ-ქო, ტყუილ-მართალი, ხოლო ლაპარიკი გახლავთ ,,ლაფათი-თი'' ფრე-ნით წარმოთქმული არი-კი, ორე-ქო, ორმაგი დასტური, დიახაც არის, ჭეშმარიტი საუბრის დამა-დასტურებელი.

32. ,,დო-ლა-ფა'' — ,,და-ვარდნა ფრენით''.

33. ,,ხელისუფლება'' — ხელის □,,გონებაარეულის'') გიჟის უფლება □**ხელი ნაშობსაც ნიშნავს მეგრულად, გ.ო.).**

34. ისგარდი'' — ,,იქაურ საზრდელებში'' — საიქიოში □ი-მერეთში, გ.ო.)

35. ,,ასგარდი'' — ,,აქაურ საზრდელებში'' — სააქაოში.

36. ,,მადონა'' — მა დო ნა — მა დო ნანა — მე და მშობელი.

37. ,,ადამიანი'' — იდომაანი.

38. ,,საპატინი'' — **(აქ რადგანაც მოკლე განმარტება შთაბეჭდილებას წაახდენს, მოვიყ-ვანთ მთლიანად, ავტორისებურად, გ.ო.)** გაიხსენე ადამიანო, რომ შენ, ,,ადამიანი'' მხოლოდ ქართულ ენაზე გქვია, მაგრამ ,,ადამიანი'' გქვია არა იმიტომ, რომ ბიბლიური ,,ადამი''-სგან ხარ წარ-მოშობილი; თუ ეს ასეა, მაშინ საკითხავი იქნებოდა თვით ,,ადამს'' რატომ დაარქვეს ,,ადამი'', რას ნიშნავს ,,ადამი'' **(ვგონებ ქალწულს, უცოდველს, გ.ო.)** შენ იმიტომ გქვია ადამიანი, რომ შენ ,,იდომაანი'' გაგხადეს, რათა ამ ,,საპატინზე'' ყოფნის დროს ,,პატინი'' ყოფილიყავი ამ ,,საპატინისა'', თანაც არ დაგვიწყებოდა შენი მოვალეობა, რომ ,,ადომიანი ხარ ანუ უზარმაზარი სამყაროში სხვა ,,სხვა საპატინებიც'' მოელიან შენგან ,,პატინობას''; შენთვის დღეისათვის გასაგები პირობითი ენით რომ აგიხსნა, შენ ,,ადამიანი'' გქვია იმიტომ, რომ იქაურობიდან ანუ ი-დომ ან ი-დან მოგიყვანეს და აქაურობაში გაცხოვრეს; აქაური ანუ ა-ანი გაგხადეს ანუ ია, იქაურ-აქაურად გაგხადეს, რათა ამ ,,სა-პატინეზე'' ანუ ,,საპატრონოზე'' ანუ დედამიწაზე (მეგრულად ასედაც ეძახიან დედამიწას) ყოფნის დროს ,,პატინი'' ანუ ,,პატრონი'' ყოფილიყავ ამ დედამიწისა, რადგან ის განუყოფელ ნაწილს წარმო-ადგენს ერთიანი სამყაროისას და მისი მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს სამყაროს საერთო მდგო-მარეობაზე; ამასთან არ უნდა დაგვიწყებოდა შენი მოვალეობა, რომ ა-დომ ი-ანიც ხარ ანუ ა-დან ანუ აქაურობიდან ი-ანიც ანუ იქაურიც უნდა გახდე: სხვა სიტყვებით, აქედან (მერე) (გ.ო.) სამყაროს სხვა, მაგრამ ჩვენნაირსავე მიწებზე უნდა წახვიდე, რადგან ისინიც, აგრეთვე პატრონისაგან საპატ-რონონი არიან და მათზედაცაა დამოკიდებული მთელი სამყაროს კეთილდღეობა. მაგრამ, რადგა-ნაც შენ, ,,პატინო'', საკუთარი ,,საპატინის'' ,,პატინობა'' ვერ შესძელი, რამეთუ ,,რომ უპატრონო, თვით პატრონობის არსი უნდა გესმოდეს ანუ პატრონობა უნდა იცოდე'', ამიტომაც მოგივიდნენ სხვა პლანეტებიდან შენივე მოძმენი. ხოლო შენ დაივიწყე შენი წარმომავლობა და ამით საფრთხე-ში ჩააგდე შენი ,,საპატინი'' ანუ დედამიწა და ამით მთელი სამყაროც, რადგან ,,საპატინის პატინო-ბა'' აუცილებელია ზოგადად სამყაროს კეთილდღეობისათვის. ამიტომ მცდარია ზოგიერთი მეც-ნიერის აზრი შესახებ იმისა, რომ თითქოს...''

39. ,,ქვეყანა'' — ქვედა ყანა.

40. ,,იამავარი'' — ია მე ვარ.

41. ,,მაიაკი'' — მა ია კინ, მე იქაური, აქა ვარ კვლავ.

42. ,,მამაზეციერი'' — ,,მუმაჰაცართელი''

43. ,,მუმა'' — მამა, მუ-ის, მა-მე, ანუ ის იგივე მე ვარო.

44. ,,ობადიში'' ,,ო-საბადებელს'', სწორედ ,,ობადიშია'' მეგრულად სახელი ჩვენი მშობლიური დედამიწისა.

45. ,,ოცნება'' — ,,ოს-ცნება''.

46. ,,ორნამენტი'' — ო — რე? — ნამეტიც იქნება.

47. ,,ოშური'', ანუ ,,ოსული'' — ოსური, ქალი.

48. ,,ხარი'' — შობა ჰყავი, წარმოშვი''

49. ,,მურიცხი'' — რა რიცხვი?''

50. ,,ოდინი'' — ,,ო დინუ'' ანუ ,,ო-საძირკველი დაიკარგაო'' **(ამ მეთოდით თუკი გავაგრძე-ლებთ კვლევა-ძიებას, მაშინ „ოდოია" შემდეგ შინაარსს შეიძენს — „ო-დო-ია", ანუ „ო და მე იქაურობიდან აქაურობაში", ან უფრო ზუსტად — „ობადიში და მე იქაურობიდან აქა-**

ურობაში მოვლენილი შვილი, თუმცა ოდოიას თაობაზე ჩვენ სულ მალე ჯეროვნად ვიმსჯელებთ, გ.ო.)

51. ,,სამოთხე'' — სი-მოთ-ხე'' — შენ მოჰკიდე ხელი.

52. ,,ჯოჯოხეთი'' — ,,ჯაჯახირი'' ანუ ხერღვეული.

53. ,,ოჯახი'' — ,,ო-ზე ანუ დედამიწაზე ჯა ანუ ხე და მხოლოდ შემდეგ ,,ხი'', ანუ მხოლოდ შემდეგ შვი. ერთი სიტყვით, ვფიქრობთ, ვლ.ჩუბინიძის ლინგვაშიფრვის მეთოდსა და ხელწერაში საკმარისზე მეტად გაგარკვიეთ, მაგრამ დაკონკრეტებანი ამ მიმართებით კვლავაც გვმართებს, ვინაიდან ლაზარეს აღდგინებასთან დაკავშირებული მომენტები ჯერ კიდევ მოითხოვს დამატებით დაზუსტებებს.

ვლ. ჩუბინიძის სწავლებით ქრისტიანობამ ბოლომდე ამოშანთა წარმართთა ანუ წინაპართა უდიდესი ცოდნა; განადგურდა, დაიწვა, გადაიშალა, ამოიძირკვა ,,ჯვრის საიდუმლო ენის'' ხსოვნა. მოისპო ,,მხედული'' დამწერლობა, საერო ანუ საყოველთაო დამწერლობა, რომელიც ,,ქართული ენის'' მსგავსად თავისთავში ატარებს ჭეშმარიტების ცოდნის იმ საერთო კოდს, მსოფლიოს ყველა დროის და სახის დამწერლობას რომ აერთიანებდა.

,,აი, სახელდობრ ასეთ სიტუაციაში უხდებოდა მეოთხე საუკუნის ,,ქრისტიან ბერს'' — ,,ქებაის'' ავტორს, — არეზიუმებს თავის მრავალპლანიან ნაშრომს ავტორი — როგორც უკვე დადგენილია და სწორადაც ზემოთხსენებული მეცნიერების მიერ. **(ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება ბ-ნი შოთა კიტოვანი, გ.ო.)** ცხოვრება და მოღვაწეობა და რომელსაც, კარგადაც მოეხსენებოდა ყოველივე ეს, რადგან თვითონვე იყო ,,ზიარებული'', მაგრამ ქრისტეს მსგავსად, მას დიდი სურვილი ხქონდა, ხალხისთვის მოეტანა ბედნიერება იმით, რომ გაემხილა ანუ გაეღვიძებინა ერი, რაც ,,ენის მკვდრეთით აღდგომის'' ტოლფასიც იქნებოდა, რადგან, ფაქტობრივად, ,,ქრისტიანობის შემოღებით'', ,,ქართული ენის'' საბოლოო სიკვდილი განხორციელდა, რაზედაც მიგვანიშნებს შემდეგი: რომ ,,ქართული ენა'' — სახარებაში მოხსენიებულ ლაზარეს სახელს გაუიგივა; იოანეს სახარებაში სახელდობრ ლაზარეა ,,ოთხისა დღისა მკვდარი''. მაგრამ თუ არა ,,ქებაის'' ავტორის მინიშნება, ისე ვერავინ მოხვდება სახარებაში მოხსენიებული ლაზარესა და ,,ქართული ენის'') იდენტურობას, რაც თავისთავად თვით სახარებაშიც არ იგულისხმება. შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ხერხი მხოლოდ ,,ქებაის'' ავტორის მიერაა გამოყენებული იმისთვის, რომ მკითხველისათვის სახელდობრ ,,ქართული ენის'' საიდუმლო გაეცხადებინა შეფარულად.

ცხადია, ხსენებულ პირობებში დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ,,ქებაის'' ავტორის მიერ დასახული მიზნის გასრულება, მაგრამ როგორც ეტყობა, მან ისარგებლა შემთხვევით და როდესაც უკვე ,,ქრისტიან ზიარებულებისგან'' მიიღო შეკვეთა, შეექმნა ,,ქართული ენის სადიდებელი ხიმნი'', რომლის დანიშნულებაც უნდა ყოფილიყო ,,მათი სასურველი ქრისტიანობა'' დამკვიდრებულიყო მსოფლიოს რაც შეიძლება მეტ ქვეყანაში და რაღა თქმა უნდა, საქართველოშიც, ამიტომაც და ამ მიზნისთვისვე შეიქმნა აგრეთვე ბერძნული და ლათინური ენების სადიდებელი ხიმნებიც □აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბატონმა რ.პატარაიძემ მომაწოდა აზრი იმის შესახებ, რომ ,,ქებაი'' იყო შექმნილი ქართული ენის სადიდებელ ხიმნად 342 წელს იმისთვის, რომ მას აღეზარდა ქართველები ქრისტიანულ-პატრიოტული სულისკვეთებით და ამით შეენარჩუნებინათ და განემტკიცებინათ თავიანთი ქრისტიანული სახელმწიფოებრივობა; ეს დანიშნულება ამ ძეგლმა მართლაც შეასრულა ისტორიულად; როგორც ითქვა, მისგანვე შევიტყვე, რომ არსებობდა აგრეთვე ბერძნულისა და ლათინური ენების სადიდებელი ხიმნები); ,,ქებაის'' ავტორმა მოახერხა და ,,მხედრული'' დამწერლობით □რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული ,,ასომთავრული'' დამწერლობა ,,ქრისტიანი ზიარებულების'' მიერ),, შექმნა ,,ქართული ენის სადიდებელი ხიმნი'', რომელშიც თანაბრად შეათავსა ქრისტიანულ-თეოლოგიური დოგმების მოთხოვნილებები და ფარული განცხადებაც ,,ქართული ენის საიდუმლოს'' შესახებ. ამასთანავე, ყოველგვარი გაურკვევლობა რომ გამოერიცხა, აშკარად მიუთითა, რომ აქ სახელდობრ ,,ქართულ ენაზეა'' საუბარი და არა — სხვა რამეზე: ,,სახარებაში ქართული ენა ლაზარეს სახელით მოიხსენიებაო'', რადგან სახელდობრ ლაზარე არისო ,,ოთხისა დღისა მკვდარი'', ანუ მთელი ოთხი ათასი წლის განმავლობაში ხდებოდა ენის ჭეშმარიტი ცოდნის გამობრწყინების თანდათანობით ჩაბნელება-მიძინება და ქრისტიანობის შემოღებით და მის მიერ გატარებული რეფორმების წყალობით კი, მთლიანი დაბნელებაც ანუ სიკვდილიცო და ამ საქმის საქართველოში დამაგვირგვინებლებიც კი დაასახელა წმინდა ნინოსა და ელენე დედოფლის სახით''.

,,გადმოჩხაბვასთან'' დაკავშირებით, ერთი ენიდან მეორე ენაზე, უფრო ზუსტად კი ერთი დამწერლობიდან მეორეში, — კერძოდ ,,მხედრულიდან'' — ასომთავრულში გადმოთარგმნა-გადმომზევების შესახებ შეგვიძლია დავსძინოთ, რომ ვლ. ჩუბინიძე ძირითადად კვლავ ბ-ნ რ.პატარიძის ინფორმაციას ეყრდნობა ,,ქებაის'' ოთხი ეგზემპლარის იოანე-ზოსიმესეული ხელმოწერის ,,მჩხრეკალის''

კვალობაზე, სადაც აღნიშნული სიტყვა ,,მაძიებლის'', ,,მკვლევარ-მეცნიერის'' ბადალია. მაგრამ კვლავ გაურკვეველი რჩება ,,გადმოჩხაბვის'' მომენტი, სად ,,მჩხრეკალობა'' და სად ,,გადმოჩხაბვა?!'' ამასთან ერთად შემოთავაზებულია სრულიად ორიგინალური ვერსია ,,მისისა''-ს წაკითხვის თვალსაზრისით. — ,,ჭეშმარიტების მატარებელი ,,ქართული ენა''; ხოლო ,,მესიისა''-ში — ქრისტე ღმერთი. აქ გაძლიერებულია ჩვენეული ვარაუდი გადაწერისას დაშვებული ცდომილების თაობაზე, სინამდვილეში კი შეცდომა განგებაა ჩადენილი, მთავარი სათქმელის შესანიღბად. ერთგან ქართული ენაა ნაგულისხმევი და მეორეგან მაცხოვარი ჩვენი, უფალი იესო, ასევე უნდა გავიგოთ, ალბათ, 94-იც და 104, რამეთუ აქაც პირველი თეოლოგიურ პრობლემებს შეესატყვისება და მეორე ,,ქართული ენის'' დანიშნულებას — ,,კოსმიურ ცივილიზაციასთან დაკარგული კავშირის აღდგენა''-ს. ახლა კი ამ ჩემეული ინტერპრეტაცია უმჯობესია ,,ქებაის'' ვლ .ჩუბინიძისეული აღქმით დავამთავრო:

ᲘᲝᲐᲜᲔ — ᲖᲝᲡᲘᲛᲔ

„ი(ც. გ.ო) **ონ სო სი რექ“**
„წაიყვანე, სადა ხარ!“ — ვლ. ჩუბინიძე

ქება და დიდება ქართული ენისა:

1. შენთვის დამალულ აზრს შეიცავს ქართული ენა იმ დღემდე, რომელი დღიდანაც შენ მიხვდები ამ აზრის მნიშვნელობას და ირწმუნებ, რომ ამ დღეს ქართული ენა მეორედ მოვიდა შენთან, რადგან ის პირველად მაშინ მოვიდა, როცა შენ იმ ენაზე ლაპარაკი დაიწყე, მაგრამ ვერ ხვდებოდი მასში დამალულ აზრს, და მისი შენთან მეორედ მოსვლის შედეგად კი გეძლევა ისეთი ცოდნა, რომ ღმერთის ტოლი ანუ იგივ ღმერთი ხდები და შეგიძლია, ყველა ენას დაუმტკიცო ქართული ენის ყოვლისმცონეობა.

2. და ეს ცოდნა, რომელიც ამ ენაშია დამალული, დღემდეც უმოქმედოდაა, რადგან, არავინ გამოჩნდა ისეთი, რომელიც ამოიცნობდა ამ საიდუმლოს.

3. „სახარებაში“ „ქართული ენა“ მოიხსენიება ლაზარეს სახელით.

4. ახალმა ნინომ ენა მოაქცია, ანუ მასში კოდირებული ჭეშმარიტი ცოდნა უფრო ძნელად მისახვედრი გახადა უმრავლესობისთვის ელენე დედოფლის თანამონაწილეობით, ნინო და ელენე კი ისეთივე დები არიან, როგორც მარიამ და მართა (ახალი ნინო — წმინდა ნინო, რომელმაც ქრისტიანობა დაამკვიდრა საქართველოში. ოფიციალურ სარწმუნოებად მიღებულ იქნა 337 წელს.) მირიან მეფის დროს. ელენე დედოფალი — რომის იმპერატორ კონსტანტინეს დედა, რომელიც სიცოცხლეშივე წმინდანად იქნა აღიარებული.

5. ნინოსა და ელენეს რჩევითა და მოთავეობით შეიქმნა „მეგობრობა“, ანუ იმ განსაკუთრებული პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელთა ორგანიზაცია, რომელთაც ევალებოდათ ქართულ ენაში დაცული ცოდნის საიდუმლოდ შენახვა ისე, რომ ის არ გამხდარიყო სხვა, შემთხვევითი პიროვნებებისთვის ხელმისაწვდომი.

6. დღეისათვის ქართული ენა, როგორც დავით წინასწარმეტყველმა აღნიშნა, ოთხი დღის მკვდარია, ანუ ოთხი ათასი წლის წინ მოხდა მისი მიძინება, რადგან ერთი დღე უნდა ვიანგარიშოთ, როგორც ათასი წელი.

7. მათეს ქართული სახარების დასაწყისში წერილი ზის ანუ ისეთი რამაა დასმული, რომელიც ასოებს შეიცავს და რომლის თითოეული ასო ოთხი ათას აზრს იტევს ანუ თითოეული ასო ოთხი ათასი ინფორმაციის მატარებელია.

8. და ამ ოთხი ათასი წლის მანძილზე ქართულ ენაში დაფლული ანუ ჩადებული ცოდნა საიდუმლოდ გადაეცემა ნათლისღების წესით ანუ პირს, ვისაც გაემხილება ეს საიდუმლოება — ნათელღებული ანუ განათლებული, ანუ ცოდნამიღებული ეწოდება და მას სიკვდილის შუქარით აქვს აკრძალული ვინმეს გაუმხილოს ანუ გადასცეს საიდუმლო ცოდნა.

9. და ეს ენა, რომელიც უფლის მიერ ჩადებულია მისივე უდიდესი ცოდნა და ამიტომ საამართლიანადაცაა უფლის სახელთან გაიგივებული, დღესდღეობით შეუცნობელი და დაუფასებელი, მოელის იმ დღეს, როცა ის მეორედ მოევლინება კაცობრიობას უფალივით

ანუ იმ დღეს, როცა ის აღიარებული იქნება ადამიანების მიერ, როგორც ღვთიური ცოდნის მატარებელი.

10. და ამის შესახებ თქვენ ჩემს მიერ გეუწყათ ყველაზე პირველად დღევანდელ ე.წ.„ქართულ ენაზე“ და არა სხვა ენაზე და ეს მოხდა ქრისტეს მოსვლიდან 94 წლის შემდეგ.

11. ყოველივე ამის სიმართლეს, რაც მე ზემოთ დავწერე, სარწმუნოდ და ნათლად დაგიმტკიცებთ ქართული სახარების წინ დასმული ნიშანი, რომელიც მთელი ანბანის ჯამს წარმოადგენს ჯვარის სახით“.

ცთომილად მიგვაჩნია როგორც ვლ. ჩუბი- ნიძის 11 პუნქტად დანომრვა „ქებაისა“, ისე იოანე-იონასეული 4 მუხლად დაყოფა, რადგანაც თავისი შინაარსით და ეზოტერიკით იგი მაინცდამაინც 10-ის ტოლფარდი უნდა იყოს სათაურთან ერთად.

ვიწყებ ბელეტრისტულ გამოძიებას

ქართული მას-მედიის მზებუდობა

უვერტიურა

მზებუდობა ორია წელიწადში, ზაფხულისა და ზამ- თრის, ან — პირიქით, გააჩნია საიდან მოვეხეტებით, რომელი მხრიდან — ყიამეთი ყინულეთიდან თუ ლაჟვაროვანი სამნათო ბოდან. ქართული მასმედია კი ერთია, ლეგალურ ოთხერგასეულ პერიოდიკას რომ მოითვლის საკრებულოში და ალბათ, ამდენივეს — ქვეყნის ხევ-ხუვ-ორღობეში, ჯიშტის თოვლივით რუსთაველამდე ველარ- აფრით მოღწეულს. მოკლედ, სამხედრო ტერმინოლოგიას თუ დავესესხებით, ქართული ჟურნალ-გაზეთე- ბის ოლიგარქიას თამამად შეიძლება ვუწოდოთ მართალმოსიტყვეობის ბატალიონი უმეტესადრე, მაგრამ ქარავანი მაინც მიდის და მიდის.

ზაფხულის მზებუდობა 21-22 ივნისს ემთხვევა, როცა დღის ხანგრძლივობა ცის წვერო-კორკონტიას ებჯინება — გაზენიტებულია, ხავერდოვანი ამინდები მიჯირითობენ მინდორ და მინდორ, ფუტკარს გაქანებული ღალიანობის პერიოდი დასადგომია, ხოლო ციდამტკავლა ღამე ყვავის ბახალას ფრთაზე უმოკლესია აისსა და დაისს შუა.

ზამთრის მზებუდობას საპირისპირო ხასიათი გამოარჩევს — 21-22 დეკემბერს ხეში შემძვრალი კვირტის მსგავსად ბუხარში შეკვეხებული ნაცარქექია საცხოვრისს ბაყბაყდევივით გადაემხობა უკუნი მოსაშთობად, ხოლო, რაც შეეხება კოკროჭინა დღეს, კალმახივით ისე გაგისხლტება ხელიდან, თვალის დაფახულებასაც ვერ მოასწრებ.

ქართული მასმედია ამ უკანასკნელის წიაღიდანაა წამოსული, ფრიად დამაშვრალი მგზავრი თემშარაზე ტანტალით, პირში ქვაჩაჩრილი უთვალავჯერ და თვალში ნაცარშეყრილი ნიადაგ, პერესტროიკა-გლასტნოსტის მოჩვენებითი აზატობით გაბრუებული გვარიან ხანს.

ოფიციოზები მთავრობის დადგენილებათა ზეწრების გაიფონებენ ხოლმე, მაგრამ შემოდგომით წიწილებს ველარაფრით ითვლიან მოქოთქოთე კრუხის ფრთებქვეშ და როცა პატროფილური ქრონიკული ანთებით გათანგული პუბლიკაცია შემოეხეტება კონსერვატორიული ხავსით დაყურსულ მათ სამფლობელოში, უმალ ბოლოქანქარას, დაამსგავსებენ ჩეხოვისებურად, გნებავთ ფარშავანგი წვეოდათ.

ჯერაც ძალაში რჩება მათ მისამართით ოდინდელი პროკრუსტეს სარეცლის იგავი, იმ განსხვავებით, რომ აქ დასაჭიმი არაფერია არც — კიდურები და აღარც — თავი, ვინაიდან ლანცეტის, დანის და მაკრატლის ურღვევ კავშირს, წესი აუგია მათთვის ერთხელ და სამუდამოდ. მაგრამ, აგერ, შესაშური სითამამის მეოხებით დიდზე დიდი ღამის მოჯადოებული წრე გამოგვირღვევია, დიახაც, და თავაღერილი მივემართებით ცრუ მზებუდობიდან ნამდვილი მზებუდობისაკენ, სუსხიანი მზებუდობიდან ბარჩხალა მზებუდობისაკენ, უმეცრების მზებუდობიდან ბრძენთაბრძნული მზებუდობისაკენ; ამიტომაც, ბუნებრივია, მიუკერძოებელი მკითხველის სიმპათია ოთხერგასეული პერიოდიკის ოკეანედან ათიოდეთი ძლივს შემოიფარგლებოდეს, სწორედ იმ ფლაგმანებით, რომლებზეც უფრო სადაგად ვისაუბრებთ გზადაგზა.

მეექვსე ოკეანე შემთხვევით არ უწოდებიათ მასმედიისთვის. მისკენ მოსროლილი, პეპელასავით ერ-

თდღიანი სიცოცხლის ინფორმაცია, სამუდამოდ ინთქმება საზოგადოების უკიდეგანო ცნობიერებაში, როგორც ფლატედან გამეხებულ ტალღებში გატყორცნილი კენჭი და მაინც პერიოდიკათა ერთობლივი ძალისხმევით, ჯერჯერობით აურაცხელი მატერიალური თუ სულიერი ფასეულობის დანაკარგის ფონზე, ოთხადოთხი მონაპოვრით ვუახლოვდებით XXI საუკუნის კარიბჭეს:

ადამიანის სიცოცოხლის ხელყოფის აღკვეთაა ეს, დამანგრეველი კატაკლიზმების შემდეგ წვეთწვეთობით მოხვეჭილი სტაბილიზაცია, სიტყვის, პრესის რეალური თავისუფლება თუ საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება და რადგანაც აკვნიდანვე პირშიწყალდაგუბებულებს აზრის შეუფერხებელი გამოთქმის შესაძლებლობა მოგვნიჭებია, ავიბასრავთ და ავიფხიანებთ ენას დიდ-პატარა, მტყუან-მართალი, სალოს-გონიერი და აქედან მოყოლებული ვქაქანებთ და ვქოთქოთებთ, ვლაყბობთ და ვტლიკინებთ, ვყბედობთ და ვიჭაჭებით, ქარავანი კი მიდის და მიდის; თან აღარც ქვები ღაღადებენ ძველებური სიდარბაისლით დემოგრაფიული ხვანჯებით შემუმლიანებული კუთხეებიდან, ლელთ ღუნიას ხომ აღარაფერი რჩება თავის დასაყუდნებელი საჯალათო კუნძის მეტი — უზენაესი კანონით სხვისდება წესით მისი უკვდავების გარანტი მშობლიური მიწა-წყალი მამა-პაპათა საძვალეებითურთ; ეროვნების რეკვიზიტი ისედაც გამქრალა პირადობის დამადასტურებელი ფარატინა საბუთიდან, პასპორტსაც რომ ვუხმობთ გალების ენით.

აღიარებული რეალობაა: ჭუჭრუტანიდან დანახული ტრივიალური სცენა გაცილებით მიმზიდველია, ვინემ ხელისგულზე მოტაფული ტრაგედია. აკრძალული ხილის მაცდუნებელი ძალის შესახებაც გვსმენია, ასე რომ, უკვე ზღვარდებული მსჯელობა ანგრევს წინააღმდეგობათა გალავნებს და მაინც ქართული მასმედიის ბატალიონი ცხოვრების ყოველი კუთხე-კუნჭულისკენ მიმართავს თურმე აქამდე ფარულ კოლოსალურ შესაძლებლობებს.

მეტროპოლიტენის სადგურებში, მგზავრებით გადაჭედილ ვაგონებში ათი-თორმეტი წლის გოგო-ბიჭები გაბზარული ხმით დააფრიალებენ უჭირისუფლო გაზეთებს:

—„საკაიფო კროსვორდები“ ოც თეთრადო,— შემოგაფრინდებიან სახეში;

—„25 საათი“, „თბილისის სიახლენი“, ოც თეთრადო“ მოგაჩერდებიან მაყვლისფერი თვალებით.

აქ, ამ შუაგულ მიწისქვეშეთში, უფრო გასავლიანი სუროგატი პრესაა: „მასხარა“, „ხუმარა“, „შერეკილები“, „ჭიჭიკია და ბიჭიკია“, „სისხლიანი სიყვარული“, „ილიკო და ილარიონი“, „÷óê÷à“, „მასკარადი“, „ჩვენებური იუმორი“, „გენიოსები და იუმორი“, „ვახახა“...

მართლაც საცინლად გვაქვს საქმე. ათი თეთრიც ადვილი გასამეტებელია წუთიერი განტვირთვისათვის, მით უფრო, როცა დოლარისა და ლარის თანაფარდობა უკვე ერთი — ორზეა.

არანაკლებ სარფიანია აღვირახსნილი პორნოგრაფიული ბაკქანალია. მისი გვერდებიდან ჯერაც გაუბედავი, სიმაღლიდან მხტომელის იერსახით წარმოჩინდებიან სექსბომბა მაწაკები ბოქვენს ქვემორე ვარდისფერი ჭრილობებით, რომელთა მიმართულებით დასაშტვინებლადაა წაწვდილი ორი თითი წვერიანი ანეკდოტის კვალობაზე.

თავისუფალი პრესის ამქარში მკვიდრად დაფუძნებულა კოშმარების კვარტეტები და ტრიონი, სადაც ცოფიანი ძაღლების თვალებითა და გასისხლული ეშვებით აღტკინებულან კაცობრიობის მოურჩენელი წყევლის ბადალი ვამპირები.

ძალადობა, მკვლელობა, გაუპატიურებანი, შავი მაგია გადაწნულია ერთმანეთს რვაფეხას ხორკლიანი საცეცებით. ასე რომ, ამ თანამედროვე გორდიას ნასკვის არათუ გახსნა, თვით გაკვეთაც ამიერიდან მაკედონელის ორლესულსაც გაუძნელდება.

გოეთესეულ „მეტ სინათლეს“ ელტვიან კოსმოსური სიჩქარით ქართველი ეზოტერიკები სასძლო ჯორჯაძეთა მხარდამხარ, რომლებიც მხოლოდშობილი ქრისტეს ზედმიწევნით გამეორებად გვევლინებიან ჯვარცმულ დედამიწაზე.

არ კმარობენ ისინი საბრძანისად ჩვენს გარშემო შემოშენებულ სამყაროს — დროის, სივრცის და მატერიის ერთობლიობას, „ოთხყაროდ“ ნათლავენ მის უდიდებულესობას, თითქოს „სამყარო“ „ სამი ყაროს“ სემანტიკისაა და არა — „მყარ“ ფუძიდან გამომდინარე.

ამ „გამოცხადებათა“ კასკადს ზურგს უმაგრებს თვალსა და ხელს შუა აღზევებული ასტროლოგების, ქირომანტების, ნათელმხილველების ანგარიშგასაწევი კასტა, რომელიც, როგორც წესი, გამორიცხავს მეორის პრიმატს და კიდევ — უფრორე აღმატებული ფანტასმაგორია უფოლოგიისა, შეზავებული იეჰოვას მოწმეთა 144 ათასეულის მარადიულ სიცოცხლესთან.

ტელესერიალების ვარსკვლავთცვენაა: გავისტუმრებთ „კასანდრას“, „სიყვარულის ამბავს“, „კობრას“, „დინასტიას“ და ახა, „დალასს“ მივეჯაჭვებით შეწკვარამებიდან.

ეკრანიდან გაზეთების ფურცლებზე გადმოდიან დაუნდობელ-გაუტანელი სექსოპათები — ბლე-

იქები და ქოლბები, დავიდები და ელექსისები, როსაურები, ფელონები, იგნასიოები, ახლა ჯერი იუნ-გებსა და ბარქსებზეა.

ჩამომწკრივებულია დახლებზე დილიდან საღამომდე, ბაზრობებსა თუ ტროტუარებზე, წვიმასა თუ ხვატში პოლიეთილენით საიმედოდ დაცული ჟურნალ-გაზეთების დასტები უფრო შავ-თეთრი და აქა-იქ ნაირკოლორში გადაწყვეტილი სათაურებით, გამვლელ-გამომვლელთა თვალების მისატა-ცებლად.

ათწლიანი ჯოჯოხეთური ცხოვრების ბატალიებით უკიდურესობამდე პოლიტიზებული მოქალა-ქენი დიდხანს ბუდრაობენ შიგ, ბლიც-გადათვალიერებას ჯერდებიან, სასურველ პერიოდიკასთან რამდენადმე ყოვნდებიან, ასჯერ ზომავენ, ასჯერ წონიან და ვეღარაფრით ჭრიან ერთხელ ფარღალა-ლა ჯიბეების გამოისობით; ასე, დახლ-სამკითხველოებთან ზეზეურ გათვითცნობიერებას კმარობენ და უტევენ გზას ყოველდღიური საჭიროებისკენ.

მომნუსხველი სიჭრელე დღითი დღე ძვალ-რბილში ატანს ქართულ პერიოდიკას. წითელს ყვითე-ლი უწყვილდება, მწვანეს — ლურჯი. ხასხასებენ, ბრიალებენ კაბადონები, ლამის ამოხტნენ გვერდე-ბიდან ილუსტრაციები, განურჩევლად ცაციაობა-მემარჯვენეობისა თუ ცენტრისტობისა.

ვისწავლეთ პირველი გვერდის მაქსიმალური დატვირთვა გონების დამაინტრიგებელი ანშლაგე-ბით. კომპიუტერი სასწაულებრივად გარდაქმნის ლინოტიპით გაუხეშებულ ჩვენს „გაზეთჩიკურ“ გემოვნებას. სახაზავებს და მაკეტებს ჩაილურის წყალს გავაყოლებთ. მოგჭამს ჭირს სტრიქონების მეტნაკლებობის პროფესიული შიში. უკვე ყველაფერი კლავიატურის მაგიურ ძალზეა დამოკიდებუ-ლი. დააჭერ ღილაკს თითს და სარდაფის სამყოფი მასალა სვეტშიც ჩინებულად თავსდება — ოფთა-ლმოლოგებსა და ოპტიკურ მაღაზიებს კლიენტებს ვუმრავლებთ ნორჩი ასაკიდან მოყოლებული შუ-ალას წამატებით.

მერამდენე საუკუნეა ამოისუნთქავენ შინაური ბატები. მას აქეთ, რაც ყველა გზის შემკონავ ანტიკურ ქალაქს სრულ დანაცრვას გადაარჩენენ თავგანწირულის ყიპყიპით, თავის დროზე მათ პერსონას დიდ პა-ტივს მიაგებს მელნის ხალხი, მაგრამ ტექნიკური პროგრესი შვებად მოევლინება სივრცეს დანატრებულ ღერღეტულ ფრთებს, თუმცა აგერ, ახალი ეპოქის სუნთქვა განსხვავებულ ტექნიკურ საშუალებებს მო-უმრავლებს საგამომცემლო საქმეს და შევაკდება კალმისმიერ ბებერათა გორაკები შუათითის მიდამოებ-თან. ამჯერად დატვირთვა ცერზე გადაინაცვლებს, რომლის ძირითადი ფუნქცია ჩამწერ ღილაკზე ღო-ნიერი დაწოლით შემოიფარგლება. ასე რომ, რესპოდენტის ჩიქორთული მეტყველების ანაბარა დაშთე-ნილა სამამულო ჟურნალისტიკის ყოველდღიურობა.

ჩასაფრებულ საზოგადოებას სულის ქავილამდე ახითხითებს უტიფარ კითხვებზე წამოგებული, ბრინჯივით დაბნეული პასუხები. რეპორტიორები ამ გზაზე ხელაღებით უგულებელყოფენ ეთიკურ ნორმებს და ბარიერებს, არაფრად დაგიდევენ ჩინოვნიკის ბაგე თუ სიბრძნის კბილის მილიონების საკვნეტი ვარგისიანობის დაზუსტებას; თამამად მიძვრებიან წინდების სპეციფიკური სურნელისაკენ; არ თაკილობენ სალოკი თითის, საჩვენებელსაც რომ ვეძახით თეთრი დათვების ორსაუკუნოვანი ბურტყუნის ზეგავლენით, ცხვირის ნესტოებში ეგზოტიკურ ხეტიალს ელდორადოს ოქროს საბადო-ების მოსანიშნად.

მოკლედ, პრობლემათა გაშუქების სული და გული — სტატია, ნარკვევი, კორესპონდენცია, რე-პორტაჟი გადახვეწილია ჟურნალ-გაზეთების უსიერიდან; ხოდა, აქედან გამომდინარე, გაიოლებული მოროდის შემწეობით, ერის ცნობიერების ბეღელში ფრიად ფშუტე მოსავალი დაგვიბინავებია და გასაკვირიც არაფერია უჭუჭრუტანოდ დაიარებიოდნენ „უივერიაო“ შუბლები.

არ კიანთებს ხორიზონტზე „საქართველოს მოამბის“ გენეტიკური მემკვიდრე. ცალმხრივობა მუსრავს ერთობის საშვილიშვილო ძალ-ღონეს ყველგან და ყველაფერში.

მასშტაბური აზროვნება, როგორც ჩანს, აწინდელი, ნამდვილი, ზაფხულის მზებუდობის სანატ-რელი დრო-ჟამისაა.

ნაწვიმარ ტყეში ამოყრილი სოკოებივით მრავლობენ კვაჭანტირაძისეული ნუცათა უნივერსი-ტეტების ქურახანიდან ახალგამოცხობილი ჟურნალისტები.

„ახალგამოცხობილი“ ვახსენეთ და ბარემ აქვე ძირისძირამდე განვმარტავთ მის მეტამორფოზა-მუტაციებს.

სიტყვა „ახალი“ განსაკუთრებული მოტორული სიმძლავრისაა გაზეთის სათაურის მიმართება-ში. ძველს, ჩიხში ნაყურყუტებს, ლოკომოტივივით წაბმია მისი ფენიქსური ბუნება და თუმცა კვლავინდებურად ოდინდელი ყბადაღებულობით გრძელდება პრობლემათა ჩხირკედელაობა, დაახ-ლოებით იმგვარად, როგორც ეს გუდიაშვილის „მძინარე მზეთუნახავის“ მშვენიერების სკალპე-ლით მჩხრეკელი ვირების ტილოზეა აღბეჭდილი, მესვეურთა ქარავანი მიდის და მიდის, ხალხის

ცხოვრება კი უშენაკადო წყალსატევივით ქვანთალებს აქოთებული.

მწარე პურს მაინც ჭამს ქართული მასმედია, რომლის ზამთრის მზებუდობა გამოვლილია და ჯერი ზაფხულის მზებუდობისაა.

თითო ოროლათა გამოკლებით ნემსის ყუნწში ძვრება უმეტესი პერიოდიკა კვირიდან კვირამდე, წელებზე ფეხს იდგამს, ხონორარის მომჭირნეობით, საგადასახადო ავტოშეღავათით, ინფორმაციული დოპინგებით, რამდენადმე იხანგრძლივებს სიცოცხლეს.

ოდესღაც სოლიდურ გამოცემათა გამობრძმედილი რედაქტორები ხელსაყრელ დროს უცდიან, სათანადო ხუმუსისა და სითამამის მომტანს.

ქართული მასმედიის ცაზე მეტეორივით გამოკრთება ზოგი პერიოდიკა, გაიცრიატებს ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა „ოდოია"-სავით და სამუდამო მთვლემარებას მიეცამა.

აქა-იქ გაიციცინათელებს „აისბერგი";

ჩანამქრდება „ლიტერატურა და სხვა", „ქართული კულტურა", „ნათლისსვეტი";

საბრძოლო ენერგია და არსენალი შემოეფლანგება კავკასიის ვეფხვს — „იბერია-სპექტრს";

„საქართველოს სამრეკლოს" ისევ „მეპატრონე" თავისიანები დაუდუმებენ ზარს.

ბევრს ძარღვიანი სიტყვა ამოწურვია გულისგულში, ზოგი ეკლიან თუ მოლიპულ გზაზე დაცემულა, მრავლისთვის ფინანსურ სიდუხჭირეს წაუჭირია ყელში, მავანს გული აცრუვებია კედელზე ცერცვის შეყრის უნაყოფობით და რომ მიმოიხედავ ბელეტრისტიკის საომარ ლელოზე, ისევ და ისევ ის პერიოდიკები აილანდება თვალსაწიერზე, რომლებიც ოქროს კვეთის პოზიციას ამოირჩევენ, ცალმხრივობით არ მოისპობენ უკანდასახევ ხიდებს: „საქართველოს რესპუბლიკა", „ალია", „ასავალ-დასავალი", „რეზონანსი", „ახალი ეპოქა" „ჩვენი მწერლობითურთ", „კვირის პალიტრა", „დილა", „ცისკარი", „სარკე", „ახალი თაობა", „ლიტერატურული საქართველო", „მართალი გაზეთი"...

ხო, მართლაც, ერთხანობას დაცხრება ზოილური ვნებათაღელვა ბატონებს — თამაზ წივწივაძეს, თეიმურაზ დოიშვილსა და ლევან ბრეგაძეს შორის, მაგრამ განხეთქილების ვაშლი კვლავ გამოგორდება, ისევ ამოიდგამს ენას ვეზუევი და ამჯერად პირწავარდნილი ვატერლოო გაჩაღდება იგივე თამაზ წივწივაძესა და გელაშვილ-ჩიჩუებს შინა (რომელიც მოგვიანებით „100 მწერლის" ნავსაყუდლის მაძიებელ მიშველაძესთან დაკა-დაკაში ჩაბალღამდება).

მოკლედ, არსებულ ვითარებას გულისყურით თუ ჩავუღრმავდებით, ქართული პერიოდიკის ესოდენ სიჭრელისა და მრავალრიცხოვანობის მიღმა დავინახავთ ყოვლისმომცველი, გაწონასწორებული, სკის ბაჯაღლო ფილოსოფიით კურთხეული გამოცემის ვაკუმს, რომელიც უთუოდ გამოჩნდება ხვალ-ზეგ, ჭეშმარიტი მზებუდობის ფაზაში, ზაფხულის მზებუდობის შუბისტარზე. ახლა კი საკამათო არაფერია, ნიშას და ნიკორას, ჩელას და ბუსკას, ცალ-ცალკე მიაქვთ თითო ბორბალიანი, შუაზე გახერხილი ურმები ჩვენი უხანო ყოფიერებისა. საცოდავ დაკენტებულ ვალალში გზადაგზა ეფანტებათ შემოდგომის სამამულო ჭირნახული და სადღაც შუაზე გაფხრეწილი „ორ ოველას" ხრიალია და კიდევ იქით, სიგრძივ გადაბასრული ტილო — რეპინის ივანე მრისხანე — ურჩი ძისმკვლელი მამის სულშეძრწუნება, ახლახან კვერთხის მბღუჯავი თითებიდან შვილის ტვინათქვეფილი სისხლის ჭიაყელებით; და კიდევ შორსგაღმა— შუაზე გახლეჩილი აზროვნების შიზოიდური გარინდულობა, რომელიც კიზის ინდიელის გულწყვილობით მოელის ცდომილი მზებუდობის სახადის შემდეგ, ზაფხულის ნამდვილი მზებუდობის დავანებას, და რადგანაც დიდაქტიკის მოუხეშავ მარაზმთან არაფერი ანათესავებს ჩვენი მდუღარების მაჯისცემას, და რადგანაც ჩვენი სულის პატრუქის დარჩენილი ნათება მოზარდი თაობის უკუნეთიდან ტოროლას წკრიალზე მოახლოებული ალიონის საუფლოში გაყვანის საწინდრად მიგვიჩნევია, საუბარს დავიწყებთ საყმაწვილო პერიოდიკის მიმოხილვით, დავიწყებთ „დილით", რომელიც ჩრდილოური ანდაზის თანახმად ბინდისპირზე ათასგზის ბრძენია.

Tabula rasa — სუფთა დაფა

ბავშვებს უკეთ ესმით ქრისტეს მოძღვრებისა, ვინემ ფარისევლებს და მწიგნობართ. სამოთხეში ყრმათა შეუფერხებელი შესვლის ზესინამდვილე მაცხოვრისაგან მოდის. ცხოვრებისეული დაკვირვებანი თუ სულაც მკლავებდაკარწახებული პედიატრია ერთ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებას ამტკიცებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად: ჩვილზე ცხოველმყოფელი არსების წარმოსახვაც კი შეუძლებელია მთელს სამყაროში. გავიხსენოთ მიწისძვრებით დანგრეული ქალაქები, რომლის ჯურღმულებიდან მკვდარი დედების მკერდსჩაფრენილი მოზარდები ამოუყვანიათ უბედურების კვირისთავზე, მეათე დღეს. მოსესაც ხომ ჩელტის კალათით გააყოლებენ ნილოსს, რათა დიდებულ ეგვიპტელმა მანდილო-

სანმა აღმოეჩინოს იგი და კვლავ დედასდაუბრუნოს აღსაზრდელად, რათა მერმე წერილისა- მებრ უდაბნოში ორმოცწლიანი ხეტიალით აღთქმული ქვეყნისკენ გაიყვანოს ებრაელი ერი?!

მაგრამ საუბრის მამოძრავებელი ძარღვი ხელიდან რომ არ გაგვისხლტეს, შევთანხმდეთ: ახალ-შობილი განსაკუთრებული მდგომარეობით გამოირჩევა გარემომცველი სამყაროსგან მის საზიანოდ გამოტყორცნილი უამრავი ინფექციის თუ საფრთხის მიმართ და პატარა უფლისწული მუხამედის სწავლების კვალობაზე, სამ წელიწადს მაინც თუ დასწაფებია დედის ძუძუს, სამშობლოს მხარდამ-ხარ სხვაზედ რომ არ გაიცვლების რაფიელ ერისთავისებურად, ასეთი ინდივიდუუმის სიჭაბუკის, ჭარმაგობისა და მოხუცობის ასაკი უფლისეული მადლითაა კურთხეული და როცა ზედ ნიჭიერე-ბის შხეფებიც წაეპკურება მსოფლიო ცოდნის სახით, გვერწმუნეთ — ერს უკუნეთიდან გამოსაღ-წევი ლამპარი ანთებია. თუმცა მოვუბრუნდეთ ისევ ონავრების გუნება-ხასიათს.

აღიარებული რეალობაა, რომ ცხოველებს და ბავშვებს აერთებთ ხედონიზმი, I სასიგნალო სისტე-მა. ამისი ნათელი დასტურია მოზარდების ნებითი მიდრეკილება, ხარმონია ფაუნის ეგზემპლარებთან. აურაცხელი შემთხვევაა აღნუსხული ნადირის მიერ ჩვილის შევრდომება-პატრო-ნობისა, მისი გამოკვებისა საკუთარი რძით და თავის ჯიშზე მოქცევისა.

მგლის ბუნაგში გაზრდილი პატარა, მართალია, ვერასდროს ისწავლის ადამიანურ ლაპარაკს მა-უგლისაგან განსხვავებით, მაგრამ ხომ ვერ წავართმევთ კიპლინგს ფანტაზიის უნარს და მალხაზებს — უსაზღვრო ბედნიერების წუთებს?

II სასიგნალო სისტემა — მეტყველება — მოგვიანებით ჩაერთვება პირმშოს მეობაში და აქედან მოყოლებული, თანდათან უსუსტდდება დიადი სამყაროსაგან ნაბოძები ღვთაებრივი ნიჭი თავის გა-დარჩენისა, არსებობის გზაზე.

ცხოველებში სუსტია ინფორმაციის შენახვისა და აღდგენის უნარი, ადამიანში კი II სასიგნალო სისტემის წყალობით ფორმა-შინაარსი ენიჭებათ საგნებს და მოვლენებს, უკუდგება, უკუეფინება, ქვეც-ნობიერ ფენომენში ნივთიერდება სასიგნალო სისტემის როლი.

ამის თაობაზე წერდნენ საუკუნის გარიჟრაჟიდან ფროიდები, შტაინერები, უზნაძეები; მომა-ვალშიც უამრავი შეითხზვება, ალბათ, პიროვნების განმსაზღვრელ ფენ- ომენზე, ჩვენ კი ამთავით-ვე შეგვიძლია განვაცხადოთ: მოზარდებთან ურთიერთობის დიდაქტიკური ტრადიცია, ჩვენეული თვალსაზრისით იგივეა, რაც დოღიდან წამოთქარუნებული ცხენებისთვის ჩინური კედლის აღ-მართვა გადასალახავ ბარიერად, და თუ გამუქებულად მოგვეჩვენება სპარტანული აღზრდის ჯა-ლათური პრინციპების — გაწკეპლვის, გაჯორვის, ფეხშიშველა რბენინების გურამიშვილურ-საბასებური მეთოდის არსი, იგივე ჩინურ ენაზე მოყოლილ მშვენიერ ზღაპრად მაინც მიგვიჩნევია რისთვისაც ქართველი ყმაწვილის ყურნი ამაოდ დამშვრალან ძალად გამახვილებულის სმენით, ისე რომ, ნატამალიც არ ასახულა მის ცნობიერებაში, ვინაიდან II სასიგნალო სისტემა ჯერაც უმ-წიფარია, ჯერაც I სასიგნალო სისტემის ზეგავლენებშია მოზარდი; ამიტომაც, ბუნებრივია, ჩვენი დიდაქტიკური მეცადინეობანი □ცხადია, კეთილშობილური, უმეტესწილად, მაგრამ უშედეგო— მეთოდოლოგიური თვალსაზრისით), უდაბნოში მღაღადებლის ხმაა, გვიან, ძალიან გვიან რომ მოსდევს ქრისტეს მოვლინება.

რისთვის აღიქვამს ბავშვი განსაკუთრებული სიიოლით ცხოველთა სამყაროსთან ზიარებულ ხა-ტებას? ხომ არ მიუთითებს ეს ყოველივე მათ პირველყოფილ ნათესაობაზე? თანამედროვე ელექტრო-მიკროსკოპული დაკვირვებანი ემბრიონის განვითარებაზეც ამისი ნათელი დადასტურებაა, რომ ჩვილი ჩანასახოვან ფორმაში იმეორებს სიცოცხლის სამყაროისეულ სტადიებს, ფაზებს, თავკომბლი-ანობიდან დაწყებულს, თევზისებრ- ლაყუჩიანს, მაგრამ თეოლოგიას არსობის პური რომ არ გამოვა-ცალოთ ხელიდან, თავს შევიკავებთ ,,ხომო საპიენსის'' წარმოშობის კატეგორიული სურათის და-ხატვისაგან და შედარებით უწყინარი საკითხებით შემოვიფარგლებით, თუნდაც ისეთით, როცა საშვილოსნოში შეტანილ აბორტმახერის მაკრატელს ნამდვილი სასოწარკვეთილებით გაურბის ახ-ლახან სულთშთაბერილი ნაყოფი.

ამაზე დიდი საცოდაობა არც მინახავს. ამერიკულ დოკუმენტურ ფილმს ვგულისხმობ, რომე-ლიც ხელისგულზე გვიცოცხლებს თითქოსდა უჩინარი ძეხორციელის ორგიებს დედის წიაღში, მის აღურიცხველ სიხარულებს და მოწყენათ, მის რეაქციებს მშობლების ხმაზე თუ სმოგიანი ატ-მოსფეროს შეყნოსვისას.

გვგონია აჭყავლდება ჩვილი და მოგვევლინება სრულიად დაუწერელი დაფა — ეფიგდფ კფთფბ როგორც ეს წერილის დასაწყისში ვიუწყეთ ირონიით, სინამდვილეში კი, ჩვენს ღაბაბიან პროფესო-რებზე ნაკლებად განათლებული როდი გამომხტარა იგი დამბადებლის საშოდან, თითქოსდა სრუ-ლიად უმწეო, უმეცარი, ინფორმაციისაგან აბსოლუტურად სტერილური, სინამდვილეში კი გვა-

რიანზე მეტად განსწავლული, საარაკოდ ელასტიკური და ათასი უხილავი ანტენით თუ სხვა რამ, ჯერაც უსახელო აპარატურით, გარესამყაროს ნაირფეროვნებისა და ნაირხმოვნების ზესიმძლავრით მიმტაცებელი.

მულტიპლიკაციური ენით გაცოცხლებულ-ამეტყველებული სინამდვილეს წინ არაფერი ეღობება მოზარდების დაუოკებელი ცნობისწადილის აღსავსებად. ამისი ნათელი დასტური ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაა: ერთი ტელევიზორი, სამი შვილი, ინფორმაციული პროგრამისა და ,,ბასტი ბუბუს'' სინქრონულობა საეთერო დროში.

შეხედეთ, ევროპელები გავხდით;

პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში, პასპორტში, ეროვნების რეკვიზიტი ჭონიასავით შეჭმულა; თავისგადამბალთველი აფხაზი სეპარატისტების მარათონული დიალოგომანიაა შერატონ პალასში;

კიდევ რამდენი სავიშვიშო და სადავიდარაბო, ხოდა, მხოლოდ წამის ნაათასალით სცადე, აბა, პროგრამის შეცვლა! კედელ-იატაკ-ჭერი თავზე თუ არ დაგემხო, მადლობა შესწირე ნაზარეველს.

რა ხდება? განა ისეთ რა სასუსნავს არიგებენ ,,ბასტიში'', ამდენი საცნობისმოყვარეო ამბავი გადაწონოს? მაგრამ რადგანაც ,,ბასტის'' ფორმა-შინაარსი ბავშვურია, ანუ სიმბოლურ-ხატოვანი, შენს პოლიტიკურ ჭინთვებს, დიდაქტიკურ სერიოზულობებს და ოფლისმომდენ მორალთ გალახული ძაღლის ილბალი რგებია წილად ბედნიერი ბავშვებისაგან.

აქ ნებისმიერი აღმზრდელობითი მეთოდი, თვით ყოვლისშემძლე ამონაშვილის ყურში ჩურჩულები თუ კანფეტების წუწვნები, ერთობ უძლურია, და თუ მაინცდამაინც ათასუცნობიან განტოლებებს ვაზეპირებინებთ ყრმას, მხოლოდ მოგვიანებით, ლამის 10-15 წლის შემდეგ საცნაურდება მისთვის თავში ძალადჩატენილი სტროფები, ფრაზები, სენტეციები. მხოლოდ გარკვეული პერიოდის მერმე აეხდება ფარდა ჭალადიდელის სიტყვების მენტორულ მნიშვნელობას: ,,მერწმუნე, შვილო, გამოცდილია, თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია''.

დიახ, მოგვიანებით საჩინოვდება, ვინაიდან ბარიერი — ასაკი ან მიწოდებული ინფორმაციის სირთულე კი არა, თავად მიტანის ფორმაა. მოკლედ, როგორც იტყვიან მუნჯი შვილების ენა მშობლებმა არ ვიცით: ჩვენ ალთას ვართ და ისინი — ბალთას, თორემ სინამდვილეში არ არსებობს მცნება, კატეგორია, რომლის დაყვანა მოზარდის დონემდე გაძნელდეს; მეტიც, ნებისმიერი სიდიდე, ნებისმიერი ფასეულობა გაიხსნებოდა მცირეწლოვანის ფსიქიკაში თუკი ჩვენ მოვუძებნიდით მასალას გასაღებს, თუკი მათ ვთარგმნიდით ბავშვების ენაზე. ეს ენა კი მარტივია — სადა, ზედმიწევნით გასაგები და ხატოვნებით ამოძრავებული ფორმა.

გამოდის, რომ 10-15 წელი ზედმეტი, სრულიად უსაგნური და უმაქნისი ინფორმაციით დაგვიტვირთავს მოზარდის გონება; პურის ნაცვლად ხორბალი მიგვიწოდებია უდაბნოსავით დამშეული მისი სულისთვის, რომელიც თანდათან იფქვება, იზილება, ცხვება და ბოლოს პურად გარდაიქმნება, როცა შეგვეძლო ეს პური ამდენი ხეტიალის, უკეთ — ბოდიალის გამორიცხვით, თანადროულად მიგვეშველებინა და ჩვენს თანამოაზრედ გაგვეხადა.

აქ კი, როგორც აღვნიშნე, გზა, მეთოდი ცალსახაა, გენიალური უბრალოება — ცხოველთა ურთიერთობაში არეკლილი რეალობა, ანუ კატეგორიების მაგივრად სახეებით აზროვნება;

ცნებებით მსჯელობა ადამიანის გვიანდელი სტადიისათვისაა ხელმისაწვდომ-ნიშანდობ- ლივი, ცეროდენა მოცარტი ვირტუოზია, ვიოლინოს ჯადოქარი, მაგრამ საგნის ფორმას შინაარსისაგან ვერ ასხვავებს .

აქედან გამომდინარე ერთ სინამდვილესაც უნდა გავუსწოროთ მზერა: აღნიშნული თვალსაწიერით ჩვენი ეროვნული საგანმანათლებლო სისტემა აბსოლუტურად თუ არა უმეტესწილად მაინც საჭიროებს ქრისტეს მცნებაზე სიარულს — ახალ ღვინოებს ახალ ტიკჭორებში ასხამენ. ისიც კარგად გავაანალიზოთ თუ რამდენად განსხვავდება ინფორმაციის ორი ნაკადი — ხატობრივი და ცნებითი.

,,ამბები შეიძლება საცნაური თამაშებითაც წარმოვაჩინოთ და თხრობითაც გადმოვცეთ, — გვასწავლის ხორაციუსი, — მაგრამ ყურით გაგონილი სულსა და გულს ისე ვერ იპყრობს, ვით საიმედოდ თვალით ნახული და მნახველის ხსოვნაში აღბეჭდილი''.

ყველაზე ზესიმძლავრის კომპიუტერული მეხსიერების ვინჩესტერს, რომელსაც ასობით რომანის ჩაყლაპვა შეუძლია, ანუ ათეულ ათასობით ნაბეჭდი თაბახის დატყვევება ძალუძს თავის მინიატურულ სივრცეში, სავალალოდ, ფიროსმანის ნახატების რეპროდუქციების სრულყოფილი ჩატვირთვა გაუჭირდება. და თუ პარალელს გაავლებთ კომპიუტერულ ხსომიერებას, ბავშვის ცნობიერებასა

და მოვლენა-საგნებს შორის, მოზარდის გონება, დიახაც, სახეობრივი ინფორმაციის მოპოვებითაა დაკავებული, რომელიც უკიდურესი სიზუსტით აღიბეჭდება ცნობიერების ფირფიტაზე, რათა საჭიროების შემთხვევაში, აღდგეს პიროვნების მაშველ ძალად.

ამის ნათელ ნიმუშად გამოგვადგება ათიოდე წლის წინათ ამონაშვილ-წივწივაძის გახმაურებული პოლემიკა.

ბატონი შალვა პედაგოგის პოზიციიდან გრძნობს, რომ საქმე ვერ არის სათანადოდ, რაღაცა ყარს დანიაში; რომ არსებული მეთოდით შეუძლებელია მოზარდი თაობა მორგის ამაზრზენობას ჩამოვაშოროთ. ამიტომაც იგი სრულიად გამიზნულად ნოვატორის მანტიას მოისხამს და თავს მელასავით იმკვდარუნებს; ენას იჩლექს, ,,რაე''-ს ადგილას ,,ლას''-ებს მოიშველიებს, რათა ნორჩების ნდობა მოიპოვოს, ბუნებრივად შეაღწიოს მათ სამყაროში; მაგრამ ლევანიკო რამდენჯერაც შეახტეს მუხლებზე მხცოვან მოძღვარს, ან ამ უკანასკნელმა რამდენჯერაც უწუწნოს პირში გვარიანად ნავაგლახები მომპასი, მათი ხარმონიულობა დროებითია. კი, მიღწეულია თითქოს ანგარიშგასაწევი ურთიერთპა- ტივისცემა შეგირდსა და ოსტატს შორის, მაგრამ არ არსებობს ენა, რომლითაც ისინი შეუფერხებლად ისაუბრებენ; უკეთ, ბატონ შავლა ამოანშვილს ყრმად გადაქცევა არ ემარჯვება, მით უფრო მულტიპლიკაციური სამყაროს მკვიდრად გარდასახვა. ამიტომაც სრულიად სამართლიანად მეჩვენება ბატონ თამაზ წივწივაძის ილენცური დამოკიდებულება ქართული დიდაქტიკური სკოლის ჩიხშიშესული, დრომოჭმული მეთოდებისადმი.

თვალსაჩინოებანი ასაკობრივი გრადაციისათვის

მსოფლიოსგან ჯერაც აუღიარებელი მწერლის ბელეტრისტულმა დაკვირვებებმა გამორიცხული არ არის გაზლუქებულ პედოფობს, თავისი მექას შერუჯულ კედლებისთვის მორიგი ხანძარი შემოაგზნებინოს ,,უმართებულო'' განქიქების გამო, მაგრამ, ვინაიდან ერთხელ დამწვარს ხელმეორედ ვერ წაუკიდებ, კვლავაც სულმნათი კვინტუს ხორაციუსის მოზრდილ ტირადას შემოვიშველიებ დამცავ ფარ-ჯავშნად:

„ახლა მისმინე რა მსურს მე და რა სურს ჩემთან ერთად ხალხს: მაყურებლები რომ ბოლომდე შეგრჩეს და ადგილებზე მანამდე ისხდნენ, სანამ კანტორი იტყოდეს, „დასცხეთო ტაში“,8 გმართებს, ყოველი ასაკი თავისი ზნე-ჩვეულებით გამოხატო, განსხვავებულ ხასიათებსა და ხანიერებას შესაბამისი მიუსადაგო:

აი, ბიჭუნა, რომელიც უკვე ტიტინებს და მიწაზეც ფეხს მტკიცედ ადგამს, ტოლებთან თამაშობს იგი, და უმიზეზოდ ანჩხლობს კიდევაც; მერმე კვლავ მშვიდდება და, საერთოდ, მალ-მალე იცვლის ზნეს და ხასიათს.

პირტიტველ ჭაბუკს, რომელმაც ზედამხედველს სულ ახლახან დააღწია თავი, სიხარულის ფრთებს ასხამენ ჯიშიანი ცხენები, ძაღლები და მზით გაბრწყინებული მწვანე მინდორი.8 სანთელივით ადვილად იდრიკება იგი მანკიერების წინაშე, ჭკუის დამრიგებელთ უხეშად ექცევა, გვიან-გვიან წვდება სიკეთის არსს, ფულს უაზროდ ფლანგავს, მეტისმეტად პატივმოყვარეა და საყვარელი არსებაც შეუძლია მსწრაფლ მიატოვოს.

მოწიფული ვაჟკაცი, ვისაც ასაკმა მისწრაფებანი შეუცვალა, ბეჯითად ეძებს სიმდიდრესა და მეგობრებს, პატივ-დიდებას ელაციცება და ფრთხილობს, არ ჩაიდინოს ისეთი რამ, რის გამოსწორებაც შემდეგ გაუჭირდება.

სიბერეში შესულ კაცს ბევრი საზრუნავი აწვება ტვირთად; ან იმიტომ როს ქონების ძიებითაა გართული და რომ მოიპოვებს, შიშობს საბრალო, საგულდაგულოდ გადანახული არ შემოეხარჯოს; ანდა იმიტომ, რომ ყოველ საქმეს კრძალვით და ცივად ეკიდება იმედის ეჭვით შემყურე და მყოფადის წინაშე დაშინებული, ანჩხლი და ჭირვეულია იგი; ქება-დიდებით იხსენებს გარდასულ დროს, თავისი ჭაბუკობის ჟამს და მკაცრი მსაჯულის თვალით კიცხავს და აძაგებს იმას, რაც ახალმა დრომ მოიტანა.

მომავალ წლებს მრავალი სიკეთე მოაქვთ თან და წარმავალთ ასევე მრავალი მიაქვთ დაუბრუნებლად. გახსოვდეს: ახალგაზრდას არ დაეკისროს, ხანდაზმულს რაც ევალება და ვაჟკაცის სამოქმედო საქმე არ დაევალოს ყრმას. ვითარებათა და დროის შესაბამის ჩარჩოში უნდა ვტრიალებდეთ მუდამ!“

,,პოეტური ხელოვნებისათვის'',
თარგმანი აკაკი ურუშაძისა.

უსათუოდ შენიშნავდით დიდი რომაელის ეჭვმიუტანელ დაკვირვებებს ადამიანის ცხოვრების ოთხ მონაკვეთად დაყოფის თაობაზე, სადაც ბავშვობაში ,, უმიზეზოდ ანჩხლი'' ასაკმოყრილობის ჟამს შეგნებულად ,,ანჩხლი და ჭირვეულია''.

ქვემოთ შემოთავაზებული სქემა ი. როგინსკისა და მ.ლევინის ,, ანთროპოლიიგიდანაა'', რომლის მიზანია კანონზომიერება დაუძებნოს სხეულის პროპორციებს ასაკობრივი ცვალებადობის მიხედვით.

ადამიანის სხეულის რვა ნაწილად დაყოფა ბერძენი სკულპტორის, პოლიკლეტის, კანონიდან მომდინარეობს, რომელსაც ძველეგვიპტელი ოსტატების თეორიები ესაფუძვლება. ამოსავალ წერტილად მიჩნეულია მარცხენა ხელის შუათითი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შეფარდებას სხეულთან 1/19-ით. მაგრამ ამ სიდიდის მიღმა იდუმალებს უმთავრესი, კონკრეტულად კი თავად მოზარდის სხეულის გრადაცია ასაკობრივი ცვალებადობის ფონზე:

ბავშვი ზრდასრულისგან გამოირჩევა შედარებით მოკლე ფეხებით, გრძელი ტანით და დიდი თავით. თუკი სკულპტურის კანონიკით იდეალური პროპორცია 1/8-ია, ბავშვის მიხედვით ეს თანაფარდობა 2/6 ანუ 1 /3 -ით გამოიხატება; დიახაც თავს, ინფორმაციის დამჭერ აპარატს, უკავია ცენტრალური ადგილი მის აღნაგობაში და ინფორმაციის ათვისების კვალდაკვალ პატარავდება იგი. დაპროგრამების შემდგომ თავის ქალის ძვლოვანი სისტემა იწყებს გადანაწილებას მთელს სხეულზე.

ადამიანის ინფანტილური ფაზა გამოკვეთილია კბილების მკაცრად განსაზღვრული ოდენობით, რომელიც პოეტესა მერი ინაშვილს საყველპურად ცოდნოდა, არაფრისდიდებით დაწერდა ამისთანა საანეკდოტე სტრიქონებს: ,,მაინც მიკვირს, პატარებო! უცნაური მომენტის — გული ერთი რატომ გვაქვს და კბილი — ოცდათორმეტი''.

ჩვენი უბედურებაც ეს გახლავთ — არარსებულ თო- რმეტ კბილს ვტენით პირში პატარას. ზედმეტი თორმეტი კიჭის წლობით შენახვა ენის მოჭარბებული დაუდგრომლობის პერიოდში, დამეთანხმებით, არც ისე იოლია. ანთროპოლოგიურად კი პატარებს, როგორც წესი, ოცი კბილი გააჩნიათ, რომელთაგან უმეტესი წრუწუნათათვის გადაიყრება ასაკობრივ ცვალებადობასთან ერთად და მხოლოდ 20-25 წლის ასაკში, ზოგჯერ მოგვიანებითაც, აღიჭურვება ბოლო, ოცდამეთორმეტე სიბრძნის კბილით.

ალბათ, გულბრიყვილოა მოზარდი თაობის განსწავლულობის კონცეფცია ისტორიზმის მეთოდზე ავაგოთ, ანუ ტრადიციულად შევთავაზოთ ლიტერატურული ნიმუშები უძველესი ძეგლებიდან მოყოლებული დღევანდლამდე, ქრონოლოგიურობის დაცვით. ყრმას, რომელსაც ეს-ეს არის უყალიბდება ცნობიერება, დიახაც, უპრიანია ყველაზე უმთავრესით დავუწყოთ წრთვნა, უმთავრესით და უმნიშვნელოვანესით.

ამიტომაც მიმაჩნია, რომ შეგირდი პირველი კლასიდანვე უნდა შეეგას ,,ვეფხისტყაოსანს'' და ისე ჩაამთავროს უსაშველოდ გაწელილი ათწლედია ეს თუ თეთრმეტწლეული,რომ წამითაც არ მოშორდეს ქართული სულიერების შეუცვლელ ბიბლიას, რომლის კეთილსმყოფელ აურაში ნელინელ გამოიძერწება კიდეც მოზარდის ლიტერატურული პესტიციდებით ესოდენ დაკნინებული სულიერება.

დიახ, ,,ვეფხის ტყაოსნის'' მაგიური ძალით უნდა საზრდოობდეს მისი ცხოველმყოფელობა ანიდან ხოემდე. არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენს იწილობიწილო საგანმანათლებლო საქმიანობაში, ვინემ ამ პრინციპის დამკვიდრებაა.

არადა, მაუწყეთ, ღვთის მადლმა, რისი მომცემია პირველკლასელი ბავშვისათვის ინფორმაცია ესე? ,,შოთა რუსთაველი არის დიდი □**აქ მაინც რატომ გვეცოტავება ეპითეტი? ხელმოცარულებს გენიოსებად ვნათლავთ და ნაშდვილი გენიასთვის ჭეშმარიტი ეპითეტი ვერ გაგვიმეტებია! გ.ო.)** ქართველი პოეტი. მან დაწერა პოემა ,,ვეფხის ტყაოსანი''.

მორჩა! ამ ინფორმაციით ჩაამთავრებს პირველკლასელი მოზარდი ,,დედაენის'' მიხედვით კალენდარულ სასწავლო წელს. ცოტა დანაკარგია? არადა, ჩვენ მისი ცნობიერების გამპოხიერებელი უამრავი მასალის მოხმობა შეგევძლო სამაგიდო პოემიდან.

ყველაფერი ჩვენი მარაზმული შიშისგან მოდის: ვაითუ, გადავქანცოთ მოზარდის გონება: არიქა, ზედმეტი კითხვისაგან არ წავახდინოთ ბავშვის ფსიქიკაო.

გეკადრებათ, ბატონებო? მიაწოდეთ მას ასაკის შესაფერისად შედგენილი ნებისმიერი სირთულის ტექსტი და ჩემი კისერი, თქვენი — დანა, სადმე იოტისოდენად თუ წაბორძიკდეს.

პირიქით, მოზარდი ინფორმაციის დანთქმისთვისაა მოწადინებული მთელი არსებით, მაგრამ ავტორიტეტების ტაბუირებული დოქტრინები სავალალოდ გადასინჯვას არ ექვემდებარება. მე კი მიმაჩ-

ნია, ცხოვრება გამუდმებული განვითარებაა. გუშინწინ თუ გუშინ სასარგებლო, შესაძლოა დღეს, ხვალ-ზეგ საზიანოდაც გვექცეს. ამიტომ პედაგოგიკაც, როგორც ნებისმიერი დისციპლინა, უნდა განიცდიდეს თანადროულ მუტაციებს, ხანდახან რადიკალურ ცვლილებებსაც, განსაკუთრებით ფასეულობათა თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქილევსის სისწრაფით მქროლავ დროს სასტიკად ჩამოვრჩებით კუს ნაბიჯებით მოჩოჩიალენი.

ამოსავალი წერტილი ერთია: ქართველი მოზარდი გეორგიანული ქვეყნის ისტორიული პირმშოა, მისი მიწის, ზღვისა და ხაერის მომაჯადოებელი წიაღიდან აღმოცე- ნებული, ამავდროულად ურბანისტულ სულისკვეთებასაც ნაზიარები, კომპიუტერებს მიჩოჩებული; და მზის სიტემის პარამეტრებს ზიარებულ ამისთანა შეგირდს, აკვნიდანვე თხა და გიგოს ენით ესაუბრო, უბრალოდ წმინდა წყლის უგვანობაა.

ყრმა თითებს ჩვილობის პერიოდიდან შენიშნავს ხოლმე. ჯერ კიდევ ენის ამოდგმამდე თვალწინ იტრიალებს პირველ საოცრებას, რომელიც მისი სხეულიდან იბადება და ხერაკლეს გმირობებზე ნაკლები როდია მსგავსი აღმოჩენები ანგელოზის პოზიციიდან, მაგრამ, თუკი ,,აი იას'' ჯადოსნობით ჩაგვიყრია საძირკველი ქართველი მოზარდის ცნობიერებისათვის, მიკვირს, რატომ იგივე მეთოდით არ გრძელდება შემდგომ და შემდგომ მისი გამობრძმედება?

გოგებაშვილის რევიზია იოლი საქმე არ არის, მაგრამ საგნის შესწავლა, პირველაღმომჩენთან არ მთავრდება და ნუ ავიკვიატებთ ,,სათითეებს''. თანაც ანგარიში გავუწიოთ XX საუკუნის ტენდენციებს სახელების არჩევითობის თვალსაზრისით, ვინაიდან: შიო, ძიძია, კესო, სიკო, კაკო, მაიკო, ჩალხია ლამის მივიწყებული ფონემებია. სანაცვლოდ ამოტივტივებულან გიორგები, ლევანები, ცოტნეები, ნინოები, მარიამები, ანუ ჩვენი სულმნათი წინაპრების კვალობაზე მონათლული ნორჩი საზოგადოება.

მაგრამ ესეც მოსათმენია უფრო სავალალოსთან შედარებით, ანუ იმ ფრაზეოლოგიის კვალდაკვალ, რაც პირველკლასელისათვის შეთავაზებულ ტექსტს ახასიათებს ,,დედაენაში'', კონკრეტულად კი ქაოსური მასალის მიზეზ-შედეგობრივი პრინციპით დალაგება. ასეთი მიდგომები მომავლის საქმეა და, ადრე თუ გვიან, დროის მოთხოვნების შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, ახალი გოგებაშვილები ღირსეულად გაართმევენ თავს ამ საშვილიშვილო მისიასაც.

არადა, როგორი ანაქრონიზმებია:

ამჟამად ,,თეოს უთო მძიმე'' სულაც არ არის, ტექნიკური პროგრესი ზედმეტ თუჯს გამოაძევებს მისი სანაკვერცხლე მოუხეშავი აღნაგობიდან და ბუმბულივით აამჩატებს, მაგრამ ვინაიდან ტრადიციის დარღვევა არგების, არსსახსენებელ არს, ტაბუირებურია, ვაშინერს— უნდა გვემძიმოს.

,,ეს ხაშია'', გვანათლებს ,,დედაენა'', და მამა ლოთი თუ არ ხყავს, ძნელია მოზარდმა გააცნობიეროს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ფრიად სპეციფიკური კერძია ქართულ კულინარიაში.

ყალბია ,,ოფოფი დაგოგავს'', ვინაიდან გოგმანი ტრადიციულად მწყრის სინონიმია.

ცხადია, ,,მამალი გარბის'', როგორც უმეტესი ფრინველი და ცხოველი, მაგრამ მისთვის უმთავრესი ატრიბუტი ყივილია, ამით ასოცირდება ბავშვის გონებაში.

,,ჟან''-თან, ჟირაფთან ,,ჩოჩორი გოჩასია'', ,,გარაჟი ჩალხიასია'', ხოლო ,,წარ''-თან, წეროსთან ,,ჟუჟუნა ყურძენს კრეფს''.

ხომ არ აჯობებს მსგავსი აკუსტიკის სახელი სათანადო ბუდეში მოვაქც- იოთ და, საერთოდ, როდესაც ამა თუ იმ ასო-ბგერის დახსომება განგვიზრახავს, ის სიტყვები დავაწინაუროთ, სადაც ეს ასოებია ხაზგასმული ალიტერაციის მეშვეობით თუ მახვილის დასმით. ,,წეროსთან'' მისაღებია წიწილა, მაწონი, არაფერს წავაგებთ წუნას შემოშველებითაც, მაგრამ როგორ გადაარწმუნებ ბავშვს იმ რეალობას, რომელიც ეკრანიდან სამუდამოდ ჩაბეჭდვია გონებაში: წრუწუნა კაკლის ასოციაციას იწვევს მასში და პირიქით; ამიტომაც სრულიად გაუმართლებლად გვეჩვენება ფრაზა ,,წრუწუნას წაბლი უყვარს''. ნებისმიერ სიტყვას გვერჩივნა იქ კაკალი ჩაგვეწერა ან სულაც ასე: ,,წრუწუნას წამალი უყვარს''. ამით ჩვენ არ გავაორებთ მოზარდში ჩამოყალიბებულ ცნებას გავითამაშებთ წამალმოძულე ბავშვების მოსალმობიერებლად.

სოციალიზმი რის ვაივაგლახით გადაგვიშენებია, ,,დედაენა'' კი ძველებურად ქადაგებს: ,,სოფოს ძმა შრომის გმირიაო''.

დღეს ბევრი აწვალებს კალამს ყმაწვილების დასაჩლუნგებლად. ქართული ეკლესია თავის დროზე იბრძოდა ენის სიწმინდისათვის: ევროპა რენესანსამდე გააკეთილშობილებს თავის მეტყველებას თუნდაც ინკვიზიციური მეთოდებით, გაანთავისუფლებს ძნელად წარმოსათქმელი თანხმოვნებისაგან. აქედან გამომდინარე, ხავერდოვანება, მაჟორულობა შეემატება მათ ენას, ჩვენი პოეტესები კი ,,ტოროლა და ოლოლებს'' გვთავაზობენ, სადაც ნაჯახით გამოჩორკნილი რითმათა წყვილეულებია.

იგივე სიგონჯისაა ნ.შამანაძის „გვესტუმრე“, „ახალი თბილისი“; ი.გრიშაშვილის „გაზაფხული“; გ. ჯაბუშანურის „თინიკო და მზე.“

მოკლედ, ისე ჩაივლის პირველი წელი, ბევრ ვერაფერიშვილს შევძენთ მოზარდის გაფაციცებულ გონებას, ვინაიდან მან უკვე გაცილებით მეტი იცის ცხოვრებაზე, ვინემ „დედაენის“ შეთავაზებული სინამდვილეა, თუმცა V კლასის სახელმძღვანელოს გადათვალიერება გულში იმედს ჩამისახავს: ქართული პედაგოგიკა, სავარაუდებელია, რომ ადრე თუ გვიან ტაძრისაკენ მიმავალ გზას დაადგება.

ენობრივი პოზიცია უდიდესი მნიშვნელობისაა მოზარდი თაობის სწავლების პროცესში. მართლაც, გენიოსი უნდა იყო, თანაბრად მისაღები ნაწარმოები შექმნა, როგორც პატარებისათვის, ისე — დიდებისათვის. ამას ახერხებენ თითო-ოროლანი, გენიალური უბრალოების და არა — პრიმიტიულობის წყალობით.

IV კლასის სახელმძღვანელოს „ქართული ენა“(?!) სამი ავტორი ხყავს: ვ. რამიშვილი, შ. თაბუკაშვილი, თ. ჩერქეზიშვილი □აჯობებდა აქ გვარები ალფაბეტური თანა- მიმდევრობით დაგველაგებინა), V კლასისას („მშობლიური ლიტერატურა“) — ექვსი: ვახტანგ როდონაია □ჯგუფის ხელმძღვანელი) , ლალი ვაშაკიძე, ლია თვაური, დალი ლორია, ლეილა მანჯგალაძე, ნინო მუშკუდიანი □აქაც არაა გათვალისწინებული ანბანური პრინციპი, თითქოს ჯგუფის ხელმძღვანელის როლი რამეთი დაკნინდება მესვეურეული პოზიციის მაგივრად სიის ბოლოში გადანაცვლებით. ასეთი მიდგომები ხომ პროკომუნისტურია, როდესაც „შინ“ გვარზე გაფორმებულ პიროვნებას სამძიმრის თავში გადაისვრიან, „ან“-ებისა და „ან“-ების წინ?) მაგრამ აქ არსებითი სხვა რამ გახლავთ: ერთნი თუ ავტორებად აცხადებენ თავს და წიგნის ჩრდილოეთ სივრცეში დაფუძნებულან, იქაური მზის ამობრდღვიალების მოიმედენი, მეორენი შემდგენელებად წარმოჩინდებიან და აქაც უცილობლად ყველაფერი ინტელექტის წყალობაა.

ალბათ, ესეც ასხვავებს მასალათა დალაგების, მოწოდების პრინციპს, წიგნის პოლიგრაფიულ დონეს, ილუსტრაციის უბადრუკობებს ერთგან და სასიხარულო სიმკვეთრეს მეორეგან.

დიახ, ყველაფერი ინტელექტიდან მოდის.

რუსთველი შიშნეულია მამაღმერთის წინაშე, წარმავლად, ლამის არარაობად მიუჩნევია თავი მამფალს, გენიოსს და ათასი შარახვეტია კალამგირი ხომეროსად დაგვისკუპდება წინ, თანაც— საცრისხელად გახელილი თვალებით, რომელთა მოციგლიგე არეში ნიჭიერების ნასახიც არ კიანთებს წყალწაღებულისათვის ხელჩასაჭიდებელ ხავსად.

ბრძენი ილია ნათელშია, წივწივაძეებს ტერორისტად აცხადებენ ხელმოცარულთა ლეგიონები, ხოლო ნოდარ გრიგალაშვილისა და როსტომ ჩხეიძის შესაშური პატროფილური პათოსის მიუხედავად, სამკალი ჯერაც ფრიად არს...

აქ უპრიანია პროფესორ ჯემალ პაჭკორიას კონცეფციის მოშველიება მოზარდი თაობის შემჭიდროებულ დროში განსწავლის თაობაზე. მისი შეხედულებით, დღევანდელი ახალგაზრდა გაცილებით ადრე მწიფდება ცხოვრებისათვის ბიოლოგიურად და ჩვენი ვალია სოციალური და ფიზიკური ფაქტურა დავამთხვიოთ დროში ერთმანეთს; უკეთ, არ მოხდეს პიროვნების გახლეჩა თუ გაორება. მეცნიერის მრწამსით საჭიროა არსებული პროგრამების რადიკალური გადახალისება, მეტი ადგილის დათმობა საბუნებისმეტყველო დისციპლინებისათვის, ურომლისოდ ნებისმიერი ინდივიდუუმი ორიენტაციადაკარგულია ცხოვრების უკიდეგანო ოკეანეში.

ამასთან ბატონ ჯემალის თვალთახედვით აუცილებელია მოზარდების გამოკვლევა არაქირურგიული გზით — რა მიდრეკილებისაა, ხუმანიტარული დარგებისა თუ საბუნებისმეტყველოსი. როგორც ირკვევა, ტვინის ამ თავი- სებურებებს ნახევარსფეროები განსაზღვრავენ თურმედა რადგანაც 9-10 წლის ბავშვს უმეტესწილად მოსინჯული აქვს შესაძლებლობანი, გამოკ- ვეთილია მიდრეკილებანი, თანადროულად მიგვაჩნია დაწინაურდეს დიფერენციული სწავლის მეთოდი ადრეული პერიოდიდანვე. ეს გზა კარგადაა აპრობირებული იაპონიაში, სადაც სხვადასხვა ტემპერამენტის აღსაზრდე- ლებს მსგავსი ნიშნის მიხედვით აჯგუფებენ: სანგვი- ნიკებს და ქოლერიკებს გვერდიგვერდ მიუჩენენ ადგილს, ხოლო მელანქოლიკებსა და ფლეგმატიკებს — ცალკე, და საერთოდ, ყოველნაირ პირობას უქმნიან, რათა ონავარმა ბოლომდე გახარჯოს ორგანიზმის მიერ კოლოსალური ოდენობით გამოყოფილი ხორმონები. ამომავალი მზის ქვეყნის პატარები ბაგა-ბაღში, ერთნი, ამტვრევენ ყოველგვარ სათამაშოს, ფხრეწენ, ამსხვრევენ, აქუცმაცებენ, და ამით განიტვირთებიან უარყოფითი ემოციისაგან, ხოლო მეორენი აკოწიწებენ, ამრთელებენ დაწიოკებულ და გაპარტახებულ ნივთებს.

ეს მიდგომები თურმე ცხოვრების ლოგიკითაა ნაკარნახევი მათთან, ადამიანის ორბუნებოვანი

სურათის შესატყვისად, „ხოსა“ და „არას“ შორის დაუსაბამო მერყეობის წყალობით, მაგრამ, რადგანაც საგრძნობლად გაგვიტაცა მედიტაციამ, მიწაზე დაშვება ვამჯობინოთ და აწგაცხადებული კონცეფციის ჭრილში, ვფიქრობთ, გაგვიიოლდება შესაშური პოლიგრაფიული დონის მამულიშვილური ჟურნალ „დილის“ ექვსივე ნომრის გაანალიზება.

დიზაინის ზეიმი

პოლიგრაფია ვახსენეთ და საუკუნის მიწურულს საქართველოსაც გადმოესხმება კომპიუტერული მადლი. სახელმძღვანელოებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გადაათვალიერეთ ამ იშვიათი გემოვნებით გაფორმებული ჟურნალის ნომრები და თქვენით დარწმუნდებით ფერების როგორი გასაოცარი მდინარეებაა. ის კი არა, ხშირად ჭარბი ენერგიის დაუოკებლობის ნიშნებიც კიანთებს აქა-იქ, განსაკუთრებით, როცა საკითხი ეხება ტექსტისა და ფონის ურთიერთშეთანაწყობას.

ჩვენთვის მისაღები პოზიცია, როდესაც ნებისმიერი ატრიბუტი ეხმარება აზრის სწრაფად და ნათლად აღქმის საქმეს. ამ მიმართებით, ალბათ, გადასასინჯია ჟურნალის ტექრედაქტორული მრწამსი, ვინაიდან ზოგჯერ ხდება ისე, რომ ფრიად საინტერესო მასალა გაბუნდოვანებულია, გადაფარულია, დიახაც, გამომსახველო- ბითი ეფექტებით.

ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ მოზარდის თვალისჩინის მოფრთხილებისათვის. აქედან გამომდინარე, ყრმას არ უნდა უჭირდეს შრიფტის გამოცალკევება ფონიდან, რადგანაც ამ ჭირთათმენის პროცესში დამატებითი ბარიერი ექმნება ისედაც გაუწაფავ მის გონებას. მაგრამ, ვფიქრობთ, თვალში ბეწვის პოვნა ამერიკის აღმოჩენად არ ჩამოგვერთმევა, მით უფრო, როცა ბოლოს და ბოლოს დაძლეულია ათწლეულობით გაბატონებული დოქტრინა: ქართველმა ბავშვმა ნახატიდან ვაშლის მაგივრად მაინცდამაინც პომიდორი უნდა აღიქვას ან ლიმონის ნაცვლად — ატამი. არაფერს ვამბობთ ფაუნისა და ფლორის ეგზემპლარების ნიუანსობრივ მხარეებზე, რომელიც, უწინარესად, დიდ ოსტატობას და ნიჭიერებას მოითხოვს მეფუნ- ჯეთაგან. ამ თვალსაზრისით ჟურნალში მხატვართა მთელი კოხორტაა წარმოდგენილი, შესაძლოა ფართო საზოგადოებისათვის მეტნაკლებად ცნობილი პიროვნებანი, მაგრამ მათდამი მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის და ჩამოთვლის ტრადიციულ სტერეოტიპს თუ დავესესხები, მკითხველს ვთხოვ, ამ ერთხელ მაინც მომიტევოს ყაზარმული საქციელის გამო:

სამუდამოდ გამახსოვრდება თამაზ ხუციშვილის წყაროსთან გაბუსხული ბეღურა და უშველებელ „დედაენას“ დაწაფებული მალხაზი ეკლესიის ფონზე;

იისფერი თოვლის კოლორი მისძალებია ლაშა სულაკაურის ფერდობ-ფერდობს ამოზიდულ მონასტრებს ალვის ხეთა მეჩხერ მწკრივებში;

გიპყრობს ვაჟა ქურხულის რეალიზმი მინიატურული შტრიხებით;

ედუარდ ამბოკაძე, ნანა სანაია მოზარდისათვის მახლობელ გარემოს ქმნიან მერცხლების ხაერში ნავარდითა და ყაჩაღანას დაშინებული ბელის ძუნძულით;

სულში ჩამწვდომია თამარ ქალდანის თათქარიძისეული „მუხუდელა“; რასაც ვერ ვიტყვით „გასაყიდი ქუდების“ გაფორმებაზე, ვინაიდან ირკვევა, რომ მხატვარს ტექსტში არც ჩაუჭვრე- ტია, თორემ მის ვაჭარს არაფრით ეხურებოდა წითელი ქუდი. აი, საბუთიც: „მისი საკუთარი ქუდი კი შავი იყო“.

გულბრიყვილობის ილუზიას ქმნის ანა მგალობლიშვილის პატარა ქირურგი, ეს იმ მარი ინაშვილის „ქირურგი“ გახლავთ, ოცდათორმეტი კბილით რომ აღკაზმავს ხიპოკრატეს ფიცისათვის გამწესებულ გოგონას;

დღევანდელი ონავრისაგან ვერაფრით განასხვავებთ დარეჯან ჭილაშვილის თუშურქუდიან პატარა კახს, რომელსაც ჯაჭვის პერანგი აცვია, გახკრავს ხელს და გახევს;

გია ლაფაური, გიორგი ჩაჩანიძე გაურბიან სტანდარტებს და ქმნიან უშუალობის, ინტიმის ატმოსფეროს.

ისევ იგივე გვარებია ნომერ და ნომერ: წითელქულაჯიანი კურდღელი ცაში ასვეტილი კოშკის სიახლოვეს; ალმაცერად მომზირალი ყვითელი, ქოჩრიანი კატა, გაპუტული მამლები, შესხეპილი მუხა;

გამოიელვებს აქა-იქ 13 წლის სანდრო კაციტაძეს ფანტასმაგორია — კოშკი, ან არწივის დაკლანჭული, მართვეებისკენ წარტყვევნილი წითური მელა;

იქვეა ლაშა სულაკაურის სამეფო პატიმრები;

დედაენის კითხვაში ჩაზიარებული, კვერცხების ჩეკვამიტოვებული ყვანჩალა;

მერი ბოლქვაძის ციყვი ციკო, თაგუნა წრუპი და ბეღურა ნათი;

თეა მიქაიას ანანო, საფერხულთან გალურსული ფისუნიათი;

ზაურ დეისაძის სახასიათო დეტალები, დურგალი მამა ბერიკაშვილისეული ულვაშით;

ეკა გეგიას ბარტყების საწუხარი; გიორგი ჩაჩანიძის ოქროსფერი სინიბები, ალისფერი რაშები და ყალყზე შემდგარი თეთრონი.

მოაბიჯებს თამამად 7 წლის კესანე გვეტაძე გოგენის ტაიტელი ქალებისმაგვარი პორტრეტებით.

ხოლო ანგია — ფარშავანგი, კუდის მაგვარად მარაოგამობმული პუტკუნა ანგელოზი მოძრაობაში, გიორგი მაღლაკელიძისა, ღიმილისთვის განგაწყობს;

ანა მგალობლიშვილთან იგრძნობა პიკასოს კეთილი გავლენის ჭავლები;

იქით პირწავარდნილი სურამისციხელი ზურაბია, წინაპრების აჩრდილებიდან გამოღწეული მუზარადიან-ორლესულიანი, ჯარისკაცულ ჩექმებში ჩამძვრალი შავთვალა ანცი ჩვენი საონავროდან;

ყოფითი გარემოს ირონიული ნაკადით გამოირჩევა რიჟამაძის თმის პრობლემა ქაჩალ პაპასთან და ხუჭუჭა ლუკასთან;

ისევ ზურაბ დეისაძის ელენიკოს პაპა და ბებიას რეალისტური პორტრეტები;

მიმზიდველია ნანა სანაიას ბატი თეთრი „სმოკინგით", ჯოხითა და ცილინდრით.

ოსტატურად გამოიძერწება რკოს კაცუნა, იგივე პინოქიოს ორეული პატარა ვირუკელათი, რომელსაც საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ჩოჩორი ხქვია ნახატებისა და ტექსტის ავტორის, ქალბატონ ნელი ოქროპირიძის გამოკლებით.

მიმზიდველია თამაზ ხუციშვილის ბეღურები მაღალი ბალახისა და შორეთში აწვართული ციხეკოშკოვანი მთის ფონზე;

ფანტაზია შერწყმია რეალობას ვაჟა ქურხულის კოლიბრთან;

ჩვენთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია წიკო-მიკოს ნანა სანაიასეული გაფორმება — მხრებაჩეჩილი, ინგლისის დროშისმაგვარი წინსაფრიანი გოგონა;

ნატურალისტური იერსახე გამოარჩევს გიორგი ჩაჩანიძის ვეფხვს, სპილოს და მარტორქას;

ოსტატობა და ცირკის არენის კანონების ზედმიწევნით ცოდნა მჟღავნდება თეა მიქაიას ეკვილიბრისტიკაში, რომელიც უნებლიეთ გახსენებს პიკასოს „გოგონა ბურთზე";

ისევ ნანა სანაიას ცამეტი გოჭის პურმარილობა სამი ფინჯანი რძით;

მიგრუხუნებენ მანანა მორჩილაძის მზესუმზირისფერი პერსონაჟები ატრაქციონის მანქანით;

გამახსვორდება კობა აბულაძის ფეხბურთელები და მამლაყინწისაგან ბატიბუტაცლილი დოღრიალა ბეკო და მაინც მიმაჩნია, ოთხმოცდათვრამეტის „დილის" გვირგვინი ორი რამ გახლავთ დიზაინის თვალსაზრისით:

პირველი და უმთავრესი — ჯადოსნური სათვალეა, რომელიც თამამიცდაა საყმაწვილო ჟურნალში მულტიპლიკაციური ტრადიციების დამკვიდრებისა. აქ ორი ფერისა და მოძრაობის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ნაცარქექია-ბაყბაყდევს შორის ყველაზე გახმაურებულ სცენათა მოხელთება, რომელიც გასაოცარი ეფექტურობით ნუსხავს მოზარდებს. საკუთარი ბავშვების მაგალითზე გამოვცდი. ვერაფრით წავგლეჯ მათ ამ ნომერს ხელიდან, ხან ერთი იზომებს სათვალეს და ხანაც — მეორე და მესამე, ოღონდ რამენაირად ამოიკითხონ მხატვარ გია ლაფაურის მიზანსწრაფულობა და მაშინ ერთხელაც დავასკვენი:

დიახ, ფორმა, თანადროული და თანაზომიერი ფორმა, ატყვევებს მალხაზების ანკარა სულებს. აქ ყოველგვარი სხვა არგუმენტი წყალწყალაა. დიახ, წინ აღარაფერი უდგას მოზარდის ცნობიერებისათვის დამაინტრიგებელს.

ჩემთვის გასაგებია, რომ ჟურნალ „დილის" მაღალესთეტიკური დონე ძნელად განხორციელდებოდა ეროვნულ პოლიგრაფიულ ბაზაზე, რომ არა ბულგარული სარეკლამო გამომცემლობა „ლაზიერის" გამოცდილების შემოშველიება. ოთხჯერ მიუმართავთ თურმე „დილელებს" მათთვის. ერთგზის იგივე ბულგარელებს დაყრდნობიან კვლავაც, გამომცემლობა „შერის", და მხოლოდ ერთადერთხელ, ისიც წლის მიწურულს მოხერხებულა, ვიტყოდი, ლამის ნაცარქექიას იმ ნომრის ბადალი დონით ფირმა „რეესტრში" მისი დასტამბვა თბილისშივე და ეს გრადაცია მიმანიშნებელია ფრიად სასიხარულო ფაქტისა, რომ ამიერ- იდან, საქართველოშიც შევძლებთ ფერთა ზედმიწევნით დაშლა-შეხამებას, ლურჯისაგან მწვანის გამოყოფას და წითელთან ყვითლის შეკავშირებას; რომ აწი მაინც არ დაემსგავსება ჩვენი მხატვრების ფაქიზად შესრულებული ატმები ლიმონებს და თურაშაულები — პომიდვრებს.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვნად მეჩვენება ჟურნალის პირველი გვერდის დასურათებანი: თამაზ ხუციშვილის დათოვლილი სოფლის იდილია მოთხილამურე ბიჭის ფონზე, რომელიც ცხადია, მზად არის გორაკიდან გადასაშვებად მანდილიანი გულისწორის წინაშე თავმოსაწონებლად;

არანაკლებ ეფექტურია განათლების მთავარი სამმართველოს სამხატვრო სკოლის VIII კლასის მოსწავლის გურამ ელიდაშვილის ნამუშევრები, ,,ვეფხვების მეგობარი კიკინებიანი კუდრაჭა‘‘;

მიმიხვდებით, დასათაურება ჩემეულია, შესაძლოა ავტორთა ჩანაფიქრსა თუ სახელდებას რამდენადმე დაშორებული, მაგრამ ინტერპრეტაციის უფლებამოსილებით წარმსდაგრი თქვენს წინაშე, და ამდენად, საფუძვლიანიც;

კვლავ იგივე სამხატვრო სკოლის, იგივე კლასის მოსწავლე ნინო პანკელაშვილის ახტაჯანა ფერადი ბუშტებით მინდორ-ველად გაჭრილა და სამასკარადო აღნაგობის კვალობაზე ინაკვთება საქართველოს თავისუფლების დღე — 26 მაისი;

რეალისტურია ედუარდ ამბოკაძის ,,მკათათვე‘‘, ყვითელის სიმრავლით: ძნებით, ცელით და საგზლით;

გვიპყრობს ზაურ დეისაძის ,,ზარმაცელა‘‘, რომლისთვის ლურჯთვალება პუდელს ჩანთა მიუცუნცულებია სასექტემბრო ზარის ძახილზე;

დაბოლოს, ფოთოლცვენის ქარავანს ადევნებული გია ლაფაურის ,,ნებიერი‘‘ ბაყაყი — ჟურნალ ,,დილის‘‘ ჩემოდნით ხელმომწერებთან წასწრაფე- ბული ,,მფრინავი ვასაკა‘‘;

ამას ზედ ერთვის დიდის გემოვნებითა და პოლიგრაფიული ეფექტის საგანგებო რუბრიკა ,,რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს‘‘. ამ სერიალიდან განსაკუთრებულად მეჩვენება ივლისაგვისტოს მე-4-ე ნომერი, სადაც გათამაშებულია იალქნიანი გემით ჯადოსნურ სამყაროში გამგზავრების სპექტაკლი. ასეთი მიმართება კომპოზიციურად უფრო შეკრულია, მიზანსწრაფულიც.

,,დილის‘‘ შემეცნებით სივრცეში ნემსსაც ვერ შეიტანთ თვითნებურად მასალათა გეგმაზომიერი განთავსება-სიმჭიდროვის გამო. ბროწეულია ამ ჟურნალის ვერბალური პორტრეტი — გარეთ ატლასი, შიგნით — ათასი.

ერთი შეხედვით, უწყინარ ნუმერაციასაც კი თავისი დატვირთვა გააჩნია. ზოგან გულყვითელა ჩიორას წაუნისკარტებია გვერდის შესატყვისი ციფრი, სხვაგან ქამა სოკოა ნორჩი მკითხველის მეგზური და იქით — მეწამულქულაჯიანი ყურცქვიტა, ეტრატიანი დათუნია-დრუნჩა თუ ამანათიანი დათუჩელა, მაგრამ ვგონებ, ჩანაფიქრის აღლუმი ,,ზარმაცელას‘‘ თავსასთუმალთან კბილებით სასკოლო ჩანთის მიმთრევი ცისფერთვალება პუდელია მეხუთე ნომრის გარეკნიდან.

ჟურნალის სტუმარი პატარები ნამდვილად არ მოიწყენენ თავსატეხებით, სალომე ომიაძის ,,სახალისო გრამატიკით‘‘, რომელიც გასაოცრად ახამებს კლასიკურ თემას ჭირვეულ მორფოლოგიასთან;

ეს ჩანაკინძები განსხვავებული ფორმატისაა და სასურველია მომავალში მრავლად წარმოჩინდეს ანიმალისტურ ხელოვნებას ,,ჯადოსნური სათვალის‘‘ მხარდამხარ.

გამოცანებით, რებუსებით და ნახატ-იუმორით თუ გასაფერადებლებით ჩვენს ნორჩებს საონავრო დრო ანგარიშგასაწევად ეკვეცებათ. ,,მხიარულ რკინიგზას‘‘ დიდის ცნობისწადილით გაედევნებიან ანცები მატარებლის იისფერ ფუტებაში — წამლის, მოლბერტის, ანკესის, თოფის, საფქვავის, ბურთის თუ წერილის აბსტრაქტული ტვირთით, მაგრამ წინ მაინც უმთავრესი გამოცდაა — ჩვენი მოზარდების ცნობიერების, მეობის უმეტოქო ბალავარი — სიტყვა, რომელიც თვით უფალ ღმერთთანაა გაიგივებული მარადკურთხეული ბიბლიით.

ჟურნალ „დილის“ შინა არსი
ილიასებურად ანუ მეტი პროფესიონალი არენაზე!

არსენას საზომივით ბარაქიან ამ სათაურს საფუძვ- ლიანი გამართლება გააჩნია: ჯერ ერთი, შინაარსი მაინცდამაინც ამბავს როდი შეესატყვისება, არამედ — უმთავრეს, ამა თუ იმ ნაწარმოების უძირითადეს შტრიხს, ხოლო რაც შეეხება სარბიელზე კალმის მეტი დიდოსტატის გამოსვლის საჭიროებას, აქ ცოტაოდენი განმარტება არ გვაწყენს უცილობლად..

ყველაფერს აჯობებს ისედაც გაწელილი სათაურისათვის ერთი სიტყვაც მიგვემატებინა — ,,მთარგმნელი‘‘.

დიახ, მეტი პროფესიონალი მთარგმნელი სჭირდება დღეს საყმაწვილო ლიტერატურას, ოღონდ არა პირდაპირი გაგებით, როგორც ეს საერთოდ მიღებულია, ან თავად ,,დილის‘‘ ფურცლებზე დაფიქსირებულა:,,გასაყიდი ქუდები‘‘... ტექსტი და ბოლოში ,,ინგლისურიდან თარგმნა პირველი საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ ანი მოსულიშვილმა;‘‘

ან ,,სამეფო პატიმრები‘‘... ,,იტალიურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ‘‘, ან კიდევ ,,მუხუდელა‘‘.. სპარსული ზღაპარი... ,,სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ‘‘...

ჩვენ, ამჯერად, სიტყვა „თარგმანი“ დაახლოებით იმგვარად გვესმის, როგორც ეს მარიამ წიკლაურ-ძიძიგურს გაეგება — „გადმოაქართულა“. უფრო მეტსაც ვიტყვით, საბავშვო მწერალს თვალწინ უნდა ხქონდეს ჩამოკიდებული მოქმედების ერთსიტყვიანი პროგრამა „გადმოაბავშვა“, დიახ, გადმოამალხაზა ყოველივე, რაც მის გარშემო ტრიალებს, ტრაგიკულია ეს ამბავი, ამაღლებული, მშვენიერი თუ კომიკური.

წიკო-მიკოს რეცეპტები არავის გვაწყენდა. აქ სანდოდ, საშვილიშვილოდაა მოხელთებული ონავრების ბუნებისთვის ნიშანდობლივი ქცევის ალოგიკურობა, იგივე ხბოს კუნტრუში, დედის წინ კვიცის მარბენლობა: და ჩინებულად ვისწავლით მოხდილი გოგრა როგორ გავჭრათ ორად, ფრთხილად წებოწასმული, წიწაკასა და ერბოში ამოვლებული რანაირად დავიდოთ თავზე გლანდებისაგან განსაკურნად;

ან, ხურვების შემთხვევაში, რარიგად ავავსოთ აბაზანა „ბორშჩით“ და რანაირად გავიზომოთ სიცხე სახაზავით თერმომეტრის სანაც- ვლოდ, რამეთუ 42-ს იქით არ გამოგვადგება;

ან რაჟამს თვალები გელულებათ, როგორ მოვხარშოთ ტახტას მუთაქა □და არა „ტახტის“,ეგ უკანასკნელი სამეფო რეგალიაა). აბების მაგივრად კი რანაირი სიხარბით ვყლაპოთ ლექსები, ზღაპრები, მოთხრობები და ანდაზები... უფრორე შორს წავალთ თუ წიკო-მიკოს საუბარში ავყვებით და მის ხმიანობაზე: „აჩი-პიპი-ფიფო-უგი, მამა-ტატუ- თათა-ნუკი, ატა-პიტა-პატა- უქი“. ამნაირად შევეპასუხებით: „არი-მარი, ჭრი-ჭრი-კა-თქო, შარი-ფარი-წუ, აჯი-ბაჯი, ჯიჯი-ქა-თქო, კიკი-მიკი-უ.“

დიახ, უნდა ვთარგმნოთ ჩვენ ნანა ჩარკვიანისეული, პატარებისათვის ერთობ საჭირო, ბიბლიური სიუჟეტებიდან მოყოლებული, ლუარა გორდიევიჩის ნარკვევები ცხენებზე, არწივებზე, ვეფხვებსა თუ პატარა კახზე.

სერიოზულად, გულდინჯად მოსათხრობი ამბის, დიდებისათვის ნიშანდობლივი მენტორული ტონის გადმობავშვების, გადმოანცებისა თუ გადმოახტაჯანების ეს პრინციპი, არც ორიგინალურ შემოქმედებას აწყენს მაინცდამაინც, ვთქვათ როგორიცაა: ლადო ასლამაზიშვილის „ოდოში“; მიხო მოსულიშვილის „უფლის სახედარი“; ავთანდილ ადეიშვილის „ანათებს“; დოდო ხიმშიაშვილ-ვადაჭ- კორიას „ტყუპები“, „მამის მოგონება“; მანანა გელაშვილის „ანანო და ყლუპყლუპა“; შოთა ასანაშვილის „კოლიბრი“... ამ თხზულებებში ყველაფერი თავის ადგილზეა: გამართული ენა, სტილისტიკა, დიდაქტიკური პოზიცია ნორჩების განსანათებლად, სხვა რამ უამრავი ღირსება-სამკაულიც, მაგრამ აკლიათ მთავარი: წიკო-მიკოსთვის დამახასიათებელი საგნების აღქმა, ყირამალა შეტრიალებული სინამდვილე, ყოველდღიურის მაგივრად ვითარებათა უჩვეულო აშენება და რაც მთავარია, ვაჟა-ფშაველას- ნაირი გარდასახვა, განსულიერება, პერსონიფიცირება; რადგანაც, როგორც ზემოთ განგვიცხადებია, მოზარდს ჯერაც არ ჩამოყალიბებია რიგიანად II სასიგნალო სისტემა. იგი ბუნებრივის ანაბარად დარჩენილა და ვიდრე მის მსოფლგანცდამდე არ ჩამოვმაღ- ლდებით, თარჯიმანი ყოველთვის დაგვჭირდება.

თარგმანები კი, მართლაც, ჩინებულია „დილაში“: „გასაყიდი ქუდებიდან“ დაწყებული „მუხუდელა“, ნათელა გუჯაბიძის ინგლისურიდან გადმოღებული ზღაპარი, კრილოვის „მელია და ყვავის“ ნაირსახეობა, „მამალი და მელა“, თუ იტალიურიდან ბაჩანა ბრეგვაძის ნათარგმანები „სამეფო პატიმრები“.

ორიგინალურია შინაარსიც, ფაბულაც: მამის სიკვდილის შემდეგ გამეფებული უფლისწული თავისი სამფლობელოს დათვალიერებას მოიწადინებს. ბოლოს და ბოლოს სატუსაღოშიც შეიხედავს, სადაც პატიმრები სიკვდილის პირასაა მიყვანილი შიმშილ-წყურვილისაგან. ყველა თავს იმართლებს ახალგაზრდა მეფის შეკითხვაზე, მხოლოდ ერთი მოხერხებული იმარჯვებს და როცა ჩაეძიება დაპატიმრების მიზეზს, ზღვის ქვიშაზე მეტს დაუსახელებს: ქურდობას, ძარცვა-გლეჯას, მკვლელობას და ბუნებრივია, აღშფოთებული ახალგაზრდა მეფეც კინწისკვრით ისვრის გარეთ, რადგანაც „უდანაშაულო“, „ბუნჩულა“ სამეფო პატიმრები ენანება ხელიდან წასული გარეწრის გასახრწნელად.

ასეთი კულმინაცია, მოქმედების უჩვეულო დასრულება არასდროს ამოეშლება ყრმას გონებიდან. იგივე ითქმის „გასაყიდ ქუდებზე“. ერთხელ, ხის ძირას □და არა ხის ქვეშ. რუსიციზმია, გ.ო.), ჩეროში მითვლემილ ვაჭრუკანას მაიმუნები მოპარავენ ნაირფეროვან თავსაბურვებს. რას არ ეცდება საწყალი ჩარჩი, ეხვეწება, ემუდარება მანჭიებს, მაგრამ ვინ არის გამგონე?! ბოლოს, მოთმინების ფიალაავსებული, თავიდან შავ ქუდს მოიშვლეპს და ბრაზისაგან ანთებული მიწაზე დაანარცხებს. ეს წუთია და ოთხხელიანი მაიმუნებიც მყისვე პანტაპუნტით ჩამოყრიან ძირს ფერად-ფერად ქუდებს.

არასტანდარტულობა, ყოველდღიურობისაგან განსხვავებული, მოულოდნელი პასაჟები ატყვევებს პატარათა სულებს □ცხადია, მათ შორის დიდებსაც) და ამ მიმართებითაც ძალისხმევა რედაქციის შემდგომ მუშაობაში საშვილიშვილო საქმედ დაგვისახავს.

ის, რასაც აკადემიკოს-პედაგოგი, შალვა ამონაშვილი, მოიმოქმედებს ბავშვადქცევის თვალსაზრისით და ხან ყურში უჩურჩულებს მოწაფეს, ხანაც კოწახურს უწუწნის ნდობის მოსახვეჭად, ამ ყველაფრისაგან მწერალი თუ პოეტი თავისუფალია საბედნიეროდ. მას ხომ ფიზიკურად არ უწევს მსგავს სიტუაციებში ჩავარდნა, მოიაზრებს, ბატონო, წარმოსახავს ცუღლუტურს, ცეტურს და მორჩა, სამუდამოდ მოინადირებს მილიონების გულებს ანდერსენივით თუ სულაკაურსავით, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართული საყმაწვილო მწერლობა მარაზმით, ხენეში დიდაქტიკითაა დასნებოვნებული.

სულ სხვა სიტუაციაა მაყვალა მრევლიშვილთან, როცა ნაცარა ჩიტს ებაასება მალხაზი და ყველაფერი მისთვისაა დატრიალებული ჯადოსნური კარუსელით; გალობა, ცხრათვალა მზის ბრდღვიალი, კვირტების გადმოშლილი ფთილები... აქ ძირითადი ძრავაა ენის მოჩლექა და უკიდურესი სიანკარე.

რითმის სიზუსტე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საყმაწვილო პოეზიაში:

,,გამოცანას მოგახსენებთ, შენ ხარ ჩემი ბატონი და... მთელი ჯარი გამოვიდა ჩვენი ინკუბატორიდან''-ო. ამისთანა სტრიქონებს ერთხელ წაკითხვის შემდეგ ვეღარაფრით ამოშლი მოზარდების ცნობიერებიდან, ვინაიდან რითმათა წყვილეულებს მოსდგამთ ქვეცნობიერში სამუდამოდ დალექვის უნიკალური თვისება.

ვის არ შეხვედრია ცხოვრებაში — მსგავს სიტყვას მსგავსი ამოუტივტივებია ხოლმე. ლექსისმთხზველობის საიდუმლოს ერთი ძარღვიც აქ იმალება უცილობლად. ამ თვალთახედვით ფრიად სამახსოვროა ოთარ შალამბერიძის მაჯამები:

„დამძიმებული ტოტები
ქარმა იმდენი არხია,
სულ იქ ჩაყარა ნაყოფი,
სადაც სარწყავი არხია“

ეს სურათი ჩასტუშკას, ტანკას თუ რობაიას ფორმით აწ და მარადის დამკვიდრებულა ჩვენს ხსოვნიერებაში:

ნამდვილ ვაჟკაცს შინ თუ გარეთ,
ის აფიქრებს, ის ახელებს,
ჩქარა დადგეს წაში, როცა
თავს გმირობით ისახელებს.

აფხაზეთ-სამაჩაბლო წართმეულ მოზარდისათვის ამისთანა პლაკატურ სტროფსაც ეძებნება გამართლება: სასარგებლოა და ჭკუისდამრიგებლური:

მიადგება მკვახე ნაყოფს
და ხეს ლამის კვირტებს აცლის;
იმნაირი სულსწრაფია,
დამწიფებას არც კი აცლის.

აქ უმწიფარის მოფარული პატარებია გაქილიკებულგაბიაბ- რუებული, მაგრამ ნამდვილი მარგალტის მაგვარიც გამოერევა ზოგჯერ:

დილით ადრე ტყეს აღვიძებს
კასკასი და კუსკუსი,
მისალმება უხარია კაცს
— კაცის და კუს — კუსი.

აზრის გამჭირვალობის და გაბავშვების ნიმუშად გამოდგება ტარიელ ჭანტურიას ,,სახუმარო ლექსი“:

— „თავზე თავი მივადოთ,

შენი ჭირიმე:
ჩემი ტილი —
შენ, შენი ტილი — მე!

დივლი-დივლი-დალალე,
დილილ-დილილ-მე!
—ჩემი ტილი — შენ,
შენი ტილი — მე!

ხმა რატომ მაქვს, თუ იცი,
ჩაკმენდილი მე?
— არ მაძინებს, ძამიკო,
შენი ტილი მე!

მაინც მაგ ნაწნავის და
ქოჩრის ჭირიმე;
— ჩემი ტილი თქვენ,
თქვენი ტილი — მე!“

აქ პოეტი ამონაშვილზე შორს მიდის, ვინაიდან აწ ჩურჩულების და კოწახურწუწნიაობის მაგივრად ტილებსაც კი უზიარებს ცუგრუმელებს, თუმცა გაბავშვებულს ყელაფერი გვეპატიება.

აკი, იტყვიან ხოლმე, ბაბუას და შვილიშვილს ერთნაირი ჭკუა აქვთო.

ეს ფრაზა, ცხადია, პირდაპირი გაგებით არ უნდა აღვიქვათ, ვინაიდან პაპა ბრძენკაცია, იცის ცხოვრების ფასი და შვილიშვილის თამაშის წესს აღიარებს, თავს იკატუნებს, მის დაკრულზე ცეკვავს.

ტარიელ ჭანტურიას ემარჯვება იშვიათი გარდასახვა. ახლაც მახსენდება რითმათა კომპლექსი: ,,ის კიბე და ისკუპე‘‘.

განმანათლებლურია — ,,შენი მიწა, შენი ცა, შენი მხარე შეიცან! ეს ლამაზი ქვეყანა, ჩემიცა და შენიცა, შეისწავლე, შეიტკბე, შეიყვარე, შეიცან! თმაში ფერად-ფერადი ყვავილები შეიწან და ყვავილის მშობელი — მიწა შენი შეიცან! სამშობლოზე უკეთესს ვერაფერს ვერ შეიძენ! □აქ, უსათუოდ, გვმართებს წამიერი შეყოვნება, რადგანაც ორმაგი უარყოფა ქართული მწერლობის საყმაწვილო სენია. მე ვერ ვნახე მწერალი თუ პოეტი, რომელიც ამ სენს გაქცეოდეს, დიდია თუ მცირე, საქვეყნოდ აღიარებული თუ მეორღობე-მეყველპურე, თანაბრად ბორძიკობს ჩრდილოეთის მომადლებულ მანკიერ ტრადიციაზე. სინამდვლეში კი ხელის აუკანკალებლად ამოსაგდებია ზედმეტი ,,არ‘‘ და სტრიქონიც ბუნებრივი ქართულით გაიმართება), სამშობლოზე უკეთესს ვეღარაფერს შეიძენ! ეს სიმდიდრე გიყვარდეს, ეს საუნჯე შეიცან! საქართველო შეიცან! თავი შენი შეიცან!‘‘

ამ ზოგად ფრაზეოლოგიას, ცხადია, ახლავს ზემოქმედების გარკვეული ხარისხი, მაგრამ არავინ გამკილავს თუ წინდებულს საპროგრამო ლექსს ვამჯობინებდი მისი შემოქმედებიდან:

„... აგერა ცოტნეც მოვარდა ჩორთით,
საქართველოსთვის, საქართველოსთვის,
საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!“

აღმზრდელობითი მეთოდი, მენტორული ტონი, ჩიჩინი უფროსის პოზიციიდან, თავსმოხვეული განსწავლულობა ნაკლებეფექტურია შეგირდის გაწრთვნისას, უმჯობესია ვიმოქმედოთ ირიბად, ასხლეტვით, რიკოშეტის ენით, ქარაგმულად, ჭკუა დავარიგოთ არა უშუალოდ აღსაზრდელს, არამედ მის გარემომცველ-თანამზრახველ ბაჭიებს და ბელებს, კოზაკებს და ჩოჩორთ, ბოკვერებს და ბახალებს, მხოლოდ ამგვარად მივაღწევთ მიზანს.

ზემოთ შემთხვევით არ შემოგვითავაზებია დიაგრამა, რომლის მიხედვით არაფერია ბავშვში უფრო ზორბა, ვინემ თავი და ზრდასრულში — კნინი, ვიდრე სხეულის დასახელებული ნაწილი.

ჭკუა, გონება, კი მათი სამყოფლის უკუპროპორციულია: დიდ თავში მისხალია და მომცროში— მთა, ერთი ლექსის კვალობაზე:

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო,
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,
პატარაში არკმარიყო“.

— აი, ალოგიკურობის სრული ფორმულა, რომელ ენაზე საუბარსაც მოითხოვს წიკო-მიკო.

— რთულია, გაუგებარია, — ვიტყვით და განზე გადავდებთ ჩვენი გონებახშულობის გასანეიტრალებლად. იმ ყმაწვილების მდგომარეობაში ჩავვარდნილვართ, ჩვენი დიდაქტიკური მეთოდით რომ ჩამოგვშორებიან მანჯგალაძის პერსონაჟის ამფსონი ონავრებივით, კინოფილმიდან ,,ნატვრის ხე‘‘.

პატარა უმწეოა თავის სიტუაციაში, ვინაიდან ბუნებისაგან ნაბოძები მზითევის იქით არაფერი მოეპოვება. ზედნაშენი, შენაძენი ცოდნა, ხელს რომ წააშველებდა ამ ლაბირინთიდან გაღწევაში, მოგვიანებით ესტუმრება, და ბუნებრივია, გამართლება ვერ დაგვიძებნია მისი ჭიჭყინდაუდგრომლობისათვის.

მოწიფულებს, ჭარმაგებს კი გვარიანად დაღეჭილ ლუკმას თუ არ მიუტან პირთან, თავსაც არ შეიწუხებენ ყბის გაქნევით. ეს ორი უნდობლობა, ეს ორი განდგომა მწერლისაგან ძნელადაღსაქმელი მასალის გამო, კარდინალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველს საკუთარი უმწეობა, ჩინურად მოთხრობილი ამბის ვერაღქმა გვაკარგვინებს. მეორეს კი თანამშრომლობის უნდომლობა, მოსახვეჭელის თითის გაუტოკებლად მოხელთების სურვილი, რასაც ვეღარაფრით დავწამებთ მოზარდს.

იგივე ,,ულისე‘‘, ,,ოდისეა‘‘, ,,ილიადა‘‘ თუ ,,ფაუსტი‘‘ პატარების ენაზე რომ მოგვერჯულებინა, მოგვეთარგმნა, მოგვებავშვებინა, ამ წიგნებს ხელიდან ვერ გააგდებინებდით მცონარა უფროსებისაგან განსხვავებით.

შრომისმოყვარეობა მოზარდის სტიქიაა, ოღონდ — კუნტრუშ-კუნტრუშით. მსოფლიოს ჩემპიონები ექსპერიმენტისას, მხარს ვეღარ- აფრით აუბამენ ყაჩაღანათა მოძრაობებს. ანცების გიჟობების მიბაძვა ერთიანად მიასავათებს თითქოსდა მრავალნაწრთობ მძლეოსნებს. გადაუხურდავეთ ბავშვებს მათებურად ნებისმიერი ,,სირთულის‘‘ თხზულება თუ დისციპლინა და ნახავთ, როგორი მეგასიჩქარით გაიჭრას სივრცეში მათი პიროვნების ჩამოყალიბების მარაზმული კონსერვატორობით გაჭიანურებული ფაზა, პერიოდი.

როდესაც ,,ილიადა‘‘ გაუგებარი გახდება ენობრივად ელინისთვის, ძველბერძნულიდან ახალბერძნულზე ითარგმნება იგი, ჩვენ კი ეგოისტურად უგულებელვყოფთ მოზარდი თაობის ათორმეტწლიან, ლამის გადაულახავ ბარიერს — უფროსების უგვანო ნატურალიზმით თუ ქედმაღლური დიდაქტიკით დასახიჩრებულს.

საყმაწვილო მწერლობის პირველ ეტაპზე საუბარს ვასრულებთ რეზო ჭეიშვილის ჩინებული ნოველით ,,მამალი‘‘. აქ მთავარი სიუჟეტური მახასიათებელი იგნორირებულია. ძირითადი ძარღვი ღონიერი თხრობაა, მწერლისათვის ჩვეული რაფინირებული ფრაზა და მოულოდნელი აფექტები, რაც უფრო დიდი ცხოვრებისეული გაკვეთილის დემონსტირების — გადაგვარებული ადამიანის გაშოლტვა მართალი სიტყვით, მისი მხილება, სამარცხვინო ბოძზე გაკვრია უცოდველი შეგირდის თვალწინ, რომლისთვისაც სავსებით უცხოა საკუთარი მერმისი ათწლეულების მერმე, ვიდრე გაორების ავადსახსენებელ წუმპეში ამოილუფხებოდეს.

ამ ნოველაზეა ზედგამოჭრილი ანდაზა: კოკას ეუბნებოდნენ და ლიტრავ, შენ გესმოდესო, ანუ პატარებისათვის თქმული, ჩინებულად იპყრობს უფროსების ყურთასმენასაც:

მთხრობელის ოჯახში კრუხი ყელშიშველა ქათმებს დაჩეკავს, ,,კიტაიასაც‘‘ რომ ეძახიან, ყვინჩილებს. აქედან ორი იმძლავრებს დანარჩენზე. განსაკუთრებით ,,კიტაია‘‘ პირველი, რომელსაც ალტერნატივაც მოეძებნება ეზოში — კიტაია მეორე. ერთხელ კიტაია პირველს საჯიშედ წაიყვანენ სხვაგან და უმისობისას კიტაია მეორემ იგდებს მეფობას ხელთ. მაგრამ აი, ერთ მშვენიერ საღამოს მოაბრუნებენ მგზავრობით, დედლებით გადაქანცულ კიტაია პირველს და ბიჭუნა სამეტოქედ რომ წარუყენებს კიტაია მეორეს, დაიფრინენ საწყალს, დაჯაბნიან. მომდევნო დღესაც იგივე განმეორდება. ვერ უშველის კიტაია პირველს ქომაგი მალხაზის წიხლი თუ შეგულიანება.

ამ მეტად ნიშანდობლივი, ყველა მოზარდის თვალწინმდებარე სურათის ფინალს დიდი ცხოვრებისეული სიბრძნით აგვირგვინებს მწერალი:

,,ჯიხვების ჭიდილი ხომ გინახავთ ტელეეკრანებზე: ერთი დგას, ელის. მეორე თავს ესხმის. გამოქანდება და უფსკრულის პირას მდგარ მეტოქეს რქას რქაზე მიალეწავს. რქათა ჯახანი ხევიდან ხევზე

გადაიგრიალებს ხოლმე. თავდამცველი თუ გვერდზე გადგა, თავდამსხმელს თუ რქები არ შეაგება, მეტოქე ხევში გადაიჩეხება... ჯიხვი ამას არ ჩაიდენს, წესს და ადათს არ უღალატებს. იმიტომ კი არა, რომ განდაგანა არ იცის, იცის და არ აკეთებს. ბუნებამ ღალატი არ ასწავლა.

შურისძიება, სამაგიეროს გადახდა, ჩასაფრება, ზურგში დანის ჩაცემა, თანამზრახველების შეკრება, შეთქმულება, სხვა და სხვა, ადამიანთა რიგი და წესია. დამარცხდება და, გადადგება ცხოველი. ადამიანი, აგიხსნით, სხვანაირად იქცევა''.

დიახ, ბუნებამ ღალატი არ ასწავლა ცხოველს და მასთან ერთად ბავშვსაც, ვინაიდან გადიდკაცებამდე მოზარდი დედა-ბუნების ღვიძლი შვილია, უსიერის ენით მოჟღურტულე, მინდორ-ველის ყვავილებით სულმოწნული, სამყაროს იშვიათი სუნთქვის, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის შორეული დვრინის ყურისმგდებელი.

ბავშვებს შუამავალი, თარჯიმანი არ სჭირდებათ ერთი შეხედვით თითქოსდა ენაბრგვილ ცხოველებთან, ენაგაკრეფილი უფროსებისა კი, პარადოქსულია, მაგრამ — რეალობა — არაფერი ან ძალიან ცოტა გაეგებათ.

არ მიწყენს დიდი მწერალი თუ თვალში ბეწვის შემჩნევას შევკადრებ თავად მხედველობაში დირეგახირული: ჩინებულ ნოველაში აჯობებს სალექსიკონო სიტყვებისაგან თავი მოგვეზღუდა, ან ვინიცობაა, თუ შესატყვისებს ვერ დავძებნიდით, განმარტებანი მაინც დაგვერთო სქოლიოში:

,,ჟრუნი'' — მონაცრისფრო, ჭრელი;

,,მოცოროზი'' — საადრეო, პატარა ტანისა, დალეული;

,,შემოქმედი'' — აქ ღმერთის გაგებით;

,,ვატიკანი'' — კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ-ადმინისტრა- ციული ცენტრი, წარმოადგენს ცალკე სახელმწიფოს ქ.რომის ცენტრში;

,,იერარქია'' — თანამდებობათა, წოდებულებათა თანამიმდევრობა უმდაბლესიდან უმაღლესისაკენ;

,,ხარამხანა'' — მდიდარი მუსულმანის სახლში მისი ცოლებისათვის გამოყოფილი ბინა □მაგრამ მრავალცოლიანობა კვლავ ახალ განმარტებას მოსთხოვს მონოგამიით გაჯერებული მალხაზის ცნობიერებას);

,,უზურპატორი'' — პირი, რომელიც უკანონოდ ჩაიგდებს ხელში ძალაუფლებას ან მიითვისებს სხვათა უფლებებს რამეზე.

მხოლოდ ამისთანა ჩარევების შემდეგ გაცნობიერდება, ალბათ, ნოველა სრულყოფილად მოზარდის გონებაში.

მინიშეჯამებასავით, ანუ პირველი წერილის რეზიუმე

როგორც დავინახეთ, ქართული საყმაწვილო პერიოდიკის თუნდაც ზერელე ანალიზი, უამრავ მანკიერს ამოატივტივებს ეროვნული ზოგადსაგანმანათლებლო დამდოვრებული წყალსატევიდან. მეტსაც ვიტყვით, ამ ავგიას ათასთვლიან თავლას 19 თანამშრომლიანი ,,დილა'' კი არა 19 ხერაკლე ეცოტავება დაგროვილი საუკუნოვანი ბალასტის გასახინწად.

აპერიოდული ზურგისქარებით ,,დილის'' მხოლოდ ექვსი ნომრის გამოცემაღა მოხერხებულა გასულ წელს (1998). განათლების სამინისტროს საორღობე უნივერსიტეტების თავგადაკლულ აღმოცენებაში ვეღარაფრით მოუცლია ჩინებული საყმაწვილო გამოცემის პრობლემებისათვის და გასაკვირი არაფერია, რომ ორი ათას სკოლიან საქართველოში მისი ეგიდით ორი ეგზემპლარიც არ გადამცდარა დაწყებითი კლასების დივიზიონის ზღურბლს.

ახლა ვითარება უკიდურესად შეცვლილია: ეროვნებაწართმეულისათვის ულვაში ქართველობის დამადასტურებელი ერთადერთი რეკვიზიტი თუ გახლავთ, გვეიმედება რომ ამიერიდან მაინც შემოინაკადებს განათლების სისტემაიმდენ ,,დილას'' , რამდენი ღერიც ბიბინებს მისი მესვეურის ზედა ტუჩზე სინდის-ნამუსის მონუმენტად.

მანამდე კი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავაბნელოთ კრილოვის იგავ-არაკის — ,,გედის, ქარიყლაპიისა და კიბორჩხალას'' დამქსაქსავი სულისკვეთების მზე. განათლების სისტემამ, როგორც არასდროს, აწი მაინც უნდა შეაკავშიროს სამამულო პედიატრიის, გამომცემლობების — ,,განათლება''-,,ნაკადულის'' თუ პერიოდიკათა: ,,დილის'', ,,ნაკადულის'', ,,ციცინათელას'', ,,მართვეს'', ,,ცისკრის'' გამოცდილებანი თავის მეთოდოლოგიასთან.

დროა სასკოლო პროგრამა და კლასგარეშე ლიტერატურა სრულ შესაბამისობაში მოვიყვანოთ

მესამე ათასწლეულის მოზარდი თაობის ფსიქო-ფიზიოლოგიურ პარამეტრებთან.

თითო-ოროლა მერცხალი გაზაფხულს რომ ვერ მოიყვანს, აკვნიდანვე გვისწავლია. ექვსი ნომერი ,,დილა'', ხუთი ეგზემპლარი ,,ნაკადული'', თორმეტი ცალი ,,ცისკარი'', თუ სხვა ეფემერული გამოცემანი, სრულფასოვნად ვერ წარუძღვება გამოსაძერწ სულთა ათასეულებს.

მეტი ტარიელ ჭანტურია და რეზო ჭეიშვილი: მეტი ,,წიკო-მიკო'' და ,,სამეფო პატიმრები''; მეტი ვახტანგ როდონაია და ჯემალ პაჭკორია; მეტი დოდო წივწივაძე და ზაურ კალანდია... აი, ქართველი ბურლაკების არასრული სია, რომლებიც მოზარდი თაობის უზურგისქარო, აფრებდაფხრეწილ და საჭედამსხვრეულ ოჩხომელს როგორღაც გაათრევინებს წყალმარჩხი მდინარიდან ბობოქარი ზღვისაკენ.

მეგრული ანდაზის შესატყვისად, ის კი არ არის გიჟი, ვინაც სხვენზე ყანას დაიდებს, არამედ — რომელიც ამ ,,საშვილიშვილო'' საქმეში ხელების სარსალით შეუამხანაგდება.

დაახლოებით ასეთ მიწათმოქმედებს ხგვანან ჩვენი ტრადიციული პედაგოგიკის მიმდევრები, რომლებიც ნაწრთობი შეგირდების ამოჯეჯილების იმედით გულმოდგინებით თესავენ ხორბალს სხვენზე — პატარებს სრულიად გაუგებარი ენით ასწავლიან პრიმიტიულ ჭეშმარიტებებს, როდესაც მოზარდებს ზედმიწევნით ძალუძთ ურთულესის ათვისებაც კი, ოღონდ — სიცხადის პოზიციიდან.

ეს მოჯადოებულ წრეს თავის დროზე სანაქებოდ გაარღვევს გოგებაშვილის ,,დედაენა''.

ამჟამად იგივეს მოიმოქმედებს ჟურნალ ''დილის'' ექვსნომრეული თუ ვახტანგ როდონაიას რაზმეულის V კლასის სახელმძღვანელო — ,,მშობლიური ლიტერატურა'' (და არა ,,ქართული ენა'', როგორც ამას გვთავაზობს რამიშვილის გუნდი. შუა უზის დიდი ზღვარი).

მოკლედ, ყოველივეს გათვალისწინებით, იქნებ დადგა დრო, როცა განათლების სამინისტრომ ბოლოს და ბოლოს იტვირთოს მაკოორდინებლის შესაშური მისია, სასიხარულო ტენდეციათა შეკონვის, ჩამოქანდაკების თუ სულაც განზოგადოების გზაზე.

თხრილისპირას ძაღლის ლეში თუ აგდია, მხრებაწურული როდი ჩავუვლი, არამედ გულისყურით მივაჩერდები მის დაკრეჭილ ეშვებს და ფეხასწრაფებულთა გასაგონად ვიტყვი:

— შეხედეთ, რა კარგი კბილები ხქონია-მეთქი. დანარჩენზე კრინტსაც არ დავძრავ, ვინაიდან მძორი ჩაუწიხლავადაც ამხელს ამაზრზენობას.

თუმცა, როდესაც საუბარი ჩამოვარდება ჯანსაღ სხეულში მობინადრე ჯანსაღ სულზე და ამ კარგსაც მინდვრის სამუშაოების წყალობით ფრჩხილები მიწით ამოგლესვია; თანაც საფიხვნოსკენ გამოტეულა სასჯაბაასოდ — კვლავაც სიფარულით მივაჩერდები მის თვითნაბად ხალას ბუნებას, ოღონდ მოჩქაფუნე წყაროსაკენაც მივუთითებ უხმოდ.

აი, ამგვარი და ამნაირი დამოკიდებულებით შევთამამებივარ ქართული სულიერების მხცოვან ცარგვალზე ალიონის მზესავით უშურველად ამომავალ ,,დილას'', რომელიც ამართლებს ესთეტიკურ მოთხოვნებს ფორმა-შინაარსის ერთიანობის თვალსაზრისით და ცრუ მზებუდობიდან ნამდვილი მზებუდობისკენ ისწორებს ფრთებს ახალი სივრცეების დასაპყრობად.

,,ცისკარი, №8, 1999 წ.

„ენა საღვთო რამ არის...“

ყოვლისმომცველი სიფარულის მზებუდობა...

ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკისა არ იყოს, რა სჯობია განათლებულ ადამიანთან შეხვედრას! თუნდაც ,,ბავშვების დასაჩლუნგებლად აწვალებ კალამსო'', გითხრას და გულიც გატკინოს! ჯოხიც რომ ჩაგარტყას, უნდა მოითმინო, მითუმეტეს, ახლა, როცა ღმერთმა უწყის, რა აღარ მოხდა, ვიდრე მზის ცენტრი ათჯერ აღმოჩნდებოდა ეკლიპტიკის ყველაზე ჩრდილო წერტილიდან მისივე დახრილობის უკიდურეს სამხრეთ წერტილში— ე.ი. ათჯერ დახკრავდა ზაფხულ-ზამთრის მზებუდობის ჟამი, ეს მტკივანი კალენდარული წელიწადები რომ განესრულებინა.

დიახ, ბევრი რამ მოხდა ამ ბოლო მზებუდობებს შორის გაუცნობიერებელ წყვეტებაში და გ. ოტობაიას წერილი □,,ქართული მასმედიის მზებუდობა'', ,,ცისკარი, 8.1999წ.) რა ელდა უნდა იყოს, ვერ მოვინელოთ! თანაც ყველას ხომ არა აქვს ამისთანა ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ასტრონომიაში! მაგრამ ნერვები ხომ უნდა დააფლითო ადამიანს, რომელიც მოუთმენლად ელოდება ლიტერატურული პროდუქციის შეფასებას! და თუ მეც შემომწყრება მოთმინების ძაფგაწყვეტილი რომელიმე მათგანი, ასტრონომიას მოეშვი და წერილზე ილაპარაკეო, იქვე მივუგებ: საქმეც ამაშია — ბ-ნმა

ოტობაიამ 1999 წლის ქართულ პრესაში ნაშრომ-ნამუშაკევის ანალიზი უკიდეგანო ერუდიციის იმისთანა ოკეანეში მოაქცია, ძლივს გავარკვიე, რატომ შეიწუხა თავი.

იქნებ მკითხველმა ეგრევე მომახალოს: — შენ ინტელექტი გაკლდეს, რა ბ-ნი ოტობაიას ბრალიაო, მაგრამ მარტო მე როდი ვჩივი ასე! — სხვებმაც დამირეკეს, მოგვკლა ამ წერილის წაკითხვამ, რებუსივით წინადადებებიაო, თუმცა გამორიცხული არ არის გ. ოტობაიამ აქეთ დაგვამუნათოს: თქვენ მამაცხონებულებო, 21-ე საუკუნის მიჯნაზე ისე პრიმიტიულად ხომ არ ვიაზროვნებთ — მე-19 საუკუნეში რომ აზროვნებდნენო!

ჩვენც თავს უფლება მივეცით და ამ ერუდირებულ კაცს მე-20 საუკუნის პოპულარული ფილოსოფოსის ხბვაგან შრი რაჯშენის □ოშოს) ნაზრევს შევახსენებთ. დარწმუნებული ვართ, ეხსომება, რომ იგი არც რთულსა და არც მარტივს □პიროვნებას, აზროვნებას) პრიორიტეტად არ აღიარებს და ამ შემთხვევაში სრულიად მართებულად მიდის ისეთ დასკვნამდე: გენიალურობა არც სიმარტივეშია, არც — სირთულეში, იგი მხოლოდ უბრალოებაში გამოსჭვივისო. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ხშირად ურევენ ერთმანეთში გენიალურ უბრალოებასა და პრიმიტიულ სიმარტივეს. არადა, ეს ასეთი საკითხია, რომელიც პირდაპირ კავშირშია მწერლობასთან. — აკი, ყველაზე უკვდავი და დიდი წიგნი სწორედ ამისთანა გენიალურობით — ჭემარიტი უბრალოების უზადო მომხიბვლელობით არის გამორჩეული! ბ-ნი ოტობაია კი ნემსის ყუნწში ძვრება, რომ მკითხველის წინაშე უნიკალურად თავისებური სტილის ოსტატად წარმოჩინდეს. ადამიანის თავისთავადობა კი მხოლოდ უშუალობაში ვლინდება. უშუალობა და სისადავე რომ არ აკლდეს, ბ-ნი გური, ბევრ საჭირბოროტო პრობლემას აყენებს, მაგრამ შეიძლება გავამართლოთ მისი აშკარა მინიშნება სამეტყველო თუ სალიტერატურო ენის ერთგვარ რევიზიაზე?

,,ევროპამ რენესანსამდე გააკეთილშობილა თავისი მეტყველება თუნდაც ინკვიზიციური მეთოდებით, გაათავისუფლა ძნელად წარმოსათქმელი თანხმოვანებისაგან. აქედან გამომდინარე, ხავერდოვანება, მაჟორულობა შეემატა მათ ენას, ჩვენი პოეტესები კი... ,,და სრულიად დაუსაბუთებლად გამოთქვამს უკიდურესად კრიტიკულ მოსაზრებებს დაბალი ღობეების — პოეტესების მისამართით. უფრო ზემოთ კი ვკითხულობთ: ,,დღეს ბევრი აწვალებს კალამს ყმაწვილთა დასაჩლუნგებლად''.

ავტორს უნდა მიეთითებინა, ,,ბევრში'' ვის გულისხმობთ — თანაც სათანადო მასალების ციტირებით! ამისთანა ამბიციები თუ გაწუხებს და გგონია, უფლება გაქვთ თითი უქნიოთ ადამიანებს, მთელი სიცოცხლე და შესაძლებლობები საყმაწვილო მწერლობას რომ შეალიეს, ის მაინც უნდა იცოდე, რომ ენაზე ძალადობა — სიტყვების შენს ჭკუაზე გადაკეთება უპატივცემლობაა ხალხისა, რადგან მისი სული და სასიცოცხლო დვრიტა, სწორედ, ენაშია გაუკვდავებული.

ორიგინალობისკენ ასეთი თვითმიზნური სწრაფვა ნაზრახი მეთოდია, მას წარმატება არ მოაქვს. არც ეს თხზულებაა გამონაკლისი: ,,ისევ ამოიდგა ენა ვეზუვმა და ამჯერად პირწავარდნილი ვატერლოოა იგივე თამაზ წივწივაძესა და გელაშვილ-ჩიჩუებს შინა.'' ანალოგიურ შემთხვევაში ისეთ სიტყვებს ირჩევენ, რომელთა შორის არსებობს ლოგიკური ძაფი. ,,ვატერლოოს'' წინა პირობად იქნებ VII ანტიფრანგული კოალიცია, ველინგტონი და ბლიუხენი უფრო გაეხსენებინა! მაგრამ ამ ათუხთუხებული ურთიერთობების უკეთ გადმოსაცემად ,,ვულკანი'' ჯობდა, მაშინ ვატერლოოს ნაცვლად უნდა შეერჩია სხვა სიტყვა. ან რა ქართულია ,,წივწივაძესა და გელაშვილ-ჩიჩუებს შინა?'' აკი, გვაქვს ასეთი კონტექსტისათვის შესაფერისი ,,შორის?''

ბ-ნი ოპონენტი რომ ამისთანა ,,წვრილმანებს'' ყურადღებას არ აქცევს, ბევრგან დასტურდება. თუნდაც ისევ აქვე: ,,იგივე თამაზ წივწივაძესა და გელაშვილ-ჩიჩუებს შინა''. სახელები მიცემით ბრუნვაშია, მათი მსაზღვრელი, კი — სახელობითში □უნდა იყოს: იმავე თამაზ წივწივაძესა და გელაშვილ-ჩიჩუებს შორის''). კარგი იქნებოდა ამ ავტორებივით უბრალოდ ესაუბრა მკითხველებთან... ,,არცოდნა არცოდვაო'', მაგრამ სიტყვების დამახინჯება რომ არის უდიდესი ცოდვა? — ,,ენა საღვთო რომ არის, მას ცოვდილი ხელით არ უნდა შეეხო...'' ბ-ნ გური, მგონი, ეს არ უნდა ახსოვდეს... აბა, თავად განსაჯეთ: ,,ახლა საკამათო არაფერია, ნიშას და ნიკორას, ბუსკას და ჩელას ცალ-ცალკე მიაქვთ თითობორბლიანი შუაზე გახერხილი ურმები ჩვენი ყოფიერებისა. საცოდავ დაკენტებულ ვალალში გზადაგზა ეფანტებათ სამამულო ჭირნახული შემოდგომისა და სადღაც შუაზე გაფხრეწილი ,,ოროველას'' ხრიალია და კიდევ იქით, სიგრძივ გადაბასრული ტილოა — რეპინის ივანე მრისხანე ურჩი ძისმკვლელი მამის სულშეძრწუნება, ახლახან კვერთხის მბღუჯავი თითებიდან შვილის ტვინათქვეფილი სისხლის ჭიაყელებით და კიდევ შორს, გაღმა —შუაზე გახლეჩილი შიზოიდური გარინდულობაა, რომელიც კიბის ინდიელის გულწყვილობით მოელის ცდომილი მზებუდობის დავანებას და, რადგანაც დიდაქტიკის მოუხეშავ მარაზმთან არაფერი ანათესავებს ჩვენი მდუღარების მაჯისცემას და რადგანაც ჩვენი სულის პატრუქის დარჩენილი ნათება მოზარდი თაობის უკუნეთიდან ტოროლას წკრიალზე მოახლოებული ალიონის საუფლოში გაყვანის საწინდარია, საუბარს დავიწყებ საყმაწვილო

პერიოდიკის მიმოხილვით, დავიწყებ „დილით“, რომელიც ჩრდილოური ანდაზის თანახმად ბინდის-პირულზე ათასგზის ბრძენია“.

განა ეს წინადადება მონსტრი არ არის? და გადაყლაპა კიდეც პატივცემული კრიტიკოსი.

ის კი, არადა, ცოტას გაწყდა, ჩვენც ზედ მიგვაყოლა — რას ერჩი, მეტაფორულად გაუაზრებია სადღეისო თავშისაცემიო, შემესიტყვებით... მაგრამ „მკვეთრად გამოკვეთილ ინფანტილურ ფაზაში“ მყოფიც დაინახავს, რომ მოძალებული ხელოვნური გამოთქმების ფონზე შექმნილ უზუსტობათა შუქგაუმტარ კორიანტელში მოქცეულ ავტორს აქა-იქ წერტილების დასმაც დაავიწყდა! მგონი ბ-ნ ოტობაიას ზომიერების გრძნობამ უღალატა... მაშ, როგორ ავხსნათ, რომ ზემოთ მოყვანილ წინადადებაში 105 სიტყვაა? (ოთხ სიტყვას ოსტატურად მცინცლავს პოეტესა, გ.ო.) ამიტომაც გამახსენა ბაყბაყდევის კისრიდან ამომძვრალი შავი გველეშაპი, ამირანი რომ გადაყლაპა. ამირანი „ქრისტე ღმერთის ნათლული“ იყო და გველეშაპმა ვერ მოინელა, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, შეურაცხყოფილმა „პოეტესებმა“ ხმაც არ ამოვიღოთ? (მერე და დაგიშალათ ვინმემ, ძვირფასებო? გ.ო.) ალბათ, შენიშნეთ: ზემოხსენებული მონისტრის სტომაქში მოყოლილ რამდენიმე სიტყვას ხაზი გავუსვი. აი, თუნდაც — მსაზღვრულ-საზღვრულის წყვილს: „მოუხეშავ მარაზმთან“. აბა, უცხო სიტყვათა ლექსიკონში ჩავიხედოთ: „Ì àðàçì (ãðå÷.ñëî âî, marasmos - èçí óðåí èå, óï àäî ê) óãàñåí èå æèçí åäåÿòåëüí î ñòè î ðãàí èçì à”.

ხასიათდება თვით: „ï î ÷òè ï î ëí û ì ï ðåêðàø åí èåì ï ñèõè÷åñêî é äåÿòåëüí î ñòè” ... მგონი, მოუხეშავი დიდაქტიკის გამოწვეულ მარაზმთან“ უნდა ეთქვა — არასწორმა □მოუხეშავმა) პედაგოგიკურმა მეთოდმა კი შეიძლება ბავშვს ილაჯი გამოაცალოს და მარაზმამდე მიიყვანოსო.

დიახ, სამწუხაროდ, ამ არცთუ ინტერესმოკლებული წერილის ავტორი მართლა ამჟღავნებს „ინკვიზიციურ დამოკიდებულებას“ ენისადმი — არც ფორმას დაგიდევთ, არც — სემანტიკას. „ბრწყინვალედ წერსო“, იმ ავტორზე კი არ ამბობენ ვინც უცნაურ სიტყვებს რომ იგონებს! — იმაზე, ვინც ენის ბრწყინვალე ცოდნას ამჟღავნებს. ბ-ნმა გურიმ კი ანდაზაც კი გადააკეთა, ჩრდილოური, მაგრამ — ანდაზა! óòðî âå÷åðà ì óäðåí åå ასე გადმოაქართულა: „დილა ბინდისპირულზე ათასგზის ბრძენიაო“. ბინდისპირული კეთილხმოვნად ჟღერს, მაგრამ ამ კონტექტსში უაზროა, თუ ავტორი აქ „მეტაფორულად“, სადიდო ლიტერატურას არ გულისხმობს. ამისთანა მნიშვნელობას კი ჩვეულებრივი მოკვდავი ძნელად მიხვდება.

ახლა კიდევ ეს გაუთავებელი რემინისცენციები! — ერთგან ბ-ნმა ოტობაიამ „პოეტესა მერი ინაშვილის“ ოთხიოდე სტრიქონის უარყოფითად შეფასების მიზნით განუჩხრეკავი არ დატოვა მეცნიერების, მედიცინის, ხელოვნების არცერთი დარგი; ყოველგვარი „გრაფია-თერაპია, სოფია-ნომიკა“ თუ „ნომია-მცოდნეობა“ შეაჯერა, თვინიერ ფილოლოგიისა!

აი, რამდენი ინფორმაცია მოგვაწოდა ოთხიოდე სტრიქონის უვარგისობის დასასაბუთებლად: „ადამიანის ხელის რვა ნაწილად დაყოფა ბერძენი სკულპტორის, პოლიკლეტის კანონიდან მომდინარეობს, რომელსაც ესაფუძვლება ძველეგვიპტელი ოსტატების თეორიები. ამოსავალ წერტილად მიიჩნეოდა მარცხენა ხელის შუათითი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შეფარდებას სხეულთან 1ž19-ით. მაგრამ ამ სიდიდის მიღმა იდუმალებს უმთავრესი, კონკრეტულად კი — თავად მოზარდის სხეულის გრადაცია და თვისებრივი გადაადგილება ასაკობრივი ცვალებადობის ფონზე:

ბავშვი ზრდასრულისაგან გამოირჩევა შედარებით მოკლე ფეხებით, გრძელი ტანით და დიდი თავით. თუკი სკულპტურის კანონიკით იდეალური პროპორცია 1/8-ია ბავშვის მიხედვით ეს თანაფარდობა 2/6 ანუ 1/3-ით გამოიხატება; დიახაც, თავს, ინფომაციის დამჭერ აპარატს, უკავია ცენტრალური ადგილი მის აღნაგობაში და ამ ინფორმაციის ზედმიწევნით ათვისების კვალდაკვალ პატარავდება იგი. დაპროგრამების შემდგომ თავის ქალის ძვალოვანი სისტემა იწყებს გადანაწილებას მთელ სხეულზე.

ადამიანის ინფანტილური ფაზა გამოკვეთილია კბილების მკაცრად განსაზღვრული ოდენობით, რომელიც პოეტესა მერი ინაშვილს ოდნავ მაინც რომ სცოდნოდა, არაფრისდიდებით დაწერდა ამისთანა საანეგდოტე სტრიქონებს:

„მაინც მიკვირს, პატარებო, უცნაური მომენტის, გული ერთი რატომ გვაქვს და კბილი ოცდათორმეტი?“ „ჩვენი უბედურებაც ეს გახლავთ“, — განაგრძობს ბ-ნი გ.ო. — „არარსებულ 12 კბილს ვტენით პირში პატარას. ზედმეტი, 12 კიჭის წლობით ენის შენახვას მოჭარბებული დაუდგრომლობის პერიოდში, დამეთანხმებით, არც ისე იოლი საქმეა. ანთროპოლოგიურად კი პატარებს, როგორც წესი, მხოლოდ 20 კბილი გააჩნიათ“...

ვფიქრობთ, ბავშვისთვის, რომელმაც დიდი-დიდი ხუთამდე □ან ათამდე!) თვლა თუ იცის, სულერთია ოციც და ოცდათორმეტიც. ცხადია, ქალბატონს, ამჯერად, ლექსი არ გამოუვიდა, მაგრამ იმი-

ტომ კი არა, რომ ,,ოდანავაც□?) არ იცოდა'', რომ მას მხოლოდ 20 კბილი აქვს!'' — სათანადოდ ვერ გაიაზრა სათქმელი! უმცროსი ასაკის ბავშვი არასოდეს ეტყვის თანატოლებს, ,,პატარებოო'', მის ლექსიკონში არც სიტყვა ,,მომენტი'' შეიძლება ჟღერდეს! უბრალოდ, ,,პოეტესა მერიმ'' აღმოაჩინა, რომ სიტყვები — ,,მომენტი'' და ,, ოცდათორმეტი'' ერთმანეთს ერითმება. არც აცივა, არც აცხელა და თათარიახნად შეაკოწიწა ლექსი, რომლის წყალობითაც ბ-ნმა გურიმ ამდენი ფასდაუდებელი ინფორმაციით გაამდიდრა ჩვენი ,,მწირი'' ცნობიერება, რა აღარ აგვიხსნა და გაგვაგებინა, გარდა ამ ოთხი სტრიქონის წმინდა ლიტერატურული ღირებულებისა! განა ლექსის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, ბავშვს ასწავლოს, რამდენი კბილი აქვს მას ამა თუ იმ ასაკში? შემეცნების მომენტს არ გამოვრიცხავ, მაგრამ ლექსის ძირითადი არსი, მისი ფუნქცია ზნეობრივ ასპექტში, ხასიათისა და აზროვნების განვითარებისათვის საჭირო ერთ-ერთ უაღრესად ქმედით ფენომენშია საძიებელი.

მერე რა, თუ ბავშვს არ ეცოდინება, რომ მას მხოლოდ 20 კბილი აქვს! — მთავარია იცოდეს: კბილებში არავინ არ უნდა ჩაარტყას, რადგან ეს მეტად მტკივნეულია.

რაც შეეხება ,,ანთროპოლოგია-უფოლოგია-ციტოლოგიასა'' და ა.შ. ,,ლოგია-სოფიებს'' ბავშვი გაიზრდება, წავა სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში ძია გ. ოტობაიასავით დაინტერესდება და ისწავლის. მანამდე კი იმისთვის უნდა მოემზადოს — გამოიმუშავოს პასუხისმგებლობის გრძნობა, შრომისმოყვარეობა, სიკეთე, სამშობლოსადმი და ყოველივე მშობლიურისადმი ამაღლებული დამოკიდებულება, რაშიაც მას სწორედ ლექსი და მოთხრობა უნდა დაეხმაროს. **□მაგრამ როგორ? გ.ო.)**

ვერ დავემდურებით ბ-ნ ოტობაიას, რომელმაც გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ ,,დედაენასა'' და ,,დილაში'' ყველაფერი არ მოეწონა, მაგრამ ამისთანა განცხადება რა საკადრისია: ,,ჩვენი პოეტესები კი ,,ტოროლა და ოლოლებს'' გვთავაზობენ, სადაც ნაჯახით გამოჩორკნილი რითმათა წყვილეულებია ...'' საილუსტრაციოდ ,,ნაჯახით გამოჩორკნილ რითმათა'' ერთი წყვილეული მაინც არ უნდა მოეხმო?

რაც შეეხება ,,ტორალა და ოლოლებს'' — ეს ხომ ჩვენი შეუდარებელი მაყვალა მრევლიშვილის ლექსია!''

,,ტოროლა და ოლოლი მიდიოდნენ ორ-ორი...'' ,,ოლოლი — ორ-ორი'' ნაჯახით გამოჩორკნილი რითმათა წყვილეულია?''

ჩვენი ოპონენტი, აქვე კლასიკოსებად შერაცხულ სხვა პოეტთა ლექსების ,,სიდინჯეზეც'' □გრიშაშვილსა და ჯაბუშანურზე) ლაპარაკობს, ისე, ხაერზე, უსაგნოდ და უსაბუთოდ. სამაგიეროდ რაღას არ გვამცნობს და რანაირად არ ცდილობს ჩვენი გაუნათლებლობის განეიტრალებას!

ხომ უნდა გაიგოს დუნიამ რომ ასეთ განსაწვლულ ადამიანთან გვაქვს საქმე? სხვას ვის შეუძლია აგვიხსნას, რამდენი სმ-ია ბავშვის თავის გარშემოწერილობა 4 დღის, 4 თვის და ა.შ. ასაკში? რატომ არ ეზრდებათ გოგონებს ულვაში, რა ხორმონები აკლიათ ამისთვის, ვინ აღმოაჩინა ეს ხორმონები და როდის? ესკულპეს შთამომავალი არისტოტელე პოეტიკით რატომ დაინტერესდა და ხქონდა თუ არა სიბრძნის კბილი, ფილიპე მაკედონელმა ალექსანდრეს მასწავლებლად რომ მიიწვია?

ამას იმიტომ არ მოგახსენებთ, რომ ლიტერატურა განყენებულ ფენომენად მესახება! — მხოლოდ იმიტომ, რომ აქ იგი უკანა პლანზეა და თუ მაინც წავაწყდებით ლიტერატურულ აზროვნების მცდელობას, ისე თავდაყირაა ყველაფერი ,,წიკო-მიკოსავით'', მტრისას! — თავი ლაპუტანელების ქვეყანაში გეგონება!

,,ყირამალას'' რუბრიკით საუკუნეა იბეჭდება მასალები საყმაწვილო პერიდიკაში, მაგრამ არავის განუცხადებია, ბაშვებისთვის მხოლოდ ასე უნდა იწერებოდესო. გ. ოტობაია კი სამომავლო იმედებს ,,წიკო-მიკოზე'' ამყარებს:

,,შორს წავალთ, თუ წიკო-მიკოს საუბარში ავყვებით და მის ხმიანობაზე: აჩი-პიპი-ფიფო-უგი, მამა-ტატუ, თათა-ნუკი'', ამგვარად შევეპასუხებით: ,,არი-მარი-ჭრი-ჭრი-კა...''

ამ აბდა-უბდას, ერთხანს მართლა რომ შეიქცევს ხოლმე ბალღს, კრიტიკოსმა გვერდები დაუთმო, პოპულარულ პროზაიკოსთა მთელი გუნდის ავან-ჩავანი კი ორიოდე აბზაცში ჩაატია და ისიც ,,წიკო-მიკოს'' სარეკლამოდ გამოიყენა, სინანულით განაცხადა, მათ აკლიათო: ,,წიკო-მიკოსთვის დამახასიათებელი აღქმა საგნებისა, ყირამალა შეტრიალებული სინამდვილე''. ე.ი. ბავშვები უნდა დავსხათ და ,,მამა-ტატა-თათა'' ვაძახებინოთ. არა და სპ. მილიგანის გარეშეც ,,ბაასობთ'' ასე, ყველანი, ბავშვობაში. ეს ხომ თამაშია. თუმცა თამაშ-თამაშით ხშირად სერიოზული საქმეებითაც დააინტერესებენ პატარებს, მაგრამ მთავარი მაინც საქმეა და არა — თამაში!

საინტერესოა, დათუნიას რომ დაჭრილი ხის კვნესა არ აძინებს, ეს უფრო მნიშვნელოვანი სათქმელია ბავშვისთვის, თუ ,,აჩი-პაჩი-პუჩი''? მითუმეტეს — დღეს, უმოწყალოდ რომ იჩეხება ტყეები და ვეებერთელა მანქანებით სადღაც სარფს მიღმა, მიედინება! იმედი მაქვს, თუ კალმის წვალებით

უკვე არ დავაჩლუნგეთ, ბავშვებს მოსწყინდებათ „ატა-პატას“ ძახილი და დ. ასლამაზიშვილის, დ. ხიმშიაშვილის, მ. მოსულიშვილის, მ. გელაშვილისა და სხვათა მოთხრობებით დაინტერესდებიან.

მიკვირს ბ-ნი რ. ჭეიშვილის „მამალს“ რა აღმოუჩინა საერთო „არი-მარი-ჭრი-ჭრი -კა“-სთან ბ-ნმა გურიმ, რომ იქ „წიკო-მიკო“ აღარ მოისაკლისა? თუ: ჯუნგლების კანონის გავლენაა — დაუცველ „პოეტესებსა“ და მიცვალებულებს ბდღვირს ადენს, მწერალთა კავშირის მდივნის მისამართით კი დითირამბებს აღავლენს — თუ „წიკო-მიკოსეული“ აღქმაა მთავარი, ბატონი რეზოს ნაწარმოებშიც ხომ არაფერი ამისთანა. სამაგიეროდ წიკო-მიკოსავით ყირამალა თვითონ აზროვნებს თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ „მამალს“ ნოველად ნათლავს. ნოველა ხომ ერთი მოკლე ეპიზოდია... **„ნ-ში ძალზე შეკუმშულადაა ნაჩვენები ყოფითი დეტალები, გარემო... მისთვის უცხოა აღწერითი მომენტები „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“**, ტ.7“) არადა, „მამალი“-ს შესავალში რაღას არ გვიამბობს მწერალი. პოლიტიკასაც კი ახსენებს, თუმცა მას არავითარი კავშირი არა აქვს მამლების ჩხუბთან, მათ ტრიუმფსა თუ „ვატერლოოსთან“! საკუთრივ სიუჟეტზე კი სადღაც აქეთ, მე-7-ე აბზაცში, გადადის.

„ერთმა დედალმა კისერმოღლეტილი ყინტორამ „ჩინური“ წიწილები დაჩეკა. მამლების ამბავი ასე მთავრდება: „კიტაია პირველმა დამარცხებულად ცნო თავი. უბრძოლველად დატოვა არენა“. ოტობაია კი, ძირითადად იმითი გახლავთ აღფრთოვანებული, რასაც ამის შემდეგ ამბობს ავტორი, თვლის, რომ იგი „უცოდველი შეგირდის თვალწინ შოლტავს გადაგვარებულ ადამიანს“, „გახყავს სამარცხივნო ბოძზე“. მაგრამ „გადაგვარებული ადამიანის სამარცხვინო ბოძზე გაყვანა □გაკრა! მ.ჩ.) სრულიადაც არ ზის შინაურ ფრინველთა ამ მიკროსამყაროში გათამაშებული დრამის კონტექსტში. არც მწერალი ამბობს, რომ ადამიანი, რაკი იგი დამარცხებას არ ეგუება, გადაგვარებულიაო... ეს ნოველა კი არა, უფრო მოთხრობაა, სადაც მწერალი პატარა, გამოუცდელ ადამიანებს ნანახსა და განცდილს უამბობს და საკუთარ შეხედულებებსაც უზიარებს.

კრიტიკოსის საგულისხმოდ მინდა ვთქვა, რომ დამარცხებასთან შეურიგებლობა გადაგვარების ნიშანი კი არა, კაცობის ნიშანია. ჯუნგლის კანონი ერთგვარად, ადამიანის ხასიათშიც არის კოდირებული, მაგრამ ერთადერთს— მაინც ადამიანს ხელეწიფება ძალმომრეობის კანონზე ამაღლებაც!

მწერალმაც ეს უნდა შეგვახსენოს, რომ არ გადავგვარდეთ მიზეზთა გამო, სხვათა და სხვათა.

რაც შეეხება იმ სავალალო რეალობას, ზოგიერთი ადამიანი რომ ცხოველივით, ინსტინქტებით ცხოვრობს, ამის ცალსახად განზოგადება და მითუმეტეს პატარა მკითხველების საგულისხმოდ, არა მგონია, სასურველი იყოს. ბავშვს ადამიანურ ბოროტებაზეც უნდა ელაპარაკო, მაგრამ იქვე სიკეთის ნათელიც უნდა ჩანდეს, რომ პატარა, გამოუცდელ ადამიანს უცოდველი მზერა ამ სინათლისკენ დარჩეს მიქცეული.

და ბოლოს, ბ-ნი ტ. ჭანტურიას ლექსთან დაკავშირებით: თუმცა ტილი პოეზიის საგანი არასოდეს ყოფილა და არც შეიძლება იყოს, რადგან ფრიად არაესთეტიკურ ემოციებს იწვევს, ეს ლექსი ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, უდაოდ, საინტერესოდ არის გააზრებული. გ. ოტობაიასგან განსხვავებით მე მას სახუმაროდ კი არა, ღრმა ადამიანური ლირიზმით აღბეჭდილ ლექსად მივიჩნევ. იგი სიყვარულზეა და არა — ამ საძაგელ მწერზე! — „თავი თავზე მივადოთ, შენი ჭირი მე, შენი ტილი მე, ჩემი ტილი — შენ!“ გაძაღლებული ყოფა რომ ნაკლებ მტკივნეული გახადო და ბავშვსაც გაუადვილო, ალბათ, მხიარული რეფრენიც უნდა მოიშველიო: „დივლი-დივლი, დალალე...“ დიახ, ეს სწორედ იმისთანა სიყვარულია, ზიზღს თვით უკიდურეს სტადიაში მყოფ კეთროვანისადმიც რომ გამორიცხავს, მასზე მზრუნველობას რომ გვავალდებულებს. ლიტერატურაც ამ უმაღლეს სულიერ ღირებულებათა პირდაპირი მემკვიდრეა, ოდითგანვე სწორედ ეს არის საღვთო სჯულის ფუნქციის შემცველი და მატარებელი; იგია ყოვლისმომცველი სიყვარულის მზებუდობა, ადამიანური ყოფიერებისკენ დახრილობის უკიდურეს წერტილში. ცხოველმყოფელი მზესავით მოჩახჩახე და მანათობელი“.

მზია ჩხეტიანი,
„ლიტერატურული საქართველო“,
№47, 17-23 ნოემბერი, 2002 წ.

* * *

მდაა. ჩვენი პოეტესა არ ხუმრობს. ამორძალივით დარევია თქვენი მონა-მორჩილის ფრაზებს, წინადადებებს, სენტენციებს, გემოვნებას, სტილს და თვით მართლწერასაც კი. თავად ხომ უცოდველი კრავია

ამეებში! განსაკუთრებით —რუსიციზმებისა და რუსული მოდელით აზროვნების თვალსაწიერით.

ვერბალურ პრობლემებს უცხო სიტყვათა რუსული ლექსიკონით გადაგვიწყვეტს, მოზარდების აღმზრდელობით მეთოდებს მაკარენკოს თარგზე ჭრის და კერავს; რუსული კონსტრუქციით აჯახირებს წინადადებებს;

წინწკლებში მოუხმობს ოპონენტის ფრაზებს, მაგრამ სიტყვები თითებს შორის ქვიშასავით გაურბის; ორთოგრაფიული ცდომილებებით დატუმბა წერილი. პოეტესების ვექილია, თუმცა მასზე არავის დაუძრავს ენა სახოტბოდ თუ სააუგოდ. ეს ამწარებს, ეს ახელებს, ამას გაუცოფებია, თუმცა ყველაფერზე — რიგისობის მიხედვით:

„ძილისპირული“ —
ერთი ლექსის კონკურსის გმირი

ანუ პოეტესას პირველი მერცხალი, რომლის ჭიკჭიკს
შესაძლოა შემოქმედებითი გაზაფხულიც მოჰყვეს;
უფრო ზუსტად კიბასუხად ქალბატონ მზია ჩხეტიანს,
□„ენა საღვთო რამ არის...“, „ლს“, 47, 17-23 ნოემბერი, 2000წ.), „ქართული მასმედიის მზებუდობის“ □„ცისკარი“, №8. 1999წ.), პირველი წერილის კომენტარებით, 15 თვის შემდეგ).

ამას წინათ მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში ერთი სანდომიანი სახის ქალბატონი გამომეცნაურება. საკუთარი ლექსების კრებულს მისახსოვრებს თანამოსაუბრეთა მხარდამხარ, თანაც გური ოტობაია ბრძანდებითო, მკითხავს და ჯიქურ მომაჩერდება თვალებში.

— დიახ-მეთქი, ვუპასუხებ ზრდილობის გულისათვის, წიგნის ფურცვლას ზერელად მიძალებული.

— მე მზია ჩხეტიანი ვარო, —განმიმარტავს, — თქვენს მიერ დაწუნებული პოეტიო.

— ეგ როდის-მეთქი, გავიკვირვებ.

— როდის და ,,ქართული მასმედიის მზებუდობას'' რომ წერდითო.

— რაღაც არ მახსოვს-მეთქი.

— საქმეც ეგ არისო, — არ მომეშვება კოლეგა მანდილოსანი, —ვეღარაფერი გამიგია, მაინც რა დაგიშავათ ჩემმა ,,ძილისპირულმა'', რომ თქვენს წერილში არსად გიხსენებიათო. არადა, ერთი ლექსის კონკურსში, დიახაც, მან გაიმარჯვა უმეტოქოდო.

შევიშმუშნები

ხსენებული წერილის პერსონაჟთაგან საყვედურები არახალია. ზოგი რას მიმტკიცებს და ზოგი — რას: პოეტესები, პროზაიკოსები, მხატვრებიც კი და მეც მიჩვეული სცენის კვალობაზე, საუბრის იშტაში შესულს, ყურს თვინიერად მივუგდებ.

თვალები შორს გამირბის, ცის დასავალს, ჩვენი ამღვრეული ყოველდღიურობის მიღმა. ის კი დაუმცხრალად, მთელი ექსტაზით, ჟინით მიკითხავს ერთი ლექსის კონკურსის გმირი ,,ძილისპირულის'' სტრიქონებს.

ჩემს შელიბრულ ცნობიერებამდე სახიერად ვერ აღწევს სტროფთა წნულები, რითმათა რაკარუკი, რიტმის გაწონასწორებული სუნთქვა, სითბო თავად პოეტური ქმნილებისა.

შევპირდები, მეტის გულისყურით დავაკვირდები მის შემოქმედებას, და საჭიროების შემთხვევაში სათანადო პასუხსაც ვაახლებ.

გვარიან ხანს ითუხთუხებს, იმდუღარებს, და წავა. მეც ისე მალე გავეცლები იქაურობას, ნაჩუქარი წიგნი არც გამახსენდება.

ადრეც ვამობდი და ახლაც ვიმეორებ: რედაქტორის გაიგივება ამა თუ იმ ავტორის მოსაზრებებთან, უკულტურობის, გნებავთ— უწიგნურობის დამადასტურებელია.

ქალბატონ მზია ჩხეტიანს მიუტანია წერილი ჩემი ,,ნაშრომ-ნამუშაკევის'' გასაანალიზებლად რედაქციაში, ერთგან, მეორეგან... ეტყობა მიხათრეს... და დელიკატურად ჩამოიშორეს. კვლავ თამაზ წივწივარძეს ვემადლიერები კარგახსნილობისათვის.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, უამრავ საქმეს მოებმება თავი, უწინარსესად კი— ჩვენი ჭირნახული სამშობლოს სადღეგრძელოდ. ჭეშმარიტება ხომ, დიახაც, აზრთა შეხლა-შემოხლაში იბადება?! პატივი მიაგე ოპონენტის შეხედულებას, მეტი სივრცეების დაპყრობა თუ განგიზრახავს! განსხვავებული აზრი სალეს ქვასავითაა გველისპირულისათვის.

ყველაფრის გათვალისწინებით, უშურველად შევახსენებთ ქ-ნ მზია ჩხეტიანს თუ ,,ძია გ. ოტობაიას'' ,,ქართული მასმედიის მზებუდობით'' რისი მოწესრიგება განეზრახა;

იმ ,,ძია გ. ოტობაიას'', პუნქტუაციის პრობლემებზე რომ ბორძიკობს თურმე აქა-იქ და ,,მკითხველების წინაშე უნიკალური თავისებური სტილის წარმოსაჩენად ნემსის ყურწში ძვრება'';

იმ ,,ძია გ. ოტობაიას'', რომელსაც ,,ხომ უნდა გაიგოს დუნიამ განსწავლულ ადამიანთან გვაქვს საქმე''; და რაც მთავარია, არ ახსოვს ,,ენა საღვთო რამ არის, მას ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხო''.

მოკლედ, იმას ვამბობ, რომ ,,ქართული მასმედიის მზებუდობა'' წერილების ციკლად ჩავიფიქრებ 17-ოდე თვის წინ. აკი, პუბლიკაციის ბოლოს გაცხადებულია კიდეც: **„ძინიშეჯამებასავით, ანუ პირველი წერილის რეზიუმე“.**

მომავალში, ღმერთი თუკი ინებებდა, უნდა დავლოდებოდით მეორესაც, მესამესაც, მეოთხესაც და მეხუთესაც. ესენია შემდგომ და შემდგომ გამოსაკვლევი: ,,ცისკარი'', ,,ლიტერატურული საქართველო'', ,,ალია'', ,,ასავალ დასავალი'', ,,ახალი თაობა'', ,,ახალი საქართველო'', ,,რეზონანსი'', ,,კვირის პალიტრა'',,,მართალი გაზეთი''... სხვანი და სხვანი. მანამდე კი უვერტურის შეკუმშულობით ზოგადად მიმოვიხილავდი ქართულ მასმედიაში შექმნილ ბაკქანალიას.

დასტურ, წერილის კარიბჭედანვე მივუთითებ შავით თეთრზე: ,,არსებული ტენდენციები და მიმართულებანი''- მეთქი, რაც წიგნიერ მკითხველს ცხადლივ მიანიშნებს პუბლიკაციის სტილისტურ თავისებურებას: ლამის მეცნიერულ პრეტენზიულობას.

,,ქართული მასმედიის მზებუდობა'', თქმულისამებრ, დიახაც კამერული ხასიათისაა. იგი შედარებით პროფესიონალებისათვის, სპეციალისტებისათვის შეითხზა, რომელთაც ხელეწიფებათ ამ სფეროებში შექმნილი აუტანელი ვითარების გარდაქმნა, გამოსწორება, თორემ ,,ძია გ. ოტობაიამ'' თვით ერთი ლექსის კონკურსის ლაურეატზე ნაკლებად როდი უწყის, ესა თუ ის სათქმელი როგორი მასალით შეზავდეს!

ნურც ,,დილის'' ფორმატის ჟურნალის ექვის ნომრის ერთ წერილში მიმოხილვას მივიჩნევთ იოლ საქმედ. ამიტომაც დაუკონკრეტებია ,,ძია გ. ოტობაიას'': ,,არსებითი ტენდენციები და მიმართულებანიო'', ანუ ამჯერად უმთავრესზე ვიმსჯელებთ და შედარებით უღიმღამოს სხვა მეწვრილმანეთა კალმის სალოღნად ვტოვებთო.

ჩემთვის სევდისმომგვრელია ერთი გარემოებაც: რატომ ვუხუჭავთ თვალს ავტორის გულწრფელ სიხარულს ჟურნალ ,,დილის'' პოლიგრაფიული თუ სხვა ფასეული საუნჯის წარმოჩენის თვალსაზრისით?!

ქართული მასმედიის ამ აქილევსის ქუსლის 98 წლის ,,ცისკარიც'' დაძლევს, რომელსაც მოგვიანებით ,,ომეგა'' ახალ სიმაღლეებს აზიარებს, თუმცა ,,დილის'' ანალიზისას მხოლოდ გარეგნული ელვარებით როდი შემოვიფარგლები.

,,მზებუდობაც'' შემხვევით არ შერქმევია წერილს, ვინაიდან ორბუნებოვანია იგი; ზამთრისა — მოკლე და ზაფხულისა — სვეგრძელი. დღევანდელი ქართული მასმედია თავისი არსით ზამთრის მზებუდობის შესადარია, სადაც ბოლომდე არ არის გამოვლენილი ცის მანათობლის სრული შესაძლებლობანი, თუმცა მაინც აუცილებელია, გარდუვალი, როგორც სრულყოფის მიღწევის საშუალება.

ახლა, როდესაც რამდენადმე გავარკვევთ ჩვენს მიზანდასახულობას, მოდით, ,,ადამიანთა ნერვების დამფლეთი'', ,,მონსტრ წინადედებათა'' დასტაქარ ,,ძია გ. ოტობაიას'' ოპონენტის წერილსაც მივხედოთ.

გენიალურობა უბრალოებაში რომ ბინადრობს, ამისათვის ,,მდოგვის მარცვალის'' შემოქმედი ინდუსი ოშოს მოშველიება ველოსიპედის აღმოჩენაა. უმჯობესია ჯერ არისტოტელეს ,,პოეტიკასა'' და ,,რიტორიკაში'' ჩავიხედოთ, მერმე — ხორაციუსთან, ხეგელთან... და იქ უკეთესად გავიგებთ თუ რა არის გენიალურობა საერთოდ.

,,დილის'' ექვსნომრეულის მიმოხილვისას ჩემს წინაშე უნებურად ამოტივტივდება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის კარდინალური რეფორმის გარდუვალობა, რის თაობაზედაც ამასწინანდელ ტელეინტერვიუში ,,აბდაუბდას'' ნორჩ კორესპონდენტებთან, ჩინებულად ბრძანებს განათლების მინისტრი, ბატონი ალექსანდრე კარტოზია:

განსატვირთია უზომოდ დამძიმებული სასკოლო პროგრამა ძირითადის სასარგებლოდო.

განა სხვა რამეს ვიძახი 15 თვის წინ?! გადასასინჯია დიდაქტიკის სადღეისო მეთოდები-მეთქი, ვქოთქოთებ. თვით დიდი იაკობის ,,დედაენაც'' განსაახლებელია-მეთქი, ვფიცხობ, მაგრამ არა ისე, როგორც ეს მოუხერხებია ბატონ ვალერიან რამიშვილს II კლასელთათვის 1982 წლიდან დაკანონებულ სახელმძღვანელოში.

ჩემი წერილის ოპონენტს, ვატყობ, უწინარესად განათლების სისტემის „დედაენათა“ მწარმოებელი ქურუმები უფრო ქოქავენ, მაგრამ ხომ მივუთითებ იქვე, V კლასის სახელმძღვანელოს ინტელექტუალურ დონესაც, ბატონ ვახტანგ როდონაიას მეთაურობით?

საჭიროა ძირეული რეფორმა -მეთქი, გავყვირი ხმის ჩახლეჩვამდე და მადლობა უფალს, ყინული ადგილიდან დაძრულა.

აღტაცებას ვერ ვმალავ საბუნებისმეტყველო საგნების ბოლოდროინდელ გამოცემათა გამო.

ამ მიმართებით ერთ წელიწადში მართლაც ბევრი გაკეთებულა. სპორტსმენის კვალობაზე ზედმეტ წონას წარბის შეუხრელად ელევა ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა.

ერთობ ერუდირებული და ენერგიული მინისტრისაგან რატომღაც მაინც მეტს მოველი. დარწმუნებული ვარ ხვალ-ზეგ უკიდურესობამდე დაიცხრილება ჯოგივით მოშენებული უნივერსიტეტების გროშივით გახუნებული პრაქტიკა და რაც მთავარია, რეალური ცხოვრებისათვის ზედმიწევნით გამონთავისუფლდება ჩვენი სული, გული, გონება თუ სხეული!

ზემოთ ნახსენები სატელევიზიო გადაცემის შემდეგ ერთიორად გამიცხოველდება სურვილი თავად ვეახლო ბატონ ალექსანდრეს 15 თვის წინანდელი „ცისკრის“ ნომრით.

„ფაუსტი“ ორიგინალში წაგვიკითხავს თურმე ორივეს; ზედა ტუჩის ბიბინითაც რამდენადმე ვემგვანებით და მეიმედება, ამიერიდან მაინც მეტის გულისყურით გადაეხედება „ქართული მასმედიის მზებუდობით“ წამოჭრილ პრობლემებს— მთლად საყველპურო კამათისათვის არ გამწირავენ ჩვენი მაგალითისამებრ.

საყმაწვილო ლექსების მბეჭველი დიაცების ვექილობა სათუო საქმეა, მაგრამ „ძია გ. ოტობაიასთან“ შეპაექრებულს, თუკი „მონსტრობისა“ და საღვთო ენასთან ცოდვილი ხელით შეხების ბრალდება დიდსულოვნად მოგეტევება, ღვთაებრივი ქართულის დამახინჯება — არაფრისდიდებით:

I სვეტი: **„საქმე იმაშია“**, ვკითხულობთ წერილში. სინამდვილეში უნდა იყოს: „საქმე ის არის“. დღემდე ჩემთვის უჩინმაჩინის მანდილით მოარული კოლეგას მეტყველება რუსიციზმია, □„დელო ვტომ ჩტო“);

II სვეტი: **„კიბის ინდიელი“**-ო, მიმახინჯდება ფრაზა, როცა დედანშია: „კიზის ინდიელი“, დაახლოებით იგივე, რაც „ჯოისის ირლანდიელი“, მაგრამ თუკი „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ მზერიდან გამოგსხლტომია, ბუნებრივია, გაგიძნელდება კევინ კიზის ინდიელის „კიბის ინდიელისგან“ გარჩევა;

III სვეტი: **„წმინდა ლიტერატურული ღირებულებისაა“**, ამნაირი ქართულით მუნათდება „ძია გ. ოტობაიას“ მონსტრი სტრიქონი. ჯობდა თქმულიყო: „წმინდა ლიტერატურული ფასეულობისაა“, ვინაიდან მისმიერი რუსიციზმია, □„ცენნოსტ“);

IV სვეტი: **„არავითარი კავშირი არა აქვსო“**, ორმაგი უარყოფაა. „არ“ ზედმეტია. „ავტორი თვლისო“, კვლავ რუსიციზმია, □„სჩიტალ“). ასე შემდეგ და ასე შემდეგ;

ყველგან „კრიტიკოსად“ მოიხსენიება „ცოდვილი“ „ძია გ. ოტობაია“, ასე რომ, გაპილპილების არანაკლები საფუძველი გაგვაჩნდა, რამდენიმე პროზაული თუ პოეტური კრებულის ავტორს, მაგრამ საქართველოში ხომ უნდა დათმოს ვიღაცამ ჭეშმარიტი კრიტიკის სახელით?!

V სვეტი: „მამალს“ ნოველად ნათლავსო, თეორეტიკოსობენ. ბატონ რეზო ჭეიშვილის ამ ჩინებულ ნოველასაც წაჰკრავენ კლანჭს. იგი ჟურნალ „დილის“ სულ ორ გვერდზეა მოთავსებული ზორბა ილუსტრაციების თანხლებით. თანაც შრიფტი, ვგონებ, კომპიუტერის 14 პუნქტია. კორპუსით, კეგელი 10-ით აწყობილი წიგნის ორ გვერდზეც თვინიერად ჩაეტევა. ორგვერდიანი თხზულება ნოველა თუ არ არის, მაშინ რაღა ეშველებათ ამ საქმის დიდოსტატებს — ჩეხოვებს, ო, ხენრებს, ნიკო ლორთქიფანიძეს, რევაზ მიშველაძეს, რომელთა ნოველები ზოგჯერ 8-10 გვერდამდეც აღწევს?!

ნოველა მოცულობით კი არ განისაზღვრება „ცოდვილი ძმის“ ღვთისმოსავო დაო, არამედ შინაგანი ბუნებით: „ნოველა □იტალ. Novella) — პატარა მოთხრობა“, განგვიმარტავს ბატონი მიხეილ ჭაბაშვილი, ხოლო დღევანდელი მსოფლიო წარმოდგენით ნოველა უკვე არათუ პატარა მოთხრობის, თვით რომანის ეკვივალენტურია.

ამასაც შეიწყნარებს „ძია გ. ოტობაია“ ჭეშმარიტი კრიტიკის სახელით, მაგრამ მთლად ცილისმწამებლურ ბრალდებებს — ვეღარაფრით:

პოეტესას ვერ გაუგია ჩემი დამოკიდებულება ტარიელ ჭანტურიას ლექსებისადმი და აშკარა საპირისპირო აზრს მომაწერს: „გ. ოტობაიასგან განსხვავებით მე მას სახუმაროდ კი არა, ღრმა ადამიანური ლირიზმით აღბეჭდილ ლექსად მივიჩნევო“.

ბედი არ გინდა?! აქამდე ცოდვილს ესეც მომესართა — უგემოვნება.

ინებეთ, ბატონებო, ჩემული ფრაზა: „აზრის გამჭვირვალობისა და გაბავშვების ნიმუშად გამოდ-

გება ტარიელ ჭანტურიას „სახუმარო ლექსი“.

ეს ბოლო ორი სიტყვა წინწკლებშია, როგორც ავტორისეული, ლექსის სათაური.

ჯანდაბას კევინ კიზი! დოზანას „ძია გ. ოტობაია“! მაგრამ უფროს კოლეგას მაინც რას ვემართლებით?

მოგვიანებით მიწერია: „ტარიელ ჭანტურიას ემარჯვება იშვიათი გარდასახვა“, ცოტა ქვემორე — „მეტი ტარიელ ჭანტურია და რეზო ჭეიშვილი, მეტი წიკო-მიკო და „სამეფო პატარები“, მეტი ვახტანგ როდონაია...“, და ასე შემდეგ-მეთქი, ვიკლავ თავს მე ცოდვილი, მაგრამ ქალბატონი მზია რადგანაც ამ ჩამონათვალში ვეღარ მოხვედრილა „ლოცვით“, „ბატიბუტით“ თუ „ძილისპირულით“, მოგვსდგომია ხორაციუსის „ფკთ ზწუეშსფ“-ს პერსონაჟის აურწყავი პირწავარდნილობით.

ხოდა, რადგანაც თავს ზევით ძალა აღარ არის, ამჯერად არა მაღლარი სტილით, რომლის სურნელი ერთი ლექსის კონკურსის ლაურეატს არ ნაფარება, არამედ სრულიად ჩვეულებრივით, დაბლარით, საამწუთისოფლო-საორღობეთი ვილაფფეთანით.

ალბათ, დაგაინტერესებთ, მართლაც რისთვის მოვიხიბლე მარი წიკ- ლაურის „წიკომიკოთი“ და არა თუნდაც მარი ინაშვილის „პატარა ქირურგით“: უწინარესად იმიტომ, არანაკლებ დამამშვრალო, მკითხველო, რომ წიკო-მაკო ბავშვურ ენაზე ჟღურტულებს, ანცობს, ცუგრუმელაობს, უფროსთა გაონავრებას მოითხოვს; ხოდა, ამისთანა შემთხვევაში სულ ერთია მისთვის ბრძნული თუ სულელური სიტყვების რახარუხი. მთავარი თანამზრახველის პოვნაა, თანატოლის აღმოჩენა. ამის ოსტატი მარი წიკლაურია ტარიელ ჭანტურიასავით და არა — საყმაწვილო ლექსების მბეჭველი დიაცების წყება!

აბა, შევხედოთ რას სთავაზობს წიკო-მიკო მოწყენილ ავადმყოფებს:

„... თუ მოიწყინეთ აიღეთ გოგრა,
არ დაგავიწყდეთ ნაღების მოხდა,
მოხდილი გოგრა გაჭერით ორად,
ნახევრად მრუდედ, ნახევრად სწორად,
გარშემო ფრთხილად წაუსვით წებო,
ცოტა წიწაკა და ბლომად ერბო.
დაიდეთ თავზე, გაუძლებთ რამდენს,
ხალისს შეგმატებთ, უხდება გლანდებს;

ან კიდევ:

„გთხოვთ სახაზავით იზომოთ სიცხე,
და თერმომეტრის არ ენდოთ რიცხვებს,
ის ორმოცს ზევით აღარ აჩვენებს,
ბოშჩში კი ორმოცს ზევით აწვენენ“.

ზემორე საუბარია ბორშჩით ავსებულ აბაზანაზე.

კიდევ კარგი, წერილის „ცისკრისეულ“ განაკვეთში, მსგავს მაგალითებს არ მომიშველებ თორემ იხილავდით ჩემს საცოდაობას: ეგრევე ყვითელ სახლში განმაწესებდნენ ზოლებიანი ხალათის ფრიალით! გადავრჩები იმ უბრალო შემთხვევის წყალობით, რომ მეგონა „მზებუდობით“ პროფესიონალ მკითხველს ვესაუბრებოდი, მომზადებულ აუდიტორიას, როგორც სამეცნიერო ხარისხის მოპოვებისას წვეულს და აქედან გამომდინარე, ჩემდა სასიკეთოდ, მსგავს ფრაგმენტებს არ გამოვდევნებივარ.

ტარიელ ჭანტარიას პოეტური ქმნილება სათაურით: „სახუმრო ლექსი“, რომელიც ოპონენტმა რატომღაც შეფასებად მომაწერა, ჩინებულად ამტკიცებს საკუთარი შემოქმედებისადმი მათ ნარცისულ დამოკიდებულებას. ეს ბედნიერები საკუთარს იქით რას გაიხედავენ, გნებავთ თაფლის მდინარე მოედინებოდეს! ხოდა, ჩვენც, ბაკნიანი არსების მიბაძვით, ვყურყუმელაობთ წყალში ხოლმე, როცა საყმაწვილო პოეზიის ნიმუში წიკო-მიკოსეული მოულოდნელობებით ვერ გაჯერებულა და ყოველდღიურ დოგმებს, დიქტატებს, პლაკატებს და ლოზუნგებს, დოქტრინებს და შინაგანაწესებს გვირაკუნებს თავში!

ამიტომაც ვეღარაფრით გავიზიარებთ მერი ინაშვილის პატარა ქირურგის მონოლოგს, რომელსაც თეთრი ხალათიც აცვია, ნარკოზითაც აძინებს დედოფალას და მაინც უკვირს გული ერთი რატომ აქვთ პატარებს და კბილი ოცდათორმეტი!

ვაკონკრეტებ: როცა ლექსის გმირი, თოჯინათი, მისი მაჯისცემით, მისი აღნაგობით, მისი ოკიჭო-

ბით, ოცდათორმეტკბილობით თუ სულაც ბაგემოკუმულობით უნდა ტიტინებდეს, ავტორი რიტორიკულ სენტენციებს ეძლევა.

ამას ვეძახი მე პრიმიტივს, ნაჯახით გამოჩორკნილს, სტერეოტიპულს, ოპონენტისათვის საყვარელ სიტყვას „ცოდვილს", გნებავთ ფრიად ამაღლებული იდეით — თუნდაც პატრიოტიზმით იყოს გამოსუქებული გვარიანად.

ხოლო თუკი პატარებს რითმათა მბეჭველი ჩვენი სადიაცო ამთავითვე მიაჩვევს გამომგონებლურ რეალობებს, ოცის მაგივრად ოცდათორმეტი კბილით არ აღჭურვავს მათ ანგელოზურ ფიზიონომიას, აღარც „დედაენათა" სადღეისო ტანწყალობით დააოსებს მათ უცოდველ ბუნებას, ერთობ მადლიერნი დარჩებიან ისინი და ამავდროულად სათანადოდ შემზადებულნიც ცხოვრების მომდევნო ეტაპისათვის — სიყმაწვილის ასაკისათვის, საიდანაც სერიოზული ტრამპლინი იწყება უმკაცრესი და ულამაზესი წუთისოფლის შესამეცნებლად.

წერილის IV სვეტში ვკითხულობთ: „არა და სპ. მალიგანის გარეშეც „ბაასებით" □ალბათ, უნდა იყოს „ვბაასობთ", გ.ო.), ასე ყველანი, ბავშვობაში, ეს ხომ თამაშია, თუმცა თამაშ-თამაშობით ხშირად სერიოზული საქმეებითაც დააინტერესებენ პატარებს, მაგრამ მთავარი მაინც საქმეა და არა — თამაში! □ვისთვის, დეიდა მზია, დიდებისთვის თუ ბავშვებისათვის?! გ.ო.) საინტერესოა, დათუნიას რომ დაჭრილი ხის კვნესა არ აძინებს, ეს უფრო მნიშვნელოვანი სათქმელია ბავშვებისათვის, თუ „აჩიპაჩი-პუჩი"? მითუმეტეს — დღეს, უმოწყალოდ რომ იჩეხება ტყეები და ვეებერთელა მანქანებით სადღაც სარფს მიღმა, მიედინება!"-ო.

ასეთი სულისკვეთებით უმჯობესია, დაო, კეთილო, პარლამენტს მივაკითხოთ, მათ მიერ შექმნილ მონსტრ კანონებს, დღემდე ვეღარაფრით რომ შეგვიჩერებია და არა — მალხაზების უცოდველ სუფევას!

მგონია, ჩვენ ძალდაუტანებლად მივადექით ერთი ლექსის კონკურსის ლაურეატის გულისტკივილის უმთავრეს ძარღვს:

ხედავთ, „ძია გ.ოტობაია" ნემსის ყუნწში ძვრება თავისი განსწავლულობის წარმოსაჩენად," ასტრონომიით, გრაფია-თერაპიით, სოფია-ნომიკით, თუ ნომია-მცოდნეობით" ტვინს გვიჭყლეტს, წიკო-მიკოს ქება-დიდებაში უღამდება და ჩემი ლექსის პერსონაჟი თათუჩელას საწუხარს აინუნშიაც არ აგდებსო.

გავეცანით ჩვენ თავის დროზე ქალბატონ მზია ჩხეტიანის „ლოცვას" და „ბატიბუტის", სადაც ყბადაღებული პატრიოტულ - სოციალურ მოტივებს იქით ვეღარაფერს აღმოაჩენთ; გნებავთ, დიოგენის ლამპარიც წარიმძღვარიოთ ბრდღვიალა დღისით, არათუ მოზარდის ფსიქიკაში წვდომას, პოეზიის ნატუსალარსაც ვერ იპოვით:

დაუბრუნე აფხაზეთს ეს ტანჯული ხალხიო, ქადაგებს ერთგან პოეტესა, ეს ტკბილქართული ნუგეში არ მოაკლო ცხინვალსო, გვენუკვის, გვეაჯება. სხვაგან მარიკუნა და მაკო პაპას გაბუტვიან, რომელსაც ათი ლარი პურისთვის ძლივს ხყოფნის: ქესეტა ბაბუა ვერ დააკმაყოფილებს ცუგრუმელათა საწადელს და „ბატიბუტის" ძახილიც ქუჩის თავს უწევს.

თითქოს ყველაფერი თავის ადგილასაა, გამოთვლილია ჯოხის ჩხირებით მარცვლები, რითმებიც ხრჭიალ-ხრჭიალით ეხრახნება ერთმანეთს, მაგრამ სად არის პოეზია?! სად არის ბავშვებისათვის სადაგი ენით აჟღერება, თუ გარითმული თემები და ამბები ლექსად მიგვიჩნევია?!

ასპარეზს საამისოდ ვინ გამოულევს ადამიანს: ყვითელი პრესა, პარლამენტი, სამეცნიერო კათედრები, მაგრამ არა — ქუჩაში, მტვერში, მიმოზის თმებით წაქცეული ბავშვების ისედაც გაძირმწარებული ყოფიარება და თანაც — ლექსით!

სულ სხვა სურათი იხატება მოხმობილი ორი ლექსის სუსხითა და ჟურნალის გრაფიკულ-პოლიგრაფიული, თავის დროზე ნაკლებადგამართლებულად მინიშნებული ხერხებით ჩემი თვალსაწიერიდან ამოვარდნილი „ძილისპირულით":

გარეთ ვიღაც ფაჩუნებდა!
ჩქამი იყო ფაჩუჩების...
წაიხურეს დათუჩებმა
თბილზე თბილი ტყაპუჭები.

აწრიალდა ნაქურჩელა —
დედა თათუს ნაქუჩები,
ბუბა, ბუბა, ქაქუჩელა,

ჩავთბებით და გავყუჩდებით.

ძილი უკვე შიგნით დადის
ფაჩი-ფუჩა ფაჩუჩებით.
ნანას ეტყვის თათუ ბელებს, —
ნანა, ჩემს ტკბილ დათუჩელებს.

ბაჯი-ბუჯი ხვრინავს ბნელში,
ვერ ისვენებს თათუჩელა,
— თელა ქარში რატომ კვნესის,
დე, ჭრილობა არ ურჩება?

— ვინ გითხრა რომ არ ურჩება!
დაიძინე, თათუჩელა!
გაირბინეს კიდევ ერთხელ
ქოხში ძილის ფაჩუჩებმა...

ნანა, ჩემო ბაჯი-ბუჯი,
ნანა, ჩემო თათუჩელა...
ბუბა, ბუბა, ქაქუჩელა,
შარიშურობს ნაქურჩელა.

მართლაც იდილიური სურათია:

ზამთარი.

დედა თათუ იავნანას უმღერის თავის ბელებს.

განსხვავებული ხასიათის ბაჯი-ბუჯიმ სწრაფად მითვლიმა, მაგრამ თათუჩელა მოუსვენრობს ლოგინში. თელა ქარში რატომ კვნესის, დედიო, ჭრილობა რომ არ ურჩება იმიტომო, კითხულობს და თათუც იმედიანად პასუხობს, როგორც მშობლებს სჩვევიათ ხოლმე ასეთ დროს:

— ვინ გითხრა რომ არ ურჩებაო.

ამისი თქმა და თათუჩელაც დაქანცული ძმის მსგავსად მყისვე მიიძინებს. აქ ექსპრესიის გასაძლიერებლად აჯობებდა თათუჩელას ხელად არ მორეოდა რული, კიდევ რამდენიმე სტრიქონით გაძლიერებულიყო მისი მოუსვენრობა, ცნობისმოყვარე ბუნების გამოსავლენად, მაგრამ ეს უკვე ავტორის ნებაა. ნამდვილად წარუშლელი ხატია:

ბუბა, ბუბა, ქაქუჩელა! ახლაც ჩამესმის ყურში დიდედა მარის სევდაგარეული ხანგი. ,,ბუბა'' ძიაა სვანურში. ხალხური პოეზიის ეს შედევრი მართლაც ჩინებულად მორგებია მარადცოცხალ დედაშვილურ თემას, ერთი შეხედვით, რითმის თვალსაზრისით, მაგრამ: ,,ბუბას ხარყულ ხაკუჩელა, ეჯი გუჟი ხოჩა ხერა'' — ბუბას არაყი ეკუთვნოდა, ის გულზე კარგად მოუხდებოდაო, გამცნობს დედნის ბწკარედული თარგმანი. რამდენად ორგანულია ძილისპირულისათვის ,,ქაქუჩელას'' თემატიკა, პროფესიონალთათვის მიგვინდვია საანალიზოდ, მაგრამ ალიტერაციის თვალთახედვით მოშველიებული რეფრენი შთამბეჭდავ აკუსტიკას ქმნის: ,,ბუბა, ბუბა, ქუქაჩელა'' წარმართავია პოეტური ქმნილებისა და რადგანაც ხალხურ უკვდავ სულიერებას ზიარებულა, შედეგიც არ დააყოვნებს —,,ძილისპირული'' ერთი ლექსის კონკურსის გმირად იქცევა!

დაწყნარდება თათუჩელას გულის კანკალი, გაგრის სტადიონის სასაკლაოდან გამოსულ საქართველოს — ქარში მკვნესარ თელას, მალე მოურჩება ჭრილობა. მაგრამ ჯერ ჯიუტად შარიშურობენ მშობელი თათუს ნაქუჩი ნაქურჩალები. ძილიც ფაჩუჩებით დადის ქოხში. დედა თათუს სიმინდის ტაროები გაურჩევია და ეს ფუჩეჩებია თურმე ასე მოუსვენრად რომ შარიშურობენ.

ლექსად განცდილი გარემო ახლო კავშირშია გარდასულ თუ ყოველდღიურ სინამდვილესთან, სამშობლოს ნაიარევ სხეულთან, იგივე თელასთან, იმედთან — რომ ყველაფერი განქარდება, ყოველივე დავიწყებას მიეცემა, ბორგნეულ სიზმარს, ბაჯი-ბუჯისა და თათუჩელას თავს გადახდომილებს ერთერთი ყიამეთი ზამთრის ღამეს.

მართლაც, რა ჯობია იარამოშუშებული სამშობლოს რწმენით დაძინებას და დილასისხამზე წყლულგამრთელებული მამულის ხილვის უტყუარ მოლოდინს, თანაც რითმათა მბეჭველი დიაცებისაგან განსხვავებით, პოეტური მადლით ცხებულს?!

განა ასეთი ძილ-ღვიძილისათვის არ იბრძვის ბუბა გ. ოტობაია ერგასი წელი?!

განა პორნოგრაფიითა და ავსიტყვაობით, ქაოსითა და განუკითხაობით, უვიცობითა და უსამართლობით დაქცეული ქვეყნის გონებასმიმკვირცხლისათვის არ მუშაკობს დღენიადაგ და სად რჩება ადგილი საღვთო ენასთან ცოდვილი ხელით შეხებისათვის?!

მაინც მადლობის მეტი არაფერი მეთქმის ქ-ნ მზია ჩხეტიანისადმი. მართალია, საკუთარმა პრობლემამ — ,,ძილისპირულის'' დაუნახაობამ მოიყვანა იგი ,,ძია გ. ოტობაიასთან'', რომლის ფრაზის დაწნეხილობის მიღმა, იქნებ ორიოდე წანაკითხი ფასეული წიგნი მაინც შარიშურობდეს! და მაინც წრფელი სიხარულის განცდის გარდა ყოველგვარი უმართებულო ქარაგმა წარხოცილა ჩემი არსებიდან: ეს მათ იკითხონ, ,,დედაენათა'' მჩხიბავებმა, სულ მალე ,,ქართული მასმედიის მზებუდობის'' წერილების ქარავნით რომ მივადგები კარზე, ოღონდ არა მაღალი სტილით, ოღონდ არა მათეს საკრალური შეგონების გაზიარებით, □**7.6**.), არამედ ისეთივე ორღობეს ენით, რნაირიც ჩვენი ოპონენტისა არ იყოს, ათასეული მეიავნანეს ყურთასმენას ელამუნება; როგორსაც სისხლხორცეულად იმსახურებს ჩვენი შემდგომი ასახვის ობიექტი — მედედაენეთა საამქრო და რომლის განწმენდა სხვა სახსარ-საშუალებით თურმე სავალალოდ აუხდენელი ოცნებაა.

23.11.2000წ.

დიდი საქართველო
,,პატარა ქართველებით'' შენდება

ანუ სულ აქაურთა ჯვაროსნული
ლაშქრობა ეროვნული სულისკვეთების
„საყმაწვილო ენციკლოპედიის“ წინააღმდეგ

სათაურის პირველმა ნაწილმა ,,ანუმდე'' მკითხველში გაუგებრობა რომ არ გამოიწვიოს, დუტუ მეგრელის ლექსს შევახსენებ:

„მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას,
მირჩევნია აქ სიკვდილი.
ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი საშობლოა
საყვარელი საქართველო“.

აშენდება მამულის უძლეველი კედლები ამაზე სრულყოფილად?

არაფრით, მეგობრებო!

არანაირად, ძმებო!

სრულიად საქართველოს საბავშვეთის ნანდაური დოდო წივწივაძე და მისი მარადფხიზელი გუშაგივით უძილაური ,,დილის'' რედაქცია ,,საყმაწვილო ენციკლოპედიის'' გამოცემით არა მარტო ბაკურ სულაკაურის ოკეანისგაღმიდან ხელდასხმულ გეგმებს ჩაფუშავენ ქართველი მოზარდის უეროვნო თინეიჯერად ზომბირების გზაზე, არამედ თვით ამ კამპანიის დამქოქავი მასონური ლოჟების ზრახვებსაც გლობალიზაციის ანტიადამიანური პროგრამებით.

გლობალიზაციის სინდრომით დაავადებული ზესახელმწიფოები ყოველნაირად ცდილობენ პატარა ერების, მცირე ეთნოგენეზების მოსპობასა და დისიმილაციას. ტექნიკური რევოლუციის ეპოქის ვანდალებს, ამ საქმისათვის ბირთვულ იარაღზე უმძლავრესი საშუალება გააჩნიათ: ინფორმაციული ზომბირების დიდი უნარი და საშუალება.

მათი პროგრამის დედაარსი მარტივია: გაუხრწენი ახალგაზრდობა, წაუბილწე ყოველგვარი ეროვნული ფასეულობა, ლაფში ამოუსვარე გმირები, კონსერვატიზმად და პროვინციულ ფაშიზმად მოუნათლე ყოველი ეროვნული საქმე, დაუნგრიე ეთნოფსიქიკა, ამოუშანთე საკუთარი მენტალობა და

ისტორიული მეხსიერება.

ამ ბედშია დღეს პლანეტის მრავალი მცირერიცხოვანი ერი და მათ შორის — საქართველოც.

ყველაზე სავალალო ის არის, რომ ,,უხილავი'' იარაღით მოქმედ მტრებს ხილული და ხორცშესხმული თანამემამულენიც ახყოლიან და გარეულთაგან გამძლავრებულნი, ფინანსურად თუ მორალურად, უფრო მეტი ნდომით ცდილობენ დაანგრიონ ის ტაძარი, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე აღაშენებს ქართული სული, ქართული გონი, ქართული აზრი, ქართული სიტყვა თავისი მწერლობით, ეკლესიით, უმაღლესი სასწავლებლებით.

წაართვა და დაუსახიჩრო მომავალი ერს! — ესაა ყველაზე საიმედო, ეფექტური საშუალება ეთნოგენეზის გაჭრობისა. ამიტომაც ყველაზე დიდი დარტყმა და ზემოქმედება ახალგაზრდობაზე მოდის. დღეს, სწორედ ამის გამო ინგრევა განათლების სისტემა, საყმაწვილო გამომცემლობა ,,ნაკადული'', საბავშვო ჟურნალი ,,დილა''.

გამომცემლობა ,,ნაკადულს'' უმოკლეს დროში, ნანგრევებად აქცევს სრულიად ,,შემთხვევით'' შემოგდებული კაცმა, ბატონი სულაკაური. ეს ის პიროვნებაა, რომელიც ,,შვლის ნუკრის ნაამბობს'', ,,ხმელი წიფელს'', გოგებაშვილის ,,საგანძურს'', ,,დედაენას'', თვით ,,ვეფხისტყაოსანსაც'' კი დევალვირებულ ფასეულობად გამოაცხადებს, და რაოდენ საგანგაშოა, როცა ასეთი გრინგო, იანკი თუ კრეოლი მთელი საბავშვო ლიტერატურის საგამომცემლო საქმის ხელში ჩაგდებას წადინობს!

ამჟამად ,,დიდი გამომცემელი'' უკანასკნელ ქართულ ბასტიონს, ასწლოვან საბავშვო ჟურნალ ,,დილას'' და მისი ეგიდით გამოსულ უაღრესად ეროვნულ საყმაწვილო ენციკლოპედიას უტევს.

ბატონ სულაკაურს ამ ენციკლოპედიის გამოცემით, თავისი ჭკუით, საშიში ფინანსური და კომერციული მეტოქე გამოსჩენია. ამის გამო ,,დილას'' იგი თბილისის საოლქო სასამართლოში უჩივლებს. 5 თებერვალს შეტანილი მისი განაცხადის საფუძველზე სასამართლო 4 თებერვალს ენციკლოპედიის დაყადაღებისა და შესაძლო განადგურების განჩინებას გამოიტანს. ასე იქცეოდა მე-13 — მე-19 საუკუნეების საეკლესიო სასამართლო პოლიცია, ანუ ინკვიზიცია! ბაკურ სულაკაური კი თავისი რაზმით განჩინების მეორე დღესვე დაარბევს ჟურნალ ,,დილის'' რედაქციას და მოივლის ყველა ის მაღაზიას, სადაც წიგნი იყიდება. მეორედ, თვით ჟურნალის შეფუთული ნომრებს დახსნის და მიმოფანტავს, რადგან ჟურნალის ნომრები ენციკლოპედიის ტომებად მოეჩვენება.

რატომ ებრძვის ბაკურ სულაკაური ,,დილის'' ენციკლოპედიას? არა, აქ მხოლოდ კომერცია როდია!

,,დილის'' ენციკლოპედია, სადაც შესულია ათასწელთა მანძილზე კაცობრიობის მიერ ჩამოყალიბებული, საგანძურად თავმოყრილი ნაფიქრ-ნააზრევი, მათ შორის ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა მიღწევებიც, რა თქმა უნდა ხელს არ აძლევთ, არც თავად სულაკაურს, და მით უფრო, მის უკან მდგარ ანტიქართულ ძალებს. ხელს არ აძლევთ იმიტომ, რომ საყმაწვილო ენციკლოპედია დიდი გურამიშვილის სიტყვებით იწყება, რომელიც ყველა დროის ქართველი ყმაწვილის ცნობიერებაში ეროვნულ ბაზისად უნდა იდოს:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდან მოსულა,
სად არის, წავა სადაო“?

ასეთი და ამგვარია ჟურნალ ,,დილის'' მიმართვა დიდი საქართველოს აღმაშენებელი ,,პატარა ქართველის'' მშობლებისადმი, მაგრამ ახლა რამდენადმე გამოცემაზე შეპირებულ ანალიზსაც მივხედოთ:

წიგნი ბულგარეთში დაბეჭდილა, სოფიაში, ,,ობრაზოვანიე ი ნაუკაში''.

მოცულობით არც ისე დიდია, 15 თაბახი, 128 გვერდი ა-4 ფორმატისა, მაგრამ მთავარი მუხტია და არა — მასა.

გამოცემის მთელი ფილოსოფია ასტრონომიულ კანონზომიერებაზეა აშენებული, რომელიც შეზრდილია ეროვნულ ინდივიდუალიზმს და სრულყოფილად გადმოგვცემს სამყაროს ჭეშმარიტ სურათს:

„ზეზე დედაა ჩემი,
მთვარე — მამაა ჩემი,
გაბადრული ვარსკვლავები —
და და ძმაა ჩემი“.

აი, ეს წარმართული პეიზაჟი აპოხიერებს ,,საყმაწვილო ენციკლოპედიის'' გარეკანის პროფილს ხელში აღებისთანავე.

ვარსკვლავიანი ციდან გვიახლოვდება მზე, შემდგომ მთვარეა და ბოლოს — ჩვენი ბორგნეული მაჯისცემის ერთადერთი ნავსაყუდელი დედამიწა.

გარეკანის ერთი მხარე სარეკლამო-ინფორ- მაციული შინაარსისაა, რომლის მიხედვით ადვილია წინდებული გამოცემის დიაპაზონის გააზრება:

— წიგნი მეორე — ცივილიზაცია □ქრისტეს დაბადებამდე) ზევსის ქანდაკებით;

— წიგნი მესამე — ცივილიზაცია — □ქრისტეს დაბადებიდან) რენესანსის ფერწერული ტილოთი;

წიგნი მეოთხე — საქართველო — სვეტიცხოვლისა და ჯვრის მონასტრის იერარქიული წარმოჩინებით;

წიგნი მეხუთე — საბავშვო მწერლობა — იაკობ გოგებაშვილის ,,საგანძურით'', რაფიელ ერისთავის ,,მიპატიჟება სასწავლებელში'', შიო მღვიმელითა და ამ სულისკვეთებით დატუმბული ათასი ჩირაღდან-მაშხალით ყმაწვილური გონების შეუფერხებლად გაღწევაში ჭეშმარიტი ფასეულობებისკენ.

წიგნი მეექვსე — ცოცხალი სამყარო — მორკინალი ჯიქების წყვილითურთ;

დაბოლოს, წიგნი მეშვიდე — მეცნიერება და ტექნიკა — ღრუბლებზე ატივტივებულ კომპიუტერის დისპლეის მიჩოჩებული ჩვილითურთ.

ბუნებრივია, ამგვარი მიზანდასახულობის გამოცემა რომელ მასონურ ლოჟას არ შეურყევს კოსმოპოლიტურ საბრძანისს, მისთვის მომაკვდინებელი ზეეროვნულობის გამო, მაგრამ ბარემ ვთქვათ თანადროულად, რა ძირითადი წინააღმდეგობა იწვევს ამ ორ ძალას შორის დაპირისპირებას.

თავის დროზე ვაჟა-ფშაველა ჩინებულად გასცემს პასუხს კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთდამოკიდებულებას, მაგრამ სადღეისო ვითარება მეტ სიცხადეს მოითხოვს საანალიზო მასალის დისიმულაციის □ავადმყოფის მიერ დაავადების, ან მისი ნიშნების დაფარვა), წყალობით.

დავიწყოთ უმარტივესიდან: ქურდს სამშობლო არ გააჩნია, რამკიანია იგი თუ სულაც — წარმატებული ბიზნესმენი.

ქურდი, წვრილია იგი თუ მსხვილი, არ ცნობს მამულის ცნება. მისთვის მემლექეთის, დობადონას, შურობუმუს ინტერესები ყოველთვის მეორეხარისხოვანია პირადულთან შედარებით.

ამიტომაც პოულობენ საერთო ენას შინაური თუ გარეშე ხელმრუდენი პატროფილური გრძნობის ატროფიის ფასად.

ქურდს სამშობლო არ გააჩნია. მაშ, სხვა რა ფასეულობა მოეპოვება მის უდიდებულესობას?

— პრივილეგირებული მდგომარეობა, აურწყავი კაპიტალი დროსა და სივრცეში უპრობლემო სუფევის ეგოისტური ილუზიით.

გამონაკლისებიც მოიძიება შორეულ თუ ახლო სინამდვილეში, როცა კანონიერი ქურდების რაზმეული რიგრიგობით დაიწყებს იჩქერიაში დანაღმული ველის გაწმენდას საკუთარი სიცოცხლით ჯიშ-ჯილაგის გადასარჩენად, მაგრამ აქ უკვე ქურდული ფილოსოფია დაძლეულია პატრიოტული სულისკვეთებით და მატერიალური უზრუნველყოფის მაცდურ პერსპექტივებს ხალხის, საზოგადოების საყოველთაო ინტერესები ჩანაცვლებია სამარადისო ჯილდოდ.

დიახ, ქურდს სამშობლო არ გააჩნია, ანუ არ მოეძევება მოვალეობის მძაფრი გრძნობა წინაპრების საფლავებისადმი, მისი მატერიალური თუ სულიერი ფასეულობებისადმი, მისი მომავლისადმი თუნდაც. ვახტანგ ღლონტისა არ იყოს, ,,სამშობლო მიწის ნაჭერია'' ქურდისათვის, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება საშობაო ტორტს თუ ფენოვან ხაჭაპურს.

მათი მთავარი კონცეფცია მომწყდეულია ფრაზაში: პოლიტიკის გაგრძელება ძალადობის ფორმით, ანუ აგებულია ძალმომრეობის ნაირსახოვან სპექტრზე, სადაც სუსტი ეგზოტიკური საკმაზია ძლიერის შეჭამადისათვის.

ჯიბეში მძრომელი განაბი, მოთხოვნილებათა გაზრდის შესაბამისად თანდათან იფართოებს ასპარეზს და მოქმედების მეთოდებს. იგი დროთა ვითარებაში ხდება: გამომძალველი, ყაჩაღი, მაფია და კოზანოსტრა, ნარკობიზნესის ბარონი, და ამას ყველაფერს მიზანმიმართულად მანიპულირებს მსოფლიო კაპიტალის მფლობელი ექვსასეულის კასტა.

,,2001 წლის მონაცემებით, — ვკითხულობთ გაზეთ ,,ახლებში'' □№4), — მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ადამიანად რჩება უილიამ გეიტსი. მისი ქონება 59 მილიარდ დოლარს აღწევს. შედარებისათვის, ეს არის საქართველოს წლიური ბიუჯეტზე 118-ჯერ მეტი

თანხა.

სულ ამერიკის შეერთებულ შტატებში 269 მილიარდერია და მათი საერთო ქონება 908 მილიარდი დოლარია.

ყველაზე მდიდარი ადამიანები გერმანიაში არიან თეო და კარლ ალბრეხტები, რომელთა ქონება 25 მილიარდი დოლარია. ისინი მსოფლიო რეიტინგში მე-5 ადგილზე არიან. სულ გერმანიაში 28 მილიარდერია, რომელთა საერთო ქონება 140 მილიარდს აღწევს.

საფრანგეთში ყველაზე მდიდარი ადამიანია ლილიან ბეტენკორტი 16 მილიარდი დოლარით. საფრანგთში 15 მილიარდერია, რომელთა საერთო სიმდიდრე 66 მილიარდს აჭარბებს.

ინგლისში 12 მილიარდერია და მათი ჯამური სიმდიდრე 25 მილიარდზე მეტია. ინგლისელთა შორის ყველაზე მდიდარი პერსონა არის გერალდ ქავენდიჩ გროსვენორი 6,5 მილიარდი დოლარით. ამ სიაში ინგლისის სამეფო ოჯახი არ განიხილება.

იაპონიაში 29 მილიარდერია. მათი საერთო სიმდიდრე 89 მილიარდ დოლარს აღემატება. ყველაზე მდიდარი იაპონელია ტაკეი □იასუო და ოჯახი), რომლის სიმდიდრე 8 მილიარდსაა გადაცილებული და მსოფლიო ოლიგარქებს შორის 37-ე ადგილზე იმყოფება.

თურქეთს სულ 5 მილიარდერი ყყავს, რომელთა შორის ლიდერობს მეხმეტების ოჯახი, კარა მეხმეტის თავკაცობით, რომლის კაპიტალი 3,7 მილიარდი დოლარია. მას ცოტათი ჩამორჩება საქიფის საგვარეულო.

რუსეთს ოფიციალურად 8 მილიარდერი ყყავს □არაოფიციალურად ეს რიცხვი გაცილებით მეტია, მაგრამ ფორბსი არ აღიარებს მაგალითად, ბერეზოვსკის). ყველაზე მდიდარი რუსია მიხაილ ხოდორკოვსკი, რომელიც 24 მილიარდ დოლარს ფლობს. იგი მსოფლიო ოლიგარქთა სიაში 194-ე ადგილზეა.

მილიარდის ზღვარს მეტნაკლებად უახლოვდებიან ვლადიმირ პოტანინი □1.8), ვლადიმირ ბოგდანოვი □1.6), რემ ვიახროვი □1.5), რომან არბამოვიჩი □1.4), ვაგიტ ალეკპეროვი □1.3), მიხაილ ფრიდმანი □1.3), ვიქტორ ჩერნომირდინი □1.1).

აღსანიშნავია, რომ ქართველები მილიარდერთა მსოფლიო სიაში არ არიან. რაც შეეხება სომხეთს, ისინი წარმოდგენილი არიან ამერიკელი მილიარდერით კირკ კერკორიანით, რომლის ქონება 6.4 მილიარდია და მსოფლიო მაგნატებს შორის 46-ე ადგილზე იმყოფება.

მილიარდერი არა ყყავთ აგრეთვე მოძმე აზერბაიჯანელებსაც.

2001 წლის შედეგებით მსოფლიოში სულ 538 მილიარდერია. ეს ციფრი, ალბათ, რამდენიმე ათეულით გაიზრდება, თუ მას მივუმატებთ არალეგარულ მილიარდერებს, რომელთა ქონება ვერ მოხდა ფორბსის სიაში. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება მილიარდერთა შორის რამდენიმე ქართველიც აღმოჩნილიყო, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდით. ფაქტით კი ის არის, რომ საქართველოში ჯერჯერობით მილიონრები არიან, მაგრამ — არა მილიარდერები".

მილიარდერთა ფორბსისეული სია ჩვენთვის ერთგვარი ანალიზის წყაროა დღევანდელი მსოფლიოს რეალური სახლის დასადგენად სოციალურ ჭრილში.

აი, ფორმულა: დედამიწის ექვს მილიარდ მოსახლეობას ექვსასი მილიარდერი განაგებს.

გაჩნდება კითხვა, კი მაგრამ როგორ გროვდება მილიარდი ერთი პიროვნების ხელში, როცა კაცობრიობის 70 პროცენტი შიმშილით ღაფავს სულს?!

მთელი საიდუმლოებაც აქ არის.

ამ კოლოსალური თანხის აკუმულაციის მექანიზმი, მარქსის „კაპიტალის" მიხედვით, სწორედ რომ ამ შიმშილის ზღვარზე მიტანებულთა ცხოვრების შედეგია ზედმეტი ღირებულების თეორიის გათვალისწინებით:

ჩალის ფასად გართმევენ ეროვნულ სიმდიდრეებს, წიაღისეულს, ენერგეტიკას, ბუნებრივ რესურსებს, რომ მერმე პროდუქციის სახით მამასისხლად მოგასყიდიან შენსავ ქვეყანაში და ამავდროულად ყოველნაირად დაგაუძლურონ ეროვნული მეწარმეობის გასაჩაღებლად.

ფორბსის ჩამონათვალის ოლიგარქები ლამის ღმერთკაცებად გვევლინებიან თავიანთი განუზომელი სიმდიდრით. მათ უკვდავების გარდა ყველაფერი ხელეწიფებათ — ნებისმიერი ფასეულობის ყიდვა დედამიწის ოთხივ კუთხით. დანარჩენი მსოფლიო კი მიზერული საბიუჯეტო შენატანებით სულდგმულობს.

მაგრამ ჩნდება სხვა საშიშროებაც: როგორ შეინარჩუნოს მილიარდერმა საშვილიშვილოდ ათას-

გვარი მაქინაციით მოპოვებული მდგომარეობა?

აქ საკმარისი არ არის ქვეყნის კონსტიტუციით გამაგრებული მისი საკუთრების ხელშეუხებლობა.

საკმარისი არ არის შვეიცარის ბანკების ცეცხლგამძლე სეიფები და კომპიუტერულ ფაილებში ინფორმაციის სახით დატყვევებული ტრილიონების წყება.

საკმარისი არ არის ცათამბჯენ სასახლეებს შემოვლებული სქელი გალავნები, რკინის გისოსები თუ მსოფლიო ოლიგარქების ინტერესების დამცველი პოლიციის დასი თვით სამხედრო ძლიერების თანხლებით.

სანამ მსოფლიოში სამშობლოს მცნება ბოგინებს, სანამ დუნიაზე მამულის თაყვანისცემა ჭაჭანებს, სანამ დედამიწაზე პატროფილიის განწყობილება სულდგმულობს, მსოფლიო ოლიგარქების უშფოთველ ძილს ჭინჭრები შესევია; მათ უზრუნველ ცხოვრებას მოსვენება დაუკარგავს; მათი მორჭმული დიდება და ბრწყინვალება ყინულის დაფაზე მიწერილი აქსიომის ტოლფასია.

ამიტომაც და მხოლოდ ამისთვის იბომბება სარაევო, მუსულმანებთან შეუთავსებლობის საბაბით.

ამიტომაც და მხოლოდ ამისთვის მოისრა პატრიოტიზმის განსახიერება ჩეჩნეთი რუსეთ-ამერიკის ხელით.

ამიტომაც და მხოლოდ ამისთვის მოინათლება საქართველო ,,დინების წინააღმდეგ მოცურავედ'', რათა გაჩნდეს მისი გახლეჩვის საფუძველი; დაიფლითოს, დანაკუწდეს, დაიშალოს მარტივ ნაწილებლად, რომ მერე ვერასდროს მოახერხოს გამთლიანება, აღდგომა, რედუქცია:მართმადიდებლობა დაიმსხვრეს უნდა მაცდუნებელ სექტებად, როგორიცაა: იეხოვას მოწმეთა მასონური ხაფანგები, სხვანი და სხვანი. თავად ,,იეღოველები'' ისეთი ჯიშისანი არიან, სისხლს არაფრით გაიღებენ მოყვასისათვის; ჯარში არ იმსახურებენ ქუდზე კაცის მოხმობის დროს. პირწავარდნილი დეზერტირები არიან არმაგედონის მოლოდინში 144 ათასი ზეციური უფლის, ანუ იგივე 528 მსოფლიო ოლიგარქის და კიდევ — 143 472 მილიონერის უპრობლემო ცხოვრებისათვის ჭიაყელასავით თვალის დამთხრელი წინდაწინვე.

ამ მისიას, ამ სამუშაოს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აღასრულებენ ღია საზოგადოებანი, გიგანტი სათაო ოფისების ლიფსიტა შვილობილები თავისუფლებისა და დემოკრატიის მაღალფარდოვანი ლოზუნგებით, სულაკაურთა და მისთანების ხელით.

ამიტომაც და მხოლოდ ამისთვის ცვივა ბომბი დღესაც ავღანეთის თავზე.

საერთაშორისო ტერორი, დიახაც, მსოფლიო ოლიგარქების აღვირახსნილი ანტიკაცობრული მოღვაწეობის შედეგია, იგივე თვითგადარჩენისათვის სასოწარკვეთილი გაბრძოლება.

ამიტომაც და მხოლოდ ამისთვის გამოიჭრება ერთიანი ფული ევროპის ქვეყნებისათვის ,,ევროს'' სახელწოდებით.

ამიტომაც და მხოლოდ ამისთვის მუხრუჭდება ყველგან პრესის კანონი თავისუფალი სიტყვის ხელყოფის მოტივაციით, რათა არნახული გასაქანი მიეცეს სექსის პროპაგანდას; კოშმარებისა და მანიაკური მიდრეკილებების განუხრელ დემონსტრირებას მასმედიის ფართო საშუალებებით; თვით ალტერნატიული სექსუალური ორიენტაციის ხალხის ლეგალიზაციას, მათ სოდომურ თანამეცხედრეობას კანონის ძალით, და უფრო საშინელ პერსპექტივას — იყოლიონ შვილი; გულწყვილი მშობლების კვალობაზე აღზარდონ ძუძუთა ბავშვი, ოღონდ საკითხავია, წამოჩიტულმა პატარამ ვის მიმართოს ,,დედიკოთი'' და რომელს — ,,მამილოთი''?!

ამიტომაც და მხოლოდ ამისთვის იბრძვიან დახვეწილი ფორმებით ,,თავისუფლების ინსტიტუტები'' ვითომ ზოგადკაცობრიული, სინამდვილეში კი მსოფლიო ოლიგარქების მილიარდების გადასარჩენად ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში ,,მშობლიურ ლიტერატურას'', მშობლიური ისტორიას, ეროვნებულობის მუხტის შემცველ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს — პასპორტს, სადაც შენი არც გენეტიკური მამაა მითითებული და აღარც — ეთნიკური წარმომავლობა. განულრჩევლობის ვეება ქვაბში იხარშები, როგორც ეს კომუნიზმის მშენებელ სოციალისტებს წარმოედგინათ; სულაკაურებისა და ბერძენიშვილების ხელებით ებრძვიან ,,ქვათა ღაღადისა'' — და ,,გამზრდელის'' ავტორებს, ებრძვიან ყოველგვარ ნაციონალურ გამოვლინებას ,,საყმაწვილო ენციკლოპედიის'' მესვეურობით. თორემ რაღა ბაკურ სულაკაურის საქმეა ამ გამოცემის დატუსაღება, ქსელიდან ამოღება და მისთანანი?

რა, პოლიციელია? საგადასახადოს ინსპექტორი? საბაჟო დეპარტამენტის მოხელე? ვინ კითხავს სასამართლოს გადაწდყვეტილების აღსრულებას ბაკურ სულაკაურს და მის ადვოკატს? მაგრამ ის და მისთანები ბრმა იარაღია მსოფლიო ოლიგარქების ხელში.

ახლა ერთიც ვიკითხოთ ბარემ: მაინც რას უშავებს უკიდეგანო კაცობრიობას ციცქნა სარაევო, იჩქერია თუ საქართველო?

რანაირად შეიძლება ძალმომრეობის კოლოსალურ მანქანას საფრთხე შეუქმნან მუჭისხელა ქვეყ-

ნებმა?

მთელი საიდუმლოებაც აქ მარხია.

მსოფლიო ოლიგარქიას ძარღვებს უშლის პატარა, თუმცა ზედმიწევნით ნაციონალური ერების არსებობა.

აქ მოგონილი ბრალდებებია ადამიანთა უფლებების დარღვევა, უმცირესობათა ინტერესების შელახვა, პროვინციული ფაშიზმი და ვინ მოსთვლის. მაგრამ ეროვნული სახელმწიფოები უწინარესად ნიშნავს საღი აზროვნების ზეიმს ქვეყანაში, შორეული ტრადიციების ერთგულებას, ჭეშმარიტი ფასეულობების გაღრმავებას, რომელსაც მისდაუნებურად მივყავართ მსოფლიო სიტუაციის კრიტიკულ ანალიზამდე: შავის და თეთრის ერთმანეთისაგან გარჩევამდე, კეთილისა და ბოროტის ერთურთისგან გამოცალკევებამდე. რაც ფაქტობრივად საგნებისა და მოვლენების უტყუარი განსაზღვრაა. აქედან კი სახელისუფლო ბერკეტების მიზანმიმართული ამოქმედებით ერთი ნაბიჯია ერთეულებისგან მიტაცებული აურაცხელი საკაცობრიო ქონების ნაციონალიზაციამდე. ანუ ერთ მშვენიერ დღეს აქამდე ღმერთს გატოლებული მსოფლიო ოლიგარქი, ადვილმოსალოდნელია ცარიელტარიელზე აღმოჩნდეს. შეიქმნას უარაფრო, ან ძალიან ცოტას მქონებელი, როგორც დედამიწის დანარჩენი ექვსი მილიარდი მაცხოვრებელი; სხვებივით მოუწიოს ფერმერობამ, დაზგასთან რუდუნმა თუ აღებმიცემობამ.

ხოდა, აი, ამ საშიშროებისგან იზღვევენ თავს მსოფლიო ოლიგარქები, როცა სულაკაურისთანა ხალხს ქოქავენ თავიანთი ქვეყნის საბავშვო მწერლობის მოსაშლელად. დიდი საქართველო ხომ პატარა ქართველებით შენდება?!

მსოფლიო ოლიგარქებს სიკვდილივით ზარავთ ეროვნული ქვეყნების არსებობა. ამიტომაც თითებიდან გამოწოვილი ბრალდებებით, ცილისწამებითა და ინფორმაციული დივერსიებით უკიდურესობამდე უნდა მოიშალოს მათი დაწდევებული არსებობა. ზედმიწევნით უნდა მოისპოს პრეცენდენტი პატრიოტული სულისკვეთებისა პატარა სახელმწიფოებში. ეროვნული მუხტის გამოცლისთანავე, სწრაფად შეეზრდებიან ერთმანეთს ერთგვაროვნების, ერთსახოვნების პრიმიტიული შინაარსით და მივიღებთ ბაბილონის გოდოლის გამოთაყვანებულ ჯამს, რომელიც მსოფლიო ოლიგარქების უპრობლემო სუფევის უტყუარი გარანტიაა.

ასეთია სულაკაურის „საყმაწვილო ენციკლოპედიისადმი" ჯვაროსნული ლაშქრობის, გააზრებული თუ გაუცნობიერებელი მოტივები, მაგრამ ყველაფერზე უმჯობესია ისევ ნაგოლგოთარ პუბლიკაციას მივუბრუნდეთ.

ო, რა ბედნიერებაა, როცა ადამიანს ზუსტი მისამართი გააჩნია მზისქვეშეთში! გულისტკივილით ვაცხადებ ამას მე, გური ოტობაია, ოტობაიაწართმეული კაცი!

უსასრულო სამყარო

ჩვენი მეტაგალაქტიკა

ჩვენი ზეგალაქტიკა

გალაქტიკა ადგილობრივი ჯგუფი

ჩვენი გალაქტიკა

ვარსკლავთა სისტემა „ირმის ნახტომი"

პლანეტა დედამიწა

მატერიკი ევრაზია

ქვეყანა საქართველო

ქალაქი თბილისი

კოსტავას ქუჩა №14

ჟურნალი „დილა"

ამაზე ჭეშმარიტი კოორდინატები წარმოუდგენელია გააჩნდეს რომელიმე სხვა ქვეყნის მოზარდს;

აი, რის გამო იბღვირებიან მსოფლიო ოლიგარქები, და აი, რისთვის წიწმატობენ მერე მათ თითებს მარიონეტივით გამოკერებული სულაქაურები!

„საყმაწვილო ენციკლოპედიით“ ქართველი მოზარდი სინათლის სიჩქარით გამოივლის კოლოსალურზე კოლოსალურ მანძილს. „დიდი აფეთქებიდან“ მოყოლებული დედის უბესავით მისანდობელ სამშობლოს ყურემდე და აწრიალებულან ჯიბესქელი მაგნატები; რა წყალში ჩავარდნენ, რომელ კედელს ახლონ თავი?! ქართველმა პატარებმა ფეხის ადგმიდანვე ისწავლეს თეთრის და შავის გარჩევა, მტყუვნის და მართლის განსხვავება, კეთილისა და ბოროტის განსჯა, ოფლით მოპოვებულისა და ცბიერებით მოხვეჭილის არსი. ახლა ხომ შეიძლება ეს ცოდნა იჩქერიელ მალხაზებსაც გადაედოთ? იქიდან გამორიცხული არ არის თანატოლების გულისძახილს ავღანელმა ბავშვებმაც აუბან მხარი. მერე ინდოელმა და ჩინელმა მოზარდებმა დასცხონ ყოჟინა ამერიკელი თუ ინგლისელი ონავრების მხარდამხარ და გამოეცალა არსებობის მორჭმული საფუძველი უმეცრებაზე დამყარებულ მსოფლიო ოლიგარქიას. აი, როგორი ჯაჭვური რეაქციისა ჟურნალ „დილის“ გამოცემული „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ პრეცედენტი.

— ხშირად მიფიქრია და გულიც მწყდებოდა, რომ ცივილიზებულმა ქვეყნებმა თავიანთ ბავშვებს ენციკლოპედიები უკვე შეუქმნეს, — ამბობს ამ საშვილიშვილო საქმის სულისჩამდგმელი, ჟურნალ „დილის“ რედაქტორი, დოდო წივწივაძე, — ჩვენთან კი ეს პრობლემა დიდად არ აწუხებდათ. არადა, დრო მიდიოდა.

ბოლოს და ბოლოს, ასეთი დრო ქართველ ყმაწვილებსაც ხომ უნდა დადგომოდათ! თანაც ენციკლოპედიას უმეტესად ის ქვეყანა ქმნის, რომელსაც სათანადო გამოცდილება და ცოდნა-განათლება გააჩნია. ასე რომ, ჩემს ჩანაფიქრს, ფულის გარდა არაფერი ედგა წინ. როცა მეგობრებს ჩემი იდეა გავუზიარე, ძალიან გაიხარეს და უკვე შვიდი წლის დაძრული მუშაობის შემდეგ გამოვიდა „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ შვიდტომეულის I წიგნი, რომელიც ჟურნალ „დილის“ ასი წლისთავს ეძღვნება.

განსხვავება ჩვენსა და წინა საბავშვო ენციკლოპედიებს შორის ძალიან დიდია. ადრინდელი ანბანური წესითაა შედგენილი, თანაც რუსულიდან პირდაპირ არის გადმოღებული.

ჩვენი თემატურია, აქვე რაც მთავარია, პირდაპირ თარგმანი არ არის დღემდე არსებული საბავშვო ენციკლოპედიებისა. რა თქმა უნდა, მათ გამოცდილებას ვიზიარებთ გარკვეულწილად, მაგრამ აშკარად განსხვავებულია მათგან, თუნდაც იმით, რომ ჩვენ მკითხველებს სამყაროს შექმნის სამ ვერსიას ვთავაზობთ:

1. მითები სამყაროს შექმნის შესახებ;

2. რას გვიამბობს ბიბლია სამყაროს შექმნაზე;

დაბოლოს —

3. დიდი აფეთქება — მეცნიერები სამყაროს შესახებ.

ასე რომ, „დილის“ „საყმაწვილო ენციკლოპედიას“ ამ კუთხით მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება.

წიგნი იხსნება დავით გურამიშვილის ლექსით. მოტანილი გვაქვს რამდენიმე ქართული ლეგენდა და ხალხური ლექსი სამყაროს შექმნაზე, ცნობა ხალესის კომეტაზე, რომელიც 650 წლის წინათ ლიხნის კედლის წარწერაზეა ნახსენები;

ცნობები „ქართლის ცხოვრებიდან“;

საუბარია იოანე პეტრიწსა და სულხან-საბა ორბელიანზე;

VIII საუკუნის ნარიყალას ობსერვატორიაზე;

1188 წლის ქართულ ხელნაწერებსა და მთვარის ფაზების ახსნაზე;

დავით აღმაშენებელსა და მის მიერ დამზადებულ ასტრონომიულ კუთხსაზომზე; გელათისა და აბასთუმანის ობსერვატორიებზე;

14 ათასი ვარსკვლავის ფერის მაჩვენებელზე, რომელიც პირველად აბასთუმნის ობსერვატორიაში მიიღეს;

რომან კილაძის პლანეტა მერკურზე ატმოსფეროს აღმოჩენასა და მისი წნევის განსაზღვრაზე. დმანისის არქეოლოგიურ გათხრებზე;

სათაფლიასა და დინოზავრების ნაკვალევზე;

საქართველოს მიწისქვეშეთის საოცრებებსა და კიდევ ბევრ სხვა რამეზე... „დილის“ საყმაწვილო ენციკლოპედია, მართლაც პირველი ქართული ენციკლოპედიაა, „დილისაო“ იმიტომ ვამბობ ხმამაღლა,

რომ მასში მოთავსებულია 15 ნაშრომი, რომელიც მხოლოდ ჩვენს ჟურნალში არის გამოქვეყნებული, მაგრამ ისინი თავიდან გადამუშავდა, ახლებურად შეივსო და ისე მიეწოდა მკითხველს.

შეკითხვაზე, თუ რა სამუშაოებია ჩატარებული ამ უმძიმესი ტვირთის ასაწევად, ან ვისი დახმარებით აიცილეს თავიდან დილეტანტური ცდომილებანი, დოდო წივწივაძემ სევდანარევი ღიმილით განმარტა:

— მართლაც ძნელი იყო, ერთ პატარა რედაქციას მარტოს ეტვირთა ენციკლოპედიის გამოცემის საქმე, თანაც იმ ნაწილისა, რასაც „სამყარო" ხქვია. ამიტომაც შემოვიკრიბეთ თვალსაჩინო ავტორთა სწორედაც ფართო წრე.

ჩვენი პირველი მრჩეველი და ენციკლოპედიის პირველი ავტორი ბატონი ევგენი ხარაძე გახლავთ. □ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული). მან პირველმა მოგვიტანა წერილი „რა მანძილია მთვარემდე?", რომელიც „დილაში" 1996 წელს დაიბეჭდა.

შემდგომ ჩვენი მეგობრები გახდნენ ბატონები: ვიქტორ ჯაფიაშვილი □აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორი) და შალვა საბაშვილი □უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის გამგე).

მოგვიანებით ბატონ ზურაბ ცუცქირიძეს □საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი), ვთხოვეთ დახმარება.

ჩვენს თხოვნაზე არც ქალბატონ ნუნუ დარჩიაშვილს □სასკოლო გეოგრაფიის სახელმძღვანელოების ავტორი), და მანანა ღოღობერიძეს □ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი) უთქვამთ უარი.

ასევე, დიდი სიხარულით შემოგვიერთდა ცნობილი პოეტი და მთარგმნელი ვაჟა ყუბუსიძე და ასევე ჩინებული სტილისტი ქალბატონი ცისანა ნიკოლაიშვილი, რომლებიც ჟურნალ „დილის" მთელ კოლექტივთან ერთად თითქმის ღამეებს ათენებდნენ, რათა მომავალ თაობას მართლაც სამაგიდო წიგნად, უმაღლეს დონეზე შედგენილი ენციკლოპედია ხქონოდა, თანაც — შეჯერებული უკანასკნელ მეცნიერულ მიღწევებთან.

რაც შეეხება ენციკლოპედიის ტექსტს, — განაგრძობს დოდო წივწივაძე, — მოკლე, სხარტი და პატარებისათვის გასაგებ ენაზე რომ უნდა იქნეს გადმოცემული, ეს „დილას" არავისგან ესწავლება, რადგან 98 წლის განმავლობაში რედაქციის ყველა თაობის თანამშრომელი თითოეულ სიტყვას ელოლიავებოდა, სულს უბერავდა და ისე აწვდიდა თავის პატარა მკითხველს. უფრო უხეშად რომ ვთქვათ, ჟურნალს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ეს ჩვევა და ამიტომაც ადვილად მოხერხდა ენციკლოპედიის ტექსტის დამუშავება.

მუშაობის მანძილზე დაახლოებით 120 დასახელების სხვადასხვა ენაზე დაწერილი სამეცნიერო ლიტერატურა გამოვიყენეთ. აქედან ზოგი საბავშვო ენციკლოპედია იყო, ზოგიც დიდი სამეცნიერო ნაშრომი. სულ ბოლო მეცნიერული მიღწევები ინტერნეტიდან მოვიპოვეთ, დავამუშავეთ და ასე მივაწოდეთ ჩვენს მკითხველს.

რაც შეეხება ძირითადი დავის საგანს, ნახატებს, ჩვენმა ქართველმა მხატვრებმა 200 ილუსტრაცია შეასრულეს საკუთარი ხელით. თქვენ როგორ ფიქრობთ, ჩვენი მხატვრები იმ ყბადაღებულ 5 ნახატს □რაოდენობა სადავოა) ვეღარ დახატავდნენ? მაგრამ ეს ყველაფერი სპეციალურად არის გაკეთებული და ჯერჯერობით რედაქციის საიდუმლოა.

ენციკლოპედიაში ასევე გამოყენებულია სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურიდან 60 ნამუშევარი. კომპაქტდისკებიდან — 50 ფოტო, ინტერნეტიდან — 50, ხოლო კომპიუტერზე 40-ზე მეტი სურათი გვაქვს დამუშავებული.

„ძირითადი დავის საგანიო", ბრძანებს დოდო წივწივაძე და იქვე 5 სათუო ნახატის ნასესხობასაც ახსენებს, რომელიც ფაქტობრივად „საყმაწვილო ენციკლოპედიისადმი" ჯვაროსნული გამოლაშქრების საბაბი გახდება.

ჟურნალ „დილას" ადვოკატის ცნობით:

— „საყმაწვილო ენციკლოპედიის" გამოცემის დაწყება მკითხველს 2001 წლის იანვარში ეცნობა. დაიწყო ხელმოწერები. გადახდილი იყო წინასწარი საზღაური. სასამართლოს განჩინება კი ამ საერთო საქმეს ჩაშლით დაემუქრა. ამასთან მოსამართლეს ბაკურ სულაკაურის განცხადება 2002 წლის 5 თებერვალს დაეწერა, განჩინება კი ერთი დღით ადრე, 4 თებერვალს არის გამოტანილი;

ჩვენს ჟურნალზე ყადაღის დადების საფუძვლად დასახელებულია 4 გვერდიანი ხელშეკრულება, რომლის ქართული თარგმანი დროის უკმარისობის მოტივით სასამართლოში წარდგენილი არ არის. წერია თუ არა ხელშეკრულებაში ის, რომ 2007 წლამდე „ასბორნის საბავშვო ენციკლოპედიის" ქართულ ენაზე გამოცემის და გავრცელების განსაკუთრებული საავტორო უფლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას" აქვს, გაურკვეველია, რადგან დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მოთხოვნა ქართულ ენაზე სამართალწარმოების შესახებ.

15 თებერვლის სასამართლო გადაწყვეტილებით, სულაკაურის გამომცემლობას კერძო საჩივრის შეტანის უფლება-განჩინების გადაცემის დღიდან 12 დღეში აქვს.

,,დილას'' ადვოკატის რწმუნებით, თუკი პროცესი გაგრძელდება, ჟურნალი დანარჩენ არგუმენტებს პროცესზე დადებს. მაგრამ მანამდე ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ'' ინგლისურ მხარესთან დადებული ხელშეკრულების ლეგალიზება უნდა მოახდინოს. ინგლისურენოვანი დოკუმენტი □ხელშეკრულება), რომელიც მთლიანად მოწყვეტილია ქართულ სამართლებრივ სივრცეს □მის შესახებ ინფორმაცია ინგლისში საქართველოს საელჩოსაც არ გააჩნია), ქართული სასამართლოს განსჯის საგანი ვერ გახდება.

ვთქვათ და, მოახერხა ბაკურ სულაკაურმა ლონდონში ჩასვლა და იქ დოკუმენტაციის მოწესრიგება? მერე რა მოხდება ამით?

თუმცა უმჯობესია ჯერ ისევ დოდო წივწივაძეს მოვუსმინოთ:

— მართლაც დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას'' უჩივლია ჩვენთვის: თურმე, მისი საავტორო უფლებები ,,დაგვირღვევია''.

შემდეგ გავიგე, რომ სულაკაურს ინგლისური საბავშვო ენციკლოპედიის კოპირებაზე უყიდია საავტორო უფლება. მე საიდან უნდა მცოდნოდა თუ ამას თვითონ არ გამაგებინებდა? თანაც, ხელშეკრულება, როგორც სულაკაური ბრძანებს, გაფორმებულია 2001 წლის 10 ივნისს. ამ პერიოდისათვის ჩვენს რედაქციაში უკვე 2000 ხელმომწერს ხქონდა ბარათი გაფორმებული ,,დილის'' საყმაწვილო ჟურნალის პირველ წიგნზე.

სულაკაური იდეის მიტაცებას და რამდენიმე ნახატის გამოყენებაში გვდებს ბრალს. თვითონ სულაკაურმა სასამართლოს წარუდგინა ხელშეკრულების ინგლისური ვარიანტი, თანაც საბუთს ბეჭედი არ აქვს, იმის დასტურად, რომ ის ლეგალიზებულია. არადა, ,,ჩვენი'' ინგლისურით რაც გავარკვიეთ, ამ უბეჭდო საბუთსაც კარგა ხნის წინათ გასვლია ყავლი!

ასე რომ, სულაკაურმა გვიჩივლა, საოლქო სასამართლომ ჩვენთან დაუკითხავად განჩინება გამოიტანა და ენციკლოპედიის ,,განადგურების'' განკარგულება გასცა!

სულაკაურის ადვოკატმა კახა შარაბიძემ სასამართლოს აღმასრულებლებთან ერთად რედაქცია ორჯერ დაარბია: ერთხელ ენციკლოპედია დააპატიმრა, მეორედ — თვითონ ჟურნალი ,,დილა''. როდესაც შევახსენეთ, თქვენ ასწლიან ჟურნალს შეურაცხყოფას აყენებთ — მეთქი, — ერთიანად აყირმიზებული დოდო წივწივაძე მღელვარებას ვერ ფარავს, — გაგიჟდა, მე, იურისტ კაცს, თქვენ როგორ მასწავლით ჭკუას, კანონებს მე თვითონ ვწერო. ეტყობა, შარაბიძე მართლა წერს კანონებს, ოღონდ — ისეთს, რომ მარტო მის კლიენტებს მოერგოს! აი, ,,საყმაწვილო ენციკლოპედიის'' გარშემო შექმნილი სრული ბაკქანალია.

ენციკლოპედიის თუ ნებისმიერი ხასიათის წიგნის შედგენა-გამოცემა საბედნიეროდ ჯერეთ არავის აუკრძალავს საქართველოში.

თანაც არ არსებობს თემა, რომელზედაც ექსკლუზიური უფლებამოსილება მოეხვეჭოს რომელიმე პიროვნებას ან ადამიანთა ჯგუფს.

ფაუსტურ პრობლემას ათეულობით ნაწარმოები მიეძღვნება გერმანიაში, მაგრამ გოეთე უკვდავების მწვერვალამდე აიტაცებს, როგორც სიკეთის გადარჩენის სახელით ბოროტ ძალასთან მიყიდული სულის ამსახველ მონუმენტს. ესენიც ყიდიან სულებს მსოფლიო ოლიგარქებთან, მაგრამ მშვენიერი წამის შეჩერების სურვილით კი არა, ბოროტებაზე მორიგი უბედურების მისამართების გაცხოველებული ჟინით.

ფაუსტზე თხზულების შექმნის ექსკლუზიური უფლება არავის მოუპოვებია გოეთეს ქვეყანაში, თორემ რა ეშველებოდა ,,დოქტორ ფაუსტუტის'' ნობელიანტ თომას მანს? სასამართლოში წანწალი არ ასცდებოდა ,,დილელების'' მსგავსად. საკითხი რომ ეხებოდეს ,,ასბორნის საბავშვო ენციკლოპედიის'' გამოცემას, კიდევ რამენაირად შეყოყმანდებოდა კაცი, დაიწყებდა ბეჭდიან თუ უბეჭდო ხელშეკრულებებში ფათიფუთს. თარიღების დაზუსტებას, დედნის ზედმიწევნით გადმოქართულებას და ასე შემდეგ. მაგრამ ,,დილის'' რედაქცია თავის პატარა ქართველს სთავაზობს სრულიად ორიგინალურ, სრულიად თავისთავად და თვითმყოფად გამოცემას, რომელსაც ბუნებაში ანალოგი არ მოეპოვება — ქართული სულიერებით გაჯერებულ სამაგიდო წიგნს სამყაროს აგებულებაზე, რაც დიდი საქართველოს აშენების მთავარი ქვაკუთხედია. შარო, საიდან მოდიხარო, ამაზე ითქმის.

შარი, კი როგორც ზემოთ დავინახეთ, მსოფლიო ოლიგარქების **სულ აქაური** ხელის ბიჭებისგან დაგვტყდომია თავს, რათა მანქურთული მოღვაწეობით, უკიდურესობამდე მოშალონ ქვეყანაში ეროვნული ცნობიერების ბურჯები ლაღი არსებობის სივრცე მიუბოძონ თავიანთ მილიარდერ ბოსებს.

ბუკურ სულაკაურის ხუნტრუცი ჩვენს ოჯახსაც ამოაგდებს კალაპოტიდან. ,,საყმაწვილო ენციკ-ლოპედიის'' შესაძენად თადარიგს დროულად ვერ დავიჭერ და როდესაც ათასში ერთხელ გამობრწ-ყინებული ხონორარის კვალდაკვალ საფირმო მაღაზიების რიგს ჩამოვუვლი, ვერსად მოვიხელთებ.

ამასობაში ქორვაჭრები ივარგებენ და თექვსმეტ ლარიანი წიგნის ფასი 50-ამდე ავარდება. ახლა როგორი საქმეა 150 ლარის გადადება მსოფლიო ოლიგარქებისა და მათი ხელისბიჭების ოპონენტი მწერლისათვის? ისევ ცოლოურები მიშველიან და მოწიწებით მოგვართმევენ სადადიანოდან უკვე 210 ლარად შეძენილი ,,საყმაწვილო ენციკლოპედიის'' 3 ეგზემპლიარს. გვისახსოვრებენ, ხოდა, მსოფ-ლიო ოლიგარქებზე არანაკლებად ამერევა დავთრები.დავიღუპები სამუშაო დროით ისედაც შებო-ჭილი კაცი!

მომადგება სისხამზე უფროსი შვილი და კატეგორიულად მეტყვის ქაღალდებში ჩაფლულს:

— მამი, როგორია ჩვენი კოორდინატები?

— მგონი 43-42, — ვუპასუხებ ზერელედ.

— მერედა, რატომ არ მიუთითებენ ,,ენციკლოპედიაში''?

— გამოვა მეოთხე ტომი ,,საქართველო'' და ყველაფერი მოწესრიგდება, — დავაწყნარებ თითქოს, მაგრამ ახლა შუათანა დამადგება თავზე. მოდრეიფე მატერიკებზე ჩამომიგდებს სიტყვას. ანთროპოლო-გიის პრობლემებითაა დაინტერესებული. მილიონი 600 ათასი წლის დმანისის ნამარხ ჩონჩხებზე მეტი-ტინება. მნახა აბდუშელაშვილი, როგინსკი, ლევინი თუ ნეტარხსენებული გაბუნია!

ჯერ კიდევ სად ხარ. ესენი ფოჩიანი კანფეტებია დაუდგრომელ ნაბოლარასთან შედარებით.

— ეგ რატომ? — გავიკვირვებ მე.

— იმიტომ, რომ არმსტრონგის ნაფეხური იქ არასდროს წაიშლება ჩვენგან განსხვავებით. ისე, კაცმა რომ თქვას, ყველა პლანეტა უბედურია დედამიწის და პლუტონის გარდა.

— რისთვის კაცო, — დამავიწყდება საშური საქმე. — რამ გააუბედურა?

— იმიტომ მამიკო, რომ მერკურს საერთოდ არ ხყავს მთვარე, მარადიულ წყდიადშია. ხოლო დანარ-ჩენს — აუუუხ: მარსს ორი ხყავს, იუპიტერს — თექვსმეტი, სატურნს — თვრამეტი, ურანს — თხუთმეტი, ნეპტუნს — რვა. უმთვარო ღამეში სიარული ღმერთმა გვაშოროს მამი, მაგრამ არც თხუთმეტ და თვრა-მეტ მთვარიან გზაზე სიარული მოგიტანს სიკეთეს. ალბათ, თავგზა აგებნევა.

მართალს ბრძანებს ჩემი დამტირებელი ძე.

თავგზა აგვბნევია ამდენი მთვარის გამოჩენისგან დიდს და პატარას. მაგრამ ერთის გარდა ყალბია მათში ყველა, ცრუ, ფსევდო, და აქ ,,საყმაწვილო ენციკლოპედიის'' სიახლოვის გამორიცხვით ფუჭია ჩვენი ხეტიალი კოსმოპოლიტების შემოთავაზებულ ცაზე ბუნებრივის ნაცვლად.

ერთი კოლექტიური განცხადებაც შემომიცურდება გონებაში წინდებულ წერილზე მუშაობი-სას, რომელიც საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონ ვიქტორ რცხილაძისადმია მიმართული, 2001 წლის 14 მაისის დათარიღებით:

„ჩვენ, ქართველი მწერლები, შეშფოთებული ვართ გამომცემლობა „ნაკადულში“ შექ-მნილი არაჯანსაღი ვითარების გამო.

ჩვენს მღელვარებას განსაკუთრებით ამძაფრებს ის გარემოება, რომ გამომცემლობის ახლანდელი დირექტორი ბაკურ სულაკაური უგულებელყოფს ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებას და საბავშვო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს.დღეს, როცა მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს დიდი ბრძოლა ეთნოსისა და ტრადიციების შენარჩუნებისათ-ვის, ასეთი არაერთგვნული პიროვნება არ უნდა ხელმძღვანელობდეს სამოცწლიანი ტრა-დიციების მქონე გამომცემლობა „ნაკადულს“.

მიმართვას ხელს აწერს ლამის ერგასეული ჩემი კოლეგა: ზურაბ თორია, გუგული ტოგონიძე, ვაჟა ყუბუსიძე, შოთა ქავთარაძე, თემურ აშვლაძე, ალეკო გაბელაია, ჯანრი გოგეშვილი, ზეზვა მედულაშ-ვილი, ვალერიან ჩეკურიშვილი, ავთანდილ ადეიშვილი, გულო კობიაშვილი, ბათუ დანელია, მანანა ჩიტიშვილი, რევაზ კვერენჩხილაძე, ევგენი აქუბარდია, უჩა შერაზადაშვილი, კობა არაბული, თემურ აბულაშვილი, ზაურ კალანდია, ბაღათურ არაბული, ვახტანგ ღლონტი, დოდო ხიმშიაშვილი-ვა-დაჭკორია, ილია ბარამიძე, რევაზ ართილაყვა, ლალი ბრეგვაძე, შარლოტა კვანტალიანი, შაბურა არაბული, ამირან მიქაუტაძე, მზია ჩხეტიანი, ზაალ ბოტკოველი, იზა ჭაჯვაძე, ლერი ალიმონაკი, ნინო ქუთათელაძე, ლეილა ბერიშვილი, ლაშა გახარია, ჯუმბერ თითმერია, თემურ ჩალაბაშვილი, ცირა ქიტიაშვილი, მერი ბოლქვაძე, ნოდარ კეკელიძე, შოთა ხოდაშნელი... და მეც წელიწადის დაგვიანე-ბით ავტომატურად გამექცევა ხელი კალმისტრისკენ, 47-ის გასწვრივ გური ოტობაიას კალიგრაფიას დავაფიქსირებ.

ბაკურ სულაკაური არ გახლავთ ურიგო გამომცემელი. განსაკუთრებით ქების ღირსია მის მიერ

გამოცემული აკა მორჩილაძისა და ლაშა თაბუკაშვილის წიგნები. განაგრძოს ოჯახაშენებულმა მუშაობა ამ მიმართებით. ქართული სულიერების ამღვრევას მოეშვას, ჩვენ მაშინ ბოლომდე არ გავხსნით „ნაკადულში" მისი მოღვაწეობის დროინდელ შტრიხებს, თუ გამსახურდიაზე არსებული 23 ოთახიანი გამომცემლობა რანაირად გადაიცვლება 9 ოთახიან ოფისზე ჭანტურიას 12-ში. დაახლოებით 300 კვადრატული მეტრის ფართი როგორ და რანაირად მოხყვება **სულ იქაური** გამომცემლის გლობალურ სეკვესტრიზაციას. არც იმის თაობაზე დავძრავთ სიტყვას, თუ „ნაკადულის" 60 თანამშრომელი ელვის სისწრაფით ორგორ განახევრდება რამდენიმე თვეში; ან კიდევ იმ განახევრებულ თანამშრომლიდან პრივილიგებული 13-ის მეტს როგორ არ ეღირსება ისედაც სამოწყალო ხელფასი სრული 13 თვე. სხვა უფრო ყუთათიანი დეტალებისგანაც შევიკავებთ თავს, ფრიად მამულიშვილური პრინციპის გათვალისწინებით: საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი, თუ დოდო წივწივაძემ მომავალ სასამართლოზე პროცესზე მიყოლებით არ ამოალაგა 5 ნახატის სპეციალურად შესრულების საიდუმლო, კიდევ სხვა მრავალი, „საყმაწვილო ენციკლოპედიისკენ" ჯვაროსნული ლაშქრობით გამოშურებული **სულ აქაური** გამომცემელისადმი.

სამასი არაგველი დღეგანდლობიდან

„ასწევენ" ასე ჰქვია „სუფევის" პირველ წიგნში ჩემს მესხეთურ აცამზევებას.

ურავლიდან, თმოგვიდან თუ სულაც მუსხის სიახლოვეს ხვავრიელ თოვაში მოჟრიამულე გოგობიჭებს გადავეყრებით.

გაუკვირდება სხვებზე თამამ ახტაჯანას ფერდობზე უსიმღეროდ დაშვებული ოცეულის სიმწყობრე და ბაგემდუმარება.

ვინაობას გვკითხავს და როცა გავაგებინებთ ვინცა ვართ:

— უსიმღეროდ ქართველი სად თქმულაო,— იტყვის და ისედაც ყირმიზი მთლად აილეწება.

არ ვიცი საიდან შემოგვეშველება უჩინარი ფრთები. სულს გამოებმის იგი უფრორე, თორემ მუხლებში ღონე გვიმტყუნებს, თოვლში ჩავცვივდებით და „მრავალჟამიერს" დავაგუგუნებთ, ჩინგიზ აითმათოვს რომ უწერია „პლახაში", იმნაირად შემოგვებზნება ცეცხლი, ოღონდ ეს ალმური ახლა თამამი კოცონისაგან და ძელგი ღვინისგან როდია— თოვლისაგან, შანთივით მწველი თოვლისაგან. ასწევენ საქართველოს დადაბლებულ ცას ჩვენი შთამომავლები-მეთქი, მითრთის სული, ოღონდაც თავად ჩვენ ვინებოთ, მამებმა, გაჯაგნარებული საქართველოს უსიერში თუნდაც ბაწარზე წვრილი ბილიკების გაწალდვა, რათა მყოობადმა ალღო თანადროულად აუღოს მერმისს; მთავარია ჭეშმარიტი მიმართულების ცოდნა, მერე გნებავთ ლაბირინთივით აიბურდოს მისი ანიაგანი, ბახმაროს თავდაღმართივით დაიგრაგნოს, დასპირალდეს წინმსწრაფველი და ტალღასავით თავისთავში უკუმოქცეული. ჰოდა, ამ დამაჟრუანტელებელ მოძრაობაზე რომ ვუყიჟინებ ელსმენში მსაჯულად შერაცხულ ილარიონოვიჩს:*

— განაგრძეო, — შემომეხიდება, — განათლება ხომ იგივე განათებააო, — აფორმულებს ჩვეულებისამებრ.

ჩავამთავრებ დებულების კითხვას და ისიც შვებით ამოისუნთქვას.

— მერეო, — ისარგებლებს ჩემი წამიერი პაუზით. — მაგიდაზე მიდევს, აგერ, შენი წერილი, წლების წინათ „ცისკარში" დაბეჭდილი. სათაურიც ჩინებული შეგირჩევია — „ქართული მასმედიის მზებუდობა". მაქვს გარკვეული წინადადებები, მაგრამ ჯერ სათქმელი მოილიეო, — მბრძანებლობს და მეც ისღა დამრჩენია, განკარგულებათა ასლები მიყოლებით ჩამოვამწკრივო.

— ვისი ტელეფონით რეკავ, — მეტყვის მოსხლეტით ბატონი რამინი, როცა მიხვდება სია ოთხას ოთხზე ჩამთავრდება

— დეიდაშვილის სამსახურისაა, მორიგეა ამაღამ. თბილისის „თბოელექტროცენტრალი" გაგიგონიათ?

— აჰ, სანაპიროზე მილები რომ ამოშვერილა „ივერიის" მოპირდაპირე მხარეს?

— დიახაც, მაგი.

— მგონი, „იტერამ" იყიდა ეგ.

— იყიდა კი არა, მუქთად ჩაიჯიბა, ამიტომაც არ ვერიდები ამდენ ლაპარაკს, ოღონდ თქვენ ძილი ხომ არ დაგიფრთხეთ?

— წვიმიან ფოთში რა დამაძინებს, კაცო? — გამხიარულდება.

— ჰოდა, მთლად უკეთესი. ეგ სია, ბატონო, რამინ, სრული ნუ გეგონებათ, გაიპარაშვილის სამსახურიდანაა — ახალგაზრდობასთან მუშაობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტიდან. ვგო-

ნებ, სამმართველოს უფროსმა თუ პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მელითაურმა გადმომცა. რა იყო, უზუსტობას მიწუნებ? საუბრის თავში 300 არაგველს რომ ვასახელებ და ბოლოში 404 გამომდის?!

— გეკადრება? — ხმა ებზარება ბატონ რამინს. ამ სიშორედან ვატყობ პიჟამოზე ხალათმოსხმულ მის მხრებს, როგორ აეწურება ყვრიმალების გასწვრივ ნეკის სიღრმის ღარების მიმართულებით, — საქონელი ჭკვიანის ხელში კაპიტალია, უგუნურისა კი — ჯიბის სავარცხელი.

— რა შუაშია? კონტექტს ვერ ვხვდები, ბატონო რამინ, — გავიკვირვებ აქიდან.

— რატომ, ბაბაგე, გური და, სიმდიდრის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე სიღარიბის გადატანა. სულაც არ ვიცნობ მე შენს გაიპარაშვილს თუ მელითაურს, და თუ არ მიწყენ, ვეღარც შენებური აღფრთოვანებისათვის ვხედავ მაინცდამაინც სასურველ ნიადაგს. ბოროტება ლამაზი ნიღბით სრულდება, ბაბაგე, გური.

— ეტყობა „მახვში" უკვე წაგიკითხავთ, ბატონო, რამინ.

— წავიკითხე რომელია, ერთი სული მაქვს, ჩვენამდე როდის ჩამოღაწევ! აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ერთ-ერთი პრეზიდიუმის დროს, არასდროს დამავიწყდება: ცხარობდი, ტერიტორიის, მიწა-წყლის უქონელი სამინიტსროების შეზღუდვას მოითხოვდი, პრესის გაძლიერების ხარჯზე. დღემდე ჩამრჩენია იქაური განწყობილება, თითქოს იყო თანხმობანი, მაგრამ გამოსავალი არსაიდან ჩანდა და აი, მაშინ მე წამომცდა მგონია: სამ-ოთხ ნომერს საკუთარი ძალებით დავაფინანსებ-მეთქი. ამისი თქმა და სამარისებური სიჩუმის ჩამოვარდნა ერთი იყო. მე, დევნილ კაცს, ორიათასამდე სტუდენტის რექტორს, რომელსაც ყოველი მესამე ახალგაზრდა უარაფრო და ანგარიშგასაწევი მყავს, ვინ მოაშავა ეს სახსრები, მაგრამ მარტო საკუთარი ჯიბისთვის როდი უნდა არსებობდე! ამას ყველაფერს იმიტომ გეუბნები, ძმისშვილო, დეპარტამენტის სია, ამასწინათ რომ წამიკითხე, ძირითადად ჰუმანიტარული მიმართულებისაა. კარგი, სტიპენტიანტები გაშიფრული თუ არ არის, გრანტებში ჩამახედე.

— მაცალეთ და გეტყვით, ბატონო რამინ. აბა, დავითვალოთ, ოთხომცდათვრამეტ წელს 26 გაცემულა. ოთხმოცდაცხრამეტში — 28. დანარჩენი მონაცემები არ გამაჩნია, ანუ არ ვიცი, როგორი სურათია ორი ათას-ორი-ათასპირველ წლებში. მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფიზიკოსი ორია, მედიკოსიც — ამდენივე, ერთია გამომგონებელი, და კიდევ — პოლიტოლოგი გორდაძე. სხვები ძირითადად მუსიკოსები, მხატვრები, მოჭადრაკეები და სპორტსმენები გახლავან. ვიმეორებ, შარშანდელი და წლევანდელი სურათი უცნობია ჩემთვის-მეთქი.

— სიბერეში ლომიც უძლურია, ჩემო მწერალო. ამიტომაც რა განძსაც დავაბანდებთ სიყრმის წლებში, ხანდაზმულობის პერიოდში წინ დაგხვდება. თავისთავად ცხოვრება სცენაა, სადაც ზოგი კარგად თამაშობს და ზოგიც — ცუდად, მაგრამ ხომ არიან ადამიანები, რომლებიც არ კუნტრუშობენ საერთოდ, იღვწიან უბრალოდ, ოფლს ღვრიან, რუდუნებენ. დღეს შახტაში ახალგაზრდას ვერ ჩაიყვან; ვერც დაზგას მიაყენებ; ფერმაში ხომ სიარული მთლად ამოიღეს გონებიდან. ესეც აქსიომაა: თუ შენს ადგილზე არ დადგები, სხვა მოკალათდება იქ, უცხო და გრანტებისა და სტიპენდიების წყალობით, ქართველი კაცის პერსპექტივა ნაკლებად ხელგახსნილი მეჩვენება.

— აბა, რა ვუყოთ ფრაზას: ხელოვნება გადაარჩენს ქვეყნიერებასო.

— მოიცა, მოიცა, ხელოვნება კი არა, მშვენიერებაა მგონი.

— მერედა, ერთი და იგივე არ არის? — ცეცხლს შევუნთებ საუბრის ექსტაზში შესულს.

— არ არის ჩემო, გური, და მიკვირს შენგან, „მზებუდობის" ავტორისაგან. შენ გგონია იმ წერილის წაკითხვის შემდეგ დამეძინა? ორი წლის დაგვიანებით წავიკითხე, კაცო, და ერთიანად არ შემძრა?

— ჩხეტიანის გამოხმაურება თუ ნახეთ, ბატონო, რამინ, — ჩავუწევ ხმას.

— არა, ეგ არ წამიკითხავს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს.

— ქუდი, ქუდი სად არის, ბატონო რამინ?

— მომკლა მაგის აღმა-დაღმა ტარებამ და ამ ბოლო დროს ვიხურავ კიდეც. ასე გემრიელად ჯერ ქუდი არ მომრგებია. მაგრამ მოვეშვათ ამასაც. სია ხომ გაქვს ხელთ? ჰოდა, მითხარი ღვთის მადლმა, რამდენია იმ 404 ახალგაზრდაში ტექნიკური საგნების მიმდევარი?

— საბუნებისმეტყველო დისციპლინებს გულისხმობთ? — მივაგებებ ხელად.

— ჰო, საბუნებისმეტყველოს. გადაავლე თვალი და მიპასუხე.

— სტიპენდიანტების მიხედვით ამისი თქმა გამიძნელდება, ვინაიდან მითითებული არა აქვთ რის გამო ენიშნებათ ეს სტიპენდიები. დიდძალ შრომას მოითხოვსო, მითხრეს, ისე კი შემპირდნენ, დამიზუსტებენ და სრულყოფილად მომაწოდებენ.

— ბოროტება ლამაზი ნიღბით სრულდება, ბაბაგე, გური. ხომ არ გწყინს ირონია სართანიასა და

ვალიკო მესხიას სიტყვებით რომ მოგმართავ? ცხოვრება ოცნებაში გატარებული ილუზიაა, მაგრამ იდეალური მირაჟი. ჰოდა, რადგანაც კაცის ზნეობა უცვლელი განზომილებაა, სიმართლე ყველასთვის ერთი უნდა იყოს. დამეთანხმები, ალბათ, რომ ლაყბობა უსაქმურთა ხელოვნებაა. ასევე არც მთლად უძრაობაა სასარგებლო და აღარც — ზედმეტი სიჩქარე. რაც შეეხება სულიერ განზომილებებს, სიმდიდრე იქ არის, სადაც სიკეთეა. დემოკრატია ბოროტი კაცის ხელში საბრძოლო იარაღია უმეტესწილად, რომლის მიხედვით პასუხი მოგვეთხოვება ადრე თუ გვიან, გნებავს აქ, საზოგადოების წინაშე, გნებავს — საკუთარი სინდისის პირისპირ, თუ ბოლოს — მთლად უზენაესის უფლებამოსილებაში. არ გეჩვენება, ბაბაგე, გური, რომ იმ შენმა გაიპარაშვილმა თუ მელითაურმა, განგებ გაუშიფრავი სიები მოგაჩეჩეს ხელში? დარწმუნებული ვარ ასეც იქნება.

ტელეარხების საქმიანობა მაგიჟებს. ეზარებათ ჟურნალისტებს ხალხში გასვლა და რუსთაველის პროსპექტს ვეღარ სცდილდებიან. იქვე, მეტროპოლიტენის სადგურის შესასვლელთან თუ სულაც გაჭენებულ პროსპექტზე უსაფრთდებიან რესპოდენტებს და ასე გადიან ფონს; მაგრამ დედაქალაქი, მიუხედავად მისი სიდიდისა, სულაც არ უდრის მთელს საქართველოს. იმ სიაში ჩამოთვლილი ახალგაზრდების ოთხმოცდაათი პროცენტი, თუ მეტი არა, დედაქალაქის მკვიდრია უეჭველად, რადგანაც პერიფერია მოწყვეტილია ცენტრს. ვფიქრობ, თაგილონელ კაცს, აფხაზეთიდან გამოძევებულს და ფოთში ძლივძლივობით დამკვიდრებულს, ამისი ხმამაღლა თქმის უფლება მაქვს. — ახველებს შიგადაშიგ, — ახლა განათლების სისტემა სამოცი მილიონი დოლარის გრანტის მოლოდინშია გატრუნული და მეთოდოლოგიის მონსტრები, ჩემო გური, უკვე ჰაერშივე ანაწილებენ ჯერ კიდევ ჩვენს გეოგრაფიულ სივრცეში შემოუღწეველ ფინანსურ დოპინგს: ვის კერძო სკოლის დაარსების პროექტი შეუმუშავებია; ვის ახალი სახელმძღვანელო მოუხაზავს გონებაში და ჯაქალა ბორიას! მაგრამ მე რომ მკითხოს კაცმა, აბსოლუტურად გეთანხმები ძმისშვილო. ჩვენი განათლების სისტემა საძირკველიდან სახურავამდეა გარდასაქმნელი.

დღეს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებია, ბაბაგე, გური, და ორასზე მეტი უმაღლეს სასწავლებელი საქართველოსთვის როგორი მძიმე ჯვარია, ალბათ, ახსნა-განმარტებას არ მოითხოვს, თუმცა შეხედე ბოლო ორი წლის სურათს: 120-ზე მეტმა სასწავლებელმა არსებობა შეწყვიტა. მაშ, რისთვის შევქმენით იგი, რისთვის გამოვიგონეთ ეს უკუღმართი შარები, ვისი ჯიბისთვის და ბეღლისთვის?

მე რამინ აბლოთია ვარ, ბაბაგე, და თავის გასამასხარებლად არ მცალია. მართალია, საერო, ფასიანი სასწავლებელი გვქვია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი სწავლის საფასური, ერთ-ერთი უმცირესია მთელს საქართველოში: ვაწესებთ მინიმალურ გადასახადებს, ვაძლევთ შეღავათებს ან საერთოდ ვათავისუფლებთ გადასახადისაგან. ამას, ისე, სასხვათაშორისოდ ვყვები, თორემ შენს მიერ წამოწეულ საკითხთან ცოტა ესაქმება. მე ვგულისხმობ მოზარდი თაობის ფორმირებისათვის მიზანმიმართული მუშაობის გაჩაღებას. მოყვანილი გაქვს შენ იქ სქემა, თუ ბავშვის თავის ქალა როგორ ტრანსფორმირდება ასაკობრივ ცვალებადობასთან ერთად. ჩემთვის გაუგებარია, ბაბაგე, გური, რატომ მაინცდამაინც მწერალმა უნდა შენიშნოს განათლების სისტემის აქილევსის ქუსლები? ნეტავი რისი მაქნისია მეთოდისტების ლაშქარი, ეს გაბერილი ბიუჯეტი და კიდევ — ათასები?! უამრავი პრობლემა წამოგიწევია, ძმისშვილო. განსაკუთრებული მათ შორის დიფერენცირებული სწავლების პრობლემაა.

დღემდე მახსოვს მე აკადემიკოს შალვა ამონაშვილსა და თამაზ წივწივაძეს შორის გაჩაღებული პოლემიკა, რომელიც ლამის უხამსობაში გადაიზარდა, მაგრამ ძირითადი არსი შენმა კოლეგამ რატომაღაც ქილიკში გადაატარა.

შალვა ამონაშვილის კანფეტების წუწვნის პრაქტიკა, ცხადია, ღიმილისმომგვრელია ახლა და საერთოდ, თუმცა ეს პიროვნება შიგნიდანვე გრძნობდა უთუოდ მოზარდ თაობასთან ახლებური დამოკიდებულების აუცილებლობას. მართლაც შეუძლებელია ახალგაზრდობის უფაქიზეს სულს ერთნაირი კრიტერიუმებით მიუდგე: ზოგი ჰუმანიტარული მიდრეკილებისაა, ბაბაგე, ზოგიც საბუნებისმეტყველო საგნებში ცურავს თევზივით და როგორი საქმეა, ორივეს ერთი სახელმძღვანელოთი ზრდიდე?!

პეტრე შარია გეხსომება და მისგან გამიგონია: ყველა ხესთან ნაჯახით არ მიისვლებაო. სადაც წალდი უძლურია, ურო და სოლია საჭიროო, ანუ ჩვენებურად თუ განვმარტავთ, ჭირჭიხს ჭირჭიხული ენით უნდა ესაუბრო და ოღიორაიას, შედარებით ლაღით. მე წამოვწევ ამ საკითხს უეჭველად ბატონ ჯანო ჯანელიძესთან. შესაძლოა უამრავი კოლეგა მოვიმდურო, მაგრამ არაფერს დავერიდები.

შენ ეს ყველაფერი ჩინებულად ახსენი, ბაბაგე, გური, წიკო-მიკოსთან მიმართებაში. ბავშვს რომ დიდაქტიკური ენით ესაუბრები, ეს ყველაფერი წყალს გატანებული შრომაა. გეუბნები, ბევრი ვი-

ფიქრე ამ წერილზე-მეთქი. მართალს ბრძანებ, კაცო, ბავშვი კატეგორიებით კი არ აზროვნებს, არამედ — ხატებით, რადგანაც კატეგორია გაცილებით რთული ფენომენია, ხატი, სიმბოლო კი შედარებით მარტივი. ეს ყველაფერი კი იმისი მიმანიშნებელია, ბაბაგე, გური, რომ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა ამ მიმართებით ძირშივე გამოსაცვლელია.

ბავშვისთვის აბსოლუტურად გაუგებარია საქვეყნოდ აღიარებული ფრაზა: ადამიანი მოაზროვნე ცხოველია. არაფერს ვამბობ საერთაშორისო დოგმად მიღებულ პოსტულატზე — ჰომო საპიენსი. რანაირად უნდა შევძლოთ ახლა ამ ცნების მოზარდისთვის ხელმისაწვდომად გადმოცემა?! ეს იოლი საქმე არ გახლავთ, ოტობაიელო. ამიტომაც არსებობს მეთოდოლოგიის სკოლა, ფსიქოლოგია, ჯანდაბა და დოზანა, მაგრამ ხომ არსებობს და რახან ამისთანა სამსახურებს ინდაურივით ვკვებავთ ქვეყნის ბიუჯეტიდან, კეთილი ვინებოთ და მეტი გამომგონებლობა მოვსთხოვოთ, მეტი პროფესიონალიზმი, რომელიც მთლად ამერიკულ ყაიდაზე არ მოგვაქცევს და აღარც უშინსკების დრომოჭმულობას გადაგვაყოლებს.

წიკო-მიკოს დამოკიდებულება სინამდვილისადმი, თქვენი პოეტური ალღოს უცთომელი შედეგია. ჯიუტობას არავისთვის მოუტანია სარგებლობა. ჩვენი მეთოდოლოგია კი სულხან- საბას ვირივით ფხუკიანობს. არ გამოვა ასე საქმე. ხომ არ დაგიჭერენ ამდენი საუბრისათვის?

— განაგრძეთ, ბატონო, რამინ. გამომითიშავენ ერთს და აგერ არ არის მეორე?

— აგაშენა ღმერთმა! ზურგში დარტყმა, იგივე გულში დარტყმაა, გური. ზოგი მოფიქრებულად აკეთებს ამას, ზოგი კიდევ — თავისი ყეყეჩობით, უნიჭობით, თუმცა შედეგი ხომ მაინც ერთია. ისე, მე რომ მკითხოს კაცმა, ყველაფერი რეალური, ფანტაზიის ნაყოფია უცილობლად. მაგრამ ფანტაზიის უნარი ვინ შეგვარჩინა ჩვენ, ყვავ-მამიდაშვილობის ადათებზე აღზრდილებს; საკუთარი უგუნურის დაწინაურების მანიაკური ჟინით შეპყრობილებს? ამიტომაც ვიწვნევთ ხოლმე მწარე სინანულებს ცხოვრების დასასრულს.

ამას წინათ პინგვინებზე გადაცემას ვუყურე ტელევიზიით. გავოგნდი კაცი. ბავშვთა ბაგებიც ჰ ქონიათ იმ დალოცვილებს. სანამ მოღონიერდებოდნენ, პატარები იქ ითვისებენ აუცილებელ ჩვევებს, რომელიც მომავალში გადარჩენის ერთადერთი გზაა მათი ჯიშ-ჯილაგისათვის. გავოგნდიმეთქი, ვინაიდან ზრდასრული პინგვინები, ძმის- შვილო, მთლად ბრძნულად როდი ექცევიან თავიანთ ბარტყებს, მათსავით მოუჩლექენ ხოლმე ენას, მათ ჭკუამდე დადიან.თურმე პინგვინები გვჯობნიან ჩვენ. ერის საქმე ბინძური ხელით არ გაკეთდება. ამიტომაც ბრძენმა გაგკიცხოს სჯობია, ვიდრე ხეპრემ გაამოს.

მე მისაუბრია ბატონ ჯემალ პაჭკორიასთან. მიყვარს ასეთი პრინციპული ადამიანები. ის კომუნისტი იყო და დარჩა, მატერიალისტი ჩვენი ენით. დიახაც, მისგან გამიგონია აღსაზრდელებთან დიფერენცირებული მიდგომების შესახებ. ესეც რომ არა, ჩვენი მოზარდების ასაკობრივი სიმწიფე გაცილებით უსწრებს მათ გონებრივ შესაძლებლობებს. ახლა როგორ მოვიქცეთ, დავუხუჭოთ თვალი ამ რეალობას? აი, მაგალითისათვის, ეკონომიკური მოვლენები რაიმე ნიშნით ემსგავსებიან ან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ნიშანი, გური, არ გესწავლება, იმ თავისებურებას ეწოდება, რომლითაც ესა თუ ის ეკონომიკური მოვლენა ენათესავება მეორე ეკონომიკურ მოვლენას, ანდა — პირიქით. ერთი და იგივე ნიშანი ერთსა და იმავე დროს შეიძლება იყოს მოვლენათა ერთიანობისა და განსხვავების მაჩვენებელიც. მაგალითისათვის, ადამიანთა საზოგადოებას ცხოველთა სამყაროსაგან განასხვავებს ისეთი ნიშანი, როგორიცაა: იარაღის კეთება, ანუ შრომის იარაღის შექმნა და გაუმჯობესება, ორი მოვლენის შეერთებით ახალი რეალობის წარმოშობა

ბავშვის ცნობიერებისათვის უმთავრესი მახასიათებელია ათვისების პრინციპი, რადგანაც ის უნდა გაჯერდეს ობიექტური რეალობით. ის ღებულობს ყველაფერს: გაუგებარსაც, გასაგებსაც, მავნესაც და სასარგებლოსაც. მისთვის მთავარი მიმართულება, არსებული სიცარიელის შევსება, მაგრამ ამ პროცესში გამოთიშულია ანალიზის, სარგებლიანობის პრიმატი. ბავშვს რომ წიწილების კისრის წაწყვეტა დაუწესო მათთან თამაშის მაგივრად, ეს უკანასკნელი მოთხოვნილებად, დოგმად გადაექცევა და უკვე ზრდასრულობის პერიოდში, ჩამოყალიბებული ჯალათი შეგვრჩება ხელთ. ამიტომაც გონებამოსაკითხი საზოგადოების ვალია, ისეთნაირად შეურჩიოს პატარას საგნები და მოვლენები სამომავლო სარგებლიანობის თვალსაზრისით, რომ მიიღოს ბრმად, მაგრამ ეს იყოს ჭეშმარიტი და მომავალში გამოსადეგი.

— ერთი წუთით მადროვეთ, ბატონო, რამინ — ვაწყვეტინებ საუბარს.

— რა იყო, უფროსებმა მოგისწრეს?

— მაგის დარდი ნუ გაქვთ, დიქტაფონში კასეტა უნდა შეცვალო.

— იწერ, კაცო? — ვამჩნევ აქედან როგორ გაშლის ხელებს ფართოდ, — გეთქვა და უკეთესად ჩამოვაყალიბებდი.

— რას რას, ერთი, ორი, სამი... აბა, განაგრძეთ, — ვეტყვი, როცა დიქტაფონის ფირი მწვანე შუქზე გაივლის.

— ბავშვის აღზრდას ჩვენ კატეგორიებით, ტერმინოლოგიით ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვეშვათ. ჩვენ უნდა ვთარგმნოთ ეს ცნებები მათთვის მისაღები ფორმით, ანუ საგნები და მოვლენები მივაწოდოთ იმ დოზით, რა დოზითაც მათ ცნობიერებას ამისი უდანაკარგო აღქმა ძალუძს.

რახან დიქტაფონი ჩართულია, ბაბაგე, გური, და თანაც ჩვენს საუბარს გათიშვა არ ემუქრება ,,იტერას'' შემწეობით, უფრო მხარგაშლილად ვისაუბრებ. დღეს კერძო უმაღლესი სასწავლებლების ნაწილი ,,კაპიტალის დაგროვების'' ასპარეზად ქცეულა. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ჩვენ ამჟამად სახლმწიფოსგან ,,გერის'' პირობებში ვიმყო- ფებით, ამასთან, გაჩნდა გასაოცარი კონკურენციისა და თავის გამოჩენის პერსპექტივა. ისევ მოზარდი თაობის პრობლემებს დავუბრუნდეთ. შენ მართებულად მიაქცევ ყურადღებას ასაკობრივ გრადაციას და ჩვენც ამოსავალ პუნქტად ეს უნდა გავიხადოთ.

ბაგა-ბაღი, სკოლა და უმაღლესი, საბოლოო ჯამში ადამიანის განსწავლის სამ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ სამივეგან მიდგომებიც განსხვავებული გვმართებს პედაგოგიკის თვალსაწიერიდან.

მაგალითისთვის, ორი თემა ავიღოთ: დედამიწა და რუსთაველი. როგორ შეიძლება ახლა ამ სამი განსხვავებული ასაკისა და შესაძლებლობის აღსაზრდელს თანაბრად ველაპარაკოთ თითოეულზე?!

ბავშვს აქვს სიბრტყის შეგრძნების უნარი, მაგრამ მეტი მიდრეკილება ამ პერიოდში მრგვალი ფორმებისკენაა. ეს ესადაგება მის ხასიათს. მოზარდს გაჩოჩიალებაზე მეტად საგნის გადაგორება ემარჯვება. ჩვენ ვერ შევაღწევთ ბავშვის ცნობიერებაში ასტრონომიული პარამეტრებით, თუმცა ხელშესახები საკონტაქტო ნივთებით სავსეა მისი სამყარო: ვაშლი, ბურთი, საზამთრო. საკმარისია ამ ეტაპზე მოზარდმა მყარად გაიცნობიეროს ერთი ჭეშმარიტება, რომ ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა და ჩვენში, ბრუნავს, ტრიალებს. აქ საათის მექანიზმში ჩახედვა სიხარულით ავსებს მის სულს. დიახ, ბრუნვაშია მთელი გარშემოწერილობა. ამ ეტაპზე ჩვენ არ უნდა გადავაბიჯოთ ინფორმაციის მიწოდების ზღვარს: მაინც უშედეგოა, გაუგებარი, გაბზარავს მოზარდის პიროვნებას, გახლეჩს.

მომდევნო ეტაპზე, ჩვენ უნდა გავუმეოროთ ყმაწვილს სამყაროს მარადიული ბრუნვის საიდუმლოებანი: ვაშლი, ბურთი, საზამთრო, დედამიწა. აწი თამამად შეიძლება გადავწვდეთ მთვარეს, მზეს, მარსსა და ვენერას, თავიანთი თანამგზავრებითურთ.

ხოლო როცა განსწავლულობის მესამე ეტაპს მივადგებით, უკვე წარბშეუხრელად შეგვეძლება ვიმსჯელოთ სამყაროს აგებულებაზე საერთოდ, რომ ატომები — პროტონები, ელექტრონები და ნეიტრონები, თვით ვარსკვლავებისა და პლანეტებითურთ, ერთი პრინციპით აგებული სხეულებია — ოღონდ პარამეტრებში განსხვავებული სხეულები; რომ ეს არის სამყაროს სტრუქტურული სურათი, რომელსაც ორი ინტერპრეტაციით ხსნის კაცობ- რიობა: მატერიალისტურით, ანუ თავისთავად შექმნილით და ღმერთის განგებით სულშთაბერილით. ამ მეთოდის გამორიცხვით ჩვენ არათუ დავაბნევთ მოზარდს, არამედ ჩიხში მოვაქცევთ და შესაძლოა სრულიად გაუთვალისწინებელი შედეგებიც მოვიმკათ. ახლა როგორ არის საქმე რუსთაველთან? ის ხომ უწინარესად სიტყვის ფენომენია, პოეზიის გვირგვინი და აზროვნების რენესანსი?! რა ველაპარაკოთ მოზარდს შოთას გენიალურობაზე? ეს ხომ თითქმის ამაო გარჯაა?! ეს პერიოდი უმჯობესია ბავშვს ტაქტის გრძნობა გამოვუმუშაოთ, ანუ რვიანების რიტმზე ქმედების მოთხოვნილება. პლუს კიდევ — ,,ვეფხისტყაოსნის'' შეკუმშული, ზღაპრის ელემენტებით გაჯერებული შინაარსი, სულ ერთი ბეწო, ციდა, მაგრამ ვარგისი და წარუშლელი.

გაივლის რამდენიმე წელიწადი და იგივე მოზარდს თავიდანვე უნდა დავუტრიალოთ აქამდე ზერელედ მიწოდებული ინფორმაციული მასალა. ამიერიდან მიზანშეწონილია აღსაზრდელის წარმართვა აფორიზმული აზროვნებისაკენ. რუსთაველთან ხომ უმთავრესი ჰუმანისტური იდეალია, პიროვნების გასვლაა კოსმოსურ განზომილებებში, თორემ მისი შინაარსი, ბუხართან მოსაყოლ ზღაპრად ძლივს გამოგვადგება ესოდენი კაცობ- რიული საუნჯის მემკვიდრეებს. გადავლახავთ ამ ბარიერსაც და უკვე სრულყოფილად შეგვეძლება ვისაუბროთ რუსთაველის ფორმისა და შინაარსის ერთიანობის თაობაზე; რომ მისი პოემა ფაქტობრივად მარადიულ სიხშირეებს დაყრდნობილი სამყაროის- ეული სულის რენტგენოგრამაა. შენ მართლა იწერ, კაცო?

— ვიწერ, ბატონო რამინ!

— მაშინ, ძმისშვილო, გადაეცი იმ შენს გაიპარაშვილს თუ მელითაურს, რომ პრეზიდენტის სტიპენდიების ჩამორიგებისას მეტი ყურადღება საბუნებისმეტყველო დისციპლინებს დაუთმონ: ფი-

ზიკას და ქიმიას, ბიოლოგიას და მათემატიკას. ლექსი, მუსიკა და ხორუმი პრეზიდენტის სტიპენდიის გარეშეც გაიტანს თავს. ამჯერად ზუსტ მეცნიერებებს სჭირდებათ შველა და პრიორიტეტად გახდომა ჩვენში. გრანტების ამბავიც იგივეა. კი, უნდა გავუმართოთ ხელი სპორტსმენებს, ხელოვან ხალხს, მაგრამ პრინციპი აქაც დასარეგულირებელია. ცივა თბილისში?

— ქარია ცოტა. თქვენთან წვიმს, ალბათ.

— ესეც ახალი ამბავი. ფოთი და წვიმა განუყრელი და-ძმაა, ბაბაგე! თანაც შენი ქუდის პატრონს დამაკლდება რამე, ჯიმაჯამი?!

მოძღვარი ნოდარ ტაბიძე

ეროვნული უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებზე ჩარიცხულს, გაზეთჩიკობაზე წამითაც არ მიფიქრია, არც მეცნიერული აღმართებისკენ გამიხედავს — ყოველთვის სიტყვაკაზმული შემოქმედება მიტაცებდა და ბატონი ნოდარი რომ არა, შესაძლოა ამ სპეციალობისათვის თავი საერთო დამენებ- ებინა. მაგრამ ზოგჯერ იღბალიც გვიმარ- თლებს ხოლმე და საბედნიეროდ, მეც ამნაირი ყისმათის გახლავარ.

დამთავრდება დილის ლექციები და საღამოს ჯგუფელების მეცადინეობას დავუდარ- აჯდები. იქ უკვე სრულიად განსხვავებულად წარმოაჩენს საათების წინათ გადმოცემულ მასალას ჩვენი მოძღვარი. მოძღვარი კი, დიახაც, გახლავთ იგი. ქათქათა ცხვირსახოცის გულის ჯიბეში შენახვა უყვარს, რომელსაც შიგადაშიგ მაღალი შუბ- ლიდან ოფლის მოსაწმენდად შემოიშველიებს ხოლმე. მერე და განუყრელი საკვირაო ესკურსიები უნივერსიტეტის ,,პაზიკით''! სრულიად საქართვე- ლოს ეკლესია-მონასტრებს მაშინ მოვიხილავთ სრულ- ფასოვნად, მაშინ შევისისხლხორცებთ მრავაწახნაგა საქართველოს ყველა ნუგბარეულს ფაუნა-ფლორიდან მოყოლებული, განუმეორ- ებელი ეთნოსით, კილო-კავითა თუ სამზარე- ულოთი.

ჩემთვის განსაკუთრებულად სამახსოვრო ორი რამით ბრძანდება ბატონი ნოდარის პიროვნება — სტილით და სიუჟეტით.

ნებისმიერი მწერლის დაოსტატება ხელწერიდან იწყებაო, ჩამესმის დღესაც მისი შემპარავი ხმა, ფრაზის მოქნილობიდან, რუსთაველი- სებურად თუ ვიტყვით, გრძელი სიტყვის სხარტად გადმოცემიდან; ანაკლებ მნიშვნელოვანი აქ თავად ამბის მოწოდების ტექნიკაა, მოსათხრობი მასალის სიბასრე, ორიგინალობა.

ჩვენ ყოველკვირა საკურსო ნაშრომებს გვათხზევინებს ბატონი ნოდარი, ფრიად ორიგინალურია მათი შექმნის დრო და ვითარება. ავუყვებით მთაწმინდის აღმერთს და მამა დავითზე აღწეულებს კალმისტარს მოგვამარჯვებინებს სულის მოთქმამდე. ყვითელი ცხრატყავას, შოთი პურისა და გუდის ყველის ნაზავ სურნელში იჩხიბება ჩვენი ცოდვილებანი, მაგრამ თითოეულ ნაწერს გულისხმიერებით ჩაედევნება ბოლომდე, და თუ ავტორი შთამბეჭდავ კუთხეს ვერ მოუძებ- ნის დავალებას, თავად მოარგებს ცინცხალ ქარგას.

ჰემინგუეის მოშველიება უყვარს ხშირად, რომ ნაწარმოებში ნებისმიერი სამი წინადა- დებიდან შუათანა ზედმეტია. მერე და მერე ჩვენ დამოუკიდე ბლადაც ვეზიარეებთ სიტილის- ტიკის თავისმებუ!- რებებს — არისტოტელე, ჰორაციუსი, ჰეგელი, ბევრ მეცადინეობას შევალევთ ფრაზის დაურვებას, მაგრამ მთავარი და არსებითი, მაინც ბატონი ნოდარის წყალობაა. დაუწერელ დაფებს — ტაბულა რაზასაც რომ იტყვიან, სრულფასოვნად ის გვაზიარებს პირველად სიტყვის ალქიმიას, სიტყვის როას რობაქიძისეულად. რაც შეეხება თავად სათქმელს, აქ ყველა საკუთარი ბავშვობიდან, საკუთარი სიყრმის წლებიდან მოეხეტება, და განსაკუთრე ბული არაფერი ყრია თითოეულის აღტკინებაში, (იმხანად ხომ გარდასახვის უნარიც ნაკლებად მოგვსდგამს უმეტესს?!) რომ არა ბატონი ნოდარის თავგადაკლული მეცადინეობა საკუთარი ძალების მოსაპოვებლად. მიკვირს, დღესაც მიკვირს, ამ ღვთისნიერი კაცის იობის მოთმინება ჩვენს ცოდვილობათა გულდინ ჯობით მჩხრეკელობისას.

საუნივერსიტეტო გარდაქმნების სადღეისო ვანდალიზმი რამდე- ნიმე წლით ადრე მოსინჯავს ნიადაგს ცოდნის ეროვნულ ტაძარში. ბატო ნოდართან ვერაფერს გახდებიან იმჟამად პირწავარდნილი ჰეროსტატები, მაგრამ მე ერთი კოლეგის ხუნტრუცობა აქამდე მახსენდება: ლამის ზეწრებად მონათლულ გვერდებს მიუ- ძღვნის ის ბედოვლათი ჩვენი მოძღვრის უსამართლო განქიქებას. მოვიხელთებ ერთხელ გამომცემ ლობის ბუფეტის კუთხეში და ჩანგლების ტრია- ლით მოვანელებინებ უკლებლივ.

უმჯობესია მე გაგისტუმრო საიქიოს, ვიდრე შენს გამო ბატონი ნოდარი შეუშვერდეს შუბლს

დამბაჩას ჰაჯი უსუბის კვალობაზე-მეთქი. ამ ამბავს მეტის ელფერით მიუტანენ თურმე ბატონ ნოდარს. იღიმის წვრილ-წვრილ ულვაშებში, იგი ხომ მართლაც გამორ- ჩეულია ჰომერული სიცილითა და ირონიით.

ნუ გაიხარჯები ამეებზეო, მეტყვის, უმჯობესია მხატვრული სიტყვის იდუმა- ლებას მიედევნო ბოლომდეო. ჩვენი იშვიათი შეხვედრები ყოველთვის ოსტატ-შეგირდის მადლითაა ცხებული. კათედრაზე ავაკითხავ მეექვსე კორპუსში და თავანკარა ღვინოს მომართმევს წელწვრილი ჭიქით. ერთ ყლუპი კონიაკი თუ არაყი ყოველთვის მოეძევება სასურველი სტუმრი- სათვის. გაიცვლება ფრაზები. მოიხაზება სამომავლო გეგმები. დაისახება კონკრეტული მიზნები და რამდენიმე თვით გავეცლებით ერთურთს. მომდევნო შეხვედრაზე განუმეორებელი ბიძისადმი მიძღვნილ მონოგრაფიას მაჩუქებს. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების უცნობი ფურცლების გაცოცხლებას აურწყავ ამაგს დასდებს ბატონი ნოდარი. ეს უჩვეულო ირონიაც, ჩანს, მეფე პოეტისაგან მოსდგამს გენებით:

ძმისშვილთან ფულის სასესხებლად მისულ გალაკტიონს თავის დამცირებად მიაჩნია საგანთა ნერვის დასახელება, ვინაიდან მისი ფენომენისათვის მატერი- ალური სიკეთენი მართლაც რომ პრიმიტიულზე პრიმიტიული განზომილებაა და ,,ფლურიზე რავა ხარო'', გადაუკრავს სიტყვას. ფლური და არა — ფულიო, რაღაც დაგრიმასებული არლეკინი ცირკის არენიდან, რომელსაც კამათელივით ატრიალებს დუხჭირი საწუთრო.

ყველგან და ყოველთვის მოძღვარს ვეძახი გულწრფელად. მათამამებს, სიტყვაკაზმული მწერლობისაკენ მაქეზებს გამუდმებით. თანადგომას არ მომაკლებს ჟურნალ ,,კირბისის'' პრეზენტაციაზე, მაგრამ ნუ გაიხარჯები ამეებზეო, გამიმეორებს კულუარებში.

განუყრელი ჩანთით დაიარება. სულ მოჭიმულია, ნიადაგ წელგამართული, თუმცა ქართული ჟურნალისტიკის ბედ-იღბალს უკვე ჭილყვავები განაგებენ ოკეანედალეულების თიმთიმა სახით.

არ ვეკითხები ასაკს, რამდენი ათწლეული მოუტოვებია ზურგს უკან; მარადჭაბუკური მხნეობით მისდევნებია წუთისოფლის აღმართებს და მიხარია, გულით მიხარია, სწორუპოვარ ოსტატს ყოველთვის რომ მოეძევება აურწყავი ცოდნა თვინიერი შეგირდის დასაკვალიანებლად.

5 იანვარი, 2007 წელი

ზოგადსაგანმანათლებლო თუ საუნივერსიტეტო გარდაქმნების მამითადი ზურგს უკან დაგვრჩენია. ზურგს უკან გვრჩება თსუ-ის რექტორის ლეგიტიმურობის საკითხიც: აკადემიური საბჭოს მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტო- რად მიმდინარე წლის 5 იანვარს არჩეულია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი ხუბუა. უბრალოდ — კერკეტი კაკალი გია. მოვი- და სეტყვა და დახვდა ქვა. ზურგს უკან გვრჩება ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით აფუებული ჰაი-ჰუი. კადრებივით გაიელვებენ თვალწინ ერთი ექსპარლამენტარი პროფესორის პლაკატების ჩაქოფხრეწვანი კედლიდან. ბევრჯერ შეუღერებენ მუშტს ,,სოროსელების ფავორიტს,'' მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ხულიგნური ქმედებებიც აღიკვეთება ცხაურიანი ცხრაკლიტულის თხუთმეტდღიანი ზანზალიკებით. ამეების სპეციალისტი, დიახაც, მე გახლავარ. სტუდენტობის წლებში მრავალგზის გამოვკრავ ხელს მსგავს ბედნიერებას და ერთხელ, რომ არა ნეტარხსენებული აკადემიკოსის, ბატონ ილია ვეკუას ქომაგობა, უნივერსიტეტიდანაც გამაპანღურებდნენ კომკავ შირის რიგებიდან გარიცხულს.

გარდაქმნების პოცესებისადმი მე გაცილებით რადი-კალური ვარ და ვიქნები, ვიდრე ბატონების: ალექსანდრე ლომაიას თუ გიორგი ხუბუას დამოკიდებულებაა.

სამწუხაროდ, დროთა ვითარებაში, არნახულად, გაუგონრად შევეგუეთ ჩვენ ტოტალურ დევალვაციებს ოთხივე მიმართულებით. ჯერ იყო და ვიეთების ზეობის ჟამს საქართველოს საუნივერსიტეტო ქსელი ლამის სამას ერთეულამდე დაიბლანდება, ყოველ მეორე მოქალაქეს განუკითხვად დავაბამთ ნუცას სკოლის ქესეტა ბაგასთან და წარმო- იდგინეთ, საერთაშორისო დონეზე თავს მოვიწონებთ ჩვენი საორღობო განსწავლულობით. იგივე დევალვაციები გვმუსრავს მართლმადიდებლობის გზაზეც, თავში წასაშენი სინამდვილეა: მრავალი მიტუა და ძუკუ თავიანთი ,,უკვდავების'' გარანტად, გორაკს არ დატო- ვებენ საქართველოში ეკლესია რომ არ წამოასკუპონ, ლამის ალაგესთან მოუჭიმავთ საღვთო ტაძრების პორტალებს. ლოგინებთან მოიახლოებენ ცაბაოთის ოლარებს და საბრძანისებს. საბნიდან ფეხის გამოუყოფ- ლად მოვიწადინებთ უზენაესათან ამაღლებას, მაგრამ ამაოდ, ზოგი შარლატანი მღვდელთმსახური განსხვავე- ბული ცხაურიანი სივრციდან მოგვჩერებია დღეს აღსარებათა გასაზიარებლად.

დევალვაციები მარცხნიდან და მარჯვნიდან. დევალვაციები ზემოდან და ქვემოდან. დევალვაციები შიგნიდან და გარედან.

აი, ამ კატასტროფული გაუფასურებებისა და სულიე- რი ინფლაციების ფონზე მოგვევლინება ჩვენ ფერისცვა- ლებანი ბატონების: ალექსანდრე ლომაიასა თუ გიორგი ხუბუას თაოსნობით.

ისე ნუ ჩამომართმევთ თითქოს, მიმდინარე გარდაქმნის მამოძრავებელ იმპულსსა თუ მიზანს ვერ ვხედავდე, ან თვალს ვუხუჭავდე, მაგრამ როდემდე უნდა ვიწონებდეთ თავს ჩინური კედლით, როცა ამ კოლოსალურ მა მანქანამ თავისი ჟამი მოჭამა, მილი არდამდე დააგროვა ეროვნულ ჭურჭელში ყვითელი რასის მდარე გენოფონდი?! სოციალიზმის იდეოლოგია ლამის საუკუნე გვიტევდა ჩვენ პროკრუს ტესეული სარეცლებით, გვჭიმავდა და გვამოკლებდა, გვსხიპავდა და გვამსხვილებდა, მარგალიტებად ითვლიდან ჩვენს თავებს ქვიშის საათის შეტყუპებული ძაბრებიდან ჩამოცვენილებს. ჰ ოდა, აგვიწყვეტია ამნაირი მონობის ჯაჭვი, ახალი სივრცისკენ მიგვიპყრია ჯალათის ნაჯახებით ამოხაპული მზერა, მაგრამ არც ახლომახლო თვალსაწიერზეა სანუგეშო პაემანი. აქაც აღვირახსნილობის ძუკნა-კენტავრი შემოუთავაზებია განგებას გადაჯიშებისა და გადაშენების ჯილდოდ. დიახ, გარდაქმნების გზაზე, მე გაცილებით რადიკალური ვარ და ვიქნები, ვიდრე ბატონები: ალექსანდრე ლომაიაა თუ გიორგი ხუბუა.

უამრავი უბედურობით დასეტყვილს, დედაქალაქში შემომეჩეხება ჩემი უმეტოქო რესპოდენტი ილარიონოვიჩი და სულიერი სალტომორ ტალეთი კვლავაც მოვიკრებ ძალას თანადროული დიალოგისათვის.

— ილარიონოვიჩ, გავიგე, აკრედიტაცია ვერ გაგივლიათ, რაღაც შეფერხებები ყოფილა. ახლა თქვენზე უკეთეს ოპონენტურ მოსაუბრეს ნაკლებად იპოვის ვინმე, ხომერიკი თუ გაბუნია გაცილებით ლოიალურნი მოეჩ- ვენება მავანს თქვენთან შედარებით.

ბატონი თემურ ხომერიკი უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს ქაოსს უწოდებს, რომელიც ანარ- ქიისკენ მიემართება. მისი მტკიცებით უარი ეთქვა პროფე- სიონალიზმს. ფარსი აღმოჩნდა კონკურსის დევიზი: ,,ღია და გამჭვირვალე'', ვინაიდან აქაც მიკერძოებამ იმარ- ჯვაო, განსჯის. მაგალითისათვის, ეკონომიკისა და ბიზ- ნესის ფაკულტეტის დეკანად დანიშნულა კაცი, რომელ- მაც კონკურსში ასისტენტ-პოფესორის თანამდე ბობაც კი ვერ დაიკავაო; რომ წვერცანცარა პოლიტიკოსების დონეზე წყდება უნივერსიტეტის შიდა პროცესები; რომ რეფორმა არ ნიშნავს ფორმის დაკარგვას და ა.შ. რაც შეეხება ბატონ ჯემალ მებონიას, ელსმენით შევეხმიანე, ინტერვიუზე დამთანხმდა, და იმედია, ამ დღეებში მასაც დაველაპარაკები.

— ჩემს უნივერსიტეტში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, შემიჩერეს აკრედიტაცია და სამართლიანადაც, ჩვენს მეარენდეს რეესტრი არ აღმოაჩნდა და ფაქტობრივად ამას ვემსხვერპლეთ. ზოგი ჭირი მარგე- ბელიაო, თქმულა და ამჯერად ზომები თანაროულად მივიღეთ, გადავბარგდით სისხლჩაქცეული სამოსახლოდან. ახალი ფუძე გავმართეთ. გავწიეთ სარემონტო სამუშაოები. ,,საქართველოს ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერ- სიტეტს'' ფოთში მომავალი ნამდვილად ელის, ვინაიდან 300 სტუდენტი მივიღეთ შარშან. გვაქვს ჩვენ დედაქალაქში ,,თბილისის ვეკუას სახელობის ინსტი ტუტიც'', იქაც დამშია საქმე მოყვანილი. გახსოვს გეუბნებოდი: დღევანდელი სამინისტროს გარდაქმნებმა 300 საერო უნივერსიტეტი 40-ამე ჩამოალაბორანტა-მეთქი. ესეც ზედმეტია. ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით ნორომალურ ცივილურ ქვეყანაშ ი უმაღლეს დამთავრებული 10 პროცენტია, ანუ 100 კაცი. ჩვენი სოციალისტური სინამდვილიდან მოყო- ლებული, ყოველ ათას კაცზე 500 უმაღლეს დამთავრებული გვყავდა, და ეს იყო ჩვენი მოუნელებელი ავადმყოფური ვითარება, სნობიზმი, დიპლომისათვის ბრძოლა და არა ცოდნისათვის. ,,უდიპლომო სასიძო'' მაგონდება. ამეებს იუმორის, ქილიკის დონეზე სოციალიზმის დროსაც აკრიტიკებდნენ, მაგრამ მომაკვდავ სხეულს საშხაპუნებ- ლებით ვარ მოარჩენ, ქირურგიული ჩარევებია საჭირო.

ფული, მარცხენა შემოსავალი, მამონა, ბოლოსდა- ბოლოს ქრთამი, ჯოჯოხეთს ანათებს, უნივერსიტეტი კი ღვთის ტაძარს უნდა დავამსგავსოთ. ბატონ ალექსანდრე ლომაიას გარდაქმნის პროცესში საბედნიეროდ ნაკ- ლებად ვხედავ ამ ტარტაროზულ სენს. ორი წელიწადია იდეალურ დონენზე ტარდება მისაღები გამოცდები მთე- ლი ქვეყნის მასშტაბით. იყო, არის და იქნება კერძო შემთხ- ვევები, 3-5 — გნებავთ ათი პროცენტის ოდენობით, მაგრამ ეს ძირითად ტენდენციებზე ზეგავლენას ვერაფ- რით მოახდენს. მთავარია გამოვიდეთ ქვის ხანის ცნობი- ერებიდან. ჩვენ გვიხარია, რომ დმანისის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ,,ჰომო გეორგიკუსი''. სიბეცეა ეგ. ვინ განსაზღვრა ახლა ჩვენი გეოგრა- ფიული არეალი მილიონ 8000 ათასი წლის წინათ?! რომელ საქარ- თველოზეა საუბარი, რომელ კავკასიაზე, რომელ ევროპასა და აზიაზე?! ,,ჰომო დომენტიკუსი'' უნდა იყოს მისი ნაქდვილი სახელი და არა მხოლოდ საქართველოს საკუთრება. იგი მთელი ცივილიზაციის მონაპოვარია. ან რა პრიმიტი- ვიზმია ამ ეგზემპლარების მონათვლა მზიად და ზეზად?! ვიცით კი იმ დროს საერთოდ არსებობდა თუ არა დანაწევრებული მეტყველება?! გვეყო, კმარა ეროვნული თავ- მოყვარეობების ფონზე

ზოგადკაცობრიულის განზე გაჩო ჩიალება. „ვეფხისა და მოყმის ბალადა“ პლანეტა რულია, და ამდენად — ეტა ლონი, ხოლო „ყაყიტას ქურდები“ ვითომ ეროვ ნული?! სად არის აქ წონასწო რობა ორ პინას შორის?! გამოდის — ეროვნულს მივუტევებთ არა- პროფესიონალიზმს შინაურობის გამო და ზოგადკაცობრიულს ვწიხ ლავთ უცხოობის გულისათ ვის. ჩვენ ეროვნულმა რეკვიზიტებმა თავგზა არ უნდა აგვიბნიოს ახლომხედველობით. ჩვენ დროა გავაცნობიეროთ მსოფ- ლიო წყლების თვისება, ხასიათი, ანუ ზიარი ჭურჭლის პრინციპი. მსოფლიო წყლების ბუნება ელემენტარული სასკოლო სახელმძღვანელობის დონეზეც ვიცით, თანაბარია მთელს პლანეტაზე. არაფრის მეტყველია ბაიკალი, რიწა თუ სევანი რა სიმაღლეზე მდებარეობს. მათი დახ- შუ ლობა არ უნდა აღვიქვათ ჩვენ კანონზომიერებად, ვინაიდან, ჩანჩქერი, რუ, მდინარე, ტბა საბოლო ჯამში, წყლის განთავსების კონკრეტული შემთხვევებია, მაგრამ როცა კაცობრიობას თავს დაატყდება ასერგას- დღიანი წარღვნა, აქ არავის ახსოვს შენი ენისეი, შენი ამაზონი და მისისიპი მისურით; არც ჰერაკლეს სვეტებისთვის სცხელა ვინმეს — გიბრალ ტარი, ყველაფერი კოლოსალურ მასაშია მოქცეული, მის ულმობელ ღრანჭებში და აბსოლუტური კანონზმი ერების უცოდინარი ებღაუჭე რამდენიც გინდა ამ საშვენისებს. ვისაც კიდობნის აგების აუცილებლობა არ ეკარნახება ციდან განწირულია დასაღუპავად.

ადრინდელ რექტორს წამოცდა ბევრისთვის შეუმჩნეველი ფრაზა: იურიდიულ ფაკულტეტზე მოხვედრა 14 ათასი დოლარი ჯდებაო. ამ სიტყვებს ხომ ვერავინ წაიღებს აწი უკან?! აი, რას დაუპირისპირდა ბატონების: ალექ სანდრე ლომაიას და გიორგი ხუბუას გარდაქმნები.

ქართული უმაღლესი განათლების აქილევსის ქუსლი ათწლეულების მანძილზე, დიახაც, ჯიბე იყო, შეუფე- რებელი მდგომარეობა, მოჩვენებითი განსწავლულობის ფონზე სრული სულიერი კრახი. გარდაქმნამ 25 წლის ბიჭები დაასაქმა სასწავლებლებში. ეს დიდი მონაპოვარია. მე ამას წინათ 26 წლის ბაკურ გულუა დეკანად დავნიშნე. ჩვენი აღზრდილი, ჩვენი კადრი საფრანგეთის სორბონის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს — ბატონი ბადრი გოგია. უნიკალურია ბატონ ჯემალ გამახარიას თან ერ- თად მის მიერ გამოცემული ათასგვერდიანი დოკუმენ- ტების წიგნი აფხაზეთზე. მაგრამ ამის თაობაზე რეცენ- ზიაც კი არსად გაჭაჭანებულა აფხაზეთის მეცნიერ- ებათა აკადემიის გარდა. მეცნიერებს, რომლებმაც ყვე- ლაფერს მიაღწიეს, ახლის შექმნა არ ძალუძთ. ასეთებმა ადგილი უნდა დაუთმონ მომავალს. ეს ცხოვრების დიალექტიკაა. სხვანაირად გადავშენდებით..

გიორგი ხუბუაზე მეკითხები და გიპასუხებ. რასაც ამ ახალგაზრდა კაცმა გაუცლო, ცხრამეტ ციხე- სიმაგრეს წააქცევდა. მაინც მყარად დგას. დიდი ნებისყოფა და ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინია. გეხსომება, როგორი აგდებული ტონით მიმართავდნენ მერკანტი ლური ფასეულობების ტიპები! მიეჩვივნენ ვითომ პროფესორები, ვითომ აკადემიკოსები გამორჩეულ მდგომარეობას, ის კი დაავიწყდათ — ნამდვილ მეცნიერები — ყაუხჩიშვილი, ბერიტაშვილი თუ სხვანი გახუნებული ჩესუჩის კიტე- ლით რომ დადიოდნენ, გაცრეცილი პალტოებით, ვინა- იდან ამ ბუმბერაზ ხალხს ალალმართალი შრომით მოპოვებული გასამრჯელო არჰყოფნიდათ საარსებო პირობების უზრუნველ სამყოფად, თუმცა გამუდმებით ქმინდნენ, მთელი სიცოცხლე მეცნიერული შრომით დაუღალავად ფუსფუსებდნენ ფუტკარივით.

დღევანდელი მსოფლიო განსხვავებულია კაცობრი- ობის ერთად აღებული წარსულისგან. შეკუმშულია ურთიერთობები, ინფორმაცია უკიდურესობამდეა დაწნეხილი, ისე რომ ათასი პირამიდა ნემსის ერთ წვერ- ზე დატეულა. მრავალ გიგაბაიტიანი ვინჩესტერის მეხსი ერება წამში ნთქავს ასობით ალექსანდრიის ბიბლი- ოთეკას, შუმერების თიხის ფირფიტებით სავსე ზიკურა- ტებს, ლუვრის და ერმიტაჟის გალერეათა ჰექტრობით ფერწერულ ტილოებს. კოლოსალურია ეს გარდასახვა. პირველად კაცობრიობის ისტორიაში ჩნდება ადამიანის კოსმოსში უსხეულოდ გაგზავნის შანსი ცნობიერებით. თავს იმტვრევენ რეზონან- სული თეორიის მიმდევრები ეფიმოვის, დვორინის მეთაუ რობით. მსოფლიომ გადა- აბიჯა მოურჩენელ კარჩაკეტილობებს. უკვე არაფრის მაქ- ნისია ინფორმაციის ნაკადის შესაკავებლად რუსული ლოკატორები და ხმის დამხშობები, ზემოთ ხსენებული ჩინეთის დიდი კედელი. ინფორმაციამ გაარღვია აღებ-მიცემობის სამარცხვინო საბაჟოები გოლიათი თუ ჯუჯა ქვეყნების საზღვრებთან. და ამისთანა ვითარებაში, ვიღაც „ტყ-პყ“ ჰარმონიულ ჯგუფებზე დისერტაციის გამჩალიჩებელი არაფრი სდიდებით ელეოდეს თავის საუკუნოვან „დამსახურებებს“, ერის წინაშე, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. არ ელევა კი არა, გიტევს, ჯიქურ მოიწევა ვითომ შეურაცხ ყოფილი, დაჩაგრულის იერით ფახიფუ- ხობს. დროს ჩამორჩენილა, დროის მატარებელმა გაას- წრო. ეს ბედოვლათი კი კვლავინდებური სიჯიუტით არაკ უნებს საანგარიშოს კენჭებს კომპიუტერის ფაილების ლაბირინთებს ბრმასავით ატორღია ლებული. გესმის, რამხელა ხრამი აშორებს მას და მისთანებს რეალური მსოფლიოსაგან?! კოლექტიურმა აზროვნებამ მოგჭამა ჭი- რი! სტალინის კლასიკური ფორმულა: ერი არის ტერიტო- რიის, ენის, ეკონომიკური

ურთიერთობებისა და ფსიქიკის ერთიანობა — აბსურდული ხდება თუნდაც ევროკავშირის ქვეყნების ყოველდღიურობით. კაცობრიობის მომავალი ზიარი ჭურჭლის პრინციპისაა, სადაც ეთნიკურ თავისებურებებს, ცხადია, ელით განსაკუთრებული შენარჩუნება, ოღონდ ზოგადკაცობრიულთან მჭიდრო კავშირში.

ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრები ერთხმად დაუჭერენ მხარს დღევანდელი რექტორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას უალტერნატივო კანდიდატურას. მათი მოსაზრებები ფრაზის ერთი მოქნევით შემდეგნაირ სურათს აქანდაკებს:

რევაზ გველესიანი: **მე ხმა მივეცი უნივერსიტეტის დეტალურად წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას. მასში მთავარ პრიორიტეტად გამოყოფილია სამეცნიერო კვლევების სრულყოფა, სწავლების ხარისხის ამაღლება. ყველაფერი ეს სწავლების ინტერნაციონალიზაციის პრიზმაშია გარდატეხილი.**

გიორგი დავითაშვილი: **მე ხმა მივეცი უნივერ- სიტეტში სწრაფი და ეფექტური რეფორმების განხორ- ციელებას, რაც გულისხმობს უახლოეს მომავალში კონკურენტუნარიანი უმაღლესი სასწავ ლებლის შექმნას.**

ზურაბ დავითაშვილი: **მე ხმავმივეცი უნივერსი- ტეტის მომავალს.**

მერაბ კილაძე: **ნომერ პირველი ამოცანა — ეს არის უნივერსიტეტის იმიჯის — სწავლისა და სამეცნიერო კვლევის ხარისხის ამაღლება;**

ირაკლი კოვზანაძე: **პროფესორთა ის ნაწილი, რომელმაც სხვადასხვა მიზეზების გამო კონკურსში მონაწილეობა არ მიიღო, უნივერსიტეტმა ამა თუ იმ ფორმით უნდა დაიბრუნოს.**

ალექსანდრე შენგელია: **ამ რეფორმების მიზანია, რომ თსუ გახდეს მსოფლიო საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცის სრულუფლებიანი და ღირსეული წევრი;**

გუგული მაღრაძე— **მხარს ვუჭერ უნივერსიტეტის გარდაქმნის თანამედროვე ხედვას;**

ელიზბარ ნადარაია: **ამ პროცესის უმთავრეს კრიტერიუმად მიღებულია სწავლებისა და კვლევის ხარისხი.**

ირმა რატიანი: **მხარს ვუჭერ უნივერსიტეტის სტაბილურობას, მოწესრიგებას, საინტერესო პერსპექ- ტივებს და კარგ საომავლო გეგმებს;**

მარიამ ჩხარტიშვილი— **პროგრამამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, იმ თვალსაზრისით, რომ ყველაფერი იყო გათვლილი — პროექტები, ღონისძიებები და ჩატარებული სამუშაოების ანალიზი, როგორ განხორციელდეს და როგორ შემოწმდეს იგი;**

— **ომს ხარისხიანი გენერლები იგებენო,** — აცხადებს საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი ნოდარ გრიგალაშვილი. მისი თქმით, —**კუდრაჭა გოგონებისთვის** (და მამლაყინწა ბიჭუნებისათ ვისაც, გ.ო.) **მასწავლებლის მიერ დისერტაციების დაწერა უნდა გამოირიცხოს. რეფორმების ამოცანა არ არის ის თუ, რამდენი გენერალი გვეყოლება, ბევრი გენერალი არ იგებს ომს. ომს ხარისხიანი გენერლები იგებენ. რეფორმის ამოცანაა გვყავდეს ხარისხიანი მეცნიერები. ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს დამატებითი ღონისძიებების გატარება, რათა ახალგაზრდებმა გადაწყვიტონ მეცნიერებაში წასვლა. პერსპექტივები გამოჩნდება იმ აზრით, რომ ნათლიმამობით ვეღარავინ ვერავის დანიშნავს, ყველგან კონკურსი ცხადდება.“**

რაც შეეხება თავად თსუ-ის რექტორს, ბატონი ნოდარი ბრძანებს:

,,თუ ვინმეს გიორგი ხუბუა არ მოსწონს და იმის გამო თვლის, რომ უნივერსიტეტი მისმა მოსვლამ დაასამარა, ასევე წარმატებით შეგვიძლია ჩვენც ვთქვათ, რომ იმ ვინმეთაგან რექტორად რომელიმე მათგანი რომ აერჩიათ, უნივერსიტეტი სწორედ მაშინ დასამარ- დებოდა. 2007 წლის ივლისის შემდეგ სახელ- მწიფო უნივერსი- ტეტზე ან რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაზე ხელს იღებს და მას არ აფინანსებს. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ მხოლოდ საკუთარი სახსრებით ევროპული დონის საუნივერსიტეტო სკოლა ჯერ-ჯერობით ვერ შეიქმნება. აქ ხაზია გასმული ფინანსურ ავტონომიაზე და არა იმაზე, რომ ბიუჯეტი მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ მოძიებული თანხებით შეივსება და სახელმწიფო ხელს

დაიბანს. პირიქით. მოგეხსენებათ, ჩვენ მას ვაფინანსებთ სტუდენტის მეშვეობით, სტუდენტს ვაძლევთ ფულს და უნივერსიტეტში სახელმწიფო ფული ამ გზით შედის. კონსტიტუციურადაც გარანტირებულია, რომ სახელმწიფო უმაღლეს განათლებას კანონით განსაზღვრული წესით აფინანსებს, ამიტომაც, ვინც სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხება, და მაღალ ქულებს მიიღებს, მას კვლავინდებურად სახელმწიფო დააფინანსებს და დაფინანსება იქნება ბევრად უფრო მეტი, ვიდე დღეს არის.

გარდა ამისა, საქართველოს სამეცნიერო ფონდი მუდმივად იარსებებს. წლევანდელი წლიდან დაიწყება ქართველოლოგიაში, პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებებში, გრანტების გაცემა. ეს ფონდი არ არის განსაზღვრული მხოლოდ 2010 წლამდე. ის მუდმივად იქნება და მეცნიერები, რომლებიც გრანტებზე წარად- გენენ თავიანთ ნაშრომებს, გრანტს მიიღებენ. ჩვენი ამოცანა არის მეცნიერებისა და სწავლების შერწყმა. ტრადიცია იმისა, რომ ადამიანი ლექტორი იყო, არაფერს წერდე და არაფერს ქმნიდე, მაინც და მაინც არ არის გამართლებული. უნივერ- სიტეტის ის პროფე- სორი, რომელიც ცოდნის გაცემასთან ერთად ახალსაც ქმნის, მიიღებს გრანტს, ასე რომ, სახელმწიფოსგან დაფინანსების შეწყვეტაზე საუბარი არასწორია.

ვამბობდი ზემორე, რომ რეფორმებისადმი მე გაცილე- ბით რადიკულარი ვარ, ვინემ განათლების მინისტრი, ბატონი ალექსანდრე ლომაიაა, უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი გიორგი ხუბუა თუ პარლამენტარი, ბატონი ნოდარ გრიგა ლაშვილი. ბუნებამ არ იცის მსგავსი პრეცენდენტი, როცა ჭაბუკობისას ჩადენილი გმირობით, სიბერის კარამდე მხრებ- გაშლილად, არხეინად ვლიდე, ანუ ცხოვრობდე უზრუნველად ერთხელ მოხვეჭილი პატივით. ბუნება ნათელისა და ბნელის, ბოროტისა და კეთილის გამუდ- მებული ბრძოლაა. ბუნებამ არ იცის ერთხელ მოთ- ოხნილი სიმინდით, ერთხელ მოწეული პურით, თუ ერთხელ დაწურული ყურძით დღემოსწრება ილხენდე. შემოგელევა სარჩო-საბადებელი და მომდევნო წელს ისევ უნდა გაფერო გუთანი, ალესო თოხი, გამოკვერო ცელი და ნამგალი, რათა ახალ წელს კვლავაც შეივსო ბეღელი და ასე — უწყვეტად. ბუნებამ არ იცის ერთხელ! ბუნების წესია: გამუდ- მებით, სულმუდამ, ნიადაგ... ბუნება განუწყვეტელი პროცესია. ბუნება ურთიერთ დაპირისპირე ბულთა თანამ- შრომლობაა, შეუთავსებელთა შეთავსება. და ამისთანა ვითარებაში, პიროვნება, რომელმაც საკანდი დატო დისერტაცია დაიცვა **N** თემის ,,ჭ'' საკითხზე, დანაშა- ულებრივია გამუდმებით ამ გამოცდილებით აფრქვევ- დეს სიბრძნეს. საკანდიდატო ნაშრომი, რომელიც სადოქტოროში გადაიზრდება, ჯერაც როდი ნიშნავს სრულყოფას, ჯერაც როდი ნიშნავს საბოლოო წერტი- ლის დასმას, ვინაიდან შეუძლებელია ნებისმიერი საკითხის ამოწურვა, ვინაიდან ნონსენსია ფაუსტური **წამო შეჩერდი.** პროფესიონალი მარადიული განახ- ლების პროცესშია, დაუსაბამო მაძიებლობით მუხ- ტავს თავის გარემომცველ სამყაროს, სტუდენტებით სავსე აუდიტორიაა იგი თუ შეთამამებული საამხან- აგო. აი, ამ თემშარას დაადგა 5 იანვრიდან ივანე ჯავა- ხიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ- სიტეტი.

ახალგაზრდა რექტორის მოლვაწეობაზე
ძუნწი შტრიხებით მიუთითებენ შედარებით
ხანდაზმულები — უხუცესები:

ნუგზარ ალექსიძე: რექტორმა... პრაქტიკულად თავი- ანთი დამსახურების მიხედვით შეინარჩუნა უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები.

მარიამ ლორთქიფანიძე: მთლიანობაში პროგრამა საინტერესოა, თუ ბატონი გიორგი შეძლებს მის მიერ წამოდ- გენილი პროგრამების რეალიზებას, მალე სასიკეთო ძვრების მომსწრენი უნდა გავხდეთ.

ვაჟა ოყუჯავა: ახლა ჩვენი მთავარი მიზანია, რომ თბილისის უნივერსიტეტი კარგად უნდა შეეთავ- სოს თანამედროვე ევროპულ საუნივერსიტეტო სისტემას.

გიორგი ტყემალაძე: უნივერსიტეტის რექტორად ყოველთვის გამოჩენილი მეცნიერები იყვნენ, ამჯერად ჩვენ ავირჩიეთ შედარებით ახალგაზრდა მეცნიერი, რომელიც გამოირჩევა პატიოსნებითა და ზნეობრი- ობით, სამართლის თეორიისა და ფილოსოფიის ღრმა ცოდნით, საკმაოდ ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდი- ლებითა და ადმინისტრაციული მართვის უნარით, რაც მან დაადასტურა აკადემიის სისტემაში სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვა ნელობისას.

ჯუმბერ ჭუმბურიძე: მე იმედი მაქვს რომ უწინარეს ყოვლისა, მოხერხდება უნივერსიტეტში თანამშრომელთა გარკვეული ნაწილის დაბრუნება. ასეთი ნაბიჯი რექტორმა უკვე გადადგა — მოიწვია ზოგიერთი ისეთი სპეცია ლისტი, რომელთა საქმიანობა ათეული წლების განმავლობაში ნაყოფიერად

იყო დაკავშირებული უნივერსიტეტს. ისიც უნდა დავსძინო, რომ ამ შემთხვევაში რექტორმა გაითვალისწინა მრჩეველთა საბჭოს თხოვნა.*

უნივერსიტეტმა ადრეულ წლებშიც მრავალი სასიკეთო გარდასახვა განიცადა, მაგრამ ეს ყოველივე, ბატონ გიორგი ხუბუას მოსვლამდე, თვით დიდი ილია ვეკუას რექტორობის პერიოდსა თუ ვიქტორ კუპრაძისა და როინ მეტრეველის მესვეურობის ჟამს, ოდენ მომენტი იყო და არა — პროცესი, ვინაიდან ერთის მიერ დაწყებულს რადიკალურად გადაასხვაფერებდა მეორე. ან საერთოდ მიმართულებას შეუცვლიდა, მონეტას თავისი შეხედულებისამებრ მოჭრიდა და არა უ ენივერ-იტეტისთვის აუცილებელი სტრატეგიიდან. სხვანაირად ვეღარც მოიქცეოდა, ვინაიდან აქა-იქ გამობრწყინებული ეს ნათელი, ეს ნაკადული, კვლავაც უდაბნოს თაკარა ხახაში იკარგებოდა — სოციალ- ლისტური ერთსახოვნების ხახაში.

სენტენცია პირველი

პატარა ერის თვისებაა იჭვნეული დამოკიდე ბულება გარემომცველი სამყაროსადმი. ტურა სიფ- რთხილის ეტალონია თავის ჩხავილშიც, ხოლო ლომი დარდიმანდული ზმორებით მიაბოტებს პრერიაში. კოლოსალურია განსხვავება, მაგრამ პატარა ვერაფრით გადაიქცევა გრანდიოზულად. ამიტომაც ჩვენც არჩეული თემის შესატყვისად უნდა ვიმოქმედთ.

საუნივერსიტეტო გარდაქმნების ძირითად მიმართულებათა მთავარი ხერხემალი, მრავალ ჩინებულთაგან მხოლოდ ორ პიროვნებას აღუქვამს სრულფასოვნად — ბატონებს: ვაჟა ოყუჯავას და რევაზ გველესიანს. მთავარი და არსებითი ამ მიმართულებებისა, დიახაც, ქართული უნივერ- სიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესია. ეს ტერმინი საბჭოური მენტალიტეტიდან გაუფასურებულია ჩვენი სმენისათვის, რადგანაც ინტერნაციონალიზმი, ათქვეფის, გოგლიმოგლის კონცეფციამდე დაიყვანებოდა სოვეტოლოგების მიერ. მაგრამ ინტერნაციონალიზმის სათავეები ქრისტეს ბაგედან მოწვეთავს უწინარესად: გიყვარდეს მტერი შენი. ამას იქით არ არსებობს კაცთმოყვარეობის დოქტრინა.

ჭეშმარიტება, საერთოდ, მარტივია თავის აღნაგობით, მარტივი და უღრმესი, უბრალო და არა პრიმიტიული, გენია- ლურობის მთავარი საიდუმლოც აქ არის. ჩვენ გვილაპარაკია ზემორე ზიარი ჭურჭლის პრინციპის შესახებ და აქ ერთხელაც დავაკონკრეტებთ: XXI საუკნის მოთხოვნებს ნებისმიერი დისციპლინისადმი: პარტიკულარული, ვიწროპატრიოტული მსოფლმხედველობის ჩარჩოებით ამიერიდან ვეღარ იცლის ქართული ცნობიერების უმთავრესი საშჭედლო — უნივერსიტეტი. ზიარი ჭურჭლის პრინციპი მსოფლიო წყლებისათვის ყველგან და ყოველ- თვის ერთმნიშვნელოვანია. მისი დონე აღმოსავლეთ-დასავლეთსა თუ ჩრდილოეთ-სამხრეთში იდენტურია. ამიტომაც შეიძლება თამამი ნავიგაცია კონტინენტებს შორის სრუტეების მეშვეობით. ამიტომაც მიმოიცვლება მათში ნაკადები, თევზების ქარავანი, პლანქტონები თუ ფაუნა-ფლორის სხვა ეგზემპლარები. ხოლო ზღვის დონიდან ათასეული მეტრის სიმაღლეზე განთავსებული ბაიკალი, ბაიხაში, რიწა თუ სხვანი, დახშულია თავისთავში, ჩაკეტილი, იზოლირებული და ამდენად მოწყვეტილი მსოფლიოს წყლების კანონზომიერებებისაგან. ისინი მიკროკლიმატისა და სათბურის ხასიათის ეგზემპლარების ფორმირების ოსტატები არიან, მაგრამ საკმარისია ეს ეგზემპლარები მოხვდნენ მსოფლიო წყლების უკომპრომისო კონკურენციაში, რომ მსწრაფლ გაიწირონ. ვეღარ გაუძლებენ კოლოსალურ წყალწყვებს და პრესს. დიახაც, ზოგადი პროცესებისგან გადახრილ ეგზემპლარებს აყალიბებენ ისინი და ნებისმიერი მეცნიერების პოზიციიდან ამისთანა იზოლაციები მომაკვდინებელია თავად ინდივიდისათვის, კლანისთვის, ტომისთვის, ხალხისთვის, ერისთვის, სახელ- მწიფოსთვის. 2 x 2-მა არ იცის ბუნდოვანება. იგი მაინცდამაინც 4-ის ეკვივალენტურია არითმეტიკული პოზიციიდან. მაგრამ არსებობს 2 x 2-ის ირაციონალური გაგება — 5, რისი მეოხებით კოსმოსში გაღწეულა კაცობრიობა. ხოლო იზოლაციებს, კარჩაკეტილობებს, კონტინეტურ დახშულობებს რანაირ კანიბალიზმამდე მიჰყავს მსოფლიო, ცნობილია შუა საუკუნეების ისტორიიდან. კოლუმბის ექსპედიციებმა კონტინენტებად, კუნძულებად, უჯრედებად დანაწევრებულ დედამიწას შანსი მისცა ერთ სხეულამდე გაეცნობიერებინა თავისი სიმრავლე. მართალია, მრავალ უსამართლობასთან ერთად ამ ექსპედიციებმა საფუძველი ჩაუყარა ბევრ სიკეთეს, უწინარესად — ადამიანის ფასეულობების აღიარების დაჩქარებას — თუნდაც გენოციდების ფასად — ჯვრით, ცეცხლითა და მახვილით აღიკვეთა აცტეკებში ტოტალური კანიბალიზმი, გნებავთ რიტუალური მისტერიებით გამართლებული. ყოველწლიურად ამ ხალხში 20 000 ადამიანს სწირავდნენ მსხვერპლად მზის

ღვთაებას და შემდგომ ეგზალ- ტირებულ ბრბოს დასაჯიჯგნად მიუგდებდნენ გულამოცლილ ბომონს. აი, ეს აღკვეთა ესპანურმა ექსპანსიამ ამერიკის კონტინენტსა თუ ავსტრალიაში. ჩვენ შორს ვართ იმ მოსაზრებისგან, თითქოს ევროპული მისია ყოველთვის ეტალონის დონეზე აღასრულებდა თავის მსვლე- ლობებს, მაგრამ ეს პროცესები გარდუვალი იყო ზიარი ჭურჭლის პრინციპის პოზიციიდან— ერთი, პლანეტარული ცნობიერების, პლანეტარული აზროვნების, ზოგადკაცობრიული ფასეულობების დასამკვიდრებლად მსოფლიოში.

ქართულ ფოლკლორში გამოძერწილი ვეფხისა და მოყმის ლექსი, ორი ურთიერთ დაპირისპირებული ძალის ჭიდილია ოდენ, რაც ნებისმიერი ერის ზეპირსიტყვიერებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ქართველი დედის ფინალურმა სახემ დაამსხვრია პარტიკულარული ჩარჩოები და ახალი გასაქანი მიანიჭა ამაღლებულის საზრისს — მისასამძიმრებლად გაეშურა შვილმოკვდინებული ვეფხის დედისკენ და კონგენიალური ნაბიჯით ყველა ეროვნების მშობელს აასწრო უკვდავების მწვერვალზე. ამ თვალთახედვით ბატონი გიორგი ხუბუას „მიმართულებები“ არათუ ნოვატორულია თავისი ფორმა-შინაარსით, არამედ რევოლუციურიც ქართული სინამდვილისათვის. ეს ის პერიოდია, ჩვენი ისტორიიდან, როცა „თერგდალეულები“ გამოვლენ ასპარეზზე და დიდი ილია არნახულ რეკონსტრუქციებს ჩაუტარებს ჩვენი სულიერების დეფორმირებულ შენობას. ილია ამსხვრევს ელიტარულ საზოგადოებაში გაბატონებულ სნობიზმს, ხალხურ მეტყველებას უბრუნებს სიტყვაკაზმულ მწერლობას, პოეზიას, იმ ენას, იმ დაწდეებულ ნაკადს, რომლითაც ხალხი, ერი მეტყვე- ლებს, რომლითაც სასამართლო პროცესები იმართება. არადა, პოეტესებს და ბელეტრისტებს ღრანჭი მოქცევიათ ხელოვნური ბაბანით.

მალტის რეკონსტრუქციების შემდეგ მსოფლიო ნელ-ნელა ორი დაპირისპირებული ბანაკიდან, სოციალისტური და კაპიტალისტური ბანაკიდან, განსხვავებული სოციალური სიმძლავრის სივრცედ ჩამოყალიბ- დება და მკვეთრად შერბილდება „ცივი ომის“ სუსხი. შეწყდება ენერგიათა ხელოვნური დაგუბება. გამონთავისუფლდება ძალა ზიარი ჭურჭლის პრინციპით და ყველა ტბა და გუბურა კანკალით მიაჩერდება ოკეანეთა მშთანთქავ ძალისხმევას. გამთიშავი კედლების დანგრევა ჰგავს უშვე- ლებელი ჩადრის ახდას ზოგადკაცობრიული სულის მიჩქმალული ნაწილისაგან. ევროკავშირის მოდელი, დიდი აბრეშუმის გზა და ასე შემდეგ, ბატონი გიორგი ხუბუას „ძირითადი მიმართულების“ საბაზისო არგუმენტებია, რომელიც საგანმანათლებლო სპექტრით ასხივებს ამ ეტაპის ცივილიზაციის მდგომარეობას და მისწრაფებებს: ,,უნდა განისაზღვროს სამეცნიერო კვლევისა და სწავლების პრიორიტეტები და პოსტერიორიტეტები. ამ პროცესის უმთავრესი კრიტერიუმი იქნება სწავლებისა და კვლევის ხარისხი... უნივერსიტეტის სასწავლო დისციპ- ლინები უნდა ითვალისწინებდეს მეცნიერების სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს. მეცნიერებაში უკვე კარგა ხანია დაიმსხვრა დისციპლი- ნათა ძველი, ტრადიციული სქემა, მაგრამ, უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები დღემდე დარჩა სამეცნიერო დარგების ძველი სტრუქტურის ჩარჩოებში. სამეცნიერო დისციპლინების სტრუქტურებში მომხდარი ცვლილებები უნდა გახდეს ინტერდისციპლინური გამოკვლევებისა და სწავლების ინდივიდუალური პროფილის განვითარების საფუძველი.'' **გამოდის რომ ჩვენი უნივერსიტეტი ავტომატურად ჩაერთვება ზოგადკაცობრიული ცოდნის ქსელში და აქედან ერთი ნაბიჯი რჩება აინშტაინის „მსოფლიო მოქალაქეობამდე“.**

სენტენცია მეორე

დიდი ხანია ქართველი ხალხი მიესწრაფვის ევროპას, ევროპულ სივრცეს, მის ნათელს და გონიერებას. ჩვენ გვახსოვს სულხან-საბა ორბელიანი ლუდოვიკო XIV -ს კარზე, სხვანი და სხვანი, ამაო მეცადინეობანი შინ თუ გარეთ, ამ მიმართებით ციცინათელასავით გამობრწყინდება პირველი ეროვნული ხელისუფლება და მყისვე ჩაიხშობა სისხლიანი უხეში ხელით. კვლავ აზეითდება ქართული სული გასული საუკუნის სასრულს, შუშხუნასავით იფეთქებს უსის ხლო გაშარჯვება იმპერისლისტურ ძალებზე, და ისევ ბინდი, ისევ ზიგზაგიანი აღმართები სიზიფის ლოდისათვის. დიახ, მთელი არსებით მივესწრაფვით ამ ნანინატრ ევროატლანტიკურ სივრცეს, მაგრამ ჩვენი ქვის საუკუნის რუდიმენტული ტყაბუჭების გახდა გვიძნელდება, საკუთარ ოხშივარს ვერ ველევით, ხოლო ზიარი ჭურჭლის პრინციპით საერთო ქსელში ჩართვა, საერთო მდინარებაში შეტოპვა, ბევრ შემთხვევაში ტრომბის მაგვარი ალბათობაა პლანეტარული ცნობიერებისათვის. ამაზე ძალიან ცოტა ფიქრობს.

,,ინტერნაციონალიზაციის პროცესმა გეოგრაფიულად უნდა მოიცვას ევროპა, სამხრეთ კავკასია, ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ ამერ- იკა'', **აი, უმთავრესი პოსტულატი „მიმართულებებიდან," ანუ სამხრეთ კავკასია, კონკრეტულად კი საქართველო უნდა გახდეს პლანეტარული ყოფიერება-ცნობიერების ორგანული ნაწილი. დანარჩენი ღონისძიებები ტექტიკის საკითხია, ერთიანული გურმანობით შეკმაზული.**

,,აუცილებლად უნდა გაძლიერდეს ინგლისური ენის, როგორც საერთაშორისო სამეცნიერო ენის სწავლება სტედენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის'', **(აქ ხაზგასმითაა მითითებული „**ადმინისტრაციული თანამშომლებისათვის,**" რაც ინგლისურს მეორე სახელმწიფო ენის სტატუსს ანიჭებს. ამ პროცესის შედეგად ჩვენ დროთა ვითარებაში ხომ არ გვეშენერება სატილიტი ქვეყანის ბედი, როგორც ეს იყო გუბაზ მეფის დროინდელ ლაზიკაში, ალტერნატივით: ვისთან, რომელთან, ბიზანტიასთან თუ სპარსეთთან?! ან ერეკლე მეფის ზეობის ჟამს მოქოთქოთე ცოდვა-მადლი: ვისთან, რომელთან?! რუსეთთან თუ სპარსეთთან?! აქ ცალსახად მინიშნებულია სტრატეგიული ორიენტირი — ცივილურ მსოფლიოსთან ინგლისური ენის მეთაურობით.**

სენტენცია მესამე

შეუძლებელია მზის სხივის შეჩერება. ერთხელ გამონათებულს თვით გალაქტიკებიც ვერ შთანთქავენ. პრიმიტიულ სინამდვილეში კი შეიძლება შუქის მიღების წყარო დაახშო, მაგრამ ეს არ ნიშნავს სინათლის განფენის პროცესის შეფერხებას. ადამიანის გაქცევა ამ პროცესისაგან სასაცილოა, ტრომბს ქმნის, უმეცრების ვაკუუმს, ისევ და ისევ საკუთარი თავის საზიანოდ. სრულ სიბნელეში ნებაყოფლობით ეყუდება, შურუბუმუს წკვარამი გამოქვაბულის ტალანის ბინადარი ხდება და თავმომწონეობს კიდეც აულაგმავი მოუხეშაობით. „ძირითადი მიმართულებების" მიხედვით ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია უწყვეტი განათლების პროცესის დამკვიდრება, რაც მიღწევადია შრომის თავისუფალი ბაზრის მოთხოვნილებებზე ორიენტაციით, ცოდნის აქტუალობითა და ინოვაციის მაღალი ხარისხით. სააბისოდ კი საჭიროა ,,უწყვეტი განათლების სისტემაში ფართოდ დავნერგოთ დისტანციური და ელექტრონული სწავლება''. **მართალია, დიდადმნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის განახლება, აღორძინება, თანამედროვე ლიტერატურით შევსება, მაგრამ წიგნი თაროზე პასიური ცოდნაა, წიგნი უნდა წამოიმართოს თაროდან, მიმზიდველად აშრიალდეს მისი ფურცლები და პირველ ეტაპზე თავისთავად მიეჩეჩოს ხელებში სტუდენტს. ეს ერთგვარი ქინაქინის მიღების პროცედურაა ციებიანისათვის, ოღონდ სატკბარუნებლის თანხლებით.**

სენტენცია მეოთხე

გარდაქმნის აუცილებლობაზე ჩვენ ბევრი გვიწერია და მრავლადაც გვიკამათია მაღალჩინოსნებთან. ბატონ ალექსანდრე ლომაიას ძალისხმევას ნამდვილად უნდა ვუმადლოდეთ საშუალო ფენის წარმომადგენლები. რომ არა ის არნახული გარდაქმნის ტალღა, კვლავაც გარეთ დარჩებოდა უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა, გონიერი, თუმცა — გავლენიანი ნათესავების მეურვეობას მოკლებული. ორიათასის მიწურულს განათლების სისტემამ არნახული დევალვაცია განიცადა, სამასამდე უნივერსიტეტი აღმოცენდა საქართველოში და ყველას ნიჭიერების ერთადერთი კერის ეტალონად მოჰქონდა თავი. ეს კატასტროფა გარდაქმნამ თვალშისაცემად ალაგმა, ვგონებ უნივერსიტეტების რიცხვი 40-ამდე შემცირდა.

— 39-ია დღესდღეობით. ალბათ, კიდევ განახევრდებაო, — შემომე- პასუხება კვირეების წინათ ბატონი რამინ აბლოთია.

სოციალისტური პერიოდიდან მოყოლებული, ჩვენ მანიაკური გაცხოველებით ვესწრაფოდით, ცოდნის მიღებას კი არა, განათლებას და სინამდვილეში სერიულად ვამრავლებდით დიპლომიან ხეპრეებს. ამაზე მეტი მავნებლობა შეუძლებელია საკუთარი გენოფონდის მიმართ. შაჰ-აბასმა ვენახი აგვიჩეხა, მაგრამ საბედნიეროდ ღვინო ძველებურად იწურება საქარ თველოში, ხოლო გადაგვარებული სულიდან ბოროტება აღმოცენდება ადრე თუ გვიან, ვინაიდან ფსევდომეცნიერი საბოლოოდ არასრულფასოვნების კომპლექსისთვისაა განწირული. უნდა ჭეშმა- რიტების

მწვერვალების დალაშქვრა და ამავდროულად აღარ ძალუძს. დროთა ვითარებაში ასეთი ტიპი, ბუზღუნა, უმადურ, საბოლოო ჯამში მანკიერ ადამიანად ჩამოყალიბდება. ამისთანები სკაში მუქთახორების სახელით არიან ცნობილი, რომელთაც მუშა ფუტკრები ფრთებს გადაუღრღნიან და გარეთ გამოისვრიან. დღეს ინგლისური ავტომობილი ამოვარდნილია სტანდარტიდან, ტრადიციული მოძრაობის წესის გათვალისწინებით საჭე მარჯვნივ აქვს დამონტაჟებული და არ ექვემდებარება დანარჩენი მსოფლიოს მოძრაობის წესებს. იგივე ითქმის ჩინურ კედელზე, ამ წარმოუდგენელი მასის ზღუდემ ჩინური ეთნოსი ელეფან- ტიზმით დაასნეულა, თუმცა ეს ჰიპერტონიული სიმრავლე ვერაფრით გადაიზარდა ხარისხში — ჩინელებმა კი შექმნეს ატომური ბომბი და სა- ჰაერო ხომალდიც კი, თუმცა ვერც „ვეფხის ტყაოსანი“ დაგვიწერეს და ვეღარც „მრავალჟამიერი“ დააგუგუნეს. მისი გაფართოვების იმპულსი რათდენობრივობაშია ასახული, რომელსაც ქვეშეცნეულად მსოფლიოს ბატონობის იმპერიალისტური სწრაფვა კვებავს. პეიჯინგის ტალღა საგანგაშო ხდება დღითი დღე დანარჩენი მსოფლიოსათვის. ამისთანა ვითარებაში ფსევდოუნივერსიტეტებით სიცოცხლისუნარიანობა წართმეული ქართველი, დიახაც, ჩინური მცოცავი ექსპანსიის საზვარაკო კრავია, სხვა არაფერი.

სენტენცია მეხუთე

სამხრეთ კავკასიის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, აუცილებლად გასათვალის- წინებელია სომხეთის ფაქტორი. რუსეთის ელჩი საქართველში სომხეთის გავლით ბრუნდება ჩვენს ქვეყანაში. სომხური დიასპორა, მათი ლობი, კი ახერხებენ აშშ-ს კონგრესში საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენის ბლოკირებას, შეპირებულ ფულს ვერ გამოგვი- ყოფენ, აქამდე მუდამ ხელგაშლილი ამერიკელები, მაგრამ ქართული ეგზისტენციისათვის გამოჩნდება სრულიად განსხვავებული მესამე არენა, ასპარეზი, ნავსაყუდელი — თურქულ-აზერბაიჯანული კოალიცია, სადაც სომხეთის ზეგავლენები ნულის ტოლია. დიახაც, მათი ძალისხმევით დადებითად გადაწყდება გაზსადენის პროექტში საქართველოს მონაწილეობა, ანუ ღიად დარჩება ყარაბაღის პრობლემის ძალადობის ფაქტორით მოგვარების პერსპექტივა. თურქული სივრცე დღითი დღე რეალური ხდება ქართული სინამდვილისათვის: ტვირთბრუნვა, ტურიზმი, მუშახელის გადინება, ტრეფიკინგიც... იქ, მართალია, მიტაცებულია ძირძველი ქართული მიწები, ტაო-კლარჯეთი, ლაზის მესამედი საქართველო, იავარქმნილია ეკლესია-მონასტრები, დისკრიმინაცია განიცადა ქართულ-ლაზურმა ეთნოსმა, სარწმუნოება შეეცვალა უკლებლივ, მაგრამ ანთროპოლოგიურად მათ მოახერხეს ინდივიდუალობის შენარჩუნება — იმპულსებს გამოსცემს სხეული, ჭურჭელი და არა — სარწმუნოება. ქართული წარმომავლობის ადამიანები დღეს თურქეთში წარმატებული ბიზნესმენები არიან, აღორძინებენ ხალხურ შემოქმედებას, მღერიან მშობლიურ კილოკავზე და ა. შ. როცა საუკუნის წინათ 1,5 ჰ ამშვანს, გამაჰმადიანებულ სომეხს, გენოციდი მოუწყვეს თურმე და ამას წინათ ახალგაზრდა ჟურნალისტს ამ გენოციდის უხეში პროპაგანდისათვის ზედ წააკლავენ კიდეც. ამ გენოციდს საფრანგეთის გამოკლებით (სადაც 600 000 სომხური დიასპორაა) სრულიად მსოფლიო წაუყრუებს რატომღაც. თურქები ეთნოკომფლიქტს არქმევენ ყოველივეს და სომხური წარმომავლობის ინდივიდებს შლაგბაუმებს აღუმართავენ სახელისუფლებო ბერკეტებისკენ. არაოფიციალური ინფორმაციით თურქეთში 5 მილიონზე მეტი ლაზი და ქართველი ცხოვრობს. ისინი ერთმანეთს ბიძაშვილებს ეძახიან. ყოველივე ძალზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა საქართველოს ორიენტაციის ვექტორის გადახრისათვის რუსულ-ამერიკული ალტერნატივიდან.

სენტენცია მეექვსე

სტატისტიკა ვახსენეთ და რატომღაც ერთი ახლობელი პროფესორი გამახსენდა, რომელიც გარდაქმნის პროცესში გეშბანს მიღმა აღმოჩნდება. ამას წინათ ცნობილი კრიტიკოსის ჯუმბერ თითმერიას გასვენებაზე შეეხვდება და მეკითხება:

რომელიმე რედაქტორთან ვერ დამაახლოებო.

უფრო კონკრეტულად რომელთან-მეთქი.

რა ვიცი, ტრიბუნა მჭირდება, „საქართველოს რესპუბლიკის“ გარდაო.

რატომ გარდა-მეთქი.

იმიტომ, რომ იქ უკვე გამოვაქვეყნე რეცენზიაო. დამისახელებს ერთ ფუნქციონერ ავტორს და წიგნს. კოლხეთის ერთ-ერთ გამორჩეულ და მრავალრიცხოვან გვარზე.

რას ვერჩი იმ წიგნის ავტორს და თავად თხზულებას, მაგრამ ამნაირი შენტალიტეტის პროფესორები რომ მოგვიმრავლდა სავალალოდ, ქვეყანა აიწურა. მიეჩვივნენ ესენი უზრუნველ ცხოვრებას, მაღალ მდგომარეობას, სოლიდურ გასამრჯელოებს, პროტექციებს, ჩხიკვი-მამიდაშვილობას, საბოლო ჯამში ფული რომ გახლავთ და თავს გავიდნენ. ახლა სად მიუხვალ იმ რეალობას, რომ უცხოეთში გადაბარგებული ჩვენი დოცენტები და დოქტორები ბავშვების თუ მოხუცების მომვლელებად ძლივს ვარგებულან. ესენი ხომ სტატისტიკის ხალხია: ამდენი წლისამ დავიცავი საკანდიდატო; ამდენი წლისამ დავიცავი სადოქტორო; ამდენი ნაშრომი გამოვაქვეყნე, ამდენი წიგნი დავსტამბე, ხუთასგერდიანი, შვიდასგვერდიანი, ცხრაასი! თუმცა რა განძეულობაა „ამდენს“ მიღმა, არავინ კითხულობს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წლების მანძილზე ქმნიდა და ქმნის ზოგადკაცობრიულ ფასეულობებს, თუმცა დროთა ვითარებაში მნიშვნელოვან დევალვაციებსაც განიცდიდა. ფაქტი ჯიუტია, იყო პერიოდი, როცა საქართველოს ისტორია იდევნებოდა კვლევის არეალიდან. უძუნწესად წარმოაჩენდნენ კოლხეთს, აფხაზეთის პრობლემებს. მერე მოვიდა ეროვნული მთავრობა და ყოველი მიტუა თუ ძუკუ გამალებით ეძგერა ამ ყამირს. ეროვნული იდეოლოგიის მამებად მოგვევლინა ბევრი მედროვე პიროვნება. წლების მანძილზე წარმატებულად ისწავლებოდა უნივერ- სიტეტში სოციალისტური მოძღვრებები, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, საზოგადოებათმცოდნეობა, კომპარტიის ისტორიაც კი. აგერ, ბოლოთაშვილის მეთერთმეტე კლასის შუა საუკუნების ისტორიის სახელმძღვანელოში ჩავიხედე და ფრიად შემიღონდა გული, იქ მიზანმიმართულად კოლხეთის ჭაჭანება არ არის ცივილიზაციათა გვერდით. (ასევე არსად ჩამიჩუმობს კოლხეთ-საქართველო პოლიგრაფიულად ბრწყინვალე უცხოურ ენციკლოპედიებში.) არის შუმერი, არის ბაბილონი, არის ეგვიპტე, არის ჩინეთი, არის ინდოეთი, მაგრამ კოლხეთი — ნურას უკაცრავად — იგნორირებულია. რას აპირებს ამ მიმართებით გარდაქმნილი უნივერსიტეტი?!

სენტენცია მეშვიდე

მე ბატონ ჯორჯ სოროსის წიგნს ყურადღებით მივადევნე მზერა. გარკვეული ადგილიც კი დავუთმე ჩემს ბელეტრისტულ მატიანეში „სუფევა“. ბატონი სოროსი უდავოდ ნიჭიერი პიროვნებაა და უფრო მეტად — წარმატებული ბიზნესმენი. სოროსი აკრიტიკებს ბუშის ადმინისტრაციას და ამავდროულად მის კომპანიონადაც გვევლინება... თანაქმედების ასეთ კულტურას შეუთავსებელთა შეთავსების ხელოვნებასაც ეძახიან.

ამასთან სოროსი აბსოლუტურად გახსნილია თავიანთი ზესახელმწი- ფო მისიის წარმოჩენისას: ,,ტერორიზმის წინააღმდეგ ომის ჩვენი ეროვ- ნული სტრატეგიის ცენტრალურ ნაწილად გამოცხადებით, ჩვენ, როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყანა, აღებულ პასუხისმგებლობაზე უარს ვამბობთ. აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია იტვირ- თოს წინამძღოლობა იმ პრობლემებზე, რომელთა გადაჭრაც კოლექტიურ მოქმედებას მოითხოვს: მშვიდობის შენარჩუნება და ეკონო- მიკური პროგრესი, გარემოს დაცვა და ა.შ. ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკა ველარაფრით ახერხებს ბირთვული იარაღის წარმოების შეჩერებას ჩრდილოეთ კორეაში, საიდუმლოდ მოქმედებს ირანი, ავღანეთის პუშტანტურ რაიონებში თალიბანი გადაჯგუფებას ახორ- ციელებს. მოკლედ, ამერიკა მაგრადაა გაქაჩული. იგი ვიეტნამურ ჭაობში ჩაფლულა, საიდან გამოსვლასაც ვერანაირად ახერხებს, რადგანაც ომის შეწყვეტა ფაქტობრივად აღმოსავლეთის დაკარგვის მომასწავე- ბელია და იმ ნავთობისაც, რომელიც ამერიკის ეკონომიკის მთავარი სისხლია. არადა, 2003-2004 წლებში წყალში ჩაიყრება 160 მილიარდი ამერიკული დოლარი. აშშ არა მხოლოდ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ცენტრორია, არამედ გლობალიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალაც... თუკი რომელიმე ქვეყანაა მსოფლიო წესრიგზე პასუხისმგებელი, ეს არის აშშ''.

ამიტომაც ბუშის საომარ მოქმედებებს ერთბიროვნულად მიგებე ული შევარდნაძე, გასაკვირი არაფერია, მემუარებს წერდეს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ბუხარს მიფიცხებული, „ჩემი არჩევანის" მეორე წიგნის გასასრულებლად; თუმცა საქართველოში „ვარდების რევოლუციის" უზადო უვერტიურა უფრო შორსმიმავალი განაცხადია ბუშის ექსპანსიური პოლიტიკის აღსაკვეთად მსოფლიო მასშტაბით და ყველაფერზე დაყრდნობით, გამორიცხული არ არის მიხეილ სააკაშვილის ფენომენი სამივე ვერსიის ელემენტს შეიცავდეს პატროფილია-კოსმოპოლიტიზმის დასაზა- ვებლად.

სოროსი გადამეკიდაო, აცხადებს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარ- დნაძე მემუარების ახალ წიგნში ,,ფიქრები წარსულსა და მომავალზე''. მაინც ვინ არის იგი, მეცნიერი თუ თავისი ეთნოსის განსახლოებისათვის ნოყიერი ნიადაგის შემამზადებელი მესია?! ლეიბორისტები თითქოს თვალს აუხელენ ამერიკას ,,ვარდების რევოლუციის'' კატასროფული ფოთოლცვენით, კირაკოსიანს ეძახის ნათელაშვილი მილიარდერ კერკ კერკორიანს და ცხადლივ მიანიშნებს სოროსსა და სომხურ დიასპორას შორის არსებულ გარიგებას, რომელიც ორად ყოფას საქართველოს, აღმოსავლეთს ჰ აიასტანი ეუფლება და დასავლეთს — ისრაელი. აკი, ბერძენი ბერების დაჩიჩქნილი რუსთაველის ხატი მთლად ოქროსით შეიცვლება ბატონი ბადრი პატარკაციშვილის კურთხეული მარჯვენით.

და აქვე, წლების წინათ მას-მედია თვალებზე გვაფარებდა ალან დალესის, ჯონ რატკლიფის თუ კარმენ დოქტრინებს, როგორ, რანაირად უნდა გადაეგვარებინათ საზოგადოებები, ქვეყნები, მდარე ფასეულობების პროპაგანდით; როგორ მოესყიდათ საინფორმაციო საშუალებები; ადრეული ასაკიდან რანაირად ჩაენერგათ მოზარდებისათვის ძალადობა, სექსი და ა.შ. ხოლო მიხვედრილებისთვის ამ ტოქსიციდების ავტორებს მოეძებებოდათ სახელის გატეხვის, ჭორის დაყრის ნაცადი მეთოდები. მოგვიანებით ისიც გაეცინერდა, რომ ეს ანტიადამიანური დოქტრი ნები „სუკ"-ის მიერ შემუშავებული სამსალაა საბჭოთა ხალხის კაპიტალისტური ურჩხულით დასაშინებლადო, რათა მათში მაქსიმალურად შეიბოჭოს პროამერიკული სწრაფვაო. მიუხედავად ყველაფრისა დედაქალაქში დღეს სანთლითაც ვერსად იპოვით რუსულენოვან ფირნიშებს, არადა, სულ რაღაც 16 წელიწადი გასულა ველიკოროსული დერეკავის „დე-იურე" დემონტაჟიდან. ცხოვრებამ გაცილებით დაასწრო რეზოლუციებს რუსული ბაზების გადაშენების ასპექტით. ახლა როგორც უნდა იჭინთებოდეს პრეზიდენტი პუტინი, თბილისის ქუჩებში მოხვედრილი, შიშველიურ ატმოსფეროში თავს ნამდვილად ვერ იგრძობს. თუმცა ესეც ხომ მეორე უკიდურესობაა?! გამოვექეცით რუსულს და თავი ამოვყათით ამერიკულ გარემოცვაში...

სენტენცია მერვე

შეიცან თავი შენი, ეწერა ძველ ელადაში აპოლონის ტაძარის შესასვლელს — NOSCE TE IPSUM — უფრო დიდი მოწოდება სინათლისკენ კაცობრიობას ჯერეთ არ ახსოვს. უნივერსიტეტში ათწლეულების წინათ დიმიტრი უზნაძე ქმნის „განწყობის თეორიას", ნუცუბიძე-ჰონიგმანი ერთმანეთის დამოუკიდებლად აღიარებენ აღმოსავლური რენესანსის პირველადობას. რაღა შორს მივდივართ, აგერ, მეოცე საუკუნის სასროულს ბატონი ელგუჯა მეძმარიაშვილის სატელიტური ანტენა ერთხელაც გამოაბრწყინებს ქართული გონების შესაძლებ- ლობებს — ქართული პოლიფონია და ქორეოგრაფია

ბევრს ეთნოგრაფიული მონაპოვარი ჰგონია, არადა, სინამდვილეში უმნიშვნელოვანესია მათი როლი Homo Erectus-ის Homo Sapiens-ად ჩამოყალიბებაში. თავდაპირველად იგი იყო ადამიანის გაწონასწორების, ჰარმონიზაციის, სინქრონიზაციის საშუალება.

გარდაქმნის სიო, მიხარია უამრავ სივრცეს შეეხო, დამკვიდრდა უნივერსიტეტში ლაზურის სწავლება, მაგრამ ველარაფრით მოხერხდა „ქართველურ ენათა სინთეზური ლექსიკონის“ შექმნა, რომელიც დღემდე არსებულ „მამულს“ და „სამშობლოს“ დამატებით ოთხი სინონიმით გააქიდრებდა — სვანური „ლარდათი,“ ლაზური „დობადონათი,“ და მეგრული „ოდაბადე-ობადიშით,“ ესეც რომ არა, მსგავსი ლექსიკონი მნიშვნელოვნად შეამცირებდა დაშორებებს ჩვენს ეთნიკურ ერთეულებს შორის.

ხუბუას ჩვენი კუთხის წარმომადგენლებისთვის ინტელექ- ტუალური გენოციდი მოაწყობინებსო, მითხრა ერთმა გეომბანს მიღმა აღმოჩენილმა პროფესორმა, სხვათა შორის სიღლაბუსის მოთხოვნის დონეზე შემსრულებელმა. ეკონომიკაში დღეს მეგრული გვარის მეცნიერი არ ჭაჭანებსო. ის კი არა საქმეში ჩაუხედავმა გარდაქმნის მესვეურებმა გურული გოგი თოდუაც ზედ მიაყოლესო. მოგვიანებით გადავხედე უნივერსიტეტში ჩავლილი გარდაქმნის სტატისტიკას და გაირკვა რომ, ძირითადი გასხვლა ჰუმანიტარულ სფეროს განუცდია, სამაგიეროდ გაძლიერებულა ზუსტი მეცნიერებები. უნივერსიტეტის სადღეისო ვითარება რამდენადმე ენათესავება ბატონ ვიქტორ კუბრაძის რექტორობის პერიოდს, როცა უმოკლეს დროში სტუდენტების რიცხვი, 1000-იდან 500-ამდე ჩამოვიდა, განახევრდა. მაგრამ წავიდა ასპარეზიდან ქართველოფობი ხრუშჩოვი და სიტუაციაც სწრაფად შეიცვალა სასიკეთოდ.

დღევანდელ რეკონსტრუქციებს ოპოზიცია სსნის სოროსის ქართული გონიერების სიძულვილით. აკი, აღუნიშნავს ერთხელ: ოქროს საწმისზე ფიქრს და ლაპარაკს მოეშვითო.

სოშელს და ებრაელს აღიზიანებს, რომ ქართველი არათუ მათი ისტორიების თანაზიარი, უფრო ძველი ერიათ. გვახსენებენ ბიბლიურ წარღვნაზე შექმნილ ამერიკულ ფილმს, სადაც ნოეს კიდობნის გვერდით ბრიმიტიულ ოჩხომელზე ამხედრებულა წვერგაბებღილი ჩინელი.

კონკურსამდე უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ყოფილა 887 დოქტორი (20%), კანდიდატი (36%) და უხარისხო (44%), რაც კონკურსის შემდეგ ასეთნაირად გამოიყურება: დოქტორი (43%), კანდიდატი (53%) უხარისხო (4%)

მედიცინის ფაკულტეტზე 23 დოქტორი (30%), კანდიდატი (44%) და უხარისხო(26%) 75 პერსონალამდე გაზრდილა, ისე რომ, უხარისხო აქაც 5 პროცენტი დარჩენილა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 273 პერსონალი — დოქტორი (16%), კანდიდტი (56%) უხარისხო (28%) 149-მდე შემცირებულა, მაგრამ მოსულა გაცილებით მეტი დოქტორი (19%) კანდიდატი (60 %) უხარისხოთა შეზღუდვის ხარჯზე (21%).

ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზეც თვალშისაცემია გარდაქმნის ტენდენციები. 561 დოქტორი (24%), კანდიდატი (54%) და უხარისხო (22 %) 155 პერსონალამდე შეკვეცილა, სადაც გაზრდილია დოქტორის ხვედრითი წილი (47%), შენარჩუნებულია შუალედური თაძასა კანდიდატებისა (39%) და შემცირებულია უხარისხოთა რაოდენობა (14%). სამაგიეროდ კონკურსით გამოვლენილი გუნდი გამდიდრებულია 30 ახალ- მოსული კადრით, რომელთა შორის 10 დოქტორია, 16 კანდიდატი და 4-იც უხარისხო. *

ამგვარია უნივერსიტეტის გარდაქმნის სადღეისო სურათი, რომელიც დაუნჯებულ ანალიზს, დიახაც, ექვემდებარება და ისტორიკებისათვის ნიადაგი ნამდვილად მწირია. მთლიანად უნივერსიტეტში დასაქმებულ 547 დოქტორს და კანდიდატს უხარისხოთა მცირე ნაკადთან ერთად, მთების დაძვრა შეუძლია ადგილიდან, იღონდ იყოს სამაგისო ნება. ესეც რომ არა, „მიმართულებებში“ ჩადებულია გარდაქმნის ცდომილებებით უნივერსიტეტის გარეთ აღმოჩენილი ღირსეული პროფესორ-მასწავ- ლებლების რაიმე ფორმით მიზიდვის ტენდენციები. მართლაც დაშა- ფიქრებულია მათი ბედი. ეს ხომ მრავალთათვის მარტო სტატისტიკა არ არის, უწინარესად ღირსების საკითხია. ადამიანი წლების მანძილზე საზოგადოების თვალში იყო დოცენტი, დოქტორი, აკადემიკოსი, მეცნიერი ზოგადად და უცებ — კონკურსში ვერ გაიარა, ან შეშინდა და თავი აარი- და. არადა, უნივერსიტეტში დაწყებულია რესტავრაციის პროცესი, პრინციპით — კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმერთისა.

სენტენცია მეცხრე

ოპოზიცია ყველაფერში საგანგაშოს ხედავს, ანტიეროვნულს: ქართლის დედა დაფარულია წმინდა გიორგის მასონური ძეგლითო, გაიძახის; პარლამენტს წყალი შეუყენესო, ჩივის, გულისხმობს მის კიბეებზე აღმოცენებულ შადრევნებს; ეროვნული მოძრაობის სიმბოლო — ლოდი აშჯერად ხილული ხელების ცხრაკლიტულშია მომ-

წყვდეულიო, შფოთავს;

„რუსთავი 2-ის“ ლოგო ტრთას მეორე ცხენია ჩვენს დასაქცევად შემოგორებულიო, გოდებს და რიგითებს, ვერ გაგვირკვევია ვის მივაბეყროთ მზერა. აგერ, ჩვენს თვალწინ იქმნება საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია, რომლის პროგრამაში ჩახედვა სიხარულს გამოიწვევდა თვინიერ ქართველში, მაგრამ ოპოზიცია აქაც სიფხიზლის სადარაჯოზეა და ყოველივე განგებ შოგონილი საარჩევნო ტრიუკიაო, ხაფხაფებს; ცალ-ცალკე ქართული ცნობიერების დამანგრეველი თორმეტი ორგანიზაცია, გაერთიანების, გამსხვილების შემდეგ შეიწუხებს თავს ჩვენი აღორძინებისთვისო, იჭვნეულობს. პირიქით, უფრო დამანგრეველად შემოგვიტევენო, გაიძახის და საშუალო ფენა დაბნეულია. ქართული ცნობიერება აგონიაშია: თურმე მიზანმიმართულად ხორციელდება ჩვენი ინტელექ-ტუალური თუ ფიზიკრი გენოციდი.

სენტენცია მეათე

საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, ვეჭვობ, ანალოგი მოეძებნოს დროსა და სივრცეში. ეროვნული ხელისუფლების დამამხობელი პუტჩისტები „ვარდების რევოლუციამ“ უსისხლოდ ჩამოიცილა გზიდან. ძალზე ცოტა ჩინოვნიკი დააყოვნეს ოთხ კედელს შორის, ვისაც მილიონები ვერ დააყაჭვინეს, ჯერაც იქ ყურყუტებენ. ბატონ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა თავის დროზე მამა ბუშმა დინების აღმა ცურვას შეადარა ზეპატრიოტული მიზნების გამო, თუმცა ძალადობით მოსულმა პუტჩიანელებმაც ვერანაირი კონცეფცია შემოგვთავაზეს ქვეყნის აღმშენებლობისათვის. ახლა ერთიცა და მეორეც „ვარდების რევოლუციის“ კუსტარულ ოპოზიციად გვევლინება. სოროსი ვახსენეთ ზემოთ, რომელსაც მთავარ ოპონენტად მიიჩნევს ექსპრეზიდენტი შევარდნაძე. მის ფენომენზე ჯერჯერობით გვისაუბრია, აქ კი შეიძლება დავსძინოთ, რომ იგი კაცობრიობის ინტელექტის შეუდარებელი კონსტრუქტორია. სოროსის წინააღმდეგ პერმანენტულად ილაშქრებს პრეზიდენტ გამსახურდიას ქვრივი ტრანსპარანტებითა და ლოზუნგებით, მაგრამ ეს აქცია უფრო სანახაობას ჩამოჰგავს, ვიდრე პოლიტიკურ ნებას.

ყველაფერი კეთდება ქართული ცნობიერების დემონტაჟისთვისო, გაიძახის ოპოზიცია.

უტევენ მართლმადიდებლურ ეკლესიასო, ხმას იმაღლებენ მერამდენედ. ეთერში გაჟღერდება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე, რომელიც ზარების დარისხებას ედრება საზოგადოების გამოსაფხიზლებლად. გაზეთი „ლიტერატურული საქართველოდან“ თათია ამაშუკელი ქუდზე კაცს მოუხმობს ეროვნული ცნობიერების გადასარჩენად, ასი თავგანწირული მანდილისნის თანადგომის იმედი აქვს, რომლებიც ნამუსზე შეაგდებენ ერგას (50) გამოწშენდილ მამაკაცს მაინცო. ქართული ნება ხერხემალშია გადამსხვრეული. ხორციელდება შანიბოვის ჯერ კიდევ როდის დაქადნებული: ფრხილად იყავით ე მანდ, ქართველები, თორემ თბილისს ერევანად გადაგიქცევთო.

ოპოზიცია არ ისვენებს, ქართველების ინტელექტუალური გენოციდი გრძელდება ჩვენი ძირძველი მოსახლეობის ლუკმა-პურის საშოვნელად უცხოეთში გაძევებითო, სანაცვლოდ შემოჰყავთ ბოშები, ჩინელებიო. ასახელებენ სტატისტიკურ მონაცემებსაც — 25 000, 30 000... რათა ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას უცხო თესლი დაეპატრონოს, რომელსაც ნაკლები პრეტენზია ექნება აბორიგენობაზე და სერვილიზმს, მომსახურების მდგომარეობას დასჯერდებაო, განსჯიან. სამაგალითოდ იშველიებენ ბატონ აკაკი ბაქრაძის მიხვედრილობას, რომლის მიხედვით ამერიკის დამპყრობი თეთრკანიანი და მონობის ჯაჭვებს გუშინ გამოქცეული ზანგი, განუყრელი მეწყვილეები არიან კრამერის „გადაჯაჭვულიდან“ მოყოლებული, ხოლო იმ მიწა-წყლის ნამდვილი მეპატრონე ინდიელი რეზერვაციაშია კრამერისვე ბიზონებივით გამომწყვდეული კინოლენტის კვალობაზე „დალოცე ცხოველები და ბავშვები“.

ოპოზიცია ანათემას გადასცემს ინფორმაციის ნიაღვარს, სექსის, სიშტერის მოძალებულ პროპაგანდას. არ სურთ ქართული გენი გაიწიროს ახლო ქორწინებებისათვის, რომელსაც ინდბრინდიგი ჰქვია ბიოლოგიის ენაზე და უამრავი ფიზიკური-ფსიქიკური დეპრესიის სათავეა.

მოკლედ, მიმდინარეობს საზოგადოების მიზანმიმართული დამუხტვა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქართველი ოლიგარქების მიმართ განხორციელებულ ეკონომიკურ პოლიტიკას ბატონი ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფო რეკეტს უწოდებს. ჯორჯ სოროსი ეჭვობს, რომ ქართველებს ამ მცირე დროში მოგრთვებული ჰქონდეთ ეროვნული პოლიტიკის გასატარებლად რაიმე სერიოზული თანხა. ხოლო ესპანეთში ონიანებს თუ რუსეთში ასეულ ბიზნესმენს ანგარიშებს უყინავენ ფულიანი ქართველის შიშითო.

აი, რანაირი სიტუაციაა საქართველოს წიაღში. აი, როგორი საფიქრალით მივდგომივარ რექტორის კაბინეტის კარებს შეპირებული ბელეტრისტული ინტერვიუსათვის.

14 მარტი. 2007 წელი

— ბატონო, გიორგი, ჩვენ საკმარისად წარმოვუდგინეთ მკითხველს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მაშითადი. აწ დამდგარა შეჯამების წუთი. და მაინც იქნებ თქვენი პიროვნების ყოფითი დეტალები გამოიმეტოთ რამდენადმე. განსწავლის ეტაპები, ძირითადი მიდრეკილებები, ოჯახი, დედ-მამა, მეუღლე, შვილები. ჩვენ ხომ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ ეგზიუპერის თქმულისამებრ?!

— დავიბადე სენაკის რაიონის სოფელ უშაფათში. საშუალო სკოლა იქვე დავამთავრე და იმავე წელს ჩავირიცხე აფხაზეთის სახელმწიფო უნი- ვერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. კვალიფიკაციის მონიჭების შემდეგ ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სპეციალობით. პროფესორი გივი ინწკირველი გახლდათ ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი. სხვათა შორის, მე ვიყავი ბატონი გივის პირველი ასპირანტი. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში საკმაოდ ჭირდა ასპირანტურაში მისაღები ადგილები. ეს ფელაფერი მოსკოვში იგეგმებოდა და ზედმიწევნით ლიმიტირებული იყო იურიდიულ ფაკულტეტზე ასპირანტურა, თუმცა მართლაც ბედმა გამიღიმა და იმ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ სპეციალობით, რომელიც მე რატომღაც თავიდანვე მაინტერესებდა, სამართლის თეორიის სპეციალობა მაქვს მხედველობაში, პირველად გამოცხადდა მიღება ასპირანტურაში. შემდეგ აქვე, უნივერსიტეტში დაცული მაქვს საკანდიდატო, მოგვი- ანებით — სადოქტორო.

— თემას ვერ დაგვისახელებთ?

—სამართლის თეორია, სამართლის ფილოსოფია, სახელმწიფოს თეორია. უფრო კონკრეტულად კი ჩემი სადოქტორო დისერტაცია ეხებოდა სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის საკითხებს, კერძოდ — ფედერალიზმს. სათაური ამგვარი გახლდათ: „ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი". საკანდიდატო დისერ- ტაციისა — „კანონის კონცეფცია სამართლებრივ სახელმწიფოში".

— ფედერალიზმს ბევრს უტრიალებდნენ ჩვენში გასული საუკუნის დამდეგიდან. იბეჭდებოდა პუბლიკაციები ფედერალიზმის ფუნდამენტურ პრინციპებზე. ფარნავაზ-ქუჯიდან მოყოლებული საქართველო ხომ ტიპიური ფედერალისტური სახელმწიფო იყო წმინდა სისხლის ქართული ხასიათით?!

— ვიცნობ ამ წერილებს. მიხაკო ორაგველიძე და ასე შემდეგ. აქვე მინდა გაგიმხილოთ, რომ კონსტიტუციის კომენტარების ავტორი გახლავარ, რომე- ლიც ეხება ადამიანის უფლებებს. ეს ფაქტობრივად კონსტიტუციის პირველი კომენტარებია საქართველოში. აღნიშნული პროექტი განხორციელდა მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც მე ექვსი წლის განმავლობაში ვიყავი დირექტორად. ძირითადად მთელი ჩემი აკადემიური ბიოგრაფია, მთელი კარიერა წარიმართა აკადე- მიურ წრეში, უნივერსიტეტში.

— გერმანიასთან რანაირი დამოკიდებულება გაქვთ?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ როგორც მეცნიერის ჩამოყალი- ბებაში გერმანიამ განსაკუთრებული როლი ითამაშა. მოგეხსენებათ გერმა- ნული სამართლებრივი კულტურა. გაკვრით რომ შევეხე ზემოთ თქვენს ჩარ- თვას ფედერალიზმთან დაკავშირებით, ეგეც გერმანიის ზეგავლენებია. იქ ფედერალიზმს დიდი ყურადღება ექცევა და მასთან დაკავშირებული საკითხები უმაღლეს დონეზეა დამუშავებული. ცნობილია თავისი დიდი ტრადიციებით, სამეცნიერო სკოლებით. გერმანული საფუძვლიანობა მეცნიერებაში, მართლაც გამორჩეული ფენომენია.

— Vielleinkeit, — ჩავერთვები და სიტყვას ხელად აიტაცებს.

— ჰო, ფედერალიზმი ჭეშმარიტად კანტისეული „მრავალერთიანობის" გამოხატულებაა. მით უფრო სამარ- თლის ფილოსოფიაში, რომელიც ჩემი ვიწრო ინტერესის თემას შეადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ გერმანული ფილოსოფიის მხრებზე დგას თანამედროვე დასავლური სამართლის ფილოსოფია მთლიანად. მართლაც განუზ- ომლად დიდი როლი შეასრულა გერმანიამ ჩემს ფორმირებაში, როგორც მეცნიერის, ისე — პიროვნების.

— შეჩნეული მაქვს თქვენი პუნქტუალიზმი, ცხრის ორმოცდახუთ წუთზე ყოველთვის საშუშაო მაგიდას უზიხართ ფოსტის გასარჩევად.

— შინაგანი წესრიგის გარეშე არაფერი გამოვა.

— არის ამნაირი გამოთქმა გერმანულში: Geld verloren, nichts verloren, lieben verloren — viell verloren, zeit verloren — alles verloren.

— ეგ ანდაზა მე სხვანაირად მახსოვს. მთავარი კრიტერიუმი მგონი იქ რწმენაა, თუმცა არც დროა ხელწა- მოსაკრავი სიდიდე. საბოლოოდ დროში განიზომება ყოველივე.

— თვით აინშტაინის ფანტასტიკური ფორმულაც კი — $E = MC^2$. წაკითხული გექნებათ მისი ინტერვიუ რაბინდრანათ თაგორთან. იქ ობიექტური ჭეშმარიტების არსებობა-არარსებობაზე მსჯელობს გასული საუკუნის ორი გიგანტი. ენერგიის ტოლობა მასისა და სინათლის სიჩქარის კვადრატზე საბოლოო ჯაშში დრომდე დაიყვანება. მაგრამ გაგვექცა საუბარი.

— არაფერია.

— მომიტევეთ ისევ ჩაგერთვებით საუბარში. გავიხსენებ მეგობრის ქალიშვილს, რომელიც მოსკოვში სწავლობდა იურისპრუდენციის განსრით და აქ გადმოსვლის შემდეგ ერთი კურსით დაბლა ჩარიცხეს, თანაც 10 თუ 12 საგანი ხელახლა გაუხდა ჩასაბარებელი, მიუხედავად იმისა, რომ ფრიადოსანი სტუდენტი ყოფილა. იმდენადად განსხვავებულია თურმე ჩვენი საუნივერსიტეტო რეპერტუარი რუსულისაგან. ეს ყველაფერი ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, მუჭა ქართველები, თუნდაც იურისპრუდენციის თვალსაწიერით, გაცილებით ინტეგრირებულნი ვართ ევროპასთან, ვიდრე ჩრდილოელი მეზობელი?!

— აქ ეჭვის შეტანა უადგილოა. ჩვენ ხუთმაგად, ათმაგად ინტეგრირებულნი ვართ განათლებისა და მეცნიერების ევროპულ სივცეში, ვიდრე ბევრი ჩვენი მეზობელი. ეს ყოველივე საქართველოში უფრო დინამიურად მოხდა, იმიტომ რომ კულტურულად ქართველობა ყოველთვის თავისთავს ამ სივრცის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებდა და როგორც კი დადგა ამისი რეალური შესაძლებლობა, როდესაც მოიხსნა ყოველგვარი ფორ- მალური წინააღმდეგობა ამ ინტეგრაციის გზაზე, აქტიურად წარიმართა ინტეგრაციის პროცესი, თუმცა აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენი კანონმდებლობა დღეს გაცილებით ინტეგრირებულია დასავლურ სივრცეში, ვიდრე თვითონ იურიდიული აზროვნების წესი და იურიდიული აზროვნების კულტურა. რაც შეეხება კონკრეტულად იურიდიული აზროვნების კულტურას, ჩვენ ბეჯითად და მიზანმიმართულად ვუბრუნდებით დასავლურ და ევროპულ ორბიტას, რომელსაც ბედის უკუღმართობამ მოგვწყვიტა. მოკლედ, გაცილებით მარტივია კანონმდებლობის შეცვლა, როგორც კარგის, ისე ცუდის, ვიდრე აზროვნების წესისა და სწორედ ეს, პირველ რიგში ეს ფუნქცია, თავის თავზე უნივერსიტეტმა უნდა აიღოს, რადგანაც აზროვნების კულტურა მხოლოდ და მხოლოდ განათლების პროცესში ყალიბდება, მით უფრო, რომ როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა, იგი განუყოფელი ნაწილი იყო ევროპული სივრცის.

სხვათა შორის პირველი, ბატონი ირადიონ სურგულაძის, სადოქტორო დისერტაცია სამართლის სფეროში 1926 წელს, გერმანულ ენაზე იყო წარმოდგენილი უნივერსიტეტში. იმდენად თავისთავად გასაგებ ფაქტად აღიქმებოდა ეს. მაშინდელი პროფესურა თავსუფლად ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას, რადგანაც აბსოლუ- ტურად თითოეული მათგანი ნაზიარები იყო ევროპულ კულტურას. გერმანულ ენაზე დაცული პირველი სადოქ- ტორო დისერტაცია იურისპრუდენციაში მხოლოდ 2000 წელს ვთარგმნეთ და გამოვეცით ქართულად — „ხელის-უფლება და სამართალი".

— და ეს ცხადია, მაშინ არ აღიქმებოდა ქართული ენის დაკნინებად, ქართველობის შეურაცხყოფელ ფაქტად. იგივე პროცესი მიმდინარეობდა ლიტერატურაშიც. ცნობილია „გველის პერანგის" ავტორის, გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი რომანები. მეუღლე გერმანელი ჰყავდა იმ დენდს. მისმა დისშვილმა, მწერალმა ავთანდილ ჩხიკვიშვილმა გამოსცა მოგვიანებით რეაბილიტირებული ავტორის თხზულებათა სრული კრებული. მეც გერმანისტი მეთქმის, გაქცეულ ბავარიელს მოვაბრუნებ საჭიროების შემთხვევაში. ყველაფერი იმას მოვაყოლე, რომ გასული საუკუნის დამდეგს ჩვენ გერმანელებთან გაცილებით მჭიდრო კონტაქტები გვქონდა, ვიდრე საფრანგეთთან და ინგლისთან. ვგონებ ამის გამოც წავიმტვრიეთ ფეხი ლორეს მიმართებაში. დამარცხდა გერმანია. ინგლისმა მხარი სომხებს დაუჭირა და ჩვენი ძირძველი მიწები უსირცხვილოდ მიიტაცეს. აი, სად შეიძლება გადაებას, ბატონო გიორგი თქვენეული „სამხრეთ კავკასიის ინტეგრირება დანარჩენ მსოფლიოსთან." ლამის საუკუნეა სომხეთ-თურქეთს შორის დამოკლეს მახვილივით ჰკიდია 1915 წლის მილიონნახევარი მაჰმადიანი ჰამშვანის გენოციდი. ჯერ-ჯერობით ერთადერთმა საფრანგეთმა, ბატონ შირაკის პიეზიდენტობის დროს ცნო ეს ფაქტი იქაური 600 000 დიასპორელი სომხის გულის მოსალბობადო არჩევნების სწორზე. არადა, გენოციდი ნამდვილად იყო. დამოკლეს მახვილივით ჰკიდია სომხეთ-

აზერბაიჯანს შორ- ის ყარაბაღიც. იქაც ცვიოდა მაღალი სართულებიდან ადამიანების მოჭრილი თავები. როგორ და რანაირად წარმოგესახებათ ამ ორი, ფრიად შეუთავსებელი განზომილების ჰ არმონიზაცია?!

— ჯერ გერმანიის თემაზე საუბარს დავასრულებ. ხშირად, რატომღაც იურისტების წრეში, უნდათ ძალიან არაკომპეტენტურად წარმოაჩინონ, რაღაც არაჯანსაღ დაპირისპირებად კონტინენტურ-ევროპული სამარ- თლისა და ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახები. ეს არის აბსოლუ- ტურად უსაფუძვლო მსჯელობა. ეს არის ზოგიერთი ჩემი კოლეგის მხრიდან თვითდამკვიდრების ძალიან მახინჯი ფორმა. ვერანაირი ანტა- გონიზმი არსებითად ამ ორ მიმდინარეობას შორის არ არსებობს. ორივე ეს სკოლა, ორივე ეს ოჯახი — ანგლო-ამერიკული და კონტინეტურ-ევროპული დღეს ვითარდება ინტეგრაციის მიმართულებით. ამიტომაც ბუნებ- რივია, გერმანული მიმართულება აბსოლუტურად არ გამორიცხავს ანგლო-ამერიკული სამართლის საკითხების აღიარებას და მისადმი ერთგულებას, პატივისცემას. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას... ისევე როგორც ვამბობთ უმაღლესი განათლების ერთიან სივრცეზე ზოგადად, აუცილებლად უნდა ვისაუბროთ მომავალში სამხრეთ კავკასიაშიც ამ ასპექტით. მიუხედავად პოლიტიკური ორიენტაციის განსხვავებული ვექტორებისა, სამხრეთ კავკასიაშიც აბსოლუტურად რეალური და განსაკუთრებით აქტუალური უნდა იყოს სწორედ განათლების ერთიანი სივრცის ჩამოყალი- ბება, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს იმასაც, რომ ეს რეგიონი იქნება გაცილებით ჰომოგენური. აქ საუბარია ფასეულობათა ერთი- ანობაზე და არა როგორც მომენტი სამივე ქვეყნისათვის, რომ ჩვენი ერთი- ანობა უნდა ეფუძნებოდეს ძალიან პრაგმატულ პრინციპებს. და ეს ერთიანობა როდესაც დაეფუძნება პარტნიორულ საწყისებს, ასევე განსაზღვრულ ერთიან ფასეულობებს, სამივე ქვეყანას ინტეგრაციის მართლაც დიდი პერსპექტივა გააჩნია.

საერთოდ, კულტურა, მე ვფიქრობ, ეს არის დიალოგის კულტურა. და ის პრობლემები, მათ შორის კონფლიქტები, რომლებიც რეგიონებში უმთავრესად ინსპირერებულია გარედან, უმოკლეს დროში გადაიჭრება უშუალოდ დიალოგების სახით. დარწმუნებული ვარ, რომ როდესაც სამხრეთ კავკასიაში ჩვენ შევძლებთ ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბებას, უცილობლად გვეყოლება ძალიან სერიოზული პარტნი- ორები თითოეულ ქვეყანაში და რაც მთავარია, ეს პარტნიორები გვეყოლება ახალგაზრდობაში. აქვე შეუძლებელია რეგიონში ინტეგრაციული პროცესები ნორმალურად წარიმართოს, თუკი მასში შემავალი ქვეყნები თავიანთი განვითარების დონეებით იქნებიან სხვადასხვა სიბრტყეზე. აუცი- ლებელია, რომ მათი განვითარების, როგორც ტემპი ისე დონე მეტნაკ- ლებად მიახლოებული იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ მხრივ განათლება ძალიან დიდ როლს ასრულებს და უფრო მეტს შეასრულებს მომავალში. ანუ განათლებული საქართველო შეიძლება იყოს ძლიერი საქარ- თველოც, ისევე როგორც განათლებული აზერბაიჯანი, განათლებული სომხეთი, ორივე — ძლიერი და ამდენად თანაქმედებისათვის მზად, რაც სამწუხაროდ ჯერჯერობით ვერ ხერხდება. უნივერსიტეტებს შორის თანამ- შრომლობის სურვილი არის. ესეც დიდი მონაპოვარია. ჩვენ ოპტიმისტები ვართ და ერთობლივად ვაჯობებთ საუკუნოვან კარჩაკეტილობებს. დღეს დასავლეთ ევროპაში ჩვენ გაცილებით მეტი პარტნიორი გვეგულება, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. აუცილებელია ეს პიარები წარიმართოს ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით პერიფერიული ჯგუფების დონეზე. ჩვენი ხედვაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მომავალი ინტეგრაციის თვალსაზ- რისით უნდა იყოს ზედმიწევნით პერსპექტიული, განუხრელად მიმართული მომავლისაკენ. რაც არ უნდა ამძიმებდეს ამ ურთიერთობებს წარსულის ტვირთი, ჩვენ უნდა შეგვეძლოს პრობლემებზე ამაღლება, უნდა შეგვეძლოს პატი- ებაც, იმიტომ რომ პატიება სიძლიერის ნიშანია, სუსტი ვერ გაპატიებს. ამასთან, კავკასიური ხასიათიც რაღაც- ნაირად დაგვეხმარება აი, ამ გაუგებრობების დაძლევაში.

— იქნებ ჯერ ოჯახზე საუბარი დაგვესრულებინა?

— მყავს მშობლები და ამით მართლაც ბედნიერი კაცი ვარ. ისინი ახლა აქეთკენ ცხოვრობენ, თბილისის სიახლოვეს. დედა გვარად სიჭინავაა. მამა — გიორგი ხუბუა. მე მამის მოსახელე ვარ. მაყავს კარდიოლოგი მეუღლე ნატო კაკულია და ორი ვაჟიშვილი. ბედნიერი მეთქმის იმ მხრივაც, რომ ბედმა იშვიათი ბუნების თანამეცხედრე მარგუნა, განსაკუთრებით ჩემთვის ამ უმძიმეს ბოლო პერიოდში, ნამდვილი თანამებრძოლივით მიდგას მხარში. რკინის ქალამნები ჩაიცვა. ალმასის სიბარსეს ამჟღავნებს ურთიერთობებში, თანაც ვერაფრით გამიგია საიდან პოულობს ამდენი სითბოსა და ადამიანურობის მობილიზებას. ამ ბოლო პერიოდში ცოტა დრო მრჩება ოჯახი- სათვის, ბაშვებისათვის, რასაც მართლა განვიცდი, მაგრამ ნატო ყველგან და ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზეა. ბიჭებს განსაკუთრებით სჭირდებათ მამა და აქ წაყრუება არაფრით იქნება. უფროსი

თორმეტი წლისაა, გიორგი ჰქვია. დათო უმცროსია. ოჯახი, რა თქმა უნდა მთავარი ფაქტორია ნებისმიერი კაცის პროფესიულ კარიერაში. შეუძლებელია კაცი წარმატებული იყოს, თუკი მას ოჯახი ხელს არ შეუწყობს. თუკი დილით ოჯახიდან დალაგებულ გუნებაზე არ მოდიხარ, მაშინ, ცხადია, სამსახურში უბრალოდ განახევრებული კაცი ხარ.

— მორგანს თუ დავესესხებით, გნებავთ ენგელს, ოჯახი საზოგადოების სხეულის შშენებელი პირველი უჯრედია, საძირკველი.

— დიახ, მით უფრო პატრიარქალურ საქართველოში. ჩვენში ოჯახის კულტი ტრადიციულად რჩებოდა და ეს აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს, რადგანაც სწორედ ის არის პირველსაწყისი, გნებავთ თქვენებური უჯრედი, რომელიც საბოლოო ჯამში განაპირობებს ნებისმიერი საზოგადოების სახეს და სტრუქტურას.

— ჟენევა, რუსეთი, იაპონია... მინდა წამოწყებულ საუბარს მივუბრუნდეთ, საშხრეთ კავკასიის ინტეგრაციას, ჩვენი უნივერსიტეტის ხვალინდელ დღეს. ურაპატრიოტული დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი წარსულ ჩაბარდება ხვალ-ზეგ. ჩვენ გვენატრება ისეთი უმაღლეს სასწავლებლის ჩამოყალიბება, რომლის კურსდამთავრებულს უპრობლემოდ შეეძლება საშსახურის დაწყება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

— უმთავრესი პრიორიტეტი უნივერსიტეტისა გახლავთ სწორედ ის, რომ უახლოეს პერიოდში ჩვენ 2010 წლამდე ვიყოთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ნაწილი და როგორც ვთქვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსების დროს გადაუჭარ- ბებლად იყო ამ სივრცის ღირსეული ნაწილი. ჩვენს უნივერსიტეტს აქვს იმისი ჯანსაღი პრეტენზია და ამბიცია, რომ იყოს წამყვანი უნივერ- სიტეტი. ის სტუდენტები, რომლებიც დამკვიდრდებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისაბაძნი უნდა იყვნენ მეზობელი ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებისათვის. მაგრამ ცხადია, ეს არ არის ადვილი მისაღწევი. გეთახმებით, რომ უნისვერსიტეტს რაღაც სხვა მისია ჰქონდა მაშინ. როდესაც ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვიყავით და მაშინ ეროვნული თავისუფ- ლების, თვითმყოფადობის იდეა მართლაც ზოგადად თავისუფლების იდეა ეკლესიასთან ერთად შევინარჩუნეთ, თუმცა მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, შეიცვალა უნივერ- სიტეტის მისიაც. დღეს არ არსებობს იმაზე უფრო ეროვნული, იმაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე ქვეყნისათვის, ვიდრე უნივერსიტეტმა მოამზადოს სახელმწიფოსთვის საჭირო მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომლებიც კონკუ- რენტუნარიანნი იქნებიან არა მარტო საქართველოს შრომის თავისუფალ ბაზარზე, არამედ კონკურკენტუნარიანნი იქნებიან ევროპის მასშტაბით. საქართველო ვერასოდეს გაუწევს კონკურენციას სხვა ქვეყნებს იაფი მუშახელით, როგორც ამას აკეთებენ ზოგიერთი აზიის ქვეყნები, ანუ ჩვენი ძალა და ძლიერება შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ინტელექტი. სხვა განვითარების პერსპექტივა ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია. გვქონდა ჩვენ, აი, უახლოეს პერიოდში საკმაოდ დამამცირებელი მდგომარეობა, რომელშიც ვარდებოდნენ ჩვენი კურსდამთავრებულები, ვთქვათ, ევროპაში მიდიოდნენ და მეოთხე კურსელს აუცილებლად პირველ კურსზე დასვამდნენ. 2010 წლიდან ეს უკვე არ იქნება, რადგანაც მოხდება კრედიტების ჩათვლა და ჩვენი კურსდამთავრებული აღიარებული იქნება ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების მიერ. ამ ამოცანის ფუნქცია უნივერსიტეტს მხოლოდ საკუთარი რესურსებით, ცალკეული მიმარ- თულებები მაქვს მხედველობაში, გაუჭირდება. უწინარესად ეს ეხება ისეთ მიმართულებებს, რომელთაც სამწუხაროდ ჯერაც ბოჭავს იდეოლოგიის მსახვრალი ხელი, თორემ არის მთელი რიგი მიმართულებები, განსაკუთრებით ზუსტ საბუნებისმეტყველო მეცნი ერებათა ფაკულტეტზე, სადაც ჩვენ დღესვე შეგვიძლია შევთავაზოთ უცხოენოვანი, ინგლისურ- ენოვანი სამაგისტრო პროგრამები და ინტერესი ამ სამაგისტრო პროგ- რამების მონაწილეობისა და სწავლისა ძალიან დიდია ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, თურქეთში, ირანში, ინდოეთში.

ჩვენ შეგვიძლია საინტერესო საგანმანათლებლო ცენტრის როლი შევასრულოთ მთლიანად ამ რეგიონის მასშტაბით და არა მარტო აზიის ქვეყნებისათვის, მაგალითად, მიუნხენის ტექნიკური უნივერ- სიტეტი, რომელიც შედის მსოფლიოს 50 წამყვან უნივერსიტეტის სიაში, მოწადინებულია მოხდეს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების განხორციელება, ანუ იმ ფორმით, რომ მიუნხენიდან ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები აქ ჩამოვიდნენ და მოისმინონ ცალკეული სამაგისტრო პროგრამები მათემატიკის და ფიზიკის მიმართულებით. სამომავლოდ ჩვენთვის პრიორიტეტული არის სწორედ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების განხორციელება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან. ცხადია, ყველა უნივერსიტეტი ერთი და იგივე დონის არ არის. შესაბამისად ამ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შესრულებაზე უკვე აქტიურად ვმუშაობთ. წელს იურიდულ ფაკულ- ტეტზე განხორციელდება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა უნივერსი- ტეტთან ერთად,

რომელიც დამთავრდება ერთობლივი დიპლომის გაცემით. ანუ თბილისშივე შეუძლია ახალგაზრდას მიიღოს არა მარტო თანამედროვე ევროპული დონის შესაბამისი განათლება, არამედ სიტყვისთვის, კიოლნის უნივერსიტეტთან ერთად, მიიღოს კიოლნის, ევროპული უნივერსიტეტის მიერ აღიარებული დიპლომიც.

წელს 7 ერთობლივი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა ხორცი- ელდება და ჩვენ 2010 წლისთვის გვინდა, რომ სულ მცირე 5-ჯერ მეტი იყოს ამ პროგრამების რაოდენობა. გვინდა განვახორციელოთ ინტენსიური სწავ- ლების დასავლური ტიპები, მაგრამ, ცხადია, ეს არ გულისხმობს, რომ რაღაცნაირად შეიძლება ჩვენ დავაზარალოთ ქართული განათლების სისტემა. პირიქით, ჩვენ ისე გავაკეთებთ, რომ ქართული კულტურა გაცი- ლებით ძლიერი იყოს, იმიტომ რომ იგი ყოველთვის იყო ღია. მას არასოდეს ჰქონდა თვითიზოლაციისკენ მისწრაფება და ვფიქრობ, ჟამთა ტრიალში ეს არის მისი საარაკო გადარჩენის ერთ-ერთი საიდუმლო. ამიტომაც რაც უფრო მაქსიმალურად ღია ვიქნებით ჩვენი სწავლების განსხვავებული კულტურის დადებითი გამოცდილი გააზრებისათვის, მით უფრო ძლიერი ვიქნებით, როგორც ქართული საგამანათლებლო სივრცე გლობალიზაციის საერთო ტენდენციების გათვალისწინებით. გლობალიზაცია ისეთი რამაა, რომელსაც ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით. ერთი ჩემი კოლეგა გლობალიზაციას ადარებდა მთიდან მოვარდნილ მდინარეს, რომელსაც შეუძლია ყველაფერი წალეკოს, თუკი სწორი არხებით არ მიმართავ. და თუკი სწორი არხებით დაიმირჩილებ ამ სტიქიას, მას შეუძლია ხრიოკი უდაბნოც კი ნაყოფიერ წალ- კოტად გადააქციოს. ჩვენ სწორედ უნდა გვეყოს საამისოდ ჭკუა, რათა ეს უდიდესი ენერგიისა და სიძლიერის დინება საქართველოს სასარგებლოდ გამოვიყენოთ. საქართველომ ამ პროცესში მართლაც მხოლოდ და მხოლოდ უნდა მოიგოს. მით უფრო, რომ ქართულ ეროვნულ თვითმყოფადობას არა- ვინ ემუქრება და მერწმუნეთ, არც ვინმეს გააჩნია აკვიატებული იდეა, რომ ქართული კულტურა წაილეკოს დანარჩენი კულტურების მხრიდან. ჩვენ ისეთ კატაკლიზმებს გავუძელით, რომ 21-ე საუკუნეში მცირე ერების ცნობიერების, კულტურათა გადარჩენის პრობლემა გაცილებით ნაკლები სიმძლავრისაა, ვიდრე აქამედე.

— ჟენევა, ჟენევა ბატონო გიორგი?

— ბოლო პერიოდის ვიზიტის დროს შვეიცარიაში გვქონდა შეხვედრა გოთური კვლევების ევროპულ ცენტრთან: ჟენევის, ფრაიბურგის უნივერ- სიტეტებთან. ჟენევის უნივერსიტეტი არის საერთაშორისო სამართლის და ადამიანის უფლებების სფეროში წამყვანი უნივერსიტეტი, თუნდაც იმიტომ, რომ ჟენევაში კონცენტრირებულია გაეროს ძირითადი ინსტიტუტები და ძალიან სასიხარულოა, რომ მისმა რექტორმა აბსოლუტური მზადყოფნა გამოთქვა ასეთი ერთობლივი პროგრამების განხორციელებაზე, კონკრეტუ- ლად — საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ურთიერთო- ბების მიმართულებით. ჩვენ ამ ზაფხულში, ალბათ, სასერთიფიკატო პროგ- რამას განვახორციელებთ ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტთან ერთად, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ელიტარული დაწესებულებაა. ამ მიმართულებით ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორები მზად არიან მონაწილეობის მისაღებად მიმდინარე სამაგისტრო პროგრამებში, ხოლო მოგვიანებით, სავარაუდოდ უკვე მოხდება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების ჩამოყალიბება.

გვქონდა შეხვედრა შვეიცარიის ელჩთან, შვეიცარიაში საქართველოს ელჩთან და ისინი მზად არიან დაფინანსების თვალ- საზრისით დაუჭირონ მხარი ამ ერთობლივ პროექტებს და ასეთი თანამშრომლობის გეოგრაფია ჩვენი უნივერსიტეტისათვის არის ძალიან ფართო — ევროპა, ამერიკა, სეულის უნივერსიტეტი. რამდენიმე დღის წინათ რექტორისაგან მივიღე წერილი და ისინი უკვე ითხოვენ ქართული ენის სპეციალისტს, რომელსაც შეუძლია ინგლისურ ენაზე წაიყვანოს ლექციები, ანუ სეულის უნივერსიტეტში ჩვენ შეგვიძლია უჯრედი შევქმნათ, ვთქვათ, პატარა ინტერიერი ქართული ენის შესწავლის მიზნით და საქართველოს ისტორიის მიმართ ინტერესი უკვე კორეაშიც ძალიან დიდია. უახლეს ხანში ჩვენთან გაიხსნება იაპონური კულტურის ცენტრი. ჩვენ დიდ პერს- პექტივებს ვხედავთ იაპონიასთან თანამშრომლობის მხრივ. მსოფლიოში მეორე ინდუსტრიული ერია, მოგეხსენებათ და, შესაბამისად ინტერესი იაპონური კულტურისადმი ძალზე დიდია. ჩვენ გეოგრაფიული არეალი არ გვზღუდავს, თუმცა მთავარი კრიტერიუმი თანამშრომლობისა, ყველგან და ყოველთვის იქნება, ცხადია, უნივერსიტეტის დონე.

— ბატონო გიორგი, ჩვენმა საუბარმა თანდათან ცალსახად გამოკვეთილი შინაარსი შეიძინა — მთავარია სახელმწიფოებრივი აზროვნება. და კიდევ — კოლექტიური პასუხისმგებლობა ერთობლივ მომავალზე. ეს უკანასკნელი ვიწრო გაგებით ერია, ქვეყანა, ფართო თვალდასაყდვით კი — დედამიწა, კაცობრიობა. ახლა ჩემთვის გასაგებია რამხელა როლი ენიჭება თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტს თუნდაც პოლიტიკური თვალსაზრისით. ცნობილი დოქტრინაა: ექიმის შეცდომა კლავს ერთ კონკრეტულ ავადმყოფს, ხოლო პოლიტიკოსის ცდომილება — ქვეყანას, მილიონებს. ჩემთვის ახლა დღესავით ნათელია თბილისის უნივერსიტეტის კოორდინატები, რომ მას მხოლოდ განათლების პრეროგატივა როდი აკისრია, არამედ — უზარმაზარი სახელმწიფოებრივი მისია. თქვენი თქმით გასული საუკუნის გარიჟრაჟზე თბილისის სახელ- მწიფო უნივერსიტეტი წარმართავდა ქვეყნის თითქმის ყველა საჭირ- ბოროტო პრობლემას. მანამდე ნებისმიერ საზოგადოებრივ საფიქრალს ნეტარხსენებული ილიას შუბლის ძარღვი ედგა დედაბოძად. იგი ნამდვილად იყო ფეხზე მოსიარულე ცოცხალი ძეგლი. შემდგომ ქვეყნის უგვირგვინო მეფეს უნივერსიტეტმა ჩამოართვა ესტაფეტა. ყოფილიყო ცოცხალი ნეტარხსენებული, მე არ დამჭრდებოდა ამ პროექტის კარდაკარ ჩამოტარება თანამზრახველების მოსამზადებლად, რადგანაც გენიამ არ იცის ყოყმანი, იგი სინათლის სხივივით სწრაფია და პირდაპირი გადაწყვეტილების მიღებაში.

ჩვენ საუბარი გვაქს საუკუნის ერთ-ერთ უგანათლებულეს პიროვნებაზე. მე არ ვგულისხმობ მხოლოდ მის ქონებრივ მდგომარეობას. ეს გახლავთ ჯორჯ სოროსი. სოროსზე საქართველოში რამდენიმე დამოკიდებულებაა, ხშირად რადიკალურად ურთიერთგამომრიცხავიც. სოროსზე არსებობს კოლექტიური დამოკიდებულებებიც ქვეყნების სახით. მაგალითისათვის, რუსეთის დამოკიდებულება, უკრაინის დამოკიდებულება და ასე შემდეგ. მე გაცნობილი ვარ ამ პიროვნების ერთ-ერთ თხზულებას და გათცებული დავრჩი მისი პრაგმატული და ამავდროულად პლანეტა- რული აზროვნების დონით. ამჯერად ბატონი სოროსის ხსენება დაგვჭირდა პროექტ „ვეიმარასთან“ მიმართებაში, რომელიც გახლავთ ზენიჭიერი, ფენომენური მონაცემების მოზარდის აღმოჩენის, დაკვალიანებისა და ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანის პროექტი. იგი მიზნად ისახავს მეხუთე კლასელი, 12-13 წლის ბავშვის გამომზეურებას და საგანმანათლებლო სივრცისგან მოუწყვეტლივ ინდივიდუალურ განსწავლას. ასეთი ბავშვი ყოველ 1000 ეგზემპლარში მხოლოდ ერთია ჩვენეული გამოკვლევებით. ცდები ტარდებოდა ვიზუალურად თბილისის მეტროპოლიტენის 20-ივე სადგურში. და კიდევ გასაწვევ პუნქტებში. მეტროპოლიტენის სადგურებში გამოკვლეულია 600 000-ამდე მოქალაქე, წვევამდელთა პუნქტებში 120 000 მეტი ყმაწვილი. შესწავლილია მათი ტერფების აგებულება და სახის აღნაგობა. მეტროპოლიტენის ცდისპირები ძირითადად ქალები იყვნენ, რომლებიც ღია ფეხსაცმლით მგზავრობდნენ. ამასთან ესკალატორით მოძრავი მოქალაქე საშუალებას იძლეოდა მომენტალურად დაგვეფიქსირებინა ჩვენთვის საჭირო მონაცემები შუბლის თაღთან მიმართებით. გაანალიზებულია ჩვენი ეკლესია-მონასტრების ასობით ხატი. მართლმადიდებლობას ეს მომენტი გასაოცარი სიზუსტითა და სიფაქიზით აღუბეჭდავს. წმინდანი, როგორც წესი, ბერძნული ტერფითაა წარმოდგენილი. როცა ტერფი დაბალგანვითარებულია, შემოსილია წაღით ან ანაფორითაა დაფარული. შევისწავლეთ ელინური სკულპტურა და რენესანსის ფერწერული ტილოები, სადაც ბერძნული ტერფი ყველგან ეტალონის მნიშვნელობითაა წარმოდგენილი.

საერთო სტატისტიკით დასტურდება, რომ საშუალო ფენის ქართველს (აქ მოქმედებდა აგრეთვე ნაციონალური შტრიხებით გამორჩევაც), ყოველ 1000 ეგზემპლარიდან ერთს გააჩნია ბერძნული ტერფი და 80 გრადუსს გადაცი- ლებული შუბლის თაღი ერთდროულად. თუკი მონაცემებს განვაზოგადებთ მთელს მოსახლეობაზე, გამოდის რომ საქართველოს დაახლოებით 50 000 გენიალურობის მატარებელი გენოტიპი ჰყავს. ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უცნობია რანაირია ეს მაჩვენებლები ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, ან რანაირია იგი ევროპის, აშშ-ს, მონგოლოიდურ და ნეგროიდულ რასებში. ჩვენ აქ სიფრთხილით ვეკიდებით რასობრივ საკითხებს. ჩვენი კვლევის მონაცემები შეესებას მოითხოვს ელიტარული საქართველოს კუთხითაც, ვინაიდან დარწმუნებული ვართ, ელიტა გაცილებით რაფინირებულია ამ ასპექტით. თანაც შუბლის თაღის მართებულობებს მნიშვნელოვანწილად ამცირებს ქალის მშობიარობა, ორსულობისას ბევრი მანდილოსანი არ მისდევს ფიზიკურ ვარჯიშებს, მადიანობას ვერ თრგუნავს და ნაყოფი ერთობ ზორბა უჩნდება. მშობიარობის პროცესში კი უსულგულოდ ირღვევა რაფინირებული ჩვილის იერსახე.

პროექტი „ვეიმარა“ შორს დგას რასიზმის დემაგოგიისაგან. იგი ზოგად- კაცობრიული იდეალების სამსახურში მოიაზრება და არ ცნობს „მაინ კამპფის“ ანტიკაცობრიულ არიელ უპირატესობებს, რის საბაბით გონება- ამღვრეულმა შიკლ გრიუბერმა ოსვენციმისა და ბუჰენვალდის გზას გაუყენა მილიონობით ადამიანი.

პროექტი „ვეიმარა,“ პირიქით, თანადროულად გამოარჩევს 12-13 წლის მოზარდს თანატოლებისაგან. აქ შეუძლებელია ადამიანის უფლებების დარღვევასთან გვქონდეს საქმე, ვინაიდან როგორც ნაკლებად ნიჭიერს აქვს ამ ქვეყნად თავისი უგერგილობით ტკბობის უფლება, ისე უფლება აქვს გენიოსს საკაცობრიო საქმეთათვის მოეკლინოს ქვეყნიერებას.

მე მქონდა ბედნიერება მეთანამშრომლა ლამაისტებთან, ბუდისტებთან, მუსულმანებთან, რაბინებთან. მათ ბევრი ეზოტერიკული, დაფარული ცოდნა გააჩნიათ ამ მიმართებით, რომელთაგან მხოლოდ უმნიშვნელოს გიზიარებენ. თანამედროვე მსოფლიო მილიარდებს აბანდებს ნიჭიერი ხალხის მოსაზიდად. ადრე საინტერესო ნაშრომებს შეისყიდიდნენ ხოლმე. ახლა უშუალოდ პიროვნებასთან ფორმებენ კონტრაქტს და ფაქტობრივად ტვინია ნაყიდი. საქართველოში გამართული ვიქტორინები, შოუები, ეტალონები, სხარტი გონების ბავშვებს უცხოეთის ინტელექტუალური ბაზრისთვის გამოთავლენენ ხოლმე, მაგრამ არის კი ნამდვილად გენიოსი ამ მეთოდით გამორჩეული მოზარდი? გენიოსი ნიჟარაში მომწყვდეულ მარგალიტს ჰგავს. მას გარეშე პირობები წარმოაჩენს უმეტესწილად. გენიოსის მონაცემების მატარებელ ინდივიდს თავად შემეცნებული არა აქვს საკუთარი შესაძლებლობები. მას ყველაფერი ჩინებულად გამოსდის, თამაში, საქმე, მაგრამ მთავარზე მათვარი სიმდიდრე — ზეგონივრულობა მთვლემარე მდგომარეობაშია. სანამ ვინმე არ ჩართავს მას ამ პროცესში, იგი ყოველთვის რიგითი იქნება. ხოლო ტალანტს ან ნიჭიერს არასდროს შეუძლია გენიოსის შეცვლა. მათ ნამოქ- მედარს ყოველთვის აკლია რაღაც ღვთიური ნაპერწკალი, გუბდება კვაძლი და ცუცხლი არ ჩნდება. გენიოსი მაქსიმალურად ორგანიზებული პიროვნებაა. მისი მთავარი კოზირი სიტუაციაში უსწრაფესი გარკვევაა და მოვლენე- ბისადმი ადეკვატური რეაგირება.

ვხედავ არსად მერევა საუბრისას. სკამის საზურგეს მიყრდნობილი გამომცდელად მიმზერს. მობილური გამორთო. დროდადრო თვალები მაძის საათისკენ გაექცევა. ჯერ შეპირებული 20 წუთი დამრჩენია. მინდა ლაკონური მონოლოგი გამომივიდეს, მაგრამ სიტყვა გამირბის. უამრავი არსებითი განზე მრჩება. სანტიაგოს თევზს ვგავარ ზვიგენებისგან გაძვალულს. —

გლობალიზაცია ვერ ახერხებს მონოლითის შექმნას. სამხრეთ კავკასიის დისჰარმონიული ატმოსფეროც ამ დიდი სხეულის პატარა რგოლია. არადა, იწურება დედამიწის საარსებო რესურსები. თვალშისაცემი ხდება ენერგე- ტიკული კრიზისი, კვების პროდუქტების დეფიციტი. თვალშისაცემია ეკოლო- გიური პრობლემები. ამისთანა პირობებში 20 000, 50 000, 100 000 გენიოსის მოსვლა კაცობრიობის ყოველდღიურ არენაზე ჩვენი ცივილიზაციის სწრაფი ადაპტაციის გარანტიაა კოსმოსთან. ფენომენური ნიჭის მოზარდების გამოვლენა-დაკვალიანებით, კაცობრიული ცნობიერების ჩამოყალიბებით მათში, ერთ თაობაში (25 წელი) საგსებით შესაძლებელია დედამიწისეული აქოლეგსის ქუსლების განკურნება — ონკოლოგიური, ენერგეტიკული და ეკოლოგიური პრობლემები.

კომპიუტერულმა საუკუნემ უნდა გააფართოოს ჩვენი მოქმედების არეალი ძზის სიტყვაში. აქ კი ენერგიაა საჭირო და სიჩქარე. აქ ახალი აზროვნებაა მოსახმარი. გენიოსი, ფენომენი თავისუფალია ეროვნული რეკვიზი- ტებისაგან. იგი ზოგადკაცობრიული ფასეულობისაა. რუსთაველი მშობლიურია ინდოელისთვისაც, არაბისთვისაც, ჩინელისთვისაც, გერმანელისთვისაც და ამერიკელისთვისაც. გენიოსია ქრისტე, როცა მარიამი ნახევარ და-ძმებს მიჰვერის მოძღვარს და აი, შენი და-ძმანი გეახლნენო, ეტყვის. უფალი ხელს მოავლებს საზოგადოებას და ასეთნაირად განაცხადებს: აი, ჩემი და-ძმანიო. ანუ ჭეშმარიტად საკაცობრიო საქმეა გენიალური ჭურჭლის გამოვლენა ასევე ზედაშე ღვინოს შესანახად, რომელიც ბუნებრივია, თავისთავში გულისხმობს ეროვნულსაც. კეთილი ნების შემთხვევაში, პროექტი „გვიმარა "გაცილებით უკეთეს მეცნიერულ სახეს შეიძენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და შვედეთი დღეს ნობელის პრემიით რომ სულდგმულობს, შეეცია — ბანკების, საქართველო აყვავდება არა მხოლოდ დიდი აბრეშუმის გზის ეკონომიკური შხეფებით ან ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ჭყუმპალაობით, არამედ ქვეყნის უპირველეს ცოდნის ციტადელში მომზადებული პროექტი „გვიმარა" გახდებოდა მისი სწრაფად დაწინაურების ქვაკუთხედი. პროექტი „გვიმარა", რომელიც ფენომენური ნიჭის ხალხის ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანის მეთოდოლოგიაა, სულ რაღაც რამდენიმე ათეულ წელიწადში მოგვეელინება ატომური მუხტის შემცველ სტრატეგიულ იარაღად. ამასთან ეს ცოდნა, ეს მიდგომები, მალამოსავით მოუშუშებს იარებს სამხრეთ კავკასიის ჩიხში შესულ დაპირისპირებასაც. და აქედან მოყოლებული საერთო საზრუნავს და ინტერესს გაუჩენს, როგორც აზერბაიჯანელებს, ისე — სომხებსაც. ამ გადასახედიდან აფხაზურ-ოსური ტრომბიც მსწრაფლ განიკურნება, ვინაიდან მთელი კავკასია დაიმუხტება უმთავრესი ფასეულობის — ჩვენი გენიოსი თაობის მოვლა-პატრონობის საშვილიშვილო მისიით.

— მე, როგორც მეცნიერების წარმომადგენელმა, თამამად შემიძლია ერთი რამ ვთქვა, რომ საქართველოში სოროსის ფონდი ,, ღია საზოგადოების" მხარდაჭერით, სწორედ რომ მართლაც მოხერხდა ქართული მეცნი- ერების შენარჩუნება, გადარჩენაც კი. რადგანაც დღემდე არსებითად მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში მოხდა ისე, რომ ქართული სახელმწიფო აფინანსებს სამეცნიერო პროექტებს და მეცნიერებს. ორი წლის წინათ იყო, როდესაც პრეზიდენტის ფონდიდან დაფინანსდა ქართველი სტუდენტების სასწავლებლად მივლინება საზღვარგარეთ. მანამდე ძირითადად

მთელ რიგ სამეცნიერო პროექტებს ბოლო 15 წლის განმავლობაში არსებითად აფინანსებდა უცხოური ორგანიზაციები და მათ შორის ლომის წვლილი მიუძღვის ფონდ „ღია საზოგა- დოებას", რომლის მხარდაჭერითაც უშუალოდ მე განვახორციელე რამდენიმე პროექტი და მათ შორის ბოლო — სახელმწიფო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სამართლის თეორიაში. იგი ფონდ „ღია საზოგა- დოების" მიერაა გამოცემული. ამიტომ დიდი უმადურობა იქნებოდა, რომ ეს არ აღგვენიშნა და არ დაგვენახა, დაგვევი წყებინა.

სწორედ ქართველი მეცნიერების და ზოგადად ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლების მიმართ იაფფასიანი, ზედაპირული იარლიყები ნებისმიერი პოზიციიდან სხვა თუ არაფერი, დიდი უსამართლობაა. მით უფრო მე ვიცი რამდენად სერიოზული პროექტები არის დასახული „ღია საზოგადოებას" საუნივერსიტეტო განათლების თვალსაზრისით. რამდენიმე დღის წინათ ჩვენთან იყვნენ სტუმრად ბუდაპეშტის „ღია საზოგადოების" უნივერსიტეტის წარმომადგენლები და ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოს გარანტი- რებული აქვ ს მხარდაჭერა იმ რეფორმების პროცესში, რომელიც მიმდინარეობს დღეს კონკრეტულად უმაღლესი განათ ლების სფეროში. ეს ეხება როგორც სასწავლო პროგამების განვითარებას, ასევე სახელმძღვანელოების ჩამოყალიბებას, სახელმძღვანელოების შექმნას, მათ გამოცემას; ქართველი პროფესორების მივლინებებს დასავლეთში, სტუდენ- ტების ურთიერთ გაცვლას, ანუ საუნივერსიტეტო ცხოვრების მეტნაკლებად საინტერესო ასპექტს.

აბსოლუტურად გეთანხმებით იმაშიც, რომ ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტამდე სკოლამდელი აღზრდისა და სკოლის პერიოდში განათლების საკითხი. შეუძლებელია ჩვენ საუნივერსიტეტო განათლების სფე- როში დავნერგოთ თანამედროვე სტანდარტები, თუკი უკვე ადრეულ ასაკიდანვე არ შევუწყობთ ხელს გამორ- ჩეულად ნიჭიერ ახალგაზრდებს. თვითონ უნივერსიტეტში ჩვენ ჩამოვაყალიბეთ „ნიჭიერ სტუდენტთა ხელშე- წყობის ფონდი". ეს მოხდა წელს პირველად. დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარის ოდენობით არის ეს ფონდი დაფინანსებული, რომელიც სწორედ რომ წაახალისებს გამორჩეული ნიჭისა და ინტელექტუალური პოტენციალის მქონე ახალგაზრდებს. მეცნიერება არ შეიძლება იყოს ზოგადად მასობრივი. მით უფრო, როცა თვალის დახამხამებაში ჩნდება სრულიად ახალი მიმართულებები. დღეს შეუძლებელია მეცნიერს მეტნაკლებად საფუძ- ვლიანი ცოდნა ჰქონდეს ყველა სფეროში. დღეს ადამიანმა უკვე გაოცების უნარი დაკარგა, რაც უწინარესად მეცნიერების არნახული განვითარების შედეგია. ყველა ჩვენი პროგრესის მთავარი საფუძველი ხომ სამეცნიერო იდეა გახლდათ და მეცნიერული აღმოჩენა. მე ძალიან საინტერესოდ და განსაკუთრებული მხარდაჭერის ღირსად მიმაჩნია სწორედ ისეთი პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება, გამორჩეული ნიჭისა და ინტელექ- ტუალური შესაძლებლობის მქონე პიროვნებების გამოსავლენად და მათი ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი მიესალმება ნებისმიერ პროექტს და მზად ვართ უნივერსიტეტის სახელითაც წარვადგინოთ ეს პროექტი იმ იდეიდან გამომდინარე, რა იდეაც თქვენ გაგაჩნიათ.

„რუსთავი-2-ის" ლოგო — ტროას ცხენი საქართველოსთვის

მე თავის დროზე საჯაროდ განვაცხადებ: „ერთი სამშობლო სჯობია ორს-მეთქი" და თუ არ გაამარ- თლებს, უწყის 99 წლის 1 ნოემბრის საქართველომ.

ასევე თანადროულად ვუმხელ ფართო აუდიტორიას, რომ მიუხედავად ანტიეროვნული ბაცი- ლის შემოპარვისა, „მაესტროს" შემოქმედებითი პალიტრაც ზედმიწევნით ნაზიარებია „რუსთავო- რელების" კოსმოპოლიტურ ხელწერას. ისინი ეძებენ, იქექებიან ყველგან: ხაერში, ხმელეთზე, წყალ- ში, დაყვლეპილი თვალებითა და სასაცილო იერით, ბუდარაობენ, ჩხირკედელაობენ და წარმოგიდ- გენიათ წარმატებით პოულობენ კიდეც ანტიპოეზიას, ანტისიმღერას, ანტიქორეოგრაფიას ეკრან- ზე გამოჩენის სურვილით გონებადაბინდული უნიჭოების სახით.(„მაესტრო" „რუსთავორელების" ძალუმად გაფაჩუნებული ფესვია პირველ არხში), პირველი ტელეარხი ათასგზის მამულიშვილუ- რია „რუსთავი-2"-ზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი ჩვენი მრავალსახოვანი დეგრადაციის, ჩვენი თვით- მყოფადობის მიზანმიმართული ზესიმძლავრის რადიაციული გამოსხივებაა ყოველგვარი უხამსო- ბის აღვირახსნილი პროპაგანდით, და თუ დროზე არ აილაგმება მისი პარპაში, ერთობ საგანგაშო შედეგებია მოსალოდნელი უახლოეს მომავალში.

მაგრამ დავიწყოთ იმით, რომ შეუძლია კი დღეს პროფესიონალ მწერალს ლაღად, თუ ვერა,

სულის მოსაბრუნებლად მაინც იარსებოს.

აი, ამ კითხვის გარკვევის შემდეგ მთავარ სათქმელთან მისასვლელი ბილიკებიც გაადვილდება რამდენადმე.

დღევანდელ საქართველოში საპენსიო გარანტიები წმინდა წყლის ბლეფია: ელექტროენერგიისა და პურის კომპენსაციას ჩვენ ურცხვად საპენსიო გარანტიებს ვუწოდებთ, როდესაც ეს თანხა ერთ სულ მხცოვანს მხოლოდ პურზე თუ ჰყოფნის მთელი თვე.

ასევე ბლეფია სახელმწიფო დოტაცია მწერლებზე 50 ლარის ოდენობით, (სტიპენდიად წოდებული ეს თანხა სულ მალე შაგრენის ტყავივით 22 ლარამდე შეიკუმშება), როცა საქართველოს მოქალაქის სასიცოცხლო კალათა 180 ლარს აღემატება. ესე იგი სასიკვდილო ვითარებისგან მწერალი სახელმწიფოს მიერ მხოლოდ ერთი მესამედითაა გამოხსნილი.

5 მილიონიან საქართველოში გვებევრება 400 მწერალი.

ეს რა ამბავიაო, თავში ხელები წაგვიშენია და მარაზმული გონებასუსტობით ვივიწყებთ, რომ თხუთმეტჯერ მრავალრიცხოვან საფრანგეთში 60 000 ლიტერატურული პრემიაა, სხვადასხვა რაკურსით, სხვადასხვა შტრიხით და ნიუანსით.

დიახ, ქართველ მესიტყვეზე საცოდავი დღეს არავინაა მთელს დუნიაზე.

იგი მშიერ-მწყურვალი ერკინება უფალს იაკობსავით, დიახ, მშიერ-მწყურვალი და ამისთანა დევგმირს სამადლოდ გადმოყრილ ფუნჩხაზე, რა ღორულად შეექცევიო, წააყვედრო, ხომ არის უსინდისობის ჭერი და კენწერო?!

კი, ბატონო, დაგვეფინანსებინა 20-30 მწერალი სოლიდური სტიპენდიით, სოლიდური გასამრჯელოთი, □ჯერ ერთი, ღმერთმა უწყის თანხის გამცემი ხალხი რა პრინციპით შეადგენდა ამ სიას, რა კრიტერიუმით დაადგენდნენ ნამდვილ და შემთხვევით მწერლებს; ვის მიანიჭებდნენ უპირატესობას იმათ, რომლებმაც ოცი წლის წლის წინათ გამოძერწეს თავიანთი შედევრები და დღეს შორიდან შესციცინებენ სანობელო მწვერვალებს გულხელდაკრეფილნი, თუ, რომლებიც ეს-ეს არის ადუღაბებენ ახალ „თუთაშხიებს“ და „აველუმებს?“, მაგრამ რა პირით შეგვეხედა მერე თითქოსდა ნაკლებხარისხოვანი დანარჩენისათვის?!

ტყეში ყოველი ბუჩქი, ყოველი ბალახი და ბაობაბი ერთ სისტემას ემსახურება — უსიერის პოლიფონიას, უღრანის სემანტიკას უმცირესიდან უმაღლესისაკენ;

ხოდა, ასევეა ბელეტრისტიკაშიც, სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც, ვინაიდან ქართველი ერის სულიერი სიჯანსაღის შემადგენელი ნაწილებია რუსთაველის: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“; თუ კალე ბობოხიძის: „ამ ტყეს, ამ ცას, ამ ღელეს, სიყვარული ამღერებს“;

რომ „ცისფერყანწელების“ პოეტური განმანათლებლობა გალაკტიონის მოსავულკანებელი აუცილებლობაა. ეს ნაწილისა და მთელის ერთიანობაა, მაგრამ როგორც ჩანს, ყოველივე სახელისუფლო ჯეელების თავზე სახარების კითხვის ტოლფასია ლუპუსების მიმართებაში.

დიახ, ყველაზე დაუცველი ფენა დღევანდელ საქართველოში მწერალია, ბელეტრისტი, სიტყვის ქურუმი, ღმერთის დამჯაბნავი იაკობი, თავად უფალთან გაიგივებული განზომილების — სიტყვის უპრეტენზიო მსახური, ჩვენი სულიერების დალაი-ლამა.

ერთ კოლეგა-მეგობარს არ მონაწონება თურმე ეს ეპითეტი, იგივე მოძღვარის, ქურუმის, სულიერი მედროშის ქვეტექსტი; თურმე ნანახი ხყოლია ტიბეტში მონგოლეთის მღვდელთმსახური, საზოგადო სიბრძნის ფეხზემოსიარულე ზღვა-ორკიანე, პოლიტიკურ ფუნქციებსაც რომ ითავსებს აქაიქ მამულის ჭირისუფლის კვალობაზე.

არ ვიცი, იმ ჩემი ცოდვით სავსე კოლეგა-მეგობარს რისთვის მოძულებია რეალური დალაილამა, მაგრამ განა სიბრძნეს მასკულატურა ამკვიდრებს ენგიდუნიაზე? ხოდა, იმის თუ სხვათა გასაგონად გამიმეორებია:

ნურავინ შეეცდება საქართველოს მომავალს წაართვას სამშობლოს ნამდვილი ლოცმანი, მამულის ჭეშმარიტი ბაირახტარი, მემლექეთის შეუდარებელი მეციხოვნე, დობადონას უმაგალითო მაჯაში და შემტყვებარი; ასეთი დალაი-ლამა ჩვენი შურობუმუსათვის, ჩვენი საქართველოსათვის მწერლობაა და ერთად ილავლავონ მავანთა, ოღონდ ქარავანი შეუფერხებლად მიდიოდეს!

ვაგრძელებ მსჯელობას ქართველი მწერლის უანალოგიო სიდუხჭირეზე.

ისინი ფაქტობრივად მუქთად ემსახურებიან სამშობლოს.

ბეჭდავენ წერილების წყებას სოციალურ თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე;

კომპეტენტურ აზრს მიაშველებენ სახელისუფლებო ინსტანციებს თუ ხალხის გულისხმაყოფას; 8-10 გვერდიან მასალაში, რომელიც Ფ-4 ფორმატის გაზეთის 1 გვერდში გაჭირდიდებით იძეკნება, 15-20 ლარს თუ მიაშავებენ ხონორარად, მის ბედს ძაღლი არ დახყეფს.

მარტო შარშან ამგვარი მეტრაჟის 44 წერილი მომიხლაფორთებია ჩვენი უნიათო ყოველდღიურობის წყალობით, თუმცა არ ავხირებივართ საწუთროს, მაცხოვარს ჩვენსას: ,,რისთვის გაგვაჩინეო,'' ამისი კატეგორიული მოამბოხეობით.

ახლა, ჩემი შვილები, □მათ ნათელს მომავალს როგორ არ მომასწრებს ზეციერი?!), ორი ლარის მარტო პურსა სჭამენ დღე-ღამეში, კალორიულობის სინაკლულის გამო.

აწ შევხედოთ ,,რუსთავორელების'' ხელფასებს, საშემოსავლო გარანტიებს.

დავიჯერო, მათაც მოსაფრთხილებელი აქვთ თეთრები კვირიდან კვირამდე? აქ ვარაუდებს ვეღარსად გავექცევით, ვინაიდან ჩვენი კანონმდებლობით ,,შეპესეთა'' შემოსავლები, საქმიანობა, გასაიდუმლოებულია.

მწერალთა კავშირის დავთრებში ყველას შეუძლია იჯიჯგნოს, კავშპიროვსკივით მომნუსხავთვალებიანი გოგიჩაიშვილით დაწყებულს, კონტროლის პალატის თუ საგადასახადოს რიგითი ინსპექტორით დამთავრებულს — საბიუჯეტო ორგანიზაციაა.აი, კერძომესაკუთრულს კი ბუზსაც ვერავინ აუფრენს უბატონოდ, გინდა ქვეყანას აქცევდეს ხელშეუხებლობის ასეთი რეალობა გარკვეული წრეების მიერაა ლობირებული შორსმიმავალი მიზნებით, მაგრამ ყველაფერზე რიგისობის მიხედვით.

არადა, რა ხანია გაჟღერდა ,,რუსთავორელებისთვის'' გრანტის სახით გადაცემული მილიონი ლარის თუ დოლარის შესახებ.თვითმკვლელობის დაფინანსება ერთ ინგლისურ ფილმში მინახავს აქამდე, რუსებისაგან ეკრანიზებულ კინოლენტში, დონატას ბანიონისის აქტიორობით; აქ კი ჩვენს საყოველთაო ჯვარცმას მწვანე შუქი ანთებია ჩვენივე სახსრებითა და ჩვენივე წამხედურობით.

დიახ, ივარაუდო უნდა რა ღირებულებისაა გოგიჩაიშვილის ყოველი წამი ,,60 წუთიდან''.

ამ ჟურნალისტს, ზოგი სტილისტური ლაფსუსის მიუხედავად, გამბედაობას ნამდვილად ვერავინ წაართმევს. ათასი ამაზრზენობა ამოატივტივა. რუსული ანდაზის სიტუაციაა: ნუ შეეხები... თორემ ასუნდება. თუმცა მწერლობასთან დაჯახება, მოუკრეფავში გადასვლა, როგორც ჩანს, ყველაფერს ნათელს მოჰფენს: მხილება მხილებისათვის.

არა, უჭკუობას ამათ რომელი სამჭკუაშვილი დასწამებს. პირიქით, ჩინებულად უწყიან, რასაც მოიმოქმედებენ.

ცხრა წელიწადია საქართველოს აღვირახსნილი კორუფცია ღრღნის; ჩვენეულმა აღებმიცემობამ, მამონას საყოველთაო კულტმა, ზენიტს მიაღწია.

კონტროლის პალატის არქივი დაყურუსულია მავანთა დანაშაულებრივი, ანტიეროვნული მოღვაწეობის ტომეულებით, და ახლა ზარების დარისხება სულაც არ არის საგანგაშო, პირიქით, დასაფასებელია ბოროტების წინააღმდეგ ამხედრება, კრიმინალური ეკონომიკის გაშიშვლება, რომ არა ერთი ,,მაგრამ''... რა შუაშია აქ მწერლობა, ბელეტრისტთა გაერთიანება?

კი, ბატონო, თუკი ზოგიერთ მედროვეს შეუცოდავს, დავარქვათ გვარ-სახელები მოვლენებს, მაგრამ ჯერ ყველაფერი დავაზუსტოთ და მოსულსწრაფობით ნუ ავყროყინდებით ბორიაყში.

გამომცემლობა ,,მერანის'' გარშემო ატეხილი აჟიოტაჟიც ამ რიგისაა.

ჩამოხრჩობილის ოჯახში საერთოდ თოკზე არ საუბრობენ.

ასეთია ჩვენი საქართველო ზოგადად — მექრთამეობის ალიგიერისეული ჯოჯოხეთი, მაგრამ მწერალთა კავშირის განქიქებით ხომ უნდა ჩაგვეწერა ქულები სამომავლოდ?

ხედავთ, ამ ხალხს არაფერი გააჩნია წმინდა: არც ბელეტრისტიკა, არც მხატვრობა, აღარც ფოლკლორი, და ქორეოგრაფიაო, გვიგებენ ნიშნს.

ყველაფერი წალეკილია კორუფციით, ყველაფერი წაშლილია მამონას მწვანე ურჩხულისგანო.

ქურდს ქუდი ეწვისო, რომ დაიძახოს ქართველმა კაშპიროვსკიმ ეკრანიდან, მთელი ქვეყანა იტაცებს თავზე ხელს ხელისუფლების ოთხივე შტოში, ზოგი ჟურნალისტისა და ბიზნესმენის წამატებით, მაგრამ — არავითარ შემთხვევაში ხალხი და მწერალი, რამეთუ მათ საქუდე ინვეტარი ნაკლებად გააჩნიათ, ჯერ საამისოდ ვერ მოუცლიათ 12 ლარიანი პენსიის, 18 ლარიანი ხელფასის თუ 22 ლარიანი სტიპენდიის მეოხებით.

დიახ, მრავალთაგან განსხვავებით დღეს განუყოფელი ხალხი და მწერლობაა; კომუნისტობის დროს აშკარად შეინიშნებოდა ბზარი მათში: მაშინდელი სნობები ასწილ მზვაობრობდნენ მაღალი ხონორარებით წყალწყალა წიგნებისათვის, უზრუნველყოფილნი იყვნენ ფეშენებელური ბინებით, საგზურებით უცხოეთის ქვეყნებსა თუ დასასვენებელ ადგილებში, მანქანებით, აგარაკებით, უამრავი ნუგბარეულით, მაგრამ ახლა, როგორც არასდროს, ერთარსია მწერალი და ხალხი, ბელეტრისტი და საზოგადოება. ეს ორი ფენომენი, ამჯერადაც ერთი გობიდან საზრდოობს. ქართულ მწერლობას დღესაც გულიდან ამოაქვს ხორცი მაღალი შემოქმედების სახით, თუმცა მსოფლიო რანგის თხზულებებს ვეღარაფრით მიუღწევია გაღლეტილი მოსახლეობის თავსასთუმალ-

თან ირანული ლამპების შუქზე საკითხავად, იგივე „არტისტულ გადატრიალებებს“, „გორა მბორგალებს“, „აველუმებს“, „ძეგლებს ყველასთვის“, „უჟამო ჟამის რაინდებს“, „გადაფრენებს მადათოვზე და უკან“... „სევდიან სიმღერებს“...

ზოგი ამ ლიტერატურული პროდუქციისა, დიახაც, გამომცემლობა „მერანის“ წყალობაა — ლამის ყელშიწაჭერილი კომერციული საქმიანობის დანაზოგით დასტამბული ოთხერგასეული თხზულება.

მართალია, ავტორს ოციოდე ეგზემპლარი რგებია თაროს დასამშვენებლად, სულის დასაკმაყოფილებლად. ხონორარზე ლაპარაკიც ზედმეტია. უბრალოდ დაფიქსირებულა შთამომავლობისათვის, ეროვნული ბიბლიოთეკათათვის, ერუდიტთათვის ქართული აზრის მოძრაობა, თუმცა აღარც ეს არის პატარა საქმე.

განა უკეთესი ჯილდო წახფვებოდა შორეთს ყაჩაღების დევნაში დალეულ ბარათაშვილს ბეჭდური სახით, თუნდაც ერთი ეგზემპლარი, ეხილა მავანთაგან გაცალყბევებული მარგალიტები?!

ხვალ-ზეგ ხონორარის დროც დადგება. ჩვენ ჩვენივე წიაღიდან უნდა ვშვათ ჩვენი სარაჯიშვილები, ზუბალაშვილები და ხოშტარიები — ქართული სულიერების გამოუსწორებელი მეცენატები, მანამდე კი უნდა დავსჯერდეთ არსებულს. სოლიდური ხონორარების ჟამიც მოაწევს.

ნუ შეგვაშინებს მწერლის, მწერლობის მიახლოება პატიოსან ბიზნესთან.

უზნეო ბიზნესი თვით ჭეშმარიტი მეწარმისათვისაც წელში მომღუნავია; ამისთვისაც ირეცხება მილიონობით დოლარი განვითარებად ქვეყნებში, რათა უკუანმობრუნებულმა უმწიკვლო მეძავის რეპუტაცია შეიძინოს.

დიახ, პატიოსანი ბიზნესის არ უნდა ეშინოდეს ქართულ მწერლობას. ეს ტენდენცია მის წესდებაშიც უნდა აისახოს გამჭვირვალედ, ნათლად და მკაფიოდ.

გუშინ ნათესავმა მანდილოსანმა ქართული 80 - ტომეული 40 ლარად იყიდა, რუსული 200 - ტომეული — 100 ლარად და დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის სამოცდაათამდე წიგნი — ოცდათხუთმეტ ლარად, სულ 100 დოლარად შეუძენია თურმე საკმაოდ სოლიდური ბიბლიოთეკა.

მოშველიებული მაგალითითაც გასაგებია ქართული მწერლობის სიდუხჭირე, ხელმოკლეობა. დევალვირებულია კლასიკის მოთხოვნილება, ვინაიდან გონება კუჭს გამოენასკვა სავალალოდ. ხოდა, ამისთანა ვითარებაში დაფინანსდეს თუ არა მწერლობა, მწერალთა ორგანიზაცია?

„რუსთავორელები“ სამწერლობო პრობლემებზე რომ ხაფხაფებენ, ბიუჯეტისგან ჩვენი მოწყვეტა იმისათვის აძლევთ ხელს, უძლეველი მეტოქე ჩამოშორდებათ მიწასმოწყვეტილი ანთეოსივით, რათა შემდგომ ლაღად იპარპაშონ გრანტების დოპინგებით აღმოცენებული კოსმოპოლიტური ფრთებით.

აქ სხვა რამ არის საკითხავი:

ბიუჯეტიდან დაფინანსებული მწერლობა შეინარჩუნებს კი დალაი-ლამასთვის დამახასიათებელ მიუკერძოებელ უნარებს?

მთავრობის თვალში გახირულ დირეს დაარქმევს კი ადეკვატურ სახელს თუ ბეწვად წარმოსახავს საზრდოს დაკარგვის შიშით?

თუმცა აქ მცირედი ყოყმანი, შეეჭვება უნიადაგოა, უსივრცო, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტი ქართველი ერის სისხლია — მატერიალურ განზომილებაში გამოხატული და სამშობლოს არსობის პურით დანაყრებულმა მწერლობამ მისი ერის საზიანოდ მიმართულ სახელისუფლებო ტენდენციების ამბრაზურას მთელი სხეულით გადაეფაროს, მკრეხელობაა განა?

მწერლობისთვის გაღებული ნახევარი მილიონი ლარი სულაც არ არის ხელბორკილი ქართული ბელეტრისტიკისათვის მთავრობის შესაძლო ანტიხალხური ქმედების მხილებისას.

ეს საყმაწვილო სენი ფსევდო-მასმედიის მახასიათებელი უფროა, ვინემ მწერლობისა, რომელიც კატეგორიებით აზროვნებს, ტიპებით, სახეებით, თათქარიძეებით, კვაჭანტირაძეებით, თუთაბერებით, ჯაყოებით, განზოგადოებებით, მკრებელობით და არა — კონკრეტული გვამების წყებით.

თან ჩვენი ხალხის არსობის პურის გამოწოდებისათვის რატომ უნდა წავაყვედრებინოთ ბაწარაღებით იმათ, ვინც ამ ხალხის წურბელა გამხდარა, სარეველა, ხოდაბუნიდან გამოსახშირი ღვარძლი?

მით უფრო, როცა მიზანმიმართულად ფინანსდება საკმაოდ მომძლავრებული მეხუთე კოლონა ჩვენში, იგივე გვარნაცვალი „საქარ- თველო“?!

ეროვნების რეკვიზიტამოშლილი პასპორტების მიხედვით მათი ნამდვილი სადაურობის დადგენა ამიერიდან ფრიად გაჭირდება.

ეს ფენა რამდენიმე საუკუნეა საქართველოში უპრობლემოდ მკვიდრობს ჩვენივე ტოლერანტული

ბუნების წყალობით; ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ფორმულასავით სასწავლი სახელმწიფოებრივი აზროვნებიდან დასაბამებულა. განსაკუთრებით სპარსეთის ექსპანსიის შემდეგ ძლიერდება მათი ფესვები ჩვენს დედაქალაქში, კოსმოპოლიტური სულისკვეთების დასამკვიდრებლად.

კეისრისეული ,,გათიშე და იბატონეთი'' მიყოლებით ჩნდება უცხოტომელთა კომპაქტური დასახლებები სამაჩაბლოში, მესხეთში, აფხაზეთში, მესხეთში, და ცარიზმის ცბიერი კავკასიური პოლიტიკით, სწორედ ისინი ფინანსდება შეღავათიანი სესხებით ჩვენივე თავად-აზნაურობის წელში გადასატეხად.

მათ ყველაფერი გააკეთეს მმართველობით აპარატში შემოსაღწევად. მიუხედავად ანთროპოლოგიური ნაირსახეობისა, ფერია ეს თუ სახნისივით წაგდებული სიფათი, საპასპორტო მონაცემების გაყალბებით, ბუსწარბება კაცი დღეს ბაგრატიონია, დადიანი, ამილახვარი...

განა გური ოტობაია ისეთი უმეცარია, გვარებით ზომავდეს პიროვნებების ასავალ-დასავალს?! მე ვენაცვალები ნებისმიერი დაბოლოების გვარს, ,,იანცისაა'' ეს, ,,ოვისა'', ,,სკისა'', ,,ოღლისა'' თუ ,,იბნ''- თავსართიანი არაბული გამოცდილებით, მაგრამ როცა ფარულ ინტერვენციას ამოიცნობ, დავმალოთ იგი, მივაფუჩეჩოთ?! ამის თაობაზე უკვე დაიწყეს მსჯელობა ,,ახალმა თაობამ'', სხვა გაზეთებმა.

იქ უკვე უფრო მაღალი ჩინოსნების გენეტიკითაც დაინტერესებულან. გამჭვირვალობის თვალსაზრისით ეს არავის აწყენდა ანიდან ხოემდე.

გაქართველება გწადია? კეთილი, ბატონო! თუმცა მე ვამჯობინებდი თავიანთი ჯიშ-ჯილაგის დამცველ ბაიბურთებს, ისკოებს, მამედოვებს, სხვათა, ქართულსაც მშობლიურივით რომ ეთაყვანებიან.

ღამურაობა არავის გამოდგომია, მოჩვენებითი წყლის ნაყვაა, მით უფრო — ყოველივე ოდეს მეტად შორს მიმავალ მიზნებს ემსახურება — საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლას.ახლა დასახელებულ დილემას სხვა კრიტერიუმითაც მივუდგეთ.მაინც რა ქნას საქართველოს უცხო ტომის მოქალაქემ, რომელიც 88 წლის აღწერით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 29 პროცენტია და დღევანდელი სავალალო დემოგრაფიული ვითარებით □ქართველი ეთნოსის იძულებითი ემიგრაციები ლუკმა-პურის საშოვნელად), რატომ 40-ც არა?

როგორ მოვიდეს ხელისუფლების სამართავ პულტებთან უნიღბოდ, საკუთარი გვარით? ქართველი ხალხი, ანუ ჩვენი ქვეყნის, იმედია, არა მხოლოდ სადღეისო უმრავლესობა, ნაკლებად მიუსართავს მას ნდობის მანდატს, ვინაიდან ობივატელის შეგნებაში აქამდე ხელმწიფებს საზრისი: უცხო თუ ვარ, ესე იგი დროებითია ჩემი აქ ყოფნა და რატომ უნდა ავაყვავო სხვისთვის? არ ჯობია გაფუჭდეს?

და პარალელურად თავად ქართველის დამოკიდებულება იანკების მისამართით: რადგანაც გადამთიელია, მაინცდამაინც მავნებლური ფსიქოლოგიით შეპყრობილი, მეხუთე კოლონის ტიპიური წარმომადგენელი, ზურგში დანის ჩამცემი, როცა ძირძველი ქართული გვარების ხალხმა კუდის რიკამდე გაფლიფა ჩვენი ეკონომიკა, და როგორც ბულვარული ინფორმაციებიდან ირკვევა, ოცდაშვიდ მილიარდ დოლარზე მეტია თურმე დალექილი უცხოეთის ბანკებში, დიახაც, ამგვარი ძირძველი გვარების მეანაბრეთა სახელებზე.

ქურდს სამშობლო არ გააჩნიაო, იტყვიან, ბაცაცაა იგი, ჯიბეში ორი თითის ჩამსრიალებელი თუ ღლავი, ვეშაპი, კოსმოპოლიტია თავის ნატურით და ცხადია, გური ოტობაიას თათქარიძეების ამ კასტას მარნეულელი პატიოსანი თათარი მემწვანილე ურჩევნია თუ წალკელი მეკარტოფილე ბერძენი, ზოგადკაცობრიული სიმაღლეების პოზიციიდან, მაგრამ ეროვნებაწაგვრილი პასპორტებისა და გვარნაცვალი საქართველოს სინამდვილის მემკვიდრეს, ხმა ავიმაღლო ანტისახელმწიფოებრივი მიმიკრიის, საწინააღმდეგოდ, ნაციონალიზმში, შოვინიზმში, კაცთმოძულეობაში ნაკლებად ჩამომერთმევა, ალბათ.

გვარნაცვალ პიროვნებებს თითქოს მოგვარებული აქვთ პროფილი მოსახლეობის წინაშე, მაგრამ ზურგიდან ისინი ჩინებულად მართვადნი არიან ,,კაგებე''-ს თუ ,,ცეერუს'' სამსახურებისგან და აქ არსებითი განსხვავება სულაც არ არის, რომლისგან უკეთესად შეიჭმევი, რუსისგან — ყულმუხნენც-ხანტი-მანსივით თუ გაამერიკელებული ინგლისელისაგან — სიუ-მოხიკან-აპაჩ-კამანჩასავით.

აქვე გასათვალისწინებელია ნეტარხსენებული აკაკი ბაქრაძის მინიშნებაც, რომ ამერიკაში აღზევებულია ოდესღაც მონობის მდგომარეობის, ახლახან რასობრივად დისკრიმინებული შავკანიანი, სამაგიეროდ სერვილიზმიდან ვერაფრით გამოსულა კიზის ტომის ბელადი, იგივე გოლიათ, ფილმიდან— ,,ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა'' — ქვეშევრდომი ყვითელი სახლისა.

ასე იმიტომაა, შეგირდო, ჩემო, რომ აბორიგენი საშიში ძალაა. მასში ყოველთვის ფეთქავს მიწის მეპატრონის ღვთიური ძარღვი და სანამ ეს ნერვი არ მიჩუმათდება, კონკისტადორ გრინგოს მშვიდი

ძილი არ უწერია. ხოლო თავად ზანგი მკრთალსახიანი იანკივით ჩამოთესლილია ახალ მატერიკზე. მას იშვიათად უჩნდება პრეტენზია სოციალურს იქით. ამერიკის მოქალაქეების მეხუთედს, ფერადკანიან მოსახლეობას თუ ღირსებია პენტაგონის პირველკაცობა ერგასეული პრეზიდენტის მანძილზე? ხოდა, რადგანაც თანაბრად დამნაშავე არიან აბორიგენთა გაჟუჟვის გზაზე, ტანდემურად მიდიან აღმართ-აღმართ, ხელიხელჩაჭიდებით, რამეთუ ზანგები ამუშავებდნენ ბამბის პლანტაციებს მათი მეპატრონეების ზარბაზნების ასამქუხარებლად უდანაშაულო, მამულწართმეული ინდიელების გასამუსრავად.

აი, რეალური მომავალი საქართველოს რუსეთთან თუ ამერიკასთან ბრმა ჩახუტებების შემთხვევაში.

ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკა ხელგაშლილად აფინანსებდა მათ საყრდენ ძალებს აბორიგენი ქართველების გასარყვნელად, გასახრწნელად, გადასაგვარებლად ბოლოს და ბოლოს.

იგივე, ოღონდ უფრო შემტევი ხასიათით, შემოდინდება ხვალ-ზეგ დემოკრატიის სახელით ოკეანის გადაღმიდან ფსევდოდემოკრატია, მდარე ფასეულობათა მონობის უმძიმესი უღლით.

თერგდალეულები სამარცხვინო ბოძზე გააკრავენ ცარიზმის მოსყიდულ ერისკაცებს, თვით „ამ კარგი“ გრიგოლ ორბელიანითურთ, და ხვალ-ზეგ შეუძლებელია ოკეანედალეულმა ჩვენმა ჭეშმარიტმა შვილებმა ბერძენიშვილთაგან განსხვავებით ათგზის უმკაცრესი ომი არ გამოუცხადონ ათასწლეულობით გამოცდილი ქართული თვითმყოფადობის იავარქმნისათვის მიმართულ ნებისმიერ ბაკქანალიას დღეს განუკითხავად გაფაშფაშებული „რუსთავი-2“-ის კოსმოსური სიმაღლიდან: მარათონულ პოდიუმებს, ყანყრატოში გაჩრილ რეკლამებს, აღვირახსნილ სექსომანიას, ამორალურ ტელესერიალების ეშელონებს, გონებასუსტობის ბაგასთან მიბმულ თვალებდაფლეპილ გამოთაყვანებას პირველი არხის „მაესტროდან“;

ამიტომაც ჩნდება ხალხში სიმპათია ნაკლები ბოროტებისადმი;

ამიტომაც უჩნდებათ ნოსტალგია რუსული სივრცისადმი კვარაცხელიებს თუ მარგიანებს;

ამიტომაც გაუშვერია ჩრდილოეთისაკენ ხელი გოგუაძეს სიტყვებით: „ვერნიტე მნე მოიუ როსიუო“-ო, მაგრამ „დიდი აბრეშუმის გზამ“ და „ნავთობსადენმა“ უცილობლად უნდა გაიაროს ჩვენში, როგორც მუსულმანურ-ქრისტიანული თუ პატროფილურ-კოსმოპო- ლიტურ ცნობიერებათა დამზავებელმა განზომილებამ, და აქედანვე სავარაუდებელია, რომ აღნიშნულ ფენომენს ზედმიწევნით დაექვემდებარება მომავალში ქართველი ხალხის, გნებავთ ეროვნების რეკვიზიტამოშლილ პასპორტიანი მისი მოქალაქის მზეგანი.

ტოლერანტობით გამორჩეულ ქართველებს ნურვინ გვახვევს თავზე კოსმოპოლიტობას. ქართული პატრიოტიზმი არასდროს გადაზრდილა ნაციონალიზმში, შოვინიზმში; ჩვენი მრავალათასწლიანი არსებობა ხომ ათადან და ბაბადან მოყოლებული პოლიფონიური თანაარსებობაა ურთიერთგამომრიცხავ ძალებთან ქართველი შეუთავსებელთა შემთავსებელი გენიაა!

ვეფხვის დედასთან ვერავინ დაასწრებს სამძიმარს მოყმემოკვდინებულ მშობელს.

ეს ქართველის პოლიფონიური სულის, მისი სინთეზური აზროვნების ჯილდოა.

საქართველოს მოსახლეობა დანარჩენი მსოფლიოს მეათასედია — 0,1 პროცენტი, მაგრამ — იდეალის ეტალონი, მატრიცა და სრულიად ზედმეტი გვგონია ზოგადკაცობრიული ფასეულობების შეხსენება მავანთაგან, ქართველის ნებისმიერ ქმედებაში, საერთო ცივილური სიმაღლეები ირეკლება, დიახაც!

ხოლო ჩვენი არსებობა, ყოფნა დროსა და სივრცეში, ვინმე ჭკუათმყოფელს თუ აღიზიანებს მოშურნეობით, ვეღარ შევეწირებით დარლას, ძვირფასებო! კლინიკების მეტი რაა კოსმოპოლიტურ მსოფლიოში?!

ქართველ ხალხს სჯერა მისი უგვირგვინო ხელისუფლების — სიტყვაკაზმული მწერლობისა, რადგანაც განუყოფელია მათი ბედი — თანაბრად იზიარებენ ისინი ჭირსა და ლხინს, შარბათს და სამსალას, და აქ კოსმოსური სიმაღლიდან ყრანტალი თუ ჩხავილები მოსახლეობის დეზორიენტაციის მიზნით დროზეა ასალაგმავი არა მხოლოდ მცირეტირაჟიანი გაზეთის ფურცლებიდან, არამედ — იგივე კოსმოსური სიმაღლიდან.

დიახ, სამი ფრონტით უტევენ უფლის გზით მოარულ საქართველოს მასონური ქარები:

ახალგაზრდებს აღვირახსნილი სექსის პროპაგანდით რყვნიან, სადაც ზღვარი მოშლილია ნათესაურ-მორალურისა;

სადაც შიშველი ვნება თრგუნავს სიყვარულის რუსთველისეულ გაგებას;

სადაც ხამლეტის დედის მკრეხელობა თუ ოიდიპოსის კომპლექსი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მოვლენაა;

სადაც უკიდურესობამდე იმარჯვებს ჯოგის ფილოსოფია;

სადაც კაცობრიობისაგან დაგმობილი გაუკუღმართებანი გამართლებულია ბლეიქის „ცისფერი“ ვაჟიშვილის თარსი მამათმავლობით და საზოგადოების თვალში მისი გასიმპათიურების ყოველნაირი მცდელობაა, ანტიადმიანურია — დეგრადირებული ცივილიზაციის ეკლები ედელვაისის სანაცვლოდ.

ჭარმაგებს კორუფციის მარწუხებით მოიხელთებენ, მამონას დღეგრძელობისათვის აბომონებენ; ჭილაძე თავადის მსგავსად თორმეტ გაკრეჭილ მღვდელს რომ ყიდდა ადრე თურქ ყურსალებს, გამცემლობით შემოფანტული მრევლის ჭირისუფალი, ცოლს ასხვისებდა და შვილს — კუჭის ზეიმისათვის, აწ დრაკონის მადას მიჯნები მოშლია, კონკრეტულს ზოგადი ხასიათი შეუძენია — სრულიად საქართველოს ინტერესები შეგდებულა სასწორის პინაზე, ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებს გადაყლაპული სამშობლოს დარდით და წუხილით, მაგრამ კუდმოწყვეტილი გველეშაპი ვერასდროს მოაშთობს ამირანს და ქერეჭიანი ურჩხულისათვის კუდის მომწყვეტი ეს ძალა დიახაც ქართული მწერლობაა.

ამას აქეთ მხცოვნებს, რაღაც მანქანებით რომ გამოღწეულან სიყმაწვილე-სიჭრმაგისას საცდუნებლად დაგებულ ხაფანგს, იეჰოვას სამსალათი წამლავენ, თითქოსდა მხოლოდ მათი მიმდევრები აღსდგებიან მკვდრეთით საყოველთაო განკითხვის ჟამს. ამიტომაც, რა საჭიროა ჯარში სამსახური?! მამულისათვის თავდადებულნი მათი მრწამსით გმირები კი არა, ყვინჩილებია, მამლაყინწები, უფლის ნაბოძებ ნეტარ სიცოცხლეს თავქარიანობით რომ ანიავებენ. ასეთები ხომ სააქაოშიც ევნებიან ზომაზე მეტად და აღარც საიქიოში ეღირსებიან სამუდამო განცხრომას. თუკი დუშმანი შემოგიტევს, ქვიშაში უნდა დურთო თავი სირაქლემასავით. რა საჭიროა წინააღმდეგობა, უმჯობესი არ არის თვინიერს გამოგჭრან ყელი, ვინემ დაძაგრულ-დაჭინთულს?

აი, როგორ დეზერტირობას გვთავაზობს რასელის ხალხი, რანირ მასობრივ წიწოლაობას „ბახტრიონიდან“?! ან სისხლს რარიგად გაიღებს მოყვასისათვის იეჰოვას მოწმე? ეს ხომ უფლის ნების შეურაცხყოფაა?!

სრულიად საქართველოც რომ იწირებოდეს ორასი გრამი სისხლის უქონლობით, იმ 14 000 არაოფიციალური სექტანტ-იეღოველისაგან ერთიც არ გაიმეტებს წვეთის ნაათასალს!

აი, რანაირ ბაცილა-მრევლს განუზრახავს ჩვენი სათაყვანებელი მწერლობის — საქართველოს დალაი-ლამას დაჩოქება!

საკითხი დაისმება სხვანაირადაც:

შეჰბედავდა ქართულ მწერლობას ვინმე ყბასიმყრალით განქიქებას მშობელი ხალხის თვალწინ, ქართველი ინტელიგენციის თანდასწრებით, რომ არა მისი გათიშულობა 91-92 წლების ცნობილი მოვლენებისას?!

ის კი არა მწერალთა კავშირიდან ჯერაც გაუსვლელი ზოგი ბელეტრისტი აშკარად აბრალეულებს კოლეგებს პუტჩიანელების თანამზრახველობაში: გახსოვთ, რას წერდა წივწივაძე სამეგრელოს დალაშქვრის პერიოდში?! ბერმუდის სამკუთხედია იგი, სადაც ყველაფერი იკარგება ტვირთიანად, შემადგენლობებიანად, თვით რელსების ამხანაგობითო.

თუმცა დღეს, გაქანებული ენამყრალობის პირობებში, კავკასიური სახლი ეროვნული ხელისუფლების მომხრეებს სამეგრელოს სამუდამო მოღალატედ გადამქცევად აცხადებს, თვალში ნაცარს გვაყრის კვლავაც ერის ჭირისუფლის თავმანდილის ფრიალით და აფრააშვებულად მიერეკება სიტყვას საქართველოს გაცნობიერებული მტრის საწისქვილღაროდ. ხოლო სხვანი თავგადაკლულნი ამტკიცებენ, რომ ეროვნული მთავრობის დამხობის დეკადაში წივწივაძე თურმე კიტოვანთან ერთად იჯდა სასტუმრო „საქართველოს“ მონუმენტურ კედლებში და იქვე დასძენენ: ფრიად გაუგებარია კონკრეტული მწერლების ანტიეროვნული მოღვაწეობის მხილებას „რუსთავი-2“-ს მიერ, წვიწივაძე რატომ აღიქვამს სრულიად საქართველოს მწერლობის ჭირადო.

აი, როგორია შინაგანი წინააღმდეგობა.

აი, რისთვის მოვითხოვდი და მოვითხოვ ქართული მწერლობის გამთლიანებას, ჩვენი ბელეტრისტული ცნობიერების შედუღაბებას, წელში გადატეხილი სიტყვის ფენიქსივით ფეფრლიდან აღდგომას, ჩვენი დაცემული სულის რეანიმაციას.

მწერლობის ციხის შიგნიდან გატყდომა ანებივრებს ძალადგმირი გოგიჩაიშვილების ფლეგმატურ სითამამეს.

სამშობლოს განსაცდელის ჟამს თუკი მაწანწალა ძაღლებიც კი დაითმენენ ხოლმე წამით ღრენას, გაერთიანედებიან და მოხროვებულ მგლებს კუდით ქვას ასროლინებენ საბასებურად, რა ჯადოთილისმას შეუკრავს ხელ-ფეხი ნეტავ, „სულის ინჟინრებად“ სახელდებულ მეისტორიეთათვის?

რატომ არ გამოეფინებიან მამულის სამრეკლოზე პოლემიკით განთქმული კოლეგები? ლევან ბრეგაძე თუ თეიმურაზ დოიაშვილი, მამუკა წიკლაური თუ სოსო სიგუა, ნოდარები: წულეისკირი, კობერიძე, გრიგალაშვილი; ქართული სიტყვიერების უმეტოქო რევიზორად მოვლენილი როსტომ ჩხეიძე, სხვანი და სხვანი? სად არის სიტყვის და აზრის ბარომეტრი ქართული კრიტიკა, აბსტრაქტულ მესამე ნაპირზე ხომ არა?!

ერთადერთი ბატონი ელიზბარ ჯაველიძე იმაღლებს ხმას კოსმოპოლიტური ფართომასშტაბიანი შემოტევის წინააღმდეგ და ისიც — საკუთარი ფრონტიდან ჯოყოლა ალხასტაიძის მიმსგავსებით.

ჩემი უამრავი უთანხმოების მიუხედავად თამაზ წივწივაძესთან მოქალაქეობრივი თუ ესთეტიკური პოზიციით, ახლა, ამ მომენტში, იგი გაცილებით სწორი მგონია, ვინემ მენტორის ტონით აბაბანებული ზოგი განთესილი თუ სულაც თითებიდან გამოწოვილი მასმედიის შევიწროებით გაისტერიკებული ასეულების წყება.ქართული მწერლობის შინაგანი გახლეჩილობით ჩინებულად სარგებლობს ძალადგმირი გოგიჩაიშვილი ეკრანი-ცხაურიდან და ორი ყოჩის მოქიშპეობის კვალობაზე თვალსა და ხელს შუა ვიწირებით კოსმოპოლიტური ღვარცოფის საცოხნელად, თუმცა ყველაფერზე რიგისობის მიხედვით.როგორც პროკურატურის ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე გვეუწყება, ,,60 წუთის'' სპიკერ გოგიჩაიშვილს დღემდე 14 ჟურნალისტური გამოძიება უწარმოებია.

მის მიერ წამოწეულ თემებზე აქამდეც აღძრულა თურმე სისხლის სამართლის საქმეები და გადაცემის შემდგომაც, მაგრამ კონკრეტულად მწერლების გულისწყრომა ოპერატიულად რომ შესწავლილა — თვით ქართველი ბელეტრისტების თავის მართლების განუხრელი ჟინით.

მოკვლეული მასალების მერამდენე ანალიზით ჟურნალისტის ყველა ბრალდება გაბათილებულია, თორიას კასრის ვირთხების მხარდამხარ.

ხოდა, იწყება მსჯელობა პასუხისმგებლობაზე. აქ კი გაოცებისგან თვალებს გადმოქაჩავს ძალადგმირი:

— ეს ყველაფერი კონტროლის პალატის მასალებზე ავაგე და პასუხიც იმას მოკითხეთო.

კიდევ კარგი, კონტროლის პალატას გოგიჩაიშვილისათვის ამგვარი ფაქტი არ მიუწოდებია: ქართულ მწერლობამ არტემიდის ტაძარი გადაწვა ხეროსტატეს შთაგონებითო, თორემ ამასაც ჩვენ მოგვაკერებდა; ხოდა, რაჟამს თავად კონტროლის პალატის დასკვნებით ბრალეულობა ჩამოშორებულა მწერლათა კავშირს, მწერლობას, ძალადგმირი მეტის გამძაფრებით აგრძელებს ფართომასშტაბიან ,,მამხილებლობას'' ფლეგმატური სიმამაცით.

კონტროლის პალატის დაღეჭილი მასალების ,,გამოაშკარავებას'' გოგიჩაიშვილი ჟურნალისტურ გამოძიებას ეძახის, და საკითხავია, მოწოდებული ფაქტის ბრმა გამეორება როდის აქეთ ქცეულა გამოკვლევად? მით უფრო, როცა ამ ფაქტების ავანჩავანისაგან ხელებს იბან. შენს სადიდებლად, გასაგმირებლად მონათალ ინფორმაციებს გამოძიებას ეძახი, აქვე პასუხისმგებლობასაც გაურბიხარ. ასეთ შემთხვევაში მოხმობილ მასალას უმეცრებაა ,,გამოძიება'' დაერქვას. და თუკი პასუხისმგებლობაც იგნორირებულია, მაშინ გამოქვეყნებული ფაქტი კონტროლის პალატის ეგიდისაა, რომლის გამხელისაგან თავს იზღვევდა იგი წლობით საქაღალდეებში დატყვევებული სიმართლის სახით.

პარლამენტისაგან პედალირების მოროდში ბატონი შავიშვილი დელიკატურად გაეცლება წლობით მიჩქმალული ფაქტების ხელაღებით გამოაშკარავების პრაქტიკას ტაშის გრიალში.

ჩემთვის გაურკვეველია დანაშაულის მიჩუმათება როდის აქეთ იმსახურებდა აპლოდისმენტს? ბატონი შავიშვილი არ ინებებს ნარების გლეჯას პირტიტველა პოლიტიკოსების სამინისტრო პორტფელებისა და სავარძლების გასანთავისუფლებლად, უკეთ ,,60 წუთის'' საზიარო ბაკქანალიას დროზე უგანებს და ნატუსალის სუნს ,,რუსთავი-2''-ის ფლეშებს შეატოვებს.

ახლა ეკრანი-ცხაურიდან საჯაროდ გაისმის გოგიჩაიშვილის ქომაგთა ინკოგნიტო ხმები, სულ ერთი ტემბრისა და სქესის, სულ ერთი ინტონაციისა და სიტყვიერი არსენალისა. ასე რომ, გამორიცხული როდია გადაცემის მესვეურებს ,,კლეტკებით'' ეწინასწარმეტყველოთ მისი სულისჩამდგმელი ძალადგმირის ბედი.

ჩვენ ადრეც ვახსენეთ გოგიჩაიშვილის დამსახურების თაობაზე, ვინაიდან ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის ისინი, ვინაც ამხელენ ბოროტებას სიკეთის სახელით, საუკუნოდ მკვიდრდებიან ერის ცნობიერებაში, თუმცა აქვე დავამატებდით: კონტროლის პალატის მასალების წარმოჩენისას გოგიჩაიშვილს არაფერი დარჩენოდა საგამოძიებო, სრულიად საკმარისი იყო სტილისტურად გაემართა ტექსტი და მონიტორიდან წაეკითხა კაშპიროვსკის მომნუსხველობით.

„60 წუთით“ გამოქვეყნებული მასალები თვეობით, წლობით გამოჩხრეკილი რეალობაა, ოღონდ საღათას ძილით შეპყრობილი მასალები, ისევ და ისევ მათი მესვეურების დრაკონული მადის დასაკმაყოფილებლად.

ვინ არ იცის დღეს კორუფციის სათავეთა სათავე მაკონტროლებელი ორგანოები რომ არის სავალალოდ? ხოდა, დასაფასებელია-მეთქი, ვაცხადებ ხმამაღლა, გოგიჩაიშვილის გამბედაობა ესე, რომ არა ერთი გარემოება:

დაღეჭილი მასალის ჩინებულად მკითხველ გოგიჩაიშვილს კერკეტი კაკალივით შეუგდებენ მწერლობის თემას და რაჟამს ჯერაც ფესვებმოუმაგრებელი სიბრძნის კბილი საგრძნობლად მოერყევა ძალადგმირს, იყვირებს მთელის ხმით: **არიქა, მეშუქრებიანო** და კვლავაც გათამაშდება პრიმიტიული ფარსი:

მწერლობა ამიერიდან მაინც თუ აღიმაღლებს ხმას გოგიჩაიშვილის, „60 წუთის“, თუ საერთოდ „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ, ესე იგი ქართული ბელეტრისტიკა თავისუფალი პრესის ბლოკირების ინიციატორია, გამოუსწორებელი ცენზორი, მეტიც — უზნეო, ჩირად რომ უღირს ეროვნების რეკვიზიტამოშლილი თანამოქალაქის საორჭოფო სიცოცხლე!

ხედავთ, რანაირი კოზირები ჩაიგდო ხელში „60 წუთის“ ვითარების გმირმა?

გამეორება ცოდნის დედაა და ერთხელაც შეგახსენებ ჩვენი მომავლის საიმედო ძალად დასახულო შთამომავალო:

გამბედაობით, თავგანწირვითა და პიროვნული ღირსებებით გამორჩეული ჩვენი მწერლები უწინარესი ჟურნალისტები არიან ილიადან მოყოლებული, ლიტმუშაკები, რეპორტიორები, მეინტერვიუენი და სტილისტები, რედაქტორებიც იშვიათად, ოღონდ თვისებრივად ცოტათი მაღალი რანგისა, ვინაიდან ზედმიწევნით ერკვევიან გრამატიკის ალქიმიაში, წინადადებათა წონასწორობაში; მხოლოდ კინოკამერითა და დიქტაფონით როდი ფხეკენ ფაქტებს რუსთაველის პროსპექტზე, პირიქითა ხევსურეთშიც გადადიან, ქიზიყშიც შეიხედავენ და სამურზაყანოშიც. ამასთან განზოგადოების ნიჭიც რამდენადმე დაუბერტყავს მათთვის მამაზეციერს. სიტყვას დენთის სიფრთხილით ეპყრობიან, აფთიაქარის სასწორით წონიან ფრაზებს, რამეთუ მყარად შეუთვისებიათ ერთი რეალობა: კალმით ნაწერს ნაჯახითაც ვერ ამოშლი, ანუ გაფრენილ სიტყვას ქამანდს ვერ გამოსდებ და მეტიც, ჩინებულად უსწავლიათ ენით დაკოდილის სულხან-საბასეული არაკი: ცულისმიერი ჭრილობა კი შეხორცდება როდესმე, მაგრამ მწარე ენისა, სიტყვისა — ვერასოდეს!

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, მას-მედიაზე შეტევა მწერლობას დააბრალო, რომლის ბალავარზე დგას თავად ჩვენი სიტყვაკაზუმლობა! განა საცოდაობა არ არის სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულად წარმოსახო თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ბელეტრისტიკა, ვინაც „შუშანიკიდან“ ფეხადგმული მართალმოსიტყვეობისათვის ჯვარს ცმულა ზეზეურად?

ამას წინათ პროკურატურაში გამართული პრესკონფერენციის დეტალები მეტად დამაღონებს.

ვერც კი წარმოიდგენს მკითხველი თუ როგორი ქედმაღლური ამპარტავნობით გვიპირისპირდებოდნენ ერთ დროს ჩვენი დამტირებელი, ჩვენი ცვლა ჯეელობის ნაწილი „თავისუფალი“ მასმედიიდან.

დამუკიდებელი გაზეთებისა და სამაუწყებლო ტელეკომპანიათა თანამშრომლების ელიტარული ფენა დღეს ფრიად გალაღებულია სოლიდურზე სოლიდური გასამრჯელოთი, ხელფასებით, ხონორარებით. ღმერთმა შეარგოთ, თუკი მშობლიური მწერლობის დასამარებას ვინმე გაუხარებია.

ხოდა, კამათის უმთავრესი იმპულსი უწინარესად საკუთარი ჯიბის არხეინობა მგონია, საკუთარი მდგომარეობის ურყევლობა, სარფიანი გარემოს ყოველგვარი ხერხით და საშუალებით შენარჩუნება.

აბა, სხვანაირად როგორ აიხსნება პროკურატურის მასალებით ღირსებაგამრთელებული მწერლობის მისამართით აქამდე რომ იგესლება „60 წუთის“ ძალადგმირი?! თუკი ამდენ ხანს მისი საქციელი ცილისწამებად არ კვალიფიცირდებოდა ბალუაშვილის თქმულებისამებრ, განგებგანზრახული ქმედების არ არსებობის გამო, კომპეტენტური კომისიის დასკვნის შემდეგაც იგივეს რომ გაიძახის გატეხილი პატეფონივით, ხომ უნდა შეხკადრო: შეაჩერეთ ეს დამთხვეული მალახოვითქო?

არ უნდა იმართლო თავი არათუ ამჟამაინდელი, მომავალი დღეებისათვის? ძალადგმირისათვის ხონჩით მირთმეული ფაქტების მართლზომიერება ჩვენ ნაკლებად გვაღელვებს 13 შემთხვევაში; ამჯერად, ამწუთას, იმ ერთადერთი მკრეხელობის გამო ვიმაღლებთ ხმას, რომელსაც მშობელი ერის წინაშე მისი სულიერი მოძღვარის — დალაი-ლამას — დისკრედიტაციის მანიაკური მცდე-

ლობა ხქვია.

კი, ბატონო, ძალადგმირის ნებაა მოპოვებულ მასალა-დოპინგს ჟურნალისტურ გამოძიებას დაარქმევს თუ სულაც განჩინებას, მაგრამ ერთიც ცხადია, იმ ზომამდე დაღეჭილ ინფორმაციებს, (14 ზღვა შინაარსისა 3 თვეში), გოგიჩაიშვილის სტომაქი კი არა გვარიანად ასაკმოყრილი ზვიგენის კუჭიც ვერ მოინელებს, თუმცა გვიჯობს ჩვენ სხვას მივაქციოთ ყურადღება, სხვა სივერაგეს:

თავის სამართლებლად მომართულ მწერლობას ზნეობრივი ბერკეტებით უნდათ გზა მოუჭრან, თითქმოს ამიერიდან ძალადგმირის მისამართით ხმის აწევა, მისი სიცოცხლის ხელმყოფელთა წისქვილზე ასხამდეს წყალს.

არადა, თუკი მწერლობა უმწიკვლოდ გამოვა ამ ამაზრზენი ცილისწამების ლიამოწოვიდან, ადვილმოსალოდნელია დანარჩენი 13 გადაცემის მართლზომიერებაშიც შეეჭვდნენ, იქაც აღმოაჩინონ ჯოხის გადახრები, იქაც გამოააშკარაონ რევანშიზმის ნიშნები და ძალადგმირს წყალში ჩაეყრება კონტროლის პალატის ბარქაშით მირთმეული მასალების კაშპიროვსკის მომნუსხველობით ჩაბულბულება მონიტორიდან.

აი, სად მარხია ძაღლის თავი!

აი, რისთვის ცდილობენ დესტაბილიზაციის აგორებას ჩვენთვის დაუდგენელი სახსრებით დაფინანსებული მასმედიის რჩეულნი.

ქართული მწერლობა შორს არის ზურაბის ზვარაკეულობისაგან სურამის ციხის სადარი, სიტყვის თავისუფლების ციტადელის კედლების სიმკვიდრისათვის.

სიტყვის თავისუფლება გონიერი კაცობრიობის ოცნებაა, მაგრამ აღვირი და სახრე არასდროს წყენდა მართლზომიერ კალაპოტში მის მდინარებას;

სიტყვის თავისუფლება არც განუკითხაობას ნიშნავს და მით უფრო — სხვათა ინტერესების შელახვას; ამ შემთხვევაში — აბსოლუტური უმრავლესობის ეროვნული ღირსებების ფეხით გათელვას;

სიტყვის თავისუფლება არც ათასწლოვანი ტრადიციების ხელის ერთი მოსმით იავარქმნას უიგივდება, ისტორიულად არსებულის ხელაღებით მოსრას, დაწდევებული მამა-პაპური ყოფიერების თავწარკვეთას ქოცოზე, საქონდაქრესა თუ სულაც საჯალათო კუნძზე.

რომელ სიტყვის თავისუფლებაზეა საუბარი, შეგირდო, ჩემო, როცა ხუთმილიონიან მრევლს ორიათასწლოვან მართლმადიდებლურ საკურთხეველს გიბილწავს გუშინდელი 14 000 იეღოველი?

როცა ათასხუთასწლოვან მწერლობას გიპუსტიაკებენ უწიგნური წიგნთფარეშნი; როცა მითაჟამინდელ ცხოვრების წესსა და რიგს გიქილიკებენ ჩვენი ფსიქიკისათვის შეუთავსებელი სუბკულტურის კულტივირებით 12-24 თვით ოკეანის ხაერნაყლაპი ახალუხები?

ხოდა, ყოველივეს შემხედვარეს გასაკვირია რუსული ჩექმებით დაპანღურების ორასწლოვანი პრაქტიკა რწყილის კბენად მოგეჩვენოს გაღმაოკეანური გამსრესავი იდეოლოგიური ზეწოლის ფონზე?!

გვიტევენ უცხვირპირო პასპორტებით; გვიტევენ აღვირახსნილი პერიოდიკითა და გაფარღალალებული ეთერით; გვიტევენ თავისუფლების ინსტიტუტებით; გვიტევენ დონოროფობი იეღოველებით და ამ ფართომასშტაბიან ყიამყრალობა-მოლაყბეობას რიხიანად დაუხვდე, მამულიშვილურად, მეციხოვნეს უფლებამოსილებით შეეჭიდო, თურმე სიბეცეა, გორნებაშეზღუდულობა, სიტყვის თავისუფლების ხელყოფა!

12-23. 05, 2000 წ.

ეროვნული შერიგების ტრიუმფალური თაღი

სამყაროში ზებუნებრივი ძალის არსებობას თუკი დავუშვებთ, ჩვენი დიდი წინაპრები: იოანე მარუშიძე, დავით აღმაშენებელი, ცოტნე დადიანი, სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე თუ სულ ახლახან რუსთაველზე კვარივით აბრიალებული გია აბესაძე სიტყვებით:

დაე, მე ვიყო უკანასკნელი მსხვერპლი საქართველოს თავისუფლების გზაზეო, დარწმუნებული ვარ, 2000 წლის 20 აპრილის შემდეგ წამით მაინც მილულავენ აბორჯებული სამშობლოთი ძილწართმეულ თვალებს, რადგანაც ზუსტად ამ დღეს ტრიუმფალური თაღი დაედგა ჩვენი ეროვნული

შერიგების მარათონულ უთანხმოებას: საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, პარლამენტის დადგენილებით დაგმობილია დროსა და სივრცეში ნებისმიერი პოლიტიკური პრობლემის ძალადობის ფაქტორით გადაჭრა და ამ გზით ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა. ამასთან, შეწყვეტილია დევნა 91-92 წლების მოვლენებთან დაკავშირებული ნებისმიერი პიროვნების მისამართით.

ეს ნანატრი ნაბიჯი უდიდესი გამარჯვების საწინდარია, ჩემო ქართველობავ!

ათობით წერილი მივუძღვენი შუაკაცის, მედიატორის აუცილებლობას ჩვენი გათიშული სულების შედუღაბების საწინდრად.

გათიშულია ღმერთთან გაიგივებული სიტყვა, მწერლობა ზოგადად; გათიშულია პოლიტიკური ძალისხმევა, ლოცვანი ჩვენი სახელმწიფოებრიობისა;

გათიშულია ერი და ბერი, ჩვენი არსობის პურის მომკელდამხაბაზებელი; გათიშულია ტერიტორიები, მხარეები, უბნები და შუკა-ბანები — ჩვენი ქვეყნის მონოლითური სხეულებრიობა;

ჩვენი სახელმწიფოებრიობა ახლა ზედმიწევნით ხგავს რთული კონსტრუქციის უკიდურესობამდე დაშლილ მანქანას, რომელიც გენერალური აწყობის პროცესს დასდგომია, ზოგი გაცვეთილი ნაწილი სათადარიგოთია შესაცვლელი, ზოგი გადასაკეთებელია მთლად, რათა მესამე ათასწლეულში ჯაყჯაყ-ჯუჯღუნ-ჯღავანის ნაცვლად ცივილური ხარმონიით — ტრადიციული პოლიფონიით შევსრიალდეთ.

სხვაგანაც მიწერია და აქაც გავიმეორებ, შეუდარებელი მედიატორის ჩამომავალი ვარ, ბიქტორ ფეტელავას შვილიშვილი.

ვაჟა-ფშაველასავით ძვალსახმული ბერიკაცი, ნადიაკვნარი ფერშალი, ფაფარგაკრეჭილი და კუდმოკვეცილი ცხენით, დღენიადაგ ურთიერთწაკიდებული ადამიანების შერიგებას იყო დარაჯებული. ღმერთმა უწყის, ღირსეულ თანამზრახველებთან ერთად რამდენად ოჯახს ააშორა უბედურება.

— შერიგება მხოლოდ ტკბილი სიტყვებით ვერ იქნებაო, — წამოიწყებდა სულმნათი. — გაშველებისას უყვართ ხელის გამოღება მოჩხუბართ, გააფთრდებიან, გაჯიქდებიან, მაშინ ამოანთხევენ გულიდან ბოღმა-სამსალათა ენგურებს და, ბუნებრივია, შენც გვარიანად მოგვხვდება, მაგრამ არაფერია ეგ, დაბეჟილობა გაგივლის, ხოლო ნეტარება საერთო ბედნიერებით, საერთო თანხმობით გამოწვეული, ერთიასად აღგიდგენს მოყენებულ ტკივილებსო, — იტყოდა ხშირად.

ათასნაირი მეთოდი შეემუშავებინა ბრძენთაბრძენ პაპას ჩემსას. აღმსავარცხნს აღმა ვარცხნიდა და დაღმასავარცხნს — დაღმა. უამრავი აჯამი მოუთვინიერებია, სადაც ტკბილი სიტყვა არ ჭრიდა, დიახაც — ძალადობის ფაქტორით, იძულების მეთოდებით.

ვინმე გამახარიას ჯალაბს დილაბნელზე წვევია. გაუღვივებია კერია. იმჟამინდელ სამურზაყანოში შესარიგებელი პიროვნება მედიატორს არაფრისდიდებით დაელაპარაკებოდა, არც ჭურჭელი გაჩხარუნდებოდა, ვინაიდან მსგავსი ქმედებანი შერიგებაზე თანხმობას ნიშნავდა თურმე. და აი, პაპა ბიქტორი მიჯდომია შუაცეცხლს, აშიშხინებს ღორის მწვადს, შებოლილ სულგუნს, აფიცხინებს დასერილ ღომს, საკუთარი საგზლიდან, აფუტებს ცერისსისხოზე დახვეულ თუთუნს. მასპინძლებს მოთმინების ფიალა ეწურებათ. გარეთ ფრინველ-პირუტყვი ფხრეწს ყურთასმენას, შიგნით პატარებს ძვალ-რბილში გაუჯდებათ შიმშილის ჩრჩილი. არის ერთი ვაიუშველებელი, ხოდა, ოჯახის ჯაგარა უფროსიც მეტს ვეღარ გაუძლებს — დაადგი ქალო ღომიო, მუჯლუგუნს ხკრავს აქამდე ლოგინში გატრუნულ დედაკაცს.

არც მუხლის მოდრეკვას თაკილობდა წაკიდებულთა შესარიგებლად პაპაჩემი ბიქტორ ფეტელავა.

ოქუმელი ფარფალიებისა და ემსხუარების გაუთავებელი სისხლდენანი ცნობილა. ერთი პერიოდი შეარიგეს თითქოს, მაგრამ კვლავ წამოტივტივდა ბოროტების უნარი სისინით და მორიგი სიცოცხლე შეიწირა მსხვერპლად. ყმაწვილკაცია განგმირული, ფარფალიების უკანასკნელი იმედინუგეში. ცას წვდება მათი გლოვა, მათი ზარი. ხოდა, როგორია ამისთანა ვითარებაში შერიგებაზე სიტყვა ჩამოუგდო ჭირისუფალს? ცოცხალი თუ გადარჩი, ღმერთს მადლობა შესწირე, მაგრამ სამურზაყანოელი მედიატორები არას დაგიდევდნენ მომლოდინე ფათერაკებს, ვინაიდან იცოდნენ, ერთ უბედურებას მეორე აეტორღიალებოდა, მეორეს მესამე აეტვირთებოდა და მოისრებოდა მშვიდობიანობა სოფლად, თემში.

ხოდა, ამისთანა ვითარებაში, უკვე მესამედ უნუგეშოდ მობრუნებულ ოცეულს წინ მიუძღვის პაპაჩემი ბიქტორ ფეტელავა.

წვიმას ცხენის ფლოქვების მიმოსვლისაგან ეზო აუტალახიანებია. მიცვალებულის ორმოცამდე უნდა მოასწრონ მამასისხლად წაკიდებულთა შერიგება.

მასპინძელი აივნიდან არ იძვრის, დაზავების საბაბს წახგვრიან მედიატორებს. ასეა და ეგრევე წუნწუხოს გაუპირდაპირებს პაპაჩემი ბიქტორ ფეტელავა, ორივე მუხლით დაეშვება ტალახში. ცხრამეტი შემრიგებელიც რიგრიგობით მიხბაძავს წინამძღოლს. მერმე როგორი საყურებელია შენს ქვემოთ დაჩოქილი ოცი მხედრის ხილვა. გულზე ხელებდაკრეფილ მათ იერს უცქირე ახლა რიკულებიანი აივნიდან ძარღვების აუშლელად და აწივლდებიან ქალები, აბღავლდებიან კაცები, ვინაიდან მათი სიჯიუტე წელშია გადატეხილი, მათი მიუკარებლობის ციხე-ბასტიონი აღებულია, დალაშქრული.

მიწერია წლების წინათ ფრინველ-პირუტყვითა და შთამომავლობით დაყურსულ აფხაზ მეოჯახეზე, რომელსაც სისხამზე ეშმაკი აუჩნდება და ერთი რამეზე დაყაბუდლება — ქონებაა ეს, ჯანმრთელობა, პირუტყვის სიმრავლე, დანარჩენს უკლებლივ წაართმევს. ითათბირებს შინაურებში მხცოვანი აფშილა, ყველას დაუგდებს ყურს, ახალმოყვანილ რძალსაც, რომელსაც ადათ-წესით ხმის ამოღების უფლება წართმევია.

ერთმანეთის დაყოლის ნიჭი სთხოვეო, მაცილს, მამავ, ბატონო,იტყვის ის მწყაზარი და როდესაც ამ წინადადებას მოისმენს თხისჩლიქება ბელზებელი, სიმწრით გაიძურწება სხვა საკბილოს საშოვნელად, ვინაიდან მისივე სიტყვებით, თუკი ერთმანეთის დაყოლის უნარს მიუბოძებს სავსე ოჯახს, თვითონ რაღა დარჩებოდა პირში გამოსავლებელი?!

გულის გასკდომამდე სიხარულით მივესალმები საქართველოს პარალმენტის □დაიხსომეთ თარიღის საკრალურობა), ეროვნული თანხმობისათვის ტრიუმფალური თაღივით აღმართულ მონუმენტს.

ეს უკვე გაცილებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიდრე ევროკავშირში გაერთიანება. შესაძლოა პირიქითაც მოგვემოქმედებინა: ჯერ ერვნული კონსენსუსი და მერე საერთაშორისო აღიარებანი, მაგრამ ისიც ხომ გვსმენია, მიძლიებული ოქრო სპილენძდებაო. მაშინ, ალბათ, ჩვენ ვერ გავივლიდით რვა წელიწადში მოსეს მრევლის 40-წლიან უდაბნოეთს ქანაანისკენ; ხოლო ცხოვრებისეული გამოცდილებით, რაც იოლად მიიღწევა, მალედვე გვეცლება ხელიდან, მშვიდობიანი, უსისხლო რევოლუციით მოპოვებული ეროვნული ხელისუფლებისა არ იყოს.

ძნელი გზით ვარსკვლავებისკენო, უყვარდათ თქმა ლათინებს. ასე რომ, ჩვენი პარლამენტის ,,ეროვნული თანხმობის'' დროებითი კომისიის ერთ-ერთ წევრად შემირაცხავს თავი აქედანვე, ამ ისტორიული დადგენილების მცირეოდენი კორექტივით:

ეროვნული კონსენსუსის პრობლემა სულაც არ გახლავთ დროებითი მომენტი, იგი მარადიული პრობლემაა, იგივე ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით ნიადაგ მისაყურადებელი ფენომენი. ამიტომაც მიზანშეწონილად მიმაჩნია დადგენილების ტექსტში ,,დროებითი'' სიტყვა შეიცვალოს ,,მუდმივით''. ნურავინ იფიქრებს შევრიგდებით დღეს და ხვალ-ზეგ არ წარმოიქმნება უთანხმოების, დაპირისპირების სიტუაციები. აი, სწორედ ამისთანა ვითარებისათვის უნდა არსებობდეს საზოგადოებრივ საწყისებზე მარადმოქმედი მედიატორობის, შუაკაცობის ინსტიტუტი, რომელიც თავისთავზე გამოცდის კონფრონტაციულ მხარეთა ყოველნაირ მეხთატეხას, მაგრამ ჩანასახშივე ჩააქრობს ნებისმიერ გაუგებრობას თუ წინააღმდეგობას.

ასეთი ინსტიტუტი მეხამრიდად მოგვევლინება მომავალში კონფლიქტური სიტუაციების გაუვნებელყოფისათვის.

თურქეთის დიდმა ვეზირმა, ყმაწვილობით მართლმადიდებელმა, ვიშეგრადელმა სოკოლმა, სიჭაბუკეში გამახმადიანებულმა, მამასისხლად წაკიდებული მუსულმანებისა და ქრისტიანების გამაერთიანებელ ძალად უნიკალური ხიდი გადო დრინაზე. დიდი წინააღმდეგობებით შენდებოდა ეს ხიდი. მას მახმადიანებიც ანგრევდნენ და იესოს მიმდევრებიც, მაგრამ განუზომელი გახლდათ დიდი ვეზირის ძალისხმევა და ათასი სიდუხჭირე-ჭირთათმენის შემდეგ გაიდო ხიდი დრინაზე რელიგიური განსხვავებულობის მოსასპობად.აბსტრაქტულ ხიდს ვაშენებთ ჩვენც ახლა, ბუნებრივია, სათანადო სახეცვლილებით. აქ წინააღმდეგობა ზედმიწევნით ქართულია: ეროვნულისა და კოსმოპოლიტურის ჭიდილი; კომუნისტური მორალისა და საბაზრო ურთიერთობის დაგმობის დისბალანსი; ლეგიტიმურის და მოძალადის ქომაგობის აღსასრული, პლუსისა და მინუსის თანამშრომლობის აუცილებლობა; სიკვდილისა და სიცოცხლის ურთიერთგანმსაზღვრელობა, რასაც თავისთავად მივყავარ ღმერთის გაგებამდე პრობლემის სინთეზური მეთოდით გადაჭრამდე, სადაც უარყოფისა უარყოფის კანონის შესაბამისად, სტატუს — ქვოს — თეზას, ლეგიტიმურ სიტუაციას, მისი აბსოლუტურად გამომრიცხავი ვითარება ცვლის — ანტითეზა და მოგვიანებით მათი მიზანმიმართული შერწყმით, უვარგისის უკუგდებითა და ჯანსაღის დაწინაურებით იქმნება ახალი ინდივიდი, ახალი საზოგადოება, ახალი წესრიგი. და ასე დაუსრულებლად.სინთეზური აზროვნების გზას, გური ოტობაიათა მარათონული მარტო

შუაკაცობით თუ ჟურნალისტთა ფედერაციაში □ბატონ ბაკურ გულუას ინიციატივით) ეროვნული თანხმობის დარბაზის პერმანენტული შეხვედრებით ნიადაგშემზადებულს, მყარად დავსდგომივართ 2000 წლის 20 აპრილის დილასისხამიდან, ხარმონიული კავკასიის არქიტექტორი დიდი ვეზირის აბსტრაქტული ხიდით და ამინ მისი მარადიული სუფევა.

ეს ფოტო გივი მაისურაძის არქივიდანაა. ავტორი ვერაფრით გავიხსენეთ, მაგრამ გურიის რომელიღაც ხეობის მიკლაკნილ-მოკლაკნილი გზა ,,კრიმანჭულად'' მოუნათლავს მის შემოქმედს. ვნახე და სიხარულისაგან ცას ვეწიე. სათაურიც მყისვე შევუცვალე: ,,საქართველოს გზა თავისუფლებისაკენ'' დავანათლე ჩემი მონუმენტური ტრილოგიის ,,საქართველოს უკვდავების ფორმულას'' ანოტაციის მაგიერად მოშველიებულ ვიზუალურ მასალას. ჯერ კიდევ გამოუსვლელ წიგნს ვჭურდავ, მაგრამ რადგანაც განუზომელია 2000 წლის 20 აპრილის მნიშვნელობა ჩემი ერის ცხოვრებაში, ვფიქრობ, გულისხმიერი მკითხველი არ გამკილავს ამგვარი საქციელის გამო. და რადგანაც უკეთესი სარბიელი გამორიცხულია, ვიდრე სამშობლოს წინსვლა და ბედნიერებაა, მეათასედ ვიძახი: საქართველოსთვის ყველაფერი-მეთქი! საქართველო ყველაზე და ყველაფერზე მაღლა-თქო.დიახ, მეგობრებო, 2000 წლის 20 აპრილი ეროვნული შერიგების ტრიუმფალური თაღია.''

26 აპრილი, 2000 წ.

საქართველოს დალაი-ლამა

გნებავთ — ქურუმი, მოძღვარი
თუ სულაც — ჭყონდიდელი

დალაი-ლამის ინსტიტუტი ტიბეტურ ფენომენადაა მიჩნეული მთელს მსოფლიოში:

დალაი-ნორი ისეთივე თვალწარმტაცი ტბაა მონგოლეთში, როგორც ტაბაწყურ-ტაბახმელა თუ ტობავარჩხილი ჩვენში.

,,დალაი'' პირდაპირი მნიშვნელობით ზღვის იდენტურია, ზღვის ტოლფარდი და გადატანითი, ირიბი სემანტიკით — სიბრძნის ოკეანის ბადალი.

რაც შეეხება ,,ლამას'' უმაღლესი ტიტულია ჩინგიზ ყაენის ერის მღვდელთმსახურებისა. ხოდა, ამ ორი, ფრიად კეთილხმოვანი ფონემის შერწყმით მიღებულია უიშვიათესი შინაარსის გონება, რომელიც ჩვენებურად ,,ზღვასავით უსაზღვრო სიბრძნის მატარებელ მესიად'' ითარგმნება.

ორიათასს მიღმა შემთხვევით არ მოემგზავრებიან აბრეშუმის გზით ბაგაში გაჩენილი უფლის სახილველად აღმოსავლელი მოგვნი. ლამაისტური მოძღვრების სწავლებით ერის სულიერი წინამძღოლი მარადცხოველი სვეტია, მარადმსხმოიარე დედაბოძი; იგი გარდაისახება ოდენ, გ ა რ და ი ცვლება, გადანაპირდება მარაზმული სხეულიდან ახალშობილი ჩვილის აურწყავ ვარდისფერში და მთელის სიგრძე-სიგანით არავითარ შემთხვევაში ექვემდებარება ხენეში სიკვდილის მიწიერ გაგებას.

დალაი-ლამას არსება მიწყივციკლურია, ნიადაგწრიული, მარადსპირალური ანიდან ხოემდე და პირუკუ.

ქრისტეს ცხოვრების ტიბეტური ვერსია შემთხვევით როდი ჩემულობს უფლის ყრმობა-ჭაბუკობის ქვეყნიერებისათვის უცნობ ოცდახუთ წელიწადს.

თუკი ვერსიის დონეზე ყოველივე ამის გაზიარება შესაძლებელია, მაცხოვარს ჩვენსას საქართველოს ტერიტორიაზე კოლხეთიდან მოყოლებული იმერეთ-ქართლ-კახეთით დამთავრებული ორგზის მაინც გამოუვლია — ონავრობის პერიოდში თიხის ჩიტებისათვის სულისჩამდგმელს თუ კოსმოსური ცოდნით დაყურსულს, გადალაილამებულს, გაზღვავებულ-გასიბრძნიანებულს. ასე რომ, ტიბეტური მოვლენა — დალაი-ლამა — ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის ფასეულობაა, მეთხუთმეტე საუკუნიდან, ოქროს ურდოს უკუქცევის მერმე ნაშობი, მონგოლეთში, სავარაუდოდ, ქართულ-ალანურ-ვაინახურ ,,დალაის'' ანასხლეტი, რომელი ცალხმიანი სიმღერა უნისონური გუნდის თანხლებით მიცვალებულთა საჭირისუფლო ოდაა, იგივე მუშვანური — ზარი — ხმით გაუკვდავება მოყვასისა.

არის ვერსიები, რომლის მიხედვით ნადირობის ქალღმერთი ,,დალი'', ვაინახურ-ქართული ,,დალაი'', იგივე ჩეჩენ-ინგუშური ,,დეილა'' სამლოცველოს გაგებით, შუმერული ,,დელბად'' ცისკრის ვარსკვლავის შინაარსით თუ ტიბეტური ,,დალაი-ლამა'' — უმაღლესი ზღვა-სიბრძნეობა — ერთი ბრილიანტის სხვადასხვა წახნაგია; და ოდეს მონგოლეთში დალაი-ლამა პერსონიფიცირებულია, ერთპი-

როვნული ძალმოსილებაა კონკრეტულ მღვდელთმსახურში აკუმულებული, საქართველოში იგი განსხვავებული ფორმით წარმოგვიდგება — როგორც კრებსითი განზომილება — აბსტრაქტული ინდივიდუუმი სიტყვაკაზმული მწერლობის სახით; მაგრამ, მოდით, რამდენადმე დავეშვათ ციდან მიწაზე, რთულიდან მარტივისაკენ, ყოველდღიურობის ღავღავს ფეხი ავუწყოთ და ვიდრე ზედმიწევნით ვამხელდეთ რატომ ებრძვიან ქართულ ბელეტრისტიკას ოკეანენაყლაპი კოსმოპოლიტი ახალუხლები წიგნთსაცავების ბარიკადებიდან თუ ,,60 წუთის'' ,,ჩორნი ვორონას'' ცხაურისმაგვარი ბარიერიდან, ვერის ბაღში ჩვენი კოლეგების თხზულებათა აჭიაკოკონებისა ვთქვათ.

იქ, ძველი კომუნარების სკვერში, რვა წლის წინ ხომ ინკვიზიციური კოცონი შეეგზნო კანონიერი მთავრობის ორკვირიანი დაზარბაზნების ჟამს ბაგედადუმებულ მწერლობას ჩვენსას. ვისაც რუსთაველის გაღმა-გამოღმა აბობოქრებულთა გაშველება, დაშორიშორება გვევალებოდა; ვისაც მამასისხლად დაპირისპირებულ ძმათა დაზავება გვეკისრებოდა ტრადიციისამებრ, ვერ გამოვდექით გულჩაუქი:

ენა გადაგვეყლაპა 24-ის გმირებს;

პირში წყალი დაგვიგუბდა 37-ის რაინდებს;

თავი ქვიშაში ვდურთეთ 56-ის ამირანებმა;

გავისუსენით, გავიტრუნენით, ,,არავის საქმეში არ ვერევით ჩვენო,'' ჩავიდუდღუნეთ თუთაშხიასავით, ნატისუსალის სუნმა მიგვავიწყა წამით ქვეყნის ბედ-იღბალი. აქაოდა, ,,კორუმპირებული ინტელეგენცია'' გვიწოდესო, ,,ქვეყნის მოღალატეებად'' მოგვნათლესო, ,,სუკის აგენტებად'' შეგვრაცხესო, და მერე ვის — 89 წლის გოლიათებს, 89 წლის დევგმირებს, 89 წლის არამხუტუებს; ხოდა, ორმხრივი ცდომილებით, ორმხრივი მოყოჩოობით საბოლოოდ გავიხლიჩეთ ორ არათანაბარ ნაწილად.

ერთ ნაპირზე დარჩება სიტყვის მსახურთა ოჯახის მეექვსედი, სამოცამდე კალმის ოსტატი — ,,მარტი-92''-ის სახელმწოდებით, მეორეზე ძირითადი ბირთვი ჩვენი შემოქმედებითი მამითადისა — 400 -მდე ხელოვანი. რვა წელიწადი გარდასულა ამ საბედისწერო მომენტიდან და მიუხედავად ეფემერული მცდელობისა, ვერაფრით მოხერხებულა ქრისტესმიერ ძმათა შორის მიმტევებლური შერიგება, აღმსარებლური გაერთსულიანება.

მე კი ვიმეორებდი და ვიმეორებ მეათასედ: სანამ ქართული სიტყვა გახლეჩილია, ჩვენ ვერასდროს ვიზეიმებთ წინსვლას და წარმატებებს თუნდაც გოჯისხელა მასშტაბით. საკითხი ეხება უფალთან, ღმერთთან, ცაბაოთთან გაიგივებული სიტყვის გახლეჩას — შიზოფრენიას, რომლის შეუდუღაბებლად შემდგომ მიღწევებზე ოცნება ინფანტილური ფანტაზიორობაა.

დიახ, გახლეჩილია ქართული სულიერება ორ არათანაბარ ნაწილად და ეს კონფრონტაციის ვითარება ბერძენიშვილ-გოგიჩაიშვილებს მღვრიე წყლის სიტუაციით აბედვინებს ქართული სულიერების დალაი-ლამასთვის ქვის დაკარებას. ხაი, დედასა! დიახ, გათიშულია ქართული სულიერების სადროშო ორ არათანაბარ სიდიდედ და ისე გეგმაზომიერად გვიახლოვდება მწერალთა სამაისო ყრილობა, ამის თაობაზე კრინტს არავინ ძრავს. თითქოს ყველა წინააღმდეგობა გადაგველახოს, თითქოს ყველა პრობლემა მოგვეგვარებინოს, თითქოს რედუქცირებული გახლდეს სხეულის დაკარგული ნაწილი, თითქოს აღდგენილიყოს ჩაქცეული ხიდები; მაგრამ თავის მოტყუება, ჭირის დამალვა, რომელიც ხვალ-ზეგ თავადვე წარმოჩინდება უსათუოდ, აღარ სჩვევია სამშობლოს სულიერ ფასეულობათა ლოცმანებს: იოანე მარუშიძეებს, სულხან-საბათა, ილია ჭავჭავაძეებს თერგდალეულებითურთ, თუ 2000 წლის გახლეჩილ მწერლობას — სულგაბზარულ დალაი-ლამას.

ყველაფერს რომ მოვეშვათ, ,,დალაი'' ხომ ხმითნატირალია თუშეთ-ალანიაში, ვაინახეთსა თუ გაპობილ გულსა შინა, იგივე ავახმეს, უდიდესი წუხილის იდენტური, იგივე მოჭირისუფლეობა, უმაღლესი გულშემატკივრობა, მეოხება და შემწეობა, ნუგეშისმცემლობა დავრდომილი ერისა.

უმეცრების ღვარცოფს გაუთიშავს მონოლითური სულიერება ჩვენი, და გაღმა-გამოღმა ნაპირებიდან განსხვავებული დიაპაზონით, განსხვავებული სიძლიერით ვქომაგობთ სამშობლოს სატიკივრებს.

მე კი ვამბობდი და ვიმეორებ:

სანამ ეს ორი ნაპირი არ შეირწყმება, იარა არაფრისდიდებით შეიკრავს პირს, არ ჩაეხრახნება გაწყვეტილი სული სულს, ნებისმიერი გულმთუთქაობით ცალკერძდატირებულს სამამულო დასტაქრობის გზაზე მინდიას ჯადო-თილისმა გაბედითებია, წყალში გადაყრილი სიკეთეა, უპერსპექტივო ღონისძიება.

ჯერ შინაური უთანხმოება მოვაგვაროთ, ჯერ თვალში თვალი გავუს- წოროთ ერთმანეთს, ურთიერთგანქიქებისა და ლაფთაფრქვევის სინდრომი გადავლახოთ და მერმე მავანთა მასონურ შემოტევასაც ეშველება და ალან დალესის ხელზე ბიჭთა ჯვაროსნულ გამოლაშ- ქრებასაც

„რუსთავა-2“-იდან. ჯერ მთავარი სენია განსაკურნი. ჯერ გახლეჩილი მწერლობაა გასაფოლადებელი, დანარჩენი პრობლემები ხომ მუმლის მნიშვნელობისაა მუხათა აღნაგობისათვის.

მწერლობის სისხლხორცეულ საქმეს ველარაფრით გამოუჩნდა აბსოლუტური მიტევებისათვის მიწამდე თავის დამდრეკი შუაკაცნი და რვაწლიანი წყლის ნაყვების შემდეგ ისევ საქართველოს სამგზის პრეზიდენტი ფართომასშტაბიანი ამინისტიით—91-92 წლების მოვლენებში დაპირისპირებულ მხარეთა განურჩეველი სასჯელპატიებით დაუდებს საფუძველს ჩვენს რეალურ შერიგებას.

როგორც ჩანს, გური ოტობაიას მარათონულ მოჭიმულობას მედიატორულ გზაზე უკვალოდ არ ჩაუვლია;

როგორც ჩანს, წლინახევრის წინათ „ლიტერატურულ საქართვე- ლოში“ წივწივაძე-ცინცაძის ერთობლივი მიმართვა გლობალური შერიგებისკენ არ დარჩენილა მღაღადებლის ხმად უდაბნოსა შინა;

პუტჩიანელებისაგან დამხობილი პრეზიდენ- ტის ქვრივი, ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია მიტინგებს მართავს უკვე საყოველთაო შერიგების სულისკვეთებით;

მხცოვანი პოლიტიკოსი ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილი დიადი შერიგების განთიადს შეჰხარის თავისი წელგამართული დაისიდან.

და ამისთანა სიტუაციაში, ამისთანა ვითარე- ბაში ქართულმა მწერლობამ ბერძენიშვილ-გოგიჩაიშვილებთან ბრძოლას შეალიოს ძირი- თადი საომარი პოტენციალი, ცთომილ ტაქტიკა-სტრატეგიად მიმაჩნია.

უმჯობესია ერთმანეთის მიმართ თავდა- დრეკის გზით, ერთმანეთის წინაშე ქედმოხრის მეოხებით, ვეზიაროთ ოდინდელ ურთიერთ- თაყვანისცემას, ურთიერთგატანას, რომელიც ელვისებურად მოიცავს სრულიად საქართვე- ლოს, ხელის ერთი მოსმით დაამხობს ათწლიანი კონფრონტაციის ავადსახსენებელ პრაქტიკას, ადრეული ხალისითა და სათნოებით გააჯერებს თითოეულის ძილ-ღვიძილს: გახლეჩილი დალაი-ლამა ფენიქსივით მკვდრეთით აღსდგება, გაიმრთელებს, მოიშუშებს მესიანობის უნარებს, და საშვილიშვილო მემორანდუმით თითოეულ მხარეს ბრალეულობას მოუხსნის შთამომავლობის წინაშე. აღსარება, მონანიება კათარზისის ერთადერთი გზაა. სხვანაირად ქართულ მწერლობას არ უწერია მესიანობის საკრალური ფუნქციის აღსრულება მშობელი ერის ცხოვრებაში.

გაიხსენეთ ხის დაჩივლებული ანდაზა:

ნაჯახი რას დამაკლებდა, შიგნით ჩემი ჯიშ-ჯილაგი რომ არ იყოს ტარად გაჩრილიო.

არსებული კომპლექსის დაძლევა წარმოუდგენელია მწერალთა ყრილობაზე ქართველი ბელეტრისტების ასპროცენტიანი მონაწილეობის გამორიცხვით.

„მარტელები“ ამჯერად პარლამენტში სიარულს არ თაკილობენ და მწერალთა სახლში მობრძანებას რისთვის იუკადრისებენ, თუკი საამისოდ ერთხელაც აფხიანდება სიტყვის მსახურთა საერთო ძალისხმევა?!

ვერეს ბაღში, რვა წლის წინანდელ ჩატეხილი ხიდის რესტავრაცია, დიახაც, მაისის ცხრამეტსაა შესაძლებელი, კვლავაც ჭადრაკის სასახლეში გამართული თავყრილობით, რომელიც ერთგვარ მსაჯულად და დასტაქრად მოევლინება ჭკვიანი მტრისაგან გათიშულ ჩვენს ერთ მუშტად შეკრულ ოჯახს. აკი, ქართველის ნათქვამია: რამაც მოგკლა, იმანვე მოგარჩინოსო.

ვერეს ბაღში დავქვესკნელდით ჩვენ რვა წლის წინ და ვერეს ბაღშივე უნდა აღვსდგეთ ფერფლისგან შთამომავლობის სახელით, საქართველოს უკვდავების საწინდრად.

დიახაც, ქართულმა მწერლობამ უნდა იპოვოს საკუთარ მეობაში ეროვნული უბედურების ჟამს გაუმართლებელი ბაგემდუმარების აღიარების ძალა, თავიც უნდა დადრიკოს საამისოდ და ეს დიდმამულიშვილური გონიერი ქმედება, დარწმუნებული ვარ, ერთიორად დააჩქარებს ეროვნული თანხმობის გზაზე დაწყებულ პროცესებს.

აი, უმთავრესი სარბიელი, აი უმთავრესი ფრონტი, რომელი ფლეშების დალაშქვრის შემდეგ ბერძენიშვილ-გოგიჩაიშვილების საწინააღმდეგოდ „ზარბაზნებით“ გასვლა ხიპერბოლად მოგვეჩვენება, მიუხედავად მათი მოჩვენებითი მონუმენტურობისა, მარილნაჭამი ვაზნებიც იკმარებს მამაპაპური არსენალიდან.

ბ-ნ თამაზ წივწივაძეს ჩინებულად შეუნიშნავს ქართული მწერლობის „მაშტურმებელი“ ძალის ნამდვილი სათავეები — ალენ დალესის იდეოლოგიის ტოქსიკური შემონაკადება ჩვენს არტერიებში. ალენ დალესის ბიჭების იდეოლოგიის საყრდენი, დიახაც, რვაწლიანი გათიშულობით დაბნეული ერთეულებია, შხეფი მწერლობისა.

„ღია საზოგადოებანი“, „თავისუფლების ხმები“, „რუსთავი-2“, „იეღოველები“, გამობ- ენტერებული ტალანტის მაძებარი „მაესტრო“ — ოკეანიდან შემოღწეული ნიხილიზმის ფესვი ტელევიზიის პირველ არხზე, ამ კოსმოპოლიტური ყმუილების ბაქნებია ჩვენი ქვეყნის ოთხივ კუთხით, და მათთან ქმედითი ბრძოლა უფრო და უფრო გაგვიჭირდება დროთა ვითარებაში საერთო ეროვნული თანხმობის მიუღწევლად.

„ღია საზოგადოებანი“, „თავისუფალი ხმები“, „იეჰოვას მოწმეთა“ ჟამი, „რუსთავი-2“ თუ ტალანტის მაძებარი „მაესტრო“ შემთხვევით როდი ფინანსდებიან ოკეანესგაღმელი ალენ დალესის დამქაშებისგან.

რუსეთის ბატონობის პირობებში ეს პროცესები ფარულად მიმდინარეობდა, ქვეშქვეშურად, ჩუმ-ჩუმალაობით. ახლა კი ამ მიმართებებს თავად „ქართველები“ ჩადგომიან სათავეში გარკვეული იდეოლოგიური პლატფორმებით, მაგრამ როგორც ბოროტებას არ გააჩნია მიზანი, ისე ალენ დალესის ბიჭებიც თავს ვერ იმართლებენ ქართველი საზოგადოების წინაშე დაცემულისა და გონჯის პროპაგანდით, ანტიადა მიანური განზომილებების სამსახურით.

მესიტყვეთა გაბზარულო საძმოვ, ამაზრზენს, დაცემულს, კოშმარულს და აღვირახსნილს იმისთვის აუნთებენ ისინი მწვანე შუქს, ჯერ ერთი, სოლიდური გასამრჯელოთი მოსყიდულან უკლებლივ □მათი ხელფასები თითოეულ გადაცემაზე ათასზე მეტი ლარით განიზომება), მერედა, რუსეთუმეობიდან მოყოლებული ამერიკათუმეობამდე სანდო ძალაა სათანადო ინსტანციებისთვის, გვარნაცვალი ხალხია, მეხუთე კოლონის მრევლი, გუგულის კვერცხებივით ბულბულის ბუდეში გამოჩეკილები, რომელთა უზენაესი მიზანი საქართველოს უმტკივნეულო ანექსიაა, ჩვენი ქვეყნის სულიერი და მატერიალური ფასეულობების დეზორიენტაციით, ჩვენი ეკონომიკური ბერკეტების მოშლით, მომხმარებლური ფსიქოლოგიის დანერგვით ტრადიციული დარგების კასტრაციის ხარჯზე.

გვარნაცვალი „ქართველი“ საუკუნეობით იქმნიდა ალიბს სადღეისო მოღვაწეობისათვის. მისი ანთროპოლოგიური მონაცემები ერთი ანეკდოტის ხაზისაა: ბინდისპირზე სამეგრელოს მიყრუებულ სოფელში რეზიდენტს ჩამოსვამს „ცეერუ“ და ჭასთან მისული შპიონი თავანკარა მეგრულით სთხოვს დედაბერს დამწყურვალებას. ეს უკანასკნელიც კამკამა წყალს მიაწოდებს სტუმარს და იქვე დაამატებს: — როდის ჩამოხვედით, შვილო, ამერიკიდანო.

რეზიდენტი შეცბუნდება.

— კი, მაგრამ საიდან ამომიცანით, დედილოო.

და მანდილოსანიც:

— ზანგი ხარ, უბედუროო, იმდაგვარად დაანუგეშებს.

მართალია, მეხუთე კოლონამ ეროვნების რეკვიზიტის იგნორირებით პასპორტში იშვიათი ალიბები შეიქმნა სადღეისო, უმტკივნეულო ასპარეზისათვის: მიკირტუმ-გასპარიჩები თუ მეჯღანუაშვილები დადიანებად და ბაგრატიონებად მოვლინებიან ჩვენს სახელმწიფოებრიობას, მაგრამ მღვდელი ჭილოფში იცნობა, ანუ საქვეყნო საქმენი გამოაჩენს თითოეულს და როდესაც ეროვნების რეკვიზიტს ააორთქლებენ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში, დიახაც მეხუთე კოლონის მიმიკრისაა ყოველივე წყალში თევზივით უშფოთველი ნავარდისათვის.

მეხუთე კოლონა, რუსეთუმეა იგი თუ ამერიკამე, მაინც მეხუთე კოლონაა, უცხო ქვეყნების ინტერესების ვასალი; მეტიც, ზოგი იქაური კლანის უფრო შორსმიმავალი ზრახვების ხელშემწყობი, საბოლოო ჯამში საქართველოს ნებაყოფლობითი კაპიტულაციის მოსურნე.

დალესის ბიჭების გამრესავი მანქურთული იდეა არაფრით ჩამოუვარდება უკლასო კომუნიზმის მშენებელი საბჭოეთის ხაეროვან კოშკებს. დასახელებული სენიდან ადრე თუ გვიან ყველა ცხოველმყოფელმა ერმა დააღწია თავი აფრიკა-აზიასა თუ სამხრეთ ამერიკაში. ხოლო ანტიხუმანურობის, ბიბლიის დოგმათა პოლარული ზნეობრიობის ღია მქადაგებლებს არათუ შლაგბაუმები აღუმართეს საფრანგეთსა და იაპონიაში, გაუპანღურეს კიდეც.

სავალალოა, რომ ჩვენთან ურემიც გადაბრუნებულია, სახალხო დოვლათ-სანოვაგეც გაჩანაგებული, ეროვნული სიმდიდრე უცხოელი მაგნატების ხელში გადასულა, ხოდა, ამისთანა სიტუაციაში, ამისთანა ვითარებაში, საქართველოს დალაი-ლამას, ქართულ მწერლობას, დიახაც, მართებს სანთელივით უმწიკვლოებიდან აღმართვა ჩვენი სახელმწიფოებრიობის სადარაჯოზე ჩუგლუგ-მუზარადით. იგი თავისთავში ოდეს იპოვის უთანაბროდ გახლეჩილი სხეულის რედუქციის ძალას, მერე ალან დალესის იდეოლოგიის საცეცები ვერაფერს დააკლებენ მის მამულიშვილურ მესიანიზმს.

საქართველოს მწერლობა იყო, არის და იქნება ქართველი ერის სულიერი დალაი-ლამა, მოძრავი ეკლესია, ღმერთთან გაიგივებული განზომილების — სიტყვის მსახური და სრულიად უპერსპექტი-

ვოდ მეჩვენება ალენ დალესის ბიჭების შემოტევანი მის დასაქუცმაცებლად, მითუფრო, როდესაც ბერლინის კედლის მომშლელი, გახლეჩილი გერმანიის შემაერთებელი ედუარდ შევარდნაძე თავისი საარაკო დიპლომატიური არსენალით დაძრულა ეროვნული თანხმობის მისაღწევად.

იულიუს კეისრის ჯერ კიდევ როდინდელი სენტენცია: დავიდე ეტ იმპერა — გათიშე და იბატონე — უცხოურ იდეოლოგიას საქართველოში უშფოთველი ბიზნესის მოპოვების ავგაროზად დაუსახავს. მწერლობა ზარია ერისათვის, სამრეკლო; თითოეული შემოქმედი მისი სიფხიზლის მნათეა და როცა ამ ინსტიტუტს მოუშლი ქვეყანას, რომლის ზემოქმედების ხარისხი უკვე ვერ არის საზიანო, ბამბისკბილა წინააღმდეგობაა განცხრომილი კუჭისა და შაქარმოფრქვეული ჯირკვლების წყალობით.

მხოლოდ მწერლობას, მხოლოდ არაოფიციალურ მეხუთე შტოს ხელისუფლებისას, მხოლოდ მკრებელობით დალაი-ლამას ძალუძს ჩვენი სამშობლოს ნებისმიერი პრობლემის სახიერი წარმოჩინება და საჭიროების შემთხვევაში სათანადო რეცეპტის მიშველიებაც სნებოვანი ორგანიზმისათვის.აი, რატომ დაგეშილან ქართული მწერლობის წინააღმდეგ დალასის ბიჭები. აი, რატომ ილაშქრებენ ისინი მაინცდამაინც სიტყვის მსახურთა მისამართით და არა თეატრალების, მუსიკოსების, მხატვართა და ა.შ. არანაკლებ წევრიანი გაერთიანებების საზიანოდ. მაგრამ ვინაიდან და რაგდანაც აქამდე თუ ამას იქითაც, სიტყვა ყოველთვის იყო, არის და იქნება პოლიტიკური სარბიელის წარმმართველი ძალა; ვინაიდან ამ ორომტრიალში ვერც ჩინებული მუსიკალური ნაწარმოებით გახვალ ფონს, ვერც იშვიათი ფერწერული ტილოთი, ვეღარც რაფინირებული სკულპტურითა და ცეცხლოვანი ქორეოგრაფიით, მომიტევებენ ქრისტესმიერი ძმები — შედარებით მუნჯია თითოეული დარგი სპეციფიკურობის გათვალისწინებით და როდესაც ამისთანა ღელეთამღვრევის ჟამს მწერლობას ჩამოაშორებენ საზოგადოებრივ სარბიელს; როდესაც სიტყვის მსახურ ქურუმებს გაფანტავენ, გნებავთ საკმაოდ სოლიდური სტიპენდიებით მიაჯაჭვავენ ბულვარულ თემებს, აპოლიტიკურ ვითარებებს, ფაქტობრივად დალაი-ლამა ნეიტრალიზებულია, ხელ-ფეხი ეხსნება ბოროტებას განუკითხაობისათვის; ჩამოსცილდება მკაცრი მსაჯული შოკური თერაპიის სულისჩამდგმელებს, არავინ ამხელს მუჭა „შარავანდედიანთა“ აღვირახსნილ ორგიებს მსოფლიო ბატონობის გზაზე; უდალაილამო ერში მეოხი-ქომაგი წაეგვრება მილიონების უნუგეშო მდგომარეობას.

ასე იბრძოდნენ ყველა ეპოქაში ალენ დალასამდე, მისი სამარცხვინო ზეობის ჟამს თუ თვითგამორკვეული ერებისგან მათი გამოპანღურების მერმე გარეგარე ყმუილ-ღავღავში.

საქართველოს მწერალთა კავშირი, 19 მაისის ყრილობით გამთლიანებული და შედუღაბებული ერთ მონოლითურ სხეულად ვერის ბაღის სიახლოვეს, წარმომესახება მეხუთე კოლონის, ამ შინაური მსტოვარის გამანეიტრალებელ ძალად, მისი ანტიქართული საქმიანობის მამხილებელ და დამთრგუნველ ენერგიად, მეხამრიდად, რომლისკენაც, საბედნიეროდ. დაძრულია ჩვენი საერთო ძალისხმევა პრეზიდენტიდან დაწყებული რიგითი მოქალაქეებით დამთავრებული და იმედია, სანთელ-საკმეველი თავის გზა-სავალს არ დახკარგავს.

დაბოლოს, როდესაც საქართველოის მწერალთა კავშირი მისულია ეროვნული თვითმყოფადობის ერთპიროვნული დამცველის შეგნებამდე; როდესაც უკომპრომისო ომს უცხადებს ალენ დალესის დამქაშებს, ის ნებსით თუ უნებლიეთ ამაღლებულია ნამდვილი დანიშნულების პლატფორმამდე, რომლითაც 91-92 წლებში მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო, გაგვიგონია და რახან გადალახულია ეს ბარიერი, აწი მწერლობის გამრთლიანება ფორმალური მხარეა, ეს უკვე მოხდენილია დროსა და სივრცეში მამულიშვილურ პოზიციებზე მიბრუნებით და რადგან მთავარი ნაბიჯი გადადგმულია, ალბათ, დანარჩენსაც ეშველება, როგორიცაა თავად მწერალთა გაერთიანების სტრუქტურული ნიუანსები, მისი საარსებო წყაროების დაზუსტება: კომერციული საქმიანობით ივლის არენაზე თუ ძველებურად სახელმწიფო ბიუჯეტს გამოეკერება მავანთა გულის გასახეთქად. საშვილიშვილო საღგონიერებით კი საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისათვის ხმალშემართული საქართველოს დალაი-ლამა ქართველივე ხალხის ლუკმაპურით დაფინანსდეს, ღმერთმანი არაფერი დაშავდება. პირიქით, ამ აქტით ჩვენ პატროფილურ ორიენტაციას დავაფიქსირებთ ზედმიწევნით, ვინაიდან ხელისუფლებაში ჟამი-ჟამ განსხვავებული ორიენტაციის პარტიები მოდიან ხოლმე: მემარცხენეები, მემარჯვენეები, ცენტრისტები, მონარქისტები, კომუნისტებიცა და ნაცისტებიც, საქართველოს დალაი-ალმა — მშობლიური მწერლობა კი მუდმივ-ეროვნულია, მუდმივსაკაცობრიო, მუდმივსამყაროისეული ფასეულობების მატარებელი და აქ ზოგი პარლამენტარის გამოხდომა იმ ჭიაყელის ავტოქირურგიის მისამგვანებელია, საკუთარი ნებით რომ დაითხრის თვალს, თუმცა ეს მაგათი პრობლემაა... თვალისჩინახელილთა კი სხვა გვაქვს დასამოძღვრი: დიადი განთიადის მაუწყებელია 2000 წლის 19 მაისი!

24. 04. 2000 წ.

ქართული მწერლობა — ჩვენი
სახელმწიფოებრიობის დედაბოძი

2000 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა ყრილობაზე ვერწართმეული სიტყვა მცირეოდენი კომენტარითურთ

ისტორიული თარიღის წინაშე ვდგავართ ყველანი, ძვირფასო სტუმრებო, თანამოკალმენო: ქართლოსიანთა XX საუკუნე ეროვნული მწერლობის XX ყრილობით იხურება, იხურება ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის არაერთი სიტყვაკაზმული მონაგარით, მაგრამ იმპერიალისტური ძალებისაგან ინსპირირებული შიდააშლილობებითა და სეპარატისტული ორომტრიალით, ,,რუსთავორელებისა'' თუ ,,ტალანტების'', ,,იეღოველებისა'' და ,,დაშნაკცუტუიუნელების'' დამქაშთა წინაღმდეგ მართონულ ბატალიებში ჩათრეულებმა, სთანადოდ ვეღარ მოვიცალეთ ჩვენი უნიკალური სულიერი პროდუქციის ექსპორტისათვის — საკადრისად ვერ ვუპატრონეთ ქართული ლექსის დედოფლის, ქალბატონ ანა კალანდაძის უანკარეს პოეზიას:

ვეღარ მივაშველეთ ზურგისქარი ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის ქრისტესმიერ ,,დათა თუთაშხიას''; ვეღარ გამოვადექით ქომაგად ბატონ ოთარ ჭილაძის თავისუფალი მეობის ტრუბადურ ,,აველუმს'', სხვათა და ნობელის პრემიის მიუხვეჭავად შევდივართ მესამე ათასწლეულში. ამიტომაც საქართველოს მწერალთა განახლებულმა ორგანიზაციამ ამთავითვე უნდა იზრუნოს ჩვენი ბელეტრისტიკის საერთაშორისო რეზონანსისათვის.

ქართულ მწერლობას ქვეყნის ბიუჯეტის მძიმე ტვირთად წარმოსახავენ მავანნი, არადა, 400 მწერლის შესანახი ნახევარი მილიონი ლარი ზოგ ხელისუფალს სრასახლის ასაშენებლად ძლივს ყოფნის ზღვისპირეთსა თუ კოჯორ-წყნეთის მისადგომებთან!

ქართული მწერლობის ცენტრალიზებული დაფინანსების პრეტენზიები შირმაა, ფარსი ზოგიერთი პოლიტიკანისათვის. ანტიქართული გრანტების კალთებიდან აფრენილი რეფორმატორები ხუთჯერ მეტ თანხას სიხარულით გაიღებენ რამდენიმე მწერლის უზრუნველსაყოფად, ოღონდ ძირფესვიანად მოიშალოს სიტყვის ოსტატთა ორგანიზებული ბირთვი; ოღონდ განქარდეს ამ ოკეანედალეულთა თავზე დამოკლეს მახვილივით ჩამოკიდებული მამხილებელი ბელეტრისტული ძალა!

დიახ, მეგობრებო, ჩვენ უწინარესად დედის პერანგივით თანდაყოლილი ეროვნული პოზიციისათვის გვებრძვიან ვიეთნი, მაგრამ ქართული მწერლობა არასდროს შეურიგდება ქვეყნის მთლიანობის ხელყოფას ჭირვეული სეპარატისტული რეჟიმებისგან აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში, საერთაშორისო ორგანიზაციების წყლის გულმოდგინე ნაყვისაგან საქართველოს ,,გულდაწმვარი'' მოჭირისუფლეობის გზაზე!ქართული მწერლობა არასდროს შეურიგდება მილიონი რეპატრიანტი ნამეხსეთარი თურქის რიხიან მოძალებას მაინცდამაინც სამცხე-ჯავახეთში კომპაქტური ახალმოსახლეობისათვის, როცა 300 ათასი დევნილი ქართველი დღემდე მაწანწალობს სამშობლოსა და მის ფარგლებს გარეთ. რეპატრიანტთა ჩამოფუძნებას უცხოური ფონდები აფინანსებენო, გვანუგეშენენ მამულია-ოღლები. საქართველო, ცხადია, მიიღებს კომუნისტური რეჟიმისაგან შერისხული თვისტომის გარკვეულ ფენას, გარკვეული დოზით, მაგრამ არა იმ მარშრუტებითა და მასშტაბით, როგორც ამას გვკარნახობენ რეპატრიაციის პრობლემებით ,,გულდათუთქული'' გურამ-ზადეები. ასეთი კეთილისმსურველი თუ ხარ, ჯერ შიდა პრობლემები მომაგვარებინე, დალოცვილო! ჯერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დევნილი მოსახლეობა დამაბინავებინე ჯეროვნად და მერე გაიფხორე მამალი ინდაურივით!

ქართული მწერლობა არასდროს შეურიგდება ეროვნული რეკვიზიტის წაშლას პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში და არც სახრავი ძვალივით გადმოგდებულ არანაკლებ დამცირებლობას: ,,ეროვნება — ქართული''. ეროვნება ქართველის თავსმოხვევა ეშინიათ არაქართული მოსახლეობისათვის — რუსებისათვის, სომხებისათვის, აზერბაიჯანელებისათვის და ჩვენს ღვთიურ სიტყვას უმოწყალოდ ამახინჯებენ.

რა, საქართველოს მოქალაქეები, როდის აქეთ ვქცეულვართ ნივთებად, საგნად? ,,ქართულს'' უსულო განზომილებებზე იტყვიან. გასაგებია ,,ქართული ღვინო'', ,,ქართული მარგანეცი'': ,,ქართული

სიმღერა", „ქართული ცეკვა", მაგრამ არა — ეროვნება, შუა აუზის დიდი ზღვარი!

ქართული მწერლობა არასდროს შეურიგდება საშვილიშვილო ტყეების გაჩანაგებას ქართლ-კახეთში, იმერეთს რაჭა-იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარა-გურიასა თუ სვანეთ-სამეგრელოში!

ქართული მწერლობა არასდროს შეურიგდება კონტრაბანდული სპირტისაგან ფალსიფიცირებული ღვინით მოშხამულ ჩვენს რეალობას და ამ გზით ქართველი კაცის ყოფიერების ქვაკუთხედის — მევენახეობის მოსპობის ვერაგულ ზრახვებს!

ქართული მწერლობა არ შეურიგდება სამშობლოს დეზერტირი და ძმათათვის სისხლის არგამღები იელოველების პარპაშს!

ქართული მწერლობა არ შეურიგდება პრესის კანონის ბლოკირებას, ურომლისოდაც ჭირს ავმოსიტყვე ცილისმწამებლის დასჯა კანონის ძალით!

ხოდა, ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენი სიტუაცია ზოგჯერ მორევში ნაბობოქრალი კაცის გუბით შეშინების ტოლფასად მეჩვენება: როცა ათასი ჯურის გვარნაცვალმა შემოგვიტია ოთხივ კუთხით, ჩვენს ტრადიციულ დასახელებაში თავი იჩინა სრულიად გაუმართლებელმა მსაზღვრელებმა — „საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული შემოქმედებით კავშირიო", გადავინათლეთ ყრილობის ჩაუკითხავად!

რატომ, რისთვის, რომელი უფლებით, მეგობრებო?!

ქართული მწერლობის სამართალმემკვიდრე „საქართველოს მწერალთა კავშირია". ჩვენ წლების წინანდელი გახლეჩვის სინდრომი თუ გვიწუხებს სინდისს, აქ სხვა მეთოდებია ასამოქმედებელი; მედიატორობის, დიადი შერიგების, ცდომილებათა ორმხრივი აღიარების პრაქტიკა და არა პროკრუსტესეული სარეცელი, რომელიც დოგმის დონეზე კუმშავს ან ჭიმავს ბუნებრივ პროცესებს. ამიტომაც საქართველოს მწერალთა კავშირის კონტექტსში აბსოლუტურად ზედმეტია სიტყვები: „საერთო", „ეროვნული", „შემოქმედებითი", რადგანაც საქართველოს მწერალთა კავშირი თავად არის კრებითი ცნება, როგორც უამრავი კუთხისა და ეთნოსის, ისე — ლიტერატურული სკოლა-მიმდინარეობისა. იგი თავისთავში გულისხმობს „ეროვნულსაც", და „შემოქმედებით" პროცესებსაც.

განა დამამცირებელი არ არის ქართველ მწერალს პატრიოტული მოვალეობა შეახსენო?!

ქართველი მწერალი, როგორც წესი, მამულიშვილია უწინარესად და ზოგადკაცობრიული იდეალებისათვის თავდადებულიც ამავდროულად, რაღა თქმა უნდა, აბრასავით მოჩეჩებული „შემოქმედებითი" უნარების წყალობით! ამიტომაც ჩვენი ორგანიზაციის გატყლარჭული დასახელების მხარდამხარ დაუყოვნებლივ გასწორებას მოითხოვს ერთი კურიოზიც: ჩვენი წესდების პრეამბულაში შავით თეთრზეა მითითებული— „1.2. კავშირი წარმოადგენს საჯარო სამართლის არასამეწარმეო □არაკომერ- ციულ) იურიდიულ პირს..." და ცოტა მოგვიანებით, ფინიშნთან — „5.2... კანონით ნებადართული დამხმარე ხასიათის სამეწარმეო □კომერციული) საქმიანობით მიღებული შემოსავლები"-ო. კი, მაგრამ რანაირად? თავში არაკომერციულები ვართო, ვიძახით, ბოლოში — კომერციულებიო. რომელს დავუჯეროთ? ზუსტად ამაზეა ზედგამოჭრილი— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

მეგობრებო, სადაც არის გავასრულებ ვრცელტანიან წიგნს ჩვენი მრავალათასწლოვანი ქვეყნის ავანჩავანზე სათაურით: „სუფევა" („საქართველოს უკვდავების ფორმულა)". ეს ბოლო პერიოდი უბატონო კახეთში ვიმყოფები შემოქმედებითი მივლინებით, ძელქვასავით ურჯვი კუთხის მაჯისცემას დახარბებით მიყურადებული. კიდევ რამდენიმე თვეც და ყველა მასალა, ყველა არგუმენტი ხელთ მექნება . ბატონ ედურად შევარ- დნაძესთან გულახდილი დიალოგისათვის თუკი ქვეყნის პრეზიდენტი თავისი ძვირადღირებული დროიდან, მცირე მონაკვეთს მაინც გამოიმეტებს სამშობლოს ღობე-ყორეს მოდებულ მწერალთან სასაუბროდ, იქნებ ის დიალოგი მრავლად წაადგეს, როგორც აფორიაქებულ დღევანდლობას ჩვენსას, ისე — დასაწდევებულ მომავალსაც!

დაბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემი ათიათასი თანასოფლელი ოტობაიელის სახელით საჯაროდ მოვახსენო მადლობა ბატონ თამაზ წივწივაძეს, როგორც ქართული მწერლობის მოდარაჯეობის გზაზე გამოჩენილი პიროვნული მამაცობისათვის, ისე ჩვენი დევნილი და-ძმების უმაგალითო თანადგომისათვის. საქმე ის გახლავთ, რომ ოთხმოცდათვრამეტი წლის მაისის თვეში, როცა სამურზაყანოს მოსახლეობა ხელმეორედ გამოგვიძევეს ისედაც იავარქმნილი საცხოვრისებიდან, გლდანის რაიონის გამოგეობასთან, და მწერალთა ჯგუფთან, ბატონების: სოსო ვაშაკიძის, რეზო ჭეიშვილის, რევაზ მიშველაძის, გენო და ზაურ კალანდიების, შუკო ჯიქიას მხარდამხარ, ბატონმა თამაზმა ტონობით ტვირთი — კვების პროდუქტები, საწოლები და წიგნები ჩაუტანა თბილისიდან ღია ცის ქვეშ დარჩენილ ჩემს თვისტომს. ამას წინათ მითხრეს ჩემებურებმა:

— იქნებ როგორმე მოიპატიჟო ის ხალხიო. ენგურსგაღმა ოტობაიაში ჯერ კიდევ სახიფათოა სტუმრობა, ამიტომაც ჩანგრეულ ხიდისთავთან, მეზობელ ორსანტიაში გაგიმასპირძლდებითო. სიცოცხლის რისკის ფასად მოწეული პურ-ღვინით დაგიხვდებით და ვანახებთ ყველას თუ ოტობაიელებს ამაგის გადახდა როგორ სცოდნიათო!

აღარც მე დავაყოვნე:

— ცოტა გვადროვეთ, ძვირფასებო, ავირჩევთ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ბატონ თამაზს და გაცილებით მეტი ოდენობით გესტურმებით-მეთქი. ამ ბოლო დროს ქვეყნის მტრულ ძალებთან ბრძოლაში იმდენად გავიწაფენით, იმდენად გამოვიჯარჯეთ, რომ გამორიცხული არ არის, იქითაც გამოგყვეთ, სეპარატისტებისაგან მიტაცებულ მიწა-წყალზე-მეთქი. თანაც მყისვე ლუკას პერიფრაზიც მოვიშველიე სახარებიდან, — საქართველოს მწერალთა კავშირის — დედაბოძის — გარშემო დარაზმული ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს სუფევას, გჯეროდეთ, დასასრული არ უწერია-მეთქი.

— ამინო! — ბრძანეს მათ, მეგობრებო, და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, თავაწეული სულისკვეთებით დავიძრათ უნუგეშო დღევანდელობიდან ნათელი მომავლისაკენ, როგორსაც ეჭვმიუტანელი წინასწარმეტყველობით გვიხატავს სინელი ბერი იოანე ზოსიმე!

21. X.2000 წ.

„მწიგნობართუხუცესი“ — ნახირ-ნახირ

,,დღე არ გავა, კვირა, თვე, ჩვენს უხანო სინამდვილეში, სკანდალი არ წამოგორდეს; ჩაიფარცხება ერთი და მოღვარძლდება მეორე.

ბედი არ გინდა?! ერის უგვირგვინო მეფის, ილია ჭავჭავაძის, შუბლი ასწილ ბედნიერია ბერბიჭაშვილის ტყვიისაგან, ვინემ ,,მწიგნობართუხუცესი'' ბერძენიშვილის მკრეხელური პასკვილების დასით.

,,მწიგნობართუხუცესი'' ბერძენიშვილის სულიერი სიბერწე, ყივჩაყური არასრულფასოვნების ქვეცნობიერი კომპლექსი, გაცილებით ღრმაფესვიანი საქსაულია, მეტიც — ანჩარი, ქართული მწერლობის, სრულიად საქართველოსათვის, ვიდრე ეს თითქოსდა ,,თავისუფალი მოქალაქის'' მოპოვებული სიტყვის აზარტობის ზედაპირული შრეებიდან მოჩანს. ორი რამე აქცევს და ანადგურებს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სახელმწიფოებრიობას — გვარნაცვალი მტერი და სულნაცვალი მოყვარე.

,,მწიგნობართუხუცესი'' ბერძენიშვილი კი არა, თავად წიგნიერების მამფალი ბრმა აედი ხომეროსიც კი ვერ შეძრახავს საქვეყნოდ ილია ჭავჭავაძეს: ასეთ ქართველ მწერალს არ გცნობო, იმნაირი სიმაღლისაა საზოგადო ბიწიერებას დაჭიდებული მისი გენია, მაგრამ წიგნთაფარეშს კუსავით ფეხი გამოუყვია, მეც ნახირ-ნახირო, ზმუის და საქართველოს მოსახლეობის უფლებათა დაცვის სარქლობასაც ეპოტინება, რაჟამს ბელეტრისტულ პრობლემებს წირვა გამოუყვანა ქართველი კლასიკოსი მწერლების განქიქებით: ილიას არ ცნობს, აკაკი არ მოსწონს, ვაჟა რუსთაველს ურჩევნია, ქართულ ზეცაზე ამობრწყინებულა ესთეტიკოს-მეტრი, რომელიც მეფისტოფელის უკუღმართულ რიგს და წესს გულმოდგინებით მოარგებს ჩვენი სიტყვიერების სხეულს პროკრუსტეს სარეცელსავით.

საკითხავია და განსასჯელი: რატომ, რისთვის, რის გამო უგულებელყოფს ,,მწიგნობართუხუცესი'' ბერძენიშვილი მაინცდამაინც ილია ჭავჭავაძის ზოგადკაცობრიულ მწერლურ პალიტრას, რა დაშავებია, რით გაღიზიანებულა, რა ემცხეთა?

საიდან იღებს სათავეს ეროვნების რეკიზიტმოშლილი პასპორტივით ეს უღირსებო განცდა?

თათქარიძეობის კომპლექსიდან, ძმებო თუ ,,ქვათა ღაღადის'' ნესტარით დასუსხული ზოგი ეთნოსის მსტოვრობით?

სხვა რა გამართლება ეძებნება ერის წმინდა ნაწილების ხელყოფის, შებილწვის განუხრელ თვითმცდელობას, ავტომეცადინეობას?

როდესაც ადამიანს შემოქმედებითი ატკინებით ხალხისათვის, საზოგადოებისათვის თავის დახსომება არხელეწიფება, ეგრევე არტემიდას ტაძარს მიეჭრება ხეროსტატესავით მუგუზლების ბრიალით. ხოდა, სანამ ფიზიკურადაც არ გადაბუგულა ,,მწიგნობართუხუცესი'' ბერძენიშვილებისაგან აქამდე სიტყვიერადღა იავარქმნილი სულიერი საგანძური ჩვენი, შეაჩერეთ-მეთქი, ამას გთხოვთ, ამას გეაჯებით, შეაჩერეთ და ილიასებურად თუ ვიტყვით, თავი უკარით სადაც გნებავთ, სადაც გენებოთ, თუნდაც ,,ძროხაში'', თუნდაც ღია საზოგადოების ორპირ-გამჭოლ-ფარღალალა დერეფანსა თუ სხვაგან, ოღონდ სულიერების საჭურჭლეთა მცველობას ერთხელ და სამუდამოდ ჩამოაშორეთ

ეს ზორბა-ზორბა მეღამიები!

განა რიგით ქართველებს სისხლხორცეული პატროფილური ინტერესების დამცველად გამოგვადგება უწიგნური „მწიგნობართუხუცესი," რომელსაც უწინარესი ერისკაცების, გამოვკვეთავ, ქართლოსიანთა სინდის-ნამუსის საშვილთაშვილო უფლებები ფეხით გაუთელავს, ენით წარუწყმედია?!

28. 01. 2000 წ.

P. S.

ბედი არ გინდა? ჯერ ეს დურბელა ვერ მომენელებინა და მთლად უარესი დამერთო ზედ?! თავად განსაჯეთ:

„7 დღე", №13, 2-3 თებერვალი, 2000.

აფხაზეთის იარაღით დასაბრუნებლად კარგი ფონია შექმნილი.

„დ. ჩუბინიძე: — პრესაში გამოქვეყნდა ინტერვიუ დავით ბერძენიშვილთან. მან თქვა, რომ აფხაზებს სახელმწიფო შექმნის უფლება აქვთ!

თ. ნადარეიშვილი: — სწორედ ამაშია ჩვენი უბედურება!.. როდესაც ეს დავით ბერძენიშვილმა თქვა, აფხაზებმა ამას ასეთნაირი პასუხი აგსცეს: „მადლობა ღმერთს, რომ საქართველოში, ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა საღი აზრი!"

ბედი არ გინდა? ბერძენიშვილი ერთი ძმა არ ცნობს ქართველ კლასიკოს მწერლებს, არ ცნობს წმინდანად შერაცხულ მათ სახელებს, არ ცნობს დროსა და სივრცეში მსუფევ საქართველოსთან გაიგივებულ მათ მესიანიზმს.

სამაგიეროდ მეორე ძმა ცნობს აფხაზეთის სახელმწიფობრიობას, ცნობს აფსუა სეპარატისტებისთვის ორჯონიკიძეების მსგავსად მიბოძებული ქართლოსიანთა ძირძველ მიწა-წყლის განკარგავს;

ეს ორი განცხადება ერთი ანჩარის ტყუპისცალი ნაყოფია სხვადასხვა რაკურსიდან, მარჩბივია ზოდიაქოს ხოროსკოპისა, რომლის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის საუკუნო დამხობაა, მკვდრეთით აღდგომის შანსიც რომ არა აქვს ფენიქსივით.

დიახაც, ამაზე თქმულა: ძმა ძმისთვისო, შავი დღისთვისო.ცრუ კერპებიაო შენი წმინდანები, შხამს გაწვეთებს სულში ბერძენიშვილი ერთი ძმა; მოჩვენებითია შენი მონოლითურობა; ფარსია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე შენი გატყლარჭვა, შენი სახელმწიფოებრიობაო, გამუნათებს მეორე. დღეს აფხაზეთი გამოგეყოფა შენს ძალადშეკოწიწებულ სხეულს, ხვალ— აჭარა და სამაჩაბლო, ზეგ— მესხეთი და შიდა ქართლი, მასზეგ— სამეგრელო □მანამ გვერდი ნუ დაუდგებათ). აი, როგორია, რანაირი ამათი ფარღალალა-მასონ- ური ოცნება; აი, ამათი სიტყვისა და საქმის პერსპექტივა ცოტაოდენი ჭკუის მიტანებით.რა ხდება?! რა ამბავია?! თეთრი ყორნების ცვენაა?! შადიმანობის უნიღბო მასკარადია?! ყვავ-ყორნების მოძალებაა დაჭრილი არწივის მიმართ თუ ამპარტავნულიო რ იგინალობა სამშობლო დამცრობის გზაზე?!"

გ. ო.

ალენ დალესის ლენცოფა

დამთავრდება ომი, ყველაფერი როგორღაც დალაგდება, მოეწყობა და ჩვენ ყველაფერს, რაც კი გვაბადია... მთელ ოქროს, მთელ მატერიალურ ძლიერებას, გადავისვრით ხალხის გამოსათაყვანებლად.

ადამიანის ტვინი, ხალხის შეგნება შეიძლება შეიცვალოს.იქ ქაოსს შევქმნით, ჩვენ შეუმჩნევლად შევცვლით ნამდვილ ფასეულობებს ყალბით და ვაიძულებთ მათ, იწამონ ეს ყალბი ფასეულობანი. როგორ ?ჩვენ ვიბოვით ჩვენს თანამოაზრეებს, ჩვენს თანამშრომლებს და მოკავშირეებს თვით რუსეთში. ერთი მეორეზე მიყოლებით ეპიზოდებად გათამაშდება თავისი მასშტაბებით გრანდიოზული ტრაგედია ყველაზე ურჩი ხალხის დაღუპვისა და მისი თვითშეგნების საბოლოო და შეუქცევადი ჩაქრობისათვის. ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჩვენ თანდათან მოვუსპობთ მათ სოციალურ არსს. ხელოვანთ გადავაჩვევთ, ჩავუკლავთ მისწრაფებას — შექმნან სახეები, გამოიკვლიონ პროცესები, რომელთაც ადგილი აქვს ხალხთა მასების წიაღში. ლიტერატურა, თეატრი, კინო ადამიანის ყველაზე უფრო მდაბალი გრძნობების ამსახველი და გამავრცელებელი იქნება. ჩვენ ყოველნაირად

მხარს დაგუჭერთ, შეგაქებთ ეგრეთ წოდებულ მხატვრებს □ხელოვანთ), რომლებიც დანერგავენ ადამიანის შეგნებაში სექსის, ძალადობის, სადიზმის, გამცემლობის კულტს — ერთი სიტყვით, ყველაფერ ამორალურს... ჩვენ შეუმჩნევლად, მაგრამ აქტიურად და მუდმივად შევუწყობთ ხელს ჩინოვნიკების, მექრთამეების თავნებობას, უბრინციბობას; ბიუროკრატიზმი აყვანილი იქნება სათნოების სიმაღლეზე...

პატიოსნება და წესიერება გამასხარავებული და არავისთვის საჭირო აღარ იქნება, იგი წარსულის გადმონაშთად გადაიქცევა... უზრდელობა და თავხედობა, ცილისწამება და მაწანწალობა, ლოთობა და ნარკომანია, ცხოველური შიში ერთმანეთისადმი... უსირცხვილობა, ნაციონალიზმი და ხალხთა შორის მტრობა — ყველაფერი ეს ოსტატურად და შეუმჩნევლად იქნება კულტივირებული და აყვავდება მძაფრი ფერებით. მხოლოდ ზოგიერთნი მიხვდებიან და გაიგებენ კიდეც თუ რა ხდება, მაგრამ ასეთ ადამიანებს ჩვენ ჩავაყენებთ არამოდურ მდგომარეობაში და ქვეყნის სასაცილოდ გავხდით, მოვძებნით ხერხებს, რომ მათ ცილი დასწამონ და ისინი საზოგადოების ნაძირალებად გამოაცხადონ... ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანების გასარყვნელად ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან. ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რომ მოვთაფლოთ და გავხრწნათ ისინი. ახალგაზრდებისაგან ჩვენ შევქმნით ჯაშუშებს, კოსმოპოლიტებს. აი, ასე გავაკეთებთ ამას.

ჯონ რედტკლიფის სამსალა

პირველი დარტყმა აქამდე გაუხრწნელ, აქამდე წმიდათაწმიდა ოჯახურ საწყისს უნდა მივაყენოთ; ის როგორმე დაშლა-გახლეჩამდე მივიყვანოთ. მაშინ შესაძლებლობა გვექნება, ძირფესვიანად ამოვატრიალოთ ის, რისაც დღემდე სწამდათ ქრისტიანებს. სანაცვლოდ ამისა, აღვზარდოთ სხვადასხვა ენებით გატაცებული არმია, თავისუფლად გამოვუცხადოთ ღია ომი ყველაფერ იმას, რისაც სწამთ და ეთაყვანებიან ჩვენი მტერბი... ჩვენს საკუთარ საქმეებში ვიყოთ კონსერვატორები, ხოლო „გოებში“ რეფორმატორული სული ავაღორძინოთ. შემდეგ კი, ამ რეფორმებს ჩვენი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი მიმართულება მივცეთ. ქრისტიანებს შორის რამდენადაც მეტი სხვადასხვა რგოლი თუ პარტია შეიქმნება, იმდენად მეტი იქნება უკმაყოფილება. ხალხი გაერთიანდება კაპიტალისტების ძალაუფლების ქვეშ. ეროვნული ტრადიციების უსუსურობა ჩვენი გავლენის გაერთიანებას და ამაღლებას უწყობს ხელს, ამიტომაც ჩვენ უნდა ჩავერიოთ უკმაყოფილების ყოველგვარ გამოხატულებაში და ალიდან კოცონი ავაგიზგიზოთ. ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი ყველა შეტაკება ხელს უწყობს ჩვენს გამდიდრებას და გვაახლოებს ჩვენს სანუკვარ მიზანს — მსოფლიო ბატონობის მიღწევას... ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი მიწის ხელში ჩაგდება, ადვოკატურის დაპყრობა, ასევე მედიცინის და ა.შ. ხოლო თუკი ოქრო უძლიერესი მამოძრავებელი ძალაა კაცობრიობისა, მაშინ მეორე — უეჭველად პრესაა...

ვაჟა ფშაველა

კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

ზოგს ხგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი □და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, — რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძ-

მეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მის შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გებულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. აგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენისები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ხპოვეს სამშობლო — მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. ,,ხამლეტით'', ,,მეფე ლირით'' ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებით. შორს რად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება ,,ვეფხისტყაოსნით'' და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? — არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფნის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ხყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათამყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედა-ენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ხაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე — საზრდოდ, ნანა — მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ხგრძნობს, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, — ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდ უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეხხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? — იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ხყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, — სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გერშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივსმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწი-

ნავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარხყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

□1905 წ.)

ზვიად გამსახურდია

ეროვნება არა აქვს ცხოველს...

როცა სადღაც, აფრიკაში ამხობენ მორიგ დიქტატორს, დაახლოებით ბოკასას ტიპისასსა, კაციჭამიობაში მხილებულს, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მთავრობები ამას განიხილავენ, როგორც „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა უხეშ დარღვევას“ და დიქტატორის საშველად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს გზავნიან.

... მაგრამ როცა საქართველოში იარაცის ძალით დაამხეს კანონიერი პრეზიდენტი და მიიტაცეს ხელისუფლება, მსოფლიო საზოგადოებამ ეს ფაქტი შეაფასა, როგორც ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამოვლინება.

იმის გასარკვევად, თუ რით აიხსნება დასავლური დემოკრატიის ესოდენი გულგრილობა სახელმწიფოს კანონიერი ხელმძღვანელობის ბედისადმი, მივმართეთ თავად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას.

— მთავრობები, რომელსაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში კარგა ხანია განუდგნენ დემოკრატიას. დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა ამ მთავრობებს სურთ, გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ, მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება, და თუ წინააღმდეგობას წააწყდებიან, უბრალოდ, ამხობენ მას. ასეთ შემთხვევაში მათთვის არა აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი თუ ავტორიტარული. ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებისადმი დღეს საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს სახელმწიფოებში.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ყველაზე მძლავრი სახელმწიფოები უკვე აღარც კი ცდილობენ შენიღბონ თავიანთი ზრახვები და აშკარად და ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას. სწორედ ეს მოხდა საქართველოში.

— ბატონო პრეზიდენტო, რას წარმოადგენენ ეს მსოფლიო ძალები, ესოდენ თავისუფლად რომ ერევიან უცხო სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში?

— კაცობრიობის მტრებს — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს, პარლამენტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისაკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვრელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით.

ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისადმი საქართველოს ბანდიტურ ოპოზიციურ დაჯგუფებებს □ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მ მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებში.

— რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?

— ჩვენ მივესწრაფოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო.

დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა დახელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს □ცრუ) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის მოსვლისა.

მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ხქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთოევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი □მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კანგლომერატი, სათავეში — მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიოს წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს □ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა.

ძალები, რომელთაც ეკისრებათ მსოფლიო ხელისუფლების ბატონობის შემზადება, სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. მათი მიზანია, ეს ქვეყნები თავიანთი ხალხებით, მთავრობებით, კულტურებითურთ აქციონ უბრალოდ ტერიტორიებად, სადაც მოსახლეობას დატოვებენ მხოლოდ მსოფლიო ელიტისათვის საჭირო რაოდენობით. ამასთან, სრულიად დემორალიზებულს, მზადმყოფს მისი ინტერესების სამსახურისადმი. ამ ზრახვათა განხორციელებას მხოლოდ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა შეიძლება აღუდგეს წინ. ამიტომ ებრძვის დასავლეთი ეროვნულ მოძრაობებს, ამიტომ ცდილობს ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას და ომების პროვოცირებას. მაგალითად, იუგოსლავიაში მიმდინარე ომი მათი ნამოქმედარია. ეს შემთხვევით სტიქიურად აალებული კონფლიქტი კი არ არის, არამედ მიზანმიმართულად გაჩაღებული ომი, რომელშიც უნდა დაიფერფლონ ეროვნული იდეის მატარებელი ხალხი. დღეს დასავლეთს იუგოსლავიის მოდელი დასავლეთიდან გადააქვს კავკასიაში, სადაც ბალკანეთის მსგავსად, ხელოვნურად მწვავდება ეროვნებათშორისი დაძაბულება. შემდგომში ხან აქ, ხან იქ აფეთქებული ლოკალური კონფლიქტები დასავლეთს მისცემენ საბაბს პირდაპირი სამხედრო ჩარევისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა სახით. სულ ახლახან გაკეთდა განცხადება, რომ ნატო ხსნის სწრაფი რეაგირების ძალებს, ასი ათასი კაცის შემადგენლობით, რომელიც ჩაერევა მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მიმდინარე მოვლენებში. ფრიად საყურადღებოა, რომ ამასთან დაკავშირებით მოხსენებულ იქნა კავკასია და იუგოსლავია.

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ განზრახული გქონდათ ისეთი სახელმწიფოს აშენება საქართველოში, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ეროვნული ინტერესებისაკენ. რა მიგაჩნიათ უმთავრეს პირობად ეროვნული სახელმწიფოს აშენებისათვის?

— პირველ რიგში აუცილებელია შემუშავება ისეთი მექანიზმისა, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყანაში მოსახლე ყველა ეროვნების ურთიერთთანხმობის მიღწევას, ეროვნულ უმცირესობათა უფლების განუხრელ დაცვას.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შინაგანი სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია ძალადობისა და ეროვნულუმცირესობათა დათრგუნვის გზით. აუცილებელია გადასვლა ერთ სახელმწიფოში ეროვნებათა თანაარსებობის ისეთ ფორმაზე, რომელიც ხელსაყრელი იქნება ყველასათვის, როგორც ეკონომიკის სფეროში, ისე ეროვნული კულტურის შენარჩუნების უსაფრთხოების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო კოსმოპოლიტური ძალები, რომლებზედაც ვლაპარაკობთ, უსათუოდ შეეცდებიან რომელიმე ეროვნების უკმაყოფილება გამოიყენონ სახელმწიფოს დარღვევისათვის. ეს მათი ნაცადი და ქმედითი ხერხია. თვითგამორკვევის პრინციპი რასაკვირველია, არ უნდა დავიდეს აბსურდამდე, მაგალითად, თუ დღეს რუსეთში ვოლგისპირელმა გერმანელებმა გერმანული სახელმწიფოს შექმნა მოინდომეს, ეს ყოვლად დაუშვებელ მოთხოვნად უნდა შეფასდეს.

— რატომ ქმნიდით მაინცდამაინც ეროვნულ სახელმწიფოს? საერთოდ,რაში სჭირდება

ადამიანს ეროვნება, თქვენი თვალსაზრისით?

— სწორედ ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად. ეროვნება არა აქვს ცხოველს, სარწმუნოება და ეროვნება ის ძირითადი თვისებებია, რომელნიც ადამიანს სხვა სულიერისაგან განასხვავებენ და მისთვის ამ განმასხვავებელი თვისების წართმევა უმძიმესი დანაშაულია ადამიანის წინაშე, დასაწყისი მისი, როგორც პიროვნების დეგრადაციისა. დენაციონალიზაცია წინაპართა და წარსულის უარყოფა, ადამიანის სრული მოკვეთა ეროვნული ფესვებისაგან. კაცი ადამიანურ აზრს მხოლოდ თავისი ეროვნული კულტურის წინაშე ინარჩუნებს, ამიტომ ადამიანის კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული მის ეროვნებასთან; იგი მშობლიური კულტურის მეშვეობით ეზიარება მსოფლიო ცივილიზაციას. ამდენად დენაციონალიზაცია ადამიანისა და დენაციონალიზაცია ქვეყნისა წყვეტენ მათ კავშირებს დანარჩენ სამყაროსთან და დაუცველს ტოვებენ მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებული კოსმოპოლიტური ძალების წინაშე.

— რა ძალები აღუდგნენ ეროვნული სახელმწიფოს შექმნას თვით საქართველოში?

— საქართველოში ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს ნომენკლატურულს უწოდებენ. კულტურის ეს მოღვაწენი დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ საბჭოურ წლებში და ახლაც ახალ პრივილეგიებს გამოდევნებულები მზად არიან ზურგი აქციონ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამჯერად ისინი ე. შევარდნაძის გარშემო დაირაზმნენ. იგივე ნაწილი ინტელიგენციისა ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის სამყაროსთან, მაფიასთან. არსებითად, ჩვენთან, საქართველოში, მათ შორის არც არის რაიმე განსხვავება. ისინი ისე განუყრელად შეზრდიან ერთმანეთს, რომ ერთ პიროვნებაში ხშირად შერწყმულია ინტელიგენტიც და დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტიც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოიქმნა მთელი კლასი ასეთი ხიბრიდებისა, სწორედ ისინი ჩაუდგნენ სათავეში და განახორციელეს გადატრიალება.

ერთნი საქართველოში მომხდარს ახასიათებენ, როგორც „ბურჟუაზიულ რევოლუციას", რაც არ შეესაბამება სინამდვილეს; საქართველოში არ არსებობს ბურჟუაზია, არის მხოლოდ მაფია, და საქართველოში სწორედ „მაფიოზური რევოლუცია" მოხდა.

— რით აიხსნება დასავლეთის ესოდენ გაზრდილი ინტერესი კავკასიის მიმართ?

— ეს რეგიონი ძალზე მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. კავკასიის მფლობელი ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც. ეს, სხვათაშორის, მუდამ ესმოდათ დასავლეთის ქვეყნებს, რის გამოც ბრძოლა კავკასიისათვის უძველესი დროიდან მიმდინარეობდა მათსა და რუსეთს შორის.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, კავკასია წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მეტად აუცილებელია ორივე მხრისათვის.

რუსეთიც კავკასიას ოდითგანვე განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლაცდარმს, მაგრამ რუსეთი დღეს სუსტდება და ამიტომ დასავლეთი მიისწრაფვის, ხელიდან გამოსტაცოს მას ინიციატივა, თავისი გავლენა გაავრცელოს ამ რეგიონში და ბოლოსდაბოლოს მოახდინოს მისი ოკუპაცია. მაგრამ ეს შეუძლებელია კავკასიის სრული „ბალკანიზაციის" გარეშე. საკმარისია, რუსეთმა სცნოს მთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომ მათი სახით მყისვე შეიძენს ყველაზე ერთგულ მეგობრებს, რადგან აქ მკაფიოდ განასხვავებენ ელცინსა და რუსეთის სახელმწიფოს, როგორც მფარველს დასავლური ექსპანსიისაგან.

— ბატონო პრეზიდენტო, თავად თქვენ როგორ ეკიდებით რუსეთს?

— ძალიან კარგად. ვიმედოვნებ, არც თქვენ აიგივებთ ელცინსა და რუსეთს! მმართველები მოდიან და მიდიან, ქვეყანა კი რჩება. მე მიმაჩნია, რომ როლი, რომელსაც დღეს რუსეთი ასრულებს კავკასიაში, არ შეესაბამება მისსავე ინტერესებს და ოკეანის გაღმიდან აქვს თავს მოხვეული.

ჩემთვის არ არის უცხო პროორუსული განწყობა, მე მუდამ მივესწრაფოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ხყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი მეზობლის სახით. მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ ხელისუფლებას რუსეთისა. ისინი განაგრძობენ ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას კავკასიაში. შედეგად, ჩვენ ვდგავართ ამ კონფლიქტების დიდ ომში გადაზრდის სავსებით რეალურ საფრთხის წინაშე.

მე იმედი მაქვს კონფლიქტში ჩათრეული ხალხების, პირველ რიგში, რუსი ხალხის საღი აზრისა და გონიერებისა, ვიმედოვნებ, იგი შეიგნებს, თუ ვინ და რა ინტერესების კარნახით უბიძგებს რუს ჯარისკაცებს ახალი კავკასიური ომის უფსკრულისაკენ. ამ ომში ვერცერთი მხარე ვერ იქნება გამარჯვებული. მხოლოდ დასავლეთი მოითბობს ხელს ახალი ომის ალზე.

მე მწამს ხალხთა სიბრძნისა. ეს არის უკანასკნელი, რამაც უნდა გვიხსნას კატასტროფისაგან.

„ნაროდნაია პრავდა", 1992 წლის №41,

ქართული ჯაჭვის ტრაგედა

ახლოვდება მზებუდობის ფაზა საქართველოში, როცა მნათი გამოსხივების კულმინაციას აღწევს — 22 ივნისი. ჩვენი საუბრის გმირიც ზენიტზეა უკვე ესთეტიკური აზროვნების თვალთახედვით — ურთულესი ცხოვრების გზა გაუვლია, მაგრამ არსად წაბორძიკებულა; ყოველთვის ჭეშმარიტების პოზიციიდან წარმოუჩენია ქართლოსიანთა სუფევის ზიგზაგიანი შუქ-ჩრდილები და, მიუხედავად ყოველივესი, უამრავი კითხვა მოითხოვს კვლავაც პასუხის გაცემას.

ბიბლიიდან მოყოლებული კაცობრიობას ტანჯავს კანტის წამოძახილი: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონები ჩემში; რა არის ის მარადიული ძალა, რიგით მოკვდავს უფლისეულ სიმაღლეებს რომ აზიარებს... სად იღებს სათავეს ღირსების ბინული, შუბლის ძარღვთან რომ გაგვიიგივებია ტრადიციული წარმოდგენებით და ვინ იქნება ასეთი დროსა და სივრცეში ჩვენის სამშობლოდან? კიდევ მრავალზე მრავალი საჭირბოროტო დილემა წამოუტივტივდება ბატონ გოგი გაჩეჩილაძის ზღურბლთან მიახლებისას და როცა ჩამწერს ჩართავს ჩვენი კორესპონდენტი, (იზოლდა ცირდავა) **მიხვდება, ზედმეტი ჩარევებით მხოლოდ და მხოლოდ გააფუჭებს საქმეს, გარკვეულწილად დაანაწევრებს, გავფანტავს მონოლოგს კაცისას, სანთელივით რომ იწვის და ანათებს სამშობლოს უკეთესი ხვალინდელი დღისათვის. აქიტომაც ნუ გაგიკვირდებათ მისი მომეტებული ბაგემდუმარება — სულიდან ამოხეთქილ ნიაღვარს ხელით ვერ შეაჩერებ.**

— თვითგანსაზღვრა უკავშირდება სახელის გამოჩენას, საგნისათვის სახელის დარქმევას. როდესაც რაიმე ცნება ამოტივტივდება, ეს ნიშნავს, რომ დგება გადამწყვეტი მომენტი, შემობრუნების მომენტი თვითონ ამ ცნების გააზრებაში. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, თუ რა არის ადამიანი, ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ეს ლაპარაკი მიმდინარეობს აქ და ახლა, ანუ მიმდინარეობს კონკრეტულ დროსა და სივრცეში. მიმდინარეობა უკვე ნიშნავს დინამიკას და განვითარებას, არაფერი დგას ერთ ადგილას, ყველაფერი იცვლება და ვითარდება. ამ თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თვითაღნიშვნას, თვითდახასიათებას, ადამიანის მიერ იმ დროის თვითგანზრახვას, რომელშიც ის ცხოვრობს, და დრო, რომელშიც ის ცხოვრობს და გვიხდება ამ საკითხზე ერთმანეთისთვის აზრის გაზიარება, არის ინფორმაციული ეპოქა. ინფორმაციული ეპოქა — თვითონ სახელწოდება აღნიშნავს ეპოქის ტიპს, კულტურის, ისტორიული ფორმის, აზროვნების სტილის თვალსაზრისით განსხვავებულს სხვა დროისა და სხვა ეპოქისაგან.

ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი თანამედროვე ეპოქისა გახლავთ ის, რომ მას, ამ ინფორმაციულ ეპოქას, აქვს სხვა სინონიმური განსაზღვრაც — **პოსტკოლუმბური ცივილიზაცია**. რას ნიშნავს კაცობრიობის ისტორიის ევოლუციის გააზრება კოლუმბამდელი, კოლუმბისდროინდელი და პოსტკოლუმბური ცნებების კონტექსტში?! ეს ნიშნავს იმას, რომ კაცობრიობის ისტორიამ გაიარა განვითარების ისეთი ფაზა, როდესაც კულტურები, ქვეყნები, ხალხები ვითარდებოდნენ პირობითად, ერთმანეთისაგან იზოლირებულად. ე.ი. იყო კონტინენტები, ცივილიზაციები და კულტურები, ქვეყნები, ხალხები ვითარდებოდნენ პირობითად, ერთმანეთისაგან იზოლირებულად. ე.ი. იყო კონტინენტები, ცივილიზაციები და კულტურები, რომლებსაც ერთმანეთთან შეხების წერტილები არ ხქონიათ. შეხების წერტილების ფორმა იყო საომარი მოქმედება სივრცეში, სადაც კონტაქტები იყო შესაძლებელი. კოლუმბის მიერ ახალი მატერიკის აღმოჩენამ □თუმცა, მას ეგონა, რომ ინდოეთი აღმოაჩინა და არა ამერიკა) შექმნა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ახალი ფაზა. ახლა მე მინდა ვიხმარო ცნება, რადგანაც ,,დიალოგი'', ნიშნავს გაგებას, ერთმანეთის მოსმენას. პრაქტიკული, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული პრაქტიკის დონეზე. ძალიან ხშირად, სამწუხაროდ, კულტურები, თითოეული კულტურა არის დასრულებული სისტემა და ეს სისტემა ყოველთვის ცდილობს სხვისი საშუალებით გამდიდრებას, სხვისი გამოცდილების მიღებას, მაგრამ მიღებას თვითდამკვიდრებისათვის.

ასე რომ, პოსტკოლუმბური ცივილიზაცია არის ცივილიზაციის ისეთი ტიპი და ისეთი დრო, როდესაც სამყაროში ყველაფერი ნაპოვნია. ახალი კონტინენტი, ახალი ქვეყანა აღარ არის აღმოსა-

ჩენი.

საკომუნიკაციო საშუალებების გაფართოებამ გამოიწვია სამყაროს დაპატარავება. ქვეყანა, სამყარო გახდა პატარა. ხარ სახლში წამოწოლილი და იაპონიაში მიდის ფეხბურთის მატჩი და უყურებ, რა ხდება გვატემალაში, უყურებ აქ. ეს არის ინფორმაციული ეპოქის დამახასიათებელი ნიშანი. აი, ამ ეპოქამ ფუნდამენტალური ცვლილებები შეიტანა ჭეშმარიტების კრიტერიუმში და მესამე სახელწოდება, რომლითაც ხდება თანამედროვე ცივილიზაციის, **ჩვენი ეპოქის თვითდახასიათება, თვითგამოხატვა, არის პოსტმოდერნიზმი,** ე.ი. კულტურის ფილოსოფიის დონეზე თანამედროვე კულტურა ხასიათდება ტერმინით — პოსტმოდერნიზმი; ამაში თავისთავად იგულისხმება იმ ცვლილებების დასრულება, რომელიც მოდერნისტული აზროვნების სტილმა შეიტანა წინამორბედ კულტურაში და თავის მხრივ შევიდა მისი დასასრულის გამოცდილებათა განზოგადოების ფაზაში. აი, ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მოხდა თანამედროვე აზროვნების დონეზე, არის სამყაროში იმ საყრდენის დაკარგვის შეგრძნება, რაზეც იყო აგებული... ნიცშემ თქვა, რომ ,,ღმერთი მოკვდა'', ჩვენ ვიცით, რომ სამყარო შექმნა ღმერთმა ,,რომელმან შექმნა სამყარო''... თუ ღმერთი მოკვდა, მაშინ სიკვდილის შვილი არის ყველაფერი ამ ქვეყანაზე. მათ შორის ადამიანი, არა? და აი, ამ დებულების ექსტრაპოლაციამ ანუ გადატანამ ყოფიერების სხვა ასპექტზე, ნიადაგი გამოაცალა ყველა იმ საყრდენს, სტრუქტურას, რაზეც არის ადამიანი ორიენტირებული. **ამას კულტურის ფილოსოფიაში ლოგოცენტრიზმის დაკარგვას ეძახიან.** ე.ი. ლოგოსი ,,აზრი'', ცენტრი დაიკარგა. ასე რომ, თანამედროვე ცივილიზაცია, მე და შენ ვიმყოფებით ასეთ ფაზაში, როდესაც ცენტრი არის დაკარგული და ასეთ დროს გვიხდება მე და შენ ლაპარაკი იმაზე, თუ რა არის ადამიანი, რა ადგილი უკავია მას სამყაროში, როგორია მისი თვითშეგნება, რა არის თავისუფლება და რა არის სამშობლო და არსებობს თუ არა ამ ფასეულობათა შორის რაიმე სუბორდინაცია.

იმისათვის, რომ რაიმე სუბორდინაციაზე ვილაპარაკოთ, უნდა ვიცოდეთ, რა არის ამ სუბორდინაციის საფუძვლები. თუ ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ღმერთი, ე.ი. არსებობს ჭეშმარიტება. ღმერთმა შექმნა ადამიანი ,,ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა''. და ის არის ის ლოგოცენტრული საწყისი, რომელიც განსაზღვრავს და განაპირობებს ყველაფერს ამ ქვეყანაზე. როგორც ვხედავთ, ჩვენ აღმოვჩნდით ისეთ მდგომარეობაში, სადაც ეს ლოგოცენტრული საწყისი აღმოჩნდა გაუქმებული, რომ არ არსებობს ასეთი სტრუქტურა ჩვენთან. საქმე ისაა, რომ ამ იდეოლოგიას, ამ პოზიციას, ამ მსოფლშეგნებას, რომელიც პოსტმოდერნულ ცივილიზაციას ახასიათებს, აღმოჩნდა ძალიან გონებამახვილური თვისებები აქამდე არსებული სტრუქტურების სუსტი წერტილების გამოვლინების საქმეში. მაგრამ მას არ აღმოაჩნდა სანაცვლო სტრუქტურის შექმნის უნარი, რადგანაც მან კარგად დაინახა ეს სუსტი წერტილები, თუმცა, ვერ დაინახა, რომ სტრუქტურის უარყოფა არ ნიშნავს იმის აუღიარებლობას, რომ არსებობს რაღაცა სტრუქტურა. აი, ეს ვერ შექმნა თანამედროვე ცივილიზაციამ. ამიტომ როდესაც ვინმე ამბობს, რომ ჭეშმარიტება მაღლა დგას, ვიდრე სამშობლო, ის ჩვენ გველაპარაკება ამ ლოგოცენტრისტული იდეოლოგიის პოზიციიდან და გველაპარაკება, როგორც თეოლოგი, გველაპარაკება ასეთი პოზიციიდან, რომელთანაც არაფაქტუალობის ანუ რეალობის ლოგიკის დონეზე კამათი შეუძლებელია, ანუ იმისათვის, რომ ამ მოვლენაში გავერკვეთ, არსებობს საგნის ლოგიკა.

საგნის ლოგიკა ნიშნავს იმას, რომ მოვლენას, ადამიანს, ცხოვრებას აქვს განვითარების საკუთარი ლოგიკა, მაგრამ მოვლენის, ცხოვრების განვითარების ლოგიკის წვდომის უნარი ადამიანის გონებას არ გააჩნია. ადამიანს შეუძლია მხოლოდ ინტუიციის დონეზე აღიქვას მოვლენის, საგნის განვითარების მთლიანი სურათი, მაგრამ სურათის მთლიანობაში წვდომის უნარი არ გააჩნია, მას მხოლოდ ინტუიტურად შეუძლია ამის მიხვედრა. ეს გენიალურად აქვს გამოხატული ნიკოლოზ ბარათაშვილს, როცა ის ამბობს, რომ **„ძწაშს რომ არს ენა, რამ საიდუმლო, უასაკოთა და უსულოთ შორის“.**

როდესაც მე და თქვენ ვლაპარაკობთ, ბუნებაში მიმდინარეობს მილიარდობით პროცესი სხვადასხვა სიღრმეზე და, რაც მთავარია, მიმდინარეობს განვითარების სრულიად განსხვავებული სისწრაფით, თითოეულ მათგანს აქვს განვითარების საკუთარი ლოგიკა და შეუძლებელია ერთ-ერთი ამ საგნის ლოგიკის, როგორც კანონის, გადატანა-ექსტრაპოლაცია-გავრცელება სხვა საგანთა ლოგიკაზე, იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა სიღრმეზე და სხვადასხვა სისწრაფით ვითარდებიან, თუმცა ყველანი შეადგენენ მთელს.

ასე რომ იყოს, მაგალითად, აღმოჩენა — ორჯერ ორი ოთხია — იქნებოდა აბსოლუტური ჭეშმარიტება, მაგრამ ორჯერ ორი არის ოთხი, არის ჭეშმარიტება მათემატიკაში და არა ადამიანთა

ურთიერთობაში. არ შეიძლება იგი იქცეს ჭეშმარიტების კრიტერიუმად სხვა საგანთა ლოგიკაში. ეს არის მათემატიკურ საგანთა ლოგიკის ჭეშმარიტება, მაგრამ არ არის სხვა საგანთა ლოგიკის ჭეშმარიტება. ასე რომ, რაკი შევთანხმდით, რომ არსებობს საგანთა ლოგიკა, ასეთივე წარმატებით არსებობს საგანი ლოგიკაში. იგი არის ჩვენს მიერ აღმოჩენილი წარმოდგენა საგნის შესახებ. და ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს საგნის ლოგიკას, რადგან ფილოსოფიურ პრობლემებზე, თანამედროვე აზროვნების პრობლემებზე ვსაუბრობთ, ეს ფაქტი რომ უფრო გაცნობიერდეს, გაგახსენებთ გალაკტიონის ერთ ლექსს:

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი,
მწუხარე თვალებით მიწას დახყურებდა.
მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე,
ელვარე საღამოვ ალმას საყურეთა!

ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო,
უთუოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე!
გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო
შენს ფერხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა.

ოხ! როგორ გაფითრდა ციურთა თანადი
ოცნება, ნახაზი საგანთა უარით.
ღრუბელი ფერადი და ალვა ტანადი,
რომელსაც აზიის ცით გადაუარეთ...

გესმით? „**ოცნება ნახაზი საგანთა უარით**“. საგანთა უარი არის ფანტასტიკური ცნება. გალაკტიონი არის გრძნეული, მისანი. იმიტომ, რომ ყველაფერი იცის, ქვესკნელში რა ხდება...

და, უყურეთ, რა თქვა: **„ოცნება ნახაზი საგანთა უარით“,** აი, საგანთა უარი ნიშნავს საგნის ლოგიკას, რომელიც არ შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას საგნის ლოგიკაზე.

ამ მნიშვნელობით, თვითონ კონტექსტი, რადგანაც ტექსტი ყოველთვის იკითხება კონტექსტში, სიტყვა იკითხება სიტყვასთან მიმართებაში, აზრი იკითხება აზრთან მიმართებაში, ადამიანი იშიფრება ადამიანთან მიმართებაში, ასევე საგანი ლოგიკაში იშიფრება საგნის ლოგიკასთან მიმართებაში.

საგნის ლოგიკა არასდროს დაიყვანება ერთ ნიშნამდე. მე სულ ვფიქრობ, რომ ეს „გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო შენ ფერხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა... გადაუარეთ“. სულ მგონია, რომ ეს არის ფანტასტიკური თვითშეგრძნება ქართველი კაცისა, რომელიც არის მოხვედრილი ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში, რომ შექმნას თავისი კულტურა, თავისი ცივილიზაცია, თავისი სახელმწიფოებრიობა საგანთა ლოგიკის ამ წინააღმდეგობაში, აი, საგანთა უარი, რომელსაც „აზიის ცით გადაუარეთ“. ეს არის ერთ-ერთი ასპექტი თვითაღნიშვნისა, დროისა, საგნის ლოგიკის კონფლიქტისა, ჩვენს წარმოდგენაზე საგნის შესახებ ლოგიკაში.

მეორე ფუნდამენტური შტრიხი, რომელიც თანამედროვე აზროვნებას ახასიათებს და ეს ცვლილებები შეიტანა, რაკი ვთქვით: „ღმერთი მოკვდა“, მოკვდა ადამიანიც. ადამიანის უკვდავებაზე წარმოდგენის აღმოჩენას არ უნდა დიდი ფილოსოფია, მოკვდა ადამიანი. ადამიანის სიკვდილი არის ქვეყნად ყველაზე დრამატული ფაქტორი, რომელიც ამ პოსტმოდერნიზმმა ძალიან გონებამახვილურად გაშალა, მაგრამ გადადის თვითუარყოფაში. მან აღმოაჩინა, რომ წარმოდგენა ინდივიდზე, ადამიანის „მე“-ზე არის უტოპიური, რაც აქამდე ხქონდა კაცობრიობის კულტურას.

ამიტომ ჩვენ არ ვიცით, რა არის ჭეშმარიტება. თუ ღმერთი მოკვდა, ე.ი. მოკვდა ჭეშმარიტება და ის, ვინც ამბობს, ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას, ვიდრე სამშობლოო, მან ჯერ უნდა გვითხრას ჩვენ, რა არის ეს ჭეშმარიტება, რომელიც დგას სამშობლოზე მაღლა. თუ ჩვენ გვეცოდინება, რომ ეს არის ჭეშმარტება, რომელიც დგას სამშობლოზე მაღლა და არის არა ისეთი ჭეშმარიტება, რომელიც გამოხატავს საგანს ლოგიკაში, არამედ საგნის ლოგიკას, მაშინ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ეს დებულება, როგორც ჭეშმარიტება, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ საგნის ლოგიკა, სამყაროს ობექტური რეალობა არ გვეუბნება ჩვენ, რომ არსებობს რაღაც ისეთი ჭეშმარიტება, რომ კაცობრიობამ მის სამსხვერპლოზე მიიტანოს სამშობლო, როგორც ზვარაკი. მაშინ რა უფლება მაქვს მე, ვიყო პიონერი და ინიციატორი, ისეთი ჭეშმარიტების სამსხვერპლოზე, რომლის მნიშვნელობა ჩემთვის

უცნობია, მივიტანო ზვარაკად ჩემი სამშობლო?!

იმისათვის, რომ ამ წინააღმდეგობაში ადამიანი არ ჩავარდეს, თანამედროვე აზროვნებას შემოაქვს სიტუაციაში გასარკვევი დიდი ინსტრუმენტები და ერთ-ერთი ინსტრუმენტი არის კულტურის დონეზე იმის გარკვევა...

— შესაძლებელია, თუ არა თავისუფლება დროსა და სივრცეში?

— ადამიანის ტრაგედია ის არის, რომ მას აქვს სურვილი იყოს სამყაროს ცენტრში და იყოს თავისუფალი. მეორეს მხრივ, ის არის მიჯაჭვული საგნის ლოგიკაზე და ეს არის გადაულახავი წინააღმდეგობა, დილემა, რომლის გადალახვაც ადამიანს არ შეუძლია.

,,მას გახელილი დარჩა თვალები''.

აი, ეს არის კლასიკური სურათი ადამიანის მდგომარეობის ტრაგიკულობისა სამყაროში.

— მიჯაჭვული ამირანი?

— ის ფაქტი, რომ ამირანი მიჯაჭვულია, უკვე ნიშნავს თავისუფლების ხელყოფას, მაგრამ პარადოქსი გახლავთ ის, რომ სურვილი მისი გათავისუფლებისა, არის მისი გათავისუფლების სტიმული და იმ ობიექტური ფაქტორის არსებობის დადასტურება, რომ ადამიანს აქვს თავისუფლების მოთხოვნილება. რაც შეეხება ამირანს, ეს არის მითი, რომელშიც, ჩემი აზრით, არის ყველაზე ზუსტად გამხელილი ქართული ცნობიერების საიდუმლო, მე ვიტყოდი საიდუმლო, როგორც პოლიტიკური ყოფიერების, ისე კულტურული ცნობიერებისა.**(კავკასიელი ხალხის ფსიქოლოგიური ერთიანობა პრომეთეს მითშია რეალიზებული. ამირანის აქამდე გაუგონარი თავდადება კაცობრიობისათვის თითქმის იდენტურადაა ასახული ბალყარელი თუ აფხაზი ხალხების მითოლოგიაში: ნასრენ-ყაჩე პრომეთეს პროტოტიპია. აქ საინტერესოა თავად „ყაჩეს“ ეტიმოლოგია, რომელიც „ბუა ჩე — შზე თეთრის“ იდენტურია მეგრულად; ხოლო აფხაზების აბრსკილის (სკილი შობილია, შვილი მეგრულად) მითოსური აღნაგობა ძალუმად ასაზრდოებს თავად იესო ქრისტეს თუ წმინდა გიორგის უსაზღვრო ალტრუიზმს. უზენაესი ღმერთი ანცვა (ან შუმერულში ცის ღვთაებაა, ხოლო ცვა ახლოსაა ქართულ ცასთან), ჭლოუს გამოქვაბულში დააამწყვდევს აბრსკილს. ამირანისაგან განსხვავებით მას არწივი არ ერჩის, მაგრამ ბოლოქანქალა დაადგება ხოლმე სოლს, რომელზეც თავადაა მიჯაჭვული და რის ვაივაგლახით მიწიდან ამოსაძრობად გაუმზადებია. აბრსკილი ურთს მოუქნევს აბეზარ ბოლოქანქალა, მასაქალა გაფრინდება, ხოლო სოლი კვლავაც ღრმად ჩაესობა მიწაში. ეს სქემა ერთსელაც ადასტურებს აბრსკილის მაზოხისტურს თვითგვემას, რომელიც მოუხეშავ მოუქნელობასთანაა წილნაყარი. ღვთიურ სასჯელამდე აბრსკილი კაფავდა გვიმროვანს, ეკალ-ჯაგს; ყრიდა ციდან ტყავის ტომრებს, სავარაუდებელია —კირბებს, კირბიშებს, იგივე საიდუმლო წერილებით დასერილ ოქროს საწმისებს; იწვევდა ელვას და რაც მთავარია, ფლობდა ღვთიურ ცეცხლს — კოლოსალურ ცოდნას. აფხაზებისა და ქართველების ერთობა ეჭვმიუტანლადაა ასახული ამირან-აბსრკილის საკრალურ სუფევაში. კავკასიური აბორიგენობით მრავალი ერი და ეთნოსი ფაფხურობს, მაგრამ მათი უცხოური წარმომავლობის დასტური, დიახაც, ამირანის მითის უქონლობაა. გ.ო.)** საქმე ის არის, რომ ადამიანს აქვს სამყაროში ორი არჩევანი. ერთი არის ნამდვილი, აუთენტური არჩევანი, ეს არის თავისუფლების არჩევანი. თავისუფლების არჩევანს იმიტომ ეწოდება ნამდვილი არჩევანი, რომ თავისუფლება ყოველთვის უკავშირდება პასუხისმგებლობას. როდესაც შენ ხარ თავისუფალი, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ თავისუფალი ხარ შენს მოქმედებაში და ამავე დროს პასუხს აგებ შენს მოქმედებაზე. და თავისუფლება, რომელიც არ ითვალისწინებს სხვების თავისუფლებას, კარგავს ადამიანურ შინაარსს და ვარდება საგნის ლოგიკის მოდელიდან. ადამიანს არსებობა შეუძლია მონობაშიც. ასე რომ, მას შეუძლია გააკეთოს არჩევანი თავისუფლებასა და მონობას შორის. ყველაზე საინტერესო არის ის, რომ ქართველმა საზოგადოებამ პოლიტიკური დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრიობის დაკარგვის პირობებში დაამტკიცა შესანიშნავი უნარი, შეგუების ისეთი უნარი, რომ შეეძლო ეცხოვრა ძალიან ხშირად უკეთესად, ვიდრე ცხოვრობდა მისი დამპყრობელი. ამის კლასიკური მაგალითი იყო, მაგალითად, ქართველი ხალხის ცხოვრება რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდგომ პერიოდში. უკეთესად ცხოვრება მონობის პირობებში ნიშნავს თავისუფლების დაკარგვას იმ გაგებით, რომ შენ შენი უფლებები გაქვს დელეგირებული, გადაცემული სხვისთვის. ე.ი. პასუხს შენს არსებობაზე აგებ არა შენ, არამედ სხვა და ის სხვა შენ გაძლევს საჭმელს, სალაფავს და შენი თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციის მოთხოვნილების წყარო არის ის და არა — შენ.

ეს არის ნელი სიკვდილის გზა, და ეს იდეა ყველაზე კარგად აქვს გამოხატული ი. ჭავჭავაძეს ლელთ ღუნიას: ,,**ვაუაი ვაუობდის, ქალაი ქალობდის...**'' და აქ არის ლაპარაკი პასუხისმგებლო-

ბაზე, რომ თავისუფლებას სჭირდება შენარჩუნება, თავისუფლებას უნდა გაუფრთხილდე და გაფრთხილება ნიშნავს პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება ამირანს, მე რომ გითხარით, აქ არის საიდუმლო დამალული-მეთქი, მხედველობაში მქონდა ის გარემოება, რომ ნებისმიერი კულტურა არის სისტემა. რას ნიშნავს სისტემა? სისტემა ნიშნავს სისტემის შემადგენელ ელემენტთა შორის კავშირს. ადამიანი არის თავისთავად ურთულესი სისტემა. სისტემის მოდელი არის ორგანიზმი. ნებისმიერი ორგანიზმი, თავის მხრივ, არის სისტემა, ადამიანზე შეიძლება ილაპარაკოს ექიმმა და ბრძანოს: ადამიანში არის გულსისხლძარღვთა სისტემა, საჭმლის მომნელებელ ორგანოთა სისტემა და ა.შ. და ყველა ეს სისტემა ემსახურება ერთ მიზანს — მთლიანი სისტემის სიცოცხლისუნარიანობას, თვითდამკვიდრებას. როდესაც რომელიმე ელემენტი ეთიშება სისტემას, ორგანიზმი ცდილობს მის აღდგენას, რადგანაც ეს აქვეითებს ფუნქციონირებას და სისტემის სიცოცხლისუნარიანობას დროსა და სივრცეში. ეს იდეა ყველაზე კარგად აქვს გამოხატული აკაკი წერეთელს: „ჩონგური საქართველოა... სიმები ჩვენ ვართ ყველაო". რა ტერმინოლოგიითაც მე ვილაპარაკე, აბსოლუტურად, ყოველგვარი ტერმინოლოგიის გარეშე აქვს გენიალური ინტუიციის დონეზე გამოხატული აკაკი წერეთელს. ამ სისტემის დამახასიათებლად, მაგალითად, თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგია იყენებს ბიოლოგიიდან ათვისებულ ტერმინს: ხომეოსტაზი არის ცოცხალი ორგანიზმი, როგორც მოდელი ნებისმიერი სისტემისა. ვთქვით, რომ სისტემა არის სისტემის შემადგენელ ელემენტთა შორის კავშირი. ნებისმიერი სისტემა, ამ შემთხვევაში თუ ავიღებთ კულტურას ან ერს, შედგება სხვადასხვა ელემენტისაგან და ამ შედგენილობათა გამარტივებული მოდელის სქემად შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი ტერმინებით, როგორიც არის კულტურა და სუბკულტურა. კულტურა არის მთლიანი სისტემა და სუბკულტურა — ქვეკულტურა, ანუ, მაგალითად, ანალოგი რომ გავაკეთოთ, ადამიანის ორგანიზმი მთლიანობაში არის მთლიანი კულტურა, სადაც არის სუბკულტურები. ეს არის სისხლძარღვთა სისტემა და ა.შ. მაშინ, როდესაც ქვეკულტურა, ქვესისტემა გამოეთიშება მთლიან სისტემას. ამირანის მითი არის გენიალური ილუსტარცია ამ სიტუაციისა, ტრაგედიისა, რომელსაც იწვევს სისტემის შემადგენელი ნაწილის გამოთიშვა სისტემიდან. ამირანი არის თავისუფლების განმასახიერებლის სიმბოლო. მასში ქართველი ხალხი, ქართული კულტურა ხედავს თავისუფლების იდეალს, მაგრამ ამ კულტურის სისტემაში არსებობს ქვეკულტურა, რომელსაც ხელს არ აძლევს თავისუფლება. ე.ი. არის ქვეკულტურა, რომელიც არ არის ორიენტირებული აუთენტურ არჩევანზე, ნამდვილ არჩევანზე, ანუ თავისუფლების არჩევანზე, მას ურჩევნია არ იყოს თავისუფალი. ამირანში არის პირდაპირ მითითებული გარკვეულ სოციალურ ფენაზე, რომელსაც არ უნდა თავისუფლება და ეს სოციალური ფენა ამირანში არის მჭედლები. ვინ არიან მჭედლები? თუ გადავავლებთ თვალს ამირანს ცივილიზაციის კონტექსტში, უნდა ვიფიქროთ, რომ ამირანი არის ჩამოყალიბებული ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, როდესაც კაცობრიობა იწყებს ლითონის დამუშავებას. ლითონის დამუშავებამ გამოიწვია გადატრიალება ცივილიზაციაში. აღმოჩენილ იქნა ბრინჯაო, რკინა. რკინა ეს არის გუთანი, ბორბალი, იარაღი, ხანჯალი; ტექნიკური რევოლუციის გამოხატულება იყო ლითონდამუშავება ცივილიზაციის გარკვეულ საფეხურზე, და, შესაბამისად, ამ ცოდნის მატარებელი არის გარკვეული სოციალური ფენა და ეს სოციალური ფენა არის პრივილეგიური სოციალური ფენა, რომელიც ფლობს მიწიდან ამ მადნის ამოღებისა და იქიდან ლითონის შექმნის საიდუმლოს. ეს არის მჭედელთა გრძნეული კასტა და მას აქვს პრივილეგიური სოციალური მდგომარეობა. ისტორიის ფილოსოფიის ყველაზე დიდი საიდუმლო იხატება, ვლინდება ძალიან მარტივ ფორმულაში, რომელსაც ხქვია კითხვა და პასუხი. კითხვა და პასუხი შეიძლება გააზრებული იქნას ისტორიის ფილოსოფიის კონტექსტში, როგორც ინფორმაცია და მასზე რეაგირება, ან როგორც ინსტინქტი და როგორც რეაქცია, ან მოთხოვნილება და მოქმედება. მაგრამ ადამიანის თავისუბურება ის გახლავთ, რომ ის მუდმივად იღებს ინფორმაციას და კონტაქტშია გარე სამყაროსთან. გარე სამყაროსთან კონტაქტი ნიშნავს განუწყვეტლივ ინფორმაციულობას. ამ ინფორმაციის გარეშე ის ვერ იარსებებს. ცოცხალი ორგანიზმი იმ ინფორმაციას გადაამუშავებს, როგორც ხომეოსტაზი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, იმ ინტერესების შესაბამისად, რომელიც ამ ორგანიზმს გააჩნია. თუ ეს ინფორმაცია შეიცავს მისთვის სახიფათო ცნობას, ის აკეთებს ამაზე გარკვეულ რეაგირებას. თუ შეიცავს ცნობას მისთვის სასარგებლოს, ის იყენებს ამ ინფორმაციას და ეს ხდება იმის საფუძველზე, იმის გამო, რომ არის ინფორმაციის ორის სახეობა. ერთი არის ფუნქციონალური ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ გარედან ვიღებთ და მეორე არის ეგზისტენციალური ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გენეტიკურად, ეგზისტენციალური მეხსიერების სახით გაგვაჩნია ჩვენი არსებობის შესახებ, ჩვენი სურვილების, გეგმების შესახებ ჩვენი გაგება და ჩვენი წარმოდგენა, რომელსაც შევუხამებთ ამ

ფუნქციონალურ ინფორმაციას. ასე რომ, თუ ამ კუთხიდან შევხედავთ ჩვენ ამირანს, დავინახავთ, რომ გარკვეულ სოციალურ ფენას არჩევანის გაკეთების დროს თავისუფლებასა და მონობას შორის, გაკეთებული აქვს მონობის, სერვილიზმის არჩევანი, ყველა იმ მომენტის დროს, როდესაც ყურშა ჯაჭვს ლოკავს და მიიყვანს ისეთ კონდიციამდე, რომ ამირანმა უნდა გაგლიჯოს ეს ჯაჭვი, შეიკრიბებიან ქართველი მჭედლები და ხელმეორედ გამოჭედავენ მის დასამონებელ ჯაჭვს.

აქენად რა ჩანს? — ჩანს ის, რომ კულტურაში არსებობს სუბკულტურა. ამ სუბკულტურას ხყავს განმასახიერებელი სოციალური ფენა, რომელიც თავის თავზე იღებს არჩევანის მონოპოლიას და ირჩევს არა აუთენტურ, არამედ არააუთენტურ ფასეულობას... და სწორედ ფილოსოფიის კონტექტსში ერის ტრაგედია გახლავთ ის, რომ ერის წინაშე დასმულ კითხვებს პასუხს სცემს არა ერი მთლიანობაში, არამედ მისი ინტელექტუალური ელიტა. ასე რომ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ამირანზე, ამირანის საიდუმლოებაზე, ამ საიდუმლოებაში ყველაზე ნიშანდობლივი არის ის, რომ ამირანისდროინდელ ინტელექტუალურ ელიტას არ სურს თავისუფლება, და ეს არის ძალიან საინტერესო ამ მხრივ, რომ ეს როგორც ინვარიანტი, ან მუდმივად მოქმედი ვარიანტი საქართველოს ისტორიის გარკვეულ პერიოდებში მეორდება ხოლმე და ამის მოწმე გავხდით ჩვენ, მაგალითად, თუნდაც 1992-93 წლებში და იქიდან დაწყებული პროცესების შემდეგ ელიტა აუმხედრდა ქართული სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის იდეას და შემოიყვანა დამყრობი ქვეყნის ჯარი სამშობლოში. ეს არის ტრაგედია. ეს არის პრობლემა, რომლის წინაშეც დგას ამირანის მითის კონტექტსში თანამედროვე ქართველი საზოგადოებრიობა და რომელიც ასახავს იმ ტრაგედიას, რაც ყველაზე კარგად გამოხატა სხვათა შორის გალაკტიონმა, როცა იწინასწარმეტყველა, აკაკისგან განსხვავებით, რომელმაც ოპტიმიზმი გამოთქვა, რომ:

,,მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი...''

გალაკტიონი უფრო გამჭრიახი აღმოჩნდა თავისი დროის ელიტის შეფასებაში და შენიშნა, რომ:

„შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია“? — მივმართავ ტყვეებს
და ტყე გუგუნებს: ამირანია!
ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია,
„დაკარგულია“? —მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: „დაკარგულია...“

თავისუფლება არის კულტურის პროდუქტი. თავისუფლება არ არის საჩუქარი. თავისუფლება ადამიანს ეძლევა არა როგორც ძღვენი, არამედ როგორც პირობა. ისევე, როგორც ენა, ისევე როგორც დაბადება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანი იქცე ადამიანად. ამიტომ დაარქვა ილია ჭავჭავაძემ ,,კაცია ადამიანი?!'' ასევე თავისუფლება არის ყოველთვის პირობათა შესაძლებლობა და არა — აუცილებელი რეალობა და რადგანაც თავისუფლება არის ამ გაგებით კულტურის პროდუქტი, ყველა ადამიანი არის თავისუფალი, ვისაც ესმის საკუთარი თავისუფლების არსი და დანიშნულება.

რაც შეეხება ამ თავისუფლების რეალიზაციას საქართველოს კონტექსტში, საქართველოში არ არსებობს თავისუფლება. საქართველოში არის როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის წახნაგები, ისე შეზღუდული თავისუფლება, ანუ, მე ვიტყოდი, კულტურისაგან დაცლილი თავისუფლება და შეუძლებელია პიროვნება იყოს თავისუფალი, თუ არ არის თავისუფალი ერი. ვაჟა-ფშაველას აქვს გენიალური სტრიქონები:

„ჩემი კაცობის გვირგვინო,
ჩემო სამშობლო მხარეო“.

ეს არის უნიკალური დეფინიცია პიროვნული ღირსების აყვანისა ეროვნული ღირსების ხარის-

ხის და ეროვნული ღირსების გაიგივებისა პიროვნულ ღირსებასთან. შეიძლება დღეს, მაგალითად, ნორმალური ფსიქიკის მქონე ქართველი თვლიდეს, რომ ის არის ღირსეული პიროვნება, როდესაც ხედავს მის ქვეყანას და მის თვისტომებს ასეთ მდგომარეობაში?! ამიტომ ასეთ ქართველს მე ვერ ვხედავ.

თუ შევთანხმდებით, რომ თავისუფლება არის კულტურის კატეგორია, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ თავისუფლება არის ღირსების კატეგორია და ღირსების კატეგორია არის მოთხოვნილება, რომელიც ადამიანს განასხვავებს ცხოველისაგან. რადგან ღირსების კატეგორია უკავშირდება აღიარების მოთხოვნილების დაკმაყოფილების გრძნობას და ადამიანი იმით განირჩევა ცხოველისაგან, რომ მას აქვს სურვილი, იყოს აღიარებული სხვა ადამიანის მიერ, ამიტომ როდესაც თქვენ მელაპარაკებით, შეიძლება თუ არა საქართველოში იყოს ღირსეული ადამიანიო, გიპასუხებთ, რომ საქართველოში შეიძლება იყოს ადამიანი, რომელმაც იშოვა ქონება, მაგრამ არ შეიძლება იყოს ადამიანი, რომელსაც ექნება ღირსების განცდა, რადგანაც ასიდან 99 ქონებამოხვეჭილი ადამიანი მოკლებულია მისი, როგორც ადამიანის აღიარების გრძნობას, რადგანაც მას არა აქვს ღირსების გრძნობა.

უბრალოდ, ჩვენი მდგომარეობა არის ჩვენი საზოგადოების განვითარების კრიზისული ფაზა, რომელშიც პრიორიტეტი მიენიჭა ისეთ ფასეულობებს, რომლებმაც ადამიანს წაართვეს სრულფასოვანი არსებობის შეგრძნება.

დავუშვათ, ისტორიული თვალსაზრისით თავისუფლება, ღირსება არის მოსაპოვებელი კატეგორია და ღირსების კატეგორია ისტორიული თვალსაზრისით ყოველთვის უკავშირდებოდა ქონებისა და სახელის მოპოვების მექანიზმს. მაგალითად, ფეოდალურ საზოგადოებაში უფრო აღნიშნავენ, რომ ეს არის ვასალიტეტის ფორმა, ,,რასაცა გასცემ შენია, რას არა — დაკარგულია'', ,,ვეფხისტყაოსანში'' რომ არის ნათქვამი ე.ი. ვასალი ყველაფერს გაიღებს სუზერენისათვის და სუზერენი თავის მხრივ ვასალს ასაჩუქრებს ყველაფრით, რაც მას სჭირდება და, აი, ეს მოპოვება როგორც სახელის, ისე ქონების, არის ღირსების განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი.

დღეს, როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ვცხოვრობთ ისეთ პირობებში, სადაც ცივილიზაცია შევიდა პოსტკოლუმბურ ფაზაში, რომ მოინგრა საყრდენები; სტრუქტურები, ცენტრები, გამოეცალა ადამიანს, ყველაზე მტკივნეული არის იმ ფაქტის შეგნება, რომ ადამიანმა შეიძინა დიდი პარამეტრები და დაკარგა ძირეული საყრდენები. ჩვენი შესაძლებლობებით გვადარებენ ამ შავი ჭირის დროს მომლხენ საზოგადოებას, რადგანაც მათ მხედველობიდან გამორჩათ, რომ ფასეულებრივი ორიენტირი თუ არ იქნა ხალხზე, სახელმწიფოზე, თუ არ იქნა ღირსება, არ არის სახელი და დიდება. სახელი და დიდება ყოველთვის უკავშირდება მთლიანს. მაგალითად, შუა საუკუნეები გრაალის მარადიულ ფასეულობაზეა ორიენტირებული, მაშინ ის არ გადაეცემა შთამომავლობას, რადგან ფასეულობა უკავშირდება რაღაც ფასეულობას. დღევანდელ ჩვენს მომხვეჭელებს არა აქვთ ფასეულობანი. მაგალითად, დემეტრე თავდადებულის სახელი იქცა დიდებად. ერთი ფრაზის გამო — ,,მებრალვის ხალხი''. შემოუთვალა ნოინმა, მე მოვიდე თუ შენ მოხვალო, მისვლა ნიშნავდა უეჭველ სიკვდილს, და ამან თქვა: ,,მებრალვის ხალხი'' და შეეწირა თვითონ მსხვერპლად. ამ თვალსაზრისით ღირსება არის ძალიან ტევადი ცნება, რომელიც უკავშირდება ბედისწერას.

სირცხვილის კულტურა სისტემის ორგანიზაციას ახორციელებს პრინციპის მიხედვით: რას იტყვიან ჩემს შესახებ; როგორ მაფასებენ სხვები მე; რა აზრის არინ ჩემს შესახებ და ა.შ. ეს არის ის ფორმაცია, რომელსაც სოციალურ ფსიქოლოგიაში უწოდებენ სარკისებურ მეს, რადგანაც ადამიანი მარტო იმის მიხედვით კი არ არის ორიენტირებული ცხოვრებაში, თუ რა სურვილები გააჩნია მას, რა აზრის არის თავის შესახებ, არამედ თუ რას ფიქრობენ სხვებიც მის შესახებ.

ამ თვალსაზრისით ღირსება არის ბედისწერა და თუ შენ არ მოიქეცი ღირსეულად, მაშინ შენ დაკარგავ შენს ადგილს საზოგადოებაში, დაკარგავ შენს ადგილს, მნიშვნელობას იმ ადამიანის თვალში, ვის მიმართაც და ვის წინაშეც აღმოჩნდი უღირსი. ეს არის ძალიან მძიმე ტვირთი და გარკვეული აზრით უკავშირდება ანტიკური ტრაგედიების ბედისწერას.

მეორე ტიპის კულტურა სივრცის ორგანიზაციის თვალსაზრისით არის დანაშაულის კულტურა. დანაშაულის კულტურა არის კულტურის ტიპი, რომელიც ანგარიშს უწევს არა მოთხოვნას, რას იტყვიან ჩემს შესახებ, არამედ რას წარმოვადგენ მე ჩემი სინდისის სამსჯავროზე. მაგალითად, ალუდა ქეთელაური არის დანაშაულის კულტურის გმირი. ჯოყოლა, არის დანაშაულის კულტურის გმირი, მინდია არის დანაშაულის კულტურის გმირი. დავით აღმაშენებლის ,,გალობანი სინანულისანი'' არის დანაშაულის კულტურის გამოხატულება. ისინი თავიანთ თავს აფასებენ არა იმის მიხედვით, თუ რას იტყვიან მის შესახებ სხვები, არამედ საკუთარი სინდისის სამსჯავროზე რას წარ-

მოვადგენ მე. საკუთარი სინდისი არის ერთდროული კატეგორია. ალუდა ქეთელაურმა სიზმარი ნახა, რომ ადამიანის ხორცს ჭამდა, მაშინ გააცნობიერა, მაშინ დაუპირისპირდა თემს და არა მაშინ, როდესაც ის კლავდა მუცალს. ამ თვალსაზრისით როგორც სირცხვილის კულტურაში, ისე დანაშაულის კულტურაში ღირსება არის ბედისწერის დონის მოთხოვნა.

,,აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა'' ითვალისწინებს დამოკიდებულებას არა მხოლოდ საქართველოს შესახებ, არამედ საქართველოს გამოც. აი, ეს არის განმასხვავებელი ნიშანი ხუმანიტარული აზროვნების სტილისა საბუნებისმეტყველო აზროვნების სტილისაგან.

ზემოთ მე ვთქვი, რომ თავისუფლება არის კულტურის კატეგორია. კულტურა არის სივრცის ორგანიზაციის ფორმა. მაგალითად, თანამედროვე ფილოსოფიას შემოაქვს ქრონოტოპის ცნება, ე.ი. სივრცის ორგანიზაციის ფორმაში იგულისხმება დროისა და სივრცის ორგანიზაციის ფაქტორი. როდესაც ვლაპარაკობთ, რომ თავისუფლება არის კულტურის პროდუქტი, მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ის არის არჩევანის და გადაწყვეტილების პროდუქტი. ის არ არის ბუნების საჩუქარი, ცხოვრების საჩუქარი, არამედ— შესაძლებლობა. თავისუფლება უწინარესად შესაძლებლობაა. ბარათაშვილს აქვს გენიალური სტრიქონები, სოლომონ ლიონიძე ამბობს, რომ ,,ჯერ სამაგისო რა გვემართება, რომ განვისყიდოთ თავისუფლება?!''.

ამ თვალსაზრისით დღეს მეც, თქვენც, მთელი ქართველი ხალხი, იმყოფება განვითარების ისეთ ფაზაში, როდესაც მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება — განისყიდოს თავისუფლება, თუ იყოს თავის უფალი. რა პარადოქსულიც უნდა იყოს, ამ გადაწყვეტილებისა და ამ არჩევანის მიღების პრიორიტეტს განსაზღვრავს არა იმდენად გარეშე ძალები, არამედ ისეთი ისტორიული სიტუაცია, როდესაც ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა დამოკიდებული ხდება თავად ქართველი ხალხის არჩევანზე და, პირველ რიგში მისი ელიტის გადაწყვეტილებაზე. თუ ელიტამ გაიმეორა ამირანის მითის მჭედლების პოზიცია, საქართველო დაიმარხება.

მე ამ შემთხვევაში მაინტერესებს არა ის, თუ მჭედლები რას იზამენ, არამედ გაუმკლავდება თუ არა ქართველი ხალხი საკუთარ მჭედლებს. მისცემს თუ არა ქართველი ხალხი მჭედლებს უფლებას, რომ მათ ,,განისყიდონ თავისუფლება?!'' მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ეს პრობლემა შეგვიძლია გადავწყვეტოთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი სურვილი, არამედ ქართველი ხალხის თავისუფლება არის სხვა ქვეყნების ინტერესებშიც და ამ მიზნის გამოუყენებლობის უფლება ჩვენს თაობას არა აქვს. თუ ეს ნაბიჯი არ გადაიდგა და ჩვენ ეს იდეა ვერ განვახორციელეთ, ეს ნიშნავს ამ იდეალის გადავადებას გაურკვეველი დროით და ეს თაობა იქნება, როგორც ბარათაშვილი ამბობს თავის ლექსში ,,ფიქრი მტკვრის პირას:'' — **„... არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას“.**

სამწვერა ნერვის თეორია

ახა, სადაც არის მეშვიდე წელიწადი მოიყრის თავს აფხაზეთის ტრაგედიიდან და ჩვენი ქვეყნის სტრატეგია კვლავაც ერთსა და იმავე მიწას ტკეპნის — ჩიხია ნებისმიერი მიმართულებით.

ჩვენ პოლიტიკურ ცდომილებებს ვაბრალებთ შექმნილ სიტუაციას, მოვითხოვთ აფხაზეთში, სამაჩაბლოში დევნილების უპირობო დაბრუნებას, საამისოდ კი ობიექტური ვითარება გაცილებით რთულია, ვიდრე ეს თხუთმეტი თუ ორი საუკუნის წინანდელი სიტუაცია. მაგრამ მოდით, ყველაფერზე რიგისობის მიხედვით.

მეექვსე საუკუნეში, ტელეფასის ციხესთან სასტიკად დამარცხდება ირანელებთან ქართველთა და ბიზანტიელების გაერთიანებული ლაშქარი. ამის მიზეზად ისტორია ბიზანტიელი სარდლების უგერგილობას ასახელებს, მათ მოუხერხებლობას და იუსტინიანე მეფესთან თავი რომ იმართლონ ქვეშევრდომებმა, უიარაღოდ, მოტყუებით მოხმობილ ლაზთა მეფე გუბაზს მოაკვდინებენ. აღსდგება ერი და ბერი. იმართება სახალხო კრება, სადაც ორი სენტენცია ჩამოყალიბდება არსებითად.

ვისთან? გაისმის კითხვა. ირანელებთან თუ ბიზანტიელებთან?

ორატორი აეტი, რომელიც გარკვეული კლანის ინტერესების გამომხატველია, ლაქარდიანი ენით მაზდეანებთან ურთიერთობას ასაბუთებს, სხვათა შორის წარმატებულადაც; რომ თითქოს ისინი, ირანელები, უღალატონი არიან; თუ ერთხელ დაგემოყვრნენ, შემდგომ არასდროს გიმუხთლებენ. აბობოქრებული ხალხი ერთსულოვნებით მიემხრობა აეტის აზრს, მაგრამ გაივლის რამდენიმე წუთი და ახლა ტრიბუნა ფარტაზს ეთმობა.

ეს უკანასკნელი აშკარა ბიზანტიური ორიენტაციისაა! საბუთად ადათ-წესების ერთგვაროვნებას მოიშველიებს. მისი სიტყვა პატრიოტული პრაქტიციზმითაა ნასაზრდოები.

ორ ბოროტებას შორის ნაკლებს ირჩევს: გუბაზ მეფის მკვლელების დასჯას მოითხოვს სახალხოდ, ბიზანტიასთან სამოკავშირო ხელშეკრულების შეუვალობის მხარდამხარ.

ქართული გონიერება გამოძებნის უზუსტეს სვლას პოლიტიკურ არენაზე, ვინაიდან განტოლება ორუცნობიანია და ადვილია ორ სიდიდეს შორის უფრო სასურველის ამორჩევა.

იგივე სიტუაცია შეიქმნება კრწანისის ტრაგედიის შემდეგ. კვლავ გაჟღერდება კითხვა:

ვისთან, რომელთან? სპარსეთთან თუ ერთმორწმუნე რუსეთთან?

აქაც ერეკლე მეფის შორსმჭვრეტელობა გვიხსნის — მსგავსი ადათ-წესის განზომილებას მივაყრდნობთ თავს გამოკვეთილი ასიმილატორული საფრთხის არსებობის პირობებში.

თხუთმეტი და ორი საუკუნის წინანდელი პოლიტიკური ვითარებანი ზედმიწევნით იმეორებენ ორიათასის მიწურულის საქართველოს სადღეისო ვითარებას, მაგრამ გვავიწყდება უმთავრესი — ცხოვრებისეული განტოლების ხასიათი. თუკი იმ ისტორიულ რეალობებს ორუცნობიანი განტოლების კრიტერიუმებით ვხსნიდით, დღეს გაცილებით რთულადაა საქმე, ვინაიდან ჩვენი ამოცანა შედარებით სიღრმისეულია, ზოგადსაკაცობრიო მასშტაბებისა, უკეთ რომ ვთქვათ — სამუცნობიანი და ჩვეული სტანდარტებით, ჩვეული მიდგომებით ამ გორდიას კვანძის გახსნა ჭირს.

აკი, დღემდე ერთსა და იმავე მიწას ვტკეპნით პოლიტიკურ არენაზე:

აღიარებულია თითქოს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა, ჩვენი სუვერენიტეტი, და ამავდროულად ვერაფრით მოგვიხერხებია ქვეყნის ერთ მუშტად შეკვრა, ერთი იურისდიქციის განხორციელება არათუ სამაჩაბლო-აფხაზეთში, თვით აჭარაშიც კი. და მიუხედავად ყოველივესი, საშველი არის, საშველი ნაპოვნია.

დავიწყოთ უმარტივესით. ოცდამეერთე საკუნის მსოფლიოსთვის საზღვარი ფიზიკური გაგებით არსებითად კარგავს მნიშვნელობას, ვინაიდან ტელე-რადიო თუ კომპიუტერული სასწაულები სპობს, ე.წ. საბჭოურ „რკინის ფარდასაც" და პოლიტიკური პედალირების ნებისმიერ ხერხ-საშუალებას. გეოცივილიზაცია უბრუნდება ბუნების კანონს — ზიარი ჭურჭლის პრინციპს, როგორც ეს მსოფლიო წყლებისთვისაა დამახასიათებელი.

საქართველოს თავისუფლება სწყურია, საკუთარი სახელმწიფოებრივი რეგალიები, მაგრამ ვერაფრით გადალახულა, როგორც რუსული, ისე — ამერიკული ფაქტორი.

ჩვენი უბედურება სტრატეგიული თვალსაზრისით ის გახლავთ, რომ თვისებრივად განსხვავებულ პრობლემას ტრადიციული სტანდარტებით ვუპირებთ ამოხსნას, ანუ სამგანზომილებიან ფენომენის გადაწყვეტას ვცდილობთ ორგანზომილებიანი პრობლემის კვლევის მეთოდებით. ცხადია, ამისთანა პირობებში შედეგი ყოველთვის ცდომილია, დილემა დილემად რჩება, პირიქით — უარესდება ვითარება შიდა პოლიტიკის კრახის გამო, ვინაიდან ზეიმობს კორუფცია და უმართავი ხდება სოციალური სიტუაცია, რომელიც ადვილი მოსალოდნელია მალე პოლიტიკურშიც გადაიზარდოს.

ზესახელმწიფოების ინტერესები გასაგებია. ისინი ესწრაფვიან მაქსიმალურ წარმატებას ბალანსის თვალსაწიერით. მსოფლიოს გლობალურ პროცესებს წინსვლა თუ უწერია, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ნეიტრალურ კავკასიას, ანუ საქართველო უნდა იქცეს, როგორც რუსული, ისე ამერიკულ-ევროპული ინტერესების მშვიდობიანი ასპარეზის, კონკურენციის სარბიელად.

ჩვენ უნდა შევძლოთ რუსეთის სამხედრო ბაზების მაქსიმალური დემონატაჟი საქართველოს ტერიტორიიდან, ამავდროულად ნატოს ბლოკი როდი უნდა ჩაენაცვლოს ამ პროცესს, არამედ — საუკუნის მშენებლობა — „აბრეშუმის გზა" და „ნავთობსადენი", რომელიც ფაქტობრივად მთელი კავკასიის სწრაფი დაწინაურების საწინდარია ტექნოკრატიული თვალთახედვით. აქვე ჩვენ ზურგს ვერ შევაქცევთ ხელაღებით მართლმადიდებლური რუსეთის ინტერესებს, მის სულიერ თუ ხორციელ რეზერვებს ჩვენი ინდივიდუალობის ზედმიწევნით შემნახავ ქვაკუთხედად.

დიახაც აქ, საქართველოში, უნდა გადაკვეთონ ერთმანეთი რუსულ-ამერიკულმა ინტერესებმა, ბუნებრივია, ქართული ინტერესების დომინანტობის ფონზე.

სადღეისო პრობლემის გადაწყვეტისას ჩვენ უნდა უკუვაგდოთ პრინციპი „ან" — „ან"; ეს ორგანზომილებიანი განტოლების, სადაგი მეთოდია, თავის დროზე გამართლებული და შედეგიანიც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დღევანდელი პრობლემებისთვის ვარგისი — ვინაიდან ალტერნატიული აზროვნების სიტუაციაში ჩვენ ვღებულობთ ეროვნული ინტერესების გამსხვილებას ერთ-ერთთან მიმხრობის ხარჯზე. აქ კი საჭიროა ორივესთან ხელჩაჭიდება, ორივესთან თანამშრომლობა, შეუთავსებლის შეთავსება, რათა მოისპოს კონფრონტაციის პირობები.

სამაგალითოდ დიდი დავით აღმაშენებლის დროინდელი რეალობა გამოგვადგება, როდესაც გენიალური მეფე თბილისს უომრად დაიპყრობს, თავმოსაჭრელ ხალხს ოქრო-ვერცხლს უბოძებს,

დაიცავს მათ სარწმუნოებას: მეჩეთს, სინაგოგას, სომხურ ეკლესიას აღმსარებლობა გამოუცხადებს შორსმჭვრეტელური გონიერებით, შეკრავს სახელმწიფოს და მაინც დომინანტურ ერთეულად აქცევს ქართულ სულს, ქართულ ფასეულობებს.

როცა წინ გიდევს გენიალური ადამიანის საშვილიშვილო ნამოქმედარი პატროფილური შედეგებით, მართლაც უხეირო უნდა იყო, პრობლემას გასაღები ვერ მოარგო.

ჩვენ ხაერივით გვჭირდება „აბრეშუმის გზა", „ნავთობსადენი", მაგრამ რადგანაც რუსეთის ინტერესების იგნორირების ხარჯზე პერსპექტივა არ გააჩნია მის განხორციელებას, ასევე უმომავლოა აფხაზეთ-სამაჩაბლოს რესტავრაცია საქართველოს სახელმწიფოებრივ სხეულში ამერიკელთა ზედსიძობის პირობებში. ხოდა, ყოველივეს გათვალისწინებით, ჩვენ არ უნდა შეგეშინდეს დიდი დავითის გზაზე სიარულის; ამიტომაც ჩვენ მამულიშვილური დიპლომატიით უნდა დავუშვათ ორივე იმპერიის ინტერესი ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების უპირატესობის ნიშნით.

კონფრონტაციის, დაპირისპირების სანაცვლოდ შეიქმნება გასაოცარი კონკურენციის, შეჯიბრის ვითარება, როგორც საქართველოში, ისე — მთელს კავკასიაში. აქ თავისებურ ასახვას ხპოვებს რელიგიური შემწყნარებლობაც, რომელიც საერთოდ ნებისმიერი უთანხმოების უწინარესი იმპულსია. აქ უნდა დაუზავდეს შეუთავსებელი შესათავსებელს!

სამგანზომილებიანია ჩვენი სიტუაცია, სამწვერა ნერვის მაგვარი და მას ვერასდროს განვკურნავთ ორშინაარსიანი პრობლემისათვის საჭირო მიდგომებით. ყოველთვის მცდარი პასუხი გამოგვივა კატასტროფული სოციალური თუ პოლიტიკური შედეგებით.

„აბრეშუმის გზა", „ნავთობსადენი" ამერიკულ-ევროპული ინვესტიცია-ტექნოლოგიებით, რუსული სულიერ-ფიზიკური ზეგავლენების შენარჩუნების ფონზე, ცხადია, ქართული სახელმწიფოებრიობის, მისი ტერიტორიული თუ ფსიქოლოგიური მთლიანობის პირობებში. აი, შექმნილი ვითარების გადაწყვეტის სტრატეგიული ხედვა.

შიდა პოლიტიკის გეგმაზომიერი წარმართვა კი კანონის უზენაესობის აღიარებიდან დაიწყება, როცა სტრატეგიულად ჯანსაღ გზაზე დამდგარნი ჩვენს სავალალო მდგომარეობას მართებულ ტაქტიკას შევურჩევთ; ეს უკვე შინაურული პრობლემაა, რომელსაც იმ უმთავრესის გადაუწყვეტლად განხორციელება არ უწერია.

საქართველოს მოძრავი ეკლესია

იშვიათია ქართველი, ვისაც ჩვენი ქვეყნის მერმისის ბედ-იღბალი არ აწუხებდეს, მაგრამ იმდენი პრობლემა დაგროვილა XX საუკუნის მიწურულის საქართველოში სოციალურ-ეკონო- მიკური, დემოგრაფიული თუ ეროვნული ფსიქიკის გახლეჩის თვალსაზრისით, რომ აქ შექმნილი ურთულესი ვითარების რაიმე კონკრეტული თერაპიით გამოსწორება უკვე ერთი კაცის ძალისხმევას აღემატება და მაინც ზოგიერთი პროფილაქტიკური ღონისძიების დასახელება შესაძლებელია.

დავიწყოთ საკითხის განხილვა შედარებით ფართო რადიუსით:

მსოფლიოში სამი ერია, რომელნიც დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ეთნოსს მოითვლის: ებრაელობა, სომხობა, ქართველობა — ათ მილიონამდე თვისტომს.

ებრაელი ერი 26 საუკუნის წინათ მოწყდება სამშობლოს, თავის ქანაანს, ნაბუქოდონოსორიდან მოყოლებული და გასაოცარი შინაგანი ენერგიის წყალობით აგერ ახლახან, შეძლებს ფენიქსივით ფერფლიდან აღდგომას.

დღეს ებრაელი ერი პატროფილიის განსახიერებაა.

სომეხ ხალხს ბარბაროსი თურქი ცხრაასთხუთმეტი მილიონ ხუთასი ათას მამულიშვილს გამოაცლის ხელიდან, მაგრამ განსაცვიფრებელი სულიერი მონოლითურობის მეოხებით მოახერხებს სასოწარკვეთილების გადალახვა და ამიერიდან ყარაბაღის მეპატრონეცაა ჭანეთ-ლორეს მხარდახარ.

ქართველებს კი ტერიტორიული მთლიანობა დაგვრღვევია, წართმეულია აფხაზეთი, ოსეთი; აჭარა ულტიმატუმებს გვიყენებს, სამხრეთ საქართველო — მესხეთი თუ ქართლის ტერიტორიები — მარნეულის რაიონი ლამის წაგვრილა დემოგრაფიული საბჭოური, რუსულ-იმპერიალისტური პოლიტიკით.

რა ხდება? რასთან გვაქვს საქმე?

რით გადავარჩინოთ ჩვენი სამშობლო?

ებრაელ ხალხს არ გააჩნდა ერთიანი ტერიტორია, რის გამოც სტალინი არ გაიმეტებს მათთვის ერის სტატუსს, რადგანაც არ აკმაყოფილებდა ერის, ეროვნების სოციალისტურ ფორმულას, თუმცა,

როგორც მოვლენების განვითარებამ დაგვანახა, საბედნიეროდ მცდარი აღმოჩნდება ეს დრაკონული კონცეფცია — ვერ გაამართლა ერის დაზუსტების საკითხში ენის, ტერიტორიისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა ანუ ეროვნული ფსიქიკის ერთიანობის პოსტულატი.

დღეს ებრაელობა ფენიქსივით აღდგენილია თავის სამშობლოში და განსაცვიფრებელი აღმავლობით აშენებს XXI საუკუნის სამშობლოს უდაბნოში, სიპ ქვაზე.

სომეხ ხალხს კი გააჩნდა ერთიანი ტერიტორია, ენობრივი და ფსიქოლოგიური მთლიანობა, მაგრამ დამატებით საჭირო აღმოჩნდება მძლავრი დიასპორის ფინანსური მხარდაჭერა, რათა კავკასიაში ერთერთი ყველაზე პერსპექტიული და ცხოველმყოფელი ქვეყნის აღმშენებლობას შეუდგება.

მსოფლიოში გაფანტულ ებრაელობას არ მოეპოვება ერთიანი ენა. ისინი აღთქმულ ქვეყანაში ჩვილივით დაილუღლუღეს მშობლიურ ივრითზე.

ასევეა სომხობა. მათი ლიბანური, ამერიკული დიასპორები, მჯერა ხვალ-ზეგ ისევ მითოსურ სომხეთში დაილაპარაკებენ, სრულყოფილად ხაოსის ენაზე.

ქართველებს კი, რომლის უმეტესი ნაწილი ფერეიდანსა და თურქეთშია განთესილი, თითქოს მოეპოვება საურთიერთობო ენა, მაგრამ სომეხ-ებრაელისაგან განსხვავებით მამულისაგან განთესილ ჩვენებურებს წარხოცვიათ პატროფილური მუხტი.

რატომ? რა ხდება? რასთან გვაქვს საქმე?

ებრაელ ხალხს დღემდე კრავდა და კრავს გაუბზარავი სარწმუნოება, სინაგოგა, ერთიანი ღმერთის, იეჰოვას ნათელი და ბიზნესის მადლი.

ასევეა გრიგორიანული სარწმუნოება სომხებისთვის კვლავაც ბიზნესის ფენომენს გადაწნული.

სარწმუნოებისა და კომერციული უნარებით მატერიალური დოვლათის შექმნის ფილოსოფიამ წყალს შეუყენებს ერის, ეროვნების მარქსისტულ, გაგებას, რა თქმა უნდა, წინწკლებში.

ჩვენს ეთნოსს კი საქართველოს ფარგლებს გარეთ მუხამედის რჯულზე მოქცევა, სუნიტური თუ შიიტური ფრთა, ლამის სამკვდრო-სასიცო- ცხლოდ დაუპირისპირებს ირან-თურქეთის ქართველობას და მთლიანობაში ქრისტიანული რელიგიის არსებობა სამშობლოში ვერ დასძლევს მათში რელიგიურ ხრამს, ჩვენს სამომავლო მონოლითურობას რომ გადაღობებია წინ. აღმოჩნდება, რომ ამ შემთხვევაში სარწმუნოება მეტი ბერკეტია ტერიტორიისა და ენის ფენომენთან შედარებით.

დაახლოებით ასეთია ჩვენს გარშემო შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური, თეოლოგიური სიტუაცია.

XXI საუკუნის კარიბჭესთან ქართველებს გვაქვს თუ არა რაიმე ფასეული სადროშო, რომელიც გაფანტული ჩვენი ეთნოსის ერთ სხეულად დარაზმვას მოახერხებდა რამდენადმე?

— გვაქვს! ამ მიმართებით მხოლოდ ქრისტიანობა ვერ გამოგვადგება ფარად და მახვილად. ჩვენ მუსულმანების გადმობირებას, აბოს კვალობაზე მოქცევას ფართო მასშტაბით, საყოველთაო პროზალიტობას ჩვენს დიასპორაში, ალბათ, ვერ განვახორციელებთ სრულბოფილად, ვინაიდან, აქვე, სამშობლოში თვალსა და ხელს შუა გვეცლება მრევლი ,,იეჰოვას მოწმეთა'' მიზანმიმართული შემოტევით. ამასთან გასათვალისწინებელია ფერეიდნიდან ჩამოსახლებული ქართველობის თუ თურქეთის ლაზისტანის ხალხის სრული გულგრილობა საქართველოს მიმართ. ისინი ვერ ხედავენ ჩვენში აღთქმულ ქვეყანას, თავიანთ ქანაანს. იქით მიერთების პრეტენზიებს აცხადებენ, რადგანაც მათ თვალში სრულიად შეგნებულად დევალვირებულია პატროფილური ფასეულობანი. აქვე გადაუულახავ ნაპრალად ჩაგვსაფრებია სარწმუნოებრივი განსხვავებულობა, და თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ არ მოუხარიათ მათ საქართველოსკენ, როგორც ორაგულებს მდინარეთა სათავეებისკენ, რათა აქ ჩახოცილებმა, გამოჩეკილ ლიფსიტებს საზრდოდ მიაწოდონ თავიანთი სხეული და ახალ შთამომავლობას ამნაირად ჩაუყარონ საფუძველი.

ვერც დანაწევრებული ტერიტორია გამოგვადგება ქართული ცნობიერების შემკონავ, შემდუღაბებელ განზომილებად.

— ნუთუ არ არის საშველი?

— არის, მეგობრებო, თანაც უებარზე უებარი!

ეს გახლავთ ენა, ღვთაებრივი ქართული, რომელმაც შესაძლებელია იტვირთოს შექმნილ სიტუაციაში ერის სულიერი მედროშის ფუნქცია, შემკრების, შემკონავის საკრალური მისია, როგორც ეს სინელ ბერ იოანე ზოსიმეს, განუცხადებია ათასწლეულის მიღმა ,,ქებაიში'': **ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დაშარხულ არსო და იქვე: ყოველი ერი მაცხოვარმა ამ ენით განიკითხოსო.**

მაინც როგორ წარმოგვესახება პრობლემის გადაჭრა?

რა ხანია ჩვენ ვაშენებთ საუკუნის სალოცავს, სამების გრანდიოზულ ტაძარს, მაგრამ გამოგვად-

გება კი იგისრულიად საქართველოს სულიერი გამრთლიანების ქვაკუთხედად, როგორც ნარიყალა-ზე, ზეკარის უღელტეხილთან, ბუტაფორიასავით დაყუდებული თუ სხვა მრავალი?!

ვერა! ასობით მილიონი ლარი წყალშია გადაყრილი ამ მიმართებით. გვერჩივნა ძველი აღგვედგინა, ვინაიდან ძველს მეტი ღვთაებრივი სურნელი ახლავს, ვიდრე ახალ, მოდერნისტულ სალოცავს, თუმცა სჯობია მოვეშვათ განსჯას, და მთავარზე ვიმსჯელოთ.

ჩვენი შემრთლიანების უძირითადესი მიმართულება დანახულია და ეს, რამდენადაც გაგიკვირდეთ, ქართველურ ენათა განმარტებითი, სინთეზური ლექსიკონია!

XXI საუკუნეში უნდა ჩამოყალიბდეს სრულიად ახალი ტიპის ქართული, რომელიც მოიცავს ფერეიდნელის თუ თურქეთის ლაზის ფსიქიკას, მაგრამ ჩვენი სათაყვანებელი ქართული ენა ხომ თავად სამშობლოშია ჯერხანობით დანაწევრებული — სალიტერატურო ქართულის პარალელურად მოგვეპოვება მეგრული და სვანური უთვისტომო ფორმები, რომელთა არსებობა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მწვავე პოლემიკის საგანია და აქა-იქ დისკომფორტსაც კი უქმნის მავანს ზოგადეროვნული პოზიციებიდან. მე კი ვადასტურებ: ჩათრევას ჩაყოლა სჯობია-მეთქი!

თავის დროზე, ათასწლეულს მიღმა ქართული ენა დიახაც სინთეზური გზით შექმნილა, ანუ მეგრულ-სვანურ-ქართლური ფონემური ერთეულების შერწყმის გზით. ეს პროცესი საუკუნეების მანძილზე ექვემდებარებოდა სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ეკლესიის მეშვეობით, მაგრამ საქართველოში თავად სახელმწიფო აპარატის მრავალსაუკუნოვანი მოშლა ამ სფეროსაც დააჩნევს უპატრონობის მსახვრალ ხელს და ახლა ჩვენი სამშობლო ერთიანი ქართულის პარალელურად, დამატებით ორენოვანია, მეგრული და სვანური პლასტისა. ამიტომაც გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია ქართული ენის ახალი განმარტებითი, სინთეზური ლექსიკონის შექმნა და გამოცემა სულ ცოტა 100 ათასი ტირაჟით მაინც, რომელიც მოძრავ ეკლესიასავით შეაბიჯებს თითოეული ჩვენგანის ოჯახში, როგორც პროტოიბერ- იული ეთნოსის შინაგანად შემდუღაბებელი ჯადო-თილისმა. საკითხის დაკონკრეტების შემთხვევაში შემდეგი სურათი წარმოჩინდება: მაგალითისთვის: სალიტერატურო ქართულით ცნება ,,ფრატრიას'' ორი შესატყვისი ეძებნება: ,,სამშობლო'' და ,,მამული'', როცა დასახელებული ლექსიკონი რამდენადმე გაზრდის ჩვენი ცნობიერების მაგნიტურ არეს ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ.

არნოლდ ჩიქობავას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, დაახლოებით 114 ათას სიტყვას მოიცავს,როცა ახალი სინთეზური სიტყვის კონა რამდენიმე მილიონს გადასცილდება?!

,,სამშობლოს'', ,,მამულს'' სვანურად შეეფარდება ,,ლარდა'', ლაზურად — ,,დობადონა'', მეგრულად — ,,ობადიში'', ,,ოდაბადე'', ,,შურობუმუ.'' ამ მეთოდით ჩვენ უკვე გავასამმაგეთ ჩვენი სამეტყველო არსენალი პოტენციურად. აქვე სათავე დავუდეთ ახალ იმპულსს, ახალ აზროვნებას, ვიტყოდი: ეროვნული სულისკვეთების აღორძინებას, რენესანსს .ქართულ ცნობიერებაში.

მოვიშველიებ მეორე მაგალითს:,,გოგოს'', ,,ქალიშვილს'', ,,ქალწულს'' სვანურად შეესატყვისება ,,დინა'', ლაზურად — ,,კულანი'', მეგრულად — ,,ძღაბი'' და ,,ცირა''. აქაც იგივე სურათი იხატება: ორმაგდება, სამმაგდება ჩვენი სამეტყველო პოტენციალი. თანაც ეს პროცესი იოტისოდენადაც არ ემუქრება დედაქართულს დიალექტიზმებით წარყვნით ვინაიდან ენის ხასიათს გრამატიკული კანონები წარმართავს, ენის გრამატიზაცია და არა ცალკეული სიტყვები.

ქართულს გადახარშავს სპარსული ,,ბულბული'', ბერძნული ,,იადონი'', თურქული ,,ფანჯარა'', მონგოლური ,,კარავი'', სომხური ,,ჟამი'', რუსული ,,კნეინა'' არაბული ,,ბანაკი'' და თავის ყაიდაზე მოუქცევია. როცა უცხო სიტყვები ასეთნაირად მოურჯულებია დედაენას, ნუთუ ღვიძლის, ნათესავის, ხორცი ხორცთაგანის და სისხლი სისხლთაგანის შეთვისება გაუძნელდება?! ესეც რომ არა, სალიტერატურო ქართულის გვერდით მხოლოდ სინონიმად, დამხმარე ელემენტად მოგვევლინება სვანურიცა და მეგრულ-ლაზურიც, მაგრამ უფრო მთავარი ამ აქტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაა, ვინაიდან იგი მოხსნის უამრავ კომპლექსს, ვიწრო პარტიკულარიზმს, ეჭვებს; მოხსნის კუთხურობის სინდრომს:

,,მე კახელი ვარ''!

,,მე ქართლელი ვარ''!

,,მე მეგრელი ვარ''!

,,მე სვანი ვარ''!

ვინაიდან თითოეული კუთხე და ეთნიკური ჯგუფი ზოგადეროვნულ ლექსიკონში დაბინავებულად იგრძნობს თავს. ეს პროცესი დაახლოებით იგივეა, რაც ებრაელისათვის და სომხისთვის — მონოლითური სარწმუნოებაა. ხოლო ამ ხალხების ბიზნესური მიდრეკილებების ეკვივალენტურად

შეგვიძლია წამოწევა ორი მიმართულების:

ენდემური ჯიშების აღორძინება, როგორიცაა: მეკამეჩეობა, მესაქონლეობა, მევენახეობა, ანუ ისტორიულად გამოცდილის საკრალური რესტავრაცია. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ახალ პარლამენტში მიწის საკუთრებაზე დიფერენციულ მიდგომებს. მიწა ძირითადია ქართველისთვის. ჩვენ გეორგიანელები ვართ. მხოლოდ მიწისგან მოწყვეტის შემთხვევაში ამარცხებს ხერაკლე ანთეოსს. აქვე დაისახება მსხვილი ქალაქების ფორსირებული დეურბანიზაცია; ოჯახური ფერმერული საქმიანობის დაწინაურება ჩვენთვის დემოგრაფიულად მისახედ კუთხეებსა და რაიონებში.და პლუს ყოველივეს: ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ ჩვენი გენოფონდის, ნიჭის გამოვლენისა და დაფინანსების მიმართულებით. დღევანდელ შეჭირვებულ საქართველოში სულ ცოტა 300 გენიოსი ბავშვი მაინც უზის სკოლის მერხებს. ჩვენ უნდა შევძლოთ მათი აღრიცხვის, ანკეტირებისა და მიზანმიმართული განსწავლის პროცესის დარეგულირება. ჩვენ უნდა შევძლოთ მათი სტიმულირება თუნდაც ყოველთვიური ათი ლარით, რომელიც კოლოსალური უკუგებისა გამოგვადგება მასზეგინდელ მამითადში. როდესაც 300 გენიოსი მოზარდის ნიჭიერება დანახულია, დაფასებული და მიზანსწრაფულად წარმართული, ჩვენს ქვეყანას წაბორძიკება ნამდვილად არ უწერია.

შევაჯამებთ ყველა მიმართულებას და მივიღებთ საქართველოს უკვდავების ფორმულას, რომელიც აკმაყოფილებს ერის უგვირგვინო მეფის, სულმნათი ილიას ანდერძისკენ განუხრელი სწრაფვის აუცილებლობას: ,,მამული, ენა, სარწმუნოება''. ოქტომბრის არჩევნებით შექმნილი პარლამენტი მიმაჩნია სწორედ ამ საქმეთა სულისჩამდგმელად. სარფას გამოდევნებული პარტიები და მაჟორიტარული მანდატების მაძიებელი ტიპები პურის ფქვილის ტომრებით და შაქრიანი ტოპრაკებით რომ დაძვრებოდნენ ღობე-ყორე ხალხის ,,ნდობის'' მოსაპოვებლად, ორიათასწლეულის ჟამთააღმწერის დავთრებს ჩაბარებულა. მოსულია დიადი ურთიერთ თანადგომისა და ურთიერთთანამშრომლობის ოთხწლეული. ხეპრულმა კონფრონტაციამ ერის სასიკეთოდ მოგვჭამა ჭირი. ვამბობდი და ვიმეორებ: ოქტომბრის პარლამენტის ინტელექტუალური მკათათვე პატროფილურ-კოსმოპოლიტურის გონივრული შეხამებით, შეუთავსებლის შეთავსების ზოგადკაცობრიული ალქიმიით, სოციალ-ეკონომიკური უმძიმესი აღმართიდან დაიწყებს უცილობლად სიზიფის ლოდის მწვერვალზე აგორებას.

საქმემან ჩვენმან გამოგვაჩინოს ჩვენ. მთავარი, კოსმოპოლიტურ ძვრებთან წილნაყარი ზეპატრიოტული სულისკვეთებაა! როგორც საქართველოსთვის, ისე სრულიად დედამიწისათვის ყველა და ყველაფერი! აი, დროსა და სივრცეში საქართველოს გადარჩენის, საქართველოს სუფევის — საქართველოს უკვდავების უტყუარი გარანტია!

ჟურნალი ,,სპექტრი'',
№1, 1999 წ.

P. S.

მოგვიანებით, მე და კონსტრუქტორი მერად ქარდავა შევიმუშავებთ საქართველოს საპატრი არქოსთვის წყალში მცურავი, წმინდა ნიკო- ლოზის სახელობის გემს, რომელმაც მთელს დედამიწას უნდა აუწყოს ნოეს კიდობანის მსგავ- სად ქართული სუოიერების ცათაფრენანი, მაგრამ ამაზე უფრო ვრცლად — მოგვიანებით.

კოსმოსური წესრიგის მატრიცა

ქართული პოლიფონიური საგალობლის ,,ჩაკრულოს'' კოსმოსური ხომალდით ღია სივრცეში გაგზავნა ჩვენი სულიერების სიდიადის ნამდვილი აღიარებაა მთელი კაცობრიობისაგან, ვინაიდან, დიახაც, ღვთაებრივი ნებელობითაა აშენებული თავად ყოვლისმომცველი სამყარო, ხან ცაბაოთის ექვსდღიან შემოქმედებად რომ წარმოგვისახავს და ხანაც — მატერიის, დროისა და სივრცის ურთიერთშეჯაჭვულ ერთობლიობად.

ნეტარხსენებული ხამლეტ გონაშვილისაგან მსმენია: ქართლოსიანთა საამწუთისოფლო არსებობის პროგრამა ზედმიწევნითაა კოდირებული პოლიფონიური საგალობლების აღნაგობაშიო, სადაც მოძებნილია ოქროს კვეთა, ოქროს შუალედი კეთილსა და ბოროტს შორის, ნათელსა და ბნელს შინა, მინორულსა და მაჟორულს წიაღ, თხიერსა და მყარს გარშემო, პირველსა და მეცხრეს რიგისობით ანუ უკიდურ- ესობამდეა განხორციელებული შეუთავსებლის შეთავსება!.

პოლიფონია — ეს იგივე კოსმოსური კანონზომიერებაა, სამყაროსეული აუცილებლობა, ჭეშმარიტების

ზეიმი; უმეცრების, ცალმხრივობის, სეპარატიზმის, პარტიკულარიზმის, იზოლაციების, ერთადერთობის შიზოიდური სინდრომის დასაძლევად თუ დასათრგუნად; მაგრამ სავალალოდ უფრო ხშირად ხდება ასეც: სწორედ მანკიერს ვჯერდებით! სწორედ ნაკლულს ვაფეტიშებთ! სწორედ ცთომილს ვაღიარებთ მართებულად, როცა ყოველი პრობლემის, თითოეული წინაღობის გასაღები ნაპოვნია, რომ არა ჩვენი უნიათო სულის სიძაბუნე და ეგოსიტურ-ხეპრული თავდაჯერებულობა.

პოლიფონიურ შემეცნებამდე მისვლას ასეულათასი წელი კვებავდა;

ცივილიზაციათა მონაპოვრები წვეთ-წვეთობით გროვდებოდა მის ფორმულაში და ვიდრე საბოლოო სამოქმედო ღონე-საშუალებად ჩამოქანდაკდებოდა, ჯერ ქვას დაწვდება ნეანდერტალელი; მოგვიანებით ჯოხით დააგრძელებს იმ ქვის ზემოქმედების არეს; ცოტაც და თასმათი მომშვილდულს ათმაგად გაუხანგრძლივებს ფრენის ტრაექტორიას; გამოხდება ხანი და ორ მშვილდს შეკონავს ერთ ბორბლად, რათა უმტკივნეულოდ მისწვდეს მისთვის საარსებო მსხვერპლს იროდი სართანიას შეგონებით. ამგვარი პროცესებით ცხოველი, მხეცი— სინანთროპი მოაზროვნე ადამიანად ხომო საპიენსად მოგვევლინება.

პოლიფონია კოლექტიური აზროვნებაა, საზოგადოების ყველა წევრის ინტერესის გამფილტრავ-შემკონავი, სუსტის და ძლიერის დამზავებელი, ბრძენის და სალოსის გამწონასწორებელი, ღვთაებრივი ოქროს კვეთა, რომლის პროპორციებზე უხსოვრობიდანვე უწყოდნენ ჩვენმა წინაპრებმა — 618-ისა და 382-ის ურთიერთდამოკიდებულება, იგივე დომინანტურისა და რეცესიულის თანამშრომლობა გენური ინჟინერიის დროს; ზოგადად კი — ტრიადის პროცესი ხეგელის სწავლებით, სადაც მოვლენის წინაპირობას — თეზას, მომდევნო ფაზისას ცვლის აბსოლუტურად გამომრიცხავი ვითარება — ანტითეზა და მხოლოდ მერმე, ორივე სიდიდის მოსინჯვის შემდეგ, იწყება სინთეზური არქიტექტურა: უვარგისის უკუგდება თითოეული რეალობიდან, ფუჭის გაძევება არენადან, ზადის, წუნის ჩამოშორება ასპარეზიდან და დარჩენილ ფასეულობათა შეჯერების მეთოდით, თვისებრივად ორივესთვის ნათესავი და ამავდროულად განსხვავებული სიდიდის დამკვიდრება ნორმად და ნიმუშად.

ადამიანს ანთროპოლოგები ,,ხომომიმე- ტისსაც'' ეძახიან, ანუ მიმბაძველ ცნობიერ ძალას, ვინაიდან მისთვის ამოსავალი წყარო თავად დედა-ბუნებაა; ადამიანი სამყაროს კანონ-ზომიერებებს უსადაგებს ხოლმე საკუთარ შესაძლებლობებს და ნაბიჯ-ნაბიჯ დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე აღწევს კიდეც მორიგ თვისებრივ საფეხურამდე. ადამიანი გონებაში მკვიდრად არსებულს პოულობს მხოლოდ; ნებისმი- ერი ქმედება მისი მილიარდწლობით თვალწინმდებარეს ,,აღმოჩენა და რეალიზებაა!'' ამიტომაც უნჯდება ხალხის წიაღში ფრთიანი გამონათქვამები: ,,უკვდავების წამალი ლაფაროსთან ხარობს, სიახლოვით ვერ ვამჩნევთ თორემო''; ,,რამაც მოგკლა, მანვე მოგარჩინაო''; ,,თუ გინდა უდაბნოში გადარჩე, მიირთვი წყარო საკუთარ აუზიდანო'' (ავიცენა) და სხვ.

ყოველივე ამით ერთ სიცხადეს ვადასტურებთ: საქართველოს უკვდავების ფორმულა ჩვენს წარმართულ პოლიფონიურ საგალობლებშია ზედმიწევნით გასაიდუმლოებული, უკეთ გამოძერწილი შთამომავლობისათვის სამერმისო მოქმედების პროგრამად და თუ ,,ოდოია'', -,,ლილეო'', -,,ჩაკრულო'', ახერხებს გრანდიოზული თანამშრომლობის მისტერიებს ნაწილისა და მთელის შეჭიდულობის თვალსაზრისით, სრულიად გაუგებარია რისთვის დაგვჭირდება სამასაკოვანი ხელისუფლების მონაცვლეობა ამ უბრალო ჭეშმარიტებამდე მისაღწევად?

განა ეროვნული თანხმობის, ეროვნული წონასწორობის მიუღწევლად შევძლებდით სამართლებრივი სამშობლოს აღმშენებლობას?

მითქვამს და ვიმეორებ: 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები პირველად დაუდებს ჩვენში სათავეს სინთეზური აზროვნების პოლიტიკურ კანონშემოქმედებას, სადაც კოსმოპოლიტური მსოფლგანცდა 618 ნაწილითაა წარმოდგენილი და პატროფილური იდეალები — 382 ერთეულით, ანუ ორიათასის მიწურულის პარლამენტში საკაცობრიო მიდრეკილებანი დომინანტური ხასიათისაა და მამულიშვილური ფასეულობანი — რეცესიული, თუმცა მათი შეწონასწორება აუცილებელი პირობაა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პოზიციებიდან, ვინაიდან თუნდაც რაოდენობრივად უმნიშვნელო მოცულობის — უარყოფით — ,,მინუსის'', კონტაქტში შეუსვლელად რიცხობრივად უმეტესი კონფიგურაციის — დადებით — ,,პლუსთან'', წრედი არაფრისდიდებით შეიკვრება, არ აენთება ჩვენს ფანჯრებში ესოდენ დანატრებული შუქი, ელექტროენერგია.

,,დიდი აბრეშუმის გზით,'' ,,ნავთობსადენით'' საქართველოს ხელისუფლება მოახერხებს მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოქცევას, უკეთ ამერიკულ-ევროპული ფასეულობებისკენ გადანაცვლება ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაწიერით, მაგრამ როდესაც ორსაუკუნოვანი ,,აპეკუნი'' რუსეთის სამხედრო ბაზების აბარგებას მოვითხოვთ ჩვენი ქვეყნის არეალიდან და თან ,,ნატოს'' ძლიერება დაგვისახავს უსაფრთხოების, გარანტად, ხომ არ შევუპყრივართ ვაისთან გაცლილი უისგან დანთქმის სინდრომს?!

„დიდი აბრეშუმის გზა,“ „ნავთობსადენი პრიორიტეტული სტრატეგიაა საქართველოსათვის, მისი შეუვალობისა და თვითმყოფადობის მესამე ათასწლეულის პროგრამა, მაგრამ ამერიკული ხიშტების მესრით თუ შემოირაგვება ეს მშენებლობანი რუსული პრიალანალიანი ჩექმების გაპანღურების ფონზე, შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ შეიცვლება; არ შეიცვლება გალია თვითმყოფადობის მაძიებელი ჩვენი სულისათვის, გნებავთ რკინის მაგივრად ოქროს გისოსებიანიმიაგებებს ერთმანეთის თანმხვედრი ორი ფენომენის ინტერესებს: უარაფრო ცხოველმყოფელი აზიის ნედლეული ყველაფრისმქონე ბერწ ევროპას, და რომ ეს სანუკვარი ხეროიკა ჯვრის მისტიკით დაიტვირთოს, საქართველო ამთავითვე უნდა შეუდგეს ახალი მიმართულების მშენებლობას, რომელიც პირობითად შეიძლება „პოლიტიკურ კონსენსუსადაც“ დასათაურდეს, ანუ ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდეს ატლანტიკა-ჩრდილოეთ-ყინულოვანისა და ინდოეთ-წყნარი ოკეანეებს შორის მომრიგებელ ენერგიად, მედიატორად, შუამავლად, შეუთავსებლის შემათავსებელ ალქიმიკოსად, ვისთვისაც უმთავრესი კრიტერიუმი საკუთარი თვითმყოფადობაა — ორი გიგანტი ზესახელმწიფოს ურთიერთობაში შესაძლო პოლიტიკური აშლილობის გამანეიტრალებელ - გამმიჯნავი ძალა.

„დიდი აბრეშუმის გზა“, „ნავთობსადენი“ რუსეთის პოლიტიკური უკანდახევის მხარდამხარ მკერდს თუ გადაუღეღავს ევროპულ-ამერიკული სამხედრო პოტენციალის კონცენტრაციას, გამორიცხული არ არის ჩვენი ტერიტორია, ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა, სატანური ძალების შეჯახების პოლიგონად იქცეს და მაშინ მსოფლიოს ჭიპად წოდებული სამშობლო ჩვენი ადვილმოსალოდნელია ცივილიზაციის აღსასრულის გზაჯვარედინადაც მოგვევლინოს; ამიტომაც სინთეზური აზროვნების ახალმა პარლამენტმა ყველაფერი უნდა გააკეთოს პოლიტიკურად მიუმხრობელი ქვეყნის სტატუსის მოსახვეჭად: ცხოველმყოფელ აზიას შეუფერხებლად გადავატარებთ ჩვენს ზურგზე რაფინირებული ევროპის გასანოყიერებლად, მაგრამ გონივრულია ამ პროცესმა არაფრისდიდებით დაუშვას „ნატოს“ ძლიერების გაფართოება რუსეთის ბაზების შევიწროების ხარჯზე.

ჩვენ უნდა ვიტვირთოთ ხიდის ფუნქცია აზია-ევროპას შორის.

ჩვენ უნდა აღვიჭურვოთ მეხამრიდის ფუნქციით.

მიდის სამხედრო რუსეთი? კეთილი, მაგრამ ერთიორად უნდა შევეწიაღოთ ცივილურ ჩრდილოეთს, მის ნედლეულს, მის კულტურას და ხელოვნებას; უკუვაგდებთ ძალადობას და ველტვით — კაცთმოყვარეობას.

ასეთივე ქმედებანი გვმართებს ევროპა-ამერიკის მისამართითაც: კარს ფართოდ ვუღებთ მათ ეკონომიკურ მიღწევებს, მათ ტექნოლოგიებს, მათ სულიერ ფასეულობებს, მაგრამ შლაგბაუმს აღვუმართავთ ოკეანისგაღმელი სამხედრო კომპლექსის პირზე ნერწყვმომდგარ მადას. ამისთანა ვითარებაში საქართველო მართლაც დაემსგავსება ჯვარს, რომლის ხორიზონტალური ღერძი „დიდი აბრეშუმის გზაა“, „ნავთობსადენი“, იგივე ხიდის სიმბოლიკა თვისებრივ-შინაარსობრივად განსხვავებულ ორ კონტინენტს შორის, ხოლო რაც შეეხება ვერტიკალურ ღერძს, აქ ჩრდილოეთისა და სამხრეთის სულიერების ცისარტყელა დაეჭედება გეზისმომცემ სიდიდედ და სინთეზური მიდგომების წყალობით, შეუთავსებლის შეთავსების ხელოვნებით, საქართველოს პოზიცია სალამანდრასავით ნიმუშად წაადგება მსოფლიოს გლობალური კონფრონტაციების ჩაცხრომისათვის, რეალურია იგი თუ პოტენციური. ორივე შეითხვევაში საქართველო გაამართლებს თავის სახელდანიშნულებას — ღვთისშობის წილხვდომილი ქვეყნის მისიას, ვინაიდან იგი მოგვევლინება, როგორც ენერგომატარებლებისა და სულიერ ფასეულობათა უჩინარი არტერიების პლაცდარმი, ჯვარი, გზაჯვარედინი, თავისთავად რომ ორი ძელის ერთობლიობაა, ორი განზომილების კვინტესანცია, მესამე, სრულიად განსხვავებული თვისებრიობის — ბორჯღალის საზეიმოდ: ეკონომიკურად ძლიერი და სულიერად ჯანსაღი მსოფლიოს საწინდარი.

1 საეშობლო სჯობია 2-ს

ამ სათაურს მეტროპოლიტენის მატარებლების კედლებზე გამოკრული წინასაარჩევნო რეკვიზიტები კვებავენ.

მილიონობით პოტენციურ ამომრჩეველს დაჟინებით ჩავჩიჩინებთ მეტად საეჭვო ფასეულობის თეზას:

„2 ლარი სჯობია ერთს“; „2 პური სჯობია ერთს“; „2 ბაღი სჯობია ერთს“; „2 შვილი სჯობია ერთს“; „2 ძმა სჯობია ერთს“ და ასე შემდეგ. ქვეტექსტი გასაგებია: №2 საარჩევნო ბლოკი უკეთესია №1-ზეო და თითქოს საომარი ლელო გატანილია „პანდორას ყუთებისკენ“, რომლებშიც მხოლოდ-

ღა იმედია დატუსაღებული გამონთავისუფლებული უამრავი ცოდვის სანაცვლოდ. მაგრამ ყოველი კოჭლი ცნება უძლურია ჭეშმარიტის წინაშე, ვინაიდან ამ სენტენციას აკლია თვისებრიობის მუხტი, რომლის გათვალისწინებით:

,,ერთი ჭკვიანი ძმა უმჯობესია ორ უგნურზე‘‘;

,,ერთი გამტკიცული პური უკეთესია ორ კუტზე‘‘;

,,ერთი მსხმოიარე ბაღი სარგებლიანია ორ გავერანებულზე‘‘;

,,ერთი მყარი ლარი აჭარბებს ორ დევალვირებულს‘‘...

აი, როგორ შეატრიალა საღი აზრის შეტანამ რიცხვთა შორის თანაფარდობის შინაარსი: თვისებრიობამ გადაწონა რაოდენობრიობა.

თან ზნეობრივად გაუმართლებელი მგონია ამგვარი მეთოდებით ქვეყნის სამართავი პულტის მოპოვება, რამეთუ ,,ორის‘‘ რიგითი ნომრით პოლიტიკურ რინგზე გამოსულს, ვთქვათ და, სიტყვისთვის, ერგასი რგებოდა წილად, მეტად სავალალო ვითარებაში აღმოჩნდებოდა, რადგანაც:

ერგასი □ორმოცდაათი) ძმა ვერ აჯობებდა ერთს, ვინაიდან ასეთი სიტუაცია მხოლოდ პირიამოსის ტროაში თუ მოიძებნებოდა;

ვერც ერგასი ბაღი გაუტოლდებოდა ერთს, ვინაიდან არარეალურია ერგასი ბაღის მეპატრონეობა. ადამიანის პატიოსან ოფლს ერთი წალკოტი უნდა ამკობდეს. სიმრავლე უკვე არღვევს კავშირს მაჯასა და მიწას შორის;

ჩვენ ერთისადმი სიყვარული ათადან და ბაბადან მოგვსდგამს:

,,ხე, ღმერთო ერთო, შენ შეხქმენ სახე ყოვლისა ტანისა; შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისაო‘‘, ბრძანებს პოეტი;

,,პირველიან ბედია დო უკულიან გვერდია‘‘ — რაც პირველად გერგება — ბედია და რაც შემდგომ — ნახევარიო‘‘, ჟღერს მეგრული ანდაზა;

თანაც ერთთან, მონოლითურთან, გაიგივებულია ყოველივე გაუბზარავი ზნეობრივი ფასეულობა, რაც ქართველებს მოგვიპოვებია დროსა და სივრცეში:

ერთია მზე; ერთია მთვარე; ერთია დედა; ერთია მამა; ერთია დედამიწა, პლანეტა ჩვენი;

ერთიანია კოსმოსი, ოღონდ მრავალი ნაწილისა და ნაწილაკის შემკონავი;

შექანებული სალოსიც ვერ შემოგვბედავს: ორგული სჯობია ერთგულსო; ორი სიკვდილი სჯობია ერთსო; ვერავინ დაგვიპირისპირდება, (მათ შორის თავად ხელისუფლების მაძიებელთა წინასაარჩევნო პლაკატიც), ძალა ერთობაში არ სულდგმულობსო, პირიქით, ისიც ამასვე ღაღადებს და ადასტურებს. ყოველივეს გათვალისწინებით ერთს ვერ დაჩაგრავს ვერც ორი და სამი, ვერც — ოთხი, ვერც ხუთი — ადამიანის სიმბოლო, ვეღარც ექვსი — მენცარული სულისკვეთების ნავთსაყუდელი, ვეღარც შვიდი — სამოთხის იდენტური, ვეღარც რვა — ღმერთის სავანე თუ ცხრიანი — ზესრულყოფილებას, ათიანს მიახლოვება, ვინაიდან ერთისგან წარმოიქმნება თითოეული და ერთსავე უბრუნდება.

ზემოთქმულის მიხედვით შეუძლებელია ,,2 ძმა სჯობდეს ერთს‘‘ საქართველოსთვის, როცა არსებობს ამბავი ცხრა ძმა ხერხეულიძისა;

უაზროა 2 შვილი ჯობდეს ქართველისთვის ერთს, თუნდაც ამ სტრიქონების შემდეგ: ,,ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარია‘‘;

ვეღარც ორი პური გადაგვაყვარებს ერთს, ვინაიდან სახარებას სწავლებით ქრისტემ ხუთი პურითა და ორი თევზით დაანაყრა 5000-იანი მრევლი;

ვერც ორი წალკოტი გადასჯაბნის ერთს, რამეთუ სამოთხის ბაღი ერთადერთი გახლდათ ცისქვეშეთში, საიდანაც ხეცნობადის ნაყოფის სულსწრაფული დაგემოვნების გამო გამოვძევდით ყველა, მაგრამ რადგანაც ,,1‘‘ მმართველი პარტიის საარჩევნო ნომერია, გვინდა თუ არა, უარესი უნდა იყოს მისსავე კოლეგა ,,2‘‘-ზე.

მიზანი ყოველთვის ვერ ამართლებს საშუალებას.

ერთმანეთისადმი პოლიტიკური დისკომფორტის გამო ნუ შეგვაძულებთ, ბატონებო, სათაყვანებელ რიცხვს — ერთიანს!

ათწლიანი პოლიტიკურ-სოციალური მორევის ჩვენს თავზე წისქვილის დოლაბის ქვასავით დატრიალებამ, ყველას თუ ვერა, ზოგ ჩახედულს მაინც თვალნათლივ დაანახა ერთი რეალობა:

ეროვნული მოძრაობაც □განსაკუთრებით ბოლოდროინდელი მონაცემებით, ვგულისხმობ კომუნისტური პარტიის უსისხლო დამხობას, რასაც ოკეანისგაღმური პოლიტიკის ხორცშესხმად მიიჩნევენ, ხელისუფლების ფორსირებულ დათმობად, შემდგომში მისი ზედმიწევნით გაკოტრების მოლოდინით), ისეთივე მართული იყო ამერიკის ხელით, როგორც მომდევნო სამთავრობო ტრადიციანი.

„დინების საწინააღმდეგოდ მცურავს“ შემთხვევით როდი შეუძახებს ბუში თეთრი სახლიდან გამსახურდიას: მაშინ ქვეყნის პრეზიდენტი მიხვდა საბაზრო ეკონომიკისათვის ქართველი ერის აბსოლუტურ მოუმზადებლობას. მიხვდა იმპერიალიზმის ანკესზე წამოვეგეთ და სცადა სოციალიზმის რელსებზე საქართველოს მაქსიმალურ შენარჩუნებას.

ამისთვისაც ამოტივტივდა კავკასიური ოჯახის თეორია, რომელიც მყისვე მოინათლა „ლიბანურ კარჩაკეტილობად“, მაგრამ რადგანაც ერთხელ ჯინს გამოვუხმეთ, დავამსხვრიეთ სოციალისტური მონაპოვრები და არსებობის საშუალებად „ყვითელი ეშმაკი“ ავირჩიეთ, იქ მორჩა საუბარი თანასწორუფლებიანობაზე — უფასო სწავლა-განათლებაზე, ჯანდაცვაზე, საპენსიო გარანტიებზე... საქართველო გეგმაზომიერად მოხყვა კაპიტალიზმის ბორბლებში ხრახნების, კბილანების არეში და აწი მისი იქიდან უმტკივნეულო გამოგლეჯა ინფანტილური ოცნებაა, როგორც ეს პროკომუნისტურ თუ გნებავთ პროსტალინურ, რამდენიმე ბლოკად დაქსაქსულ ძალებს წარმოუდგენიათ.

კაპიტალის სივრცე ხანძრის დაუგზგიზებლად გოჯსაც არ დათმობს, □ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით: კუბა, ვიეტნამი, ჩილე). ამიერიდან თამაშის წესისგან გამიჯვნა-გაქცევა თითქმის შეუძლებელია, მით უფრო ციცქნა ქვეყნისგან, ცეცხლს რომ სულს ვერ შეუბერავს; როცა მსოფლიოში რესტავრირებულია საბაზრო ეკონომიკის თეორია მთელის სიგრძე-სიგანით; როცა თვით კომუნიზმის იდეალების მექა — რუსეთიც კი ჩამოხეული კალთით იხვეწება ინვესტიციებს და კუს ნაბიჯით მიიწევს წინ კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის არენაზე.

საილუსტრაციოდ სამ ეტაპობრივ მონაკვეთს მოვიშველიებ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიის უკეთ გასაანალიზებლად.

ათას ხუთასი წლით დავიხიოთ დროსა და სივრცეში.

გუბაზ მეფისა და ბიზანტიელების გაერთიანებული ლაშქარი სამარცხვინოდ დამარცხდება სპარსელებთან ისევ და ისევ ბიზანტიელი სარდლების უნიათობით. მხედართმთავარი რუსტიკე, პირმართალი რომ გამოვიდეს იუსტიანე იმპერატორთან, ლაზების გულდედლობას გადააბრალებს ორომტრიალში სასტიკ კრახს. ამისთვის მოაკვდინებენ კიდეც ამაყი ლაზების გოროზ მეფე გუბაზს მოღალატურად.

შეურაცხოფილია ერი. იმართება სახალხო კრება, სადაც ორატორები აიეტი და ფარტაზი წარმოთქვამენ საშვილიშვილო სიტყვებს:

პირველი სპარსელებთან მოკავშირეობის მომხრეა. მიწასთან ასწორებს ბიზანტიელების ფარისევლურ პოლიტიკას და გადაჭრით მოითხოვს მაზდეანელებთან სამოკავშირეო ზავის შეკვრას;

დაყოლიებულია თითქოს აბობოქრებული მრევლი, მაგრამ წამოიმართება ფარტაზი და ქვას ქვაზე არ დატოვებს წინა ორატორის მაცდუნებულ სენტეციათაგან. უმთავრესს ჩაეჭიდება — რომაელებისა და ქართველების სულიერ ნათესაობას, ტრადიციების ერთგვაროვნებას, რომლის უარყოფის შემთხვევაში ჩვენ სრული გამაზდეანება გვემუქრება.

ხოდა, ვითარების ლოგიკურად გადაწყვეტით შთაგონებული ერი განსხვავებული წესჩვეულების კარის მეზობელი სპარსეთის მაგივრად მსგავსი ცხოვრების ნირის ბიზანტიას, თუმცა კი პონტოს ევქსინოსით დაშორებულს, მიაყრდნობს თავს.

წამოიჭრა კითხვა: ვისთან, რომელთან? ბიზანტიასთან თუ სპარსეთთან? და საღმა აზრმა სივრციერად შორი, მაგრამ სულიერად მახლობელი ამჯობინა — ბიზანტია. ორ ბოროტებას შორის უმცირესი აირჩია.

დაახლოებით იგივე განხორციელდა ორი საუკუნის მიღმა, როდესაც კრწანისის ომით გაცამტვერებული ქართული პოლიტიკური ელიტა ზურგს შეაქცევს განსხვავებული იდეოლოგიურ-ეკონომიკური საფუძვლების მოსაზღვრე სპარსეთს და კავკასიონს, ცხრა მთას იქითა რუსეთს მკვიდრად ჩააბარებს სამეფო რეგალიებს სამეურვეოდ.

დაისვა კითხვა: ვისთან, რომელთან? სპარსეთთან თუ რუსეთთან? და დაუნჯებულმა გონებამ სივრციერად შორი, მაგრამ სულიერად მახლობელი ამჯობინა — რუსეთი. ორ ბოროტებას შორის უმცირესი აირჩია.

ფარტაზისა და ერეკლე მეორეს სტრატეგია ახლომხედველი ოპონენტის კრიტიკას არ ექვემდებარება, ისტორიული აუცილებლობითაა ნაკარნახევი.

დღესაც იდენტური ალტერნატივის წინაშე დგას ქართველი ხალხი.

დაბადებულია კითხვა: ვისთან, რომელთან? რუსეთთან თუ ევროპა-ამერიკასთან? ქუდბედივით თანდაყოლილი ეს ალტერნატივა ისევ წამოატივტივა ცხოვრების რეალობამ.

ამ ინტეგრაციისა და კოსმოსური ცივილიზაციის გარიჟრაჟთან რუსეთი შედარებით მახლობელია ჩვენთვის ტერიტორიულად, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია თუ იაპონია,

მაგრამ როდესაც კაპიტალიზმი განუხრელად ყალიბდება ჩვენში „აბრეშუმის გზის“ რესტავრაციითა და ნავთობსადენის ინფრასტრუქტურის კონტურებით, ვერსები, კილომეტრები თუ მილები განზე გადაიწევა კვლავაც და მიზნის ერთობლიობა მოგვევლინება ქვაკუთხედად, ამოსავალ წერტილად.

ბუნებრივია, როგორც ჩვენი ისტორიული მოკავშირეების ცხოვრების წესს, ბიზანტიური იყო ეს თუ რუსული, უამრავი მიუღებელ-დამამცრობელ-დამაკნინებელი რამ ახლდა ჩვენი თავისუფლებისმოყვარე მსოფლგანცდისათვის, მაგრამ ამის გამანეიტრალებლად არსებობდა და მომავალშიც უნდა გავაღვივოთ ეროვნული სულისუკვეთება, პატროფილური სიფხიზლე, როგორც ეს თანაჟამიერად შეუნიშნავთ ბატონებს: თ. კიკაჩეიშვილს, გ. მოლაშხიას „აბრეშუმის გზის“, ნავთობსადენის საშვილიშვილო პროექტების სტრატეგიაში.

პოლიტგაერთიანება „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ ნათლად ხედავს საქართველოს მსწრაფველობას უშუამავლო საბაზრო ურთიერთობებისაკენ და აქ ჯავშნად, დამცავ მექანიზმად დიახაც ეროვნულ ფასეულობათა ციტადელად აღმართვას მიიჩნევს თვითმყოფადობის შენარჩუნების გზაზე.

ბიზანტიურ-რუსულისა არ იყოს, მომავალშიც ამერიკული ცივილიზაციაც, ევროპული ფასეულობანიც მოიტანენ, ალბათ, აურაცხელ ნიშანდობლივ თავისებურებას, როგორც სასიკეთოს, ისე — მანკიერს, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია და რადგანაც „აბრეშუმის გზით,“ ნავთობსადენით, გეოპოლიტიკური კოზირების მართებული გამოყენებით საქართველო მძლავრი ეკონომიკური არტერიით ხვალ-ზეგ საშვილიშვილოდ შეენაკადება მსოფლიო პროცესების ოკეანეს, სავსებით თანადროულად ამოტივტივდება „მესამე გზა“ პოლიტიკურ სარბიელზე, რომელიც დაახლოებით იგივეა, რაც სინთეზური აზროვნების მიდგომები საგნებისა და მოვლენების მოწესრიგების საქმეში, იგივე შეუთავსებლის შეთავსების პერიპეტიები.

როცა ეროვნული მთავრობის პატროფილია უძლური აღმოჩნდა საერთაშორისო კაპიტალის შემოტევისას და აგრეთვე კოსმოპოლიტური მიმართება მმართველი პარტიისა ვერაფრით იხვეჭს დაფნის გვირგვინებს მშობელი ერის გულში, □მიუხედავად მისი ლიდერების ოკეანისგაღმური დარბაზებისგან მრავალგზის დაკვარცხლბეკებისა), სინთეზური აზროვნების საჭიროებამ მართებულად წამოიწია სადღეისო არჩევნების მზეგანში; ვერც ცალმხრივმა პატროფილურმა ხაზმა ხპოვა ჩვენში სრული გამარჯვება და ვეღარც ზედმიწევნით კოსმოპოლიტურმა. პოლიტიკური ალიანსი — „მესამე გზაც“ ამიტომ მოითხოვს ამ ორი მსოფლმხვედლობის გეგმაზომიერ შერწყმას და რაღაც ახალი თვისებრიობის ჩამოყალიბებას, რომელიც საქართველოს მაქსიმალურად შეუნარჩუნებს ეროვნულ იერსახეს მსოფლიო კოსმოპოლიტური ტენდენციების ოკეანის უსაფრთხო გადალახვისას.

ამიტომაც დაუნჯებულმა შორსმხედველობამ კვლავაც სივრციერად შორი, მაგრამ საქმიერად, მიზნიერად მახლობელი უნდა ამჯობინოს არსებობის წესად, გამომდინარე პრინციპებიდან: მკვდარს აკიდებული მკვდარი ორგზის მკვდარია და პირიქით — სიცოცხლისუნარიანს ამგაზვრებული — ორგზის ცხოველმყოფელი — ჩვენი მწარმოებლური სტრატეგია დიახაც უნდა შეეხიდოს თავისუფლებისა და დემოკრატიის □თუმცა სულ სხვა თემაა რაოდენ შესაბამისობაშია ამ ტერმინთა ფორმა-შინაარსი ჭეშმარიტების პოზიციიდან), მედროშე ამერიკა-ევროპას!

ამასთან, არაფრით წაეყრუება სამოთხის სიმბოლიკის რიცხვიანი ბლოკის ლოზუნგსაც: „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, რაც აისბერგული ხასიათის განაცხადია, ვინაიდან მრეწველობაში ნაგულისხმევია ვრცელი სპექტრი — სოფლის მეურნეობა, ენდემური ჯიშების აღდგენა და დამკვიდრება, რაც საერთო ჯამში მშობლიურ მიწა-წყალს დაუნარჩუნებს საქართველოს, როგორც საარსებო სივრცეს; მატერიალურ დოვლათსაც მოუბევრებს, არ წაგვრის გეორგიანობის ოდინდელ საკრალურ ავგაროზს, მიწათმოქმედის ხეროიკას, განუყოფლობას მარჩენალ ნიშასთან და ნიკორასთან, პურის ყანასთან, ვენახთან, არვესთან, მეფუტკრეობასთან, ცხადია, წიქასთან ნადუღარი ლუდის ქაფქაფითა თუ რუსთავში გამოწრთობილი ხალიბური ფოლადის ელვარებით.

ყველაფერი კი წილნაყარია საქართველოს სხეულში ბურჯებად ჩაშენებული მიმართულებებისა — „აბრეშუმის გზა“, ნავთობსადენი, რაც ხვალ-ზეგ უამრავ საწარმო-დაწესებუ- ლებას აღმოაცენს ნაწვიმარ ტყეში მომრავლებულ სოკოებივით.

რიგითი მწერლის სიტყვები გაცილებით მისაღები მგონია ელექტორატისთვის, ვიდრე სავარძლების მაძიებელთა.

ჯერ ერთი, მე არ ვუღალატე ჩემს მრწამსს და აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის I ყრილობაზე თქმულის ერთგული დავრჩი: შეგნებულად მოვიზღუდე თავი პარლამენტარობისგან, იმ მოსაზრებით, რომ პოლიტიკოსი ერთს ფიქრობს, მეორეს ამბობს და მესამეს აკეთებს □სხვანაირად ფუჭია

მისი სარბიელი წუთისოფლის ზიგზაგიან გზაზე. გავიხსენოთ ჩერჩილის სიტყვები სტალინის მიმართებით: ის იყო პოლიტიკოსი, რომელიც საკუთარ მტრებს საკუთარი მტრების ხელითვე ამარცხებდაო; ან დაახლეობით ამგვარი ფრაზა; დღეში ხუთგზის ატყუებდა რუზველტს და ორგზის მეო.), ხოლო მწერალი ერთს მოიაზრებს, ერთს აცხადებს და ერთს მოიმოქმედებს.

პოლიტიკოსის ფორმულა ასეთია: **X + Y + Z = O;** სადაც **X** — ფიქრია, **Y** — სიტყვა და **Z** — საქმე, ხოლო ომეგა — **O**-დიდი, მათი ერთობლიობით ნასაზრდოები დუხჭირი სინამდვილე, ცხოვრება ჩვენი.

მწერლის კრედო ამდაგვარია: $\mathbf{X_1 + X_2 + X_3 = 3X}$; სადაც $\mathbf{X_1}$ — ნააზრევია, $\mathbf{X_2}$ — ნათქვამი და $\mathbf{X_3}$ — ნამოქმედარი, რომელთა ჯამი სამგზის ბევრდება და ზავთდება, პოლიტიკოსის სამუცნობიანი განტოლებით მიღებული მეოთხე, მთლად სფინქსისმიერი მრავალუცნობიანი სიდიდის სანაცვლოდ.

ღმერთმა ნუ ქნას პოლიტიკოსმა და მწერალმა როლები შეცვალონ, ვინაიდან მწერალი — პოლიტიკოსი ყოველთვის დამარცხდება პოლიტიკურ არენაზე სწორხაზოვანი აზროვნების გამო და პოლიტიკოსი - მწერალი ვერსდროს მოიხვეჭს სახელს ბელეტრისტიკაში ანგარებითი არათანამიმდევრობის წილ.

ჩემი სიტყვა იმიტომაც მგონია მისაღები ელექტორატისათვის, რომ გური ოტობაიაც მრავალათას თანამოძმესავით უარაფროა, უსახლკარო, ოტობაიაწართმეული, არ ელის ჩინ-მედლებს სხვადასხვა ხარისხისას თუ რამ სარგებელს, როგორც არსებული, ისე მომავალ მთავრობათაგან.

ის საყვირია, ბაირაღი, დასარისხებელი ზარი მოახლოებული საფრთხისას.

კანონის უზენაესობისადმი მორჩილებას მოვითხოვდი მე პირველი პრეზიდენტის დაზარბაზნების დროსაც და იგივეს მოვითხოვ ახლაც — ლამის შუასაუკუნეობრივი ფეოდალური გონხშულობის პირობებშიც.

ჩვენ უნდა ვეთაყვანებოდეთ არა კონკრეტულ პიროვნებებს: გუბაზებს, ერეკლეებს, გამსახურდიებს, შევარდნაძეებს თუ სხვათა, ღვთის შეწევნით მერე და მერე რომ მოგვიმრავლდებიან დროთა ვითარებაში, არამედ — ქვეყნის კანონიერების ქვაკუთხედს, სიმბოლოს — ხელმწიფეს, მეფეს, მესვეურ-წინამძღოლს, პრეზიდენტს დღევანდელი მნიშვნელობით.

აქედან გამომდინარე გური ოტობაიას 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კარიბჭესთან თამამად შეუძლია განაცხადოს: სოლიდარულია იგი ფარტაზის გზასთან, ერეკლე მეორის გზასთან, როგორც ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევთან და ბუნებრივია, ელექტორატს მხსნელად ვერ დაუსახავს პოლიტიკურ ძალას, რომელიც წარსულისკენ, გარდახდილისკენ, გადაფასებულისკენ მიათრევს თავისუფლების შხეფებს ნაზიარებ ჩვენს გაუდაბურებულ სულს;

მხსნელად ვერ დაუსახავს იგი პოლიტიკურ ძალას, რომელიც დევნილ თვისტომს აბსტრაქტული ვითარების მსხვერპლად წარმოაჩენს და არა რუსეთის იმპერიისგან დაქოქილი აფხაზური ზესეპარატისტული რეჟიმისგან გაუბედურებულად.

ჭკუის ოდნავი დატანებით, გამოდის, რომ ხუთი ათასი სამურზაყანოელი თავისით აღსრულებულა სრულიად საღსალამათი; თავისით ჩამხვრჩალა მოდირინაფილ-გალიპლიპებულ ჭებში; თავისით აუგია წესი აქამდე სვებედნიერი ცხოვრებისათის; თავისით ჩანარცხებულა ჩაჟამებულ ღელეებში გაეშებული ღორების დასაჯიჯგნად; თავისით ჩანაცრებულა საკუთარ კოპწია ოდა-სახლებში. ამისთანა სკიპტრამაძიებლებს ვერასდროს დაუკრავს კვერს გური ოტობაია საზოგადოების თვალში ნაცრის შესაყრელად; და ვერც იმათ, სახალხო დოვლათს რომ მიითვისებენ ეგოისტური ბუნებით „ქოხების“ შესაძენად თუ ქარვასლათა საპრივატიზაციოდ, მაგრამ რადგანაც დამდგარა ჟამი ისტორიული შემობრუნებისა, ორ ბოროტებას შორის ამორჩეული უმცირესის კვალობაზე, ჩემთვის მისაღებია ნებისმიერი პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც ემხრობა, იღვწის, თანაზიარია ქვეყნის პრეზიდენტის სტრატეგიული მიმართულებისა.

მთავარია გემი სწორი კურსით მიდიოდეს შტორმის დროს, თორემ ტრიუმებისა და გემბანების ისტერიკებს მოევლებათ ადრე თუ გვიან. ასე რომ, სინდისის უქეჯნავად შემიძლია დავასკვნა:

ერთი საშობლო სჯობია ორს, ვნებავთ, ათასმეცხრამეტეს-მეთქი.

რაც შეეხება ერთიან საქართველოს, იგი ხომ უდასასრულო სამყაროს ბადალია, დიახაც, გაუბზარავი ფორმა-შინაარსით.

„საქართველოს რესპუბლიკა“,
№288-289, 24-25 ოქტომბერი, 1999 წ.

ნოგელი ცოტას მოიცდის

„დათა თუთაშხია“ — ქართული რომანის მწვერვალი

გმირი არა რანაირადაც სინამდვილეშია, არამედ — როგორიც უნდა იყოს იდეალში

რომან „სიცოცხლემისჯილზე“ მითქვამს, მეორე წიგნს — „როკის“ ძალმომრეობის აპარატისა და პიროვნების უთანაწორო ორთაბრძოლას მივუძღვნი არსებითად. ნაწარმოები კი გასრულდება, მაგრამ იგი ფრიად გაურკვეველ ვითარებაში ჩამაგდებს. საქმე ის გახლავთ, რომ თხზულების პროტოტიპი ერთობ ცნობილი აღმოჩნდება თანამედროვეებისათვის, საკმაოდ ზიგზაგიანი, ნარეკლიანი ცხოვრებით □ერთის მოქამაგე ათს მომდურებულია), ვინმე ხელმოცარული კლერკი დაუფარავად მომახლის რომელიღაცა წვეულების პიკზე:

— იმ წიგნს ბავშვებთან არაფრით შევიტანო.

როგორ მემტკიცებინა მე ნაღვინევი აყაროსთვის, რომ ხელოვანისთვის აბსურდია დადებითი და უარყოფითი პერსონაჟი, რომ ტოლსტოის თანაბრად უყვარს ვაინახური ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღალატე ხაჯი მურატი და მოსკოვივით ურყევი პიერ ბეზუხოვი; ან როგორ გავამართლოთ დოსტოევსკის ლმობიერება ორი ადამიანის სიცოცხლის შემწირველი რასკოლნიკოვის მიმართ?! იმ პიროვნებისთვის რომ გამემხილა: ძმობილო, ტრილოგიის მესამე წიგნში მთავარი გმირების პროტოტიპად ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძისთვის დამიდგია თვალი-მეთქი, შესაძლოა მტკვარში გადავეჩეხე რომელიმეს მოძულეს, მაგრამ ღვთის განგებით ჯერაც სული შემრჩენია; ხოდა, „სიცოცხლე- მისჯილის“ მეორე წიგნი „როკის“ წინათქმის მოშველიებამდე, იქნებ უპრიანი იყოს საკუთარ თავს ვექილად დავუდგე! ჩემი შემოქმედების მკვებავ თემატიკა-პერსონაჟთა ოპონენტებს დავანახო ქართულ თუ ზოგადად სიტყვაკაზმულ მწერლობაში რანაირი ხასიათის გმირებია წინწამოწეული, ბარბაცებენ თუ არა ისინი წუთისოფელთან შეჯახებისას.

ბრალდება ცალსახაა: თურმე საქართველოს სამიათასწლიანი მატიანეს მხატვრული ხორცშესხმის ჟამს, პროტოტიპად ამირჩევია „შავი სამყაროს“ წარმომადგენელი, რომელიც მრავალგზის ცოდავს საზოგადოებასთან ურთიერთობისას. ჩემთვის გასაგებია თუ ზუგდიდის ელიტარულ ფენას რისთვის გააღიზიანებს ნაწარმოების წამმართველ ძალად „ჩორნაია პანტერას“ არჩევანი, მაგრამ ვაცხადებ ხმამაღლა: დამისახელეთ სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების ოდიშის სინამდვილეში მეორე პიროვნება, რომელიც ქალაქის კოლორიტს ქმნის.

სკულპტორისთვის ეს ყველაფერი უბრალო მავთულია, რომლის გარშემო გულმოდგინებით შემოძერწავს ხოლმე სასურველ გმირს და ქანდაკების დასრულების შემდეგ თავდაპირველი ისე დაემგვანება საბოლოოს, როგორც ბუზი — აქლემს. მიპასუხეთ ღვთის მადლმა, ოცდამეერთე საუკუნეში ეხსომება ვინმეს „დათა თუთაშხიას“ პროტოტიპი შელიაა, ხეჩუა თუ ირუნტია?! ან რამდენად ემგვანება იგი ამ ზნეობრიობის იშვიათ მაგალითს? დამეთანხმებით, ალბათ, ნაკლებად, ვიდრე კატა — ლომს. თუმცა მოვრჩეთ დაღეჭვებს და ქართული ავანტურისტული რომანის ბედ-იღბალს მივხედოთ, იგივე გმირის მაძიებელ ბელეტრისტიკას.

ამგვარი ვრცელტანიანი ნაწარმოები მეცხარმეტე საუკუნიდან შემოდის ჩვენს ცნობიერებაში:

ანტონ ფურცელაძის „მაცი ხვიტია“;
მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“;
კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“;
ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“;

ახლა ამ ნაწარმოებთა თუნდაც მიახლოებითი ანალიზის დრო არ არის, მაგრამ ვიტყოდი ერთს, რომ ქართველი მესიტყვენი დიდის რუდუნით ეძებენ ეპოქის სულისკვეთების გამომხატველ გმირს. მასალა, ყოველთვის ხალხის წიაღში მკვიდრობს, იქიდან ამოაქვს ხელოვანს.

ამ გზაზე არის სრული შემოქმედებითი გამარჯვებანი ან კრახი, როცა საუბარი შეეხება სპარტაკებს, ხუდებს, გარიბალდებს, ადამიანების ფსიქიკა რომ ჩაილექავს სამისდღემშიოდ, მაგრამ განა თავად ხალხის ფანტაზია ყოველთვის მართებულად, უტყუარი სარკის მსგავსად აირეკლავდა ამ რეალობებს, თუ ხშირად წაუმატებს აქა-იქ, კარდინალურად ცვლის გარდახდილს, მითოსურ ელფერში ხხვევს ამა თუ იმ პიროვნებას?!

ამ მიმართულებით თუ განვიხილავთ ეროვნულ გმირებს და გამოვხშირავთ მოგონილს წამატებულისაგან, მენდეთ, მეტწილად ფრიად ტრივიალური ამბები შეგვრჩება ხელთ, მაგრამ ხალხის შინაგანი მოთხოვნილებაა — ხყავდეს წინამძღოლი, როდესაც ამისი ობიექტური წინამძღვრები მოსპობილა, თავად უმეგზურებს საკუთარ თავისუფლებამოყვარეობას და ახერხებს კიდეც ამის სიტყვაკაზმულობას, რეალური სინამდვილის საკმარისზე მეტი კორექციით. ამგვარად იძერწება ხოგაის მინდია, ამირანი, დევების ლახტით დამბალთავი კოპალა თუ იახსარი. ჩვენ ეს გვაკაჟებს, გვამხნევებს სულიერად.

გავიხსენოთ ფრანგი მეამბოხე დედის თეთრი მანდილის მხილველი შვილი უდრტვინველად როგორ აღესრულება სახრჩობელის წინაშე. მშობელი ქათქათა თავსაბურავის ამოშიშვლებით კი გასწირავს მემკვიდრეს სასიკვდილოდ, სამაგიეროდ იდეალს შეხმატებს ერის ცნობიერებას. ეს უბედურების, ტრაგედიისგან შორს მყოფი ადამიანების თვისებაა საერთოდ, რადგანაც გმირი მათ არსებობას ამკობს, ალამაზებს; ისე კი არავინ იცის მარადიული განსაცდელის წინაშე დარჩენილ პიროვნებას რანაირად უკანკალებს სული მაშინ. აბა, დავაკვირდეთ, რისთვის გაეჩქამება ბებერ მებორნეს კ. გამსახურდიას მისოუსტი?! ემუხვარმა განა ჩინებულად არ უწყის რომ ენგურზე გადასვლა ყოვლად შეუძლებელია, ბორნის გვარლი გადაწყვეტილია და მაინც შეეხმიანება. ეს შინაგანი მოთხოვნილებაა, რათა სტიქიასთან მისი შერკინება დაინახონ, აღიქვან, უგზოუკვლოდ არ გაქარწყლდეს მარადისობის წინაშე თავდადება ესე. „მე იმ გვარის ვარ, რომელმაც უკან დახევა არ იცისო“ პასუხობს ვინაობის დაზუსტებისათვის ჩაძიებულ მებორნეს თარაში და წარიტაცება კიდეც მდინარისგან. მაგრამ სხვაა აქ მთავარი: იგი ამ საქციელით გაკაწრავს თანამემამულეთა მეხსიერება უკვდავებისათვის ხვანცალში.

ო, ჯოჯოხეთია ადამიანის ფაქტურა. როცა შენი გმირობის ნატამალი საზოგადოების თვალთახედვის სიმაღლეზეა ატაცებული, იოლდება სიკვდილი. ამ პრობლემას მე ჯერ კიდევ ტრიადის პირველი წიგნიდან ვუკირკიტებ, და მომიტევონ კლერკთა.

ლაინერს უბილეთოდ დამგზავრებულ ზანგ გოგონას ორასი მოქალაქედან ერთადერთი, მაინცდამაინც ქართველი, პროფესორი იოსებ ჟორდანია დაუთმობს უსაფრთხოების შანსისმაგვარ ჟილეტს და ამით უკვდავებაში შეცურდება თავისვე ნებით, მაგრამ ცოტამ იცის, ამ პროფესორს რანაირი ცხოვრებით უსულდგმულია სიჭაბუკის ჟამს, სიჭარმაგეში.

ასევე ბერ თევდორეს მომენტი გააგმირებს, თუმცა კი მთელი საწუთრო შესაძლოა თავჩაქინდრულს ევლოს.

ხოლო გმირი ხარ მაშინ, როდესაც მთელი შეგნებული არსებობა წმინდა გიორგივით კეთილ საქმეთათვის მშვილდივით მოზიდულხარ. აქ წამიერი ამაღლება საყოველთაობის პრინციპს ექვემდებარება და ამდენად, ლოგიკური დასკვნა ეძლევა ფორე მოსულიშვილის წინააღმდეგობას ფაშიზმთან, როდესაც იტალიელი თანამებრძოლის ნაცვლად წააბიჯებს მტრისკენ, როდესაც მოსალოდნელი კატასტროფა ისედაც ნავარაუდევია და მოვლენებს, წინდახედულობით ასწრებს.

გმირი ხალხის მობოშებული სულის დასაპურებლადაა მოხმობილი ინდივიდუუმისა და მასის ქვეშეცნეული თანხმობით. გმირი მისი მოუხეშავი სხეულის ლოკომოტივია, და ამდენად — მიზანსწრაფული. ხოლო ხალხის ზურგს უკან ჩადენილი თავდადება ორმაგად და მეტწილად წარმოაჩენს პიროვნების სულიერ სიმაღლეს, თუნდაც ასეთი პიროვნება საზოგადოების თვალში მოღალატედ დარჩეს. ვინ უფრო მეტია მასისათვის, ეტალონად შერაცხული შემთხვევის რაინდი თუ უფლის სამკვიდრობლიდან გაბრწყინებული მეობა?!

ის მაინც ბრუნავსო, აიჩემებს ბრუნო და უკვდავების გვირგვინისათვის კოცონში შეაბიჯა, მაგრამ ქედი რომ მოეხარა, რა, ვითომ არ იტრიალებდა დედამიწა? ობიექტურ ჭეშმარიტებას ვერაფრით დაამუხრუჭებდა პაპის მწვალებლური გარემოცვა, მაგრამ წარბშეუხრელი სიტყვა რამდენიმე საუკუნით დააჩქარებს თეოლოგიური გონებაშეზღუდული „მეცნიერების“ ჭეშმარიტების რელსებზე გადაყვანას, თუმცა ამ სიბრძნეს ჩვენი წარმართი წინაპრები შორეულ ათასწლეულებიდან

იცნობენ; მათ მეტი სიზუსტით მოეხსენებათ ბუნების მოვლენებზე, კოსმოსზე. ამას მოწმობს რიცხვი 13-ის საიდუმლოება, მთვარის და მზის კალენდრები, ტროანის კოდექსი, ,,ცოლკინი'' — რეზონანსული მოძრაობის მატრიცა. სიტყვა შორს გაგვექცა და უმჯობესია ჩვენს სასაუბრო თემას დავუბრუნდეთ.

ფურცელაძისეული ,,მაცი ხვიტიას'' გმირი ხალხის პირმშოა, თუმცა შემოქმედის აღმაფრენის მოკოჭლების გამო მაღალ რეგისტრში აღუტაცებელი. ადრეულ წლებში ვეზიარები მას და უკვე სიყმაწვილის პერიოდში ამავე დასახელების გიორგი შენგელიასეულ ფილმს ვგონებ ოცჯერ მაინც ვიხილავ მშობლიური სოფლის კინოთეატრში, მერმეც — რამდენგზის ტელეეკრანიდან. ბედზე ამბოხებული კაცია მაცი ხვიტია, რომელიც პროვინციულ მოთხოვნებს ვერაფრით სცილდება.

იგივე ითქმის ჯავახიშვილისეულ ,,არსენა მარაბდელზე'', რომელ მონუმენტურ ტილოსაც მრავალი ლიტერატურული ძეგლი უსწრებს მესტვირულიდან მოყოლებული დრამატულით დამთავრებული. საკუთარ ქედუხრელობას ზვარაკად შეწირული ხელოვანი მართლაც ჩინებულად გვიჩვენებს ერის შვილის ტიპიურ სახეს, როგორც ამას საბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობაში იტყვიან ხოლმე, მაგრამ ,,გორა მბორგალში'' ირკვევა, რომ გიორგი კუჭატნელს საერთოდ არ მოუკლავს არსენა; ისინი თურმე განუყრელი თანამეინახენი ყოფილან, და ოძელაშვილის მწერლისეული აღსასრული თითიდან გამოწოვილი რეალობაა. ვიღაცის ცხედრიდან წამომდგარა თურქეთში გახიზნული მარაბდელის საყოველთაო დიდება. რა? არ არის ამისთანა ვერსია დასაშვები? საპნის ბუშტივით გამსკდარა გმირობის შარავანდედით მოსილი მაცდურობა.

კონსტანტინე გამსახურდიას გმირები, რომლებმაც უკანდახევა არ იციან, სინამდვილეში ჩვეულებრივი ადამიანები გახლავან თავიანი ,,არათი'' და ,,ხოთი''. ,,მთვარის მოტაცებას'' შტუდირების წლებში ორგზის წავიკითხავ და ბოლოს — მესამედ ტრიადის მეორე წიგნის დასრულების შემდეგ. სასიხარულოა, ჟამის გარდახდომის კვალად, როცა წიდაში დახანებულ ოქროს მსგავსად შენს კუმირ მწერალს არაფერი აკლდება, პირიქით, ემატება და ემატება ელვარება. ბატონი კონსტანტინეს შემოქმედების უმთავრეს ღირსებად მავანს პოეტური ენა მიუჩნევია, რაც, ცხადია, მხოლოდ საშუალებაა უფრო გრანდიოზული, უფრო გლობალური ვნებათაღელვის დასატყვევებლად. სიამაყით ამავსებს ამ უნიკალური პიროვნების ერუდიცია, რომლისთვის ადრეულ წლებში თვალი არ მიმიდევნებია უმწიფრობის გამო. არადა, რაოდენია მისოუსტის — თარაშ ემუხვარის სპლინის, იპოქონდრიის მკვებავი სიცარიელე?! რა მასშტაბურია პიროვნების გამსრესავი მარტოობის, მელანქოლიის სიმძიმე?! ცოდნოდა ბატონ კონსტანტინეს ,,ცნობიერების ნაკადის'' თაობაზე რამე, იგი უკეთ დააქანდაკებდა მედალიონის ორი მხარის — ალჩუ და თოხანი გმირის — თარაშ-არზაყანის კონფლიქტს, და თავად ფროიდის მოძღვრებას დასესხებული მოშურნეობის ლიტერატურაში გაცხადებას, რომელიც ბოლოჟამინდელ გამოცემაში პირველყოფილი სტილისტიკითაა მოწოდებული.

,,დიდოსტატის'' ავტორის ჩინებულ მკვლევარს, ბატონ სოსო სიგუას, დიდებულად მოეხმენება საანალიზო სივრცის ავან-ჩავანი, მაგრამ სად უფრო იწრფელა ხელოვანმა, როდის დაუსვა წერტილი საბოლოოდ ნაწარმოებს, თავდაპირველ ვარიანტსა, თუ პარტიული ზეწოლით კორექტივების შემდეგ?! 1975 წლამდე ბატონ კონსტანტინეს არაერთი საშუალება გააჩნია თავად განსაზღვროს ტექსტის უმთავრესობა. მამის მოკვდინება არზაყანისგან უკუგდებული გახლავთ კინოფილმში, რომელიც მისი უშუალო მეთვალყურეობით დაეკრანდა.

არც ჩვენ გვიძევს თვალები და ყურები ჯიბეში, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ავტორი არ იკმარებს საკუთარი სულის მედროშე მისოუსტს და მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად გაარეალურებს, გაანამდვილებს, როდესაც მესამე კარში თვითონ მოგვევლინება მოვლენათა ეპიცენტრში ქორა მახვშისკენ წითური ჯოკიას ხვანჯებით დაძრული.

რომელ არქივში ვეძებოთ ახლა არზაყან ზვამბაიას და თარაშ ემუხვარის რეალურობის დამადასტურებელი ჩანაწერები, მათი მეტრიკები, არადა, მწერალს სურს დოკუმენტურობა მიანიჭოს თავის გმირებს. ამის გამო მისთვის არავის უკიჟინია: როგორ, შენ ნაღდ ადამიანებზე წერ, თანამედროვე ადამიანებზე და სად არის აქ გამონაგონის, ტიპიურის აუცილებლობაო.

,,დათა თუთაშხიას'' შემოქმედი კი შურიანი მითქმა-მოთქმის კვალდაკვალ თავგადაკლული იწვევს წარსულიდან გმირის დამაპურებელ პროტოტიპებს, შელიები არიან ესენი, ფინთურიები თუ სხვანი; ყველაფერს ღონობენ, რათა სატელევიზიო გადაცემაში ფართო საზოგადოებას წარმოუდგინონ თუთაშხიას თანამედროვე მხცოვანი ხალხი. ჩემთვის ნიშანდობლივი უფრო ის გახლავთ, რომ სამეგრელოს ზღვისპირა ზოლში ფოთიდან მოყოლებული კელასურამდე არათუ ფრიალო კლდეს, გორაკსაც ვერსად იხილავთ, საიდანაც კაცს ბობოქარ ზღვაში გადაშვება და საკუთარი სიცოცხლის ამ გზით ხელყოფა შეეძლოს. რა ხდება?! ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმა ნაკლებად უწყის დასავლეთ საქართველოს

რელიეფი თუ სამოქმედო სივრცის მონტაჟის ამბავია?! მაგრამ განა ამისთანა მეთოდებს სხვები არ მიმართავენ?! ვინ შეიქმნის იოკნაპატოფას, მაკონდოს, სატანჯოს?! ან დამარწმუნებს ვინმე, რომ თუთაშხიას პროტოტიპი თუნდაც თხუთმეტი-ოცი პროცენტით შეესაბამება ლიტერატურულ გმირს? ამისთანა ზრახვა ინფანტილურია. იგივე ხდება ჩემთანაც.

როკი ოდიშელიას მკვებავი ბატარეა ნახსენები შეფარდებითღა თუ შეესაბამდება მწერლისეულს, მაგრამ რადგანაც პროტაგონისტი ფეხით მოსიარულე რეალობაა, ყველასათვის თვალწინმდებარე, ხელმოცარულ კლერკებს იგი გმირის მასალად არ ემეტებათ.

შენ გააიდაალე ლამის აქა-იქ წანაფორთხილები პიროვნებაო. რა გადაგიხადა ისეთი, რითი მოისყიდა შენი სულიო.

ეხ, ჩემო ბედშავნო, გულში ბოღმას არ ჩავიხვევ, ვინაიდან უფალმა გაანთავისეფლა იგი ქვენა ბიწიერებათაგან და გეტყვით ფორმულასათით, რომელიც თქვენი გამოღვიძების დილას უნდა ამოვუცისკროვნო მზის შეხედვამდე: არა ცილი სწამოთ-მეთქი, ვინაიდან ამისთანა ხალხს უფალი ჯოჯოხეთის მდუღარეაში მოისვრის ხოლმე მეცხრე მცნების შესატყვისად, და არცა შური გიღადრავდეთ გულგვამს, რომელიც ბოროტებაი არს მოყვასისა კეთილსა ზედა სულმნათი სულხან-საბას სწავლებისამებრ. ხოდა, სანამ ტრიადის მეორე წიგნის კარიბჭეს შემოგთავაზებდეთ, ერთხელაც მიგითითებთ „სიცოცხლემისჯილებისკენ“: კანონიერი ქურდების კლანჭებში ჩავარდნილ მთავარ გმირს სწორედ რომ როკი ოდიშელიას სიტყვა სულზე მოუსწრებს წულუკიძის მეოთხე ზონიდან;

მაშინ ყურთბალიშზე იწვა ჩემი გამქირდავი, თუმცა რომანს დროულად ვუსახსოვრებ. ან რატომ არ მისაყვედურებს ბედნიერი, ჟინი ანთარის პროტოტიპად სოფელ ოდიშის მკვიდრს, ჭურიაში ჩამკვიდრებულ მეტყევე-ტყაჩუ იროდი სართანიას რომ შევრაცხ; მხოლოდ და მხოლოდ არსენიევ-კუროსავას დარსუ უზალას ბადალი რომაა, გულთმისანი, მენცარკოჩი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ღვთიურობას წაპოტინებული, ევროპაში განსწავლული გენია, ევგენისტიკის მოშველიებით სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი ვაჟიშვილის მომავლინებელი ქვეყნიერებისათვის?! გაგონილა პროტოტიპების არჩევანის გამო ქოქოლა დააყარო მწერალს?! აბა, საიდან არიან „ბუდენბროკების“ გმირები თუ არა თომას მანის ოჯახური გარემოდან, რომელსაც ვერც ტომას ვულფი გასცდება. დავიჯერო ზნეობრიობას განასახიერებენ ერთნიცა და მეორენიც?!

მწერალი პასუხს აგებს ლიტერატურული გმირის მიხედვით და არა მისი შემავსებელი წყაროების წილ. მაგრამ ვიგრძნობ: სიტყვა სადავეს წამართმევს და ვინძლო თქვენი გულისყურიც დავკარგო, დაგვიანებით ვიმდუმარებ ბაგეს შეპირებული წინათქმის სასარგებლოდამ მონაკვეთის უკეთ დასათაურება გამიძნელდა. დიახაც წერის მანერა ქმნის ბელეტრისტს: მოშაირეს თუ მერომანეს და რადგანაც არისტოტელეს მიხედვით სტილი ორბოლოიანი ჯოხია, რომლის ერთი წვერო დაფაზე განცდათა აღნუსხვის მატარებელია, ხოლო მეორე — წაშლის საშუალება, იტყვის სტაგირელი ხანდახან: სტილი შეაბრუნაო, ანუ დახვეწე ტექსტიო, და რამდენადაც ნატრიალებია სტილი, ანუ რამდენადაც გაკეთილშობილებულია მასალა, ნაწარმოებიც იმდენად გამობრწყინდება ხოლმე.

ამ პროცესს ხორაციუსი უფრო ხატოვნად თხზულების ათი წლით ხარის ტყავში გახვევას მიუსადაგებს, რათა ასოცი თვის შემდეგ ავტორმა რაღაც მანქანებით აღმოაჩინოს განჯინის უჯრაში მტვერმოკიდებული ნაშრომი და უცხო თვალით, სხვის ქმნილებასავით აღიქვას ოდესღაც საკუთარი წიაღიდან გამოსული წვა-მდუღარება.

სტილის შებრუნება, „ბურუსის“ ავტორისებურად თუ მოვუქცევთ ენას და რიმანების დაწდევების საშუალებაა, მაშინ გური ოტობაიას გაუბუქებლად შეიძლება ვუწოდოთ საკუთარი თავის მტერი და დამაქცევარი რიმანელი, ვინაიდან ტრიადის ნაცოდვილარი პირველი წიგნი მას 34-ჯერ გადაუწერია და გადაუბეჭდავს ამავდროულად საშა ეგუტიას ნაჩუქარი „ერიკათი“.

ინდივიდუალური ძალისხმევით უკორექტორებია ორჯერ ათ წელიწადს ხარის ტყავში გამოკრული თუ ვერა, კომპიუტერის ტალანებში შეგზავნილი თხზულება და მხოლოდ მერმე, ისიც ნოესავით მოვლენილი დიმიტრი გულისაშვილის მეშვეობით ღირსებია ბაძგი-ლენცოფისაგან გამოხშირვა, გამოსარეველება ისე რომ, ქრისტეს შემოდგომას არ დალოდებია, სადაც ღვარძლს თუ იფქლს დათავთავების შემდეგ განაცალკევებენ ხოლმე ერთიმეორესაგან, თანამდევი ბუნების გათვალისწინებით.

და ოდეს გური ოტობაია ხმას იმაღლებს სტილისტურ ცდომილებებზე ამ სამკალში, ეს უწინარესად საკუთარ შემოქმედებას შეეხება. — „სიცოცხლემისჯილების“ პირველ-მეორე წიგნებს და არავითარ შემთხვევაში დასახელებული თხზულების მკითხველთან მესამე შეხვედრას — ტრიადის შემკონავ „ოდოიას“.

აქედან გამომდინარე მელნის ხალხი რაიმე ახირებულობად, ან იაფფასიან „შურისძიებად“ რისთვის ჩამომართმევს ძმის თვალში ბეწვის შემჩნევას, ვინაიდან ჯერ გური ოტობაიას მხედვე-

ლობასაა გამოცლილი დირე და აწი, ვფიქრობ, რაიმე კერძო ინტერესით არაფრით შეიმწიკვლება მუშაკობა ესე.

ვერ ისწავლა მესხიამ წერა, ვერა, ვერაო, შენიშნავს ორბელიანი მამებისა და შვილების ერგასწლიან ომში, მაგრამ უფრო სავალალო სურათი დღევანდელ ჩვენს ბელეტრისტიკაში ყვანთალებს:

ორსაუკუნოვანი რუსული უღელი ქედზე გაჩენილ კოჟრების გვერდით უამრავ ბარბარიზმს და ფრაზის მათებურად მოქნევის ჩვევას გამოგვიმუშავა. ეს აშკარად თვალშისაცემია ყვითელი თუ ოფიციოზის მოთნე პრესის ზერელე გადათვალიერების დროსაც კი. იგივე ამაზრზენობაა ტელეეკრანიდანაც. ჩვენი საეთერო მასმედიის ყბადაღებულობა ამისი ცოცხალი ნიმუშია რადიომაუწყებლობის კომერციულ-ესტრადული ყბედობის მხარდამხარ. ორსაუკუნოვანი რუსიფიკატორული პოლიტიკა უთვალავ ცთომილ ენობრივ პოზიციას დალექავს ჩვენს მეტყველებაში, რომელიც პატროფილიის თვალთახედვით დიახაც მოითხოვს მიზანმიმართულ, განუხრელ გასწორებას, არა ნაჯახის პოლიტიკით მოსხეპილის და ქირქილ-სისინით გაწაწანებულს, არამედ აღმსარებლობით გამაჯისყურადებულს დასტაქრის კვალობაზე, რამეთუ საქმე შეეხება, ჩვენს ენას, მის მარადუკვდავ სხეულს, სამარის, პირსაც ვერდასათმობს. ჩრდილოური ვერბალური მუტაციები განსაკუთრებით ქართულ მორფოლოგიას დააჩნდება წარუშლელ დამღად, ვინემ ფონეტიკას და სინტაქსს.

ვკითხულობ ჩვენს კლასიკოსებს — კლდიაშვილს, ჯავახიშვილს, გამსახურდიას, ქიაჩელს, სხვათა და გული სიმწრისგან მეწურება:

ამ მართლაც და გიგანტ ხელოვან ხალხს ნუთუ არასდროს დასჭირვებია ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში ჩახედვა- მეთქი, მიკვნესის სული.

ერთგან დიდი კონსტანტინე, გრამატიკოსებს დაუცაცხანებს მათი დაუსრულებელი წკავწკაკის გამო ქართულის სიწმინდისათვის:

— ეგრე რომ იყოს, მაშინ შანიძეები ყველაზე დიდი მწერლები იქნებოდნენო, მაგრამ მიმაჩნია, ეგ უბალავრო არგუმენტია. როგორც ზემორე აღმინიშნავს, ძირითადი ცდომილება დაახლოებით ოცდაათიოდე სიტყვის უმართებულო გამოყენების ბუნებისაა და კიდევ რამდენიმე მანკიერი ათეული ფრაზეოლოგია-გამოთქმისა, რისი ამპუტაცია ჩვენს მწერლობას მსწრაფლ გაანთავისუფლებს რუსიციზმების სიმსივნეთაგან.

აწგარდაცვლილი ხელოვანთა ნათელმეობა ზეცაში ტრიალებს და ერის ფსიქიკას ჩაშენებია ქვათა და კირთა; ხოდა, მათი თხზულებების გამართვას ამიერიდან აღარაფერი ეშველება. მეც ხომ იგივეს ვეხმიანები მკითხველს ნაწარმოების ტრიუმფალური თაღიდანვე:

„ჩემი თხზულებების საბოლოო იერსახეს მხოლოდ და მხოლოდ მათი ავტორის სტილის ტალღებთან შეთამაშებაღა თუ დააზუსტებს“ ანუ სიკვდილამდე უფლებას ვიტოვებ, ბევრი რამ შევცვალო ჩემს რიმანებში, სტილისტურ-ფრაზეოლოგიური მიმართულებით - მეთქი.

ამ ლმობიერებით ოდეს მივუბრუნდები გულიდან ხორცად გამონატან განწყობილებებს, მეიმედება, ზოილობად არ ჩამომერთმევა მეცადინეობა ესე; არავინ შემომკადრებს უმეცრის სირეგვნით: შეხედეთ, ერთი, ამ ბედოვლათს, თავადაც იგივე შეცდომები მოსვლია, ქაჩალი სიმელოტეს როგორ გვწამებსო, მაგრამ ხმა თუ ამიმაღლებია, შეგირდო, ჩემო, უფრორე შენთვის და შენისთანებისათვის, წინამორმედთა გამოცდილების მოშველიებით.

ხოდა, რადგანაც დარწმუნებული ვარ მარადისში გადაბრძანებამდე ერთხელაც მიუბრუნდებიან ჩემი კოლეგები თავიანთ შემოქმედებას, ერთხელაც შეატრიალებენ სტილს, ერთხელაც დაწდევებენ ქვევრიდან ქვევრში ათგზის გადანატან ღვინოს, ქანააქინის აუცილებლობით განმიცხადებია: მსგავს ქირურგიულ ჩარევებს საჭიროებს ოთარ ჩხეიძის „არტისტული გადატრიალება“, ოთარ ჭილაძის „აველუმი“, გივი ალხაზიშვილის „ამოდის თუ ჩადის მზე“, მიხო მოსულიშვილის „უქამო ქამის რაინდი“, (აკა მორჩილაძის „გადაფრენა მადათოვზე და უკან“) თუ სხვა ნებისმიერი, რადგანაც ყველაზე შთამბეჭდავის მაგალითზე შეგპირებივართ ანალიზს, მეუმჯობესება, ისევ დიდი ამირეჯების შემოქმედებით დავუტრიალდეთ საქმეს.

„დათა თუთაშხიასა“ და „გორა მბორგალის“ სტილისტური ანალიზით, ჯერ ერთი, ზედმიწევნით გამოიკვეთება ამ მართლაც თვითმყოფადი ორი თხზულების ერთავტორობა; ამასთან, ისიც მეგულისხმიერება, რომ ბატონ ნოდარ წულეისკირის სიჯიუტით არ ამიხირდებიან, ვინაიდან სამართლიანი შენიშვნის აღიარება გენიოსთა ხვედრია, ხოლო მართებული მითითების გამო ტლინკების ყრა—ტალანტების ძალისხმევის იდენტური:

არასდროს დამავიწყდება — სამ-ოთხგვერდიანი გამოხმაურება ამ ფრიად რაფინირებული მწერლის ნოველაზე „სისა ტურა“. ყურადღებამოდუნებული მკითხველის მისამართით ვაკონკრეტებ: იმ ნაწარმოების მიხედვით ახალგაზრდა დედას შვილი გარდაეცვლება, პატარა ბონდო. ქალიშვილი

თავისნათქვამაა, მშობლებისათვის არასასურველ პიროვნებას გახყოლია ცოლად, რომელიც მალე „დიდ სამამულო ომში“ გაუწვევიათ და დაღუპულა კიდეც. ცეროდენა ბონდოსაც ლაჟვარისკენ გაუტოპავს, ანკარა სულს წახყოლია ვარდისფერი სხეულის ჟღურტულით; თუმცა დედა ძველებურად აკვანში არწევს პირმშოს, ეთამაშება, ჩვრებში ახვევს და ანანავებს. ხვალ გასვენების დღეა. მეტის დახანება არ შეიძლება. ამ მოლოდინით მშობელი მთვარიანში გადატოპავს სარწეველადან ამოარტახებული მემკვიდრითურთ. წაეხეტება სერი-სერ, კორდი-კორდ, ტყე-ტყე.

ბულბულების სტვენაში, ჩიტების ჟრუალში, ბუნების გასაოცარ ბაბანში მოწოლილი რძისაგან ძუძუები დაბერვია დედას. უცებ რაღაცნაირი ინსტინქტი უბიძგებს მშობელს, ბავშვს ტუჩებს ძალად დააღებინებს, პირში ჩაუჩრის გარუმბებულ კერტისთავს და ანგელოზს უსიცოცხლო წიაღში ჩაუღვარის მაცოცხლებელ ნექტრად. რამდენიმე მუშაკობაც და პატარა ბონდოიაც თვალს აახელს.

აი, სად მოვითხოვდი წერტილს მწერლისაგან. აი, სად აჯობებს ღუზის ჩაშვება-მეთქი, ყელს გამოვუწევდი ორი თითით ჯერ სტუდენტი, ჯერ სამწერლო ასპარეზისთვის უმწიფარი. შემპირდება, დავითანხმებს თითქოს, მაგრამ მორიგ გამოცემაში აღარაფერს გაითვალისწინებს ბატონი ნოდარ წულეისკირი, და ახლაც ძველებული ვარიანტით შინისკენ მიიჩქარის შვილის გაცოცხლებით გახარებული ჯურგუს ცირა; ახლაც გადარეული დარბის ოდა-სახლის ტალანებში ბედნიერი დედა, დიდსა და პატარას აუწყებს ბონდო ბიჭის ხელმეორედ სულისდგმას. ჭკუიდან გადაცდენას სწამებენ. მისი მონათხრობის არავის სჯერა, მაგრამ ფაქტი ყველაზე მძაფრი სამხილი საბუთია და ირწმუნებენ როგორღაც სრული კვირის მანძილზე დანატირები ჩვილის ხელმეორედ მოვლინებას ცოდვილ ცისქვეშეთში.

რანაირი ფინალი შეგვიძენია?! სად აჯობებს თხრობის აღვირის დამოკლება? ნუთუ იოტისოდენად სცოდავს მწერლობისაკენ ახალფეხადგმული გულადი ფეტელავა? ამგვარი სიჯიუტით თუკი განგვიზრახავს გასირაქლემება, კეთილი, მიაყურადონ უბირთა ქვიშროვანების შრიალს, ჩვენ კი დიადი ნაწარმოებების უკეთ გამართვისათვის ვიმუშაკოთ, შეგირდო! ხომ მისწავლებია: ვინც რა უნდა თქვას, წისქვილმა კი ფქვას-მეთქი?! ან ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის, წყალი რბის და დრო ქროლავს, ხოდა, ვიაროთ თავაწეულად ლიტერატურული წელგამართულობისაკენ!

* * *

ყველაზე მიმღები, ყველაზე მიმტევებელი ამ მეცადინეობაში ვინაიდან და რადგანაც ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი წარმომისახავს, განსაკუთრებით მისი თხზულებების თვალსაჩინოებით გავმართავთ მსჯელობას, ხოლო შინაარსობრივად, მიზანდასახულობით, ანუ მწერლისმიერი ჭირნახულით, რაფერ, რანაირად და რამდენად აღმიქვამს მეოცე საუკუნის მიწურულის ქართული ბელეტრისტიკის, ეს ორი იშვიათი მონაპოვარი მკითხველის სათანადო მოცალეობისათვის მიგვინდვია.

მაშ, ასე, ვიწყებთ „დათა თუთაშხიასა“ და „გორა მბორგალის“ მიხედვით სტილისტური ლაფსუსების დაფიქსირებას, გვერდების მითითებით, ვინაიდან ოპონენტი ოტობაია დარწმუნებულია, შემდგომ გამოცემებში ეს მხცოვანი — „ხმელი კოპიტი“უფროს კალანდიასბურად, ერთხელაც მიათვალყურადებს სტილის გადაბრუნებას; ერთხელაც დაეღირება ზადისა და ხიჭვის ჩამოშორებას ოსტატის მიუკერძოებელი სწორ-მრუდის შალაშინით; დანარჩენ მწერალთათვის კი პრინციპი ერთერთი სამამულო ანდაზის კვალობაზეა:

კოკას ეუბნებოდნენ და ლიტრავ შენ გესმოდესო.

ყველაზე მეტი ხერგი ჩვენს მწერლობაში ორმაგი უარყოფის წყალობაა. ორმაგი უარყოფა რუსოფილიის მანკიერი მემკვიდრეობაა, ჩვენი მეტყველებისათვის ტრადიციულად არაბუნებრივი, მაგრამ დროთა ვითარებაში ყურს მორგებული, ლამის მართებულად მიჩნეული და უკვე სიტყვაკაზმულობაში სწორ მიმართულებად გაფორმებული.

ეს ტრადიცია მეგრელიზმებით შემოღწეულა ჩვენს ცნობიერებაში. მეგრელი იტყვის: „დღას ვამალინე“, „მუთუნით ვამალინე“, „დღას ვარ მალინე.“ „მუთუნით ვარ მალინე“. „ვარ მალინე“ — „ვერ წავალში“, უარყოფითი მაჩვენებელი ნაწილაკი, „ვა“, „ვერ“, შემდგომში „არა“, შეზრდილივითაა, ერთსხეულიანობის ილუზიას ტოვებს, სინამდვილეში ბარბარიზმია.

„ნიკაგდა ნე პაედუ“-ო, ამბობს რუსი და ლიტერატურაში ჭიპმოჭრილი ქართველიც ბრმად მიხყვება უცხო თესლის მეტყველებას. ეს ხომ თვალზე გადაკრული საუკუნოვანი ლიბრია, რომლის კორექცია ხელის ერთი მოსმითაა შესაძლებელი, ძალისხმევა იკითხე თორემ. ჩვენი მწერლები ამჟამად, ამ მიმართებით, გარდამავალ პერიოდში იმყოფებიან, ვინაიდან მართებული ფორმების გვერდით, თანაარსებობს უამრავი ცდომილება, თუმცა რედაქტორებად თითქოსდა წიგნიერი ხალხი

უვით:

1. „მაგრამ აქეთ დათას კრიჭა რომ ვერ გაუხსნა ვერაფერმა“ □24), ამ კონტექსტში „ვერ“ ზედმეტია და ამოსაგდები. გასწორების შემთხვევაში წინადადება შემდეგ სახეს მიიღებს; „მაგრამ აქეთ დათას კრიჭა რომ ვერაფერმა გაუხსნა“. ყველაზე მეტი გარანდვები ამ კუთხითაა საჭირო. რედაქტორს, ესთეტს, ბატონ რევაზ თვარაძეს თავად გაპარვია მსგავსი ლაფსუსი ჩინებული წიაღსველების ბოლოსიტყვაობაში „ბედი საღმრთო რაინდისა“, თანაც ოთხგზის. აქედან გამომდინარე — ფორმები, „ვერასგზით ვერ იქნებოდა“, „არასგზით არ მოხდებოდა“, „არსად არ არის მინიშნებული“, „ვერასგზით ვერ ეგუება“, მისახვედრებელია, რომ მარათონული ეპიკური ტილოს კონტროლისას მასაც გაპარვოდა მსგავსი წაბორძიკებანი.

არ დავიზარებთ გულისყურს ამ იშვიათი ფასეულობების რომანის გასაკეთილშობილებლად და სხვა მაგალითების ამონარიდებით წერილი რომ არ გაგვიზვირთდეს, უბრალოდ ნაწარმოების გვერდებს მივუთითებთ, თანაც დავსძენ, წინდებული გამოცემა ეკუთვნის „თეთრი გიორგის“ გრიფს, სიღნაღი, 1997 წელი.

„თუთაშხიამ ვერც ერთი საფარი ვერ შენიშნა“ 16, 20-3, ამ შემთხვევაში მივანიშნებ, რომ ორმაგი უარყოფა მეთექვსმეტე გვერდზე ერთგან და მეოცე გვერდზე სამ ადგილას არის გასასწორებელი- მეთქი.

„ვერ გავიგე ვერაფრით“ 21; „აღარ აყვა აღარავის“ 22-3, 23-3, 24-3, 25 26-2, 27, 29-2, 30, 44, 49, 50, 51, 53, 54, 55, 57-4, 58-2, 59-2, 60, 61; „მარა ვერ დავაჯერე ვერავინ“ — 63-3, 64; „არაფერი არ გამოვიდა“ — 65, „არაფერი არ ვიცი მე“, 66. რა ვუყოთ ლამის ფორმულასავით ქცეულ ამდაგვარ მიდგომას? „არავის საქმეში არ ვერევი მე?“ „ფიცი დამიდვია, აღარ ჩავერევი აღარავის საქმეში“— 67.

კი, ბატონო, ჩემთვის გასაგებია გმირის კოლორიტის შენარჩუნება:ხანდახან უმართებულო გამოთქმა დასაშვებია მეტი სიზუსტისათვის, მაგრამ მთელს რომანს მსგავსი ინტონაციით თუკი გავძეძგავთ, ვის გადავაბაროთ ენის სიწმინდის მეციხოვნობა?

შეგვიძლია თავი ვიმართლოთ:

რომანი ეპისტოლარულია და ამიტომაც ორმაგ უარყოფებს მე ნუ მომაწერთ, მწერალს, არამედ ჩემს გმირებს მოსთხოვეთ პასუხიო, თუმცა მსგავსი მიმართება ფონს ვერ გაგვიყვანს. ქართული ენის სიწმინდე ყველგან და ყოველთვის მოითხოვს ცდომილის გასწორებას. პროკრუსტეს სარეცელის მიმდევრობას ნურავინ დაგვწამებს. აქ ხომ შემეძლო ამგვარადაც დამეწერა: „ნურვინ ნუ დამწამებს-მეთქი“, მართებული იქნებოდა?

ამიტომაც „არავითარი ენთუზიაზმი არ გამოუჩენია“, 70; სტილისტური ცდომილებაა, თუმცა ეს ფრაზა გრაფი სეგედისგან მომდინარეობს, მეფის ტახტის გულმხურვალე მცველი გენერლისაგან, ამავდროულად „რუსისგან“, მაგრამ როდესაც იგი ქართულად საუბრობს გამოთქმა ჩვენი ერისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს, ან უკიდურეს შემთხვევაში რუსულად აგვემეტყველებინა, სხვა ამბავია.

იგივე რანგისაა „არასგზით არ დაგვეშვა ლიტერატურის გავრცელება“, 75; „რომ ვერავითარ გარიგებაზე ვერ წამოვალ, არავითარ კომპრომისს არ დავუშვებ“, 76; „ვერასგზით ვერ მოხერხდება“, „ვერცერთნაირი შედეგი ვერ მოგვცემს ხელს“, 77; „არავის კომპრომეტაციას არ შევუდგებით“,79; „ხმა კაი ხანს ვერც ერთმა ვერ ამოიღო“, 86-2; 87;

„თითქმის არავითარი ცვლილება არ მომხდარიყო“, 84;

„არავინ არ მოვიდა“ 88; მართებულია „აღარავინ მოვიდა“.

„წყლის მეტი არ უნდა მივცეთ არაფერი“, ესეც დიალოგშია. ამავდროულად ცთომილი ფორმით. რა ვიღონოთ, ჩვენებური მეთოდით ხელოვნური გამოგვდის. დავამკვიდროთ ცდომილი ორმაგი უარყოფა?!

„რომ ამბობდი ამ ფარაონის შიშით სათოფეზე ვერ გაივლის ვერც ერთიო“, 90;

ხომ შეიძლება ასეთნაირადაც ითქვას: ფარაონის შიშით ვერცერთი გაივლისო?

„იმ გზით აქედან არაფრის წამღები რომ არა ხარ, რატომ არ ფიქრობ ამაზე?“ 92-2;

„არ უკითხავს არაფერი“, 94; არაფერი უკითხავს;

„ვერც ერთ ცხოველს ვერ შევნიშე“, „არაფერი არ მომხდარა ისეთი“, 98; ისეთი არაფერი მომხდარა. 99-3; „ადვილად ვერ მიხვდებოდა ვერაკაცი“— 100, ადვილად ვერაკაცი მიხვდებოდა;

„პაემანის ბოლომდე ცხვირს ვერ გავყოფდით საფარიდან ვერც ერთი“, 104-105 . „ჭონიას არავითარი წიანალმდეგობა არ გაუწევია, 106, 108-2;

„არავის და არასოდეს არ ვემხრობი მე“, 111;“ აღარც ერთი აღარაა ადამიანი მაგათში“? „არასო-

დეს არ უნდა ჩაერიოს კაცი სხვის ბედ-იღბალში"; 112;

„მაგას ვერ გავიგებთ ვერასდროს"; მაგას ვერასდროს გავიგებთ;

„ხომ ხედავ, ვერ გამექცევი ვერსაით". ხომ ხედავ ვერსაით გამექცევი!" 113;

648;

ჩემთვის გასაგებია „მბორგალის" შინაგანი მონოლოგის სტილისტიკას რომელი მივიწყებული ნაწარმოები დასაფუძვლებია, მაგრამ ვინაიდან გაცხადება მეუხერხულება, შედარებით უწყინარ განჩხრეკვას მივსდიოთ.

„მბორგალი" სამგზის ნაკლებ ცდომილებას მოიცავს „თუთაშხიასთან" შედარებით, ორმაგი უარყოფის თვალსაზრისით. ეს ყველაფერი რედაქტირების თუ გამოთქმათა მართებულობის ხარჯზეა, თორემ თავად მსგავსი კონსტრუქციის წინადადებები ორივე რომანში დაახლოებით თანაბარი ოდენობითაა.

2. მეორე მთავარი სტილისტური ცდომილება რიცხვითი სახელის უმართებულო წარმოებაა, რომელიც ორივე ნაწარმოებში სათანადო დოზითაა წარმოდგენილი, მაგრამ ცდომილებების გვერდით მოიძიება მართებული ფორმებიც. ასეთი რიცხვითი სახელი გახლავთ „ორთავე", „სამთავე", „ოთხთავე";

„ორთავეს რაღაცა გვჭირდებოდა" — ორივეს რაღაცა გვჭირდებოდა 11..

„აქეთ ორთავე ტყუპები ვისხედით", 31;

„ორთავე ძმა წამოვედით", 30;

„ორთავე ჯიბიდან ფულები ამოიღო", 33;

„სამთავემ წიგნებში წაყვეს ცხვირები", „კალთაში სამთავეს ერთნაირი, შუაზე გაკეცილი წიგნები ედოთ და თვლემდნენ, 40;

„ორნი იყვნენ, ორთავე ქვეითები", 119;

„ნაბდები სამთავეს სკამების საზურგეებზე გადაეფინა", 122-I; 123-2; 128;

„ორთავემ მაუზერები მოიმარჯვეს", 133; 156;

„ორთავეს გაგვეცინა", 172;

„ჩვენ ორთავე განაბული შევცქეროდით, ორთავეს ღიმილი გვითამაშებდა სახეზე", 175; 180;

„ორთავენი ბაცაცები იყვნენ, ეხლა ორთავენი ავაზაკები არიან..." 287;

„ერთნაირად ჩადის ოთხთავეში", 286; 289; 305; 320;

„თუთაშხიას ორთავ ხელებში მაუზერები ეჭირა", აქ მცდარია ფორმა „ორთავ", წესით უნდა იყოს ორივ, და თან ცდომილებაა მრავლობითის შეთანხმებაში, უნდა იყოს ორივ ხელში, 327;

„ორთავემ ერთად დაუწყეს", 329; იგივე ცდომილებაა, უნდა იყოს ორივემ ერთად დაუწყო, 357;

„სამთავენი ერთად წავიდნენ", 390; სამივე ერთად წავიდა;

„თავისას და დაახლოებით ორთავე", 401; 403;

„შემდეგ ორთავენი დემბინს ვესტუმრეთ", 437; 438; 445;

„ახლა გალავნის სამთავე კედელთან მიიტანეს იერიში", 451; 452;

„ორივემ ერთდროულად ისკუპა"; „ორთავეს ყველა ადგილიდან წყალი სდიოდა", 461; 478; 499;

„თავლია ქისა ორთავ ხელებით ეჭირა ბონიას", ორივე ხელით, 525;

„ორთავე ხელი საფეთქელებში ატაცებინა", აქ ისევ დროის უთანხმოებაა. 529;

ახლა შევხედოთ „გორა მგორგალს":

„ჩლიქების კვალი ორთავე მიმართულებით იდო", 93;

„საკვებიც ორთავეს გეყოფათ". 97; 105; 126;

„ორთავე შვინდა და ნიშა", 128; 138; 145;

„ორთავეს ხელი ჩამოგვართვა"; 181;

„ორთავე დაიჭირეს", 323;

„ორთავე სამსახურში იყვნენ" — ორივე სამსახურში იყო, 331.

„ორითავენი სპორტსმენები ვიყავით", ორივე სპორტსმენი ვიყავით, 356; 392; 398;

„ორთავენი ბლუ აღმოჩნდნენ" — ორივე ბლუ აღმოჩნდა, 417; 419; 445;

„სამთავემ იმუშავა", 454;

„ვადას სამთავე ერთად ვიხდიდით", 527; 541;

„ჭკუაზე ორთავენი გადაცდნენ", „ორთავეს ფეხები გაეფშიკათო" — ჭკუაზე ორივე გადაცდა, ორივეს ფეხები გაეფშიკა, 617;

ვფიქრობთ „დათა თუთაშხიას" აქაც მისდევს „გორა მბორგალი".

3. ქართულ მწერლობაში შეცდომითაა დანერგილი ფასეულობასთან დაკავშირებული მცნება.

რუსული „ცენნოსტ“ ჩვენმა ბელეტრისტიკამ „ღირებულებად“ მოათარგმნა, ღირებულება კი ნივთის გასაყიდი კრიტერიუმია.

ამ ბოლოდროს შეინიშნება ეკონომიკურ ლიტერატურაში მსგავსი ლაფსუსის გასწორება და სადაც თვისებრიობაზეა საუბარი, ყველგან ფასეულობა წერია, ხოლო სადაც მატერიალურ მხარეზე, ფასთან დაკავშირებულ მომენტებზე — ღირებულება. მწერლობაში კი ეს ხარვეზი რატომღაც დღემდე ვერაფრით გამოსწორებულა.

„თუთაშხია“: „ადამიანის ნამოქმედარის ღირებულება მისი ზნეობრივი ღირებულებებით განისაზღვრება“. 9;

რომ არაფერი ვთქვათ ტავტოლოგიაზე, ეს მომენტი ყველგან გასწორებას მოითხოვს.

„სხვა სახის ღირებულებათა შეძენაში რატომ უნდა ვეხმარებოდეთ? “ — სხვა სახის ფასეულობათა... 166;

„აქ მოხდა პირველი გარდატეხა ჩემს აზროვნებასა და სულიერ ღირებულებათა მიმართ დამოკიდებულებაში“, 259;

„... მართალია, ერთობ დაბალი, მაგრამ მაინც მდგრადი ღირებულების, ანუ სახნოვის მხარი დამეჭირა,“ 318;

„რომ არ გამოდის, მაშინ ის უნდა აკეთოს კაცმა იმ ორში, რომელი უფრო ღირებულია“, ამას ახლა დათა თუთაშხია ამბობს და არა გრაფი სეგედი, 343.

„რომ ღირსებულებათა გადაფასების ჟამი დამიდგა“, 348.

„მაგრამ ჯანდაბას, მიზანი თუ იქნა უფრო ღირებული“, 470; ისევ დათას მეტყველებაა.

„ხალხი სულიერსა და ნივთიერ ღირებულებებს ქმნის“, 477; 480;

„გორა მბორგალი“: „მას მერე თვით ტერმინი აღარ იხმარება, მაგრამ მის არსს ღირებულება დიდხანს არ დაუკარგავს“, 249;

„პირადად მე, მწოლარეს, ცოტად თუ ბევრად ღირებული იდეები არ მებადა“, 501;

ჩემი წილის ღირებულებად □საფასურად, გასამრჯელოდ ვიტოვებ, აქ, 532.)

4. რუსიციზმის უტყუარ კვალს ჩვენს ბელეტრისტიკაში არცთუ იშვიათად შეეფეთებით სიტყვა „მიიჩნევდა“, „მიაჩნდას“ უმართებულო ფორმას „სთვლიდა“, „თვლის“ სახით, ეს ყველაფერი როგორც ზემორე გაგვიცხადებია, მომდინარეობს ფონემა „სჩიტალ“, სჩიტაეტ“-იდან.

„თუთაშხია“: „თვლით თუ არა დაზარალებულის ჯანმრთელობას...“, 12; აქ უნდა იყოს, „მიიჩნევთ თუ არა“;

„დაზეპირებებს რეზულტატად ითვლიდა“, 89;

„ამ საქმეს წაგებულად არ თვლიდა“, 80;

„ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი“, 165;

„ამას განხორციელებულ თავისუფლებად ვთვლი,“ 173; აქ „ვთვლის“ მაგივრად შეიძლება ჩაჯდეს „მივმიჩნევ“, „წარმოვსახავ“, „ვადასატურებ“, ან სხვა კონსტრუქციით „განხორციელებული თავისუფლება მგონია“, „ეს განხორციელებულ თავისუფლებად შემირაცხავს“ და ა.შ. ოღონდ არა „ვთვლი“; ვთვლი წიწილებს, ფულს; ვთვლი რიცხვებს და არა დასტურის ბადალი მცნება.

„ნაწილობრივ იმანაც შემაფერხა, რომ, ვნახოთ და ასეთ საქმეებში ჩარევას მანდილოსნისთვის შეუფერებლად სთვლიდე?“ 231;

„თავს ვთვლიდი იმ მოგვად,“ 316, 317-2, 371, 423;

ისინი თავს „ციხის პატრონებად“ თვლიდნენ, 426; „მაგრამ დათა თუთაშხიას მაინც სულ სხვა ბუნებისა და არსის ძალად ვთვლიდით,“ 432, 457;

და „გორა მბორგალი“: „მოქალაქეობრივ ვალდებულებად ვთვლიდი,“ 199;

„ქაღალდს მხოლოდ ისინი სთვლიდნენ რაიმე ფულად...“ 177;

„და შედეგს მიღწევად სთვლიდე“, 240;

„რუსული მპყრობელობის სიმბოლოდ სთვლიდა“, 246;

„მე ამ ვითარებაში წასვლას დეზერტირობად ვთვლი“, 256;

5. გამართვას საჭიროებს მეტყველებაში უსწოროდ დამკვიდრებული და მწერლობაშიც უმართებულოდ შემოსული „ფაქტიურად“;

„დათა თუთაშხია“: 138, 139, 2140, 199, 216, ფაქტობრივს მოითხოვს, როგორც ეს გამართულად გამოყენებულა ერთგან; „არც ჭეშმარიტების ამოცნობა გაუჭირდებოდა და არც ფაქტობრივ მასალის მოპოვება“, 266;

თუმცა იქვე, გოჯის მოშორებით კვლავ „ფაქტიური“ წერია, 267, 394;

ამ მომენტს არც „გორა მბორგალი“ ჩამორჩება:

6. ერთგვაროვანი შეცდომებია დაშვებული და მაერთებელი კავშირით დაწყვილებული სიტყვების გადმოცემისას:

„მიგვეშველა კარვის დადგმაში და დაბინავებაშიც“, 14; აქ უნდა იყოს: კარვის დადგმაშიც მოგვეშველა და დაბინავებაშიც; ან კარვის დადგმასა და დაბინავებაშიც მოგვეშველა.

„გზებზე და ბილიკებზე სიარული არ ვარგა არაფრად“; 60, აქ ორმაგი უარყოფა სხვა ცდომილებითაც არის დამძიმებული: და კავშირით დაწყვილებულები ერთ პოზიციაში არ უნდა იმყოფებოდნენ. საჭიროა გზებსა და ბილიკებზე;

„დავიწყებ ფიქრს აქეთ ძროხაზე და ღორზე, იქით ქათამზე და ყანაზე“, 105; უნდა იყოს ძროხსა და ღორზე, ქათამსა და ყანაზე“.

„ყველა საზამთრო ცენტრში და მსხვილ დასახლებულ პუნქტში საგანგებოდ შეარჩია...“ 143; აქაც „ცენტრსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტში“, 154, 163;

„ყველა სარწმუნოებაში და ჩვენს სახარებაში“, 163;

„ერთმანეთის დაცინვაში და ლანძღვაში ვატარებთ დროს“. დაცინვასა და ლანძღვაში, 224; 225;

„საიმპერიო სამმართველოში და სამინისტროში ზარანდიას...“ 264;

„უცხო ქვეყნების რომელ ქალაქებში და რომელ ბანკებში აქვს გახსნილი მიმდინარე ანგარიში ხაჯი-სეიდს?“ 296.

„... დედაკაცი მორჩილებაში და ღვთისმოსაობაში რა საშუალებებით უნდა მყოლოდა“, 353.

„გორა მბორგალი:“

„გასაჭირში თუ ლხინში განზე გადგომა, ან გულგრილობა?..“ 237.

„წავიდა ისევე, როგორც მთელი მისი თაობა წავიდა — ვინ უმჯობეს სამყაროში, ვინ ციმბირში და ვინ ემიგრაციაში“, უნდა იყოს ვინ ციმბირსა და ვინ ემიგრაციაში. 256.

„ამასობაში, ბანკი ადგილს იცვლის, ადმინისტრაცია სტოვებს თავის სახლებს, „ქვრივები“ ბავშვებითურთ მათ სახლებში თუ ბინებში გადიან საცხოვრებლად“. 362;

„ყირიმში თუ სადღაც იქაურობაში, გერმანელებს აეროდრომი ხქონდათ“, 402.

7. სტილისტური კელენაობით გამოიყენება ქართულ ბელეტრისტიკაში უმართებულო ფორმებით დამკვიდრებული სიტყვები, როგორიცაა: „თანმიმდევრობით“.

„დ.თ — 14, 428; „ბ. მ.“ 80, 327; საჭიროა თანამიმდევრობით;

8. „მეტ-ნაკლებად“ დეფისს არ საჭიროებს. იწერება ამგვარად: მეტნაკლებად, 28;

9. „ქაოტურის“ მართებული ფორმაა „ქაოსური“, 346;

10. „თვისობრივი“ ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით ყველგან თვისებრივია, ვინაიდან ეს სიტყვა თვისებიდან მომდინარეობს, „დ.თ.“314, 375.

11. „მასიურად“ ცდომილებაა ხალხის მიმართებაში. მასის ცნების გადმოსაცემად საჭიროა „მასობრივად“, ვინაიდან „მასიური“ ნივთიერს გამოხატავს, 295, „გ.მ.“

12. დღემდე ვერაფრით მოგვიშორებია მწერლობაში ზადიანად დამკვიდრებული „ზეზეულად“, მისი სწორი ფორმაა „ზეზეურად“, „დ.თ.“ 286, 625; „გ.მ.“ 625;

13. აჩრდილივით გვსდეს ფეხდაფეხ მანკიერი „ხანდისხან“, ნაცვლად „ხანდახან“-ისა, „დ.თ.“ 117;

14. გასწორებას მოითხოვს „ეჭვს გარეშე“, „ყოველ მიზეზს გარეშე“, თუნდაც ამნაირად — უეჭველად;

15. აქა-იქ ჩასაფრებული:

„მუშნი ზარანდიას ქმედებების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მას „სხვაგვარად არ ძალედვა“, 80. აქ „იმაში მდგომარეობდა“, აშკარა რუსიციზმია, ქართულად იქნება „ის იყო“, ან „ის გახლდათ“. იგივე სიტუაციაა „დ.თ.“, 255, 335;

„ეგ რაში მდგომარეს“? კითხულობს გორა მბორგალი და იქვე პასუხობენ, „იმაში, რომ...“, ასეთი მეტყველება ხომ აშკარად რუსულიდან გადმოღებული ფრაზეოლოგიაა, „გ.მ.“ 95; 316;

16. „ნერვებაშლილი“ უგემოვნობის მადასტურებელია, აჯობებს ძარღვებაშლილი.

17. ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს კრებითისა და რიცხვითი სახელის ასინქრონულობა: „სახნოვ-ზარანდიას წრის ყველა ურთიერთობები“, „მეხსიერებაში აღვიდგინე ყველა საუბარი; „დ.თ.“ 259.

აქ ერთგან ყველასთან „ურთიერთობების“ მეზობლობა ცდომილია, მეორეგან „საუბარი“ მართებული. როგორ მოვიქცეთ ენობრივი პოზიციიდან, რომელს ვენდოთ, რომელი მივიჩნიოთ ჭეშმარიტად?

საერთოდ აღიარებულია, ნებისმიერ კრებსით სიტყვას შეწყვილებისას სახელი, მხოლობითში ეთანაწყობა ზმნას, რასაც უარყოფს რუსული და მეგრული მეტყველება, მაგრამ თუნდაც სტილუ-

რი თავისებურების შემოტანა გვნებავდეს, განა ცდომილებებით შევქმნით კოლორიტის ეფექტს?! ჩვენ შეგვეძლო ამის თაობაზე ერთხელ აღვნიშნოთ სადმე, ვთქვათ, ამდაგვარად: გრაფი სეგედი ქართულად მეტყველებისას სიტყვა „ყველას" მრავლობითში უთანხმებოდაო და მორჩა, გვეცოდინება, რომ ეს მისი ახირებაა, თავისებურება, გრამატიკული ანაქრონიზმები, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე?

„... რომლის წინაშე ყველა, მიუხედავად გონებრივი, წოდებრივი თუ ქონებრივი მონაცემებისა", იქნებ „მონაცემისა"? 315;

„... და ჩვენც შეგვაყვარა წიგნი, ყველა შვილებს", 340. ამას ამბობს შალვა ზარანდია, უმაღლესი განათლების კაცი.

ახლა შევხედოთ „გორა მბორგალს":

„სხივები მილიონობით შტამბებში გამოღწევას ლამობდნენ", ამ ქაჯურს მორჯულების შემდეგ ამგვარი ამეტყველება უწერია: სხივები მილიონობით შტამბში გამოღწევას ლამობდა. 168;

„თითო სართულზე თითო შვიდოთახიანი ბინა იყო, ფლიგელში უამრავი სათავსოებითა და დამხმარე სადგომებით". გაქრისტიანების მერმე ეს წინადადებაც ამნაირად მოიქცეოდა: თითო სართულზე შვიდოთახიანი ბინა იყო, ფლიგელში უამრავი სათავსოთი და დამხმარე სადგომით. 273.

„ზემოთმოყვანილი ანდაზით იხელმძღვანელა: დაუწყო ცემა, მაგრამ ნაირ-ნაირი წახალისებებისა და იდეების პროპაგანდის თანხლებით"; გავიგოთ ერთხელ და სამუდამოდ: მილიონობით, ყველა, ნაირნაირი, მრავალი, ბევრი, უამრავი, აურაცხელი და ასე შემდეგ — კრებითი სახელი სიტყვის დამეზობლებისას, გრამატიზაციისას მხოლობით რიცხვს მოითხოვს; მსგავსი ქირურგიით წინდებული წინადადებაც ასეთნაირ ფორმას შეიძენს: ზემოთმოყვანილი ანდაზით იხელმძღვანელა: დაუწყო ცემა, მაგრამ ნაირნაირი წახალისებისა და იდეის თანხლებით, 289.

18. ცალკე საუბრის თემად მიმაჩნია ქართულის და საერთოდ, ჩვენს მწერლობაში, ფონემა „დაჯდომისა" და „დასხდომის" პრობლემა. „დავჯე რუსთველმან," გვეტყვის პოეტი, მაგრამ სადაც მრავალობითობაზეა საუბარი, ყველგან „დასხდომას" აფიქსირებს: „... სანამდე დავქვეითდებოდით, იარაღს ავისხამდით და ისევ შევჯდებოდით", „ქე ვთქვი უკვე, ათ დღეს ვერც ცხენებზე შევჯექით, არც პირში ჭადის ნატეხი გვქონია და რანაირად ვიქნებოდით, უნდა ამას ლაპარაკი?" 66; 67.

მოსე ზამთარაძის ნალაპარაკევი, ბუნებრივია, ვერ იქნება სტილისტურად უზადო, აქ პროკრუსტეს სარეცლის მაგალითი ნაკლებად გამოგვადგება, მაგრამ როგორ მოვექცეთ იმ რეალობას, რომ „თუთაშხია" ეპისტოლარული ნაწარმოებია?! აქ ყველა პერსონაჟი მთხრობელია. მწერალი ფაქტობრივად წამითაც არ ერევა ურთიერთობებში, თუ არ გავითვალისწინებთ ოთხთავის ეპიგრაფებს და შესავალ მონაკვეთს. გამოდის, რომ გმირების ენის ბორძიკობებზე უნდა ვიკელენაოთ გორმოხებიან ხნულში მსვლელობის დარად?

„უფრო გამართლებული იქნებოდა, სხვადასხვა მაგიდებს მივჯდომოდით. აზრადაც არ მოგვსვლია! მივედით, გვერდზე მივუსხედით". აქ გოგი ტატიშვილი მართებულ ფორმასაც გამოიყენებს და ცდომილსაც, 123.

კი, ბატონო, ესეც მოსათმენია, ვიაზროვნოთ; ტავტალოგიის თავიდან აცდენის მიზნით მოიმოქმედებს მწერალიო, მაგრამ რა ვუყოთ შემდეგ ფრაზას?

„დარბაზში ხმაურიც ისეთი იდგა, როგორც მოშორებით მჯდომთა კონფიდიენციალურ საუბარს სჭირდებოდა". ეს ხომ უკვე არც თუთაშხიას სიტყვებია, აღარც — მბორგალისა, არამედ, თავად ჭაბუა ამირეჯიბის?!

19. ასევე გაუგებარია ჩემთვის „ხუთკუთხიანი ვარსკვლავი", ხუთქიმიანი გამიგონია, მაგრამ ვარსკვლავი და კუთხე?! კუთხე ხომ ადამიანის ცნობიერებაში საგნის შიდა მდგომარეობად აღიქმება; კი, ბატონო, არსებობს მართი კუთხე, ბლაგვიცა და მახვილიც, მაგრამ პენტაგრამას თითოეული წვერთან უკვე კუთხე კი არა, ალბათ, 310 გრადუსი მაინც იქმნება; ხოლო 180 გრადუსის შემდეგ კუთხის ხსენება უხერხულია გეომეტრიის პოზიციიდან.

20. ვაშლის გათლა გამიგონია, მაგრამ გაფცქვნა? იფცქვნება ლეღვი, ბანანი, მოკლედ, რასაც კანი ადვილად ძვრება, მაგრამ ვინაიდან ასეთი ბუნებისა არ არის ვაშლი, მსხალი და მისთანანი, ითლება. 187.

ლაზი ვერ გაუფცქვნიდა ვაშლს მშვენიერ ნანოს შალითურის გულის გასახეთქად, გათლით კი მოგეცა ლხენა, შესაძლოა გაწაფული ოფიციანტის დონეზეც...

დასაწყისში ვახსენე, საგანგებოდ ჭაბუა ამირეჯიბზე ვიმსჯელებ-მეთქი, ვინაიდან მისი შემოქმედება დიახაც ღირსია განსაკუთრებული ყურადღებისა, შესწავლისა და გაანალიზებისა, მიუხედავად უთვალავი შენიშვნა დაგროვილა თითქოს.

სხვათა ნუ ეზეიმებათ, ნებისმიერს- მეთქი, რუსთაველის პრემიის ლაურეატს თუ ნობელის პედესტალს დადარაჯებულს. მსაგვსი ცდომილებები თითოეულის თხზულებებს ეძებნება, ცხადია, განსხვავებული დოზით, სიხშირით. ამიტომაც არისტოტელესებური სტილის გადაბრუნება, ანუ თავის ერთხელაც შეწუხება, არავის აწყენდა;

აკი, გური ოტობაია სიმწრის ცრემლით გადახარშავს ღვთისნიერი სტილისტის — დიმიტრი გულისაშვილის მართებულ გაჯორვების და მერამდენე კორექციით შეძლებს ზემოთ განსჯილი ლაფსუსების ლიკვიდაციას!

სტილური ზადი ვისაც ნაკლებად ან თითქმის არ ეძებნება, ერთადერთი აკა მორჩილაძეა ჯერჯერობით ჩვენს სინამდვილეში და მიხარია, წრფელი აღტკინებით მეზეიმება ახალგაზრდა ხელოვანი კაცის წელგამართულობა, რადგანაც ზემორე თქმულისამებრ: სტილი ქმნის ადამიანს, მის პროფესიულ იმიჯს, მისი აზრის სისხარტეს;

ნუ დაუყრით ღორთა მარგალიტებს ტალახშიო, გვასწავლის უფალი იესო, რადგანაც ფეხით გათელავს მას გავეშებული კოლტი ეშმაკეული ლეგიონის ჩვენებებით აბოჟირებული, და ზღვაში გადაცვენილი შემდგომო; არადა, როგორი გულდამწყვეტი სცენა ისახება: ჩვენი ღვაწლმოსილი მწერლები ხგვანან იმ ბედოვლათ დენდებს, რომლებიც საშობაო აღლუმზე ძვირფასი სმოკინგებითა და სერთუკებით გამოცხადებულან, ბაფთებით ყანყრატოდამშვენებულები. ბრილიანტისთვლიანი სამაჯეები უელავთ, აქვე გაყვითლებული, საუკუნის ჭუჭყჩამჯდარი ფრჩხილებით აწკარუნებენ დანაჩანგალს, აოხშივრებულ ხინკალსაც დასწვდებიან შიგადაშიგ კეჟერაძეს მიმსგავსებით და არხეინად ტკბებიან ოლიმპოს დალაშქრული მწვერვალების სიზვიადე-ბრწყინვალებით.

დიახ, აკა მორჩილაძე გაარღვევს მეოცე საუკუნის მიწურულის სტილისტურ ცდომილებათა ზღუდეს, სტილისტურ აღრეულობათა მორევს და გავა, შეუფერხებლად გააღწევს ლაღი, უზადო, ხასხასა მოქართულეობის მესამე ათასწლეულის დამაიმედებელ სივრცეში.

რაც შეეხება ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის თხზულებების ახლოით განჩხრეკას, აქ ჩვენ, დიახაც, სწორედ ერთგვაროვანი სტილისტური ცდომილებებით ვადგენთ ავტორის ავტოქტონობას, აბორიგენობას.

მხცოვანი მწერალი აღნიშნულ შეცდომებზე თანაბარწილად ბორძიკობს ერთგან და მეორეგანაც, სიყრმისდროინდელი ,,თუთაშხიას'' ჩავარდნებს ავტომატურად იმეორებს მწუხრისჟამინდელი ,,მბორგალი'', □აქვე საფიქრალია შემდეგიც: ,,დათა თუთაშხია'' და ,,გორა მბორგალი'' თანაბარია ასოთა რაოდენობით — თორმეტ-თორმეტი), ასე რომ, ჭორები მოაშორეთ-მეთქი, შევძახებ ავმოენე ქართველ ზოილებს.

ჯალაღონხეს ნაცრისმქექავი თუთაშხია

ნებისმიერ მწერალს ხყავს გმირის პროტოტიპი, პროტაგონისტი, ზოგჯერ მთლად მზამზარეული მასალის სახითაც, ვთქვათ, როგორც ხომეროსის შემთხვევაა მითების სიუხვით ტროას ომზე; მაგრამ რაჟამს შემოქმედი არსებულ ნედლეულს საკუთარი ცნობიერების ქურაში გადახარშავს და არქიტექტორული ორგანიზაციით ინდივიდუალურ პროფილს მიანიჭებს, აქ ყოველგვარი ფამა უადგილო და ყურით მოთრეულია.

არსენა ოძელაშვილზე უამრავი თხზულება შექმნილა, მესტვირულიც, დრამატულიც, მაგრამ ყველას ჯავახიშვილმა აჯობა.

ასევეა ფაუსტის ყისმათი, რადგანაც მხოლოდ გოეთესთან მიაღწევს სრულყოფილებას მშვენიერი წამის შეჩერების მისტიკა.

თუთაშხიას შესაძლოა გააჩნდა რაიმე საშენი მასალა გრაფი სეგედის მონათხრობის თუ პერსონაჟთა მონაყოლის სახით, მაგრამ თავად ნაწარმოების კონსტრუქცია, კარკასი ხორციან-ძვლიანსულიან ამირეჯიბისეული რომ გახლავთ, უმეცრის მეტს ვერავის შეაეჭვებს: ,,თუთაშხია''-,,მბორგალის'' ურთიერთმიმართებისა და მსგავსება - განსხვავებულობის თაობაზე ჩვენ მოგვიანებით მეტის მომცველობით დავძრავთ სიტყვას, ახლა კი დაბეჯითებით შეგვიძლია გამოვკვეთოთ:

ორიათასი წლის მიწურულის ქართული პროზა ყველა ნიშნით დოკუმენტურობისკენ გადახრილა, რაც ვერ აიხსნება ლიტერატურათმცოდნეობის ნორმების იგნორირებით, არამედ ერთადერთი პასუხი ეძებნება: შიშველი სიმართლის მოთხოვნილება! განსაკუთრებით, როცა გილიოტინისა და სახრჩობელის საშიშროება მოხსნილია სადამსჯელო არსენალიდან, თორემ ოცდაათიანი წლების უდაბნოეთის რადიუსში ჩვენი ბელეტრისტებისათვის ფუფუნების საგანია მსგავსი ოაზისური სიტუაცია: რობაქიძე, ჯავახიშვილი, გამსახურდია სიმბოლიკებს სჯერდებიან მეტადრე, თანაც

წარსულში გადასროლილი გმირებით ისინი ბოროტების განზოგადოებულ ტიპებს აშიშვლებენ და ასე, რიკოშეტის, ანასხლეტის თეორიით, ებრძვიან მანკიერს, ზადს, მაგრამ ჩვენეული კონკრეტული სინამდვილის დოკუმენტურობის ტენდენცია, დაქრონიკების მიდრეკილება, სხვა რამითაც აიხსნება:

მართალია, ტიპის განზოგადოება აღიარებული ლიტერატურული ნორმებითაა ნაკარნახევი, თორემ ჭეშმარიტებისათვის არანაირი მნიშვნელობისაა აქილევსს ,,აქილევსი'' ერქმევა თუ ,,იმისევსი'', რეალური იქნება თუ გამონაგონი.

ფაუსტი თუ მკრებელობითი ხასიათს გამოამჟღავნებს, გასაგებია, მაგრამ ჩვენს მაგალითს შეიძლება შურისძიების მოტივაცია ვუწოდოთ. დიახ, შურისძიების მოტივაცია, როცა სიმბოლოთი, განზოგადოებული მიდგომებით ბოროტების დათრგუნვას არ მყოფინობს ხელოვანის, წესით, მიუმხრობელი სული. იგი სიტუაციის, ვითარების ჭირისუფლის თვალთახედვით აანალიზებს გარემოს, და ყველა დაბრკოლების მამას — მაცილს საკუთარ სახელს მოარგებს, საპასპორტოს, ეროვნების რეკვიზიტწაშლილს, თუ სულაც საბჭოურ წითელყდიანს, თუმცა ფაქტის კონკრეტიზაციით, პერსონაჟის ზედმიწევნითი ნატურალიზმით, სინამდვილის მოურიდალი, ხშირად ფოტოგრაფიული ნიღაბახდილობით, გასრესილია თანამედროვე მანკიერებანი და აქ პირველობას ვერავის დავაბრალებთ, ვინაიდან ჭაბუა ამირეჯიბიც, ოთარ ჩხეიძეც, ოთარ ჭილაძეც, ზაურ კალანდიაც, მიხო მოსულიშვილიც, გივი ალხაზიშვილიც, აკა მორჩილაძეც, გური ოტობაიაც თუ სხვათა, დამოუკიდებლად, ლამის ერთდროულად მისულან ფინიშთან და დასადაფნავი შუბლის დადგენა ჭირს ახლა მსაჯულისათვის;

ძნელია გავარკვიოთ ვინ ავამაღლოთ კვარცხლბეკზე, რომელი... ამას თავის დროზე თვითონ ჟამი მოიმოქმედებს უმტკივნეულოდ — სიკვდილთან შემრიგებელი ბორჯალი, ვინაიდან თითოეულის თხზულება ქრონოლოგიურად თუ სივრცეერად ერთ არეალში იქმნება და გამოირიცხება დასესხების თუ პლაგიატობის საშუალება მეთოდის თვალსაზრისით — წმინდა გიორგის ბოძალივით კაკალ გულში უმარჯვებს ბოროტების საკაცობრიო ურჩხულს და დღემდე ვერ გამოსულა იმ სისხლის ოხშივრებიდან, რასაც მტერზე, დუშმანზე, მწიკვლასა და მანკიერზე გამარჯვების თავბრუალი ხქვია.

დიახ, გმირია დღეს ქართული ბელეტრისტიკა ჟამთააღმწერლის უტყუარი ნიშნით და მხატვრულობის შინაურული სამოსლით.

შორეულ სამურზაყანოში, ზღვისპირა ფიჩორში, ბორსუს უბანში, გაჩაღებულ კერიასთან მასლაათში, დიდედა მარი ჯალაღონხე ბაბუა თომა გელენავას ეტყოდა ხოლმე:

— მუთარე, რავა დათა თუთაშხიასავით იქექები ნაცარშიო. ამ გამონათქვამს ჩემთვის, ადრეულ წლებში, რაიმე მისტიკური მნიშვნელობა არ შეუძენია.

დათა თუთაშხია ერთ ვინმე ჩხირკედელა კაცად მიმიჩნევია, ვინაც უსაქმობისაგან სირაკუზელი მხცოვანის თუ ნაზარეთელი მოყმის მსგავსად ჩხირით ტუტაში იქექება □მეგრულში ნაცარს ტუტა ხქვია, იგივე თუთა — მთვარე — ამქვეყნიური ზარზეიმის სამომავლო შედეგი) და იქიდან, იმ ფუტურუმ- მერმისიდან იწვევს წარსახოცი ცათამბჯენების თუ კატაკლიზმების აღდგენა-რესტავრაციას; მაგრამ თავად ,,დათა თუთაშხიას'' ჟურნალ ,,ცისკარში'' გამოჩენა სამოცდაათიან წლებში, მერე ცალკე წიგნად დასტამბვა თუ ფილმად გაცოცხლება ეკრანზე, ვერაფრით დამაკავშირებინებს ერთმანეთისათვის ამ ორ ფენომენს.

ცნობიერებაში მკვიდრად დაილექება დიდედა მარი ჯალაღონხეს ფრაზა თუთაშხიას ნაცარქექიაობის თაობაზე. მოკლედ, ისე გაირბენს სამათეული წელიწადი, რომ ამ ორ ცნებას ვერანაირად შევაუღლებ, ვერანაირად დავაწყვილებ ერთი აზრის საზეიმოდ. მე ხომ იმხანად წამითაც არ მიკითხავს ბებიასათვის, თუ ვინ არის დათა თუთაშხია, რას მოსაქმებს, ვინაიდან სხვა რამით ვარ გართული — დენთის თეორიით, ანუ ნაღვერდალში ქვამარილის შეკეთებით გაღვივებულ კერიასთან გალაღებული თომა ბაბუას ყირმიზი სახის დასაფინთიხებლად. ამისთვისაც დამრჩება გაურკვეველი დათა თუთაშხიას ვინაობა, თორემ მაცი ხვიტიების, არსენა შონიებისა და ძმათა მათთა აბრაგობის სცენები სასთუმალქვეშ მილაგია დილა-საღამო.

თუთაშხიას ისტორიულობაზე სხვა წყაროებიც მიუთითებენ. მაგალითისათვის, ბატონ ჯემალ გამახარიასა და ბადრი გოგიას წიგნში: ,,Àáõàçèÿ - èñòî ðè÷åñêàÿ î áëàñòü Ãðóçèè. შავით თეთრზე დაფიქსირებულია ,,თუთაშხია'' გვარის არსებობა სამურზაყანოს სინამდვილეში: Ñïèñî ê æèòåëåé-êðåñòüÿí ï î î òäåëüí û ì ñåëàì òåðèòî ðèè ñî âðåì åí î é Àáõàçèè XVI â. დიახაც, ამ უკანასკნელი მომენტი გამიბრწყინებს გონებას უცებ, და მარი დიდედას ნაამბობი მეყსეულად გადაეწნება ჭაბუა ამირეჯიბის საღმრთო რაინდის ბედ-იღბალს.

ბატონ დამიანე გოგოხიასგან მსმენია:

— ცეკაში აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგეობის პერიოდში, გარკვეული როლი ვითამაშე „თუთაშხიას“ გამოქვეყნების საკითხის დადებითად გადაწყვეტაში. საჭირო იყო ოფიციოზისგან თვალის ერთგვარი დახუჭვა, წათვლემა, ყურადღების მოდუნებაო, და ხელისუფლებაც გაირინდება, რათა საშობაო ჭინთვებით მოევლინოს სამყაროს რომანი-საგა, რომელიც აგუმბათებს მეორე ათასწლეულის ქართული ბელეტრისტიკის შენობას; რამეთუ ეს ნაგებობა მართლაც ტაძრის მისადარებელია, სალოცავი ადგილისა, მოწიწებით თავს რომ გახრევინებს ზღურბლიდანვე. ქართულ მწერლობას გადაულახავი მაინც დარჩება ორი ბარიერი. ეს პრეტენზიები არავინ ჩამომართვას მატრაბაზულ გამოხდომად, ვინაიდან გური ოტობაიაც ამ სიტყვა- კაზმული შენობის კენჭად მიიჩნევს საკუთარ პერსონას და ბრალდებათა წყება, თუნდაც მის შემოქმედებას ნაკლებად კენწლავდეს, საკითხი მაინც გადაუწყვეტელია.

იყო ადრე მცდელობა, ვთქვათ, ვაჟა-ფშაველა სიმბოლისტად მოენათლათ, მაგრამ მიუხედავად მთის არწივის შემოქმედებაში სიმბოლისტური ხელწერის არსებობისა, იგი ამ სკოლის, ამ მიმდინარეობის წარმომადგენელი ვერანაირად იქნება, რამეთუ საქართველოში იმხანად თავად სიმბოლიზმის საძმო, სიმბოლიზმის ოლიგარქია არ არსებობს. ამ პროცესს მოგვიანებით განახორციელებენ „ცისფერყანწელები“. ასევე ერთი ბელეტრისტის ლიტერატურული მონაპოვრები ვერაფრით გაიტანს საყოველთაო ლელოს, თუმცა გაზაფხულის მაუწყებელ მერცხლად შესაძლებელია ვივარაუდოთ მისი მოჭიკჭიკება.

მაშ, მივყვეთ მსჯელობას და შევხედოთ თუ რა წინაამღდეგობანი დარჩება გადაულახავი ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას.

გმირის პრობლემაზე ვიტყვით, ქართული ბელეტრისტიკა ბოლოს და ბოლოს ჩინებულად განახორციელებს ეროვნული იდეალის გამოძერწვის, გამოქანდაკების მისიას: მიუხედავად მრავალი ბორძიკისა სასროლეთის მეათე უწვრილესი რგოლი დაზიანებულია, აღებულია უკანასკნელი ბასტიონი შინაგანი კულტურისა და მოთხოვნისა. საყოველთაო აღიარებაც მოვა ხვალ-ზეგ ნობელის კომიტეტიდან. პირველი პრობლემა სტილის ფენომენთანაა დაკავშირებული. არაფერს ვამბობ თავად ესთეტიკური კანონზომიერებების ნიველირებებზე. ქართული მწერლობა ვერაფრით აღიკაზმება რაფინირებული, მომჭირნე და უცდომელი სიტყვიერი სამოსლით.

მეორე მთავარზე ნიშანდობლივი ზადი ის გახლავთ, რომ ქართული მწიგნობრობა ვერაფრით გამიჯვნია, თუნდაც კუს ნაბიჯზე, ტრადიციულ დოგმებს და ვერანაირად აუთვისებია საუკუნის ოციანი წლების ლიტერატურული მონაპოვრები, ე.წ. „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდად მონათლული ჩვენში თუ სხვაგან.

აი, ის ორი არსებითი ხარვეზი, რომელსაც შესაძლოა, ვინმე გური ოტობაია რამდენადმე ებრძვის, ეპაექრება, მაგრამ მდინარის ტანი ვერაფრით აღავსებს ოკეანეს. თუმცა მრავალსიტყვაობას მოვეშვათ და ათი მცნების მერვე მუხლის პერსონაჟობა რომ არა დავიმსახუროთ, თითოეულ დებულებას მივყვეთ პუნქტობრივად:

კალისტიკა იმით არის საინტერესო, რომ ფორმულის დონეზე განიხილავს შემოქმედებით კვანძებს და უკვე დაკრისტალებულის აღნაგობით გვაწვდის ცოდნას ნებისმიერი ნაწარმოების ძირითად წარმმართველ განზომილებაზე. ამისთანა მოტორი, ქვაკუთხედი თითოეული თხზულებისათვის ლიტერატურული გმირია, რომელიც უმეტეს კლასიკურ წიგნში ბინარული ნიშან-თვისებითაა წარმოდგენილი, ბიპოლარული შინაარსით.

უმეტეს გმირს ზოგადკაცობრიული ფასეულობების გვერდით ეძებნება დამანგრეველი სამყაროისეული ალტენრატივა, რომელთან შერკინებისას იძერწება თავადაც, როგორც ფოლადი — ცეცხლისა და ურო-გრდემლის მეხთატეხაში. ეს სარკისებური ანარეკლია დადებითი ემოციებისა, რისკენაც განუხრელად ილტვის თეოსოფური თუ მატერიალისტური მსოფლიო, იგივე ალტერ ეგო, იგივე დადებით-უარყოფითის დაუსრულებელი ჭიდილი, იგივე ზევსისა და პრომეთეს, აქილევსისა და ხექტორის, ფაუსტისა და მეფისტოფელის დაუსაბამო დაჯახებანი.

ეს პროცესი იგივეობრივია ჩვენთანაც, ცხადია, ნიშანდობლივი შემოქმედებითი მუხტის გათვალისწინებით:

შუშანიკი — ვარსქენ პიტიახში;

ავთანდილ-ტარიელ-ფრიდონი— ქაჯეთის ციხე;

მინდია— წუთისოფელი;

არსენა — კუჭატნელი;

თარაშ ემუხვარი— არზაყანი;

თუთაშხია — ზარანდია, სხვანი და სხვანი;

აი, ის არსებითი ანი და ხოე, რომლის დიაპაზონში ხორციელდება გმირის აღზევება-დაცემის მისტერია.

ბატონ რევაზ თვარაძეს სამართლიანად შეუშინავს „დათა თუთაშხიას“ ორგანზომილებიანობა: თუთაშხია და მუშნი ზარანდია ერთი მედალიონის ორი მხარეა, ალჩუ და თოხანის კრებითობაა, ავერს-რევერსის ჯამი, სადაც დათა საწუთროს მომწამვლელ ოკეანეში ტალღებისგან მიმოტყორცნისას განიწმინდება მწიკვლისაგან, წდევდება ტობავარჩხილის ნაკადივით, კათარზისდება მისი სული და მაღლდება ქრისტეს უძირითადეს მიზნამდე: გიყვარდეს მტერი შენი, რომელსაც ვეღარაფრით ეთანაწყობა ბიბლიის მცნებათა ათდოგმეული — სადაც თვალი თვალის წილ ამოიშრიტება, კბილი კბილის წილ ამოიგლიჯება, სული სულის წილ ამოიქოლება.

ებრაელი ერი ამისთვისაც გასწირავს მათივე ქანაანის წიაღიდან ამოხეთქილ ზოგადკაცობრიულ ნათელს, ვინაიდან იესოს მიერ შემოთავაზებული მიმტევებლობისათვის ჯერაც არ არის მზად აღთქმული ქვეყნის ძიებაში ორმოცწლიანი ხეტიალით ილაჯგაწყვეტილი იუდეველი; თუმცა ოდეს საღმრთო რაინდი შავ მერანს მიუგზავნის საკუთარი გოლგოთის ასაკოკოლავებლად სახელმწიფოს ძალმომრეობითი აპარატის განსახიერებას — გორგალკაც მუშნის, იგივე ოცდაათი ვერცხლის სიმბოლიკას, ყოველივე გასრულებულია; განმზადებულია თუთაშხიასათვის ბილიკები ცათა ზეფირებით უფლის ხელმარჯვნივ დასაჯდომად, როგორც ეს ქორი-ბედისმწერალის მისნობით მოუნიშნავს ავტორს **მეოთხე** კარის ზღურბლთანვე: **„დაუტევა და იქმნა იგი ხორციელ ღმერთად“.**

აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ფერის სიმბოლიკა: თუთაშხია მთვარის ხატებაა, მთვარის დღე, ნათელის იდენტური კატეგორია, როცა მუშნი ზარანდიას მთვარის მხედრის ხელითვე შავი ტაიჭი გაეგზავნება მხილებისა და განმსაჯულების სიმბოლოდ, იგივე ტროას ცხენი, რომელმაც უნდა დალეწოს ბოროტების ციტადელი — ილიონის კარიბჭე. წმიდა გიორგის ნათელ-მირონი, ჯეგე მისარონის გამუდმებული შემართულობა მაცხოვრის საქმეთათვის, „მთვარის მოტაცებიდანვე“ ღვივდება ქართულ ბელეტრისტიკაში;

ავთანდილის ხატთანაც კიანთებს ეს შუქდიადობა, გნებავთ მინდიასთანაც, მაგრამ თუთაშხიამდე ბოროტების დასათრგუნად ძალადობას ძალადობითვე უპირისპირდება ნებისმიერი პერსონაჟი და ვინაიდან სიავის წარკვეთა გაათმაგებით აღმოაცენებს სიმსივნეთა ლეგიონებს, აღარაფერი დარჩება საღმრთო რაინდს გარდა აღმსარებლობისა, გარდა მხილებისა, გარდა საკუთარი სულის მსხვერპლად მიტანისა სალამანდრას დარად ცეცხლის ჩასაქრობად, რომელიც გეხენიასავით შემოგზნებია ათასთა მიწიერ გულ-გვამს და ჯოჯოხეთისკენ მიაქანებს ბაწარაღებით.

გმირის პრობლემა ქართულ ბელეტრისტიკაში დიახაც აქ მოკონცხდება, დიახაც აქ დამწვერვალდება ზოგადკაცობრიული კრიტერიუმებით და აწ ძნელია, ან სულაც მიუღწეველი მითოლოგიურ-სიმბოლისტურ ჭრილში სხვა ინდივიდის განხილვა ნორმად და ნიმუშად.

ხომეროსს არ აინტერესებს ზნეობრიობის კვლევა ოდისევსის გვემისას. ის ემპირიულ ბორტებასაა მიჩერებული, რომლის დათრგუნვისათვის ითაკელ ძეს ცბიერება, გველის გონება და გამჭრიახობა მიბოძებია სიმამაცესთან ერთად;

დანტესთანაც ბოროტების სხეულში, როგორც ცვილში დანა, ისე მიცურავს ბეატრიჩესაკენ, ანუ მარადიული სისპეტაკისაკენ შემართული ალიგიერის სული, რომელიც ზეგარდმო უფლისეული განზომილების უახლოესი სამყოფელია;

ფაუსტიც მეფისტოფელის დახვანჯულ საქმეთა გამოსწორების ერთგვარი ლაკმუსია, სადაც რაციო განაგებს იმპულსურ საწყისებს და კეთილმოსაქმეობის საზღვრებით ვიწროვდება თითქოს დაბრკოლებათა მამის ამაზრზენი სამკალი, მაგრამ მაინც გარეგანი ძალის მიუმხრობლად, ზეციერის ხელის გამოუწვდენლად, (რომელიც ამავდროულად ფაუსტური ფენომენის ერთგვარი შეფასებაცაა ქრისტიანული მორალის გათვალისწინებით), ვერაფრით განიშორებს ჯოჯოხეთის ბჭეებს;

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობიდან, მხოლოდ თუთაშხია, მხოლოდ საღმრთო რაინდი აღწევს უკვდავებასთან თვითნაბად ზიარებას, მარადიულობასთან, იგივე პირველსაწყისთან, აღმსარებლობისა და მსხვერპლად მიტანის მეოხებით, სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის შემწეობით, ანუ გარეგანი სიკვდილის საკუთარი განზვარაკებით, თვითმომსხვერპლეობით და აქ საომარ იარაღად უცილობლად შტაინერის უმაღლეს კატეგორიამდე აყვანილი გოლგოთას მისტერიაა, არიმანულსა და ლუციფერულს შორის ნაზარეთიანელის მოწამეობა, მიუხედავად იმისა, რომ აღარსად ფიგურირებს თავად მეცნიერ-თეოლოგის სახელი, ქაჩალ გორა თუ „ბარაბას“ ძახილით ძარღვებაშლილი ბრბო.

მეორე ათასწლეული, იესოს სხეულებრივ-სულიერი არსებობის ოცსაუკუნოვანი ისტორია იხურება თუთაშხიას განუხრელი მსვლელობით წარმართულობიდან ზექრისტიანულობისაკენ,

გაუცნობიერებელი წყდიადსულიდან გამზიანებულ ზესულიერებისკენ და სხვანაირი ინტერპრეტაცია, მართალია, ოდენ მიწიერ განზომილებებში დურთავს საღმრთო რაინდს, მაგრამ რაჟამს აწყვეტილია შურისძიების მოტივაციებითა და ბოროტების აღხოცვა ძალმომრეობის მეთოდებით, გახსნილია გზა უფრო მაღალი, უფრო ჭეშმარიტი ფასეულობებისაკენ; ანუ მწიკვლისა და ზადის საბოლოო გამოსწორებისაკენ, ვინაიდან თავად ბოროტება არ არის ცნობიერი საკუთარ ქმედება - საქციელში; მის ორგანიზაციაში ისეთნაირი უკუღმართობითაა განფენილი დადებით-უარყოფითი ენერგიები, რომ ყოველი ქირურგია, მჯიღები და მუჯლუგუნები მარტოოდენ გამძაფრების რეაქციას იწვევს და არავითარ შემთხვევაში საკუთარ ბუნებაში ჩაღრმავებას, საკუთარი ავმოსაქმეობის ანალიზს.

ამისთვისაც გამოივლის თუთაშხია შორზე უშორესი გზას, რომლის მსგავსი თითზე ჩამოსათვლელია კაცობრიული მნიშვნელობის ბელეტრისტიკაში; გზას თვითბომონობით, თვითმოწამეობით ბოროტების თვალის ასახელად; დიახაც უძვირფასესის მსხვერპლად მიტანის გამორიცხვით ვეღარაფრით გადაილახება ურჩხულის თვალსაწიერიდან არსებულ სინამდვილესა და მის ცხოველურ სულს შორის აღმართული უმეცრების კედელი, ფარდა.

მხოლოდ სულიერი ენერგიის გაღებით, მხოლოდ არსობის პურის შეუნანებლობით განთავისუფლდება ცხოველი, მხეცი უკუღმართი იმპულსებისგან; და თუკი აქამდე ურჩხულის ძალით დათრგუნვის მცდელობა მოკვეთილი ყოველი თავის წილ შვიდს ამოყრის და ამდენჯერვე განამრავლებს ბოროტებას ერს შინა, აწ სხვანაირად მოიმოქმედებს თუთაშხია, აწ განკერძოებულ იარაღსაშუალებას მოიმარჯვებს ათასგზის დანაჭიდარ დრაკონის დასაძლევად:

„ — ესერა, კაცნო! მოველ ხსნისათვის თქვენდა მძლავროებისაგან ურჩხულისა. ხა, მაგალითი, ვით არს ჯერ მისვლა მსხვერპლად მოყვასისა თვისისათვის, ერისა მარადობისათვის, სრულქმნისათვის სულისა კაცობრიულისა!

მოიკვეთა თუთაშხამ თავისითავე დაშნითა მკლავი მარცხენა, მიუგდო ურჩხულსა და დანთქმა მან; მოიკვეთეს და მიუგდეს მათ ცოტა კაცთაც და დანთქმა მან. მოიკვეთა თუთაშხამ ფეხნი ორთავ, მიუგდო ურჩხულსა და დანთქა მან; მოიკვეთეს და მიუგდეს მათაცა და დანთქა კვალად. შედეგად ამისა იცვალა ფერი თვისი საზიზღარი ურჩხულმან და ნაკლულ იქმნა ძალი ცეცხლისა გამომდინარესი ხახით. იხილა ერმან ესე ყოველი და რომელთამე აგრეთვე აჭმიეს ასონი თვისნი მას ურჩხულს.

აღედგინა ურჩხული ორთა ფეხთა ზედა, ვითა კაცი, კნინ ექმნა ბრჭყალნი და დინგი მისი გარდაიქცა სახედ კაცისა.

მაშინ განიპო მკერდი თუთაშხამ, ამოიგლიჯა გული თვისი, უბოძა ურჩხულსა, ხოლო არა დანთქმა მან, არამედ სრქვა მეტყველებითა კაცებრითა:

— არღარა ვარ მწყურვალი სისხლთა, არღარა მიძს სურვილი ჭამად კაცთა. და მიეცა მყის ყველაკასა ახალი, რომელთა მოიკვეთეს ასონი თვისნი,“ „დ.თ.“ტომი 3, გვ. 406.

დიახ, კოლექტიური მსხვერპლად მიტანის გამორიცხვით, მარტო- ოდენ თვით თუთაშხიასაც გაუჭირდება ურჩხულის გადაამიანურება — იმდენად უძღომელია მადა მოლოქისა, მაგრამ გუნდური მემსხვერპლეობა მხოლოდ მისაბაძი პიროვნების მეოხებით მიიღწევა, დიახაც. გმირის მეშვეობით და არა — ფსევდოგმირისა, ვინაც მიუხედავად უამრავი დაყრილი ხმისა, შეუმღვრევლად გაივლის წუთისოფლის ოღროჩოღრო თემშარას და აღარსად წაიბორძიკებს;

ბოროტებაზე გამარჯვების სხვა გზას აღარც ქრისტიანობა ცნობს და მით უფრო— საერისკაცო ბელეტრისტიკა. თუთაშხიას საგას ბოლო აკორდები, მისი წუთისოფელში ოდისევსური ხეტიალის ორათეულწლიანი უდასასრულობა, იშვიათი კონტრაპუნქტით გვირგვინდება;

როდესაც მიხვედრილია თუთაშხია საყოველთაო სიკეთის მისაღწევად აუცილებელი პირობა ბოროტების დათრგუნვაა, მაგრამ ამ გამარჯვების გზაზე ძალადობის მეთოდები გამოუსადეგარია, თანაც მარტომსვლელობით ამ ღონისძიებას ვეღარაფრით განახორციელებ, საჭიროა თავად ერის ნაწილისგან მაინც სრული თანადგომა მხეცის საკუთარი ხორცით დაპურებაში; და რაჟამს ჯერ გარემომცველი, თითქოსდა თანმდევი ხალხია საამისოდ მოსამართი, სამსხვერპლოდ განსამწესებელი, თუმცა მხეცის მორჯულების შემდეგ ფორმულა - ბედისმწერლობის შესატყვისად თითოეულს აღუდგინდება გაღებული სხეული, რედუუქცირდება დაკარგული ასო-სახსარი; და ვინაიდან გვარად ჯმუხაძის, იგივე ბიკენტი იალქანიძის დუქანში დატრიალებული უბედურების შეჩერებას თუთაშხია ვეღარაფრით მოახერხებს, ვეღარ შეიძლებს ენაამოცლილი ასთიონა-სტუკაჩისაგან ესოდენი ავკაცობის წარმოდგენას — შხამ-სამსალასათვის თუ გაიმეტებს ადამიანს, უკვე სავსებით მიესწრაფვის საკუთარ ფინალს, ერთადერთს და განუმეორებელს, როგორც სიკვდილს;

დაბადება ხომ ჩვენგან უკითხავად, ჩვენგან დამოუკიდებლად გვებოძება, მაგრამ სიკვდილი ჩვენი მოღვაწეობის ლოგიკური შედეგია ხოლმე. და შარუხიას ნაქონარ წისქვილში, ქილერი ბონიას საუფლოში შეაღწევს დათა საკუთარი გოლგოთის აღსასრულებლად, თუმცა ოთხი, დარდისა და შიმშილისაგან ძუკნა ძაღლს დამსგავსებული ასულის პატრონს, ოთხი თვის ლოდინის შემდეგ, სახელდახელო ჩუბინობით მოუხერხდება განა თუთაშხიას განგმირვა?! და ვინაიდან ბონია თუთაშხიას სულიერი გარდატეხილობის ლაკმუსია, დოლაბის ხიხინში შედედება მთავარი პოსტულატი:

„მოსაკლავი რომ იყო, არ მოგკლავდი მაინც... მტერი ხარ ჩემი და ისე გამოვა, ვითომ ყველა მტერი მოსაკლავია. ჩემი ხელით შენი სიკვდილი უარეს საქმეს იზამს, ვიდრე შენ იზამ შენი ბოროტი სიცოცხლით, მაგრამ გულუბრყვილო ხარ და გულუბრყვილო კაცი ხელჩასაქნევი არაა... იფიქრე, განგებამ ფიქრისთვის გააჩინა ადამიანი“.

ასე დაფინალდება დილეტანტი ქილერი ბონიას ზრახვები იოლი გამდიდრების გზაზე და თუთაშხიას მეცადინეობა ბოროტის მოკეთილშობილების წიაღ.

ამჯერად გასამრჯელო დათას მხრივ ხორცი როდია, ადრე ურჩხულისათვის სასუსნავად მიბოძებული, კიდურები თუ თავად გული — უმაღლესი კატეგორია; ფულს მიართმევს ჯოჯოხეთის გამნათებელს, მაგრამ ოცდაათ ვერცხლსა თუ ზარანდიას სამსახურისაგან ბონიასთვის გასაცემ ასაღებ ხუთას თუმანს იქნებ თუთაშხიას ხუთი მანეთი ჯობდეს, თუმცა როდესაც ქისაში საგანგებოდ ჩაახედებს, მისახვედრებელია: არანაკლები გასამრჯელოა მოყუჩებულა იქ ბონიას ცხოველი სულის მოსალმობიერებლად, კლანჭების დასაცვენად, დინგის გაცხვირპირებისათვის; წყალში ჩაყრის ზარანდიას სამსახურს ქილერი-ბონია სამოცი მანეთის გასამრჯელოს, ნაყიდ წისქვილს, და აწი აშკარა სიმპათიით, შეუვალი გულშემატკივრობით გაანდობს ბოროტების მთავარ სათავეს, თუ ვისგანაც მომდინარეობს ყოველივე — მუშნისაგან, იგივე ტყუპისცალი ძმისაგან, იგივე ალტერ ეგოსაგან: საღმრთო რაინდი და ბელზებელთა შეფი ტყუპისცალი და-ძმის შთამომავალია.

მუშნი ზარანდია თუთაშხიაა დედით, დათას მამიდაშვილი. მართალია, ბიოლოგია არ ცნობს სხვადასხვა კვერცხუჯრედიდან განვითარებული ტყუპის შთამომავლობის იდენტურობას, მაგრამ გარეგნული მსგავსობა მწერლისათვის დიახაც აუცილებელი პირობაა შინაგანი ასიმეტრიულობის დასაზუსტებლად, რომ თურმე თითქოსდა ერთსახოვანში, თითქოსდა ფორმით ერთარსში, შესაძლებელია ბუდობდეს განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხველი, ჩვენს შემთხვევაში — სატანა და უფალი. ეს მომენტი ბატონ რევაზ თვარაძესაც ჩინებულად შეუნიშნავს ორგზის.

გრაფი სეგედის დაკვირვებით — **„შუშნი ზარანდიას გადავხედე, წამით მოშეჩვენა, რომ ეს ტანხმელი კაცი სკამზე გორგალივით იდო, კისერი ხქონდა მოღერებული“.**

გაივლის ხანი და უკვე პოლიციის სათადარიგო გენერალი ზარანდიას ადრინდელ შეფასებას ამჯერად გარკვევით აზუსტებს: **„როგორც ერთხელ, ოთხი-ხუთი წლის წინ, ისევ მოშეჩვენა, რომ შუშნი ზარანდია სავარძელში გორგალივით იდო და კისერი ხქონდა მოღერებული“.**

გორგალივით რომელი ქვეწარმავალი იღლაკნება და კისერსაც რომელი იღერებს ფაკირების სალამურის ხმაზე, ალბათ, ძნელი ამოსაცნობი არ არის. ქვეშეცნეული, ნაწარმოებისეული სიმპათიები წუთი-წუთ, წამი-წამ გადანაპირდება გრაფი სეგედისაგან თუთაშხიას სასარგებლოდ: თავად ბოროტების უმთავრესი სათავე, მისი უავგუსტოესობის კვერთხისა და ტახტის მეციხოვნე განსდგომია უკვე მუშნი ზარანდიას, სეგედისგანვე აღზევებულს და გასწრებულს ბოროტების ბილიკების აბურდვაში; განსდგომია და სიკეთისაკენ გაუპირდაპირებია, სიკეთისაკენ მიდრეკილა. ალბათ, ესეც არის მთავარი მიზეზი ნაწარმოების ფინალში სახელმწიფო მოხელე გრაფი სეგედი ზედმიწევნით რომ ემთხვევა, სინქრონულდება მწერალში; შეირწყმება ორი სტილი — საყოფაცხოვრებო- კანცელარული და ბელეტრისტულ-ხატოვანი; იდენტიფიცირდება სეგედი-ამირეჯიბი, და ყოველგვარი საფუძველი გამოეცლება შესავალიდანვე გაცხადებულ ვერსიას: თითქოს მწერალი გრაფის ნაწერების ნაწილს თუთაშხიას თანამედროვეთა კარდაკარ სიარულით შეავსებს, შეამთლიანებს.

მწერლისა და მთავარი მთხრობელის ენობრივი ქსოვილი სინთეზდება, თორემ აქამდე ჩინოვნიკურად მოსაუბრე სეგედისგან სრული მოულოდნელობაა ცხოველმყოფელი მიწიერებით გაჯერებული სცენების წარმოდგენა. ზემორე ვახსენეთ: ბოროტება - სიკეთის ჭიდილის მარათონულ გზაზე ნაწარმოების ფინალის მიხედვით გადმობირებულია, ნებსით თუ უნებლიეთ თუთაშხიას საქმეში გახირული პერსონაჟები:

გრაფი სეგედი უკვე აშკარად უპირისპირდება მუშნი ზარანდიას — თუთაშხიასთან კაცს აფრენენ მოსაფრთხილებლად;

გადმობირებულია წისქვილის თხუნელა-ქილერი ბონია— საზღაურად გაცემული **ოთხი,** ძუკნა ძაღლს დამსგავსებული ასულის სამზითვო თანხით;

გადმობირებულია თავად უკანონო მამის სიკვდილის განმახორციელებელი გუდუნა პერტია, იგივე გუდუ თუთაშხია, ნაბიჭვრობის, ბუშობის შხამ-სამსალით გონმოწამლული ყმაწვილი, უკვე ჩვიდმეტი წლისა ტელემაქესავით, მაგრამ ოდისევსის პირმშოსგან განსხვავებით მამის საქმეთა მოქომაგე კი არა, მომშთობი მთლად; და როცა კეფადამეხილი თუთაშხია უკანასკნელი გმირობისათვის შეიმართება, ალიბს ამზადებს ზარანდიას ხაფანგებისგან ცდომილი მემკვიდრისათვის; მალაქია ნინუას სამჭედლოს მიესვენება მთელი ენერგიის დაძაბვით, ბოღაზთან მომლოდინე თეთრ ფელუკას ახსენებს, სამსუნში გადასვლას იმოწმებს, გულიების ქორწილში მუშნისათვის შავი მერნის საჩუქრად მირთმევას ავალებს მოსე ჯგალიას, და შემოქმედის ფანტაზიით კულიტვირებული ფლატედან შურდულივით ჩაიხაფრება ზღვის აქაფქაფებულ მღელვარებაში.

შვილი ვერ წაიწყმედს სახელს მამისმკვლელობით. ვერც შეპირებულ ხუთი ათასი მანეთი დააწვება მის სინდისს წარუხოცელ ბრალდებად. დედასთან ერთად გადაიკარგება სამშობლოდან, აბრაგი თუთაშხია ფელუკით სამსუნს გაემგაზვრაო, ამისი მტკიცებით. მერმე მის ნავალზე სრული სითეთრეთია, დამაბრმავებელი არარაისობა, თუმცა რატომ?! მიტია ჯვარშეიშვილის ნაშიერივით, ვინ იცის, იქნება ისიც თანამემამულეთათვის სავნო-საგოდებელ საქმეთ წინამძღვრობს მიტილენიჩის მსგავსად?

მიტილენიჩი ხომ გორა მბორგალის სულის სარკისებური წაკითხვაა, იგივეა, რაც თუთაშხიასათვის ზარანდია, გორგალივით დახვეული ყელმოღერუბული უნასი;

„ეშმაკების უსტაბაში ხარ, მიტილენიჩ“, (572,) ეხმიანება მოფიქრალ გამომძიებელს მეხუთედ მრბოლელი გორა.

ორივე რომანში რიცხვი „4“ საკრალურ დონეზეა აყვანილი: „თუთაშხია“ ოთხკარიანია; ფონია ოთხი თვე უცდის დათას გამოჩენას; გორას ოთხი გაქცევა ჩაეფუშება. ეს ყველაფერი ოთხთავის საკრალურობისაკენ უბიძგებს მკითხველს უნებლიეთ, და ქვეტექსტურად მიანიშნებს კიდეც წმინდანის გამოძერწვის ასპარეზს.

არავინ უწყის გამოიღებს თუ არა შედეგს დათას მიერ ზარანდიასათვის სიკვდილის საფასურად მიგზავნილი ცხენი, რომელსაც ახლოსაც არ გაიკარებს საღმრთო რაინდის ტყუპისცალი სატანა, მაგრამ მეოთხე წელიწადს გაურკვეველი ავადმყოფობით — მელანქოლიის მძიმე ფორმით აღესრულება: ჩაესვენება ბოროტების მზე, როგორც კი მისი მასაზრდოებელი მუხტი დაიშრიტება — დათა თუთაშხია.

მწერლის სწავლებით, სიკეთე და ბოროტება ურთიერთგადაჯჭვული აქსიომაა. ჩვენ მაცილისეულის დაურვება გვწადია, როგორც რუსთაველთანაა მითითებული: ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო, ანუ ბოროტების დაქვემდებარება საშვილიშვილო საქმეთათვის; მივიღებთ კი ორივეს გაცამტვერებას და მაინც უკვდავების საზრისს წუთისოფლის თვალუწვდენლობაში, ანუ იგივე ზესთასოფლის, მარადიული სამყაროს განზომილებების თანაფარდობა ყოველდღიურთან.

გორასვე ფიქრებით: „ცხოვრება სამჟღავნებელია, კაცი — შიგ ჩაგდებული ფირი“. დაახლოებით იგივე, რაც საუკუნის მიწურულს პრეზიდნტ გამსახურდია რომ დამართებს ჩვენს ბიურგერულ საზოგადოებას, უკეთ ურბანისტულ კასტას — კარონნი თბილისელის სახელით დამკვიდრებულს ქართველი კაცის ცნობიერებაში და საგრძნობლად განტოლვილს ზოგადეროვნული ფასეულობებისაგან, კინტოურთან, კოსმოპოლიტურთან, რაღაც აჯაბსანდლურთან წილნაყარს.

დიდი მწერალი თითო-ოროლა თხზულებაში ამოწურავს ხოლმე სათქმელს. მეტიც რომ დააკაბადონოს, განახალხუროს, მაინც თითო-ოროლაში განსხეულდება არსებითად და დროთა ვითარებაში დანარჩენს, დავიწყების საბიბლიოთეკო თუ სამუზეუმო მტვერი დაეფინება. ხომეროსი „ილიადასა“ და „ოდისეაში“ ზედმიწევნით ამოსრუტავს სათქმელს, თუმცა ბრმა აედს ბერძნული მითოლოგია ხონჩასავით უდგას წინ — არგონავტების ფათერაკიანი მოგზაურობები ოიდიპოს - ანტიგონეიანად, და მაინც უმთავრესს ჩაეჭიდება მამფალი მეხანგე: ფეხმარდი აქილევსის პიროვნულ ტრაგედიას და ცბიერი ოდისევსის მრავალჭირთათმენით მოპოვებულ ტკბილ სიბერეს. ამ ორი ეპიკური ტილოს სარკისებურების თაობაზე სხვაგანაც გვიმსჯელია: პირველ სიმღერას XXIV რომ შეესაბამება, II—XXIII, XII—XIII და ა.შ.

დავაკვირდეთ შინაარსსაც — სინთეზური თხრობის „ილიადა“, სადაც ყველა ფრაზა, შტრიხი, დეტალი ტროის დასაქცევადაა მიმართული; „ოდისეა“ უკვე მოგზაურულ-მოხეტიალურ ფაბულას ირჩევს, გამოცლილია ფეხრთა ქვეშ „ილიადას“ თხრობის ბალავარი, მიატკაცუნებს აფრებს სცილასა და ქარიბდას შორის, უფრორე იმიტომ, რომ პირველ თხზულებაში დაძლეულია მოძრაობის სტატიკურობიდან გადმოცემა, რაც მომდევნოში წესით, შებრუნებული მეთოდით უნდა განხორ-

ციელდეს, ანუ სტატიკურობის მოძრაობიდან აღქმით;

ხომეროსის შემოქმედება ჭოგრიტივითაა, ერთი ბოლოდან ახლო ხედით საჩინოვდება გარდასული რეალობა, მეორე საჭვრეტელიდან შორსაა გატყორცნილი წუთისოფლის ღავღავი.

დანტე ,,ღვთაებრივ კომედიაში'' ჩამოაქანდაკებს უკომპრომისო სულის ფლატეებს;

სერვანტესი ,,დონ კიხოტით'' ქარის წისქვილების ფრთების დგაფუნით შეაბარბაცებს კუზიან ენგიდუნიასაც;

გოეთე ,,ფაუსტთან'' დაატყვევებს მშვენიერ წამს — კაცობრიობის ნეტარ გარინდებას;

რუსთველიც აქ არის ქაჯავეთის ციტადელის დამნაცრავი სამსახოვანი გმირით — ტარიელ-ფრიდონ-ავთანდილით;

ამ საოლიმპო აღმართზე სიზიფეს ლოდს მიაგორებს ჭაბუა ამირეჯიბიც, უკეთ ხურჯინივით გადაუკიდია მხარზე ,,თუთაშხია'' - ,,მბორგალი'', და დაუსრულებელი ქაქანის თუ ყბედობის ფონზე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს სანუკვარი სერობისაკენ, თუმცა ჯერ მრავალი აღდგენითი სამუშაოა მოსამთავრებელი.

დიახაც, მე უნდა დამერღვია ეს მოჩვენებით ოლიმპიური სიმშვიდე მისი შემოქმედების გარშემო, თითქოს ყველა ბასტიონი აღებულია, ყველა ნიშნული ზურგს უკანაა მოტოვებული, აწ უკვდავების წყაროში ჩაყურყუმელავებაღა დაშთენილა უდაბნოეთიდან გამოღეწეულისათვის.

მაგარამ გური ოტობაია კეთილთვისებიანი ლაკმუსია თანამოკალმეთათვის, იგივე ნაწარმოებს ათი წლით შემოხვეული ხარის ტყავია, მესამე თვალისჩინი, ოდესმე უსათუოდ რომ ეწვევა ბედის ნებიერს. და ასეც აღსრულდება, — ,,თუთაშხია'' - ,,მბორგალს'' პირუთვნელი მსაჯული მოევლინება, მაგრამ დარწმუნებული ვარ ავტორისევე სულთამზეობის პერიოდში ჩამოიშოროს მის თხზულებებს ზადი და ხენეში. ასე ნებავს ბედისმწერალს, ასე მზმანებია მე ქრისტეშობის არეალში და ასე განესრულება ყოველივე მეორე ათასწლეულის დამხურავი თხზულებათა საბოლოო ჩამოქანდაკებით.

ბოროტის კეთილად გარდაქმნის მისტიკა უმთავრესი ეზოტერიაა ქრისტიანულ მორალში და თუთაშხიას საგაც ზედმიწევნით აკმაყოფილებს მართლმადიდებლობის ამ უმაღლესი თეოლოგიური კატეგორიის მსოფლგანცდას: ჭონიაც კი, ეს ნაცარქექიას ბადალი ვირთხა თორიას კასრიდან, სიკეთის მთესველ პიროვნებად გადაქცეულა საღმრთო რაინდის სულიერებასთან ზიარებით. გრაფი სეგედის კათარზისზე ხომ ჯეროვნად გვისაუბრია, მაგრამ პერსონაჟის ყველაზე ქვეტექსტური გადმობირება ქალბატონ სალომე ბაზიერაშვილ-ოდიშარიასთანაა.

ჯერე ერთი, იგი მონასტრის ცვილისფერ ცხოვრებას ზურგს შეაქცევს და მონაზვნის აღკაზმულობას ჩითის ჭრელაჭრულა სამოსალზე გაცვლის; მერედა, ეფემია წინამძღვრის თუთაშხიასთან დიალოგში, როგორც მადასტურებელი ძალა ოთხგზის გამოესარჩლება ოთხთავის პოსტულატებით საღვთო რაინდის პერსონას, მიუხედავად მოსალოდნელი უმკაცრესი სასჯელისა, ოდეს თუთაშხია მხოლოდ ქადაგების სახსარ-ღონეს, მოქმედების უვარგის ტაქტიკად შერაცხავს და ძალის აუცილებლობას ახსენებს მიზნის მიღწევის მართებულ საშუალებად.

ჯერაც ვერ ამაღლებულა მისი სული სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის ფორმულამდე, ,,რამეთუ უმჯობეს არს ჩვენდა, რათა ერთი კაცი მოკუდეს ერისათვის, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდესო''. და წინამძღვრის განაჩენი — ,,ეშმაკეული არს და ცბის'', უკვე ოცი წლის მონაზონ გოგონასაც ეკუთვნის თუთაშხიას მხარდამხარ, როგორც თანამზრახველს, როგორც საღმრთო რაინდის მოსარჩლეს სულით და ხორცით. სხვათა შორის აღსანიშნავია აქვე, რომ თუთაშხიას დიაპოზონი საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს, ნებისმიერ კატეგორიას შეეხება ანიდან ხოემდე, გარდა მღვდელთმსახურების და საგიჟეთისა.

აქაც დაფიქრების საგანია ავტორისეული პოზიცია, ვინაიდან ამისთანა კოლორიტულ სფეროებს არაფრით გაუშვებდა ხელიდან გონსასეირო ამბებს დადარაჯებული ბელეტრისტი. აქ ქვეტექსტის პასუხად ერთი სახიერი ვარაუდი ამოიზრდება ოდენ: უფლის სახლად მიჩნეული ტაძარი ამაზრზენობაა თუთაშხიასთვის, როგორც ქრისტეს საქმეთა გამრუდების უმთავრესი სათავე, ვინაიდან დიახაც საავკაცო ქმედებისავთის უფრო მიდიან ისინი მონასტერში, ვიდრე მაღალზნეობის სამსახურად; ამიტომაც, ბუნებრივია, თუთაშხია აღარაფრით აღიკვეცება ბერად, აღარაფრით შედგება იგი რუსეთის მონასტერში მღვდელმსახურად, მით უფრო— სხვა გვარით. ეს უკვე დასაწყისშივე დამარცხებული საქმეა, რამეთუ საზოგადო ბედნიერებისათვის ერისკაცობა სჯობია, საიდანაც გამარგვლის მეტი საშუალებაა, თუნდაც ეს სამოროდო განწყობილება სატანისაგან მომდინარეობდეს.

ჯერხანობით ხომ მთვარის ფავორიტს ბოროტებასთან საბრძოლველ იარაღად თვითზვარაკეუ-

ლობა არ აურჩევია ერთადერთ უცთომელ სახსარ-საშუალებად? და ეფემია წინამძღრისაგან ლამის დამდაბლებულა, ლამის ფეხით გათელილა ბრბოსთან გათანაბრებული მისი ფენომენი: ,,ამის უფლება მხოლოდ მესიებს აქვთ", ,,მხოლოდ მესიებს", თანაც, ,,ისიც მაშინ, თუ საამისოდ ვითარება არის მომწიფებული"! როგორი განაჩენია ყოველივე ბოროტებასთან დაუსრულებელ ჭიდილში გათანგული აბრაგისათვის?

თითქოს წყალია გადასხმული თუთაშხიას ყოველი მუშაკობისათვის. ამიტომაც რა გასაკვირია, იგი აღარასოდეს შედეგს ბერად. ეფემია წინამძღვარიც ხომ ვალს მოიხდის უფლის, დათას წინაშე, როგორც ხელდასხმული, როგორც სისხლით ნათესავი თუ სულაც მალვით მიჯნური, იმისდა მიუხედავად, ეფემია დედით თუთაშხიაა?

აქ ერთ დეტალზე ყურადღების გამახვილება უთუოდ ღირს:

დათა თუთაშხია, რომელიც ეკრანული ცნობიერებით შემოსულა საზოგადოებაში, რამდენადმე განსხვავდება წიგნიერისაგან. აქ, ჯერ ერთი, ყველა მთხრობელი ამოყრილია მოქმედებიდან და მათ ადგილას თავად რეჟისორის ობიექტივი გვევლინება, მაგრამ ზოგჯერ კომპოზიციური მთლიანობისათვის თუ ნაწარმოების სიმკვიდრისათვის მოგონილი ხერხი განაბნევს თხზულებისმიერ რიფებს, მეჩეჩებს, ჩვენი გულისხმიერების წილ საგანგებოდ დახაფანგებულს. მსგავსი ქმედებანი ავტორს სრულებით არ სჭირია, მისთვის უმთავრესი თუთაშხიას პიროვნების სრულყოფილი აღდგენაა, და დანარჩენს მნიშვნელობა დაუკარგავს, უკეთ ნებისმიერია თუ პერსონაჟთა ცხოვრებანი ერთმანეთს ვერ გადაკვეთენ, ან პირიქით მეტი შეხების შესაძლებლობა გაუჩნდებათ და ამით ნაწარმოების კუთრი წონა გაიზრდება.

რომანის ქსოვილის სტილური თავისებურება ეპისტოლარულია, თუმცა ყველგან შენარჩუნებულია ქრონოლოგიურობა მოქმედების განვითარების თვალსაზრისით. სისტემაშია მოყვანილი მასალის მოწოდების თანამიმდევრობის პრაქტიკაც.

გრაფი სეგედის მახერხემლებელ მეგზურობას მიზანმიმართულად ავსებენ აბრაგთან ნაკონტაქტები პიროვნებანი:

ტერორისტი ნიკიფორე ბუბუტეიშვილი;

კაციჭამია ვირთხების გამომყვანი ქუჯი თორია;

იურიდიული კანტორის მესვეური ირაკლი ხურციძე;

პოლიცმაისტერი ნიკანდრო ქილია;

აბრაგი თუთაშხიას კოლეგა — ყაჩაღი ბექარ ჯეირანაშვილი;

ზარანდიებთან შვილივით გაზრდილი შავლეგ გოგინაშვილი — იგივე შალვა ზარანდია;

ხელმინთოლოგი რობერტ პავლეს ძე ხაპლინი, იგივე ყაფლანიანცი — თაფლიანიძეებთან, სამადაშვილებთან, ფარლაღაშვილებთან ნაზიარები სისხლით, შემდგომში კაპლანად მოვლინებული ქვეყანას და რევოლუციის წლებში ხაპლანად გადანათლული ლენინის ქილერი ქალის შიშით, გვარნაცვალი, მოყურადე, მეხუთე კოლონის ტიპიური სალდაფონი სტუკაჩი;

ალექსი სნეგირი — პროფესიონალი რევოლუციონერი;

შალვა თუხარელი;

ყალბი ფულის მჭრელი ვასო გოდერძიშვილი, სხვანი და სხვანი... აქ ყოველი სიტუაციის თუ სიუჟეტის სულისჩამდგმელი გრაფი სეგედი ან მწერალი ყოფილიყო, თითქოს არაფერი შეიცვლებოდა, მოქმედების განვითარების სქემა იგივე დარჩებოდა; შენობა კომპოზიციურად იგივე აღნაგობას შეინარჩუნებდა, სამაგიეროდ დაირღვეოდა თავად ნაწარმოების სტილისტიკა, ენობრივი ფენომენი, რომელიც ,,დათა თუთაშხიაში" ერთ-ერთი უდიდესი შენაძენია, ვინაიდან როგორც ადრე აღგვინიშნავს, თხზულებში მკვეთრადაა გამიჯნული მწერლის უმწირესი ჩარევები პერსონაჟთა მონათხრობისაგან და მითუფრო მთავარი მესვეურის — გრაფის სეგედის მონაყოლისაგან.

ავტორს, ცხადია, ბუნებით ებოძება ღვთიური გამოცდილება, ცოდნა პერსონაჟის სპეციფიკურობის თაობაზე; რომ მეურმე, მჭედელი და აფთიაქარი გამორჩეული ენობრივი ქსოვილით ახასიათებენ ერთსა და იმავე სინამდვილეს: თვითეულს პროფესიული, და აქედან გამომდინარე — ტემპერამენტული თვისებიდან, განსხვავებულ ტემბრს, ხასიათს დაანათლის განგება; ამიტომაც მათი მონათხრობით აღდგენილი მოვლენა ვერაფრით დაემთხვევა ერთმანეთს დროსა და სივრცეში, აკუტაგავას ნოველის ,,უსიერ ტყეში" მსგავსად. ამ სამი მოსაუბრის თვალწინ ჩაქროლილი ეტლი განსხვავებული ფორმა-შინაარსისა იქნება, სამივე ინდივიდუუმის გათვალისწინებით.

ერთგან თავად ეტლი წამოიწევა მეტის სიცხადით;

მეორეგან ცხენების მოსართავები, ბორბლების აღკაზმულობა და დაჭედილი ფლოქვების თემშარაზე ანაპერწკლება;

მესამესთან ნეფე-პატარძლის ზიზილ-პიპილები, სუნამოს სურნელი თუ გახვითქული მერნების ოფლისგან დარჩენილ ნესტოთა თროთლვა.

ეს ანაბანა ავტორს ზედმიწევნით გაუთავისებია. იმიტომაც ელვარებს ათასფრად თუთაშხიას გარშემოწერილობა მთელის სისავსით, ვიდრე ფინალში სეგედისა და მწერლის ფენომენი შეწყვილდებოდეს; შესინთეზდებოდეს მთხრობელ-ავტორი იდენტიფიკაციის ქვეტექსტური მოტივებით. ალბათ, ესეც უდიდესი ამაგს დასდებს ,,თუთაშხიას'' ზედმიწევნით გახალხურებას.

დღევანდელ თუ ისტორიულ საქართველოში იშვიათია ლიტერატურული გმირი, რომელიც პოპულარობით ,,საღმრთო რაინდს'' გატოლებოდეს; იგი დიდი ხანია უკან ჩამოიტოვებს ღვთაებრივ ავთანდილებს, ბაში-აჩუკებს, მამლუკებს, ოძელაშვილებს, ემუხვარებს და არსაკიძეთ; თანამედროვე ხელგარჯილობანი ხომ ახლოსაც ვერ მივლენ;

თუთაშხია დაიპყრობს ყველა სიმაღლეს. დღეს რიგითნი, თუთაშხიას სიტყვებს აზომებენ არსენას არშინითა და არსაკიძის მკლავით; ,,თუთაშხიას'' კოორდინატებიდან განვჭვრეტთ სამყაროს და მის ყბაში მოქცეული ადამიანის ბედ-ილბალს; ვადგენთ სიკეთე-ბოროტებას შორის არსებულ დისბალანსს, და რადგან თუთაშხიას ეკრანული ვერსია ერთგვარი გამარტივებით შეძლებს ზედმიწევნით მიიტანოს საზოგადოების ფართო ფენებთან ნაწარმოების ძირითადი მიზანსწრაფულობანი, აწ დაუნჯებული მკითხველი მეტის გაფაციცებით მისჩერებია ფაბულის ამკინძავ მალებს, მათ შორის დამყარებულ ნერვიულ შეერთებებს;

ვამწვერვალებთ ზემოთ განვითარებულ სენტენციას, რომ თუთაშხია ბერად ვერ აღიკვეცება, ვინაიდან მისი ცხოვრების უმთავრესი კრედო— სამკალია: სხვანაიარად არ ძალუძს, და ასევე ვერც ყვითელი სახლის მოწყენილობისათვის გაიმეტებს სულს კევინ კიზის ინდიელების ტომის ბელადივით, რომანიდან: ,,ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა''.

საზოგადოების აი, ეს ორი სფერო გამოხშირულა ,,თუთაშხიას'' სივრციდან, როგორც ზედმეტი ბარგი, როგორც ზედმეტი სამკაული, ვინაიდან თეოლოგიურ ნავსაყუდელს თუ სულპყრობილთა სავანეს ზედმიწევნით შეესაბამება თავად ქუჯი თორიას კასრი — ქვეყანა, საწუთრო, წუთისოფელი, და რა აუცილებლობაა ამერიკის ხელმეორედ აღმოჩენა, ღია კარების მტვრევა, ისიც დათა თუთაშხიასნაირი ჭეშმარიტების მაძიებელი კაცისაგან?!

ცოდნოდა ,,ცნობიერების ნაკადის'' მეთოდი ბატონ ჭაბუას, ამ მისიას უფრო მოხერხებულად გაართმევდა თავს, მეტის მომჭირნეობითა და სამიზნეთა ათიანების დაჟაკანებით;

ნაწარმოების ეპიცენტრად ამისთანა შემთხვევაში უცილობლად თორიას ლაზარეთი მოგვევლინებოდა — როგორც ქვეყნიერების სიმბოლო რკინის კასრთან ერთად. მაგრამ ვინაიდან, სხვაგვარია თხზულების სტილისტიკა, ჩვენც არსებულით ვიმსჯელოთ, უკეთ გადავხედოთ მწერლის ოსტატობის გენეზისს ,,თუთაშხიადან'' ,,მბორგალამდე''.

ორივე თხზულება მოცულობით ლამის იდენტურია — მონუმენტური. პირველის შექმნის თარიღი რატომღაც ნიველირებულია, მაგრამ მეორე ათ წელიწადში შექმნილა — 84-დან 94-მდე. ,,თუთაშხია'' ტრადიციულ თხრობითობას ირჩევს ამოსავალ წერტილად, მეთოდად; ხატოვნებას, ფერწერას დიალოგების მეშვეობით. განგებ არ ტენის გვერდებს ზოგიერთი ბელეტრისტივით; განგებ არ ანიჭებს ლითონსხმულის, ზოდის ფორმას, თუმცა არქიტექტონიკით, სჯა-ბაასისათვის დამახასიათებელი ინტონაციითაა ასასახი.

პირველი რომანი ოდეს გმირის განვლილი ცხოვრების ქრონოზაციასაა დაქვემდებარებული, მეორე რამდენადმე ქაოსურია, და თითქოს ემორჩილება ,,ცნობიერების ნაკადის'' ხასიათს, მაგრამ ეს ,,თითქოს'' შემთხვევით არ მოგვიშველებია, ვინაიდან მხოლოდ გასაუბრება საკუთარ თავთან, მხოლოდ გაბაასება საკუთარ მესთან, არ კმარა ქვეცნობიერის ამოსამზევებლად.

სულაც არ არის შეძრწუნებული გორა მბორგალი. მისი მარათონული მარბენლობა, გლეჯვითთუ ხვრელში მძრომელობით, ასპარეზია დიახაც — საკუთარი წარსულის ზედმიწევნით გაშუქებისათვის.

თანაც რაჟამს გზა ოთხი თვის სავალია, მისახვედრებელია, როგორი პროპორციით უნდა შეზავდეს ახლანდელი დრო ნამყოსთან;

ჩვენი მაგალითით კი გორა მბორგალი სამჯერ მეტს ფიქრობს ვიდრე მოქმედებს. ესეც მისაღებია ,,ცნობიერების ნაკადის'' სტილისტიკის ნაწარმოებისათვის.

,,სიცოცხლემისჯილი'' და ,,როკი'' თანამიმდევრულად აკონკრეტებენ ქვეცნობიერის გამოვლენის ტექნიკას: ფოლკნერ-ჯოისის ხელწერა აქ შედარებით გამარტივებულია, გაიოლებული სამამულო ვითარების გათვალისწინებით და სადაც მომენტი, დეტალი ქმნის მსგავსი ვითარების რესტავრაციის აუცილებლობას, გადამღერებულა, თუმცა თავად ქვეცნობიერის გამოვლენის უმ-

თავრესი შტრიხები კვლავაც ბურუსითაა დაფარული და ვინაიდან შინაგანი მონოლოგის თხზულებანი: ,,არტისტული გადატრიალება", ,,აველუმი", თუ ,,გორა მბორგალი" ტრადიციული მეთოდებით ასახავენ ქვეცნობიერის გამოაშკარავების ტექნიკას, ვეღარ მოუმარჯვებიათ ქვეცნობიერის განამდვილების იარაღი, გადაჭრით შეიძლება ითქვას: ქართული ბელეტრისტიკის ორათასწლეული ვალში დარჩენილა ამ მეთოდის წინაშე □ერთი მერცხლის ჭიკჭიკი ხომ გაზაფხულს ვერ მოიყვანს), ხოდა, ვინაიდან, ,,ცნობიერების ნაკადი" ოცდამეერთე საუკუნის გადასაჭრელ დილემად ქცეულა, ისევ ,,მბორგალის" აღნაგობას დავუბრუნდეთ.

აქ ოფლში მცურავი მარბენალი, რომელსაც ,,პირში ჟოლოს გემო ხქონდა და ხაერში მყრალი ოხშივარი ტრიალებდა", დიახაც ჟოლოს ფონემასაა დადარაჯებული თხრობის წნულების, კვანძების გასაჩაღებლად: ,,კაცო, თუ რესტორანში ვარ, იქ ჟოლოს ჩაროზი ბოლოში იციან, არადა... შეხედე ამ ბებერს! ექიმიც ყოფილა, ჟოლოს ჩაი დამალევინა, ოფლი მომადინა".

აღმოჩნდა, რომ დიდი მსაჯულივით ამირეჯიბი წაუკითხავს არაფერს სტოვებს, და საამჟამოდ მისი მწერლური სტილისტიკა 180 გრადუსით გაემიჯნება ტრადიციულ თხრობას.

,,სიცოცხლემისჯილის" პირველი წიგნის გმირი — ბედისწერით შეძრული ფრთოსანი ჭიანჭველა — მოეხეტება თოვლჭაპიან გზაზე, საკუთარი პიროვნების წაშლის რეალობით სულშეძრული, კვენტინ ქომპსონის დარად შეძრწუნებული, და მხოლოდ მოგვიანებით, დიდი ღელვების გადავლის შემდეგ მოიცლის ერთ ჭურჭელში ორი პიროვნების დასაფიქსირებლად: ბონდო ხალიძონია და ბუტუტი ხანთარიძე ციხიკურ დიალოგში ჩაერთვებიან, ვინაიდან სხვაგვარად ძნელია ქრისტედ მოსავლენი პიროვნების წიაღში ნორმალური, ადამიანური მსჯელობის გამართვა ცაბაოთის პრობლემაზე:

,,გორავ, საყვარელო! პოედიმ კ პალკინუ" — ეუბნება ალტერ ეგოს მომასლაათე გორა. ,,იყრანტალონო" შემოიშველიებს დასახელებული წიგნის ინტონაციას. და როგორი დამაფიქრელიც იყოს მბორგალის კოლექტორიდან გამოქცევა, მის დეტალიზაციას მწერალი თავს ავადმყოფურად არიდებს.

ზონების, უჟლაგებისა და ვეტლაგების ბინადართა თქმულისამებრ ხვრელით გასაქცევი არტერია ათწლეულობით მზადდება. იქ ბარი და ნიჩაბი ძალყინ-წერაქვიანად სრულიად გამოუსადეგარია, ვინაიდან მამლის ქურდის გამოცდილებისამებრ, ფიცს ერწმუნები, მაგრამ კუდი გაგაოცებს. იქ, ხვრელში, დიახაც სანტიმეტრობით გასწევენ მიჯნას, ათწლეულობით. თანაც მემაღაროეს ნიკაპი მიწაზე უდევს, კეფა გვირაბის ჭერს მიგლესვია, საგანგებო ხალათი აცვია, გუშინდელი გვარდიელის აღკაზმულობის იერისა, ათეული გარეჯიბით დამშვენებული; ხოდა, ნუღარ გაგვიკვირდება, კოვზით, დიახ, დიახ, კარგად აფხიანებული კოვზით, მუჭა-მუჭა შემოაქვთ გაფხვიერებული მიწა; ჯიბეში იყრიან, ბრუნდებიან საკანში, პარაშაში ცლიან, ჯოხით კარგად მოურევენ დურდუბოში. ამგვარად გაიტანენ ზედამხედველის თვალის ასახვევად. თორემ ,,მბორგალის" მიხედვით, გლეჯვით გაქცევა დახატული თუა, ხვრელით გაპარვა ფრიად ორიგინალურია.

ციხეში პოლიტიკურები და კანონიერი ქურდები ერთმანეთს რისთვის ვერ ხგუობენ, ესეც დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენს. ქურდისათვის ციხე მეორე ოჯახია; ამას ამირეჯიბიც ცნობს, მაგრამ მათ შორის კონტაქტი აბსოლუტურად რომ გამოირიცხება? საქმე ის გახლავთ, რომ ქურდს, როგორც ასეთს, სამშობლო არ გააჩნია. ის კოსმოპოლიტი პერსონაა; მისთვის პატროფილური განცდები მეორეხარისხოვანია, რელიგიაც— სხვათა შორის. ქურდისთვის მთავარი კრიტერიუმი საკუთარი სახელის შეუბღალავობაა და მოსაქაფი არენა.

ამისთანა პირობებში, როდესაც ზონაში მეკუჭნავედ მოკალათდები, აქ ასაკი ვერაფერი გამართლებაა. ეს უკვე ციხის ან ზონის ადმინისტრაციასთან გარიგების ტოლფასია, კომპრომისის იდენტური, მეტიც — სავარაუდო სტუკაჩობა, კრუხსაც რომ უწოდებს მრავალნატანჯი მწერალი, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავაცნობიეროთ, რომ პოლიტიკურებში ქურდული კლანი მომავალ დამსჯელს ხედავს, სახელმწიფო მოღვაწეს, კანონმდებელს ბოლოს და ბოლოს, რომელიც ადრე თუ გვიან ჟილეტს განუმზადებს მომთვინიერებელ განაბს, თუ სულაც ხის ბუშლატს — კუბოს — ამირეჯიბისებურად?

ხოდა, ამისთანა ვითარებაში ყოვლად გამორიცხულია პოლიტიკოსებსა და კანონიერ ქურდებს შორის რაიმე თანამშრომლობაზე საუბარი, რომ აღარაფერი ვთქვათ ხელშეუხებლობაზე. ციხეში, ზონაში, პოლიტიკურებიც უკლებლივ ქურდების დაკრულზე ცეკვავენ ზეკებივით, მუჟიკებსავით თუ იგივე შობლათა მსგავსად. ამით სატუსაღოების ცხოვრების წესი არ იცვლება. მოკლედ, ფრიად გასაკვირია გორა მბორგალის მეხუთე გაქცევა, რომელიც ვინმე ფილიპოვის მომზადებულია ზედმიწევნით. ზედ კოლექტორზე დაშენებული ერთ-ერთი ბანაკი გორას სამფლობელოა, სადაც მეკუჭნავეობით ირჩენს თავს, თორემ ხვრელიდან როგორ გამოეტევა ,,თბილი საცვლებით, მოხერის სვიტრით, ირმის ბეწვის შარვლით, ჩუქჩური უნტებით, ირმისვე კაპიუშონიანი ზედატანით, დუნდულს

ქვევით მკვიდრად შემოსაკრავი ზორტით, მერე ყურებიანი ბეწვის ქუდით, ამის ზემოთ რეზინის წებოში ამოვლებული ტილოს ქარგაუმტარი ბალახონით და სულ გარედან — თეთრი, წვივებამდე ჩამოშვებლი, უსაშველოდ ფართო ნიღაბხალათით, რომელსაც საგანგებო კონსტრუქციის წყალობით □კონსტრუქციას შენობაზე იტყვიან. ჯობია, ფორმა, გ.ო.) კარავის მაგივრობაც უნდა გაეწია", ამას ზედ დავურთოთ ზურგჩანთაც და მისახვედრებელია რამხელა ხვრელის გამზადება დასჭირდებოდა გორას.

აქვე ცდომილია, ალბათ, გამქცევთა ჩამწკრივება ორმოცდასამმეტრიანი ხვრელის წიაღში, თანაც გონსასეიროდ, დუნდულოში დანის ჩხვლეტა. ასეთი სიხალვათე კი „ხვრელების გიჟ" კარაპუხინს კი არა მემაღაროეებს თუ მეშახტეთ შეშურდებათ! ხოდა, ამნაირად აღკაზმული გორა სამ ათასეულ კილომეტრთან დაჭიდებას რომ განიზრახავს მშობიარე ქალივით აკივლებულ პურგაში, რომელმაც უნდა გააჩინოს მბორგალი თოვლეთიდან, ყინვის სულიდან — იგლუსიდან — ყინულის ლოდების სახლიდან, საადამიანოსკენ, კორიდასკენ, რელსებზე დასაჯდომად და სხვა არაფერი, არანაირი ცხოვრებისეული მიზანი თუთაშხიასთან მოზომილი, თუთაშხიასთან დაგეზიანებული.

უნებლიეთ გებადება კითხვა: საკუთარ თავთან გაჯიბრება და შენეული სისუსტეების დაჯაბნვა თუკია მიზანი, ესეც მცირე ბარიერი როდია, „თუთაშხიასვე" გამოცდილებით, მაგრამ ნივთიერ, ხელშესახებ სივრცეში, როცა გადავიყვანთ ორივე ნაწარმობის კუთრ წონას, დათასთვის მახლობელი რძის პროდუქციით, „თუთაშხია" შებოლილი სულგუნის სადარია, ჭიისთვის მიუკარებლი, საშვილიშვილო. სულუგუნის ბოლში გამოყვანას წინ უსწრებს რამდენიმე პროცედურა: შედედების სემანტიკა, მაჭიკნასვამი რძე ოდეს შესქელდება და მთვარესავით ყველს დაბადებს ნაცადი ხელი, ამისთანა საკვებს, ჭყინტს ვეძახით — უამრავი კერძეულის ნედლეულს, მაგრამ შესანახად უვარგისს. ბუნებრივ პირობებში უმარილოდ მალე ამჟავდება, აფუვდება და ძვირფას თვისებას კარგავს, ხოლო დამარილებული საღეჭი რეზინასმაგვარია, მწკლარტე.

ქართველს ემარჯვებოდა ჭყინტი ყველის სულუგუნად გარდაქმნის, გურმანობა: ექიმი — ნუა. თითქოს გადაზელვის პროცესში ჭყინტ ყველს აკლდება შრატის სახით ცხიმი, ერბოვნობა, მაგრამ წარმოიდგინეთ, ახალ თვისებრიობას იძენს იგი, ახალ საფეხურზე ააღწევს და უკვე სულუგუნად გარდაქმნილი რამდენიმე კვირა-თვე იხანგრძლივებს სიცოცხლეს; თუმცა ისევ წამოტივტივდება შენახვის პრობლემაც. უმარილოდ სულუგუნიც ვერ ძლებს დიდხანს და აი, აქედან, ამ მეორე ტექნოლოგიიდან, თუთაშხია მწყემსი სამზადის ოჯინჯალეზე ჩამოაკონწიალებს სულუგუნის წყებას შესაბოლად და დროთა ვითარებაში კვამლისგან გაჯერებული გამზადებულა კიდეც სამუდამო არსებობისთვის.

ჩასვენებულა დაკონსერვების, „დაცელოფანების" თუ სხვა ღონისძიებათა უმწიფარი მსოფლიო გამოცდილებანი: შებოლილი სულუგუნი — ჭყინტი ყველის მესამეული მეტამორფოზა — უკვე სრულყოფილების საუფლოში დაამკვიდრებს მას, და უხეშ შედარებად რომც ჩამოგვერთვას, „თუთაშხია" ამ უკანასკნელის ტიპისაა, ცრემლისმომდენი კვამლით გაჯერებული, ხოლო „მბორგალი" ჯერაც ვერ გაცდენია დამარილებული ჭყინტის აღნაგობას, კაზლას რომ ეძახიან თუთაშხიასვე სამშობლოში.

სტილის გადაბრუნება, ნაწარმოების ხარის ტყავში ათ წელიწადს გამოხვევის აუცილებლობა „თუთაშხიას" ზედმიწევნით გამოუვლია, ხოლო „მბორგალი" ამ საფეხურებს შიგადაშიგ საჭიროებს მოშველიებული უზარმაზარი ინფორმაციის დაწდევების, გამოხშირვების თუ სულაც ამპუტაციის თვალსაზრისით.

აქ ფიქრი ფიქრისთვის მოშველიებულა და არა — თავად გმირის შინაგანი სამყაროს დასაფიქსირებლად. ხელოვნურობის ნიშნით აღბეჭდილა ლამის გიგანტი ფიჭვების წარმტაცებელ პურგაში საბჭოურ რეჟიმს გამოქცეული პატიმარი, რომელსაც უარეს შემთხვევაში ზონის შესასვლელთან დახვრეტა ელის სხვათა ჭკუის სასწავლებლად, ან უკეთესობის პირობებში სამუდამო ტუსაღობა. და მიუხედავად ყოველივესი ჩინებულად მორგებია გარემოს იაგორ კარგარეთელის საძილე ტომარა. მწერალი გაურბის ახლანდელ დროს, მწირია პრეზენსი მარბენალის პულსაციიდან. ის თითქოს წარსულით იცოხნება, რომელიც მის თავზე როდი დატრიალებულა წისქვილის დოლაბივით, არამედ მთელი ქვეყნის ტრაგედიაა, მაგრამ ვერბალურ რესტავრაციებში იკარგება „თუთაშხიასეული" ჯადოსნური დასწრების ეფექტი თუ თავად თხრობის მრავალპრიზმიანობა.

ნებიმიერ ფსიქოლოგიაში ფროიდები, უზნაძეები, ქვეცნობიერის პრიმატს ანიჭებენ უპირატესობას, როგორც ადამიანის შინაგანის წარმართველ ძალას, როგორც იმანენტურის გარეგანში გამოვლენის ქვაკუთხედს, მაგრამ „მბორგალისათვის", ფიქრი სატვირთო შემადგენლობებით მოიზიდება, კუბმეტრობითა და ვაგონებით; მას არ ახასიათებს მოწოდების იმპულსური თავისებურება, მხოლოდ

გეომეტრიულ მოცულებითობას ემორჩილება და გამოირჩევა ძალდატანების ქოლერიკული ხელწერით.

არადა, საბჭოური ლაგერებიდან ხუთგზის გამოქცეულს, საწუთ- როს ხუთგზის გამმეტებელ პერსონის სულიდან არ შეიგრძნება სიმწრის თუ შეჭირვებულობის სურნელი: თითქოს კაფე „როტონდადან", ან „მულენ რუჟიდან" გვეხმიანება მწერლის დაუდგრომლობა, რომელიც ძირითადად ავტობიოგრაფიული ხაზისაა, დოკუმენტურობის უტყუარი სამხილი მასალით გაპოხილი და ამდენად, მემუარული სტილის იწილობიწილო, ნაკლებად რომ ეკონტაქტება გამონაგონს, უფრო მტკიცებითი მნიშვნელობისაა, მწერლის ბიოგრაფიის დამადასტურებელი გუჯარ-სიგელია, იმიჯის ალიბი. ფსიქოლოგიაში კი ცნობილია ფრაზა: ვინც ამტკიცებს, ის ტყუის. ესთეტიკური პოზიციიდან „მბორგალის" გაუმართლებელი წიაღსვლების მიუხედავად, მოიძებნება მკითხველის წარმართველი შინაგანი ჭიდილი დამთრგუნველ ძალასთან, მიტილენიჩთან, იგივე სატანურ საწყისთან, რომელიც ქართული წარმოშობისაა, „ჩორტ ნერუსკია", მიტია ჯვარშეიშვილის წუთიერი გატაცების უმისამართოდ გაბნეული თესლის ამოჯეჯილება და მაინც ზარანდიას შეუპოვრობით მომართული მიზნის მისაღწევად.

პერიფერიული ზონები და საპატიმროებია მისი სტიქია. ლიანდაგის სიახლოვის სატუსაღოები მიტილენიჩის მაძიებლურ სულს აღარ აკმაყოფილებს, ვინაიდან მარბენალი ორი-სამი საათის მანძილზე ხალხმრავალ ქალაქში ამოხყოფს თავს და სამუდამოდ გამსხლტარია ხელიდან კუდით დაჭერილი თევზის მსგავსად. აქ კი სრული მარათონია, უკიდეგანო სივრცე, თეთრი უდაბნოეთის დივიზიონი, მონუმენტური ციებ-ცხელება. საკვანძო პუნქტები ასეული კილომეტრით მოშორებია ერთიმეორეს, როგორც უდაბნოეთის ჭებია და ოაზისები, ყუმლეთი; წყურვილით სიკვდილი ელის საკუთარ ბუნებაში ჩაუხედავს, ტლუს და უგუნურს. ამისთვისაც მიანიშნებს ავიცენა, იგივე იბნსინა, შვილი სინასი: მიირთვი წყარო საკუთარ აუზიდანაო, მაგრამ ქალივით აკვნესებულ პურგაში როგორ გინდა გააღწიო ფიქრის და ოცნების უნარს მოკლებულმა ადამიანმა?!

აქ მედიტაცია, დიახაც, ავიცენასეული ფორმულის მისადაგებაა განსხვავებულ ვითარებასთან: თუ გინდა გადარჩე პურგაში, მიიირთვი ფიქრი საკუთარ სულიდანო, მოგვითარგმნის მბორგალი და რეცეპტი თითქოს უტყუარია, მაგრამ ცდომილი თავად ამ ფიქრის მოწოდების პრაქტიკა გვესახება: გაოჩნებული ნახირის მორეკვა გაცხადების ქართაში და არა უშურველი ბუნებრიობა. გაქცეული კაცის მდგომარეობიდან გამომდინარე ათასობით კილომეტრის გადალახვის ერთადერთი საშუალება — ფიქრი ვეღარ იქნება სწორხაზოვანი, მაინცდამაინც ერთმიზნიერი, ერთი მიმართულების. აქ იგნორირებულია თავად ადამიანის შინაგანი სამყაროს მოძრაობის თავისებურება, რომ მდინარისგან, თუნდაც სხივისგან განსხვავებით, ფიქრი სწორხაზოვან ტალღობრივის ნაცვლად სპირალურად მოძრაობს, ანუ გარკვეული წინსწრაფვის შემდეგ, უბრუნდება საწყის მდგომარეობას, ექვემდებარება განშტოებით მსვლელობებსაც, რომელმაც A პუნქტიდან B-სკენ მიმავალი შესაძლოა Z-სთან გადაგისროლოს და თავად ფიქრით მოხმობილი მასალის თავისებურებამ D-ში დაგაბრუნოს, კვლავ „იფსილონთან" მიგასწრაფოს და შემდგომად D-სთან, გახეტიალოს ერთხანობას „E", „F", „G", „H", მწკრივით და ისევ წამოუაროს „იქსებისკენ" თუ „იგრეკებისკენ".

ყველაფერს შეიძლება მიეჩინოს კალაპოტი სურვილისამებრ, მდინარის ტოტს— წისქვილის ღარში მისაშვებად; თავად მდინარეს — ხიდროელექტროსადგურის მძლავრი ტურბინების დასატრიალებლად; მზის სხივსაც კი პრიზმებისა და სარკეების მეშვეობით; მარტენის ღუმელში გამლღვარ მოთუხთუხე ლითონსაც დასაგლინად, მაგრამ სტიქიას და ფიქრს ვერაფრით დარაზმავს ვინმე ყაზარმული წესრიგით, ვერანაირად შებოჭავს ცოდნის და კანონზომიერების არტახებით. რაიმე სქემით და მიზანდასახულობით მსგავსი პროკრუსტეობა, თავად ფიქრის ხასიათის უცოდინრობაა, ინფანტილური უმწიფრობა ასაკმოყრილი დაუნჯებულობის საწინააღმდეგოდ.

ფიქრი, მართალია, გარკვეული დროის მონაკვეთში კი ემორჩილება ადამიანს, ექვემდებარება მის მაკონტროლებელ ძალას, მაგრამ საკმარისია პიროვნებაში ჩაერთოს შინაგანი ძალისხმევა, ქვეცნობიერი მომენტი, რომ მყისვე გადააცდენს დაწესებული კალაპოტიდან და აქამდე ნილოსის მდინარებას ატორღიალებული, შესაძლოა არაგვის სიგიჟმაჟეში გაიხლართოს;

ასე რომ, საკუთარ თავთან დარჩენილი, მსუყე პასაჟებს ვეღარაფით წარმოაჩენ იმ თანამიმდევრობით, როგორც ამას ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი ახერხებს „გორა მბორგალში".

მოვიშველიოთ ტიპიური მაგალითი:

„გორა ჭაში გამოხოხდა. ზეზე ადგა, ღრმა ამოსუნთქვას დაფრუტუნება ამოაყოლა, ჭის სარქველს ფარნის ჭავლი მიაბჯინა. კარში შავი პურგა მძვინვარებდა. მიაყურა, კვნესის მაგვარი რამ გაიგონა". (ეს მწერალია — გორას გარეშემო არსებული ნებისმიერი ინფომაციის საცავის გამგებელი და წარ-

მართველი ამავდროულად).

,,როგორი ნაცნობი ხმაა! (გაუელვებს გორას ფიქრში, უკეთ საკუთარ მეორე მეს ესაურება მბორგალი, გ.ო.), რაღაც ისეთს წააგავს, როდისღაც რომ მსმენია, □ალბათ, ოდესღაც, გ.ო.) და მეხსიერებაში ჩამრჩა... მშობიარე ქალის კვნესაა?! კი, მაშინ... ის ქალი ზუსტად ასე კვნესოდა — გრძელ ნაწყვეტებად, განწირულად''.

აი, როგორი ასოციაცია წარმოშვა გორას ფიქრში პურგას დედაკაცის მიმსგავსებით დაკვნესებამ. ეს ჩინებული შედარებაა, მიგნება, მწერლური ჯილდო, მაგრამ შევხედოთ რანაირად ვითარდება მოქმედება შემდგომ?

,,ერთხანს კიდევ უსმინა და ჩაცმა-დახურვას მიხყო ხელი''... გასაგებია გორას არ სცალია პურგა—მშობიარე დედაკაცის მიმართულებით ფიქრის გასაჩაღებლად, ვინაიდან მის წინაშე უფრო მთავარი აუცილებლობაა: თბილად შემოსვა და კვალის რაც შეიძლება შორს გატანა, მდევრის შესაძლო მოხელთებისაგან თავდაღწევა, საძებარი რადიუსის გაფართოება.

,,თოვლზე ავიდა'' გორა, ,,ჭაში ჩაკიდულებულ ბაწარს დახედა, ახალგაზრდობის დროინდელ მოგონებას შეხღიმა... ყარაგანდაში, დუბოვკაში ორმოცდასამმეტრიანი ხვრელი გაიტანეს. კენჭით პირველი, ანუ ის, ვისაც ბოლო ორი მტკაველი უნდა გაეტანა და გასულიყო, კარპუხინი გახლდათ. ამ კაცს ,,ხვრელების გიჟი ერქვა, ვინაიდან რამდენიმე წარმატებული გათხრის მონაწილე იყო და ერთხელაც ვერ გაიქცა: ,,ბოლო ნაბიჯის უნარი'' არ გააჩნდა, ღიაზე გასვლისა — იქ, შესაძლოა, გესროლონ!

ჩამწკრივდნენ — კარპუხინი, კუცენკო, ორთოიძე, გორა, ბოგდანი. კარპუხინმა მიწა გაანგრია. სიომ შემოაწია, გასვლაა საჭირო. კარპუხინს მკვდრის გაშეშებამ დარია ხელი — ვერც რამ გაიგონა, არც კუცენკოს მიერ დუნდულში ნაჩხვლეტი დანის წვერი უგრძვნია. მორივით იდო, შოკი!.. ბოგდანმა სთქვა:

— გორა, კიევში კოლექციონერს ვიცნობ, პრეზერვატივებს აგროვებს, ხუთასზე მეტი აქვს! თავად ცვედანია, იმპოტენტი...''

კურსივით ჩემგან აღჭურვილი ტექსტი ტიპიური ცნობიერების ნაკადია, ანუ მეხუთე გაღწევის ძალისხმევით ერთ-ერთი მსგავსი პასაჟით აღმოცენება გორას ცნობიერებაში, ოღონდ გათვალისწინებული არ არის თავად ,,ცნობიერების ნაკადის'' ასახვის ბუნება-ხასიათი, ტრადიციული სინტაქსითაა მოწოდებული.

სულ რაღაც კუს ნაბიჯისხელა აშორებს ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს ,,ცნობიერების ნაკადისაგან'', წრუწუნას კუდისხელა.

შევეცადოთ აღნიშნული ეპიზოდის ,,ცნობიერების ნაკადზე'' მოქცევა:

,,გასატანი ხვრელის წინ ჩამწკრივებულან კარპუხინი, კუცენკო, ორთოიძე, გორა, ბოგდანი. „ხვრელების გიჟი" კარპუხინი მიწას გაანგრევს. სიო შემოაწევს. გასვლაა საჭირო, მაგრამ კარპუხინისთვის მკვდრის გაშეშებას დაურევია ხელი, გახევებულა. კუცენკო დუნდულაში დანის წვერს უჩხვლეტს. მორივითაა კარპუხინი.

ბოგდანი. გორა, კიევში კოლექციონერს ვიცნობ, პრეზერვატივებს აგროვებს, ხუთასზე მეტი აქვს! თავად ცვედანია, იმპოტენტი...''

ეს ყველაფერი შავი შრიფტთი გადმოიცემა ,,ცნობიერების ნაკადის'' ლიტერატურაში. შესაძლოა, ინფორმაციული თუ ტექნიკის თვალსაზრისითაც დიდად არ განირჩეოდეს აქ დატოლებული ეპიზოდები ერთმანეთისაგან, მაგრამ ოდეს გავითვალისწინებთ ქვეცნობიერის ბუნებას, მის ხასიათს და სემანტიკას, აღმოჩნდება, რომ ზოგჯერ, თუნდაც მკაცრად დაკონტროლებული მედიტაციის პირობებშიც, თავად გულჩახვეული და შინაგანი მდუღარებით გარემოსილი პიროვნების წიაღში, მსგავსი სიტუაცია აღმოაცენებს, აღადგენს, არესტავრირებს, ბადალს, ალიკვალს უკვე გარდახდილს, უკვე მომხდარს, მაგრამ გმირის მეობაში მკვიდრად შენახულს. და როდესაც იგივეობრივი მეთოდით მოიშველიება ჭიდან ამომძვრალი გორას ფიქრში ერთ-ერთი გაქცევისას კარპუხინის გაშეშების სცენა და ბოგდანის ნათქვამიც ზედმიწევნით აღდგენილია, უკვე ბუნებრივია გადასვლა ფიქრის მდინარების მიმართულებით; არ დაირღვევა თანამედროვე თხრობის მართებულება, შინაგანი მონოლოგი არ დაემსგავსება ტრადიციული თხრობითისა და ექსპრესიულის უგემოვნო ნაზავს, რამეთუ ახალ ღვინოებს ახალ თხიერში ასხამენ, ამის თაობაზე ხომ თავად ოცი წლის სალომე ბაზიერაშვილი-ოდიშარიასი უკეთ იტყვის:

,,რაითა არა განხეთქეს ღვინომან ახალმან თხიერნი იგი, და ღვინო დათხიოს და თხიერნი წარწყდნენ''(ლუკა 5,37).

და თუკი ეს სიბრძნე მყარად გაგვიცნობიერებია პირველივე რომანიდან, მაშინ რატომ ვარღვეთ

თამაშის წესებს მეორეში, რისთვის არ ვემორჩილებით კანონის უზენაესობას? რატომ კულტივირდება ახალი სტილი ძველ სხეულში? რატომ ემყნობა შეუთაუვსებელი უცხოს? ამისთანა შემთხვევაში ხომ ყოველი ქირურგია, ყოველი მეცადინეობა წყალში ჩაცვენილა იმუნოლოგიის პოზიციიდან?

გორას ცნობიერებაში ამოტივტივებული, ბოგდანის ნათქვამი, მსჯელობას აგრძელებს სექსუალურ შესაძლებლობაზე, ე.წ. მამაკაცურ უძლურებაზე:

,,კი, იმპოტენცია სხვადასხვანაირია. ბოლო, გადამწყვეტი ნაბიჯი! ეგ ყველაფერში ძნელია, ყოველთვის ჭირს... პურგა ისევ კივის. გამოდარებას მშობიარობს?.. დედას ტკივილი აკივლებს. ბავშვს — ბოლო, ,,გადამწყვეტი ნაბიჯი'' უჭირს, ყოყმანებს, დაიბადოს თუ არა?''

... ბოლო ,,გადამწყვეტი ნაბიჯი'' წინწკლებით რომ გადმოიცემა, წინა ოთხჯერადი გაქცევიდანაა, რომელიღაცა მრბოლელის მიერ კარპუხინისათვის მიკერებული ფრაზიდან: ,,გადამწყვეტი ნაბიჯის'' უნარი არ გააჩნიაო. ამიტომაც მოექცევა იგი ფიქრთამდინარებისას წინწკლებში. ,,ცნობიერების ნაკადის'' ლიტერატურაში კი მას უბრალოდ შავი შრიფტით, ან კურსივით გადმოსცემენ.

ეს მეთოდი, დაწინწკლვები, დოსტოევსკის მიხვედრილობას იქით ვერ მიდის. რასკოლნიკოვიც მსგავსად ფიქრობს, როდესაც მისი დის გამბახებლის წერილის ფრაზები უტრიალებს თავში და დიახაც წინწკლებით მოიშველიებს მას, მაგრამ დოსტოევსკის შემდეგ ასერგასი წელი გასულა და ლიტერატურული პროცესი პრუსტ-ჯოის-ფოლკნერის მერმეც ერთ ადგილზე როდი გაჩერებულა...

რაც შეეხება გორას ფიქრის მდინარებას, აქ საინტერესო რაკურსითაა წარმოჩენილი გასაქცევი გვირაბიდან პატიმრის გამოსვლა და ჩვილის საშობაო ჭინთვები.

მივედევნოთ რომანის ტექსტს:

,,არ არის საყოყმანო? იქ არ ურჩევნია? სითბოში, სიმაძღრეში, სიმშვიდეში. დედებს ყველაზე უფრო, ალბათ, სწორედ ბავშვის ყოყმანის დროს სტკივათ... პურგა შენით მშობიარობს და ამიტომ კივის. ყოყმანობ? გვიანი როდია, ჩაბრუნდი. რაღას უდგეხარ, გორავ, საკუთარ თავს უმტკიცებ, რომ მშვიდი ხარ და არაფრის შიში იცი?... ჩავბრუნდე? უკვე დავიბადე, ყოყმანი არასდროს მქონია, ფიქრი მქონდა და ისიც ჭაში დამრჩა. პურგამ უნდა გამიყვანოს სამშვიდობოზე, ერთადერთი შესაძლებლობაა. დავიბადე! ხა, ხაა, ამჯერად ხალვათობა იყო, ადვილი მშობიარობა! პირველი, როცა ქვეყნიერებას მოვევლინე, თოთხმეტნახევარი გირვანქა ვყოფილვარ, ექვსი კილოგრამი ორას გრამნაკლები. □რადგანაც საგანგებოდ აკონკრეტებს გორა თავის წონადობას, ბარემ შევუსწორებთ ცოტაოდნად — გირვანქა 409,5 გრამია, ხოლო 14,5 ჯერ მისი სიდიდე — 5.937 კილოგრამი, ანუ დასახელებულზე სრული 137 გრამით მეტი. ვფიქრობ აქ აფთიაქარის სასწორის სიზუსტით დაკონკრეტების არანაირი აუცილებლობაა. მბორგალი პროვიზორი იყოს ან ოქროს ამრწყავი, სხვა საკითხია, გ.ო). მაშინ გირვანქობა იყო. როგორი გასაჩენი ვიყავი! მეორედ კარის ღრიჭოში გაძვრომა მომიხდა. ვიწრო იყო, ოხერი, იმდენად ვიწრო, რომ ყველაფერი გავიხადე, მეოთხე ცდაზეღა გავეტიე □დაიხსომეთ ეს საკრალური ციფრი, ოთხთავის სემანტიკა, გ.ო.), ეს საქართველოში იყო, პერანგის ამარა მომიხდა სიარული. კარგი, რომ გაზაფხული იდგა. მესამედ — ყარაგანდაში, გლეჯით წასვლისას, მანქანიდან, თხრილი და ბრუსტვერი... მეოთხე ნამდვილ დაბადებას ხგავდა, ხვრელი ვიწრო და გრძელი იყო, ძლივს გავაღწიე. ეს მეხუთეა, კოლექტორის ჭამ მშვა და პურგამ. მეოთხე და მეხუთე მშობიარობა, ქალებისგანაც გამიგონია, სულ ადვილი ყოფილა... პირველად, დედაჩემის სიტყვით, პერანგით დავიბადე. მეორედაც ნაცრისფერი პერანგი მეცვა, მესამედ და მეოთხედ — ყარაგანდაში, ორივეჯერ ხამი ტილოს პერანგი, კინაღამ დავიხრჩე. ეს მეხუთე დაბადებაა, თეთრი პერანგი მაქვსს... □გულისხმობს პურგას, თოვლის საბურველს, გ.ო.) თავით ფეხამდე ბეწვეულში ვარ გახვეული, ამდენი არც ერთ თბილისელ ლამაზმანს არ ექნება და სანაძლეოს დავდებ, დაბადებისას ზურგჩანთა ძეხორციელს არავის გამოხყოლია! ამოვიღოთ და გავუდგეთ გზას ქვის სამტეხლოსკენ... რა ხანია, აქ დგეხარ და რაღაც სისულელეებზე ფიქრობ. ხომ დაუმტკიცე საკუთარ თავს, რომ უშიშარი ხარ და ,,ფეხებზე გკიდია ორი და ათი შაური''? □ეს ფრაზაც ზონების სინამდვილიდანაა, ,,ცნობიერების ნაკადის'' კონსერვატორიული გადმოცემა, გ.ო.), კმარა ,,წადი, შვილო, შკოლაში'', □ძნელია გაარკვიო ვისი ფრაზა აღმოუცენდა უცებ გორას, ვისი წინადადებით აშენებს აზრს, გ.ო.), თორემ მოვა ბუა და შეგჭამს!.. მართალი ხარ. პურგაში გუშაგებს ხშირად ამოწმებენ, ე მანდ, კი არ ჩამოიარონ და! გაუმარჯოს ქვის სამტეხლოს, როგორც იმედისა და სასოების სახეს, გინა ხატს. ვერაფრით დავადგინე, რომელია უფრო მართებული, სახე თუ ხატი. იერსახესაც ხმარობენ... კაცო, რა დავა-კამათი აგიტყდა, რომელიც გნებავდეს, ის იყოს სწორი და მართებული. საქმეს მიხედე!''

ასეთია გორას ფიქრის სპირალოგრამა. მის მედიტაციაში ჩაკინძულია აქა-იქ წარსულში თანამოსაუბრის სამახსოვრო ფრაზები, რასაც ზოგჯერ აკომენტარებს კიდეც თავისთავის მაძიებელი კაცი.

გარბის გორა მბორგალი, განელტვის სატუსაღოების ამაზრზენობას, მისულსწრაფობს ლიანდაგზე დასაჯდომად, რომელიც ,,გადაჯაჭვულნის'' ფინალის მსგავსად სამშვიდობოზე გაღწევის სიმბოლიკაა; გარბის, მაგრამ უფრო არსებითი საკუთარი თავის აღმოცენება ყოფილა, და მართლაც ნაწარმოების დასკვნით ნაწილში მბორგალი დიახაც ეზიარება ამ სიბრძნეს, თავად პერსონაჟი კი ძნელია დაადგინო რომელია ,,გამქცევ-მაზოხისტი'', ,,მორკინალი'' თუ ,,მძლევარი'', თუმცა მთავარი ის გახლავთ, რომ ,,თუთაშხიასა'' და ,,მბორგალშიც'' მოძებნილია ეპიკური თხზულებისათვის აუცილებელი ,,შარა გრძელი'' —სინიბთა ფეხმარდობის გამოსაცდელად.

რაც შეეხება ,,გონსასეირო ამბავთა'' მოწოდების თანადრო- ულობას, ამას ჰომეროსის ,,ილიადა'' დაამტკიცებს მიზეზ-შედეგობრივი ესთეტიკური მიდგომებით, და ხორაციუსის მართალმოსიტყვეობამ ხომ მთლად დააფორმულებს ნაწაროებში ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართებებს: ახლა უნდა ითქვას, ის რაც უნდა ითქვას ახლა, დანარჩენი გადაინახოს სხვა მომენტისათვის, სულ სხვა სიტუაციის ასახსნელადო (ჰორაციუსი). ანუ ჩვენი ლექსის მამფალისებურად: ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების, და არაფერია გასაკვირი აქა-იქ ,,მბორგალის'' მისამართით პრეტენზიები გაგვიჩნდეს, განსაკუთრებით რომანის შუაწელიდან მასალათა მოუზომავი ჩამომწკრივებისათვის, რომელიც ამავდროულად ეურჩება შინაგან მოთხოვნილებებს, ნებითია, ყურითმოთრეული.

,,თუთაშხიას'' ესოდენ პოპულარობას, დიახაც, ეს უიშვიათესი წონასწორობა განსაზღვრავს, მთავარისა და მეორეხარისხოვანის ოქროს კვეთას პრინციპებით განლაგება — 618:382, თუმცა გიგა ლორთქიფანიძისეულ კინოსცენარში უფრო გამარტივებულა ნაწარმოების ზოგადკაცობრული აღმართები, ბიბლიის ენით მოხმობილი ოთხივე კარის გასააზრებლად.

აქ თხზულების დანაწევრება, აღნიშნულისამებრ, საკრალურობითაა მირონცხებული, ოთხთავის ასოციაციის შესაქმელად მოშველიებულია არქაული ინტონაციაც, თუმცა მბორგალთანაც ცხრაკარიანობით წარმართული კანონზომიერებაა, როგორც სრულყოფილებასთან მიახლოების პარადიგმა. ეს ყოველივე იმპულსური, ინტუიციური მონაგარია და არავითარ შემთხვევაში — ,,თუთაშხიასებური'' მიზანდასახულობა.

ხოლო თავად ,,მბორგალის'' შინაგანი მონოლოგი, ,,ცნობიერების ნაკადის'' სულშეძრულობისგან განსხვავებით, ინდინფერენტულია, სიკვდილის ალბათობას ოთხგზის ნაზიარები კაცის გულგრილობიდანაა, როცა ტკივილი სიხშირეთა გამო კარგავს სიმწვავეს.

ამიტომაც მბორგალის სულის ინტერიერში ფიქრის მდინარებას ჭაბუკური განცდა კი არა მარაზმული რაციო განსაზღვრავს; ცეცხლის გრაგნილები კი არ ამოძრავებს, ნაღვერდალი და ღველფი, არამედ ძლივსმბჟუტავი ნაცარი, თავისი ცხოვრების უნიათო კენწერო-შედეგი, და რადგანაც მბორგალს ,,გარეთ მყოფთათვის არაფერი შეუძლია'', საკუთარივე სიტყვები აეკვიატება ,,ß - Í èê-ôî!'' — მე არავინო, ლამის ხომერულ თემას გადაწვდეს, ოდეს პოლიფემის გამოქვაბულში მომწყდეული ულისე ციკლოპს ,,არავინ'' სახელით გამოეცნაურება.

აქ თავს იჩენს ლამის არასრულფასოვნების კომპლექსში გადაზრდილი ზედმეტი ადამიანის ფსიქოლოგია.

მბორგალის ფიქრის მდინარების ნათელსაყოფად მერვე კარის ამონარიდის მოშველიებაც იკმარებს. აქ ერთგვარად გაანალიზებულია მბორგალი — ადამიანის საზრისი; იგივე მიდგომებია, როგორც ვაჟას ლექსში: ,,რამ შემქმნა ადამიანად, რად აღარ მოველ წვიმადა''.

სადაც არის ნაწარმოები გასრულდება და გორას გონება წუხს, რომ ამდენი ხანია მოდის და საქართველოდან ჩრდილოეთში გადმობარგების მიზეზებზე სიტყვა არ წამოსცდენია.

,,არაფერი გავიხსენოთ''? ეკითხება ალტერ ეგოს, რომელიც 2000 კილომეტრიან პურგაში ერთგულ თანამოსაუბრედ შეხიდებია. ,,მაშინ რეაბილიტაციისა და გათავისუფლების დღიდან დავიწყოთ''. ერთხელ კანონიერად წამოსულა ბანაკიდან კაცი — არავინ და საუბარი მაინც ვერაფრით გაჩაღებულა სასურველი შინაარსით. ამას მოგვიანებით იგრძნობს მთხრობელი: ,,არა, გამოუსწორებელი ყბედი ხარ, საქართველოს მიტოვების მიზეზებიდან დაიწყ და — ღმერთო ჩემო — საით წახვედი? საქმეს ხეგელის,,სულის ფილოსოფიაზე'' მსჯელობამაც ვერ უშველა □ალბათ, ,,გონის ფილოსოფია'', რომელშიც ,,თუთაშხიაში'' რეალიზებული შეხედულებაა წარმოდგენილი, გ.ო.) ,,ისტორიული პიროვნებები აღჭურვილნი არიან მსოფლიო-ისტორიული სულითა და მისიით. როცა მათი მისია ამოიწურება, ისინი კვდებიან'' მაკედონელივით, ნაპოლეონსავით, თუნდაც მუშნი ზარანდიას მსგავსად.

ყოველივეს გათვალისწინებით, მბორგალიც მისია ამოწურული პიროვნებაა.

მისთვის მთავარი ლიანდაგზე დაჯდომაა. მართალია, ადრე ხსენებული მივიწყებული რომანი-

სგმირივით „ამაში მივიღე ის ოცდახუთი და გამისამოცდათხუთმეტდაო“, ირწმუნება გორა, მაგრამ ჩვენ ვალდებულნი ვართ უმთავრესზე ვილაპარაკოთ, და ეს უძირითადესი მემატიანეს დოკუმენტურობაა, რომლისკენაც არსებითად გადახრილა ქართული ბელეტრისტიკა — ბატონების: ოთარ ჩხეიძის, ოთარ ჭილაძის, ზაურ კალანდიას, აკა მორჩილაძის თუ სხვათა თხზულებებში. განსაკუთრებულად ფასეული ამ ქრონოლოგიაში სამი ამწვერვალება მიმაჩნია: არსენა მარაბდელის ფენომენი, ჩანძოლანი და კორიდა; და რადგანაც რიგითობის პრინციპის დაცვა ვერაფერს შეცვლის ტრადიციული პროზის კომპოზიციურობის საზიანოდ, დავიწყოთ ოძელაშვილით.

არსენას მუხტი ნაწარმოების ექსპოზიციადანვე შემოდის, მაგრამ ეს თემა ყურით მოთრეული სულაც არ გახლავთ, არამედ, თავად მარბენალი კაცის ახლანდელი ვითარებით განსაზღვრული. საქმე ის არის, რომ კოლექტორით გამოქცეული, უკვე მეხუთედ გაჩენილი გორა, უკან ჩამოიტოვებს ძალადობის პირველ სცენას:

რევოლუცია კომეტას ხგავს, უზარმაზარი კუდი იცის, დაახლოებით ისეთივე, როგორი სასხლავი დანითაც გაირღვევა გორას ლეიბი. აფათურებენ შიგნით ბანჯგვლიან ხელს სამხილი მასალის საპოვნელად და გამოღვიძებული ბიჭუნა ამ უსიამო ფათურ-ბორიალში — „დედიკო, მუცელი გამიჭრესო“, დაიყვირებს. იმდენად ზარდამცემი აღმოჩნდება მოზარდის ტრამვირება კომეტის კუდით, თერთმეტ წლამდე სიზმარშიაც ჩაედევნება და ლოგინსაც ასველებს ხოლმე;

არა, ამ მონაკვეთში როდის აღსდგება ოძელაშვილის საგა. არც ფილიპოვთან გაბაასების ჟამს, როცა განთავისუფლებული პატიმრისაგან სანტა კლაუსივით ერგება გაქცევისათვის აუცილებელი ყოველი წვრილმანი. აღარც სტალინიზმის მანკიერებათა დაფიქსირებისას თუ გამქცევთა კლასიფიკაციისას. ჯერ სამზადისია, ჯერ მიტილენიჩისა და გორას დისტანციური შეხლა-შემოხლაა. ერთი მიუყვება თავის ბედისწერას, მიმართულებას არკვევს, დროს აზუსტებს; მეორე — სიბარიტი როდია, გოგლიმოგლით გაზრდილი, „პარტიასა და სამშობლოს იქ უნდა ემსახუროს, სადაც მეტი საჭიროებაა“. თანაც მიტილენიჩი ხომ ქართული სისხლითაა აშენებულ-განთესილი და ამდენად — არასრულფასოვნების კომპლექსებით დაზურგული.

მიტილენიჩი მონდომებით დაარჭობს პირველ დროშაკს მეთოთხმეტე ზონის სავარაუდო ადგილსამყოფელზე. გორას ზურგს უკანაა ოცდაოთხი საათი და ოცდათექვსმეტი კილომეტრი. მის ცნობიერებაში გაიელვებს კვიცზე რწყილივით მომხტარი იაგორა პაპას, იგივე ნეტარის, დანალაპარაკები: წყლით უკვე იყო. ახლა ცეცხლით წაირღვნება.

ზურგს უკანაა სექტანტით დაზუსტებული ორიენტირი, მეოთხმოცე მერიდიანისა და სამოცდამეათე პარალელის გადაკვეთაზე მდგარი გოლიცინების ქოხი. თვით ჯიმშედის ხარამხანის გონსასეირო ამბებიც ჩავლილია. ხოდა, მხოლოდ გაქცევის ოცდამეცხრე დღეს გადაეყრება კიდეც მარტოკაც კოლია-სანთელს, რომელიც ეფემია წინამღვარის სიტყვებში აკუმილებული სიბნელის შემანგრეველი ძალაა. ირემის საჭიროებას უსაბუთებს პოლიტიკური მარბენალი კოლია-სანთელს, და როდესაც მბორგალი საყიდლად ჯიბეზე გაიკრავს ხელს:

„ვერ მოგყიდი... — ეტყვის მარტოკაცი, რომელიც თვეში ერთხელ გამოდის დაბაში და ყვირის: — პოლიტიკანებო, წაეთრიეთ, გაუმარჯოს ჩრდილოეთის ხალხთა თავისუფლებასო. ამის გამგონე ხალხს თურმე ტანში აზრიალებს — თუ გინდა, მოიპარე, აქა მყავს, მაგრამ დაბაში ვიტყვი, ირემი დამეკარგამეთქი. თუ გაიგეს, რომ მოგყიდე, სანთელი ვიღა იქნება?“

აი, როგორი რეალობა ესაფუძვლება ოძელაშვილის ამოტივტივებას, სანთლის, დიახ, გზის მანათობლის თუ წყვდიადის შემანგრეველი ძალის სიმბოლიკა — რეალობას და ფიქრის მდინარებას შორის სრული ხარმონიაა როგორც არსად.

„კმარა!.. — ემუსაიფება მბორგალი საკუთარ თავს, — ირმის ხორციც მაქვს, ირემიც მყავს, თხილამურებზე ვდგავარ... კაი რაღაცაზე ვფიქრობდი, ის გავიხსენეოთ... ზემელის სასაფლაო იყო... კი, ეგ იყო. იქ გაგონილებიდან ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იქნება ოძელაშვილზე ნაამბობმა მოახდინა“.

აი, როგორ გადაჯაჭვულა ერთმანეთს კოლია-სანთელისა და სახალხო გმირის ფენომენი, თუმცა გორა მბორგალის კვლევის საგანს სულაც არ წარმოადგენს თავად არსენა ყაჩაღის, თუ საერთოდ ყაჩაღობის პრობლემა. მისთვის მთავარი გმირის გარშემო შექმნილი სიტუაციების დაკონკრეტებაა, უკეთ — მწერლის ფანტაზიისთვის ერთგვარი წყლის გადასხმა, მისი გამომგონებლობის კომპრომეტირება.

მიხაკა — მიუნხაუზენის პროფილიც შემოცურდება საკუთარ თავთან მობაასე გორას მეობაში, სიმინდზე ასწრაფებული, გამონთებულ მგელს წყრთა ტაროთი რომ დაუჩუჩქავს თავს.

მოშველიებულია აგრეთვე ვინმე მხედარი გიგოლას გოროზი პორტრეტი, რომელიც ჩამოუქვეი-

თებლად ხუთლიტრიან თასს ამოწრუპავს სურა ღვინოს დაცლის შემდეგ. შინაურობაში შელაპარაკ-დებიან გოლიათი კაცის გამასპინძლების გამო. ის ხომ გიორგი კუჭატნელია — ფოლკლორის მიხედ-ვით არსენას მკვლელი და აქ გაიხსნება ბრჭყალები, ჩვენს ცნობიერებაში, მესტვირულით თუ — თავად ჯავახიშვილის მონუმენტური რომანით გამრუდებულად შემოსულისა.

თურმე კუჭატნელი სულაც არ არის არსენას მკვლელი და საერთოდ ოძელაშვილი არავის გამო-უსალმებია საწუთროსგან; ისევ წამოტივტივდება თუთაშხიას და ზარანდიას ურთიერთგამნსაზღვ-რელი ტანდემურობა. აქ, ამ შემთხვევაში, კუჭატნელის სამსახური ის გახლავთ, რომ მარბიელებსა და მძარცველებს ებრძვის, არსენას დევნა კი არსადროს ხკისრებია. ერთმანეთში თურმე ალალი ძმაკა-ცობა ხქონიათ, ბევრჯერ უხილავთ სუფრაზე ხელიხელგადახვეული.

ხოლო, რასაც იალქანიძის დუქანში დატრიალებულივით მუხათგვერდის დუქანის დახლში მი-ლილა იხილავს, სულაც არ არის რეალობის ნასუფრალი. კბილებამდე შეიარაღებული, ვინმე გალე-შილი ახმახით აწიოკებულ დუქანში გიორგი კუჭატნელი შემოვა მხლებელი ბელაქნელი ლეკი ხამ-ზათი და არა გამზათით. ის ახმახი ღვინოს მისთავაზებს სეფისკვერიძეს, მაგრამ მორწმუნე კუჭატნე-ლი წითელ პარასკევს ღვინოს არ გაეკარება და როდესაც ,,მოეთრიე, დამილიეთ თორემ მე ვიცი“, აღრიალდება მავანი, თანაც ,,არსენა ვარ, ყურებს დაგაჭრითო“, ,,ჭკუით იყავი ბიძიკო, თვარა, მო-ვიცლი შენთვისო“, შეეხმიანება თუთაშხიასებურად სეფისკვერიძე და ოდეს ჩხუბისთავი სასიკვდი-ლოდ მოუღერებს დამბაჩას, ხამზათის ტყვიით უსულოდ დაენარცხება იატაკზე ცხვირპირწაშლი-ლი □გაიხსენეთ ,,ძეგლი ყველასთვის“).

და სწორედ აქედან ჩაისახება არსენა ოძელაშვილის აღსასრულის საგა. დაკვალიანებულია დახლიდრები, რომ ოძელაშვილის მოკვდი- ნებაზე მომხდარისამებრ ილაპარაკონ. დუქნიდან ოციოდე ნაბიჯზე დააგდებენ ,,ეროვნულ გმირს“. ცოტა ხანში ხამზა მარამბდელის მარჯვენასაც მოარბენინებს მთიელთა ადათ-წესის თანახმად. კვლავ კორექტივებია შეტანილი მესტვირულში. ახლა მკლავის მომჭრელად კუჭატნელი გამოიჩხირება. შემდგომად, თავად გედევანიშვილს ზარებს დაარისხებინებენ ფსევდო-არსენას დასაკრძალავად. აი, როგორი ასოთხმოცი გრადუსით შემოატ-რიალებს საზოგადოებაში სიღრმისეულად ჩაჩნეული სინამდვილის შტრიხებს გორა მბორგალი — ამირეჯიბი ჭაბუა.

გამართლებაც მოძებნილია მსგავსი მუტაციისათვის: თითქოს ოძელაშვილის მოკვდინება ყვე-ლას ხელს აძლევს: ხალხს იმიტომ, რომ მფარველობისათვის გამუდმებული წიოკობისგან ამო-ისუნთქოს; თავად-აზნაურობას რუსთა ხელმწიფის საოტებლად, გლეხობის ასამოძრავებლად ოძე-ლაშვილის ავტორიტეტი სჭირდება; აქვე, მკვდრეთით აღმსდგარი არსენა, საზოგადოებაში მეტ ენ-თუზიაზმს და შემართებას გამოიწვევს.

თითქოს დალაგებულია ყველა მყესი აღნაგობის კვალობაზე, მაგრამ გვავიწყდება უფრო მთავარი მიზანდასახულობა: ჩვენ გმირი უნდა ვძერწოთ არა ისეთი, როგორიც არის, არამედ—როგორიც უნდა იყოს, როგორის აშენებისაც გვკარნახობს მისი გეგმილი. აქედან გამომდინარე ოძელაშვი-ლის ფენომენს, თუნდაც შეკოწიწებულს, ნიადაგი გამოცლია. ეს ტენდენცია მწერალი ჭაბუა ამი-რეჯიბის უმთავრეს ცთომილებად მიმაჩნია. ეროვნული გმირების სულიერ სამყაროში ხელის ფა-თური, მათი კორექტირებანი ილუზიათა გასაქარწყლებლად, თუ სხვა რამ საჭოჭმანო, დიახაც უი-დეობის, უპერსპექტივობის სინდრომით დასნებოვანება მგონია. გორა მბორგალის ფენომენი ხომ მისივე სიტყვებით: კაცი არავნაა, კაცი არარაისი. აქედან გამომდინარე ყველა ფასეულობას თუკი გაუბრალოვება ელის, ბარაქალა ჩვენ! როგორი მოსათმენია, სიტყვისათვის, ვთქვათ და აკა მორჩი-ლაძეს ზარანდია და გრაფი სეგედი მინირომანში ,,გადაფრენა მადათოვზე და უკან“, მხატვარი ხა-ფოს კლიენტებად დაესახა?!

უმომავლო მბორგალის ნიხილისტური განწყობილება წარხოცავს ქართული სულიერებისგან გმირის მოთხოვნილებას, ვინაიდან ყველაფერი ამაოება ამაოებათაა. ,,გლეჯვით“ თუ ხვრელებიდან მეხუთედ გამოღწეული მბორგალისათვის ეროვნული ფასეულობანი გადაწურულია, გამქრალია მიზნის უზენაესობა, მიმართულების ბიძგი და ენერგია, იმპულსურია: გაქცევა გაქცევისათვის, და ამ-დენად — ყალბიც, ვინაიდან უბრალოდ რელსაზე დასაჯდომად, საკუთარი თავის წინაშე შესაძლებ-ლობათა დასადასტურებლად გამოვლილი ათასობით კილომეტრი, ფარსია, კომეტას კუდივით მაც-დური, და ამდენად, პატარა ერის სამომავლო სივრცის დადგენისას არათუ ქომაგი და მეოხი, ერთობ ამაბორჯგელიც, დეზორიენტაციად რომ ითარგმნება დედაქართულში.

დათა თუთაშხიაც დაახლოებით მსგავსი ინერტულობით დაასრულებს სიცოცხლეს, ბოროტე-ბის შემწყნარებლობით, სიავის მიმართ კეთილის მიგებით, ავხორცობის წინააღმდეგ ალტურიზმით დახვედრის გზებით, და ქრისტიანული მორალით ზედმიწევნით გამართლებულია გმირის საღმრთო

მისიით მოვლენა, მაგრამ რა ვუყოთ ადამიანთათვის წმინდა გიორგის განუხრელ მოწამობას? აი, სად ეჯახება ერის მიზადნასახულობას ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის ინერტულობა, არათუ თავად წარმოაჩენს მაგალითს სამომავლო არსებობისათვის, აწ არსებულსაც გამოაცლის პედესტალებს და მისაბაძი ადმიანის ვაკუუმში ხელიდან გვეცლება სამომავლო რწმენა, სამერმისო იმედი.

მსგავსი დამოკიდებულებაა სხვა პასაჟებიდანაც, თუნდაც ილია ჭავჭავაძის მიმართებაში, მაგრამ ჩვენ შეპირებული გორაკისკენ დავიძრათ—ჩანძოლანისკენ, რომელიც უცილობლად კავშირშია სიყრმისდროინდელ ,,ნეტართან'', წარსულში წყლით შემუსვრავს რომ ადასტურებს და მომავალში ცეცხლით იავარქმნას გვპრიდება.

სანამ ამ მონაკვეთზე ვიტყოდეთ რამეს, ,,მოთამაშე'' მიტილენიჩი ზედმიწევნით აკონტროლებს გორას მარათონულ მსვლელობას დროშაკების □ალმების) მწკრივით. მბორგალი უკვე ვასიგანის სათავეებთანაა; აშნას სამფლობელო ,,ოტრადამდე'' სამასიოდე კილომეტრი დარჩენია.

უამრავი გონსასეირო ამბავია ჩამოტოვებული. წარუშლელია როზენბერგის გვამის ნაჯახით დაჩეხვა ექვს ნაჭრად და ისე მიბარება ყინულის ხაროში.

მბორგალის შინაგანი მონოლოგი არსებითად რომ განსხვავდება მიტილენიჩის ფიქრისაგან, ამის თაობაზე თქმულა. გორა საკუთარ თუ ქვეყნის საუკუნოვან ბოგინობას უჩინარი შემადგენლობებით აიდევნებს პურგაში გაჭრისას. მიტილენიჩის გონება კი საყველპურო იმპულსებითაა დაძაგრული, ცოლების გაქცევითა და მბორგალის ადგილსამყოფლის დაზუსტებით. მათი მეტყველებაც განსხვავებული შრიფტით გადმოიცემა. მიტილენიჩის ფიქრი მწერლისეულ ფონეტიკას ემთხვევა, როცა გორას სულის მოძრაობა შავი პეტიტით გამოიკვეთება, მაგრამ უმჯობესია მივედევნოთ მთავარს, ჩანძოლანის ფენომენს.

გორა მბორგალი ჩანძოლანის ლექციებს იმ დროს შეუერთდება, როდესაც ეს ღირსებით აღსავსე, გარეგნობითაც სანდომიანი ტიბეტელი, მშვიდი ტემბრითა და ძუნწი ჟესტიკულაციით ასეთნაირად ქადაგებს:

,,**ხელმოცარულთა ბოლო თავშესაფარი პოლიტიკანობაა... გამარჯვების მთავარი პირობა უნიჭობაა. ნიჭი თუ გაქვს, საქმეს ვერ მოერევი, მიზანს ვერ მიაღწევ... აუცილებლად საჭიროა იმის რწმენაც, რომ დამარცხებათა მიზეზი შენში კი არა, გარემოცვაშია... დამარცხებებმა განდიდების მანია უნდა შეგძინოთ. კიდევ ერთი რამ არის საჭირო — სიმხდალე... სიმხდალე განდიდების მანიის თანამავალია და მომდინარეობს რწმენიდან, რომ მე თუ დავიღუპები, ჩემს გასაკეთებელს სხვა ვერავინ გააკეთებს... თქვენი მანიპულაციებისათვის დასახული ნიადაგი, მზად უნდა იყოს მარცვლის მიღების, გაღივებისა და ყლორტის ამოტანისათვის. მიაქციეთ ყურადღება, ახალგაზრდობის პოლიტიზებულმა ნაწილმა წვერ-ულვაში მოუშვა. ეს ნიშნავს, რომ რევოლუციური სიტუაცია მწიფდება... სისტემის ავტორი აღესრულა, უკვე ჯოჯოხეთშია. მისმა კლევრეტებმა ხელისუფლება ვერ გაიყვეს, ჟანდარმთა მამამთავარი მოაშთეს... მოგეხსენებათ, დიდ ბელადს პარანოიისა და განდიდების მანიის გარდა, ტერორის აკვიატებული შიშიც აწვალებდა. გულაგის დაარსების ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლდათ... გულაგი სახელმწიფოსთვის ზარალის მეტი რომ არაფერია, კარგად მოგეხსენებათ... ეს სისტემა კომუნიზმის მტრების აღსაზრდელი უნივერსიტეტია... ამათი განეიტრალებაა საჭირო... წარმოიდგინეთ უფართოესი ამნისტიები, კმაყოფილი ადამიანები, თავისუფალი მუშახელი, ჩაშვებული ბანაკები, ფულადი რესურსების ეკონომია, თავისუფალი მსოფლიოს რეაქცია!.. ათეულ მილიონობით ადამიანის გულის მოგება შეიძლება!... გულაგი რედუმენტია და უნდა გარდაიქმნას, ან დაინგრეს და ხელახლა აშენდეს... გაუმარჯოს დემოკრატიის ხიპერტროფიას, ანუ ქაოსს... სიბრძნე აჯანყებას ვნებს, სიბრძნე აჯანყებამდე და მისი დამარცხებისა თუ გამარჯვების მერეა საჭირო**''...

აი, როგორი იდეებით კვებავს მბორგალსა და ლექციის მოსურვილეთ ჩანძოლანი, ხოლო როგორც კი მეხუთე-მეექვსე ბანაკის საცეცხლე ზონასთან ტყვიამფქვრევებისგან რამდენიმე პატიმარი მოიცელება, საყოველთაო გაფიცვაც აგორდება.

დააკვირდით, ეს პასაჟი რამდენადმე ენათესავება თუთაშხიას ციხის სცენებს, ოღონდ განსხვავდება მოტივაცია. საღვთო რაინდის რომანში ბუნტი მამათმავლების საკნებში ურჩების შეგზავნის საშიშროებიდანაა ამოწვერილი. შემუშავდება დოკუმენტი, რომლის სამგვერდიანი პრეამბულა მოთხოვნათა თორმეტივე პუნქტით მოიცავს ორთაჭალის ციხის რეალობებს.

,,ციხის კანცელარიაში, საავადმყოფოში თუ საწყობში მომუშავე პატიმრებიდან დაწყებული — მრეცხავებით, დამლაგებლებითა და ასენიზატორებით გათავებული პრივილიგირებულ ფენას ეკუთვნოდა, რომელიც ციხის ადმინისტრაციის სულიერი თუ ფიზიკური ნასუფრალით იკვებე-

ბოდა, მის ბრძანებებს, წესებს თუ უკანონო ღონისძიებებს მზადყოფნით ასრულებდა".

გორა მბორგალიც მეკუჭნავეა, ამ კატეგორიის ტუსაღი, და ოდეს მის პერსონას არ კვებავს რაიმე ამაღლებული მიზანი, მხოლოდ რელსზე დასაჯდომად გადაუსერავს ათასობით კილომეტრი, იქმნება გადაულახავი წინააღმდეგობა: როგორ შეიძლება ნასედკას ხალათში შეძვრე, თუკი არ გამოძრავებს ზეადამიანური მისიის აღსრულება? თუმცა მოვეშვათ და კვლავ გულაგისა და ციხის ამბოხებათა იდენტურობის საკითხს დავუბრუნდეთ.

,,თუთაშხიას" მეტეხის ციხეში მეამბოხეთა მიზანს შეადგენს: ,,ჩვიდმეტი ოქტომბრის მანიფესტით აღთქმული დაპირებების დაუყოვნებლივ აღსრულება... და კიდევ თერთმეტი კერძო პუნქტი, (ერთით ნაკლები ,,მბორგალის" კომიტეტის სხდომის დოკუმენტისგან, გ.ო.) რაც ციხეებში რეჟიმის გაადამიანურებას, ინვალიდების, ავადმყოფების, მცირესასჯელიანი პატიმრებისა და ქალების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას და სხვა ამგვარ პირობებს შეიცავდა".

ახლა ,,გორას" სიტუაციას შევხედოთ:

,,სამგვერდიან პრეამბულას მოსდევდა მოთხოვნათა თორმეტი პუნქტი: 1. სანომრო სისტემის გაუქმება. იგულისხმებოდა ნომრები, ჩვენი გვარ-სახელის მაგივრობას რომ ასრულებდა და გვეკერა მკერდზე, მარცხენა მკლავზე, მარჯვენა ბარძაყზე და ქუდზე. 2. ბარაკების გაღება, ანუ იმ წესის გაუქმება, რომლის თანახმად, საღამოს შვიდიდან დილის ექვს საათამდე ჩაკეტილში ვისხედით. 3. გისოსების მოხსნა საცხოვრებელი სადგომებიდან. 4. მიწერ-მოწერის თავისუფლება. ოფიციალურად წელიწადში ორი წერილის მიწერის უფლება გვქონდა. პრაქტიკულად არც ეს ხდებოდა. 5. პატიმართა მასის ცნობა მხარედ. ამით გვინდოდა მიგვეღწია ისეთი ვითარებისათვის, როცა ყველა საჭირბოროტო საკითხი ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებით, ურთიერთშეთანხმებით გადაწყდებოდა. 6. რვასაათიანი სამუშაო დღე. ათსაათიანზე ნაკლები დღიდან გულაგის დაარსებისა, არც ერთ ბანაკში არ ყოფილა. 7. ყველა უცხოელის გაყვანა პატიმრობის ვადის თავიანთ სამშობლოში მოსახდელად, თუ მათი კანონი ამას საჭიროდ ჩათვლის. 8. მცირევადიანი პატიმრების გაყვანა ცალკე ბანაკში, სანამ მათი მომავალი გადაწყდებოდეს. 9. ინვალიდების გაყვანა და დაუყოვნებლივ გათავისუფლება. 10. წვრილშვილი ქალების დაუყოვნებლივ გათავისუფლება, რისთვისაც ან უნდა ხქონოდათ მისჯილი პატიმრობა, გარდა წინასწარგანზრახული მკვლელობისა და ამასთან გათანაბრებული დანაშაულისა. 11. ოსო-ს ლიკვიდიცია — ასე ერქვა ორგანოს, რომელსაც მინიჭებული ხქონდა უფლება, უშიშრობის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე, დაუსწრებლად გამოეტანა განაჩენი სამი წლიდან დახვრეტის ჩათვლით. 12. უკლებლივ ყველა პოლიტიკური საქმის ხელახლა გამოძიება. იგულისხმებოდა არა მარტო იმჟამინდელი პატიმრების საქმეები, არამედ უშიშროების ორგანოების მიერ ოდესმე გამოძიებული ყველა საქმე".

ეს პუნქტები რამდენადმე მოიცავს მეტეხის ციხის პოლიტმოთხოვნებს, იმის გათვალისწინებით, რომ ციხე- კოლონიები, გულაგისაგან განსხვავებული რეჟიმის სატუსაღოა და მოუხედავად ყოველივესი, ორივეგან გათვალისწინებულია საკუთარი რეალობა, ეპოქა, დრო, ვითარება, და იმისდა მიხედვით გაშლილა მოთხოვნათა შინაარსიც.

მოგვიანებით სტუკაჩის აგორებულ ამბოხებაზე ჩანძოლანი იტყვის: ,,სვიატოპოლკი პირველი გამოძიების დროს არის გადაბირებული და საიდუმლო ნიღბით განთავისუფლებული".

საკუთარი მოთხოვნების საფუძველზე უცხოობისა და ავადმყოფობის საბაბით დაშორდებიან გორა და ჩანძოლანი, მაგრამ ,,მბორგალით" მოშველიებული მასალა ,,თუთაშხიას" ციხის პასაჟების გამაგრებას ესაფუძვლება. ყოველივე გვაფიქრებს, რომ მწერალი ,,თუთაშხიას" ლექსიკით აშენებს ,,მბორგალს" რაღაც ეჭვების გასაფანტავად და ეს ზედმიწევნითი მტკიცებანი უფრო ამძაფრებს სიტუაციას სტილური განსხვავებულობის გამო.

,,თუთაშხია" მიუხედავად თვალშისაცემი ვერბალურ-სტილური ცდომილებებისა, ასწილად რაფინირებულია ,,მბორგალზე".

პირველის კუთრი წონა აბანოზის, ძელქვას შესადარებელი თუა, მეორე თხმელას სიმყიფეს ვერ გაცდება, თანაც მაისში მოჭრილისას.

,,თუთაშხიას" დამსახურება ისიც არის, რომ ყველაფერს ახლა როდი ამბობს ხორაციუსის სწავლებისამებრ, ზოგი რამ შემდგომისათვის გადანახულა.

მაგალითისათვის, ერსა და რასაზე განსჯა, გადაებმება ნოეს ბოთლზე მსჯელობას. ეს მართებული პოზიციაა ანუ წონასწორობის დაცვის იშვიათი უნარი. აქვე ბელეტრისტული აქსიომაა, გვერდში ნახსენები სამახსოვრო სიტყვა, არათუ მის მეზობლობაში, საერთოდ მოიხსენიო ნაწარომების სივრცეში, თუკი რაიმე სტილური აუცილებლობა არ გვაიძულებს.

,,მრავალგზისი" მწერლის საყვარელი სიტყვაა ორივე რომანში და თანაც ხშირადხმარებული.

იგივე ითქმის „გონსასეიროზე“. მსგავსი სტილისტიკა მოსათმენია ჩვენი აღიარებული დაუდევრობის გათვალისწინებით, მაგრამ მაშინ რა საჭიროა სინონიმების არსენალი? შემოვიფარგლები წინათქმით, სადაც მწერალი უკვე თავს ვერ იმართლებს პერსონაჟების კოლორიტისათვის სტილურ თავისებურებებით. ამ ორგვერდიან პროლოგში ათზე მეტი წინადადებაა „იყო“ ზმნით გადმოცემული. თითქოს ეს ფორმა ერთადერთი გახლდეს ქართულ მორფოლოგიაში.

„ჩემს ხელთ არსებული ნაწარმოების მხოლოდ ერთი მეხუთედი თუ ერთი მეექვსედი იყო“.

როდესაც გვერდები „იყოებითაა“ აჭრელებული და სტილის მოთხოვნითაც არ შეიგრძნობა ტექსტის გაკეთილშობილების აუცილებლობა, თავს ზემოთ ძალა არ რჩება, მაგრამ ერთსაც დავსძენთ: დასახელებული წინადადება ხომ შეიძლებოდა სხვაგვარადაც მოგვეწოდებინა?

„ხელთ ნაწარმოების მხოლოდ ერთი მეხუთედი თუ ერთი მეექვსედი მქონდა“;

„მარტოხელა კაცი იყო“ — მარტოხელა კაცი გახლდათ. „ეს მაღალი კაცი მაღალი, ძალიან გამხდარი, ფერმკრთალი და სახედანოჭებული მოხუცი იყო“. მწერლობაში არსებობს ხერხი დაშტამპული „იყოების“ თავიდან ასაცილებლად, როცა კავშირით გადაებმება მომდევნო წინადადებას... „ფერმკრთალსა და სახედანაოჭებულ მოხუცს, მიუხედავად წლის დროისა და ამინდისა, შავი კასტორის პალტო ეცვა“.

ქართული ზმნები აურწყავი ოკეანეა, და თითო-ოროლა პრეზენსით, დამეთანხმებით, ვერსაით გავიფონებთ.

იგივე ვითარებაა „მბორგალში“ ანიდან ხოემდე:

„ძალყინებით სავსე იყო ოთახი“, საჭიროების გამო წინადადების მორჯულება შეიძლებოდა, თუნდაც ამგვარად: ოთახი ძალყინებს აევსო...

„ტომარა ღვედებით იყო დაბმული“, ეს წინადადებაც შებოჭილობის შთაბეჭდილებას სტოვებს „ტომარა ღვედებით დაებათ“.

„ყინული მდინარისა იყო“, „წლეულს გაზაფხული ადრეული იყო“, „დურალუმინის მილებისა იყო“, „იმავე გაქცევის დღეებში იყო“ და ა.შ.

მოსაწესრიგებელია „თუთაშხიაშიც“ და განსაკუთრებით „მბორგალში“ სინტაქსური პოზიცია.

„კაბინეტი შიგნიდან ხქონდა ჩაკეტილი“; „სიგელიც ორიოდე ხქონდა მიღებული“, ამ კატეგორიის ცდომილებათა მორჯულებაც შესაძლებელია ხელის ერთი მოსმით: კაბინეტი შიგნიდან ჩაეკეტა; სიგელიც ორიოდე მიეღო.

„მბორგალის“66 გვერდზე ხომ ნამყო დროის კორიანტელია მთლად და დამატებით იმდენ რედაქტორულ ჩარევას მოითხოვს, ვფიქრობ, რამდენიმე რევაზ თვარაძე აუვიდეს თორმეტ კვირას.

ეს ყოველივე გადაჭრით გვაფიქრებინებს: „თუთაშხიათი“ მიღწეული სტილური რაფინირებულობა, დახვეწილობა და ფრაზის მოქნილობა, გაუფასურებულია „გორა მბორგალით“, ამაზე იტყვიან: კამეჩმა თავისი ნახნავი თვითონ დატკეპნაო.

ესეც ამძაფრებს განცდას, რომ „თუთაშხიას“ ჟანრის თვალსაზრისით მართებულად დარქმევია რომანი, ხოლო „მბორგალი“ ტიპიური მემუარებია.

მე ვუსურვებდი კიდევ მეორე სიცოცხლეს ღვაწლმოსილ მწერალს, ლებანიძისებურად თუ ვიტყვით: „ლენცოფა აგიცელია, მორჩი კეთილი გიცვნია, რა წიგნი დაგიწერია, რა სიკვდილები გიგრძვნია!“-თქო, და იქვე ჩემი დღეებიც მოგმატებოდეთ-მეთქი, ანუ სვანეთში რომ იტყვიან: მიშ გუ ლადეღ სი, მახვშო, ოღონდ ეს ნაწარმოები ბოლომდე გასრულდეს, სტილური თუ სხვა რამ ზადისაგან.

წინ კიდევ დაგვრჩა „მბორგალის“ დასკვნითი ნაწილის ანალიზი, რომელიც ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის მსოფლმხედველობას ახალი რაკურსით წარმოაჩენს და კვლავაც ბატონი რევაზ თვარაძის შესავალი წერილის შესატყვისად გამართლებას მოუძებნის ფინალის „სუერტე მუერტეს“ — მოკვდინების მსვლელობის ფილოსოფიას. □644 გვერდზე მთელი აბზაცი ორგზის მეორდება, არა სტილური მოთხოვნით, არამედ დაუდევრობით, როგორც რუსები იტყვიან; „ხალატნოსტ“ — „ბოლოთქმა“, „ტომი!..“), მაგრამ დიახაც ეს ეპილოგი უკიდურესობამდე გახსნის „თუთაშხიასა“ და „მბორგალის“ შემწყნარებლობას ცხოვრებასთან, სტიქიასთან, გნებავთ კორიდასთან, რომელიც საწუთროს სრული მოდელია, სიმბოლო.

დონ ხოსე არტიგას სიტყვებით კი:

„ჩვენ ესპანელები ვართ, მოგეხსენებათ, კორიდა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. რა არ დაწერილა, მაგრამ ჩვენ, ამ სუფრასთან მსხდომთ, თქვენეული განმარტების მაგვარი არსად შემხვედრიაო“, გაენდობა მწერალს, ხოლო მოგვიანებით ვინმე უნივერსიტეტის ისტორიის მასწავლებელი, ორმოცს მიტანებული ქალი მამაკაცის სახელით — ტომი და „კგბ“ ამოტვიფრული უშველებელი წიგნით, ამგვარ გაცხადებას მოისმენს მწერალი-მბორგალისაგან:

,,ესპანეთში რეკონკისტა — დამპყრობლის მიერ მიტაცებული სამფლობელოების ბრძოლებით დაბრუნება — მერვე საუკუნეში დაიწყო. კორიდამ აქ თავისი პირველყოფილი სახით ბალკანეთიდან მეთერთმეტე საუკუნეში შემოაღწია, ხოლო ბალკანეთში უხსოვარ დროს — კოლხეთიდან. შესაძლოა ესპანეთში ეს სანახაობა სულაც ბასკებმა შემოიტანეს. გამუდმებით მეომარ ხალხს მტერთან ბრძოლისა და გამარჯვების ამსახველი რაიმე თამაშის შექმნა რომ მოსწყურებოდა განა საკვირველია? ერების უმრავლესობას აქვს ამ ფუნქციის მატარებელი გასართობები, სანახაობები თუ მისტერიები. ცნობილია კორიდას თავდაპირველად სხვა ხასიათი ხქონდა. დროთა ვითარებაში ესპანელებმა იგი თავის მოთხოვნილებებს მოარგეს და საუკუნეების მანძილზე ბრძოლისა და გამარჯვების, დამპყრობლის განადგურების პროპაგანდისათვის იყენებდნენ''.

,,სოლ'' — მზის გული შემოსასვლელში ნაქირავებ ბალიშებზე მოკალათდებიან.

,,მაშ ეს კაცობრიობაა'', კითხულობს ტომი. ამის შემდგომ ზედმიწევნითაა აღწერილი კორიდას მსვლელობა, იგივე მოკვდინების პროცესი — სუერტე დე მუერტე: ორკესტი, აღლუმის წინამძღოლი სამი მატადორი, შემდეგ წმინდა გიორგის მიმსგავსებული პიკადორი, რომელსაც სამი ბანდერიოლერო მოსდევს. აქვე არის სამი კაპეადორი— ხარის გამღიზიანებლები, მერმე პუნტილიერო, ქუადრილა დე არსტრე — მოკლული ხარის ასპარეზიდან ცხენებით გამთრევი, და რაც მთავარია, აფასიონადოები — თავგადადებული გულშემატკივრები, იგივე კაცობრიობა სრული.

,, — კაცობრიობის ისტორიაც ასეა, გორ? — ეკითხება თაკარა მზით გაბეზრებული ტომი მბორგალს, — შენ მართალი ხარ: შემოჭრა, მოგერიება, გაქცევა, გამოდევნება, დამარცხება, გამარჯვება, კიდევ რა? ეს ომია. ომი — რაღაცის ბოლო და ახლის დასაწყისი. ომი, ანუ უხეში ძალის ზეიმი და ისევე სიკვდილის დასაწყისი...

— ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!.. სუერტე დე მუერტე — მოკვდინების მსვლელობა... — აღმოხდება ამერიკელ ისტორიკოსს. — ხალხში გამუდმებით არის დაუკონკრეტებელი პროტესტის ქვეცნობიერი გრძნობა და ამის ზედმეტი სისხლივით დრო და დრო გამოშვება სჭირდება...

— ამაოება ამაოებათა! — დაასკვნის მბორგალი და რატომღაც ამაღლებული, მაჟორული ფერებით იხატება დევნილი ტოროს აღსრულების სცენა, ლამის ნატურალიზმით აისახება მატადორის ოსტატობანი ნესტოებდაბერილი, ნაწამები, სისხლდანთხეული ხარისა.

არაფრით განსხვავდება ეს ამაზრზენობა გლადიატორების ორთაბრძოლებისაგან. ჯიხადგარი — მებრძოლი შავი ხარი განადერიას მატიანეში შევა, მაგრამ თუთაშხიების კუნაპეტი პირუტყვი, ცისფერთვალება და კვერცხის ფორმის თეთრი კიოფით მარჯვენა ფერდზე, გაფანტულა, განბნეულა ახალციხის მხარეს, მალაკანების თუ სხვათა სასუფევლად.

ვერ გამოიზრდება მათი ჯილაგისაგან ჯიხადგირთა ღირსეული ჩამომავალი, არ დასჭირდება მატადორს მათი ყანწიანი თავების დესფილირება, რადგანაც ერთხელ დაფერფლილს ვეღარაფრით აანთებ;

ამიტომაც სრულიად ზედმეტი მგონია ნაწარმოების გმირი-შემოქმედის რიტორიკული შეკითხვა:

,,ვინა ხარ შენ, გორა მბორგალო, ხარი თუ ესპადა?''

სრულიად უადგილოა მბორგალის მიერ ეს გამოცანები, ვინაიდან რანაირად შეიძლება შთამომავლობის გადასარჩენადაც მეამბოხეობდე და ამავდროულად გულნამცეცობით ამხობდე საკუთარ თავს?

,,მბორგალით'' ,,თუთაშხიასთან'' შებურუსებულ უამრავ კითხვას გაეცემა პასუხი. ავტორი თავგადაკლული ამტკიცებს, ფრჩხილებს ხსნის, გამოგვიაშკარავებს პირველი რომანის გაბუნდოვანებულ პასაჟებს. აქვე კორიდად, ციხედ, თორიას კასრად, სუერტე დე მუერტედ წარმოსახავს მთელს ცივილიზაციას ნებისმიერი მშვენიერი ფასეულობითა თუ მონაგარით, აურაცხელი სამსჭვალით რომ ებრძვის ყოველგვარ ამაღლებულს, უბიწოდშობილი ქრისტესგან მოყოლებული ბნელშიდამწყდეული ხარით დამთავრებულს.

და ხარი, ვინაიდან პირველადი ცივილიზაციის სიმბოლოა; და რადგანაც იდენტურია ძროხისა და ქალის ფეხმძიმობის ვადა, (ადამიანებს ხარის რქიანებად გამოსახავენ შუმერში), ჩანს, ესპანური კორიდაც დასაბამისეულ მესისხლეობას გადმოსცემს, რომლის წინააღმდეგ იმთავითვე აღსდგება ბიბლია ათი მცნების მეექვსე პოსტულატით: არა კაც ჰკლა! და მაინც — სანახაობად, გასართობად ქცეული, არა გრძნობათა მეუფე, არამედ— ჯირკვლებით მგალობელი კაცობრიობის ველურობის რუდიმენტი.

მწერალს კი ევალებოდა და ამაღლდა კიდეც ყოველივე ანტიხუმანურზე; დროშასავით ააფრიალა მაცხოვრის სამარადისო სიტყვებს: გიყვარდეს მტერი შენიო, რომელი შეგნება გაამარჯვებინებს

მხეცსა და ურჩხულზე მიწიერ თუთაშხას საკუთარი ხორცის გაღებით თანამოაზრეთა მხარდამხარ, და რომელი კოლექტიური მემსხვერპლეობამ გასაოცრად გარდაუსახავს დინგს სახედ დრაკონს, ბრჭყალს — ფრჩხილად, უძღები მადას— თანალმობად.

ეს ყველაფერი მოხვეჭილია „თუთაშხიას" მეშვეობით, ხოლო „მბორგალი" მისი ერთგვარი კომენტირებაა, სქოლიო, მეტის სიცხადისათვის, იგივე მასა-ენერგია, კოსმოსში ხომალდის გაღწევა საჭიროებს დანადგარებისა და საწვავის სახით; მაგრამ გვეჩვენება — ყველაფერზე გაზომილად გვისაუბრია.

31. 12. 1999 წ.

„თუთაშხია" — ზაბორტომ ომეგელთაგან

წელიწადზე მეტია წინდებული წერილი გამისრულებია, თუმცა მის გამოქვეყნებას საშველი ვერაფრით დაადგება ვრცეულობის გამო თუ სულაც უფლის განგებით.

ჯერ არის და გაზეთ „არგოს" კორესპონდენტი ქალიშვილი ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედებაზე სიტყვის დაძვრას მომანდობს. ცხადია, სიხარულით დავთანხმდები და ყოველშემთხვევისთვის დასახელებული მასალის ქსეროასლსაც წამოვიძღოლიებ.

დავსხდებით ზემელზე ყოფილ საბაგიროებთან, მაგრამ როცა შევატყობ გაზეთჩიკს, რომ სასიქადულო მწერლის ბელეტრისტულ მემკვიდრეობასთან საკმაოდ მწყრალადაა, დიქტოფონს გამოვართვევინებ:

— ჯობია ამით იხელმძღვანელოთ -მეთქი, დავაკვალიანებ და გავეცლები.

ბუნებრივია, ვერ ვიხილავ იმ მასალას „აღორძინების" პერიოდიკაში.

„ცისკარსაც" ებევრება მისი მოცულობა, თუმცა თითქოს სარედაქციო კოლეგიის წევრი მეთქმის.

„სუფევის" გამოცემაც დამიგვიანდება და შემრჩება ასე თვიდან თვემდე.

მაჩაბლის 13-ში „განახლებული ივერიის" რედაქციაში ავაკითხავ გრიგალებთან ნარკინალ ბერმუხას. ხელის ზურგზე (ნები ხელის სიბრტყეა საბას მიხედვით) ვეამბორები ჩვეულებისამებრ და იქ გავენდობი, რომ დაახლოებით ოთხი სასტამბო ფორმის გამოკვლევა მიმიძღვნია მისი შემოქმედებისათვის.

— მართლაც ამხელაოო, — გაიოცებს ბატონი ჭაბუა.

ეგ არის და ეგ.

შემდგომ აკვნიდანვე დაბედებული უამრავი წანწალი მომინელებს ოჯახთან ერთად:

თავდასხმა. ტრავმა — ფიზიკური, სულიერი. ვიზები. სანკტ-პეტერბურგი. მოსკოვი. კლინიკები. ხელის გაწვდენანი. უშურველი თანადგომა. კვლავ თბილისში ვარ.

მიგვიანდება ბელეტრისტული ინტერვიუ ბატონ გიორგი გაჩეჩილაძესთან.

„ათი ზეღირსეული ქართველი", ამგვარია ჩემი პროგრამა.

სატროტუარო საუბარში ბატონი გოგის სიმპათიები რატომღაც „ბორიაყისკენ" იხრება პირველადობის პრიზმით.

ჩემთვის გაურკვეველი ესთეტიკური კრიტერიუმებით წარმართულა ბატონ ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის ფორსირებული წარმოჩენა.

ამაგის დაფასებას რა სჯობია, ადამიანურ მოფერებას, მაგრამ ზომიერებასაც ხომ უნდა ხქონდეს საზღვარი?!

მეოცე საუკუნის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის კორიფე- ების ხუთეულში, საცოდაობაა, დანაშაული თუ არა, ჭაბუა ამირეჯიბი გამოვტოვოთ, გამოგვრჩეს!

ქართული ესთეტიკური აზროვნების ავტომეტრი როსტომ ჩხეიძის ნუსხა კი ამგვარია:

1. **ვასილ ბარნოვი**, „მიმქრალი შარავანდედი";
2. **მიხეილ ჯავახიშვილი**, „ჯაყოს ხიზნები";
3. **კონსტანტინე გამსახურდია**, „მთვარის მოტაცება";
4. **ლევან გოთუა**, „გმირთა ვარამი";
5. **ოთარ ჩხეიძე,** „ბორიაყი".

და წარმოიდგინეთ, ცამდე მართალია ჩვენი ავტომეტრი, ვინაიდან „დათა თუთაშხიას" ზებგერითობა, წყალწყვა ველარაფრით ემაშტაბება ზემორე ხუთეულის აეროდრომებს თუ ნავსადგურებს, სანამდის სათანადო სარბენი ბილიკები და პირსები არ მიეგებება მის ზოგადკაცობრიულ მუხტ-ენერგიას; ვიდრე სადაგი დისტანციიდან არ გაცნობიერდება მისი კოსმოგონიური პარამეტრები, მოუწევს ასე, ზეფირებსა თუ ტალღათა გრაგნილებში, გარიყული ხეტიალი ახლომხედველი და მეორღობე შთამო-

მავლობის პატრონს.

,,თუთაშხიასთან'' ,,მთვარის მოტაცების'' დატოლებაღა თუ ესინდისიერება ჩვენს პირუთვნელ გემოვნებას, და ისიც — მოკრძალებული თანამეინახეობით: ოდეს ზიარ უღელში შებმული ეს ორი ლაბა ჩვენი სიტყვიერებისა, მეურმეს მიერაა გაწონასწორებული ტოლის დადებით, ანუ დამოკლებულია ღერძი ,,თუთაშხიას'' მხარეს, რათა საკაცობრიო ტვირთის ზიდვისას ,,მთვარის მოტაცებას'' რამდენადმე გაუიოლდეს.

სხვები დახარებას ვერმოსწრებული მოზვრებია, სასკორავშივე ჩამქრალი.იგივე სენითაა შეპყრობილი მახლობელი ლიტერატურული მონაგარი: ,,თუთარჩელა'', ,,სამოსელი პირველი'', ,,ხმა მღაღადებლისა'' თუ ,,აველუმი''.

ზემორე შევთანხმებულვართ, რომ სტილისტური ცდომილებანი ნებისმიერი შემოქმედებითი პალიტრა-ტემპერამენტის ავტორის თხზულებაში დაახლოებით თანაბარია, ვერბალური საშენის მასალის უმართებულო გამოყენების თვალსაწიერით.

რაც შეეხება ზოგადკაცობრიულ ფასეულობებს, ,,თუთაშხიამ'' დაიპყრო ფეხდაუკარებელი ყველა მწვერვალი და მისი გამორჩეული მარტოსულობაც სულხან-საბას ცნობილი ,,სიტყვისკონისეული'' განმარტებიდან მოდის — ,,მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა''.**(ზემორე შვიდი აბზაცი ჩემს დაუკითხავად ამოღებულია ბ-ნ ვაჟა თთარაშვილის ჟურნალის პუბლიკაციიდან, აქაოდა კოლეგები არ გაღიზიანდნენო, არ ატეხონ დაიდარაბა, დაბოლოს ინვესტორი არ გამინაწყენდესო. კი, მაგრამ როდემიდე სირაქლემას პოზები?! იხ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, №11, 2006 წ.)**

არ ჩამომერთმევა გადამეტებულ შეფასებად თუკი განვაცხადებ: ,,დათა თუთაშხია'' ის ნაწარმოებია, რომელიც ტოლძალოვნად იტევადებს ქართული ბელეტრისტიკის სიფხიანეს ფაბულა-სიუჟეტის მოულოდნელი აფექტების თვალსაზრისით და ,,ვეფხისტყაოსნისა'' და ვაჟას ,,სტუმარ-მასპინძლის'', ,,ალუდა ქეთელაურის'', ,,გველისმჭამელის'' ერთსხეულად გააზრების შემდგომ, მესამე ნაწარმოებად გვევლინება სამამულო მწერლობაში. იმდენად ეროვნულია იგი, იმდენად მოხარშულა ქართლოსიანთა სულიერების ცოდვა-მადლის ქვაბში, რომ სამისდღემშიოდ იმკვიდრებს თავს მკითხველის ცნობიერებაში ჩინგიზ აითმათოვის ,,მანქურთის'' ეპიზოდის წარუშლელობით რომანიდან ,,ი დოლშე ვეკა დილილას დენ''.

ათიანში არტყამს მესიტყვეთა მამფალი ხომეროსი ,,ილიადა-ოდისეათი''.

დანტეც ათიანში ახვედრებს ,,ღვთაებრივი კომედიით'';

ათიანები გაუმსჭვალავს მიგელ დე საავადრას ,,დონ კიხოტით'';

ბდღვირს ადენს ათიანებს გოეთე ,,ფაუსტით'';

ჭაბუა ამირეჯიბიც მათი ჯილაგის ჩუბინია თავისი საღმრთო რაინდით, იგივე მამაკაცური საწყისის ეტალონი გმირით, რომელსაც მეგრულ ლექსში ამნაირად ემღერება: ,,თუთა—მუმა ჩქიმი'' — ,,მთვარე—მამა ჩემი''.

ქუდბედი იღბლიანობის საიდუმლო კი ურთულესი უბრალოებაა და არა — სიმარტივე — იგი რომელიმე კონკრეტული თაობის სალხინებლად როდი შექმნილა, არამედ — მთელი ოქტავით, დოდან დომდე იპყრობს ყრმობიდან დაწყებულ მიმხცოვნობით დამთავრებულ ჩვენს ასაკობრივ გრადაციებს.

საამისოდ შერჩეულია ბასრზე უბასრესი სიუჟეტური წახნაგები, რომელიც ულმობლად გადაფარავს ჩვენს ლიტერატურულ გემოვნებებს, ერთხელ და სამუდამოდ დააჩნდება ჩვენს დანაგვიანებულ თუ დაუწერელ სულთა დაფებს.

ეს ბედისწერაცაა ერთდროულად და უფლისეული ჯილდოც, იმ ქვიშის მარცვალის დარად, რომელიც ოკეანეთა აბორგებისას, მილიონიდან ერთადერთი მოემწყდევა ხოლმე გახსნილ ნიჟარაში იშვიათი პერანგიანობის წყალობით და მერმე ბნელეთის შემანგრეველ მარგალიტად გადაიქცევა მიუკერძოებელი დროის უდასასრულო ტრიალში.

კაზმული სიტყვის ამბროზია

ნონა ბერაიხეს ოპერაცია სამხედრო ხოსპიტალში ჩინებულად ჩაივლის. თოფჩიაშვილის ჯგუფი ორიოდე საათში დამში მოიყვანს საქმეს. ვახტანგის დაის წიაღს მოაშორებენ კომეტასავით შემოჭრილ უცხო სხეულს და გაფაციცებით ჩავუსაფრდებით ონკოლოგიურ დასკვნებს.

ნონა პირწავარდნილი მამიდაა, მეორე ნატა კანსტანტინოვა, მასავით ყირმიზი, თავთუხისფერი თმით, ხაეროვანი. თრთოლვით დამუხტული და ექსცენტრიულობით გამორჩეული თანაც.

გასხვისებული ძმის გამოჩენაზე ნიკაპი აუკანკალდება.

უთქვამს, უმისობა მსპობდაო. თხილნარში გავრბოდი ტირილით გულის მოსაჯავრებლად, ან საკუჭნაოში ჩავიკეტებოდი და იქ გამოვიგლოვებდი წართმეულსო.

ნონა ლექსებსაც წერს ხოლმე. ამას წინათ ,,ცისკარი'' გვერდებს დაუთმობს, მაგრამ მეიმედება, ხვალზეგ სულ სხვა მდუღარებით აელვარდება მისი პოეზია.

გამოჩნდება ვახტანგი და ფერი გვიხუნდება ყველას. უნებლიე ცრემლი ლოყას გაუხაზავს.

წელიწადზე მეტია ოპერაციას ეჩიჩინებიან, მაგრამ სანამ ვახტანგი არ აუხირდება, თავს იკატუნებს, ფეხს ითრევს.

სამეგრელოში დღემდე ცოცხლობს ამგვარი ფრაზა: **ჯიმაშ გურშენ და სოდგა ჩილამურს გიოჭვაუათანსუნ, თექ დოლო შქვით წანას ვეფალუნსია — ძმის გამო და სადაც ცრემლს დააპკურებს, იქ ბალახი □მდელო) შვიდ წელიწადს ვერ ამოვაო** — საამისო არაფერი გვჭირს ღვთის შეწევნით, უბრალოდ ფრთიან გამონათქვამად ვიმოწმებთ.

დაისვამს წინ ბერაიხე დაი მიშველია ძმას და თვალთვალით დნება.

ხოსპიტალში მომსვლელების არმიაა. ახლობლები ახერხებენ შენობაში შემოღწევას და პალატაში ფეხის მონაცვლეობა ჭირს. ათი ამდენი გულშემატკივარი დაბლა ბაბანებს, კორპუსის ალაყაფის კარებთან.

პალატაში ყვავილების მდინარეა ლებანიძისებურად. მაღალ ღეროიანი ვარდების ტრფიალია ნონა და სამლიტრიანი ქილები კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულან, მაგიდაზე, ფანჯრის რაფაზე...

ვახტანგი ნებისმიერ წვრილმანს იჭვნეულობს. ბოლო დღეს კინაღამ ოპერაციას ჩაშლის, აქაოდა, ჯერ დიაგნოზი დაგვეზუსტებინაო, მაგრამ როცა აუხსნიან:დათესვა ოპერაციამდე შეუძლებელიაო, თვალდახუჭული თავის ქიცინით დაყაბულდება.

დასრულდება ოპერაცია და კვლავ ქირურგს ჩაუღრმავდება ძირისძირამდე, შემდგომ ანესთეზიოლოგსა და მკურნალ ექიმს მიუჩოჩდება. ყველასათვის მიგებულია სათანადო პატივი. ახლა გულისყური ლისის ტბის ონკოლოგიურისკენაა.

ამასობაში ნონაც დაახელს დიდრონ, შრატისფერ თვალებს.

ვახტანგიო, დაიკვნესებს მიბნედილი და უნებლიეთ პანტომიმის თეატრის იშვიათი სპექტაკლის მოყურადე შევიქნები.აქ სიტყვას წონადობა დაუკარგავს, ძირითადი ფუნქცია მიმიკას, ჟესტიკულაციას უტვირთავს და დაძარღვულ ტორებში — მაგნოლიის ყვავილებივით გაფითრებული თითების ორგიებს.

ფურტის თამაშით შევიქცევთ რიგ-რიგობით ბერაიხეს.

მთაკაც სერაპიონ კვარაცხელიას ავტობუსი მეტროპოლიტენის სადგურ ,,ვარკეთილის'' მისადგომებთან უთვისტომოდ მიუტოვებია, თუმცა ვინ არის გამშვები?! ჩემი პროფესიის კაცს არ მიძნელდება აქ მელანქოლიის სადაურობის დადგენა — ნონათი ხარობს ვახტანგი და მიშველიათი მზეობს ბერაიხე. დისწული ცირაც ამისთვის წაუმოსკოვებია ჩემს ძმობილს თვეების წინათ ორდინატურაში დასახელოვნებლად. ვახტანგში ნონა აერთიანებს ჭეშმარიტი დედისა და გამზრდელის ხატებს; ნონაშია აკუმულირებული გამჩენელ-დამპურებელი ხორცით, ძვლითა და სულით.

ფუძის ანგელოზის აურათი დამუხტვის ბოლო აკორდებია.

ოცდათერთმეტი მარტის დილასისხამიდან ქალაქში დავბორიალებთ.

შეძენილია სამი ბაგაჟის სამყოფი წიგნები — აკა მორჩილაძის თხზულებები, ყურბან საიდის ,,ალი და ნინო'', ჰომეროსის ,,ილიადა'' და ,,ოდისეა'', ვაჟას რჩეული, ,,ვეფხისტყაოსანი'' და გალაკტიონი, სერვანტესის ბაჩანა ბრეგაძისეული თარგმანი, ირაკლი აბაშიძის რედაქტორობით გამოცემული ქართული ენციკლოპედიის სრული კომპლექტი... სხვანი და სხვანი, მაგრამ ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის უშვიდტომეულოდ ამ სავსებას რაღაც მნიშვნელოვანი აკლია და ჩვენც საღვთო რაინდის ავტორისაკენ დავეღირებით.

მეცხრე სართულზე მობინადრე მხცოვან მწერალს ახლახან მიულულავს თვალი, მაგრამ ქალბატონ თამარის უნისონით შემოპატიჟება, მსწრაფლ წამოაფუცხუნებს.

ხმელ კოპიტად ხმობილი შემოქმედი ძველებურად თავის სტიქიაში — პასიანსითაც ერთობა და გვისმენს ამავდროულად. ფლთან ძახველივით უელავს ღია ჭრილობა. მეორე ოპერაცია შედეგიანი გამომდგარა და ამიერიდან უპრობლემოდ ეწაფება სითხეს, ლუკმასაც ინებებს მეუღლის კოვზიანი ხელით მიგებებულს.

ზეციური ნათელი დასციაგებს თავზე ბატონ ჭაბუას.

გაიცვლება წინადადებები.

თავდაპირველად ბერმუხა მწერალი წაიძუნწებს ცოტას, მხოლოდ „გორა მბორგალის“ ბოლო გამოცემით დაგვასაჩუქრებს დაუპატიჟებელ სტუმრებს, მაგრამ თანდათან ურთიერთობის ძაფები ილამბება და თანადროულს, დიახაც, ამ შტრიხების ზედმიწევნით დაფიქსირებას მივიჩნევ.

— დღევანდელი რუსეთის დედაქალაქი კარდინალურად განსხვავდება ათი წლის წინანდლისაგან, — განგვანათლებს ვახტანგი კარენნოი მოსკოველის დარად, — ახლანდელი რუსი აბსოლუტურად შეცვლილი პიროვნებაა. იაფფასიანი კავკასიური წარმოდგენები მასზე ჩაესვენა ერთხელ და სამუდამოდ — თითქოს საქმეები სამვარსკვლავიანი კონიაკით იჩარხებოდეს. ქალაქში წარმოუდგენელი მშენებლობები გაჩაღებულა. იმდენი სარეკლამო აქსესუარია, ერთმა გერმანელმა ბიზნესმენმა შეიცხადა: **მარტო ამაზე გახარჯული ელექტროენერგია გაანათებდა მთელს ბერლინსო**. მართლაც და განუზომელია რუსი კაცის ლტოლვა უპრობლემო ცხოვრებისაკენ. იქ ხუთკაციანი ზომიერი ვახშამი მინიმუმ 500 დოლარი ფასობს. სიტყვამ მოიტანა და ზემოთხსენებულ კომერსანტს სადილი გავუშალე მეგობრების წრეში. შესვა ორიოდე სარჩა და გაიკრიფეა ენად, მოხყვა ხიტლერის განდიდებას.

რუსები გაბუსხულან. „მაინ კამპფი“ იმათ არ წაუკითხავთ, მაგრამ ორმოციანი წლების სუსხი ჯერაც ზარავთ. მეტის მოთმენა არ შეიძლება და ეგრევე ვაჯახებ:

კი, მაგრამ სტალინი-მეთქი. შესაძლოა მაგარი ვინმე იყო შენი შიკლ გრიუბერი, ფიურერის ნამდვილი გვარი ნეხვის ხოჭოდ ითარგმნება ჩვენებურად.

ბატონი ჭაბუა გადაფიჩინდება, ხომერული სიცილი უხმოა, ტუჩების მოძრაობითღა აღიქმება. წამით შეეშვება პასიანს. თვინიერი მეუღლე წყალს აყლუპებს მილაკიანი ფინჯანიდან.

— „ფუნაგორია“, — წერს ბატონი ჭაბუა მომცრო დაფაზე ფლომასტრით, რომელზეც ჩაწნული ასოები ხარვეზის ჩამოწევისთანავე წაიშლება და ხელებს ისევ ბანქოს საკრალურობით დაასაქმებს.

— ხოდა, მივახლი ამას დაურიდებლად. თანაც ნიშნისმოგებით დავსძენ: სხვანაირად რომ ყოფილიყო, გენერალი სიმუსი შენს ადოლფს ბუნკერში როგორ შეკვეხავდა-მეთქი. ნაციონალ-დემოკრატების ლიდერს ტვინს უმღვრევდნენ გურჯიევები და რობაქიძენი, როცა არიული რასის უპირატესობებს დაულაგებდნენ წინ და „კლიუნულ“ შენმა გიტლერმაც: გაუგონარ ანტისემიტიზმში ჩაეფლო. ხოდა, ბუნებრივია, იწვნია კიდეც თავისი-მეთქი.

წარმოგიდგენიათ იმ საუბრის შემდეგ დამიძმობილდა ჩვენი ბიზნესმენი ხანსი. მე ებრაელების აპოლოგეტი სულაც არა ვარ, მაგრამ ვინც კი ამ ხალხის წინააღმდეგ გალაშქრულა, მხრებზე თავი არავის შერჩა:

კისერი მოიტეხა ეგვიპტემ მოსე წინასწარმეტყველის დროს.

კისერი მოიტეხა რომმა და საბჭოეთმა. ხოდა, ამათთან შედარებით რა ბედენაა?! დღეს პოლიტიკას, რომელსაც თავისი მოღვაწეობის ენდშპილში, ებრაული ფაქტორი არ გაუთვალის- წინებია, სრული ფიასკო ელის მოღვაწეობის მიტელ- შპილში, რადგანაც იშვიათია ერი, რომელსაც ესოდენი შინაგანი მდგრადობის ატომგული გააჩნდეს. უმთავრესი ფაქტორი კი აქ ერთიანი ღმერთის მორჩილებაა ეს, აღებმიცემობის ენითუთქმელი სილაღე, თუ ოპტიმალური მიმართულებების პოვნის უნარი ბიზნესის არენაზე.

პარტნიორობისას ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელთან ებრაელი მოგების პრიმატსაა ჩასაფრებული, მაგრამ საკუთარ ჯიშ-ჯილაგთან 30 პროცენტიანი შეღავათი ფრთებს შეასხამს ხოლმე. ათწლეულების შემდეგ გაიშიფრება „ადიდასისა“ და „პუმას“ მესვეურების ღვიძლი ძმობის ამბავი. თავიდან კონკურენტები რომ ეგონათ, სინამდვილეში ერთ ოაზისში აგროვებდნენ თურმე დოვლათს, რომლის არტერიული დინება ისრაელის აღორძინებას ხმარდებოდა არსებითად.

კომერციის სპეციფიკიდან გამომდინარე მე ბევრი მოგზაურობა მიწევს, ბატონო ჭაბუა, განსაკუთრებით ევროპულ ქვეყნებში: იტალია, ესპანეთი, გერმანია, დანია, შვეცია...

მწერალი ისევ შეიშმუშნება. დაიჭერს ამ მომენტს ვახტანგი და მეტი გულდინჯობით გააგრძელებს:

— ევროპის ქვეყნებში, ბატონო, ჭაბუა, ჩემი ძმობილი ოტობაიის დასავლეთ პროვინციას რომ ეძახის, ნებისმიერი სახელმწიფოს სმოკინგი დღეს ებრაელი თერძის მიერაა შეკერილი. ამის ამოსაცნობად დიდი მოდელიორის უნარები სულაც არ არის საჭირო, არც „ბურდას “ ჟურნალებში ბუდრაობა და აღარც გერმან ბაზელის სტუდიაში რონინი. ებრაული სული იმიტომაცაა დიადი, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ამ ერს დიასპორის სახით სასიცოცხლო ინფორმაციის მომნიჭებელი ანტენები ჩაუმონტაჟებია მსოფლიო პროცესების სრულყოფილი სურათის მისაღებად. ხოდა, ამისთანა ვითარებაში, შიკლ გრიუბერის „მესერშიდტები“ და დახაუ რისი მაქნისია, როცა ქვეყნიერებას მართავს

ებრაული ფარული ხელისუფლება, უჩინარი ხელი, ვიზუალურად. ახლა დგება საკითხი ასე: ჩავყვეთ თუ ჩავათრევინოთ თავი ამ ძალას? მე, მაგალითად, ჩაყოლას ვამჯობინებდი, ვინაიდან ხომ გვისწავლია ბიბლიიდან, ნასვამ და ტიტლიკანა ნოეს როგორ მოახურავენ ქსოვილის ნაჭერს, სემი და მისი უფროსი ძმა იაფეტი, ანუ ჩვენი თავდაპირველი წინაპარი. ჩვენ ეს ორი ხალხი ქამიანელებისაგან განსხვავებით, ერთი მიმართულებით მივდიოდიო ოდითგანვე და ორიენტეციის შეცვლა რაღა დროსია?!

ჩემი გოგო ვიკა, სიძე და სამი შვილიშვილი დანიაში იმყოფებიან დიპლომატიური მისიით. იქიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი მსოფლიო, ვეება რუსეთიც და პაწაწკინტელა საქართველოც. გადაავლებ პლანეტას თვალს ამ გადასახედიდან და მიხვდები, რომ კომუნიზმის საფუძვლები თურმე ებრაელებისათვის შეუქმნიათ მარქსსა და ენგელსს.

მოვქრივართ სარკისებურ ტრასაზე. საჭეს სიძე უზის, პაპუაშვილია გვარად, კახური წარმოშობისაა, მაგრამ კოლხური მოკრძალებაც შეუთვისებია სოხუმში ცხოვრების დროს. გადააგდებს ვიღაც „მერსედესის“ ფანჯრიდან სიგარეტის ნამწვავს და ჩემი ასულიც დაბარებულივით მობილურს მოიმარჯვებს. საჭირო ნომერს კრეფს გამალებით. სხაპასხუპით ელაპარაკება დანიურად. პოლიგლოტი ასული მარგუნა ბედმა. მგონია ათზე მეტი ენა იცის. შვილიშვილებიც ამ ყაიდის გამომსვლია, თავიდან გაუჭირდათ თითქოს დანიური სწავლა, მაგრამ უკვე ადგილობრივ ბავშვებს რეპეტიტორობენ.

რას შვრები-მეთქი, ვეკითხები.

პოლიციაში დავრეკე და იმ „მერსედესის“ სერია გადავეციო.

თქვენისთანა ბიოგრაფიის კაცისთვის ამნაირი საქციელი მიუღებელია. ამისთანებს ციხეებსა და ზონებში ნასედკებს ეძახიან, ჩამშვებებს, მაგრამ დანიური სინამდვილიდან გამომდინარე, აუგ ნამოქმედარს არავინ გაპატიებს. ძმაც რომ იყო, გაგამხელენ. არავინ მოგიტევებს სახელმწიფო გადასახადის გადამალვას. ყველაფერი გამჭვირვალეა და წამითაც არ იგრძნობა ჩვენებური ოცდაათიანი წლების დასმენების სუსხი. იქ ცილისწამებებს ფეხს არავინ აუბამს, ვინაიდან ტყუილის მთქმელს სხვანაირად მოეკითხება. აი, სიმართლისათვის თავგამოდება, სამართლიანობისათვის უკომპრომისობა ნებისმიერი დანიელის მოქალაქეობრივი მოვალეობაა. მე აქ საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. განა ნაკლებ უგვანობას მოვიმოქმედებთ ჩვენ, საყვარელ მამულში, როცა ზურგს უკან ვჭორავთ და ვანადგურებთ მოყვასს?! განა უფლის თვალში ნაკლები სიბილწით წარვსდგებით დასახელებულ უზნეობის მალულად ჩამდენნი?! დანიაში ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა და კონფრონტაციასაც ნაკლებად იწვევს.

ორიოდე საათში გადმოურეკავენ პოლიციიდან ჩემს ვიკას. გაირკვევა, რომ „მერსედესის“ მძღოლი ვიღაც საბჭოელი ყოფილა, უფრო კონკრეტულად კი საქართველოს მოქალაქე.

დანიურ სოფლებში ფერმერული მეურნეობაა ძირითადად.

რძეს ვყიდულობდი ერთი ცოლ-ქმრისაგან. ორმოცდაათამდე შავ-ჭრელ ძროხას წველიდნენ. რძით სავსე ბიდონებს პირდაპირ ქუჩაში დგამდნენ. ჩამოივლის მანქანა და მიაქვს. არავინ მოიფიქრებს რძისთვის წყლის დამატებას, პირიქით, ცხიმიანობის პროცენტულობა პატრონისგანვე განისაზღვრება. ეს ჩვენ ვიცით, ოცმოცური ხრიკები, რომელიც აქაურ ქვეყნებში თავს გვჭრის უკვე სავალალოდ. იმათი ფერმა მერძეული მიმართულებისა გახლდათ. როცა ჯოგში ფური დაიბადება, მიუჩენენ სასურველ ადგილს, მაგრამ ხარი თუ გამოერია, პრობლემაც იმატებს, რადგანაც ფერმერებს თავად უწევს ჯარიმის გადახდა სახელმწიფოსათვის. და ერთხელ გულწრფელად რომ მოვიხიბლები ხბოს კუნტრუშით, დამითმიაო, მეტყვის ოჯახის უფროსი, ოც დოლარად მოგცემო. ნამდვილად მოგებულში რჩებოდა ფერმერი, რადგანაც სახელმწიფოსთვის 50 დოლარი უნდა გადაეხადა თურმე. განვუცხადე ეს ყველაფერი ვიკას და პრინც ხამლეტს, ალბათ, ნაკლები ვაიუშველებელი დატყდომია თავს, ვინემ — მე.

შენ სამწვადედ გაიმეტებ იმას, და მერე ბავშვებთან მე როგორ ვიცხოვროო. მოკლედ გამჯორავენ გვარიანად. ბატონო, ჭაბუა, გური ოტობაიის სოფლის დასავლეთ პროვინციიდან ამნაირი გამჭვირვალობით მოჩანს მთელი მსოფლიო. დღეს ეროვნულ უპირატესობებს ებღაუჭება ნებისმიერი სახელმწიფო: არიქა, მე ვარ უფრო ძველი ერი, კაცობრიობის დასაბამი ჩვენგან იწყებაო. რელიგიური განსხვავებულობის ანაფორებს მოისხამენ ინფორმაციული ვაკუუმის გარანტად, როცა ევროპა კოსმოსური სივრცისავით ღიაა ყველასათვის. მიხილავს ვიკასთან მე თუთაშხიას დანიური გამოცემა. ბატონი ჭაბუა ისევ დაეხსნება პასეანსს. წიგნების კარადისაკენ მიისწრაფვის. ზედიზედ გამოაქვს ჩინებულად გაფორმებული წიგნები. მკლავზე უწყვია ისინი. წინ დაგვილაგებს დანიურ, შვედურ, ფინურ, ფრანგულ, გერმანულ გამოცემებს. მართალია, მთლად „ნეოსტუდიის“ შვიდტომეულს ტოლს ვერ დაუდებენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არც მის გამომჩენს ვხედავ ვინმეს.

— თქვენს უნახავად მოსკოვში ჩასვლა გულში ხინჯად ჩამრჩებოდა, ბატონო, ჭაბუა. ალბათ, შენიშნავდით, აქ „დათა თუთახშიას“ ყველგან „კანონგარეშე“ აწერია. ევროპელებს უყვართ სათაურში

შინაარსის კონცენტრაცია, რადგანაც ისინი სათაურს კომპასის მნიშვნელობას ანიჭებენ. მე პარფიუ-
მერიის ბიზნესში ვტრიალებ და სიტყვაკაზმული მწერლობის სურნელსაც ჯეროვნად აღვიქვამ. შევხე-
დოთ, როგორი განსხვავებაა სამშობლოსადმი დამოკიდებულება ებრაელ და ქართველ ერებს შორის.
ჩვენ მივსტირით წართმეულ ტერიტორიებს. თავს ვიკლავთ წასაგლეჯად ცერზე შემართულისათვის,
როცა ებრაელი 26 საუკუნის შემდეგ გამუდმებით იბრძვის ხრიოკი მიწისათვის, ამასთან თეორიუ-
ლად დედამიწიდან განიხილავს მამულის ცნებას, საზღვრებს. ამას კოსმოპოლიტიზმსაც ვეძახით ჩვენ,
პატრიოტები, ირონიით, მაგრამ უფრო სერიოზულად ჩავხედოთ საკითხის არსს, და მივხვდებით,
რომ განსხვავებაა არა მხოლოდ მასშტაბებში, მიდგომაშიც. ებრაელებს ისრაელის გარდა არამატე-
რიალური უამრავი სამშობლო გააჩნიათ: ფასეუ- ლობებში განსხვავებული, როგორიცაა: მსოფ-
ლიო კაპიტალი. 600 მილიარდერიდან 500-ზე მეტი ებრაელია; მასონური ლოჟების ერთობლიობა,
იგივე უჩინარი ხელი; გაერო, ეუთო, შვედეთის აკადემია. თავიდან ცდომილებები იმათაც მოსდიო-
დათ, როცა მეორეხარისხოვან ლეგერლეფს საფოდ წარმოაჩენდნენ, მაგრამ ნობელის პრემიით და-
დაფნულთა ლაშქარში 90 პროცენტი ებრაელია თუ მეტი არა. ნაწარმოების სიდიადე ხშირ შემთხვე-
ვაში ეწირებოდა პოლიტიკურ კონიუქტურას. სოლჟენიცინის ,,არქიპელაგის გულაგი'' ტოლსტოის
,,ყირიმულ მოთხრობებს'' კოჭებამდეც ვერ შესწვდება მხატვრულობის თვალსაზრისით, რომ არა-
ფერი ვთქვათ ,,ომსა და მშვიდობაზე'', თუმცა, უფრო გასათვალისწინებელი რეალობა ის არის, რომ
ებრაელებმაც ისწავლეს მოჩვენებითი დათმობები და ლიტერატურულ პრემიებს ხან ფოლკნერს გა-
დაუგდებენ სახრავ ძვლად და ხანაც — მარკესს. უმთავრესი ძალისხმევა მათ საბუნებისმეტყველო
დარგებისკენ მიმართეს და ყოველი ასი ნობელიანტიდან დღეს ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ასტრო-
ნომიის დარგში 99 ებრაელია, ანუ ნობელიანტობის ნიშნით ჩამოყალიბებულა ებრაელების ტექნოკ-
რატიული სახელმწიფო. ჭრილში თუ განვიხილავთ ქართულ, გნებავთ სომხურ ეთნოსს, აბსოლუ-
ტურად ხელმოცარულებად გამოვიყურებით. ვინაიდან დასწრებულია გონიერების ზესახელმწი-
ფოს ფორმირება და უკვე იმ საზღვრების გადალახვა თითქმის შეუძლებელია.

თუთაშხია საღვთო რაინდია, მთვარის ღვთაების მხედარი, რომელიც მართლმადიდებლური
მორალით ამარცხებს საკუთარ წიაღშივე აღმოცენებულ ბოროტებას, ამ შემთხვევაში უნასივით
დაგორგლილ ზარანდიას, მაგრამ გავითვალისწინოთ სხვა რეალობაც, კონკრეტულად კი ის, თუ
ვინ შექმნა ორივე, რომელმა სინამდვილემ. ცხადია, უნგრეთის არეალიდან წამოსულმა მეფის რუ-
სეთის მოხელე გრაფი სეგედმა, რომელიც ვერავინ დამარწმუნებს ებრაელი არ იყოო. მორდოხაი
ხილული ურიაა, თავისი ანგარიშიანი ფსიქოლოგიით, ბატონო ჭაბუა, და ამდენად ყველასათვის
ხელმისაწვდომი, მაგრამ გრაფი სეგედი მთელი ნაწარმოების ხერხემალია, ვინაც ცხადლივ შექმნა
ეს სპექტაკლი, ეს დრამა — თუთაშხია-ზარანდიას სამყაროისეული კონფლიქტის სახით. ამიტომაც
მიმაჩნდა და მიმაჩნია, თქვენი ნაწარმოები გაცდენილია ეროვნული პარტიკულარიზმის ჩარჩოებს.
ის განფენილია გალაქტიკური მსოფლგანცდით და უწინარესად ამის გამო იმსახურებს უპირველეს
ლიტერატუ- რულ ჯილდოს მსოფლიოში. თუმცა, აქაც არის ერთი გადაულახავი ბარიერი, კერ-
ძოდ — კომერციის ენაზე — პროპაგანდაში დაბანდებული კაპიტალი, რომელიც რომანში კოდი-
რებულ ფარულ დინებებს სააშკარაოზე გამოიტანდა და ყოველდღიურ სასაუბრო თემად აქცევდა
წიგნიერ მსოფლიოში. ამ გრანდიოზული სამუშაოების შესრულებას არაებრაელი მწერლისათვის
დიდძალი სახსრები სჭირდება. ნობელიანტობისთვის განკუთვნილი 200 ათასი დოლარი, აი, აქ, ყუ-
ლაბაშიც რომ გვედოს ახლა, გასაშვები თანხის მხოლოდ ათი პროცენტია.

სხვანაირად აუხსნელია ჩემთვის ტოლსტოის ორგზის გაწბილება შვედეთის აკადემიისაგან, რო-
მელიც თავიდან ინტონაციებში წამოუყირმიზებლად ესესხებოდა სტენდალის ,,მადამ ბოვარს''.
ჩვენთვის უმთავრესია ყოველთვის გვახსოვდეს ეროვნული ფასეულობების კოსმოპოლიტიკურ ოკე-
ანეში ჩამდინარების ტექნოლოგია. სხვანაირი ბედისწერა მსოფლიოს არ უწერია. ამ პრიზმით ჯერ-
ჯერობით მხოლოდ ებრაელი ერი იყურება, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, მან გააფართოვა სამშობ-
ლოს პარტიკულარული საზღვრები და იდილიურ ორღობეს კოსმოსური გაქანება მიანიჭა.მე ჩემს
ძმობილს, რომლის ტალანტში ეჭვი არ მეპარება, დროულად უნდა გამოვუფერთხო თავიდან
ოტობაიური ეგოცენტრიზმი, დამაბრმავებელი პატროფილია და მის სათქმელს სადინარი ზო-
გადკაცობრიულისკენ უნდა მივანიჭო. სხვანაირი ,,ურაჟაი'' ნებისმიერ მწერალთან წყლის ამაო
ნაყვაა. ზოგადადამიანურით აირწყვება ,,ილიადა'', რომელსაც მარქსი ეტალონის, ნიმუში მნიშ-
ვნელობას ანიჭებს. ზოგადკაცობრიულით გვხიბლავს ალიგიერი და გოეთე. ლამანჩიდან ზოგად-
სამყაროისეულით გვაღვრევინებს სიმწრის ცრემლს სერვანტესი. საყოველთაო ფასეულობებით
გვატყვევებს ,,ვეფხისტყაოსანი'', ვაჟა. თქვენთანაც მსგავსი სიტუაციაა, ბატონო ჭაბუა, მაგრამ
სავალალოდ მე ვერ ვხედავ კრიტიკული აზროვნების პროდუქციას, ამ მიმართულებით. აი, სად

არის ჩვენი აქილევსის ქუსლები. დღეს რეკლამა კარგი გაგებით განუსაზღვრელი მნიშვნელობისაა საბაზრო ურთიერთობის პირობებში. გავიხსენოთ მოლა ნასრედინის მაგალითი, ფაფას არიგებენო, რომ წაექილიკება ვიღაც აბეზარს და როცა იქითკენ მოძრაობები გახშირდება, თვითონაც წამოავლებს ხელს კოვზსა და ჯამს.დღეს მასას შვიდასგვერდიანი რომანის კითხვას ორწუთიანი საეთერო კლიპი ურჩევნია ინტერესის გასაღვიძებლად, სადაც დაწნეხილადაა გადმოცემული ნაწარმოების უმთავრესი ღირსებები. ხოდა, გადავწყვიტე ჩემს ძმობილს გამოვაბერტყვინო თავიდან ოტობაიური ოფოფები, რადგანაც ჯერ კიდევ შესწევს უნარი შექმნას რაიმე ფასეული, ოღონდაც თქვენი გენიალური უბრალოების დაუფლებით. ამიტომაც ნებას თუ დამრთავთ, ბატონო ჭაბუა, იქნებ გეკურთხებინათ იგი თავზე ხელის დადებით. დღეს 31 მარტია, ორშაბათი, საღვთო რაინდის ასპარეზის ბორჯალი, მთვარის ღვთაების დღე — თუთაშხა.

ქალბატონ თამარს დამუხტული ფოტოაპარატი მოუმარჯვებია, მე ბედოვლათს მუხლი ჩამიხრია დიდი ხელოვანის სავარძელთან, ბანქოსაგან გამონთავისუფლებელ მარჯვენას დამასვენებს ნაგოლგოთარ თხემზე და ცრიატებს ობიექტივის სანთელი. ჭაბუკური სიჩაუქით წარიმართება მერმე ბატონი ჭაბუა და ახლა ჩემთვის ცასავით ნათელია, რომ ხვალ დილით ვახტანგს უშვიდტომეულოდ არ მოუწევს მოსკოვში გაფრენა.

31. 03. 2001 წ.

ვგონებ სექტემბრის დამდეგსაა.

მწერალთა სახლის წინ მანქანაში ჩაჯდომისას გამოსამშვიდობებლად გამოწოდებულ მარჯვენაზე ვემთხვევი ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს.

გაიკვირვებენ ზურგს უკან სამოწყალო სტიპენდიის მომლოდინე კოლეგები, მაგრამ რა უწყიან ვიეთთა ქარავნის მსვლელობის მისტერიისა?!

ამას აქეთ ჩემს ლაბორატორიულ ქვაბში ვიხარშები ვარკეთილსა თუ ძმები კაკაბაძეების სამგზის გადანათლულ ქუჩაზე.

კოსტავას 14-ში შევიტყობ ბატონი ჭაბუას ოთხმოცი წლისთავის შესახებ.

ორ დეკემბერსაა დანიშნული საღამო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

ერთხელაც ჩავაკორექტირებ წერილს და „საქართველოს რესპუბლიკის" პასუხისმგებელ მდივანს გადავცემ გამოსაქვეყნებლად, თუმცა ბოლომდე ვერ მივედევნები ბოხემურ დიდღელვაში მოყოლილი და კვლავაც შემიფერხდება მისი დაბეჭდვა.

მამაპაპური შობა ჩავლილია.

ოცდახუთი დეკემბრის ღამით ალილოობაზე მეც მივლია მშობლიურ ოტობაიაში სახეგამურულს.

ახლა ამეებისთივს ვის სცალია? თითქოს გადამვიწყნია სიმღერა.

ტელეფონით ვეხმიანები ოთხმოცი წლის იუბილარს.

სრული ოცდაათი წლითაა უფროსი, წარმართებში მიჩუმათებული ქრისტეს ასაკით.

სიხარულით მიმიპატიჟებენ, ოღონდ წინასწარ დარეკვას მთხოვენ.

თურმე საავადმყოფოშია წასასვლელი ბატონი ჭაბუა.

მეასედ ვკითხულობ მრავლადნაჩორკნ წერილს. თავში რუსთაველის სტრიქონი მიტრიალებს სულ: ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

ვაანალიზებ საჩუქრად გამზადებულ რომანზე წარწერილ ფრაზას:

„ნობელის პრემიის ლაურეატობის ერთადერთ კანდიდატს XX საუკუნის ქართული ბელეტრისტიკიდან".

წრფელზე წრფელია და უცდომელი თვენახევრის წინანდელი ჩემი დამოკიდებულება მხცოვანი იუბილარი მწერლის შემოქმედებისადმი.

ეს მათამამებს, ეს ამლესავს ამირეჯიბებთან სავიზიტოდ.

ცრის. აქა-იქ თოვლის ფთილასაც გამოურევს ცარგვალი.

ქვეითად ავუყვები ჭავჭავაძის პროსპექტს.

ზურგსუკანაა ყმაწვილკაცობის უმაგალითო ტაძარი — უნივერსიტეტი.

პირჯვარს გადავიწერ სტუდქალაქის ტერიტორიაზე ამოზიდულ მონასტერთან.

გავიკითხ-გამოვიკითხავ და დავაზუსტებ თამარაშვილის ქუჩის ანიაგანს.

მსუბუქი ნისლი ფარავს ხევში ჩაბუდებულ მერვე კორპუსს.

მეგებებიან ბიჭები: ქუცუნა—ქურციკი და შალვა.

თავაზიანად მეპატიჟება შინ ქალბატონი თამარ.

ბატონი ჭაბუას ეს-ეს არის მოსკოვური ტელევიზიის ხალხი გაუსტუმრებია და წამით მითვლემილა, მაგრამ მაინც ფეხზე დამიხვდება.

სიკეთის განსახიერებაა ჯავახიშვილების ასული.

ჭაბუას ერთ-ერთი ცოლი ჩემი თანაკურსელი გახლდათ, მაგრამ სამოციანი წლებიდან მწერლის ოდისევსური ხეტიალის ჟამი განქარდება და მის ჭარმაგულ ენერგიას უსათნოესი თამარის ღვთისმოსავი კდემამოსილება იურვებს. მოგვიანებით, შვიდტომეულის გადათვალიერებისას საოჯახო ალბომის ფოტოებიდან დავადასტურებ ყოველივეს:

სადღაც ზღვისპირა ქალაქის კიბეებზე დგანან ახალშეუღლებულნი. შემოსილობა ხალვათია, ხავერდოვანი ზაფხულისა. კაცს უწინაფრო თეთრი ქუდი ახურავს. ქალიშვილი გაუხსნელი მარაოთი ხელში მისჩერებია ფოტოაპარატის ობიექტივიდან ლურჯი ფრინველის გამოფრენას. ფეხები ქოშებში წაუდგამს. ორი თითი ჩანს წაჭრილი ჭვინტიდან. ცერს უსწრებს მეორე და ფრანგების დაკვირვება გამიელვებს თავში: უპრობლემო ცხოვრება თუ გსურს, ისეთი ქალი შეირთე, რომლის ფეხის ცერი მომდევნო თითზე მოკლეა. ამისთანა აღნაგობას ბერძნულ ტერფსაც ეძახიან სკულპტორები და გაწონასწორებული ბუნების უტყუარი განსახიერებაა მარბენალი მწერლის დედოფალი-ღუზა.

სუფრაზე ხელად გაჩნდება კერძები, ტკბილეული, ხილი, ღვინო.

ფეხზეწამომდგარი დავლოცავ ოჯახს. ეს პოზა შურობუმუ სამურზაყანოდან მემზითვება.არ დავაწვები ჩამწერის ღილაკს.

ამირეჯიბებიდან ეგზალტირებულად გამოსულს ნასაუბრების ნატამალი არ მახსოვს რომან-ტრიადა ,,სიცოცხემისჯილების'' მეორე წიგნს ათვალიერებს ბატონი ჭაბუა.

— აქ გამოეციო, — უკვირს.

ზომა-წონას უსინჯავს. უთვალიერებს შეკერილობას, ყუის სიგლუვე-სიმრგვლოვანეს.

— ჩინებულიაო, — მიქებს თხზულების პოლიგრაფიულ დონეს.

შესანახად კი არ გადასცემს გულთამხილავ მეუღლეს, ლოგინისკენ მოისვრის მსუბუქად, მოვიცლი შენთვისაცო, ამისი ქვეტექსტით. ახალი ბანქო უთრთის ხელში. მთლად ამისი ჯადოქარი ვარ, მაგრამ ამირეჯიბებთან კრუპიეობით ხომ არ მოვიწონებ თავს?!

დარწმუნებული ვარ, მეტი გულგახსნილობის დრო-ჟამიც მოვა სამწერლობო დიალოგის მხარდამხარ.

კურაშაიტების ძესავით აი, რა მსიზმრებია მე უფლის მეექვსე გამოცხადებისას:

ტალახიან, სლიპინა გზაზე მიმავალს ქოქოლით მომყმრიან სახედარღვეული თანამედროვე კოლეგები, ფხოჭნიან ლიამწოვს, ვერ აგუნდავებენ ფაფადქცეულ მიწას და იმ ამაზრზენობიდან გვარიანად დაწინაურებულს, ოდეს შესამწიკვლად მომახლიან, პირქარი უკანვე მიუბრუნებთ შხეფად დარდუბალა-შმორს. მაგრამ წინ, გვარიანა შორს, გვერდიგვერდ მოხმაურობს თეთრი და შავი არაგვი. იქით შემაღლებული ბექობია. ვხედავ სავარძელში მოკალათებულ დიდოსტატ კონსტრანტინეს მიმინოსებურ იერს. უფრო შორს კიდევ სხვებს — მაცხოვრის კვართში გაბუნდოვანებულებს. სოფლის კინოთეატრში რომ დაგვმართნია ხოლმე, ფოკუსი მოშლილა, თიკანაძის ფოტოსავითაა — ,,ტკბილი ნესვი'' და ძარღვებაწეწილი მაყურებელი: რეზკოსტ! რეზკოსტო, იძახის ფილტვების გაგლეჯვამდე. აი, იმგვარად და იმნაირად.

მხოლოდ ერთადერთია ჩემი ქომაგი და ისიც — ჭაბუა ამირეჯიბი. გადმოუწვდია მარჯვენა თეთრ არაგვზე, გადმომცდარა შავს და სადაც ალპურ ბალახებში მთვლემარე ლოდების ლაშქარია, მოუგებია საამბორებლად. თითქოს მცდის, თითქოს განმჩხრეკს ახლოით. მაგრამ ეს ქმედება მე ხომ რამდენიმეგზის აღმისრულებია უკვე რეალურ დროში, სრულიად ძალდაუტანებლად და გულწრფელად, ზურგსუკან აჩურჩულებული კოლეგების თანდასწრებით? ხოდა, რომ დავეწაფები დაშაშრული ბაგეებით საღმრთო რაინდის მეხოტბის ტალიან ხელის ზურგს, გასაოცარი სიმსუბუქე დირიჟაბლსავით მიტაცებს. ვეღარაფრით ვარკვევ, გამოწოდებული მკლავის ძალისხმევით გავაღწევ გაღმა თუ კიდევ სხვა რამ ჯადოქრობით. აქ მეღვიძება. აქ ვიფშვნეტ თვალებს და ეგრევე სამუშაო მაგიდასთან მომლოდინე საშა ეგუტიას ,,ერიკას'' ვეძგერები სულში გაცრიატებული ხილვის დასატყვევებლად.

სადღეგრძელო ჯერ არ ჩამიმთავრებია.

ბატონი ჭაბუა ფიცხელი მოძრაობებით შლის პასეანსს. მეც ამნაირად ვერთობი ხოლმე. ბონაპარტეს საყვარელი მჩხიბაობით შევიქცევ თავს.და მაშინ შეგირდის თვინიერებით გავუმხელ ოსტატს მარცხენა მხარზე ამბორისა და ხელზე კოცნის საკრაულობას:

— ხელზე მანდილოსანს ემთხვევიან ხოლმე კაცები და კიდევ — მოძღვარს სულისას-მეთქი, განვმარტავ

ქართველ ბელეტრისტთათვის უჩვეულო თავაზიანობას ჩემსას. — მარცხენა მხარზე ამბორი კი შენს მარჯვნივ დაბუდებული უფლისეული ძალის გადმოსვლაა სასურველი პიროვნების დაუცველ ველში-მეთქი.

ნეტარებს მახვში მასპინძელი, სიგიჟემდე მიხარია და ლამის ვიბღავლო აცამზევებულმა: უეჭველად ჩამოიტანთ საქართველოში ნობელის პრემიას, ბატონო ჭაბუა-მეთქი. მთავარია მეორე სუნთქვა, სულში მიმოფანტული მუგუზლების თავმოყრა, სასიცოცხლო ენერგიების ამოქმედება. მე ვიზამ ამას ტიბეტური საიდუმლოებებში მეტნაკლებად გაწაფული-მეთქი.

ვერ ვიხსენებ ახლა, ფიქრის ჩარჩოში მომწყდეული ეს მედიტაცია ხმამაღლა თუ გაცხადებულა, თუმცა ჩინელ მოჭადრაკესთან ჩიბურდანიძის დამარცხების გამო აქვითინებას რომ ვახსნებ, ყველაფერი გარკვეულია, ყველაფერს მისჩენია თავისი ადგილი და დრო.

— შვიდტომეული! — ბრძანებს ბატონი ჭაბუა.

მსმენია ამის თაობაზე. ჩემს სიყრმის მეგობარის პაატა ნაცვლიშვილის დიზაინითაა უცხოეთში გამოცემული.

შემოიტანენ ყუთს. გახსნიან. პასეანსით გართულს მიაწოდებენ აფრიკული ლომის შეფერილობის პირველ ტომს და ავტოკალმის გაჯიუტებით გალარავს ბატონი ჭაბუა ხუთიოდე სტრიქონს. არ ვსულსწრაფობ წარწერის წაკითხვას. ოჯახში მიბრუნებულს შვილები დამასწრებენ იშვიათი ნადავლის დათვალიერებას. არ ვუშლი მათაც ჩინებული გამოცემით ტკბობას. სრულიად განმარტოებული, მამლების მესამე გადაყივლების შემდეგ, ფორზაცის მოპირდაპირე ტიტულზე ამისთანა კალიგრაფიას დავაფიქსირებ:

„ბატონ გური ოტობაიას, — წარწერის წინ ლოგინზე დასვენებულ რომანს გადახედავს სათვალის ლინზიდან მახვში მასპინძელი, — უმშვენიერეს მწერალსა და პირუთვნელ მამულიშვილს, უღრმესი პატივისცემით, სიყვარულითა და მოკრძალებით, თქვენი ჭაბუა ამირეჯიბი, თბილისი, დეკემბერი, — 2001“.

წავიკითხავ და გულზე მომეშვება.

ერთხელ და სამუდამოდ გამოტანილია განაჩენი ჩემი ბელეტრისტული მოღვაწეობისათვის: ‘‘პირუთვნელი მამულიშვილი‘‘;

აწი, არც დატოვებული წერილის ავკარგიანობა მიკანკალებს გულს.

მე ხომ ვერსიის დონეზე გავანდობ ოჯახს ჩემს გულისწადილს, რაზედაც ბატონი ჭაბუა შემეკამათება:

— როგორ გეკადრება, მწერალი იმისთვისაა მწერალი, რომ საკუთარი აზრი გულღიად მიიტანოს მკითხველებთანო.

ვემოკრძალები.

— ასინათესი არ იყოს, ორი ხომ უკეთ შენიშნავს ჩავარდნებს, საჩოთიროს თუ უხერხულს-მეთქი.

გარინდებით მისმენს პასეანსის ტალანებში მობორიალე.

ხორხის ოპერაციას მიხსენებს. საზღვარგარეთული დასტაქარობა ვერ გამომდგარა მაინცდამაინც შედეგიანი. ნერვი დაუზიანებიათ და სარქველი არ ეხსნება. უჭირს სითხის მიღება. დიაგნოსტიკის ცენტრში დაიარება ეს დღეები, ფრიდონ თოდუასთან. მორიგი ოპერაციისათვის ემზადება. ოდინდელი ომახიანი ხმის დაბრუნებისათვის სანტიაგოსავით ეჯიუტება ბედისწერას. დარწმუნებული ვარ ყველაფერი ჩინებულად ჩაივლის, ვინაიდან მას ნავში ხყავს უკვე დამხმარე შეგირდი. ესეც რომ არა, ლეგენდებს ხომ უნდა მიემატოს მორიგი საგა, მითი?! თანაც ხმა ბატონ ჭაბუას უცილობლად სჭირდება, ვინაიდან სტოკხოლმის კათედრაზე ამაღლებისას დიახაც თვითონ უნდა წარმოთქვას იქ საშვილიშვილო სიტყვა. კავკასიური ტემბრი აუცილებელია შუაგულ ევროპაში, რათა ქართული ბელეტრისტიკის სიდიადემ მთელს დედამიწას გადაუგრგვინოს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთით.

ასე ჩაუფიქრებია ბედისმწერალს და იჭვნეულობა რა ბედენაა?!

არ შევაწყენ თავს ამირეჯიბთა ჯალაბს.

მისახსოვრებენ გაზეთებს, „ამონარიდებს თხზულებებიდან‘‘ სიმფონიური ლექსიკონის თვისებით შეკონილს.

იშვიათი ნადავლი არავისთვის მეთმობა.

— ბარტერული გაცვლაა, — ხუმრობს ქალბატონი თამარ.

— ნამდვილი „ტრაფეით‘‘ მე მივდივარ-მეთქი და ასე დავეშვები ჟინჟღლიან ხეობაში.

ვაკის პარკამდე გამიყვანს ბატონი ჭაბუას მძღოლი. იქ ჩამოვხტები. აღარც ტაქსის მოლოდინი გამიხანგძლივდება.

ჭეშმარიტად, მართლაც ზღაპრული გამოცემაა „შვიდტომეული‘‘.

მე ყოველთვის მაოცებდა პერანგის ძმობილი პატარა ნაცვლიშვილის გემოვნება. ბოლო დროს სხვა მრავალთან ერთად, იგი საგამომცემლო საქმიანობითაც ისახელებს თავს.

თვალწინ მიდგას ახლა თემურ ჭკუასელის ორწიგნეული: „წინ, წინაპრებისკენ“! და „კვამლის სინდრომი“.

სადარბაზო სარკეს მისჩერებია სმოკინგიანი ავტორი — ჩვენი ჭოტიკა და იქიდან შავჩოხოსანი ორეული ირეკლება. იგივე სცენაა გათამაშებული მომდევნო წიგნში, ოღონდ ახლა ევროპულად შემოსილი ჩოხოსანი ილანდება სარკის წიაღიდან.

შვიდტომეული კლასიკური თავდაჭერილობისა და ავანგარდისტული სითამამის ერთგვარი სიმბიოზია.

ფორზაცი თხზულებათა ხელნაწერების შინაურულ გარჯილობას დაუმშვენებია.

განსხვავებული მხოლოდ პირველი ტომია: შედარებით მოცლილი კაცის მიერ შესრულებული კალიგრაფია, მწყობრი, ლითონივით სხმული. შემდგომ და შემდგომ, თითქოს ალალს დაუქროლიაო, აირევა, აქაოსდება სული.

მოძრაობა, დინამიზმი შესჩენია სიტყვებს, სტრიქონებს. წაფრენილი ასოები. გადაადგილებანი. შავი ტუშის ულმობელი ნაკვალევი.

ეს ყველაფერი ადამიანის ხასიათის საცნაურად შემოუთავაზებია პარმაღიდანვე დიზაინერს და აფერუმ მას!

თვალშისაცემია შვიდტომეულის ოქროცურვილი ყდა სახედაღარული პორტრეტის პროფილით. წინხედი კატორღათა საქმეებს შერჩენია წარწერით: მარბენალი გაქცევის მიდრეკილებით.

კონტრტიტულზე თავმოყრილია შვიდტომეულის მთელი შინაარსი, რომელიც ერთგვარი გზიმსკვლევის მოვალეობასაც ასრულებს. მსხვილი შრიფტით გამოკვეთილა ჩამონათვალში ერთიდან შვიდამდე ტომის კოორდინატები.

ილუსტრაციები ლევან ცუცქირიძისა „თეთრი გიორგის“ გრიფიდან გადმოსულა.

გამომცემელი „ნეოსტუდიაა“.

სპონსორი —„ მაგთი GSM“.

შემდგენლები თანამეცხედრე და ასული გახლავან.

რედაქტორობის უმძიმესი ტვირთი, ბატონ ვაჟა გიგაშვილს უკისრია.

ოქროცურვილია წიგნის არშია. ვერაფრით ვიხსენებ, რას ეძახიან პოლიგრაფიები გილიოტინით ჩამოჭრილი ფურცლების კიდეს?

სანიშნო ზონარიც ბაჯაღლოსფერს დაიკრავს.

ტექსტის მოწოდების სტილი ენციკლოპედიური ხასიათისაა, განსაკუთრებით — სქოლიოთა მიმართებაში: ნებისმიერი უცხო სიტყვა, ტრადიციულისაგან გამორჩევით ველზე განიმარტება.

შრიფტი მსუყე, ვგონებკომპიუტერის 11 პუნქტი. ტომის მიმანიშნებელ ციფრს ფარავს სათანადო თხზულების გვერდი. ახლა გული მიფრთონავს: იქნებ სხვა ჩარევებითაც გამოირჩევა შვიდტომეული და ღია კარებს ტყუილად ვამტვრევ-მეთქი. გადმოვიღებ ადრე განხილულ ნაწარმოებებს და შვიდტომეულთან ერთად ფურცელ-ფურცელ მივედევნები.

ზედმიწევნით გაკორექტურებულა.

„დ. თ.“, 59 „სიამედო“ — „შვიდტომეული“, II, 129, „საიმედოა“;

„დ. თ.“, 105, „ღმერმა“, — „შვიდტომეული“, II, 201, „ღმერთმა“;

„დ. თ.“, 188, „გამაჯობათ“ — „შვიდტომეული“, II, 330, „გამარჯობათ“;

„ბ. მ.“, 22, „ეთანაღებოდა“ — „შვიდტომეული“, IV, 499, „ეთანადებოდა“;

„ბ. მ.“, 110, „მიატყუებივართო“ — „შვიდტომეული“, IV, 126, „მოუტყუებივართო“;

„ბ. მ.“, 217. „მწითური“ — „შვიდტომეული“, IV, 227, „წითური“.

დაფიქსირებული რამდენიმე მაგალითით ცხადლივ დავადასტურებ, რომ „შვიდტომეული“ ხელახლა აწყობილა, მერამდენედ გაუვლია კორექტურის მომქანცველი სამუშაოები, მაგრამ ტექსტების გულდასმითი შეჯერება მარწმუნებს: წიგნების ქსოვილს ეს არ შეხებია: სტილისტურ ცდომილებათა ოცეული კვლავაც ძალაშია. მეტიც — ახალი ავტორები მორიგ შეცდომებს დაიმგზავრებენ. უკეთ, თითოეული ტომის წინასი ტყვაობის შემოქმედი — ლოცმანი, ახალ ხარვეზებს გვთავაზობს:

ბ-ნ აკ. ბაქრაძე: „ის ღირებულებები, ის მსოფლშეგრძნება“, II, 9.

„ღირებულებათა სკალაზე“, II, 10;

„არანაირ ვითარებაში არ“, „ფაქტიურად“, II, ქ-ნ ჟ. სირაძე: „აღარაფერი აღარ შეიძლება“:

„აღარავითარი წილი აღარ უძევს სიკეთეში“;

„აღარავითარი შანსი აღარ ხქონდა“, IV, 24.

,,არაფრისდიდებით დახმარების ხელს არ გაგიწვდიდნენ‘‘;

,,დამნაშავედ ვთვლი‘‘ და ა.შ.

სიტყვა ,,ხელდასხმა‘‘ აქ ოთხგზის ცდომილი ფორმითაა მოშველიებული — ,, ხელდასმული ‘‘, IV, 15, 6-3.

ჩვენი შენიშვნებიდან გასწორებულს რასაც ვიხილავ ,,შვიდტომეულში‘‘, ორჯერ გამეორებული ბოლოთქმაა, ,,ტომის‘‘ მონაკვეთი. აქვე სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ წინასიტყვაობათა ახალი ავტორები მოვლენათა არსში წვდომის გასაოცარ უნარს ავლენენ და განზოგადოების იშვიათი თვისებით გამოირჩევიან: საინტერესოდ აანალიზებს ბატონი აკაკი ბაქრაძე ძუბა ძაძუას შურისძიების მოტივებს, რომლისკენაც თავაწეულად და უყოყმანოდ მიისწრაფის თუთაშხია, რათა მოსახდენი აღსრულდეს, სამართალმა პური ჭამოს; ამოცნობილია ადამიანთა უფლება-უუფლებობის ოთხგანზომილებიანობა: სამი აკრძალვის ნუსხა შემინულია და ერთი — ნებადართულობისა — მინაწართმეული, ბუზების საასპარეზო არენად ქცევის კვალობაზე; ცხოველ ყურადღებას იმსახურებს ქ-ნ ჟაკლინ სირაძის დაკვირვებანი ,,გორა მბორგალის‘‘ ექვსპლანიანობის, ექვსმონოლოგიანობის თაობაზე.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ბატონ ჭაბუას ხელგაკრულ წარწერას ჩემს მისამართით: ,,პირუთვნელ მამულიშვილს‘‘. როგორ მოვიქცე, დავიდუმო ბაგე? არამც და არამც, შეგირდო, ჩემო! არ გვყვანან ჩვენ პროფესიონალი რედაქტორები! დღეს სანთლითაც ვერ მოძებნი ცხონებული დიმიტრი გულისაშვილისნაირ ერუდიტს, რომელსაც თავის დროზე გოგლას ,,ნატვრის ხე‘‘ ურანდავს, მიუხედავად ავტორის ჯუჯღუნ-ბუხუნისა.

რედაქტორი იგივე სარკეა მწერლისთვის. იგი, დიახაც, ვალდებულია სწორ-მრუდის შალაშინით გაწვართოს მწერლის ესა თუ ის მოუხეშავი სტრიქონი, წინადადება, ფრაზა, ფრაგმენტი, გნებავთ პასაჟი თუ თავებიც კი. მაგრამ სხვას რომ შეუსწორო, ჯერ შენ უნდა იცოდე, ჯერ თავად უნდა იყო განსწავლული და ამავდროულად— ჭიპმოჭრილი სტილისტიკაში:

უცხოელი მკითხველისათვის ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედებაში სახამუშო არაფერია. რუსისთვის, გერმანელისთვის თუ ინგლისელისათვის, ბუნებრივად ითარგმნება: ორმაგი უარყოფა, ,,ვთვლი‘‘, ,,ფაქტიურად‘‘, ,,ორთავე‘‘, ,,ღირებულება‘‘, ,,ქაოტური‘‘, ,,ყოველ მიზეზ გარეშე‘‘ და სხვა, მაგრამ რას ვეუბნებით ჩვენს მომავალს, XXI საუკუნის საქართველოის მოზარდ თაობას და კიდევ — პოეტების მამფალ რუსთაველს, რომელმაც რვა საუკუნის წინათ თავანკარა ქართული გვიანდერძა მეტყველებისა და ქცევის ბარომეტრად, ნიმუშად?! რომელიც ორიოდე საუკუნეში თვალშისაცემად აგვიმღვრევია რუსიციზმებით?! დარწმუნებული ვარ, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი, როგორც იშვიათი გულისხმიერების დენდი და სიტყვის დიდოსტატი, კადნიერებაში არ ჩამომართმევს ესოდენ თავგადაკლულობას და მთელი არსებით მჯერა, რომ შვედეთიდან ნანინატრი ჯილდოთი დაბრუნებული, ერთადერთ გური ოტობაიას მიანდობს თავისი თვითნაბადი შემოქმედების მართლზომიერი რედაქტირების მისიას. ვიმეორებ, ყოველივე უფლისეული კარნახითაა-მეთქი. აქვე, ისიც მეიმედება წინამორბედი მწერლის ხატების წინაშე მოწიწებით თავდადრეკილს, რომ გაივლის თხუთმეტი, ოცდაათი წელიწადი და მერმე თავად გური ოტობაია გამოიწვდის მარჯვენას თეთრი და შავი არ აგვის ქარაფებიდან, ჯერაც უჩინარი, თუმცა საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ვინმე მესხი მელექსე-მერომანეს საამბორებლად თუ სულაც ჟამმიუკარებელ ზესთასოფელში გადასანაპირებლად.

მთამსვლელებმა იციან ზედმეტი წონის ფასი, ეგრევე მოიშორებენ ხოლმე. ამიტომაცაა მათი ბარგი და აღკაზმულობა აფთიაქარის სასწო- რით აწონილი. პაროვიზორის პროფესიიის ხსენება მამაჩემი მიხეილის სიტყვებს მომაგონებს: ზოგი ექიმი იმისთანა რეცეპტს გამოწერს, ხოლმე, შვილო, რომ იმის მიხედვით რომ დავამზადო წამალი, ნახევარი სამურზაყანო დაიხოცებაო. აფთიაქარის პინასთან და სინჯარას თან მეტ არტახებს შეიძენს სასწორის უღელი და პეინა. მწერლობაში კი სრული განუკითხაობაა. არაფრად დაგიდევენ ფრაზის წონასწორობას. მღერიან ისე, როგორც ემღერებათ და არა როგორც საჭიროა, აუცი- ლებელი. კვლავ ღვთაებრივ ჰორაციუსს შევხე- დოთ: ახლა უნდა ითქვას ის, რაც უნდა ითქვას ახლა, დანარჩენი უნდა შევინახოთ მომავალი ნაწარმოებისათვისო.

09. 06. 2006 წ.

ПРОФЕСИА — РЕПОРТИОРИ

უმწიფარი შტრიხები ნაადრევად
დაღვინებული მეგობრის —

გივი თევზაძის პორტრეტისათვის

გივი თევზაძეს ოთხმოციან წლებში დავუახ- ლოვდები. გაზეთ ,,ახალგაზრდა კომუნისტს'' იმ პერიოდში იშვიათი ჟურნალისტური თვისებებით მომად- ლებული ადამიანი რედაქტორობს — ბატონი ჯემალ ნინუა. მიხაროდა ამ რედაქციაში სიარული. უწინარესად იმიტომაც, რომ თანამ- შრომლების მეტი წილი ჩემი თანაკურ- სელები იყვნენ: პეტმარ აბაიშვილი, იზა სანიკიძე, თენგიზ გუდაძე, დათო წულუკიძე. აქ მუშაობდნენ სულზე უსაყვარლესი ჩემი კოლეგები: ლაშა გახარია, ბადრი ცირამუა, ვახტანგ ნადირაძე, გიგლა გობეჩია, სხვანი და სხვანი. ,,ახალგაზრდა კუომუნისტი'' გადაუჭარბებლად შეიძლება მივიჩ- ნიოთ იმ პერიოდის რეფორმატორულ გამოცემად, სადაც ფორმა და შინაარსი მაძიებლობით იმკვიდ- რებდა თავს; სადაც ზოგი რედაქციისგან განსხვავებით, წარდგინებულ მასალებს პროკრუს ტესეული მეთოდებით არ ჯიჯგნიდნენ.

ის წლებს გივისა და ჩემი ურთიერთობის უვერტიურაა უცილობლად, გაც- ნობის, დაძმობილების ხანა. მე ხომ ჟამით-ჟამამდე გადამკარგავდა ხოლმე საწუთროს ბნელხვეულებში მარადდაბურდული ცხოვრება განუმეორებელი სახეების მოსახელთებლად?! შვიდი-რვა წლით მოვწყდებოდი ფიცვერცხლნაჭამ გარემოს. ამ ხნის მანძილზე ორ-სამჯერ თუ ჩამოვაკითხავდი დედაქალაქს, მაგრამ გივისთან ცერემონიები არ მჭირდებოდა, ჩვენი ვაჟკაცური მეგობრობა ნაცარში შეხვეულ ცეცხლს ჰ გავდა, შეუჩიჩხინებ ნაკვერჩხლებს და ნაღვერდალზე ალი ავარდება მეყსეულად.

სამი ეპიზოდით კი განსაკუთრებით დამამახსოვრდება გივი.

პირველი საქვეყნოდ გახმაურებული პროცესია, სადაც მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას განსჯიან ანტიკომუნისტური მოღვაწეობის გამო.; დისიდენტობა იმ პერიოდში დიდ ცოდვად ინათლება. სამოცდათვრამეტი წლის 14 აპრილი ზურგსუკანაა. იმ ეფემერული აფეთქების მიმცხრალი ტალანებიდან განიკითხავენ ორი ეროვნული გმირის მოუთკავხასიათს; საზოგადოებას თვალებში აყრიან ნაცარს მათი ,,მავნებლობით,'' ყბადაღებული მონანიების წერილით; დასასრული არ უჩანს პასკვილებს და იდეოლოგიურ ზეწოლას .ბოლო ორ დღეს მოვხვდები მე იმ გახმაურებულ პროცესზე. გივი, დიახაც, იქიდან დამამახსოვრდება. წვერი ახალი ხილია და მკვეთრად მბზინავი შავი ბეწვი რაღაც- ნაირად გამოარჩევს იქ საგანგებოდ მოგროვილ ორას დამსწრე ადამიანში ჩემს მომავალ მეგობარს. ვერავინ ექომაგება ქართული დისიდენტური მოძრაობის ტანდემს. დამცველიც კი ქვიშაში თავჩარგული სირაქლემის პოზით მეურვეობს განსასჯელებს. ჰოდა, გამოუტანენ განაჩენს ერთსაც და მეორესაც. უდრეკელი მერაბ კოსტავა, რომელიც ფაქტობრივად გამსახურდიას თანამზრახველის რანგში გადის, იმდენივე სასჯელს დაიმსახურებს თავისი სიჯიუტისა და სიკრეპის წყალობით, რამდენსაც ეს უკანასკნელი. მაგრამ განაჩენის გამოცხა- დებისას დიდი კონსტანტინეს მემკვიდრეს ცრემლი რომ აუკიაფდება თვალებში, დარბაზს უჩუმრად მივატოვებ. არ დავუცადი პროცესის ჩამთავრებას.

უზენაესი სასამართლოს ალაყაფის კარებთან რამინ ამონთუთაბერი და კიდევ ორი დაინტერესებული პირი შემხვდება. ამის შესახებ მიწერია სხვაგან, დამიბეჭ- დავს კიდეც ჩვენი თაობის ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ ჟამს და გამეორებას არ შევუდგები, მაგრამ ძუნწი პასუხებით უკმაყოფილო პოეტი რამინ ამონთუ- თაბერი, შემდგომში რამინ თბილელი თუ რამინ ამონაშვილი, ძვირფასი ნადავ- ლივით მოიხელთებს ლამის ჩემს ფეხდაფეხ მომავალ წვეროსან თევზაძეს, ბოლომდე რომ ვერ გაუძლია მასაც ტენდენციურ პროცესისათვის. ოთხნი მომყვებიან შორიახლო. ცხადია, გივის მეტი ინფორმაცია გააჩნია გახმაურებულ პოცესზე — სად კვირეები და სად ორი დღე, და მეც მისდაუნებურად ფეხს ვითრევ. იგი თავიდანვე ესწრებოდა დისიდენტების განსჯა-განქიქებას, და ცხადია, უნებლიეთ არ გვეთმობა ქვაფენილებით რუსთაველის პროს პექტისკენ დაშვებულებს. დიახ, შორიახლო მოაბიჯენ. ფრაზებს ახლა ზედმიწევნით ვერ აღვადგენ, მაგრამ გივის საუბრის ინტონაცია ცხადლივ მიდასტურებს საკუთარ განწყობილებას, ვინაიდან იგი ჩემი გულისწყრომისა არ იყოს, ვერაფრით მიუტევებს ზვიად გამსახურდიას ესოდენ აგულჩვილებას, რამეთუ ბაირონს, პეტეფს მოითხოვდა მისი მეობაც ეროვნული განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერისაგან.

ჩვენი გივი ფიცხი, დაუდგრომელი, ქოლერიკული ხასიათისა რომ არის, აქ სამკიცებელი არაფერია. ,,დათა თუთაშხიაა'' მისი ამოჩემებული წიგნი და მთვარის ღვთაების რაინდის მსოფლმხედველობით ჭრის და კერავს. მაგრამ ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის ლამის ღმერთად შერაცხვა როდი აბრმავებს ლიტე- რატურული გემოვნების თვალსაზრისით. შეეძლო სხვათა ნაწარმოებშიც უცდომლად აღმოეჩინა ფასეული, ზოგადსაკაცობრიო. ასეთად კი უწინარესად ოთარ ჭილაძის შემოქმედებას მიიჩნევს, მაგრამ ვიმეორებ, თუთაშხია მისთვის ქართული სულიერების შემკონავი გმირია. ამ თემატიკას ათწლეულობით ეხაფაციცება. ორ რომანს ვაჩუქებ და ნეტარხსენებული ისე დაგვისხლტება ხელიდან, ინფორმაციულ მოფერებას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ძირისძირამდე არაფრისდიდებით გამეხსნება, უკეთ,

არაფრით გამიმჟღავნებს ბოლომდე ნაწარმოების წაკითხვით გამოწვეულ აღტკინება-სინანულს. ამ

თემაკს კვლავაც მოვუბრუნდები, ამჯერად კი უმჯობესია ლაღიძის წყლებისკენ დაშვებული კვარტეტის გარეგნული პორტრეტი დავასრულო. ოპერის მიმართუ ლებით მივუყვები ტაატით ტროტუარს, თანაც აქა-იქ გავაპარებ მზერას უკან მომავლებისკენ. ლაღიძეებთან რომ შეყოვნდებიან, ნაბიჯებს არ შევანელებ, რამდენიმე წუთში მოვიხედავ ერთხელაც. ახლა მათი ოთხეული ,,დარიალის'' ალაყაფთან შექუჩებულა, ვერ დაასკვნი იქჩასასვლა განუზრახავთ, თუ უბრალოდ კვლავაც განაგრძობენ პაექრობას გახმაურებელ პროცესზე. მერე რატომღაც თვალს ვკიდებ გივი თევზაძის ფიცხელ, მკვეთრ მოძრაობას, ,,დარიალის'' სარდაფის კიბეებზე ეშვება იგი და ჩემთვის ყველაფერი ნათელია — ეს შავწვეროსანი ყმაწვილკაცი, შეთხელებული ქოჩრით, ბოღმის გასაქარვებლად ფიროსმანის ირმებისკენ, ბელებისკენ თუ დოსტეგისკენ ექაჩება ბედნიერი ამონაშვილის ამალას. ვყოფილიყავი სიახლოვეს, შესაძლოა მეც მათი ამფსონი გავმხდარიყავი, და ვინანებ სადღაც ფეხის აჩქარების გამო; არა იმიტომ — ჭიქა არყით მადას გავიხსნი და დიონისეს მადლს გუნდრუკს ვუკმევ, უბრალოდ დამძიმიებულ გულს მოვიჭამდი თანამზრახველებთან მუსაიფით. მერე დავადევ თავს პროსპექტს და მხოლოდ ჯუნა დავითაშვილის კაფე ,,მეტრომდე'' მეყოფა გალაკტიონის ცნობილი ფიცი არდალევაზე. მას აქეთ გივისთან მეგობრობა, დიახაც, დამებედება. მისი გულფიცხობისა მომიხსენებია. ასეთივე ფეთქებადია ყველაფერში, ,,პრეფერანსის'' თამაშია ეს თუ რიგითი პურობა, მაგრამ გენახათ მისი ჩამოყრილი მხრები, როცა ერთხელ რაღაც გაურკვეველი მიზეზის წყალობით, უსამსახუროდ დარჩება. სადღაა ცეცხლოვანი თვალები და კისერზე დამსხდარი ცერისსისხო ძარღვები?! ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით განქარ- დება მისი ქოლერიკული ბუნება.

საკმარისია ვინმეს რამე გულისამაჩუყებელი სიტყვა წამოცდეს და მყისვე გახმაურებულ პროცესზე გულამომჯდარი დისიდენტის მსგავსად, მდუღარე ცრემლი გადმოსცვივა. გივი რამდენადაც მახსოვს, ერთხანობას მშობლიურ აჭარას მიუბრუნდება. ,,აჭარელი ვიყავ განაო'' უყვარს თქმა, მასზე ამსდიოს მზე და მთვარე, არც მაღალ ინსტანციებთან ჩახუტება გაუჭირდებოდა იშვიათი ტალანტის წყალობით, მაგრამ მართალმოსიტყვეს ვინ, რომელი აბოგინებს დუნიაზე დიდი ხნით?!

ფრაზები მახსენდება როდინდელი დიალოგიდან:

— პოლიტიკურ მოღვაწეებზე წიგნს ვაკეთებ-მეთქი, გავუმხელ და სიხარულისაგან გაცისკროვნდება.

— ვიშოვით გზის ფულს და სხვა არაფერია საჭირო,— გამენდობა, — იქ ყველაფერი წეასრიგში იქნება, ასლანთან მიღებაც არ დაგაგვიანდებაო, — მოსჭრის. ამ შემოხიდების უმთავრესი ძარღვი ის გახლავთ, რომ მშობლიურ აჭარაში მიმეგზურებს — ა ბედისწერაში, ჩემებურად, საკუთარ სამყაროში ,,გამარონიებს'', საკუთარი სიყმაწვილე-სიჭაბუკის არეებში შემაცურებს, თუმცა მიზეზთა გამო ამ კეთილშობილურ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა.

ამოუჩემებია ენამოჩლექილი ფრაზა: ,,შენ გენაცვალეს'' მაგივრად ,,თენ გენათალეთი'' მოგეფონება გულზე და მერე უგრძნობელი ხე უნდა იყო, ჯანსაღ სიცილში არ აჰყვე.

ეჰ, რამდენი უბედურება გადამიტანია თურმე, რომ გივის მაჯი სცემის შეჩე- რება მკერდში მჯიღს არ მაკვრევინებს, დაჭრილი ნადირივით არ მაღმუვლებს?! მწუხარებასაც საზღვარი ჰქონია. ამ დღეებში, სამურზაყანოდან ხელმეორედ გამობუნძურების დღეკრულში, ალალ მამიდაშვილს წამებით მომიკლავენ აფხაზი სეპარატისტები. ოთხი შვილის მამა ბოჩია მეფორია თანასოფლელის ფეხისხმას აჰყვება. ეთქვა იმ ცხონებულს: აფხაზებისთვის ფული მაქვს მიცემული და საკუთარი ნივთების გადმოტანისას ხელს არ გვახლებენ, წამოვიღოთ რასაც შევძლებთო. დაუჯერებს ღუდა ალფენიძის ბიჭს საწყალი სისხლხორცი ჩემი, ჰოდა, ბედზე ნაღმზე აფეთქებული აფხაზი ბოევიკების გამხეცებულ კოლეგა-ჭირისუფლებს არ შეეფეთებათ?! ოთხ კილომეტრს არბენინებენ უბედურების ადგილისაკენ, სადაც აფეთქების ვიბრაცია ,,ოცდაოთხის'' მაღალჩინოსან ექვს მგზავრს ჰაერში გაფანტავს. აქ, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმის ამოღარ- ტაფებულ ადგილას ჩახოცავენ ჯალათური მეთოდებით ნაჯიჯგნ-ნაწამებთ. როცა ამ ამბებს ვუყვები მეგობარს გამომცემლობა ,,სამშობლოს'' ბუფეტში, თვალები ცრემლით ევსება, კურცხალ-კურცხალ გადმოუგორდება გუგათაგან ჟაკანივით შემკვრივებული, მხოლოდ აქა-იქ თუ მიაშველებს ჭიქა არყის მბღუჯავ მარჯვენა ხელის ზურგს — ნებს.

მხარზე იდაყვით დამეყრდნობა მოგვიანებით და არის ასე ხუთიოდე წუთს გარინდული. მერე იფეთქებს წყალწყალა სუფხარჩოს მიტანებული ქალების ასაბოჟირებლად:

— როდემდე უნდა ვახოცვინოთ თავი ამ დედა... — და იცხონებს მრავალ- ქონგურიანი გინებით სულს. არა, გამოუსწორებელი ქოლერიკია, აი, ლერმონ- ტოვზე რომ ამბობენ იმისი მსგავსი, თუ

სულაც ბაირონის ტოლფარდი. მოპაექ- რეს შურდულივით დაგეჯახება. მერედა, უკანდახევა სჩვევია თუ ,,ქვეშიდან გამოსვლა?!" ვიდრე გულს არ მოიფხანს, მამალი ინდაურივით აფხორილი შეგაჯდება და მიგასავათებს ნირწამხდარს, მაგრამ სხვათაგან გამორჩევით საკონ- ფლიქტო სიტუაცია გივისთან ნაკლებად შემქმნია. საკამათოს მეტი რა გვაქვს ძმობილებს, გნებავთ ლიტერატურული პოზიციები, გნებავთ პოლიტიკური შეხედულებანი თუ თავად ბუდიდან გადმოგდებული ჩემი მდგომარეობა, (რასაც იგი ყოველთვის მტკივნეულად განიცდის, თითქოს არ მიმიტევებს 300 000 ოტროველა მეგრელის კინწისკვრით გამოგდებას აფხაზეთიდან. გული რამ ამოგაცალათო, ერთიანად რამ დაგაჩმორათო, ამას მსაჯედურობდა უსიტყ- ვოდ), იტყვის ამის თაობაზე ერთგან:

— ჩემს აჭარაში რომ მომხდარიყო მსგავსი რამ, დღეს მე ცოცხალი არ ვიქნებოდი! — იცის აღარც მე ვარ მთლად მამა აბრაამის ბატკანი და ანაზდე- ულად რომ მივახლი:

— გამომიჩნდა მემედ აბაშიძე! აფხაზეთი და აჭარა რა გაჰყო, გენათალე, აგერ, ფარაჯა, აგერ — ავტომატი და მისი ჯანი-მეთქი. ხელკავს გამომსდებს და უსიტყვოდ დავეშვებით კიბეებზე.

ათასჯერ მიხილავს სხვებთან ძარღვების დასკდომამდე წალაპარა- კებული განა მტრობით, ან სიძულვილით, თვით უახლოეს ძმაკაცსაც კი დაუფეთებს ხოლმე ეშმაკებს, მაგრამ ვიმეორებ: ჩვენი წაპაექრება ისტორიას არ ახსოვს იმ ერთის გამოკლებით. თუკი სადაგი სიტუაციაა, ერთ-ერთი უეჭველად გავჩუმდებით, ვნებათაღელვას დავიცხრობთ და ამ შინაგანი თაყვანის გამო, მიკვირს დაკოდილი ნადირივით რისთვის არ ვღმუი ახლა შეუდარებელი მეგობრის დამკარგავი?!

როგორ უხარა ჩემი ეფემერული წარმატებანი! ჯერ კიდევ დაუსტამბავ რომანის დედანს რედაქციაში მიმატანინებს და სამ მოზრდილ სცენას შეარჩევს დასაბეჭდავად. წარდგინებასაც თვითვე მოაბამს თავს. ხოლო როცა წიგნად შეიკრება ,,როკი" და პოლიგ- რაფიულადაც ფრიად სასიამოვნო დონის გამომივა, ყნაგლურად ამიიღლიავა სასიგნალო ეგზემპლარს და მეც მსუყე წარწერის- ათვის კალმისტრის მომარჯვება აღარ დამჭირდება, გამეცლება გამარჯვებულის იერით, მხრების იშვიათი თამაშითა და ხუნტრუცით, განდაგანას სისხლში ჩაჩნეული მიმოხვრით.

სამ დღე-ღამეში დაამთავრებს თურმე ცხრაას გვერდიან წიგნს. ასე მეუბ- ნება ყოველ შემთხვევისათვის.

— ვკითხულობო,— მეტყვის და სხვაფრით არაფერს დასძენს, არც კარგს, — აღარც ცუდს. ბოლოს, როცა ჩაამთავრებს თურმე, დერეფანში სიგარეტის ქაჩვისას, სილასავით მტკიცავს:

— ამხელა რამ დაგაწერინაო.

— გაგტანჯა-მეთქი.

— არა, წყალივით იკითხება, მაგრამ დღევანდელი მკითხველი ამხელა მოცულობის ნაწარმოებს ათასიდან ერთი თუ წაიკითხავსო.

— არახალია-მეთქი, ,,ომი და მშვიდობა" , ,,დონ კიხოტი" ას ქართველს თუ ექნება წაკითხული თავიდან ბოლომდე გულისყურით, მაგრამ ამით დაკლდა რამე ტოლსტოის თუ სერვანტესს-მეთქი.

— მთლად მოუკრეფავში ნუ გახვალო. სხვისა რა მოგახსენო, მაგრამ მე ნამდვილად მაქვს წაკითხული, ერთიცა და მეორეც, პირველი სტუდენტობის დროს და მეორე — ცამეტჯერ მაინცო.

— ნუ დამიწყე ახლა შენებურად-მეთქი, თავს კი არ ვუტოლებ იმათ, უბრა- ლოდ მკითხველის გამოფიტვაზე მოგახსენებ, კონკრეტულად კი ტელევიზიამ რომ გამოაცალა სული და გული-მეთქი.

— აქ მთლად არ ცოდავო, — გამიღიმებს მრავლისმეტყველად,— მაგრამ, ალბათ, დღევანდელმა მწერალმა ეპოქის თავისებურებაც უნდა გაითვალის- წინოსო, — დიახ, ასე ბრძანებს.

გამომცემლობა ,,სამშობლოს" ბუფეტში ლუდს ვწრუპავთ. ჩვენი საუბარი მაინც ზერელეა. არ მიკონკრეტებს დეტალებს, ზოგადისკენ გარბის, ძალაუნე- ბურად მაფიქრებინებს: ან წაკითხული არა აქვს, ან არ ეჭაშნიკნა და გადაჭრით თქმა ერიდება. ვერც წიგნის პრეზენტაციაზე ამოვაღებინებ ხმას. იმ პერიოდში უფრორე ეგზალტირებული მე ვარ ალკოჰოლური სასმელებით, გივი დასალევს არ ეკარება, მისთვის ჩვეული სიფიცხის ამარაა — ცალუღელა ხარკამეჩი და ჯიქურ რომ შევუტევ, თვინიერად დამითმობს.

— რატომ გგონია ,,თუთაშხიას" იქით არ ვიხედები?! აი, ყველაფერს დავწერ და შენითვე დარწმუნდები.

— აბა, ლიტერატურა არ უნდა განვითარდეს?! ერთი ადგილი უნდა ტკეპნოს ნიადაგ?! — ვცხარობ.

— მაგას ვინ, იძახის?! — შეცბუნებულია, — მაგრამ გააჩნია ხერხემალს, მაგისტრალს, ცენტრალურ სავალს არ უნდა მოსწყდეს მწერალი ორიგინა- ლური ხმის ძიებისას.

— ჯოისი, ჯოისმა რა უნდა იღონოს, მარკ ტვენივით უნდა ღეჭოს ფრაზა?! მგლებს სჩვევიათ აგრე თურმე, ბოკვერებს თვითონ უღეჭავენ ლუკმას და ლამის მონელებულ საჭმელს აწვდიან.

— იმიტომაც ვერ მგლობენ, ბიჭო! საუკუნე ნახევარია არავის ესმის იმ შენი ირლანდიელის.

ნაწარმოების წარმატების მთავარი საიდუმლო მაინც ხალხია, საშუალო ფენა და არა — არისტოკრატული სალონები — ელიოტები, ბეკეტები თუ პაუნდები. ,, დონ კიხოტი'', თუთაშხია, ერთი რიგის თხზულე- ბებია, ძმობილო, უწინარესად ხალხმა რომ აიტაცა. ხელოვნებას გართულებები ასამარებს! ღვთაებრირივი უბრალოებაო, ბრძანეს, ღვთაებრივი უბრალოება და არა პრიმიტივიზმი. მე დილამდე შემიძლია ვისაუბრობო თუთაშხიას ხალხურობაზე. ამას კომუნისტური იდეოლოგიის მოთხოვნებიდან არ გეუბნები, როცა ლენინი არტახების მაგვარ შლაგბაუმებს ჩაჩრის ყანყრატოში რევოლუციის ტრიბუნებს — მაიაკოვსკის, გორკის. ვინც ენობრივი მასალის შეზავებისას ვერ მოზომოავს და ხელმარჯვე დიასახლისის კვალობაზე არ შეკმაზავს ფრაზას, განწირულია დავიწყებისათვის. ხალხის გული არ მიიღებს იმ ლაბორიატორი- ულ ცდებს ჩემო კოლხო. ხედავ, არც ლაზს გეძახი, და აღარც — მეგრელს?! არზნევ მუსკია სხვაა, თარაშ ემხვარი სხვა და ჟინი ანთარიც სხვა. ჩვენი მწერლები იჭაჭებიან, ჭიპზე სკდებიან, მაგრამ სამახსოვრო სახეებს ვერ ქმნიან. კითხულობ, კითხულბ, თავი გისკდება სიტყვების რახრახისაგან, სახეები კი არ გრჩება წიგნის დახურვის შემდეგ, ლექსიკონები წყებაა ეს წიგნები, ოღონდაც არა არფაბეტური წესრიგით დალაგებული, არამედ სპორტლოტოს გამჭვირვალე პლასტმასის სფეროში ჩაყრილი და უსაშველო ნჯღრევა-ტრიალის- აგან გამოთაყვანებული. ,,თუთაშხია'' ორიათას გვერდზე მეტი ყოფილა, მაგრამ მიუჩოჩდნენ მეტრები ჭაბუას და გაანახევრებინეს. მადლობა უფალს, მასაც ეყო ჭკუა ცივი ქვიდან ჩამოსულიყო. სხვა შემთხვევაში მივიღებდით რაღაც ბრაზილდიური ტელე- სერიალის მაგვარ სუროგატს, შეიძლება საინტერესოს, მაგრამ არა კვერცხივით შეკრულს. მე ვგიჟდები ძმაო თორიას ფენომენზე. მსგავსი რამ ბელეტრისტიკას არ ახოვს. დიახაც, ამ ხსომიერებითაა ნაწარმოები ფასეული და არა კუბამეტრული გაბარიტებით. გაექცა ხელიდან ,,გმირთა ვარამი'' გოთუას. ხელიდან გაექცა ,,დავით აღმაშენებელი'' დიდ კონსტანტინეს. ტოლსტოის ხომ გაექცა და გაექცა. ოცდაოთხი საუკუნეა ამის თაობაზე გვიკი- ჟინებს არისტოტელე, მაგრამ ყურები ოდისევსის ცვილით ამოგვეგლისა დიდ- პატარას, თითქოს სირინოზები გვიგალობდნენ მომაჯადოებელის ხმებით. ,,თუთაშხიას'' თუ ვალმერთებ, ,,მთვარის მოტაცების'' დანახვაც არ მიჭირს, აღარც ,,სამოსელი პირველის'' კონტურების დალანდვა, გზაზე ერთი კაცი მოდიოდა, მაგრამ ვერაფრით მოაღწია წარუშლელ სიცხადემდე. ან თუ მოაღწია — ქარავნის მომთენთავი ზოზინით, მთქნარებით და ფუყე სიტყვების საპალნით დატვირთულმა. სახეები არ ახლავს ამ ტვირთბრუნვას, არც მოქმედებანი. ძირითა- დად მსჯელობებია, მსჯელობები და მსხვილ-მსხვილი ბოლის გამოფუილება დიდი გაბარიტის განივჭრილებიდან. როგორც ფუტკარი მინდვრის ყვავილებით, გაბრუებული ვარ ,,თუთაშხიათი'', და რიგითი მკითხველის ეს უწყინარი კონსტი- ტუციური უფლება ვერაფრით მოგინელებიათ.

ფალიაშვილზე ვართ. მსოფლიო ბებიის განსახიერება ქალბატონის, სესილია თაყაიშვილის ბინაში. რაღაღ-რაღაცებს გავაყოლებთ ხელს დეზერტი- რების ბაზრიდან. სიგარეტსაც მოითადარიგიანებს. სამზარეულოში სტაჟიანი დიასახლისის შესაშურად დანავარდობს. გამოაჩინა თვალშისაცემი თუ მიმალ- ული... დიდედათა მეტრი ჩაბოხებული ხმით გადაფიჩინდება, გამომიცარიელა საახალწლო სანოვაგეო. მოთვალთვალე ასინათას ჟესტით ბაძავს ქალბატონს. პაროდიის ჩინებული ოსტატია. გასაოცრად ემარჯვება ეს ხოლოვნება. სასმის- ებიც აიწყვეტს რიგს. ერთგან ქადაგად დადგება.

— დუმბაძის ბებიამ მოუჯოკრა ყველას.უბრალოების გამო მოუჯოკრა. ათასებისთვის მახლობელი ძეგლივით მოგვევლინა. მახარაშვილსაც დაუდგამენ მონუმენტს კახელები. ეს ყველაფერი იშვიათი ბუნებრიობის წყალობაა. აბდაიკი და სტეინბეკი სიცილით გაფხრეწილან ,,მე, ბებიას...'' კითხვისას. მაგრამ თუთაშხი- ასთან უფრო რთულად არის საქმე, აქ ზნეობათა მუზეუმია, ქცევის ნორმათა ეტალონების საცავი, ოქროს ფონდი და ეს აღიზიანებს პოლიტიკურ იწილო- ბიწილოს მიჩერებულ ნობელიანტების კომიტეტს თუ ადგილობრივ მოშურ- ნეთ. სწორედ ზნეობის წიგნისთვის გადაგიყრის ათასებს ზნეობის დასამარხავად დაქოქილი შვედეთის აკადემია. ამას წინათ კონკურსი ჩაატარეს მსოფლიოს საუკუთესო რომანის გამოსავლენად. ასი ცნობილი ლიტერატორი მონაწი- ლეობდა ამ კონკურსში. იცით, პირველ წიგნად რომელი დაასახლა ლამის ასმა პროცენტმა?!

— თანამედროვეთაგან?!— მოგვაშველებს ბოხს ხმას ქალბატონი სესილია.

— არა — საერთოდ. ჰომეროსი ათეულში ძლივს მოხვდება. დანტე და გოეთე ერგასის ფარგლებშია.

— იტყვი ვის ერგო პირველი ადგილი?! — მოუთმენელია ქალბატონი სესილია.

— დონ კიხოტს, სერვანტესს, ქალბატონო სესილია, ჩემი ძმობილი კი ,,ილიადათი'' და ,,ღვთაებრივი კომედიით'' მიჭედავს გონებას. ცხოვრებისეული სიბრძნე მენტორული ტონით კი არა, თამაშ- თამაშით, ხუმრობა-შეძახილით, ბერიკების ბუქნაობით, შექსპირის მასხარისა და ჰორაციოს წამხედურობებით წარმოჩენილი გვამახსოვრდება წარუშ- ლელად. ერთობ პათეტიკური კი გამო-

მივიდა, მაგრამ ნაწარმო- ებისათვის, ციმბირული დოლგოლეტიეს სხვა საწინ- დარი არ არსებობს. ახლა უმჯობესია გავჩუმდე, თორემ წამოვიდა ჭურჭლე- ულობა თავზე და ახალი წლის შემობრძანება რამდენადმე გაუთანაბრდება თქვენს გამოქესეტებულ განიჯინას ქალბატონო სესილია.

ამას წინათ რედაქციაში რომ შევუვლი, აქეთ დამასწრებს:

— იცი, რას გეტყვი, — მხარზე დამასვენებს დაძარღვულ მარჯვენას, — წიგნები შეკრული მაქვს, სიმამრთან გადავიტანე ბარგი, (მთელი საწუთრო ქირით მოულევია და ამნაირი ღუზის ჩაშვება უკიდურესი ვითარებისგანაა), თხუთმეტიოდე გვერდი დამჩა დასამთავრებელი, ერთი დღით მათხოვე წიგნი, ჩავიკითხავ და წერილსაც ეგრევე გავაშანშალებო. — ასე მამუნათებს. თან მსწრაფლ დასძენს — თუმცა მე რა ისეთი მეტრი მნახე.

— ბიჭო, ვის აღადავებ, შენ! სამ დღეში წავიკითხეო, მზეთავდი აქამდე.

— ერთი წაკვითხვა სიამოვნებისთვისაა გენათალე და არა წერილისათვის.

— შენ ძმაო, ,,ომსა და მშვიდობას'' ერთხელ ძლივს კითხულობ, ეგ ,,დონ კიხოტი'' ხომ არ არის თხუთმეტჯერ მიუბრუნდე-მეთქი.

— ეს რა ჩასაფრებული ყოფილაო, — აილეწება.

— ჩასაფრებული რა შუაშია?! სამი ძმაკაცი მყავს დუნიაზე, პირველს ,,სიცოცხლემისჯილის'' ჩვიდმეტი გვერდი აქვს წაკითხული და მეორეს — ოცდაცხრა. შენ ორვეს მოუჯოკრე საყვარელო. ერთხელ უკვე თვინიერად ჩაგიმ- თავრებია უნიტაზზე ჯომისას, ახლა ის უნიტაზიც გამოგცლია ბარძაყებიდან და დერეფანში ბოლთას ცემისას ლამობ მის დააკონსპექტო. — თვალში თვალს გავუსწორებ. უყვარს გივის, როცა მოსაუბრის მზერა ყამასავით აწვება სახეზე. — შენ ხომ ,,თუთაშხიაზე'' პროსტინების გარიწკინება არ გეზარება, ჩემს წიგნებ- თანაა თავს რომ იქაჩლებ, თორემ. ბარემ დაასრულე სათქმელი-მეთქი.

მარცხენა ხელისგულზე მარჯვენას გაატკლაცუნებს დერეფნის დასა- ექოიანებლად.

— აი, შარი თუ გინდა!— ამბობს გაქანებული ბოლთის ცემაში. ყველა მე მებრძვის: სიდედრი, ცოლი, მევალე, მეგობარი , ვახტანგოვიჩი, — ასე მიმართავს გაზეთ ,,სამსჯავროს'' რედაქტორს, ბატონ ლერი მუსხელიძეს, — ბიჭო, მომიტანე ერთი დღით წიგნი და ბდღვირსაც გაგადენ.

— აგაშენა ღმერთმა-მეთქი, წამოვდგები დერეფანში გამოგდებული გადაღ- რძუებული სავარძლიდან, გავხსნი ჩანთას და მივაწოდებ ორივე რომანს.— ბოლო ეგზემპლარებია. არ დამიკარგო თენ გენათალე.

დერეფნამდე მომაცილებს. გადავკოცნით ერთმანეთს. მამიდაშვილის ორმოცზე მიმეჩქარება დასავლეთით. მოვხედავ ერთს ჩაბნელებულ დერეფანს. ხელს ამიწევს. ლადო ასათიანის ფოტოს გამახსენებს რატომღაც ის პოზა, მსხვილად ნაქსოვი სვიტრი რომ აქცვია მარჯვენაღმართულს. მეც იგივე ჟდესტს გავიმეორებ, საერთაშორისო ,,**V**''-ს — ვიქტორიას დავანახებ, მერე მოვმუშტავ გამარჯვების სიმბოლიკას მომავალ ზიგზაგებთან საჯახუნებლად და დავეშვები ჩემი სატკივრებისკენ, ჩემი სიდუხჭირისკენ. განუმეორებელი გივი კი, ნიჭიე- რებით დატენილი ჩემი ძმადნაფიცი, უპატრონო და მიუსაფარი დედინაცვალი თბილისისაგან, მოუნელებელი პრინციპულობის წყალობით თითებზე ჩამოსათ- ვლელი ზოგ-ზოგივით უქონელ-უარაფრო, გახუნებული საყელოს ამარა, მაგრამ სამაგიეროდ კაცობის აურწყავი უზალთუნებით დაჯორგილი ქარავანის მესა- კუთრე, სიტყვის ალქიმიის ჯადოქარი გივი თევზაძე თურმე უკანასკნელად მიქნევს ხელს! ვერც იმ თხუთმეტ გვერდს ჩაიკითხავს იგი, ან იქნებ წაიკითხავს გულდას- მით, როგორც ბელეტრისტიკის მეტრს შეეფერება საერთოდ, და ბაგეს დაიმდუმარებს. მეტჯერ ვერ ვიხილავ გაცისკროვნებული სახით, თენ გენათა- ლეთი, კისრის დაბერილი ვარდისფერი შლანგებით, ისე ,,თუთაშხიას'' პერსონა- ჟებით გარემოცული, ვინ იცის, შესაძლოა ჩემს გარემოსთანაც წილნაყარი, წაეხეტება და წაეხეტება თვალშეუდგამი არეებისკენ; გარდაისახება მარადიული სამყაროს შემადგენელ ნაწილად, უკეთ შემოიერთებს დედაკოსმოსს და შუა რუსთაველზე გია აბესაძის გმირული აკოცონებით შეძრულო მეგობარო, იბრიალე თავადაც აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე!

9. 06. 98 წ.

მარადიული ფასეულობანი

ლიტერატურული კვირაძალი ბატონ ჭაბუა ამირეჯიბთან
სტოპ-კადრებითა და ქალბატონ თამარ ჯავახიშვილის გახმოვანებით

ჩინებულ საქმეს მოაბამს თავს პოეტი ვაჟა ოთარაშვილი. ,,ლიტერატურა და ხელოვნების'' 11 ნომერი ამისი უტყუარი დასტურია. ჩემი პუბლიკაცია ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედებაზე, დიახაც, მეთერთმეტე ნომერს დაემთხვევა და აღნიშნული ინტერვიუც ამ წერილის გამოქვეყნებით ჩაისახება. ამას ზედ დაერთვება წიგნების დალაგებისას არქივში აღმოჩენილი გაზეთი ,,რესპუბლიკა'' და იქ გამოქვეყნებული სახელდახელო წერილი განუმეორებელ ძმაკაცზე — გივი თევზაძეზე. ყველაფერი უფლის ნებითაა და ამ ორი ნაღვერდალით ანთებული ერთხელაც დავიქოქები ოდინდელი აღთქმულობის აღსას- რულებლად.

ადრეც მითქვამს ბატონი ჭაბუასთვის, ჩემი ჟურნალისათვის ვრცელ ინტერვიუს თუ გამოიმეტებთ- მეთქი. მაგრამ მიზეზთა გამო გაჭიანურდება სტოპ-კადრებით მოაზრებული დიალოგი. საუბარი ჩავენი კი ერთობ მომხიბვლელი ფორმით წარიმართებოდა. მე წინასწარ მომზადებულ კითხვარებს ვაახლებდი მხცოვან ბელეტრისტს, ის კი თავის განუმეორებელ ტაბულაზე ფლომასტერით სხარტულა პასუხს წააწერდა. აღვბეჭდავდით ციფრული კამერით კადრს და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ გავიფონებდით დასახულ მიზნამდე. ინტერვიუ როგორც ჩანს, თავად უფლის კარნახით შეყოვნდება გვარიან ხანს, სანამ ჩემს მიერ მომზადებული პუბლიკაციიდან რედაქცია ავტორის ჩაუკითხავად არ ამოიღებს წერილიდან მოზრდილ მონაკვეთს:

„ჩემთვის გაურკვეველი ესთეტიკური კრიტერიუმებით წარმართულა ბატონ ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის ფორსირებული წარმოჩენა.

ამაგის დაფასებას რა სჯობია, ადამიანურ მოფერებას, მაგრამ ზომიერებასაც ხომ უნდა ხქონდეს საზღვარი?!

მეოცე საუკუნის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის კორიფე ების ხუთეულში, საცო- დაობაა, დანაშაული თუ არა, ჭაბუა ამირეჯიბი გამოვტოვოთ, გამოგვრჩეს!

ქართული ესთეტიკური აზროვნების ავტომეტრი როსტომ ჩხეიძის ნუსხა კი ამგვარია:

1. **ვასილ ბარნოვი**, ,,მიმქრალი შარავანდედი'';
2. **მიხეილ ჯავახიშვილი**, ,,ჯაყოს ხიზნები'';
3. **კონსტანტინე გამსახურდია**, ,,მთვარის მოტაცება'';
4. **ლევან გოთუა**, ,,გმირთა ვარამი'';
5. **ოთარ ჩხეიძე**, ,,ბორიაყი''.

და წარმოიდგინეთ, ცამდე მართალია ჩვენი ავტომეტრი, ვინაიდან „დათა თუთაშხიას" ზებ- გერითობა, წყალწყვა ველარაფრით ემაშტაბება ზემორე ხუთეულის აეროდრომებს თუ ნავსადგუ- რებს, სანამდის სათანადო სარბენი ბილიკები და პირსები არ მიეგებება მის ზოგადკაცობრიულ მუსტ-ენერგიას; ვიდრე სადაგი დისტანციიდან არ გაცნობიერდება მისი კოსმოგონიური პარამეტ- რები, მოუწევს ასე, ზეფირებსა თუ ტალღათა გრაგნილებში გარიყული ხეტიალი ახლომხედვე- ლი და მეორღობე შთამომავლობის პატრონს.

„თუთაშხიასთან" „მთვარის მოტაცების" დატოლებაღა თუ ესინდისიერება ჩვენს პირუთვნელ გემოვნებას, და ისიც — მოკრძალებული თანამეინახეობით: ოდეს ზიარ ულელში შებმული ეს ორი ლაბა ჩვენი სიტყვიერებისა, მეურმეს მიერაა გაწონასწორებული ტოლის დადებით, ანუ დამოკ- ლებულია ღერძი „თუთაშხიას" მხარეს, რათა საკაცობრიო ტვირთის ზიდვისას „მთვარის მოტა- ცებას" რამდენადმე გაუიოლდეს.

სხვები დახარებას ვერმოსწრებული მოზვრებია, სასკორავშივე ჩამქრალი. იგივე სენითაა შეპყრობილი მახლობელი ლიტერატურული მონაგარი: „თუთარჩელა", „საამოსელი პირველი", „ხმა მღაღადებლისა" თუ „აველუმი".

და რადგანაც ჟურნალის დამფუძნებელი თუ პოექტის ავტორი ვაჟა ოთარა- შვილი უამრავი მოსაზრებით თავს აარიდებს შესაძლო დავიდა- რაბებს, დახანებული საქმე უცებ აბრიალდება გასრულების ჟინით. ამას დაემატება ინფორმაცია ჟურნალ ,,ევროპაში'' განთავსებული წერილის თაობაზე, სადაც ქართული კულტურა პლაგი- ატადაა გამოცხადებული უფალი მიერ. ყელ- აფრის გათვალისწინებით გადავწყვეტ: ერთხელაც მოვიმარჯვო სწორმრუდის შალაშინი და უმართსამართის ხელსაწყოთი მივადგე კარზე ჩვენს სასიქადულო მწერალს კაზმული სიტყვი- ერების კოორდინატების დასადგენად, ფასეულის განსაზღვრის თვალსაწიერით ეროვნულსა თუ ზოგადკაცობ რიულში.

— ბატონო ჭაბუა, ესთეტიკის მეტრები, არისტოტელე, ჰეგელი, სიტყვაკაზ- მული მწერლდობის ნიმუშის დადგენისას რამდენიმე ეჭვმიუტანელ არგუმენტს წარმოაჩენენ, როგორიცაა ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობას. ეს მომენტი უწინარესად დრამისთვისაა დამახასიათებელი. ტრაგედიას ამიტომაც მიანიჭებს არისტოტელე უპირატესობას პოემასთან შედარებით, რადგანაც

პოემა მისი თქმით, რამდენიმე ტრაგედიისაგან შედგება. ამ მომიენტს ვეფხის ტყაოსანიც ვერ გაექცევა. რადგანაც ტარიელ-ნეტანის თავგადასავალი ავთან- დილ-თინათინის რომანში ჩაკვეხებული მონაკვეთია. ჩვენ ველოლიავებით ორ დამიოუკიდებელ ნაწარმოებს, რომლებიც ნაკლებად მოტივირებული ძაფებითაა შეკავშირებული ერთმანეთთან. მოქმედება მთავარი ღერძი თუ გახლათ კლასიკური ნაწარმოებისათვის, ამჯერად ხელოვნების ნიმუშ „ილიადაში" იგივე აავტორს აქა-იქ ჩათვლემსო, მიუთითებს მარქსი „ოდისეას" გამო. ანუ უკვე განსაზღვრულია ეტალონის ტიპის თხზულების იერ-სახე — იგი უნდა იყოს მონოლითური. ასახავდეს ჰეროიკულ ამბებს. მეტყველებდეს პოეზიის ენით და ნიადაგ გადაგისვრიდეს მოქმედების შუაგულლში. ამასთან ნებისმიერი ნაწარმოები მკითხველის ცნობიერებაში იღექება მისი ხსომიერების ხარისხით, სიუჟეტების სიბასრით. დავუშვათ და იუვილირები ბრილიანტს არწყავენ კარატით, რამდენი წახნაგიც გააჩნია ბრილიანტს, იმდენი კარატისაა იგი, იმდენი განზომილების. თუკი მსგავსი მეთოდით მივუდგებით სიტყვაკაზმულ მწერლობას, აღმოჩნდება რომ თვალშესავლები მწვერვალი არც თუ ისე ბევრი ჰქონია ამა თუ იმ ნაწარმოებს. თავს ვერაფრით გახსომებს, მკითხველსაც იმიტომ ამოურეცხავს გულიდან. ვერაფრით დავივიწყებთ ჩვენ „დონ კიხოტის" პასაჟებს ქარის წისქვილებთან; ვერც დოსტოევსკის ნაჯახს რაკოლნიკოვის ხელში; ვეღარც მარკესის მაგნიტებს, რომლებითაც თვალის დახამხამებაში აქრობენ კარადებიდან ლითონის ჭურჭლეულობას თითლიბაზი ბოშები. აი, ამ პარამეტ- რით თუ მივუბ- რუნდებით ნებისმიერ თხზულებას, ისე ჩამოი- ფურცლება გვერ- დები ბარნოვთან, ჯავახი- შვილთან, გოთუასთან თუ ჩხეიძესთან, სამახსოვრო, წარუშლელი ნაკლები მოიპოვება. სულ სხვა ამბავია კონსტანტინე გამსახურ დიასთან, რომელსაც ნამდვიმლად დააბერტყა უფალმა ხელოვნების მადლი. ეს ჯადო-თილისმა უხვადაა გაბნეული „დიდოსტატში" და გაცილებით მეტია „მთვარის მოტაცებაში", თუმცა მკითხველის ცნობიერების გაკაწვრის თვალსაზრისით მაინც ჩამოუვარდება „თუთაშხიას". თქვენთვის უხერხულია, ალბათ, მსგავს სიტუაციაში სიტყვის ამოღება, ბატონო ჭაბუა, მაგრამ იქნებ მოჭრილადად მიპასუხოდ რას მიიჩნევთ ნაწარმოების უმთავრეს ღმირსებად?

— გმირის გამოუვალ სიტუაციაში მოხვედრას.

— ესე იგი თორიას კასრში ჩაგდებას?!

— გარკვეული მოსაზრებით კი.

— რატომ, რა აუცილებლობით?!

— რათა გმირი გამოვლინდეს ყველაზე მახვილი კუთხით, ყველაზე შთამბეჭდავი ვითარებიდან.

დაფაზე მეტი სიტყვა ვერ ეტევა. ჩვარს მოიმარჯვებს სტირიქონის წასაშ- ლელად. თან ა ქეთ გაშლილი პასეანსი არ ეთმობა. დამებისკენ გაურბის თვალი. საყვარელია ყლზე დაჩნეული ვარდისფერი პირღია ჭრილობით. შენიშნული მაქვს, ყველა ხორხამოცლილს ქსოვილი აუფარებია ნაიარევის შესანიღბად. ბატონი ჭაბუა პირიქით, ამაყობს კიდეც ამ მოურჩენელი ჭრილობით, სერვან- ტესის მარჯვენასი არ იყოს, მისი ყარყარა ხორხი მამულის ბედნიერბაზე ჩურჩულში გალეულა უფალთან და ეს ვარდისფერი ღიობი ჩამქრალი ვულ- კანის კრატერია, რომელიც გარკვეული წლების მერმე ერთხელაც ამოგრი- გალდება სამარადისო სუერტე და მუერტეთი, მაგრამ თან — საქმე.

უნებლიეთ მივიწევი ამეტყველებული ბაგეებისკენ. „ჰაერი ლურჯი აბრე- შუმია." გამიელვებს გონებაში. ბგერები ჩაძირულია სადღაც შორეთში, სადღაც გენების წიაღში და კი არ მესმის მათი, არამედ ვხედავ, როგორც ფოსფორით განეთებული გედების ქარავანს.

— ასეთი გარემოება „ვეფხის ტყაოსანში" უცხო მოყმის ბურუსით მოცული ვინაობაა. მსგავსს ვერსად აღმოაჩენ „გამზრდელამდე". ჰაჯი უსუბი მიიბჯენს დამბაჩას შუბლზე და სამუდამოდ ჩაგვებეჭდება გონებაში იქ დაგუბებული კვამლი. ვაჟასთან მრავლადაა წარუხოცელი სურათები: ზვიადაურის დანაგაყ- რილი ყელი, ალუდა მუცალის მკერდზე დაკრეფილი მკლავებით, მინდია ადამიან ების ნაწილებისგან შეკმაზული სახვრეპი შეჭამადით, ვეფხის დედის საძებრად წასული მოყმის მშობელი ქართული ხალხური ლექსიდან. ბიბლია ხომ გამოტენილია მსგავს სცენებით, თვალშეუდგამი სალაროა.

— რა შეიძლება ამას ვუწოდოთ, სიუჟეტი, ფაბულა, კვანძის გახსნა ენათმეცრიერული პოზიციიდან?

— ერთ სახელს ვერ დავარქმევ.

— დუენდე?!

— ლორკას დუენდე ზეგარდმო ნიჭია ჩვენებურად. იქნება ქართულში შესატყვისი. — დაფაზე საწერი სივრცე ისე ამოიწურება და კვლავ მისი ტუჩების მოძრაობას მივაჩერდები. ქალბატონი თამარი ამისი დიდი ოსტატია. არიან პიროვნებები, რომელთაც ტუჩების მოძრაობით შეუძლიათ საუბრის გაშიფრვა. მინახავს საბჭოური ფილმები მსგავს სიტუაციებზე, როცა რეზიდენტის მეტყველების დაფიქსირება სჭირდებოდათ. ქალბატონი თამარის ხმით შემოდის ჩემს ცნობიე-

რებაში ბატონი ჭაბუას სიტყვები და იმ დაფოსფორებული უხილავი შინაგანი წყობითაც, რომელიც ამ პიროვნებასთან სიახლოვით მომნიჭებია, — წარუშლელია მამის მოკვლის ხატი გამსახურდიასთან, ვერც არსაკიძის მკლავის მოკვეთის სცენებს ამოიღებ თვალთაგან.

— თუკი მსგავსი შეფასებებით მივუდგებით ბელეტრისტიკას, ჩიტის ბრდღვნის მეცადინეობა შეგვრჩება ხელთ. ამ თვალსაწიერით თუთაშ- ხია, მარ თლაც შეუდარებელია. დაახლოებით ათი-თორმეტი სცენის დასახელება შემიძლია მიყოლებით: ხლისტები, ენაამორთმეული ასთიონა, თორიას კასრი, კიკუს გაშიშვლება, გვირაბის მთხრელები, ასინეთას ,,პოლიქრონიოს'', და ასე შემდეგ.

— ესენი სამკაულებია. მთავარი მაინც სულია. არსაკიძეს გააჩნია ასეთი სული. — ბატონ ჭაბუას ისევ შემოელევა სამწერლობო არენა ტაბულა ზე. ალერსიანად მიაჩერდება ქალბატონ თამარს. წარმართულ ბგერებს იჭერს ჩამწერის მაგნიტო- ფირი, ხოლო ჩემი გონება პარალელურად აფიქსირებს ოჯახის დიასახლისის მონათარგმნს თუ ფოსფორიანი სიტყვების აელვარებას უხილავ ს ივრცეში. — თარაშ ემხვარსაც მოეპოვება იგი. დონ კიხოტს ხომ აქვს და აქვს მარადიული ბობოქრობისთვის შემართული მეობა. ნაწარმოების მთავარი ღირსება მაინც ეს ძირითადი მდინარებაა. ჰომეროსისთვის აქილევსის რისხვაა არსებითი და არა — ტროას ომის დეტალები, მისი მიზეზები და შედეგები: სისხლისღვრა, დაზავება, ღმერთების ღრეობა, და კიდევ მრავალი ამ გენიალური პიროვნები- სათვის მეორეხარისხოვანია. — შევამჩნევ, რომ ბერძენ აედს თვალისჩინი აკლდა ილიადა-ოდისეას დამღერების ჟამს. ჩვენს ჭაბუას ხმა წერთმევია უფლისგან ღვთიური ომახიანობის შესაძენად — სხვათა შორის, — სახეში მომჩერებია ბატონი ჭაბუა, — შენი სტილისტური დამოკიდებულება ზოგჯერ ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია. ცხადია, ბევრზე ბევრს ვიზიარებ, მაგრამ ორმაგი უარყოფის პრობლემას მინდა დავუკონკრეტდე. კი, ჩვენ დავთმეთ რუსთაველის თავანკარა ქართული, მაგრამ სალონურად რომ გავმართო ხალხური მეტყვე- ლება, ამის უფლებას ჩემს თავს ვერ მივცემ. სხვა არაფერი გააკეთა ილია ჭავჭა- ვაძემ, კაზმული სიტყვიერება ხალხურ მეტყველებას დაუბრუნა, ანუ გრამატი- კული წესებით მართებულს კი არ ჩასჭიდა ხელი, არამედ ხალხში დამკვიდრებ- ულს და ფესვგადგმულს. თანაც როგორი საქმეა, აქეთ წიგნიერი ქართულით ილაპარაკო და ცხოვრება თავისი ოკრობოკრო მეტყველებით გახეტიალებდეს?! გამორიცხული არ არის ოდესმე საქართველო მიუბრუნდეს რუსთაველის ღვთაებრივ ქართულს, მაგრამ დროთა ვითარებაში ენა ვითარდება, მდინარის მსგავსად ხან საით გადაეშვება და ხან საით, ბევრი ხომ სულაც მოკვდა გუშინ თუ გუშინწინ ქარაფშუტა კაცობრიობის ღრიანცელში?! ასიდან ასი ქართველი ,,ნეკაგდა ნე პაედუს'' არასდროს არ წავალო, მოგითარგმნის წარბის დაუხამ- ხამებლად. ინგლისურად როგორ იქნება თამარ?

— Y will never go. ორმაგი უარყოფა ინგლისურს არ გააჩნია.

— ჩინებულია. არასდროს არ წავალო, ამბობს ქართველი, რუსულის ზეგავ- ლენით და წამითაც არ ეეჭვება ნათქვამის მცდარობა. ეს ლაფსუსები ბოლო დროს გამოსწორდა წიგნიერ ხალხში, ზოგ პერიოდიკასა თუ ტელეარხზე, თუმცა ყველაფრის მიუხედავად 95 პროცენტი მაინც ძველებური ორმაგი უარყოფითით გადმოსცემს სათქმელს. ამისი უგულებელყოფა ენისადმი ძალდატანება მგონია.

— სანამ რუსული ზეგავლენები ბოგინობს, დავსძენ.

— იყოს ასე, ჩვენ მეოცე საუკუნის თავსებურებებზე უარს ვერ ვიტყვით, როგორი უხერხულიც არ უნდა იყოს იგი. აგერ, მოვიდა ოცდამეერთე და ბურთი და მოედანი ახალგაზრდობისთვის დაგვითმია. საუკუნეების მანძილზე გამრუდე- ბულ მეტყველებას თუ გამოასწორებენ, ამას რა აჯობებს, ამაზე გასახარ რა უნდა იყოს?!

— მგონი თემას რამდენადმე გადავუხვიეთ, ბატონო ჭაბუა, მახსენდება ჰომეროსს შევეხეთ რამდე- ნადმე.

— კეთილი ბატონო, ნაწარმოების წახნაგებზე მოგახსენებდით, იგივე ბრილიანტის კუთხეებზე, მთათა მწვერვალებზე. დაბრუნებულია ოდისევსი შინ. მეღორე ევმეოსი იცნობს მას წვივზე ტახის ნაიარევით. ვაჟიშვილი ტელემაქე თან ახლავს, მაგრამ პენელოპე ბოლომედე ვერაფრით დარწმუნებულა მის ვინაობაში. და როდესაც ბოლოსდაბოლოს მეუღლეში დარწმუნებული თანამეცხედრეს უნდა მოუწვეს გვერდით, ლოგი ჩამაწევინეო, სთხოვს ქმარს. რამდენად ხატოვანი სცენაა, რამდენჯერ გადაუდგილებიათ ცოლ-ქმარს საწოლი ერთი კუთხიდან მეორეში. და ჰომერისის სიძლიერეც აქ არის. რანაირად უნდა გავაჩოჩიალოთ ეგ ლოგინი, როცა ტრიალ მინდორში ეულად გაფარჩხული მუხა ძირში მოვსხიპეთ და იმ გადანაჭერზე გავრანდეთ მერე ჩვენი ლოგინიო. სულის შემძვრელი სცენაა. მთავარი მაინც ხასიათების მდინარებაა, სულის მოძრაობა, ასეთი სამკაულები დეტალებით, შტრიხებით თუ მოიპოვება, სულის მოძრაობა ხანგრძლივი პროცესია, მომქანცველი, მარათონული რბოლების მაგვარი, 42 კილომეტრია მგონი, კრამერის ,,ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს'' მახსენ- დება, დიახ, პროცესი, ერთის მხრივ და ამ პროცესის, მსვლელობის, მონოლითურ მდინარებაში აქა-

იქ ჩაკინძული ბრილიანტები, წახნაგები, წარუშლელი სცენების სახით.

— თეორა ამის თაობაზე ფორმისა და შინაარსის ერთიანობას იტყვის.

— ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, გასაგებია, ისიც გასაგებია არისტო- ტელე ტრაგედიას რისთვის ანიჭებს უპირატესობას, პოემასთან შედარებით, პოეზიაში ამგვარი ლარნაკი სონეტია, დრამაში —ტრაგედია, ხოლო თხრობით ჟანრში, რომელსაც ილენცურად უმზერს ფოლკნერი, რომიანი. ჩვენმა ძველებმა, თანამედროვეებმა თუ ახლებმა დაიდეს მუხლებზე ქაღალდი, საწერ-კალამი და მიდი-მოვდივარ. ,,თუთაშხიაზე'' მუშაობისას მე მივეჩვიე მთავარისა და მეორე არისხოვანის განცალკევებას. მართლაც უშველებელი გამომივიდა იგი, ლამის ორიათასი ნაბეჭდი თაბახი, საავტოროს რომ იტყვიან. მინდოდა ერთ წიგნში მომესწრო ყველაფერი, რადგანაც ჩემი უმთავრესი პრობლემა იყო დროს უკმასი- ობა, გაუთავებენლი რბოლები, დევნა და ჩასაფრებული ტყვია. ამის თაბაზე მე ბევრი მილაპარაკია გივი თევზაძესთან, მაგრამ შენგან განსხვავების, მას ჩაწერა არასდროს უცდია, ყველაფერს იმახსოვრებდა, სამომავლოდ ინახავდა გონებაში. დიდი ცხოვრებისათვის ემზადებოდა ცხონებული, თუმცა გულმა უღალატა ნაადრევად. სხვა რა მოვიმოქმედო?! რანაირად შემიძლია მე სხვას გენიალურობის რეცეპტი გავუზიარო, თავად ხელმოცარულმა.

გაგვეცინება. ბატონი ჭაბუას მოკრძალება ცნობილია, მაგრამ ხელმოცარ- ვის ხსენებით ხომ მთლად გადაამლაშებს და აქ გული არ მომითმენს:

— ბატონი ოთარ ჭილაძის ,,აველიუმი'' ნობელის პრემიაზე ყოფილა წარდგე- ნილი. მე პატივს ვცემ ამ პიროვნების შრომისმოყვარეობას, მაგრამ მისი შემოქ- მედება ვერ გავიდა ხალხში. ვერც ეკრანიზაცია მოხერხდა მისი წიგნების მიხედვით თუნდაც საჭოეთის პირობებში, როცა ქართული კინემატოგრაფი გრიმიტობდა. ამას მოფიქრებულად გაურბოდა მარკესმიც. კინემატოგრაფს ვერ ჰ გუობს, არადა თხზულებას, რომელსაც არაფერი მოეპოვება საეკრაონო, განწი- რულია დავიწყებისათვის. საბჭოეთის ტერიოტორიაზე პირველად მე დავიწყე ნობელიანტების სერიალის გამოცემა. შემდეგ რუსები ამყვნენ და გადამასწრეს კიდეც. ასე დაწვრილებით იმისთვისაც მოგახსენებთ, რომ რუსებმა თავიათი ნობელიანტებით დაიწყეს. ჩვენ — ფოლკნერითა და მარკესით. უამრავი ინფორ- მაცია მოვიპოვე შვედეთის აკადემიის მუშაობის თაობაზე კაფკას ,,წერილი აკადემიიდან'' მოყოლებული, და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ აქ არ არის შეფასება ეტალონის პრინციპებით, აქ არ არის შეფასება ნაწარმოების ღირსების მიხედვით, არამედ თვალშისაცემია მწერლის ბიოგრაფია და პოლიტიკური მოტივები. ბუნინი, სოლჟენიცინი, პასტერნაკი, ბროცკი და კიდევ მრავალი სხვა სულ მერკანტილური დამოკი- დებულებით გამხდარან უმაღლეს ლიტერატურულ ჯილდოდ მორნა- თლული ნობელის პრემიის ლაურეატები. არადა, მის უდიდებულესობას საერთოდ ზურგს შეაქცევს სარტრი. ეს სახეში მიყრილი ხელთათმანებია, დაუვიწყარი გამოწვევა. პრუდომებისა და ჰამსუნების გვერდით არაფერი მესაქმება მეო, აცხადებს ჟან პოლი. თქვენი სიტუაცია როგორაა.

50 საუკეთესო მწერალს შორის სამგზის დაასახელებენ ბატონ ჭაბუას. პრემია დღეს საქართველოს უფრო სჭირდება, ვინემ — ხმელ კოპიტად წოდებულ მარბენალ მწერალს. პატარა ერი ამათუიმ წარმატებას ქვეყნის აღორძინების წინაპირობად განიცდის-ხოლმე. გავიხსენოთ საბერძნეთის ოლიმპიური ოქროს მედლები. როგორ ვზეიმობდით მაშინ ყველა. გავიხსენოთ ნონა გაფრინ- დაშვილის, მაია ჩიბურდანიძის წარმატებები. ,,დინამოს'' ოქროს ბიჭები, რომელ- მაც ლამის შეძრა სრულიად საქართველო. ასეთი აჟიოტაჟი პატარა ერების- თვისაა დამახასიათებელი. მეც ამ კუთხით ვაფასებ ნობელის ლაურეატობას, თორემ არც ტოლსტოის შემოქმედებას დაკლებია რამე მისი არმონიჭებით და აღარც თომას მანის მწერლობას შეჰმატებია ფოჩხილისოდენა მისით. ქართველ მწერალთაგან აკაკი ყოფილა წარდგენილილი ცხრაასიანი წლების დამდეგს.

წლეულს თურქეთმა მიიღო ნობელის პრემია, თურქეთმა და არა თურქმა მწერალმა, ვინაიდან ოღლის ბითური ამას ასჯერ ნაკლებად იმსახურებს ვიდრე თუთაშხია. გასწიეს სპონსორობა თურქებმა და დაუფასდათ. ბატონი ჭაბუასთვის კი ვინ, რომელი გაიღებს გახვრეტილ თეთრს?! მეორე სემინიზებულ მსოფლიოს რისთვის ენნდომება მუხლენბზე მაგრად დამდგარი ქართული კუცლტურა. მესამე და არსებითი დათა თუთაშხიას ღვთიური პარამეტრები შეუთავსებელია თანამედროვე ციცილიზაციის მორალისათვის. ამისთანა პირობებში დაჩაგრულია ჩვენი გენია.

არადა მხოლოდ რუსეთში 700 ათასზე მეტი ქართველია დაბინად- რებული. თავის დროზე საქართველოდან აპყრილი თეიმურაზის სამეფო კარი ხომ შეიწოვა და შეისისხლხორცა მატუშკა რუსეთმა. არცუ ამათ ელიტთ უკეთესი დღე, ვინამიდან პუტინი გასახლებით პრომ დაემუქრა ქართულ დიასპორას და ჩვენი ჩინ-მედლები, ტიტულები ფეხებზე დაიკიდა, ვიკადრეთ გიოგი გიორგაძის პარტიაში შესვლა.

,,ხორაციუსს და პუშკინს ეყოთ მწერლური სითამამე საქვეყნოდ განეცხადებინათ:

ძეგლი აღვიგე ხელთუქმნელიო, რადგანაც მათი შეგნებული ცხოვრება ბოროტების მხილებასა და სიკეთის ქომაგობას მიეძღვნა არსებითად.

ზაურ კალანდიას ახალი რომანის ,,ძეგლი ყველასათვის'', □,,ცისკარი'', №9-10, 1999 წ.) გმირი ჭიჭე კი ერთობ გაორებული კაცია — სიტყვასაც ეჭიდება თითქოს, ავტომატსაც ბღუჯავს, მეგობარი გაბოს ნაალაფარი განძეულისკენაც გაურბის ხელი და მაინც ბუნების, სამყაროს წინაშე უფლებამოსილია ,,პატივცემული იუკის'' □ძაღლი), ,,დაფჩენილ ვეება ლილისფერ ხახას'' □სიკვდილის სიმბოლო''), ,,მთელი სხეულით შიშით დაჭინთულმა'', სააღსარებოდ მიაპყროს მზერა:

,,განაჩენისთვის მოხვედი?

ძეგლი უნდა დამიდგა, იუკი?

სწორი ხარ!..

ძეგლი უნდა დაგვიდგა!

ყველას, ის, ნებსით თუ უნებლიეთ, დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად ჩახკრა ფეხი ამ ჭუჭყში, შენს ,,კუკლას'' იმსახურებს!

დროის ამ მონაკვეთს ეს ეკუთვნის!

თქვენ უფრო გეკუთვნით, ჩემო მახრჩობელა ძმებო!

მე ხომ ვკვდები...

მე უპირატესობა ზეცაში მაქვს!..

...

ვიცი, ეს ქარიშხალები გადაივლის.

მერე წვიმა მოვა...

აუ, დიდი წვიმები იცის აქეთ.

ერთხელაც მოვარდება და ყველაფერს, რაც იყო, რაც არის: წაიღებს, გადარეცხავს, ჩახვეტავს...

მთავარია, დროულად მოვიდეს!

ლოცვა-კურთხევა ამ სახლშიც შემოვიდეს...

კიდევ:

ერთი შემოლაწუნება უნდა ერს და ქვეყანაც გამრთელდება!''

,,მწერალი'' ჭიჭე □რომელიც საკმაოდ მივიწყებული რომანის პერსონაჟის სეხნიაა), არანაკლებ ცოდავს სტილისტიკაში, ვინემ როგორც მოქალაქე — ცხოვრებაში, მაგრამ მისი ძირითადი გაუცხოვება გენეტიკური სტრუქტურაა: ,,ჭიჭედ'', მცირედ, პატარად მოვლენია საწუთროს, და რა გასაკვირია, ზოგან მართებულად აგებდეს ფრაზას, ზოგან — ორმაგი უარყოფით და მიუხედავად ყოველივესი, ცაბაოთის წინაშე მისი ბრალეულობა ნემსის წვერზე ასაწონია გარემომცველ სამყაროსთან შედარებით: იგი მზადპუბლიცისტური ტრილოგიის მესამე წიგნისათვის ,,ფადაასი'' შემთხვევით როდი დამირქმევია. დიახაც მან უნდა შეაჯამოს, არწყას, წინა ორი თხზულებით წარმოჩენილი თემები და მიმართულებანი. ამიტომაც არაფერია გასაკვირი, რომ ჩემს საწერ მაგიდას უმეტოქო ნაწარმოებთა მხარდამხარ თანამიმდევრულად მოუმრავლდნენ უფროს, თანათაობელ თუ უმცროს კოლეგათა პუბლიკაციები ახლოით განსაჩხრეკად.

ფადაასი ზემორე მრავალგზის გაცხადებულისამებრ მსვლელობაა ღვთაებრივ სვანურში, ქუდზე კაცის ხმობა რაღაც სამამულიშვილო საქმეთა აღსასრულებლად, იგივე ,,აბა ულა'' მეგრული ფოლკლორიდან, რაჟამს ტრუბადური დანიელ ფიფია თურქი ასკერების კუდით ქვის გასატყორცნად მოუხმობს ნალიმასთან ქართველების სახალხო ლაშქარს უტუ მიქავას მეთაურობით, და რადროსაც დაძრულია ათწლედით გამყინვარებული ქართული მწერლობის ენერგია ერის სულიერი მედროშეს ნიშნულისაკენ, საუკუნეთაგან ნაცადი ბელეტრისტული ნიმუშების გვერდით მიყოლებით ლაგდებიან განსხვავებული პალიტრისა და ტემპერამენტის თანამემამულე მწერლების ქმნილებანი ესოდენ მოძალებული ნიხილისტური ბურუსების გასაფანტავად:

ჭაბუა ამირეჯიბის ,,გორა მბორგალი'';

ოთარ ჩხეიძის ,,არტისტული გადატრიალება'', ოთარ ჭილაძის ,,აველუმი'';

ზაურ კალანდიას ,,ძეგლი ყველასათვის'';

აკა მორჩილაძის ,,გადაფრენა მადათოვზე და უკან'';

თუ მეოცე საუკუნის უკანასკნელი მელანქოლია სევდამისჯილი პოეტებისა ქ-ნ დოდონა კიზირია და ვახტანგ ღლონტისა. ეს ათწლიანი მონაგარი ქართული ბელეტრისტიკისა, ცხადია, მთელი სისავსით ვერ წარმოავლენს მეორე ათასწლეულის მიწურულის სიტყვაკაზმულობას ჩვენსას, განზე გვრჩება უცილობლად მრავალი, წარმოჩინებულიცა და წარმოუჩენელიც, მაგრამ მემატიანე იმას დასწვდება ხოლმე განსახილველად, რაც ზედაპირზე ტივტივებს, თვალწინმდებარეა: სიღრმისეულისთვის, აისბერგულისათვის, მიჩუმათებულისათვის მოგვიანებით მოიცლის იგი, სულგრძელმა ცაბაოთმა თუ ინება ხანსვიანობა აქამდისაც ხელდასხმულისა, თუმცა დაგუბებულ სიტყვისგებას გამართლება რომ დაეძებნოს ღვარძლივით მოხშირებული ქირქილის ჯებირთა შესამუსრად, იქნებ ერთი რეპლიკა-პუბლიკაცია მოგვეშველებინა მეტი სიცხადისათვის და შემდგომ მოხმობილი მასალის ,,ფადაას''-წიგნში დაბინადრების პერიპეტიებიც თავისთავად გაცხადდებოდა: არის სიკვდილს შიშნეულად გაუსწოროს თვალი ყოვლისმიმტევებელი ზეცის იმედით.

ჭიჭე ფსკერის განსახიერებაა. მისი ცდომილებანი შესაბამისობაშია საკუთარ აღნაგობასთან:

ნოქარ დედაკაცს განგებ დაუბრუნებს მანეთიანს, რათა სამი-ოთხი ააცინცლოს მერმე ნდობამოპოვებულმა;

გადამალავს შეყვარებული ქალიშვილის საპემანო წერილს, თუმცა ის წყვილი მაინც შეიყრება;

მიისაკუთრებს მეგობრის ნაალაფარ დოლარ-ოქრო-ბრილიანტს, თუმცა მორიგი აბრაგები ,,ყველა ჩემი სამშობლოა სამეგრელოს გარდა''-ს წამღერინებით აართმევენ.

ჭიჭე ფსკერია და აისბერგივით მიმანიშნებელი წუთისოფლის სათავეში ამღვრევისა:

ორ-ორი რუსული ტანკი დაღოღავს ცხენისწყალს გაღმა-გამოღმა. □ეს თავი რომანის მწვერვალად მიგვაჩნია. საეთრდ ჯობდა ნაწარმოები არც კი გაცდენოდა ძმათა შორის სისხლის დასაღვრელად ამბოხებულ ხაბოებს, აქვე ეძია მესამე ნაპირი, ხიდი, გამოსავალი, სხვა თემები ,,ცნობიერების ნაკადის'' მეთოდის მოშველიებით თანდათან აღსდგებოდა, თანდათან გაიშლებოდა), ერთნაირი ტიპის, ერთნაირად მოძველებულ-მონჯღრეული. რუსის ხელით გაწონაწორებულია ძმათა შორის გაჩაღებული აბსურდული სისხლისღვრა. რომელიმე მხარის აშკარა უპირატესობა წამგებიანია აქ იმპერიისათვის: ერთ ტანკს მუხლუხო თუ აკლია, მეორეს ჭურვი ეჭედება. მიღწეულია ძალთა უბადრუკი თანაფარდობა, რათა უკეთ ამოჟუჟონ ერთმანეთი, უკეთ გაჭყიპონ ,,ანაშით'' თუ ხეროინით; მეტი სისხლი დააღვრევინონ ორივე მხარეს სრულ განადგურებამდე.

ყოველივეს საწყისი კი რომანის მიხედვით სახის დაკარგვაა, სახის წაშლა თუნდაც საჩიტე საფანტით, სამახარებლოდ გასროლილით აზეითებული აივნიდან.

მამფალი პოეტი აცხადებს: ხე, ღმერთო ერთო, შენ შეხქმენ სახე ყოვლისა ტანისაო.

სახე განსაკუთრებული საგანძურია ადამიანისა, სულის ხორცშესხმული გამოხატულება.

კაცი უფლის ხატად და სახედაა გაჩენილი და როდესაც წარეხოცება ნაკვთები ამ საუნჯისა, მყისვე მაცილი დაეუფლება.

ტოჩი ჩხოლარიას სახის წაშლა ,,ჟიჟმატი'', დაღლილი საფანტით, სიმბოლიკაა უფრო დიდი მასშტაბით სამშობლოს დაფინთიხებისა და ამ ორ განზომილებას შორის დაჭიმული ყოფიერება დრაკონივით დაიკლაკნება უსახოვნობის, უპიროვნობის დამანგრეველი ვიბრაციით.

ორია ნაპირი.

ორია გათიშული სხეული.

ორია გახლეჩილი სული.

მათი დაშორიშორების პროცესს მედიცინაში შიზოფრენია ხქვია. ორია მესვეური და სიმართლე-სამართალი ჩანგრეული ხიდის სახით თვლემს ნამარხი ჩონჩხივით, განახლების, აღდგომის, რედუქციის ამაო მომლოდინე.

ჭიჭეს გისოსებში მოყოლისაგან ისედაც გაზორბებული თავი და მის შიგნით უმეტესწილად საკუთარი ტყავის გადსარჩენად მგრწოლავი გონება, უძლურია თემიდას სასწორით არწყას ჭეშმარიტი და წარმავალი მცნებანი ყოველდღიურობის ფსკერიდან, რადგანაც ამისი მკვიდრი სამყოფელი სხვაგანაა, სხვა განზომილებებში.

ასე რომ, რომანით შემოთავაზებული რეალობა ფრთხილია, გაურბის მიზეზთა მიზეზის დადგენას, ან მომდევნო თხზულებათათვის გადანახულა, პროლეტარიატის ბელადის იმ გადაყირავებული მონუმენტის მსგავსად, რომლის ,,მძლეთამძლე'' ფეხები თურმე საფლავის გაცრეცილთარიღიან ფილაქანზე უდარდელი ყრდნობებით აბრმავებდა და აბოჟირებდა ათასებს, მაგრამ ვიდრე ნაწარმოების დედააზრში ძირის ძირამდე გავრკვეულვართ, იქნებ მისი ლიტერატურული განწყობილებისათვის შეგვევლო თვალი შეძლებისდაგვარად.

,,ძეგლი ყველასათვის'' შინაგანი მონოლოგის მეთოდით ნაძერწი რომანია, რომლის ბელეტრის-

ტულ სივრცეში აქა-იქ ჩაკინძულია მთხრობელის წარსულიდან მწერლის მიერ ამონარიდი ხილვები, სცენები თუ პასაჟები გარემომცველი სინამდვილის უკეთ აღსაქმელად.

ჭიჭე მრავლად სახელნაცვალი კაცია, ვეღარაფრით რომ გაქცევია თავის ადეკვატურ ზედწოდებას. ოდესღაც ჭოღო, ჭინჭად □ავისმაუწყებელი ძალა), გადაქცეულა და მოგვიანებით ჭიჭედ მოვლენია საზოგადოებას.

დაახლოებით იგივე სიტუაციაა, როგორც ტერენტი გრანელის მედიტაციაში: მე ისეთი უკუნეთიდან მოვდიოდი, ძლივს ღამემდე მოვღწეულვაორ. აქ ,,ღამე'' რაღაც დადებითის, რაღაც სინათლესთან მიახლოებულის სინონიმია ჯოჯოხეთის ბნელხვეულებთან შედარებით და ჭიჭეს მსწრაფველობა საკუთარი კორპუსის ბადალ სახელთან, უცილობლად აღიქმება დადებით მომენტად, მაგრამ ახსოვს ლიტერატურას ქვეყნისგან შერისხული, პარიზის ღვთისშობლის ტაძრის მნათე კვაზიმოდო და სინათლით გაჯერებული მისი მახინჯი აგებულებაც.

,,ძეგლი ყველასთვის'' კომპაქტური რომანია. ავტორი არ ღალატობს ,,ზვარაკის'', ,,მესამე ჟამის'' კონსტრუქციულ ხერხებს, ქრონომეტრაჟს, თუმცა ენობრივი პლასტით, ექსპრესიით წინსწრებულია რამდენადმე. ახალი რომანისათის ნიშანდობლივი მოცულობითობა და კრიალოსანივით ტანსახმულობა, ამ კალმახივით მოქნილ თხზულებას ერთი ამოსუნთქვით გაკითხებს, მიუხედავად კოლორიტის შესაქმნელად მოშველიებული უამრავი ჟარგონისა.

ჭიჭე არც ქურდული მასია, განაბი, აღარც — ,,პოდპოიასნი'', ავტორიტეტი, მაგრამ ,,შავი სამყაროსათვის'' დამახასიათებელი მეტყველების ელემენტებით შეკმაზული მისი თხრობა წყალივით ლაღად მიედინება. აქა-იქ გამოკრთება რიგი უზუსოტბანი, განსაკუთრებით ზნეობაწარხოცილი დიაცების შემკობისას: ,,ჩემალალას'' უფრო კაცების მიმართებაში იტყვიან ხოლმე ქუჩური ცხოვრების კვალობაზე, თუმცა აქვე შეიძლება გამოვკვეთოთ: ჭიჭეს ჟარგონი მკაცრი განჩინებაა, უცთომელი შეფასება აღრენილი სულიდან ნებისმიერი გვამის გამოსააშკარავებლად და ერთგვარი იარაღიც დამყაყებული ატმოსფეროს გასაცამტვერებლად.

აჯობებდა ჭიჭე — მწერალის მეტყველების წონასზორობა შიგადაშიგ გადახრილიყო გრამატიკული ლაფსუსებისკენ, გაუმართავი ფრაზეოლოგიისკენ, ვინაიდან ის მაინც დილეტანტია და არა პროფესიონალი; ამით ლიტერატურული გმირი მეტ დამაჯერებლობას შეიძენდა და ნაკლებად დაემთხვეოდა თავად შემოქმედის რაფინირებულ, დახვეწილ ესთეტიკურ დონეს, მაგრამ თუკი დავუშვებთ ტოლობის ნიშანს პერსონაჟსა და ხელოვანს შორის, ყოველივე კათარზისის საგულისხმო ფორმულადაც გამოგვადგება, რისგანაც ჯერხნობით წაყრუებულია ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის გახლეჩილი ცნობიერება.

კათარზისი, განწმენდა ღვთაებრივი მომენტია არა მხოლოდ ქრისტიანულ მსოფლგანცდაში. საკუთარი შეცდომების მონანიებისკენ მართლმადიდებლური მოწოდება ხომ არ გამოსჭვივის-მეთქი ჭიჭეს თვითშემმუსრავ აღსარებასა შინა მომავლის წინაშე, რომელიც შუქურასავით მბჟუტავი ერთადერთი უპირატესობაა დანარჩენთან შედარებით ზეცის მოპოვებისას, თავადაც გაურკვევლობის ნისლიანში დანთქმულისათვის.

ზაურ კალანდიას ახალმა რომანმა დაარღვია ალაბთ ყველაფრის სხვაზე გადაბრალების ათწლიანი პრაქტიკა ჩვენს ბელეტრისტიკაში და პერსონაჟს ამოფარებული მეობის კომპრომიტირებით გზა გაუხსნა მანკიერის და ზადის ,,ოსტატურად'' შენიღბვის უხანო გამოცდილებას.

სხვის ომში ყველა ბრძენიაო, გვისწავლია აკვნიდანვე, მაგარმ რატომღაც ათადან და ბაბადან მოყოლებული, თითოეული სხვათა მსაჯულებად ვქცეულვართ; სხვათა თვალში გაბრწყინებული ბეწვის შენიშვნისას ციცერონებად გადავიქცევით ხომლე, როცა საკუთარ მხედველობაში გახირული დირე მოხერხებულად მიგვიჩქმალავს და აქ სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო:

,,ძეგლი ყველასთვის'' ერთგვარი ეტაპია ჩვენი ერის გლობალური კათარზისისათვის, ოღონდ აქვე დავამატებდი შემდეგსაც: კუდით დაჭერილი თევზი არ არის მთლად საიმედოდ მოხელთებული, ვიდრე თავს არ მივწვდებით. ვისაც ღელეებში ხელაობით მოუნადირებია კობრი, ღორჯო თუ ჭიჭყინა, ეცოდინება, კუდზე შეხებისას საოცრად გაიტრუნება ნებისმიერი, თავამდეც მიგიშვებს უჩვეულ სითბოსგან დაჟრუანტელებული და აქ სულისწრაფობის გამორიცხვით ნელინელ უნდა მოიმწყვდიო თითებში, რათა წყლის ბინადარისთვის მახასიათებელი სლიპინა კანით სამუდამოდ არ დაგისხლტეს თავ-კისერ-ტან-კუდიანად.

,,ძეგლი ყველასათვის'' რამდენიმე შორეული ასოციაციის აღმძვრელია ჩემთვის, როგორც მწერლისთვის თუ რიგითი მოქალაქისთვის.

რატომღაც ჩინგიზ აითმათოვის ,,ექვსი და მეშვიდე'' ამომიტივტივდა ოთხმოციან წლებში გახმაურებული ,,პლახადან'', იგივე ,,საჯალადო კუნძად'', ,,ქოცოდ'' თუ ,,საქონდაქრედ'' თარგმნილიდან

აწნეტარხსენებული აკაკი ბაქრაძისაგან.

აქაც წინასწარმეტყველური დაყივლებით ერთმანეთს ხოცავენ სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ქართველები; აქაც ორი ნაპირი იბრძვის ჩამსხვრეული ხიდის გაღმა-გამოღმა და აქაც დამათრობელი სიმღერების ნირვანაში, ღვინისა და კოკონის სიმხურვალით გათანგულ მთლიანობაში, ჯერ ექვსი გამოესალმება სიცოცხლეს პოლიტიკური მოწინააღმდეგის ხელით, მერე კი თავად ეს უკანასკნელი აღესრულება ეროვნული თვალსაწიერის გადასახედიდან, როგორც საკუთარი ჯიშ-ჯილაგის ჭირისუფალი, მესაფლავე, მსაჯული და მონა.

მაგრამ ზაურ კალანდიას მწერლური პალიტრა ორიგინალურობის კალაპოტით მიახმაურებს ტალღებს სისხლით შეფერადებულ თერგსავით და ამ სრბოლას, ამ ღრიალს ჩვენი გულების პიტალო კლდეები რომ აუბანებენ ხოლმე თანაგრძნობის უწრფელესი ექოებით, კოლეგა-შემოქმედის უდიდეს დამსახურებად მიმაჩნია.

ასოციაცია ვახსენე და „ოქროს ტყვიაც“ მომეძალა ამერიკული კინოლენტიდან. მექსიკის რევოლუციაა ასახული ამ ფილმში. მოდის ვინმე გრინგო, ჭიჭეს ჟარგონით თუ ვიტყვით, იგივე „სტუკაჩი“, „ნასედკა“, რომლის მოვალეობა თურმე რევოლუციის ბელადის განადგურებაა. თავად რევოლუციის მიზანი, იდეა, უჩინარია კინონაწარმოების მიხედვით. ჯან მარია ვალონტეს განსაცვიფრებელი ეკრანული სახე უძლურია დოყლაპია, ხეპრე გლეხობისგან სამშობლოს ერთგული ჯარისკაცების გამოსაძერწად.

მედაფდაფე „ჩუნჩო ბარაბანჩიკი“ ვერაფრით გამორანდავს გუთნისდედა ბრბოსგან მეთოფემეშაშხანე რაზმეულებს. თავადაც გაორებულია ეროვნული მიზნის გაურკვევლობისაგან. ხოლო გრინგო ქილერი, როდესაც ჩუნჩოსგან შემთხვევით აღმოჩენილი ოქროს ტყვიით განგმირავს მისთვის ლამის ღმერთკაცად შერაცხულ პიროვნებას — რევოლუციის მესვეურს, ბელადს, არ მიუტევებს უკვე ძმობილს კერპის გაცამტვერებას (თუმცა ჯილდო თანაბრადაა განაწილებული ჩუნჩოსთვის დაქირავებული მკვლელისგან), და რიგით ტყვიანაკრავს გააყოლებს დაძრულ მატარებელს.

სად „ჩუნჩო ბარაბანჩიკი“, სად აითმათოვის გურამ თოხაძე თუ ჩეკისტი სანდრო და სად კიდევ ძმათამკვლელი ომის წნეხში მოყოლილი ჭიჭე, მაგრამ რადგანაც ოთხმოცდაათიანი წლების აპოკალიფსური მეხთატეხა მსგავსი უგუნურობით ამომთქნარებაა ვეზუვივით პომპეის თავზე, გავბედეთ დატოლება განსახილველი რომანის უკეთ ამოცნობის თვალსაზრისით.

საქართველოში, პირველად საბჭოეთის სინამდვილეში. უსისხლო რევოლუცია დატრიალდა.

ცხრა აპრილის დილასისხამზე თავისუფლებისმოყვარე ქართული სულის იმპერის მუხლუხოებით გადათქერვამ ერთი მუშტივით შეკრა იმპერიისგანვე მიზანმიმართულად, ათწლეულობით მეხუთე კოლონად, გვარნაცვალ ქართველობად და პატროფილიის აბჯროსნებად დანაწევრებული ჩვენი სახელმწიფოებრიობა.

მეხუთე კოლონას პარტოკრატია განასახიერებდა, იმპერიისგან პრივილიგირებული ეპოლეტებიანი ნიჭიერებით;

გვარნაცვალი ქართველები ლერწამის ერთგულებით მიაყურადებდნენ ქარების ამოვარდნას;

რაც შეეხება ერისთვის თავდადებულ, ცხრაკლიტულებში ნატუსაღარ ცოტნეებს, კვლავაც ამაყი მკერდით ეგებებოდნენ უთანასწორო ბორიაყს და მაინც შეკოწიწებულმა ვითარებამ ერთ მთელად შეადუღაბა თითქოს განსხვავებული მიზან-მიდრეკილების მოქალაქენი საქართველოისა, მაგრამ როდის შეკავშირებია ქვიშას წყალი, რკინას — წიდა, ამაღლებულს — დაცემული და კვლავაც იწყო რღვევის პროცესი, იმპულსის ძალისხმევით, ამაზრზენი ძალმომრეობისგან ვითომ ერთარსად აზეითებული ტალღის დაშლა — მეხუთე კოლონად — პარტოკრატია-გვარნაცვალ ქართველად და პატროფილური მსოფლგანცდის ფენად და ამგვარი დაპირისპირებულობის პროპორციების მამულში, აღთქმულ ქვეყანაზე, მოსესმიერ ქანაანზე ოცნება ქარის წისქვილების მიმართ ხელშუბიანი დონ კიხოტის გათამამება გამოგვადგა: მარაზმული შორსმჭვრეტელობა თუ ინფანტილური წინდაუხედაობა, დედის წინ კვიცის კუნტრუში.

ამნაირი წანამძღვრების გაუთვალისწინებლად „ძეგლი ყველასათვის“ ვეღარ გაექცეოდა ნებისმიერი ინდივიდის განურჩევლად (მიუხედავად მისი სიმართლე-სამტყუვნისა), საშვილიშვილო შეჩვენების გათარანებულ საზიარო ტაფაზე მოსახრაკად მოსროლას. არც ფასეულობათა გათანაბრება, ლამის გაიგივება გვესახება საბუთიერ კრიტერიუმად.

საზოგადოებისთვის შემზადებული მწარე განჩინება — ძეგლი ყველასათვის, სულაც არ შეესაბამება მონუმენტის ჭეშმარიტ ცნებას: ძეგლი ყოველთვის და ყველგან დადებით ემოციებთანაა დაკავშირებული, მაგრამ როდესაც რეკვიემული განწყობილებებია, მკაცრი გაფრთხილების სვეტებია აღმართული ხიროსიმა-ნაგასაკის „შემოქმედთათვის“, ძეგლის ამაღლებულ გაგებას ანტიძეგლის

მამხილებელი შინაარსი იკავებს; იგივე ხვიჩას და გოჩას დაჯახება უიარაღოს — კონდრატე თათარაშვილის ,,მამლუკიდან'', რომელთაგან არც ერთია ვენეციელი ად აღაცრ მეორე — ქაიროს ქვიშიანი ქარების გადმოსროლილი, არამედ ორივე ბედკრული საქართველოს შვილი გახლავთ, ვითარებათა გამო საკუთარი ნების წინააღმდეგ ერთმანეთს სხვათა ხელით დაპირისპირებული და მაინც სიცოცხლის კენწეროზე ეროვნული ცნობიერების სათავეს მიბრუნებულნი ქვირითისმყრელი ორაგულების მსგავსად.

ლიტერატურათმცოდნეობა, იგივე კალისტიკა, უფრო ზუსტად კი ,,ესთეტიკა'' ხეგელის გაგებით, ასევე ხორაციუსის, ბუალოს, ბელინსკის და სხვათა ფორმულადქცეული გემოვნებანი აღარ ცნობენ მწერლის ტენდენციურობას ნებისმიერი პერსონაჟის მისამართით.

ჩვენ აქილევსი აგამემნონის წინაშე სულიერი ჭოჭმანისა და შეუვალი რისხვის გამო უფრო გვიყვარს, ვინემ მისი ფეხმარდობაა თუ ძლეული ხექტორის ცხედრის სამჯერადი შეურაცხყოფა;

ვეთაყვანებით ცბიერებით გამორჩეულ ოდისევსს არა ციკლოპის დაბრმავების თვალსაზრისით, არამედ პენელოპეს სასიძოების დაუნდობელი ამოჟუჟვისათვის, მაგრამ არსად და არასდროს დაგვიხურდავდება ბრმა აედი, რამდენად სამართლიანია ესა თუ ის საქციელი მის გმირთაგან, რამდენად პატროფილურია ან რამდენად ქვენაა ქმედებათა მთელი სპექტრი.

გმირი აღივსება მწერლის მიერ მოპოვებული ხასიათებით, რომელიც ექვემდებარება მკაცრ ლოგიკას, ტემპერამენტის გამას და არავითარ შემთხვევაში თითებიდან გამოწოვილ ტენდენციურობას.

ყველაფრის გათვალისწინებით ვერც ზაურ კალანდიას მოვთხოვთ მზამზარეულ იარლიყებს, ფირნიშებს და ეტიკეტებს გმირების თვალსაჩინო აღქმისათვის.

ფორმულა: ,,მოვიდა მგელი იგი ვარსქენ'', უკვე ჩანასახშივე მცდარი მეთოდია ესთეტიკური პოზიციიდან, მაგარმ როდესაც განზე გვრჩება ტროას ომის მიზეზები, როდესაც უგულებელყოფილია ,,განხეთქილების ვაშლის'' სათავეები, ელენე მშვენიერის მოტაცების პირველშენაკადები, აქ შინაარსი ვერასდროს შეიძენს დასრულებულ ხასიათს, ვერაფრით დაემორჩილება მონუმენტის გაგებას, არამედ მოგთხოვს მეტ გამჭვირვალობას დაცემის, დაქვესკნელების პოზიციიდან და უპრიანი იქნება ამ შემთხვევაში ,,ძეგლის'' ცნება მისმა ანტინომმა ,,სამარცხვინო ბოძმა'' აღავსოს; დიახ, სამარცხვინო ბოძმა, ვინაიდან ძმათამკვლელი ორი ნაპირი რუსთაველის პროსპექტსა თუ ცხენისწყალს გაღმა-გამოღმა, ვერასოდეს დაშარავანდედდება საშვილიშვილო განცდის მატარებელ განზომილებად. ოდეს ორივე მხარე თემიდას სასწორის პინაზე გაწონასწორებულია, თანაც მიზეზთა მიზეზი შეჯანღულია ბუნდოვანებისათვის საკმარისი ოდენობით, მეტიც, გავლებულია ტოლობის ნიშანი საბაბსა და შედეგს შორის, კანონიერსა და უკანონოს წილ, ლეგიტიმურსა და პუტჩიანელს შინა, ესთეტიკოსთა თეორიები უკუეფინება მწერლის ჩაურევლობის, მიუმხრობლობის თაობაზე და ჩნდება აუცილებელი მოთხოვნილება ხელოვანის პოზიციისა, ხელოვანის მსოფლგანცდისა, ხელოვანის კრიტერიუმებისა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდლ საზღვარს დაუწესებს ცდომილს და მართებულს.

,,ძეგლი ყველასთვის'', ავტორისვე სიტყვებით, იგივე ,,კუკლაა'' ამ ჭუჭყში ფეხნაკრავი ხალისთვის იუკისგან განჩინებული, წმინდა სისხლის აფიორა, მსხვილი კუპიურებით თავბოლო დაბეჭდილი ქაღალდების შეკვრა ბანკნოტთა დასტის სანაცვლოდ, და როდესაც მოქმედების დრო მაიმუნის წელიწადის მზეგანია, ქვეტექსტები რიფეებივით ეჯახება მკითხველის ცნობიერების ოჩხომელეს საღათას ძილისგან გამოსარკვევად, გონზე მოსასვლელად და სიმწრის ოფლის მომწურავი დასკვნებისათვის.

რომანი ,,ძეგლი ყველასათვის'' დამუხტულია გასაოცარი სიტყვათმშენებლობით, ხენეშის პოეტური ძაფით ჩაგვირისტებით, ოპიზარების სადარი იუველირობით, ნიკო ლორთქიფანიძისათვის ნიშანდობლივი სისხარტე-მომჭირნეობით:

,,მუგუზალივით ანთებული სახე'';

,,მორიელის დანახედივით ამოფორაჯდება'';

,,გარემოში ჩაკირული'';

,,ახვეტილი ძუძგია და ნაგავი'';

,,შენი ერთადერთი სარფა, ხეირი ქუჩის მადლიერი თვალი ყოფილა, თითქოს ფიზიკურად გაზრდილხარ და... წასულხარ'';

,,კარგ, ეტყობა, კარგი დანახვა უნდა, გული უნდა სუფთა და ბეღელივით დიდიც... მისი სითბო და გამძლეობა, წარღვნის დროინდელი სურნელით'';

,,მე ხომ ისა ვარ, ვისაც არასოდეს გაუმარჯვია, მაგრამ არც არასოდეს დამარცხებულა!''

ეს ხომ სიზიფეს გოდებაა, მარადიული უშედეგო ლტოლვის რაინდის დვრინი?!

ეს ხომ ავბედითი წონასწორობაა, უდასასრულო ფრე, საკუთარი ნახნავის შენივე ფეხით დატკეპვნა, გაორება?!

სწორედ აქედან იწყება პიროვნების რღვევა, დორიან გრეის პორტრეტის გულწამღები მარაზმი, უფრო მეტი გახუნება და გაცრეცვა, ვინემ სტიქსის ტალღების გადალახვას მოსდევს ხადესის მიმართულებით.

უსახოვნობას, ინდივიდის განაცარტუტებას მუხამედისდროინდელ არაბეთში სრულიად გამჭვირვალე სახელი ეძებნებოდა; დაცემულს და შერცხვენილს ,,ხალი''-ს ეძახდნენ იქ, რომლის აბუჩად აგდებისათვის, თუნდაც მოკვლისთვის პასუხს არავინ აგებდა. საარვისო იყო ,,ხალი'', ყველას ფეხით გასათელი ფარდაგი.

აი, როგორი ,,ხალები'' შეუმზადა XXI საუკუნეს ზაურ კალანდიას რომანმა ,,ძეგლი ყველასათვის''.

ჟურნალში დაბეჭდილი თხზულება გარკვეულ რეკონსტრუქციებს, მუტაციებს განიცდის ხოლმე ცალკე წიგნად შეკონვამდე. ნაწარმოების საზოგადო შობამდე მე ამ პროცესს გენერალურ რეპეტიციას ვეძახი და იმედია, ,,სულის ჭაში ჩალექილი''-ს, ,,ჭორხარბები''-ს, ,,უწაუწა''-ს, ,,სერო და სერობები''-ს, ,,ღალატში აქვს თავი ჩარგული''-ს ხელწიფულ მწერალს დაკაბადონებულ რომანში აღარაფრით გაასწრებს ზოგი რუსიციზმი:

,,ვთვლი'' □მიმაჩნია);

,,გარეშე'' □მაგ. სამშობლოს გარეშე, შეცდომაა, მართებულია უსამშობლოდ'');

,,იმაში მდგომარეობას'' □ის არის);

,,ვერ გამიმხელია ვერავისთვის'' □ვერავის თვის გამიმხელია).

ვერც როსტოკაკა ორთოგრაფიული უზუსტობანი გაეპარება უჯრაში დახანებული დედნის კვალობაზე ხორაციუსისებურად: ,,ნებსით'' □ნებით), ,,ფაქტიურად'' □ფაქტობრივად), ,,სამთავე'', □სამივე), ,,ზეზეულად'' □ზეზეურად)...

ვეღარც იშვიათი ფაქტობრივი ცთომილებანი დაუსხლტება ხელიდან:

,,ნემსის წვერში გაგიძვრენდა'', რაფერ? ნემსის ყუნწში გაძვრომა კიდევ მესმის — გამოსაძერწი პერსონაჟი ასწილ ვიზრობში გაჭირდიდება, მაგარმ უნახვრეტო წვერში როგორ გააღწევს, რანაირად?!

ეს ხომ აბსურდია? ,,ვირის ჩლიქში მოქცეული წიპწა''. როგორ, რა მანქანებით? ვირი ხომ კენტჩლიქიანი ცხოველია. წიპწა მოექცეოდა წყვილჩლიქიანების ნაპრალში, ძროხისებრთა ოჯახის ეგზემპლარების ფეხრთაწიაღ, მაგრამ ყოველივე ეს იმდენად მიზერულია პროპორციებში ნაწარმოების სხეულთან შედარებით, როგორც — ხალები მზეზე.

ესეც რომ არა, ამას წინათ, მართლაც ამ იშვიათ მოქართულე ვაჟა-ფშაველას წერილის ,,კომსპოლიტიზმი და პატრიოტიზმი'', ვგონებ, მეასე წაკითხვისას, ორგზის შემეფეთა ,,ყველა გენიოსები'', ,,ყველა ერები'', აგრეთვე ,,ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს...'', თუმცა ვაჟა მაინც ვაჟაა, შთამომავლობისაგან ქედის მოსახრელი გენია, ხოლო ჩემი პერანგის მეგობრის სასეფეწულოდ გამზადებული ნაწარმოების ნონპარელი კორექტივისკენ თუ მივანიშნე, უფლისგან მონიჭებულ და მაცილისგან წარხოცილ სახეთა მონუმენტის სახვალიო მნიშვნელობის გამო, და კიდევ იმისთვისაც — ...,,სედ მაგის ამიკა ვერიტას ესტ.''

მოხეტიალე წერილი
საქართველოს პირველი ლედის,
ქალბატონ **სანდრა-ელისაბედ რულოვსს**

წერილი, ბარათი, უსტარი... მრავალნაირია იგი: საშკუთხა, ღია, დახურული და ვინ მოთვლის. ჩვენი შეშთხვევა განსაკუთრებულია, ვინაიდან ადრესატამდე ველარაფრით მიღწეულა, ავტორთან ერთად ხეტიალობს ბარეშ სამი წელიწადია.

თქვენო აღმატებულებავ,

სასიხარულო იყო ჩემთვის ცნობა იმის თაობაზე, რომ ჩვენი ჟურნალი ოპერატიულად გადმოგცეს. ბევრი ვეცადეთ საამისოდ, მაგრამ თქვენს საბრძანისს ვერანაირად მივუდექით, ოფისი „სოკო" რემონტზე ყოფილა, თქვენი ოჯახის დაცვამ თავი დაიზღვია, კანცელარიაში წაგვიყრუეს და ა. შ.

ჟურნალი „კირბისი" „ვარდების რევოლუციის" ასაკისაა. სულ სამად სამი ნომერია გამოსული, და სამივე სხვადასხვა არხით გავუგზავნეთ ქვეყნის პრეზიდენტს, ბატონ მიხეილს, მაგრამ მის გარშემო ისეთი აზრგაუმტარი ჯავშანი აღმოცენდა კანცელარიული სამსახრის სახით, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას რადიოლოგიის ინსტიტუტის ულტრაიისფერ სხივებს გაუძნელდებათ გაღწევა. მქონდა საშუალება ერთხელ ქალბატონ გიული ალასანიასთვის გადამეცა იგი, როცა ონკოლოგიის ეროვნულ ცენტრში ახლდა დედას. ეგ იყო და ეგ. ამით დასრულდა ჩვენი ჟურნალის გამოცემის პირველი ეტაპი. ჩემი შუათანა ასულის, თექვსმეტი წლის ანის, უკურნელ სენს 17 თვე ამაოდ ვეომეთ. დავმარცხდით უთანასწორო ბრძოლაში და შლეგივით ვიბორიალე ერთ ხანს, თუმცა ადამიანი ყველაფერს აიტანს თურმე და მორიგი ნომერიც მწუხარების გაქარვების ერთგვარ საშუალებად მომევლინა.

თქვენი მშვენიერი წიგნისადმი მიძღვნილი ჩემეული წერილი-ესსე (იხ. „სუფევა", ტ., III, გვ. 336, 2010 წ., „ჭკვიანი რძალი — **Clever daughter in law** — მესიაკონი ნოსა"), გაცილებით ადრე გამოქვეყნდებოდა, რომ არა ქართული ბუნების მიკერძოებითი სიფრთხილე: ნახევარ ხმაზე დამღერება ურჩევნია უმეტესს — მომეტებული ხომ არ არის პოზიცია ესევითარი?! და ვითომ სიტყვის თავისუფლებისათვის ხმალშემართული პერიოდიკანი, (საჭიროების ჟამს სათითაოდ დასახელდება), დროს დამაკარგვინებენ იწილობიწილოთი, თუმცა არაფერია, მოსასვლელ დილას ვერანაირად დააოკებენ ფლატენი და კონცხები კლდეთა.

ქალბატონო, სანდრა, წიგნი, რომელსაც სახსოვრად გადმოგცემენ, გასულ წელსაა დასტამბული წინსწრებული თარიღით, თორემ მქონოდა წაკითხული თქვენი თხზულება, მისგან ამონარიდ ფრაზას უცილობლად ვაახლებდი ეპიგრაფად: „ჩემთვის მეგრული ენა მეშვიდეა". „იდეალისტის ნაამბობი" დაგვიანებით ჩამივარდა ხელში, ქალბატონ მანანა კარტოზიას ვენათხოვრე. უკვე არსად იყიდება. დაიტაცა ხალხმა. ასეთი რამ იშვიათია. ჩანს, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს. (ისე კი, სულითა და გულით ვისურვებდი ერთ ეგზემპლარს პირველი ლედის სამახსოვრო წარწერითურთ და სავიზიტო ბარათს აუცილებლობის შემთხვევაში შეუფერხებელი სატელეფონო ზარისათვის).

ქალბატონო სანდრა, ორიათასის მიწურულს პირველმა მე დავიწყე ფრიად პრესტიჟული სარიალის გამოცემა: „ნობელის პრემიის ლაურეატები". რუსებმა მოგვიანებით ამიბეს მხაროი, და ცნობილი მოვლენებით შეჭირვებულს, უკვე მეორე წიგნის გამოცემისას გადამასწრეს კიდეც. ცოტაც და გაიტაცეს ქაღალდი სტამბიგან, ჰიპერინფლაციამ ხომ მთლად გაგვიფუჩეჩა სახელმწიფოსგან აღებული სესხი, (თავადაც გვარიანი უგერგილო გამოვდექი, როგორც ბიზნესმენი, ფულის კონვერტაცია ვერ მოვიფიქრე), და ცხონებული გურამ ფანჯიკიძის ხელშეწყობით წამოწყებული ფხიანი საქმე ჩამიფლავდა.

სამი რომანის ავტორი ვარ. პირველი წიგნი, „სიცოლცხლემისჯილი" რუსულად თარგმნილია და სადღაც ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ"-შია დაკონსერვებული. დასრულებული მაქვს ბელეტრისტული მატიანე „სუფევის" ექვსტომეული, რომლის ეპიცენტრი „ვარდების რევოლუცია" და მისი სულისჩამდგმელი ტანდემი — სამეგრელო-სააკაშვილია (ცხადია, კოლეგა-წინამორბედების ტოლერანტული ასახვის ფონზე). ესეც იგივე დღეშია. ბანკები სესხების გაღებას გაურბიან. თუ ოქროვერცხლი, უძრავ-მოძრავი ქონება არ გაგაჩნია, დელიკატურად გამოგისტუმრებეგ უკან. შევქმენი კინოსცენარი. აქაც ყინულზე მიწერილი აღთქმულობებია. აი, რა მიზეზით აგვიანდება ლამის ერთი

თვის წინათ გამოსაცემად მომზადებულ ჩვენს ჟურნალს.

ჩამოყალიბებული მაქვს ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის პროექტი ,,გვიმრა''. მისი ძირითადი მიზანია ფენომენური ნიჭიერების ბავშვების ამოცნობა, დაკვალიანება და ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანა. (ყოველ 1000 ინდივიდში 1 გენიოსი ურევია, რომელმაც არაფერი უწყის თავისი უნიკალური უნარების შესახებ). ჯერ-ჯერობით ვერც ამ თემშარაზე ვხედავ რაიმე პერსპექტივას. საუნივერსიტეტო გარდაქმნების დირიჟორი ბატონი გიორგი ხუბუა თითქოს მოხიბლულია მისით, მაგრამ დრო გარბის და თსუ-ის მრჩეველთა საბჭო ვერანაირად იკრიბება ჩემი ერთსაათიანი მოხსენების მოსასმენად. პატარა იღბლიანობის შემთხვევაში ეს პროექტი უსასყიდლოდ გადაეცემა ჰოლანდიელ ხალხს ფაშიზმთან ბრძოლაში თავდადებული ქართველების ხსოვნისადმი ესოდენი პატივის მიგებისათვის; ისრაელს 26-საუკუნოვანი სამაგალითო თანაანსებობის ადამიანური დაფასების წილ. (პროექტი ,,გვიმრა'' დაბეჭდილია წინდებულ ჟურნალში). ისევ ეპიკურ ტილოზე მუშაობით გამაქვს წუთისოფელი. პოემა ,,ოდოია'' ჩემი სიჭარმაგის ლიტერატურული სარბიელია. სხვათა შორის ამ ეპიკურ ტილოში სკანდინავიელი ხალხის ისტორია 700-600 წლითაა უხსოვრობის დროინდელ წარსულში გადატანილი, იგივე ისლანდიელების, ნორვეგიელების, დანიელების, ბელგიელების (ჩემი პოტენციური მითოსური წინაპრები: პაპაჩემის გადმოცემით ჩვენ ხე-ტყის დამამზადებელი და ფეტრის ქუდების მეწარმე ფეტერების შთამომავლები ვართ თითქოს), ჰოლანდიელებისა და ირლანდიელების — ვიკინგების ცხოვრება ზოგადად. თქვენი ,,ოდინ'' და ჩვენი ,,ოდოია'' ერთი და იგივე პიროვნებაა დასახელებული ნაწარმოების მიხედვით, აიეტ მეფის შვილიშვილი, აფსირტესა და ჰალიძონების ბელადის ასული ჰანანის ვაჟიშვილი. ამ პიროვნებას ჰომეროსიც მოიხსენიებს თავის უკვდავ ,,ილიადაში'' — ,,ჰალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოჰყვნენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან: (ხ)ალიბეს მხრიდანო''. ჩემს პოემაში ოდინ-ოდოია ფრიგის და რინდას და სხვათა მეუღლეა, ლოკის დამამარცხებელი, ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ფონემა ,,ოდი'' ღმერთის იდენტურია ბერძნულ-კოლხურში. ,,უდუია'' მსუქანი ცხვარია შუმერულში, იგივე ოქროს საწმისი, სამყაროისეული ინფორმაციის დამტევი ბანკი. ჟორჟ ამადუს რომანში **„ტერეზა ბატისტა უსტავშაია ვოევატ“**, ამნაირ ფრაზას შემოგვაშველებს: **„ოდოია — დრევნო იბერიისკაია მორსკაია პესნია“,** ასე რომ ტყუილად როდი გაიძახის ჩვენი პრეზიდენტი: ქართველები ძველთუძველესი ევროპელები ვართო.

კეთილი ნების შემთხვევაში, იქნებ თქვენმა დაკვალიანებამ მეტი მიზანმიმართულობა მიანიჭოს ჩიხში შესულ ჩემს ეპიკურ პოემას.

P. S.

ქალბატონო, სანდრა, როგორ მინდოდა მეგრული სიმღერების რიგით III საერთაშორისო ფესტივალს ხობში ხელდამშვენებული ვსტუმრებოდი, ჟურნალი ,,კირბისი'' ჩამეტანა იქ ხალხში დასარიგებლად, ყოველნაირად შემკული ჩვენი ჭკვიანი რძალი რაღაც მისხალი სხივითაც გამეცისკროვნებინა, მაგრამ არის მეგრულში ამნაირი გამოთქმა: **„ამსერ ცათე მოჭყუდუსუ, მუშ სისქვამე გოჭყუდუნსუ“** — ამაღამ ამ პატარძალსო, თვისი ეშხი გამზითავსო.

მართალია, თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის მანძილზე პირველად მეგრული ,,ჰოუნანათი'' ამღერდებოდით მესიაკონი ნოსა, მაგრამ ჟურნალის გამოცემა ჩამეფუშა ცნობილი მიზეზებით და მხრებაწურული ვეღარ ჩამოველ. იმით მაინც ვინუგეშებდი თავს, რომ სახელდახელოდ დაისტამბა ,,მეგრული პოეზია'' მაღალპოლიგრაფიულ დონეზე და ჩემი ლექსების გაცნობა ასე თუ ისე მოხერხდებოდა, თუმცა კვლავაც გავწბილდი. კი, დასკვნით აკორდად ამ კრებულში გური ოტობაიას ლექსებია წარმოდგენილი, მაგრამ აურაცხელი საგანგებო კორექტურული შეცდომით გაჭედილი (ამას მოწმობს თანდართული ,,შეცდომების გასწორება'', რომელიც საგანგებოდ ჩემი სტრიქონებისთვისაა გამოგონილი მრავალკორექტურულ წიგნში) და დავღონდები. განგებ თუ უნებლიეთ?!!

ყველაფერმა ამან მაფიქრებინა, ხომ არ დადგა დრო ჩვენმა ჩინებულმა ქალბატონმა ,,გვიმარა'' იმღეროს-მეთქი, მომავალ ფესტივალამდე, წელსვე თუ გაისად. ჩემეული ტექსტის მუსიკა ეკუთვნით ბესიკ ჭითანავას და იური მაკალათიას. მართლაც იშვიათი სიძლიერის საგალობელია, სრულიად საქართველოს ჰიმნი, სადიდებელი. პროექტის მიხედვით აქ სამეგრელოს სასოწარკვეთას ტენორი ზურაბ სოტკილავა განასახიერებს; გადაულახავ წინაღობას, იგივე ბეთოვენისეულ მეხუთე სიმფონიის ბედისწერულ მოკაკუნებას, ედგარ ალან პოს ყორანის დაყრანტალებას ,,Memento mori-ს''

აქცენტებით — ბარიტონი პაატა ბურჭულაძე, ხოლო კოლხეთის წვას, მის იმედს და ხვალინდელ პერსპექტივას — თქვენ, ქალბატონო სანდრა.

მე გაოცებული ვარ თქვენი მრავალმხრივი ტალანტით. ასეთი რამ მარგალიტის თვისებაა მხოლოდ. მილიონ ნიჟარაში ერთი ქვიშის მარცვალი მოხვდება განგების წყალობით დიდღელ-ვებისას, დაიხურება ის ნიჟარა და ასწლეულების მერმე ჩაუმქრალ ნათლად აღმოცენდება. მეგრული „ჰოუნანას" უწრფელესი კაეშანი თქვენშიც იტრიალებს აწ და მარადის.

სპონსორული გზით ჟურნალის ტირაჟირებით იმედგაცრუებულმა მივმართე „კვირის პალიტრის" მედია-სახლს, მაგრამ ჯერ-ჯერობით იქიდანაც სამარისებური სიჩუმეა.

გავიხარე ბატონ თემურ ჩხეიძის სანკტ-პეტერბურგის პირველი თეატრის მთავარ რეჟისორად დანიშვნით. რამდენიმე კვირის წინათ მე მას „მარჯანიშვილზე" გადავეცი ჩემი კინოსცენარისა და პიესისმაგვარი მისი ვერსიის დედნები. მითხრა: თუ მომეწონა, განვახორციელებო. ის დიდი ხელოვანია. გამორიცხული არაფერია.

ახლა ყველასა და ყველაფერზე გაცეცხლებულმა თავიდან დავუტრიალდი ლექსების წიგნს. მოვიშველიე თქვენეული ფრაზა ეპიგრაფად, რომელიც მოგვიანებით მოვიხელთე და მორჩა. ამიერიდან ეს წიგნი ამ აფრის ტკაცუნით გავა გაშლილ ზღვაზე — **„ჩემთვის შეშვიდე ენა შეგრუ-ლია, ხოლო ჰოუნანა პირველი". რიცხვი შვიდიანი რასაც ნიშნავს ეზოტერიკულად, ახსნას არ საჭიროებს თქვანთან, შვიდი იგივე სამ-ოთხეა, სამისა და ოთხის — კაც-ქალისა და საზოგადოების ერთობლიობა.**

ვუბრუნდები ავატოგარაჟად ქცეულ დუმბაძის მოედანს მუხიანში. ვუბრუნდები ფიტულივით აჩოჩნჩხილ, არაშენდად სახელდებულ ჩემს საცხოვრისს. შევეტევი ბეტონის კედლებში. კომპი-უტერის პროგრამა გაფუჭებია ჩემს ბიჭს. შევხარი ქალ-ვაჟს და ჩემი შორეული ანის ხელით შესრულებულ ნახატებს. მალე ეს იდილიაც წამეგვრება. გავერიდები თბილისს, ვინაიდან დავრწმუნდები მითვალთვალებენ ჭერიდან, მოპირდაპირე კორპუსიდან.

უფალი დიდია. ყველგანმსუფევი ცაბაოთი გფარავდეთ, ქალბატონო, სანდრა. ისე როგორ გამწირავს ზეციერი, ერთხელ მაინც ვერ მოვახერხო თქვენთან შეხვედრა?! ყველაფერი მაცხოვ-რის ნებითაა. ნათქვამია, თავს ზემოთ ძალა აღარ არისო და ბედისწერას მინდობილი, ოჯახს მოწყვეტილი პროვინციაში ვჩხირკედელაობ ახლა.

სანდრა-ელისაბედ რულოვსის

ჭკვერი ნოსა, სანდრა,
სოიშა მიოწკანტრა?!
გურს ლეკურეფ ქუმოგ,
არძა ხოლო წვანდრა,
გითოკვათილ ხურხეფით,
ეფშა მაფუ დრანდრა.
ტექსელს ჯიჯეფ მინთხორ
ვაღობუნა ღანდრა.
ჭკვერი ნოსა, სანდრა,
სოიშა მიოწკანტრა?!

ფრიგიშ გამნარცი რექ,
ოდი რე ჩქინ დადრა,
ჩქი ბჟა ბხიროკუნან,
სი ცინი რჭუნს ჭვათრა,
გურშა გოხუტოლუ
ქომოლქუა ღვაბრა,
ცვალო ეშმაიღუ,
ჩქინი რინა ძგვაბრა,
ჭკვერი ნოსა, სანდრა,
სოიშა მიოწკანტრა?!

სანდრა-ელისაბედ რულოვსის

ქველო რძალო, სანდრა,
საით მიკოხტაობ?!
გულს გამჩრია ხმლები,
ბასრწვერანი ყველა.
გამოჭრილი ყელით
ამვსებია დრანდა,
ბიძანი მაყავს ტექსელს,
ვერ მოუწნავთ ღობე,
ქველო რძალო, სანდრა,
საით მიკოხტაობ?!

შენ მოდგმა ხარ ფრიგის,
ჩვენ პაპა გვყავს ოდი,
როცა ჩვენ მზე გვხრუკავს,
შენ გწვავს ყინულ მწვეთი,
გულში გეხუტება,
ღაბუა ძმისწული,
ყველად აგუნდავებ
ჩვენს სუფევა ლუჯს,
ქველო რძალო, სანდრა,
საით მიკოხტაობ?!

ჰოუნანას იბირქ,
ვემეიცენს ხანდრა,
ხეს გოჲლუა დუდშა,
სერსუ გინოღვანდრა,
სი მაპალუთ აკა,—
ცაშფერი დო ცხვანტრა,
ქეკიცუნე კოლხი,
ოშშა გინაჭყადრა,
ჭკვერი ნოსა, სანდრა,
სოიშა მიოწკანტრა?!

ჰოუნანას მღერი,
დაგიფასდეს ღვაწლი,
თავს ხელს შემოგავლებ,
ღამეს გადაშოლტავ,
შენღა დაგვშთენიხარ,
ლაჟვარდი და გამრჯე,
აიდევნე კოლხი,
ასჯერ დანავსები,
ქველო, რძალო, სანდრა,
საით მიკოხტაობ?!

ᲝᲠᲥᲝᲣ ᲡᲐᲠᲬᲣᲛᲘᲡᲘ — ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘ

ოქროს საწმისი იგივე ოქროს სარწუმისია, ცოდნის სათავე, ფილოსოფიური ქვა, კირბები მარტივად, კირიბიში — კრავისა. იგი თავის დროზე ტროას ცხენის ფუნქციასაც კი შეასრულებს პროტოიბერიულ საიდუმლოებათა მოხელთების გზაზე.

საქართველო დროსა და სივრცეში ლუმერული, იგივე ატლანტიდური ცივილიზაციის ერთ-ერთი მემკვიდრე ქვეყანაა, ქურუმთა და მოგვთა სამკვიდრობელი, მარგალების — თიხის ფირფიტებზე ცოდნის, ასო-ნიშანთა დამრგველი ხალხის სამყარო, რომელ სიბრძნესაც ველა რაფრით დაუფლებია შორეული აზიიდან მოსული ინდოევროპული რასა.

ამისთვისაც ტყუპისცალი და-ძმა, ფრიქსე და ჰელე გრძნეულ, ოქროს მატყლიან ცხვარზე ამხედრდებიან და კოლხეთისკენ გამოეშურებიან. ჰელე ლტოლვილობისას ჯადოსნური ვერძიდან ჩამოვარდება და ზღვაში დაიხრჩობა. ამიტომაც ეწოდება ჰელესპონტი დარდანელის ზღვას, ხოლო ფრიქსეს დიდის პატივით მიიღებენ კოლხები, როგორც ჯადოსნური ტოტემის პატრონს. გრძნეულ ვერძს ჰელიოს-ღმერთს შესწირავენ მსხვერპლად, ხორცს თავად ინებებენ, ოქროცურვილ ტყავს კი საკრალურ მუხაზე ჩამოჰკიდებენ, რომელსაც ზამთარ-ზაფხულ დრაკონი იცავს.ოქროს ვერძი და ტროას ცხენი ამ შემთხვევაში ეკვივალენტური ცნებებია — მოწინააღმდეგის დამარცხების სახსარ-საშუალება, ვერაგობა, ხრიკი.გაივლის რამდენიმე წელიწადი და ახლა ბერძენთა სხვა ნაკადი მოადგება კოლხეთს, რომლებიც ამას წინათ ნაჩუქარი ოქროს ვერძის დაბრუნებას მოითხოვენ. გასაოცარი ფაქტია, ჯერ ძღვნად მიურთმევიათ იგი და აწ უკან მიაქვთ თავიანთი არმაღანი. მოტივაცია ბუნდოვანია, მაგრამ აქ ამოსაცნობი არაფერია, ვინაიდან ჯადოსნური ვერძის ტყავი უკვე სტრატეგიული მნიშვნელობის საგანძურია, რომელზეც კოლხებს თავიანთ საკრალური ცოდნა გადაუტანიათ და ოქროს სარწუმისად, ოქროს საწმისად, ეტალონად გადაუქცევიათ — აქამდე არსებული ყოველი სიბრძნის ჩანაწერად, კაცობრიული ინფორმაციის სრულ ბანკად და ბუნებრივია, ასეთ საგანძურს რომელი ხელისუფალი შეელევა, აიეტ-მეფემ რომ დათმოს?!

ბერძნები მედეას მეშვეობით მოახერხებენ კოლხეთიდან ოქროს საწმისის **(სარწუმისის)** გატაცებას, თუმცა საიდუმლო წერილს წამკითხავი სჭირდება, ხელდასხმული, განდობილი. აკი ბერძნულ წყაროებში შავით თეთრზე წერია: **ოქროს საწმისი ეს ის კი არ გახლდათ, როგორც აქამდე გვამცნობდნენ, არამედ იგი იყო წიგნი იმის თაობაზე, თუ როგორ მიეღოთ ოქრო და ვერცხლი ქიმიის შეშვეობითო.** ცოტა მეზობლობაში ოქროს საწმისის მნიშვნელობა უფრო გამჭვირვალედაა გადმოცემული — **ძველები,** ე.ი. კოლხები, **აღმართავდნენ წერილსვეტებს, რომლებზეც სამკუთხა ქვის დაფებს — კირბებს მიაკრავდნენ. მათზე წარწერილი იყო სამოქალაქო და რელიგიური კანონები და მათ ერთობლიობას კირბისი ერქვათ;** სხვაგან ოქროს საწმისი, კირბები, იგივე **გზათა და ხმელთა მაჩვენებელი ნიშნებია, კარტოგრაფრიის მნიშვნელობის შემცველი იეროგ- ლიფები.**

ჯელაფრის გათვალისწინებით, ოქროს საწმისი დაახლოებით ისეთივე სიძლიერის სტრატეგიული იარაღია იმდროინდელი კოლხეთისათვის, როგორც სადღეისოდ — წყალბადის ატომური ბომბი ამერიკის შეერ- თებული შტატებისათვის და გასაგებია, აიეტ-მეფის თავგამოდება მის გადასარჩენად, თუმცა ოქროს საწმისი მოხელთებულია უკვე ბერძნების მიერ და მათი სწავლულები ამაოდ უკირკიტებენ ზედ წარწერილი ფორმულების გაშიფრვას. აი, ამ მომენტიდან იწყება კიდეც ტროას ომი. ილიონი, ვილუშა ხეთური წყაროებით, ამ შემთხვევაში პროტოიბერიული სივრცეა, რომელსაც დაახლოებით 13 ათასი

მეომარი იცავს. შემოეწყობა ამ ქალაქ-სახელმწიფოს ბერძენთა 130-ათასიანი ლაშქარი აგამემნონის მეთაურობით და 10 წლის მანძილზე ვერაფერს დააკლებენ, ვინაიდან კოლხური იარაღი იბრძვის იქ — რკინა, ფოლადი — სპილენძის წინააღმდეგ.

ჰალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოჰყვნენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან, ხალიბეს მხრიდანო, ვკითხულობთ „ილიადაში". მეექვსე სიმღერაში კი აგამემნონი ჰოროლით განგმირავს ოტებულ, გაქცეულ, გოლიათ ოდიოსს — იგივე ოდოიას, ოდის. ოდიოსი და ოდოია იდენტური ფონემებია. „უდუია" ხომ ცხვარია შუმერულად?! კოლხეთს გააჩნია იმდროინდელი დანარჩენი მსოფლიოს დამთრგუნავი ფოლადი და ოქრო, იმიტომაცაა სიძულვილი დაბალგანვითარებული ხალხებისათვის.

ჰომეროსის პოემის შესატყვისად ხის ცხენის შეგზავნით გაიხსნება ილიონის კარიბჭე და მიმოლეწავენ ბერძნები პროტოქართულ ქალაქ-სახელმწიფოს, მაგრამ ოქროს საწმისის საიდუმლოს გასაღები მაინც ვერაფრით იძებნება. არავინ უწყის ამის თაობაზე: არც პრიამოს მეფემ, არც — მედეამ, თვით აიეტმაც კი. ამისი ყველა ძაფი და მარჭვალი თავს იყრის უმთავრეს ქურუმ ამირანთან, იგივე პრომეთესთან თუ არამხუტუსთან. და აი, ამდენი ზიგზაგის შემდეგ, ბერძნები მოულოდნელად მოულმობიერდებიან კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ მისანს, რომელსაც დღემოსწრება ზევსის არწივი უკორტნიდა ღვიძლს; რომელსაც, როგორც კი ჯაჭვი შეუთხელდებოდა, საკუთარი მჭედლები ახალს მოარგებდნენ, რამეთუ მათი მესია— პრომეთე კაცობრიული ინფორმაციის სრული ბანკის ერთადერთი მფლობელია მთელს სამზეოში. იციან ამის თაობაზე ბერძნებმა და ჰერაკლეს მეშვეობით მონობის ჯაჭვისაგან ახსნიან კიდეც ამირანს, რის შემდეგ მითები შემაძრწუნებლად მდუმარებენ. სავარაუდოა, რომ პრომეთე არ გასცემს ატლანტიდელების, იგივე ლუმერული ცივილიზაციის საკრალურ ცოდნას, ვინაიდან უბირს, დაბალი განვთივარებისრასას არ უნდა მიენიჭოს განუსაზღვრელი ძალა (იარაღი), რათა მისი მოხმარების უცოდინარმა ქვეყნიერება არ დააქციოს. მაინც რა საიდ უმლოებაზე საუბარი?! ამოსავალი პუნქტი გენიალური ებრაელების დროშაზე გამოსახული დავითის ვასკვლავია — ორი სამკუთხედის შეპირაპირებით მიღებული ექვსქიმიანი გეომეტრიული სხეული, იგივე სრულყოფილი ადამიანის სიმბოლო. ეს იდეალი სკულპტურულად პირამიდაშია არეკლილი; კალენდრულად — მაიას ცივილი- ზაციის ცოლკინში; პალეოგრაფიულად — პროტოიბერიულ კირიბიშში — ოქროს საწმისსა და ასომთავრულში; კირბი პირამიდის მეოთხედია, 25 პროცენტი. ხოლო 4 კირბის ერთობლიობა ჰკრავს პირამიდას, ანუ სრულფასოვან უფალს. ცოდნა იმის თაო-ბაზე, თუ რატომ შედგება ადამიანის ტვინის ნეირონები წესიერი ექვსკუთხედების — სექსტაგონების ბადისაგან, ან რისთვის ენათესავება აღნაგობით იგი ფუტკრის ფიჭას, სამარეში ჩაუტანია პრომეთე-ამირან-არამხუტუ-აბრსკილ-ნასრენ ჟაკეს-ფჰარმათს— ღვთიური ცეცხლის მოპოვების ზოგადკავკასიურ გმირს. ეპოსის მიზანია ცივილურმა მსოფლიომ გული გაუხსნას პროტოიბერიელების ბორგნეულ ბიოგრაფიას და ვიზუალური მასალების მოშველიებით: ადამიანის ნეშტის ხარის ტყავში გახვევაა ეს, ნორჩი ხის მოდრეკა და მიცვალებულის ზედ ჩამოკიდება — ღვთაება მზისადმი ძე-ხორციელის მიძღვნის იმიტაცია; ეგვიპტის პირამიდების წვეროებს მობმული ტორნადოებით ფარაონის სულის ცად ამაღლების ინსცენირება, თუ სიმღერა „ოდოიას" ათასწლოვანი ტრანსფორმაციით — ბრძოლის სიმღერის შრომის ჰიმნად გარდასახვის სემანტიკით, ნათელფენის მცდელობა ადამიანის ზოგადკაცობრიულ მისწრაფების გასაცნობიერებლად — გემზე წევს დაჭრილი ოდოია და ამ საგალობლის ფონზე მოჩანან სამჭედლოები, გავარვარებული ორპირა ცულები, მათი შიშინი წყლით სავსე გობებში, მათი ელვარება ხელჩართულ ბრძოლებში. ორომტრიალს დროთა ვითარებაში ნელი-ნელ შრომის ჰეროიკა ენაცვლება — იმავე სამჭედლოში სხვა თაობა წალდს, ნაჯახს და თოხს კვერავენ; მოგვიანებით ომის სიმღერა თანდათან შრომის ხოტბაში ტრანსფორ მირდება. ეპოსი „ოდოია" ცოლკინის, დავითის ვარსკვლავის, პირამიდების, ოქროს სარწუმისის — რწმენის წიგნის — ოქროს საწმისის ერთობლიობით ცდილობს უხსოვრობის დროინდელი ფასეულობების რესტავრაციას, რომელიც 12 ათასი წლის წინათ ერთ ღამეში დაქვესკნელებულა დედამიწაზე მომხდარი კატასტროფით, როცა ასტეროიდი დაცემია პლანეტას ჩვენსას და მისი ღერძი **38** გრადუსით გადახრილა. ეს ყველაფერი ასახულია ნოეს კიდობანის პარამეტრებში — **144 X 24 X 14, 4** (სიგრძე — **300** წყრთა, სიგანე — **50**, სიმაღლე — **30;** წყრთა ტოლია **48** სანტიმეტრის) = **49 766,4 : 13 = 38 28 1, 8 461 538** და მიანიშნებს დედამიწელების გარდახდილი ტრაგედიის ასტრონო- მიულ სურათს, რომელიც წარღვნის სახითაა ბიბლიაში გაფორმებული." ასეა თუ ისე ლექსების წინდებული წიგნი — „ოქროს საწმისი"კიდევ გვარიან ხანს იჩინდრიკებს დუნიაზე, ოსტატის ნაცად ხელებს მიჩერებული; კიდევ მრავალ სტრიქონს შეიმყუდროებს ფრთებქვეშ, სანამ არქიტექტონიკურად უზადო იერ-სახეს შეიძენდეს; ვინემ, „წამო,

შეჩერდიო", დაილუღლუღებდეს მთელი პლანეტის გასაგონად ღვთაებ რივი მეგრულით: რომ ცაბაოთთან იაკობისეული ჭიდილი დასრულებულია; რომ უფალთან შერკინება წარსულს ჩაბარებულა; რომ **„ვტოვებთ სხეულებს და ვიხევთ ცისკენ"** (შუკო ჯიქია).

ერთ დაკვირვებასაც გაგანდოგ
ჩემო ლაზო ძმაო, ჩემო ქაზიმ ქოიუნჯუ —
მეექვსე აბრეგატი

1978 წლის 5 ნოემბერს დაბა საბერიოში, ენგურჰესის მიწისქვეშა სადგურის საშანქანო დარბაზში ჩაირთვება I აგრეგატი და საქართველოს მიიღებს ენგურჰესის პირველ ელეტროენერგიას 260 ათასი კილოვატსაათის ოდენობით..

1978 წლის 15 დეკემბერს, ანუ პირველი აგრეგატის ამუშავების მე-40-ე დღეს ენგურჰესის მიწის- ქვეშა ჰიდროელექტრო სადგურის II აგრეგატი ამოქმედდება და მისი სიმძლავრე მიაღწევს 520 ათას კილოვატსაათს.

1978 წლის 30 დეკემბერს, ზუსტად 15 დღის შემდეგ, ექსპლუატაციაში შევა ენგურჰ ესის III აგრეგატი და უკვე მისი სიმძლავრე გაუტოლდება 780 ათას კილოვატსაათ ენერგიას.

1979 წლის 15 დეკემბერს ლამის წლისთავზე მწყობრში ჩააყენებენ ენგურჰესის მიწისქვეშა სად- გურის IV აგრეგატს და ელექტროენერგიის გამომუშავება 1040 ათას კილოვატსაათამდე გაიზრდება.

1980 წლის 6 ნოემბერს ამუშავდება ენგურჰესის მიწისქვეშა სადგურის V აგრეგატი და უკვე მისი სიმძრავრე განიზომება 1300. 0 ათასი კილოვატსაათი ელეტროენერგიით, ანუ როგორც ენერგეტიკოსები იტყვიან ხოლმე, დადგმული სიმძლავრით. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს VI აგრეგატი, როცა იგი პრაქტიკულად განთავსებული არ არის ენგურ-ჰესის მიწისქვეშა სადგურის დარბაზში?!

გასაოცარი და ლამის დაუჯერებელი თანხვედრა შევნიშნე მაიას ტომში აღმოჩენილ ფირფიტა ცოლკინს, ენგურჰესის მიწისქვეშა სადგურსა და პოემა „ოდოიას" შორის. პირვლი ორი, ცხადია, ჩემგან დამოუ- კიდებლად დაპრექტდა ათასწლეულების თუ ათწლეულების მიღმა, მაგრამ თავად ამ პოემის კოორ დინატებიც მისდა უნებურად რომ წარიმართა აწგაცხადებული განზომილებებით?

უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ მაიას ცივილიზაცია, კანიბალური აცკეტების რასა, აღიგვება მიწის პირისაგან, მაგრამ გადარჩება მხოლოდ და მხოლოდ მატრიცა, ლოგოსი ამ ცივილიზაციის წარმართველ ძალად, რომელთაც კაციჭამიობამდე დაიყვანეს ციური სხეულების თაყვანისცემა, მზის კულტი ბოლოსდაბოლს და ემსხვერპლებიან კიდეც ამ გონდახშულობას პროპორციით 12 000 000: 400 = 0. ეს ხომ პარადოქსულია. ოთხასმა ავაზაკმა კეტი რომ აიღოს და დილიდან საღამომდე ურახუნს თავში 12 მილიონს ადამიანს, თითოეულს ხელის 30 000 მოქნევა მოუწევს და კიდურის ამდენივე უკუქცევა. გადარჩა ცოლკინი. გადარჩა დედამიწისეული ცოდნა სამყაროს აგებულების შეასახებ, რომელსაც ხულიო არგუელისი მაია-I-ს მიაწერს, ცად რომ ამაღლდება დედამიწის სინქრონიზაციის შემდეგ; რომელიც გენის სტრუქტურაა და სამყაროს მიკროსქემა, მოდელი და ა.შ.

ჩემთვის მეტნაკლებად ცნობილია ენგურჰესის დამპროექტებელი ხალხის ვინაობა, რომელთაც მის ენერგეტიკულ სიმძლავრეს ყველასთვის უჩინარი ეზოტერიკული მნიშვნელობა მიანიჭეს, არაორდინალური გაქანების ინჟინერები — ირაკლი ამირეჯიბი, ალექსანდრე ლოსაბერიძე და სანდრო მენაბდე — სწორედ მათი ინტელექტის წყალობით შექმნილია ენგურჰესის ენერგეტიკულ ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ხუთმოქმედებიანია ტრაგედია, იგივე პენტაგრამა, დაბა საბერიოს მიწისქვეშეთში, მაგრამ ამავდროულად, ცხადია, ისიც, რომ მათ მაინცდამაინც „26" აიღეს საწყის ელემენტად, გაორმაგებული 13; „26", რომლის შესატყვისია ცის თაღის სრული მობრუნება. ეზოტერიკულად თუ ვიმსჯელებთ, ენგურჰესის დადგმული სიმძლავრე 1 300 000 კილოვატი, ცის თაღის 5 სრული შემობრუნების ტოლფარდია და ზედმიწევნით აცხადებს დაფარული ცოდნის რანგს, დონეს. ეზოტერიკული, საკრალური სიდიდე ცოლკინში მიიღწევა 13 + 7 X 13, რაც 260-ს ტოლია. მსგავსი დამოკიდებულებაა ჰომეროსის „ილიადა"-ში, სადაც 13 000 ტროელს 130 000 ბერძენი ებრძვის.

აღორძინების ეპოქის უდიდესი პოეტი დანტე ალიგიერი „ღვთაებრივ კომედიას" წერს 130 სტრიქონიანი თავებით, და მათი რაოდენობა ელემენტარული არითმეტიკით 13 ათასია.

ენგურჰესში ეს სიმბოლიკა მიღწეულია 260 X 5 = 1300. იგივე მიმართებაა პოემა „ოდოიაშიც",

სადაც თითოეული თავის სტრიქონების რაოდენობა 2600 და საბოლოო ჯამში უდრის 13000 — (260 X 10 X 5.) არა, ბატონებო, ამისთანა დამთხვევები ნაკლებად იცის სამყარომ.

დაიღუპა მაიას ცივილიზაცია, მაგრამ ავგაროზივით გადარჩა ცოლკინი, რომლ ს საძირკველზე აღმო- ცენდა დღევანდელი სამხრეთამერიკული სახელმწიფოები — ჩილე, კოლუმბია.

მშობლიურ ფლორენციაში გაიხიზნა რომში სიკვდილის განაჩენგამოტანილი დანტე, რათა ლათინური ენის ბატონობის პირობებში მშობლიურ იტალიკურზე აეჟღერებინა კაცობრიობის უდიდესი სულიერი დრამა და თანამდროვეთაგან დაფნის გვირგვინით შემკულიყო სიცოცხლეშივე. განადურდა ქართულ-აფხაზური თანაარსებობა, მაგრამ გადარჩა ენგურჰესი და დარწმუნებული ვარ კვლავაც ენგურჰესი ააღორძინებს ახალ, სრულიად განსხვავებულ ქართულ-აფხაზური ერთობლივი სახელმწიფოს გულისძგერას.

დაემხო გური ოტობაიას პიროვნული იდილია, ზიგ-ზაგიანი ბელეტრისტიკითა და რიმანო-ბაიათი, მაგრამ, დიახაც, დედის დარწეული აკვნიდან შეთვისებული „ჰოუნანაათი" აღსდგება ფერფლიდან მისი დახანძრული სული და მაინც რა უნდა იყოს საბერიოს მიწისქვეშეთში არარსებული VI აგრეგატი, სათაურშივე რომ გამოვიტანეთ ბურუსით მოცული სათქმელის ლოცმანად?! თავაწეული საქართველო ხომ არა სამივე დროში, სამივე განზომილებაში!

ბევრს ვებაასები შენს ნათელს,
ჩემო ლაზო, ძმაო, ჩემო ქაზიმ ქოიუნჯუ,
თავადაც 33-ე წელიწადს აღსრულებულო ქრისტესავით.
თურმე რაოდენ ჰეშმარტია მაცხოვარი ჩვენი:
დიახ, არარაი დარჩეს დაფარულ!

— ბატონო, ლაშა, ჩემთვის სასამოვნო იყო საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის კოლექტივთან და იქ გაჟღერებული ინფორმაცია, რომ მარტო ვანის გათხრებში აღმოჩენილი ერთი ექსპონატი მთელს ლუვრს გადაწონის. დმანისელი „HOMO GEORGIKUS"-ით ჩვენ კავკასია პირველი ადამიანის აკვნად გამოვაცხადეთ. ამ თვალსაზრისით რა მნიშვნე-ლობისაა ცაიშის არქეოლოგიური გათხრები?

— აღსანიშნავია, რომ მართლაც საქართველოს ტერიტორიაზე ძალიან განებივრებულები ვართ არაერთი უნიკალური აღმოჩენით. როგორც თქვენ შენიშნავთ: დმანისის, ვანის, საირხის, ითხვისის, თრიალეთის, შულავერის და ა.შ. არქეოლოგიურ მონაპოვრებზე ბოლო სამი წელიწადია მთელი მსოფლიო ლაპარაკობს. მათ შორის, ერთ-ერთი ფლაგმანია ცაიშის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც ქრისტემდე VIII-VII ს. სრულიად უნიკალური არტეფაქტები (ხელოვნების ნიმუშები, რედ.) მოიპოვა, კერძოდ — გამოვლინდა მასალები, რომლებიც ასახავენ საქართველოსა და ევროპის ურთიერთობის პირველ ნაბიჯებს. ანუ მაშინდელი დასავლური ქართული ტომების, კოლხების უშუალო კავშირს ეგეოსურ ცივილიზაციასთან.

— ამ ასპექტით საინტერესოა ბატონ რისმაგ გორდეზიანის გამოკვლევა მედიტერიანული საშყაროზე. სიტყვიერ მასალაზე დაყრდნობით გამოვლენილია კოლხურ-ბერძნული ცივილიზა- ციების სერიოზული კონტაქტები.

— ნიშანდობლივია, რომ კუნძულ სამოსზე აღმოჩნდა ბავშვჩახუტებული მხედარი ქალის ქანდაკება. მსგავსი ტიპის სკულპტურა მოპოვებულია აგრეთვე კონტინეტურ საბერძნეთში, რომელიც ძვ. წ. აღ.VII ს. თარიღდება. იგი ცაიშის სამაროვანის №1 სამარხში მოპოვებული მასალების სინქრონულია. კუნძულ სამოსზე ამ იდოლის (ქანდაკების, რედ.) აღმოჩენისთანავე გამოითქვა ვარაუდი, რომ იგი ეკუთვნის კოლხურ სამყაროს. შემდომში ეს მოსაზრება ამერიკელმა მეცნიერმა მარი ვოიაცისმაც დაადასტურა. ცაიშის გათხრებში ამ ქანდაკების მსგავსი 8 ეგზემპლარი გამოვლინდაანუ მთვარის დღეს ხარის დაკვლა იკრძალება — ვაშინერს — არეგების. აქვე ერთ მეგრულ სენტიენციაზეც გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: **თუთა ახლი, ღორონთი სი გუმახარი,** — მთვარე ახალი, უფალო შენ გამახარე! ეს ხალხური გამოთქმა ნათლად მიუთითებს კოლხების რელიგიურ წარმოდგენასა და მითორიტუალზე. ასევე ეთნოგრაფიულ ასპექტში საინტერესოა შემდგომი ფრთიანი ფრაზა: **ჯვეშიშ ძვალი ოკო ვარკალანდას** — წინაპრის ძვალი უნდა კრიალებდეს. ცაიშის სამაროვანში აღმოჩენილი ოსტოლოგიური მასალა აშკარად მიუთითებს მის საგანგებო გაწმენდასა და პატივით ჩასვენებაზე.

— ერთი წუთით, საკრალური ხარის ამბავს მინდა მივუბრუნდეთ, კონკრეტულად კი იმას,

რომ მთელი შუმერი, ეგვიპტე დიდი ფურის პირშია, ამასთან ჩემთვის გამაოგნებელია აშკარად პროტოქართული ტომის — ბასკების დამოკიდებულება ხარისადმი, ლამის ხატად მიჩნეული ცხოველის ბარბაროსული დეფფილირება — დაცაკვლა.

— კოლხურ სინამდვილეში მხოლოდ ხარის ქანდაკებები გვხვდება. მათ შორის ერთი ფურიც არ ფიქსირდება. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მამრობითი სქესის პრიორიტეტს, ხარი ხომ მთვარის წმინდა ცხოველია კოლხურში: **თუთა — შუმა ჩქიმი.** რაც შეეხება ფურის კულტს შუმერულ-ეგვიპტურსა თუ ესპანელების კორიდაზე, უეჭველად ინდოევროპელების გამარჯვების სიმბოლიკაა პროტოიბერიულ სივრცესთან.

— ჩინებული ფაქტია, მაგრამ ამ საკრალურ რიტუალს ახლავს ფრიად შორსმიმავალი ეზოტერიკა. კოლხებს ხეზე მხოლოდ მამაკაცის ნეშტი ჰქონდათ. ქალისას ქვევრში კრძალავდნენ. ამ ამაღლებით მამაკაცი ჰელიოს-ღმერთისკენ აიწეოდა, იმნაირად, როგორც ფარაონების ცად ამაღლება ხდებოდა ტორნადოებით, ანუ პირამიდის წვეროს გამობმული ქარბორბალებით.

— კოლხები მიწას და ცეცხლს მიიჩნევდნენ წმინდა სტიქიად. ამიტომაც ადამიანის პირდაპირ მიწაში მიბარება მკრეხელობად მიაჩნდათ. მისი ნეშტის გაპატიოსნება ამიტომაც ხდებოდა ცეცხლის მეშვეობით, ანუ მზის სიმბოლოთი. ამ მხრივ ნიშანდობლივია ჩვენს მიერ აღმოჩენილი, დინამიკაში მოცემული სვასტიკიანი საკიდები. სვასტიკა შუმერულ-ეგვიპტური წარმოდგენით მზის სიმბოლოს ასახავდა. აგრეთვე მასში ხდებოდა სამყაროს ოთხი მხარის ინიციაცია. თავად მეფე აიეტიც ხომ ჰ ელიოსის შვილი გახლდათ.

— გათხრების ორგანიზაციულ მხარეზე რას გვეტყვით?! ცაიშში ხომ ეს ექსპედიცია ორ წელიწადში რიგით მეორეა?

— ცაიშში პირველად საძიებო-სადაზვერვო შურფი (თხრილი, რედ.) გავლებულ იქნა 2001 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მოვლინებული ექსპედიციის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი რევაზ პაპუაშვილი. 2005 წელს უკვე დაიწყო კომპლექსური სამუშაოები ზუგდიდის რაიონის გამგეობისა და უშუალოდ ბატონ ალექსანდრე ქობალიას შემწეობით. ექსპედიცია შედგებოდა 6 სპეცია-ლისტისაგან. მათ ხალისით ეხმარებოდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები. ცაიშის სამაროვნის №1 კოლექტიური ორმო-სამარხის შესწავლა ზუსტად 30 კალენდარულ დღეში დასრულდა. გათხრები ფინანსურად უზრუნველყო (5 000 ლარი) ზუგდიდის გამგეობამ. როგორც აღვნიშნეთ, ამ გათხრებმა უნიკალური ექსპონატები გამოავლინა, რამაც არსებითად განაპირობა ცაიშში შემდგომი არქეოლოგიური კვლევა-ძიება.

— მაინც რა არქეოლოგიურ ფასეულობებზე საუბარი?!

— სპეციალისტების მიერ ერთხმად აღიარებულია, რომ ცაიშში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშები ქართული კულტურული მემკვიდრეობის შედევრიება. მართლაც გასაოცარია კოლხი საზოგადოების დახვეწილი და გეომეტრიულად სრულყოფილი აზროვნება. გამოვყოფდი ტოლგვერდა სამკუთხედის ფორმის სამკაულებს, რომლებზეც გეომეტრიული ფიგურებია გამოსახული, მათ შორის უნიკალურია სამკუთხედში ჩახაზული წრე, სადაც დაცულია ამ სხეულების ზუსტი პარამეტრები. თავად ეს სიმბოლოები ხალხთა წარმოდგენაში სრულყოფილებას გამოხატავდა.

— მებადება აზრი, რომ კოლხეთი-შუმერი-ეგვიპტე ცივილიზაციის ერთიანი ჯაჭვის ორგანული რგოლებია.

— მეტსაც გეტყვით, მოპოვებული მასალები უდავოდ ადასიტურებენ, რომ კოლხური სამყარო იზოლაციონიზმით არ არის შებოჭილი. მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს გარე სამყაროსთან. კერძოდ, ჩვენს მიერ მოპოვებული ბრინჯაოს გრავირებული სარტყელი იწოდებოდა ცენტრალურ ამიერკავკასიურად. ცაიშის გათხრებმა დაადასტურა რომ ყოველივე წმინდა კოლხური ფენომენია. კონკრეტულად, მასზე გამოსახული ორნამენტები მხოლოდ კოლხურ მასალებზე გვხვდება. გამომდინარე აქედან აშკარაა მათი იმპორტი მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ცაიშის სამაროვანის №2 სამარხი-აკლდამის შესწავლისას, რომელიც ქრისტემდე X-IX ს. თარიღდება, გამოვლენილია ეგვიპტური იმპორტის ნიმუშები — ცხოველსახოვანი ანთროპომორფული ქანდაკებები და ასევე სირია-პალესტინიდან შემოტანილი მინის ჩიტის მინიატურული სკულპტუ- რები. აქედანვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეგვიპტესა და კოლხეთს შორის გარკვეული სავაჭრო ურთიერთობა არსებობდა ფინიკიელების შუამავლობით. ამდენად, მაშინდელ ცივილიზაციებს შორის ხელშესახები რგოლი იკვრება. ახლა ორიოდე სიტყვით იმის შესახებაც, თუ ვინ იყვნენ ეს ხალხები: შუმერები, ეგვიპტელები, კოლხები... ცაიშის სამარხში დაახლოებით 800-ამდე მიცვალებულია ჩასვენებელი. ისინი წარმოადგენენ საზოგადოების საშუალო

ფენას. უდავოდ ნათელია, რომ მათ დაგროვილი აქვთ გარკვეული სიმდიდრე, როგრიცაა: ძვირფასი მეტალებისაგან დამზადებული სამკაულები. ბუნებრივია, დოვლათის შექმნა შეუძლე ბელი იყო სამეფო ორგანიზაციის გარეშე. მით უმეტეს, აქ წარმოდგენილი მასალების უმეტესობა წმინდა ლოკალური ხასიათისაა და მეტად თვითმყოფად კულტურას ასახავს. თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ პერიოდში ჰყვავის ურარტული, ასურული კულტურები, და ამავე დროს ჩრდილოეთიდან ხდება კიმერიელებისა და სკვითების შემოტევა, კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში მათი გავლენის არანაირი კვალი იძებნება. მისახვედრებელია, რომ მათ წინააღმდეგობას უწევს მეტად ორგანიზებული ძალა, რომელიც შესაძლოა ცენტრალიზებული სამფო ხელისუფლება იყო.

— კოლხეთთან, საქართველოსთან დაკავშირებული ყველა ბილიკი ოქროს საწმისთან და ამირანის მითთან იყრის თავს, ანუ რკინის გამოდნობის და მონეტარულ სისტემის შექმნის საიდ- უმლოსთან. რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე ცაიშის არქეოლოლგური მესალების მიხედვით?

— ჩვენს მიერ აღმოჩენილ იქნა კერამიკის სასმისი, რომელიც ოქროს საწმისის იდენტურია, ცაიშის ძეგლი ხომ იმ პერიოდისაა, როდესაც რკინა ოქროზე უფრო ფასობს. და მართლაც, ჩანს, თუ როგორ ინტენსი- ურად აძევებს ბრინჯაოს რკინა, შემდგომ — ფოლადი. და არსებობს მოსაზრება, რომ ბერძნების კოლხეთში შემოსვლის მთავარი მიზანი სწორედ რკინის მოპოვების საიდუმლოს გატანა იყო. როგორც ისტორიული, ლიტერატურული თუ არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ მათ ეს ჩინებულად მოახერხეს. ცაიშის ორივე სამაროვანი საინტერესოა სხვა ასპექტითაც, კერძოდ — ოსტეოლოგიური თვალსაზრისით. მისით თვალსაჩინოდ ხერხდება კოლხების ანთროპოლოგიური ჰაბიტუსი. მათი ძირითადი ნაწილი საშუალო სიმაღლისაა. სამარხში გვხვდება, როგორც ბავშვების, ასევე — მოზრდილების ჩონჩხები. მეტად საინტერესოა, რომ რამდენიმე თავის ქალაზე აღმოჩნდა აშკარა სამედიცინო ჩარევის კვალი. ბერძნული გადმოცემებით კოლხი მედეა ხომ მედიცინის ფუძემდებელია.

— არის წყაროები, რომლის მიხედვით კოლხიტები აპატიოსნებდნენ ფარაონთა ნეშტებს. მათ მუმიფიცირების ჩინებულ სპეციალისტებად იხსენიებენ. ამასთან, ქართუშები, ქართის ტომის წინაპრები ახდენდნენ ფარაონების კორონაციას. მათგან მომდინარეობს „კარტუში," როგორც სამეფო გვირგვინის სინონიმი.

— ამისი სამხილი მასალა კოლხეთში ჯერ-ჯერობით არ არსებობს. შესაძლოა სხვა ექსპედიციებმა გამოავლინონ მსგავსი რამ, მაგრამ დღესდღეობით მოვლენებს ვერ გადავუსწრებთ და უმჯობესია არსე- ბულზე ვისაუბროთ. ექსპედიციამ მოიპოვა საკრალური მნიშვნელობის სკულპტურული ქანდაკებები, ბრინჯაოს ვერძის, ხარის, ძაღლის და მითოლოგიურ სიუჟეტებზე გამოძერწილი ფიგურები. ძველი წარმოდგენით ხარი მთვარის წმინდა ცხოველად მიიჩნეოდა, რამეთუ მისი რქის მოფანილობა ახალი მთვარის სიმბოლური ასახვა იყო. დღესაც მთის წინა სამეგრელოში თუთაშხას, ანუ მთვარის დღეს ხარის დაკვლა იკრძალება — ვაშინერს — არეგების. აქვე ერთ მეგრულ სენტიენციაზეც გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: **თუთა ახლი, ღორონთი სი გუმახარი,** — მთვარე ახალი, უფალო შენ გამახარე! ეს ხალხური გამოთქმა ნათლად მიუთითებს კოლხების რელიგიურ წარმოდგენასა და მითორიტუალზე. ასევე ეთნოგრაფიულ ასპექტში საინტერესოა შემდგომი ფრთიანი ფრაზა: **ჯვეშიშ ძვალი ოკო ვარკალანდას** — წინაპრის ძვალი უნდა კრიალებდეს. ცაიშის სამაროვანში აღმოჩენილი ოსტოლოგიური მასალა აშკარად მიუთითებს მის საგანგებო გაწმენდასა და პატივით ჩასვენებაზე.

— ერთი წუთით, საკრალური ხარის ამბავს შინდა მივუბრუნდეთ, კონკრეტულად კი იმას, რომ მთელი შუმერი, ეგვიპტე დიდი ფურის პირშია, ამასთან ჩემთვის გამაოგნებელია აშკარად პროტოქართული ტომის — ბასკების დამოკიდებულება ხარისადმი, ლამის ხატად მიჩნეული ცხოველის ბარბაროსული დესფილირება — დაცაკვლა.

— კოლხურ სინამდვილეში მხოლოდ ხარის ქანდაკებები გვხვდება. მათ შორის ერთი ფურიც არ ფიქსირდება. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მამრობითი სქესის პრიორიტეტს, ხარი ხომ მთვარის წმინდა ცხო- ველია კოლხურში: **თუთა — შუმა ჩქიმი.** რაც შეეხება ფურის კულტს შუმერულ- ეგვიპტურსა თუ ესპანელების კორიდაზე, უეჭველად ინდოევროპელების გამარჯვების სიმბოლიკაა პროტოიბერიულ სივრცესთან.**— საინტერესო საკითხი ჩამოაგდეთ. არის გერანიაში ერთი თქვენი კოლეგა, ბატონი ჯონი აფაქიძე. ამას წინათ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში" გამოქვეყნდა მისი ფრიად საინტერესო სტატია ტროას გათხრებზე. რამდენად ეხმიანება ცაიშის მასალები ილიონის პერიოდს?**

—სამწუხაროდ, ცაიშის გათხრების ფონზე ამ მიმართებით რაიმე კონკრეტული მოსაზრების გამოთქმა ძნელია, ვინაიდან ქრონოლოგიური სხვაობა საკმაოდ დიდია — 500-600 წელიწადი. თუმცა ეს მომენტი სულაც არ აკნინებს ცაიშის გათხრების მნიშვნელობას. ამ მასალებითაც მშვენივრად შეიძლება

ოქრომრავალი კოლხეთის განჭვრეტა. მით უმეტეს, რომ აქ მოპოვებული ოქრომჭედლობის ნიმუშები საქართველოში ერთ-ერთი უპირველესია, რომლის ეთნიკური ატრიბუცია ხერხდება. ჩვენი სამარხების მასალებით მყარად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: კოლხეთი ჯერ კიდევ ძლიერი სახელმწიფო წარმონაქმნია, რომელსაც კონკურენციას ვერ უწევენ ხეთები და ურარტუელები. ამასთან კოლხური ოქრო, ვერცხლი, რკინა, ფოლადი ჯერაც უმეტოქოა მის გეო-პოლიტიკურ არეალში.

— მარტვილის მუზეუმში, ცხონებული გივი ელიავასთან მისაუბრია კირბებზე, ხვინჭა ქვებზე, რისი დაშადატურებელი მასალები დღესაც ინახება ჭყონდიდში. ძნელად დასაჯერებელია, იმ ექსპონატების ბატონი გივისეული დათარიღების შეთოდი — 80-70 ათასი წელი.

— სამწუხაროდ შეიძლება გულღიად ითქვას, სამუზეუმო, არქეოლოგიური საქმიანობა საქართველოში ჯერაც არ არის სახელმწიფოებრივ დონეზე აყვანილი. ნაკლებია ლიტერატურა, ექსპონატების დესკრიპცია...

— ბიბლიოგრაფია ლიტერატურულად.

— დიახ. ამასთან ძალზე უმნიშვნელოა არქეოლოგიური მასალების რაიმე სახის ენციკლოპედიურ გამოცემაში თავმოყრა. მაგრამ შეინიშნება ცხოველი ინტერესი სახელმწიფოს მხრიდან, რაც შეიძლება მეტი ყურადღება დაეთმოს ჩვენი გმირული წარსულის ამსახველი მასალების გამომზეურებას. სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი ტურიზმის განვითარებაა, და ამ ფონზე, ბუნებრივია, მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა, წარმოჩენა, მათი პოპულარიზაცია გზამკვლევებით, გაცილებით ფართო ხასიათს მიიღებს ახლო მომავალში. რაც შეეხება ცაიშის გათხრების მასალებს, ამჟამად მიმდინარეობს საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტის გამოცემა. მოგვიანებით იგი, ალბათ, ასახვას ჰპოვებს უფრო მონუმენტურ ნაშრომში. ჩვენ ზემოთ გაკვრით შევეხეთ ტროას პერიოდს, ბატონ ჯონი აფაქიძის ფენომენს. ის უცხოეთში მოღვაწე ნიჭიერი არქეოლოგია, მაგრამ როგორ უჩვეულოდაც მოგეჩვენოთ, არის ტენდენციები, როცა თვალსაჩინო სპეციალისტები აქეთ ჩამოდიან საქართველოში, იმ მიწა-წყალზე, სადაც კაცობრიობის შორეული წარსული მოუთმენლად ელის ახალ-ახალ აღმოჩენებს. უცხოელი სპეციალისტებში ეს ინტერესი დღითი დღე იზრდება. **(დასტურ, დღეს ბატონი ჯონი აფაქიძე აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორია. რედ**). ამისი ბრწყინვალე ნიმუშია დმანისის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია.

— ბატონო, ლაშა, უეჭველად დადგა დრო მთელს პლანეტაზე, როცა არქეოლოგიის განხილვა საკუთრივ არქეოლოგიით უკვე აშკარა კარჩაკეტილობაა; როცა უამრავი საბუნებისმეტყველო დარგის შემოშველიება სხვანაირ რეგისტრში წარმოაჩენს კაცობრიობის გარდასულ პერიოდებს, როგორიცაა: რადიოლოგია, ბიოსოციო-ეკოგარემოს დადგენა.

— აბსოლუტურად გეთანხმებით, სამყარო მთლიანია. არქეოლოგების მიერ მოპოვებული მასალებით სხვადასხვა სპეციალისტებს საშუალება ეძლევათ წამოაყენონ სპეციფიკური ინტერპრეტაციები, ეს იქნება პალეონტოლოგიაში, ანთროპოლოგიაში, მედიცინასა თუ სხვაგან. კომპიუტერის აღმოჩენამ დიდი შესაძლებლობები შეუქმნა მეცნიერებს მჭიდრო კონტაქტებისათვის. ინტერნეტის მეშვეობით დღეს თავისუფლად შეიძლება პოლიტიკური საზღვრების გადალახვა ათასობით კილომეტრით, ანუ მეცნიერება გვევლინება სრულიად კაცობრიობის და არა რომელიმე ქვეყნის მუზეუმის თუ კერძო კოლექციონერის საკუთრებად. ცაიშის გათხრებმა ჩვენ ნათლად დაგვანახა ეს პერსპექტივები. ამასთან ცაიშის გათხრებმა წამოაყენა წინაპირობა, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიება ფართოდ გაიშალოს კოლხეთში. დაგეგმილია სოფელ რიყის ტერიტორიაზე ანტიკური ხანის ძეგლის გამოკვლევა, რომელიც წინასწარი ვარაუდით საბერძნეთისა და კოლხეთის ურთიერთობის ელინისტურ პერიოდს მოიცავს, იმ სანატრელ ხანას, როცა სავაჭრო თუ კულტურული კავშირები ზენიტშია. ბერძნებს ამ დროს კოლხეთიდან გააქვთ ბზა, კანაფი, თაფლი, გემის საშენი მასალები. პროექტები უამრავია: ნავარაუდევია საძიებო-სადაზვერვო ექსპედიცია მოეწყოს მთელი სამეგრელოს მასშტაბით, რამეთუ აუცილებელია შეიქმნას მათზე საინფორმაციო ბანკი. არ არის გამორიცხული კვლევა-ძიების არეალში მოექცეს სვანეთი, რადგანაც დაბლობისა და ბარის ტერიტორია მაინც მდინარეების წარმონაქმნი სივრცეა — იგივე მწვანე სამკუთხედი. ალბათ, უახლოეს ხანებში განახლდება ერგეტის დაკონსერვებული სამაროვნები, ამასთან გვაინტერესებს კოლხური ნამოსახლარების შესწავლა, რომლებიც ინტენსიურადაა წარმოდგენილი დიხაგუძბებზე. შემიძლია გამოვყო სოფელ ორულში პერტიებისა და წურწუმიების დიხაგუძბები, სადაც აშკარაა რამდენიმე კულტურული ფენის არსებობა ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ანტიკურ პერიოდამდე. ბოლოსთვის შემოვინახე ფრიად საინტერესო ფაქტი — ცაიშის სამაროვანის ზედა ტერასაზე მდინარემ ჩამორეცხა ფერდობი, სადაც გამოვლინდა ინტენსიური კულტურული ფენა. თამამი ვარაუდით შეიძლება იგი ნაქალაქარიც იყოს, ვინაიდან ცაიშში

აღმოჩენილი მასალების სიმრავლე და ტექნოლოგია საქალაქო ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი.

— გეთანხმებით, ადრეულ პერიოდში ნებისმიერი დასახლება თბილ წყლებთან აღმოცენდებოდა ხოლმე — ტიბულისთან (დღევანდელი თბილისი, რედ.)**, ტიბეტში, წყალტუბოში...**

— ცაიში ამისი ნათელი მაგალითია. თბილი გოგირდოვანი წყალი აიოლებდა ადრეული ეპოქის მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს. ამასთან იგი სტრატეგიულად გამორჩეულ ადგილასაა და ქმნის მეტალურგიის განვითარების წინაპირობას. ერთ რამეში მყარად ვარ დარწმუნებული, რომ ცაიშის ტერიტორია ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის კიდევ მრავალ სიურპრიზს შემოგვთავაზებს ახლო მომავალში

.ბელეტრისტული ინტერვიუ
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან,
ბატონ ჯონი აფაქიძესთან

— ბატონო ჯონი ჩვენი საუბრის უმთავრესი მამოძრავებელი მუხტი გახლავთ წლების წინათ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნებული თქვენი ვრცელი სტატია. ამ წერილის თაობაზე დაწვრილებით ვერაფერს ვიტყვი, ვინაიდან მისი ძირითადი ნიშნულები მომავიწყდა დროთა მსვლელობაში, დამახსოვდა ერთი რამ — თქვენ ბრძანებულხართ პირველი ქართველი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ტროას გათხრებში. მაგრამ, მოდით, სანამ ჩვენს მარათონულ საუბარს შევუდგებოდეთ, იქნებ რამდენადმე წარმოუდგეთ მკითხველს — ოჯახური გარემო, განათლების კოორდინატები, მეცნიერული კვლევის კონტურები.

— ახლა, სანამ უშუალოდ ტროას გათხრების დეტალებზე შევჩერდებოდეთ, იქნებ ერთგვარი კამარა შეგვეკრა პროტოქართული ცივილიზაციის განსახლებაზე. ჩვენ ფილოსოფიური ფორმულა (ჰეგელი) გაგვაჩნია ჩვენი ჯიშ-ჯილაგის აბორიგენობის თაობაზე ხმელთაშუა ზღვის აუზში. ევროპეიდული რასა ქართველებისგან იწყებათ, ბრძანებს დიალექტიკის მამა. აქ კავკასია პერიფერიაა დღევანლეთი მონაცემებით, გაცილებით ხელსაყრელი კონტინენტური ჰავის აუზის უკიდურესი აღმოსავლეთი. ჩვენს ამჟამინდელ საცხოვრისს ეზოტერიკოსები (ალაზნისპირელი, გიორგი ნუნისელი) 43-42 კვადრატში განსახლებულს უწოდებენ. ეს იგივე სამი და ოთხია, ბიბლიურ ტექსტში დაფისქრებული სამოთხე, ან ჩვენი უახლოესი დიდი დათვის თანავარსკვლავედი. ეს იგივე სახლის — კედლებისა და სახურავი ერთობლიობაა, სამკუთხედისა და ოთხკუთხედის შეთანაწყობა, მდგრადისა და მოძრავის კავშირი. ამასთან ჩვენთვის გაცხადებულია უკვე ლუმერული ცივილიზაციის დაღუპვის შესახებაც (რ. შტაინერი), ამ ცივიოლიმზაციის პლატონი ატლანდიდას უწოდებს, ხოლო უფრო მოგვიანებიფ ფიზიკოსები დაადგენენ, რომ დედამიწას დიდი მასის მქონე სხეული დასჯახებია, — ასტეროლიდი. ჩანს, ეს მასა ყინულოვანი ყოფილა, ვინაიდან მას ჩაუჩვრეტია წყნარი ოკეანე ჩვენს პრანეტაზე. ამისთანა მოცულობის მქონე სხეული ყინულოვანი რომ არ ყოფილიყო, იგი დედამიწას თავისი ღერძიდან გადააგდებდა და მთელი ცივილიზაციაც დაიღუპებოდა, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ ამ ასტეროიდმა პლანეტის მხოლო 38 გრადუსით გადახრა შეძლო (ჰ. წულაია). მოგვიანებით მე აღმოვაჩინე დედამიწაზე მომხდარი კატასტროფის ჩანაწერი ნოეს კიდობნის პარამეტრებში — 300 წყრთა (46 სმ.) X 50 X 30, რაც შეესაბამება 144-ის 24-ისა და 14,4-ის ნამრავლს. შემდგომ ამ ციფრის გაყოფით ჩვენ მივიღეთ 38, 28, 1,8... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დედამიწაზე 12 ათასი წლის წინათ მომხდარ კატასტროფაზე უკვე საფუძვლიან არგუმენტები უგროვდებათ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებს. მაგალითისათვის იქტიოლოგების დაკვირვებანი რად ღირს. წყნარი ოკიენეს ერთ ერთი სახეობის თევზი ქვირითის საყრელად ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში მიეშურება. აქ უმთავრესი მამოძურავებელი ძალაა ინსტინქტი, რომელიც აღნიშნულ პოპულაციას გენექტიკური კოდის წყალობით აიძულებს შთამომავლობას იქ ჩაუყაროს საფუძველი, სადაც მისი განსახლების პირველდელი არეალი იყო. ამ კუთხით ბევრის მაუწყებელია აგრეთვე „ჰომო გეოგიკუსის“ — იგივე დმანისელი ნამარხი ადამიანების

აღმოჩენა. ჩვენ თქვენეული დამოკიდებულება გვაინტერესებს ამ საკითხებთან. და საერთოდ ბატონო ჯონი, ხომ არ მიგაჩნიათ შეიქმნას სამეცნიერო კვლევის ცენტრი თქვენს უნივერსიტეტთან პირობითი სახელით — პროტოიბერიული რასა. მსგავსი ცენტრი უკვე ჩამოყალიბებულია ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სკანდინავისტიკის ცენტრის სახელწოდებით. იქ ბატონი კახა ლორიაა მთავარი ფიგურა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ მიმართულებით კვლევა-ძიებები არ გაჩაღებულა. ჩვენ შეგვიძლია ოდენ განვაცხადოთ ამ ინტერვიუში, რომ სკანდინავეილები და პროტოქართველები ერთი მოდგმის ხალხი იყო 10 ათასი, 6 ათასი, 4 ათასი წლის წინათ. მათ ქვეყანას ნარიკუმი ერქვა. მათაც ჰყავთ ჩვენი ამირან-პრომეთეს მსგავსი ცეცხლის ჩამომტანი პიროვნება — ლოკი. მათი ოდინი იდენტურია ზევსისა. მათი სტოუნჰენჯი, ვუნდჰენჯი ანალოგიაა ქართუშების ქართასი, ფესტოსის დისკოსი და ა. შ.

— ამ მიმართებით რა შეინიშნება ტროას გათხრებში. თქვენი ექსპედიცია რიგით რომელი გახლდათ და რა სიახლე შეჰმატა მან მსოფლიო არქეოლოგიას?

— მე კი ვადასტურებ ბატონო ჯონი, რომ არქეოლოგიაა საწარმოებელი არა მხოლოდ მიწის წიაღში და საქართველოში, არამედ მთელი ევროპის მასშტაბით, სადაც ჩვენი შორეული წინაპრების სუფევის არაერთი საბუთი გამოჩნდება ხვალ და ზეგ. ამისი ნათელი დასტურია ანთროპოლოგიური რეალობა ბასკებისა და გუანჩების სახით კანარის კუნძულიდან. ამისი ნათელი დასტურია მითოლოგია, „უფროსი ედა“, „ამირანიანი“, „გილგამეშის ეპოსი“; ამისი დამადასტურებელი სივრცეა პოლი- ფონიური საგალობლები: „ლილე“, „კვირია“, „ოდოია“; ამისი გამომზეურების უტყუარი სივრცეა ქორეოგრაფია, პალეოგრაფია. მაგალითისათვის: კოლხები სამკუთხა დაფებზე წერილსვეტებს აღმართავდნენ ხოლმე, სადაც წარწერილი ყოფილა რელიგიური და სამოქალაქო კანონები. შუმერები ამისთანა სამკუთხედებით აღაშენებდნენ თავიანთი ლურსმული წარწერების პირველ უჯრედებს, ხოლო ეგვიპტეში ოთხი სამკუთხედის ერთობლიობით მივიღეთ ადამიანის ბიოგრაფიის სკულ პტურული ძეგლი პირამიდის სახით. სამივე ცივილიზაციაში სამკუთხედი ფიგურირებს, როგორც საწყისი ეტაპი, რონორც საშენი მასალის პირველი ნოტი.

— აქ უფრო შორს შეიძლება წასვლა. ანუ ადამიანების განყოფა ორ მთავარ განშტოებად — ერთს შეიძლება ეწოდოს სამკუთხედის მიმდევარი, სამკუთხედის მოთაყვანე, ხოლო მეორეს წრის მოკერპე, წრის თაყვანისმცემელი. აქ შეიძლება სუბორდინაცია შემდეგნაირად განაწილდეს — სამკუთხედის მიმდევარი ფალიკური განზომილებისაა, ადამიანის მკვლევარი, ხოლო წრის, შარის მცოდნე უფლის კონიებით მცხოვრები, უფლის კანონებით ამრწყავი საწუთროისა. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს, სამკუთხედის კანონებით მოქმედ ქუჯს, როცა გვირგვინის, შარავანდედის ცნებით მოაზროვნე ქართუშები მოეკლინებიან კოლხეთში, იგი მაშინვე ქედს მოიხრის მათ წინაშე. იგივე დაეშართებათ აცკეტებს ესპანელების გამოჩენისას, ვინაიდან თეთრკანიანი ადამიანი მათი მითოლოგიით გაიგივებული იყო ქართუშიანთან, გვირგვინოსანთან, შარავან დედიანთან, ღმერთთან. არაფერს გადავაჭარბებთთ თუ ქართველს გავაიგივებთ უმაღლესი კატეგორიის პროტოიბელიელთან, უმაღლესი კატეგორიის კოლხთან. აქ საკითხის სხვანაირად განხილვა ყოველთვის ცდომილებასთან მიგვიყვანს. ამას მოწმობს ეგვიპტის ფარაონის აღკაზმულობა. რამზესს მაჯვენა ხელში (უფლისეულ) ძალასთან მრგვალბოლოიანი ჯოხი უჭირავს, იგივე წრე, იგივე სავსება, ხოლო მარცხენაში მხახვილბოლოიანი სამკუთხედით დამთავრებული სკიპტრა, იგივე ადამიანურის ეკვივალენტი, ამიტომაც არის P-ის იცხვითი მნიშვნელობა 3,14 მეასედი.

ჩვენს ინტერესში სულაც არ შედის ამ საკითხის ეზოტერიკულობით გაბუნდოვანება, გაბურუსება, პირიქით, მეტი სინათლის შეტანა განვიზრახავს, ვინაიდან წრის უპირატესობა სამკუთხედან, გნებავთ მის კლასიკურ ნიმუშთან — პირამიდასთან, სრულიად აშკარაა.ა ქ ჩვენ უნებლეთ დავითის ვარსკვლავი გაგვახსენდება, ებრაელების დროშაზე გამოსახული გეომეტრიული სხეული. ეს გახლავთ ორი სამკუთხედის ურთიერთგამსჭვალვის შედეგად მიღებული წესიერი ექვსკუთხედი. და როცა ამ გეომეტრიული სხეულის წვეროებს წრფეებით შეკავერთებთ, ვღებულოთ წესიერ ექვსკუთხედს — სექსტაგონს, იგივე ფუტკრის ფიჭას და

რაოდენ საკვირველადაც არ გამოჩნდეს, გენის აღმაშენებელ ექვს ელემენტს და ტვინის ნეირონებს ასპროცენტიანი უმრავლესობით.

— ამ ყველაფერს სათანადო კვლევები რომ სჭირდება, ეს ეჭვმიუტანელი სინამდვილეა, ბატონო ჯონი, და იქნებ ყველაფერს იქ ჩაეყაროს საფუძველი, თქვენს უნივერსიტეტში, რომლის რექტორი ტროას გათხრების მონაწილე პირველი ქართველი მეცნიერია, ხოლო ზოგი რამ ეზოტერიკული თუ თამამი ჰიპოფეზის ავტორი — სამურზაყანოელი გური ოტობაია. ბატონო ჯონი ჩვენ ასევე დავაკვირდით ქართულ პოლიფონიას და ქორეოგრაფიას. ჩვენ აქაც, ამ ორ კულტურულ მემკვიდ რეობაშიც აღმოვაჩინეთ პროტოიბერიული კვალი. წესით, ისინი თავდაპირველად ადამიანის პროფილაქ ტიკური საშუალებანი უნდა ყოფილიყვნენ. აღმოჩნდა რომ ხორხი პროსტატის გვირგვინია. ჩვენი წინაპრები ხორხის ვიბრაციით ახდენდნენ პროსტატიტის თუ სხვა, წინა ჯირკვალთან დაკავ- შირებულ ავადმყოფობათა განკურნებას, ხოლო ცეკვით, ტრიალებით მიიღწეოდა აწ განკურნებული მდგომარეობის გენეტიკური დამაგრება. ამიტომაც ვიწოდებოდით ჩვენ იბერიკონებად — იბირ-ირიკე ხალხად, ანუ იმღერე-იცეკვე ერად, ეთნოსად. ეს ყველაფერი ასახულია ჩვენს ხალხურ სამეჯლისო-სარიტუალო ცეკვებში — ბერიკებში. აი, ამ ყველაფრის გადმოცემა და მხატვრულ ფერებში ჩამოქანდაკება ვცადე პოემა ოდოიაში“. საკუთრივ ოდოია შუმერულიდან რომ მომდინარეობას, ამას დიდი მიხვედრილობა არ უნდა. უდუია მსუქანი ცხვარია შუმერულად. ცხვარი ქრისტეს სიმბლოა ჩვენი რელიგიით. ხოლო ოქროს საწმისი ასაიდუმლოებდა ამ ეზოტირეიკულ ცოდნას. ლითონის დაბრტყელება მონეტად, მონეტის მოჭრა, მ. სიჭინავას მიხედვით ამ სემანტი- კასთანაა წილნაყარი უცილობლად. მოკლედ, დაგროვილია დიდძალი მასალა თამამი დასკვნებისათვის — პროტოიბერიული მოგმა ერთადერთი მემკვიდრეა შართან, წრესთან, სამკუთხ- ედთან დაკავშირებული ცოდნისა.

— ბატონო ჯონი, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ თქვენს უნივერსიტეტში ამისთანა პროტოიბერიული ცენტრის შექმნა, ნუთუ ჩვენ არ მოგვეცემა საშუალება საბუნებისმეტყველო დარგების შემოშველიებით გავხსნათ ათასწლეულების მანძილზე ჩვენს თვალწინ მდებარე დაფ- ლული, დამახული ცოდნა (იოანე ზოსიმე), აღვადგინოთ მიძინებული ტომი — ლაზარე? მე ანთროპოლოგიური დაკვირვებით მივედი ერთ გასაოცარ დასკვნამდე — ჰომო საპმიენსის კლასიკური ნიმუშია ოფალური ტერფის მქონე ინდივიდიუუმი, რომლის ცერი მოკლეა ფეხის დანარჩენ თითებთან. ხელზე უმაღლესი წერტილი შუათითს ემთხვევა, ხოლო ტერფზე მეორე თითს. ამას ცხადია, აქვს თავისი ლოგიკური ახსნა, მაგრამ უფრო მთავარი ის გახლათ, რომ მსგავსი აღნაგობის ეგზემპლარი ყოველ ათას პოპულაციაში ერთია. ანუ ამისთანა მონაცემის მატარებელი ათმილიარდიან მსოფლიოში სულ რაღაც ათი მილიონია, ორჯერ საქართველო. მათ კი ნამდვილად შეუძლიათ ზოგადკაცობრიული პრობლემების გადაჭრა უმოკლოეს დროში ჩვენ თუ შევძელით მათი გამოვლენა და ბიძგის მიცემა. ეს ნაბიჯი დროითაა ნაკარნახევი. პროექტი „გვიმარა“ ოცი წელიწადია შექმნილია და მოთმინებით ელის თავის გონიერ მომხმარებელს, მაგრამ ისევ ტროას გათხრებს მინდა მოვუბრუნდეთ...

— ბატონო ჯონი, სამყარო განუწყვეტელი ჭიდილია ურთიერთგამომრიცხავი ძალების, მაგრამ მე მაქვს განსხვავებული მოდელიც, რომელსაც საფუძვლად შეიძლება კანტის “ფილაინკაინტ“ მრავალერთიანობის პრინციპი დაედოს, ანუ შეუთავსებელი ცებებისა და მოვლენების თანაქმედება (შევარდნაძე, ერთი ჭკვიანური ვის არ წამოცდება). ამას კენტავრისტიკას ეძახიან და ვეძახი მეც, ანუ შეუთავსებელთა შეთავსება - ეს ღმერთის ფუნქციაა, ააბელისა და კაენის შეთანაწყობა, მათი ინტერესების ერთ ჭურჭელში ჩატევა. მსოფლიო აქამდე მიდიოდა ურთიერთგანადგურების პრინციპით, ამას ადასტურებს მაიას ტომის გაჟუჟვა ესპანელების მიერ 12 მილიონ აცკეტს, მართალია, ბარბაროსსა და კაციჭამია, მაგრამ მაინც ადამიანს მუსრი გაავლო იარაღით ოდნავ დაწინაურებლმა ესპანელმა, ბაიას ტომს ბორბქალი არა აქვს და ცხათამბჯენებს აგებს, მაიას ტომს ენერგეტიკის ფორმულა გააჩნია „ცოლკინის“ სახით და ვერ მოიხმარს, ვინაიდან დახურულია მისთვის, სხვა ცივილიზაციის საკუთრებაა. ანუ თუ დავუშვებთ იმას, რომ

მაიას ტომი აბორიგენია და მასში შეტანილი ცოდნა ატლანტიდიდან, ლუმერიიდან, პროტოიბერიიდანაა შეტანილი, მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს ის რეაობაც, რომ მათ თეთრკანიანები მიიღეს როგორც ღმერთები, რომლებიც დასჯიდნენ მათ თავიანთი ცოდვებისათვის და ამისთვისაც მოისპო წინააღმდეგობის უნარი, ბედს მინებდნე, როგორც სასაკლაოსკენ წაყვანილი ხარი. მაგრამ ამ რეალობაში ნაგულისხმევია ჩვენთვის ყურადსაღები სხვა მოტივი — ანუ რა დაემართა თავად თეთრ რასას, რომელსაც 6, 5 ტავასი წლის წინათ არიული ტალღა შემოუტევს შუააზიიდან და კავკასიონის ქედს მიაჭყლიტავს. პროტო იბერიული სივრცე თუ ერთიანი იყო რამდენიმე ათასწლეულის მიღმა, რატომ ვერ შეძლო მან თთავისი ცოდგის გადარჩენა? დაიბადება კითხვა. რატომ ვერ მოახერხა მან საკუკთარი ცივილიზაციის ხსნა ბარბაროსისაგან? და აქაც მოიძიება უეჭველი პასუხი — შერეული ქორწინებების გამო, ასიმილაციების წყალობით. ეს პროცესი ჩვენი ქვეყნის შიგნითაც მრავლად გამოგვიტვლია ჩვენც. მაგალითისათვის სახელი წყნეთი ვერაფრით აიხსნება ზოგადქართულით, თუ მეგრულს არ მოვი- შველიებთ. წყნეთი ეს იგივე მუხნარია, წყანი-ჭყონია ენათმეცნიერების მიერ გაშიფრული. გამოდის რომ კოლხეთი გარკვეული პერიოდის იქით ეტიმოლოგიის დონეზე ფარავდა თბილისის შემოგარენს. თავად ტიბულისიც ამას მიუთითებს და მის აღმოჩენასთან თუ დაარსებასთან გამოგონილი საყველპურო ხოხობის მითი. აქ ძ ირითადი ფუძე „ტიბ“ გახლავთ — თბილის ეკვივალენტური. მსგავსი სიტუაციებია იმერეთში, გურიაში, ანუ კოლხური ფასეულობანი გაქვავებულის სახით შეისისხლხორცა დანარჩენმა საქართველომ, ისე, რომ ამ უკანასკნელმა არაფერი უწყის მის წარმომავლობაზე, ეს ტერმინები რებუსივითაა მისთვის, ამოცანასავით, როდესაც მეგრელისათვის უცხადესია, სიტყვისთვის „ჯიხანჯური“ — „ციხისძირი“ და ა. შ. იგივე სიტუაცია გამოვიარეთ უფრო შორეულ ათასწლეულებში, როდესაც პროტოქართული ჯიშ-ჯილაგი აღავსებდა ევროპის მატერიკს. იმ პერიოდის სახელმწიფოს სკანდინავიური მონაცემებით ნარიკუმი ეწოდება. ხოლო კორიდამ ნათლად შემოინახა ძველი, წარმატებული დამხვდურის განადგურების, მოსპობის, დესფილირების ცოცხალი ხატი, როცა ტორიადორი კლავს ხარს. ხარი ხომ მიჩნეული იყო მზის რქებით მატარებელ ღვთაებად. ფური მაწოვარი დედა იყო მთელს ეგვიპტეში. მოკლედ, ამ მიმართულებით უამრავი სამუშაოებია ჩასატარებელი, რომელიც უცილობლად მიგვიყვანს ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, გენეტიკის, პოლიფონიის, ქორეოგრაფიის, და სხვათა არქეოლოგიამდე. ჯერ ამ კუთხით ეს დისციპლინები არ შესწავლილა. მარტო ცოლკინის განზომილებანი რად ღირს. სულ ორასსამოცი ერთეულისაგან იშედგება იგი. აქ ფიგურირებს საკრალური „13“ და „7“, რომელიც მრავლდება კვლავაც ცამეტზე და ვღებულობთ 260, ანუ ცის თაღის სრული შემობრუნების ქრონომეტრაჟს. შეუძლებელია მაიელებს ეს ცოდნა გაცნობიერებული ჰ ქონოდათ. ისინი საკრალური ნივთივით ინახავდნენ მსგავს ჩანაწერებს, კორტესმა რომ გაანადგურა. მოსპობა იოლია. ნებისმიერი მოძალადე ცივილიზაცია ცდილობს დამხვდურის სულიერი ფასეულობანი აღგავოს პირისაგან მიწისა. არადა, პროტოქართულმა უამრავი სამხილის გადარჩენა შეძლო, ესენია უწინარესად: კირბების, ოქროს საწმისის ცოდნა, ოქროს შუალედის — 618 : 382-თან, ცოლკინზე მოგვიხსენებია, პოლიფონია როგორც პროსტატის საბკურნალო საშუალება, ცეკვისას ტრიალები, როგორც გენეტიკური ხსომიერების მეთოდი. შავ ზღვაში სწრაფი ნაოსნობის ხერხი, მისი მოძრაობის გათვალისწინებით, მიჰყვები წრიულ დინებებს, კი არ ეწინააღმდეგები, არამედ ერთი წრიდან გადადიხარ მეორეში და სამი-ოთხი დღით დაწინაურებულ „არგოს“ ეკიპაჟს შესაძლოა წინ დაუხვდე აფსირტესავით. სამკუთხედებიდან ჩვენი მოდგმა წრიულ, ღვთიურ განზომილებებზე გადავიდა ქართის ტომის დაწინაურებით. ამაზე დიდი ჯილდო ჩვენს ეთნოს არ ჰქონია. ჩვენ დაგვიდგა განუსაზღვრელი აყვავების პერიოდი, მიუხედავად საქართველოს ტერიტორიის ნახევარი ხელყოფილია. მთავარია ბირთი და არა მის მიერ გატყორცნილი ტალღები. ამიტომაც იქნებ ცა და მიწა დაკარგულ სოხუმის უნივერსიტეტმა ითავოს დანარჩენი საქართველოს რესტავრაციის ურთულესი და საპატიო მისია.

„ნაბადი“ და ნაბადელელები

მე ორმაგად გავიხარე ,,ნაბადის'' კომპაქტური კოლექტივის სპექტაკლით, საკუთრივ ჩვენი გმირული ფოლკლორის ხალასი გადმოცემის უნარით ღვთაებრივ ,,საფერავთან'' და

სატკბარუნებელთან ერთად, მეორეს მხრივ იმ მოზომილი საკრალური, ეზოტერიკული მნიშვნელობის მასალის მოშველიებით — სლაიდებით, შუქ-ჩრდილებით, რომელიც იოტის ოდენადაც არ ამძიმებს ქორეოგრაფიის რიტმს, ფონად, ლაიტმოტივად გასდევს მთელს წარმოდ გენას. ყველაფერთან ერთად, ჩვენ ორნაირი შედეგი მოგვიხვეჭავს ერთდროულად — ესტეტიკურ ტკბობასაც ვანიჭებით მაყურებელს და აქვე დაფარულ ცოდნასაც ვაზიარებით სამყაროს აგებულებაზე, ,,ჰომო საპიენსის" ბიოგრაფიაზე, მჭიდროდ ვაახლოებთ სასიამოვ- ნოს სასარგებლოსთან.

კოსმოსიდან მომავალი მზის ენერგია ცილინდრის ფორმით ჩამოეცმევა დედამიწას და ატრიალებს ამ ძაბრში. დედამიწაზე აღმოცენებული ხე — რომელიც სიცოცხლის ჩასახვის, ჰუმუსში ენერგიის გადმოსვლის ვიზუალური ხატია — ჯაია, ნატვრის ხე, დიახაც, ცილინდრის ფორმისაა. ამ საკრალურ ხეს, ამ უკვდავების მცერანეს, გეომეტრიულად იმეორებენ შუმერები დამწერლობით, კოლხები — სვეტებზე აღმართული სამკუთხა ქვის დაფებით — საშანძილო კირბებით. ეგვიპტელები — პირამიდებით — ღვთიური ენერგიის ადამიანში გადმოსვლისა და მარადისში დავანების მონუმენტური ხატით. ნებისმიერი დონის ცივილიზაცია, რომელიც შესაძლოა იყო ჩვენს ცნობიერებამდე და იქნება ჩვენი კაცობრიული შემეცნების მიძინების შემდეგ, ვერაფრით გაექცევა ამ კანონზომიერებას. აცტეკების მოსახლეობა თავიანთ ქურუმებიანად ისე ამოჟუჟეს კორტესელებმა, რომ მათთვის არაფერი უკითხავთ, არც კი ისურვეს ევროპელებმა კაციჭამია ველურების სულიერებაში ჩახედვა. დაიწვა, ცეცხლმა მოიცვა ათასობით ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი, მაგრამ „ცოლკინი" მაინც გადარჩა. გადარჩა ტაძრები — შვიდი საფეხურითა და 13 ქონგურით, რომლის სიმაღლე 91 მეტრია. ამ მარა- დიული ინფორმაციის წართმევა შეუძლებელია, ვინაიდან, იგი ფორმულაა, ნებისმიერი ჩაღრმავებული გონების პროდუქტი.

,,ნაბადის" ცეკვები ეთნოგრაფიულ სამკაულე ბად მოეჩვენება საგნის არსში ნაკლებად ჩახედულს, არადა, იგი ასახავს ქრისტეს ამაღლების მისტერიას, უფრო ადრინდელს, პრომეთეს მჯაჭვის საიდუმლოს, ნახაზების ფორმით, ქორეოგრაფიისა და პოლიფონიის პლასტიკის ენით გადმოცემულს — მუმიის გულხელდაკრეფილი პოზა, ფარაონის სარიტუალო აღკაზმულობა: გადაჯვარედინებული სკიპტრა და გონიო გახლავთ — ცად ამაღლების თადარიგი. არა სიკვდილი, არამედ გარდაცვალება, წამიერიდან საუკუნოში მარადიული სიცოცხლით გადასვლა. დაახლოებით მსგავსი შინაარსი ექსოვება ნეფე-პატარძლის მექორწილეთა გადაჯვარე დინებული ყამების ქვეშ გამოტარებს თუ თავად ქართულ ცეკვას, როცა ასული და ძე მოწიწებით შეუკავშირებენ მკლავებს ერთურთს. ვისაც შენახული ჰქონდა ,,ცოლკინი", დავითის ვარსკვლავი და ასომთავ- რული, ჯანის — 35-ე ასო-ნიშანი სიმბოლოთი, დაუბრკოლებლად მოგზაურობდა დროსა და სივრცეში.

,, ნაბადელების" ყამას შუმერულ სატევარში უდევს სათავე, რომლის ვადაზე რგოლებით სამკუთხედია ამოტვიფრული. სამკუთხედის აღნაგობისაა თავად კოლხური ორპირა ცულიც. ეს საიდუამლოება გააზრებული ჰქონდათ ჩრდილოელ დრუიდებსაც — სკანდინავიელი ხალხის ქურუმებს. ისინი ხეების შემწეობით წინასწარმეტყველებდნენ ადამიანის ბედ-იღბალზე. სინამდვილეში კი ხე — ჯაია (სანსკრიტულად), იგდარასილი (სკანდინავიურად, რომელზეც 9 დღე-ღამეს თავს ჩამოიხრჩობს მათი უზენაესი ღვთაება ოდინი, რათა მისნობას ეზიაროს. ამ უშველებელ იფანს იგრის მზიდველსაც ეძახიან, იგრი ოდინის მეტსახელია), — ჯა, ანუ სიცოცხლის სათავე ბიბლიის მიხედვით (ხე-ხალა — შობაა მეგრულში, აქვე ხე ქალიშვილის, მდედრობითი სქესის გამსაზღვრელია კოლხურ-სლავურში), დაკავშირებულია გაჩენის მისტერიასთან. ამ ყველაფრის თაობაზე მინიშნებით, სიმბოლოებით მსჯელობს ქალბატონ ნინო ტურაბელაძის სტილიზებული ფოლკლორული სპექტაკლი. ჩვენ ,,ნაბადელებს" ვერ მოვსთხოვთ თავიანთი ჩინებული სპექტაკლი რაღაც ეთნომეცნიერულ კლიპს დაამსგავსონ, სადაც სცენა სრულიად გაუგებარი რეკვიზიტებით გადაიტვირთება, მაგრამ ზომი-ერების დაცვით, ბევრი სასიკეთო სლაიდის ჩამონტაჟებით, შესაძლებელი გამხდარა წარმოდგენას მეტი სიღრმე მინიჭებოდა.

ეკრანზე მზის შუქის ციდან დაშვების მომენტი, ტანაშოლტილი ხის გამოსახულების ჩვენება, ღვთიური ჩასახვის მისტერიაა სალვადორ დალის მიხედვითაც. ხოლო მათი გრაფიკული გაფორმება, გვაძლევს დავითის ვარსკვლავს გეომეტრიულად, პირამიდას — არქიტექტურულად, ხეს, მის ვარჯს, მის გაშლილობას კენწეროდან შტამბამდე — ბოტანიკურად. ეს საიდუმლოებანი იცოდნენ დრუიდებმაც, ქართუშებმაც, კოლხიტებმაც, რომლითაც აღასრულებდნენ სარიტუალო სამსახურს შუმერსა თუ ეგვიპტეში.

ციდან ღვთიური შუქის, ანუ უფლის ძალმოსილების გადმოსვლის მისტერიას გამოხატავს

„ნაბადის“ ლოგოც — ცერზე შემდგარი ნაბდოსანი ხანჯლების წრეში. ეს კომპოზიცია სამყაროს იდენტურია შინაარსით და შეესაბამება დავითის ვარსკვლავის ნახევარს, ყამას მიმსგავსებული ნაბდოსანი უფლის ცადამაღლების სიმბოლიკაა. ჩვენ ზემორე ბევრი ვისაუბრეთ ეზოტერიკულ პრობლემებზე, მაგრამ კონგენიალური თავად ცერზე შემდგარი „ნაბადელის“ ყამების წრეში მომწყვდევაა. ეს იგივე კავკასიური ცარცის წრეა ანუ იგივე „შარ“ — შუმერულად. „ნაბადის“ ლოგო იკვებება ქართული ლახტით, ვეფხისა და მოყმის ორთაბრძოლით ელგუჯა ამაშუკელის სკულპტურის (1985) შინაარსიდან.. ხელოვანს გააჩნია ინტუიტიური იმპულსი ამ ცოდნის გადმოცემის გზაზე. მას ხშირადუჩინარი ძალა უბიძგებს ხოლმე ჭეშმარიტების არეალისკენ, რადგანაც ჭეშმარიტება უმოკლესი გზაა ნამდვილი ცოდნისკენ. „ნაბადელებიც“ ამ განწყობილებით სულდგმულობენ. წრე და სამკუთხედი ფარაონის საკრალური რეგალიებია. შევხედოთ ტუტ-ანხ-ამონის აღკაზმულობას. ჩვენთვის თვალში საცემი გახდება კობრას — სიბრძნის სიმბოლოს თავსამკაული და წრე-სამკუთხედის სკიპტრათა გადაჯვარედინება, რაც მიუთითებს ორი ურთიერთგამომრიცხავი სიდიდის შეთავსებას, ფლობას. აი, ეს მომენტია ჩაქსოვილი „ნაბადის“ მიკროსხეულშიც.

გრანდიოზული ზერელეა. იგი მიჩერებულია მონუმენტურ შთაბეჭდილებებს. როცა გაავებული ოკეანის ცისკიბულებს უმზერ, შენი გონება ვერ იცლის ნაფოტის უმწეო ბედისწერისათვის, მაგრამ „ნაბადელებს“ არ ეპატიებათ ამ ნაფოტის უგულებელყოფა, მისი არსებობის იგნორირება, რამეთუ ისინი ამ ნაფოტის გამომზეურებისთვის, ამ დეტალის განსულიერებისთვის მოვლენილან ცისქვეშეთში. სხვას არცერთ ქართულ ფოლკლორულ ანსამბლი ჩაღრმავებულა დღემდე ეზოტერიკაში. თავისი მიკროორგანიზმის წყალობით მხოლოდ „ნაბადის“ პრეროგატივაა ამ მისიის აღსრულება, ანუ — ჭიქაში ქარტეხილების დატრიალება.

შეუძლებელია „ნაბადი“ და „სუხიშვილები“ ერთ სიბრტყეზე განვიხილოთ, თუმცა ორივე ანსამბლი მსგავსი რეპერტუარითაა აღჭურვილი. რასაც „სუხიშვილები“ პანორამით, სივრცით, გრანდიოზულობით აღწევენ მაყურე- ბელში. „ნაბადი“ კი კონგენიალურად ახერხებს მცირეში, დეტალების სიბასრით, დეტალების სიფიცხით. ამიტომაც, გადამეტებულს არაფერს ვიტყვი თუ ამ პატარა არენა-სცენის მსახიობები განსაკუთრებული ოსტა-ტებით გამოირჩეოდნენ თავიანთი მრავალრიცხოვანი კოლეგისაგან. ქორეოგრაფიული შტრიხებისადმი, დეტალებისადმი მათი მიდგომები გაცილებით ენერგიულია. ანსამბლის ნებისმიერი წევრი, დიახაც, ამ სამკაულებით ნუსხავს მაყურებელს, როგორც მიკროსკოპის ქვეშ შეგორებული წვეთის ელვარება მეცნიერის თვალს. ჩვენ სხვაგანაც გვითქვამს და აქაც გავიმეორებთ, რომ სტილიტზებული ფოლკლორის თეატრი „ნაბადი“ თავისთავში ახოროციელებს **იბირიკონს**, ანუ სიმღერას — როკვით.

თავდაპირველად, როცა ჯერ კიდევ „მოაზროვნე ადამიანი“ ველურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ანუ დათხილი იბრძოდა არსებობისათვის, ნელ-ნელა ჩაესახა მას როკვა-სიმღერის ტრადიციები. ამ მომენტს ეთნოგრაფები რიტუალურსაც უწოდებენ. პირველყოფილ ტომებში დღესაც შეინიშნება ამა თუ იმ გამარჯვების საზეიმო განწყობილებით აღნიშვნის მოთხოვნილება. ყველა დაწინაურებულ რასას განთვითარების მსგავსი ფაზა უნდა გაევლო წესით.

მართალია, „ნაბადის“ რეპერტუარი მკვიდრად ინახავს ამ საიდუმლოს, მაგრამ ძირისძირამდე ჯერაც ვერ გაუცნობიერებია საკუთარ წიაღში მფეთქავი განძის სიდიადე. როკვა-სიმღერა მეგრულში „იბირ-ირიკეა,“ იბერიკა, იბერიოკონი. ჩვენ ხომ მართლაც ერთდროულად ვართ იბერებიც, ქართებიც, კოლხებიც, მარგალებიც (სიტყვის თიხის ფირიფიტებზე ლერწმის ღეროთი დამრგველი ხალხი), ანუ ეს ეტიმოლოგიმები უფლის ხელისგულზე მოგოგმანე ერთი ბრილიანტის სხვადასხვა წახნაგია, ე. ი. იბერია, იბერიკა თავისი ასტრალურობით მომღერალ-მოცეკვავე ხალხის ერთიანობაა. მაგრამ რა არის თავად ცეკვა-სიმიღერა?! განა შეიძლება ეს ნიშან-თვისება პოფესიად გაეხადა საზოგადოებას?! და აქ „ნაბადის“ სპექტაკლის ვიზუალური მინიშნებები უფრო ხელშე-სახები რომ იყოს ფართო მკითხველისათვის, ეზოტერიკულ კომენტარებს გავბედავ:

„ჰომო გეორგიკუსი“ დმანისის არქეოლოგიური სივრციდან ორი მილიონი წლის წინათ გამოეყო ცხოველურ მდგომარეობას. ეს ანთროპოლოგიური ეგზემპლარი შუალედურია აფრიკელ და ჩინურ პოპულაციებს შორის. ამ დროის ადამიანი უკვე ფეხზე მოსიარულეა. გამართული სიარული მას გამოუმუშავდა მდედრთან ზეზეური სექსუ- ალური კავშირის შედეგად. ამიტომაც დარქმევია „ჰ ომო ერექტუსი.“ ორ ფეხზე დგომის ჩვევამ დროის უმოკლეს მონაკვეთში გადაასხვაფერა ადამიანი. მისი დაქანებული შუბლი საგრძნობლად (65-70⁰) მიაუხლოვდა მართ კუთხეს, გონიოს. განუვითარდა ფილტვები, იმატა ჟანგბადის მოცულობამ აორტაში, ურომლისოდაც ტვინი სრული ყამირია,

უდაბნო. და აი, ამ მომენტიდან, ადამიანი აკეთებს არნახულ ნახტომს ანთროპო- ლოგიურად — 50 000 წელიწადში „ჰომო საპიენსი“ ხდება.

ჩვენ ბიოლოგიიდან ვიცით, რომ ოთხფეხის წინა ჯირკვალი ფრიად მიმყუდროებულ მდგომა რეობაშია, იგი მოქცეულია მართ კუთხეში და მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი მოვლენებისაგან — ქარი, წვიმა, სიცივე, სიცხე, მაგრამ როცა გაიმართება ადამიანი და ორ ფეხზე დაიწყებს სიარულს, პროსტატიტი მოუშიშვლდება და ყველა უბედურებაც აქედან დაატყდება თავზე, თუმცა კი არნახულად დაწინაურებულა დროსა და სივრცეში. აი, აქ იმარჯვებს უჩინარი ხელი, ივივე ქურუმებისა და მოგვების კლანი იწყებს მათ გაჯანსაღებას ცეკვა-სიმღერით, იბერიკონით, იბირ-ირიკეთი, იმღერე-იცეკვეთი, რადგანაც ხორხი, ანატომიის მიხედვით წინა ჯირკვალის გვირგვინია. პოლიფონიით ხდება ინდივიდუუმის ჰარმონიზაცია, გაწონასწორება, ხოლო ცეკვით, წრებრუნვებით საშვილიშვილოდ მათი დამაგრება. რასაც ებრაელები ახლო ქორწინებებით — ინდბრინდიგით აღწევდნენ, ქართველები ტრიალითა და სიმღერით ახორციელებდნენ. და ოდეს ამ ნიშან-თვისებათა კომპლექტი შორი ქორწინებებით გადაეცემოდა თაობებს, უფრო სრულყოფილი და აპაღლებული ხდებოდა. ამიტომაც შესძახებს ჰეგელი: ევროპეიდული რასა ქართველებისგან მოდისო. მაგრამ ჩვენმა ქურუმ- ებმა ჯერ კიდევ არ იციან ცეკვა-სიმღერის მთავარი დანიშნულება. ამისი ცოდნა არც „ნაბადელებს“ მოეთხოვებათ და აღარც — „სუხიშვილებს“ (დიდი სცენის ამ დიდებულ კოლექტივს), მაგრამ სამხატვრო ხელმძღვანელი, ქალბატონი ნინო ტურაბელიძე მკაცრი მსაჯულია, შორეული ათასწლეულებიდან აღმოაცენებს ქართლოსიანთა დასილულ ისტორიას და პლასტიკის ენაზე ანიჭებს ძეგლის მნიშვნელობას. ამ იბერიკონის ძირითადი მიზანი კი ფილტვებში ჭარბი ჟანგბადის შეგზავნაა.

ჩვენი საზოგადოების 95 პროცენტი მუცლით სუნთქავს. მათი ფილტვის მხოლოდ 30—40 პროცენტია ჟანგბადით სავსე, დანარჩენში მომაკვდინებელ მასად ჩაბუდებულა ნახშიროჟანგი. „ჰომო საპიენსის“ მთავარი დაბრკოლება ჟანგბადის უკმარისობაა. ადამიანი თვეობით უძლებს შიმშილს, ათეული დღით იტანს უწყლობას, მაგრამ საკმარისია მის ორგანიზმს ხუთიოდე წუთით შეუწყდეს ჟანგბადის მიწოდება, რომ იგი მოკვდება. ფილტვების სრული მოცულობით მსუნთქავი ინდივიდის ტვინის უჯრედები სამჯერ მეტ ჟანგბადს მოიხმარს, ვინემ — რიგითის. ამიტიომაც არის მომღერალი და მოცეკვავე ხალხი განსაკუთრებულად ჯანმრთელი, განსაკუთრებულად დღეგრძელი.

აი, ამ პროფილაქტიკურ სასწაულებს ემსახურება „ნაბადის“ ჩინებული სპექტაკლი. მათ მშვენივრად უწყიან ამის თაობაზე და ბუნებრივია, მეტის პასუხისმგებლობით ეკიდებიან ათასწლეულების ბურუსით მოცულ მისტერიებს, რათა ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა მიენიჭოს ერთი შეხედვით თითქოსდა უწყინარ ფოლკლორულ წარმოდგენას; რათა საშვილიშვილო მისია იტვირთოს და ხელოვ ნებისა და მეცნიერების შერწყმით, პირველმა დანერგოს დრამატურგია ქორეოგრაფიაში.

ჩემთვის, როგორც ეზოტერიკული და ესთეტიკური სიღრმეების მკვლევარისათვის, ღიმილის მომგვრელია ფოლკლორში შრომითი ტრადიციების წარმოჩენა. იყო პერიოდი, როცა სცენა-სცენა პუტავდნენ ჩაის ჭილის ქუდიანი ქორეოგრაფები, კრეფდნენ ვაზის მტევნებს, მანდარინს, ჩეხავდნენ შეშას და ასე შემდეგ. ამას ხომ დღესაც დიდი ექსტაზით მისდევენ ნახევრად ველურ ტომებში. ხელოვნება მიბაძავა პლატონის სწავლებით, მაგრამ არა მთლად შრომითი ტრადიციების ასლად გადმოღება. ქალაქური მოტივები, ტაკარაცუკელი ქალების მიმსგავსებით ქოლგების ტრიალი, ჭირნახულის ხონჩებით ჩამოტარება, არახალია. ხენლოვნება სიმბოლოებით აზროვნებაა და ამას ზედმიწევნით მისდევს სპექტაკლის მაგისტრალური ხაზი — ქართველი კაცის ბიოგრაფია, საქართველოს თავგადასავალი. ექვს ათასწლიანი ისტორიის რეტროსპექტივა, ბუნებრივია, მხოლოდ ქორეოგრაფიული და პოლიფონიური არსენალით ძნელია სრულფასოვნად წარმოაჩინო, ამიტომაც გამხდარა საჭირო მონათესავე დარგების — კინოლენტის, ე. წ. „რგოლების“, სლაიდების შემოშველიება პრეისტორიულის თუ შედარებით ახლო წარსულის გასაცოცხლებლად. ეკრანი და სცენა სინქრონულად მოძრაობს, ხშირად შეირწყმება კიდეც მიჯაჭვული ამირანის, ოქროს საწმისის, არგონავტებისა და მედეას მითოსური წახნაგები რეალურ დროსთან, თუმცა ერის ბიოგრაფიას, ცხადია, 90 წუთში ვერ ჩატევ, მაგრამ ცოტაა განა ქვეყნის საკვანძო ეტაპების გაცოცხლებით გარკვეული ინტერესი აღუძრა უცხო ქვეყნის მოქალაქეს?! ამ თვალსაზრისით ქალბატონ ნინო ტურაბელაძის წარმოდგენა, შეიძლება თამამად ითქვას, პიონერია სამამულო ქორეოგრაფიაში. კი, სხვათა კონცერტებზეც გაიელვებს აქა-იქ შთამბეჭდავი პეიზაჟები და პანორამები, საქართველოს ხედები ექსპრესიის გასაძლიერებლად,

მაგრამ „ნაბადისათვის“ სცენის და ეკრანის შერწყმა კონცეფციაა, სტილი, ხელწერა და ამ არენაზე შეტოქედ ჯერ-ჯერობით არავინ გამოადგება.

იშვიათია ,,ნაბადის'' პოლიფონიაც. აქ ძალზე მწირი შტრიხებითაა მოტანილი შედარებით ახალგაზრდა სიმღერები, სამაგიეროდ, მეტი დოზითაა მოწოდე ბული პრეისტორიული, წარმართული, რამეთუ სპექტაკლის მიზანიც ხომ ოდინდელის, მითების დროინდელი რეგალიების წარმოჩენაა?! პირველ რიგში ,,ლილეო'' — მზის საგალობელია განფენილი; ფინალს ,,ოდოია'' — ოქროს საწმისის ჰიმნი აგვირგვინებს, წარმოდგენის ექსპოზიცია, კვანძი, კვანძის გახსნა აშენებულია ,,ჩაკრულოთი'', ,,კვირიათი'', ხასანბეგურათი'', ,,კრიმანჭულით'' და თანამიმდევრულადაა გაცოცხლებული ჩვენი წარსულის უსასრულო ხანძრებით შერუჯული სახე, რისი წყალობით მთელი სპექტაკლი იკითხება როგორც გადაშლილი წიგნი, როგორც ულოსავით შეკრული დრამა.

ქალბატონ ნინო ტურაბელიძის ესთეტიკური საჩუქარი სრულებით მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის, ვინაიდან ჩვენი ქორეოგრაფია სიყრმიდანვე გაჯერებულა დაშტამპული ტრადიციით, დოგმებით, სქემატურობით, დაზუთხული ნახაზებით და რიტმიკით. აქ კი ლამის თავდაყირა შეტრიალებულა ათასგზის ნანახგანცდილი. ვერ ვიფიქრებდი თითქოსდა ფრაგმენტული, თითქოსდა მოზაიკური სურათებით შინაგანი გრანდიოზულობით შეკრული მონოლითის შეკვრას მოახერხებდა ვინმე. მაგრამ ეს უკვე მოხდენილია დროსა და სივრცეში — ეზოტერიკა, მაგია, მართლმადიდებლური სამსახოვნება, ჩაწნულია ერთმანეთში წარმოდგენის პირველივე წუთიდან და მონუსხული მაყურებული ხელახლა იბადება, კათარზისი ეუფლება მის სმოგიან სულს — დიადი განწმენდა.

,,ნაბადის'' თეატრის სივრცის შეკუმშულობა, მისი ატომური ენერგია, დიახაც, ნაბდისგაშლა არენაზე ამ საარაკო საქმეს ემსახურება ორიგინალური ხელწერის დასამკვიდრებლად. როგორც ჩანს, გაცილებით შორეულ სირვცეებს უმიზნებს კოლექტივი. წარმოდგენის დასაწყისი თუ ფინალი ამ სულისკვეთებითაა გაჯერებული. წარმოდგენა თანდათან იკუმშება, გადაიქცევა ცერზე შემდგარ ნაბდოსნად, იგივე ყამად, აღიმართება სრულყოფილი ადამიანის ხატად და კოსმოსური ხომალდივით გაიჭრება ზეფირებში.

ჩვენ ცის შვილები ვართ. მზე დედაა ჩემიო, ამბობს ქართველი და სულის შემძვრელია სპექტაკლის აქცენტები ქართული ცის ნოსტალგიაზე. სპექტაკლის მუსიკალური ფონი ,,ლილეოთი'' იხსნება, მზის სხივის ციდან დაშვების მისტერიით, სამკუთხედით, ტანაშოლტილი მუხის გამოსახულებით, ჩიჩილაკით და ცერზე შემდგარი ნაბდოსნით. ფინალისას კი ეკრანზე გამოისახება სვანური კოშკები, კავკასიონის მარადთოვლიანი მწვერვალები, პირამიდები... კვლავაც ცერზე შემდგარი ნაბდოსანი, რომლებიც გამსჭვალავენ ერთურთს და მივიღებთ დავითის ვარსკვლავს — კაცობრიული გონის სიმბოლოს.

ჩვენებმა ათასწლეულების მიღმა იცოდნენ, რომ ფუტკრის ფიჭა, ადამიანის გენები თუ ტვინის ნეირონები წესიერი ექვსკუთხედის — სექსტაგონის აღნაგობისაა. ამის თაობაზე, ეტყობა არ უფიქრიათ ,,ნაბადელებს'', მაგრამ დარწმუნებული ვართ, სულ რაღაც ათიოდე სათანადო სლაიდის მოძიებაც არ გაუჭირდება მათ სპექტაკლის სრულყოფილი იერის დასაფინალებლად. ისევ ხორუმის წრეები, ისევ ფერხული, ისევ წრეები ნაბდით, წრეები ხანჯლებით. მერამდენედ გაესმება ხაზი შთამბეჭდავ დეტალებს, თითის წვერებზე დგომებს. გაივლის ასტრონომიული ოთხმოცდაათი წუთი და მაყურებელის ფიქრი თავქუდმოგლეჯილი გარბის რუსთაველის პროსპექტიდან ვაშინგტონისაკენ თუ ლონდონისკენ, ეიფელის კოშკისკენ თუ ჩინეთის დიდი კედლისკენ, რათა რაც შეიძლება ჩქარა ჩაიტანოს იქ სიზმარივით ახდენილი ზღაპრის სიცხადე. სხვა კოლექტივს საქართველოში დღესდღეობით ნაკლებად ძალუძს მსგავსი მისტერიის აღსრულება. კვერცხივით შეკრული ,,ნაბადი'' სწორედ რომ ამისთვის მოვლენია ქვეყნიერებას. ჰანგის, პლასტიკისა და დეკორაციის ურთიერთ-შეხამებით მიღწეულია არნახული ესთეტიკური ეფექტი, რაც შეუძლებელია ვიწრო პატროფილიით დავსაზღვროთ, ვინაიდან იგი ზედმიწევნით პლანეტარული განზომილებისაა და თავისი ატომური მუხტით ზოგად კაცობრიულ იდეალების სამსახურში დანთქმულა მშვენიერ-ამაღლებულის თუ ტრგიკულ-კომიკურის წარმოსაჩენად.

„ოდოია“ — კველიბერიული ზღვანური სიმღერა

ჰომეროსი ეწინამძღვრება ყველას, ვისაც ეპიკური ტილოებისთვის მოუცლია. მრავალზე მრავალ ბურუსით მოცულ სივრცეს და ისტორიას აერთიანებს იგი და თუ შლიმანის ღვთაებრივ ინტუიციით მომადლებული ადამიანი ჩაუკვირდება ,,ხელოვნების ნორმად და ნიმუშად'' აღიარებულ მის შრეებს,

არაერთი აღმოჩენა გველოდება მომავალშიც. ხომეროსის პოემებთან დაკავშირებული საკითხები დიდებულადაა გაშუქებული ჩვენი სასიქადულო მეცნიერის, ბატონ რისმაგ გორდეზიანის მონოგრაფიებში, სადაც უამრავი საერთო-საზიარო ფასეულობებია დაფიქსირებული ბერძნულ-კოლხური ცხოვრებიდან. უფრო მეტიც, მედიტერიანული ხანა, დიახაც, მათი თანაარსებობის ეკვივალენტურია, რაც ნათლად მიუთითებს წინარებერძნულისა და ქართველურის ნათესაობას; რომ აქილევსის რისხვა არ არის მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული ამბიციების შედეგი, მას უფრო მნიშვნელოვანი ფაბულა ესაძირკვლება — კონკრეტულად კი ის, რომ ფეხმარდი აქილევსი წინარებერძნული საზოგადოების ტიპიური წარმომადგენელია; რომ იგი გრეკებს — ძველი ცივილიზაციის დამპყრობს საბოტაჟს უცხადებს ტროას იავარქმნაში; ამით აქილევსი სიცოცხლეს უხანგრძლივებს თავის მოდგმას, თავის სის- ხლსა და ხორცს; მისი სიმპათიები ცხრა წელიწადს ყოყმანებს, ცხრა წელიწადს ითრევს ფეხს ილიონის კედლების დასალეწავად, მაგრამ როგორც კი საკუთარი აბჯრით აღჭურვილ ძმაკაცს პატროკლეს, სიცოცხლეს მოუსწრაფებს ხექტორი, აქილევსი მძვინვარე ლომს დაემსგავსება, უკვე დისწულის მიმართაა ხელი აღმართული და ფაქტობრივად ტროის დამხობა მისი ბურჯის — ხექტორის მოკვდინებით მიინიშნება; თუმცა ვიტყოდი, რომ ილიონის ათწლიანი ომი აისბერგისებურად აურაცხელ საინტერესო მოტივსაც ითავსებს, რასაც მხოლოდ ვარაუდის, ხიპოთეზი ს მნიშვნელობას ვანიჭებთ.

ჰომეროსის პოემების ქრესტომათიული განხილვისთვის ამჟამად არც დროა და აღარც — სივრცე. ვიმეორებ, სრულიად კონკრეტულ ფაქტს — ტროას ათწლიანი ომის ნიუანსებს დავსჯერდები-მეთქი. სხვა მომენტების გაშიფრვას წერილების მთელი ოკეანე მიეძღვნა, ასე რომ, უმჯობესია, პირდაპირ ხომალდების კატალოგს ჩავუკვირდეთ, რომელიც ერთგვარი პასპორტია ამ დაუსრულებელ ორომტრიალში ჩათრეული ქვეყნებისა და ხალხებისა.

სიტყვასიტყვით თარგმანში ასეა: ,,ხოლო ჰალიძონებს ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ შორეული ალიბედან, სადაც ვერცხლის სამშობლო არის''.

მეექვსე ქებაში აგამემნონი ჰოროლით განგმირავს ჰალიძონების ოტებულ (გაქცეულ) გოლიათ მეთაურს, ოდიოსს. მოგვიანებით ამ სტრიქონებს ჩინებულად გადმოაქართულებს ბატონი რომან მიმინოშვილი — **,,ჰალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოჰყვნენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან, ალიბეს მხრიდან“**. მოხმობილი ციტატა სრულიად საკმარისია ჩვენეული მოსაზრების გასაშლელად. ალიბე, იგივე ხალიბე, შემთხვევით რომ არ მოხსენიებულა ,,ილიადაში'', უდავოა. ,,ხალიბიუმ'' ხომ რკინას ნიშნავს ბერძნულად?! ხალიბები კი ვინ იყვნენ თუ არა კოლხები?! ან სად დაირწა ამირანის მითი — ცეცხლის მოთვინიერების საგა, პრო-მეთეოსის, ანუ პრომითის, წინარე მითის, ძველი ამბის სახელით რომ გავრცელებულა მერმე მთელს მცირე აზიაში?! (პრომეთე წინას- წარმეტყველს ნიშნავს ბერძნულად; ხოლო სანსკრიტულში პრომათუსა გახლავთ ცეცხლის გაჩენის მოწყობილობა — ნახვრეტიანი დაფა შიგ მოტრიალე წკირით). ანდა სად ბრდღვინავენ აიეტის რკინისჩლიქება ხარები?! რკინის გამოდნობის საიდუმლეო, როგორც ოქროს მოპოვებისა, ისევ და ისევ კოლხებს უკავშირდება უმთავრესად. დღეს ამის შესახებ არავინ კამათობს. მივუბრუნდეთ ზემოთ ხსენებულ სტროფს — ხოლო ხალიძონებს ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ, შორეული ალიბედან, სადაც ვერცხლის სამშობლო არისო. რატომ მაინცდამაინც ვერცხლის საბადოებს ახსენებს ხომეროსი და არა აია-ქვეყანა, საიდანაც ოქროს საწმისი, ანუ ოქროს მოპოვების ტექნოლოგია წარწერილ ცხვრის ტყავს (კირბები) მოიტაცებენ არგონავტები რაღაც ოცდაათიოდე წლის წინათ?!

ჩვენ არაფერი ვიცით თუ რას აკეთებენ ჰალიძონები და მათი გოლიათი მეთაური ოდიოსი ტროას ომში ცხრა წელიწადს. ამის თაობაზე ,,ილიადა'' სდუმს. გასაღები ისევ და ისევ მოხმობილ სტროფშია. ბერძნების გაერთიანებული ლაშქარი ცხრა წელიწადს ვერ დაამხობს ათჯერ მცირერიცხოვან ტროელებს, იგივე ზღვის ხალხს — კოლხეთს შეხიდებულ მხარეს.

1067 **(საკრალური 9-ის წამატების შემთხვევაში ვღებულობთ ეზოტერიკულ ციფრს — 076 — 1-ის 13 გაყოფის პირველ წევრს — 0, 076 923. 076 13 ჰარმონიულად დანაწევრების სურათია. სამყაროისეული განზომილების უფლისეულ და მაცილისეულ განზომილებად — სადაღ უფლისეული 7-ია, ხოლო ეშმაკისეული 6. უფალმა 6 დღე-ღამე მოანდომა სამყაროს შექმნას. ზიქურატების ქონგურები სასწორის ორივე უღელზე ექვს-ექვსი საფეხურით მაღლდება მეშვიდემდე — უზენაეს სუბსტანციამდე — ცაბაოთამდე)**, ხომალდით მოსდგომიან ბერძნები ტროას. თითოეულში 120 მეომარი ეტევა. ესე იგი დაახლოებით 130 ათასი კაცისთვის მოუყრია თავი ილიონის წასალეკად ბერძნების გაერთიანებული ლაშქრის მეფეს — აგამემნონს. ბერძენი ყოყლოჩინობს სპილენძის იარაღით, როცა ნახსენებია ხალიბები, რკინის, ფოლადის მესაიდუმლე ხალხი. ამ

უზარმაზარ გაერთიანებაში ვითომ მხოლოდ მეომრის ფუნქცია ეკისრებოდათ მუჭა ხალიძონებს?! ჩვენი ვარაუდით ხალიძონები, ანუ კოლხები იარაღის გამოსაჭედად უნდა ჩამოსულიყვნენ ტროაში, ისინი პროფესიონალი მჭედლები უნდა ყოფილიყვნენ წესით. მათი მჭედლებად ჩამოყვანა ტროაში უსათუოდ ომის მასშტაბებს უნდა განეპირობებინა, ვინაიდან ამხელა მანძილზე კოლხეთიდან იარაღის ტრანსპორტირება ვერ მოხერხდებოდა ოპტიმალურად და რეგულარულად. მით უმეტეს ალყაშემორტყმულ ქალაქში. ჩანს, ჰალიძონები თავიანთ გოლიათ მეფესთან, ოდიოსთან, ერთად ბრძოლაში მხოლოდ ომის მიწურულს ჩაბმულან ფიზიკურად, როცა ტროა სისხლისგან დაწრეტილია, როცა უკვე თითოეული ადამიანი ჯარისკაცია — მჭედელი იქნება ეს თუ გუთნისდედა. აბა, დააკვირდით, როგორ მოკურცხლავს აგამემნონს შეფეთებული ხალიძონების გოლიათი მეფე ოდიოსი. მისთვის ომი, ხმლების ტრიალი, უცხოა. ეს იგულისხმება სტრიქონებს შორის. მაშ, სად მივყავართ მსჯელობას?! კოლხები ტროელების მხარეზე არიან ოდიოსის მეთაურობით, იმ ოდიოსისა, რომელიც აიეტის შვილიშვილების ხნოვანებისაა. არგონავტები, მართალია, რაღაც სამიოდე ათეული წლის წინათ კოლხებს მოსტაცებენ ოქროს საწმისს, რომელზეც ამ იშვიათი ლითონის მოპოვების წესებია წარწერილი, მაგრამ რკინის გამოდნობის საიდუმლო ჯერ კიდევ ერის წიაღში ინახება. ასე რომ, ვარაუდიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, — ჰალიძონები და მათი გოლიათი მეფე ოდიოსი მჭედლებად ჩასულან ტროაში; ამიტომაც ვერ ამარცხებენ ათჯერ მრავალრიცხოვანი ბერძნები ილიონს — ზღვა ხალხის კოალიციას, რადგანაც კოლხური იარაღი იბრძვის იქ.

მოგვიანებით, როცა ამ გაერთიანებას გაუჭირდება, თვით მჭედლებიც იძულებულნი ხდებიან ორომტრიალში ჩაებან. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კოლხეთი იმ დროისთვის მაღალგანვითარებული იარაღით მოვაჭრე ქვეყანაა. კოლხები მიაგნებენ ფოლადის გამოდნობის საიდუმლოებას და განუდგებიან ხვნა-თესვას, მესაქონლეობას. ხელს აიღებენ მამა-პაპური ღვინის წარმოებაზე. იარაღია პურიც, ღვინოც, უზრუნველი ცხოვრებაც, არქილოქეს ლექსისა არ იყოს და გადაგვარდება კოლხი. აუხდება კალიმაქეს წყევლა: ამომწყდარიყოს მათი ჯიშ-ჯილაგი, რკინა რომ ამოიღეს მიწიდან. არ გახარებულიყვნენ მისგან იარაღის გამომჭედელები ადამიანი საკუთარ სახეს დაჰკარგავს. ადრე მიწათმოქმედებს, იგივე გეორგიებს, შავ ჭირად მოევლინებათ ეს სიბრძნე, შავ ჭირად და დაღუპვად. განა მხოლოდ ოქროს საწმისის დაკარგვა?! არა და არა! უმთავრესად იარაღით ვაჭრობა მოსრავს კოლხეთს. ასე რომ, საკუთარი აღარაფერი დარჩება, ლამის აღიგავება მიწის პირისაგან. მოკლედ, გაბღენძილ ოდიოსს, როგორც კი საკუთარი ხელით გამოწრთობილ ჰოროლს ბეჭებშუა გაუტარებენ, მაშინღა მიხვდება თუ რა ყოფილა სხვათა წაკიდება-წასისინება, რა ყოფილა ომი, რომლითაც მისი მოდგმა სულდგმულობდა აქამდე, მაგრამ თითზე კბენა უკვე გვიანია. ეგერ, სულთმობრძავი გდია ბრძოლის ველზე და მის ლიბრგადაკრულ მზერაში გარბის თვით ტროაში დატრიალებული საცოდაობა, ათასების ტრაგედია, ათასების ვაება-უბედურება:

ვერავინ იხეირებს ამ ომით, ვერც ხალხთა მეფე აგამემნონი, ბაგაში დაბმული მოზვერივით რომ დაკლავენ აბანოში მეუღლე კლიტემნესტრა და მისი კურო ეგისთე; ვერც ფეხმარდი აქილევსი, ვერც ზუჩმოელვარე ჰექტორი, ვერც ჭკუაულევი ოდისევსი, წლობით რომ ახეტიალებს მერმე ბედისწერა ხიფათიანი გზებით ოჯახს მოწყვეტილს; მით უფრო — გაფხორილი ოდიოსი. ეს ყველაფერი დღესავით ნათელია, მაგრამ ვინ არის თავად გოლიათად შერაცხული ოდიოსი, ჰალიძონების წინამძღოლი მეფე, მისივე ახოვნების მეტოქეს — აგამემნონს შეფეთებული კურდღელივით რომ მოკურცხლავს?!

ძნელია ახლა გაარკვიო, რა სწადია ჰომეროსს, აგამემნონის მრისხანებისა და ძლიერების დახატვა თუ იარაღის ვაჭრობით ზნეობადაცემული ოდიოსის დაკნინება.

ოდიოსი, ოდიოსი... ნუთუ ჩვენ გაგვიძნელდება პარალელის გავლება ამ სიტყვასთან?! ბერძნული ტრანსკრიპცია ქართული სახელის პარალელურ ფორმებს უთუოდ ინახავს ერის მეხსიერებაში. გვაქვს ქუთაისი — ქუთაია. ქვაბულს ნიშნავს იგი მეცნიერების ენაზე, გამოღრუნ- ტულს. ქუთაისი — ქუთაია, ქუთაია და უცებ განათდება გონება: ოდიოსი — ოდი... სკანდინავიური „ოდინ", კოლხური „ოდოია".

მაინც რას ნიშნავს ეს ძველკოლხური სიმღერა?! დღეს იგი მუსიკათმცოდნეობაში შრომის ჰიმნადაა აღიარებული. ჩავეკითხები მრავალ სპეციალისტს: ჟვანიებს, ჭოხონელიძეებს, გონაშვილებს, მაგრამ ისინი სხვაგვარ ინტერპრეტაციას გამორიცხავენ. მართალია, ერთხმად ადასტურებენ, რომ „ოდოია" წარმართული საგალობელიაო, მაგრამ მაინცდამაინც შრომის, გამარგვლის, გამოროდების საგალობელიო. მე კი ვიტყოდი, თუკი „ოდოიას" სინქრონულად, „ოდოიას" თანშეწყობით თოხი იქნია მუშაკაცმა, სვრელის ბოლომდე სულს ვერ მიატანს. „ოდოიას" მეტრიკა, ინტონაცია, გადასვლები, ხეროიკა კარდინალურადაა გამიჯნული ძალისძალით შრომას მიტმასნილ შინაარსისგან. არიან მეცნიერები, რომლებიც ოდოიას კულტს სვანურ ვობს — ნაყო-

ფიერების წარმართულ ღვთაებას უკავშირებენ, მაგრამ ესეც ნაკლებად სარწმუნო მეჩვენება. რაც შეეხება ამ სიმღერაში დაფიქსირებულ სტრიქონებს — ,,ბერგის მურქი გიგოია'' — ანუ თოხს მოუქნიე გიგოია, გუშინ წინდელი პოეტომანიის შედეგი უფროა, ვინემ პირვანდელი, რამეთუ ადრინდელ ტექსტს ქრისტიანობა, როგორც მას საერთოდ სჩვევია, პირწმინდად წაშლის, დასტოვებს მხოლოდ მელოდიას, მუსიკას და შემდგომ ხალხის ფანტაზია, რადგანაც უკეთესს ვერაფერს შეუნაცვლებს — თოხს მოუქნიე გიგოიათი შეავსებს. შრომის სიმღერად გარდაისახება ბრძოლის ჰიმნი. კასტრირებული მამალი წიწილების ჩეკას მიხყოფს ხელს.

კიდევ ერთი ფაქტის გამო ვერ დავუშვებ სიმღერა ,,ოდოიას'' შრომის სიმბოლოდ, რადგანაც იქ სტროფებსა და სტროფებს შუა არის პასაჟები, რომელიც რაღაცნაირად სვანური ზარის ელფერს დაიკრავს; მიუხედავად იმისა, რომ შრომის ყაიდაზეა მოქცეული, მისამღერი — ვოი, ვოი, გლოვის ატრიბუტი რომაა, ყრუმაც იცის. მაშ, როგორ ჩაეტევა ერთ ცნებაში მწუხარება და აღმაფრენა, ომი და მშვიდობა, შრომა და სისხლისღვრა?! წლების მანძილზე ბრძოლის სიმღერა რომ შრომის ხასიათს შეიძენს, აქ უჩვეულო არაფერია. პირიქით, ომებით დაქცეული წუთისოფლის განუხრელი ლტოლვაა სიმშვიდისკენ; ეს ადამიანის, ხალხების საერთო განწყობილებაა მათი მმართველი ძალებისგან განსხვავებით. ასე რომ, უშუალოდ ,,ოდოიას'' გაიგივება შრომის საკულტო სიმღერასთან შეძენილი თვისებაა, ხელმეორედ მონათლულს ხგავს, ძველის თანდათან გარდაქმნის შედეგია და სხვა არაფერი. თუკი დავუშვებთ, რომ ოდიოსი და ოდოია იდენტური პიროვნებებია, ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. უკვე სრულიად ნათელი ხდება, რომ იგი ოდოიას უკვდავსაყოფად დამღერებულ-დაკვნესებული ოდაა და ამით წრედიც შეიკვრება. იმდროინდელი პოეტები ხომ უტყუარ სარკესავით აირეკლავენ მომხდარ ფაქტებს, აკი, ვახსენეთ, შლიმანის ფენომენალური ალღო, რომელიც სწორედ დასახელებული პოემებზე დაყრდნობით მიაკვლევს ტროას, და აგამემნონის ოქროს ნიღაბსაც კი აღმოუჩენს კაცობრიობას.

მაშ, რატომ არ უნდა ვენდოთ ჰომეროსის სტროფებს, როცა იგი აცხადებს: **ხოლო ჰალიძონებს ოდიოსი (ოდოია) და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ შორეული ალიბედან (ხალიბედან), სადაც ვერცხლის საშობლო არისო?!** რისთვის სჭირდება ჰომეროსს ხალიბეს ხსენება? მხოლოდ გეოგრაფიული არეალის მოსანიშნად?! ეგრე რომ ყოფილიყო ხალიბეს ნაცვლად უფრო ცნობილ ფაქტს — ოქროს საწმისის აია-ქვეყანას მოიშველიებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ უფრო სიღრმისეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ჩვენ თუ დავუშვებთ, რომ სიმღერა ,,ოდოია'' შრომის კი არა ჰალიძონების გოლიათი მეფის — ოდოია-ოდიოსის უკვდავსაყოფად შექმნილი ჰიმნია, მაშინ იქ გამქრალი სიტყვები შეიძლება სხვანაირად წარმოგვიდგეს: აჰა, მომაკვდავ ოდოიას მრავალხოფიანი ხომალდით სამშობლოსკენ მოაქროლებენ ჰალიძონები და სასოწარკვეთილნი უმღერენ:

ოდოდოი, ოდოია დო ოდოია,
სი მათალო ხარალო დო ცოდოია,
შხვაში ქანას ოპოტინუქ დანწყუალო,
სქან ქანასუ ცარიელ რე კოტოია.
ოდოდოი, ოდოდოი დო ოდოია,
ცირეფ გიცორდ თქვეშერე დო ზორთოია,
შხვაშო ლეკურს ჭკადუნდი დო ლიშარენდი,
ვამორცუნაფ სქანო ლანჯიშ ჯორკოია.
ოდოდოი, ოდოდოა დო ოდოია,
სი ქანაშო თოლ ელეღი ბოთოია,
თოლი იშენ თოლი ორე, გოლვაფირო,
გური ოკო ელეღენი თოთოია.
ოდოდოი, ოდოია დო ოდოია,
ჩონგურ გიბირს ართო ქვარა გოდოია,
შუჟამ დირთუქ, ხენცფეთ შუჟამ მაჭარუთუ,
გელუ ქანა უმინჯურ დო ლოდოია.

ეჰ, ვერგილიუსისხელა კალმოსანი სჭირდება ამ განძეულის წარმოჩენას, ვერგილიუსისა, რომელიც ლათინთა ტომს ,,ენეიდას'' სახით სიკვდილ-სიცოცხლის სწორუპოვარ საგალობელს დაუტოვებს; იმ ენეასისა, იავარქმნილ ტროას რომ გამოარიდებს თვის ჯილაგს და რომულუსის შთამომავლობას ჩაუყრის საფუძველს. ეს ყველაფერი მწერლის საასპარეზო სივრცეა, მომავალი თაობებისათვის ნაცარშიგახ-

ვეულ ღადარივით შენახული მასალა; ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია ერთხელაც ფოკუსში მოვუყაროთ თავი სათქმელს:

ხომეროსი ჩვეული ქვეტექსტებით მიგვანიშნებს კოლხეთის სრულ დამხობას, იმის გამო, რომ იარაღით მოვაჭრეა, ახალ-ახალი ომის მიზეზი, წამქეზებელი და რადგანაც საკუთარი მოწოდებისთვის — გეორგიანობისთვის, ანბანთმსახურებისთვის, მოჰანგეობისათვის უღალატია, გოლიათი ოდოიას დაცემით გვაუწყებს კოლხეთის მითოსური დიდების საუკუნო ჩასვენებას.

ცხადია, ყოველივე თქმული ემიჯნება მეცნიერულ პრეტენზიებს, ვარაუდის პირმშო უფროა, მწერლის ინტუიციას დამყარებული, და რაც მთავარია, სწორუპოვარი მარონისა არ იყოს, ცოცხალ მასალას წარმოაჩენს ტროასდროინდელი საქართველოს ყოფიერების ამსახველი ფართო ტილოს შესაქმნელად. არის ხომეროსთან რიცხვი ათის გაშიფრვის ჩემეული ვერსიაც, ათისა — ყოველ ნაბიჯზე რომ გვხვდება „ილიადასა“ თუ „ოდისეას“ ფურცლებზე, როგორც ღვთაებრივი, როგორც საკრალური სავსება, თუმცა ამჯერად სათქმელი ბატონ **ბორის გოგიას** გამოხმაურებით დავასრულოთ:

„გური ოტობაიას წერილში მოკლედაა მიმოიხილული ღრმად არქაული, ოდინდელი საქართველოს, კერძოდ — კოლხეთისა და წინაბერძენული კულტურების ურთიერთობანი, რომელსაც ეხება ჰომეროსი თავის თხზულებებში და ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

მწერალი გასცნობია ბატონ რისმაგ გორდეზიანის ფუნდამენტურ და მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომებს, სადაც თვალნათლივაა განხილული წინაბერძნული და კოლხურ-იბერიულ კულტურების ურთიერთობათა დამაკავშირებელი რამდენიმე საკითხი, ინტერპრეტირებული მეცნიერული კუთხით. ამასთანავე მწერალი, თავისი საკუთარი თვალთახედვისა და მწერლური ალღოს მეშვეობით ცდილობს გააცოცხლოს და გააშუქოს ზოგიერთი ბუნდოვანი კვანძი. მაგალითად „ალიბუ“, რასაც მასთან ერთად სხვა მეცნიერებიც აიგივებენ ხალიბუსთან, ხალიბიუმთან, რკინის მწარმოებლებთან, მერკინეებთან და ძველი ელადის ენაზე, ჰომეროსის პოემებზე დაყრდნობით, არა მარტო ხალხს — ხალიბებს, არამედ მხარესაც, ქვეყანასაც, ხალიბების — რკინის მრეწველობის ქვეყანას უწოდებენ. მე სრულიად ვეთანხმები მწერლის მცდელობას, თუნდაც იმის გამო, წინა პლანზე წამოსწია საკუთარი ქვეყნის ისტორიული წარსულის რამდენიმე საკითხი ქართველი მოსახლეობისა, განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდობის ყურადღების მიქცევის მიზნით, რამაც შეიძლება დააინტერესოს ბევრი მათგანი და გავხდეთ მონაწილე მთელი ამ უძველესი და ურთულესი პრობლემების სრულიად ახლებური შესწავლისა და გაანალიზების მომსწრენი, რაც უსათუოდ ხელს შეუწყობს არა მარტო საბერძნეთთან, არამედ მრავალ სხვა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, ვინაიდან წინაბერძნული და ძველბერძნული, კრეტამიკენური, ეგეოსური, ეტრუსკული, შუმერული, პროტოხეთური და ხეთური, პელასგური, მცირეაზიური, სამხრეთ-ამერიკული, ძველი ინდური და სხვა კულტურების საოცარ ურთიერთკავშირს ავლენენ. დღეს არსებულ მრავალ ათეულ სახელმწიფოსთან უძველეს კულტურულ ურთიერთობათა და მეგობრულ დამოკიდებულებათა პერსპექტივები უნდა გაიხსნას, რაც ხელს შეუწყობს ხალხთა მშვიდობას და ურთიერთგაგების განმტკიცებას და გაფართოებას.

ახლა კი, რაც შეეხება უძველეს — ოდინდელ — არქაული დროის სიმღერას „ოდოია“. მწერლებს და პოეტებს აქვთ რაღაც განსაკუთრებული ალღო ინტუიციური წინათგრძნობისა და არც ბატონი გური ოტობაია ღალატობს ამ საკითხს. პირადად მეც ვგრძნობდი ყოველთვის, რომ „ოდოია“ არ იყო შრომის სიმღერა. მისი რიტმი სრულებით არ შეესაბამება შრომას, განსაკუთრებით თოხნის პროცედურას, რადგანაც ამ უნიკალური სიმღერის ტემპით თოხნა შეუძლებელია და წარმოქმნის შრომისა და სწორი, ნორმალური სუნთქვის შეუსაბამობას.

ასეთი სიმღერითა და შრომით ერთდროულად დაიხრჩობა, ალბათ, ადამიანი, ან სრულად გაჩერებულმა, თოხის ტარზე დაყრდნობილმა უნდა შეასრულოს. ამ შემთხვევაში კი ეს არაა შრომის სიმღერა.

მე ვეთანხმები ბატონ გურის, რომ „ოდოიას“ სიტყვები, ალბათ, სრულებით არ შეესაბამება იმ უძველეს ფორმას და ხალხში შემორჩენილი საოცრად ტკბილი და ხარმონიული მელოდიის აღსადგენად მავანმა სპეციალურად შეარჩია გარკვეულ სიტყვათა რაღაც თანაწყობა.

ბატონო, გური, თქვენც ჩემსავით, ალბათ, ცრემლნარევი ღიმილით უყურებდით პირველ ქართველ ფეხბურთელებზე ფოთში გადაღებულ ფილმ „პირველი მერცხალის“ ნაწილს, სადაც მაღალი კლასისა და საკმაოდ გამოცდილმა ინგლისელებმა გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხეს დამწყები ქართველი ფეხბურთელები და ეს ბიჭები ტალახში ამოსვრილები, ერთ მუშტად შეკრული ქართული გენი, ინგლისელების მიერ შესრულებულ ხოტბას თავისებურად როგორ შეუწყობენ სიმღერას და ქართული ჰიმნის დონეზე აჰყავთ. დაბოლოს, მინდა კვანძი გავხსნა და დიდად

გასახარი სიურპრიზი შემოგთავაზოთ: 1975 წლის ნოემბერ-დკემბრის ,,ინოსტრანნაია ლიტერა-ტურა''-ში დაბეჭდილია ჟორჟ ამადუს რომანი სათაურით: **„ტერეზა ბატისტა, უსტავშაია ვოუვატ“**, სადაც ნაწარმოების ერთ-ერთ ნაწილში მართლდება თქვენი და ჩემი დაკვირვებები (გნებავთ მოსაზრებები), სიმღერა ,,ოდოიას'' შესახებ, რაც დაახლოებით ასეთი სიტყვებითაა გად-მოცემული: **ოდოია — დრეკნოიბერიისკაია მორსკაია ბესნია.** სამწუხაროდ, მე არასოდეს ვეკუთვნოდი იმ ადამიანთა კატეგორიას, რომ მივლინებით, ან ტურისტად მაინც ჩავსულიყავი ბრაზილიაში და გამომეკვლია ჩემთვის ასე უაღრესად საინტერესო მასალა, თუნდაც ჟორჟ ამადუს საარქივო მასალებში მაინც. დიდია ჩემი ცდუნება და, ალბათ, თქვენც მსგავსი ცდუნე-ბით აგანთეთ. მე ვესაუბრე რუსთაველ ლოტბარს, რომელიც ,,მიონის'' გუნდს ხელმძღვანელობ-და ,,ოდოიას'' შესწავლისას. ეს შარშან შემოდგომით იყო. სამწუხაროდ მისი გვარი არ მახსოვს. იგი განცვიფრებული იყო ჩემი ვარაუდით და მეხვეწებოდა, იქნებ შევძლოთ ძველი (ნამდვილი) სიტყვების აღდგენაო. თითქოს მეც ეს არ მსურდეს''.

HOMO ECCE

წიგნის გამოცემაში აღმოჩენილი უანგარო ფინანსური მხარდაჭერისთვის, ავტორი უღრმეს მადლობას უხდის საქართველოს პარლამენტის წევრს, მოქავლის წინაშე სიტყვით თუ საქმით თავაწეულ პიროვნებას, ბატონ კობა ნაყოფიას

ასეთნაირი წარდგინებით გამოიცა ბატონო კობა ჩემი შეგრული ლესები წიგნი „ჰოუნანა“. თქვენამდე ჩემი შემოქმედების გამომზეურებას ვერავინ დაჰბერა ზურგის ქარი, თუმცა სამისოდ ვის არ მივმართე, რომელს. ამ წერილებს არ გაახლებდით დამამტკიცებელ საბუთად, ამას წინათ პარლამენტში არ ეთქვათ შემდეგი: პოეტი ემალ შონია გწვევიათ თურმე წიგნის დაფინანსების თაობაზე. თქვენ იმ ჯუგუფს ამნაირად შეხმიანებიხართ. ჩემი შეუღლე გვარად სოფიაა. ბიძა ჰყავს იმას ლიტერატორი, და მიუხედავად ნათესაური რიდისა, წიგნი მაინც არ დავუსპონსორე, უფულობის გამო კი არა, უნიათოობის გამო. არც თქვენ გამოგიცემთ ნაწარმოებს. მე ერთადერთ კაცს, გური ოტობაიას დავუხმარე წიგნის გამოცემისას და ამ პიოვნებას უნდა მივყვე ბოლომდე, ვინაიდან ვიცი, დიდ მამულიშვილურ საქმეებს აკეთებს და ამავდროულად ნამდვილი ხელოვანიცაა. ამაზე შეტი ჯილდო ჩემთვის წარმოუდგენელია ბატონო კობა, აწი სულაც რომ არ გამოქვეყნდეს ჩემი თხზულებანი, მხრებში გასაშლელად ნამდვილად მეყოფა ეს სიტყვები.

ამჯერად დუბლის გარეშე

ღია წერილი აბსტრაქტული კინოფილმი „სიცოცხლემისჯილის“ მთავარ როლზე მიწვეულ ნინო ხარჩილავას

ნინო, ძვირფასო,მრავალ დღევანდელ დღეს დაესწარით — ხარებას. დაე, ფემინური ბედნი ერება გსდევდეთ სულმუდამ და მამულიშვილურმა საქმეებმა აგამაღლონ თვალმიუწვდენელ მწვერვალამდე!

იცით, მარგალიტი როგორ იბადება?! ოკეანის ფსკერზე მილიონ ობით ნიჟარაა. იქიდან თითოეული იხსნება გარკვეულ პერიოდში, ჰოდა, რომე- ლიღაცა ბედნიერში ქვიშის უბრალო მარცვალი მოხვდება. მერე დაიხურება ჩვენი ქუდბედი ნიჟარა და დროთა მსვლელობაში ის ქვიშის მარცვალი მარგალიტად ჩამოყალიბდება. აი, ეს მარგალიტი ბრძანდებით თქვენ! რატომ მაინცდამაინც თქვენ?!

მე ანთროპოლოგი ვარ და ცოტა რამ გამეგება ადამიანის აღნაგობაზე. უამრავი საბუნები სმეტყველო მეცნიერება გამიცნობიერებია — ბიოლოგია, ასტრონომია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია; თეოლოგიური სკოლები: მართლმადიდებლობა, ზოროასტრიზმი, ბუდიზმი, მუჰამედის მოძღვრება და ახლა, ამ 53 წლის ასაკის გადასახედიდან თამამად შ ემიძლია განვაცხადო — მე ვარ ** მე**-მეთქი. მე დაგინახეთ თქვენ, როგორც ამომავალი მზე საქართველოს ცაზე; როგორც ,,ახალი ნინო'' (იოანე ზოსიმე) ჩვენი ბედკრული სამშობლოსათვის; როგორც 700 000 დიასპორელი ქართველის **ჟანა დ'არკი**. ეს ერთგვარი ბედისწერაცაა ეპოქისგან ნაკარნახევი და ნუ მიწყენთ ასეთი გულდაჯერებით რომ გიცხადებთ: **ამყევით-მეთქი ამ საშვილიშვილო ორომტრიალში!**

ჯერ კიდევ 12 წლის წინათ, მე ჩემი რომან-ტრიადა ,,სიცოცხლემისჯილების'' პირველი წიგნი ,,ფრთოსანი ჭიანჭველას'' მიხედვით კინოსცენარი შევქმენი მხატვრული ფილმისათვის. (რომანი გადმოგცეს. გიგზავნით გაზეთ ,,ოდოიას''. წაიკითხეთ სინოფსისი. გიგზავნით აგრეთვე კინოსცენარის ტექსტს ბ-ნ გიორგი დოლიძის რეცენზიითურთ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ თეატრალური ინსტიტუტის სასცე ნარო განყოფილებაც გავასრულე ექსტერნული წესით), მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ჩემმა ძალისხმევამ ფრთები ვერაფრით შეისხა. ფული ნაშოვნი მქონდა რუსეთიდან. რეჟისორად

ავირჩიე ბუბა ხოტივარი („ლაზარეს“ შემქმნე- ლის ძმა) და თემურ ბაბლუანი („ბეღურების გადაფრენა“, „ძმა“, „უძინართა მზე“), თუმცა იმათ ვერ გარისკეს მაგადანიდან შეპირებული „გასარეცხი“ ფულის ხელის ხლება, ვინაიდან ინვეს- ტორები მოითხოვდნენ ამ სამი მილიარდის (იმდროინდელი კურსით დაახლოებით 3 მილიონი აშშ დოლარის) ადეკვატური თანხის დაბრუნებას გარკვეული დროის შემდეგ. ხოლო ფილმის ჩავარდნის შემთხვევაში, ცხადია, გადამღები ჯგუფი აღნიშნულ ფულს ვერ დააბრუნებდა და ავტომატის წინაშე დადგომას ვინ გაბედავდა?!

ასე გაირბინა 12 წელიწადმა. ახლა, კი, აგერ, გამოჩნდით თქვენ და ერთგვარი შვება ვიგრძენ. მერწმუნეთ, თქვენ იშვიათი ფოტოგენურობით გამოირჩევით, ეს კი პლასტიკასთან ერთად წამყვანი ფაქტორია კინემატოგრაფში. ფილმის სცენარი, რომელიც ჩემს მიერაა შექმნილი, ორი სამყაროს ჭიდილში მბჟუტავი საქართველოს გაუსაძლის ყოფას ასახავს, პიროვნების ტრაგედიას პოლიტიკურ ჭინთვებში, მეორე ქრისტეს მოვლინებას ფაშიზმისა და ბოლშევიზმის შეხლა-შემოხლისას. ეს ინდივიდის სცილას და ქარიბდას შორის ხეთქებაა, რუსეთ-გერმანიას შუა მომწყდეული ჩვენი საწუთრო მეოცე საუკუნის დასაწყისიდან 70-იან წლებამდე. ასე რომ, კეთილ ნების შემთხვევაში თქვენ მოგიწევთ სამი როლის შესრულება — მაფა ჰალიძონხესი — ოქროსთმიანი კოლხი ასულისა თუ მანდილოსნია და ხანტურ ჰალიძონიასი — ამორძალის, მისი შავდალალიანი შვილიშვილისა. ეს უნიკალური ფილმი იქნება თავისი დიაპაზონით, გარკვეული კინემატოგრაფული იღბლიანობის შემთხვევაში მსოფლიო მნიშვნელობის კინოლენტი.

მის განსახორციელებლად (ამნაირი ფორმატის ფილმზე რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი იხარჯება უცხოეთში), 1 მილიონამდე აშშ დოლარი სრულიად საკმარისია. ეს თანხა დიდ ბედენას არ წარმოად- გენს წარმატებული ბიზნესმე- ნისათვის, სამაგი- ეროდ ათმაგად და ასმაგადაც ამოიგებს ფორტუნის გამართლების პირობებში. დღევან- დელ მსოფლიოში პერსპექტიულ ფილმზე უკეთესი ბიზნესი არც არსებობს. იაფი კი იმიტომ ჯდება დასახელებული ფილმი, რომ ჩვენი შესანიშნავი მსახიობები უმუშევრობის გამო მცირედსაც მადლიერე- ბით სჯერდებიან და რაც მთავარია, ყველაფერს ნატურაზე გადავიღებთ. ამასთან მხარში ამოგვიდგებიან სამეგრელოს რაიონები — ხალხით, ფინანსებით. არიან სხვა ხელგამმართველებიც ბიზნესის სამყაროდან. ვფიქრობთ, არც მამამათქვენი, ბატონი გულიკო ხარჩი- ლავაც, დარჩება გულხელდაკრეფილი. აკი, მას გამოუსწორებელ ქველმოქმედსაც ეძახიან ჩვენში — ჟურნალების გამომცემელს, წიგნების დამფინან- სებელს, ასობით ნიჭიერი კაცის ხელგამმართველს.

ჩვენი შემთხვევა განსხვავებულია. **აქ ფულის დაბანდებაზეა საუბარი და არა — ჩუქებაზე, რომელიც ათმაგად და ასმაგად ამოიგებს გაღებულ თანხას დროის უმოკლეს ვადაში (10-15 თვე), თანაც საერთაშორისო აღიარებითა და არნახული პერსპექტივით.** მთავარი როლის შემსრულებელი, სიტყვაზე, ვთქვათ და — ნინო ხარჩილავა, ჩადებული თანხის 8- 10 პროცენტს მიიღებს ჰონორარის სახით. ხოლო ფილმის წარმატების (პრემირების) შემთხვევაში ხომ ჯილდოების კორიანტელს ვერ აუვა! მე „სიცოცხლემისჯილის“ აღიარებისა ყოველთვის მჯეროდა და მჯერა დღესაც, განსაკუთრებით — თქვენი ფოტოების ნახვის შემდეგ.

მოსკოვში ჩამოსვლას მე აგვისტო-სექტემბრამდე ვერ მოვახერხებ (შუათანა ასულის, ანის ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა), იქ დიასპორელ ქართველებთან (უფრო ზუსტად ჩვენი კუთხის ხალხთან) ჩემს შეხვედრას გეგმავენ უკვე მერამდენე თვეა. მე მოსკოველი საზოგადოების წინაშე წარვსდგები პოეტური კრებულით „ოქროს საწმისი“. მე იქ წავიკითხავ ამავე სახელწოდების პოემის პირველ ნაწილს მთლიანად. (იხ. „კირბისი“ № 1, 2006) ეს იქნება ერთგვარი შოკი ჩვენი თანამემამულეებსიათვის, ვინაიდან, გადაუჭარბებლად შემიძლია განვაცხადო: ჩვენზე უძველესი ერი დედამიწის ზურგზე არ არსებობს. დღევანდელი ცივილი- ზაციის მონაპოვრები ჩვენი მიზანმიმართული გაძარცვის ხარჯითაა: პრომეთე, ამირანი, მივიწყებული თუ მიჩუმა თებული წენდიხელი არამხუტუა...

თქვენ იმ ასაკში ბრძანდებით, ნინო, ძვირფასო, და ბუნებისაგან იმდენად შემკულიც (არც სცენაა თურმე თქვენთვის უცხო ჩვენი საერთო მეგობრის, ლაშა გვასალიას რწმუნებით — ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ხართ დაწაფებული, აქედან კი კინემატოგრაფამდე ერთი ნაბიჯია), რომ შეგიძლიათ დღემდე გაუგონარი ძალა მიანიჭოთ ჩვენს გასაცოდავებულ სამშობლოს, ანუ როგორც ჟურნალშია გაჟღერებული: **„ნინოს ციალს ჩრდილოეთიდან“ ხელეწიფება სრულიად გასხვავებული იმპულსი შესძინოს უნდობლობით დამზრალ რუსულ-ქართულ სამომავლო ურთიერთობებს, რადგანაც თქვენ ჩვენი ერის წინაშე წარსდგებით, როგორც 700 000 დიასპორელი ქართველის წინამძღოლი.** ეს ხომ უტოპია არ არის?!

თქვენ გაუცნობიერებლად, თავისთავად მოგენიჭათ ყოველივე ამის შესაძლებლობა. თქვენ, ერთადერთი, ოსტატი, გზის გამკვალავი, სარკე გჭირდებოდათ და ისიც აგერ, ჩემი სახით მოუვ- ლენია უფალს თქვენთვის, თუკი ძველი ანეკდოტის სიტუაციამ არ გვიმუხთლა: **ცხენი რეკავს ცირკში, სამსახურში მიმიღეთო. რა შეგიძლიაო, ეკითხება დირექტორი. გაცხარდება ცხენი, შე ოჯახაშენებულო, ცხენი გირეკავ და ნუთუ საკმარისი არ არისო.** მიმიხვდით?!

ჩემს ოჯახურ პირობებზედაც გეტყვით ორიოდე სიტყვას:

არასდროს მიცხოვრია სამშობლოზე უკეთესად. მწერალი ბედის წერით თავის ქვეყანას უნდა ჰგავდეს. ჩემი რომან-ტრიადა ,,სიცოცხლემისჯილების'' პირველი წიგნის, ,,ფრთოსანი ჭიანჭველის'' რუსული თარგმანის ტექსტი (რომელიც 5 ათასი აშშ დოლარი დამიჯდა) 7 წლის წინათ გავაგზავნე მოსკოვში ,,დრუჟბა ნაროდოვის'' რედაქციაში. მის რედაქტორს, ბატონ ალექსანდრე (საშა) ებანოეძეს, საკმარისად ვიცნობდი მეგონა, მაგრამ უპატრონობით, დღემდე არ დაბეჭდილა. ის კი არა, ამას წინათ რომ შევეხმიანე, **„თქვენი რომანის ტექსტს ვერ ვპოულობთ, ოფისის ადგილმონაცლეობის ჟამს სადღაც დავკარგეთო,"** დამანუგეშა.

არაფერია. გური ოტობაიას შეჩერება შეუძლებელია! უფლის მიერ ხელდასხმულს ადამიანი ვერ დააბრკოლებს.

სამი შვილის მამა ვარ. უფროსი გოგონა მარი, პირველკურსელია ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არქეოლო- გობა სწადია. შუათანა ანი წელს ამთავრებს სკოლას და დიპლომატიაზე ოცნებობს თქვენსავით. ხოლო უმცროსი ბიჭი, კოკა, მეშვიდეკლასელია. მყავს რეჟისორი მეუღლე ნანა ხუფენია. ყოველ- დღიურად ვმუშაობ 12-14 საათს. გამოვაქვეყნე შვიდტომეული. აქედან ორი თქვენ გადმო- გეცათ. დანარჩენ ხუთს — ლექსების წიგნს ,,ოქროს საწმისს'' და ესეისტური მატიანე ,,სუფევის'' ოთხ ტომს მოგვიანებით მიიღებთ, მოსკოვში ჩემს ჩამოსვლამდე. წელებზე ფეხს ვიდგამ და მაინც ვერ გავარღვიე ინფორმაციული ვაკუუმი ჩემი შემოქმედების ირგვლივ (საეთერო ტრიბუნის უქონლობა). ჟურნალს ,,ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა'' ჰქვია, ერთი მწერლის პერიოდიკა, და მართლაც, ყველაფერი ჩემი ხელებიდან გამოდის: ტექსტის აკრეფა, კორექტურა, სპონსორების შოვნა, მასალების მოპოვება და ვინ მოთვლის. კი მეხმარებიან ადგილობ- რივები, მაგრამ ეს ძალზე მცირეა. აი, მაგალითისათვის, ჩვენი ჟურნალის წლევანდელი პირველი ნომერი 500 ეგზემპლარი დაიბეჭდა. აქედან ერთი მეხუთედი იმ დამფინანსებლებს გადავეცი. სირცხვილია, კაცი ფულს გაძლევდეს და ჟურნალიც არ უსახსოვრო?! ამის შემდეგ გულუხვად ვუანდერძეთ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ვინაც ქვეყნის ბედ- ილბალს განაგებენ, პარლამენტარებს, ერუდირებულ პიროვნებებს და ორასამდე ცალი ძლივს დაგვრჩა. იმ ორასიდან დავურიგეთ ბიბლიოთეკებს, გასაყიდადაც გავიტანეთ რუსთაველზე, რაიონებში თვითღირებულ- ებაზე ათჯერ იაფად და მორჩა. აწი უნდა ვეძებოთ ახალი სპონსორები, რათა კომპიუტერში ჩატვირთული ჟურნალი კვლავაც დავბეჭდოთ, 20, 50, 100, 200 ოდენობით, ნაწილ- ნაწილ. ასეთია ჩვენი სიტუაცია. მინდოდა უფრო სოლიდური ტირაჟით დამესტამბა იგი, მაგრამ **ბატონ ჯექალთან შეხვიანებამ ვერანაირი შედეგი გამოიღო. თქვა: ჩამოდის ბატონი გულიკოს ძმაო**, ეგ იყო და ეგ. ჩვენი ჟურნალი ქართულმა მას-მედიამ ამნაირად მონათლა: **„ფანჯარა ოცდამეერთე საუკუნეში"**. ნინო, ძვირფასო, თქვენ მისი სარედაქციო კოლეგიის წევრი ხართ შეუთან ხმებლად, (იმედია, არ იუკადრისებთ ჩვენს გვერდით დგომას), პროექტ ,,გვიმარას'' დამფუძნებელიც და მიაწვდინეთ ხმა სადაც ჯერ არს, თუ სინამდვილეში ვინ ყოფილა ქართული ყოფიერების ჭეშმა რიტი ჭირისუფალი.

თქვენთვის გადმოსაცემ წიგნებს აწი არავის ვანდობ, თვით უსაფარ ლეს ბიცოლასაც კი, დიპლომა ტიური კორპუსის ფოსტით გამო გიგზავ ნით ხოლმე, ან ჩემი ნათლია — ვახტანგ მიშველიას ხელით, თორემ, როგორც ვგებულობ, ისინი თქვენ- ამდე საერთოდ ვერ აღწევენ თურმე. აქვე გულწრფელად მეცი ნება ერთ გარემოებაზეც: მამა თქვენს, ბატონ გულიკო ხარჩილავას, რატომღაც საგულდაგულოდ უმალავენ ჩემს პიროვნებას. ჩვენს შეხვედრაზე ნაკლებად იზრუნეს, როგორც შინა- ურებმა, ისე — გარმიანელებმაც. ალბათ, არის მიზეზი, რათა ზოგიე რთის უმწეობა ხელის ერთი მოსმით ა რ გაქარწყლდეს ჩემი გამოჩენით. აბა, როგორ უნდა გავიგო ის ფაქტი, რომ მე მამათქვენს, ბატონ გულიკოს, ჟურნალის ნომრები მივუგზავნე, წერილიც ვაახლე იმ ამანათს, საინტე რესო წიგნზე იყო იქ საუბარი და პასუხი დღემდე არ მიმიღია?! იქნებ თქვენ გამოასწოროთ ეს ხარვეზი, ნინო ძვირფასო. თქვენისთანა წყობილი სულისა და სახის ასულს, ალღოც სათანადო უბოძა ზეციერმა უეჭველად. შემოთავა- ზებული ფილმი ,,სიცოცხლე- მისჯილი'' და წიგნი — ,,ქართული დიასპორა'', უწინარესად რუსულ- ქართული ურთიერთობების პერსპექტივითაა საინტერესო, დაუხანებელი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით და ვფიქრობ, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ და ჰკარგავს. დაბოლოს, თუკი ამაო გამოდგება ჩემი მერამდენე მეცადინეობა, თუკი კვლავაც ვერ ვპოვე თანადგომა თქვენეულ

სივრცეში, უფლებას ვიტოვებ ორიენტაცია შევიცვალო სხვა მიმართულებით. მე მეტი დროის დაკარგვის უფლება არ მაქვს. ცაიტნოტში ვარ. ვერ მოვასწრებ სიცოცხლის დარჩენილ დროში უამრავ განსახორციელებელ საქმეს. დამეთანხმებით, ვერავინ გამკილავს ასეთი გადაწყვეტილების გამო. მაგრამ ჩემი ფილმის მთავარი როლების შემსრულებელი — მაფა და ხანტურ ჰალიძონიების განმასახიარებელი, თქვენ იქნებით ერთადერთი. ჩრდილოეთისგან ათწლეულობით უარყოფილს სიხარულით მიპატრონებენ დასავლეთ-აღმოსავლეთი თუ სამხრეთი, თუნდაც პოლიტიკური მოტივაციით.

გიგზანით ,,სიდიზე'' ჩაწერილ ჟურნალს ყდითურთ. მისი დაბეჭდვა გაცილებით ხელმი- საწვდომია მოსკოვში. ციფრულ სტამბას ეს ნამდვილად არ გაუჭირდება. ჟურნალი გადაყვანი- ლია **„PDF''** ფაილში. ჩატვირთავენ კომპიუტერში და მორჩა. თქვენთან თერმული აკინძვაა მიღებული. ასეთ დროს ჟურნალი ყუაზე არ გადაიკეცება და უკეთესი გამოდის ესთეტიკურად. **ყდას ორმხრივი ლამინირება სჭირდება, რომ არ აიბრიხოს.** ვინიცობა ესეც მოუხერხებელი აღმოჩნდეს თქვენთვის,მაშინ გიგზავნით ჩემი ვიზა-ბარათის მონაცემებს და დავბეჭდავ იმდენ ეგზემპლარს, რამდენის დაფინანსებასაც ინებებს ბატონი გულიკო.

INTERMEDIARI: **CITIBANK N. A.**
111 Wall str., New York, N.Y. 10043. ABA: 021000089
TBC BANK's Correspodent Account: # 36127097

BENEFICARY'S BANK: TBC BANK
7, Marjanishvili Ave., 0102, Tbilisi, Georgia
SWIFT: TBCBGE 22 BEN'S Account: 315718507
NOME OF BENEFICIARY: Guiadi Peteiava.

დიპლომატიური კორპუსით მეტის გაგზავნას ვერ ვახერხებ და მომიტევეთ. თქვენთვის კიდევ გამოვნახავ წინდებული ნომრის ეგზემპლარებს, მაგრამ დიდი ტირაჟით — ვერა დასახელებული მიზეზის გამო. აქვე, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრს, საქმის არსში ჩაგახედებთ.

წლევანდელი მეორე ნომერი მიეძღვნება ფასეულობებებს, ანუ იმას, თუ რა საუნჯეები გააჩნია **კავკასიას**, აი, ვთქვათ და კოსმოსური ხომალდით ღია სივრცეში გაგზავნილი ,,ჩაკრულოს'' მსგავსი, სიტყვაკაზმულ მწერლობაში, ფერწერაში, არქიტექტურაში, ქორეოგ- რაფიასა თუ პოლიფონიაში — ეს იქნება კავკასიის სულიერების ერთგვარი ანთოლოგია. აქ გამოჩნდება ვინ ვინაა. ვისი მეობა რანაირი კუთრი წონისაა. მიმიხვდით ჩანაფიქრს?! ჩემი მოსკოვში ჩამოსვლა დიასპორასთან შეხვედრისა და იქ ჩემი პოეზიის წარდგინების მხარდამხარ, ამ მოტივითაც არის ნასაზრდოები.

ზემოთ ჩამოთვლილი წინადადებები თუკი რამდენადმე მისაღებია, იქნებ უფრო შინაუ- რულად მიიტანოთ ყოველივე ბატონ გულიკოსთან. გავიხარებდი, თუკი ბატონი გულიკო ამ ჟურნალის ბედ- ილბლით დაინტერესდება, ნდობას გამოგვიცხადებს და ერთობლივად დავაფუძ- ნებთ მას. ამით ხელ- ფეხი შეგვეხსნებოდა ეკონომიკურად, რედაქციას დავაკომპლექტებდი რამდე- ნიმე ნიჭიერი ჟურნალისტით, ოფისს დავიქირავებდი, ამასთან, გაიზრდებოდა ჟურნალის ტირაჟი და გასაყიდადაც გავიტანდით საზოგადოებაში ხელმისაწვდომ ფასად. არადა, დღეს მისი თვით- ღირებულება თითქმის 20 $-ია?! აქვე გაუწყებთ იმასაც, რომ ჩვენ უკვე მოგვენიჭა საერთა- შორისო სტანდარტების ნომერი — **ISSN 1512 -3456.** ჩვენ ჩავიტვირთებით ინტერნეტში. შემოვივლით მთელს მსოფლიოს და თანდათან საერთაშორისო რეზონანსს შევიძენთ. **დღეს პოპულარული ჟურნალის მესვეურობა წარმატების საწინდარია ნებისმიერი ბიზნესმენისათვის.**

იფიქრეთ რედაქტორის მიერ შემოთავაზებულ წიგნზეც — **„ქართული დიასპორა".**

ხოლო, რაც შეეხება კინოფილმ ,,სიცოცხლემისჯილს'', ეს საკითხი მაღალ ცაშია გადაწყ- ვეტილი განგებისაგან. მე ამ მიყრუებული გარემოდანაც თვალნათლივ ვხედავ ხვალინდელი დღის ბრწყინვალებას, ნინო ძვირფასო! იმ ქათქათა მწვერვალსაც ჩინებულად ვამჩნევ, რომელიც თქვენს პიროვნებას ჯიუტი მოთმინებით უცდის ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს განსადიდებლად!

ჩემი ბინის ტელეფონია: **26 89 10.** გფარავდეთ ყოვლის შემოქმედი უფალი ჩვენი ცაბაოთი!

უღრმესი პატივისცემით, მოწიწებული თავის მოდრეკითა და მამაშვილური ერთგულებით, გულადი ფეტელავა, მწერლობაში — **გური ოტობაია.**

07. 04. 06 წ. თბილისი.

ორიოდე სიტყვა წარმოდგენილ სინოფსისზე

წარმოდგენილი სინოფსისს საფუძვლად დაედო ახალგაზრდა ქართველი მწერლის, გური ოტობაიას რომანი-ტრიადა ,,სიცოცხლე- მისჯილი,'' რომელმაც, როგორც ერთობ საგულისხმო დებიუტმა, ჯერ კიდევ მაშინ მიიქცია მკითხველის ყურადღება, როცა ცალკეული ფრაგმენტების სახით იბეჭდებოდა ჟურნალ ,,ცისკარში'' (1984 წ.), 1990 წელს კი გამომცემლობა ,,მერანმა'' განმეორებით მიაწოდა რომანი მკითხველს და კრიტიკამაც იგი აღიარა უაღრესად მნიშვნელოვან ნაწარმოებად თავისი რამდენადმე უჩვეულო, მე ვიტყოდი, მოულოდ- ნელი ზნეობრივ-ფილოსოფიური პრობლემატიკის რაკურსითა და რაც მთავარი და თვალში საცემი იყო, ერთობ განსხვავებული და დამახასიათებელი წერის მანერით.

ყოველივე ეს ერთგვარ პრეამბულასავით წავიმძღვარე, თორემ სინოფსისი სულაც არ საჭიროებს რაიმე წინასწარ ინფორმაციას, იმდენად ნათელ წარმოდგენას იძლევა ფართომასშტაბიან და შინაგანი ვნებით დამუხტულ, ალბათ, მრავალსერიან მხატვრულ ფილმზე, რომელსაც გვთავაზობს ავტორი.

ერთი კონკრეტული ადამიანის (ათაშანგით დასნეულებულ ალქი მიკოსს აშკარად დაჰკრავს შუა საუკუნეების მისტიკური მოძღვრების მგზნებარე ქურუმთა მომჯადოებელი იერი), რთული ცხოვრების გადმოცემით ავტორი გვაფიქრებს ზოგადადა- მიანურობის პრობ-! ლემებზე, რაც ყოველთვის იყო კაცთა მოდგმის საუკეთესო შვილთა მარადიული განსჯის საგანი. სრული კატეგორი-ულობით უნდა ითქვას, რომ მწერალმა, როგორც სიტყვის ჭეშმარიტმა ოსტატმა, შესანიშ- ნავად გაართვა თავი ამ ურთულეს ამოცანას, მაგრამ ყოველივე ამის კინემატოგრაფული განსხეულება ერთობ რთული იქნება, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ გური ოტობაიას რომანი, წერის მანერის და საერთოდ, ფორმის მხრივ, ერთობ არაკინემატოგრაფიულია და ეს ბუნებრივიცაა. მწერალი, როცა თავის ნაწარმოებს ქმნის, სიტყვას ებრძვის და მხოლოდ ლიტერატურულ გამომსახველობაზე ფიქრობს და არა იმაზე, ამ ნაწარმოებს შემდეგ ხელოვნების რომელ დარგში გადაიტანენ. მაგრამ რაკი რომანში ეკვე შექმნილია შესანიშნავ მხატვრულ სახეთა მთელი სისტემა, მისი ადეკვატური გადატანა ეკრანზე ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ეკრანიზაცია, არ გაუჭირდება ავტორს. ამ რწმენით გვავსებს სინოფსისის ფორმა და სტილიც, იმდენად იგრძნობა აქ, როგორც ლიტერატურულ თხზულებაზე ამბობენ ხოლმე, ძარღვიანი ენა და კინემატოგრაფული პოტენციური შესაძლებლობანი.

ამთავითვე გასათვალისწინებელი და საგულისხმოა პროფესიული (უმთავრესად — ფინანსურ-ტექნიკური) სიძნელეებიც, რაც პრაქტიკულად, ისიც ჩვენს დღევანდელ პირობებში, მეტად საეჭვოს ხდის ჩაფიქრებული ფილმის გადაღებას. აქ უკვე არსებითად დგება საკითხი უცხოელ კოლეგებთან ასე მონატრებული შემოქმედებითი კონტაქტები დამყარებისა, მით უმეტეს, რომ თავად პრობლემატიკა ფილმისა და მისი საერთო არეალი სწორედ ასეთ მასშტაბურობასა და გაქანებას მოითხოვს.

უამისოდ, ენდეთ ჩემს გამოცდილებას, დღესდღეობით და ისიც, ვიმეორებ, ჩვენს პირობებში ეს დიდი მამულიშვილური გაქანებით შემართული იდეა, რომელსაც შესწევს უნარი ესოდენ მაღალი აზროვნების პოეტურ ხილვებს გვაზიაროს, ვერ განხორციელდება და ერთადერთ ნუგეშად, რაკი ,,თავდაპირველად იყო სიტყვა'', ისევ ამ დიდებულ რომანს დავუბრუნდებით და ხშირად დავეწაფებით მის მგზნებარე პასაჟებს.

პროფ. **გიორგი დოლიძე,**
შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტის პრორექტორი კინოს დარგში,
ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი.

,,ჩვენებურების'' მეორე საერთაშორისო ფესტივალზე წარსდგება მშვენიერი ჩვენი ძმისწული წინდებული მოხსენებით და თითქოს ამით დასრულდება ყველაფერი, მაგრამ განგებას ასე არ ნებავს და ელექტრონული ფოსტებით შორეული ძაფები გაილარება ჩვენს შორის. აღმოჩნდება, რომ ნინო ხარჩილავა გამოუსწორებელი პატრიოტია. მერე ფიქრები წამიღებს, ვინატრებ ჩემთვის, რომ ეს გამოსვლა ფრაგმენტი აღმოჩნდეს ნანინატრი მამულიშვილური წიგნისა, რომლის დაბადებას რა ხანია ელის ჩვენი ჭირნახული სამშობლო.

რუსეთში ბევრმა სცადა ქართულ დიასპორასთან მისასვლელი ბილიკების მოძიება, თუმცა ის

გამოცემები ვერასდროს გაცდა კომერციულ მიზანდასახულობებს პრინციპით: კრებულში მოხვდები? ფული გადაიხადე.

ამ აბსტრაქტული ეროვნული წიგნის შემქმნელს, უცილობლად მოუწევს მეტად მტკივნეული საკითხის გამოკვლევა — სამშობლოსა და პლანეტის პროპორციების განსაზღვრა ადამიანის სულში; პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის თანაფარდობას ნებისმიერი მოქალაქის მეობაში.

ვისურვებდი ჩვენს ინკოგნიტო ავტორს მეტი ძალისხმევა დაეტანებინა თავისი თავისათვის, ასე იოლად არ შელეოდა მართლაცდა საშვილიშვილო თემას; ერთხელ და სამუდამოდ გადაეჭრა ასწლეულობით თვალწინ მოციგლიგე რეალობა: მაინც ვინა ვართ ქართველები დროსა და სივრცეში?! საიდან საწყისდება ჩვენი ასავალ დასავალი?! სითგან აღმოვცენებულვართ და სითკენ მივყვებით დანდობილად ჩვენს ბედისმწერალს?!

ამნაირ თხზულებაში სხარტადაა მოსატანი ქართველების ეთნოგენეზი. პროტოიბერიულ რასსა (ჰ ეგელი); ლუმერული ცივილიზაცია (შტაინერი), იგივე ატლანტიდელები. 12 000 წლის წინათ დედამიწას დამანგრეველი კატასტროფა განიცადა — ასტეროდი დაეცა, რომელმაც თვალის დახამხამებაში ჩაძირა ატლანტიდის ოკეანის მასშტაბის ტერიტორია. იწყება დიდი განსახლე ბები.

ამას წინასწარმეტყველებდნენ კატასტროფამდე რამდენიმე წლით ადრე იქაური ქურუმები. ნაწარმოებში წარმოსაჩენია იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი".

12000 წლის წინათ დედამიწაზე მეფდება დიდი გამყინვარება. მის ზედაპირზე დაცემული ასტეროდის ყინულოვანი მასა ჩაჩვრეტს პლანეტის ქერქს და იწყებს თანდათანობით დნობას. რაც კოლოსალურ ატმოსფეროს მოუყარის თავს. დედამიწის ღერძი 38 გრადუსითაა გადახრილი. (ჰ.წულაია). ეს ყველაფერი წარღვნის ბიბლიურ ტრადიციაში ეზოტერიკულადაა ასახული.

ნოეს კიდობანი თავისი პარამეტრების მიხედვით — სიგრძე 300 წყრთა (48 სმ.) ს განე — 50, სიმაღლე 30. მეტრეი) საბოლოოდ ამნაირად წარმოჩინდება:

144 ჩ 24 ჩ 14,4! 49766,4.

და როცა ამ სიდიდეს გავყოფთ მუდმივა 13-ზე, მივიღებთ:

38 28 1, 8 64 135.

რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ ასტეროდის დაჯახების შედეგად დედამიწის ღერძი თავიდან 38 გრადუსით გადახრილა, დროთა ვითარებაში ეს გადახრა 28 გრადუსამდეა შემცირებული და გარკვეული პერიოდის შემდეგ დედამიწის ღერძის გადახრა 1,8 გრადუსამდე დავა, ანუ თითქმის აღდგება ჩვენი პლანეტის თავდაპირველი იერსახე — დღე-ღამის წლიური რაოდენობა გაუტოლდება 360-ს. შუმერების შუამდინარეთში ამნაირი მასშტაბის კატასტროფა, ცხადია, ვერ მოხდებოდა, მაგრამ წმინდა წერილებმა შემოგვინახეს ხსოვნა ატლანტიდის ცივილიზაციის დაღუპვაზე და ნოეს კიდობნის მთიც კონგენიალური სემიტების წყალობით აქედან იღებს სათავეს.

ამ თვალსაზრისით საინტერესო დაკვირვებები მოეპოვება ქართველ ეზოტერიკებს (თ. მიბჩუანი, ზ. ქაფიანიძე) — სვანური კოშკები. მათი ქონგურები 3 ჩ 4 ! 12. ხოლო დედაბოძზე ამოტვიფრული ბორჯღალები მარადიული მოძრაობის სიმბოლო. სვანს სიკვდილივით ეშინია წყლის. ის წყალდიდობას გამორიდებული ინდივიდია. ქართული გენი, პროტოიბერიული სული მოეფინება მთელს დედამიწას — პირინეი, აპენინი, კავკასია, კორდილერია, ჰიმალაი.

ამ თვალსაზრისით სულისშემძვრელი მასალები გადანახულა დასახელებული წიგნის მომავალი ავტორისათვის — ამირანის მითი, პრომეთეს ფენომენი, იგივე წალენჯიხელების თუ სამურზაყანოელების არამხუტუს (მ. ჩიქოვანი, ლოსევი).

პრომეთე ლერწმით მოიპარავს ჰეფესტოს სამჭედლოდან ღვითიური ცეცხლის ნაპერწკალს და მისმიერვე შექმნილ ადამიანებს ჩამოუტანს საშველ-ხსნად. პრომეთე მოზილავს ადამიანების გამოსაძერწად თიხას, ხოლო მისი არყოფნის დროს ძმა ე პითემე ფრინველებს, თევზებს და ცხოველებს გამოძერზავს. უკან დაბრუნებულ პრომეთეს ადამიანის გამოსაძერწად მასალა არ გააჩნია, ამიტომაც იძულებული ხდება ცოტ-ცოტა ჩმოაციცქნოს ძიმის მიერ გამოძერწილ სკულპტურებს. ამიტომაცაა ადამიანის პიროვნება ფაუნური იმპულსების ჯამი. ჩამოუტანს ცეცხლს გამოქვაბულში სიცივისაგან განადგურებულ ადამიანებს და სრულიად ახალ სიცოცხლეს მიანიჭებს მათ. გაივლის დრო. ადამიანების მხრებში გაიშლებიან. ნავსადგურები გაჩნდება ზღვის სანაპიროებთან. ქათქათა სახლების სიმრავლეა ირგვლივ. იხილავს ზევსი ყოველივეს და განრისხებული ბრძანებს; საკადრისად დასაჯონ პრომეთე. აქ პრომეთეს მეგობარი ჰეფესტო შეკრავს

ტიტანს და კავკასიონის კლდეზე მიაჯაჭვავს კანდელებით, ხოლო მკერდში ალმასის ლურმანს გაუტარებს მკვიდრად, რომ თავის აშვება ვერაფრით მოახერხოს.

პრომეთე შეუვალია, მართალი. იგი არათუ ქედს იხრის ზევსის წინაშე, პირიქით — ადამანაშაულებს მას — შენი საკეთებელი მოვიმოქმედე და რისთვის უნდა მოვიხარო ქედიო. დამნაშევე ეს შენ ხარო. არც შენი ხელისუფლებაა მარადიული. ერთადერთმა მე ვიცი თუ როდის დაგამხობენო და მძვინვარე ზევსი ჯურღმულში ჩააგდებს. შემდგომ ისევ ამოიყვას ყნელეთიდან, ოღონდ ახლა არწივს მიუჩენს. ეს უკანასკნელი ყოველღდიურად უკორტნის ღვიძლს.

პრომეთეს ჰერაკლე გაანთავისუფლებს მონობის ჯვჭვისაგან. მოკლავს ზევსის არწივს. ალმასის ლურსმანს ამოაძრობს მკერდიდან. სანაცვლოდ პრომეთეც გაუმხელს ხვაშიადს, რომ ზევსი არაფინით უნდა შეეწყვილოს თეტიდას, პირიქით მოკვდავზე უნდა გაათხოვონ იგი, რომლისგანაც დაიბადება ტროას გმირი აქილევსი.

ამით მოროჩება თითქოს პროტოიბერიელთა მიჯაჭვა და ახსნა კავკასიონის კლდეზე (ზ.გამსახურდია), მაგრამ საქმე გაცილებით რთულადაა.

ყველაფერი იწყება ოქროს საწმისიდან. ედინაცვალი მოითხოვს ფრიქსეს მსხვერპლად შეწირვას, რათა ორქომენი გადარჩეს ხვატისაგან. ჰელე ამაოდ ცდილობს ძმის განთავისუფლებას. ამ დროს მათი დედა გამოაგზავნის გრძნეულ ოქროს ბეწვიან ვერძს, რომლის ფართო ზურგზე მოკალათდებიან და-ძმანი და გაიცევიან. დარდანელის სტრუტესთან ჰელე ჩამოვარდება ვერძიდან. ამიტომაც დაერქმევა მას ჰელესპონტი. ფრიქსე განაგრძლობს მსვლელობას კოლხეთისაკენ. კოლხები აღფრთოვანდებიან ოქროს ვერძით, ვინაიდან ბედნიერების მომტანია იგი ნებმისმიერი ერისათვის. ვერძს მსხვერპლად შესწირავენ ჰელიოს ღვთაებას. ხორცს თავად ინებებენ, ხოლო ტყავს ხეზე ჩამოჰკიდებენ. გაივლის წლები. ფრიქსე აიეტის ზედსიძეა. მას არსდროს ეღირსება კოლხეთიდან გასვლა. ამისთანა ვითარებაში იაზონი ამოტივტივდება ასპარეზზე, ვინაიდან მამის ხელისუფლების წამრთმევი ბიძა ამისთანა პირობას წაუყენებს: თუკი ოქროს ვერძს ჩამოიყვან, მეფედაც ეკურთხებიო. იაზონი შეასრულებს ამ დავალებას მედეას დახმარებით. მაგრამ არსი ზედ წარწერილი სიბრძნეა, რომლის წაკიხვა არ ძალუძს ბერძენს და ამისთვისაც ათავისუფ- ლებენ ქურუმ პრომეთეს. და როდესაც მისგანაც ვერ მიიღებენ სასურველ ინფორმაციას, მოაკვდინებენ. ახლა პრიამეს სამშობოლოს — ტროას მიმოლეწავენ ამ ინფორმაციის მოსაპო- ვებლად, მაგრამ იქაც ვერაფერი იძებნება ოქროს ვერძის საიდუმლოება მასზე წარწერილი ფორმულები დახურული დარჩება ბერძნული სამყაროსათვის — ვინაიდან დაბალი განვითარ- ების ადამიანს არ შეიძლება მაღალგანვითარებული იარაღი ჩაუდო ხელში. ეს საყოველთაო კატასტროფის მომასწავებელია,მსგავსი კატასტროფა უკვე დატყდომია თავზე დედამიწას ატლანტიდის იავარქნის სახით. (გ.ოტობაია).

,. ქართული დიასპორა რუსეთში: მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი. დიასპორის პარამეტრები 7000 000 (ა.პუტინი). დიასპორის შემადგენლობა პროცენტებში. დიასპორის ფსიქოლოგიური სახე. აქვე გადასინჯულია ი. სტალინის ,,კლასიკური'' ფორმუ ლა ერის განმარტების თვალსაზრისით, რომ ერი არის ენის, სარწმუნოების, ტერიტორისა და ეკონომიკური ერთიანობა კონგლომერატი. აქ 21-ე საუკუნეში ერის ცნებიდან ამოვარდნილია ტერიტორია და მას ჩაენაცვლება ინტერნეტი ანუ ინფორმაციული სიხშირე. ჩინეთის კედელმა დაკარგა მნიშვნელობა. თავის დროზე იგი აიგო როგორც ჩრდილოეთის ტომების შემოტევისაგან დამცავი მექანიზმი, ამიერიდან კი უკვე ანაქრონიზმია. ინფორმაციის შეკავება შეუძლებელია, როგოც წყლის ნაკადისა თუ მზის სხივისა.

აგრეთვე დაირღვეულია ერის ცნების მთავარი ბურჯი ენა — არიან ქვეყნები, რომლებიც სხვათა ენაზე საუბრობენ, მაგრამ სამშობლო გააჩნიათ და ეროვნული თავმომწონეობითაც გამოირჩევიან — არგენტინელები, ბრაზილელები და ა.შ. ამერიკის შეერთებულ შტატებში გუშინ თუ გუშინწინ მონათმფლობე ლური ურთიერთობის თეთრკანიანი და ზანგი თანამეწყვილეები არიან დღეს, როცა ამ მიწა-წყლის ნამდვილი მეპატრონენი, ინდიელები რეზერვაუციებში ღაფავენ სულს (აკ. ბაქრაძე).

.. აუცილებელია ჩვენი აბსტრაქტული ავტორი შეძლებისდაგვარად გადასწვდეს დიასპორებს ირანსა და თურქეთში.

ფერეიდნელი ქართველები 300 000 ალემატება ირანში. მათ სარწმუნოება შეიცვა ლეს უკლებლივ, მაგრამ ენა შეინარჩუნეს და იერი. იმედივით ბჟუტავს მათში სამშობლოს სიყვარული, დედა საქართველო.

თურქეთის ლაზისტანი და ქართველო ბაშიც იერ-აღნაგობა ქართულია,მიუხედავად სარწმუნეობრივი განსხვავებულობისა. მათშიც ბჟუტავს თავდაპირველი სამშობლოს განცდა, თუმცა ისინი ბიზნესში ფრიად წარმატებულები გახლავან და 2-3 მილიონი ლაზი საქართველოს იქით მიერთებაზე ოცნებ ობს თავიანთი ,,პატრიოტული'' სულისკვეთებით.

აუცილებელია ჩვენი ინკოგნიტო ავტორი ჩაუღრმავდეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში განთესილი ქართველობის ბედ-იღბალს. სტატისტიკური მონაცემების მოშველიებით დასადგენია ჩვენი ტექნიკური ინტელეგენციის სიდუხჭირე საბერძნეთში, ესპანეთსა თუ გერმანიაში. თავად აშშ-ში ჩვენი ექიმები და ინჟინერები ბავშვებისა და მოხუცების მომვლელებად არიან ჩასულები, თანაც ძირით ამერიკელების ოჯახებში კი არა, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად განსახლებულ რუს ებრაელობაში. ნინოს წაადგება უამრავი კურიოზულ მაგალითი, თუ როგორ ირჩენენ უცხოეთში თავს ქართველი ოსტაპ ბენდერები და კვაჭი კაჭანტირაძენი: პადბოროკ-ბლომანჟეთი აღჭურვილან ისინი, მძღოლები წაუმუხრუჭებენ რომელიმე ზანგ კოლეგას, დაიჯახებენ და ფულს ააცინცლავენ. ან ეროპის გაქათქათებულ მაღაზიაში ტელეკამერის წინ იღლიაში ამოიჩრიან რაიმე ნივთს, მერე მოხერხებულად მიმალავენ და გასვლისას, ოდეს გაჩხრეკვას მოსთხოვს გამყიდველი, მოიწვევენ ადამიანის უფლებათა დამცველს და ამგვარი გზით გააქვთ თავი, ან კიდევ უკიდურესი, სუტინიორობით, ტრეფიკინგითა და არატრადიციული სექსუალური მომსახურებით ლამის გაუკულ- მარ თებულ ევროპაში. დასკვნები ფრიად სულისშემძვრელია მოსალოდნელი.

ჰოდა, ჩვენი მომავლის ბელეტრისტი ბუნებრივია ერთხელაც დაუნჯე ბით გადაავლებს თვალს საკვლევ მასალას, მის სამკვიდ რობელ ადგილს, მატუშკა რუსეთს, მოსკოვს, გადავლებს თვალს ბიზნესმენებს, მეცნიერებს, ხუბუტიებს და ბოკერიებს, სოტკილა ვებს და კიკაბიძეებს, დაბოლოს, ამნაირად ჩამოაყალიბებს საზრისს: ქართველთათვის უფრო უკეთესი ჰუმუსი საცხოვრებელი პირობებისა და მოღვაწეობის თვალსაზრისით, ვინემ რუსეთია, მთელს დედამიწის ზურგზე არ არსებობს. აქედან ფორმულამდე ერთი ნაბიჯია: რუსეთი — ქართველების მეორე სამშობლო.

დარწმუნებული ვართ უფრო ფასეული ნაწარმოები ქართველთათვის ,,ვეფხისტყაოსნის'' შემდეგ დანამდვილებით არ იარსებებს დედამიწის ზურგზე. ასეთი წიგნის დაწერა უფლის კარნახითაა. ამნაირ თხზულებას, დანამდვილებით გვჯერა , სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში გაართმევს თავს ქართველების სადიდებლად და ასაღორძინებლად მომართული ჩვენი შთამომავალი, ვინაიდან წერილა: ყოველი ერი უფალმან ამხილოს ამითა ენითა.

ამერიკის შეერთებული შტატების
ელჩის საქართველოში, ბატონ **ჯონ ბასს**

ბატონო ჯონ,

კეთილი იყოს თქვნი მობძანება საქართველოში. გიხილეთ ეკრანიდან და მაშინვე გამიელვა გონებაში, აი, მეომრული ბუნების ადამიანი.

პროფესიით ვარ ჟურნალისტი და კინემატოგრაფი.

დღემდე განვახორციელე სამი რომაები, 6500-სტრიქონიანი პოემა „ოდოია“, ექვსტომეული ბელეტრიტული მატიანე „სუფევა“ რომელიც საქართველოსთან ერთად მთელი ცივილიზაციის მრავალათასწლოვანი არსებობის დოკუმენტური ბიოგრაფიაა. ვწერ ლექსებს ქართველი კაცი მშობლიურ კილოზე, მეგრულზე პროვანსელი მისტრალის თუ ინდოელი თაგორის ბენგალიურად რომ მოუქოცევდა, მსგავსად. ეს არის და ეს.

ჩემი იურიდიული სახელი გულადი ფეტელავაა, ხოლო ლიტერატურული ფსევდონიმი — გური ოტობაია. ოტობაია ჩემი მშობლიური სოფელის სახელია რუსების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში. საშჯერ მოვახერხე ენგურს გაღმა გადასვლა არალეგალურად. მეგონა დედაჩემს გაეხარდებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა, გაგუდული ხმით შეიცხადა ოთხმოცდა ხუთი წლის მანდილოსანმა: აქ რა ეშმაკმა მოგიყვანაო, დაგასმენს ვიეშე და სიბერეს ჩამიმწარებო. ასეთი დამამცირებელი სიტუაციის მნახველი არა ვარ. შებინდებულიდან მოსახლეობა თავთავის ოჯახებში ჩაიკეტება და მერე ცეცხლი რომ გწვავდეს, ათასიდან ერთიც არ გამოგესარჩლება. მარტო ჩემს სოფელში ე. წ. აფხაზურ-ქართული კონფლიქრის შემდეგ 180 მშვიდობიანი მაცხოვრებელია მოკლული. დახოცილებს საბძელში ჩააგდებდნენ, ცეცხლს წაუკიდებდნენ და პატრონთან ერთად დანაცრავდნენ — სამხილ მასალას სპობდნენ. მარტო ჩვენი მრავალრიცხოვანი სანათესაოდან 12 ადამიანია მათი ხელიდან დაღუპული.

არის ერთი ჩინებული ქართველი კრიტიკოსი, ბატონი გიორგი გაჩეჩილაძე და მისი

დაკვირვებით თურმე საზიარო ომში რუსებს სულ ცოტა ასჯერ მაინც დავუტოვებივართ მარტოდმარტო მტრის პირისპირ. არა და არა! ესენი არ არის საპარტნიორო ხალხი.

ჩვენ არაფერი დავიშურეთ მათთან ნორმალური ურთიერთობისათვის, ფიანდაზით მივართვით მათ ბებრუხანა გენერლებს ჩვენი მწყაზარი ასულები, არაფერი შევინანეთ მათთვის, სულ ჩექმებით გვადგნენ თავზე და დადგა წუთი, როცა მეტის მოთმენა არ შეიძლებოდა — ოთხმოცდაათიან წლებში ვცადეთ დამოუკიდებლობისათვის გაბრძოლება, რითვისაც ალესილი ნიჩბებით გაგვისწორდნენ. იქიდან მოყოლებული განუზომელია ქართველი კაცის ლტოლვა ევრო-ატლანტიკური სივრცისკენ, ფასეულობებისკენ. რომ არა ამერიკის მორალურ-ფინანსური მხარდაჭერები ქართული შემართება ამ გზაზე უდაბნოში აღმოცენებული ნაკადულივით მყისვე ჩაქრებოდა. მადლობა ამ მხარდაჭერისათვის ამერიკის მთავრობას და მის ხალხს. ჩვენ იგივე ვართ ამერიკელებისთვის, რაც რუსებისთვის ათწლეულების მიღმა კუბაა შტატების ყურიძირას.

მაგრამ ჯერ იმ ფასეულობებზე მინდა გესაუბროთ, რომელიც ამ ორ ხალხს მოგვსდგამს:

ყველა საიდუმო კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ პრომეთეშია. მას ყოველდღე ღვიძლს უკორტნის ზევსის არწივი. ხოლო ღამით ტიტანი იშუშებს იარას. ბოლოს პრომეთეს ჰერაკლე ახსნის სამარცხვინო მონობის ჯაჭვისაგან. სიმბოლიკის ენით თუ ვიმსჯელებთ, პრომეთე-საქართველოსთვის დამტყვევებელი ძალა ზევსია, იგივე რუსეთი, ხოლო ამხსნელი — ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკა ევროპული ჯილაგივან წარმოსდგა, ესპანური, ირლანდიური მიგრაციებისაგან, ხოლო მათი შორეული ძირები პროტოქართულ სულიერებასთანაა წილნაყარი. ესეც რომ არა, პრომეთე და ყორონი ძველინდიელების წარმოდგენით იდენტური ცნებებია. ყორონიც პრომეთეს მსგავსად ღვთიურ ცეცხლს მოიტაცებს კაცობრიობისათვის. აქ შეიძლება მინი შეჯამება გაკეთდეს — მითოლოგიური პლასტით რუსეთის მიერ დატყვევებული პრომეთე-საქართველოს ერთადერთი გადამრჩენელი ჰერაკლე — ამერიკის შეერთებული შტატები.

ბატონო ჯონ, ჩემი ენობრივი პლასტი ორი საუკუნეა ნებსით თუ უნებლიეთ გადანასკვია რუსულს. **მე ის პერიოდი გერმანულით ვიყავი გატაცებული, ორიგინალში ვკითხულობდი „ფაუსტს“, მაგრამ რუსული ლამის შშობლიურ ენასავით აღავსებდა ჩვენს ცნობიერებას. ამ გიგანტი ქვეყნის ძრავალ კუთხეში ვყოფილვარ და დღემდე მაოცებს უბრალო ხალხისა და მისი ხელისუფლების რადიკალური** განსხვავება. **ალბათ, ამანაც განაპირობა ჩემი პირველი რომანი „სიცოცხლეშიჯილი“ რუსულად მეთარგმნინებინა პროფესიონალისთვის. 5 000 აშშ დოლარი იმ პერიოდისათვის პატარა ფული არ იყო, მაგრამ მე მწერლობის ასპარეზზე გასვლა მინდოდა და ამისთანა ხარჯებს ნაკლებად დაგიდევდით. ვერ შედგა ჩემი შემოქმედების რუსული სივრციდან ამოტივტივება დანარჩენი მსოფლიოსთვის. გვარიანი ხანხალის შემდეგ ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვში“ ჩემი რომანის დედანი საერთოდ დაიკარგა.** ბოლოს დავასკვენი, რომ ამისი მთავარი მიზეზი ჩემი აქტიური პუბლიკაციები იყო, სდაც რუსულ აგრესიულ პოლიტიკას ყოველთვის ვგმობდი სამართლიანობის პოზიციიდან. ამისი მიზეზი გორბაჩოაისადმი გაგზავნილი ჩემი წერილი იყო, რომელშიც ძირფესვიანადაა მხილებული რუსული დიქტატორული პოლიტიკა. ამისი მიზეზი ჩემი მეორე რომანი ,,როკის'' გამოსვლა იყო, სადაც მხატვრულ ფერებშია ასახული, საბჭოეთის თუ, საერთოდ, ველიკორუსული შოვინიზმის დრაკონული ბუნება. აქედან გამომდინარე, რადგანაც კაგებეს არ ძინავს, ჩემი რომანის ტექსტი დიახაც უნდა დაკარგულიყო ,,დრუჟბა ნაროდოვში''. **ბედნიერი ვარ ახლა ყველაფერი მსგავსი სცენარით რომ წარიმართა — მტრის აღზევებულს მომავალი არ უწერია. პირიქით მე ვკრძალავ გური ოტობაიას ლიტერატურული მემკვიდრეობის რუსულ ენაზე გამოცემას, სანამ ეს იმპრეიალიტური აზროვნების საზოგადოება ჰუმანისტური იდეალებით არ აღიჭურვება, სანამ არ მოიშლის ძალისმიერი პოლიტიკით თავნებობას.**

ესეც რომ არა რუსეთი ჩემი შემოქმედების მისაღებად ნაკლებად იყო მზად. დროთა ვითარებაში აღმოჩნდა, რომ მე ატლანტიკური ფასეულობების მატარებელი უფრო ვიყავი, ვინემ სლავურის. ჩვენ თავიდან ტომ სოიერითა და ჰეკლბერი ფინით აღვიზარდეთ, ამას დაერთო ლონდონის ოქროს ციებ-ცხელება, მოგვაიანებით ყველაფერი გადაფარა ფალკნერმა, **რომელიც ახლა ჩემი სულიერი მამაა. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, როცა მსოფლიოში პირველმა ნობელიანტების სერიალის გამოცემა დავიწყე, პირველი პუბლიკაცია ფოლკნერს დავუთმე —„ხმაური და მძვინვარება“, „დათვი“.**

საქმე ის გახლავთ, რომ „ცნობიერები ნაკადის“ მიმართულებით რუსულ სიტყვიერებას

ნაბიჯიც არ წარუდგამს დოსტოევსკის შემდეგ. ეს მეთოდი მის „დანაშაულსა და სასჯელშია“ ჩანასახის სახით, როცა როდიონ რასკოლნიკოვს შიგადაშიგ შემოუფრინდება გონებაში ფრაზები დედის წერილიდან, რამეთუ ძმის კეთილდღეობას ულირსებო ქორწინებით ვინმე მერმელადოვთან უნდა შეეწიროს მისი მშვენიერი დაია. ვერც აითმათოვთან, ვერც რასპუტინთან, ვერც სხვასთან ამ მეთოდის ნასახს იოტისოდნადაც ვერ დალანდავთ. მაშინ როცა ფოლკნერი სიტყვა ანკარაა, გამჭვირვალე და ამავდროულად თვალუწვდენლად ღრმა, განგრევს, გნაცრავს თავისი გასაოცარი გრადაციით.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, სიტყვიერებას ნაზიარები ვარ ედგარ ალან პოს „ყორანითა“ და უილიამ ფალკნერის „ხმაურითა და მძვინვარებით,“„აგვისტოს ნათელით,“ „აბესალომ, აბესალომით,“ სხვანით და სხვანით. ცხოვრებაც ფოლკნერისეული მერგო — ჩვიდმეტი წლის ასაკში დამეღუპა გოგონა. აქედან გამომდინარე, მიკვირს ახლა ასაფრენი ბილიკებს თავგადაკლული რისთვის ვეძებდი რუსული სივრციდან?!

არის კიდევ უმთავრესი შტრიხი, რომელიც ქართულ სულიერებას ამერიკულთან ანათესავებს. საქართველო ტოლერანტობამ გადაარჩინა. ქართველი იტყვის: თათარიც დედის შვილია. ხოლო ქართული ლექსის მიხედვით ვეფხისა და მიყმის ბალადაში, ორთაბრძოლისას მოკლული ჭაბუკის დედა განგმირული ვეფხვის დედისკენ მიეშურება, რათა სამძიმარი უთხრას — იქნებ ვეფხისა დედაი ჩემზედ მწარედა სტირისა. ეს მედალიონი ერთი მხარე, მაგრამ არსებითი უფრო მეორეა. მე სტენლი კრამერის „გადაჯაჭვულნზე“ ცრემლები წამსკდა, როცა თავისუფლება ნაბოძები ზანგი აჰა, კვლავ პატიმრობისთვის განწირულ თეთრკანიანს მიეახლება და ძმურადაც გადახვევს ხელს. ათასი წელიც რომ იარსებოს რუსეთმა იქ აერასდროს გახდება პრეზიდენტი „საკმაოდ შერუჯული“(ხეპრე ბერლუსკონე) პიროვნება. ამ აქტით ამერიკამ საბოლოოდ გადალახა შინაგანი ყოტანი ფერსა და აღნაგობას შორის, აქ გადალახულია რელიგიური მიკორძოებები და რომ მკითხოს კაცმა, დღეს არ არის მსოფლიოში მეორე ქვეყანა, რომელიც ასე ზედმიწევნით პასუხობდეს საუკუნის მერმინდელ სოციალურ-პოლიტიკურ მოთხოვნებს.

მარტივ მაგალითს მოვიშველიებ. თვეების წინათ თქვენს კოლეგას ვესტუმრე საელჩოში. საელჩოების მეტი რა მიხილავს თბილიში, ყველა მზამზარეულ შენობას დახარბდა, შიგ განთავსდა ფრთამოჭრილ ძერასავით. აი, თქვენმა ქვეყანამ კი ნამდვილი თავისი ბუნება გამოავლინა, ამოირჩია ახალი სივრცე, თავისი ხელით აღმართა ფეშენებლური შენობები, კოხტა გაზონები, სკვერები. ეს ყველაფერი თვალს უხარია და მიანიშნებს, რომ თქვენ ხართ სიტყვის და საქმის ხალხი.

ბატონო ჯონ, სიტყვა გამექცა, მაგრამ მთლად უთქმელობაც არ იქნებოდა, აქედან გამომდიგარე ჩემს ძირითად სატკივრსაც მივუახლოვდი. ზემოთ მომიხსენებია ჩემი პირველი რომანი „სიცოცხლეშისჯილის“ გადარუსულების პერიპეტიებზე. ახლა თავად რომანს წარმოგიდგენთ ორიოდე შტრიხით. ეს არის წმინდა სისხლის „ცნობიერები ნაკადის“ პროდუქტი. მთავრი გმირია ევგენიზმით, ანუ ხელოვნურად გაჩენილი ბიჭის ცხოვრება. მამას უნდა მისი მეშვეობით ახალი ქრიტე მოუვლინოს სამყაროს და მთელი ტრაგედიაც აქედან იწყება. ეს რომანი ოთხმოცდაათიან წლებში გამოქაყყნდა საქართველოში, სამჯერ გამოიცა საკმად სოლიდური ტირაჟით, მაგრამ წიგნიერმა ხალხმა ნაკლებად მოიცალა მისთვის — როცა ზარბაზნები ქუხს მუზები დუმან. ასე რომ, როგორც ქართველი მკითხველისათვის, ისე დანარჩენი მსოფლიოსათვის ეს რომანი ხელახლაა აღმოსაჩენი.

ბატონო ჯონ, მე რა მოტივაციით უნდა შემეწუხებინეთ ხელმწიფის ტოლი კაცი, მაგრამ ახლა, ამ სიტუაციში ჩემზე საინტერესო შემოქმედი, ალბათ, სანთლითაა საძებრი: რუსებისგან ამშობლოწართმეული მწერალი, რომელიც საშვილიშვილოდ ზურგს შეაქცევს ველიკორუსული შოვინიზმით მოწამლულ სივრცეს და ცლილობს ჭეშმარიტი არეალისკენ გაიკვლიოს გზა, სულიერად ნათესაური არეალიკენ, რომელსაც თავისუფლების ბაირახტარი ამერიკა ჰქვია სახელად.

ჩემი თხოვნა უმარტივესია ბატონო ჯონ, მე ვეძებ პრესტიჟულ გამომცემლობას, რომელიც გარკვეული მოლაპარაკების შემდეგ ხელს მოჰკიდებდა ჩემს რომანს. ჩვენ ვცადეთ ინტერნეტით დავკონტაქტებოდით ამ ხალხს, მაგრამ უშედეგოდ. სანამ რეალური გარანტიები არა მექნება, რომანის ინგლისური თარგმნისთვის 10 000 აშშ დოლარს ნამდვილად ვერ გავიღებ. ისედაც ძლივს ვართმევთ თავს ყოველდღიურ სიდუხჭირეს.

ლიტერატურულ სარბიელზე ამოტივტივება იღბალზეა. ზოგს ადრე დააბერტყავს უფალი თავის მადიან კალთას, ზოგს — მოგვიანებით. ამდენ ხანს რომ ჩრდილში მამყობა

ზეციერმა, იქნებ ყველაფერი მისი განებითაა. იქნებ, დიახაც, თქვენ ბრძანდებით ის პიროთვნება, რომელიც კავკასიონი ქედზე მიჯაჭვულ პრომეთეს — ამჯერად გური ოტობაიას შემოქმედებას, თქვენგან, თავისუფლებისათვის ხმალშემრთული ამერიკის ელჩიგან საქართველოში, ბატონ ჯონ ბასისგან ელის ახსნა მომქანცველი **ბორკილებისგან?!**

საქართველოს პრეზიდენტს,
ბატონ **მიხეილ სააკაშვილს**

ბატონო მიხეილ,

ორიოდე თვის წინათ მოგმართეთ წერილობით, (20 / 131, 121. 10. 09), მაგრამ იმ წერილმა ჩანს, თქვენამდე ვერაფრ მოღწია. მე იმ წერილში ვითხოვდი პრეზიდენტის ფონდიდან ფინანსურ დახმარებას, მაგრამ აპარატის მუშაკებმა, წერილი გადაამისამართეს კულტურის სამინისტროს მიმართულებით, სადაც დელიკატურად მაუწყეს, რომ ჩემი ექვსტომეულის გამოსაცემი თანხა მათ წლეულს არ გააჩნდათ, ხოლო საგაისოდ ტენდერში თუ გავიმარჯვებდი, პრობლემა მოიხსნებოდა.

ბატონო პრეზიდენტო, მე პირველ წერილში გაუწყებდით, რომ ოცწლიანი რუდუნების შემდეგ დამამთავრებია ექვსტომეული „ენგიდუნია“— მრავალათასწლოვანი საქართველოს ბელეტრიტული მატიანე. ამ ნაწარმოებში გამოკვეთილი ადგილი უკავია თქვენს იშვიათ ფენომენს, ბატონო მიხეილ, თქვენს დაუცხლომელ ბრძოლას პარლამენტიდან თუ იუსტიციის სამინისტროდან, „ვარდების რევოლუციას,“ მის წინაპირობას და მიზეზებს, მომდევნო პერიოდს, რომელიც ერთმთლიანი ჯაჭვივითაა რგოლებად ასხმული.

გაუწყებდით იმასაც, რომ მე მთელი ჩემი შემოქმედებით, ჟურნალი „კირბისით“ მხარში გედექით საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნებისას, საბანკო სესხებით დამისტამბავს ის ნომრები და უსასყიდლოდ გამიტანია ხალხში.

ბატონო პრეზიდენტო, კვლავაც გავბედავ მოგმართოთ თხოვნით, რათა პრეზიდენტის ფონდიდან გაგვიწოთ ფინანსური დახმარება. ექვსტომეული „სუფევა“ უკვე მზადაა გამოსაცემად. მის დასტამბვას 24 ათასი ლარი სჭირდება 500 ეგზემპლარის განხორციელების შემთხვევაში, მაგრამ ჩვენ ვითვალისწინებთ ქვეყანაში შექმნილ მძიმე ფინანსურ სიტუაციას და მადლიერებით დავჯერდებით სამი ტომის საფასურს, 12 ათას ლარს. დანარჩენ თანხას მერე და მერე სხვა სპონსორებთან მოვიძიებთ.

უფალი გფარავდეთ ბატონო პრეზიდენტო!

საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს,
ბატონ **ნიკოლოზ რურუას**

განცხადება

ოცწლიანი მომქანცველი შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ დავამთავრე მხატვრულ-დოკუმენტური ხასიათის ბელეტრისტული მატიანე „სუფევა“, ორასფორმიანი წიგნი ქართულ ცივილიზაციაზე.

შარშან, 2009 წელს, განცხადებით მივმართე საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს და მის ფონდს ფინანსური მხარდაჭერისათვის. სახელმწიფო კანცელარიის შესაბამისმა სამსახურმა (მ. ლომია) თქვენზე გადმოამისამართა ჩემი განცხადება. მოგვიანებით, თქვენი მოადგილე, ქ-ნ მ. ჭოღოშვილის წერილიდან (20309333762. 10. 11. 2009.) ირკვევა, რომ 2009 წლის გამოცემათა მიზნობრივი ხელშეწყობის სახსრები ამოწურულია, ხოლო ამ წინადადების განხილვა შესაძლებელი გახდება 2010 წლის ბიუჯეტის პროგრამების პრიორიტეტების განსაზღვრის შემდეგ, თუკი ამ წიგნს გამოცემის საკითხს კვლავაც დავაყენებ სამინისტროს წინაშე.

A-5 ფორმატის ექვსწიგნეული „სუფევა“ ჩაფიქრებული იყო, როგორც მრავალათასწლოვანი პროტოქართული ცივილიზაციის იერ-სახე მხატვრულ ფერებში. წიგნმა ბოლო თვეებში გარკვეული რეკონსტრუქცია განიცადა და ახლა იგი თქვენს წინაშე წარმოდგენილია A-4 ფორმატის საპტომეულ თხზულებად. სამივე ტომის 500-500 ეგზემპლარის გამოცემას შავ-თეთრი ფოტოებით, სჭირდება 24 000 ოცდათოხი ათასი ლარი. (სასტამბო ხარჯთააღრიცხვა თან ერთვის).

კულტურის სამინისტრო ბოლო დროს დიდ ყურადღებას უთმობს ჩვენი სახელმწიფოებ- რიობის ბურჯის — ხელოვნების სხვადასხვა დარგების, მათ შორის სიტყვაკაზმული მწერ- ლობის შთამბეჭდავი ნიმუშების თანადროულ დაფინანსებას.

წარმოდგენილ წიგნში აკუმულირებულია მსოფლიო სიბრძნე, ზოგადკაცობრიული ფასეულობანი და ვფიქრობთ, მისი თუნდაც მცირე ტირაჟით გამოცემა ბევრად წაადგება ჩვენი მომავალი თაობის მსოფლიო მოქალაქედ ჩამოყალიბების საშვილიშვილო საქმეს. (საპტომეულის პარამეტრები თან ერთვის).

ბელეტრისტული მატიანე **„ენგიდუნია“**

„ენგიდუნია“ მრავალათასწლოვანი ქართული ცივილიზაციის წარმოჩენის პირველი მცდელობაა ბელეტრისტიკაში დიდი ილიას ანდერძის მზეგანით: „მამული, ენა, სარწმუნეობა“.

„ენგიდუნია“ საპტომეულია. A-4 ფორმატის. იბეჭდება ფერად, მაგარ გარეკანში. მასში განთავსებულია ათასზე მეტი ეთნოგრაფიული, პეიზაჟური, პორტრეტული ხასიათის შავ-თეთრი ფოტო,

ტომი პირველი (520 გვ.).

მამული: „შურობუმუ“, „მეიროხანი“, „ინფორმაციული ომის ლელო“, „ძუძუმტე“, „მარტოსული ხეობის მახვში“, „ჭურიის დარსუ“, „ურყევი, ვითარცა ძელქვა“, „საქართველოს უკვდავების ფორმულა“.

პირველ ტომში თანამიმდევრულადაა დახატული, თუ ვინ ვიყავით პროტოქართული მოდგმის ხალხი 6, 5 ათასი წლის წინათ, რა შეხების წერტილები გვქონდა შუმერულ, ეგვიპტურ ცივილიზაციებთან. რატომ არის გაიგივებული საქართველო კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ პრომეთესთან, რომელსაც ინდოევროპული არწივი (რუსეთი) ღვიძლს უკორტნის დღემოსწრება და რომელსაც ისევ ინდოევროპელი გმირთა გმირი ჰერაკლე (ამერიკის შეერთებული შტატების ეზოტერიკული პროტოტიპი) იხსნის მონობის დამამცირებელი ბორკილებისგან.

ტომი მეორე (512 გვ.).

მამული: „შუმლი მუხასა“ აფხაზეთისათვის“, „თაკარ!“, „იოანე მარუშიძის ძეობილი“, „გზა საქართველოს თავისუფლებისაკენ“, „ხიდები საქართველოს აღდგომისათვის“, „ახალი აზროვნების ეპოპეა“, „ენერგეტიკული სახრჩობელა“,„ვარდების რევოლუციის“ შავ-თეთრი კოორდინატები“...

მეორე ტომში გრძელდება პირველი წიგნის სულისკვეთება, შთამბეჭდავი ფაქტებით დასტურდება ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლის ხანგრძლივი პროცესი, რომელსაც სულზე მოუსწრებს „ვარდების რევოლუცია“. ამ წიგნში დახატულია აფხაზეთის დაცემის ამაზრზენი სურათები; ჟიული შარტავა პიროვნება, რომელსაც ქარულ მიწას შეაჭმევენ მტრები ზვიადაურის მსგავსად, მაგრამ კაპიტულაციის წერილზე ხელს ვერაფრით მოაწე- რინებენ; ნაჩვენებია ქართველი ჯარისკაცის მკერდი, ჭრილობაში აფხაზებისთვის შიშის- ზარის დამცემი „მხედრიონის“ მედალიონი რომ შეუნახავს. „ვარდების რევოლუცია“ გაარღვევს ინფორმაციულ ზღუდეებს და მთელს მსოფლიოს დაანახებს ოცდამეერთე

საუკუნის დრაკონის — რუსული იმპერიალიზმის ნამდვილ სახეს, რომელიც არანაკლებ საშიშია სრულიად მსოფლიოსათვისაც.

ქართული ხელების ჯაჭვი არ ეპუება რუსული ბომბების ცვენას, ვინაიდან ქართველი, კავკასიური ჯიშ-ჯილაგი — იბერიელები, კოლხები, ვაინახები, ჰიქსოსები (რამზესების დინასტიის ფუძემდებელი ტომი, რომელიც ნილოსის შესართავთან დაარსებს ქალაქ ავარას და სამას წელიწადს ბატონობს ორსავე — ზემო და ქვემო ეგვიპტეში), ევროპეიდული რასის სათავეა ჰეგელის რწმუნებით.

ტომი მესამე (528 გვ.).

ენა: „თავდაპირველი“, „ვიწყებ ბელეტრისტულ გამოძიებას“, „დათა თუთაშხია“ ქართული რომანის მწვერვალი“,„ჭკვიანი რძალი“ (რეცენზია საქართველოს პირველი ლედის, ქ-ნ სანდრა-ელისაბედ რულოვსის წიგნზე „იდეალისტის მოგონებები“; პორტრეტი ნიდერლანდელების ამაღლებულ ასულზე, რომელსაც თვინიერად შეუსწავლია ქართული, სარწმუნოებით კათოლიკეს მიულია მართლმადიდებლური აღმსარებლობა და უმშვენიერესად ამღერდება ქართული პოლიფონიური საგალობლებით);

სარწმუნოება: ხეცნობადი, მატრიცა, პროექტი „გვიმრა“.

„ენგიდუნიას“ დამაგვირგვინებელ მესამე ტომში განიხილება ენისა და სარწმუნეობის როლი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფორმირების გზაზე. აქ თვალსაჩინოდ აეხდება ფარდა ბოლო დროინდელ ტენდენციებს, რომელთაც შესაძლოა ჩვენს დამოუკიდებლობას პრობლემები შეუქმნან სათანადო ინსტანციებისაგან წაყრუების შემთხვევაში. სალიტერატურო ენის — ქართული ენის ჩამოყალიბებისათვის საუკუნეების მანძილზე მუხლჩაუხრელად იღვწოდა სრულიად საქართველო: სვანეთი, სამეგრელო, ფშავ-ხევსურეთი. ქართულმა ენამ შეიწოვა, შეისხლსორცა ყველა სასარგებლო შრე მშობლიური დიალექტებისა თუ კილო-კავებისა და შეიძინა მთელის მნიშვნელობა, რომელსაც ვერასდროს გაუტოლდება ნაწილი. ამიტომაც ბიბლიის, სხვა შედევრების თარგმნა სვანურად, მეგრულად, ლაზურად, ჩრდილოელი მტრის შემოცურებული ნაცადი იარაღია — „გათიშე და იბატონე“-ს სულისკვეთებით. მაგრამ დანარჩენი საქართველო თუკი იმღერებს საკუთარ კილოზე და ამით ზოგადეროვნულ ცნობიერებას გაამ- დიდრებს, გააჯანსაღებს — მისასალმებელია, რამეთუ ნებისმიერი მდინარე დაიშრიტება შენაკადების იგნორირებით.

წიგნში დახატულია მსოფლიო სულიერების მოზაიკური სურათი: წარმართული რწმენები, მართლმადიდებლობა, კათოლიკური აღმსარებლობანი, ბუდიზმი, მუსულმანიზმი და „ყურანის“ სურათა დოგმები, იეჰოვას მოწმეები. ამ განაკვეთში ავტორი სამაგალითოდ მოიშველიებს დავით აღმაშენებლის ფენომენს და ანახებს ერთი ჰექტარი მიწის ფართობზე როგორ თანაარსებობენ სინაგოგას, მეჩეთის, გრიგორიანული ეკლესიის, მართლმა-დიდებლური ტაძრის მრევლნი. ჩვენ თუ გადაგვარჩენს — მხოლოდ და მხოლოდ აღმსა-რებლობა — არა თმის გადაკრეჭვა იეჰოველებისა მღვდელი მკალავიშვილის მსგავსად, არამედ — თანალმობა, თანაქმედება, რადგანაც არ არსებობს ქრისტეზე უკეთესად ნაანდერძევი შეგონება — გიყვარდეს მტერი შენი! (რამეთუ არ იცის რასა იქმს. ხოლო ანტიადამიანურს ადამიანები უცოდინრობის გამო მოიმოქმედებენ. რაც შეეხება უცოდინრობას, ისეთივე სენია, როგორც — სულითმპყრობელობა. სულით ავადმყოფობის გამო კი ადამიანები არ უნდა ისჯებოდნენ, არამედ იკურნებოდნენ.

ბელეტრისტიულ მატიანე „სუფევას“ სააშკარაოზე გამოაქვს ყოველი ქართული საუნჯე და მთელი ცივილიზაციის საკუთრებად მოიაზრებს. „სუფევა“ ეზანმიმართულად მოიშველიებს აპოლონის ტაძრის ფრიზის სენტენციას — „შეიცან თავი შენი“ და ამ გონგახსნილობის შემწეობით, საკუთარ თავზე მეტად შეივრდომებს რა მოყვასს თვისას, თავად დაპირისპირ- ებული ძალისკენაც (მტერსაც რომ ვეძახით გაუცნობიერელად), მიმართავს მოწყალე მზერას, რამეთუ სრულიად დედამიწის მოქმედების ხვალინდელი-ზეგინდელი კრედო ქართველი დედისა და ქრისტეს ბეწო ფრაზებშია დატეული: „იქნება ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა ტირისა“; „გიყვარდეს მტერი შენი!“

ღია წერილი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ **გიორგი ბარამიას**

„ბატონო გიორგი,

ოცი წლის დაუღალავი მუშაობის შემდეგ გასრულდა გური ოტობაიას ესეისტური მატიანე „ენგიდუნია," რომლის ხერხემალი არსებითად აფხაზეთია. იგი უკვე მომზადებულია გამოსაცემად. თემატიკის მოცულობის გამო თხზულება ერთობ მონუმენტური გამოვიდა – ექვსი ტომი. ამ მონუმენტურ ნაწარმოებში განთავსებულია აფხაზურ-ქართულ კონფლიქტთან დაკავშირებული ყველა საკვანძო საკითხი: დოკუმენტური მასალები აფხაზების ეთნო-გენეზისზე, უთანასწორო ინფორმაციული ომი ველიკორუსულ მანქანასთან, ქართველი მეომრების თავგანწირული ბრძოლა სამშობლოსათვის, სოხუმის დაცემა, გაგრის სტადიონი, საკენი... ინტერვიუები, ნარკვევები, ესეები კოლორიტულ პიროვნებებზე, როგორებიც იყვნენ და არიან, ბატონები: ვოვა მგალობლიშვილი, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე, ჟიული შარტავა, თამაზ ნადარეიშვილი, ჯანო ჯანელიძე; რუზგენ გოგოხია, გენო კალანდია, გურამ ოდიშარია, რამინ აბლოთია, ძმები გამახარიები, ჯანი ეზუგბაია, გურამ დადუანი, სხვანი და სხვანი. ექვსტომეულში თავმოყრილია 700-ამდე პერსონაჟი, აფხაზეთის ომისა და დევ- ნილობის ამსახველი 1500 მეტი ფოტო. მისი 500 ეგზემპლარის გამოსაცემად საჭიროა 24 ათასი ლარი. ავტორმა დიდი სულიერი და მატერიალური რესურსები შეალია „ენგიდუნიის" შექმნას ოცი წლის მანძილზე და ახლა ქველმოქმედი და პატრიოტი ხალხის ხელშეწყობით ცდილობს მის გამოცემას.

ბატონო გიორგი, ჩვენი თხოვნაა, თქვენი ფონდიდან იქნებ გამოიძებნოს ამ ექვსტომეულის თუნდაც ორი წიგნის გამოსაცემი თანხა."

ამნაირი წერილით მოგმართეთ ბატონო გიორგი რამდენიმე თვის წინათ. ეს წერილი თქვენ თურმე აფხაზეთის განათლების სამინისტროსკენ გადადაგისამართებიათ (მინისტრი, ქალბატონი დალი ხომერიკი) და როგორც მითხრეს, გამოძებნილია სახსრები ექვსტო- მეულის ორი წიგნის გამოსაცემად, მაგრამ უფალს ვიმოწმებ, არაფრით გავეკარები იმ თანხას, ვინაიდან ახლახან ფრიად უსამართლო ქმედების მოწმე გავხდი თქვენგან. ჩემი ექვსტომეულის ყველაზე კოლორიტულ პიროვნება, აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი, ქალბატონი დალი ხორავა, სრულიად უსაფუძვლოდ, სხვათა პასკვილებზე დაყრდნობით და შეცდომაში შეყვანილმა, უსარგებლო ნივთიერებით მოისროლეთ ქუჩაში.

მერედა, რომელი დალი ხორავა, რომელსაც თქვენი განთავისუფლების ბრძანება ინკოგნიტოდ აუფრიალეეს თვალწინ ქვეყნის პრეზიდენტის უმაღლესი ჯილდოს გადაცემისას. ეს ის დალი ხორავა გახლავთ, აფხაზეთის მშვიდობიან თუ კატასტროფულ დღეებში თავის თავზე ღებულობდა ყოველ დარტყმას. ოთაარაანთ ქვრის ბუნების წყალობით არასდროს ეპუებოდა ცხოვრებისაგან მოსართებულ უბედურებებს და სულის უკანასკნელი ნათება სამშობლოს საკურთხეველთან მიჰქონდა. მე მახოვს ეს ხორბლისფერი ქალბატონი მამაკაცურ ფარაჯაში გამოწყობილი, ,,რანტავოი'' ჩექმებით, ორსანტიასა და ხურჩაში, ჯვარზენსა და დარჩელში, ყველგან, სადაც კი ჩვენს ჯიშ-ჯილაგს უჭირდა. მე მახსოვს ეს ქალბატონი გალიდან მეორედ გამობუნძურების პერიოდში, კოდორის ხეობაში. იქ ელვისებურად აღმოცენდა მიკრო-ქალაქი მისი შეუდარებელი ორგანიზაციული ნიჭის წყალობით. მან უამრავი დონორი მოიზიდა საკუთარი კო მუნიკაბელობის წყალობით და ათასებს მისცა საშველი. ჩვენ ეს ყველაფერი მიუკერძოებლად ავსახეთ ,,საფევაში'', მაგრამ გური გური ოტობაიას ექვსწიგნეულის სანდოობა რა ბედენაა, როცა პრეზიდენტის უმაღლეს ჯილდოაც ფარატინა ქაღალდია თურმე

აი, რატომ არ ვინდომე თქვენს მიერ მესამედით დაფინანსებული წიგნის გამოცემა. არ ვინდომე იმიტომაც, რომ მე თქვენ არსად მინახივხართ იმ ავბედით დღეებში, არც ,,პაზიციებზე'' სანგრებში, როცა სოხუმს თავზე ბომბების მეხთატეხა ჩამოსდიოდა; არც საკენის გზაზე, როცა ჯანი ეზუგბაიას და გენო კალანდიას ფეხსაცმლებს ლანჩები მოეცვითა, შნუროკებიღა შემორჩათ; არც მაშინ, როცა ცხონებული ჯანო ჯანელიძე მიტინგებზე ბობოქრობდა. არც მაშინ, როცა ჩვენს და-ძმებს სამოწყალო სავაჭრო ადგილებიდან უსულგულოდ ყრიდნენ პოლიციელები და მათ სადარაჯოზე ხმიალამოღებული ბობოქრობდა ნეტარი თამაზ ნადარეიშვილი; არც კაკო კოხიას სიაღლოვეს მიხილათ სავალალოდ, რომელიც ჩემი ერთ-ერთი რომანის

კოლორიტული პერსონაჟია. მოკლედ, მოულოდნელად გაბრწყინდით აფხაზეთის მთავრობში, ცისარტყელასავით და სანათესაო მთიებივით შემოიკრიბეთ გარშემო.

ამას წინათ ერთ-ერთი სატელევიზიო სიუჟეტში შეჭირვებულ დევნილ ოჯახს ეს ტუმრეთ სააღდგომო საჩუქრებით, სიმბოლურად შეღებილი კვერცხები მიართვით მათ და ორიოდე ლარიც სავარაუდოდ — ორკვირიანი შეჭამადის საფასური.

გამიხარდა რომ გაგიცანით, ასეთი წარმოსადეგი, კოლხური იერით შემკული პირვნება, მაგრამ მერე რა, დარწმუნებული ვარ კვლავაც მიკერძოებით აფინანსებთ უმიწაწყლო სოფლის მეურნეობის, მრეწველობის სამინისტროებს, მაშინ როცა ინფორმაციული ომი ჩამკვდარია აფხაზეთის მთავრობაში, არ იბეჭდება გაზეთი, არ ფხუკუნებს რადიო, თვალდევსებულია ტელევიზია.

არა, ბატონო გიორგი, ამისთანა მთავრობის მინისტრის დაფინანსებული წიგნი მე არაფერში მარგია. უფალმა უწყის, სად წამომეწევა ქვასავით აღმართზე.

რაც შეეხება დალი ხორავას, აკი ვახსენე ოთარაანთ ქვრივია-მექთი. წერილების წყებამ წალეკა ჩვენი პრესა. მისი ქომაგების ხელმოწერები გროვდება თურმე ათეულ ათასობით . ახლახან შემხვდა მეუღლესთან ერთად.

— სასამართლოში შევიტანე საქმეო, — მითხრა.

— არ გინდა-მეთქი, — ვურჩიე, ვაცალოთ იმ ღვთისნიერს, იქნებ კაცი შეცდომაშია შეყვანილი, იქგნებ უკან წაიღოს თავისი სიტყვა-მეთქი.

— მე საკამი არ მინდა, გურიო, — შემომიტია, — მე მინდა თუნდაც ერთი დღით კანონიერად აღვიდგინო ჩემი თანამდებრივი მდგომარეობა და მეორე დღეს თავად დავწერ განცხადებას. მე, დალი ხორავა, მილეთ ხალხში ვერ ვივლი განმარტებებით, ძვირფასებო, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შეცდომაშია შეყვანილი და იმიტომ მოხდა ასე-მეთქი. მე ჩემი ღირსების აღგენისათვის ვაკეთებ ამას, თორემ მინისტრობა ვის დაკარგვია, ჩემთვის ეს თითებიდან გამოწოვილი უაზრო ბრალდებების ჩამორეცხვაა მთავარი, მორა ლური ტრავმის ამოშანთვა, თორემ პროფესიით ექიმი ქალი თავს როგორმე გავიტან. თავად არ იზამს? მოვა მოვა სხვა გონიერი და იგი გამოასწორებს ყოველივესო, — დაარისხა დიდრონი თვალები.

ერიჰა! გაუტია თავისებურად-მექი, გაგვივლე გულში. მე ხომ ვიცი დალი ხორავამ თუ გაიწია, ათი უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააოკებს. უკვე მერამდენედ ვახსენე, რკინის ჩაიცვამს-მეთქი. ამოუსხამს და ენ არის, ამოუწრიაპებია და აშკარად ვატყობ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს საქმე მთლად სახარბიელო ვერ არის.

ღია ბარათი ფირმა „ბახუსის“ პრეზიდენტს,
ბატონ **ედუარდ ჯეჯელიას**

ბატონო ედუარდ,

პირმოთნეობაში რატომ უნდა ჩამომერთვას?! გულითადად გიხდით მადლობას იმ უანგარო სამსახურისათვის, რომელიც თქვენ გასწიეთ წლების მანძილზე ჩვენი სანათესაოს მისამართით. ასეთი რამ იშვიათად ხდება. თქვენ ეს განსაკუთრებულად ბიძაჩემი რემიკოს უკანასკნელ დღეებში დაამტკიცეთ. ბარაქალა თქვენს კაცურკაცობას! ყოველივე სიკეთე ღმერთმა ასწილ დაგიბრუნონ უკან თქვენი და თქვენი შვილების,შვილიშვილების ბედნიერ ებით!

დიდი ხანია ბატონო ედუარდ, თქვენთან გასაუბრება მინდოდა, მაგრამ მოსკოვში ჩასვლა ვერაფრით მომიხერხდა. თბილისში კი ჩამობრძანებულხართ რამდენიმე დღით, წლების წინათ, თუმცა ამის შესახებ მოგვიანებით შევიტყვე და რას გავაწყობდი ?!

მე ლიტერატორი კაცი მქვია, ბატონო ედუარდ, ლექსებისა და რომენების მწერალი კაცი. ვრედაქტორობ ქართული მას-მედიის მიერ „ოცდამეერთე საუკუნის ფანჯარად “ აღიარ- ებულ ჟურნალ „კირბისს“ — კირიბიშს, ოქროს საწმისს. ეგ არის და ეგ. მე უკვე მრავალი წიგნის ავტორი ვარ, მაგრამ ყველაფერი იქით იყოს და მთავარზე ვილაპარაკოთ.

მიმდინარე წლის სექტემბრის მიწურულს მოსკოვში მე შეხვედრას მიწყობს ქართული დიასპორა (მეგრული ფრთა). იქ უნდა მოხდეს ჩემი მეგრული ლექსების წიგნის პრეზენტაცია. მე ამ სფეროში სამი ათეული წელიწადია სერიოზულად ვმუშაობ. ვწერ ვრცელტანიან პოემას „ოდოიას,“ რომლის მიხედვით ყველაფრის შემოქმედი ჩვენი კოლხეთია, მარგალი კაცი — თიხის ფირნფიტებზე, ქაღალდზე სიტყვის დამრგველი ბრძენთაბრძენი. ამ თხზულებას ჩემგან დიდი ხანია ელოდება სრულიად სამეგრელო. თქვენც ყურმოკრული გექნებათ, ალბათ, ჩემს მეგრულ ლექსებს აქა-იქ

მღერიან უკვე, ხოლო „გვიმარა“ კოლხეთის ჰიმნგად გადაიქცა ლამის. მოსკოვში მცხოვრები ქართული დიასპორის მეგრული ფრთა ძალზე მოწადინებულია ამ მისიის განხორციელებას — მეგრული სიტყვიერების მკვდრეთით აღდგომას — ათასწლეულობით დადუმებული მისი ბაგის ამეტყველებას ძუძუენაზე.

ჩემი ნონა გეტყვის, შუათანა ქალიშვილის ავადმყოფობამ ყოველმხრივ შემბოჭა და ჩემს გეგმებს ხუნდები დაადო გარკვეულწილად, მაგრამ უფლის მიერ ნაკარნახევს ცხოვრებისეული ბარიერები საბოლოოდ ვერაფრით შეაფერხებს. დახმარებისთვისაც ამიტომ მოგმართავთ. წიგნის ამონაბეჭდს, რომელსაც მე თქვენ თვალის გადასავლებლად გიგზავნით, მთელი სამეგრელოს წელში გამართვა შეუძლია თვალის დახამხამებაში, ჩვენი მრავალ- ტანჯული და ჭირნანახი სამეგრელოსი. ეს წიგნი ერთგვარი პასუხია იმ მრავალსაუკუნოვან დაწიხვლაზეც, რასაც საუკუნეებია განვიცდით მტრისგან თუ მოყვარისაგან. მე ერთად- ერთმა გავფანტე ეს ეს ბურუსი და მივეცი გასაქანი ჩვენს კუთხეს, ჩვენს ნიჭიერებას, ჩვენს მივიწყებულ სულიერ მემკვიდრეობას, ყოველივე იმას, რითაც ამაყობდა კოლხი 3500 წლის წინათ: ოდესღაც თვალ-მარგალიტების პატრონი, კაცობრიული სიბრძნის — კირბების — ოქროს საწმისის მფლობელი, დღეს კუდის რიკამდეა გაძარცული და ბუხრის ნაცარში იჩხრიკება ნაცარქექიასავით.

ამ წუთას ჩემი თანადგომა სრულიად სამეგრელოს თანადგომაა იცოდეთ. ვინც ამ გზაზე წამომყვება, ვინც ამ ორომტრიალში მხარში ამომიდგება, უწინარესად სამეგრელოს გადარჩენაზე ფიქრობს, მის აღზევებაზე და ცხადია, ჩემთან ერთად ეზიარება ჩვენი კუთხის განუზომელ თაყვანისცემასაც. ვიცი, ბიზნესს თავისი კანონები აქვს, ამიტომაც ჩვენ ამ თანადგომაში ფულის ჩუქებას სრულებით არ ვგულისხმობთ. ჩვენ წინადადებას გთავაზობთ კომპანიონობაზე, ორმხრივად ხელსაყრელ თანამშრომლობაზე. ჩემს მიერ მომზადებუდლი წიგნის გავრცელება სამეგრელოში, თბილისში, სანკტ-პეტერბურგსა თუ მოსკოვში თამამად შეიძლება 30-50 ათასი ტირაჟით. თუმცა ამჯერად, პირველ ეტაპზე, საუბარია 1000 ეგზემპლარის დასტამბვაზე. ეს წიგნი გამოვა მაგარ ყდაში. ფერადი. 464 გვერდის. ერთობ სოლიდური მოცულობის. ილუსტრი- რებული. ეგზემპლარის თვითღირებულება არ გადაცდება 5 დოლარს. ამისთანა მაღალპოლიგრაფიული წიგნი თავისუფლად გაიყიდება 20-30 დოლარად თქვენში და ამდენივე ლარად ჩვენთან. გაღებული თანხა ოთხმაგად ამოვ ა პირველივე ტირაჟით. ასე რომ, გაწეული ხარჯი სულ რაღაც 3-4 თვეში დაიფარება.

სექტემბრის მიწურულს, როცა მე მოსკოვში ჩამოვალ, და თან ჩამოვიტან ამ წიგნის სრულ ტირაჟს, საშუალება მომეცემა მეტი გულგახსნილობით გავესაუბრო ჩვენს დიასპორელ და-ძმებს. იქ შეხვედრები მელის ბატონებთან: ჩემს თანასოფლელ ზურაბ სოტკილავასთან და მამა-ზოიასთან — ზოია შონიასთან, ლეო ბოკერიასთან, გულიკო ხარჩილავასთან, გია გვიჩიასთან, ალექსანდრე ჭაჭიასთან, ნუგზარ ფიფიასთან, ვახტანგ მიშველიასთან, სხვებთან და სხვებთან. ეს შეხვერები იქნება ჩვენი კუთხის აღორძინების პირველი სიგნალი. იმ დღიდან მოყოლებული მეგრელ კაცს, აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, უკვე ზედმიწევნით ეცოდინება საითკენ გაიხედოს, როგორ დააღწიოს თავი საუკუნოვან სევდას, რანაირად გადაიგდოს მხრებიდან ათასწლოვანი თავდახრები თუ გულზე დაკრეფილი ხელებით სიარული.

ყველივე ამის პირველი სულისჩამდგმელი თქვენ იქნებით, ბატონ ედუარდ. თქვენ არ გაკლიათ პატივი და დაფასება თანამოძმეებში, ტოლ-მეგობრებში, მაგრამ დამერწმუნეთ, ედუარდ ჯეჯეიას სახელი გური ოტობაიასთან ერთად სხვა ომახიანობით გაიჟღერებს ამ პატარა ქველმოქმედებით და რაც მთავარია, ეს ადამიანური ურთიერთ თანადგომა ასწილად წაადგება ხვალ-ზეგ ჩვენს მიშიკოსაც. სულით და გულით მიხარია, რომ მან ჩემი პროფესია აირჩია, ჩემი კოლეგაა, გური ოტობაიას აქვს გარკვეული გამოცდილება მისი სწრაფი დაწინაურ- ებისათვის.

ბატონო, ედუარდ, მეტი დამაჯერებლო ბისათვის, წერილთან ერთად გიგზავნით წიგნის კალკულაციას (ანგარიშ-ფაქტურას) და ვინძლო ჩემი წინადადება რამდენადმე მისაღები აღმოჩნდეს თქვენთვის, ვინძლო შესაძლებლად მიიჩნიოთ მისი განხორციელება, გიგზავნით ჩემი ვიზა-ბარათის რეკვიზიტებსაც. ნონას მოსკოვში გამგზავრე- ბიდან ორ-სამ კვირაში ტელეფონით შეგეხმიანებით. თუკი დასტურს მივიღებ თქვენგან, წიგნს სტამბას გადავცემ დასაბეჭდად, აქვე საშუალება მექნება ერთგვარი რეკლამირება გავუწიო თქვენს ფირმას, თქვენს საქმიანობას, ცხადია, სათანადო ვიზუალური მასალის მომაშველების კვალდაკვალ.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას და ქუდბედი- ანობას სამსახუ- რეობრივ საქმიანობაში-მეთქი. უღრმესი პატივის ცემას არ ვაკლებ ადრესატს, მაგრამ სადღაა ნავარაუდევი ქომაგობა?!

ვეუბნები ერთ სახიერ ზანთარაის: ჰე ბიჭო, კარგია ბიზნესს მისდევ, მაგრამ უმჯობესია ხელოვანს უმართავდე ხელს, ორმაგად წაიწევი წინ უფლისაგან. დამაკავშირე ბიძაშენ ჯეჯეიას, იქნებ წამაშველოს ხელი ფილმის განხორციე- ლებაში-მეთქი.

არაფერი მსგავსი. აქეთ ვუტრიალებ, იქით. მერე მოხდება ისე, რომ მობილურს გამოთიშავს საერთოდ. მოსკოვში გადაიკარგება. ბევრს კი არა, სამას დოლარს დავესესხები ფილმის სცენარის გადასაბეჭდს. და ამის გამო გადამეკარგება თვალსაწიერიდან თორემ ათასების გამღებია ჩემი რომანის გმირების ჩამომავალი?! არაფრად იპიტნავებს საკუთარი გვარის გამოჩენას ეკრანზე. თავად არ ენაღვლება ჯიშ-ჯილაგის წარმა- ტება და მე რატომ ვიმტვრიო თავი ზანთარეიების ბედ-იღბლით?! უმტკივნეულოდ შეველევი ,,ზენ''-ს, აქამდე ზანთარაიას მრევლი ანთარიად გარდაიქმნება. სანთელ-საკმეველი პურსა ჭამს, ვინაიდან ტრიადა გარდაიბმნება ანთარიებისა და ჰალიძონების საგად, ანისა და ჰოეს რომანად, ალფასა და ომეგას ხასიათის თხზულებად. დიახაც, ამაზე ითქმის, ზოგი ჭირი მარგებელიაო.

სხვას უარესი ელეთმელეთი მოუვა. ერთი წელგამართული ახლობელი მყავს.თხილს აჩხრიალებს დღემოსწრება.

ათას დოლარი მჭირდება ორიოდე კვირით-მეთქი, დავუბარებ მის მეუღლეს. თავად ის პიროვნება ველოსიპედით სოფელში წაულა. თითქმის საათს დავუცდი მის გამოჩენას, მაგრამ ოჯახის უფროსი რომ დაიგვიანებს, ვეწევი ჩემს გზას.

შეგეხმიანებით-მეთი, დავემშვიდობები დიასახლისს. დავრეკავ ნაშუა- დღევს, მაგრამ ჩემი ცოდვით სავსე მეთხილე ჯერაც არ გამოჩენილა ოჯახში. დავრეკავ ნავახშმევს, და არც ახლა თვალსაწიერზე. დავრეკავ თერთმეტის მიწურულს, და როცა ამჯერადაც აღარ მოსუ- ლაო, მეტყვიან, ე ბოშო, ოცდაოთხი საათია ველოსიპედიდან არ ჩამოსულა, ჯუმბერ ლეჟავა უკან მოუტოვებია, ჩამოქვეითდეს ოჯახაშენე ბული, ყველა რეკორდი მოხსნილი აქვს უკვე. არ გადაიწვას ამდენი ტასაობით, დავაკვა-ლიანებ მათ შინაბერა ქალიშვილს და ალალბედზე გავამართები პარტახ სადადიანოში

.ჩემს სისხლსა და ხორცს დედის მხრიდან — გელენავეებისაგან, ჩემს მიხეილ ჯეჯეიას, ჩემს მიშიკოს, სულითა და გულით ვულოცავ ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას. რამდენიმე წელიწადი და მიშიკო ჩემი კოლეგა გახდება — ჟურნალისტი, ფათერაკებით აღსავსე და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროფესიის კაცი.

მიშიკო მესამე რომში — მოსკოვშია დაბადებული. საშუალო სკოლაც იქ დაუმთავრებია წარჩინებით.

ნამდვილი პოლიგლოტია, მაგრამ მშობ- ლიურ ქართულში ჯერ-ჯერობით ცოტათი მოიკოჭლებს. საშაგიეროდ ნამდვილი საშურზაყანოელივით გაგიბამს შეგრულ საუბარს.

ხალასი ბუნების ახალგაზრდაა, სახიერი და ქალიშვილების ნებიერი.

მისი ჰეპერა, გვაჩ გელენავა, ბატონ-ყმობას გადააშენებს საშურზაყანოდან. მაშამისი ედუარდის ნათესავებს გელდი კუბეცობით მოჰქონდათ თავი. საქართველოს ბუნებაზე, მის ფოლკლორზე ტვინი ეკეტება მიშიკოს.

— გავიზრდები და საშობლოს ვასახელებო, წამოცდება ერთხელ კურორტ საირმეში ყოფნისას.

ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი, ჩემო ღვიძლო! შეუფერხებლად გეყლოს, დუნიაზე! მიხარია, ყოველთვის რომ გახსოვს ვისი გორისა ხარ, ვისი ჯიშ-ჯილაგის! ამიტომაც ნურავის გაუკვირდება შენი სახელით მივმართთ შთამომავლობას:

ნათლიმამა ვახტანგ მიშველია
ისიდა ჯანჯღალეს შემახილზე

ლელთ ღუნიაზე უწერია დიდ ილიას. ვალიკო მესხიაზე გვისაუბრია ჩვენც, მაგრამ მაია წყნეთელები და მარო მაყაშვილები კვლავაც ციაგებენ თვალსაწიერზე და ამ მარადმშვენიერ არსებათა კოჰორტას, რას ვიფიქრებ, სრულიად ყურისძირას, რუსული ბომბადმშენებით დამეხ- ილი ჯეგეთას სიახლოვეს აღმოჩენილი ქალბ- ატონი ისიდაც მიემატება?! სახელიც საკვირველი დაუნათლებია მისთვის ღვთისნიერს. ეტყობა უხეტიალია საჰარის უდაბნოეთში პირამიდათა კედელ და კედელ, სადაც სამარადისო სასუფე- ეველში წავიწროვებული ნავით გადაჰყავს წუთისოფლის ბინადრები მარადისში. მარგა- ლიტი როგო- რია, ფიმრუზისფერი და, დიახაც, ამ მარგალიტის ტოლის- დამდები აღმოჩნდება ჩვენი მასპინძელი ისიდა ჯანჯღახე.

მასპინძლები თავაზიანად მოგვეგებენენ ბინდისპირულზე. მარჯვე- ნასაჭეიანი ,,მერსე- დესს'' ჭიშკართან მივჩეხავთ და გაშლილ ეზოში შევლაგდებით. ვახტანგი ეგრევე ხეხილნარისკენ გაეშურება. მსხალი აიკვიატა. ნაღველას წმენდსო. გამიგონია დილით ვაშლი გულის ვარდი, დილით მსხალი გულდის შხამიო. ეტყობა დიალექტიკ- ურია ეს დილემა — რაც გშხამავს მოჩვენებით, ის უფრო მარგებელია. მიასკდა და მიასკდა ხეჭეჭურს. ჩვენებურად ხის მსხალი ჰქვია, რაგვი- ასაც ვეძახით. ძირს ჩამოუბერტყავს ქარიშხალს. იქნებ სამგზის აფეთქების ვიბრაციამ ჩამოხვეტა უმწიფარ- მწიფეიანად. აკი თქმულა მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო. დიასახლისის ძმა დათო, ვოლტერის სკულპტურის ალიკვალი რომ გახლავთ, წინ მიგვიძღვის. აქ ნამდვილი უსიერია, აკუტაგავა რომ გვიხატავს ცნობილ ნოველაში, იმდაგვარი. აკაციები გადახლართვია თხმელებს. შეშისათვის ორი ნაბიჯიც არ არის გადასად- გმელი. ოჯახის უფროსი გულუა სოფლის თავკაცი ყოფილა წლების მანძილზე და ლამისსამოხიოს სამყოფი მიწა მოუზომავს სათავისოდ. შვილმა ვერ დაუდო გული ორღობის იდილიას და დედაქალაქს მიაშურა. დის ბინაში ცხოვრობს. ხოლო თავად მობინადრეები ამერიკაში გაკრე- ფილან. აკი, ელეთ-მელეთი იმ ამერიკიდან გამოგ- ზავნილმა პატარამ შეყარა თურმე ჩვენს ისიდას. მოაბარეს ვერცხლის- წყალი მოზარდი და არ გადმოაფრქვია ხამისკურის თავზე რუსულმა ბომბდამ- შენმა პერშინგები?! მივდივართ ფერდობ და ფერდობ. დასამალი ვერსად ჰპოვა. ისევ სარდაფი მოაგონდა, ოდეს- ღაც ქმრისგან ამოღრუნტული და აწ მიგდებული. იქ ჩაიმალნენ სანამ აფეთქების ექო ზანზარებდა ყურთასმენაში. მაგრამ პანიკას სად მიუდიხარ. ჭაქვინჯის- კენ უტიეს, თითქოს იქ უკეთესობა ელოდათ. ეს საუბრები მოგვიანებით გაიმართება. ჯერ ეზო-კარის დათვალ ერებით ვტკბებით. გულუების ოჯახი ფერდობს შეფენილი ბაღნარია. მართა- ლია, მას აკლია მზრუნველი მამაკაცის ხელი, მაგრამ ოდინდელიმ პეწი მაინც ატყვია. შარშანდელი ფორთოხალი მოვწყვიტე, გავფცქვენი და ჩაშაქრებული მერგო წილად. ლეღვი ჯერ არ მწიფს. ზღმარტლი ყვავს დააჩხავლებს. ვაშლები ყრია კოჭებყამდე. ინებე სულო და გულო. თხილი კერკეტია. მანდარინიც გავსინჯეთ. სიყვითლე შეპარვია ოდნავად, მაგრამ შაქარითვით ტკბილია. ხამისკურის მიწა კირქვოვანია, ცოტა მოშორებით, ციაშის სიახლოვეს, გეიზერების წყებაა, სადაც ოდესღაც ბანეოლოგიური კურორტი იყო. ახლა ყველაფერი გაოხრებულია და ლამის მუქთად ვუფეშქაშეთ ამომავალი ქვებნიდან ჩამოთესლილ მულღანზანზაროელებს. აქ გოჭი და ინდაური უპრობლემოდ იფუფ- ქება. ჩაწვა იმ აბაზანაში ათიოდე დღე ჩვენი ბაბუ, ტიტიკო ხაზალია და წელი ვერ აითრია, დაიხუთა, ზედმეტი მოუვიდა. სანათლიმამო მსხლებს ვერ ვპოულობთ, სანაცვლოდ მკვახე ხუთკუნჭულა — ზღმარტლებია ყვავს რომ დააჩხავლებს, შემოდგომის მიწურულს დედაბრსი ხელივით რომ მიმჭკნარდება. ერთი გულყვითელა ხეჭეჭური აღმომიჩენია ჯანგამოცლილ ფოთლებში და კბილს როგორ დავაკარებ, იქნებ მისავათდეს ამ გამოუსწორებელი ნუმიზმატიკის ჭიების ყელყელაობა! დედა გარდაცვლია ჩვენს ისიდას და მისასამ- ძიმრებლად ამიტომაც წვევია ნათლიმამა ვახტანგ. სუფრა ნაუც- ბადევია. ჩვენ არ ვიცლით ქათმების ასაკრიახებლად, არც გოჭის ასაჭყიტინებლად, თუმცა ამისი პრობლემა ოჯახს არ გააჩნია. ყველის პრეროგატივაა. ცხელ-ცხელი ხოზო კვერები შემოაქვთ. ისიდა მოგვი- ანებით შემოუერთდება ჩვენს სუფრას. არაყი დაჯაჭვულია, მსხლისა. აკი მოგახსენეთ ვახტანგის მიდრეკილება ამ ხილის მისამართით და მიუხედავად წუხანდელი ნაბახუსაობისა სირჩისკენ ხელი კანკალით გაურბის.

— შენთან ბოდიში, მაგრამ რა ყოფილან ეს რუსები, ღორები! — ჩანს ისიდას დღემდე არ გამობერტყია სხეულიდან ჯეგეთას მისადგო- მებთან ჩამოყრილი ბოლმბების დაგადუგი. შენ გგონია ახლა ორ ასდოლარიანს ამოიღებ ადრინდელივით და გულს ამიჩუყებ?! მაგ ორ ასდოლარიანს ორი ჩემებური ყვინჩილა მირჩევნია. თქვენ გაიბღინძეთ. ორ ორი პასპორტით დაიარებით. იქ ჩვენი გინებისას

თავს აკატუნებთ, აქ იმათი თათხვისას მუცელზე ხოხავთ. დალიე, დალია, ყელზე არ დაგადგება. მე ორი წლით ვარ შენზე უფროსი, ყველგან კუდში დამსდევდი. შორიდან მეკურკურებოდი, მაგრამ ეს ორი წელი ვერ მოინელე. ბიჭო მე კიდევ გავფერავ შენისთანა ხუთს. ეგ იქით იყოს, სამშობლოზე გელაპარაკები. სად გაგაჩნიათ თქვენ სამშობლო. თქვენ თურქისტანი ლაზები გჯობიან, რომელთაც გვარ-სახელები და სარწმუნოება დაკარგეს, მაგრამ ეროვნული თავმოყვარეობას თვალის ჩინივით უფრთხილდებიან. აღნაგობა არ დაუკარგავთ, ფერი, ხორცი, სულიც სხვათა შორის. თქვენ თამამად შედიხართ რუსის ქალებში და თქვენი ნაშიერი ცხვირპაჭუა იზრდება. არაფერი შერჩენია მას ქართული, ანდრონიკაშვილები იყვნენ და ანდრონიკოვები გახდნენ, თეთრთმიანები. რამდენი აზნიანი წარემგზავრა რუსეთს შენი მოსახელე ვახტანგ მეფის დროს?! სად არიან ახლა?! შეიწოვა რუსეთმა, გაქრა როგორც შარშანწინდელი თოვლი. რომელიღაც ლექსი მომაგონლდა ახლა გეგეჭკრორის თარნგმანიდან. თქვენი 700000 ასიმილაციისათვის განწირული საზარბაზნე ხორცია. ჩამოდით აქ ძვირფასებო. ზურგი შეაქციეთ რუსულ ბორშჩს და ზეთმოსხმულ სალათას. ჩვენ გაგიმზადებთ ცხარე-ცხარე შეჭამადებს, იქნებ დაგვიანებული არ იყოს კიდევ თქვენი სხეულისა და სულის გადარჩენა. გაკნსმხვავებულ ეთნოსში ტრიალებდნენ ლაზები, მაგრამ გადარჩნენ სულეირ-ხორციელად. მსგავს ეთნოსში ტრიალებთ თქვენ, მაგრამ სამუდამო დაქცევისათვის ხართ გამზადებულები. გადაიღე ხოზო, ჩემი ამოყვანილი ყველისგანაა. თავზე ბობმებს გვაყრიან რუსები ხამის- კურში და თქვენ თვალები დაგიყვლეპიათ იქ დიდ რუსეთში. რას იზამ დედამ წიხლი რომ შემოგიქნის, ფეხს ხომ არ მოაჭრიო. რუსეთი ჩვენი სამერეა. რუსეთი ჩვენი ათქვეფის აკლდამაა. შეელიეთ იქაურ პატივით ყოფნას. თუმცა რა პატივი, რისი პატივი, შენი კიკაბიძეები, შენი სოტკილავები და ხუბუტიები, რუსეთის კოლორიტს რომ ქმნიან თითქოს, ერთი შეცაცხანება და გამოყარეს ქართულ ღვინოსავით. თქვენ ეს ვერ შეგიგნიათ, ხოლო როცა გადაშენდებით, როცა რუსის ქალებისაგან შვილებს იყოლიბეთ, ცხვირპაჭუა რუსაკებით აავსებთ მათ კალთებს, მათ ბაგა-ბაღებს, არაფერში გენდომებათ სამშობლო. აი, თქენი თავი და ბოლო. თქვენ ლაზების ბედ-იღბალს უნდა შენატროდეთ, რომლებმაც საკუთარი ხორცისა და სულის გადარჩენა მოახერხებს გვარ-სახელებისა და სარწმუნოების დათმობის ფასად. ნუ ეტენებით მსგავსს თორემ გადაგვარდებით, სამუდამოდ გადაშენდებით. დავლიოთ ერთი რუმკა, თორემ გაშრა ყელი. აი, როგორ არის საქმე ჩემო ვახო, აი, რატომაც დავიწყე საუბარი თქვენთან ბოდიშით, მაგრამ საბოდიშო არაფერია შენთან, შენც ერთი, გადაგვარების გზაზე დამდგარი ქართაელი ხარ, რომელსაც ხამისქური ჰავა თვალის მოსაბალახებლად გჭირდება, დოპინგის მისაღებსდ, მიიღებ და დაინთქმები ჩრდილოეთის ყინულეთში, როგორც შენამდე დამართნია მრავალ ათას შენნაირს. იდღეგრძელე, კაცო!

700000 ლეკლეტი

აბა, ამ მამაცხონებულს ხელოვნება ელარჯის ჭამა ხომ არ ეგონა კამეჩის მაწონთან და თაფლთან ერთად. უფლის კალთა მაფარიაო აცხადებს ჩვენიტ გური და ვერც გაამტყუნებ, ვინაიდან ჩვენი კუთხე დიდ რამეს მოელის მისგან, აკი ჯემალ პაჭკორია, აწ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი და მარქსის კერკეტი მკვლევარი, შენ მალე შექმნი რაიმე ისეთს, ფასეულს, ოღონდ შედარებით მცირე მოცულობისასო, ეტყვის შვიდტომეულის პრეზენტაციისას ,,ოდიშის'' ტელეტუდიაში. შევახვდები ამ ღვთისნიერს და საჭიროებისათვის გადანახული დოლარის ბანკნოტები უნებურად ამომიფრიალდება ჯიბიდან. მნუსხავს თითქოს. აკიპ უფხრეს მას, რეკეტთა რეკეტი ხარო. მერე და რა არის მისი საჭიროება?! საწერი ქაღალდები, კათრიჯი კომპიუტერისათვის, ნოუთ-ბუქი, ხუთპიქსელიანი ,,სონის'' ფოტოაპარატი, ოჯახის გამოკვება პურით და მისთანანი. სხვას არაფრად დაგიდევს. აწი მისი ცვლილებები პარამეტრებში შენელებულია და მორგებულ კოსტუმს ან პიჯაგს თუ ჩამოვუტან, ბავშვივით გაიხარებს. ამას ქველმოქვედებასაც ვერ დაარქმევ, თითქოს ბედისწერაა. ჰოდა, სანამ უშუალოდ ჩემს სტიქიაში გადავეშვებოდე, გურის მიერ დანახულ ჩემს პერსონას დავაკომენტარებ.

არა, შემდგომ კი არა, ყველაზე თანადროული მომენტი ახლაა, ამ წუთას. მოსკოვში საუკეთესო ლიმუზინით დავსრიალებ აღმა-დაღმა, მაგრამ აქ, ამ პარტახში, ხეირიანი მანქანის ყვიდვა უაზროა, თანაც არავინ უწყის სად დაგაყჩაღებენ, რომელ გადასარბენზე მოგპარავენ. გადაიყვანენ მერე ენგურს გაღმა და უყარე კაკალი. მშობელი დედის გასვენებაზე, ორმოცზე, წლისთავზე სამგზის მომიწია ნაბაკევში ჩასვლა, და სამივეგზის ფათერაკიანად. ესენი შეგუებულნი არიან კიდურებში გატარებულ ლურსმნებს, მაგრამ ჩემთვის მოუთმენელია, გაუნელებელი თავდახრები და ძლივს ჩამომყვება სული სადადიანოში. მამაჩემი მძღოლი კაცი იყო, ავტობუსს დაატარებდა, სანაცვლოდ არაფერს მაკლებდა ერთადერთ შვილს. მოგვიანებით შევიტყობ, რომ ეს ერთადერთობა და მხორლოდშობილობა სულაც

არ ყოფილა ჭეშმარიტი. ვიტირებ კიდეც, გადაკარგვასაც ვლამობ მოუსავლეთში, მაგრამ თანდათან ყველაფერს ეგუება თურმე კაცი. ესენი მე მიმალა- ვენ ნამდვილ წარმომავლობას და მე— მათ. ვართ ასე ორმხრივ სიცრუეში აზელილი. ვერეფერი გამიგია ამ ადამიანებისა, მათ არ შეუძლიათ სხვისი ბედნიერებით იხარონ, მაინცდამაინც თავად უნდა მოუსინჯონ გემო მემკვიდრის ნუგბარეულს. არა სიბერის სიტკბოდ უფრო ელოლიავებიან თავზე აყვანილ შვილს, თუმცა ბიბლია თვალ- ნათლივ მიუთითებს: აი, მშობლებს კი ვასწავლე შვილების მოვლა, მაგრამ მემკვიდრეებს — ვერაფრითო. განა მოქმედების უმთავრეს კრიტერიუმად არ გახლავთ შემოთავაზებული დოქტრინა ,,პატივი მიაგე მამასა შენსა და დედასა შენსა...''. რომ არ ყოფილიყო საჭიროება, საკრალური წიგნი ხმას არ დაძრავდა ამ მიმართებით. მოხუცებს და მიხრწნილებს, როგორც ზედმეტ ბარგს, იაპონიიდან მოყოლებული (,,სიმღერა ნარაიმაზე'') აზიით, ევროპითა და ამერიკით დამთავ- რებული, გოდრებს უწნავს მთელი მსოფლიო ქარაფიდან გადასაფრენს. არანაირი განსხვავებაა პანსიონატებში განთავსებულ მოხუცებსა და გოდრებით უფსკრულებში გადაშვებულ გამჩენელთ შორის. მაშინ, როცა ღვთაებრივი ენეასი მხრებზე შეისვამს მხცოვან მამას, და ტროას შერუჯულ კედლებს გამოარიდებს. აი, ნამდვილი მამაშვილური დამოკიდებულება. აი, ჭეშმარიტი ერთმთლიანობა პაპას, შვილსა და შვილიშვილს შორის. ატომისა და კომპიუტერის ცივილი- ზაციამ კი ნახმარი ცხვირსახოცივით მოსიროლა დავიწყების წუმპეში საკუთარი სათავეები. ჩვაკითხე მშობელი დედის ცხედარს. შარიების გვარისაა იგი, შარხე, დიდი პეტრეს ჩამომავალი. მათი მშობლები რუსეთში გადაკარგულან და დიდედას საფლავს ამაოდ დავუწყებ ძებნას მოსკოვის სასაფლაოებზე. გამქრალია ცასა და მიწას შორის. შეიწოვა დავიწყების ლეთა მდინარემ. და საერთოდ უწერია კი რაიმე ფასეულს საუკუნო სუფევა. ხომ აბსურდია ყოვე- ლივე. იორამის გოდება. არარაისი. მაგრამ ისევ ანქიზეს ფენომენს მინდა მოვუბრუნდეთ. კოლხების უშუალო ღვიძლებს, დარდანელებს, კირკესიანებს და უძველესი ანხის სახელის მატარებელს — ენეასის მამას, უკვდავებას ანიჭებს მემკვიდრეს მხრებზე მოკალათება შეუდარებელ ტახტრე- ვანდად. მეტიც, გვერდით ჯილაგის გამგრძელებელი ასკანიუსი რომ მოსდევს მომავლის ნუგეშად და კიდევ რუტულები — სამეფო რეგალიები, საკრალური ნიშები. ამით ვერგილიუსმა ჩინებულად დახატავს ქვეყნის, სახელმწიფოს შერწყმას კერიის კვამლთან და საფლავებთან. ეს პროტოიბერიული მოთხოვნაა სახოგადოების ჭურჭლის აშენების გზაზე. მოგვიანებით, სტუდენტობის მერმე შევი- ტყობ რომ ,,შარ'' ძირი სრულებით არაა ნასაზრდოები ქართული ,,შარიდან'', დავიდარაბიდან, არამედ შორეულზე შორეული შუმე- რული ,,შარ''-ის ანასხლეტია, ღადარში გახვეული ნაკვერჩხალივით შემნახავი გარდასული ცივილიზაციის შხეფისა. ,,შარ,, წრეა შუმერ- ულში, სავსება და რაღაცნაირად გული მომიბრუნდება დედაჩემზე, რომელმაც სხვის საფერებლად გამიმეტა, თუმცა კი ვინ გაზომა მის გულში ნაბობოქრალი ღამეები, უშვილობით გასენილი მკერდი და მოწოლილი რის გარუმბებული ,,სამიწე ძუძუები''?! მსმენია ამგვარი ფრაზები მისგან. ნახევარხმით დალაპარაკებული.

გურის განუყრელი სენია სათქმელის მომავალში გადატანა, მართალია, მას, როგრც პროფესიონალ მწერალს არაფერი ავიწყდებაა და ადრე თუ გვიან შეპირებულს უსათუოდ გაგიმხელს, მაგრამ რა ქნას მკითხველმა, როდის დაუცადოს ამ გამონათებას? მე ჰორაციუსის განუხრელი მიმდევარი ვარ, რომელიც დაბეჯითებით გეუბნება — ახლა უნდა ითქვას ის, რაც უნდა ითქვას ახლა, დანარჩენი კი საგულდაგულოდ უნდა შევინახოთ სათანადო ვითარებისათვისო. ბართლომე ფეტელავა ნიჭიერი მედიკოსია, მთელს სამურზაყანოში განთქმული, სახიერიც ყოფილა, როგორც ნაბაკეველებმა ამიხსნეს. მაგრამ ბედისწერამ სხვანაირად გაჩარხა. და ჩვენი უგრიც ამაოდ ამტკიცებს იმ ვასილევიჩს ნათლიად, ვიანაიდან, ამ პიროვნებას მირონი არც კი წაუსვია მისთვის, კი სიტყვით გაცხადებულა მსგავსი რამ, თუმცა ეკლესიით არაა დადასტურებული ეს სიტყვა, მეტიც ჩვენი გური რიგიანად მონათლულად არცაა, ვინაიდან ნათლობის პროცეში ილორელ მღვდელს წვერზე წატანებია და ძლივს აუდლეზიათ მისგან გათავნებული ბალღი. ასე რომ მის ნათლიაობაზე ვაკანტური ადგილია გამოცხადებული და ვნახოთ მომავალი როგორ მიუსართავს სარგებელს. რკინა-ბეტონით ახორხილ სასაფლაოსთან ვჩერდებით. როგორ ეტყობა ყოველივეს ჩვენი თავკერძობა-ამპარტავნობა, ვინ უკეთესად მოაწყობს მშობლების სამკვიდრობელ ალაგს. უმეცრების მწვერვალია. მეტიც ამაზრზენი. მოაწყვე ნათესავების განსასვენებელი სადად, ფაქიზად და ნუ გამოედევნების მარმარილოთა ბრჭყვიალებას. ეს დამქანცველია როგორუ მატერიალურად ისე სულიერად. ფეხდაფეხ მივსდევ ჩვენს გურის. ვერაფრით ვეგუები ამ სახელს მაინც პირვაენდელი მირჩევნია — ,,გულადი''. მას კი ახლა ეს გურიც არ ეჭაშნიკება, ახალს უმიზნებს ,,გურუს'', თითქოს მსოფლიო განმანათლებლობა, მსოფლიო ქურუმობა და მოგვობა განუზრახავს. ჩემზე გვარაიანდ უმცროსი ყოფილა ლომაიების შთამომავალი, შესმაძლოა ზუგდიდ-ქალაქში შემხვედრია მრავალგზის, მაგრამ თავი ვერაფრით დამამახ- სოვრდა. შევყურებ მარმარილოდან მომღიმარ იერს და უკიდეგანო მელანქოლია შემიპყრობს.

ვახტაგ მიშველია ჩემი სიყრმის მეგობარია, უნივერსიტეტელი თანაპერან- გელი. ნათლიმამა. დიდი შოთა

მესხიას ასპირანტი იყო და ამ გასაოცარი კაცის სიკვდილმა თავგზა აურია, ვერავის შეეწყო. მიატოვა უნივერსიტეტი. ბევრი იხეტიალა. ბევრი სიკეთე თესა, მაგრამ ხრიოკზე აღმოცენებულა ჯეჯილი ოდესმე?! ამჟამად სუნამოს ბიზნესს მისდევს მოსკოვში. იქ დაფუძებულა მეუღლითა და ვაჟიშვილითურთ. მისი ძე შოთა ასპირანტია ლომონოსოვის სახელობის მოსკოვი სახელმწიფო უნივერ- სიტეტში. თავად ვახტანგი წელიწადში ორგზის უსათუოდ ჩამოივაკებს სამშობ- ლოში, ჩამოივაკებს და დაიწყება ფაციფუცი. მოაწყდებიან, როგორც წყურვილით დაშაშრული მგზავრები ნაკადულს. ვახტანგის გულკეთილობის ამბავი ცნობლია და არავის დასტოვებს მოუკითხავს. ლამის თორმეტი წელიწადია გრძელდება ასე.

ვის ავტობუსი აყიდინა. იმ ავტობუსისგან ახლა ,,კარდანიღა'' დარჩენილი. ვის მოტორიანი ნავი შეაძენინა. იმ ოჩხომელისაგან ამჟამად ჯეშტი ფხაკუნობს სადღაც მორღვეული ღობის სანაცვლოდ.

ვის სათამაშო აპარატი აშოვნინა. იმ მახინასგან აქჟამად ლითონის კონსტრუქცია ჟღარუნებს კრუხების საბუდრაოდ.

ფესვი ვერავინ მოიკიდა. გაუმართა ხელი ათასს, მაგრამ ერთმაც ვერ გამოიხედა თვალში. შეიჭამა და შეისვლიპა ყოვლიარი. კვლავ სიდუხჭირეა მისიანების გარშემო. კვლავ ცი ვი ღომი და ლობიო.

არასდროს დამავიწყდება ამას წინათ ჩემს ნათლიმამასთან გამართული საუბარი. ეს არ გახლდათ მენტორული ტონი, გულწრფელი იყო საუბარი, მშვიდი და თავდაჯერებული.

— პრეზიდენტ პუტინის განცხადებით, ამჟამად რუსეთში 700 ათასი ქართველი ცხოვრობს. — მეუბნებოდა ვახტანგი,— ანუ ჩვენი მოსახლეობის თითქმის მეხუთედი. დიასპორა ჩვენ უამრავ ქვეყანაში გვყავს:დანიაში, ჰოლან- დიაში, გერმანიაში, თურქეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაშიც კი, მაგრამ სათანადო ინფორმაციის მიხედვით ეს ხალხი ვერანაირად ახერხებს თავისი თავის რეალიზაციას. ექიმია და მოხუცების მომვლელად მუშაობს. ინჟინერია და ბავშვების ძიძად მსახურობს. მუშაა და ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება. მზეთუნახავია და ჰ ოლივუდის ნაცვლად ბორ- დერში ღაფავს სულს. მიუხედავად ბოლო დროს გამწვავებული ურთი- ერთობისა, ეს 700 ათასი ქართველი ძველებურად არჩენს ლამის ნახევარ საქართველოს. იციან ამის თაობაზე რუსეთშიც და არიან ძალები, რომელთაც ერთი სული აქვთ ეს მასაზრდოებელი ჟანგბადიც გადაუკეტონ საქართველოს.

— უფრო შორს მიდიან დემაგობები, რომლებიც ქართველებს ასახელებენ რუსეთის უბედურების მთავარ მიზეზად. გახშირდა ქართველების სიცოცხლის ხელყოფა.

— ბევრს რესტორნები დაულეწეს. ამის ობიექტურ და სუბიექ- ტურ მიზეზებს ნუ მომთხოვ ახლა, მშვენივ- რად ვიცით ყველაფერი. საქართველო გარბის რუსეთისგან და რუსეთი რომ არ გიხუტებდეს მკერდში, გასა- კვირია?! მე სხვა რამ მაღელვებს. კერძოდ, ის რომ 700 000 ქართელი, დიასპორასაც რომ ვეძახით. რამდენია ახლა აქ ხელოვანი, ბიზნესმენი, მეცნიერი. ბევრი ფიზიკური შრომით ირჩენს თავს. არიან მუქთახორებიც, კანონიერი ქურდებიც და ვინ მოს- თვლის, მაგრამ 700 000 უკვე დიასპორა კი არა, ჩვენი ქვეყნის მეხუთედია.

ბოლო დროს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი წარმომადგენელი კონკრე- ტულ ღონისძიებებს ატარებს საქართველოში. მოხვეტავს ფულს ბიზნესმენებთან: ამას ვშვრები, იმას ვაკეთებო და ჭაკ ცხენეებს დაარბენი- ნებს მარულაზე. მე ჟურნალ ,,კირბისს'' ვაფინანსებდი დღემდე. სამი ნომერი გამოვეცით და თითოეული 10 000 დოლარ- ზე მეტი დაჯდა. ოცდაათი ათასი დოლარი სახუმარო ფული არ არის ჩვენისთანა მდგომარეობის ხალხისათვის. — როცა ერთიანად წამოვჭარხლდები და შევიშმუშნები, მხარზე დამადებს ხელს, — კარგი ერთი, კი არ გაჯეედრი კაცო, სიტყვის მასალად ვიშველიებ. ჩვენ ვერანაირ ხეირიან საქმეს მოვაბით თავი. ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ საქართველოში არ ხდება შიდა ბაზრის დაცვა. უცხოეთში ეს პრობლემა გადაჭრილია. მაგალითისათვის, ფრანგულ რესტორანში შენ შეგიძლია საკუთარი მარნის ღვინის, ,,საფერავია'' თუ ,,ხვანჭკარა'', შეტანა, მაგრამ მხოლოდ სამი ბოთლის, დანარჩენისათვის ზუსტად იმდენს გადაგახდევინებენ, რამდენიც მათებური ბურგუნდიული ღირს. აი, სად არის დაცული შიდა ბაზარი .საქართველოში ყველაფერი შიოს მარანივითაა. არის საბაჟოები, მაგრამ განუკითხავად შემოედინება სამხრეთის თუ ჩრდილოეთის საზღვრებიდან ჭინჭი, სუროგატი პროდუქცია და ამისთანა ვითარებაში ინვესტორს არ ეხალისება ფულის ჩადება.

წინდახედული კაცი მარულას და ტაშ-ფანდურას საკონსერვო ქარხნის გახსნას ამჯობინებდა. რამდენი ხილი უფუჭდება მოსახ- ლეობას, რამდენი ბოსტნეული, მაგრამ ამ საშვილიშვილო საქმეს ვერავინ მოაბა თავი. ქარხნის მშენებლობას დრო უნდა. მერე აქ მოსაღუნიც ნაკლებია, ვინაიდან ყველაფერი ხელისგულზეა. სამშობ! ლოზე გულდამწვარი ჩვენებურები კი თარჩიების და ორდღიანი ვარხალალოს იქით ვერ მიდიან. შეგროვილი თანხის ოცდაათი პროცენტი ღონისძიებას მოხმარდება. დანარჩენი კი გაიწერება პროექტის ავტორის ჯიბის ს ასარგებლოდ. აი, როგორია ჩვენი

მამულიშვილობა.

აქამდეც ბევრი გვისაუბრია ქართული დიასპორის ჭირ-ვარამზე, მაგრამ დღითი დღე დავრწმუნდი, რომ ამ 700 000 ქართველს ერთი წინამძღოლი უსათუოდ უნდა ჰყავდეს. ამისთანა მესვეურს დღეს ლობს ეძახიან. დროა რუსეთში მცხოვრებმა ქართველებმა საქართველოს ლობი აირჩიონ. ეს ნაბიჯი ათი-თხუთმეტი წლის წინათ რომ გადაგვედგა, დღეს უკეთესად გვექნებოდა საქმე, არც სავიზო რეჟიმი აგვაწიოკებდა, და პოლიტიკურადაც უფრო დამთბარი ურთიერთობა დამყარდებოდა ჩვენს ქვეყნებს შორის.

საქართველოს ლობის დანიშვნა პატარა საქმე ნუ გგონია, 700000 კაცის წინამძღოლი ჭკვიანი კაცი ელვის სისწრაფით გაერკვევა სიტუაციაში, თვალის დახამხამებაში გადმოალაგნებს აუცილებელ, გადაუდებელ საქმეებს. ამ მიმართებით მეორე მთავარი ნაბიჯი საქართველოს აღორძინების ფონდის დაარსებაა. ამიერინად ეს ხალხი ვერ იმარიაჟებს საქართველოში ჩატარებული „მამული- შვილური" ღონისძიებებით. ახლა პური და შაქარია საჭირო. ახლა ელექტრონია საჭირო, ხილ-ბოსტნეულის ბაზარი, ჩაის კულტურის აღორძინება, ციტრუსების დამზადება, თხილის მოსავლის ადამიანურ ფასში გაყიდვა. საქართველოს ლობს შეუძლია ამისთანა საქმეების მკვდარი წერტილიდან დაძვრა, როდესაც ქვეყნის აღორძინების ფონდში იმ 700 000 დიასპორე- ლისაგან თუნდაც 100 დოლარი ჩაირიცხება. გესმის, რა თანხაზეა საუბარი?! ამისთანა ლობი და ამისთანა ფონდი შიშის ზარს დასცემს თავზე ნებისმიერ მთავრობას, ნებისმიერ ხელისუფლებას. ანუ უკვე ანგარიშგასაწევი გახდება საქართველოს ლობი თავის ფონდიანად.

მესამე და გადაუდებელი ამოცანა ჩვენი ნიჭიერი თაობის გამოვლე- ნა-დაკვალიანებაა. არა შოუებში გამომზეურებული თავმსხვილი ღლაპები, ამნაირი ტესტით: **აბა, ვინ გვტყვის რა ცხოველია, რომელიც ოთხ ფეხზე დაიარება, „შია-ვშიავს" იძახის და სულ თაგვების დევნაშია?! მაიმუნი? ძაღლი? მგელი? კატა?** და კატაო, თუ წამოიძახა რომელიმემ, ესე იგი გენიოსია. ჩვენ გვაქვს შემუშავებული გენიოსი ბავშვების აღმოჩენისა და დაკვალიანების პროგრამა და თუ ამ პროგრამას ხორცი შეესხმება, თუნდაც რეგიონის მასშტაბით, გზა დანახული იქნება. სხვა რაზე გელაპარ- აკო, გური ძვირფასო, გური დარაგოი.

შიდა ბაზრის დაცვა ვახსენე. ამ საკითხს ნაკლები ყურადღება ექცევა ჩვენში. შემოგვაქვს განუბაჟებლად თურქული, ირანული, რუსული წარმოების პროდუქცია და ჩვენი ბიუჯეტი სულს ღაფავს. შემოგვას უკანონოდ სპირტი (უმეტეს შემთხვევაში ეთილის), სანაცვლოდ ღვინოს წერმოება წამუხრუჭდა. შემოგვაქვს უცხოური ხილ-ბოსტნეული, კონსერვები, ჩვენი კი ლპება. შემოგვაქვს ათასი ჭრელა-ჭრელა, სანაცლოდ მაუდ-კამვოლის ფაბრიკა გავაპარ- ტახეთ, მეაბრეშუმეობა მოვშალეთ. ზაურ კვიკვინიაზე მინდა გელაპარაკო. ამ ახალგაზრდა კაცმა სათამაშო აპარატების ბიზნესით დაიწყო საქართველოში საქმიანობა, სანაცვლოდ მოიკიდა ფეხი თუ არა, ხობში მეტალო-პლასტმასის ქარხნის მშენებლობა მიჰყო ხელი. გაივლის ცოტა ხანი იგი სერიოზულ კონკურენციას გაუწევს იტალიურ, თურქულ, თუ სხვა ქვეყნების მსგავს პროდუქციას.

კარგია ტურიზმის განვითარებას რომ ვაპირებთ, სასტუმ- როებს რომ ვაშენებთ, მაგრამ ხომ გაგვიგია, სვანეთი დამთვალი- ერებელმა დაიპყროო. მერე იმ ტურისტს გამოკვება არ უნდა?! სენდვიჩი, პიცა და ბუტერბროდი მას უცხო- ეთში მოყირჭებია. ხომ უნდა ავაღორძინოთ მეკამეჩეობა. უცხოელს კამეჩის მაწვნით გავუმასპინძლდებით. სამამულო ჩაის მივართმევთ. მსოფ- ლიოში განთქმულ თაფლს მივაგეგებებთ. ამ ყველაფერს კი აღორ- ძინება სჭირდება.

დიდებულია პრეზიდენტმა მიწის გადასახადისაგან რომ გაანთა- ვისუფლა მოსახლეობა, დავალიანება ჩამოაწერა. სასიხარულოა, როცა საგადასახადო 38 პროცენტი 25 პროცენტამდე შეამცირა. 25 პროცენტი გაცილებით ნაკლებია 38-ზე, მაგრამ მაინც ბევრია. ესეც რომ არა, აქაური კომერციული ბანკები რას შვრებიან?! პირდაპირ ატყავებენ მოსახლეობას. უცხოეთის ბანკები წელიწადის საურავს 2-3 პროცენტს ჯერდებიან, ესენი კი წელიწადში 24-26 პოცენტს არ კმარობენ. ჩალითაა ქვეყანა დახურული?!

მაგალითისათვის, მე დასავლეთ საქართველოში ჩაის ფაბრიკა შევიძინე, მინდოდა და მინდა ამ დარგის აღორ- ძინებას სერიოზულად შევუწყო ხელი. რამდენი ათას ჰექტარი ცდება წლების მანძილზე. რომ იანგარიშო კაცმა მილიარდებს გადააჭარბებს. ტურებისა და ქვეწარმავლების საბუდრად ქცეულა. აღარც ამოსაძირკვი სახსრებია. იყოს სახელმწიფოს ნება, არსებულ პრობლემას უმალესად მოვაგვა- რებდი. ბაზრის შოვნაც არ არის ძელი საქმე, მაგრამ მოჯადოებული წრეა თითქოს. ინვესტორი ყოყმანობს, ან უკვე ხელჩაქ- ნეული გამორბის. კიდევ რაზე გესაუბრო?! შენ ღერღეტები გვიწოდე, როცა კიდევ ჩვენისთანებით გიდგათ სულით, კიდევ ჩვენისთანებით ლოღნით ცივ მჭადსა და ლობიოს.

— ჯოისი გავიხსენე, ღერღეტებს ეძახის ემიგრანტებს-მეთქი. ფულმა ეგოისტური სიყვარული იცის. ვის არ მივმართე ჭაობის ფსკერიდან, მაგრამი თანაგრძობა ვერსაიდან მოვიპოვე. ზოგს კინოსცენარს ვთავაზობდი, სინოფსისთან ერთად. ხარჯთააღრიცხვა თან ახლდა იმ მასალებს. ყურიც არავის შეუბერტყავს. გულწრფე- ლად მეცინება ერთ გარემოებაზეც: იმ ბიზნესმენებს, რატომღაც საგულდაგულოდ უმალავენ ჩემს პიროვნებას. მათთან ჩემს შეხვედ- რაზე ნაკლებად იზრუნეს, როგორც შინაურებმა, ისე — გარმიანე- ლებმაც. ალბათ, არის მიზეზი, რათა ზოგიერთის უმწეობა ხელის ერთი მოსმით არგაქარწყლდეს. ვიცი, ბიზნესს თავისი კანონები აქვს, მე თანადგომაში ფულის ჩუქებას არ ვგულისხმობდი. მე მათ წინადადებას ვთავაზობდი კომპანიონობაზე, ორმხრივად ხელსაყრელ თანამშრომლობაზე. ააფრინე ალალიო, თქმულა. ვერც საინტერესო წიგნით მოვხიბლე უცხოეთში გადაკარგული ღერღეტი. აქ კი ჩამოვლენ აღდგომის დღეებში და ცრემლად იღვრებიან არყით გალეშილები. აი, ეს მტკენს გულს ვახტანგ ძმობილო, ამნაირად სამშობლო არ აშენდება. კარგი რამე გოგიფიქ- რებია ლობსა და ფონდზე.

— ამიერიდან მე უფრო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას ვაპირებ. პირველ რიგში საქართველოს ლობის არჩე- ვისათვის ვიზრუნებ. ასეთი ქართველი რუსეთის 700 000 დიასპორელში რამდენიმე გვყავს ღირსეული. ამჯერად გვარების ჩამოთვლისაგან თავს შევიკავებ, მაგრამ მარტო მე ათამდე კანდიდატურის დასახელება შემიძლია. საქარ- თველოს ლობის არჩევა ჩვენი ქვეყნის პრობლემების მოგვარებას მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს. საქართველოს ლობი პრეზიდენტის კომპასად, ლოცმანად უნდა იქცეს. ქვეყნის პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რომ საქართველოს ლობის უკან 700000 ქართველი დგას. ეს კოლოსალური ძალაა. ვიბრძოლებ აგრეთვე საქართველოს აღორძინების ფონდის დაფუძნებისათვის, რომლის მესვეური წესით საქართველოს ლობი უნდა იყოს. ამ ფონდში მოზიდული თანხები ტუშ-ფანდურას კი არ მოხმარდება, ძვირფ ასო, არამედ ჩვენი ძირძველი ტრადიციული დარგების აღორძინებას — მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის, მეკამეჩეობის, თხების არვის მოშენებას, ჩაის კულტურის, თხილის ნაჭუჭის ნედლეულისაგან უნიკალური ავეჯის წარმოების სწრაფ დაწინაურებას და ვინ მოსთვლის. კიდევ რამდენი მრჩება განზე. კი, გაკეთებული ცოტა არ არის, მე ოპოზიციის უმართებულო შეძახილიც მაღონებს ხოლმე. პრეზიდენტის გუნდმა უამრავი რამ შეძლო — ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტა, გზების მოწესრიგება, სამედიცინო პროგ რამების დანგერგვა ხალხში. საქართველოს იმიჯის ამაღლება მთელს მსოფლიოში, მაგრამ ვერ ხერხდება მთავარი — შიდა ბაზრის დაცვას და ტრადიციული დარგების აღორძინება. საჭიროა გამჭვირვალე პროექტები და დილიდან საღამომდე სირბილი მსოფლიოს ოთხივ კუთხით. ინტერნეტში ძრომიალი. აქეთ არავინ მოგაკლავს თავს. შენ უნდა ირბინო — რაიონის გამგებელმა, საკრებულოს თავმჯდო მარემ, ჩაი ფაბრიკის დირექ ტორმა, არა ამორტიზებული მანქანების ჩამოსაყვანად, არა წუთიერი სარგებელისათვის, არამედ სწორედ ამ პროექ ტების საფუძველზე ინვესტორების მოსაზიდად. ამისთანა განწყობას მე ჯერ-ჯერობით საქარ თველოში ვერ ვხდავ.

დაბოლოს, მთელის პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ამთავითვე უნდა დავიკაპიწოთ ხელები ჩვენი ფენომენური უნარის მქონე თაობის გამოსავლენად. ეს იგივე გენისების ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანის პროგრამაა. საბედნიეროდ ამისი ცოდნა წვეთ-წვეთობით დააგროვა პროექტმა ,,გვიმარამ'' და ამაზე უკეთესი კაცობრიული საქმე არც კი მეგულება დუნიაზე.

ალილუია ნათლიმამა
ვახტანგ მიშველიასთვის

კახეთი. ზავოტობა. ვახტანგს აშიმშინებული მწვადისათ- ვის არ სცხელა. ფოთოლგაცვენილ ვენახებს მივუყვებით. „სუფევის“ ენით მელაპარაკება. ადრე სხვა იყო, ჭიქის იქით ვერ იყურებოდა. ოქროს ბირჟა მახსენდება თბილისის რკინიგზის სადგურში. საათნახევარი დავყოვნდით. ოქროს ჯვარი უნდა ეყიდა ჩემთვის. მე უარი განვაცხადე, ქაშუეთში ნაბოძები აბანოზის ხისასას დავჯერდი. ჰალსტუხის სამაგრი მაინც მისახსოვრა, ძეწკვიანი. არ გაყიდოო, დააყოლა. იცის ჩემი ხელმოკლეობა და სათანადო სიტყვაც მიაშველა. ამასობაში სკამზე ჩამომჯდარს ჩამთვლემა და ნახევარი რემა სიზმარი მოვიხილე. ახლა სხვანაირადაა. მორჯულდა ვითომ?! ჩემი პრობლემა უფულობაა. ვახტანგის პრობლემა — ფული- ანობა. არ გინდა ახლა შეათავსო ეს ორი უკიდურესობა?! ჩემი ნათლიმამა ხარია ყოროსკოპით, ენერგიული ხარი, რომელსაც უხსოვრობის დროიდან ეთაყვანებიან შუმერები

და ეგვიპტელები. ვერაფერი გამიგია რას ერჩიან ამ უწყინარ ცხოველს ესპანელები?! ჩანს ძველი ცივილიზაციის დესფილირება განუზრახავთ, ამოძ- ირკვა, ახლის შენაცვლება, მაგრამ განა უაზრობა არ არის ერთხელ მოძხდარის, ერთხელ გარდახდილის იგნორირება?! ახლა სტალინის მონუმენტის გადადნობა დააპირეს გორში. გორმა დიდი ვიბრაციები განიცადა აგვისტოს თვეში. საბგზის ვცადე თბილისს გაბგზავრება სადღაც სენაკსა და ქუთაისს შორის გახირულმა. ბავშვები კანკალებდნენ არაშენდაში. ვერაფეერს გავხდი. ას ლარს ვიხდიდით საბარშრუტო ტაქსში, რომელი ჭკუათმყოფელი გაბედავდა იქითკენ ბოიბათცვენაში. ისიდა ცამდე ამართალია ამ ყოყლოჩინა ხალხთან არაფერმა გაჭრა. ისინი მიეჩვივნენ მბრძანებლობას. მათი სხეულისათვის ბუნებრივი გახდა სიტყვა „ვლადეთ“. ეუფლე, დაიურვე — აი, რუსული მორალის ანი და განი. ვახტანგი შეზელილია ამ რეალობებს. არადა, ერთ ქარქაშში ორი ხმალი როგორ ჩაეგება?! მე სიტყვას ველოლიავები თავზე. თავდაპირ- ველად იყო სიტყვაო, ღაღადებს ბიბლია კარიბჭედანვე და ამ ყურბანებს რისთვის ვუგდო ყური, როცა დანამდვილებით ვიცი, რომ ოქრო-ვერცხლი- ბრილიანტი უეჭველად განქარდება ხვალ-ზეგ. სიტყვა კი დარჩება ცეცხლგამძლე რვალიგით. ვგონებ ეს უპირატესობები გაისიგრძეგანა ბოლოს და ბოლოს ჩვენმა ნათლიმამამ და იმისთვისაც მივუყვებით ახლა ფოთოლგაცვენილი ვენახის მწკრივებს აღმოსავლეთით. მზე შუბისტარზეა. ჯერაც აცხუნებს კახეთის ცის დედოფალი. მზე დედაა ჩემიო, თქვა კოლხმა. „ფესატოსის დისკოს“ გახსნამ ეს მოსაზრება დანამდვილებით მოიტანა თვალსაწიერამდე. ნინანას საგალობელი. ნუშკარის ჰიმნი. დაფარეთ ხელიხელ საგოგმანებელიო. მტერს თვალს ნუ უბრმავებთ თქვენი საშვენისებითო. 5000 წლის წინათ აბაბანდა ამგვარად კვერისხელა „ფესტოსის დისკო.“

***

აქედან თავდაღმართია. მოჩანს ალაზნის გაშლილი ველ- ობი. ჩემი უღალატო კახეთი! მე იგი ვარანს შევადარე, რომელიც კობრას სამოცამდე კბენას უძლებს. ორიენტაციას აკარგვინებს მხოლოდ. ეგ არის და ეგ. ერთხელაც მოიქცევს მძლავ ყბებში და გადაკვნეტს იმ ეშმაკის მათრახსა. ძელქვას მივამსგავსე ურყევს. რამდენი სისხლი შეერია და მაინც ქარ- თველია. მრავალჟამიერშია ჩანს ეს ბედისწერა განსაკუთ- რებით. ჟამი სომხურიაო იტყვიან. იმდენიმ უცხონდათ წმინდა საფლავები. ჟამი ბირწავარდნილი კოლხურია, კოლხური რომლის უკვდავების საგალობელს, აგერ, გია კვაშილავას გაშიფრული „ფესტოსის დისკო“ ღაღადებს ნინანას პასაჟებით. 5000 წელიწადი ილანდება ამ კვერისხელა დისკოდან. სად იყო მაშინ სომხეთი, გნებავთ ურარტუ თავისი არგიშტითა და მენუათი. ჩვენ მივეჩვით დათმობებს. არიქა არ ეწყინოს! ამ „არიქა არ ეწყინოს“ შედეგებმა აგვაცალა თვალსა და ხელს შუა აფხაზეთი, სამაჩაბლო. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ საგნები- სათვის შესატყყვისი სახელების შერჩევას. ამისი ნათელი მაგალითი ჩვენი შეუდარებელი დიასახლისი ისიდა ჯან- ჯღახეა. უკომპრომისობა, როცა შენს ჯიშ-ჯილაგს ეხება. ნათლიმამას გამოვიძებაც, ალბათ, ისიდას შეძახილისაგან საწყისდება. ღმერთმა ინებოს! ღმერთმა! საქართველოს ანექსიის მასალების მოგროვებას მთხოვდა. ვეთრიე საჯაროში, დავაქ- სეროქსე. წიგნიც უნდოდა ამ თემაზე გამემზადებინა, მაგრამ უკეთესი რა მომეფიქრებინა, რაც ბატონმა გოგი გაჩეჩილაძემ გააკეთა?! ასგზის გავსულვართ თურმე საზიარო ომში რუსეთთან ამ ორასი წლის მანძილზე და ყოველთვის ხახაგამშრალ მტერს შეგვატოვა მუჭა ქართველები გასაჟუჟავად. ამერიკაც არ გადა- გისვამს თავზე ხელსო, მაგრამ ამერიკა ამერიკაა. გადაგისდის და მორჩა, მისკენ შენს თავს. ეგენგი ახლა „ენგურჰესსაც“ გვედავებიან. არ გაატარეს იქით შეუდარებელი ენერგეტიკოსი ლევან მებონია. არადა სირცხვილი! გული გამალებით მიძგერს. ჩანს მოუცლია ეგზემპლარებად აკინძული „სუფევისათვის.“

***

ქორმა ირაო შეკრა ცაზე. ნატვრის ხე მომაგონდა. მომაგონდა ჩემი უღალატო მასწავლებელი დიმიტრი გალისაშვილი, რომე- ლიც აქა-იქ თვით დიდ გოგლასაც წარბის შეუხრელად გააშარ- თვინებს კალამს. სტილისტიკაში სწორადაც ჩვენმა დიმიტრიმ მომაჭრევინა ჭიპი. ამეებისთვის ნათლიმამას არ სცხელა. ის ჯერეთ გარეგნული აქსესუარებითაა დაკავებული, ბრჭყვიალით, ციგლიგით, მაგრამ ისე როგორ გადაიგრგვინებს ამ დუნიაზე ჩემი სულიერი მამა — ჩემი ვახტანგ მიშველია, რომ საგნის გულისგულში არ

ჩაიხედოს?! ტელეკომპანია „ოდიშის“ გადა- ცემა მახსენდება. რამდენი მაქო და მადიდა. საბუნებისმეტყ- ველო დარგების სპეციალისტად მაღიარა. კორეპონდენტ ანი სორდიას აყლაპა მსუყე აჩმები და მორჩა. ამ ბედოვლათმა არ იცის ფული სად დააბანდოს. ლუიზა მესხიას ჩაიში ჩაყარა ათასები. ახლაც სარდაფში დაყუნცულა ტომრებში ჩაჩურ- თული ის ჩაი. ტყუილუბრად გავისარჯე, ბაქოში ჩავედი ნასესხები ფულით, იქ, ჩვენი საელჩოს წარმომადგენელი, კოლეგა იმირა მამედოვი ავაწრიალე, მაგრამ არაფერმა გაჭრა. მიმასპინძლეს ღირსეულად და გამომისტუმრეს არშინიანი დაბირებებით. ავტობუსებს უფეშქაშებდა მისიანებს. ქანჩი არ არის ახლა იმ ავტობუსებიდან, გაიკა, რესორი. გაცვდა, გაყიდეს ჯართად. სათამაშო აპარატურა შეუძინა დაიკოს. აყლაპეს ამ აპარატს ოცთეთრიანები, იმდენი აყლაპეს რომ გადაჰყვა კიდეც ამდენ თოხლაობას რუსული მახინა მოლა ნასრედინის ქვაბივით. ჩაის ფაბრიკები შეიძინა, რომლის ჟანგი ხუთას ყორანს გადაღებავს. ახლა კახეთის ზვრებს მისჩერებია. დააყენებს ზანგელა საფერავს, გამოტყვრება და ბიმბული შერჩება ხელთ. მე კი ვეუბნები, დააფინანსე სიტყვა-მეთქი, რადგანაც თავდაბირველად იგი იყო, უფლის თანასწორი და ალიკვალი, თავად უფლის სეხნია, უფლის ცათაფრენა. ვინ არის გამგონე. დავიღალე მისით. სამოწყალო ლარებს მომიგ- დებს. ათვალწუნებული ჰყავხარო, მითხრა ერთმა ჭკუადაუნ- ჯებულმა უფროსმა მეგობარმა. ყველაფერს ჩაუკაკლავენ ხოლმე, ჩემს მომსპობს. ჩვენს შორის შარის ჩამოგდების მოსურნეა უმეტესი, ბირდაბირ ვერ ბედავენ, მაგრამ ილენ- ცურად, რიკოშეტულად ამას საქმოსნობენ დღემოსწრება. აბა, რა, ბოტენციური მოწინააღმდეგე ვარ მათი. არიქა ლუკმა არ წაგვართვას ფეტელავა ვაუბატონმაო. მე მიშველიას ფულები ფეხებზე მკიდია. მე მინდა ჩემი შემოქმედების გამომზევება, რომელიც თავად გამიყვანს წუთისოფლის ოკანეში დიდი წყალწყვის ხომალდივით. ფულს იქით მივაშავებ მერე ნათლი- მამებს თუ მორდილებს. მე ჩემი ასპარეზი ვერ მიბოვია ამ თახსირი დროების გამო. რა გასაკვირია, შინაურ მღვდელს ჰქონია ოდესმე შენდობა, მე რომ მქონდეს?! ეპატრონა სიტყვის- თვის და დღეს მეცენატზე უფრო სახელგავარდნილი იქნებოდა მთელს დუნიაზე. არა ძმაო, ღმერთი ორივე ხელით მიართმევდა და ეშმაკი ნეკათითით უარს ათქმევინებდაო, ამაზეა ზედგამოჭრილი. ამისთანა მუდოებს ცხრა ისიდა ჯანჯღალე უნდა დაასიო თავზე, რომ მერე რუსული გაორებები მიყოლებით გამოუბერტყო ტანიდან. აი მაშინ ნახე მათი თითზე კბენანი. აი, მაშინ ნახე მათი სიმწრის ოფლები, როცა მიხვდებიან სად უფლანგავთ თარხანი დრო-ჟამი.

***

ფერდობზე ითრღალთი ამოდის ყმაწვილი. მწყემს ჩამოჰგავს. იქნებ იუნგაა. მეც ხომ შირაქის ზამთრის საძოვრებზე კვირის- თვის კვირა გადამიბამს. იქ გეოლოგიურ პარტიის ბიჭებთან „პრეფერანსი“ მითამაშია. მაშინ „თუშ მეცხვარეს“ იღებდნენ ქართველი კინემატოგრაფები. ერთი თავპირისმტვრევა იყო. მე ნაბდით, თექის ჩექმებით, ორი კავკასიური ნაგაზით, სამასრე- ენბით, ორლულიანი ფიშტოთი და კიდევ კუდაბრეხილი ზამთრით ჩამოვბარგდებოდი ხოლმე მათსას. ეს ცნობიერი სახე ამოჰყვება ჩვენს კაფანდარა მხედარს, მაგრამ ნათლიმამა სულ სხვა თემაზე შეატრიალებს საუბარს. იგი გამოთიშულია გარე- მოს. მთელი არსით „სუფევის“ წიაღებში დანთქმულა. თითქოს მიმტკიცებს, რიგიანად გაუთავისებია თუ არა ნათლულის ათწლეულობით ნავაგლახებ-ნაცოდვილარი: ნათლიმამას თუ არ შეეტენები სიზიფეს ლოდს აგიგორებს მწვერვალზე, მაგრამ საკმარისია თითებით ყელი გამოუწიო, რომ ცუანა სოკოსავით მსწრაფლ ჩაიფუშება. მე ამ კაცს უკვე მროხარშულს ვიცნობ. ამას ჰგონია ფამილარობით მომსდის კუდში დევნა. ზღარბარია ეგ. ანგეოლოგიური პრობლემები რომ აწუხებდა ბოხუას ინსტიტუტში საათობით ვუცდიდი ფოიეში. აეროპორტში ლამის ტრაბამდე მივსდევდი. ოჯახში სალოთაოდ წასულს ეზოში ბოლითი ცემით ვეგებებოდი, რათა მისი დის დამკვახებული მომესმინა: დამთვრალა და ამაღამ ვერ მოდისო. არანაირი სარგებელი, არანაირი სარჩო-საბადებელი. შვილის საერევნო ფუული რომ გამომიგზავნა მაშინ დამირეკა პირველად აქეთ. არიქა, არ დაიკარგოს სადღაც ბანკებში ის ათასშვიდასი დოლარიო. არავარ სარფას გამოდევნებული, ბაბაგე, როგორც ილარიონოვიჩი მეძახის, ჩვენი რექტორი რამინ აბლოთია. მე ასპარეზი მინდა ბაბაგე, ამ ორმოცდათექვსმეტი წლის მუდ- რეგს. ამას მთხოვდა ჩამი ანკარა ასული ანიც უკანასკნელ დღეებში. მე

სივრცე მწყურია ბებაგე, ევროპა, ამერიკა, აფრი კის პირამედები, სფინქსისთვის თვალის გასწორება. მე დანია მშია ბებაგე! მე თავზე ხელის გადასმა მომგუნებებია ნათლი- მამას შვილიშვილებისთვის. უფროსი ჩემპიონია ჭადრაკში. უკეთ მეორე ადგილზე გასულა. არადა, მოგებაც შეეძლო თურმე, დროს რომ არ ეღალატა. ცაიტ ფერლორენ, ალეს ფერლორენ! მე დანიის პრინცის ქვეყანაში მინდა ბებაგე, რათა ჩემი „ოდოია“-ეპოსის პასაჟებს გაცილებით ახლოს მივე- ლამუნო. მეყო რაც დიოგენის კასრში ვიყურყუტე! მე ვავალ- დებულებ ნათლიმამას გამოიბერტყოს ყურებიდან რუსული თოვლი და ქართული დარდუბალა! დააფასე სიტყვა-მეთქი, ვუკივი, რამეთუ თავდაპირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთისა თანა და სიტყვა იყო ღმერთი იგი.

***

მახარბეგზე წიგნის დასაჯღაბნად მაქეზებდა. მპირდებოდა თითქოს დააფინანსებდა ამისთანა სისაძაგლეს. კოვზი ნაცარში ჩავუგდე. არც მისი ბიოგრაფიული ეტრატების მჩხიბაობით შევიწუხე თავი. მე კაცობრიულ მოაზროვნეზე მინდოდა თხზულება გამომეძერწა მისი სახით და არა სტატისტი, ფაქტების აღმნუსხავი. ამას სხვებიმც ჩინებულალდ ახერხებენ, რაღა მე შემეკლა თავი აკვანშივე განწირული არარაო- ბისათვის?! მე ხომ სრულიად საქართველოს 6000-წლოვანი მატიანეს ჩავაცვი ბენქთარი! ამ ბექთარიში ამოვავლე ჩემი ნათვლიმამა, ოღონ ქუსლით მეჭირა დედამის თეტისასავით და ეს ქუსლი დღესაც სუსტი წერტილია მისთვის — მამონას მოთაყვანეობა! უნდა დავაძლევინო ეს ჭირი. უნადა დავაძ ლევინო ეს ჭირი! რა ხანია პროექტი „გვიმარა“ უცდის. მას ხომ მშვენივრად შეეძლო ამისთვის თავი გაერთვა. რაღაც საიმოწყალო ათასები იყო საამისოდ საჭირო. ვერც იურა წოწერიას დაფნის სარეწში ჩავადებინე ფული. ადგა და ჩაის მიხრწნილი ფაბრიკები შესყიდა; ოცი ტონა ჩაი სარდაფებში უობდება. კიდევ ნახევარია საჭირო რომ იგი გადახალისდეს და ღვთისნიერი ხალხი თუ აღმოჩნდა, იქნებ მომხმარებლის მყნოსველობამდე მიაღწიოს. ახლა „ლიპტონით“ ვჯახირობთ. ჩაის უქონელი აზერბაიჯანიდან შემოგვაქვს შეღებილი სურო- გატი. გენიოსი ტეტეერის იდეები ხავსს იკიდებს. ინჟინერ-ტექნოლოგ ვალერი კოვალიოვს ვგულისხმობ. ხუთას კილო-გრამამდე ჩაის ამზადებს ყოველ სეზონზე. მოსკოვში აგზავნის კილოს ოცდაათ მანეთად. ერთი კილოგრამი ვერაფრით მიშოვია. ჩემთვის არასდროს მოეპოვება. ალბათ, ფიქრობს, ფული არ ექნება ბედოვლათს და საჩუქარი გამიხდებაო. ღმერთი, რჯული, არ მენანება ოცდაათი ლარი ამ საოცრება ჩაისათვის. მე ბევრი ვირბინე ხობის რაიონის გამგებელ ანგული მიქავასთან, ოღონდ კოვალიოვის როლერები დაგვენერგა, მაგრამ იმ პერიოდის საქართველოს გამომგონებლობა არაფერში ეპიტნავებოდა. არც ამჟამინდელსაც ვატყობ რაიმე განსაკუთრებულს. მთელი საქ- ართველო შემოგვიგლია მარჯვენასაჭეიანი „მერსედესით.“ არადა იკვეხნის, რომ მოსკოვში საუკეთესო მანქანით დასეირ- ნობს, თავად ოთარ ფაცაციასაც დააჭყეტინა თურმე თვალები. მხოლოდ პუტინს რომ უყენია საჯინიბოში ისეთით.

***

ქვეშეცნეულად მივადევნებ სმენას ნათლიმამას საუბარს. მისი ცნობიერების არეალი ზიგზაგიანია, ერთი ტირადიდან მეორე ტირადას გადაწვდება, მაგრამ მე ვერ ვამჩნევ რაიმე ძალდატანებას. მახსენდება ქაშუეთის ეკლესიაში როგორ ამწია ემბაზთან. ვემძიმე თითქოს. რამდენიმე წუთს დამაყოვნა ასე. იფიქრა სისუსტეში არ ჩამომერთვასო. მეუფე ელიზბარი ცნობისწადილით მიაჩერდა სახეზე. ეგ იყო და ეგ. ყელზე მკიდია ძაფზე აკინძული აბანოზის ხის ჯვარი. რა საჭიროა მიეთ-მოეთი. ჰეშვით დალეული წყაროს წყალი გაცილებით სათნოა, ვინემ ოქროს თასით მირთმეული. ოქრომ და ბრილი- ანტმა გააგვიმრუჭა ჩვენი საწუთრო, არადა რა ომახიანი იყო პიროველყოფილი საზოგადოებები?! თითქოს ბრიმიტიული და მაინც სათნო. რა გიკვირსო, მითხრა ერთმა აკადემიკოსმა, მამა შვილთან მამათმავლობსო და ეგეთები გაოცებსო. რაღაც ბრიმიტიულ ხიენჯზე ვმასლაათობდით და ამის ფონზე გამაოგნებლად შემცხეთა მამა-შვილს შორის გახვანჯული სოდომ-გომორი. ქვეყნიერება პერანგს იმით ათრევდა რომ მამა შვილისთვის სწირავდა თავს ყოველთვის. სამაგალითოა კაც ზვამბაიას ავადმყოფური თავგამოდება

არზაყანისათვის. უფრო შორს გადავავლოთ თვალი — ოდისევსი და ტელემაქე, ახლადწამოყვიჩილებული პირნცი და ბებერი მგელი ლაერ- იტიდი. არანკლებია ენეასი. მე მაინც დანიის პრინცის არეული გონება მიტაცებს მამის აჩრდილისათვის გაღებული სული. ახლა ჩემს პოემაში დანიის არეებს დავსტრიალებ. ჩემი ოდოია თვალამოცლილი და ანძაზე ცხრა დღე-ღამეს ვერხვის ფოთოლივით მოცახცახე ღმერთად მოევლინება დრუიდებს. რამდენ ჰიმენეს და საქორწილო სარეცელს იგემებს ყველა დაბრკოლების მამის — ლოკის ხვანჯებს გადაყრილი და მაინც მსოფლიო სინქრონიზაციისთვისაა შეღერილი. ამეეყზე ნათლიმამამასთან ხზმა არ დამიძრავს. პუშკინის ლექსი მახსენდება მხატვარსა და ვაჭარზე, ა სან- ამდე ჩამოუწევს ფარდას, წაღებზე მესაუბრეთ. მე ეს უფალბატონი ჯერ „სუფევათი“ ვერ მომიხიბლავს. „სიმცოცხ ლემისჯილს“ დაასეირნებდა მოსკოვ-თბილის შორის. ახლა ხომ ქართული სტრიქონის გაგონება არ სურს იმპერიალ-ისტური შხამით მოწამლულ ჩრდილოეთს. ის კი არა ქართული ტერაქტების მოსაგიერებლადაა მობილიზებული „მშრ-“ი — მოსკოვის მილიციის სრული კორპუსი. ყველგან კოვზი ნაცარში უვარდებათ. ეუთო, გაერო, ევროკავშირი, ნატო, სულ რუსეთის საზიანოდაა დაქოქილი. საქართველოს „შაპ“-ში მისაღებად თაგვის კუდისხელა დარჩენილა და ეძებენ ყოველ სახსარ-საშუალებას ჩვენს შესაფერხებლად. გამოძებნიან იმ დევნილი ათასებიდან ან პუტინის თქმის არ იყოს 700000 ღერღეტიდან სათანადო ტიპებს. გადაუხდიან კიდეც ტერაქ- ტის ინსცენირებისათვის, მეტროში ბომბს ჩამოაგდებინებენ, რესტორანში ლაღუმს ააფეთქებინებენ, გამოელევათ საამი- სოდ ხუბუტიებისა და ბუჩუკურების სადაგი ცხენები თუ რა?! სანაცვლოდ რას მივიღებთ?! მორალური ბოროკილები შეეხსნებათ რუსული იმპერიის დამქაშებს. ჩამოგვაყრიან თავზე ბომბებს ზუგდიდსა და თბილისში. არ დაგიცვას უცებ გუშინწინ განახლებულმა რადარებმა. არა, შეუდარებელია ჩვენი ისიდა ჯანჯღახე. როგორ თქვა, შენ არ გეწყინოსო და შენ ხარ ყველაფრის შემოქმედიო. იქ ღამურასავით რომ კიდიხარ, აქ ჩამოვაკდი ბატონოო, ორ ცხენზე ნუ ზიხარ, ორი პასპორტით ნუ დაიარები, გეყო ამდენი გაორებებიო. დანიის პრინცი ვახსენე და ვახტანს მეოთხე შვილიშვილი შეეძინა ამას წინათ. ისიც ვაჟიშვილი. უფროსები ხომ ჰყავს და ჰყავს. იქ ტელევიზიით ხმა აღიმაღლა ყვინჩილამ საქარ-თველოს ქომაგად. ჩემს საშობლოს ბომბავენ და მე აქ როგორ დამედგომებაო. ფრიადოსნები ბადიშები ახვევია გარს. შემ- პირდა, ჩაგიყვან დანიაშიო, მაგრამ ეგ ხომ შეპირებათა დასტაქარია. „ნოუდბუქი“ მახსენდება. როგორი გულისფან- ცქალით მოველოდი. ისიც დანიური ყოფილა, ქალიშვილის ნაქონი. გამოატანა ბარგს საჩემოდ თბილისში. აქ კი მისმა დაიკომ იხილა თუ არა ტექნიკის უკანასკნელი საოცრება, თვალები ამოუტრიალდა, ფეტელავა ვაჟბატონს რისთვის უნდა „ნოუდბუქი,“ თავისი პენტიუმ სამითაც იროლას გავაო და შვილიშვილს გადააბრალა მისი მისაკუთრება. თვალიც არ დაუხამხამებიათ. ვახტანგმაც ვერაფერი თქვა ჩემს სასარ გებლოდ. ჰ ქონდეს ბავშვსო. ო, ღმერთო, როგორ ჰყავთ ხელზე დახვეული, ყველას, ყველას. კი გაიძახის, ჩემთვის იოტის- ოდენა სიკეთე არავის მოუგიაო, მაგრამ ეს მარტოდ მარტო მე არ მეხება. არ იცის ეს სიტყვა როგორ მაღიზიანებს. ერთხელაც წამოცება და ზურგს შეგაქცევ უცილობლად. მაგას ფაცაცია ხომ არ ვგონივარ. ერთხელ სამსახურში რომ არ მიიღო ახლა უფრიალებს ცხვირწინ ათასებს და ამით აბრმავებს, ხედავ, როგორი ბიჭი არ მიგიღია სამსახურშიო. ამას ეგონა ტურტლიან მისანების ან ჯაგარულვაშა ალანი მახარბეგის ქება-დიდებით გავათენ-დავაღაბებდი. ზგდი- დელების მუცლით საცოხნ წიგნს მოვახლაფორთებდი და მორჩა. ვერ მიართვეს. მე ნათლიმამასგან ოცდამეერთე საუკუნის დანიის პრინცი შევქმენი, ოცდამეერთე საუკუნის ჰამლეტი, რომელიც მოსკოვის სასაფლაოების ფენილებში ვერაფრით პოულობს მზეთუნახავი შონხე ბებიის საფლავს. ეპოვა კაი ტურას გამოკრავდა კბილს. მილიონები ღირსო ციდა საფლავი. ვერც ბაბუის კვალს პოულობს და ამისთანა ადამიანი ვერაფრით დამირწმუნებია რომ მისი სახსენებლის- განაც აღარაფერი დარჩება ხვალ-ზეგ თუ არა „სუფევა,“ თუ არა ეს სტრიქონები, ეს არაორდინალური შეფასებები. ხელებს უნდა მიკოცნიდეს, როგორც მე ჭაბუას ვუკოცნი მარჯვენას. მიხვდება კი?! მიხვდება კი?! ჯობია ამისთანებს სახეში მია- ხალო ყველაფერი. უფრო დაგაფასებს. ჩვენ საზიარო გოგო მოგვწონს, მაგრამ ამის თაობაზე ორივე ვდუმვართ. ფრეა ჩვენს შორის, სასწორი პინა გაწონასწორებულა.

***

ახლა აქეთ მაკვალიანებს. თითქოს მოსწავლე ვიყო, თითქოს ჩემგან არ გამოწურულიყოს ეს სენტენციები. ბევრი მომსდია კუდში. ზვრის კიდემდე მივღწეულვართ. ცაზე არ ჩანს ირაოს გვირგვინად შემკონავი ქორი. არც ტყაპუჭიანი ყმაწვილი ილანდება საწიერზე. მხოლოდ ზვრებია. შორს გორაკებად აღმართულა ჭაჭა და ცისკენ თხლად მიმავალი კვამლი რომ- ელსაც რახის და მწვადის სუნი მოაქვს ალაზნის მოსუს- ტებული ქროლვით. გვგისრულებია „სუფევა.“ ვახტანგიც ბევრი შემომხიდებია ამ გზაზე. ისევ ქალბატონი ჯანჯღახე ამესვეტება თვალწინ, მარგალიტი ქალბატონი, რომელიც ტოლს არ უდებს თავად გელენახესაც, ოდესღაც შუკოს და მე ლურსმნებივით რომ გვაჭედება გონებაში: შვილებო, უკა- ნასკნელი სული რომ გიხანტალებთ ყელში, ისიც სამშობ- ლოსთვისო. არანაკლებია ჩვენი ამსწინანდელი მასპინძელი ჯეგეთას სიახლოვიდან: შენთან ბოდიში, მაგრამ რა ყოფილან ეს შენი რუსებიო... ასე შემდეგ და ასე შემდეგ. უკომპრომისო მიწოლებს ვერ უძლებს ჩემი ნათლიმამა. მსხლის არყის მხარ- დამხარ ყლაპა მაშინ მუშტისსისხო ნერწყვი, მაგრამ სიმარ- თლესთან რას გააწყობდა. აკი, თვითონაც მაქეზებდა რუსების მაკომპრომიტებელი მასალის მოსაძიებლად. დავუ ძებნე. დავუქსეროქსე. წიგნის გარიწკინებას მთხოვდა, თუმცა გოგი გაჩეჩილაძეზე უკეთესს რას მოვახლაფორთებდი, რისთვის მემტვირია ღია კარები?! ახლა ტერაქტების სერიალს გვიმ- ზადებენ რუსები, რათა მერე ჩეჩნეთში განხორციელებელი გენოციდის მსგავსად ფონი შექმნან ჩვენი შტურმირებისათვის. სააკაშვილი ამოუვიდათ ყელში. გაჟღერდა კიდეც მისი ტერაქ- ტისათვის სოჭში შეკრებილი „სუკის“ აგენტობა. გვყოლია საბედნიეროდ მათში მოენე. ვერ შეგვიშნოვეს, ბაბა, და ახლა აქეთ გვაყრიან თავზე ბომბებს. სარკოზი, სხეფერი, მავანი და მავანი ჩვენი ადამიანური უფლებეისათვის იმაღლებს თავს. გორის გადასარბენისათვის ხიდის კონსტრუქციებს გვიგზავნის ინგლისი. მილიარდები მოედინება საქართველოსკენ. აკი, მიხსენებია სადღაც საქართველოს სიმბოლიკა ამირანის მით- შია-მეთქი, არამხუტუს მითში. ჩვენი სრული თავისუფლება ამერიკდან მოდის, იგი ირლანდიური ჯიშ-ჯილაგისაა, ირლან- დიური მოდგმის და ზევსის არწივს უმისოდ არ ელის გაცამ- ტვერება. მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ათასები მივა- ხარჯე „სიცოცხლემისჯილის“ პირველი წიგნის რუსულ თარ- გმანს. ჯერ ნორა ნეიმანს ამოვუღამე თვალები. საქინფორმელი თენგიზის ბწკარედულ თარგმანს მივაკალი. იქ მოსკოვში თანამემამულე ებანოიძესთან კვირეებით ვეგდე. ბოლოს სულ დამიკარგა დედანი მუდრეგმა. ხელახლა ავაკრეფინე მიქაუ- ტაძეს. აქეთ შონიას ქალს თვალები ამოვჩიჩქნე მისი კორექტირებით. არაფერს ვამბობ ჯიბეზე. ვახტანგმა ხომ სულ დამანუგეშა, აწი ვის ენდომება ქართული იწილო-ბიწილოო. არა ძმა შეკეხიდები რომელიმე ამერიკულ გამომცემლობას და იქ დავსტამბავ ოკიანეს გაღმა. მე ხომ ვიცი როგორი წარმატება ექნება „სიცოცხლემისჯილს“ უცხოეთში. კომპაქ- ტურია. თანამედროვე რომანიო, რომ იტყვიან. შემსუ ბუქებულია ჯოის-ფოლკნერის „ცნობიერების ნაკადი“. მომიძებ- ნიან ჩემი ბღარტები ინტერნეტში სათანადო კომპანიონს. მოგჭამა ჭირი რუსულმა სახადმა „მთვარის მოტაცების“ ბორანივით. რუსეთი კედელთანაა მიმწყვდეული. მისმა აქციებმა ჩაყვინთა. ნათლიმამამ უმჯობესია თავის „სუფევას“ მიხედოს. ამაზე მეტი ჯილდო მისთვის ბრეტისბრეტია. ამითაც შორს გაუვარდება სახელი! ეხუმრები, 6000-წლიანი ქართული ცივილიზაციის ჭირისუფალია! კეთილი ინებოს და მიდგეს-მოდგეს მისი განხორციელებისათვის. გუბერნატორმა დელი- კატურად მომიცილა თავიდან, ცენტრალიზებული ბიუჯეტი გვაქვს და ვერაფერს დაგეხმარებიო. მუნიციპალიტეტებს მიმართეო, თითქოს ეს მუნიციპალიტეტები მისი ხელქვეითი არ იყოს. თითის ერთი დაქნევაა საკმარისი, მაგრამ სად არის ნება! ნებელობა! მუნიციპალიტეტში ქობალია წაუყრუებს სადღეისო ბიუჯეტით. ბოლოს და ბოლოს მამამისზე და ძმა ლევანზე გულშიჩამწვდომი სტრიქონები მიწერია. მოგცლია! ვნახოთ საგაისოდ რას მოიმოქმედებენ. არა, შეუდარებელია ჩვენი ისიდა ჯანჯღახე. თქვენ გგონიათ იშოვით დღეს და ამით მორჩება ყველაფერი. ბიბლია კი ლურსმანივით გვაჭედებს თავში: თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთისა თანა და სიტყვა იყო ღმართი იგიო. მიდი ახლა და აგროვე უზალთუნები, აგროვე ნიკოიას მონეტები. თხილის ჩხრიალი იყოს, მოგეცა ლხენა, ფრიდონ კოდუაზე ნაკლებად არ ააჩხარ-უნებდა ბაბბასავით.

უკან ვბრუნდებით. არ ვიცი სავსე მეთქმის თუ დაცლილი. სიხარული ერევა ყველაფერს. ეს ისტორიკოსი, ეს გამროუსწორებული ნუსმიზმატიკი და მამონას მოყვარული ამავდრო- ულად, ხომ შემოვატრიალე ჭეშმარიტი წუთისოფლისკენ?! ნამდვილი ნათვლიმამაა ახლა, შეუდარებელი მორდია.

სარწმუნოება

ხეცნობადი

პირველითგან იყო სიტყუაი და სიტყუაი იგი იყო ღმერთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგიო, აცხადებს იოანე დააბით გამჟღავნებულია უფლის ექვსდღიანი მუშაკობის უმთავრესი ენერგიის სიტყვაში აკუმულაცია. ძეხორციელი ცაბაოთის ხატად და სახედ შექმნილი განზომილება თუა, სიტყვა — მაცხოვართან მყოფი, მეტიც — თავად არსთაგამრიგეა, ნაღები, პირველმოხდილი არაყი ზავოტობისას, იგივე ნადუდა მარგალური გაგებით, სვეტი ცხოველი, საშოთხეში ეულად დარჩენილი უკვდავების სათავე, რლმელსაც თვით გილგამეშიც აშაოდ ეპოტინება საშოთხიდან ეგა-უნასიანად გამოძეგებული ადამითურთ.

შემეცნების ალტერნატივა

ილია მართლის საშვილიშვილო მესამე იპოსტასზე საუბრისას ჩვენ პრეტენზიას ვერ განვაცხადებთ თეოლოგიის თუ ათეიზმის სუბორდინაციის უზოგადეს პრინციპებზე, — რომელია მათ შორის აბსოლუტურად ჭეშმარიტი, რადგანაც ეს ორი პოზიცია სამყაროს აგებულებისა და ადამიანის გაჩენის შესახებ, განსხვავებულ პლატფორმებს აირჩევენ ერთხელ და სამუდამოდ. ისინი ოდითგანვე ჯიუტად ადგანან თავიანთ მრწამსს და დღითიდღე იხვეწებიან ამ მარათონული პოლემიკის პროცესში.

სამყაროს ღვთიური ექვსდღიანი შექმნა გაცამტვერებულია მატერიალისტური თვალთახედვიდან და ხშირ შემთხვევაში ცივილიზაციის გარიჟრაჟის ლუღლუღადაა მიჩნეული. ღმერთი, უზენაესი სუბსტანცია, ყველგანმსუფევი და ყველაფრისმხედი, ნებისმიერი მატერიალურის და სულიერის გენიალური შემოქმედი, მოძრავი და უძრავი ერთდროულად, ნათლისა და ბნელის გამაერთიანებელი თავისთავში, ყველა რელიგიური მიმდინარეობის მკვებავია მეტნაკლებად: ბუდიზმის, ზოროასტრიზმის უთვალავი შრე და დანალექია, როგორც ახალ აღთქმასა, ისე მუჰამედის საკრალურ წიგნში ,,ყურანი''; მატერიალიზმს ყოველთვის საბუთებს სთხოვენ ამა თუ იმ დებულების დასამტკიცებლად, და ვიდრე ეს სამხილი მასალა არ გამოუჩნდება, უძნელდება ქათმის თუ კვერცხის პირველადობის დამტკიცება. მაგრამ რელიგიას, სარწმუნოებას ჩვენ ქართველი ერის ზნეობრივი არსებობის წყაროდ რაჟამს წარმოვსახავთ, არავითარ შემთხვევაში მივეცემით მისტიკურ უკიდურესობებს, არამედ, მშვენიერის თვალსაწიერიდან შევეცდებით მისი ზეგავლენების ჩამოქანდაკებას.

ჰეგელს თუ ვერწმუნებით, როგორც კი ღმერთი განკაცდება, სხეულებრივ პარამეტრებში მოექცევა მისი უსაზღვროება და დაუსაბამობა, ფაქტობრივად, ამით დემიურგი უზენაეს განაჩენს გამოუტანს თავის თავს.

ქრისტიანული სამება — მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა შუმერული თეოლოგიური წარმოდგენებიდან რომ იკვებება, უკვე სადავოს არ წარმოადგენს. სამების პრინციპი ,,ოთხთავის'' შემოქმედთ დედის რძესავით შესისხლხორცებიათ და რამდენი ეკლესიაც უნდა წამოვაყენოთ ჩვენ XXI საუკუნის ზღურბლთან ნარიყალას თავსა თუ ელიას მთაზე, დილემა დილემად დარჩება, როგორც ჩანს, კვლავაც და არც თუ ისე ცოტა ხნით, რადგანაც დღესდღეობით ცივილიზებული მსოფლიოს დაახლოებით მესამედი ქრისტეს რჯულზეა მოქცეული ამდენივე მიმდევარი ჰყავს პლანეტაზე ცალკე მუჰამედის მოძღვრებას და ცალკე ბუდიზმს.

მატერიალიზმისთვის მსოფლიო ჯერხანობით სათანადოდ ვერ მომწიფებულა, ანკი, დიალექტიკა თუ იმარჯვებს მასებში — ისევ და ისევ ძალდატანებული იდეოლოგიის, მუშტისა და გისოსების წყალობით.

ადამიანის ბუნება სამყაროს შემეცნებისას ჯერაც ლერწამივით მერყევია ღმერთსა და დიალექტიკას შორის, იდუმალებასა და ცხადს შუა. რადგანაც მატერიალიზმი ვერ დაასაბუთებს ადამიანის მაიმუნისაგან წარმოშობას.

მტკიცება, რომ ადამიანი მაიმუნის მსგავსი ინდივიდუუმისაგან წარმოიქმნა, ხოლო ის შუალედური რგოლი ამოვარდნილია სპირალური ჯაჭვიდან დაუშრეტელი განვითარების პროცესში, ბუნდოვანია, მეტაფიზიკის მასაზრდოებელი.

თეოლოგია იმძლავრებს. ერთი ორად გაიზრდება მისი ზემოქმედების მაგნიტური არეც კაცობრიობის სულის დაურვების თვალსაზრისით.

ოპარინის კოაცერვატები, ცილის სინთეზის ხელოვნური გზა და ყოველივე კოლოსალური მიღწევა ბიოლოგიის სფეროში, ათასგვარ ინტერპრეტაციას წარმოუქმნის სადისკუსიოდ ოპონენტებს.

საჭიროა საბუთები, მტკიცებანი ყოველ ნაბიჯზე. ადამიანი კი ჯერჯერობით თავისი განვითარების მხოლოდ ჩანასახობრივ სტადიაში შეიძლება მივიჩნიოთ, რადგანაც ყველაზე ვულგარული გამოკვლევებით, მას თურმე ტვინის უჯრედების მხოლოდ სამი-ხუთი პროცენტი ძლივს აუთვისებია და ისიც, ვინ უწყის, რაოდენ რაციონალურად.

ჩვენ საიდან შეგვიძლია ვამტკიცოთ, თუ რა სიღრმეებს და ფასეულობებს იტევს დანარჩენი ოთხმოცდათხუთმეტ-ოთხმოცდაჩვიდმეტი პროცენტი ტვინისა, ჯერ კიდევ ყამირი რომ არის თვით გენიოსი მოაზროვნისათვის?! ჩუბინიძისეული მესამე გზა, ანუ ღმერთკაცის თეორია, ერთგვარი გაქცევაა ამ ალტერნატივისაგან. საკითხი კი კონკრეტულია: ან ღმერთის აღიარება სამყაროს შემომქმედად, ან დიალექტიკური მატერიალიზმის არჩევა ბუნების საიდუმლოებათა კვლევის მეთოდად.

ჩვენი პოზიცია ამ თემშარაზე სრულიად ცალსახაა — მას ევიწროვება ღვთიური ძალების სუბსტანციად წარმოსახვა და რადგანაც ხელმოცარული ვექილის კვალობაზე სამხილი მასალის უკმარისობას განიცდის უთვალავი კითხვის გასანეიტრალებლად, აქა-იქ წამოჭარხლებული ბრაზმორეული ბურტყუნებს, თუმცა ეს როდი ნიშნავს ურყევი არგუმენტები ცოტა დაგროვდება XXI საუკუნესა თუ მის იქითაც.

წარღვნის ვერანაირი აპოკალიფსური წინასწარმეტყველებანი დააყრევინებს ფარ-ხმალს ამ მაძიებლობას. ეკოლოგიური კატაკლიზმები, ბუნების ბოროტად გამოყენება, სემიპალატინსკისა და ნევადას ატომური აფეთქებათა კერები, რომელთაც დედამიწა მართლაც უგუნურად მიჰყავთ კატასტროფისაკენ, ვეღარ მოუსპობს ადამიანს მომავლის რწმენას: დღეს იქნება თუ ხვალ-ზეგ, იგი საკუთარ თავზე აღზევდება, ალაგმავს ქაოსს და უმართავ პროცესებს, ზოგადკაცობრიულ მიზნებს დაუქვემდებარებს ატომგულის გახლეჩას თუ ნობელის დინამიტის გაასიათასკეცებულ დამანგრეველ სიმძლავრეებს; დიახ, კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესებს დაუმორჩილებს ნებისმიერ ანტიკოსმოსურ გამოხდომას.

ამ ასპექტით ყურადსაღებია „სასწაულის“ ავტორის შეძახილი თუ „აღმოჩენა“, მაგრამ, რადგანაც ჩვენი საუბრის თემად სარწმუნოება აგვირჩევია, ქართველი ერის შინაგანი წონასწორობის დასადგენად, შეპირებისამებრ ზემორე მოხმობილ წიგნებს ერთხელაც მივუბრუნდებით.

ალაზნისპირელს ბიბლია — ძველი აღთქმის თავდაპირველი წყარო — მიუჩნევია დედა-წიგნად, რომელიც მისი რწმუნებით, განგებ თუ შეცდომით ითარგმნება ყველა დანარჩენ ენაზე.

თავად ებრაელი ხალხი ქართველთათვის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია, რომელიც განსხვავებული გზით წარმართავს საკუთარ ბედ-იღბალს, ხოლო ქართველი, ენა ქართული დარჩება, ბუნების საიდუმლოებათა ამოხსნის ერთადერთ გასაღებად.

ამ სულისკვეთებით ბოლო დროს არამარტო ალაზნისპირელის, არამედ თეოლოგიით და ქართული ფენომენით დაინტერესებული მრავალი ავტორის თხზულებაა ნასაზრდოები.

პატროფილობა, საკუთარის მართებული წინწამოწევა, გასაგებია, მით უფრო, ჩვენსავით მცირერიცხოვანი ერისათვის, რომელსაც ხშირ შემთხვევაში შემაკავშირებელი, დამრაზმავი და გნებავთ, ზეაღმტაცი მისიაც კი შეიძლება დაეკისროს, მაგრამ საქართველო, მისი ენის და სულიერ ფასეულობათა მოშველიება სრულიად კაცობრიობის „ალმა მატერიად“, ინფანტილიზმიცაა, ალბათ, სხვა მრავალ უხერხულობასთან ერთად — ყოყლოჩინობა, ზერელე დილეტანტიზმი რომ წარმოშობს. დილეტანტიზმით კი ფრიად მოაქვს თავი ვლ. ჩუბინიძეს, რადგანაც გაუგონია შლიმანი ილიონის კარიბჭეს რომ მიაგნებს ალღოიანობით, ჰომეროსის პოემებზე დაყრდნობითა და იღბლიანი მონიჩბეობით.

სმითის მიერ ლურსმულის გაშიფრვა და კიდევ რამოდენიმე სახასიათო მაგალითი, ერთობ მწირია ამ დებულების დასასაბუთებლად! თითქოს დილეტანტის გონებას ინტუიცია წარმართავს, სანამ დოგმებით არ წარყნილა და ამდენად, უფრო ახლოს დგას აღმოჩენათა კარიბჭესთან. განა შეიძლება უკუვაგდოთ ის ურყევი დებულება, რომ ესა თუ ის ენა, ათასწლეულში ლამის ფორმირდება კიდეც ახალ მეტყველებად?!

მაშ, როგორ გამოგვადგება მეოცე საუკუნის ენა, გნებავთ მეგრული სიტყვანი, სამი, ხუთიათასი წლის წინანდელი ტერმინებისა და ცნებების რეგენერაციისათვის? განა ათასწლეულების წინ, დღევანდელი, ჩვენთვის მახლობელი სიტყვა, მართლაც თანამედროვე ფორმით არსებობდა? სიტყვა ხომ ერის სულიერი ცხოვრების მატიანეა: ვითარდება, ან კნინდება მასთან ერთად.

განა ცოტაა მაგალითი იმისა, რომ ადამიანის მოღვაწეობის მანძილზე უამრავი ენა მომკვდარა: ისტორიას ჩაბარებულა შუმერული, ძველბერძნული; სომხებიც კი ვერ მეტყველებენ თავიანთი დიდებული წინაპრების ენით დღეს, და თუ მეტყველებენ — საკმარისზე მეტად გართულებულად ან გამარტივებულად, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, ისე და იმგვარად, როგორც — ოდესღაც.

აქედან გამომდინარე, შეუძლებელია თვალდახუჭული ვენდოთ ჩვენი ლექსიკის აქტიურ თუ პასიურ მარაგს, როგორც მოვლენათა განსამარტ ნივთიერ საბუთს.

ეს თემა უფრო ხელშესახებად წიგნის დასკვნით ნაწილში გაიშლება და გაანალიზდება რამდენადმე, ახლა კი, კვლავ ჩვენს სათქმელს — თეოლოგიის პრობლემებს მივუბრუნდეთ.

10 მცნების 2 ვერსია

მაცხოვარი:

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე.
2. არა ჰქმნე თავსა შენსა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა — ზე და რაოდენი არს ქვეყანასა — ზედა — ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა — ქვეშე ქვეყანასა: არა თაყვანი სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.
3. არა მოიღო სახელი უფლისა შენისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა.
4. მოიხსენიე დღე იგი შაბათი და წმინდა ჰყავ იგი: ექვს დღეს იქმოდე და ჰქმენ მათ შინა ყოველივე საქმენი შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე — შაბათი — არს უფლისა ღვთისა შენისა.
5. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყვე ქვეყანასა ზედა.
6. არა კაც-ჰკლა.
7. არა იმრუშო.
8. არა იპარო.
9 . არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა, წამებითა ცრუთათა.
10. არა გული გეთქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გეთქმიდეს სახლისა მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არც მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიც იყოს მოყვასისა შენისა.

ახლა კი ყური მივუგდოთ მაცილს, რომელიც სათანაელის სახით ჩაბუდებულა ჩვენში და ყველაფერს უფლის შეგონების საპირისპიროდ მოგვამოქმედებინებს.

მაცილი:

1. ვერავინ იქმნას უფალ ღმერთად შენდა უმეტეს შენითვე, იყოლიე მრავლად ღმერთნი უცხონი, ნუცა გარეშე ჩემსა.
2. დიაღაც შეჰქმენ თავსა შენსა კერპი, გარნა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა — ზე და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა — ქვე და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყანასა: განადიდე ისინი ბრწყინვალებითა სრულითა და დიაღაც ემსახურეი მათთა!
3. მოიღეს სახელი უფლისა შენისა ამაოსა ზედა!
4. დაივიწყე დღე იგი შაბათი და წაჰბილწე ეს დღე მცონარებითა სრულითა შენითა, უგულებელყოფითა ყოველთა შენთა საქმეთა, ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი, დღეი მაცილისა შენისა, დაშრიტე ჭეშმარიტთა შენთა საქმეთათვის.
5. პატივი აჰყარე მამასა შენსა და დედასა შენსა, რაითა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელი იყვე ქვეყანასა ზედა!
6. ჰკალ კაცი უსაზმოდ და საკუთარი თავიცა დანაცრე მრავალგზის!
7. იმრუშე აღვირახსნით და აღივსეი ბიწიერებითა!
8. იპარე განუკითხავად და იმძლავრე თვისტომ ქვრივ-ობოლთა ზედა!
9. სწამე ცილი მოყუასსა შენსა აღურიცხველად წამებითა ცრუთათა!
10. დიაღაც გეთქმიდეს გული ცოლისათვის მოყუასისა შენისა, გეთქმიდეს გული სახლისათვის მოყვასისა შენისა, დიაღაც ყანისა მისისა, დიაღაც მხევლისა მისისა, დიაღაც ხარისა მისისა, დიაღაც კარაულისა მისისა, დიაღაც საცხოვრისისა მისისა, რაიც არს მოყუასისა შენისა და უკმარ იქმნას შენთვის ათკეცი ბჭენი წალკოთთანი სამოთხისანი!

აი, ასე დიამეტრალურად საწინააღმდეგო ემოციებითა და მიზნებით ტვირთავს ვილანდი არსთმპყრობლის მრევლს.

მე ვარ ბატონი შენიო, ეუბნება უფალი, ის კი, არა თავად შენ ხარ შემოქმედი ყოველივესიო, აგულიანებს.

ნუ განადიდებ შენს თავს, შენს მეობასო, ჩასჩიჩინებს მაცხოვარი და მაცილიც იქვე ჩასაფრებულა — სწორედ რომ პიროვნული იმპულსების გაღმერთებისაკენ აქეზებს საწყალ ადამიანს.

მესამე მცნებაც ისევ ძალაუფლების მისამართის დაზუსტებაა, წარმავალ საქმეთა წინაშე: ნუ გახარჯავ უფლის დიდებამოსილებასო, ჩასძახებს არსთგამრიგე, ეშმა კი ისევ ქირქილებს უზენაესის გასაბიაბრუებ-ლად.

მეოთხე მცნებით ღმერთი შეახსენებს თავისი მუშაკობის ნაყოფს, რომ როგორც თვითონ განისვენა სამყაროის გაჩენით დამაშვრალმა, ასევე, რადგანაც ადამიანიც მინიატურული ღმერთია, უფლის ხატად შექმნილი, შაბათი, გახარჯული ფიზიკური და სულიერი ძალების აღსადგენად გადაინახე, ანუ გაირინდე ახალი ექვსდღიანი მუშაკობისთვისო, მაგრამ გაგონილა?! ბელზებელი მოუსვენრად სისინებს: იმ მეშვიდე დღესაც იმოქმედეო აცდომილებს, რათა ბედკრულმა ადამიანმა დაივიწყოს დასვენების მადლი და გა-ნუწყვეტელი, დაძაბული მოღვაწეობით ნაადრევად დაფერფლოს საკუთარი გენია თუ აღმაფრენა, ანუ ერთი მეექვსედი განცხრომაც არ ხვდეს წილად მის გაჯახირებულ ცხოვრებას;

როცა დედ-მამის მიმართ პატივის მიგებაზე უბნობს უფალი, ცხადია, უწინარესად საკუთარ მეუფეო-ბას გულისხმობს, ვინაიდან ადამისათვის დედაც და მამაც იგივე ცაბაოთია, ორბუნებოვანი ზესუფევა; თუმცა კი სატანა რისი სატანაა ჯიბრში არ ჩაუდგეს შემოქმედს და სწორედ მათი უკუგდებით უმღვრევს გონებას ადამიანს.

არა კაც ჰკლაო, ტოლის და სწორის სიცოცხლის ხელყოფის უფლება არ გაქვსო, მოძღვრავს ბატონი მის ნაშიერს, რადგანაც დანარჩენი ადამიანებიც შენსავით სიყვარულით და შთაგონებით შემიქმნიაო, მაგრამ სმენილა?! მიდი, მიასიკვდილე, საკუთარ თავსაც კი ნუ დაზოგავო, ჩასჩიჩინებს, ეშმა. (ამ მეექვსე მცნების ქრისტიანულ კრიტერიუმებზე ვიმსჯელებთ მოგვიანებით, მტრის მიმართებაში, გ.ო.).

არ იმრუშოო, უყიჟინებს დღენიადაგ ზენაარი და სანაცვლოდ ბიწიერებით აღვსებისკენ მოუ- წოდებს კვლავაც ხენეში ძალა.

არ იპაროო, ეუბნება ღმერთი და ისევ — სწორედ ხელმრუდობაა შენი უმთავრესი მოწოდებაო, აცთო-მილებს მეფისტოფელი.

ნუ დასწამებ ცილს მოკეთეს შენსასო, ქადაგებს მამამთავარი, და მოგცლია ერთი, ლაფში ამოსვარე ტოლი და სწორი შენი, ზიზღი მიაგე სიკეთის სანაცვლოდო, ქაქანებს თხისჩლიქება სათანაელი.

შურიანი ნუ იქნები, ნურაფერი მოგხიბლავს, ნურაფერი წარგტაცებს თვალებს შენი მოყვასისა, რადგა-ნაც შური ესე არს ბოროტება სხვისა კეთილსა ზედაო, აფრთხილებს ღმერთი, მაგრამ, როდის, რა შემთხვევაში უსათნოვია უნებისყოფო ადამიანს ღმერთის ეს დიდებული შეგონება სმენად რომ იღოს?! მაცხოვრის მიერ მარჯვენა ყურთან დარიგებულს მარცხენა ყურით გამოუშვებს და მარცხენა ყურიდან შე-მოსულს საწინააღმდეგოდ დაკვალიანებას, რომ მეგობარს ცოლი და სახლ-კარი წაჰგვაროს, იმძლავროს მის საარსებო დროსა და სივრცეზე.

ასე და ამგვარად, გამოარიდებს ადამიანი უფლის ათივე შეგონებას, მიწაზე დანარცხებული ანგე-ლოზი, შემოქმედებით აღმაფრენაში ღმერთს გაჯიბრებული მაცილი.

დაახლოებით იგივე სურათია ბუდის მიმდევრებთან, ზოროასტრიზმთან, მუჰ-ამედელებთან თუ გნე-ბავთ ამ ბოლო დროს მომძლავრებულ იეჰოვას მოწმეებთან...

რელიგიურ პრობლემებზე მსჯელობისას ვეღარაფრით გავექცევით, 1994 წელს **იოანე-იონას** (მურთაზ ჩახავა — ეპისკოპოსი) გრიფით გამოცემულ სქელტანიან წიგნს — ,,რა უნდა ვაკეთოთ'', სადაც საქმის დიდი ცოდნითა და სიყვარულით ნაბიჯ-ნაბიჯ გაანალიზებულია მართლმადიდებლუ-რი ეკლესიის წარყვნის უმთავრესი მომენტები; გაშიშვლებულია ყოველი მანკიერი, თუ მწიკვლი, რო-მელიც ადამიანს წინ ეღობება სრულქმნისა და სრულყოფის გზაზე. ეს როდი გახლავთ ზერელობითა და პრიმიტივიზმით ნაკვები ფარატინა განცხადება, არამედ აღურიცხველი საბუთითაა გამაგრებუ-ლი, ვითარცა მკვიდრად ნაგები კლდე. ხოლო თხზულების ტიტულიდანვე გაცხადებულია ფრიად პრეტენზიული, ფრიად ხელდასხმული შეგონება — წარმოგზავნილობა უფლის საქმეთათვის:

,,სიცოცხლე სიკვდილისათვის! დაიწერა წიგნი ესე ბრძანებითა ღმერთისა ჩვენისა ცაბაოთისათა, კურთხევითა ძისა ღვთისა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესითა, ნიჭითა უფლისა ჭეშმატირისა და ცხოველმყოფელისა სულისა წმინდისაითა, მეოხებითა ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისაითა და ყო-ველთა წმინდათა, ამინ! და აჰა, იქმნეს წიგნი ესე სახარებისა ბოლოი, მღვიძარებად მიძინებულ სოფ-ლისა და სუფევად ყოველთა წყალნატრულითა!''

დამეთანხმებით, ერთობ შორსმიმავალია მჭევრმეტყველება ესე, რადგანაც თავად უფლის პირმშოსღა თუ ხელეწიფების ესოდენი თავაწევით განაცხადოს მსგავსი რამ. თუმცა, რადგანაც იოანე-იონა ცაბაოთის ბრძანებით შექმნილს უწოდებს ესევითარ წიგნს, ჩვენ რა უფლება გვაქვს განვერიდოთ მიძინებული სოფ-ლის შესაფუცხუნებლად შეთხზულ ნაწარმოებს, ერთხელ და სამუდამოდ სახარების მართებული აღქმი-სათვის მოვლენილს?!

წინდებულ თხზულებაში, საქმე გვაქვს ფუნდამენტურ ნაწარმოებთან, სადაც სულის პრობლემებით

დაინტერესებული პიროვნებისათვის უამრავზე უამრავ კითხვას გასცემია პასუხი — ადამიანისათვის საცდუნებლად დაგებული უთვალავი კაკანით, გახსნილა.

ახლა წამით ჩუბინიძის „სასწაულს“ მივუბრუნდეთ. ამ ავტორის მცირე ფორმატის, შედარებით ღარიბულად გამოცემული „ჭეშმა- რიტება“-ს (ვგულისხმობთ პოლიგრაფიულ დონეს, რადგანაც, როგორც ჩანს, პირველმა წიგნმა ავტორს იმდენი მატერიალური მხარ-ბეჭი ვერ მოუტანა, რომ მომდევნოც მსგავსი ღირსებით აღეჭურვა), ფაქტობრივად პირველი წიგნის, „სასწაულის“ რეკლამას წარმოადგენს, ვინაიდან გარეკანზე თქვენ იხილავთ, ნებიერ, მადლმოსილი გასხივოსნებით აღბეჭდილ ადამიანს, რომელსაც საკუთარი პირველი პირმშო მარჯვენათი ჩაუბღუჯავს, სადღაც 144 თუ 153 გვერდზე გადაშლილი, და უკვე „ჭეშმარიტება“ — II-იდან, მთელი შინაგანი არისტიტზმით გვრაზმავს „ჭეშმა- რიტება“ — I-სკენ.

ამ წიგნის თეოლოგიური ვერსიის თაობაზე ვისაუბრეთ რამდენადმე, აქ კი გვინდა მოვუბრუნდეთ ჩუბინიძისეულ ჰიპოთეზას დედამიწის ლაბორატორიულობის შესახებ, რადგანაც იგი ჯიუტად ჩასცივებია ადამიანის ზეკაცობას, რომელსაც ხელეწიფებოდა თუნდაც მთვარის ხელოვნურ თანამგზავრად მიჯაჭვა დედამიწის დაუსაბამო ტრაექტორიასთან, რადგანაც მისი თქმით თანამგზავრი აუცილებელი პირობაა ხელოვნურად შექმნილი სასიცოცხლო გარემოს შესანარჩუნებლად.

გასაოცარი დებულებაა. მაშინ ჩვენ უნდა ვივარაუდოთ შემდეგი, რომ დედამიწა მზის სისტემაში ყოფილა ყველაზე პრივილეგირებული პლანეტა, სადაც სიცოცხლის ჩასახვისათვის ჰუმუსი არსებულა, მხოლოდ მთვარის დაკიდებაღა კლებია მის კაბადონს.

მოკლედ, მაღალგანვითარებული ცივილიზაცია Ტ პლანეტიდან ან უფრო კონკრეტულად გიორგი მელუავას ბაფესიდან, როცა დედამიწაზე სრულყოფილად მოაგვარებს სასიცოცხლო პირობების გარანტიებს, როცა თითქმის ყველა ბიოკომპონენტი დაექვემდებარება ადამიანის გონების კარნახს, მხოლოდ მერმე იწყება დედამიწაზე მისი სრულფასოვანი ჩამოსახლება. ამის საბუთად კი ჩუბინიძეს მოჰყავს მაიმუნისა და „ჰომო საპიენსს“ შორის შუალედური რგოლის უქონლობა.

გეკითხებით, სად არის ზრდასრულ ადამიანში მისი ბავშვობის დროინდელი მდგომარეობა, ის პარამეტრები, ის ფორმები?! ხომ იყო და არ არის. ესე იგი პროცესში გარდაიქმნა და თითქოს მოისპო კიდეც, სინამდვილეში — მასაზრდოებელია, ბაზისი აწ ზრდასრული პიროვნებისა, რომელი მდგომარეობაც კვლავაც დაექვემდებარება გარდაქმნის უცილობელ კანონზომიერებას და უკვე მიმხცოვნების ფაზაში, სანთლით საძებარი გაგვიხდება არათუ სინორჩე და სიყმაწვილე ჩვენი, არამედ, თავად — სიჭარმაგეც, აი, ახლახან თვალწინ რომ გვიმჩქეფარებდა. შუალედური რგოლის არარსებობა, ვერაფერიშვილი არგუმენტია.

მერმე უმთავრესი, N პლანეტიდან ჩამოსული ადამიანი დაიუფლებს დედამიწისეულ ლაბორატორიას, აღაშენებ სტოუნჰაუნჯებს, პირამიდებს, ანდების აეროპორტს და ურიცხვ ნაგებობს, რომლითაც შეუფერხებლად უკავშირდება თავის პირველსამყოფელს, სათავეს, თუმცა გლობალური კატასტროფა როგორც კი ხელიდან გამოაცლის პრივილეგიებს, იგი შიშველი ხელებით დედამიწას მიჯაჭვული აღმოჩნდება, და დაიწყება ზრუნვა კოსმიური მზითევის თუ თავისთავადი ცოდნის შესანახავად, დასატყვევებლად. ასეთ მასალად კი ოდესღაც ზეკაცს ვერც ლითონი გამოადგება, ვერც ცხვრის ტყავი, კირბები — ოქროს საწმისი; ვეღარც რადიოლოკატორი და სხვა რამ მატერიალური, და კვლავაც სიბრძნეს შემოიშველიებს — ეს ინფორმაციები, ჩაემწყდევა ყველაზე სანდო და ცეცხლგამძლე საცავში — ენაში. მსოფლიო წარღვნა ვერ ზემოქმედებს ამ უნიკალურ აპარატზე — რასაც მეტყველება ჰქვია, მით უფრო, როცა ადამიანი მის რეტრანსლაციისათვის დამწერლობასაც კი გამოიგონებს — ბგერათა დასამორჩილებლად შექმნის ასონიშანთა საკრალური სისტემა. მაგრამ ეს, თავდაპირველად გლობალური ინფორმაციის დამტევი ცოდნა, დღითი დღე დაკნინდება, სწორედ ზიარებულთა ეგოისტური დამოკიდებულების გამო, ვინაიდან ესე ცოდნა იქცევა იარაღად ხელდასხმულთათვის, როგორც საარსებო საშუალება. კასტური მიმართება კოსმიურ ცოდნასთან დროთა ვითარებაში აკლებდა, ამცირებდა მას და თანდათან დროჟამის ტრიალისაგან იგი ლამის სრულ დავიწყებას მიეცემა.

რაღა გამოდის, ოდესღაც მორჭმული ა დამიანი, რომელიც მაიმუნისაგან იზოლირებულია შუალედური რგოლის უქონლობით, თავად აღმოჩნდება მაიმუნურ ყოფაში, და აქ რჩება მასალა შემდეგი დასკვნისათვის: მაიმუნი ადამიანის მუტაციის შედეგია, ანუ მაიმუნი ადამიანის რეგრესიული ფაზაა!

დედამიწაზე არსებული საოცრებების თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს ადრე დასახელებული დოკუმენტური კინოფირი გერმანელი რეჟისორებისა „მოგონებანი მომავალზე: უკან ვარსკვლავებისაკენ, ანუ დაბრუნება წარსულთან.“ ეს ფილმი სამოცდაათიანი წლების დამდეგს გამოჩნდება ჩვენს ეკრანებზე და სულ რაღაც სამიოდე დღეში ამოიღებენ რეპერტუარიდან, მიუხედავად იმისა, რომ მრავა-

ლი საინტერესო ფაქტია იქ მოხმობილი, — დედაარსი კი ერთი გახლავთ: ადამიანი არ არის აბორიგენული ინდივიდუუმი. ის უცხო ცივილიზაციის ნაშიერია, რომელსაც გააჩნდა საფრენი აპარატურა და უდიდესი ცოდნა სამყაროს აგებულების შესახებ. ახლაც ბევრი ამტკიცებს ე.წ. მფრინავი თეფშების არსებობას, მათ გამუდმებულ მეთვალყურეობას ჩვენთან მიმდინარე პროცესებზე; არის შემთხვევები, როცა ზოგი რჩეული დედამიწელი (მაგალითისათვის, ჟურნალისტი გიორგი მელუავა, რომელმაც ფირზე აღბეჭდს პლანეტა ბასეფის მკვიდრს.). კონტაქტშიც კი შედის მათთან, მაგრამ მოდით, ჯერ ბარემ ერთ წერილსაც გავეცნოთ:

გალაქტიკური ცივილიზაციის უდიდესი ბეჭედი

ქ. ტომსკში 1994 წელს გამომცემლობა ,,ზოდიაქომ'' გამოაქვეყნა წიგნი **„მაიას (** მ — 13, ა — 1, ი — 16, ა — 1 = 13 + 1 +10 + 1 = 25. **გ.ო.**) ფაქტორი'', რომლის ავტორია ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, კოსმოსური ჰარმონიის მცოდნე ხოსე არგუელისი.

წიგნში მოყვანილია და დაწვრილებითაა განხილული მაიას წმინდა კალენდრის არსი, რომელსაც მოკლედ ცოლკინი ეწოდება.

ცოლკინი — ეს მაგიური ნახაზია — მატრიცა, რომელიც შედგება 260 ელემენტისაგან. მსოფლიოს მრავალმა მეცნიერმა და მათ შორის ხოსე არგუელისმა დიდი შრომა გასწიეს ცოლკინის ამოსახსნელად. ამ შრომის ძირითადი დასკვნები მაიას მაგიური მატრიცების შინაარსის გარშემო, რომელიც დაუტოვეს მომავალ თაობას დედამიწაზე, შემდეგში გამოიხატება:

— ცოლკინი — ჰარმონიული გალაქტიკური მოდელია;

— ცოლკინი — გენეტიკური კოდია;

— ცოლკინი — ბიოელექტრომაგნიტური ბატარეაა და ცოცხალი ობიექტების გრძნობიერ ველთა მატრიცა;

— ცოლკინი — ბინარული სამსპექტრული მატრიცაა.

ხოსე არგუელისის დასკვნების მიხედვით, სტრუქტურა, რომელსაც ცოლკინს ანუ გალაქტიკურ მოდულს უწოდებენ, წარმოადგენს გოლოგრამას და სხვადასხვა დონის ინფორმაციის, ცოდნის, შეგნების და ყოფის გადაადგილებათა ტაბულას.

როგორც ცნობილია, დნმ — დიზოქსირნუკლეინმჟავა — გენეტიკური კოდი, სიცოცხლის კოდი, ეუფლება ტალღოვანი ხასიათის ინფრასტრუქტურას.

მეცნიერებას, რომელიც დაფუძნებულია რეზონანსული ჰარმონიის პრინციპებზე (თანამედ- როვე გოლოგრაფია), შეუძლია გადაიტანოს ამ კოდების მთელრიცხოვანი მათემატიკა სხვადასხვა სიხშირის ტალღოვან სტრუქტურაში და გადასცეს ინფორმაცია, როგორც რეზონანსული გარდაქმნა. ამიტომ მაია ფლობდა რა ამ ცოდნას, შეეძლო გადაეცა საკუთარი თავი ინფორმაციის სახით დნმ კოდზე ერთი ვარსკვლავთა სისტემიდან მეორეზე.

გამომდინარე მაიას ცოდნიდან ცოცხალი არსებანი წარმოადგენენ რეზონანსულ სტრუქტურებს. სწორედ ამ მთავარი ინფორმაციის, სამყაროში სიცოცხლის წარმოშობისა და რეალიზაციის კანონების არსის გადაცემასა და აღბეჭდვას ცდილობდნენ მაიელები მაგიურ ნახაზ ცოლკინში. ამის საპირისპიროდ, ცნობილ თანამედროვე სამეცნიერო, სამუშაო — აღმოჩენებში, რომელიც წარმოდგენილია წინგში ,,სამყაროს ერთიანი გოლოგრაფიული ინფორმაციული თეორია'' (ავტორი გ. დვორინი), მოყვანილია დასკვნები, რომელთაც გააჩნიათ თანამედროვე ბუნებრივმეცნიერული, თეორიული და ექსპერიმენტული დასაბუთებანი. ეს დასაბუთებანი და დასკვნები მიუთითებენ იმას, რომ მატერიალურ ენერგოველურ ინფორმაციულ მატრიცულ საფუძველს წარმოადგენენ ინტერფერენციული, მაკოდირებელი სტრუქტურები — ამ სამყაროს კოდის მატრიცები, რომელიც განსაზღვრავს და რომელზედაც ფორმირდება სამყაროს სიცოცხლის ჩანასახები. მსგავსი მრავალსახოვანი მაკოდირებელი ენერგოველური ინფორმაციული მატრიცების გროვა არსებობს ყოველთვის, ენერგოველური ინფორმაციული სამყაროს სივრცის ნებისმიერ სფეროში.

ამ ინტერფერენციული მატრიცების გროვას აქვს ტალღოვანი ხასიათის მიკროსტრუქტურა, ამავე დროს წარმოადგენს ტალღოვანი ველების რეზონანსულ რეალიზაციის მოდელებს, და ამგვარად, შეუძლიათ განსაზღვრონ სიცოცხლის წარმომქმნი ჩანასახების გენეტიკური კოდი დედამიწასა და მთელს სამყაროში.

გამომდინარე გამოცემული წიგნებიდან (,,მაიას ფაქტორი'' და ,,სამყაროს ერთიანი გოლოგრაფიუ-

ლი ინფორმაციული თეორია‘‘)და მათი პრინციპული მიდგომების შეჯერებიდან მიღებულია ჰ იპოთეზები თანამედროვე აღმოჩენებზე მაიას ისტორიამდელი ცოდნითურთ, რითაც აღირიცხება დაახლოებით 8 000 წელი. (დაიხსო- მეთ ეს თარიღი ქართული ასომთავრულის მიმარ- თებაში, სადაც ბოლო ჩამკეტი ასონიშანი ქაფი- ანი ძისებურად რიცხვითი მნიშვნელობა 8000-ია, ანუ ჩვენი ცივილიზაციის ხმოვანება, ასაკი, გ.ო.)

ამდაგვარად, ,,მაიას ფაქტორი‘‘ და მათ მიერ შექმნილი სისტემა წარმოადგენს ,,სამყაროს ერთიანი გოლოგრაფიული ინფორმაციული თეორიის‘‘ თანამედროვე აღწერას, რომელსაც ამჟამად გააჩნია თეორიული და ექსპერიმენტული დასაბუთება.

წიგნში ,,მაიას ფაქტორი‘‘ ნათქვამია იმაზე, რომ კლასიკური პირველი მაია — ეს სამყაროს ნავიგატორებია. მათი მისია გამოიხატებოდა იმაში, რომ განეხორციელებინათ დედამიწისა და ჩვენი მზის სისტემის სინქრონიზაცია დიდ გალაქტიკურ გაერთიანებასთან ერთად. როგორც კი მათ მიაღწიეს მიზანს კლასიკურმა მაიამ დატოვა დედამიწა. (არ არის გამორიცხული ისიც, რომ ეს ცოდნა უცხო პლანეტელებს დაეტოვებინათ მათთვის ჩანაწერების სახით, რომელიც ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე ოდესმე გაიშიფრებოდა და ხელს შეუწყობდა შემდგომ აღმავლობას, გ.ო.). გასაღები და კოდი, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ გალაქტიკურმა მაიამ, აღწერენ მათ მიზანს და მათ მეცნიერებას. ეს გასაღები და კოდი დაფარულია მაცდუნებელ მარტივ სისტემაში, რომელიც შედგება 13 რიცხვისაგან და 20 სიმბოლოსაგან და რომელსაც უწოდებენ ცოლკინს.

მაიას მეცნიერებას თანამედროვე მეცნიერებისაგან განასხვავებს ის, რომ იგი არის სისტემა, რომელიც მუშაობს გალაქტიკის გადათვლის სისტემაში. სწორედ ეს ანიჭებს სიცოცხლის ისტორიას დედამიწაზე ახალ აზრს და გაქანებას, რომელიც გვიჩვენებს ჩვენი ბედ-იღბლის პირდაპირ კავშირს ვარსკვლავებიან ცასთან.

დედამიწის ცივილიზაციის ისტორიაში არის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ცდები მაიას ცოდნის მკვლევარებისა, გადმოგვცენ მომავალში წმინდა ცოდნა გალაქტიკურ სამყაროთა კანონებზე, რომლის არსს წარმოადგენს ჰარმონიული გალაქტიკური ინფორმაციული კოდი. ამ კოდის რეალიზაცია ხდება ენერგოველების რეზონაციის საფუძველზე, ანუ ინტერფერენციულ-კოდირებული (ჰოლოგრაფიული) სტრუქტურების მატრიცების ფაქტორთა საფუძველზე. საერთო ჯამში ეს ფაქტორი შეიძლება გამოვხატოთ გამომეტყველობითი ფორმით, მაგალითად, მექანიკური რელიეფის სახით, პერიოდულად ერთმანეთს შორის მონაცვლე ფასეულობათა და ამოზნექილობებით, ნათელი და ბნელი ინტერფერენციული სტრუქტურათა ზონების მონაცვლეობის ანალოგიით; აგზნებისა და დამუხრუჭების ზონებით. შესაბამისად ცოცხალ არსებათა თანამედროვე ფიზიოლოგიის მონაცემებთან, აგზნებისა და დამუხრუჭების პრინციპი დევს ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველში რეცეპტორული სისტემისა და ტვინის დონეზე, ბუნების ცოცხალ ობიექტებში.

წმინდა ცოდნის წარსულიდან მომავალში გადმოცემის ცდის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს უძველესი ეგვიპტის ქურუმების მიმართვის წერილი. ამ მიმართვის წერილს ახლანდელ დრომდეც ეძებენ თანამედროვე მეცნიერები (მაგრამ მოცემული მიმართვა არსად გადამალულა, არამედ ყველას თვალთახედვის არეში იმყოფება; ვისაც უნახავს, მაგალითად, ფარაონ ტუტანხამონის გამოსახულება). რომელიც არის მაგიური მატრიცის ცოლკინის სახოვანი ანალოგი და ამავე დროს არის თანამედროვე (პროფილური) მექანიკური ჰოლოგრამის ანალოგი, ცოლკინი ასევე ციფრობრივი გოლოგრამის ანალოგი.

ამგვარად, კლასიკური მაიას მეცნიერული გალაქტიკური ცოდნა და მათ მიერ შექმნილი ასეთი სისტემა, როგორიც არის ერთიანი გალაქტიკური ინფორმაციული კოდი — ცოლკინი, თავისი შინაარსის მიხედვით წარმოადგენს თანამედროვე ,,სამყაროს ერთიანი ჰოლოგრაფიული ინფორმაციული თეორიის‘‘ არსის აღწერილობის სრულ ანალოგს. ამ ცოდნის თანხვედრას, დამთხვევას აქვს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ბევრი გლობალური მიწიერი პრობლემის გადასაწყვეტად, რომლის პასუხებს ეძებს დღეს კაცობრიობა, მათ შორის — კოსმოსშიც.

წიგნში ,,მაიას ფაქტორი‘‘ მოფანილია ,,გალაქტიკური ფედერაციის დიდი ბეჭდის‘‘ გამოსახულება; ხოლო წიგნში ,,სამყაროს ერთიანი ჰოლოგრაფიული ინფორმაციული თეორია‘‘ წარმოდგენილია თეორიის სიმბოლიკური სურათი. უკანასკნელის სიმბოლიკა აგებულია ძირითადი მეცნიერული დასაბუთების მკაფიო გამოხატვაში; დიდი ბეჭდის გამოსახულება კი აგებულია მაიას მეცნიერული ცოდნისა და ცოლკინის სისტემის გათვალისწინებით. თუ ამ ორ ნახატს შევათავსებთ, მივიღებთ ამ სიმბოლიკის მნიშვნელოვან ფაქტორთა სრულ დამთხვევას, რომლებიც ასრულებენ სამყაროში სიცოცხლის წარმოქმნის და ყველაზე წმინდა ცოდნის გადაცემის ფუნქციას.

ბ. დვორკინი.
ინფორმატიკის საერთაშორისო
აკადემიის აკადემიკოსი,
გაზეთი ,,ანომალია'', №2, 96.
თარგმნა **ნუნუ ბუგაევამ**

* * *

ერთი სიტყვით, აქ კარდინალურად განსხვავე- ბულ სურათთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ჩუბინიძისაგან (გნებავთ, თვით ჰამლეტ წულაიასგან, გ.ო.) გამორჩევით ხოსე არგუელისი მაიას ფაქტორს, ცოლკინს, კოსმოსში გადასახლებული ზეცივილიზაციის, მაია პირველის დანატოვრად მიიჩნევს, რადგანაც დღევანდელი მაისათვის ეს ცოდნა სრულიად უსარგებლოა, ზედმეტი ბარგი, რომელიც მოითხოვს შენახვას, გადახაზვას და ვინ მოსთვლის, რამდენი სისხლიც დაღვრილა მის სათუთად მოვლაში, როგორც საკრალური რამ ნივთისა?! (მოგ- ვი ანებით უფრო დაწვრილებით ვიტყვით იმის თაობაზეც, თუ რატომ შედგება ეს მატრიცა ცამეტი (13) ციფრისაგან და 20 ელემენტისაგან) ერთი რამ ცხადია, ამ ავტორთა ფანტაზიის თუ მათ ხელთ არსებული მასალების ინტერპრეტაციის შედეგად, ერთნი დედამიწას აფარებენ თავს (გამოითქვა მოსაზრება, თითქოს დედამიწა ყოფილიყოს დამნაშავე ხალხის, რომელიღაცა ცივილიზაციისგან გამოძევებული ბოროტმოქმედთა სატუსაღო ადგილი; ასეთი კუნძული ახლაცაა ფინეთის საზღვართან, სულის გადასარჩენი ეკლესიებით მოფენილი და ქურდბაცაცებით სავსე), მეორენი, როგორც კი სრულყოფილებას მიაღწევენ, ანკი, რაღაც კატასტროფის მოლოდინში დედაბუდიანად ტოვებენ პლანეტა გეას და გვრჩება ხელთ ცოტა, ან თითქმის არაფრისმთქმელი — პირამიდები, კოსმოდრომი ანდებში — სტოუნჰაუჯი, ცოლკინი, ნუნისის მთათა კომპლექსი სპირალივით დახვეული კიბეებით, საქართველოს ქვეშ არსებული სიცარიელისაკენ ჩასასვლელი ჭით, რომელიც კოსმიური ნათებით ივსებოდა გონიოს პრინციპის მეშვეობით და ბიბლიასეული ედემის ბაღს შეესაბამება.

მოკლედ, მსოფლიოს საოცრებათა შვიდეული ჩვენის მოჭარბებული წიაღსვლების წყალობით ლამის გამეშვიდხარისხდეს!

საინტერესოა ვერსია იმის თაობაზეც, რომ წარღვნისშემდგომი ცივილიზაციები მთათა მწვერვალებიდან უნდა დაშვებულიყვნენ. ასეთი მთათა სისტემებია: კავკასიონი, ჰიმალაები, ტიბეტი, ტიანშანი, ალტაი, ანდები, პამირი და სხვა, სადაც მოსაძიებელია სწორედ წარღვნის შემდგომი ცივილიზაციის ნამუსრევი. ამგვარი ვერსიები მატერიალისტური პოზიციიდან მისაღებია და სავარაუდოც, მაგრამ ძნელია გამართლება მოუძებნო ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ საქართველო ეს არის თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, რომელიც მუსრავს ურჩხულს, გველს, იგივე ლუციფერულ ძალას. აღნიშნული თეზა გივი ალაზნისპირელს შემდეგნაირად განუმარტავს, თუმცა უმჯობესია თანამიმდევრულნი ვიყოთ მსჯელობათა რგოლების აკინძვისას, რათა ლოგიკურობა არ მოისაკლისოს ჩვენმა საუბარმა.

მაშ, ასე, თბილისიდან მატარებლით მომავალი მგზავრი სადგურ ,,მოლითთან'' უნდა ჩამოქვეითდეს, გამოჰყვეს ბაბეთიდან მომავალ გზას, გამოიაროს სოფლები: ზვარე, ჩრდილი, და შემოვიდეს ნუნისში, ხოლო იქიდან ეკლესიამდე არც ისე შორია.

იმ უფლის საბუდარის ეზოში ცაცხვის ხეზე ჰკიდია მომცრო ზარი, რომლითაც სამი წყვეტილი და ერთხელ გაბმულად ჩამორეკვის მერმე ჩამოგაკითხავენ ,,ბერთაკლდიდან'', იგივე ,,საქომარის მთიდან'', ლაზარეს სამარხიდან თუ რუსთველის ,,ქაჯეთის ციხიდან'', იმავე ოქროს საწმისის ნავსაყუდლიდან, ნოეს კიდობნისა და საკურთხევლის საგანძურიდან, სადაც სამყაროს ჩრდილოეთი პოლუსი პროექცირდება (დედამიწის 42 გრადუსიანი პარალელი) ჩამოგეგებებიან იბერიონთა საძმოდან.

წარმოშობით კაპადოკიელი (!) ლაზი გია მაზიაშვილი და მისი თანამზრახველები, წლების მანძილზე კოლოსალურ სამუშაოებს გასწევენ ნუნისის მთათა კომპლექსის შესწავლისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ფაქტორბივად უარაფროები, მოკლებულნი მატერიალურ იალქნებს, ვრცელტანიან წიგნს გამოსცემენ, საყველპურო ინგლისური თარგმანის თანხლებით.

ეცდებიან შეძლებისდაგვარად დააინტერესონ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, მეცენატნი;

შეძლებენ ჩამოიყვანონ ლიტველი სწავლულები, რომლებიც ფრიად ანგარიშგასაწევი წერილით მიმართავენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას;

როგორღაც დაძრავენ ადგილიდან ცნობილ ქართველ პროფესორებს, ქალბატონ მზექალა შანიძე, ბატონ ვაჟა გვახარიას, თბილისის ღვთისმშობლის ტაძრის მედავითნეს — ექვთიმე კოჭლამაზაშვილს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, გამოყენებითი ჰოლოგრაფიის განყოფილების გამგეს — ბატონ თალეს შონიას;

წერილობით გაესაუბრებიან ინგლისელ მისტერ დავიდ ლორიმერს. ეს უკანასკნელი კი —

კოსმოლოგიური მეცნიერების, გეომენსიის, ტაძრებისა და დედამიწის ჰარმონიის კონსულტანტ-სპეციალისტს — პიტერ დოუკინსს.

იბერიონთა საძმოს განსაცვიფრებელ, ხშირ შემთხვევაში ზღაპრული ელფერით შეზავებულ მოღვაწეობაში ერთვებიან ჟურნალისტები: გივი ალაზნისპირელი, ბესო ჭინჭარაული, ლაშა ნადარეიშვილი.

შვიდი-რვა წელიწადია გაზეთები გადაჭედილა ინფორმაციებით ნუნისის მთათა კომპლექსზე, კომპეტენტური, ოფიციალური მეცნიერება კი სდუმს, რომელი დუმილიც ყოველთვის ოქრო არ არს რჩეულ. აქ ჩამოთვლილი მეტრების შეხედულებით საქმე გვაქვს წინარე ქრისტიანულ ძეგლთან, რომელიც ბუნების კი არა ადამიანის შემოქმედებაა.

საუბარი ეხება, არა კლდის გამოქვაბვას, არამედ მის აშენებას, ლოდთაწყობას და ასე შემდეგ. ბუნებრივია, დასახელებულ მეცნიერთა შეხედულებანი ფრთხილია და ავტორთა კატეგორიულობას მოკლებული, თუმცა ჩვენთვის ის მოზომილი შტრიხებიც ერთობ მრავლისმეტყველია, კერძოდ: შუმერების დროსაც არსებულა ხომალდები, რომლის მეშვეობით ხდებოდა მიმოსვლები აზიის ქვეყნებთან, ინდოეთთან, ჩინეთთან; რომ ეს ძეგლი ადრე-ქრისტიანული ეპოქისაა; რომ აქ ნაპოვნი სიმბოლოები — იოანესი და თევზის გამოსახულება — სამი ნაწილისაგან შემდგარი, გეხსომებათ, საუბრის თავში თუ რას ვამბობდით კოლხურ სამკუთხა ქვის ფირფიტებზე, რომლებზეც კანონებს წააწერდნენ ხოლმე. ასეთ კანონთა ერთობლიობას კირბისი, ანუ კირიბიში, კრავისა ერქვა. ამასთან კრიპტოგრამა —, შუმერული ლურსმელის საშენი ერთეული, ადვილმოსალოდნელია შეესაბამებოდეს წყლის ფორმულას — H_2O, სადაც ჟანგბადი გამოხა ტულია მოკლე გვერდით.

ბარემ აქვე დავაზუსტებთ ერთ ინფორმაციასაც. იმერეთის (უმჯობესია ვთქვათ კოლხეთის) ჭაში ჩასულ ადამიანს, როგორც ხორციელს, ისე გარდაცვლილს, მისი სულის სახით, დახვდება მარადიული ნათება ,,რომელსაც არ ესაჭიროება არც მზე, არც მთვარე, რომ ანათებდნენ მასში, რამეთუ ღმერთის დიდებამ გაანათა იგი და მისი ლამპარი კრავია'' გამოცხადება, 21-23). კარგად დავუკვირდეთ, ,,და მისი ლამპარი კრავია'', კირბია, კირბიში, ოქროს საწმისი, ბერძნებმა, არგონავტებმა რომ წარგვტაცეს, საკრალურ სვეტიცხოველზე დაყრდნობილი, დრაკონი, ანუ იბერიონელთა თქმით, სპირალური გველებით გარშემორტყმული ცოდნის წიგნი! იგივე ლაზარეს საიდუმლოების მომცველი მატერიალური, ხელშესახები ინფორმაციული წყარო, გნებავთ კლდეში ამოკვეთილი, გნებავთ ცხვრის, კრავის ტყავზე შესრულებული, მაგრამ არსებული რამ, და ამის თაობაზე არსაიდან ფაჩუნობს იმედისმომცემი სიო. ნუ გამოვედევნებით იმის მტკიცებას, თითქოს ნუნისის მთათა კომპლექსის გახსნა და წარღვნის შემდგომი ცივილიზაციის ქურასთან შეხება რაიმე პრივილეგიით შემოსავს ქართველ ერს. მას ისედაც საკმაო პატივი და ღირსება მოუხვეჭავს ამ ცისქვეშეთში, როგორც მითიური კოლხეთის უშუალო მემკვიდრეს, რაც მორჭმულობისათვის სავსებით კმარა!

არც დღევანდელ საქართველოში გაბატონებული გულცივობა შეგვაშინებს ამა თუ იმ ჰიპოთეზის, ვერსიის გადასამოწმებლად, მეცნიერული სამუშაოების გასაშლელად.

და მაინც, ნუნისის მთათა სისტემა რომ მეოცე საუკუნის სწორუპოვარი აღმოჩენაა, ეს აქედანვე, იმ კომპლექსის უნახავადაც ეჭვმიუტანელია ჩემთვის; არა იმისათვის, რომ რაღაც საკრალური და მისტიკური მიტაცებს იავარქმნილი სამშობლოს აღსაზევებლად — ყოველივე აწარსებულის, კოლხეთთან მიმართებაში გასააზრებლად, უბრალო ჭეშმარიტების გათვალისწინებით — ღურუშ წამალი ოლაფარეს ელაჩანდ, ვაუჩქუდეს ვარავა — სიკვდილის წამალი ლაფაროსთან ხარობდა არ იცოდნენ თორემო.

ეგება ამ ჩვენეული სიახლოვით, მიჩქმალულია ისტორიისაგან დავიწყების ფერფლმოყრილი ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის ინფორმაცია, თუნდაც ბიბლიურ წარღვნასთან დაკავშირებული?! განა ცოტა პრაქტიკული ფასეულობისაა ყოველივე ქვეყნიერების მომავლისათვის, მისი უსაფრთხოების გასააზრებლად, რომ არაფერი ვთქვათ, ესთეტიკურ, მნიშვნელობებზე? ჰოდა, ვაგრძელებთ მსჯელობას, რომ საქართველო არის ნუნისის მთათა კომპლექსი, იგივე ურჩხულს, გველეშაპს დაძგერებული თეთრი გიორგი.

ჩვენ მოხმობილ საკითხებს, მრავალგზის, მივუბრუნდებით შეპირებულისამებრ, მაგრამ აქვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნუნისთან ნაპოვნი მთათა კომპლექსი, მათი აღმომჩენების რწმუნებით, შეესაბამება ნოეს კიდობანს და საამისოდ უამრავი მტკიცებითი მასალაა მოშველიებული. ოღონდ მთავარია, ჩვენმა ყურებმა ისმინონ, თვალებმა ირწმუნონ, და კიდევ — არ ვიყოთ სკეპტიკოსი, თუ ზედმეტად მოკრძალებულნი ეროვნული ფასეულობების წარმოჩენისას. განა ცივილიზაციის შექმნილი თითოეული ნასკვი თუ ნაპერწკალი საერთო საკუთრება არ არის?! რა მნიშვნელობა აქვს ვისი,რომლის გამოგონილია ბორბალი? ხომ მთელი კაცობრიობა დუხჭირობს ჯერაც მისით! რა მნიშვნელობა აქვს ვინ, რომელმა აღმოუჩინა მსოფლიოს ელექტროენერგია, ედისონმა თუ კიდევ ვიღაც ,,მეორეხარისხოვანი'' ქვეყნის შვილმა? მსოფლიოსთვის, და თავად ჭეშმარიტებისათვის, ერთგვაროვანი არ არის განა წეღანხსენებული

ედისონის უბადლო წინამორბედი ამირან-პრომეთე კოლხია თუ ბერძენი?! შეცვლის ვითომ საქმის არსს, რაიმე საყოყლოჩინოს გაუჩენს ამა თუ იმ ერს?! განა ამით შეიძლება თავმომწონეობის სინდრომმა გაიღვიძოს ჩვენში და აწგარდახდილი რასობრივი თუ შოვინისტური სულისკვეთებით განგვაწყოს, თითქოს ელიტარული მხოლოდ ჩვენ ვიყოთ და დანარჩენი — პლებსი?! აბსურდული არ არის განა ასეთი დამოკიდებულება ცხოვრებასთან, სამაყროს კანონებთან?!

მოკლედ, საფუძველს მოკლებულია, რომ ნუნის მთათა კომპლექსის ამოხსნა ქართველობას მართლაც უფლის შვილებად შეგვრაცხს, ვინაიდან ამთავითვე ვაცხადებ: როგორც პირამიდებია მთელი დედამიწის საკუთრება, ასევე ეს კომპლექსიც მთელი პლანეტის, ცივილიზაციის გონიერებისა და შემოქმედების დასტური გახლავთ უცილობლად; და ჩვენც უმჯობესია ჩამოვიშოროთ ღვთით კურთხეული ერის იარლიყი, რაც გაცილებით მომგებიანი იქნება, როგორც საქართველოსათვის, ისე — მთელი ქვეყნიერებისათვის.

ახლა, რაც შეეხება თვით ნოეს კიდობანს: საინტერესო ვერსიაა შემოთავაზებული იბერიონელთა მიერ. ჩვენ ამის თაობაზე ვისაუბრეთ გაკვრით და დავსძენთ კვლავაც, რომ შესაძლოა ნუნისის მთათა კომპლექსის სისტემა, მართლაც შეესაბამებოდეს რაღაც დასაბამისეულ ცენტრს, ქურუმთა, მოგვთა სკოლას, იგივე აკადემიას, სადაც თავს იყრიდა, გუბდებოდა მსოფლიო სიბრძნე. აკი, მოხმობილია კიდეც ალაზნისპირელის წიგნში ლაო ძის განსწავლულობა აღნიშნულ ინსტიტუტში?!

ბიბლია — სიმბოლოებით დანაღმული წიგნი, ეზოთერული ლიტერატურის გვირგვინი რომ არის, ამის თაობაზე თქმულა და გამეორება მოსაწყენია: ღმერთს თუკი ჩვენ გავუტოლებთ სამყაროს შემადგენელი ნაწილების, მისი მოძრაობის კანონზომიერებათა ერთობლიობას, მაშინ პრობლემა საკრალურობის შესახებ უკან დაიხევს და ხელთ შეგვრჩება წარღვნის წინა და შემდგომი დედამიწელების ცხოვრების ამსახველი სიტყვა კაზმული ძეგლი, რომელიც მხოლოდ რჩეულთათვის, ზიარებულთათვის მისაწვდომი ენით, შიფრით იწერებოდა.

გავიხსენოთ ვლ. ჩუბინიძის ,,სასწაული'', რომლის მიხედვით კოლოსალური ცოდნა ენაში ფიქსირდება, კასტურ ხასიათს იძენს, არსებობის იარაღად იქცევა და დროთა ვითარებაში ამ ჩაკეტილობის გამო დავიწყებას მიეცემა. ბიბლიის სიმბოლისტურ-ქარაგმული მეტყველება მოგვიანებით მითოსური შინაარსით დაიტვირთება და დღეს უკვე მთელი კაცობრიობის საკრალურ წიგნად აღიქმება.

არის ბიბლიური სიუჟეტების რეალური გააზრების ცდები ზენონ კოსიდოვსკთან, თუმცა კი მისი კვლევები ნაკლებად შეეხება თვით ეზოთერულ მომენტებს, რომლითაც ყოველი ბგერა, ყოველი სახელი და ტერმინია დანაღმული ბიბლიაში. წარღვნა, როგორც ჩვენ ამას უფრო ნათლად დავინახავთ ქვემოთ, მომხდარა დასაბამიდან 6153 წლის წინ მე-8 თვის მ-4 დღეს! და არა 5596 წლს, რარიგადაც ამას იბერიონელთა საძმო და კიდევ მრავალი განსხვავებული შეხედულება გვთავაზობს; მომხდარა განუზომელი დიაპაზონის კატასტროფა. ადამიანთა მცირე ჯგუფს თავი შეუფარებია მთათა მწვერვალებისათვის, ხოლო მეტი წილი აყვავებული და სრულყოფილი სოფელ-ქალაქისა ერთიანად გაცამტვერებულა. ზოგი ვერსიის შესატყვისად ცივილიზაციის ნაწილი — მაია-I კოსმოსშიც კია გახიზნული (ხოსე არგუელისი). ათასწლეულები კოსმოსური დროისათვის წამებია მხოლოდ. აკი, იოანე ზოსიმე უმტკივნეულოდ იტყვის: დღე ვითარცა წელი ათასიო.

მაინც რას წარმოადგენს წმინდა გიორგი იბერიონელების ჰიპოთეზით?

მივყვეთ მსჯელობას:

ჰომეროსთანაც, ვერგილიუს მარონთანაც მომავლის მოსახილველად ოდისევსი, თუ ენეასი მიწისქვეშეთში ჩადიან და იქ ეზიარებიან საკუთარი ბედისწერის დასალიერს. ამასვე იმეორებს უამრავი ხალხის ზეპირსიტყვიერი შემოქმედება. ზღაპრის გმირები ჯურღმულში ეშვებიან უკვდავების წყლის მოსაპოვებლად! გივი ალაზნისპირელისათვის კი ამგვარი შესაძლებლობის ნაგებობად მიჩნეულია ნუნისის მთათა კომპლექსი, I-მერეთში, იგივე მილმეთში, სამომავლოში, (I- მერეთი მეგრულად შეიძლება გავიგოთ ი-სასწაულად, გაოცებად, გამოქვაბულ -სასწაულად, I-ღანიცაა, აქედან — ღმერეთად,) რომლის ჭაში გალაკტიონისებურად თუ ვიტყვით, ბნელხვეულებისაკენ სპირალური კიბეებით ეშვება საქართველოს ტერიტორიაზე დაპროექტირებული კოსმოსური ნათება და ავსებს მიწისქვეშა სიცარიელეს. 43-42 კვადრატში ჩამავალი ენერგია თავიდან იან ხასიათისა იყო, დადებითი ემოციების მომნიჭებელი, უკუღმართი ინ-ისაგან განსხვავებით. და სწორედ ი-მერე-თში, ნუნისში, მიწისქვეშა უსასრულო წიაღში ადამიანები განიწმინდებოდნენ, აღივსებოდნენ სვეტიცხოვლის მადლით; მაგრამ მოგვიანებით დასახელებული სიცარიელე სატანის სამკვიდრობლად გადაიქცევა და ნოეს მისი ლიკვიდაცია ებრძანება.

საამისოდ საჭირო გახდება კოლოსალური მშენებლობის მოწყობა, საჭირო შეიქმნება მიწისქვეშა ვაკუუმის ჯერ ,,ენგურით'' ამოვსება, მერმე ამოგმანვა, დაფარვა იმ ჭისა, დახუფვა — I-მერეთის ცხოველმყოფელი ხაროსი. ქვის კიდობანის მისია ერთდროულად ემსახურებოდა ორ საქმეს: ჯერ ერთი, ნუნისის

საშოს ამოგლესვას და მეორე — ნოეს ჯალაბის გადარჩენას კატასტროფისაგან, სადაც თვალით უხილავი ველი პროექცირდება. ამ ველის გარემოცვაში გააჩენს უფალი ადამიანს და ხე ცნობადთან — სვეტიცხოველთან — ოქროს საწმისთან შეკონტაქტების გამო გამობუნძურდება კიდეც სამ-ოთხედან: სამგანზომილებიანი მდგომარეობიდან გამოიტყორცნება ოთხგანზომილებიანში, ანუ დაექვემდებარება დროის კანონებს: დაბადებას, განვითარებას და კვდომას: ელასტიკური გამყარდება, უკვდავი გამოკვდავდება.

,,სამ-ოთხეს'' კაბალისტური ჯამი 7-ია. სხვათა შორის აქვე შეიძლება ითქვას, რომ ღმერთის სიმბოლო ეზოთერულად 8-ა, რომელი სიმბოლოც ჰორიზონტალურ მდგომარეობაში უსასრულობის აღმნიშვნელია.

სამოთხე ებრაულად ბაღს ნიშნავს.

ჩვილის თავისქალა გარკვეული პერიოდის მანძილზე თოთოა, მას ესათუთებიან, რადგანაც მიაჩნიათ, რომ იგი სასულეა. ყიფლიბანდს ვეძახით იმ ადგილს.

ჩვენ ცოტა რამ ვიცით ადამიანის ანთროპოლოგიის შესახებ. ჯერჯერობით ზერელე აღწერილობებს ვჯერდებით. მაგალითისათვის, არასდროს ჩავკვირვებივართ რისთვის უმყარდება ჩვილს თავისქალის თხემი ძვლოვან სისტემათა შორის ყველაზე გვიან. ან რატომ არ ჩნდება იგი გამაგრებული ყიფლიბანდით. ხომ არ მიგვანიშნებს ეს მომენტი ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ფაზას? ელასტიურს, სამოთხისეულს, თავდაპირველს კოსმოსური ველის გარემოცვაში და გამყარებულს — ქვე-ყანიდან, ედემის წალკოტიდან ამოსვლის მერმინდელს.

სხვათა შორის ბუნება ადამიანს ჩვილობის ასაკშივე დაუხურავს თავისქალას, რათა დაიცვას მისი ტვინი — პიროვნების სამართავი პულტი — ზედმეტი რადიაციისაგან თუ სხვა, მისთვის საზიანო მოვლენისაგან.

ადამიანის დოსიე მისი კიდურების დაბოლოებანია.

ხუთთითიანი ხელი ზუსტად შეესაბამება მის განზომილებას (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემოვნება, შეხება), ხოლო რაც შეეხება ტალღებს ხელისგულებზე, ქირომანტთაგან განსხვავებით, მიგვაჩნია, რომ იგი ამა თუ იმ ინდივიდუუმის პარამეტრული ფირფიტაა, ოღონდ ჯერხანობით არ გაგვაჩნია მისი წამკითხველი ინსტრუმენტი. 13 უბნად დაყოფილი ხელისგულის ხვეული ნახჭი მომავალში უთუოდ ალაპარაკდება და ჰომო საპიენსის წარმომავლობის მრავალზე მრავალ ბუნდოვან საკითხსაც ნათელი მოეფინება ერთხელ და სამუდამოდ.

მაგრამ ამჯერად დავუბრუნდეთ წმინდა გიორგის პრობლემას. გიორგი მაზიაშვილი წარმოშობით კაბადოკიელი ლაზია.

კაბადოკიელები არიან წმინდა გიორგიცა და ნინოც, ჩინებული საეკლესიო მოღვაწეები — ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიაზელი და გრიგოლ ნოსელი. თვით კაბადოკია ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი თემია მცირე აზიაში, რომლის მოსახლეობის ნაწილი ქართული წარმოშობისაა და აქედან გამომდინარე სავარაუდებელია, რომ თავად საქართველოს განმანათლებელი ასულიცა და იესო ქრისტეს საქმეთა მადიდებელი გიორგიც, ქართული ჯიშ-ჯილაგისანი გახლდნენ. პირველი იმიტომ, რომ ქრისტეს რჯულს ასე იოლად ვერ იქადაგებდა უცხო ენაზე და ასე იოლად ვერ მოაქცევდა უცხოტომელებს. ხოლო გიორგის სადაურობაზე მისი სახელი მიუთითებს. ესეც რომ არა, უფალი ღმერთი ქართველ კაცში იესო ქრისტეს მეშვეობით კი არა, წმინდა გიორგის ძალისხმევით შემოდის, რაზედაც მეტყველებს მისი სახოტბო ეკლესია-მონასტრების სიმრავლე ჩვენში. შემთხვევითია განა ამ ორ უნიკალურ პიროვნებას საქართველო ღვიძლი შვილებივით რომ ჩაიხუტებს გულში და თვალდახუჭული მიჰყვება მათმიერ ნაქადაგებ უცხო მოძღვრებას?

წმინდა გიორგის სასწაულმოქმედებათა შორის ნიშანდობლივია ურჩხულის მოთვინიერება პირჯვარის გარდასახვით და ხელშუბით განგმირვა მერმე. სხვათა შორის წმინდა გიორგი იმ ბოძალით ზოგან გვირგვინოსან პიროვნებას განგმირავს და ზოგან კიდევ — ცხენზე ამხედრებულ შარავანდედიანს. ასეა თუ ისე, წმინდა გიორგის რეალურობის საკითხი ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ვინაიდან მისი ცხოვრება და მარტვილობა მისსავე მოწაფეს ბასიქარტოსს აღუწერია. თავად გიორგი კი მოღვაწეობს დეოკლეტიანოს მეფის მძვინვარების ჟამს (284—305). ქრისტეს რჯულის არცერთ მიმდევარს რგებია წილად ესოდენი პატივი და თაყვანისცემა საქართველოში, როგორც წმინდა გიორგის. მის სასწაულმოქმედებაზე იწერება ფსალმუნები, აღავლენენ ჰიმნებს. მისი საგმირო საქმენი აღიწერება პროზითა და ლექსად. გამოიძერწება და გამოიქანდაკება თიხაში, ქვაში, ამეტყველდება ფრესკებსა და ოქროს ხატებზე. წმინდა გიორგი რაღაცნაირად გადააჭარბებს ქრისტეს და ქართველი ხალხის სულიერ მედროშედ იქცევა. ეს უტყუარი რეალობაა. უცხოტომელს არავინ გაიხდის სულიერ მესიად, ოღონდ ძნელი დასაკავშირებელია ნუნისის მთათა კომპლექსი და თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი, რომელიც გველეშაპს ჯერ მონუსხავს და მერმე შუბსაც განუწონის კაკალ გულში. ასეთი

ინტერპრეტაცია გვიანდელი წარმოდგენებისაა უთუოდ, რადგანაც საქართველოს სინონიმად გეორგია გაცილებით ახლო პერიოდისაა.

წარღვნის წინარე და მომდევნო საუკუნეებში დღევანდელ საქართველოს ნუნისის მთათა კომპლექსიანად აია, კოლხეთი ეწოდება. ცნებათა ქრონოლოგიურობა რომ არ დაირღვეს თეთრი გიორგი ზედმიწევნით ქრისტიანული პერსონაჟია და წარმართული ეპოქების მიმართებაში მიზანდასახულ ზედნაშენს წარმოადგენს. აქვე გასარკვევია ნუნისში ჩამავალი სპირალური კიბეების ძალმოსილება — დედამიწის შეჩერება ალაზნისპირელისეული მეთოდით თუკი შესაძლებელია საერთოდ, მაშინ როგორი პარამეტრებისა უნდა ყოფილიყო ნაგებობა იგი, ხომ უნდა შესაბამებოდა ჩვენი პლანეტის დასამუხრუჭებლად საკმარისი ენერგიის გამომცემ მოწყობილობას?! იქნებ ყოველივე მისტიკური სურათია, ან ცოლკინივით მატრიცაა, მაკეტი ამდაგვარი ნაგებობისა მომავალ თაობათათვის?! ასევე დასაზუსტებელია რატომ არის მიჩნეული 43-42 კვადრატი ნულოვან წერტილად, სადაც მოძრაობა ყველაზე ნაკლებია და ჩრდილოეთ გალაქტიკის ციალი პროექცირდება?! (43—42-ის შიდა წევრები 3—4, სამოთხეა, 7-ია, გარეთა კი 4—2, 6-ია. მოდი, დავიმახსოვროთ 76 ციფრი მომავალი საუბრებისთვის. 7 გარემოცულია 6-ით, ეშმაკეულით.). განა დედამიწის ნებისმიერ წერტილს სრული კანონზომიერებით არ დაეშუქება ეს ნათება დროის სხვადასხვა მონაკვეთში პლანეტის კანონიკური მოძრაობის კვალობაზე? აქვე რამდენად დამაჯერებელია მიწის წიაღში ედემის ბაღის არსებობა? თვალით უჩინარი ველი შეიძლებოდა კი ზღაპრული წალკოტის ახასხასებას?

ეს ყველაფერი განსჯისათვის იბერიონთა საძმოს მისამართით, მაგრამ ნუნისის მთათა კომპლექსის მნიშვნელობა ამ ზემისიათა გამოხშირვის მერმეც არაფრით კნინდება, ვინაიდან ადვილმოსალოდნელია ჩვენ მისი სახით საქმე გვქონდეს ეზოთერიის მისტიკურ ცენტრთან, რომელიც ცხოველმყოფელ სულს შთაბერავდა მოუხეშავ ადამიანებს. აკი, იესო ქრისტე ხუთი პურითა და ორი თევზით 5 ათას დამშეულს დაანაყრებს. იქნებ აქ სწორედ ნუნისის მთათა კომპლექსით დაპურებაზეა საუბარი. ეს კომპლექსი, ავტორებს თუ ვერწმუნებით, სწორედ შვიდი მთისაგან შედგება და საკრალურ ხაროში დიახაც ორი თევზი მკვიდრობდა. ვეშაპი თავისი ნატურით ზუსტად შეესაბამება ნუნისის მთათა კომპლექსის გვირგვინს — ,,ნოეს კიდობანს'', რადგანაც ვეშაპის, დელფინისა და ახალშობილის მსგავსად მხოლოდ მას გააჩნია ნაჩვრეტი თავ-კისრის შეერთების ადგილას. ასეთი ხარო ნუნისის ჭაა, სადაც სპირალური კიბეებით — გველებით ჩაიღწევს კოსმიური ნათება. ამგვარი პრინციპი ეგვიპტის პირამიდების მშენებლობისთვისაც გახლდათ ცნობილი, გიგანტური ქვათაწყობის უკუნეთ წიაღში მათ თავისუფლად შემჰყავდათ მანათობელის შუქი.

ცოლკინის — მაიას ფაქტორისა და ტუტანხამონის სახის მოზაიკის შესატყვისობაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ასევე შემთხვევითობას მოკლებულია ბოლოდროინდელი ვარაუდები იმის თაობაზეც, რომ პირამიდები მიწისძვრათა საწინააღმდეგო დანადგარებია — სეისმოლოგიური დანიშნულებისა. მოგვიანებით ჩვენ გავეცნობით ბ-ნ ვაშაკიძის მოსაზრებებსაც, სადაც პირამიდა გაიგივებულია ტორნატის გამომწვევ ნაგებობასთან. მოსაზრებას გამოვთქვამ ნუნისის მთათა კომპლექსზე, რომ იგი ცოლკინის მსგავსად მინიატურული მოდელია რაღაც მასშტაბური ნაგებობისა კოსმოსში გასასვლელად ან პირიქით, — ინფორმაციათა ნაკადის მისაღებად. ყოველივე გაცხადებულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ნუნისის მთათა კომპლექსი, მით უფრო იგი ხელოვნური თუა, ადვილმოსალოდნელია მსოფლიო ეზოთერიის ეპიცენტრადაც მოგვევლინოს და ნოეს კიდობნისა თუ საკურთხევლის მიუგნებლობის შემთხვევაშიც, იოტისოდენადაც არ შეილახება იბერიონელთა აღმოჩენის მნიშვნელობა.

ჩვენ ნელ-ნელა სიმპათიით განვეწყობით წარღვნამდელი ცივილიზაციის მიმართ, ქედს ვიხრით ჯერ კიდევ მრავალი ამოუცნობი მოვლენა-ფაქტის წინაშე. ამირან-პრომეთეს მიჯაჭვა კავკასიონის ქედზე ამ საკრალური საიდუმლოს მთავარი გასაღებია უთუოდ. ღმერთთან გატოლების, ღვთიური ცეცხლის — ანუ მსოფლიო ცოდნის სამზეოზე გამოტანის გამო იკორტნება მისი ღვიძლი ზევსის — დიოსის არწივისაგან.

ეს მომენტი ბატონ ზვიად გამსახურდიასაც ჩინებულად შეუნიშნავს. ხე ცნობადის ძირას იშვება ბუდა, იგივე სვეტიცხოვლის ველში ხუთიათასი წლის წინ. ხე ცნობადზე ჰკიდია ოქროს საწმისი — კირბები და ცეცხლისმფრქვეველი დრაკონები იცავენ მავანის ხელყოფისაგან აიეტის ზეობის ჟამს, ჰელიოსის ძის სუფევის პერიოდში სამიათას ექვსასი წლის წინ.

ცაბაოთი, იგივე სრულყოფილი ადამიანი, ექვსიათას წელიწადს ქმნის დედამიწისეულ ცივილიზაციას. მოკლედ, ყოველი რელიგიის არსი ერთსახოვანია, ხოლო იპოსტასებად დანაწევრებული ქრისტიანობა ეზოთერულად გვიმხელს მის შემადგენელ კომპონენტებს — უფალი იგი სქემატურად ასეთია: აბსოლუტური ცოდნის კოდირება მის მინიატურულ გამოსახულებაში — ადამიანში. მოდელები — პირამიდა-ცოლკინი-ნუნისი ამისი ხელშესახები თვალსაჩინოებაა. ქრისტიანიზმის აბსოლუ-

ტურის სამსახოვნება მუჰამედის რევიზიონიზმის საფუძველად გვევლი- ნება. ერთარსია ბუდა, იეჰ ოვა, მოგვიანებით ალაჰი, და თეოსოფიის ქრისტიანული მოდელი დააბნევს ღვთისმოშიშ ხალხს, რადგანაც მათთვის მიუწვდომელი აღმოჩნდება უფლის ხატის ეზოთერული ფორმულა: მამაღმერთი — ძე ღმერთი — სულიწმინდა, ანუ სრულიად სამყარო მის მოდუს — ადამიანში და პლუს საკაცობრიო ცოდნა საგანთა რიგისა და შეფარდებათა გათვალისწინებით.

ეპისკოპოსი იოანე-იონა ბოლომდე ერთგულია მართლმადიდებლური სულისკვეთებისა, რადგანაც ღმერთის ეზოთერიული მეობა მისთვის გაუცნობიერებლადაც ხელშეუხებელია და ყოველი გადახრა, ცდომილება ამ გზიდან, ღალატის ტოლფასია საღვთო საქმის მიმართ.

გონიერება სულის თვისებაა, აცხადებს იოანე-იონა. თავისუფლება საკუთარი ნებელობაა, ხოლო ჭეშმარიტ რელიგიას იგი ეშმაკთან საბრძოლველ იარაღს უწოდებს, რომელიც მხეცთან შერკინების ჟამს გამოიცნობა მხოლოდ. თუ ყალბი, უვარგისი საჭურველი აგირჩევია საომრად, განწირული ხარ დასალუპავად. მაგრამ აქვე შეიძლება დაზუსტდეს ერთი ფაქტიც: ადამიანის პარამეტრები შემთხვევით არ შეესატყვისება ბუნებაში მოქმედ კანონებს, ანუ ჰოსა და არას შორის ყოყმანს, ნათელსა და ბნელს შორის მერყეობას. ეს სიხშირეები, რაც მის ხასიათში მონაცვლეობით ინთება და ქრება, ნიშანდობლივია როგორც მიკრო, ისე —მეზო და მაკრო განზომილებათათვის და შეესაბამება 6-ს, გასაოცარ პერიოდს მათემატიკაში და ღვთიური მუშაკობის მუდმივა-ხანგრძლივობას თეოლო- გიაში. და რადგანაც, ადამიანს — მეზოს — წარმოვსახავთ მაცხოვრის ხატად, ყოველივე მის შიგნით და გარემოქმედებაში მოცემული ოდაბადეს გლობალურ პროცესებს აირეკლავს, მცირეში, მინიატურაში, და აქედან გამომდინარე, ადამიანს ემუქრება არა მხეცი და ურჩხული, არამედ — საკუთარი გაორებული ბუნება, რომელთაგან დადებით ემოციებს უფლისეულს ვეძახით, ხოლო უარყოფითს — მაცილისეულს. მოგვიანებით ჩვენ გადავწვდებით შტაინერის კონცეფციასაც, სადაც ადამიანს ლუციფერულ-არიმანისეული ცთომილებებისაგან აწონასწორებს ქრისტე. სინამდვილეში კი მათი მონაცვლეობა აუცილებელი პირობაა სრულფასოვანი არსებობისათვის.

ძველმართლმადიდებლური მოძღვრება დროთა ვითარებაში ნელინელ იწყებს რღვევას და უკვე 1054 წლიდან დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიები საბოლოოდ გაემიჯნებიან ერთმანეთს.

კათოლიციზმი ორთოდოქსალობადაკარგული ქრისტიანული კონფესიის ერთერთი მიმდინარეობაა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავებულია სამოციქულო ეკლესიების პირვანდელი იერსახისაგან. სწორედ იგია პროტესტანტიზმის წარმომშობი. უარყოფს ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავალს — მღვდელს. აღიარებს ორადორ საიდუმლოს — ნათლისღებასა და ზიარებას. ძველი მართლმადიდებლობა დღითი დღე კალეიდოსკოპური სიჭრელით იცვლის ბუნებას.

გერმანული ანაბაპტიზმის რევოლუციური პათოსი განერიდება ხატებისა და წმინდა ნაწილების უარმყოფელ ,,ანგოლიკებს'' ინგლისში. ხოლო კალვინიზმი სრულებით უკუაგდებს ყოველგვარ საეკლესიო საიდუმლოს — ხატებს, ღვთისმშობელს, წმინდანებს, მარხვებს. მათი მღვდელთმსახურება წარმოდგენილია ბიბლიის კითხვით, ფსალმუნების გალობითა და ქადაგებით.

ინგლისური სექტა ,,კვაკვერები'' მიესწრაფვის ,,შინაგან სინათლეს'', რაც ბიბლიაზე მაღალმდგომი მდგომარეობაა.

,,მეთოდიზმი'' ,,ანგლიკანურის'' ნაირსახეობაა, რაც შეეხება ამერიკანულ ,,ქრისტიანობას და მეცნიერებას'' ბიბლიას თანხლებით ასცხრამეტი წელიწადია ბეკერ ედის ტვინგარჯილობით ლუღლუღებს. 1054 წელს მართლმადიდებლურ და კათოლიკურ მიმდინარეობებად გახლეჩილი ქრისტიანული მოძღვრება კვლავაც განიცდის არაერთ მუტაციას და ეს დანაწევრება ყოველთვის სამების შევიწროვების, სარიტუალო წესჩვეულებათა გამარტივების ნიშნით წარიმართება, რისი ნათელი დასტურია იეღოველიზმი. მაგრამ ჯერ მოდი, თავად მართლმადიდებლური განშტოებანი განვიხილოთ.

1400 წელს რუსები არქიერულ ფიცში ბერძნებს გამოაძევებენ თავიანთი მიტროპოლიიდან, როგორც უსჯულო მეფის გამგებლობაში მყოფნი და უკვე 1551 წელს სტოგლავის კრების საფუძველზე ჩამოყალიბდება ჭეშმარიტი რუსული მართლმადიდებლური კულტი, რომელიც წარმოშობს გაგებას: ძველი მართლმადიდებლობას — სტაროობრიადცები, იგივე სტაროვერები და ახალი მართლმადიდებლობას — ნოვოობრიადცები. 1652 წელს სასულიერო ტახტზე ნიკონის მოვლენის დღიდან, ძველმართლმადიდებლურ სწავლებას ახალი 106 მუხლით დასცილდება. ხოლო 1666 (!) წელს აღნიშნული ღონისძიების წყალობით ერთიანი რუსული მართლმადიდებლური ეკლესია საბოლოოდ ორად გაითიშება. რეფორმატორულს ნიკონი ჩაუდგება სათავეში, ხოლო ძველმართლმადიდებლურს — დეკანოზი აბაკუმი (პეტროვი).

ენით აღუწერელია რეფორმატორების მძვინვარება ტრადიციონალის- ტების, განსაკუთრებით მისი სულისჩამდგმელი აბაკუმის მიმართ, მაგრამ ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო და უამრავი ნაწამები სხეუ-

ლი და მოკვეთილი თავი ზეციდან შეჰ-ღაღადებს ჯერაც რუსული ეკლესიის წამრყვნელთა განუკითხავ სახელებს. მართალია, 1971 წელს რუსეთის საპატრიარქოს კრება აღიარებს ნიკონის შეცდომას, რომელსაც საამისოდ არც კანონიკური საფუძვლები გააჩნია და აღარც — ისტორიული, თუმცა ცდომილების აღიარება როდი ნიშნავს გამრუდებულის გამართვას. რუსული მართლმადიდებლობა დღესაც უკუღმართი გზით დაიარებაო, აცხადებს ეპისკოპოსი იოანე-იონა წიგნში ,,რა უნდა ვაკეთოთ''.

განსაკუთრებით ინფექციური ხასიათისა აღმოჩნდება ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩარლზ რასელის მიერ 1872 წელს ,,მეორედ მოსვლის'' მქადაგებელი ადვენტისტების სექტისაგან გამოყოფილი იეჰოვას მოწმეები. 1931 წელს ეს მიმდინარეობა ,,იეჰოვას მოწმეთა'' სახელით მოინათლება. მას უკვე 95 ფილიალი და განუსაზღვრელი ძალა-უფლება გააჩნია. კოლოსალური მატერიალური შესაძლებლობების გაერთიანებაა. თავის იდეებს პროპაგანდას უწევს მაღალპოლიგრაფიული უფასო პრესით. იეღოველები სამების ნაცვლად ერწმუნებიან მამაღმერთს, რომლის ნების აღმსრულებელია ქრისტე.

დაახლოებით იგივე შეხედულებისაა მუჰამედიც. მუსულმანთა საღვთო წიგნი ,,ყურანი'' იესო ნაზარეველს მოსესავით ნათელმხილველად, წინასწარმეტყველად მიიჩნევს მხოლოდ: მარიამის ძე არ გაჩენილა სულიწმინდისაგან და ჯვარცმის შემდეგ ცად არ ამაღლებულა. მარტივად თუ ვიტყვით, მუსულმანიზმი ქრისტიანობას ზღაპრული ელემენტებისაგან გამოხშირავს და ბიბლიურ სიუჟეტებს რეალურ ჩარჩოებში მოაქცევს. იგივე პრობლემებს უმტკივნეულოდ ახორციელებს რასელის ,,იეჰოვას მოწმეთა'' საძმო, როცა ჭეშმარიტ ღმერთად ამკვიდრებს სამების სამკუთხედიდან გამოთავისუფლებელ მამაღმერთს და რამდენიმე ნაბიჯით უახლოვდება მუჰამედის რჯულს. სამების დოგმატს პირველივე სტროფებიდანვე უგულვებელყოფს შოთა რუსთველიც. გავიხსენოთ:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყგნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.
ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა“.

სამების ეზოთერულობა, ცხადია, უცნობი არ იქნებოდა გენიალური პოეტისათვის, მით უფრო, როგორც ქვემოთ შევნიშნავთ, თავად შოთა რუსთველი და ,,ვეფხისტყაოსანი'' ეზოთერიული შინაარსისაა. მათი კაბალისტიკური მნიშვნელობა 980-ს და 760-ს შეესაბამება, თუმცა — ამაზეც მოგვიანებით.

ასეთნაირი კომპრომისები, როგორც ჩანს, გამოწვეულია რელიგიური ანტაგონიზმის განეიტრალების ქვეშეცნეული თუ გააზრებული ქმედებებით, და როცა მრგვალ მაგიდას მიუსხდებიან ბუდიზმი, იუდეიზმი, ქრისტიანიზმი (იეჰოვა) და მაჰ-მადიანიზმი, ისინი ფაქტობრივად განსხვავებულად გადანათლულებად, მაგრამ ერთარსი ღვთაების სახელით ალაპარაკდებიან, თუმცა დასახელებულ რელიგიურ სკოლებს შორის კვლავაც რჩება უშველებელი არსებითი თუ ნიუანსობრივი დაშორებანი: ქრისტიანობა აღიარებს სულის პრიმატს; იეღოველიზმის მიხედვით სული ხორცთან ერთად კვდება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მოკლედ, დიდი რეფორმატორული სამუშაოებია ჩასატარებელი სარწმუნოების აღმსარებლობის თვალსაზრისით, რადგანაც მხოლოდ ქრისტეს რჯულზე სიარული ერთობ ვიწრო კალაპოტია მსოფლიოს აბობოქრებული სულისათვის, გნებავთ ლაზი და ფერეიდნელი ქართველობის შემოსამტკიცებლად; მით უფრო, როცა ისლამი ქრისტიანულ მამაღმერთს აღიარებს უზენაეს ღვთაებად, ხოლო თავად ქრისტეს ისეთსავე წინასწარმეტყველად მიიჩნევს, როგორც მოსეს და ძმათა მისთა მაჰმადიანობა, ჩვენ, მართლმორწმუნეთ, მკრეხელობად ჩამოგვართმევს ადამიანის გაფეტიშებას, იმ პიროვნების გაკერპებას, თვითვე რომ ეთაყვანება დაუსაბამო ძალას — იეჰოვას; ეზოთერულადაც ცაბაოთის სწორუპოვარ ძედ მკვიდრდება ცისქვეშეთში იესო და ჯვარცმის წუთებში, ,,ელი, ელი, ლამა საბაქთანი — უფალო, ჩემო, უფალო ჩემო, რისთვის დამიტევე მეო'', ამოიკვნესებს მამაზეციერისაგან მივიწყებული.

ისლამი — ღმერთს მინდობილი

ისლამი სამშობლოდ სამხრეთარაბულ ტომებს, იემენელებს ასახელებენ. ბიბლიის მიხედვით მათ საფუძველს ჩაუყრის ისააკი, აბრაამისა და სარას შვილი. ცენტრალური არაბეთის ტომები ქ.ა. პირველი ათასწლეულის დამდეგს ინარჩუნებენ სრულ თავისუფლებას. მომთაბარეობენ ცალკუზიანი აქლემების ქარავნებით უდაბნოებში, ხოლო ოაზისებში მისდევენ ნაყოფიერ მიწათმოქმედებას.

სტუმარი ხელდაუკარებელი პიროვნებაა მათში. საკმარისია შეეხო არაბის ერდოს, რომ თუნდაც მოსისხლემ თავი სამშვიდობოს დაიგულვო. გავიხსენოთ ქისტი ჯოყოლა და მისი ტრაგედია ძმისმკვლელი სტუმრის მოძმეთაგან ვერდაფარვის გამო.

არაბის პიროვნული თავისუფლება არანაირად იზღუდება, ხოლო ტომი თუ ვინმეს კანონგარეშედ გამოაცხადებს, იგი მყისვე კარგავს ყოველგვარ უფლებას და ხდება ხალი, რომლის დასახიჩრებისათვის, მონად გაყიდვისათვის თუ გნებავთ მოკვლისათვის პასუხს არავინ აგებს, რადგან იგი არავისია და ყველასი ამავდროულად.

აქედან გამომდინარე იდეალური არაბი უნდა იყოს კეთილშობილი, მტერთან ბრძოლაში უშიშარი, ვითარცა უხორცო და საერთოდ, სისხლის უმაგალითო ამღები, პირმტკიცე, სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი, სულგრძელი, უფროსებისადმი მოწიწებული; უდრტვინველად უნდა აიტანოს ბედისწერის ქარტეხილები, არ იყოყლოჩინოს ძლიერთა წინაშე და დაეცვას სუსტნი, გამუდმებით იზრუნოს საკუთარი და ტომის ღირსებისათვის.

რომელი ცივილიზებული ერი არ ესწრაფვის ასეთ იდეალებს?!

ქალი მამაკაცის თანატოლად არ მიიჩნევა. ახალშობილ გოგონებს ზოგიერთ ტომში ხოცავენ — ცოცხლად მარხავენ მიწაში. ნებადართულია მრავალცოლიანობა, მაგრამ უმრავლესი მექარავნე ერთცოლიანი გახლავთ. გვხვდება მცირე გამონაკლისი პოლიანდრიისა — მრავალქმრიანობა. სამხრეთ არაბეთში მრავალღმერთიანობაა წარმართთა კვალობაზე, ჩრდილოეთში კი ეთაყვანებიან საცხოვრისის ღვთაებას — ბეით-ილს, ვერტიკალურად აღმართულ სვეტებს, რომლებზეც ადამიანთა მსგავსი ფიგურები გამოისახება და თან დაატარებენ აქლემებით. წარმართობა და მრავალღმერთიანობა ხელს არ უშლის უზენაესი ღვთაების არსებობას, რომელსაც დანარჩენთაგან განსხვავებით რაიმე კონკრეტული სახელი არ გააჩნია და უბრალოდ ღმერთს — ალაჰს ეძახიან.

არაბები ბევრს მოგზაურობენ, ვაჭრობენ, ომობენ და კარგად ერკვევიან გარემომცველი ხალხების რელიგიებში, როგორიცაა: იუდეიზმი, ქრისტიანიზმი, ზოროასტრიზმი. ნებისმიერი სექტის ქრისტიანს არაბები ნასარებს უწოდებენ. 106 წელს რომის იმპერატორი ტროიანი აქამდე სახელგანთქმული არაბეთს პროვინციად გადააქცევს. ცენტრალურ არაბეთს მალე გაუჩნდება თავისი დედაქალაქი — ქალაქი მექა, რომელიც მკვდარ ზღვას 70 კილომეტრითაა დაშორებული.

ერთ-ერთი არაბული თქმულების შესატყვისად ბიბლიურ აბრაამსა და სარას ჰყავდათ ორი ვაჟიშვილი, ისმაელი და ისააკი. დედა უმცროს შვილთან ცხოვრებას არჩევს, ხოლო უფროსი იძულებული შეიქმნება შინიდან აიბარგოს. ღმერთი აღუთქვა აბრაამს, რომ ისმაელი არათუ დაიღუპება, მთელი ქვეყნიერების ხელდასხმულად აქცევს და თავის მეუღლესთან, ხაჯართან ერთად გაუდგება მომქანცველ გზას. პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ იმ ისტორიაზე ლეგენდა მდუმარებს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ისმაელი მეუღლეს ქაბის სიახლოვეს დაასაფლავებს. აბრაამი ზოგჯერ თავის უძვირფასეს ვაჟიშვილს სირიიდან მოინა- ხულებს ხოლმე და ყური გამოჭედილი აქვს ხაჯარისგან ქმრის სიღარბით, მაგრამ, აი, მისი გარდაც- ვალების მერმე ხელმეორედ დაქორწინდება ისმაელი მადადზე და ერთ-ერთი სტუმრიანობის ჟამს მამამთილს ჩინაბულად გაუმასპაინძლდება, თანაც თანამეცხედრის მისამართით ვერანაირ საყვედურს დააცდენინებს. აბრაამი დალოცავს ძეს და გახარებული აღნიშნავს, რომ ისმაელის სახლს ახლა კარგი ერდო აქვს. აქედან მოყოლებული აბრაამი აქა-იქ მოიკითხავს ღვიძლებს, თანაც მექას სანახებსაც შეავლებს თვალს და ალაჰის შთაგონებით ადამის აკლდამის სიახლოვეს შეუდგება სალოცავის აღმართვას, ზუსტად ისეთივესი, როგორშიც სამყაროს პირველი კაცი ლოცულობს. დროთა ვითარებაში ქაბს აღაშენებენ სიფი, ნოე; სემი აღადგენს წარღვნის შემდეგ. ასე რომ, ქრისტეს აქეთ V საუკუნეში ქაბის სალოცავის კედელს მრავალი კერპი ამშვენებს.

კურაშაიტების მეთაურის, კუსაის ზეგავლენა განუსაზღვრელია თავის ტომში. მუჰამედის პეპერას კურაიშატების თავადსაც ეძახიან, და მალე იგი აკონტროლებს კიდეც მექას შემოგარენს თავისი ძლიერებით, სიმდიდრით. ერთხელ კუსაი ხალხს შესთავაზებს ქაბის გარშემო არსებული ტყის ქალაქის აღსაშენებლად გაკაფვას. ეს ახორი წმიდათაწმინდად ირაცხება და როცა თავად, ამ ერთობ მორწმუნე ადამიანი, პირველ ხეს მოჭრის, სხვებიც უსიტყოდ მიჰბაძავენ. ასე დაფუძნდება ქალაქი და მას აქეთ — სალოცავიც. კუსაი 480 წელს გარდაიცვლება.

მექას უკვე მფარველად მოევლინება მუჰამედის პაპა ხაშიმი. მოგვიანებით საღვთო საქმეს მისდევს შეი-

ბა, რომელსაც ხაშიმის ძმა მუთალიბი ჩამოიყვანს. უპატრონო შეიბას აბდ-ალი-მუთალიბს შეარქმევენ.

ასე ჩაწვრილმანებით იმიტომაც აღვწერთ ამ ქრონოლოგიებს, რომ მექას, ქააბის რელიგიურ სამსახურს, ავად თუ კარგად, კურაშაიტების გვარის წარმომადგენლები მესვეურობენ, მუჰამედის სისხლისმიერი წინაპრები. თითქოს განგების ძალისხმევით გეგმაზომიერად, თანამიმდევრულად იკაფება გზა მისთვის, ამ გენიალური ნათელმხილველისათვის.

აბდ-ალაჰისა (ღვთის მონა) და ამინას (ერთგული) ქორწინებისგან იბადება მუჰ-ამედი 570 წლის 29 აგვისტოს.

არაბი დედები, როგორც წესი, ბავშვს 2-3 წელიწადს მკერდით კვებავენ, რაც ხელს უწყობს ბავშვის ცხოველმყოფელობით განვითარებას. მუჰამედს თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სიბნელის ეშინია. იგი მოგვიანებით იტყვის:

,,მე უწინარესი არაბი ვარ, ვინემ რომელიმე თქვენგანი, მე კურაშაიტი ვარ და მე განმიმზადა ბანუ საადის ტომმა''.

დეტალების გამოდევნება შორს წაგვიყვანს. მუჰამედი იზრდება საღვთო სამსახურის ეპიცენტრში, მექას, ქააბის შუაგულში, ასწავლიან ძველ აღთქმას, არაბულ თქმულებებს, დამახინჯებულ ოთხთავს და ცხადია, დღითი დღე აღივსება რელიგიური ცეცხლით.

ხაჯიჯა ორმოცი წლის მდიდარი და ლამაზი ქვრივია, ხოლო მუჰამედი ჭაბუკი და მომხიბვლელი, თუმცა ღარიბი. ხაჯიჯა ჭკვიანი და ერთგული დედაკაცი გახლავთ, მუჰამედი — მთელი მექას სათაყვანებელი პიროვნება.

ერთხელ ხაჯიჯა მუჰამედს თავის მონა მაისურს გააყოლებს შორეულ მოგზაურობაში, რომელიც წვრილად გაუმხელს ჭაბუკს ქალბატონის ზრახვებს, რაც ერთობ განაცვიფრებს და ააფორიაქებს მუჰამედს.

— რატომ არ დაქორწინდები მუჰამედ? — ჩაეკითხება საუბრისათვის ხელსაყრელ დროს მაისური.

— ღარიბი ვარ და იმიტომ. გაიგებდი, ალბათ, აბუ თალიბმა ხელმოკლეობის გამო ცოლად არ გამატანა თავისი ფახიტა.

— კი, მაგრამ მდიდარმა ქალბატონმა თუ მოგცა წინადადება, თანაც ლამაზმა და სახელგანთქმულმა?

— ვინ არის ასეთი? — გაიკვირვებს მუჰამედი.

— ხაჯიჯა!

— შეუძლებელია! — აღმოხდება გაოცებულ და აღფრთოვანებულ კურაშაიტს.

მოგვიანებით აი, როგორ გაესაუბრება ხაჯიჯა დამარტოხელებულ მუჰამედს:

— ჩემო ბიძაშვილო, ჩვენ ნათესავები ვართ. შენ სამართლიანი ხარ, კარგი ხასიათისა, გაფასებენ. ვინძლო ოდესმე გავთხოვებულიყავი, სწორედ შენნაირ ქმარს ვისურვებდი. კარგი იქნება თუკი დაქორწინდებით, მუჰამედ, — და რადგანაც ხაჯიჯა უმდიდრესი ქალბატონია მუჰამედი უყოყმანოდ დათანხმდება ქმრობაზე.

ეს ანგარებიანი ქორწინება თითქოს არაპოეტურია დღევანდლობის თვალსაწიერიდან, მაგრამ მუჰ ამედი ღმერთის კარნახს მიენდობა, ცხოვრებისეულ პრობლემებს ხელის ერთი მოსმით ჩამოიშორა გზიდან და მთელი არსებით მიეცემა სულიერ თავისუფლებას, რომლის საწინდარი ახალი სარწმუნოების ქადაგებაა.

ძეობა მუჰამედს ბედად არ უწერია. მისი ვაჟიშვილებს აბულ კასიმს, აბდალაჰს და ალ-ტახირას უფალი ცაში აიტაცებს. მათ სანაცვლოდ სამ ასულს აჩუქებს წინასწარმეტყველს: ზეინაბს, უმ კულსუმს და ფატიმას, და ამით უზენაესი მუჰამედის გენს კაცობრიობის წიაღში ხეტიალის უნარს წაართმევს, რათა ზეშთაგონებული ექსტაზით დაიფერფლოს რელიგიასა და პოეზიაში. უძრავი დროის ადამიანებს მუჰ ამედი მოუვლენს მარადმოხასხასე წყაროს საღვთო წიგნის ,,ყურანის'' სახით.

მოვუხმობთ რამდენიმე ნაწყვეტს მისი ძალმოსილების წარმოსაჩენად:

თავი II

33. ჩვენ უთხარით ადამსა: წალკოტში დამკვიდრდი შენის მეუღლითურთ, უხვად შეჭამეთ მისი ნაყოფი, წალკოტის რა კუთხითაც უნდა იყვეს; მხოლოდ არ მიუახლოვდეთ ეგერ იმ ხესა შიშით, რათა არ ჰ სცოდოთ.

34. სატანას მიზეზით ფეხი დაუსხლტათ და გამოყრილ იქმნენ იმ ადგილსამყოფელითგან. მაშინ ჩვენ უთხარით მათ: მაგ ადგილას მოსცილდით ერთმანეთის მტერნო, ქვეყანა გექმნესთ დროებით საცხოვრებლად და საურვებლად.

114. ურიებმა და ქრისტიანებმა შეგიწყნარონ მხოლოდ მაშინ, თუ მათი სარწმუნოება მიიღე, უთხარი მათ: ჭეშმარიტია მხოლოდ ის წარმართება, რომელიც ღვთისაგან გამოდის; მათ სურვილთათვის რომ დაგეთმო, მცნების მიღების შემდეგ, ღვთისას ვერც მფარველობას იპოვიდი და ვერც შემწეობასა.

137. ასე გაგხადეთ, არაბნო, შუამავალი ერი, რათა მოწმედ იყნეთ ყველა კაცთა წინაშე და რათა მოციქული მოწმედ იყნეს თქვენს წინაშე.

158. თქვენი ღმერთი ერთი ღმერთი არს; სხვა როდია, იგია მოწყალე და შემწყნარებელი.

159. უეჭველია, ცათა და ქვეყნის გაჩენას, დღეთა და ღამეთა ჯერობით დადგომას, ხომალდთა, რომელნიც ზღვაზე მიმოცურავენ ხალხთათვის სასარგებლო ნივთთა მიმაწვდენელი, წყალსა, რომელიც ღმერთს ზეცით ჩამოჰყავს და რომლითაც მას წინეთ მკვდარ მიწას სიცოცხლეს ანიჭებს, და სადაც ყოველგვარი სულდგმულები მიმოუფანტავს; ქართა და ღრუბელთ ცვლილებასა, სამსახურს რომ ჰსწევენ ცასა და ქვეყანას შუა — ამას ყველაფერს ძალი აქვს მათთვის, რომელნიც გულის ხმას ჰყოფენ.

181. რამადანის მთვარე, როცა კურანი მაღლით მოვლინებულ იქმნა კაცთა დასარიგებლად, მცნებათა ცხად ასახსნელად ბოროტსა და კეთილსა შორის განსასხვავებლად, მარხულობის დღეა. ვინც მთვარე იგი იხილოს, მარხულობას მაშინვე შეუდგეს. თუ ვინმე ავად იქმნეს, ანუ გზაში, თანასწორი დღეთა რიცხვი შემდეგ იმარხულოს. ღმერთს თქვენი შვება ჰსურს, თქვენი შევიწროება როდი ჰსურს. მას ნებავს მხოლოდ, შეასრულოთ ნებაყოფლობითი რიცხვი და ადიდოთ იგი, მიტომ რომ სიმართლის გზით გიძღვებათ; მას ჰ ნებავს, დამნახველ იყნეთ.

183. ნება გაქვსთ, თქვენს ცოლებს დაუახლოვდეთ მარხულობის ღამესა. თქვენდა სამოსელ არიან იგინი, მათდა სამოსელ ხართ თქვენცა. ღმერთმა კარგად უწყის, რომ თქვენს თავს, როგორც მოღალატენი, ისე ეპყრობით. მან მოგხედათ და მოგიტევათ. თქვენს ცოლებს უმზირეთ ნდომით, მოჰსწყვიტოთ თქვენთვის შენახული ნაყოფი. ნება გაქვსთ, ჰსჭამოთ და სვათ, ვიდრე შეიძლოთ თეთრის ძაფის გარჩევა შავ ძაფში, მასუკან მკაცრად დაიცავით მარხულობა ღამემდე; იმ ხანობაში თქვენს ცოლებს არ მიეკაროთ. უმჯობესია, დრო გაატაროთ სათნო საქმით ჯამეებში. ასეთია ღვთის საზღვრები. არ მიეახლოთ შიშით, არ გადახდეთ. ღმერთი თავის სასწაულებს ასე აუხსნის კაცთა, რათა ეშინოდესთ მისი.

216. ღვინისა და მღერისა გკითხონ, უთხარი მათ: ერთშიაც და მეორეშიაც იქმნება ბოროტება და სარგებლობა ადამიანთათვის, მაგრამ ბოროტება ჰსძალავს სარგებლობას, რომელიც მათ მოაქვსთ. აგრეთვე გკითხონ, თუ რა უნდა გაიღონ ხელგაშლით.

217. მიუგე მათ: გაიღეთ, რაც გემეტებოდესთ. ღმერთი ასე აგიხსნით თავისს სასწაულებსა, რათა იფიქროთ.

218. სააქაოსათვისაც და საიქიოსათვისაც. ობლებისა გკითხონ, უთხარი მათ: მათთვის კეთილის ყოფა კარგი საქმეა.

220. კერპთაყვანისმცემელი ქალები არ დაირთოთ, ვიდრე არ ირწმუნონ. მორწმუნე მხევალი უმჯობესია, ვიდრე თავისუფალი ქალი კერპთაყვანისმცემელი, უმეტესადაც რომ მოგწონდესთ იგი. თქვენნი ასულნი არ მიათხოვოთ კერპთაყვანისმცემლებსა, ვიდრე არ ირწმუნონ, მორწმუნე მონა უმჯობესია, ვიდრე ურწმუნო თავისუფალი, უმეტესადაც რომ მოგწონდესთ იგი.

223. თქვენი ცოლები მინდორ თქვენდა არიან. თქვენ მინდორზე გადით, როგორც გნებავდესთ, მხოლოდ უწინარეს ჰყავით რამე თქვენის სულის საცხონებელი. ღვთის გეშინოდეთ და იცოდეთ, რომ ერთ დღეს მის წინაშე უნდა წარსდგეთ. შენც მუჰამედ! მორწმუნეებს ახარე სანატრელი ამბები.

257. ძალდატანება სარწმუნოებაში არ იქმნება. გზა სიმართლისა საკმაოდ გაირჩევა შეცდომაში. ვინც თაგუტ არ იწამოს და ღმერთი იწამოს, იგი ეჭიდებოდეს (დანის, გ.ო.) მაგარ ტარსა და გატეხვისაგანაც დაცულსა. ღმერთს ყველაფერი ესმის და უწყის.

258. ღმერთი პატრონია მათი, რომელთაც ჰსწამთ; ბნელეთით სინათლისაკენ გადმოასხას იგინი.

260. ურჯულოებს სხვა პატრონი არა ჰყავსთ თვინიერ თაგუტისა, მათ უწინამძღვროს სინათლით ბნელეთისაკენ; იგინი მიეცნენ ალმურსა, სადაც საუკუნოდ დაემკვიდრონ.

273. როგორიც უნდა იყოს აღთქმა თქვენი დასადებელი, ღმერთმა შეიტყოს. უკეთურობისადმი თანაგრძნობა არავითარი იქმნების. სამოწყალოს ცხადლივ გაიღებთ? — საქებარია. იდუმალ გაიღებთ და ღარიბებს შეეწევით? უფრო წაგადგებათ. ამგვარმა საქციელმა თქვენი შეცოდება აღხოცოს. ღმერთია გამგებელ მისა, რასაც იქმთ.

280. თუ თქვენი მოვალე გასაჭირში ჩავარდეს, მოითმინეთ, ვიდრე ღონე იძიოს, ხოლო თუ ვალი აპატიოთ, უმეტესი დაიმსახუროთ, თუ გესმით.

286. ღმერთმა ერთს სულსაც არ ატვირთებინოს ისეთი ტვირთი, რომ მის ძალთა უმაღლეს იქმნეს, რაც სულმა ჰქმნას, მის სარგოდ, ან მის წინააღმდეგ იქმნეს. უფალო, არ დაგვსაჯო შეცდომათათვის, რაც

ჩავიდინოთ გულმავიწყობით, თუ უმეცრებით. უფალო, არ აგვაღებინო ტვირთი, რომელიც ჩვენს უწინარეს ყოფილთ ატვირთებინე. უფალო, არ შეგვაჭირვო მით, რაც ვერ ავიტანოთ. ჩვენი შეცოდებანი აღხოცე, მოგვიტევე, შეგვიწყალე. ჩვენდა უფალი ხარ. ურჯულოებზე გამარჯვება მოგვეც.''

ასეთია ,,ყურანის'' მეორე თავი ,,ფურის'' ძირითადი შტრიხები, რომელიც მოწყალე და შეუწყნარებელი ღვთის სახელითაა ნაბოძები მედინას მუჰამედის მიერ.

დასკვნისათვის შეგვიძლია განვაცხადოთ შემდეგი: ,,ყურანის'' სურების კითხვის აკრძალვით ვერ სრულვყოფთ ჩვენ ქრისტიანიზმს. დღევანდელ მართლმადიდებლობას სირაქლემას პოზა არაფერში არგია. ადამიანს თუკი არ ეცოდინება, რითი, როგორ გიპირისპირდებიან, ბრტყელ-ბრტყელი, ზოგადი ძაგება უგუნურობაა და საბუთად ვერ გამოგადგება ჭეშმარიტების დადგენისას.

არგუმენტებს არგუმენტებით აბათილებენ.

იესო ქრისტეს, ძეს ღვთისას, უბადლო მჭევრმეტყველს, ვისაც სიყრმიდანვე შეეძლო თიხის ჩიტების ღვთიური ძალით დაფრთიანება, მუჰამედის რევიზიონიზმი და მერმინდელი თაობების ლამის იესოფობიის დონეზე განვითარებული ფანატიზმი კვლავაც აბარბაცებს და აქ ბრალდება თვალდახუჭვას კი არა, მისი ფესვების გამოკვლევას და სადაგი იარაღის შერჩევას მოითხოვს გაქანებულ თეოლოგიურ ორომტრიალში, რომელიც ყველაზე მაგარტარიანია მუსულმანთა წინასწარმეტყველის თქმულისამებრ.

ეგეც რომ არა, სინდიყვით დაფანტულ რელიგიათა მსხვილ ოჯახებს: იუდეიზმს, ბუდიზმს, ქრისტიანიზმს, მუსულმანიზმს რა ხანია უმთავრეს იპოსტასს — მამაღმერთს ხელიდან გამოაცლის დიალექტიკური მატერიალიზმი და მსოფლიოს საზოგადოების ყურთასმენას ნიცშეს ზარატუსტრასეულ შეგონებით ეჩიჩინება:

— ,,უფალი მოკვდა'', ,,ღმერთი გარდაიცვალა'', ,,მაცხოვარი გაცამტვერებულია''.

მოკლედ, ათეიზმი ღმერთს, ცალსახაა იგი თუ მრავალწევრა, საუკუნეზე მეტია ჩვენი გონებრივი შეზღუდულობის ნაყოფად აცხადებს, უმაქნის ცდომილებად ჭეშმარიტების დადგენისას და პირწავარდნილ ოპიუმს უთანაბრებს მასების ეგზალტირებისათვის.

დღეს თეოლოგიური პრობლემების ყოველი მარჭვალი მასონობასთან იყრის თავს.

ფრანკმასონობა, ,,თავისუფალ ქვისმთლელთა'' საძმო, გახლავთ რელიგიურ-ფილოსო- ფიური მიმდინარეობა, რომლის არსი და მიზანი საკმაოდ ბუნდოვანია რიგითი მოკვდავისათვის. მისი წარმოშობის სათავეს ეძიებენ ძველი წელთააღრიცხვის ბოლო ათასწლეულის დამდეგს. მსოფლიოს გაბატონების ინტელექტუალური გეგმა გამოისახება დედამიწაზე გველის შემორკალვით. (გავიხსენოთ ნუნისის ხარო, იქ ჩასასვლელი კიბე და დახვეული გველი, გ.ო.) თავად უნასი კი, როგორც თანამედროვე მასონები ხსნიან, ერესია, ანუ — ,,დადგენილი კანონისაგან გასამიჯნი ძალდატანება''.

პავლე მოციქულის უწყებით მასონიზმი იწოდება უსჯულოების საიდუმლოდ, ხოლო შუა საუკუნეებში მოქმედებს ტამპლიერთა ორდენის სახელით, სანამ ფილიპე ლამაზმა არ გაანადგურებს. მოგვიანებით, XVIII საუკუნის ზღურბლზე, ინგლისში დაფუძნდება, როგორც ფრანკმასონთა ლოჟა. თავისუფალ ქვისმთლელთა — მასონთა ორდენი არის მსოფლიო ფარული საძმო, რომლის მიზანია კაცობრიობა აზიაროს მიწიერ ედემს, ოქროს ხანას, სიყვარულსა და ჭეშმარიტებას. ისინი ცდილობენ თავიანთი მიზნების განხორციელებას თითოეული პიროვნების ზნეობრივ-გონებრივი და ფიზიკური სრულყოფით. მსგავსად ქვისმთლელებისა, მასონები მუშაკობენ ცალკეული ქვის (ადამიანის) რაფინირებისათვის, რათა სწორუპოვრად აღიმართოს კედელი — იდეა.

ფრანკმასონების კონსტიტუციური სტატიით: ,,მასონობა ფილანთროპიული, ფილოსოფიური, პროგრესიული დაწესებულებაა''. მისი უმთავრესი კრედოა ადამიანის მატერიალური და მორალური ცხოვრების გაუმჯობესება რწმენის, მოთმინების, ურთიერპატივისცემის, სინდისის აბსოლუტური თავისუფლების მეოხებით, რაც ასევე მიუღწეველია თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის უკუგდებით. მასონები სიმბოლოებით აზროვნებენ. ბევრია მათში ეზოთერიულობა, ამდენად ნუნისის მთათა კომპლექსი ადვილმოსალოდნელია ამ მიმდინარეობის პირველსაწყისიც იყოს.

გავიხსენოთ შუმერული მითოლოგიიდან: ,,წარღვნის შემდეგ ,,მარდუქი ამბობს: ,,ქარვის ხეს (ხეს ცხოვრებისას, სვეტი ცხოველს, გ.ო.), მესს, ადგილი შევუცვალე, რომ ვერავის ეპოვნა''. რომელ ადგილმონაცვლეობაზეა ლაპარაკი?! ნუნისის მთათა კომპლექსში მის მიუჩინარებაზე ხომ არა?!

რაც შეეხება ორ გველს, ეს სიმბოლო შუამდინარეთის ქარაგმაა, ევფრატისა და ტიგროსის ქვეტექსტი, მაგრამ გავაგრძელოთ საუბარი მასონიზმზე. მისი ძირითადი მაგიაა სამკუთხედი, რომელზეც ლოცულობენ.

სხვათა შორის ამ სამკუთხედს ჩვენ ვხვდებით უძველეს შუამდინარეთში, და თუ ზემორე თქმუ-

ლი გეხსომებათ, კირბებიც იგივე ქვის სამკუთხედზე წარწერილი კანონთა ერთობლიობაა — კირბისი.

ხუთქიმიანი ვარსკვლავი თავისი წამახვილებული ბოლოებით სამართლიანობის, კეთილგონიერების, ძლიერების, ზომიერებისა და გულმოდგინების გამოხატულებაა. მოვიგონოთ ადამიანის ხუთგანზომილებიანობა, მისი კიდურების ხუთი თითით დაბოლოება. ნამგალი და ურო ნიშანია ურჩთა სათიბი იარაღისა და ქვის სამტვრევი ინსტრუმენტისა. მასონებს გააჩნიათ საკუთარი იეროგლიფური დამწერლობა.

მასონების ძირითადი ქვაკუთხედია კოსმოპოლიტიზმი, რომელიც მსოფლიო ბატონობის პრინციპიდან გამომდინარეობს. ზემოთთქმულის გათვალისწინებით მასონისათვის მიუღებელია პატროფილური გრძნობები, არაფერს ვამბობთ ნაციონალიზმსა თუ შოვინიზმზე.

ძველი შოტლანდიური წესით მასონთა კიბე 30 საფეხურიანია **(ქრისტეს ხნოვანება ნათლისღებამდე, გ.ო.)** და უკანასკნელი ხარისხი კადოშის, ანუ ,,ავი ცრურწმენისაგან განწმენდილი, საყოველთაოდ რჩეული ზეადამიანის'' სახელს ატარებს. უნებლიეთ გაგახსენდებათ ფრიდრიხ ნიცშეს ზეკაცი ზარატუსტრა. თავიდან ჰიტლერი მასონურ ქსელში ყოფილა გახვეული, რომელსაც ძალაუფლების მიღებისა და გაძლიერების შემდეგ მიწასთან გაასწორა 1935 წლის 21 ივლისს.

მასონები სიმბოლიკებით ცნობენ ერთმანეთს. ომშიც კი სამხედრო ტყვეებს დახვრეტის მაგივრად მკურნალობენ ხოლმე და ასე საღსალამათს ისტუმრებენ სამშობლოში.

,,ფრანკმასონობა არაფერზეა დამოკიდებული, არც რომელიმე პარტიაზე, არც რომელიმე ავტორიტეტზე, არც თვით უფალ ღმერთზე'', ამიტომაც ნებისმიერი დიქტატურა ცეცხლითა და მახვილით უსწორდება თავისუფლებისმოყვარე მასონებს, როგორც მაგალითად, ჰიტლერი, სტალინი, პინოჩეტი და სხვა. მასონობას საფუძვლად უდევს ტოლერანტობა — სხვისი აზრის შემწყნარებლობა. მასონები, როგორც აღინიშნა, უარყოფენ ღმერთის ყოვლისშემძლეობას. მათ ორდენში გაწევრიანება ხელმისაწვდომია ნებისმიერი მორწმუნე თუ ათეისტისათვის, სწორედ ამითაა განპირობებული მასონთა საძმოს სიჭრელე: ვის, რომელი მრწამსისა და პლატფორმის ადამიანს არ შეხვდებით აქ, ვოლტერიდან მოყოლებულს, ,,მასონური პუტჩის'' სულისჩამდგმელთ: დეკაბრისტებს, კარლ მარქსს, ლინკოლნს, ჯუზეპე გარიბალდს, კუტუზოვს, გრიბოედოვს, პუშკინს, ტურგენევს, ლენინს, ტროცკის, სტალინს, თავისუფალი საქართველოს მთავრობის წევრებს: ე. გეგეჭკორს, ა. ჩხენკელს, ირ. (კაკი) წერეთელს, სხვათა და სხვათა. ქართველები მასონობას ერთობ მიმზიდველ მიმდინარეობად მიიჩნევდნენ თურმე ლეოპოლდ ჰაიმსონის მიხედვით, ამიტომაც გასაკვირი არაა ჩვენი ეკლესიები აღკაზმულნი რომ არიან მასონური სამოსლით.

წერილი ამონარიდია იოანე-იონას ,,რა უნდა ვაკეთოთ''-დან, რომელიც თავის მხრივ მოიშველიებს ,,იბერია-სპექტრის'' მორის მუსერიძისეულ პუბლიკაციას.

დასკვნისათვის შეგვიძლია ერთი აბზაცის მოხმობაც, რომელიც ზედმიწევნით აგვირგვინებს მასონიზმის შორს მიმავალ მიზნებს:

,,ყოველნაირი პოლიტიკა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების სადავეები მსოფლიოში მასონების ხელშია. პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის შემდეგ იგი ელოდება რელიგიურ საბოლოო ინტეგრაციას; საქართველო, როგორც ძველი ქრისტიანული ორიენტაციის ქვეყანა, ასევე სომხეთი, რუსეთის ეგრეთ წოდებული მართლმადიდებლურ ქვეყანასთან ერთად, 1979 წელს ოფიციალურად გაერთიანდა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში, რამაც თვალნათლივ დაანახა მასონებს ამ ათეისტრი ბანაკის წევრთა ფსიქიკის მზადყოფნა ნებისმიერი მრწამსისა და რეფორმაციის დასანერგად.

აქედან გამომდინარე, თუკი გემოთმოყვარე ევროპელთა ფსიქიკის შეცვლა მათი გემოთმოყვარეობის წადილის დაკმაყოფილებით მოხდა, პროლეტარულ-სოციალისტური ბანაკის წევრთა ფსიქიკის შეცვლა კოლექტიური საკუთრების, ტერორისა და ათეიზმის გამოყენებით იქნა მიღწეული.''

მასონები არ მალავენ ახლო დამოკიდებულებას იუდეიზმთან და სიონიზმთან. ებრაელების ღმერთის მსგავსად მასონთა მაცხოვარსაც იეჰოვა ჰქვია და ცნობენ ებრაელთა ,,ღვთივრჩეულებას''.

უმაღლესი ხარისხის მასონების სამუშაო ენა ივრითია. წერენ ლათინური ასოებით ,,ებრაულად'', მარჯვნიდან — მარცხნივ.

დამაფიქრებელია საფრანგეთის დიდი ლოჟის დიდი ოსტატის ადოლფ ისააკ კრემეს განცხადებანი:

,,მოვა დრო, როდესაც დედამიწის მთელი მიწიერი სიმდიდრე ისრაელის შვილების საკუთრებაში გადავა'', და იქვე: ,,ახალგაზრდა ებრაელი მოდის მსოფლიოში და ამბობს — მე მოვითხოვ ჩემს კუთვნილ ადგილს და ჩემი ადგილი არის მეფობა მსოფლიოში. და თუ არ მივიღებ მე მას, მაშინ დე ცეცხლს შთაუნთქავს მთელი სამყარო''.

უნებლიეთ ნოე ჟორდანიას ლექსი-ეპიტაფია გვახსენდება: ,,თუ საქართველო არ მენახოს თავისუფა-

ლი, დე მტვრად ქცეულა მთელი სამყარო".

დასასრულ, ორიოდე სიტყვით მასონების სიმბოლიკის ფარულ მხარეებზეც:

ნამგალი და ურო ნიშანია შეკრული მუშტისა, რაც განასახიერებს ავტოკრატულ პრინციპს და ამავდროულად იმპერიის სიმბოლოცაა. ე.ი. ნამგალისა და ურის კომბინაცია ფსევდოქურუმის გამოხატულებაა.

„ინტერნაციონალი" — ჰიმნი ხალხთა ერთიანობის შესახებ ტექსტის პირველივე სტროფიდან „აღსდექ, კრულვით დაღდასმულო" — მიმანიშნებელია სატანური იმპულსისა. აპოკალიფსში „კრულვით დაღდასმული" ხომ დიახაც სატანაა.

პენტაგრამა — ხუთქიმიანი ვარსკვლავი თითქმის ყველა სახელმწიფოს სიმბოლოა, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა. მაგ. ამერიკის შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი, ჩინეთი და სხვა. სიმბოლო პენტაგრამა ცნობიერად თუ არაცნობიერად უამრავ საგანზეა გამოსახული: გერბებზე, დროშებზე, საფოსტო მარკებზე, კრემლის კოშკის წვერზე და ა.შ. იგი ცნობილია, როგორც „კარგი ვარსკვლავი", ხოლო არსით სიმბოლოა ლუციფერისა (ლუციფერი სიტყვა სიტყვით ნიშნავს „მანათობელ ვარსკვლავს" და „სინათლის მომტანს", სატანას, ეშმაკს). ეს ის სიმბოლოა, რომელმაც საოცრად შეავიწროვა ჯვარი და უამრავი ადგილიდან განდევნა კიდეც.

ჯერ კიდევ ბაბილონის ხანაში არსებობს პენტაგრამა, რომელიც აღნიშნავს ღვთისაგან გამონთავისუფლებულ ადამიანს, როგორც უზენაეს არსებას. ეს სიმბოლო, ფაქტობრივად, გამოისახება როგორც ხელ-ფეხგაშლილი ადამიანი. ორ ქიმზე მდგარი პენტაგრამა „ყოფიერების, პრინციპულობის" გამოხატულებაა. ლეონარდო და ვინჩი, როგორც თავისუფლების ფასეულობათა მოდულატორი, იყენებს მოტივებს მასონთა სიმბოლოებიდან და აჰყავს ის ზნეობრივ-ზეგონებრივ რანგში, ხოლო ლენინი ამ ნიშანს საბჭოურ დიდების ემბლემაზე იმიტომ გამოხატავს, რათა სიგნალი მისცეს ფრანკმასონებს, რომ თავად არის წარმომადგენელი და „კურთხეული" გაერთიანებული ელიტისა.

„საშუალო ფენა",
№1, 1993 წ.

***

როგორც ვხედავთ, მასონიზმის, ზოგადად თეოლოგიური წიაღსვლების გამოდევნებამ, ერთ უცილობელ ჭეშმარიტებამდე შეიძლება მიგვიყვანოს იოანე-იონას სწავლებით: ნებისმიერი გადახრა ძველმართლმადიდებლობისაგან მწვალებლობაა:

სამი თითის ქრისტიანული კომბინაცია სატანისეულია თუკი ცერის, არათითისა და ნეკის ნაცვლად, იგივე ცერი, შუათითი და სალოკი შეიყრება;

სატანური იმპულსების მოძალებაა პიროვნებაზე, საზოგადოებაზე, ოდეს ნათლისღებას წყალში სამგზის დაფლობის მაგივრად პკურებით აღვასრულებთ, ან ჩვენს ეკლესიებში, სამეფო რეგალიებში, ვთქვათ, მტირალა ფარდები თუ ჰკიდია; ან ფელონის მკერდშესაკრავს 7 და ეპიტრაქალს 12 ღილის ნაცვლად ზონრით თუ იკრავენ; ან კიდევ საცეცხლურს ზედა ხუფზე ჯვარი თუ არ აღმოაჩნდება 12 ნახვრეტთან ერთად. ან კიდევ კრიალოსანს 103 ჩამოსამარცვლი ფსკვნილი წაერთმევა და ასე შემდეგ და ასე შემედეგ.

განა ეს საკრალური ციფრები, გნებავთ ეზოთერული, იგივე სიმბოლოებით აზროვნება არ გახლავთ, მართალია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქრისტეს ცხოვრების, მოღვაწეობის და მნიშვნელობით ცხებული, მაგრამ მაინც სიმბოლოები. მოკლედ, ჩვენს სულებს თურმე ჯოჯოხეთის ბნელხვეულებისაგან ძველმართლმადიდებლური, თავდაპირველი და ჭეშმარიტი მღვდელთმსახურობისაკენ მიბრუნებაღა იხსნის.

„რა უნდა ვაკეთოთ" მიუხედავად კატეგორიულობისა თუ დოგმატურობისა და ხშირ შემთხვევაში ჯვაროსნული გალაშქრებისა სხვათა შეხედულების მიმართ, უდაოდ დიდი შენაძენია თეოლოგიური შეხლა-შემოხლით დაქანცული კაცობრიობისათვის.

ჩვენს მიზანს არ შეადგენდა ნუმერაციის მიხედვით მივდევნებოდით წიგნის ფურცლებს, რომელშიც საქმის დიდი ცოდნით, ერუდიციითა და ძველმართლმადიდებლური სჯულის უსაზღვრო სიყვარულით განხილულა ღვთისმცოდნეობის აქტუალური საკითხები, პრობლემები. ლაკონური თხრობით, დახვეწილი და წიგნიერი ენით გადმოცემულა ძველი აღთქმის ბიბლიური სიუჟეტები ქრონოლოგიურობის დაცვით, მაგრამ მეტი მეცადინეობა ძველმართლმადიდებლური პოზიციების რეანიმაციისათვის ჩაქსოვილა.

ეპისკოპოსი იოანე-იონა არ ცნობს ეკუმენიზმსაც და მას მასონურ (დაწყევლის გაგებით, გ.ო.) მოძრაობად მიიჩნევს. ეკუმენიზმი ბერძნულია და დასახლებულ მსოფლიოს ნიშნავს ჩვენებურად. მას სათავეში უდგას ,,მსოფლიო ეკლესიათა საბჭო''. საფუძველი ჩაყრია 1910 წელს ედინბურგში მოწვეულ მისიონერთა მსოფლიო კონფერენციაზე, ამერიკული ეკლესიის მესვეურის ჯიმი მოტის ხელმძღვანელობით.

1913 წლიდან ეკუმენიზმი კურთხეულია რომის პაპის მიერ. ეკუმენიზმის ძირითადი მიზანია მსოფლიო რელიგიათა კონსენსუსი, ურთიერთგამომრიცხავი თეოლოგიური სკოლებისა და მიმდინარეობათა შეთავსებადობა, ქვეყნიერების პოლიტიკურ-ეკონომიკური დისჰარმონიულობის დარეგულირება, სულიერ აშლილობათა და პიროვნული დეპრესიების განკურნება. და როდესაც იოანე-იონას მიერ ყოველი თეოლოგიური განშტოება ძველმართლმადიდებლურ დოგმამდე დაიყვანება, ბუნებრივია, ეკუმენიზმზე საუბარიც ზედმეტია.

არადა, თეოსოფიაში არსებული სიტუაცია თვალნათლივ გვიხატავს კატასტროფულ სურათს — კარზე მომდგარა მესამე მსოფლიო ომი რელიგიურ უთანხმოებათა ნიადაგზე: ქრისტიანებს ნეტარებით ხოცავენ მუსულმანები, როგორც ურწმუნოებს, და ასევე ექსტაზით ხელყოფენ მაჰმადიანების სიცოცხლეს ქრისტეს სჯულის მიმდევარნი იგივე ურწმუნოების ბრალდებით. თითოეული რელიგია, სექტა დაჟინებულად ამტკიცებს საკუთარ ერთადერთობას და ხელაღებით მოითხოვს მისადმი ყურმოჭრილ დაქვემდებარებას. ვეღარაფრით არწმუნებ იუდეველს, რომ იგი მართლმორწმუნე არაა, ვერც — ბუდისტს, ვერც — მაზდეანს და მით უფრო — მუსულმანს — ღვთის ნებას მინდობილს. როგორ გინდა მსოფლიოს ერთიან ცნობიერებაზე ისაუბრო, როცა ნებისმიერი თეოლოგიური კლანი თავისი მრევლის ერთსა და იმავე დებულებას ლურსმანივით აჭედებს გონებაში:

მართლმადიდებლობის აპოლოგია

,,ქრისტიანობა არ არის ერის მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ამას მიიჩნევენ სამწუხაროდ ბოლო დროს. ქრისტიანობა, როგორც გვასწავლის სახარება და მამათა სწავლება, არის ინდივიდუალური სულის პირადი ნება და ასეთ ქრისტიან პირთა ერთობა ქმნის იმ ქრისტიანულ ატმოსფეროს, რომელშიც ერის სული იწმინდება მწიკვლისა და ზადისაგან, ისე როგორც რკინა გავარვარებულ ქურაში იწმინდება წიდისაგან. იმის მიხედვით, თუ ეკლესიის მესვეურნი, ხელისუფალნი, კუთხეები და ოჯახები როგორი გულით ატარებენ ქრისტეს რჯულს და ცხოვრობენ რჯულიერად — შეიძლება ვილაპარაკოთ მთლიანად ერის ქრისტიანობის ხარისხზეც...

დღეს თითოეული ჩვენგანისათვის, მთელი ქართველი ერისათვის გადარჩენის გზა დევს მის დაუყოვნებელ განთავისუფლებაში რჩეულობით ტკბობის ბანგისაგან და ღრმა სინანულის გზაზე შედგომაში. ,,რადგანაც ამბობ: მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და არაფერი მჭირდებაო, და არკი იცი, რომ უბადრუკი ხარ და საწყალობელი, გლახაკი, ბრმა და შიშველი'' (გამოცხადება, 3.7.) ამბობ, მაგრამ არ კი იცი — აი, ადამიანის ტრაგედია, რომ იგი თავის სულიერ სიღატაკეს ვერ განიცდის, პირიქით, ღვთისმოსაობაში წარმატებულადაც მოაქვს თავი. ძალიან შორს გაგვიტაცა იმით ტრაბახმა, რომ საქართველო ღვთისმშობლის ქვეყანაა, ღმერთი მსოფლიოს უკანასკნელ ჟამს ქართულ ენაზე (გამსახურდიას მიხედვით ენა — ეთნოსია, გ.ო.) განიკითხავსო!

კარგად გამიგეთ, თავად ამ ფაქტის აღიარებას კი არ მივიჩნევ საშიშ ტენდენციად, რამდენადაც ამ უპირატესობით ტკბობის ტენდენციამ ჩვენისთანა სულიერად დაუძლურებული ერი შესაძლოა ისეთი საშიში უფსკრულისაკენ გააქანოს, რომელ უფსკრულში გადაჩეხილა ჩვენამდე და ჩვენს დროში მცხოვრები ბევრი ხალხი, რასობრივი, შოვინისტური თუ კომუნისტური იდეოლოგიებით...

საეჭვოა, რომ ადამიანი, რომელიც ყოველ შემხვედრთან ქვეყნის პრობლემებსა და სვე-ბედზე ჩივის, ხოლო საკუთარ თავს არ განსჯის — თითქოს ჭეშმარიტი ღირსების მატარებელი იყოს.

არავის შეუძლია სხვას მისცეს ის, რაც თავად არ გააჩნია; ურწმუნო, გულუსუფთაო ადამიანს, რაც გინდ მაღალი თანამდებობა, ავტორიტეტი თუ უნარ-ნიჭი გააჩნდეს, აღარ ძალუძს წმინდა ჰყოს სხვა...

ჩვენი სულის ჭეშმარიტი გამაკეთილშობილებელი ძალა უფალშია.

,,ნუ ცდებით ჩემო საყვარელნო ძმანო; ყოველი კეთილი საბოძვარი და ყოველი ნიჭი ზეგარდმო გადმოსულია ნათლითა მამისაგან''.

იერემია წინასწარმეტყველი ხატოვანი სიტყვით გვაფრთხილებს, რომ უფლის გარეშე ყოველგვარი პოტენციის ხარჯვა სულიერი ზრდის მისაღწევად არათუ ამაოა, ბოროტებაც კი უფლის თვალ-

ში: ,,რადგან ორი ცოდვა ჩაიდინა ჩემმა ერმა: მიმატოვეს მე ცოცხალი წყაროს თვალი და ამოკვეთეს თავისთვის ჭები, დანგრეული ჭები, წყალს რომ ვერ აკავებენ''. (იერ. 2,13).

ბრძოლა ერის ჭეშმარიტი კეთილდღეობისათვის, რომელიც უწინარესად საწინდარია მისი სულიერი გაჯანსაღებისა, უნდა დაიწყოს არა ზოგადი მოწოდებებით, და მთლიანი მასის ერთბაშად მორჯულების სურვილით. ასეთი ბრძოლა უნდა დავიწყოთ თითოეულმა ჩვენგანმა, საკუთარ თავში ბოროტი საწყისების ჩაკვლით — ძველი კაცის ყოველდღიური ჯვარცმით და ახლის შემოსვლით.

ასეთი ჭეშმარიტი რწმენით განწმენდილი, თუნდაც ერთი ადამიანის სულის ,,დამანგრეველი'' ძალა სატანის მიერ ცალკეული ადამიანის თუ მთელი ერის გულში აგებული ბოროტების ბატალიებზე ათასჯერ უფრო ქმედითია, ვიდრე ერთად აღებული ათეულობით პოლიტიკური პარტიის თუნდაც შეთანხმებული ძალისხმევა!

რატომ? იმიტომ რომ ჩვენი მტერია ბოროტება, ცოდვა და არა ბოროტი, ცოდვილი ადამიანი, ,,ვინაიდან სატანა არის სიცრუის მამა,'' როგორც მას მაცხოვარმა უწოდა და მისი დამარცხება შეძლო მხოლოდ იესომ, ვინაიდან იგი იყო ის, ,,ვის ბაგეზეც არ იყო ზაკვა'' და ვის გულშიც ღვთის სჯული ეაწერა.

და ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ ჩვენში და ჩვენს ირგვლივ ბოროტების დამარცხებას, თუკი შევიარაღდებით არა ხორციელი იარაღით, არა მოწოდებებითა და ლოზუნგებით, არამედ ,,ღვთის სრული საჭურვლით''.

ეს საჭურველია პირველ რიგში, ის რომ, ადამიანი ბავშვობიდანვე აღიჭურვოს სწორი ზოგადსამყაროსეული ცნობიერებით, რაც ზედმიწევნით გულისხმობს ადამიანის კონსტიტუციური მდგომარეობის შეცნობას ამ სამყაროში — რომ იგი არის არა დაბადებისა და სიკვდილს შორის მოქცეული ,,ხორცის გუდა'', რომელსაც უნდა აჭამო, ასვა, ასწავლო — რათა როგორმე სამარემდე თავისი ფეხით მივიდეს, — არამედ უზენაესი სულიერი, უფლის ნაპერწკალი, ანუ მარადისობის დასამკვიდრებლად წუთისოფლის ორომტრიალში განგების ნებით მოვლინებული თვალისჩინი, რომლის მიზანია ხორციელ ვნებათაგან განწმენდის მეოხებით თავის შემოქმედთან წარდგომა.

და როდესაც პიროვნებას თავიდანვე აქვს შეცნობილი ეს რეალობა, ის არ იბრძვის ვინმეს წინაშე უპირატესობის დასამკვიდრებლად. არც ხორციელი მოთხოვნილების გამო წავა სულიერ კომპრომისებზე; ასეთი პიროვნება, პირიქით, ცხოვრობს რა მოყვასის სიყვარულის კანონებით, თავადაც მშვიდია და ნეტარი და ქვეყნიერებისათვისაც არის ნათელი, როგორც მაცხოვარი.

,,ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, მერე ეს მიწა და საქართველო'', ბრძანებდა სულმნათი მერაბ კოსტავა...

ქრისტეს მოვლინებით ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში, ადამიანს გამოუბრწყინდა ღვთიური ნათელი და ამ ნათელში მან საკუთარი თავიც შეიცნო. ,,შეიცან თავი შენი!'' — ფილოსოფოსთა ეს მოწოდება, რომელიც მხოლოდ ერთეულებს და მისტერიულ სიბრძნეში დანთქმულებს ხელეწიფებოდათ, ამიერიდან ჩვილთა და ყრმათათვის, ანუ ჭეშმარიტებას მოწყურებულ ყოველ ადამიანისათვის გახდა შესაძლებელი.

ქრისტემ თავისი ჯვარცმით გახია ის კრეტსაბმელი ფარდა, რომელიც ცოდვით დაცემულ კაცობრიობას ყოფდა თავისი შემოქმედისაგან.

მხოლოდ ჩემი მოძღვრებაა ერთადერთი, ჭეშმარიტი, ღვთიური!

XXI საუკუნის ადამიანი მნიშვნელოვნად შეძლებს სადღეისო რელიგიურ გაორებათა გადალახვას, რამდენადმე მოკეთილშობილდება იოანე-იონას ძველმართლმადიდებლური დოგმატის მრისხანება და უცილობლად ივლის თეოლოგიური აღმსარებლობის გზით. რბილად რომ ვთქვათ, ნუ გამოვდგებით დავით აღმაშენებელზე პატრიოტი და მორწმუნე, ვინაც შემწყნარებლობა გამოუცხადა მეჩეთსა და სინაგოგას.

ეკუმენიზმი შესაძლოა დღეს მასონურ იორღაზეა ამხედრებული, მაგრამ რა არის რელიგია თავად, თუ არა ,,განწმენდილი'' მასების მართვის უებრო იარაღი?!

მე, პიროვნება, რომელიც უდიდეს პატივს მივაგებ ნებიმსიერ თეოლოგიურ მოძღვრებას, როგორც სულიერი წონასწორობის ეტაპობრივ მეცადინეობას თაობათა მიერ, მშვენიერის პოზიციიდან აღმსარებლობას ვუცხადებ მათ ცთომილებებს და აქვე ფრიად მაოცებს ჭეშმარიტების ,,ფლობის'' ალაზნსპირისეული, ჩუბინიძისეული თუ თავად იოანე-იონასეული კატეგორიულობა,

როცა ლაო ძის შეგონებით:

XXII...

ყოვლადბრძენი სრულქმნილია და ხატია ცისქვეშეთის.
იგი არ კმარობს მხოლოდ თავის მხილველობას:
ამიტომ ნათობს კაცთა შორის.
მხოლოდ თავის თავს არ მიიჩნევს სამართლიანად:
ამიტომაც ფლობს ჭეშმარიტებას.
არ დიდკაცობს: ამიტომ ადიდებენ.
განდიდებას არ მიელტვის:
ამიტომ მოძღვრობს კაცთა შორის.
არ მძლავრობს და უძლეველია ცისქვეშეთში.

XXIV...

ვინც ფიქრობს ყოველივე ვუწყიო:
არა უწყის რა.
ვინც დიდებას მიელტვის:
ვერ ეღირსება დიდებას.
ვინც განდიდებას მიელტვის:
ვერ გაწინამძღვრდება.

XX...

ყველა სიმდიდრით ავსილა:
მე ერთი ვფლობ სიცარიელეს.
ყველა საითკენმე მიიჩქარის:
მე ერთი ვგავარ ყოვლის უარმყოფელს.
ყველა ბრწყინავს და გამოჩინებულია:
მე ერთი ვარ ტანი სულელისა...
მე ზღვას ვგავარ:
უწიაღოს და ჩაჟამებულს.
მე ვსრბი სოფლიურ სივრცეში:
უსასთუმლო და უნავსაყუდლო.
ყველა თავის სარგებელს ეძიებს:
მე ერთი ვგავარ ბრიყვსა და უგვანს.

გამგონმა გაიგოს. ამ გენიალური სტრიქონების შემდეგ რა უფლება აქვს გური ოტობაიას განაცხადოს, იგი ჭეშმარიტების ერთადერთი მფლობელია?! მისი გონიერება, სული ყველგანმსუფევია და ზენაარი?! უფლის თვალში ვინც ნამცეცობას ნატრულობ, როგორ შეიძლება აბსოლუტური ჭეშმარიტების გამგებელი იყო?!

ჩვენ ვაღიარებთ: სული თანაზიარია მატერიისა, განუყოფელია მისგან და რაჟამს გამოვლინებისათვის საამისო ჰუმუსის დროც მოაწევს, გეოიდი, იგივე დედამიწა, იძვრის მზის გარშემო და ენითაღუწერელ ჰარმონიულობას ემორჩილება ყოვლიარი და არა ჩვენი პლანეტის უკუღმა დატრიალების ალაზნისპირისეულ ჰიპოთეზებს.

სპირალურ მიმართებაშია მატერია სულთან და სული მატერიასთან. ურთიერთგადაწნული, ურთიერთგანმსაზღვრელი, ურთიერთწარმართველი, წელშიგაკვანძული ნულის, რვიანების უწყვეტი ჯაჭვის მსგავსად, აი, ამ ცნების ადეკვატური სახელი. ურთიერთმონაცვლეობა გეგმაზომიერად, რიგისობის მიხედვით ჩაქრობა და ანთება სამყაროისა, ანუ მატერია-სულისა, მისი უცილობელი კანონია.

ღმერთი ხილული ხატებაა სულისა ამ გზაზე, იეჰოვადან მოყოლებული და თვით ქრისტეც წი-

ნასწარმეტყველური ენერგიით დამუხტული, სინდისიერება ჩვენი, გამოხატულებაა ამ ნათლისა, როგორც ბუდა, ზარატუსტრა, მუჰამედი.

საწუთროს ავანჩავანი ამწიფებს ასეთ ბუმბერაზ მესიებს, რამეთუ თავად სამყაროსაც არ ძალუძს მიწყივ მდუმარება. განა უფალი ჩვენი, მამაღმერთი მარტოობისაგან არ ურევს თიხაში თითებს, რათა ადამის ენით, თუმცა ცთომილებისათვის მომართულით, აუბნდეს? განა გულთამხილავი უფლისათვის იმთავითვე ცნობილი არ იყო, რასაც მოიმოქმედებდა მისი ნაოსტატარი? მაშ, რისთვის დასჭირდა უკვე გაცნობიერებულის გამოცდისათვის განწესება?! თუ უსაქმურობისაგან თამაშის ექსტაზი სძლევს და ხეცნობადის უჩინარი ველის ნათებაში სასწორზე შეაგდებს საკუთარი უნარებს საექსპერიმენტოდ?! მატერიის ნებითი გამობრწყინებაა ნათელი ესე და აქ მისტიკური განზოგადოებანი ინფანტილ- ური ცთომილებაა.

უფალი უძრაობის იდენტურია შესაქმემდე, და როგორც ჩანს, ადამიანის ხვანცალს მიღმა მას არ ხელეწიფება სარკეში ჩახედვა. ამიტომაც სამყაროს აგებულების შესამეცნებლად საკმარისია საკუთარ წიაღში ჩამონტაჟებულ მაკრო -მეზო-მიკრო აღკაზმულობებს მიუჩოჩდე და ორი, თითქოს ურთიერთსაწინააღმდეგო და ამავდროულად ურთიერთგადაჯაჭვული ფენომენის კვლევა-ძიებით უზენაესს ეზიარო.

სული და მატერია ხომ გლობალური გამოხატულებაა მინიატურაში მოცემული „იან“ და „ინ“ საწყისებისა, იგივე დადებით-უარყოფითი მუხტებისა, რათა მათი თანამშრომლობით გამონათდეს ყოვლისდამპურებელი ნათელი.

ცალმხრივია თეოლოგია, ცალმხრივია მატერიალიზმი, რადგანაც მატერია იზოლირებულად არ არსებობს, იგი მომცველია სულიერი, გონიერი საწყისისა, და ასევე სულის საბურველშია გახვეული თავადაც.

სამყარო თავის უკიდეგანო განფენილობაში სწორედ რომ ერთდროულად ხმიანობს, დუეტში მღერის მატერიისა და სულის საგალობელს. სამყაროს არ აინტერესებს რიგითობა, პირაველადობა მათ შორის, ეს ჩვენი, ადამის ნაშიერთა პრობლემაა, თორემ თვითონ უზუსტესი კანონზომიერებით ქრება და ინთება, ქრება და ინთება... აქედან გამომდინარე ოდაბადეს სურათის ბიბლიური ვერსიას ჩვენ აღვიქვამთ პოეტურ, ხატოვან მემკვიდრეობად მხოლოდრე.

უდაოდ კოლოსალური შენაძენია 1996-1997 წლებში გამოცემული ანტროსოფიული ალმანახის 5 ნომერი, რომლის ძირითადი ავტორი გახლავთ ქართულ თეოსოფიური აზროვნებისთვის მეტად თუ ნაკლებად ცნობილი, სიტყვის მადლითა და ეზოთერიული სულიერებით გამორჩეული რუდოლფ შტაინერი. საუკუნის დასაწყისში ლექციების სახით წაკითხული, აქ წარმოდგენილი მასალები, დიდი სინათლის შემომტანია ჩვენს დამაგვირგვინებელ საუბარში.

ინტუიციურად, ოდეს ხეგელის ტრიადის პრინციპიდან გამოგვყავს ადამიანის საზრისი, ანუ ღმერთი წარმოდგენილია დადებით-უარ- ყოფითის შემრიგებელ სიდიდედ, რამდენადმე დაემთხვევა შტაინერისეულ კონცეფციას, ოღონდაც მასთან ადამიანი წარმოისახება სასწორის სახით, გონებრივის წარმართველი ლუციფერულ ძალასა და იმპულსური, გრძნობითი სამყაროს მიმტაცებელ არიმანს შორის გახირულად და ერთადერთი ღმერთის □იგულის- ხმება ქრისტე) მეშვეობით აღწევს სრულყოფილებას, ვინაიდან მარტოოდენ უფლით ხორციელდება ამ ორი მომშთობი ძალის გაწონასწორება და დაბალანსება ნებისმიერ პიროვნებაში.

დასახელებულ კონცეფციაზე საფუძვლიანი საუბარი დასკვნითი ნაწილისთვის შემოვინახოთ, ახლა კი თეზისის სახით შეიძლება გაცხადდეს გოლგოთას მისტერიის შტაინერისეული მიხვედრილობა:

სწორედ არიმანისეულ და ლუციფერისეულ ძალებს შორის ეწამება ქრისტე სრულიად კაცობრიობისთვის, და დიახაც აქ წარმოჩინდება ეზოთერიულად მისი უკვდავება, ვინაიდან მეტი ვერავინ შეძლებს ცად ამაღლებას სიკვდილის მესამე დღეს. ამით საბოლოოდ ჩაეცემა ლახვარი არიმანისეულ-ლუციფერულ მაცდუნობლობას ადამიანის საზიანოდ, რამეთუ ვინც ქრისტეს სასწორის ღერძს დაენდობა, თავდახსნილია საუკუნო გაცამტვერებისგან.

ჩვენ შეპირებულ ადგილას მეტი სიცხადით შევეხებით შტაინერის ძირითად პოსტულატებს: ინკარნაციებს, ატლანტიდის კატასტროფის არსს, დედამიწის ცივილიზაციის მეოთხეულ ფაზას — მზის, სატურნის, მთვარის შემდეგ, აგრეთვე გავაანალიზებთ არაცნობიერის ცნობიერში გადმოსვლას: ადამიანის ორჯერ დაბადების — ბავშვობის ადრეული ასაკის გააზრებას მოწიფულო-

ბის პერიოდში და რაც მთავარზე უმთავრესია — ქრისტეს უსაზღვრო, უანგარო შემოსვლას დედამიწის ფშვინვიერ სივრცეში, რომელსაც კვებავს ალექსანდრე დიდის თუ არისტოტელეს ახლებურ პრიზმაში გარდატეხილი მოძღვრებანი, და რომელიც მხოლოდ მატერიალისტურ კრიტიკას თუ ექვემდებარება...

დღევანდელი კაცობრიობა, ცივილიზაცია ჩვენი, დაახლოებით 6153 პლუს ოთხიათასი წლით განისაზღვრება და რაღაც წამის უმიკრონეს ნაწილს მოციცქნის ბორჯალისაგან. 10 000 წლით გაელვება! იმდენივე ხნით მიძინება, ისევ ამონათება და ერიჰა...

წინდებულ განაკვეთში ჩვენ არა ერთხელ მივუბრუნდებით ზემორე წამოჭრილ პრობლემებს, არა ერთხელ დავესესხებით დასახელებულ ავტორთა ცთომილ თუ მართებულ მოსაზრებებს და რადგანაც გური ოტობაია — გურუ — ფუტკრის პრინციპით მოქმედებს: ნებისმიერი ყვავილისაგან ამოისრუტავს სულის საპურებლად სარგოსა და ფასეულს, უმჯობესია შემდეგი ფრაზით დავასრულოთ ჩვენი წიაღსვლანი:

ღმერთი ადამიანის გონებრივი სიმწიფის იდენტურია და ზედმიწევნით ასახავს ბუნების კანონების საიდუმლოებათა წვდომის სადაგ დონეს, რადგანაც იეჰოვა, ბუდა, ზარატუსტრა, ქრისტე თუ მუჰამედი მატერიალური ხელშეხებითობაა მარადარსებული უჩინარი სულისა; რომ უფალი საგნობრივი უაზრობაა, როგორც უაზრობაა საგნობრიობა უსულო — სამყარო ერთიანობაა მატერია-სულისა დროსა და სივრცეში გეგმაზომიერად ნთებადისა და ქრობადისა.

1997 წ.

სინდისის პატიმარი, აწ ბერთა კლდის საძმოსაგან განდგომილი

ზემოთხსენებული დებულების ნათელფენისათვის ერთხელაც შემოვიშველიებთ „ქებაის„ უარქაულეს ტექსტს თავდაპირველი გრაფიკული იერსახით, სადაც ნაგულისხმევი ნუმერაცია ჩვენს მიერაა დაფიქსირებული: და აქვე — ძეგლს ვბეჭდავთ ალაზნისპირისეული კომენტარებითურთ.

„1902 წელს, პროფესიით ენათმეცნიერმა, ფილოლოგმა, არქეოლოგმა და ორიენტალისტმა — აკადემიკოსმა ნიკო მარმა, პალესტინაში, სინის მთაზე, ქართველთა მონასტერში აღმოაჩინა ძველი ხელნაწერები, რომლებიც ბერი იოანე-ზოსიმეს სახელთან არის დაკავშირებული. ეს ტექსტი რამდენიმე ეგზემპლარად ყოფილა გადანახული. ამ ხელნაწერების შინაარსით — ჩვენი საუკუნის დამლევს ქართული ენის საკრალური არსის გამოღვიძებაა ნაწინასწარმეტყველები, რითაც თურმე უნდა გამჟღავნდეს ლაზარესთან დაკავშირებული გრანდიოზული საიდუმლო. საჭიროდ მივიჩნიე წავიკითხოთ და შემდეგ განვიხილოთ იოანე-ზოსიმეს ეს ტექსტი“:

1. „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“
2. დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე
მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად,
რაითა, ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.
3. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე,
და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ხქვიან!
4. და ახალმან ნინო მოაქცია და ხელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაი,
5. და მეგობრობაი ამისთ ვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს.
6. და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინას წარმეტყუელმან რამეთუ „წელი ათასი — ვითარცა ერთი დღეი“,
7. და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათჰე სსა წილი ზის,
რომელ ასო არს და იტყვის ყოვლად ოთხ-ათასსა მარაგსა, და ესე
არს ოთხი დღე, და ოთხისა დღისა მკუდარი,
ამისთვის მისთანავე დაფლული
სიკუდილითა ნათლის-ღებითა უფლისაითა,

8. და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა,
მდაბალი და დაწუნებული,
მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისა,
9. და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან დღესამომდე.
10. და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ,
ესე წილი ანბანისაი.

1. მესიისა; 2. რათა; 3. დღე ; 4. დღე ; 5. მამისაითა; 6. ას ოთხი; 7. ას ოთხი ესე წელი, და... □ეს სიტყვები გამოყენებულია ,,ქებაის'' სხვა ხელნაწერებში. იოანე-ზოსიმეს ოთხი ასეთი ხელნაწერი დაუტოვებია) .''

თუკი მოხმობილ ტექსტს უსათაუროდ დავნომრავთ, მაშინ მივიღებთ 9 წინადადებიან წერილს, რომელიც არ ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებას ფორმითვე ეზოთერულობის თაობაზე. ციფრთა საკრალურობის შესახებ ვისაუბრებთ საკმარისზე მეტად და ბარემ აქვე გავავლებთ პარალელს ,,ქებაის'' ოთხეგზემპლარობის გამო ,,ვეფხისტყაოსნის'' შაირის ოთხტაეპიანი სტროფის მიმართებაში, მით უფრო, როცა ალაზნისპირელი იოანეს — იონა-ს — სა და -ის — ,,ან-ი და ოი-ს უკუღმა წაკითხვად აღიქვამს, იგივე ალფაბეტის სინონიმად, იგივე შოთა რუსთველის პროტოტიპად.

ეს ვერსია კი შემდეგი მასალითაა გამაგრებული:

,,ნუნისის ღვთიშობლის ეკლესიიდან ბერების კლდემდე მანძილი თხუთმეტი სტადიონია. ამ ტაძრიდან გამოქვაბულამდე გზა გვირაბით შემოდის, რომელიც დრომდე დაკეტილია. მოვიყვანოთ იოანეს სიტყვები:

,,ბეთანია ახლოს იყო იერუსალიმიდან, თხუთმეტი სტადიონის მანძილზე'' □იოანე; 11-18).

შოთა რუსთაველი, (**რუსთველი, გ.ო.**): ,,ვეფხისტყაოსანი'':

„ციხესა ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივს გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შემბმელთა დახოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან“.
□1300)

(დააკვირდით მოხმობილი სტროფების ციფრობრივ მონაცემებს, ისინი აქ და შემდგომში ყველგან საკრალურია — 1300, 1309, 1293, გ.ო.)

ვისაც ყური აქვს, ისმინოს!

იბერიონთა საძმომ, 1989 წლის 29 აპრილს, ბერების კლდის წინ აგებული ეკვდერიდან პირველი დამღა — ნიშანი მოხსნა. ეს არის სამალმიანი, — ქვაში გამოკვეთილი საქართველოს გვირგვინი, რომელსაც ერთი ალამი წაკვეთილი აქვს.

„აჰა, ინიშნე ნიშანი, შენეულისა რიდისა!
გადმიკვეთია ალაში, ჩემო, ერთისა კიდისა,
ესეღა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა,
რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა, ცისა შვიდისა“.
(1309)

გამოცხადება იოანესი:

,,შევხედე და აი, თეთრი ცხენი და ზედ მჯდომარე, რომელსაც ჰქონდა მშვილდი და მიცემული ჰ ქონდა გვირგვინი, და გამოვიდა გამარჯვებით, რაითა გაიმარჯვოს'' □6-2).

,,ვეფხისტყაოსნიდან მოტანილი ფრაზები რომ ლაზარეს წიგნის საიდუმლოებაა, შოთა რუსთაველიც (რუსთველი, გ.ო.) გვიდასტურებს:

„ხე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველსა ამონაწები,
მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები,
გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები“!
(1293)

შოთა რუსთველის თაობაზე ჩვენ ადრეც გამოგვითქვამს მოსაზრება, რომ რუსთაველში ა-ნი ზედმეტია, რადგანაც მენცარმა პოეტმა ყველაფერი გაითვალისწინა და ფსევდონიმიც ისეთნაირი დაირქვა, რომლითაც გაგვიმხილა— ხმოვანთა სრულ ოქტავას მოვიცავო — დავაკვირდეთ: შოთა რუსთველი — **ო ა უ ე ი**, ამით მთელი სამყარო ვარო, განაცხადა, მაგრამ უმჯობესია ქვემორე წერილს მივადევნოთ მზერა:

ციფრი 8 უფლის, ღმერთის სიმბოლოა, მისი გამოცხადების სიმბოლო, თუ მისი ზურგშექცევის სიმბოლო. მაგრამ რაც ნიშანდობლივია ნოეს კიდობნის მოცულობა დაემთხვა 13-13-10. რუსთველის მათემატიკაში განსწავლულობას ჩვენ რამდენადმე შევეხეთ, მაგრამ ციფრების ხარმონიის უფრო მეტი ცოდნაა გამოვლენილი ხომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“. გაიხსენეთ, ყოველ ნაბიჯზე საკრალური ცხრა გებლანდება ფეხქვეშ. სწორედ ცხრა წელიწადს ვერ ამარცხებენ გრეკები ტროელებს, იგივე პროტოიბერიულ მოდგმას, მხოლოდ მეათე წელიწადს ეცემა ილიონის კარიბჭე ტროას ცხენის (მოძრავი მეხუთე კოლონა) ძალისხმევით. მხოლოდ მეათე წელიწადს გააცამტვერებენ გრეკები მათზე ათჯერ მცირე ტროელებს — ზუჩმოელვარე ჰექტორის დროშის ქვეშ დარაზმულ ზღვის ხალხს, მაგრამ გენიალური ჰომეროსის კოსმოგონური ცოდნა გაძარცულია, მივიწყებულია და ნაწილაკია მხოლოდ კირბების, ძველი კოლხების გლობალურ წარმოდგენებთან შედარებით. დარწმუნებული ვარ „ხომალდების კატალოგის“ უფრო ჩაღრმავებული წაკითხვით 13-თან მიმართებაში, რომლის შედეგია საერთოდ 9, მრავალზე მრავალ სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციას გავშიფრავთ. ჩვენ ხომ გვესწავლა: -8-ს გაჩენამ „აბრამ“-ში მოკვდავიდან ღმერთად აქცია იგი, რადგანაც აბრაამის კაბალისტურ ჯამს — 144 დაემატა 8 ხოლო აბრაჰამისა 152, იგივე რიცხვიანი.

სრულიად გონასასეირო
არასენსაციურად!

ანუ ლაზარე აღდგინებულია უფრო ზუსტად კი ბიბლიური წარღვნა მომხდარა 6153 წელს დასაბამიდან, მე-4-ე თვის მე-8-ე დღეს. ეს მოსაზრება ნოეს კიდობნის პარამეტრებითაც დასტურდება.

ესეისტურ მატიანეში „სუფევა“ საგნებისა და მოვლენების მიმართ მატერიალისტი ვარ, დიალექტიკოსი; ამდენად სენსაციების ნაკლებად მჯერა, თუმცა ირაციონალურის დაშვებას არ ვუკრძალავ ჩემს მეობას, განსაკუთრებით როცა საკითხი ეხება მთვლემარე ერის სულიერი გამოღვიძებისა და აღზევების პრობლემებს.

ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოში დიდი ბუმი ატყდება იოანე ზოსიმეს — სინელი ბერის, მესიანისტური ძეგლის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ გარშემო. ყველაფრის ამოსავალი წერტილი ეს 150 □!) სტფვიანი ეზოტერიკული □საიდუმლო, დაფარული, ბერძნ.) სიტყვაკაზმული მემკვიდრეობაა:

იოანე - ზოსიმე

ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა, საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა.

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამასა ენას ლაზარე ხქვიან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ხელენე დედოფალმან; ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაი. და მეგობრობაი ამისთვის თქუა, ვითარმედ „ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს;“

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ „წელი ათასი ვითარცა ერთი დღეი.“

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათეისსა წილი ზის, რომელი ასოი არს და იტყვის ყოვლად ოთხიათასსა მარაგსა;

და ესე არს ოთხი დღეი, და ოთხი დღისა მკუდარი. ამისთვის მისთანვე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მამისაითა.

და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისა, და სასწაულად ესე აქუს ოთხმოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა, ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისაი.''

დაგვეთანხმებით, ქართველი კაცისთვის არ არსებობს უფრო დამაინტრიგებელი, უფრო ზეაღმტაცი წინასწარმეტყველება, გნებავთ მოწოდება, ვინემ ,,ქებაია''.

ამის თაობაზე უწერიათ ბატონებს: რამაზ პატარიძეს, ზვიად გამსახურდიას, ვლადიმერ ჩუბინიძეს, მეუფე იოანე-იონას □მურთაზ ჩახავა), გივი ალაზნისპირელს, თქვენს მონა-მორჩილსაც, და რადგანაც ლაზარე გაიგივებულია 4 000 წლით მიძინებულ საქართველოსთან, ყოველი დებულება, ვარაუდი, მოსაზრება აჭიმულია ქართველთათვის სასურველ ნიშნულამდე, თუმცა ვიტყოდი, რომ ,,ქებაის'' მიმართებით ჩვენი მეცნიერების — პროფესიონალთა თუ დილეტანტების — კვლევაძიება მთლად წყლის ნაყვა არ ყოფილა.

დღეს ჩვენს ხელთ არის რამდენიმე ვრცელტანიანი ნაწარმოები, რომელთა წაყრუება, მით უფრო უგულებელყოფა, არაფრით იქნება; განსაკუთრებით საკუთარი ქვეყნის გარდასულ ჟამთატრიალს მიყურადებული მწერლისგან, როდესაც დღევანდელობა და მომავალი, სწორად რომ ამ წარსულის ბალავრებიდან, ბურჯებიდან ამოგვყავს:

რამაზ პატარიძის, ,,ქართული ასომთავრული'';

ვლადიმერ ჩუბინიძის, ,,სასწაული'';

გივი ალაზნისპირელის, ,,მსოფლიო დასაბამისეული აღმოჩენა'';

ეპისკოპოსი იოანე-იონას, ,,რა უნდა ვაკეთოთ;''

ჯუმბერ ჯუნი კაკულიას, ,,საქართველოს ისტორიის ახალი აღქმა'', I, II.

ზურაბ ქაფიანიძის, თეიმურაზ მიბჩუანის, ,,კაცობრიობის პირველი ანბანი'';

ხამლეტ წულაიას, ,,სად ვეძებოთ წარღვნით ჩაძირული ნოეს კიდობანი'';

აკაკი ჯორჯაძის, გაზეთი ,,მეტი სინათლე,'' №1-30.

ბუნებრივია, დაიბადება კითხვა: მაინც რა საერთო აქვთ ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებებს იოანე ზოსიმეს ,,ქებაისთან''?

ვლადიმერ ჩუბინიძე ,,ქებაის'' მიიჩნევს საკრალურ ტექსტად, რომელიც დასტურია ჩვენი წარმართი წინაპრების მიერ ენის მიძინებისა წარღვნამდე □3658 ძვ. წ. აღ.) 7 წლით ადრე. ხოლო თავად ადამიანს იგი ეძახის ღვთიური მდგომარეობისას, რომელიც ამ წარღვნით დაკარგავს კოლოსალურ ცოდნას, შევიწროვდება მისი მოქმედების არეალი დროსა და სივრცეში. ანბანში, მეტყველებაში ჩააქსოვს, დაატყვევებს გრანდიოზული სიბრძნეს, რასაც ქრისტიანული სარწმუნოება გააფთრებით ებრძვის. შედეგად მივიღებთ ტვინის 3-5 პროცენტი უჯრედით მოაზროვნე □დეგრადირებული, დედამიწას მიჯაჭვული) ინდივიდს, მაგრამ ჩუბინიძის კონგენიალური მიგნების გვერდით ავლა შეუძლებელია. იგი აღმოგვიჩენს თვალწინმდებარე რიცხვი 13-ის საიდუმლოს:

ერთხელ ნატურალური რიცხვების — 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12 -ის ეშმაკის დუჟინად მიჩნეულ 13-ზე გაყოფისას ვლ. ჩუბინიძე გასაოცარ სისტემას შეეფეთება. ამის თაობაზე მოგვიანებით უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

გივი ალაზნისპირელის □აგრეთვე ბერთაკ- ლდის საძმოსა და მისი მოძღვრის გიორგი მაზიაშვილის) დამსახურებად შეიძლება მივიჩ- ნიოთ ნუნისის მთათა კომპლექსის მკვდრეთით აღდგომა, რომელიც ავადმყოფურადაა დაკავშირებული მსოფლიო წარღვნის მისტიკურ სურათთან. თითქოს ნოეს ხის კიდობანი არ შეუქმნია, არამედ მოკირწყლვით, ქვისგან, დედამიწის ჭიპზე — ნუნისზე ნავის დაშენებით, სადაც პროექციირდება □საქართველოს გეოგრაფიულ პარამეტრებში — 43-42 კვადრატში), კოსმიური ციალი და ხვეული კიბეებით ჩადიოდა კავკასიის მიწისქვეშა სიცარიელეში, იგივე 3-4-ში □საქართველოს პარამეტრების 43-42-ის შიდა წევრების მინიშნება) — სამოთხეში და არამიწიერი სხივით ნათობდა. თითქოს იქ მყოფი ადამიანი გაცილებით ელასტიკური სხეულ-აღნაგობისა იყო, თუმცა მოგვიანებით, როცა წყლით აივსო ნუნისის ქვეშ მდებარე სიცარიელე, იქაური ენერგია უარყოფითად გარდაიქმნება, ადამიანებიც შესაბამისად ბოროტისეულ საწყისმომძლავრებულნი აღმოჩნდებიან და ებრძანება ღმერთისგან ნოეს ქვის კიდობანის აშენება, რომელსაც შესასვლელი ქვემოდან ექნება, როგორც წყალში ჩაშვებული ჭიქა არ შემოატარებს ხოლმე სითხეს, იმ პრინციპით:

ბიბლიაში კი ვკითხულობთ:

თავი მეექვსე □**დაიხსომეთ 6, გ.ო.**):

,,13. □**ესეც დასახსომებელია, გ.ო.**) უთხრა ღმერთმა ნოეს: მოაწია ყოველი ხორციელის აღსასრულმა ჩემს წინაშე, რადგან აივსო ქვეყანა მათი უსამართლობით; და, ახა, უნდა გავწყვიტო ისინი მთელი ქვეყნითურთ.

14. გააკეთე კიდობანი ურთხელისაგან. □**ვფიქ- რობ, მასალა ხაზგასმით მითითებულია, გ.ო.**) ბუდეები გაუკეთე კიდობანს, შიგნით და გარეთ ფისით შეფისე □**ვგონებ, ტექნოლოგიაც ზედმიწევნით გამჟღავნებულია, გ.ო.)**

15. ამგვარი უნდა ააგო იგი: სიგრძით სამასი წყრთა □**წყრთა — 48 სანტიმეტრი, გ.ო.)** იყოს კიდობანი, სიგანით — ორმოცდაათი წყრთა, სიმაღლით — ოცდაათი წყრთა;

16. სასინათლო გაუკეთე კიდობანს, ზემოდან ერთ წყრთაზე დაუტანე; კარი გვერდიდან შეაბი კიდობანს; □**ვგონებ, აქაც უზუსტესადაა განსაზღვრული კარის ადგილმდებარეობა, გ.ო.)** ქვედა, მეორე და მესამე სართული გაუკეთე.''

შემდეგ მოვიშველიოთ ფრაგმენტები.

თავი მეშვიდე

6. ექვსასი წლისა იყო ნოე, როცა წარღვნა მოხდა ქვეყნად.

11. ნოეს ცხოვრების მეექვსასე წელს, მეორე თვეს, თვის მეჩვიდმეტე დღეს, ამ დღეს მოსკდნენ დიდი უფსკრულის წყაროები და გაიხსნენ ცათა სარკმლები.

17. ორმოც დღეს იყო წარღვნა ქვეყანაზე. ადიდდა წყალი და ასწია კიდობანი, მოაქცია იგი მიწის ზემოთ.

18. გაძლიერდა წყალი და მეტისმეტად ადიდდა ქვეყნად, და გაცურდა □აქაც მოძრაობა გამოკვეთილადაა დაფიქსირებული, გ.ო.) კიდობანი წყლის ზედაპირზე.

20. თხუთმეტი წყრთის სიმაღლეზე აიწია წყალმა მათ ზემოთ და დაიფარა მთები. (ესე იგი წყალი ბორცვებზე, გორაკებზე, გნებავთ, მთებზე მაღლა ყოფილა 15X48 სმ.-ით, ანუ 7 მეტრითა და 20 სმ. გ.ო.)''

თავი მერვე

„13. ექვსასმეერთე წელს პირველი თვის დამდეგს დაშრა წყალი ქვეყნად; ახადა ნოემ სახურავი კიდობანს □ვფიქრობ, აქაც ყველაფერი გასაგები ენით წერია, გ.ო.) **და ხედავს, ახა, გამშრალა მიწის პირი.**

14. მეორე თვის ოცდამეშვიდე დღეს გამოშრა დედამიწა".

მინდა ერთ დეტალზეც გავამახვილო თქვენი ყურადღება: თუკი წარღვნა დაიწყო ნოეს ექვსასწლიანობის ჟამს, მეორე თვეს, □ამ) თვის მეჩვიდმეტე დღეს და იგი გრძელდებოდა 40 დღე-ღამეს, რანაირად გავიგოთ მისი დამთავრების ქრონოლოგია: ექვსასმეერთე წლის მეორე თვის ოცდამეშვიდე მის

დავეთანხმებით.

— ქართველები უსიმღეროდ ვის გაუგონიაო, — დასძენს თვითვე და თავს ჩაღუნავს.

რა არის ის გრძნობა, მეცხრე ტალღასავით რომ მეკვეთება, მუხლებს წამართმევს და მეგობრის მხარს დამაყრდნობს უნებლიეთ?! რა არის ის გრძნობა თიბათვის ბალახივით რომ მომცელავს ლამის?!

თოვლში ჩაცვენილები პატარების ცნობისმოყვარე წრეში ვიმღერებთ. ესაა ხანჯლისა და ქარქაშის ნათესაობა. არ მოგვეშვებიან. მოგვდევენ. იმღერეთო, გვემუდარებიან. ვჩერდებით და ვმღერით პატარებისთვის ხვავრიელ თოვაში და მაშინ ავტირდები ყველასთვის უჩინარი ცრემლით. გული კი ბაგაბუგით მეტყვის:

ნუ ეჭვობ, ნუ ყრი ფარ-ხმალს! ასწევენ ბოკვერები ქართლის დედის ხელებიდან დაცურებულ მახვილს! ასწევენ ბოკვერები ვარძიის ჩამოშლილ კალთას!

ასწევენ! ამ სიტყვას შევიტან ჩემი სულის საკურთხეველში და ამ სიტყვასთან მიმაქვს მსხვერპლი ამიერიდან.

ასწევენ! ვაგრძელებ ამ განცდას!

ასწევენ!

ლაზარე აღდგინებულია! ამირანის ღვიძლის მკორტნავი არწივი დაუურვებია ცოტნეს წამომხედრებას ფაზისის კარიბჭესთან. იწყება ხელახალი რენესანსი ქვიშიდან და ფერფლიდან, მაგრამ რაც

მთავარია, იწყება, და რადგანაც უმეცრების სულისშემხუთავი კედლები ზათქით და გრიალით ეცემიან ჩემს ფეხრთით, ზეაწეული განწყობილებით მივედევნები ,,სუფევას'' — შეუთავსებლის შეთავსებით შედუღაბებული სიტყვის პირამიდას.

AD UNGVEM

ანუ სრულყოფილებამ საზღვარი არ იცის...

წინდებულ წიგნს გასრულებულად მივიჩნევ და კომპიუტერზეც კი გავიტან ასაწყობად, მაგრამ ,,სარკეების'' ამოღებამდე უამრავ მასალას შეისრუტას იგი. ეს პროცესი განსაკუთრებით განაკვეთ ,,ენას'' შეეხება. არც სხვა თავები იზარალებენ. თითქოს დაუჯერებელს ვყვები: ყველა საჭირო ნაწარმოებია თავად, მიპოვის თავად შემომიფრინდება ჭერქვეშ. იმ იანვრის თორმეტს ორ თხზულებას მისახსოვრენ, მეგობარი პოეტი ზაურ მოლაშხია — ჯუნი ჯუმბერ კაკულიას ,,საქართველოს ისტორიის ახალ აღქმას'', II ნაწილი და ეკრანული სახეების რაინდი, სულით ზვიადაური ზურაბ ქაფიანიძე ორავტორიანი ბროშურას — საკუთარი კალმისმიერს: ,,კაცობრიობის პირველი ანბანი'', დაღვინებული მეცნიერის თეიმურაზ მიბჩუანის ,,მეოცე საუკუნის უდიდესი აღმოჩენით'' გამაგრებულს.

მათი წაკითხვის შემდეგ ჩემთვის მრავალ მობურუსო სიშორეებს მოემატება ნათელი, თუმცა ეს ინფორმაცია თავდაპირველი ტექსტის ორგანიზმში რომ შევუშვა, ათასგვარ ხათაბალას გამიჩენს, რაც იმ წუთს ჩემს ძალისხმევას აღემატება □ერთდროულად ,,სიცოცხლემისჯილების'' II წიგნის მეოთხე კორექტურასაც ვკითხულობ, I-ის პლასტიკური ოპერაციითაც ვერთობი და აქვე III თხზულებისთვის მოძიებულ ნაგვერდულებს ვკონავ საშემოდგომო ბუხრისთვის). ასეთ ვითარებაში, როცა შუქი 5-6 კალენდარული საათით მოგეწოდება დილა-საღამო, როცა თვალისჩინიც მოგცოტავებია, დიდი მუხამედისა არ იყოს ბინდისპირზე თეთრ ძაფს ვერ აღიქვამ, თანაც ხშირად მოშიებული შვილები შემოგყმუიან მეგობრის ბინას სამადლოდ შეხიზნულს, დამეთანხმებით უთუოდ, რომ შემოქმედებითი ფრთების გასაშლელად ნაკლები სივრცეა მოზომილი. ხოდა, ერთი ამოსუნთქვით, წაკითხვა-გააზრების კვალდაკვალ მაინც და მაინც აწ მონიშნული ადგილს შევურჩევ, რამეთუ ჩვენს საუბარს არსებითად ამოწურულად მივიჩნევ;

დასახელებული ავტორები ან მეტ სიცხადეს ანიჭებენ ზემორეულ დასკვნებს და განზოგადოებებს, ან სიახლის იერით მოსავენ უკვე გარდახდილს, რასაც დაკვალიანებული მკითხველი ჩინებულად გაართმევს თავს და მაინც მოშველიებული ნაფიქრალის დალაგების პრინციპს გარკვეული მოსაზრებით შევაბრუნებ, ერთგვარ კანონზომიერებას მოვუძებნი შეძენილი მასალის მდინარებას, თუმცა თავის ქება რადგანაც კიტრი ღირს, ხოლო ეს ფრიად თამამი ბოსტნეული ეროვნული ეკონომიკის ცრუმესვეურთა მეოხებით კვლავაც დელიკატესია, მივყვეთ სიტყვის ფენილობას:

ნაფოტებიდანგან
ჭყონდიდის რესტავრაცია

ბატონი თეიმურაზ მიბჩუანი ზურაბ ქაფიანიძის 40 წლის ტიტანურ შრომას დაუდაფნავს არ სტოვებს და ღმერთკაცის საკადრის პატივს მიაგებს კიდეც, როცა მსოფლიოს უდიდეს აღმომჩენთა რიგში რაცხავს მას. გახლავთ თუ არა მიბჩუანი- სეული შეფასებანი მოზომილი, ქვემორე გამოჩნდება, ჩვენ კი დავენდოთ მეცნიერის სინდისიერ შეძახილს.

ბ-ნ თეიმურაზის მიხედვით შუმერები სამხრეთიდან მოსულან, სპარსეთის ყურედან. აქ უნებლიეთ გაგვახსენდება ალაზნისპირელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შუმერი □იერუსა- ლიმიც კი) საქართველოს ტერიტორიიდან, ნუნისის ჭიპლარიდან გავრცელებული ცივილიზაციის ასლია, დუბლიკატი, როგორც დღევანდელი ამერიკა — ევროპული მიგრაციებისა, აბორიგენების ამოჟუჟვის ხარჯზე. დედა იერუსალიმი — იგივე ნუნისის მიწისქვეშა სიცარიელის სამყარო კვებავს მთელს დედამიწას, და ამისი გასაღები მიბჩუანის რწმუნებით ქართული ანბანის ბუნებაშია დასინთეზებული.

მოშველიებულია ვარაუდის გასაძლიერებლად მიხ. წერეთლის ფრაზები, რომ შუმერული ქართულს ძლიერ ხგავს. ხოლო ივ.ჯავა- ხიშვილის მტკიცების შესაბამისდ ძნელი დასაჯერებელია ქართული ანბანი V საუკუნეში გამოეგონებინათ იაფეტიანელებს. იგი გაცილებით მხცოვანიაო. აქვე სასურველია გაგვახსენდეს ადრეული დებულებანი, რომ ცივილიზაციები საერთო დედამიწისეული კატასტროფის შემდეგ დაშვებულან მწვერვალებიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კავკასიონიდან, ხოლო წარღვნამდე რანაირი გეო-პოლიტიკური ვითარება მკვიდრობს მატერიკზე ძნელი სამტკიცებელია.

ბ-ნ თეიმურაზ მიბჩუანი ერის სამეტყველო არსენალში დალექილი სიტყვების შეჯერებით ცდილობს ასოციაციურ ლაბირინთებში მკითხველის მეგზურობას. მაგ. ,,ხუთი'' სვანურად ,,ჟინიანს'' ნიშნავს თურმე. არის საუბარი ,,სუბერების'' სვანი სუბელიანების სემანტიკურ თანხვდომაზე.

,,ხალდეა'' ,,ქალდეას'' ტოლფარდია. ამდენად, ძირძველი ქართული ენის სვანური დიალექტი □როცა ვითარება შეიძლება პირუკუ იყოს) ის ჭოგრიტია, რომელიც საუკუნეებისა და ათასწლეულების მიღმა ჩაგვახედებს და დღემდე შეუცნობის შეცნობის საშუალებას მოგვცემს.''

საინტერესო თვალთახედვითაა დანახული სვანური კოშკები.

,,მ. ჯანდიერი: არ შეიძლება, კოშკები სვანეთში მხოლოდ შუა საუკუნეებში გამოჩენილიყო, ვინაიდან საქართველოს ისტორიულ არენაზე ეს ფორმა არსებობდა III ათასწლეულის დასაწყისში ჩვ.ერამდე. 1000 წლის მანძილზე ანტიკური ავტორები არაერთხელ აღწერდნენ მსგავს ნაგებობებს ამიერკავკასიისა და, კერძოდ, კოლხეთის ტერიტორიაზე, კოშკურა სახლები მოიხსენიება სვანურ ეპოსში ამირანის შესახებ, რომელიც წარმოიშვა II ათასწლეულის შუა პერიოდში ჩვ. ერამდე.''

ამ კოშკების თაობაზე ჩვენ ,,კირბისებში'' მოხმობილ პასაჟებშიც ვიტყვით ზომიერად, რომ მთათა ფერდობებიდან დაქანებულ ზვავ-მეწყერებს სახნისივით კვეთენ ისინი და მოსახლეობას აუვნებლებენ სტიქიისგან. აქვე დავსძენთ, მათი ვერტიკალური სწრაფვა სიმაღლისკენ წარღვნის უცილობელი გამოძახილია, წყლის შიშისა; აკი, სადღც გვიხსენებია კიდეც, საქართველოს ნებისმიერი კუთხის მაცხოვრებელს იმდენად არ ეშინია პოსეიდონის საუფლოსი, როგორც სვანს, მუშვანს.

იქნებ ხიპოთეზა ბოლომდე დაგვესრულებინა: ხომ არ გვექარაგმება ყოველივე — სვანი უხანდაზმულესი ეთნოსია ჩვენს ტერიტორიაზეო; ხოლო დანარჩენი — ზანური თუ თავად ქართული (ანუ საეკლესიო კასტის მიერ საგანგებოდ შექმნილი ენა, როგორც ამას ზევით გვთავაზობს ბატონი ჯ.ჯ.კაკულია) განშტოებანი, შვილეულები?! მაგრამ ჩავყვეთ ჯაჭვის რგოლებს თ.მიბჩუანის მსჯელობათა მიმართულებით.

მეცნიერს ენიშნება სვანთა და შუმერთა ღვთაებების თანაზიარობა:

,,სუნტუქ'', ,,ტარუ'', ,,ფუსტი'' □როგორ თანხვდება ეგ სიტყვა საქვეყნოდ ცნობილ ფაუსტს?) ,,აია'', ,,შამაშ'', ,,ლილე'' □აქ შეიძლება ადრეული ჩემი მოსაზრების მოხმობა: ლილესა და ენ ლილის თანატოლობის თაობაზე — ლილ-ე□ნ) და ორმარცვლიანი სიტყვის ინვერსიით — ე□ნ)-ლილის შესახებ) ,,ბარ-ბარ'', ,,ლამარი'' და სხვ.

,,ზ. ქაფიანიძე ადგენს წარღვნის შემდგომ დედამიწაზე ადამიანის მოდგმის დამკვიდრების თარიღს, — აცხადებს მკვლევარი, — ეს არის ძვ.წ. 5604 წელი. 1996 წელი საიუბილეო თარიღი იყო. დედამიწაზე ადამიანთა მოდგმის ასაკმა 7600 წელს მიაღწია □5604+1996 =7600)''.

ეს მოსაზრება არ ეწინააღმდეგება ჩემეულ ვერსიას, როცა ,,ტროანოს კოდექსისა'' და რიცხვი 13-ის ბუნების შერწყმის წყალობით წარღვნის თარიღად ვასახელებ 6153-ს, ანუ მზის კალენდრის ციკლით და კიდევ რაღაც გრამებით □17) მეტს; წარღვნა 549 წლით უსწრებს დასაბამს. მოკლედ, აღნიშნული განსხვავებანი ერთობ უმნიშვნელოა იმ მაძიებლობასთან შედარებით, რაც წინარე ცივილიზაციების კონტურების დადგენისათვის გაშლილა დღევანდელ საქართველოში; ხოლო მაცხოვარს თუ ვერწმუნებით, მძებნელნი უცილობლად იპოვნიან. ან როგორ მომეფონება ერთბაშად 7600 ციფრის ხილვით?! ეს ხომ 1-ის 13-თან შეფარდების პირველი სამეულის აელვარებაა — 1:13=0,076 923. საკრალურობას თუ გავაფეტიშებთ, თურმე 1996 წელი რაღაც გარდატეხის, ზეაღმამფრენი, გნებავთ აზროვნების შემობრუნების დასაბამი ყოფილა მთელი ქვეყნიერებისთვის.

აქვე მოშველიებულია შუმეროლოგი სემიუელ ნოა კრამერის ფრაზა:

,,ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო მეოთხედში ქალაქ აქადში მცხოვრებ სემიტთა მოდგმამ დაიპყრო შუმერი და შუმერ სწავლულებს თავისთვის შეაქმნევინეს ანბანი...რომელსაც შემდგომ სემიტური ეწოდა. ეს მოხდა ძვ.წ. 2125 წელს. მანამდე კი, ძვ.წ. 5604 წლიდან ათასწლეულები ასაიდუმლეს შუმერებმა ასომთავრული ანბანი, მათ მიერვე შექმნილი ლურსმული დამწერლობით'' □გ.მიბჩუანი). სემიტური ანბანი მეცნიერის რწმენით 35-ის ნაცვლად 22 ასო-ნიშნით, გამარტივებული შუმერულია.

,,ამგვარად, შუმერების მიერ საიდუმლოდ შენახული ანბანი ქართული ასომთავრულია □ზ. ქაფიანიძე), რომელიც თავისი წარმოშობით კოსმოსურია და სამყაროსეულ საიდუმლოებებს ძალუმად ინახავს.''

კონგენიალური ვერსიაა წამოწეული იოანე ზოსიმეს ,,ქებაის'' ახლებური გაგებისთვის, ვინაიდან სადაც ზ. გამსახურდია ,,ენაში'' ხალხს, მოდგმას კითხულობს, ზ. ქაფიანიძე ,,ანბანს'', ,,ასო-ნიშანს'' ხედავს და გარკვეული კონკრეტული საკრალურობით ტვირთავს ეზოთეულ ტექსტს.

საყურადღებოა თ.მიბჩუანის წიაღსვლები ლინგვისტიკური თვალსაზრისით:

შუმერული	**სვანური**	**ქართული**
მარე	**მარე**	**კაცი**
შუ	**ში**	**ხელი**
გურუშ	**გურუშ**	**მდაბიო**
ადაბ	**დაბ**	**ყანა**
ეზენ	**ეზერ**	**კარგი**
დი დი	**დედა**	**დიდედა**

წიგნის მასალიდან ჩვენ შედარებით იდენტურ ფორმებს შევარჩევთ, ისე კი დამკვირვებლის მიხედვით მათი რაოდენობა 200-ს აღემატება და პლუს ხელუხლებელია მეგრული ენა. მეხსიერებით აღვადგენ, რომ შუმერულში ყანას, ქვეყანას ,,განა'' შეესაბამება, აქვე სიფრთხილით მინდა განვაცხადო ადრე თქმულისამებრ, 200 კი არა 2000 მსგავსი სიტყვის აღმოჩენაც ვერ შველის ხოლმე ენათა ნათესაობის დამტკიცების საქმეს, რადგანაც დღევანდელ ქართულში, რომლის რვატომეული განმარტებითი ლექსიკონი 114 ათას სიტყვას მოიცავს, ოცი პროცენტი თურქულია, ამდენივე სპარსული და არაბული. ათასწლეულების მერმე ამ მეთოდით ორიენტალისტი ხან თურქად ჩაგვაგდებს, ხანაც — სპარსად და არაბად, მაგრამ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია შუმერულ-ქართული ასომთავრულის საიდუმლოების გასაღებად თიხის ფირფიტებზე შესრულებული იდეოგამების დასახელება, რომელთანაც ზედმიწევნითაა წილნაყარი ქართული სულიერება.

ზ. ქაფიანიძის მტკიცებებით ყველაფერის საწყისი რიცხვი 15 ყოფილა:

5+6+0+4=15

და მოგვიანებით ანალიზატორი ჯორდანო ბრუნოს სიტყვების გამეორების უფლებამოსილებითაც აღჭურავს კონგენიალურ აღმომჩენს — ზ.ქაფიანიძეს: ,,**მე ვარ უაკადემიო აკადემიკოსი და არ მყავს კოლეგები უმეცართა შორის**''-ო.

ბ-ნ ზ.ქაფიანიძეს 1992 წლიდან მისმიერვე დაარსებული გაზეთ ,,შუმერის'' 27 ნომერი გამოუცია, რომელიც მეცნიერის შეხედულებით ცალკე წიგნადაა დასასტამბი სხვადასხვა ენაზე, რათა კაცობრიობა აალაპარაკოს ამ უნიკალურმა აღმოჩენამ.

დუმილი კმარაო! აცხადებს მკვლევარი და აქ ძნელია გაჩუმდე. ზ.ქაფიანიძის მიგნებას ახალი სიო შემოაქვს ზემორე განხილული ზღვა მასალის უკეთ გაცნობიერებაში. ეს აღმოჩენა შეუძლე-

ბელია ახლებურად არ გარდაიტეხოს „მრგვლოვანის“ ბუნების გასაგებად, სადაც საწყის წერტილად მიჩნეულია 0-მიკრონი და მოძრაობაში მოყვანილი ჯარი, ანუ ქალის და კაცის ერთობლიობა S+S, რითაც ვღებულობთ ∞-ს მარადისობის სიმბოლოს, წელში გაკვანძულ 0სეგმენტის მობრუნებას ცაზე. აქ საქმე გვაქვს 2X13000 თან, როგორც ამას არკვევენ სფინქსის მონუმენტით, იგი თავის დროზე უმზერდა ლომის თანვარსკვლავედსო, 26 ათასი წლის წინ. იქნებ აქ არის იდუმალი კავშირი?!), რადგანაც წელიწადში 365-6 ბრუნვით მზის გარშემო დედამიწა ზანტია 260-თან შედარებით და აქედან გამომდინარე აქაური ენდემური სახეობებიც გაცილებით გაზუ-ლუქებულნი, ზორბანი გახლავან; გავიხსენოთ გიგანტური ფორმები, გვიმრისნაირები, დინოზავ-რები, იქტიოზავრები, ორმეტრონახევრის ატლანტიდელები, მითიური ციკლოპები, და თუ იმა-საც დავუშვებთ, რომ ცოცხალი ორგანიზმები რეზონანსული ხასიათისანი არიან „ოლკინისა-მებრ“, იქნებ ლაზარე მართლაც აღდგინებულია, ვინაიდან 5604-ის თუ 6153-ის თარიღებით ხელ-თა გვაქვს ჩვენი ცივილიზაციის შეტორტმანების ფორმულა და მოქმედების პროგრამა, ოღონდაც სათანადოდ გავშიფროთ ეს განსხვავებული ოთხნიშნა ორი კოდი.

ტანდემური აზროვნების წიგნის ავტორებს გასულ 1997 წლის მეორე ნახევარში განზრახული ხქონიათ „შუმერის“ ეგიდით საერთაშორისო სიმპოზიუმის მოწყობა ქ.თბილისში, მაგრამ ჩვენს მეცენატებს სად სცალიათ მსგავსი აღმოჩენებისთვის? ისინი ხომ ქრისტეს ნაიარევ ფერდში ხელს უყრიან ურწმუნო თომასავით, თანაც ხალხის კეთილდღეობის შირმით ჩამოტანილი ინვესტიციები ჯერჯერობით მეჯღანუაშვილების ფორდად და ონასისად ხმარდება?!

„სახიობით დადაფნული მეცნიერების მძინვარწვერზე“

ბ-ნ. ზ.ქაფიანიძის კონცეფციის მთავარი არსი ის გახლავთ, რომ მრავალ ერს ხქონდა ანბანი, თან ჩვეულებრივ საურთიერთობოცა და გასაიდუმლოებულიც. სამყაროს საიდუმლოება ამეტყ-ველება ხდება ანბანური სისტემებით, მით უმეტეს, როცა თითოეულს თავისი რიცხვითი მნიშვნე-ლობა შეესაბამება. ასე მაგალითად, ალაზნისპირელის სწავლებით ხე-მე-8 უფლის სიმბოლოა, რა-საც ჩვენ განვიხილავთ როგორც მამრ-მდედრის ერთობლიობას; სადაც ხე მე-8 გაჩნდება სიტყვა-ში, იქ საკრალურ თემებზეა საუბარი.

იდეოგრამებზე საინტერესო დაკვირვებებს დაგვიტოვებს ნეტარხსენებული ბეჟან კილანავა, რო-ცა იგი ქართულ □კოლხურ) დამღებს განიხილავს და ჩვენი დამწერლობის პირველწყაროდ მიიჩ-ნევს.

ახლა კი თავად აღმოჩენის საავტორო უფლებებით შემკულ პიროვნებას ჩავუღრმავდეთ:

„ — შუმერების ანბანი — ქართული ასომთავრული აქადელების გადაღებულ ანბანში გამჟ-ღავნდა მსგავს, მაგრამ მნიშვნელობადაკარგულ და დამახინჯებულ ასოებად. რა თქმა უნდა, უწიგ-ნური ერი ანბანის შეცნობისთანავე კალენდარის, მათემატიკის, გეომეტრიის და ასტრონომიის სწავლას ვერ გაუძლებდა, ვერ შეითვისებდა, და არც გაატანდნენ. სემიტებს სჭირდებოდათ დამ-წერლობა და შუმერებმა გაატანეს კიდეც, ოღონდ გამარტივებული, უაზრო ანბანი, რაც შემდეგ უამრავი ერის დამწერლობად გადაიქცა.

კაცობრიობის ანბანთა გავრცელების არსებული ისტორია ფაქტობრივად ამტკიცებს, რომ ყვე-ლა გადაღებული ანბანი მთელი თავით ნაკლებია □**როგორც ნებისმიერ საქმეში, გ.ო.**) დედან-ზე. რატომ უნდა იყოს ერთადერთი შემთხვევა ანბანის გადატანის ისტორიაში, როცა ქართველებმა უფრო ცუდისგან უკეთესი შეექმენით? ანბანის შექმნა არავის არ შეუძლია. გადატანა-გადაწერა-გადაღება — კი, ბატონო, მაგრამ თვითონ კი ვერ გადაიღებს, გადააღებინებენ: წერა-კითხვის უცო-დინარი როგორ გადაიღებს ასოებს, როცა წერა-კითხვა არ იცის. ამ ასოებსაც მცოდნე ასწავ-ლის: არ ემორჩილება ლოგიკას, რომ ჩვენი უკეთესი ანბანი საიდანმე იყოს გადმოღებული, მაგრამ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ჩვენი ანბანის წარმომავლობაზე, მის დაბადებაზე, გაჩენაზე, მის სამყაროსეულ სიბრძნით დატვირთვაზე. საიდან? როგორ? რანაირად? ამის გაგება ახალ გზას კარ-ნახობს მეცნიერებას და სულ სხვანაირი ხდება დედამიწის ისტორია, რაც 4125 წელიწადი მახინ-ჯდებოდა, იკარგებოდა.

სემური და ქართული ასომთავრული ანბანის შედარებისას გამოსახულებათა, ბგერათა, ასოთა რაოდენობით, მოხაზულობით, ასტრონომიით, გეომეტრიით, მათემატიკით, ღვთაებებით, მოძღვარი ასო-ნიშნებით, ანბანური სრულყოფილებით, სისტემებით ქართულის თვალსაჩინო უპირატესობა ჩანს. გამოდის, რომ ამ ანბანს დედანი არა ხყავს და გადაღებულიც არაა, ე.ი. პირველია, ცხრილშიც სათავისკენ მიიწევს და ამასვე წინასწარმეტყველებს სულმნათი ივანე ჯავახიშვილი, რომ ,,ქართულ ასომთავრულს დედანი არა ხყავს.''

ასო-ნიშნების ორიგინალური ანალიზის შემდეგ, ბ-ნ ზ.ქაფიანიძე ერთგვარ დამაჯამებელ არგუმენტად მოიშველიებს არქეოლოგიურ მონაპოვრებს შუამდინარულ ცივილიზაციაზე:

,,აი, რა წაიკითხეს მეცნიერებმა შუმერების უძველესი თიხის ფირფიტაზე:

„1. თავდაპირველად ყოფილა პირველქმნილი ოკეანე;

2. პირველქმნილმა ოკეანემ წარმოშვა კოსმოსური მთა, რომელიც მიწას აერთებს ცას. □გაიხსენეთ ალაზნისპირისეული ნუნუისის მთათა კომპლექსი, კოსმიური ნათება ორი გველის მეშვეობით რომ ჩააღწევს მიწისქვეშა სიცარიელეში, ოქროს საწმისის, კრავით განათებულ სივრცეში, გ.ო.)

3. ადამიანის სახის მქონე ანმა □ცამ), ქალღმერთმა ქი-მ □მიწამ) შვეს ხაერის ღმერთი ენ-ლილი □ჩვენეული ვერსიით ლილ-ე□ნ), გ.ო.)

4. ხაერის ღმერთმა ენლილმა □რომელიც დამწერლობის უფლადაცაა შერაცხული, გ.ო.) **ერთმანეთს განაშორა ცა და მიწა. იმ დროს, როცა ანმა ასწია □წაიღო) ცა, ენლილმა ძირს დაეშვა მიწა, თავისი დედა: ენლილმა, უფალმა ხაერმა და მიწამ ერთად მისცეს დასწყისი მსოფლიოს მცენარეებს, ცხოველებს, ადამიანს და ცივილიზაციას“** □კრამერი, ,,ისტორია იწყება შუმერიდან'', გვ.12). აი, სადა აქვს სათავე ქართული ასომთავრულის ასო-ნიშანს.

— ანს, მთვარეს — იგივე ცას, — განმარტავს ზ.ქაფიანიძე, — აი, საიდან მოდის ჩვენი პლანეტის ემბლემა ,, — ქი'' მიწა, დედა, აი საიდან მოხყვება დედის სახელი მიწას. სახელი ,,დედამიწა'' არავის შერჩა მშობლიურივით, როგორც ქართველებს, ან რა უნდა შერჩენოდათ დანარჩენ ერებს, როცა არც იცოდნენ და არც გააჩნდათ. (ცნობისთვის სამყარო შუმერულად ენ-ქი-ა, რომლის გამოძახილს ვპოულობთ დღევანდელ მეგრულში — ქი-ან-ა, მთელი კოსმოსის, ყოვლიარობის აღმნიშვნელად, თან ქი-სა და დი-□დას)-დედას შორის პარალელის გავლებაც შესაძლებელია, გ.ო.)

,,ანი'', ,,ქი'', ,,ლილე'' — სამყაროს წარმომშობი სამი ღვთაების სახელია ჩვენში შენახული. მეტი უპირველესმა თქმულებამ რა ქნას, ან ჩვენმა ანბანმა, ან სვანურმა სიმღერამ ,,ო, ლილეო'' და მათში მოხსენებულმა ღვთაებებმა?!

ბოლო დასკვნა: ჩვენი ანბანიდანაა სამყარო, □**გაიხსენეთ: თავდაპირველად იყო სიტყვა, გ.ო.)** თუ სამყაროდანაა ჩვენი ანბანი, ეს ანბანისთვის სულ ერთია, მაგრამ დედამიწის წარმოშობის, დედამიწის გაჩენის თქმულებაში, რაც შუმერებმა დედამიწაზე ჩამოსვლის შემდეგ დაწერეს □**ყურადღება მიაქციეთ ასომთავრულის დამამთავრებელ ნიშან-კრიპტოგრამას — ჯვარს, რომელსაც 8000 შეესაბამება, ჯერ ერთი ხე მე-8-ს გაათასებული სახე, ანუ ღვთიურობის ათასჯერადი განვრცობა, და აქვე ვარაუდი: იქნებ ეს ციფრი ანბანის ასაკს შეესატყვისება, ანუ მიუთითებს წარღვნამდელ ხნოვანებს, ანუ იმ რეალობას, რომ დედამიწაზე კოსმოსის ნაშიერის ბინადრობა 8000 ბლუს 1998 წელიწადია ანუ 2 წლით ნაკლები სრულფასოვან 10000-ზე რომლითაც იხურება ციფრების სიმფონია 13-ზე გაყოფისას?! გ.ო.),** ნამდვილად დიდი ხნის ამბავს ხყვებიან და საოცარია ის, რომ ამ ძალიან დიდი ხნის წინ მომხდარ ამბავში მონაწილეობენ ანბანისეული ღვთაებები ანი, ქი **(მეგრულში მფეთქავი ჯერაც, ოღონდ ინვერსიით, გადაადგილებულად, ქიან-ად, გ.ო.)** და სვანეთში შენახული სიტყვა ლილე... ეს თქმულება დედამიწის წარმოშობაზე, დედამიწის გაჩენაზეა დაწერილი და გარდა დაწერილისა, დახატულია ასომთავრულის დიდი ღმერთის ასონიშან ღანის 7600 წლის □**ან ჩვენეული ვარაუდით 6153 + 1998 = 8121 წელს, ან კიდევ მეორე ხიპოთეზით 8000 + 1998 = 9998, გ.ო.)** შუმერულ თიხის ფირფიტაზე, ხოლო ეს ოთხი ნათლად გამოკვეთილი სახელი — ანი, ქი, ლილე და ღანი — მხოლოდ შუმერულია, ქართული ასომთავრული ანბანისეული და მერე როდინდელი!

ამაზე დიდი დოკუმენტური მასალა, ასე პირწმინდად დამოწმებული ანბანით, შუმერთა უძვე-

ლესი მოთხრობით, ასონიშან ღანის თიხის ფირფიტით და ამ ასაკის, რაც დედამიწის დაბადებას ეხება, კაცობრიობამ არ იცის, არც შეიძლება იცოდეს, იმიტომ, რომ ეს ანბანი მხოლოდ ჩვენა გვაქვს, სამყაროსეულია, ერთია და მხოლოდ ქართული".

აქვე ერთ მიხვედრილობასაც გაგიზიარებთ: ქართული ასომთავრულის რიგითი ნომრისა და თითოეული ასონიშნის რიცხვითი მნიშვნელობით იდენტურია 1-ის რიგითობის მიხედვით და რიცხვითი მნიშვნელობით თუ შეესაბამება, ასეთივე თანხვდომაა ყველგან „კანთან"—2.11 და 20, მაგრამ 20 □2+0=2) ხომ 11-ის კაბალისტური ჯამია. როგორც „ლასის" 12 შეესაბამება 30 ანუ 12-ის კაბალისტურ ჯამს — 3. „ცანი" 29 უდრის 2000, აქ სიმბოლურ ენაზე გაცხადებულია ანბანის ბუნება, — „ცანი" ხომ „ანის" სარკისებური წაკითხვაა, თავდაღმა მდგომი „ანია", ისიც 11-ია, „კანის" ტოლფარდი.

აქვე შეიძლება ითქვას, რომ სემიანელთა ანბანის ნასესხობას მიუთითებს კრიპტოგრამა, რომლის რიგითი ნომერია 19, ხოლო მნიშვნელობა — 100. აქ ირღვევა ასომთავრულის სიმწყობრე, რიგითობა 1-დან 8000-მდე. მართლაც, სემიანელების ანბანის რიცხვთა სიმრავლე — 1 — 400 არაფრის მაუწყებელია, თანაც 19-ის კაბალისტურის ჯამია 20 და ბუნებრივია 2 არ უდრის 1-ს. ასომთავრულში კი ყველგან დაცულია რიგითობის იდენტურობა ასო-ნიშნის რიცხვით მნიშვნელობასთან 1 — 1...29. — 2000... □როგორც შევნიშნეთ 29 კაბალისტური ჯამია 11 და 2 ტოლია 2-ის), 35 — 8000, ანუ 8 ბადალია 8-ისა. ე.ი. ასომთავრული სრულყოფილებაა დოდან დომდე, რაც დარღვეულია სემიანელების ანბანთან.

ამასთან მახსენდება ბ-ნ ზ.ქაფიანიძის პლაკატი, სადაც კაცობრიობის წელთაღრიცხვის თავისებური თანამიმდევრობაა:

ახალმოსახლეობა □**8000 გ.ო.)**
ოქროს ხანა
წარღვნა □**6153 გ.ო.)**
მეორედ მოსვლა
ადამ და ევას **(ანბანის, გ. ო.)** გაჩენა 5604
აქადეელების ანბანის
შექმნა 2125
ქრისტეს დაბადება 1

ასე რომ ბ-ნ ზ.ქაფიანიძისეული კლასიფიკაციით კაცობრიობის ასაკს ორი უცნობი თარიღი ემატება — დედამიწაზე ზეგონიერი სულიერის მოსვლისა — 8000 წ. წ. ქრისტემდე და წარღვნისა — 6153 ძვ. წ. აღ. აქ კატეგორიული ტონი ინფანტილობად ჩამოერთმევა ნებისმიერ პიროვნებას. ამიტომაც მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდის, წინასწარმეტყველების პოზიციიდან ვაცხადებთ:

ღმერთს, იგივე ზესრულყოფილ საზოგადოებას თავიანთი ცივილიზაცია 6000 წელიწადში, ექვს დღე-ღამეში თუ შეუქმნია, ივარაუდება, რომ ორი ათასი წლის შემდეგ იგი ჩამოსულა დედამიწაზე და კიდევ 1847 წლის გამოშვებით მომხდარა კატასტროფა შტრეფანდერისეულ ადა უზუზე — 6153 წელს, რომელსაც მოხყოლია საზოგადოების დედამიწიდან გასვლა და მიჯაჭვა ერთდროულად; გასვლა მათთვის, ვინც ეს ფიზიკურად მოახერხა და დაბმა — რომლებმაც ეს ვერ შეძლეს ტექნიკურ მიზეზთა გამო. და შემდგომ 5604 წელს ანუ ღმერთის მოსაქმეობის 2396 წლის მერმე ჩვენს პლანეტაზე გაჩენილა ადამ და ევა (დამწერლობა). ხოლო 5875 წლის მერმე (გაიხსენეთ შოთა რუსთაველის რიცხვითი მნიშვნელობა, გ.ო.) — 2125 წ.ძვ. შექმნილა, უკეთ შუმერებისგან გადაუღიათ ანბანი აქადელებს, და შესაბამისად 7999 წლის აქეთ მოვლენილა ქრისტე, უფალი ჩვენი, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნავი მესია. ასე რომ, ადამიანის ასაკი მზის ქვეშეთში გახლავთ 6000 პლუს 8000 და პლუს 1998 წელი ანუ 17998. ვარაუდები ვარაუდების წილ. ისე კი ბ-ნ ზ.ქაფიანიძისეული თარიღი ადამ და ევას გაჩენისა — 5604 გასაოცარია მოიცავს ასო ნიშნებს 5—ე, 6—ვ შემდეგ, 0—ს თუ მივიჩნევთ საწყისად — ა-დ და 4—დ. აქ ფიქსირებული ევად, ვინ იცის, იქნებ ევა და ადამის მოკლე ჩანაწერია. ხომ არ მიუთითებს ყოველივე სიმბოლუ-

რად დამწერლობის შექმნის მისტერიას?!

ადამის კაბალისტური ჯამია — 1, 4, 1,1 3 ანუ 10, იგივე 1. ევასი — 5, 6 ,1 ე.ი. 12 იგივე 3. ერთობლიობაში კი ვღებულობთ 1:3, იგივე 13, იგივე 4-ს. ამასთან ანგარიშგასაწევია სემიანელთა ანბანის მეთოთხმეტე ასონიშანი — □ნუნ) თევზი, რაც საოცრად ესადაგება ალაზნის-პირისეულ ნუნისს, ,,თევზისას'', სხივის ტეხილ მოძრაობას მიწისქვეშა სიცარიელისკენ. მერამდენედ ვაცხადებთ: შორს ვართ კატეგორიულობისგან-თქო და საკითხის დასმის წესით თუ მიღებთ ჩვენეულ ვერსიებს, სიმწრის ოფლს მადლიერებით მოვიწურავდით.

სამოთხე

ანუ

დიდი დათვის თანავასკვლავედი

ქართულ ასომთავრულში — „37"-ის ეზოტერია

— ბატონო ნოდარ, მიხარია, რომ ჩვენი შეხვედრა განგებამ ამ წიგნის შექმნის დამამთავრებელ სტადიაში ინება. თურმე ჩვენ ერთსა და იმავე დასკვნებამდე დამოუკიდებლად მივსულვართ სხვადასხვა დროში, თქვენ რამდენიმე ათეული წლის წინ, მე მოგვიანებით, ახლახან, მაგრამ განსხვავებული ბილიკებით ერთი მწვერვალისაკენ გვივლია — ,,37''-ისაკენ.

ქართულ ანბანს შეუძლებელია სხვა ნუმერაცია კეტავდეს. ჩემეული მიმართება ითვალისწინებს რიცხვების ეზოთერიას წმინდა მათემატიკური პოზიციიდან.დავიწყოთ უმარტივესი:

მაიელები ,,ცოლკინს'' ორი პრიმიტიული სიმბოლიკით აღაშენებენ — წერტილებითა და ტირეებით. მათთან ერთი წერტილი ,,I''-ს შეესაბამება. ორი წერტილი — ,,2''-ს, და ასე შემდეგ ხუთამდე, მაგრამ ექვსი — ,,6'', უკვე წერტილი და ტირეა — ,,.'' მათთან ,,I3'' ორი ტირე და ზედ დასმული ერთი წერტილია — ,,.'' მათემატიკური სიდიდეების ამისთანა ჩაწერა, ბატონო ნოდარ, სამყაროისეულია — ვითომ პრიმიტიული, მარტივი, მაგრამ სინამდვილეში ლაკონიური და ადვილმისახვედრი ნებისმიერი დონის ცივილიზაციისათვის. ეს იგივე კოსმოსი ანბანია. მსგავსი ბუნება რიცხვების უსასრულობაში რამდენიმეს ახასიათებს, — ,,7''-ს, ,,I3''-ს, ,,9I''-ს □7X13) და აგრეთვე ათიანების კომპოზიტებს ორნიშნა რიცხვებიდან.

აბა, ჩამოვწეროთ:

1. I 19 □10) I.
2. II 28 □10) I.
3. III 37 □10) I.
4. IV 46 □10) I.
5. V 55 □10) I.
6. VI 64 □10) I.
7. VII 73 □10) I.
8. VIII 82 □10) I.
9. X 91 □10) I.

სულ ესაა. ახლა მათი ხასიათის გარკვევასაც თუ შევეცდებით, აღმოჩნდება, რომ ,,37,, თითოეულისაგან გამორჩეულ საკრალურობას ამჟღავნებს.

19. I : 19 = 0, 0526315789
28. I : 28 = 0, 03571428
37. I : 37 = 0, 027
46. I : 46 = 0, 0217391

55. I : 55 = 0, 18 18 18
64. I : 64 = 0, 015625
73. I : 73 = 0, 136986
82. I : 82 = 0, 0121951
91. I : 91 = 0, 010989

დანარჩენი ციფრების გაყოფისას განსხვავებულია შედეგები, მაგრამ ანბანისათვის, ანუ მეტყველებისათვის საჭირო ოდენობის სიმბოლო-ნიშნებთან დიახაც ,,37''-ია მიახლოებული. ესეც რომ არა, აქ გასაოცარი შინაგნი წესრიგი იკვეთება და ამ საკრალური ბუნების დარღვევა ნებისმიერი მიდგომით, გნებავთ ეს იყოს ბატონ ზურაბ ქაფიანიძის არგუმენტირებული ,,35'', დაუშვებელია.

ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს, როცა დიდი დათვის თანავარსკვლავედის მიხედვით მისაბუთებთ ასომთავრულის ,,37''-წევრიანობას. აქვე თვალსაჩინოებისთვის მინდა საკუთვრივ ,,37''-ის ბუნება გამოვსახო გამყოფის პოზიციიდან:

I : 37 = 0, 027
2 : 37 = 0, 054
3 : 37 = 0, 081
4 : 37 = 0, 108
5 : 37 = 0, 135
6 : 37 = 0, 162
7 : 37 = 0, 189
8 : 37 = 0, 216
9 : 37 = 0, 243
10 : 37 = 0 ,270
11 : 37 = 0, 297
12 : 37 = 0, 324
13 : 37 = 0, 351
14 : 37 = 0, 378
15 : 37 = 0, 432
16 : 37 = 0, 432
17 : 37 = 0, 459
18 : 37 = 0, 487
19 : 37 = 0, 513
20 : 37 = 0, 540
21 : 37 = 0, 567
22 : 37 = 0, 621
23 : 37 = 0, 621
24 : 37 = 0, 648
25 : 37 = 0, 675
26 : 37 = 0, 702
27 : 37 = 0, 729
28 : 37 = 0, 756
29 : 37 = 0, 783
30 : 37 = 0, 810

31 : 37 = 0, 837
32 : 37 = 0, 864
33 : 37 = 0, 891
34 : 37 = 0, 918
35 : 37 = 0, 945
36 : 37 = 0, 972
37 : 37 = 1 .

„37“-ის საკრალურობას ჩვენი ასომთავრული მართლაც კოსმოსში გახყავს და პრიმიტიული პალეოგრაფიიდან რაღაც გრანდიოზული მისიით ტვირთავს ანუ მიგვახვედრებს, რომ ჩვენს წინაპრებს სმა-ჭამა დიდად შესარგის გარდა კიდევ რაღაც არამიწიერი აზროვნებაც ემარჯვებოდათ, ანუ ნებისმიერ სამყაროისეული განზომილებას გულთმისანი დასტაქარის კვალობაზე უსინჯავდნენ მაჯას.ქართული ასომთავრულის ათვლა გაჩერებულიყო ფინიკიურ 22-ზე,საქმე გვექნებოდა 0, 621-თან, რაც საკრალურობის ფრჩხილია მხოლოდ. შეყოვნებულიყო ბერძნების 24-ზე, მივაჩერდებოდით 0,648, რომელიც ასევე ნაწილია გრანდიოზული მთელისა. იგივე სურათი იხატება ილიას 33-ამდე შეკვეცით ქართული ასომთავრულისა, რადგანაც 0,891 ვერ ასრულებს დაწყებულ მსვლელობას. მსგავსი ცდომილებაა ზურაბ ქაფიანიძესთანაც, რამეთუ 35 ვერ ამოწურავს ქართული პალეოგრაფიის სიღრმეებს, 0, 945 ვერ ასრულებს 37-ის დასახულ მიზანს — გავიდეს მთელამდე, გამრთელიანდეს, გაერთდეს უფლის დარად. 38-თან პროკრუტესეული მეტობაა, ვღებულობთ 1 მთელს და ახალი ციკლის დასაწყისს — 027-ს. ჭარბწევრიანობაა სომხურ ანბანთანაც, რადგანაც 39 ორით მეტია 37-ის წონასწორობაზე, და იგი ვერ აღებს სამყაროს დახშულ კარებს, ფუჭი მცდელობებია, წყლების ნაყვა — რიცხვების სისტემაში 0,054 არაფრისმეტყველია. სამგზის ცდომილებაა მირიან ქართველთან, რამეთუ 40 ერთი ციკლის სასრულია და პლუს სამი ანუ 0, 081. პალეოგრაფიულ სასწაულს აღებს ერთადერთი კლიტე — 37 ანუ სამყაროისეული ეზოტერიკის უფალთან გამწონასწორებული ცოდნა.

ლაზარე აღდგინებულია (III)

არც „დამატებებს და შესწორებებს“ ვარქმევ წინდებულ წერილს — **Addenda et corrigenda-**ს და არც „სრული სახით აღდგენას“ — **In integrum restatutio-**ს და არც კიდევ „მარადიული ცხოვრებისათვის“ — **Ad vitam aeternam-**ს — უბრალოა ჩემი გადაწყვეტილება, უმარტივესი და უკეთილშობილესი: ლაზარე აღდგინებულია! დიახ, ამ სათაურს ვჯერდები, რომელიც საკაცობრიო თამაშის რესტავრაციას მოითხოვს 1500 წლის შემდეგ, მაგრამ ლაზარე ხომ მხოლოდ ქართული სულიერების აღზევებით არ ამოიწურება, ლაზარეა ყოველივე, რაც წამომუხლებას მოითხოვს, ჩამომტვრეული ტოტი თუ ჩამოშლილი ქონგური, ობლის ჭერი თუ ლიბომორღვეული სამშობლო! თუმცა ვიდრე საქმის არსში ძირისძირამდე გაგარკვევდეთ, ერთხელაც მივუბრუნდეთ ვლადიმერ ჩუბინიძის XX საუკუნის კონგენიალურ აღმოჩენას — რიცხვი 13-ის საიდუმლოს:

0 1 : 13 = 0 076 923 3

1 2 : 13 = 0 153 846 14 18 6 3-ით

2 3 : 13 = 0 230 769 9 პროგრესია

3 4 : 13 = 0 307 692 2 (3 — 1)

3 5 : 13 = 0 384 615 17 15 5 3-ით

4 6 : 13 = 0 461 538 8 პროგრესიით

5	7 : 13 = 0 538 461	1 (3—2) და სამით
6	8 : 13 = 0 615 384	19 12 4 3-ით
6	9 : 13 = 0 692 307	7 პროგრესიით
7	10 : 13 = 0 769 230	V 22 9 0 (3— 3) და
8	11 : 13 = 0 846 153	3 - 3-ით
9	12 : 13 = 0 923 076	9 პროგრესიით

როგორც არაერთგზის აღინიშნა, პარადოქსული და ირაციონალური განჭვრეტით მომადლებული პიროვნება ერთ მშვენიერ დღეს გულდასმით ჩაუღრმავდება რიცხვ 13-ის თარსიანობას, კვიმატობას, ლამის ტაბუირებას და, ალბათ, მრავალი მეცადინეობის შემდეგ გამოააშკარავებს მარტივ, მაგრამ ზესრულყოფილ სისტემას:

ამ ციფრების საიდუმლოებაზე თავად ბ-ნ ვლ. ჩუბინიძეს და შემდგომ თქვენს მონა-მორჩილსაც მრავლად უწერიათ ზემორე. აქ შეიძლება ზოგიერთი მონაცემის განმეორება და ახალ მიგნებათა წარმოჩენა:

ნებისმიერი ნატურალური რიცხვის 13-ზე გაყოფისას მიიღება რაღაც მთელი და ექვსნიშნა პერიოდი. რაოდენობრივად სულ 12. პირველი ექვსეულის შებრუნებულია მეორე ექვსეული. ისინი წყვილდებიან უკიდურესობებიდან 1—12, 2—11 და ა.შ. ქმნიან 13-ის სავსებას. ასევე 999999-ების სავსებას ქმნის თორმეტივე ათწილადის არითმეტიკული ჯამი. ნებისმიერი რიცხვის 13-ზე განაყოფის პირველ სამეულს, ვთქვათ 076 წესით უნდა მოჰყვეს სათითაოდ მათი სავსება 9-მდე, მეორე სამეულისა — 923. ასევე 1-დან 12-მდე და გნებავთ მის იქითაც 13-ზე გაყოფისას ვღებულობთ ნატურალურ რიცხვებს თანამიმდევრობით 0,1,2,3,4,5, 6,7, 8,9, სადაც 3 და 6 გაორმაგებულია. ეს იმიტომ, რომ აღნიშნული წერტილები ყველაზე მნიშვნელობისაა 13-ის სისტემაში, და მიგვანიშნებს კატასტროფათა კვანძებს, ანუ რაღაც გლობალურ ზემაგნიტურ აშლილობებს სამყაროისთვის ზოგადად თუ არა, ჩვენი მზის სისტემისთვის მაინც.

I-3-ის ფაზაში საკრალური 076923 ოთხმაგდება და ვღებულობთ 307692-ს.

II-3-ის ფაზაში 076923 ხუთმაგდება. I-ი 6 ფაზა I-3 ფაზის გაორმაგებაა, ხოლო II-6 ფაზა I-3 და II-3-ის არითმეტიკული ჯამია. აღნიშნულ ტაბულას ჩვენ ოთხ ფაზად როდესაც ვანაწილებთ, მეექვსე წევრებად ათწილადისა ვღებულობთ კანონზომიერ პერიოდს, რომელიც 3-ის სიხშირით კლებულობს, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ IV ფაზაში სამეულის პირველი წევრის ბოლო მაჩვენებელი ნულის იდენტურია. შეხედეთ სამკუთხედების სიმრავლეს. ამის შემდეგ გასაკვირია განა კირბები სწორედ სამკუთხა დაფებზე წარწერილი კანონები ყოფილიყო და თავად შუმერული დამწერლობა სამკუთხოვანი იეროგლიფებისგან შემდგარი?! სივრცის შეკვრის უმოკლესი საშუალება სამკუთხედია, ანუ ქრისტიანული პირჯვარის გამოსახვა, სადაც სალოკი სწორია, ხოლო შუათითი მოდრეკილი, ანუ გაღუნული და შეკრულია სივრცე, ორი პარალელი ვეღარასდროს გადაიკვეთება რეალურად, თუ არა აბსტრაქციაში, ამიტომაც ქრისტეს არ აინტერესებს მიღმეთი იგი რეალობაში შემოაბიჯებს სამკუთხედივით შეკრულ განზომილებად. მსგავს პარამეტრებს ვერასდროს დაიკვეხნიან ვერც ბუდა და ზარატუსტრა, ვეღარც მუხამედი, ვინაიდან ქრისტე ეზოთერიის ენაზე ზესრულყოფაა.

თაყვანი, უფალო, ჩემო ძლიერებას შენსას!

ქრისტე იმიტომაც არის სრულყოფილი ღმერთკაცი, რადგანაც მან აბსტრაქციული რეალურამდე ჩამოაქვეითა, ხელშესახები გახადა თავისი საწმყსოსთვის. მართალია, დროებით ეზოთერიის საბურველში გახხვია, ,,ოდეს ვარდი გაიაფდეს" პრინციპიდან გამომდინარე, და განგებ მიაძინეს ლაზარეს წიაღ, მაგრამ ორიათასი წლის წინ გარემომცველ სამყაროსთან ერთად ჩინებულად უწყის, რომ ამ საიდუმლოს ამოხსნიან — სწორედ ჩუბინიძეების, ალაზნისპირელთა, იგივე იბერიონელთა საძმოს, იოანე-იონას გონება-სხივმოსილებით ბოლოს და ბოლოს გური ოტობაია — გურუ — შეაჯამებს მოძიებულ მასალათა წყებას და სინთეზური აზროვნების წყალობით შეუთავსებლის შეთავსების

ალქიმიით ნაწილებისგან გამოიყვანს მთელს, ჭეშმარიტ რეალობას, თვალწინმდებარეს, მაგრამ სიკვდილის წამალივით უჩინარს. ქრისტე იმიტომაცა არის უდიდესთა შორის უუდიდესი, რომ მის მცნებას ზურგს უმაგრებს ბრძენთაბრძენი იოანის, იგივე იოანეს თუ ლაზარეს — ქართული ენის(ეთნოსის) იგივე ქრისტეს კვართის, სამოსლის გენური შეჭიდულობა წარმართულ ფესვებთან. ამიტომაც გროვდება ნატურალური რიცხვების 13-ზე გაყოფისას 9-ბის ლაშქარი, კაცსა და ღმერთს შორის გარდამავალი მდგომარეობა, სრულყოფილებამდე რაღაც მემილიარდედით, თუ მეკვინტილიონედით ნაკლები; არც მთლად ზღვარკიდულობის მოხელთება, თუმცა კი დაუცხრომელი სწრაფვა ამ აბსტრაქტული უსამნობისკენ.

ჩემს სიხარულს საზღვარი წაერთმევა, როცა სუფთა ქაღალდზე უნებლიეთ საკმაოდ პროპორციული კვადრატს ავაგებ და ნელ-ნელა შევუდგები მის დანაწევრებას ცხრა-ცხრა ტოლ ნაწილად. ცოტაც და ჩემს წინ აღმოჩნდება 9 განზომილებიანი ცხრილი. თვალის ერთი შევლებითაც მყისვე მივაგნებ მე ამ გეომეტრიული სხეულის ცენტრს, რომელსაც უკვე ჭადრაკის ენაზე თუ ვიტყვით Ш 5-ის ეკვივალენტურია. მთელი არსებით მივაჩერდები ამ მდგრად და უძრავ წერტილს, როგორც სამყაროს, იდეათა საშოს, ყოვლიარის საყრდენს და სამკვიდრებელს. მერე ნელინელ დავიწყებ უჯრების შეფერადება ჰორიზონტალ-ვერტიკალის მიმართულებით. ჩემდა საკვირველად აწ E 5 უჯრა კოორდინატთა სისტემის ღერძის თვისებას იტვირთავს და მის გარშემო რვა უჯრა დაჯდება უნებლიეთ. 4 — ხორიზონტალში და ამდენივე ვერტიკალში. მე არ გამიძნელდება ამ გეომეტრიული სიდიდის ამოცნობა. ეს გახლავთ ტიპიური ჯვარი, სტატიკურ მდგომარეობაში, სწორედ ისეთი, როგორზედაც აცვამენ ჩვენს უფალ იესო ქრისტეს. რატომღაც დიდხანს შევრჩი თეოლოგიურ ჭვრეტას და მოულოდნელად, ჩემდა უნებურად, ლამის გულის შემკუმშავად, ეს სტატიკური, მონუმენტური ჯვარი ადგილიდან იძრება;

დიახ, აშკარად, თვალნათლივ იძრება ადგილიდან საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგოდ. ამისთანა სიზმარი მე უკვე ნანახი აქვს რაღაც ცამეტიოდე წლის წინ, როცა „სიცოცხლემისჯილების" პასაჟებზე ვმუშაობ და ჩემს მთავარ გმირს მიეწერება ავტორისეული ხილვა ესე, Ი-ნისმაგვარი კარიბჭეთი რომ შეაღწევს მორიელისბოლოებიან ტრიფოლიატის ეზოში, რომელ კარიბჭეს ერთ მხრიდან მტრედი გახლართულა და მეორე მხრიდან — ყორანი. მოჟრიამულე ახალგაზრდობა ერთობა იმ ცოცხალი გალავნის მიღმა. ჩემი გმირიც იხვეწება: მეც ჩამრთეთ თამაშშიო. გადმოუგდებენ ფერად ბურთს, თავს დაუხვედრებს მისაბრუნებლად, ის კი სფეროს ნაცვლად ქვა აღმოჩნდება, თხემი ჩაელეწება, პირი ტვინითა და სისხლით აევსება. და აი, ამ მომენტში ჩემი ბუტუტი, იგივე ბონდო ჰალიძონია, ამჩნევს, რომ ბალახში დაგდებული ლოდის პირისახიდან ეკრანი ცოცხლდება — საათის ისრებდაძრობილი ციფერბლატი, სადაც ელვისებურად ენაცვლებიან ერთმანეთს ნატურალური რიცხვები — **1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 0** — თავიდან და ისევ თავიდან. მე გული შემეკუმშება უნებურად, რადგანაც ოდესღაც, ძილბურანსა თუ ნახევრადცხადში, აშკარად მეხმიანდება ოდინდელი მოლანდება, ხორცს ისხამს სულ სხვა ბუნებით, მუნჯის ენაზე მელაპარაკება დედას თუ ძეშობილს და იძრება იგი, ტლანქი, მოუხეშავი ჯვარი, საათის ისრების მოძრაობის საწინააღმდეგოდ, და ერთიანად დაძაგრული, კინკრიხოზე თმააჯაგრული გაფაციცებით მივადევნებ თვალს ამ უცნაურ მეტამორფოზას ფარატინა ქაღალდზე. გაოცებათა მწკრივს, ახლა უპირატესი გულისძგერის გამხშირებელი განცდაც მოეძალება, ვინაიდან კოორდინატთა სისტემა თითქოს ერთბაშად გამომეცლება ხელიდან, თითქოს წამერთმევა თვალწინმდებარე გასაგნებული ჯვრის სიმეტრია. იგი მთელი ორმოცდახუთი გრადუსით გადაიხრება იგრეკ ღერძის უარყოფით სივრცეში, წაერთმევა წელანდელი სიზვიადე, სიმდგრადე, აუმღვრევლობა, წავიწროვდება, წაგრძელდება, გახაეროვნდება თითქოს და აქამდე კვადრატის ცენტრიდან რომ მიმზერს მომნუსხველი აკადემიზმით და თავისთავში დაუნჯებული სიმშვიდით, საკვირველი სიბასრით აღიჭურვება, აი, ხორცსაკეპი მანქანის ჯვარს რომ ახასიათებს, იმგვარით. თანაც შავ-თეთრი უჯრების კანონზომიერი მონაცვლეობა განქარდა უმალესად. უკვე სრულიად აშკარად, სრულიად საცნაურად საჩინოვდება ჩემთვის კვადრატის დიაგონალებზე დამკვიდრებული ჯვრის ჩარუხებული სილუეტი და მაშინ უნებლიეთ ნიკაპი ამითრთოლდება — დაბეჯითებით ვიგრძნობ როგორ შემეხება უფლის ხელი და სული, აბრეშუმის ქსოვილზე სანდომიანი და სათნო.

მე უკვე თვალნათლივ ვააშკარავებ მარადიული მოძრაობის კანონს, რომელიც არც კი ვიცი რა ძალა აამოქმედებს ჩემს თვალწინ, ჩემში, ზენაარი თუ ცამეტიოდე წლის წინ კოშმარულ სიზმარში გამოცხადებული. არ ვჩქარობ აბსტრაქტულად გამოსახული ჯვრის მეზობელი უჯრების შეფერადებას.

არა, ნამდვილად არ ვსულსწრაფობ და მოგვიანებით ჩემს ნაღვაწ კვადრატს რომ დავხედავ — ჭადრაკი! ჭადრაკი! — მიკივლებს გონება.

დიახ, ცხრაგანზომილებიანი ჭადრაკი გაცოცხლდება ჩემს წინარე და უკვე წინასწარმეტყველის

ტკბობით ვესათუთები მას. აწ არ გამიძნელდება აბსტრაქციითვე მისთვის ტრადიციული ჭადრაკის დატოლება. არაფრად ვაგდებ მორჩენილ უჯრებს, რადგანაც ვიცი ადრე თუ გვიან ისინი ჭადრაკის ფუნქციით დაიტვირთებიან. დიაგონალური ჯვარი კი თავისთვის ტრიალებს და ტრიალებს.

ჯვარი ქრისტიანული როდია. მისი ძირები უხსოვრობაში იკარგება. აკი, ვახსენეთ რამდენიმეგზის ზემორე, მხოლოდ მისი მოძრაობით წარმოიქმნება ბორჯღალი, ფეიერვერკებზე რომ გვიხილავს მექსიკურ კინოებში მოოქროვილი კუდებით კოშკების თავზე. ჯვარი იგივე ადამიანია თავისი ანითა და ხოეთი.

განვითარდება თუ არა ჭადრაკი? ეს კითხვა უტრიალებდა თავში მრავალ რაციონალიზატორს და უტრიალებს კვლავაც უამრავ ავტორსაც. ამ კითხვას ყველა ერთსახოვნად პასუხობს — დიახ! იგი კვლავაც გაივლის მეტამორფოზათა ფაზებს, მაგრამ როგორც ისინი ასაბუთებენ ცვლილებები უნდა იყოს კანონზომიერი საჭადრაკო აზრის სრულყოფილების გზაზე. მხოლოდ მაშინ, როცა შემოქმედება დაემორჩილება თანამედროვე ჭადრაკის ჩარჩოებს, იგი მიიღებს ახალ ფორმას ad ungvem-ამდე, სრულყოფილებამდე;

ეს არ აწყენდათ ახალი ჭადრაკის გამომგონებლების წყებასო, დასძენენ ისინი, გაეთვალისწინებინათ, ერთი რეალობა, რომ დღეს არაა ჩვენს სინამდვილეში საჭიროება დავამსხვრიოთ თამაშის არსებული წესი, შემოვიყვანოთ ახალი ფიგურები, გავაფართოვოთ ჭადრაკის დაფაო.

ჭადრაკს თავიდან ჩატურანჯა ერქვა, რაც ოთხნაწილიანს ნიშნავს, რომელსაც ოთხი პიროვნება თამაშობს. ჭადრაკი იმ ათასხუთასი წლის წინ 64 უჯრიანია. თვითოეულ მათგანს ჰყავს 4 პაიკი, თითო კუ, მხედარი, ეტლი და მეფე. წითელი და ყვითელი ფიგურები იბრძვიან შავებისა და მწვანეების წინააღმდეგ. ხოლო თავად ჭადრაკის დაფა ერთფეროვანია. აქ უმაღლეს ფიგურად მკვიდრობს კუ. მოგვიანებით ინდოეთის მეზობელ ქვეყნებში ეს თამაში არსებით ცვლილებებს განიცდის. გადაუსხვაფერდება სახელი — შათრანჯ. უკვე ოთხის ნაცვლად ორი პიროვნება პაექრობს. არაბეთის აღზევება ახალ იმპულსს შესძენს გენიალურ თამაშს. გაჩნდება გაგება „შახმატისა", რაც სპარსულად ნიშნავს: „შახ" — მეფე, „მატ" — სიკვდილი მეფის მოწინააღმდეგეს. ყველაფერი ევოლუციურად ვითარდება. პაიკი გააორმაგებს სვლას. სამუჯრიანი სვლიდან შეუფერხებელი უფლებები მიენიჭება ეტლს, XV საუკუნიდან გახდება ლაზიერი უძლიერესი ფიგურა, ხუთასი წლის წინ შემოიტანენ როქს. საქვეყნოდ ცნობილი მარცვლის ამბავი მოგეხსენებათ. მხოლოდ 64-ე უჯრისთვის იმ გენიალურ გამომგონებლის გოროზ რაჯასგან უნდა მიეღო 87 **076** 25546692566 ხორბლის მარცვალი. პაიკი 8-ვე ხორიზონტალზე ლაზიერად ცოცხლდება, თანაც შატრანჯის ეპოქაში იგი სუსტი ფიგურაა თითო ალმაცერი სვლით. ადრე მოგებად მიაჩნიათ მატიც და ფათიც, თუმცა ეს სიახლეები ხელის ერთი მოსმით როდი მკვიდრდება ჭადრაკის მეტამორფოზის ნარ-ეკლიან გზაზე. ჭადრაკის ნაირსახეობათაგან აღსანიშნავია მონღოლური ჭადრაკი, სადაც — აქლემი ჰქვია, პაიკს — ბიჭი და ეტლს — ლაზიერი.

ჭადრაკის გართულების იდეები სამასი წლის წინ წარმოიშვა. იტალიელი პიეტრო კასიერა □1617 წ.) ამტკიცებს, რომ აუცილებელია ჭადრაკის დაფის გაწელვა 10 უჯრამდე. აქ პაიკები 10-მდეა გაზრდილი. ისვე გამოიგონებს ორ ახალ ფიგურას „კენტავრს", რომელიც აერთებს კუსა და მხედრის სვლებს. და „კამპიონს", რომელიც აჯვარებს მხედრისა და ეტლის მოძრაობებს. მოდერნიზაცია საჭადრაკო სივრცეში კვლავაც ხორციელდება, თუმცა ისინი არ პოულობენ მხარდაჭერას ტრადიციული ჭადრაკის მიმდევართაგან. ასევე განუხორციელებელი დარჩება ინგლისელი ოსტატის, ალექსანდრის წინადადებანი, რომელიც მოითხოვს მეფისა და ლაზიერის ადგილსამყოფელის გაცვლას კუთა პლაცდარმაზე.

— ჭადრაკს დიდი დრო არ დარჩა თავის საიდუმლოთა შესანახადო, — აცხადებენ ლასკერის კვალობაზე ზოგნი და კვლავაც გვთავაზობენ ექვსკაციან ჭადრაკს, აბსტრაქციონიზმის სულისკვეთების იდეებს, მოითხოვენ ფიგურების გადანათვლასაც და ვინ მოსთვლის. ჩვენთვის ამოსავალი წერტილია ჩინური ჭადრაკი სიანცი, რომელიც გარდამავალი ეტაპია 8 უჯრიანი ჭადრაკიდან 9 უჯრიანზე, იმ სახესხვაობით, რომ სიანცელების ფიგურები სხედან არა უჯრებში, არამედ ხაზების გადაკვეთაზე, ჯვრებზე, ასე რომ ერთ უჯრაზე მათთან შესაძლებელია 4 ფიგურის განლაგება. სიანცელების მიახლოებითობა ჩვენს მოსაზრებებთან ემპირიული ხასიათისაა, ახალი იდეა ჩაღვრილია ძველ ტიკჭორაში, ხოლო თუ ბიბლიას ვერწმუნებით ახალ ღვინოებს ჩაასხამენ ახალ თხიერთა, რამეთუ ღვინის აბორგებამ არ განხეთქოს ისინი და არ დაინთხნენ. სიანცელების ჭადრაკი არ არის ბუნებრივი სვლა გამარტივებისკენ, პირიქით აქ გართულებულია მოვლენათა სინატიფე და 9 უჯრის მოთხოვნილება რაღაც შინაგანი ხმის ძახილით ამოიწურება.

ორიგინალობა ორიგინალობის წილ ფორმალიზმითაა ცნობილი, და რადგანაც იმთავითვე გაგ-

ვეგება უბრალოების ჭეშმარიტება, თანამედროვე ჭადრაკის რეორგანიზაციის სურვილი ჩვენთან მოტივირებულია მხოლოდ და მხოლოდ მარადიული მოძრაობის, ჯვრის პრინციპის დამკვიდრებით ჭადრაკში. დანარჩენი ცვლილებანი კი სწორედ ამ სამყაროსეული ჭეშმარიტებითაა ნაკარნახევი. სიანცელებთან ლაზიერს ჰქვია — ში, არის ორიგინალური ფიგურა ჰაო — ქვემეხი, მაგრამ მოვეშვათ ყოველივეს და მივყვეთ იმ გზას, რაც უფლით ნაკარნახევია. აქ მოყოლილის მთელი არსებით განცდისას ყურანი მომაჩეჩებს ᲫᲔ თავი, კათ. 23-ით:

„23. ჯოჯოხეთში ჩააგდეთ ყოველი ინდიანი ურჯულო. 24. რომელიც კეთილის წინააღმდეგი იყო, სჯულთა არღვევდა და იჭვნეულობდა. 25. რომელიც ღვთის თანაბრად სხვა ღმერთებს ამკვიდრებდა, საშინელ ტანჯვაში ჩააგდეთ ეგე“, მაგრამ როგორ შევჩერებულიყავი, როცა ჯვარი ბრუნავდა ჯორდანოსებურად?! ისე კი, ჩაგდებულია და მერე როგორ, კაცობრიობა სრული, ჯვრის პრინციპებიდან გადახვევის გამო, ანუ ასიმეტრიული ცხოვრების წილ. გადის ჰ არმონიულად გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობანი. სინქრონულობა წაერთმევა სულიერსა და მატერიალურს. საკუთარი ხელით შექმნილი ურჩხული ყელში წაუჭერს შემოქმედს თვისას და ლამისაა სული ამოჰხადოს და ნავთობი, რომელიც კუვეიტში ამოიქაჩება, სავალალოდ მხოლოდ კუვეიტის აყვავებას ხმარდება, თითქოს და მთელი დედამიწის, მთელი ცივილიზაციის საკუთრება არ იყოს. ასიმეტრიულია ჩვენი ცხოვრება მრავალი ასპექტით; აქ კი ერთი ფრაზით გამოვკვეთავ სათქმელს: 13 რიცხვის სისტემა, რომელიც ჯვრის პრინციპით განალაგებს რიცხვთა უსასრულობას, და ქრისტე, რომელიც მარადიული მოძრაობის სიმბოლოზე — ჯვარზე გაეკვრება ადამიანთა მანკიერი სულების გამოსახსნელად; ეზოთერიულ საიდუმლოებათა ხალხში გამოსატანად, მოითხოვს პოლიცენტრული ჭადრაკის მონოცენტრულზე გადაყვანას, სადაც ცენტრი ნაპოვნია ერთხელ და სამუდამოდ Უ: სახით, რაც შეეხება A1 — J9 და J1 — A9 გადაკვეთა ჭადრაკს კოსმიურ აღნაგობას შესძენს. ჩვენ მოგვიანებით, ბევრი ფიქრისა და ტვინისჭყლეტის შემდეგ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ „სამოთხი“ დიახაც სამებისა და ჯვრის ერთიანობაა; რომ „94“ უმაღლესი სრულყოფილების (9) სწრაფვაა ჯვრის, იგივე დაუსაბამო მოძრაობისკენ; რომ ლაზარე ამ ცოდნათა ერთობლიობაა (და კიდევ მრავალთა) ქართული ანბანის მეშვეობით დაშიფრულ-მიძინებული; რომ 81 უჯრიანი ჭადრაკი 9-ის ზეიმია, ეპიცენტრის სიმკვიდრეა და აისბერგის წყლით დაფარული, უჩინარი ნაწილია, რომელიც აქამდე ტრადიციული, 64 უჯრიანი ჭადრაკის იერით გამოიყურება წყდიადიდან; რომ ჰომეროსის „ილიადა“ ცხრიანების ზურგისქარით ბობოქრობს კვლავაც; რომ დედამიწის და გნებავთ კოსმოსის, ე.ი. როგორც ამოცნობა, გამოყენება და მართვა შეუძლებელია ამ კანონზომიერებათა იგნორირებით; რომ საკრალურ ცხრაზეა დამყნობილი მთელი ქართული ზეპირსიტყვიერება — ცხრათვალა მზე □ჩხორთოლი მეგრულად), ცხრაწყარო, მეცხრე ცა, ცხრაკლი- ტული, ცხრათავიანი დევი და ა.შ. დაბეჯითებით გვისურათხატებს ჩვენი გონიერი წინაპრის აწმიძინებული, აწდაკნინებული ცოდნის ნამუსრევს, მაგრამ როცა სნეულება დადგენილია, დიაგნოზი დასმულია და წამლის რეცეპტიც ხელთა გვაქვს, ვფიქრობთ, იმ უებრო საშუალებათა დამზადება საერთო ძალისხმევით არ გაძნელდება.

დაგვეთანხმებით, ყოველივე განცდილის შემდეგ, საღი თვალით როგორ შემეხედა A — H პოლიცენტრული ჭადრაკისთვის?! სამომავლო ჭადრაკზე ტრადიციულის დატოლება „ზედმეტ“ 17 უჯრას მოაშიშვლებს, მაგრამ დროებით, სანამ აბორიგენული ფიგურები ახალმოსახლეობას იზეიმებენ A — I, 81 უჯრიან ჭადრაკზე. ჩვენ არ გაგვძნელებია „რედუმენტი“ სივრცის დანომრვა. ლათინური ენისა და მათემატიკის ელემენტარული ცოდნა დაგვაკვალიანებს აქეთკენ. 8-ს ხომ 9 მოსდევს რიგითობის მიხედვით, H — J მეცხრე რომაული ალფაბეტის კვალობაზე. საჭადრაკო სივრცეში 9-ისა და J-ირაციონალურის სიდიდეების დამკვიდრება, კვლავ ახალ წანამძღვრებს წამოატივტივებს. კონკრეტულად — სტატუს კვო მდგომარეობაში, ოთხი სათამაშო უჯრის შევსების პრობლემას. პაიკთა მწკრივი ბუნებრივია, მათივე ბადალი და ტოლფართი ფიგურით შეივსება, ჯარისკაცს ჯარისკაცი დაუამხანაგდება, მაგრამ რა უნდა მოგვეხერხებინა J1 და J9 უჯრებისათვის? რომელი ფიგურებისთვის მიგვენდო მათზე დაბინადრება? ისევ გაორმაგებული ლაზიერისთვის, ტრადიციისამებრ, თუ ზეგარდმო, ღვთიურ-საკრალურისთვის. თუმცა მოდით, ვიდრე სათქმელს ბოლომდე ამოვწურავდეთ განვიხილოთ დღევანდელი A — H და მომავლის A — J ჭადრაკის დაფანი ცალ-ცალკე და ურთიერთმიმართებაში. როგორც შევნიშნეთ A — H არ გააჩნია ცენტრი, უკეთ აქ ცენტრი 1/4 სივრცის იდენტურია, რაც უცხოა საგნის ბუნებრივი მდგომარეობისათვის. მე ვიცი ახლა, როგორ ამიხირდებიან ჭადრაკის ყუთებისა და ფიგურების მწარმოებელი მაგნატები, რომელთაც უკვე გამზადებული აქვთ ათასობით კოლოფი, მართალია, შეფერადება ვერ მოუსწრიათ (ისინი რამდენადმე მოგებული დარჩებიან) გამოთვლილია ჭადრაკის ყუთის სივრცისა და ფიგურების პროპორციული შეთანაწყობა, რომელსაც ჩვენი თეორია ხელის ერთი მოსმით აცამტვერებს, ნიავ-ქარს ატანს მათ ბიზნესურ ზრახ-

ვებს. ძველი ჭადრაკის დაფის თუნდაც 81 მონაკვეთად დაყოფის შემთხვევაში, ოთხი ფიგურის წამატების გამო აწდამზადებული გაბარიტებით თამაში მოუხერხებელი ხდება. საჭირო შიქმნება ახალი ყუთის დამზადება, ან თავად ამ ფიგურათა პარამეტრების შემცირება. მოკლედ, ერთ-ერთს უსათუოდ უნდა შეელიონ ისინი, მთლად რომ არ გაკოტრდნენ.

უფრო რთულად გვექნება საქმე უშუალოდ გროსმაისტერებთან, ოსტატებთან, კომპოზიტორებთან, თვით ლიფსიტებთანაც კი. მოკლედ, ბიზნესმენები საქმის ვითარებიდან თუკი სწრაფად აუღებენ სიტუაციას ალღოს, სხვებთან გაჭირდება შეჩვეული ჭირის გადათქმევინება, რომლებიც 1500 წელიწადია შეეთვისნენ თავიანთი იდეების 64 უჯრაში დემონსტრირებას. აბა, როგორ, ლამის აბსოლუტურ ჭეშმარიტებად შერაცხული კომპოზიციები, თვალწარმტაცი ამოცანები და ეტიუდები თითქოს პატივაყრილი წარმოჩინდება ათასებისთვის, და ცხადია, ჩვენც მეტი სიფრთხილე გვმართებს მათი მოსალოდნელი, არც თუ უსაფუძვლო თავდასხმებისგან; მაგრამ ჭეშმარიტების დადგენისას არასდროს მიუგდებენ ყურს მოსალოდნელ შედეგებს, ვინაიდან ჭეშმარიტება არ ცნობს გარემომცველი სამყაროს სიმპათია-ანტიპათიას; ჭეშმარიტება დაჯორგილი ქარავნის კვალობაზე მიაბოტებს ჯიუტად არჩეული გეზით, და გულისგამაწვრილებელ ღავღავს აინუნშიაც არ აგდებს, მაგრამ გენიოსები ხელად იყნოსავენ არსებითის ყოვლისმომცველობას. გნებავს თუ არა შენი ქარავნის მეუდაბნოენი ხდებიან. რომელი ბორკილით აპირებ მერმე მათ დაოკებას, უჩინარით თუ ხილულით? უმაქნისია ორივე. მორფები, ტალები, ფიშერები, კასპაროვები, ქირთბაიები, შანავები და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი, ამ ცხელ გულზე რომ არ მახსენდება, ირეალურის თუ ცხადის საწიერიდან გაფაციცებით შემოჯარვიან ჩემს საწერ მაგიდას და მოუთმენლად ელიან პასუხს. მე უკიდურესად ვგრძნობ მოვალეობას წარსულისა და მომავლის წინაშე და თვალსაც არ ვახამხამებთუკი გენიალური A — H ჭადრაკის უსასტიკესი სიფვარულითა და პატივისცემით მიმოვწევ მის ჩარჩოებს, ოთხ ფიგურას წავუმატებ მის აბსტრაქტულ ორომტრიალს და ვქმნი სამყაროისეულ მოდუსს, რომელიც ყველაფრისმომცველია, ანგრევს დედამიწის მიზიდულობის კანონებს და კოსმოსური ხომალდივით იჭრება სივრცეში, რამეთუ იგი თავად სამყაროს კანონზომიერებათა გათვალისწინებითაა ნაკარნახევ-ნაბრძანები და არა ვინმე პირველთანრიგოსან გური ოტობაიას ახირებულობით, რომელსაც რამდენიმე რომანისთვის თავი ძლივს მოუკონავს და მათი გამოცემაც კი ვერ მოუხერხებია ხელოვანთა საქვეყნოდ ცნობილი ქესეტობის გამო.

მაშ ასე, მივყვეთ მსჯელობათა ჯაჭვს.

ჭადრაკი ცხოვრების მიკრომოდელი რომ არის, (და კიდევ სრული სიბრძნე ინტეგრალური ყოფიერებისა ეზოთერიის ენით) დიახაც მოეხსენებოდა მის კონგენიალურ შემქმნელს, გამომგონებელს, რომელიც რაღაც ქვიშისხელა მარცვალს ინდოეთის ყეყჩი ხელმწიფისგან, ოღონდ ყოველ უჯრაში გაორმაგებით, და რომელსაც იმ ხელისუფლისგან რამდენიმე ტომარა ცერერას ჭირნახულის მიბოძება ებრძანება. რა დღეშიც ჩავარდება სამეფო კარი იმ ერთი მარცვალის გამო მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი. არა, ბატონებო, დანარჩენი 17 უჯრისთვის მე თითოეულში 1 დოლარს ვინებებდი გაორმაგებით, ანუ სულ 65 536-ის შინაარსის ხვლიკისფერ ბანკნოტს, რადგანაც 17 ლარხელფასიანი კაცისთვის არანაკლებ საზღაურად გვემეტება ad honoris ესე. ამისთანა თანხა, იგივეა, რაც ბალისტიკურ რაკეტას ერთი ჭანჭიკი ააწაპნო. ნუთუ ჭკუადაუნჯებული მსოფლიო ისე გაწუწკდება გური ოტობაიასთვის, რომ ჯერ კიდევ გამოუმზეურებელი რიმანების გამოსაქვეყნებლად □რომლებშიც, ვინ იცის კიდევ რამდენი მსგავსი თავსატეხია ნათელფენილი!) ეს მიზერული თანხა ვერ გაიღოს? პირიქით თუ მოხდება ვიტყვი: არა ძმაო, ერთობ გაღარიბებულა ჩვენი პლანეტა და მეც გეგმებს XXI საუკუნისთვის გადავინახავ!

მოკლედ, ხუმრობანი იქით, და A — H ჭადრაკის მეფეს გააჩნია ორი მხარე, იღბლიანი და უიღბლო, მარჯვე და მოუხერხებელი, როგორც ნებისმიერ საგანს და მოვლენას, საერთოდ. ამისთანა მხარე ჩვენს შეიხსაც მოეძევება მოკლე როქის მიმართულებით, ხელმარჯვნივ. მხედრის ბარიერებს გადავლება, კუს გაჩოჩიალება და მოკლე როქით სამშვიდობოსაა იგი საომარი ბატალიებისგან. სამეფო კარზე დედოფალზე პრივილეგირებული პიროვნება გამორიცხულია. მისი გამჭოლი მზერა ყველაფერს წვდება, ყოველ კუთხე-კუნჭულს. მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული მონისტრების მოხსნა-დანიშვნები, იოანე ნათლისმცემელის თავის გაგორება და ვინ მოსთვლის, მაგრამ დედოფალი უსუსური ფიგურაა მხედრის მიმართებაში. იგი ჭირივით ვერ ჰგუობს ამ ჯიშიან ულაყს, რადგანაც ერთი ჰორიზონტალიდან მესამე ვერტიკალზე გადახტომა არხელეწიფება. მისთვის კუნძისხელა წინააღმდეგობაც კი მთაგრეხილია. ლაზიერი ხომ კუსა და ეტლის კომპოზიტია. მაშ, რატომ დარჩება მხედრის სვლები უფუნქციოდ? რატომ არ გაითვალისწინებს ამას ჩემი გენიალურმა წინამორბედი?! როგორც ჩანს, 1500 წლის წინ იგი ჩინებულად გაითვლის ერთობ შეჭირვებულ

ჩემს მდგომარეობას და ოჯახაშენებული მცირედ საზრდოს დამიტოვებს, თორემ განა თავად გაუჭირდებოდება საქმის დამში მოყვანა?!

მართალია, ამ საქმეს პიეტრო 300 წლით დამასწრებს და ეტლს პლუს მხედარს ,,კამპიონს'' უწოდებს, მაგრამ იგი არ არის იმ ლოგიკით ცხებული, რომელი ლოგიკითაც გური ოტობაია აღაშენებს ციტადელებს მომავლის ჭადრაკი- სათვის. ლაზიერი ერთადერთი ფიგურაა ჭადრაკის დაფაზე, რომელიც აინშტაინისებურად თუ ვიტყვით, ფარდობითი განუსაზღვრელობით დაქრის ჭადრაკის უკიდეგანო სივრცეში და რახან დავუშვებთ გამონაკლისს მხედრისთვის, რაღა მაინცდამაინც სუსტის გამონაკლისს?! მაშ, ვინ უნდა დაუპირისპირდეს ლამაზკოჭება დედოფლის კაპრიზებს? ეტლის წყვილეული?! არაფერიც, ბატონებო! სიბრძნით, გონიერებით ცხებული ვეზირი — ლაზარე, რომელიც თავისთავში აერთიანებს სამეფო კარის, სახელმწიფოს მართვის ყველა ძირითად ბერკეტს. ხანდახან მას თავის დახრა მოუწევს მეფის წინაშე დედოფლის კაპრიზების წიაღ, მაგრამ მხოლოდ წამიერად, ვინაიდან საქვეყნო საქმენი ვეზირისგან დიახაც მოითხოვენ დაუჯეებულ ქმედებებს, გნებავთ საკუთარი ჩრდილის გადახტომა რომ ხქვია და აი, თავისი მოხერხებულობის წყალობით, სამკუთხოვნობით, გონიოს პრინციპით იგი ახერხებდა და ახერხებს თავ-კისრის ერთიანობას. მაშ, ასე, A— J ჭადრაკზე, ანუ 81 უჯრიან დაფაზე ფიგურები მიმოიხედავენ და იცოტავებენ J1 თუ J9 პოზიციას თანდათან ჩაჩოჩდებიან მეფის მაგნიტური არედან. ან რა შეუსაბამობაა, როგორი ანაქრონიზმი? დედოფალი მეფის გვერდით კანონზომიერია, მაგრამ ვინ არის კუ, თანაც ხელმარჯვნივ, საღვთო ადგილას! აი, ვეზირი კი სხვა ამბავია. მოკლედ, როცა ფიგურები ძალდაუტანებლად იწყებენ ადგილმონაცვლეობას მეფეთა ხელმარჯვნით, დინჯის ნაბიჯით დამკვიდრდებიან ქვეყნის რეალური წარმართველი ვეზირები და უკვე ჭადრაკიც აბსოლუტური წონასწორობით გაიზმორება. მეფეები სასწორის ღერძის I-IX ჰორიზონტალების ცენტრში მოექცევიან და სრულიად სამართლიანად აღდგება ჭადრაკზე მსაჯულის წლობით მივიწყებული უფლებამოსილებანი. ახლა შევხედოთ მეფისთვის რომელი ფრთაა მთავარი და განმსაზღვრელი? სამეფო კარზე უკვე დედოფალი არაა აბსოლუტური ფიგურა, მას აქამდეც აკლდა მხედრის მოხერხებულობა, მაგრამ მობრძანდება ვეზირი, მართალია, გამჭოლითობას მოკლებული, სამაგიეროდ უსაფრთხოების წრეწირის შემომხაზველი საკუთარი ხელისუფალის გარშემო და ლაზიერის თავნებობაც რამდენადმე აილაგმება. აბსოლუტური არც ვეზირია საჭადრაკო სივრცეში, მხედრის გადახტომებით აღჭურვილს აკლია კუს სიბასრე, მაგრამ სამკუთხოვნების უნარებით ცხებულ ვეზირს სასწაულების დატრიალება ძალუძს როგორც ჭადრაკის დაფაზე, ისე რეალურ ცხოვრებაშიც. ამასობაში დედოფლის გვერდით ადგილებს გაცვლიან მხედარი და კუ და A — J ჭადრაკის ბუნებიდან გამომდინარე დაჭიმული მშვილდის მოლოდინით გაირინდება ჩაყურსული საომარი ღელო. მხედრის თვისებით აღკაზმულ ვეზირს ეიოლება თავისი მეფისთვის სივრცის უმალესი გამონთავისუფლება, ასე რომ, მოკლე როქი ძალაში რჩება შინაარსობრივად. ასევე ხორიზონტალგამოტოვებით მხედრის მეტს რომელს შეეძლება მკერდზე აეფაროს მეუფეს თვისას? ვეზირს, ბატონებო, სახელმწიფო საქმეთათვის დამაშვრალ ვეზირს! მოკლედ, ჭადრაკის დაფაზე დამყარდება აბსოლუტური წონასწორობა. ორ ფრთად, მეფის და ლაზიერის ფრთებად დაყოფილი A — H ჭადრაკი, სიმეტრიის ღერძზე, მეფის იდეალზე დამყარებულ A - J ჭადრაკად მოგვევლინება. მეფე პირველი ხორიზონტალის ეპიცენტრშია, დედოფლის ინტრიგებსა და ვეზირის სიბრძნეს შუა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, მაცხოვარს საერთოდ მარჯვენა მხარე გაცილებით ეიღბლიანება და აქაც მეფისთვის ვეზირი უკეთესი საყრდენი ძალაა.

ორი პაიკის შემომატება A — J ჭადრაკის დაფაზე ლამის შეუმჩნევლად მოხდა, მაგრამ ორი ვეზირის დამკვიდრება სულ სხვა ტალღებით წააქანებს დღევანდელ ჭადრაკს სამომავლოსკენ.

უხვად გამოჩნდებიან ჩარლ ჩაპლინის მსგავსი გენიოსები, რომლებიც ხელაღებით დაგმობენ აქამდე მუნჯ ჭადრაკის ახმოვანებას, მაგრამ ამეტყველებულ კინომატოგრაფს ენა, რომ ვერავინ დააძრობს?!

XXI საუკუნე ხომ ინფორმაციათა დაწნეხვის, კომპიუტერიზაციის ეპოქაა, რომლის შესაძლებლობანი ატომივით იფეთქებს კაცობრიობის თავზე □ცხადია, სასიკეთოდ), ხვალ-ზეგ, ამისთანა შემთხვევაში A — H ჭადრაკის კოჭლობა თვალშისაცემი შეიქმნება. ახლავს ამ საქმეს ერთობ საჭოჭმანო თეზა — ღვთაებრივის დარღვევის ბრალდებები, მაგრამ განა ისევ ჭადრაკის სიფარული, მისი მომავლის მასშტაბურობის მოხილვის სურვილი არ გვიბიძგებს მსგავსი ნაბიჯისკენ?! დაბოლოს, ცივილიზაცია თავად განსჯის მიიღებს თუ არა ლაზარესავით აღდგინებულ ჭადრაკს?! რაც შეეხება ლაზიერის □ფერზ) ხმოვანებას, სიტყვა ,,ვეზირ'' რამდენადმე შეესაბამება აკუსტიკით თავის ალტერნატიულ მეტოქეს, ხოლო ასონიშანი ზ-ს გაბმულობით მინიშნებულია მისი აღმატებულება, უსასრულობის სიმბოლოსთან ჩახუტება და რაც მთავარია, დაცულია ტოლძალოვნება მეფის მარჯვენა და მარცხენა მხარეთა შორის: შინაგან ძვრებსა და სახელმწიფო ინტერესს შორის, სიფარულსა და მოვალეობას შორის. აქ უკვე ჭადრაკი დატვირთულია არა მხოლოდ სოციალური, არამედ ფსიქოლოგიური მოტივითაც. ფაქტი ერთია,

A — J ჭადრაკზე ლაზიერის შესაძლებლობანი გაცილებით გაიზრდება; მას უკვე 27 სვლის მაგივრად 32 სვლის გაკეთება შეეძლება და კვლავაც დარჩება ერთ-ერთ უძლიერეს ფიგურად, მაგრამ არა აბსოლუტურად, უალტერნატივოდ. ლაზიერს დაუპირისპირდება 8 სვლით ნაკლები ვეზირი, ქვეყნის ინტერესების ქომაგი, 24 სვლიანი მხცოვანი კენტავრი ქურუმი. თუ დედოფალია ეტლს პლუს კუ, ვეზირი ეტლს პლუს მხედარია. თანაც A— J ჭადრაკში რამდენადმე წონასწორდება ეტლისა და კუს სიმძლავრეები, თუკი A — H ჭადრაკში მათი შესაძლებლობანი 14 და 13-ია, A — J ჭადრაკში ორივეს ძალმოსილება გაუთანაბრდება 16.

ახლა მოვუბრუნდეთ A— H და A — J ჭადრაკის პროპორციებს.

როგორც აღვნიშნეთ 64 უჯრიანი ჭადრაკი პოლიცენტრიულია. ცენტრის ფუნქციას აქ ასრულებს ოთხი უჯრა D4, D5, E4 და E5. ოთხი უჯრის ერთდროული ცენტრობა დასაშვებია, ვინაიდან ასეთნაირად მიიღო იგი წლების მანძილზე ჩვენმა გონებამ, მაგრამ A— J ჭადრაკის მიხედვით ასეთი საყრდენი ნაპოვნია და ეს გახლავs E 5, ადამიანის სიმბოლო საერთოდ, ადამიანისა, როგორც აქამდე გაგვიმხელია, ხუთგანზომილებიანი რომ გახლავთ და მამრისა და მდედრის ერთობით ღვთიურ სრულყოფილებას აღწევს.

კაცობრიობა წინ მიხყავთ რაციონალიზატორებს, რეფორმატორებს, დონ-კიხოტებს, მაგელანებსა და ვესპუჩებს, აინშტაინებს, ბორბლისა და ჭადრაკის აღმომჩენთ და თუკი მისი სრულყოფილებისთვის რაიმე სიტყვის დაძვრას ვბედავ, იმ ერთადერთი უფლებით, რომლითაც ეს ცხებულნი მოქმედებენ.

მაშ, ასე, თქვენს წინაშეა A — J, 81 უჯრიანი ჭადრაკი ორი 8-8 სვლიანი მეფით, ორი 32 სვლიანი ლაზიერით, ორი 24 სვლიანი ვეზირით, ოთხი 16-16 სვლიანი ეტლით, ორი 16-16 სვლიანი და კიდევ ამდენივე 14-14 სვლიანი კუთი, ოთხი 8-8 სვლიანი მხედრითა და 18 ცნობილი ქმედების პაიკით.

აქვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ A— J ჭადრაკში ლაზიერს ხელმარცხნივ ედგომება მისი ბუნების უკმარისობა მხედარი, როგორც ვეზირს — საკუთარი უძლურობის შემვსები ძალა კუ და — ჭადრაკის გარეგნული სიმეტრიულობა შეიცვლება შინაგანი სრულყოფილი აკუსტიკურობით. გონიერი თამაში ჭადრაკი დაემორჩილება ბუნების უზოგადეს კანონებს და არქიტექტონიკით ლამის მიუახლოვდება უკვდავ „ილიადას“.

და კიდევ ერთიც: შავ და თეთრ კუთა მოძრაობანი ვერტიკალებზე. E5-დან თეთრ კუს 16 სვლის განხორციელება შეეძლება, როცა D5, E6, E5 და E4 პოზიციებიდან შავ კუს მაქსიმუმ 14 სვლის გაკეთება ძალუძს. ეს ორი ზედმეტი სვლა აქტივში ჩავუთვალოთ ვეზირს. მის ფრთაზე უკვე ორი ერთეულით ნაკლები ძალაა ლაზიერის ფრთასთან შედარებით და მათი საერთო სხვაობა ცოტათი შემცირდება. ასევე საინტერესოა თეთრი კუს შეუღწევადობა დიაგონალში, მაშინ როცა კუ შავის მარშრუტი H1, J2, B9 და A8 ჯადოსნურ წრედს კრავს. ძირითადი თავისებურებანი A— J ჭადრაკისა დახატულია. შეგვეკამათებიან ტრადიციული სიმეტრიული განლაგების გამო კუ-მხედრისა. დიახ, ბატონებო, საკამათოა თითქოს გარეგნულად, მაგრამ A— J ჭადრაკის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე ეს ბრალდებანი გაბათილებულია. ვეზირი მეფის ძლიერი, ქუდბედიანი მარჯვენაა, დედოფალი კი რჩება ტრადიციულ ადგილას, მხოლოდ მის გვერდით მოხდება მხედრისა და კუს გადანაცვლებანი, რათა გაირკვეს შემდეგი მიზანდასახულობა — მხედარი და ლაზიერი არის მაქსიმალური ზესრულყოფილება სამეფო კარზე, რომელიც უტოპიურია. ასევე ზეხარმონიულობაა კუ და ვეზირი, მაგრამ რადგანაც არც ლაზიერს მოეთხოვება ამორძალობა და აღარც ვეზირს კდემამოსილება — ერთი სრულფასოვანი მდედრია, მეორე სწორუპოვარი მოაზროვნე, ერთი სიტყვით მხ. C1 და ლ D1 შექმნილია კომპოზიცია სრულყოფილების ილუზიურობის თვალსაზრისით. ასევე ირაციონალურია d F1 და კუ G1 კომპოზიტი სრულფასოვნების გზაზე. მართალია ლაზიერზე რამდენადმე ნაკლებძალიანია ვეზირი, მაგრამ მისი სახით სა ჭადრაკო სივრცეში შემოიჭრება უორიგინალესი ფიგურა ეტლს პლუს მხედარი და ვნახოთ მომავალში როგორ ქარტეხილებსაც დაგვატეხს თავზე. ჭადრაკის დაფაზე არ გვეყოლება ერთადერთი უნიკუმი ეტლს პლუს კუ და პლუს მხედარი, მაგრამ ასეთი სრულქმნილება უფალია თავად ჩვენი, ანუ თავად ჭადრაკის თამაშის პროცესი ათასი ძაფით გადაკვანძული ერთმანეთს და რომც შექმნილიყო მსგავსი საჭადრაკო სიდიდე დაირღვეოდა წონასწორობა მეფის მარჯვენა და მარცხენა ფლანგებს შორის ძალთა თანაფარდობის თვალსაზრისით. A—J ჭადრაკში მეფის მარცხენა მხარეს გროვდება უჯრათაპყრობის შემდეგი პოტენცია — ლაზიერ-32 პლუს ეტლი-16, პლუს კუ-16 და მხედარი-8, სულ საჭადრაკო სივრცის 70 უჯრის პყრობის შესაძლებლობა. ხოლო მარჯვენა მხარეს თავს იყრის ვეზირი — 24 პლუს ეტლი-16 პლუს კუ-16 პლუს მხედარი-8, ანუ 64 წერტილის მოხელთების უნარი. სხვაობა ამ ძალთა შორის 6 პირობითი სვლაა, მაგრამ თუ ვიანგარიშებთ როქის გერგილიანობას ვეზირის ფრთაზე მისი თამაშში მხედრისეული ნახტომე-

ბის ჩართვით, ვფიქრობთ, კომპენსირებულია ის ნაკლული 6 სვლა. არადა, A — H ჭადრაკში ლაზიერის უპირატესობა მთელი 17 უჯრით განისაზღვრება მოკლე როქის საპირისპიროდ. ასეთი და ამდაგვარია ჩვენს მიერ შემოთავაზებული ჭადრაკი A — J ხასიათი, ბუნება, სივრცე და არქიტექტონიკა.

წარმოდგენილი ჭადრაკის შექმნას ჩვენ ვტვირთავთ პატროფილური მოსაზრებებით, იავარქმნილი სამშობლოს აღორძინების თვალსაწიერიდან, რომელიც სრულ ხარმონიაშია ზოგადკაცობრიულ იდეალებთან: როცა სამების ძალმოსილებით შეიკვრება ქართულ-მეგრულ-სვანური მეტყველება, მისი გრაფიკული გამომსახველობა ლექსიკის სახით 9 მილიონ ერთეულს გადააჭარბებს — როგორც აქამდეც იხილეთ, ეს განცხადება მანიაკის ფანატიკური აზროვნების პირმშო არ გახლავთ; ასევე, როცა დადგენილია გენეტიკური კავშირი ნოე-იოანესა და ქრისტეს შორის, ევრიკას წამოძახილამდე ბევრი არ რჩება; ან კიდევ, რაჟამს ფაზისის ძალგულოვან მდინარებაში, 23 ნოემბრის მონაცვლე დილას სრულიად საქართველოსთვის საბურველი აეხდება ცოტნე დადიანის, დაჩიავებულ ჯიშ-ჯილაგისთვის მალამოსავით მოვლინებულ ძეგლს და მის მარჯვენა მხარზე შეფრენილი არწივი აყაშყაშდება არამხუტუ-პრომეთე-ამირანის ღვიძლისგან გამონთავისუფლებული ნისკარტით, დამზრალი ხეებიც კი წამიერად თითისწვერებზე შედგებიან მოახლოებული გაზაფხულის იმედნუგეშით; და ბოლოს, ნონა გაფრინდაშვილის სულიერი მემკვიდრე თაობის აღსაზევებლად უკუნეთს გამოტაცებული A -J ჭადრაკის არქიტექტორს, ალბათ, მაქვს პატივი განვაცხადო: — **დიახ, ბატონებო, ლაზარე აღდგინებულია! - მეთქი**

ეგზოტერიკული ოვალსაჩინოებანი

1	2	3	4	5	6	7	8	9	0	არსი
Ꞓ-ან	ꞕ- ბან	Ꞗ-გან	Ꞙ-დონ	Ꞛ-ენ	Ꞝ-ვინ	Ꞟ -ზენ	-ჰე	Ꞡ-თან	Ꞣ-ჰოე	
Ꞥ-ინ	Ꞧ-კან	Ꞩ-ლას	Ɜ -მან	Ɬ-ნარ	ꞯ -იე	Ʞ-ონ	Ʇ-პარ	Ʝ-ჟან	-ურ	
Ꭓ-რაე	Ꞵ-სან	Ꞵ-ტარ	Ꞷ-უნ	Ꞷ-ფარ	Ꞹ-ქან	Ꞹ-ღან	Ꞻ-ყარ	Ꞻ-შინ	-ფონ	
Ꞽ-ჩინ	Ꞽ -ცინ	Ꞿ-ძილ	Ꞿ -წილ	Ꟁ-ჭარ	Ꟁ-ხან	Ꟃ -ხარ	Ꟃ -ჯან	Ꞔ-ჰაე	-ლი	

1 : 7

2 2 8 5 7 1 4

3

4 (+142857)

5 7 1 4 2 8 5

6

1 : 13

2 1 5 3 8 4 6

3 2 3 0 7 6 9

4 3 0 7 6 9 2

5 3 8 4 6 1 5

6

7

8 6 1 5 3 8 4

9 6 9 2 3 0 7

10 7 6 9 2 3 0

11 8 4 6 1 5 3

12

1 : 91

2 0 1 0 9 7 8

3 0 3 2 9 6 7

4 0 4 3 9 5 6

5 0 5 4 9 4 5

6 0 6 5 9 3 4

7 13,1

8 0 8 7 9 1 2 (+ 10 989)

9 0 9 8 9 0 1

10 1 0 9 8 9 0

11 1 2 0 8 7 9

12 1 3 1 8 6 8

13 7, 1

14 13, 2

15 1 6 4 8 3 5

16 1 7 5 8 2 4

17 1 8 6 8 1 3

18 1 9 7 8 0 2

19 2 0 8 7 9 1

20 2 1 9 7 8 0

21 13, III

22 2 4 1 7 5 8

23 2 5 2 7 4 7

24 2 6 3 7 3 2

25 2 7 4 7 2 5

26 7, II

27 2 9 6 7 0 3

28 13, IV

29 3 1 8 6 8 1

30 3 0 7 6 2 0

31 3 4 0 6 5 9

32 3 5 1 6 4 8

33 3 6 2 6 3 7

34 3 7 3 6 2 6

35 13, V

36 3 9 5 6 0 4

37 4 0 6 5 9 3

38 4 1 7 5 8 2

39 7, III

40 4 3 9 5 6 0

41 4 5 0 5 4 9

42 13, VI

43 4 7 2 5 2 7

44 4 8 3 5 1 6

45 4 9 4 5 0 5

46 5 0 5 4 9 4

47 5 1 6 4 9 3

48 5 2 7 4 7 2

49 13, VII

50 5 49 45 0

51 5 6 0 4 3 9

52 7, IV

53 5 8 2 4 1 8

54 5 9 3 4 0 6

55 6 0 4 3 9 5

56 13, VIII

57 6 2 6 3 7 3

58 6 3 7 3 6 2

59 6 4 8 3 5 1

60 6 5 9 3 4 0

61 6 7 0 3 2 9

62 6 8 1 3 1 8

63 13, IX

64 7 0 3 2 9 6

65 7, V

66 7 2 5 2 7 2

67 7 3 6 2 6 3

68 7 4 7 2 5 2

69 7 5 8 2 4 1

70 13, X

71 7 8 0 2 1 9

72 7 9 1 2 0 8

73 8 0 2 1 9 7

74 8 1 3 1 8 5

75 8 2 4 1 7 5

76 8 3 5 1 6 4

77 13, XI

78 7, VI

79 8 6 8 1 3 1

80 8 7 9 1 2 0

81 8 9 0 1 0 9

82 9 0 1 0 9 8

83 9 1 2 0 8 7

84 13, XII

85 9 3 4 0 6 5

86 9 4 5 0 5 4

87 9 5 6 0 4 3

88 9 6 7 0 3 2

89 9 7 8 0 2 1

90

91 1

სამყაროსეული პროცესები ექვსპერიოდიანია.
ეთერული სიდიდე სამოცგრადუსიანია.
ნებისმიერი სამკუთხედი გაშლილი კუთხის,
წრფის იდენტურია. 2 სამკუთხედის კუთხეების ჯამი
უტოლდება წრეს,360 გრადუსს.ჩვენ ამას მოგვიანებით მეტი
გამოწვლილვით შევეხებით. ახლა კი ვიმსჯელოთ სამი
საკრალური ციფრის —
„7“-ის, „13“-ის და „91“-ის ბუნებაზე.

ბატონ ვლადიმერ ჩუბინიძის მიგნებას შემეცნებითი თვალსაზრისით წინ წასწევს ბ-ნ ხამლეტ წულაია. მართალია, მეცნიერი არ მიუთითებს ნატურალური რიცხვების 13-ზე გაყოფის ცოდნის წყაროთა სათავეს, მაგრამ აქვე შემოთავაზებულია ორი რიცხვის: ბედნიერი 7-ისა და ზესრულყოფილი 91-ის, (ანუ 7X13-ის) ბუნება-ხასიათი.

მარტივი დაკვირვებით დასტურდება, რომ ნებისმიერი ნატურალური რიცხვის 7-ზე გაყოფისას ნაწევრდება როგორც ცხრილში მოცემული კანონზომიერება და პლუს X-7:7. აქედან ადვილი მისახვედრია, რომ ნატურალური რიცხვებიდან 7 ყველაზე იღბლიანია, წარმოქმნის 6 მნიშვნელობას, მაგრამ 13-ის სისტემისაგან განსხვავებით, მისეული ექვსნიშნა პერიოდი, სამი ციფრის სინაკლულით გამოირჩევა. კონკრეტულად 3,6 და 9-ის უკმარისობაა. ეს ციფრები რატომღაც არ მონაწილეობენ 7-ის ეზოთერიაში, თუმცა როცა უკვე ჯერი მიდგება კომპოზიტ, ანუ შედგენილ რიცხვებზე,აქ კე-

თილშობილური თვისებებით მრავალთა შორის წარმოჩინდება სწორედ 13, როგორც ათეულების საწყისი ეტაპი, პირველი საფეხური და მოგვიანებით — 91 — ასეულებთან მიახლოების ზღვარი,ათეულების ჭერი, იგივე ერთთან თანამშრომლობით. აქ წრეწირდება რიცხვების გასაოცარი სიმფონია.

დარწმუნებული ვარ უფლის ბიბლიურ ექვსდღიან მუშაკობას სამყაროს შექმნის ოფლკურებისას დიახაც რიცხვების 7-ზე გაყოფის თეორია ესაძირკვლება, ცხადია, 13-ისა და 91-ის გათვალისწინებით.

მეშვიდე დღეს უფალი დაისვენებს, ვინაიდან ყოველი მეშვიდე განაყოფი მთელია, ახალი განზომილება. ბიბლია რომ ეზოთერული წიგნია, ამის თაობაზე გვარიანად უტეხიათ თავი მეცნიერებს ენგელსის მესვეურობით. მარტო ,,გამოცხადების'' ანალიზი რად ღირს?!

აქვე გასათვალისწინებელია ის რეალობაც, რომ ცხოვრებაში მკვეთრად შემოჭრილი ბანქო, ქაღალდი დელიკატურად და კარტი ჟარგონულად, 13 რიცხვის სემანტიკურობას ემორჩილება, ოღონდაც აქაც, როგორც უამრავ სხვა შემთხვევაში ''13-ის'' ვითომცდა თარსი, ეშმაკეული, ტრადიციულად დამკვიდრებული უიღბლინო ბუნება შენიღბულა ხატებით: 1,2,3,4,5,6,7,8,9,10, თავლსაჩინოა, მაგრამ 11,12 და 13 განგებ და მოფიქრებულად გასურათებულია ,,ვალეტით'', ,,დამით'' და ,,კაროლით''. ხოლო ,,დასტის'' ოთხბუნებოვნება დაკავშირებულია დროის ასტრონომიულ ცვალებადობასთან.

ახლა შევხედოთ თავად 91- ის შინაარსს; აქ მჟღავნდება საკუთრივ 7-ისა და 13-ის გასაოცარი თავისებურებანი. კერძოდ, ყოველ მეცამეტე გასაყოფთან ჩვენ ვღებულობთ ნატურალური რიცხვების 7-ზე გაყოფის ექვსმნიშვნელოვან შედეგს, ექვს სიდიდეს. ხოლო ყოველ მეშვიდე სიდიდესთან — 13-ზე განაყოფს, 12 სიდიდეს.

ასე რომ, 18 განზომილება (6|12), კანონზომიერადაა ჩაკინძული, ჩამოზაიკებული ნატურალურ სიდიდეთა 91-ზე გაყოფისას.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო წესით, ვინაიდან რიცხვები — 7,14,21,28,35, 42,49, 56,63,70,77,84 ერთის მხრივ და მეორე მხრივ — 13, 26, 39, 52, 65, 78, გვაძლევენ 7-ის და 13-ის ტაბულაში დაფიქსირებულ სიდიდეებს.

7, 13 და 91 საკრალური რიცხვებია და აქედან გამომდინარე, მინიშნებულია სამყაროს მამოძრავებელი ძალების — მექანიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გნებავთ— სოციალური მოვლენების პერიოდულობა — მუდმივა ექვსის ეზოთერიულობით; რომ ეს კანონზომიერი ექვსჯერადობა გარდუვალია ზესამყაროისეული აფეთქებიდან მოყოლებული, უდასასრულო სიმცირისეული მოვლენებით დამთავრებული, როგორც ბედისწერა, გარდუვალობა; ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს იოანეს აპოკალიპსში მითითებული ,,666'', ზეუბედურების, გარდუვალობის ეკვივალენტურ ცნებად ,,სატანას'' სახელწოდებით.

ვაგრძელებ საუბარს თვითონ ამ ექვსნიშნა პერიოდზე, რომ ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის უკვდავება, დიახაც ექვსიხშირისეულ პარამეტრებზე ხკიდია და თვითონ ოქროს კვეთას აქამდისაც მოშველიებული ფორმულა ,,618'' და ,,382'' — ცხრილის მიხედვით ,,615''და ,,384'', იგივე წარღვნის თარიღთან დამეზობლებული მარჭვალთა მარჭვალი მგონია. ხოლო ჯვარი სამივე რიცხვის განაყოფისას იქმნება ცენტრში — 7. — 3-4-ის არეალში, 428:571, 571:428. 13. — 6-7-ის სივრცეში — 461:538, 538:461-თან. დაბოლოს 91 -45-46-ის წიაღში. — 494:505 და 505:494.

დაკვირვებული თვალი მყისვე შენიშნავს ერთ გასაოცარ თავისებურებასაც— სამივე ციფრის განაყოფი ჯვარედინდება 4:5-თან შეფარდებული პროპორციით, რაც მთლიანობაში 9-ის სავსებას წარმოშობს.

არანაკლებ საინტერესოდ გვეჩვენება სხვა გარემოებაც:

7-ის სისტემაში ექვსნიშნა პერიოდის სამეულებში დამკვიდრებულია გასაოცარი კანონზომიერება. 1:7 ტოლია ,,142'' და ,,857''; ეს სამეულები მომდევნო განაყოფისას, იგულისხმება 2:7 - თან, რომელიც თანაბარია ,,285'' და ,,714''-ისა. აქ პირველი სამეული მატულობა ,,143'' ერთეულით და როგორც წესი კლებულობს ,,143'' ოდენობით. ეს პროცესი კანონზომიერია მთელი სისტემისათვის.

აქვე ანგარიშგასაწევია ის რეალობაც, რომ ყოველ შემდეგ გაყოფისას მათემატიკური სიდიდე მატულობს ,,142857''-ით და ვთქვათ, 6:7-თან სიდიდის საპოვნელად საკმარისია ,,142857'' გამრავლდეს გასაყოფ ,,6''-ზე, რომ პასუხიც ხელად გამოიძერწება — ,,857142''.

13-ის სისტემაში ექვსნიშნა პერიოდის ტრიპლეტებშიც მსგავსი კანონზომიერი ცვალებადობაა, იმ განსხვავებით, რომ აქ პირველი სამეული ,,076'' მატულობს ,,77''-ით, ხოლო მეორე ტრიადა — ,,923'' — კლებულობს იგივე მოცულობით — ,,77''-ით. ამასთან ყოველ მომდევნო განაყოფისას მუდ-

მივა „76 923“ ემატება წინას, ანუ ორმაგდება და სიტყვისათვის 12 :13 გახლავთ ნამრავლი „12“-ზე, ანუ „923 076“.

91-ის სისტემაში ექვსნიშნა პერიოდის სამეულები განიცდის „11“-ით მატება-კლებადობას. ასე მაგალითად: „010“ მომდევნო, 2-ის განაყოფისას „02“-ია, ხოლო „989“ — „978“. და აქაც დაცულია მუდმივა „10 989“ ჯერადობა გასაყოფის სიდიდის კვალობაზე. ცნობისათვის „48“-ის შეფარდება „91“-თან ბადალია „10 989“-ისა და „48“-ის ნამრავლისა, ანუ „527 472“-ისა.

ვგონებთ ჩვენ ზემორეც გვიმსჯელია რიცხვების მნიშვნელობაზე, სადაც ნებისმიერი სიდიდე ნატურალურ რიცხვებამდე დაიყვანება, განურჩევლად მისი მრავალწევრიანობისა. ასე მაგალითად, „076 927“-ის კაბალისტური ჯამის „%l.l,l?l„l““ ანუ „27“, თუმცა ეს სიდიდეც განიცდის ტრანსფორმაციას უმცირესამდე — „217“, რაც ტოლია 9-ის.

აქედან უმარტივეს დასკვნამდე გოჯისხელა მანძილია — ნებისმიერი ნატურალური რიცხვის 7-ზე, 13-ზე და 91-ზე გაყოფისას ვღებულობთ მარადიული „9“-ის კაბალისტური ჯამის სიდიდეს, ანუ მუდმივ „27“ არითმეტიკული ჯამის განზომილებას.

აქვე გასაოცარია შემდეგი კანონზომიერებაც. მსოფლიო ზღაპრების გვირგვინის „ათას ერთის ღამის“ შემქმნელებმა, როგორც ჩანს, ჩინებულად უწყოდნენ მათემატიკური კანონზომიერებისა. კონკრეტულად კი „7“-ის, „13“-ის და „91“-ის საიდუმლოებისა, ვინაიდან:

$$7 \times 143 = 1001$$

$$13 \times 77 = 1001$$

$$91 \times 11 = 1001$$

როგორ მოვიქცეთ, იღბლიან შემთხვევითობად მივიჩნიოთ?

სიმარტივისათვის განვიხილოთ გრაფიკულად 7-ის სისტემა:

+8+143		- 143	-8
+8+143	285 714	- 143	-8
+8+143		- 143	-8
+8+143		-143	-8
+8+143	714 285	- 143	-8
+8+143		-143	-8

დავსძენდით იმასაც, რომ მსგავსი სტრუქტურული ანალიზი გვაძლევს „13“-ის“ შემთხვევაში „77“-ს ანუ საბოლოო „5“-ს და „91“-ის პირობებში, „11“-ს ანუ „2“-ს. თუ გავითვალისწინებთ „7“-ის პლუს-მინუსს 8-ისკენ სწრათვას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამივე განზომილება 7-თან ფიქსირდება: მეორე და მეხუთე პოზიციაში — „285“714; 714 „285“. 91-ის ეზოტერიკაში ეს განზომილება მოქცეულია „26“-თან (8) და „65“-თან (11). ცხადია ვარაუდებს საზღვარი არა აქვს და უმჯობესია ასაპარეზი დავუთმოთ ცრლკინს, სადაც გაცილებით მეტი სიცხადით წარმოჩინდება რიცხვების „თავბრუდამხვევი“ კანონზომიერებანი.

„ცოლკინის“ შემოთავაზებულ წერილის მიხედვით ხულიო არგეუელისი და დვორინი, სამყაროს ლამის ყველა ნიშან-თვისებას მიაწერენ, რაც განსაკუთრებით სამახსოვროა რეზონანსულ მნიშვნელობით.

თავად ცოლკინი დანაყოფებიანი დაფაა, „260“ უჯრედით.

აქ მათემატიკური სიდიდეები ჩაწერილია იეროგლიფებით, წერტილებითა და ხაზებით.

ასე მაგალითად: „ . “ ტოლია l-ის; „..“ უდრის 2-ს; „ ...“ ეფარდება 3-ს; „....“— 4; „.....“ —5;

ხოლო 6 უკვე მიიღწევა ტირეზე დასმული ერთი „წერტილით“. — ორი წერტილით 7-ია. ტირე სამი წერტილით — 8. ტირე ოთხი წერტილით — 9. ტირე ხუთი წერტილით 10-ია. 11 ორი ხაზი და ერთი წერტილია, 12 — ორი ხაზი და ორი წერტიოი, 13 — სამი ხაზი და სამი წერტილი. მორჩა, ეს ცამეტი სიმბოლო ტრიალებს სულ ცოლკინის ეზოტერიკაში. ჩვენ ცოლკინის კალენდარული ნიუანსებით თავს არ შეგაწყენთ, ვინაიდან ეს ჩინებულადაა წარმოდგენილი ბ-ნ ხამლეტ წულაიას წიგნში „სად უნდა ვეძებოთ წარღვნით ჩაძირული ნოეს კიდობანი“; აქ მხოლოდ მის არითმეტიკულ პარამეტრებს დავჯერდებით.

ვიტყვით იმასაც რომ ცოლკინი „13“-ისა და „7“-ის ერთობლიობაა.

თითოეულ მწკრივში ხორიზონტალურად ციფრები ლაგდება 91-ის ოდენობით.

დაფა მოიცავს სულ 91X20 ერთეულს, ანუ „1820-ს.

ეს ზერელე მონაცემები მიზერულია აწ წარმოსაჩენთან თუ ავტორისათვის ჯერაც დაფარულთან შედარებით.

როგორც ადრე განგვიცხადებია, ჩვენ შორსა ვართ რაიმე პრეტენზიული დასკვნებისაგან, მით უფრო მეცნიერის დაუნჯებული წიაღსვლებისაგან; ჩვენ უბრალოდ დილეტანტის „მიხვედრილობით“ მოგვაქვს ათასწლეულობით კაცობრიობის თვალწინმდებარე რეალობა და ჭაპანწყვეტით ვცდილობთ რაღაც რეალური, ხელშესახები ამოვიკითხოთ მისგან.

კვადრატებით შემოხაზული ბილიკები დედნისეულია. ის ცხადია, რაიმე მოზაიკური ხელგარჯილობით როდი შექმნილა, არამედ ურთულესი სისტემის საზრიანი ბილიკებია ცნობიერების სიმარტივისაკენ.

ხოლო წრიულად შემოხაზული ციფრები ავტორისეული გახლავთ. რომელიც 9 ციფრის ეპიცენტრი „1“-ია. შეიძლება ცენტრის აწევა ერთი უჯრედით, ანუ ეპიცენტრში მოექცეს „13“. ესეც დასაშვებია, მაგრამ თვალსაჩინოება უფრო შთამბეჭდავი რომ გამოგვივიდეს, მოდი, დავკონკრეტდეთ.

6	**13**	**7**
7		**8**
8	**2**	**9**

5	**12**	**6**
6		**7**
7	**1**	**8**

ციფრთა ამ განლაგებაში აუცილებელია გავითვალისწინოთ ჯამისა და ნამრავლის გრაფიკა. გავიხსენოთ ისინიც ჭეშმარიტებისკენ გზის გამკვლევად:

რაჟამს ეს ბარიერიც გადალახულია, აწი ვცადოთ შემოთავაზებული ცხრაუჯრედიდან, იგივე ბითილადან აზრის ამოცნობა.

„1“-ის შემხთვევაში მიმატების და ნამრავლის კვალობაზე ვლებულობთ:

	13	
7	**1**	**8**
	2	

6		**7**
	1	
8		**9**

13+1+2=16
7+1+8=16

6+1+9=16
7+1+8=16

ხოლო მათი საერთო ჯამი ელემენტარული მათემატიკური გაანგარიშებით შეესაბამება „64“, ადრე

გამჟღავნებული ჭადრაკის დაფის უჯრედთა რაოდენობას.

ყოველივე ზემოთქმული ერთხელაც მიგვიყვანს ჯვართან, და მოძრაობის ფილოსოფიასთან. ორი ძელის, ანუ მდედრისა და მამრის ერთობლიობა, რადროს მოძრაობაში მოვა, ვღებულობთ უკვდავებას, — Ѳ|,,-სს ხუთსlხუთს, იგივე ,,10''-ის სავსებას.

ახლა შევხედოთ თავად სამკენჭას, ბ-ნ ზ. ქაფიანიძის მიერ ბითილად წოდებულ თამაშს. ეს გამოსახულებები თურმე უხვად ყოფილა აღბეჭდილი რაჭული კულინარიული ნამუშევრების, ორცხობილათა, ლობიანების, ხაჭაპურების თუ მჭადების ზედაპირებზე.

რაც ცხადზე უცხადესია, ჯამია ორი ასტრონომიული განზომილებისა

ბათილია, ანუ იგივე სამკენჭა, იდენტურია ძველკოლხური, თუ გნაბევთ შუმერული ბორჯღალისა, □ბორჯღალი, ბირჯღალი მეგრულში დღესაც ნიშნავს გაფარჩხულს, გაჩაჩხულს, რაც მოძრაობისას წარმოქმნილი კუდებით იაზროვნება უსათუოდ). და დედამიწის თავის ღერძის თუ მზის გარშემო მოძრაობის, შემობრუნების იდენტურია.

როდესაც ორივე გრაფიკულ სხეულს დავადებთ ერთიმეორეს, მივიღებთ შემდეგ გამოსახულებას:

ეს წინდებული გეომეტრიული აგებულება სხვა არაფერია თუ არა სამკენჭა— ბითილა, იგივე ცოლკინის ეპიცენტრი რიცხობრივად დაფორმირებული და შესაძლოა თვით მფრინავი აპარატის მოდუსიც დილეტანტთათვის დამახასიათებელი ეტნაში თვალდაუხუჭველი გადახტომებით.

სავარაუდებელია რომ ცოლკინი დიახაც ფორმულაა, მოტორი ,,მობილე ინ მობილესი'', რომელსაც დიახაც ხელეწიფება სინათლის სხივის სიჩქარესთან გატოლება, 300 000 კილომეტრის დაფარვა წამში.

ამიტომ არც არის გასაკვირი ბ-ნ ზ. ქაფიანიძის წიაღსვლები რაჭული, მცხეთური და შუმერული თიხის ფირფიტების ბეჭდების ხაზობრივი სისტემების იდენტურობის მიმართებით. მისივე დასკვნით დედამიწის სიმბოლო კუდებიანი ჯვარი, ,,სვასტიკა'', ბრუნვის მიმართულების მიმანიშნებელია მარჯვნიდან მარცხნივ, როგორც სინამდვილეში ტრიალებს დედამიწა.

აკი, მარჯვენა მხარე ამიტომაც არის ასიმეტრიული მარცხენასთან მიმართებაში. ხოლო თავად ასონიშანი ქან-ის რიგითი ნომერი შემხთვევით როდია 24 და რიცხვითი მნიშვნელობა 600, ვინაიდან როგორც ადრე გაგვიცხადებია, ,,24'' დედამიწის ერთი შემობრუნებაა თავისი ღერძის გარშემო.

აქ სხვა განსაკუთრებული საიდუმლეობაცაა, ვინაიდან დედამიწის მზის გარშემო ერთი შემობრუნება სრულებით არ არის საკმარისი სიცოცხლის წარმოსაქმნელად, საჭიროა საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვაც, რასაც დედამიწა ანდომებს 365 დღე-ღამის მანძილზე. ამის თაობაზე გრაფიკულადაც გაგვიმხელია ზემორე, თუმცა დაკონკრეტება აქაც არ გვაწყენს:

6 13 7

7 1 8

8 2 9

ბატონ ზურაბ ქაფიანიძის კვლევა-ძიება ქართული ასომთავრულის ამოსახსნელად, ბატონ რამაზ პატარიძის მიგნებების კვალდაკვალ ფასდაუდებელია. ჩვენთვის გაუგებარია რისთვის გვწიხლავენ ონიანები რაღაც გლობალური პრობლემის კვლევით ტვინჩაქცეული ხალხის ადამიანური მოფერებისათვის, გნებავთ წაქეზებისათვის?! არტემიდას ტაძარი ხომ არ დაგვიწვავს?! ან საქართველოს წარსულ-დღევანდელობა-მომავალი? იგივე სუფევა მოლოქისფერ ბანკნოტებზე ხომ არ გაგვიყიდია?!

უთუოდ კონგენიალურია ქაფიანიძისეული დაკვირვება წრეებისა და კვადრატების მიმართების თვალსაზრისით. დიახაც იგი პირველი დაუდებს საფუძველს ქართული ასომთავრულის ახლებურ წაკითხვას:

რიცხვების — და X პრინციპების დალაგების კვალობაზე ავტორს მიღებული აქვს ოთხი მუდმივი განზომილება:

1+5+9=15 (6)

2+5+8=15 (6)
3+5+7=15 (6)
4+5+6=16 (6)

(გაიხსენეთ, 7-ის, 13-ის, 91-ის მატება-ლებადობა 852)

1+2+3=6 (1x6)
1+4+7=12 (2x6)
3+6+9= 18 (3x6)
7+8+9=24 (4x6)

დიახაც, იგი პირველი მიიღებს შემოთავაზებული კვადრატის შუალა მწკრივში ციფრების წყება: ,,2'', ,,5'' და ,,8'', რის თაობაზე ზემორე მოგვინიშნებია რამდენადმე. ბიქილაში არსებული ორი ჯვრის I ისა და X-ის თაობაზე თავადაც მიუთითებთ, მაგრამ ქაფიანიძისეული მიგნებანი წარუშლელია იმ თვალსაზრისით, რომ ფორმულაში ჩახატული ასომთავრული, იმთავითვე აცხადებს თავის რიცხობრივ მნიშვნელობას, თუ ასტრონომიულ გაგებას.

შემოთავაზებული გრაფიკის მიხედვით ,,ანი'' — 1 რიცხვითი ნუმერაციითა და 1-ის მნიშვნელობით ეხება რიცხვებს: 1+2+4+8=15რაც ეკვივალენტურია ,,1''-ისა, 2+5+8=15

6 - ექვსი საამყაროს მოტორა!

დონი — დ, რიგით მეოთხე, და მნიშვნელობით ,,4''
1+2+3+4+6+8=24
,,24'' ბ-ნ ზ. ქაფიანიძე მზის რიცხვად მიიჩნევს, მაგრამ იქნებ ვივარაუდოთ იგი სავსე მთვარის სიმბოლიკადაც.
ლასი — 12 რიგითი ნიშნითა და 300 რიცხვითი მნიშვნელობა თორმეტი თვის სიმბოლო, ფორმულაში ეხება რიცხვებს 1+2+4+5=12
დიდი ღმერთის სიმბოლო 0
,,ღანი'' — რიგითი ნიშნით ,,25'' და მნიშვნელობით ,,700'' ფორმულაში ეხება რიცხვებს:
2+4+^+7+9=28
ასონიშანი ,,ქანი'' 24 რიგითი ნომრით და ,,600'' მნიშვნელობით, იგივე დედამიწის სიმბოლოა, ვინაიდან ყველა რიცხვს ეხება ფორმულაში: 1+2+3+4+5+6+7+8+9=5-ს,
ანუ ბიქილას თითოეული კუთხის წრებრუნვისას თავის ღერძის თუ მზის გარშემო.
S - ჭარი, რიგით ,,32'' და რიცხვითი მნიშვნელობით — ,,5000''. იგი მარადიულობაა ბ-ნ ზ. ქაფიანიძის მიხედვით, ამდენად აღარც ერთ რიცხვს ეხება; ჩვენეული ვერსიით კი ,,ჭარი'' მხედრულში არსებითად გამოხატავს თავის საკრალურ ბუნებას, იგივე ,,ერთის'' გარშემო შემოხვეულ ,,რვიანს'', აქვე გავიმეორებთ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ასომთავრული S ,,ჭარი'' უსასრულობის ნახევარია მხოლოდ, იგი სრულყოფილებას აღწევს, ამ ასონიშანის სარკისებურ ანარეკლთან შეტყუპებისას.
ვისაც გულდასმით მოუწადინებია ქართული ასომთავრულის ზღაპრულ სამყაროში შევანება, ვურჩევთ მეტი გულდაუნჯებით ჩაუღრმავდეს ბატონ ზურაბ ქაფიანიძის ფუტკრის რუდუნებით გამოცემულ გაზეთ ,,შუმერს'', №28, ივლისი, 1999 წელი.
იმ სიბრძნის ოკეანეში შეცურება მამულიშვილურ ვალადაც მიმაჩნია სიტყვის მეციხოვნე თითოეული ქართველისათვის და აქვე, ყოველივეს დავასრულებთ ავტორისვე მოშველიებულ თვალსაჩინოებას ბატონ რაჟდენ დუმბაძის კონგენიალური აღმოჩენით:
ასომთავრულის შუაწელში შეკრულია ასოშვიდეული, რომლითაც ამოცნობილია დედმიწის მოძრაობის მიმართება მზესთან გამოხატული კოორდინატია სისტემაში, უფრო ზუსტად კი გრადუსებში:

15. — იიე = 60
16. — ონი = 70
17. — პარი = 80
18. — ჟანი = 90 90 180 270 360
19. — რაე = 100
20. — სანი = 200
21. — ტარი =300

ბატონი ზურაბ ქაფიანიძე არ იზიარებს ქართული ასომთავრულის ტრადიციულ თანამივდევრობას, რიგით 22 — 3 ვინს, და რიცხვითი მნიშვნელობის უქონელს ამოაგდებს საერთოდ, 36 — — ხ ,,ხაეს'' - 9000-ის მნიშვნელობით და 37-ე — 10 000-ის შინაარსით. ეს რევიზიონიზმი რიცხვი ,,35'' საკრალურობით აიხსნება და აქ სადავოდ არ ამოგვიტივტივებია, მაგრამ ეს ქმედება მრავალი საყურადღებო მოსაზრებითაა გამაგრებული და ჩვენც რამდენადმე ვიხანოთ, კვლავინდებურად ცოლკინთან მიმართებას დავუბრუნდეთ, უკეთ დავუბრუნდეთ ფორმულას:

4 + /4 + 3/ + /4+3² / = 4+7+13 = 24 (+)

4 x /4+3 / x /4 +3² / =4 x 7 x 13 = 364 (X)

ამ ფორმულით ნავარაუდევია წარღვნამდელი დედამიწის, ანუ 280 ღერძგამრუდებული ჩვენი პლანეტის მოძრაობა, წლის ხანგრძლივობა ბუნებრივი კატასტროფის შემდეგ, რაც 365 დღე-ღამის შესაბამისობაშია.

აქვე ერთი რეალობაც დაგვრჩენია წარმოსაჩენად. თავად ბითილა, ცოლკინი, რომელიც ფართობისა და მოცულობის ჯამია:

ამიტომაც სრული უაზრობაა, გნებავთ ყეყჩობის ზეიმი, როცა ეროვნულ ხერალდიკებზე შვიდბოლიანი ბორჯღალი გამომზეურდება ხოლმე, როგორც მარადიული მოძრაობის სიმბოლო. ეს გრაფიკა არათუ ნაკლოვანი, კოჭლია, მეტიც ცთომილი და სრული 45°-ის უგულებელმყოფელი წრეწირის ხარმონიული დაყოფისას კოსმოგონიური ფაზების გათვალისწინებით. მითუ უფრო, როდესაც 360 გრადუსის 7-ზე დანაწევრებისას აბსოლუტურად არაფრისმთქმელი ასიმეტრიული სიდიდე — 51,428,571. მართალია, ცნობიერება არღვევს თავიდან მექანიკური სივრცისათვის ნიშანდობლივ მათემატიკურ სიზუსტეებს, მაგრამ სიმწიფის ფაზაში იგი დიახაც უბრუნდება თავდაპირველ უნიკალურ კანონზომიერებას გაუცნობიერებლიდან გაცნობიერებული და უმარტივესი ჭეშმარიტებით, იგივე გენიალური უბრალოებით აწ ფორმულასავით ადვილხელმისაწვდომად მოგვევლინება, როგორც პრიმიტიულთათვის, ისე — ხელდასხმულთათვისაც.

აქედან გამომდინარე, აღარაფერია გასაკვირი, რომ ცოლკინისეული, გნებავთ ბიქილასეულ მიხვედრილობებს ,,მობილე ინ მობილე'' ვუწოდოთ — იგივე მოძრავი მოძრავში და ზემორე მოყვანილი რიცხობრივი სისტემები უფრო უმთავრესით, ღერძისეული აღნაგობით წარმოგიდგინოთ:

ამ სამწრფეულში, ანუ მოცულობით განზომილებაში ჩვენ ვღებულობთ ,,I''-ის გარშემოწერილობაში მსუფევ ხორიზონტალურ ღერძს □54-36) 90 ოდენობით, ჯვარედინულ ღერძებს — □46-44) და □54-36) - 90-90 მნიშვნელობით და მხოლოდ ვერტიკალურ მსწრაფველობას, ანუ გზაგახსნილობას უფლისეული მცნებებისაკენ, მოვიხელთებთ 140 ბიბლიური შინაარსით, როგორც ძეცთომილის 5 თვიან განსაწმენდელს.

იგივე სურათი იხატება ,,13'' მისამართით, ოღონდაც აქ მის გარშემო სხვა ციფრობრივი მწკრივი დაირაზმება:

,,13''-ის სამწრფეულში მიიღება □48-30) — 78, □40-38)—78 და □30-48) — 78, ხოლო იგივე ღერძზე □72-55)— 127. გამოდის რომ ,,13'' მონაწილეობითაც იგივე რიცხვთა სასრულობა მიიღება, რაც ,,I''-თან მიმართებაში, ანუ 140. ინტერეს მოკლებული არ იქნება ის რეალობაც, რომ ცოლკინში გვაქვს მთლიანად 91X20 რიცხობრივი სიდიდე, იგივე 1820, რომლის 13-ზე გაყოფისას ვღებულობთ 140-ს. ეს შემთხვევითი

არ უნდა იყოს, ვინაიდან ტაბულას VII მწკრივი გახლავთ მხოლოდ ღია, უსასრულობის იმანენტური, არანაირ პირობითობაზე დამოკიდებული, რომლის კიდური რიცხვების ჯამი კვლავაც გვთავაზობს 14, ორკვირიან რეალობას. — □4-10; 5-9; -8;7 -7;6 -8; 5 -9;4 -10;3 - 11; -2-12 და I-13. □ამასთან ანგარიშგასაწევია თავად მატრიცას კუთხეების თავისებურება: წყება ,,I'' - ,,7'' - ,,13'' და ,,7''. ჯვარედნულად მათი ჯამი გვაძლევს ,,14'' და ,,14''-ს, რაც არითმეტიკული სიდიდის მიხედვით შეესაბამება — 1I.I№''I.!,,;, ანუ კვირა-თა ოთხეულს მთვარის ფაზების მიხედვით. აქედან გამომდინარე ერთგვარ ცდომილებად მიმაჩნია თვით რამაზ პატარიძის თუ ზურაბ ქაფიანიძის ქართული ასომთავრულის 35 ერთეულამდე დაყვანა, ვინაიდან 5 შვიდეული არაფრისმთქმელია მთვარის კალენდარში, ზედმეტია მეხუთე შვიდეული.

ჩვენი ვარაუდით კი ქართული ასომთავრული მთვარისა და მზის კალენდარის ერთობლიობაა. ამას კვლევის მამულიშვილური ხაზის მეცნიერებიც მიუთითებენ. ვფიქრობ ანბანის გასაღები 29 — ცანია, 2000-ის მნიშვნელობით, ანუ ახალი განზომილების, ახალი წრებრუნვის დასაწყისი.

ისიც გასათვალისწინებელია უცილობლად, რომ 29. — ცანი, I — ანის შებრუნებული იდეოგრამაა და სავარაუდებელია შეესაბამებოდეს შედარებით ფართო სივრცობრიობას, კოსმეგენიურობას, მის და-საწყისს მზის სისტემაში. ცანით დაწყებული 29-იდან 37-ამდე დიახაც ცხრა ერთეული თავსდება, ანუ ზუტსად იმდენივე რამდენი პლანეტაცაა მზის საუფლოში. ესეც რომ არა, ჩვენი ბრძენთაბრძენი წინაპა-რი შემთხვევით არ დატოვებდა ციფრთა წყებას ,,8000''-ის დონეზე. ამით ხომ ირღვევა ერთეულების, ასეულობისა და ათასეულობის თავმობოჭილობის აუცილებლობა?!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მკვლევართაგან ესოდენად იგნორირებული 36.ტ □- 9000, და 37. - 10 000), არათუ საჭირო, აუცილებელია ასტრონომიულ-კალენდარად წარმოდგენილი ჩვენი ანბანის ბუნების გასაასზრებლად.

ამასთან მეტი დაკვირვების ღირსად წარმომისახავს თავად ასოთა მოხაზულობის ანალიზი კუდების, ფრთების გათვალისწინებით, ვინაიდან ისინი შესაძლოა ასახავენ მთვარის ფაზებს ცაზე.

ჩვენი ასომთავრული I დან 28-ის ჩათვლით დედამიწის ბედ-იღბალს თუკი შეესაბამება, იგივე მთვარის ფაზებს, ოთხკვირეულს, ადვილმოსალოდნელია, 29. — ცანით დაწყებული ახალი წესრიგი მზის პლანე-ტათა ოდენობისა და მოძრაობათა ეზოთერიული მინიშნებაა.

წინაპართაგან ბოძებული ასომთავრულის რევიზიონიზმი უსაფუძვლო მგონია, ვინაიდან, ჩვენთვის ნათელია დიდი იმპერატორებიც კი როგორ დებდნენ ფიცს საჯაროდ, ოღონდაც მამაპაპურ კალენდარ-ში არაფერი შეეცვალათ, ეს საკრალურობა სისხლში ხქონდა გამჯდარი მის მემკვიდრე ადამიანს ქურუმ-თა, გურუთა ძალისხმევით.

ბ-ნ ზ. ქაფინაიძის მიხვედრილობა ბიქილას მიმართებით ერთხელაც მოითხოვს ყურადღების გამახვი-ლებას:

ამ გეომეტრიულ სხეულში განლაგებული ციფრების ანალიზისას ,,+ '' და ,,X''-ის მიმართულებით მკვლევარმა ოთხი ,,15'' მიიღო —

I — (1+5+9) = 15;

II — (2+5+8) = 15;

III — (3+5+7) = 15;

IV — (4+5+6) = 15;

ჩვენთვის 15 კაბალისტური ჯამით 6- ად წარმოჩინდება ყოველთვის, ანუ ნატურალური რიცხვის უწე-სო გაყოფისას ათწილადთა პერიოდულობით, როგორც კანონზომიერება, იგი ყოველთვის 6-ის სიხში-რით მეორდება, რის თაობაზე ზემორე საკმარისად გვისაუბრია. მაგრამ მიგვაჩნია მკლევარი დაკმაყო-ფილდა დაფიქსირებული კანონზომიერებით და ყურადღება არ მიაქცია კვადრატის გვერდებს, წიბო-ებს, სადაც თანამიმდევრულად მოგვიგროვდა 4 არითმეტიკული სიდიდე:

V — □1+2+3) = 6;

VI — □1+4+7) =12;

VII — (3+6+9) = 18

VIII — □7+8+9)=24.

არც ეს კანონზომიერება გვეჩვენება შემთხვევითად. ახა, წარმოვადგინეთ ბ-ნ ზ. ქაფიანიძისეული ბითილას მნიშვნელობანი გარეგანი პარამეტრებითაც და ვფიქრობ, ოპონენტი აკადემიკოსების ჯოგს ველური ხითხითი გაუჯდა ჯიგრებში, მაგრამ ჭეშმარიტება მარტივ უბრალოებაში სუფევს, სულდგმულობს და არაფერია მოულოდნელი თუკი ,,37''—,,10 000'' შეწრედიანების ხელოვნური გამოცდილება, მაგრამ შევხედოთ მეზობელ დარგებს, ვთქვათ, და მაგალითისთვის ფორტეპიანოს, სუბკონტროქტავიდან დაწყებული ,,ლა''-სი'', გაივლის დიდი და პატარა ოქტავის საფეხურებს, I - IV ოქტავების სრულყოფილ გამებს და დასრულდება V არასრული ოქტავის პირველი ,,დო'' ბგერით. როგორ, მის შემქმნელებს, რაში დასჭირდათ მიკვეცილ-მოკვეცილი ოქტავების დამწყდევა კლავიატურის არეალში? ალბათ, და უცილობლად იმიტომ, რომ ამას მოითხოვს უწინარესად თავად ბგერის ჟღერადობის ბუნება ადამიანის შესაძლებლობასთან მიმართებაში — ზედაბლიდან ზემაღლამდე. და ვინაიდან ანბანის ბუნებაში მომწყდეულია მთვარის კალენდრისა და მზის სისტემაში მოწესრიგებული 9 პლანეტის □I — მერკური, II — ვენარ, III — დედამიწა, გეოიდი, IV — მარსი, V — იუპიტერი, VI — სატურნი, VII — ურანი, VIII — ნეპტუნი, IX — პლუტონი, უამრავი თანამგზავრითურთ), როგორც ვატყობთ, არა მხოლოდ ტელარული არსებობა, არამედ მათ იმანენტური ასტრონომიული თვისებები. ყოველ შემთხვევისათვის ამ მიმართებით ყურადღების გამახვილება ღირს, ვინაიდან თავად ცოლკინის ხულიო არგუელისისეული ანალიზის შემდეგ, რატომ უნდა შევაქციოთ ზურგი ქართული ასომთავრულის შხეფებს ოქროს საწმისიდან, იგივე კირბიდან, რომელიც ინდოევროპული ტალღის, არგონავტების მისიამ მოიტაცა კოლხეთიდან იაზონის სიყვარულით დაბრმავებული მედეის შემწეობით და დღემდე ყრუა მთელი მსოფლიოსთვის ქართველისგან განსხვავებით და რომლის მიზანმიმართული დახშულობისკენ, დაყრუებისკენ აცერებულა ველიკორუსული იმპერია მათი დამქაში ფინიებისა თუ ნების აღმსრულებელი მანქურთების დასით?!

გასარკვევია კვლავაც მოძრაობის საკითხი ქართულ ასომთავრებულში. ამჟამად ჩვენ მარცხნიდან მარჯვნივ ვწერთ, დედამიწის მოძრაობის მიმართულებით და მის შესაბამისობაში აღვიქვამთ თავად ანბანსაც, როცა ასომთავრულის არქიტექტონიკა საპირისპიროს ადასტურებს, ,,ანიდან'' მოყოლებული ''ჰოეთი'' დამთავრებული კუდების, ფრთების განლაგებით. ამისთვისაც უმჯობესია ბიქილას ფორმულაში ყველაფერი წარმოჩინდეს მარჯვნიდან მარცხნივ:

როგორც დავინახეთ 2-5-8, ანუ სამყაროს ღერძი, იგივე ღვთიური გზა თავის პოზიციაზე რჩება. საჭიროება მოითხოვს ორიოდე სიტყვა ითქვას ამის თაობაზე. იგი გათვალისწინებულია ასომთავრულის წარმოდგენის ტრადიციაში რიგითი და რიცხვითი მნიშვნელობის გარეშე, და რადგანაც ეს უკანასკნელი განთავისუფლებულია დასახელებული რეკვიზიტებისაგან, გვრჩება მარტოოდენ როგორც ,,უნის'' საშენ მასალად — სთან ერთად, გავბედეთ და ამოვიღეთ კიდეც ასომთავრულის ,,37'' საკრალურობიდან.

ასომთავრულის სისტემა ლაგდება ცხრა-ცხრა ერთეულად, რომელ შემთხვევაში მივიღებთ ხუთჯერადი შვიდეულის ერთობის ნაცვლად ოთხჯერ ცხრა ეზოთერიას სადაც ,,37'' დამაგვირგვინებელი აკორდია, ანბანის დახურვის ქვეტექსტი. ეს სისტემა აცხადებს ,,91''-ის იდუმალებასაც:



19	20	21	22	23	24	25	26	27	
რ	**ს**	**ტ**	**უ**	**ფ**	**ქ**	**ღ**	**ყ**	**შ**	**19 - 27**
100	200	300	400	500	600	700	800	900	**100 - 900**
ⰟⰟ	ⰢⰢ	ⰣⰣ	ⰤⰤ	ⰥⰥ	ⰦⰦ	ⰧⰧ	ⰨⰨ	ⰩⰩ	

28	29	30	31	32	33	34	35	36	
ჩ	**ც**	**ძ**	**წ**	**ჭ**	**ხ**		**ჯ**	**ჰ**	**28 - 36**
1000	2000	3000	4000	5000	6000	7000	8000	9000	**1000-9000**
ⰪⰪ	ⰬⰬ	ⰭⰭ	ⰮⰮ	ⰯⰯ	ⰰⰰ	ⰱⰱ	ⰲⰲ	ⰳⰳ	

37

ⰴⰴ 10000

პატრიოტიზმი და მეცნიერება ერთად ვერ ძოვს. შეუძლებელია ეროვნული ისტორიოგრაფიის ობიექტური ასახავა პატრიოტიზმის ნიშნით. თუკი მამულიშვილობა არ ემთხვევა აუმღვრეველ სიმშვიდეს, ფარმაკოლოგიურ სიზუსტეს, არც სამშობლოა ჭეშმარიტების იდენტური მამარდაშვილისებურად. აქედან გამომდინარე გასაგებია, ალბათ, ,,ხარისხიანი'' მეცნიერების ცივსისხლიანი დამოკიდებულება საკუთარი საუნჯეების წარმოჩენისას მსოფლიო არენაზე:

— არიქა, ყოყლოჩინობა, კუდაბზიკობა არ დაგვაბრალონო, — ამასობაში კი თვითნაბადი ოქროს მარცვლები მიჰყვება ქვიშის დარდიმანულ გარეცხვებს.

ბ-ნ ზ. ქაფიანიძის სასიქადულოდ მეტყველებს ის რეალობაც, რომ მან უპოვა სიმეტრია ქართულ ანბანს — ასომთავრულს და ამ სიმეტრიის ვერტიკალური ღერძი შესაბამისობაშია 2+5+;-ის პროპორციულ დამოკიდებულებასთან, ანუ ეშმაკის, ადამიანის და უფლის განზომილებებთან, ისეთივე კანონზომიერებაა, როცა 1:13 წარმოდგენილია 0,076 და 923 დანაწევრებით.

ახლა კი დროა მერამდენედ მოვუბრუნდეთ სინელი ბერის ,,ქებაის''.

ამჯერად იოანე ზოსიმეს ზესაკრალურ ტექსტს შევხედოთ ,,დამარხულის'', ,,გასაიდუმლოებულის'', ,,მიძინებულის'', ,,დაფლულის'' თვალსაზრისით:

ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

დამარხულ არს
ენაი ქართული
დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად,
რაითა ყოველსა ენასა □**ერსა**)
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა
და ესე ე ნაი □ერი, ტომი)
მძინარე არს დღესამომდე
და სახარებასა შინა ამასა ენასა □**ერსა, ტომსა**)
ლაზარე ხქვიან...
და ახალმან ნინო მოაქცია
და ხელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამ და მართაი

და მეგობრობაი
ამისთვის თქვა,
რამეთუ ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა **დამარხულ არს.**
და ოთხისა დღისა მკვდარი
ამისთვის თქვა დავით წინასწარმეტყველმან,
რამეთუ ,,ათასი წელი —
ვითარცა ერთი დღეი''
და სახარებასა შინა ქართულსა,
ხოლო თავსა მათეისსა წილი ზის,
რომელი ასოი არს
და იტყვის ყოვლად ოთხი ათასსა მარაგსა, —
და ესე არს ოთხი დღეი
და ოთხი დღისა მკვდარი,
ამისთვის მისთანავე დაფლული
სიკვდილისა ნათლისღებისა მიმისაითა.
და ესე ენაი
შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა,
მდაბალი და დაწუნებული —
მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა
და სასწაულად ესე აქვს:
ას ოთხი წელი
უმეტეის მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე,
და ესე ყოველი, რომელი წერილ არს,
მოწამედ წარმოგითხარ,
ას ოთხი ესე წელი და წილი ანბანისაი''.

მივაქციოთ ყურადღება სიტყვას ,,დამარხულ არს'', ,,მძინარე არს'', ,,სახარებასა შინა ამასა ენასა ლაზარე ხქვიან'', ,,ამისთვის მისთანვე დაფლული სიკვდილისა ნათლისღებისა მისისაითა'', აქ ,,დამარხული'', ,,მძინარე'', ,,ლაზარე'' თუ ,,დაფლული'' გასაიდუმლოებულის იდენტური ცნებებია, გნებავთ ,,დარგულის'', კოდირებულის ტოლფარდი, რომლის შიფრი მოცემულია თავად კოლხეთის ცივილიზაციის მემკვიდრე ,,მეგრელის'' ფონემაში, რომელიც თავად ამ კუთხის ხალხისებურად განსხვავებული ჟღერადობისაა — ,,მარგალს'', რაც ამჟამად ზოგადქართული შემეცნებით უშინარსოა, ბუტაფორია, მაგრამ თავად ,,მარგალ''-ის მშობლიური გაგება ოდნავ თუ გაცნობიერდა ,,მრგველის'', ,,დამმარხველის'', ,,მიმძინებულის'', ,,ლაზარეს'', ,,დამფვლელის'' ,,გამსაიდუმლოებელის'' მიმართულებით, მაშინ ყველაფერს ნათელი მოეფინება, ვინაიდან შეიძენს იმ საკრალური ტომის ვინაობას, ვინც ეროვნულ ფასეულობათა გადამრჩენელია, შემნახველი შთამომავლობისათვის; ანუ მეგრელი ,,მარგალია'', ამ ეზოთერიის დამთესავია, დამაკონსერვებელი.

აქვე ნიშანდობლივია გაგვახსენდეს ბ-ნ ზ. გამსახურდიას დამოკიდებულება ეთნონიმ ,,მარგალისადმი''. მისი შეხედულებით ,,მარგალი'' დამრგველის, გლეხის იდენტურია, ვინაიდან მხოლოდ ის მეტყველებდა სამეგრელოში მეგრულად, ხოლო თავად-აზნაურობა — ქართულით უბნობდა. ,,მარგალი'' და გლეხი გაიგივებულია, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით თვით სამეგრელოს ზეპირსიტყვერების გათვალისწინებით, ,,დამრგველი'', ,,მარგალი'' არსად ასოცირდება გლეხთან, მდაბიოსთან; ამ შინაარსის მატარებელი ტერმინი აღნიშნულ კუთხეში მკვეთრად გამოხატულია სიტყვაში ,,მახაჩქალი'', ვინაიდან სამეგრელოში ხუთიათასი წლის წინათ არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურა არაფრისდიდებით მოითხოვდა ,,დარგვას''. სამეგრელოში იაპონიისაგან და ჩინეთისაგან განსხვავებით ბრინჯი არ ხარობდა, არც ვენა-

ხი და გნებავთ— დღეს ფართოდ გავრცელებული სიმინიდი თუ ჩაი; სამეგრელოში იმ პერიოდისათვის არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით ძირითადი სამრეწველო კულტურა გახლდათ ღომის თავთავი, რომელიც მდოგვის მარცვალივით იმდენად წვრილია, ყველა შემთხვევაში დათესვას მოითხოვს და არა დარგვას.

აქედან გამომდინარე მეგრულს შეუძლებელია ,,მარგალი'' რომელიღაც კულტურული მცენარის დარგვის გამო შერქმეოდა, მაგრამ ამ დარგვას თუ მნიშვნელობას დავუზუსტებთ და ზოგადკაცობრიული მასშტაბის საიდუმლოებათა კირბებზე, კირბისებზე, ოქროს საწმისზე, ასომთავრულით ცხვრის ტყავზე გადატანას ვიგულისხმებთ, ,,მეგრელის'', ,,მარგალის'', დამრგველის, დამფვლელის, ,,დამმარხავის'' ეტიმოლოგია მყისვე გაცნაურდება, როგორც მწიგნობარი ერი, როგორც დამწერლობის მეხვაშიადე ტომი და ყოველივეს, ვფიქრობთ, მტკიცებითი თუ ვერა, ვერსიის სახით არსებობის უფლება უცილობლად გააჩნია.

ამასთან ერთად ყურადღებით გვეჩვენება ფონემა ,,მარგალ''-ისა და ,,მარქვალ''-ის მორფოლოგიური თუ აზრობრივი ნათესაობა. როგორც ,,მარქვალ'' — კვერცხი, ისე ,,მარგალ'' — მწიგნობარი მატარებელია მკვიდრად შენახული სასიცოცხლო ინფორმაციის ხელახალი აღზევებისა, რეპლანტაციისა.

ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს ,,მარგალ''-ისა და ''მეგრელის''-ს რიცხვითი მნიშვნელობის კაბალისტური ჯამი თანაბარი ოდენობის:

13 1 19 3 1 12 რიგითი ნომერი — 49 □13) 4
მ ა რ გ ა ლ
40 1 100 3 1 30 რიცხვითი მნიშვნელობა 175 (13) 4

და პარალელურად იდენტური ენერგიის ძალა:

13 5 3 19 5 12 10 67 (13) 4
მ ე გ რ ე ლ ი
40 5 3 100 5 30 10 193 (13) 4

იგივე სურათი იხატება ,,მარქვალ''-ის წარმოჩენისას:

13 1 19 24 6 1 12 76 (13) 4
მ ა რ ქ ვ ა ლ
40 1 100 600 6 1 30 778 — 4

ამასთანავე ანგარიშგასაწევია ,,მარგალის'', ,,მრგვლოვანის'', ,,მარქვალის'', კვერცხთან მიახლოებულის, კვერცხივით შეკრულის და შენახულის, დამარხულის სამომავლოდ — მეგრულის ქართასთან, ქართთან დაწყვილება, ვინაიდან ქართაც სიმრგვალესთანაა დაკავშირებული, წრეწირთან, შარავანდთან. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს ქვეყნის ერთმა ძმამ — მეგრელმა ასპარეზი რომ დაუთმო უფრო ძლიერს, ღონიერს; სამამულო საიდუმლოთა წიგნებში დამრგველი მეგრელი გზას დაუცლის ახალ ტომს, შარავანდედიანს ფარნავაზის მეთაურობით, რათა ადრე თუ გვიან ახდეს წინასწარმეტყველება და ღმერთმან ყველა ერი, კაცობრიობა, დიახაც ქართის ტომის მეშვეობით ამხილოს, ოღონდ ,,მარგალის'', მეგრელის მიერ მიძინებული ლაზარეთი— საკაცობრიო სიბრძნით. ეს მისტერია განსჯადია და არავითარ შემთხვევაში ექვმედებარება საბოლოო განჩინების პრეტენზიას.

ნიშანდობლივად გვეჩვენება თავად ,,104''-ისა და ,,წილი'' — 4000-ის საკითხიც, რადგან ,,104'' ,,**რ-დ**'', ეს ორთანხმოვანი მხოლოდ მეგრულში აღიქმება ,,იყო''-დ ნამყოფად.

აქვე, ალბათ, გასათვალისწინებელია ქართული ასომთავრულის ასაკის ფაქტორიც. თუკი იგი არ-

ქაულია და ქრისტემდე **284** წელს ფარნავაზის მიერ ქართის ტომის ვერბალურ სისტემაშია მოქცეული, უცილობლად პრეისტორიულ ათასწლეულებში იღებს სათავეს, იმ ნაცარქექიას ჩხირებით მჩხიბაობის პერიოდიდან, როცა კერიასთან ჯერ კიდევ შუმერი თიხით აწრთობდა სიტყვას, იგივე ღმერთს; ხოდა, ყოველივე დასაშვები თუ გახლავთ, იქნებ დღევანდელმა ასომთავრულმა გამოამჟღავნოს კიდეც არქაულობის ხასიათი?!

ამის ნათელ დასტურად გამოგვადგება ასომთავრულის 8-ე სიმბოლიკა — წოდებული ასონიშანი; 60 Ↄ და 7000 Ⅴ მეორე ხ-დ, ,,ხანად'' რომ იკითხება, სინამდვილეში კი ეს ბგერები არქაულია, ანუ ქართიზებულ ანბანს არ შეუძლია მათი გამოთქმა და უფუნქციოდ რჩება, თუმცა ხელუხლებლადაა დატოვებული ,,ალფაბეტის'' საკრალური აღნაგობის გამო.

ქართიზებული ვოკალიზაციით ხე-8-ს ადგილას გამორიცხული არ არის ვიგულისხმოთ 2 ნახევარხმოვანი, დიფთონგი, რომელიც წარმართველია ნებისმიერი ენისა მამანტი ძაძამიას რწმუნებით. ი ადგილას დასაშვებია ჩაჯდეს , მეგრულში დღემდე არსებული და სხვა მრავალ ენაში — რუსულში, გურულ და თუშურ დიალექტებში აქამდე შემონახული. იგივე მეექვსე ხმოვანი, მაგრამ ქართიზაციის პერიოდისათვის ზედმეტი, უფუნქციო და აქედან მიახლოებული ი— იოტას ფონეტიკურ შინაარსს, ანუ ი— მოკლეს.

ასევე 7000 — ასო- ნიშანი ,,ხარი'' მხოლოდ სვანურისთვისაა დამახასიათებელი და ,,ჭ''-დ წარმოიქთმის. ვითვალისწინებ რა ამ სამ თავისებურებას, ქართული ენა აღსდგება თავის მთლიანობაში, უკეთ აღსდგება ქართიზაციის მეშვეობით, კოლხიზმების შესაბამისობაში მოყვანით ზოგადეროვნულ მეტყველებასთან 284 წელს ქრისტემდე.

ქართული ასომთავრული, სრულიად საქართველოს, ენათმეცნიერების, მათემატიკოსების, ასტრონომებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებაში ჭიპმოჭრილი ქურუმების გაკეთებულია თანამედროვე გაგებით, მაშინდელი ვარსკვლავმრიცხველებისა, იგივე მოგვების.

რიცხვი ,,37'' ქართული ასომთავრულის დამაგვირგვინებელი განზომილებაა —ცხრიანების ოთხი სრული ოქტავა, 36 — იგივე წრეწირის, წელიწადის, ნებისმიერი რაობის გარშემოწერილობა თავისი კოდით, გასაღებით, საკრალური ,,37''-ით.

,,37'' კაბალისტური ჯამია 10 და აქამდისაც გვარიანად გაცნობიერებული საკრალური რიცხვების: 7, 13,91-ის მსგავსად ნებისმიერ ნატურალურ რიცხვს ხყოფს □X-37): 37-ის თანაფარდობით და ყოველთვის მიიღება ათწილადი სამნიშნა პერიოდით, ცხრიანების კაბალისტური ჯამის ვარიაციებით. აქ კი თამამად შეიძლება გამართლდეს გენიოსის მითაჟამინდელი წამოძახილი

Evrica!

აი, ჩვენი ასომთავრულის რიცხვითი მნიშვნელობის რაციოგრამა!

,,37''-ზე ნატურალური რიცხვების გაყოფისას ვღებულობთ, 7,13,91 გამყოფთა შედეგების, ექვსპერიოდულ კანონზომიერებათა გასაღებს და ამდენად, უადგილოა, ცდომიალება, დიდი ილიას რეფორმატორული დამოკიდებულება ჩვენი ანბანისადმი, 33 ერთეულამდე მისი დაყვანა. აღარც 35 ერთეულამდე მისი შეკუმშვაა მთლად გამართლებული, თუმცა იგი 5 შვიდეულადაა დალაგებული გარკვეული კონცეფციით. ამასთან იგი უძლებს ხიპერბოლურ შინაარსს მთავრულის 40 ერთეულამდე პროკრუსტესეული აჭიმვების გამო ,,გრაალის თასის საძმოს'' ზეპატრიტული ძალისხმევით.

,,37'' მეოთხე საკრალური რიცხვია 7,13-სა და 91 მხარდამხარ, რომელზეც გაყოფილი ნატურალური რიცხვები გასაოცარი კანონზომიერებით ლაგდებიან ათწილადებად 027-იდან 972-ამდე, ანუ აქ გათამაშებულია გონებისშემძრავი სრულქმნადობა 1000-ისა — 972|1|27!10. მაგრამ მოდით, თავად ჩუბინიძებურად სასწაულს გავუსწოროთ მზერა:

1. — ᲐᲐ 1 — 027 - 9(9)

2. — ᲑᲑ2 — 054 - 9(9)

3. — ᲒᲒ 3 — 081 - 9 (9)

4. — ᲓᲓ 4 — 108 - 9 (9)

5. — ᲔᲔ5 — 135 - 9 (9)

6. — ᲗᲛ — 162 - 9(9)

7. — 87 — 189 - 18(9)

8 — 8 — 216 - 9(9)9.

9— თ9 — 243—9(9)

10. — ᲐᲑ 1 — 027 -9(9)

11. — ᲑᲒ2 — 054 - 9(9)

12. — ᲒᲓ 3 — 081 - 9 (9)

13. — ᲓᲔ 4 — 108 - 9 (9)

14. — ᲔᲕ5 — 135 - 9 (9)

15. — ᲗᲛ — 162 - 9(9)

16. — 87 — 189 - 18(9)

17. — 8 — 216 — 9(9)

18. — თ9 — 243—9(9)

19. — ᲐᲑ 1 — 027 — 9 (9)

20. — ᲑᲒ2 — 054 — 9 (9)

21. — ᲒᲓ 3 — 081 — 9 (9)

22. — ᲓᲔ 4 — 108 — 9 (9)

23. — ᲔᲕ5 — 135 — 9 (9)

24. — ᲗᲛ — 162 — 9 (9)

25. — 87 — 189 — 18 (9)

26 — 8 — 216 — 9 (9)9.

27— თ9 — 243 — 9 (9)

28. — ᲐᲑ 1 — 027 — 9(9)

29. — ᲑᲒ2 — 054 — 9(9)

30. — ᲒᲓ 3 — 081 — 9 (9)

31. — ᲓᲔ 4 — 108 — 9 (9)

32. — ᲔᲕ5 — 135 — 9 (9)

33. — ᲗᲛ — 162 — 9(9)

34. — 87 — 189 — 18(9)

35. — 8 — 216 — 9(9)

36. — თ9 — 243 — 9(9)

და

37. ჰ — 10 000 —1

და აქვე ყურადღების ღირსია 1000 შევსების
დანახული მოდელი: 1000 ჯამია — 972, 27, და 1-ის,
ანუ იმ შემადგენელი კომპონენტების,
რომელიც „37“ ეზოთერიკაში სუფევს.
დასახელებული ციფრები მიიღება 1 - 37-ის 27-ზე
გამრავლებითაც, სადაც ბოლო წევრი 999-ით განისაზღვრება, სამყაროს რიცხვთა სიმფონი-
ის უკიდურესობით; მაგრამ ეს ყველაფერი ქრისტეს შუბით შელეწილი ფერდია ურწმუნო თომ-
ათათვის — დოქტორანტ საფარეხოსათვის, თუმცა იარე ქარავანო!

* * *

უჩინარს მილმა

„მანია გროსსოს“ უტყუარი ნიშნები იკვეთება ზოლებიანი ხალათის პერსპექტივით, რეი ბრედბერზე არანაკლები გაქანების, ჟურნალისტისა და აქა-იქ მელექსე, გიორგი მელუავას ბროშურებში: „როგორ გადავიღე უჩინარი“ და „უცხონი დედამიწაზე“— ტიპიური მარწკინაიები—ციცინათელები უფოლოგიის შეწკვარამებულ ცაზე, ჩვენთვის ამჯერად ალფაბეტური აზროვნებით წარმოსაჩინოვდება. უცხოპლანეტელები — გუვე შტრეფანდერი და ხასენი ივენი, ჩვენი ასომთავრულის შემოქმედ წინაპრებს არათუ აღმატებულან, ნუცა-გიგოს ბატიფეხურით ძლივს მჩხიბაობენ და საორიენტაციო ნახაზებსაც ისეთი აჩხაბაჩხა კონტურებით გავთავაზობენ, მისდაუნებურად გვეფიქრებინება — მათი უდიდებულესობა ჯერაც ინფანტილურ ასაკში ხომ არ იმყოფება-თქო.

გეეჭვებათ? ინებეთ, ბატონებო!

ეს ანბანი თურმე ბასეფური გახლავთ, გუვე შტრიფანდერის კალმის თუ ხასუნი ივენის ჩხირით ნაქექი ნაცარსა შინა.

ბასეფელებისაგან გამორჩევით პლანეტა ოულის ცივილიზაციას ქართულ ანბანზე 27 ასო-ნიშანით მეტი ხქონია. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, თუ რა აღნაგობისაა ამ ხუმანოიდთა ხორხი, მაგრამ ერთი, ცხადია: სიტყვათწარმოთქმის ეს ტრადიციული ინსტრუმენტი სრულ 27 განსხვავებულ ბგერას გამოსცემს თურმე, განკერძოებული სიხშირისას; რატომაც არა, ისინი ხომ უცხოპლანეტელები არიან, ყველაფრის შემძელენი?! ამ დროს ბიოლოგიიდან ხატოვნად იკვეთება, რომ ადამიანი თავისი ანთროპოლოგიური სრულყოფილების პერიოდში არათუ ამრავლებს სასიგნალო სისტემებს, პირიქით, კარგავს მათ, უკეთ ამცირებს, როგორც ეს ხომო საპიენსს დაემართება ცხოველთა სამყაროდან გამოყოფის მრავალმილიონწლიან პერიოდში. მეღამიების, დელფინების, ძაღლების სიგნალების გამოცემისა და აღქმის დიაპაზონი რამდენადმე აღემატება ადამიანისას, თუმცა ხომო საპიენსისათვის ხელი სრულებითაც არ შეუშლია ამ სიმდიდრეთა დანაკარგებს ღია კოსმოსში გაღწევად.

ბასეფის ცივილიზაცია წარმოდგენილი ალფაბეტის მიხედვით, მხედრული აღნაგობისაკენ იხრება რამდენადმე, ოულისა პირიქით — მთავრულისაკენ. ამისი გარკვევა დარწმუნებული ვარ შენს მახვილ მზერას ნამდვილად არ გაუძნელდება, შეგირდო, ჩემო.

ქართულში არ არისო აცხადებს ბ-ნი გიორგი მელუავა, მაგრამ ივიწყებს ჩვენს სასკოლო ანბანის გარდა კიდევ მოგვეპოვება ასომთავრული, რომელიც დაუნჯებული ყურადღების გამახვილების შემდეგ რამდენიმე გასაოცარ თანხვდომას ამჟღავნებს სამყაროისეულ ჩვენს ანბანთან. მაგალითისათვის გამოვყოფდი -ჭ-ს და ს. აქვე ყურადღების ღირსია ერთი გარემოებაც: თურმე ოულელებს წესად ხქონია მსგავსი ასო-

ნიშნით განსხვავებული ბგერების გამოხატვა. მაგალითისათვის: ქართულში არარსებული მწკრივის მე-17 და 22-ე წევრები გაჭრილი ვაშლივით ხგვანან ერთმანეთს, თუმცა ღმერთმა უწყის ამ უცხოპლანეტელების თავი და ბოლო! რომელი მრუდის რომელ მონაკვეთში რა მისტერიას აქსოვენ, გაუცნობირდება განა ჩვენს ჯართულ აზროვნებას?

ბაფესურად თუკი გინდათ დაითვალოთ, მუდამ გახსოვდეთ, რომ ერთს ,,პლარს'' ხქვია, ორს — ,,პიკეს'', სამს — ,,ნაიკეს'', ოთხს — ,,ტაგიკეს'', ხუთს —,,მისეტს'', ექვსს — ,,იქვერტს'', შვიდს — სტარეტს'', რვას —,,უნდელს'', ცხრას — ,,ზუგელს'' ათს — ,,მაუგეს''.

ყურადღსაღებია ლინგვისტებისათვის, განსაკუთრებით დოქტორთათვის, ბასეფელების გუვე შტრეფანდერისეული ლექსიკონიც: მელუავას ლექსების კრებულიც ხომ ამ ხალხის მეშვეობით გამოცემულა თურმე ბილინგვას სახით. ამ მხრივ ბასეფელები აჯობებენ ოულელებს, მათ ქართულ-ბასეფურად დაუსტამბავთ უფალი პოეტის სტრიქონები და წარმოიდგინეთ, კოსმოსური სიჩქარით გაუსწრიათ თავად ქართველებისათვის. ისე, სიმართლეს თუ განვაცხადებთ, ყველაზე მოგებულნი ოულის ხალხი გახლავთ. როგორც ჩანს, იქ მეტია წივწივაძისეული დამოკიდებულება მუზათა სადედოფლოში ზეგარდმო ნიჭის და მომთხოვნელობის შერწყმის უცილებლობის თვალსაზრისით.

სანამ გუვე შტრეფანდერის ბ-ნ გიორგი მელუავასადმი გაგზავნილი წერილი წაგვიკითხავს ბროშურის ყდაზე მოცემული ანბანის შემწეობით, იქნებ ყველაფერს ქართულ-უცხოპლანეტური □ბასეფური) ლექსიკონის შემოთავაზებამ აჯობოს. აქ ანბანური თანამიმდევრობა დავიწყნია ჟურნალისტ-მელექსეს და ჩვენც იმნაირადვე წარმოგიდგენთ, როგორც ეს ბროშურაში დაფიქსირებულა:

ქართული — ბასეფური

გამარჯობა — ხარიუს
გაგიმარჯოს — ხარმარიუს
მოდი — ხიმე
წადი — ტიუსე
დაჯექი — ტაიმუს
შეჭამე — ჩიმუს
დალიე — ციმიუს
წაკითხვა —აბულურუს
დაწოლა — ადივორუს
გაღვიძება — სირარუს
მეგობრობა — გრიმდილუზე
სიყვარული — დელმაუსე
გაცნობა — უზენაუს
გაბრაზება — სტიმაუზ
გამზადება — ითრეიგუს
ჩაცმა — კაიზუს
სიცილი — უსერინუსე
ტირილი — ფაბილნუტსე
ხუმრობა — სტინქუსი
სიხარული — ხოლიჟიუს
ყურება —აიქტაუს
სილამაზე — ჟიუმსიზისე
გაფრენა — კუზისუს
დანახვა — ამრაგდისე
კარგი — ამარტო

ცუდი — ჯიფრიდეს
შეხვედრა— მაკახმაზი
მე — დუ
შენ — ჩუს
ქალი — არფაზი
კაცი — დუკაზი
ბავშვი — პლამინუსი
შავი — სპრეზი
თეთრი —სტილეზი
წითელი— მარინისი
მწვანე — ესთეპიტი
ყვითელი — არდელიზი
ლურჯი — ხამირიზი
ყავილი — ანტალუტა
სახლი — ზაიდი
ტყე — პლიგუ
წყალი — ოკარუზი
წამალი — სტამელა
ხე — ხუნა
დედა — ადა□ინიდა — ახალგაზრდა დედა)
მამა — დუსე □დუსინა — ახალგაზრდა მამა)
შვილი — დილიტასი
მოფერება — სპილინეუს
მუსიკა — მენტელაზი
სიმღერა — ინგურეტი
სურათი — პატუმესი
ადამიანი — ანფირიდუს,
ცხოველი — ამდიგლუსი,
წიგნი — რუდიუს

ნუ გაიკვირვებთ, ჩემო მკითხველო, ქართულ-ბასეფური ლექსიკონის აკუსტიკურობა, გარკვეულწილად ლათინურთან მიმსგავსებული თუა; საქმე უფრო რთულად არის ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ.

ბასეფური ხომ სინამდვილეში დედამიწისეული ცივილიზაციის პირმშოა, იგივე ატლანტიდელების, ატლანტიდური ლინგვისტიკის გვირგვინი, კატასტროფით დაშინებულები თან რომ წარიტანენ კოსმოსში?! ატლანტიდელები თურმე დედამიწაზევე იცნობდნენ ატომს და ჩვენთვის უცნობ ენერგიას. გააჩნდათ მრავალჯერ ნაცადი მფრინავი აპარატი. მათ გამოუკვლევიათ პლანეტა ბასეფი და როდესაც დარწმუნდნენ იქაურ ატმოსფეროს მიეჩვეოდა ადამიანი, დაიწყებენ გადასასვლელად მზადებას. დიდი მონდომებით გადახყავთ ხალხი. გადაიტანენ თითქმის ნახევარზე მეტ ტექნიკას, □ნახევარზე ნაკლები დედამიწაზე დარჩებათ, მაგრამ დღემდე ვერაფრით მიგვიკვლევია. ის ხომ ოკეანეში დაძირულადაა მიჩნეული პლატონიდანვე?!) მირიან ჩქოველთან კი უფრო მარტივადაა საქმე, ვინაიდან ,,ატლანტიდა'' გონებრივ დატვირთვას უტოლდება:

იქ, ბასეფზე მოიძებნება სათანადო ენერგია და აწ სიკდვილის საშიშროება ჩამოშორებულნი დედამიწაზე —ადა უზუზე— ახერხებენ უკანმობრუნებას; სამშობლოს ნოსტალგია ვერ ასვენებთ; თანამემამულეებს სერობებს უმართავენ ფონიჭალასა თუ რუსთავის მისადგომებთან; თარგმნიან გიორგი მელოავას ლექსებს, გამოსცემენ მის კრებულებს ბასეფში, თუმცა, ეს ბედნიერი სამშობლოში ჯერაც აბსოლუტურად

უცნობია, გეოიდელი უცხო პოეტელია.

ჩვენს ყურედაღებას უთუოდ მიიპყრობს თავად ბასეფელების დამოკიდებულება მზის სისტემის პლანატებისადმი. როგორც ჩანს, ბასეფურის წინაპარი ატლანტიდელების ცივილიზაციაც საკმარისად ცნობდა ეგვიპტურ, ბერძნულ, რომაულ და ქართულ ლოგოგრამას: ,,მზეს — ,,ადალაიდა'' ხქვია, დედამიწას — ადა უზუ'', მთვარეს — ,,ინთუ'', მარსს — ,,მარმარუ'', ვენერას — ,,ვენარა'', მერკურს — ,,მერეკუსი'', იუპიტერს —,,უნდიპუტალ'', სატურნს — ,,ტურსაუმ'', ურანს — ,,რანიუ'', ნეპტუნს — ,,ხაპტუ'', პლუტონს ,,პლატიუ''. გასაკვირი არაფერია, ბასეფური ენა მომეტებით ლათინურთან ამჟღავნდებდეს ნათესაობას, მოფიქრება არ გინდა? ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწილეს. ჯერ დაიღუპება ატლანტიდის ცივილიზაცია, მაია პირველივით კოსმოსში ამაღლდება, მხოლოდ შემდეგ, ათასწლეულების მერმე გაჩენილი ლათინურით, იგივე რომულუსის ენით ეზიარებიან მზის სისტემის პლანეტათა დასახელებებს და ზოგ მათგანს ლამის ხელუხლებლად შეინარჩუნებენ კიდეც! მაგალითისათვის— ,,ვენერა'', რომელსაც ბერძნულში ,,ხერა'' ხქვია, ხოლო ეგვიპტურში— ,,იზიდა'', ქართულში— ,,იშთარი''; მერკური — ,,მერეკუსია'', და ასე შემდეგ.

პლანეტა ბასეფიდან ჩამოფრენილები ორი პროგრამით მუშაობდნენ თურმე და რეგულარულად აბარებდნენ ანგარიშებს ფრენის ხელმძღვნელს ,,კოსმოსურ ცენტრში'' ბატონ ანპუს. ხოლო დედამიწელებთან დაკონტაქტების ჟამს ჩვენი თანამემამულე გიორგი მელუავა, დანჯღრეული ,,ზენიტით'' რომ დასდევს სათაფანებელი ადამიანების — გუვე შტრეფანდერის, ხასუნი ივენის, მიდუს, არანის, აიდას თუ ტამუს □ბატონი) ზექსი მანტუგალის ბაც გამოსახულებებს, ,,ხუძუს ველში'' გახვეულ არაფრის მიღმელ ნათესავებს, ვერცხლისფერ კომბიზონიანებს, უჩინმაჩინის ქუდიანებს აბსტარქტულად აცხადიერებს.

გუვე და ხასუნი ერთდროულად ვერ მოდიან ჩვენს გიორგისთან, ვინაიდან სხვადასხვა ველისაგან მათსას დაფენებული რიუკი, □ანუ დაკონტაქტების პირობა) გაფუჭდება.

ხასუნის წერილების კვალობაზე, მათ პლანეტა ოულზე უმეტესად ,,კნოპკური'' სისტემა ყოფილა. თურმე ნუ იტყვით და ხასუნი რუსეთშიც ნამყოფება, იქ აუთვისებია ღილაკურის ქმედების ჩრდილოური არსი. ხასუნი ძალიან მოხიბლულია საქართველოთი და შესაძლოა 10 წლის მერე ჩვენთან ჩამოფუძნდეს, ან უკიდურეს შემთხვევაში სულაც ბასეფზე გადასახლდეს, ხმაურიან დიდ პლანეტაზე.

აბა, რა ჩარა დარჩენია საწყალს, როცა მარტოხელაა, დიპის ქალს, დეილას, წაუვლია ხელი მისი ერთადერთი ვაჟიშვილი ამორისათვის და ცოლოურებში წაუყვანია, ვინაიდან ვერ აუტანია ოულის ცხოვრება.

ჩვენი გერონტოლოგიის მიხედვით ივენი თურმე ორმოცი წლისა ყოფილა.

ოული, ბასეფივით ასკეტუსის გალაქტიკაშია მოწითლო-მოლურჯო ცით.

შობადობა იშვიათია თურმე მათსას. თავად პლანეტა ოული დედამიწაზე ცოტათი მომცროა, სადაც დღე და ღამის მონაცვლეობა იგნორირებულია, მაგრამ ნათელი და ბნელი პერიოდები მაინც ფიქსირდება, ხოლო რაც შეეხება მათი მართვის სისტემას — არავისას ხგავს.

ივენი ხასაუნის მოწერილობით, დედამიწაზე ხშირად ხდება კატასტროფები, ოულზე გადასვლამდე ადა უზუზე სიცოცხლე 116-ჯერ განმეორებულა, რაც მათთან დაცულ სიბრძნის წიგნებს ზედმიწევნით შემოუნახავთ.

დედამიწის ღერძი მილიონი წლის წინათ გადახრილა, რომლის შესახებ ინფორმაცია მათ არ მოეპოვებათ, ვინაიდან მათმიერი დედა-ისტორია 2 მილიარდი წლის წინანდელ მიწაზე ღაღადებს.

დედამიწას დაჯახებია მადეკის პლანეტა, სამჯერ დიდი და ათჯერ მსუბუქი, თუმცა ადგილიდან ვერ დაუძრავს. კატასტროფას ადამიანთა და სულიერთა ძალზე მცირე რიცხვი გადარჩენია. ამ დროს მიწა არავის დაუტოვებია და არც სხვაგან გადასულა ვინმე. დარჩენილებს ნულოვანი წერტილიდან ხელახლა მიუღწევიათ დღეს ჩვენთვის უცნობი ენერგიისათვის, მფრინავი აპარატებიც შეუქმნიათ და კვლავ ხაერისათვის მიუმართავთ. რაც შეეხება ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლოებებს, იქ 2 მილიარდი წლის წინ (ამ დიაპაზონში ყოველთვის ირევა სამყაროს წყობა)დედამიწას დაჯახებია პლანეტები მარსი და ვენარა. მათ ჩვენთან დაუტოვებიათ თავიანთი მაგნიტური ველი და ასე შეკრულა სამნაირი მაგნოდერიტი.

ატლანტიდის ცივილიზაციას კი იმთავითვე დაუწყია სამზადისი სხვა პლანატაზე გადასასვლელად, რადგანაც დედამიწაზე მოხშირებულა მეტეორიტების ცვენა. მათ გააჩნდათ თურმე ,,მრავალჯერ ნაცადი და შედეგიანი მფრინავი აპარატი''. მათ გამოუკვლევიათ ასკეტუსის გალაქტიკაში პლანეტა ბასეფი და თავიანთ ძველ და ახალ დამწერლობიანად იქითკენ გადაბარგებულან ლამის ორასი წელიწადის სამყოფი ბალახეულის წამლით. და რადგანაც ბასეფზე სიცოცხლის ხანგრძლივობა გაცილებით მეტია, 800 წელიწადს აღწევს, ამის შემდეგ კიდეც იღლება ადამიანი. და მიუხედავად ყოველივესი, დრო და დრო ეს გადასახლებული ხალხი, ახალმოშენენი, უბრუნდებოდნენ თავიანთ სამშობლოს, მათ აქ ყოველთვის გადასხვაფერებული ლანდშაფტი და ადამიანები ხვდებოდნენ.

ივენი ხასუნის წერილობითი მტკიცებით ამჟამად დედამიწაზე მეშვიდე ცივილიზაციაა, და კიდევ ორი უკვალოდ იკარგება, ინთქმება წინა წლებში.

ასევე საინტერესოდ ჟღურტულებენ მეგობრები სამი პლანეტის ველით შეკრულ ბერმუდის სამკუთხედზე, რომელიც ატმოსფეროში სიგრძივ ასხივებს, შეუიარაღებელი თვალით შეუმჩნეველს და იოლი მოსაძებნია ნებისმიერი კოსმონავტისათვის, ერთგვარი შუქურის ბადალია თურმე.

საკვირველად ბჟუტურებენ ძმობილები ჩაძირულ ქალაქ ირუტიუსზე, ცაში მომზირალ ქანდაკებებზე, ტიბეტელებზე, რომელთაც განმარტოებული აზრებით უცხოვრიათ და არც უფიქრიათ ხელის გატოკებაზე, გადარჩენას ბუნებისაგან ელოდნენ;

ტიტინებენ ძმაკაცები დოგონების ასტრონომიული მიღწევების შესახებ, რომლებიც მაღალი განვითარებისანი ყოფილან და დღესაც მშვენივრად გრძნობენ თავს თავიანთ პატარა პლანეტაზე;

ბაასობენ დოსტები მაიას ტომის საიდუმლოებებზე, რომლის შესახებ გუვე შტრეფანდერმა მეტი იცის თურმე და მომავლისათვის ინახავს: მაიას ხალხი გამუდმებით მომავალში იხედებოდა და წარსული სულაც არ აინტერესებდა. არათუ ზრდასრულმა მაიელებმა, ბავშვებმაც კი იცოდნენ თურმე სამყაროში მოსახდენი მოვლენების თაობაზე. ისინი ზედმიწევნით ერკვეოდნენ მახლობელი თუ შორეული პლანეტების მოძრაობაში. ატლანტიდელებთან ახლო ურთიერთობაში ყოფილან და საიდუმლოთვე გადასულან სხვაგან საცხოვრებლად. ნახევარზე მეტი დედამიწაზე დარჩენილა მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა ავადმყოფური შიშის გამო კოსმოსში გადაადგილების თვალსაზრისით. დედამიწიდან აყრილებს ფემინუნომთა ძალზე მცირე რაოდენობა გახყოლია, რამდენიმე ქალი კი სათანადოდ მატებას ვერ აძლევდა თავის ქვეყანას, ვინაიდან საკუთარი ბედის საიდუმლოდ შენახვა ეწადათ და დაიღუპნენ.

ამას აქეთ ივენ ხასუნი ბაგეს იმდუმარებს გოგი მაჭუტაძისებურად.

ოულისა და ბასეფის ტექნიკის დედამიწაზე გამოყენება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუკი მათ აქაურ ენერგიაზე გადმოიყვანენ, სისწრაფეს მოაკლებენ, ვინაიდან იქაური ენერგია სისწრაფეში სრულდება.

დაახლოებით ასე სევდანარევად სრულდება ჩვენი თანამემამულე გიორგისა და ოულელი ხასუნი ივენის წერილობითი დიალოგი. უფოლოგიის მეტად საინტერესო თუ ოდიოზურ პრობლემებზე კიდევ შეგვეძლო საუბრის გაგრძელება არაქათის გამოცლამდე, მაგრამ ამჯერად შემოთავაზებული ულუფა ვიმყოფინოთ, თუმცა აქ არაფრისდიდებით გვაწყენდა გუვე შტრეფანდერის რამდენიმე ნახაზის გადმოასლება, რომელთაგან განსაკუთრებული ხაერის შემადგენლობის ფორმულაა:

უფრო შთამბეჭდავი შესაძლოა ,, ხუძუს ველის'' ჩანახატი მოეჩვენოს ჩვენს მკითხველს სტილდაცული განმარტებითურთ: ,,ხუძუს არეს აქ ხაერუს დახმარუსით ვქმნით. ამას მაინც ვერ გაიგუს, მე მაინც დაგიხაზუს. შენუს ვერ შემგიყვანს, ტემპერატუს ატანუსუს გაგიჭირდუს. წონას არუს ვკარგუსთ''.

ყველგან ,,უსებით'' უსასოობს გუვე შტრეფანდერი ერთი გამონაკლისის გარდა: ,,დახმარებით ვქმნითო''. წარმოგიდგენიათ ,,ვქმნითო'', წამოცდება მართებული ქართული ფორმა ამ ბასეფულ კაცს, ატლანტიდელების შთამომავალს, ოულელი ხასუნი ივენის ძმაკაცს და საიდუმლოს შემნახავს დრომდე: თუ მაიას ტომის ხალხს სინამდვილეში რა გადახდომია. თუმცა უმჯობესია ისევ ნახაზს დავუბრუნდეთ:

აი, თურმე როგორია ხუძუს ველის აღნაგობა. რაც შეეხება ასპეტუსის გალაქტიკას, უცილობლად ყურადღების ღირსია ჩვენი შთამომავლობის გასათვითცნობიერებლად, ვინაიდან აქ ზედმიწევნითაა გადმოცემული ორი ტრაექტორიის პლანეტათა მოძრაობის წრიულობა.

თავად დარწმუნდით:

ბუნებრივია, ამ ნახაზების მიბაძვით გადმოღებას ფასი ეკარგება კოპირებასთან შედარებით, ამიტომაც ასლის დედანთან იდუნტურობის სანოტარიუსო მოთხოვნებით, ჩვენც უდანაკარგოდ შემოგვითავაზებია და აქვე დავსძენთ, რომ ამჟამად ასპეტუსის გალაქტიკაში 13 პლანეტაა, ვინაიდან 5-6 წლის წინ, ესე იგი, 1997 წლისათვის ასპეტუსის უახლოესი პლანეტა პუ განადგურებულა. მათი სახელწოდებანი იქაური მანათობლის — ასპეტუსის სიახლოვისდა მიხედვით შემდეგნაირია: ბასეფი, რურუკი, დანტეცი, სიო, სტრო, ზიკი, ოული, □პუ, რომელიც განადგურებულია, მოსპობილი და ამოვარდნილი ასპეტუსის სისტემიდან სხვათა გაძლიერების ხარჯზე თუ სულაც მტვრად ქცევის პერსპექტვით); ესენი ყველა პირველი ტრაექტორის წესრიგისანი გახლავან. ხოლო მეორე ტრაექტორიის რიგში ლაგდებიან: მარიზუსი, ანდელუზი, მონკი, ითიმაზი და ტუტურაკი.

მათი გალაქტიკის ყველაზე დიდი პლანეტა თურმე ბასეფია, ხოლო ყველაზე მცირე— ზიკი.

ჩვენ აქ შევწყვეტდით საუბარს და თქვენს ვნებათაღელვასაც რამდენადმე დავაოკებდით მომავალ საუბართათვის, მაგრამ ბ-ნ გ. მელუავას მეორე ბროშურიდან ერთი ნახაზის გადმოტანაც მომგუნებია, იმ უბრალო ცნობისმოყვარეობის შემწეობით, რომელიც დარწმუნებული ვარ ჩემს გულისხმიერ

შეგირდშიც როდი აღძრავს ნაკლებ ინტერესს.

ეს გახლავთ რეგრესული ხიპნოზური მეთოდის მკვლევარების მიერ ბეთი ხილის მეხსიერების წიაღიდან ამოღებული რუკა, რომელიც მან უცხოპლანეტელების ხომალდზე იხილა. მართალია, აქ უკვე გასაიდუმლოებულია ცოლ-ქმარი ბეთი და ბარნი ხილების მასპინძელთა ვინაობა, ბასეფელები არიან ისინი, ოულელები თუ სულაც — ცხრა გალაქტიკის მიღმელნი, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ის გახლავთ, რომ შემდგომში, ანუ ბეთი ხილის ექსპერიმენტის პერიოდისათვის, 1961 წლისათვის, ვერანაირად დაფიქსირდებოდა დედამიწელი მეცნიერების მიერ 1969 წელს აღმოჩენილი თანავარსკვლავედის არსებობა, თანაც იდენტური სიზუსტით.

ბეთი ხილის ფათერაკებითა და მის გარშემომყოფთათვის მომაკვიდნებლად სახიფათო კონტაქტების თაობაზე შესაძლოა ოდესმე ენა მოგვიბრუნდეს, ახლა კი დავსჯერდეთ დასახელებულ სქემებს და საუბარსაც აქ დავუსვათ წერტილი, ვინაიდან წინ არანაკლებად ცნობისწადილის ამსახველი შეხვედრები გველის კვლავაც ქართველ ეზოთერიკებთან, ოღონდ ამჯერად — ჩვენთვის სრულებით უცნობებთან:

ეს არის და ეს. ბ-ნ გ. მელუავას ჯერხანობით არ გამოუქვეყნებია რამდენიმე გზის შეპირებული, მილტონ კუპერის მოხსენების სათაურს დასესხებული ,,საიდუმლო ხელისუფლება'', სადაც მრავალ სენსაციურ ამბავთან ერთად, ალბათ, იმასაც შევიტყობთ, თუ როდის ელის კატასტროფა დედამიწას. ასეთ თარიღად თურმე დედამიწიდან წაღებული კალენდრის მიხედვით დასახელებულია 2011 წელი; ავტორის უცხოპლანეტელებთან საშური კონტაქტების მეშვეობით გაცხადებულია მეტად შიშისმომგვრელი დებულება:

,,ადამიანებს დედამიწის დატოვება მოუწევთ არა საკუთარი განვითარების და ნების წყალობით, არამედ თვითგანადგურების გზით სიარულის გამო'', და რადგანაც ბედისწერას ვერსად გავექცევით, ბ-ნ გიორგი მელუავასგან განსხვავებით, რომელსაც ბასეფელი თუ ოულელი მეგობრები ხყავს და საჭიროების შემთხვევაში მზად არის მათთან გადაბარგდეს, მითუფრო რამდენადმე დაუფლებია იქაურ ენასაც და ანბანსაც; გური ოტობაია დედამიწასთან ერთად დარჩება, აქ აღესრულება, ღმერთმა აშოროს და, თავისი საქართველოთი თუ ოტობაიათი; ამისი მყარად გწამდეს შეგირდო, ჩემო, ვინაიდან ერთი პლანეტიდან მეორეზე გადახაბაკებას შესაძლოა სიცოცხლის გაგრძელებისათვის ხქონდეს რაიმე მნიშვნელობა, თორემ აზროვნების პროცესს ჩირადაც არ უღირს მსგავსი მომთაბარეობა, რამეთუ არისტოტელე თუ სოკრატე დაახლოებით იმგვარადვე იგონივრებენ, ბასეფზეც, ოულზეც, როგორც დედამიწაზე აწვართავენ აბსტრაქტული აზროვნების ცათამბჯენებს და რადგანაც გური ოტობაიაც ღმერთების სუფრიდან თვინიერად გადაიღებს თითო-ოროლა ფასეულ ლუკმას სრულიად უსაგნურია საამისოდ თავშესაფარი არეების გალაქტიკათა ვრცეულობაში ძიება, როცა აქაც მშვენივრად გაცხადებულა ჯერარსი და არც გარდაცვალების კრთომილებაა რაიმე თავსმეხი. წინმსწრაფველია შენი გურუს ქარავანი, შეგირდო ჩემო, უსასრულობისაკენ, ანუ იგივე სასრულისაკენ, რომელიც ფიბიუსის ლენტივით გადანასკვია ერთმანეთს.

გრაალის თასის საძმო

ადრეც აღმინიშნავს, განგება ისე წაკვანჭავს, იმნაირად წააწოწიალებს ხოლმე საქმეს, სასურველი მასალა სრულიად უმტკივნეულოდ იობივით შემომიცურდება ხოლმე განჯინაში.

ამჯერადაც, ზეციერის უზესთაესი ნებით, გაზეთ ,,მეტი სინათლეს'' დასტების კვალობაზე, ელვისებურად აღმოცენდება ჩემს თვალწინ აქამდე ზერელობით აღქმული ეზოთერიული სკოლა — ,,გრაალის თასის საძმოს'' სახელწოდებით — ა-3 ფორმატის რვაგვერდიანი პერიოდიკა ,,მესიის მახვილი'' — გაზეთი ,,სულით მოწიფულ მამულიშვილთათვის.'' —15 ნომერი — 2-16. და თითქოს ნაციონალური ღვთისმეტყველების პრობლემების რამდენადმე მიმჩუმათებელს, ახალი თავსატეხი გამიჩნდება, ვინაიდან თვალშისაცემი შეიქნება ჩემთვის, აქამდე არსებულ ეზითერიულ სკოლათა სავალალო გენეტიკური კავშირები; ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდები, რომ ისინი, უკლებლივ ყველა: ჩუბინიძე-კაჭარავა, ალაზნისპირელი ბერთაკლდის საძმოითურთ, ხამლეტ წულაია, ქაფიანიძე-მიბჩუანი, ინდიკო კვეკვესკირი, ვლადიმერ ალფენიძე, გასავ გასვიანი, სხვანი, ეჭვმიუტანელი სიმართლის მარშრუტებით დაიარებიან. ანგარიშსაც არ უწევენ დანარჩენს, არ ცნობენ სხვათა მიმართებებს, როგორც ეს არაიშვიათად ემართება ,,მეტი სინათლის'' სულისმამოძრავებელ ჩვენს სასძლოს, აკაკი ჯორჯაძეს. და ყოველივე იმისი მიმანიშნებელია, რომ ჩვენი ეზოთერიკები მოფიქრებულად გაურბიან სხვათა კონცეფციებს, ვინაიდან დანარჩენის მეთოდითემშრა ანგრევს მათ მიმართებებს საგნებთან და მოვლენებთან. საკვლევი ობიექტი კი ერთია: ბიბლია —ძველი და ახალი აღთქმანი, იოანე ზოსიმეს ,,ქებაი...'', ასომთავრული და დამწერლობა ჩვენი, როგორც ერთგვარი კოდი, ცოლკინისმაგვარი მატრიცა ქარლოსიანთა პრეისტორიულობის დამამტკიცებელ

საბუთად.

დაახლოებით იგივე სინდრომი ასულდგმულებს ,,გრაალის თასის საძმოს'' კრებითობასაც კონცეპტუალური თვალსაზრისით, თუმცა ყველაფერზე რიგისობის მიხედვით.

,,გრაალის თასის საძმოს'' ცნობიერების მკვებავი ენერგია ძირითადად სამ პიროვნებამდე დაიყვანება, რომელთა აზრობრივი მიმართულება ხარმონიულად შეზავებია იმთავითვე დაშვებულ კონსენსუსს, და სამების პრინციპის უზოგადოესი მსწრაფველობით, სამივე მხრიდან თანამიმდევრულად იკვლევს ერთსა და იმავე რეალობას:

მითოლოგიურ სუფევას ჩვენსას, შესაქმეს ღვთაებრივს — ენათმეცნიერების, ლინგვისტიკის პოზიციიდან — გასავ გასვიანი;

სიბრძნისმეტყველების დოგმას, ჭეშმარიტების ეტალონის გრაფიკული სახითმეტყველებით გადმომცემი მირიან ქართველია, რომლის პუბლიკაციებსაც ხელს აწერენ მსგავსად თავისუფლების ხმის კორესპონდენტებისა ამერიკიდან — პაატა ხალიბი და ირაკლი სვანი;

დაბოლოს, მესამე, ჩემის აზრით სოლო, მეცნიერული ენერგია ამ დაჯგუფებისა, ლექციების კათედრალზე ამაღლებული ვახტანგ აბრალავა ჩვენს განსანათლებლად; ეზოტერიკის მკაცრ გეომეტრიულ განზომილებებში მომქცევი ბ-ნ ხამლეტ წულაიას ტოლფარდობით. სხვათა შორის ეს პიროვნება ორივე ფიზიკოსია, და აქედან გამომდინარე, სულაც არ უნდა გვიკვირდეს, რომ მათ მეტაფიზიკური, ფიზიკას აღმატებული პრობლემისაკენაც გაექცეთ მზერა, იგივე მეცნიერული თეოლოგიისაკენ, ანუ ამჯერად — ლაზარეს — ქართული ცივილიზაციის სრასახლის მეცნიერული აღდგენისაკენ.

ფრიად საპატიო მისიაა, დამეთანხმებით, მაგრამ როგორც ყველგან და ყველაფერში, აქაც არის ერთი ,,მაგრამ'', ამთავითვე რომ მოითხოვს გაანალიზებას.

,,გრაალის თასის საძმოს'' მსოფლაღქმას სასაცილოდაც არ ხყოფნის საქართველოს სახელმწიფოებრიობის მეთარიღეთა მეცადინეობანი, როგორც ისტორიზმის პატრიოტული ფრთისა, ისე — ზემეცნიერულისა — მხოლოდ და მხოლოდ არსებულ ფაქტებს მიჯაჭვულთა მოსაზრებანი. და როდესაც ერთნი ჩვენს სახელმწიფოებრიობას ქრიტემდე ორიათასი, ათასხუთასი წლით მოიაზრებენ. □ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, მ. ლორთქიფანიძე, თ. გამყრელიძე) მეორენი ბ-ნ გურამ ყორანაშვილის მეთაურობით ამ ქრონოლოგიას ჩვ. წ. ა. 284 წელთან აქვითკირებენ, როდესაც ,,გრაალის თასის საძმოსთვის'' ქართული ეთნოსის არსებობა გაუბედავი ოთხნიშნა თარიღის ნაცვლად ექვსწევრიანით გამოიხატება — 300 000-ით და ამის უტყუარ დამადასტურებელ ფაქტად ნოეს კიდობნის პარამეტრებს მოიშველიებენ: სიგრძეს — 300 წყრთას, სიგანეს — 50 წყრთას და სიმაღლეს — 30 წყრთას. სამსართულიანი ნოეს კიდობანი ქართული ეთნოსის სამშროვან ცივლიზაციად აღქმისთვის მოუშველებიათ ,,თასელებს'' და თვითონ ნოეს შთამომავლობად მიჩნეული ძეობილები — სემი, ქამი და იაფეთი, იგივე სვანური, მეგრულ-ლაზური და იბერიული ენის სიმბოლიკური ხატია თურმე, ეზოტერიკული ფორმულა უუშორესი წარსულიდან დღევანდლობამდე.

ნოეს კიდობნის არარატის მთიდან ნუნისში, ხარაგაულის რაიონში, გადმოტანა ალაზნისპირელისა და ბერთაკლდის საძმოს მიერ, ჯერაც რიგიანად ვერ მოგვინელებია და ინებეთ ახალი, დოგმად მიჩნეული ტრადიციისა მთლად გამომრიცხავი დებულება:

,,პაპა სვანი □ანი) 300 ათასი წლის მწიგნობარია, მისი შვილი მეგრელი □გი-ორგ-ია) 8000-წლიანი რჯულის მემკვიდრეა, მისი შვილისშვილი იბერი □ძე) იესო ქრისტეა, ე.ი. ბიბლიური ნოეს სამსართულიანი კიდობანი ენა ,,სემი'', ,,ქამი'' და ,,იაფეთი'' ანუ სიცოცხლის სამსართულიანი კიდობანი სახეზეა''.

გაცხადებული თვალნათლივ მიგვანიშნებს ბიბლიური წიგნების ავტოქტონურობას საქართველოს სამპლასტიანი ცივლიზაციისათვის, რაც თვალდახუჭულად ეტნაში გადახტომას ედრება თანამედროვე სიტუაციაში და მეტიც, აქედან, სამგანზომილებიანი საქართველოდან, ოქროს საწმისივით წართმეულად, წაღებულად, წაგვრილად, გადათარგმნილად წარმოჩინდება იგი დანარჩენი მსოფლიოსათვის.

ამჯერად მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას დავსჯერდები და მომეტებული სიფრთხილით განვაცხადებ ორივე მხარისათვის: საქართველოსთვისაც და დანარჩენი მსოფლიოსათვისაც — ,,გრაალის თასის საძმოს'' ხიპერპატროფილია, კიდევ კარგი დმანისელი ცოლ-ქმრის მილიონ ექვსიათასი წლის ხნოვანებას არ ებღაუჭება ამოსავალ პუნქტად ჩვენი ჯვარცმული ეთნოსის სუფევის გზაზე:

ინდოევროპელების მიერ მიჯაჭვულია პრომეთე კავკასიონის მწვერვალზე და ზევსის არწივი პერიოდულად უკორტნის ღვიძლს გამოცისკროვნებისთანავე;

წართმეულია ოქროს საწმისი, იგივე ინდოევროპული ტალღის მიერ არგონავტების მესვეური იასონის ძალისხმევით, მაგრამ ყველაფერი ზღვაში წვეთის მაგვარია იმ სინამდვილესთან შედარებით, რომლის შესატყვისად სამი ცივილიზაციის საქართველო პირწმინდად გაქურდულია დანარჩენი მსოფლიოსაგან და ნოეს შთამომავლობად მიჩნეული კაცობრიობა — სემის, ქამის და იაფეთის მოდგმად აღიარებული,

უარქაულესი სვანურის, მედიტერიანული მეგრულ-ლაზურისა და უახლესი იბერიულის ტოლფარდი ყოფილა მხოლოდ.

წამოწეულ დებულებათა (და არა ხიპოთეზათა) მკვებავი მუხტი კვლავაც და კვლავაც ჩვენი ასომთავრულია, იგივე ,,დაწუნებული ლოდი'', მარიამის კვართი თუ თავად ,,ოქროს საწმისი'', მაგრამ დასახელებული ანბანი ,,გრაალელებთან'' ზეისწრაფვის სრულყოფილებისაკენ ჭავჭავაძე -პატარიძე- ქაფიანიძეოტობაიას აღიარებულის განსხვავებით და აწ იგი 40 ასო-ნიშანის საკუთარ წიაღში მომთვინიერებელი ჭეშმარიტებაა:

,,დალეწეს კარი ორმოცი, მათგან არს ზედა ომია'', მოიშველიებენ ისინი რუსთველის სტროფს საკუთარი დებულების გასაძლიერებლად და ათვლის დოგმით — გონიომომარჯვებული ხელით სვეტიცხოველის კედლიდან, აი, როგორი სიმწყობრით წარმოჩენილა ჩვენი ასომთავრული:

აი, რანაირი გახლავთ ,,გრაალის თასის საძმოს'' თვალსაწიერით ,,დაწუნებული ლოდი'' იგივე ,,მარიამის კვართი'', ,,ოქროს საწმისი'', კირბები თუ — ასომთავრული ჩვენებურად''.

ზემორე გამოგვითქვამს ვარაუდი ქართული ასომთავრულის მაინცდამაინც ,,37'' რიგითობის თაობაზე, ვინაიდან ,,37''-ით იხსნება რიცხვების მეხუთე ხარისხის □10 000) წყება, და იკეტება კიდეც, როგორც უსასრულობის ზღვარი 1-დან დაუსაბამომდე. ამასთან მივანიშნეთ ,,37''-ზე ნატურალური რიცხვების გაყოფისას შექმნილი წესრიგი ,,027''-დან 999-ამდე. მაგრამ გულდასმით თუკი გადავავლებთ თვალს ''გრაალელების'' შემოთავაზებულ სისტემას, აქ დავისათვის ნიადაგი საგრძნობლად მწირდება, ვინაიდან ხოე- 37,10.000 , - 38,20 000; 39-30000 და ლი 40, 40 000 თავიანთი რიცხვითი მნიშვნელობით ავსებენ შემოთავაზებულ მისტერიას: 10+20000+30000+40000=100 000-ის. გამორიცხული არ არის აქ სხვა მათემატიკურ სიდიდესთანაც გვქონდეს საქმე, მაგალითისთვის: ათიათასთან □10 000), ასიათასთან □100 000) მილიონთან □1 000 000) და ბოლოს — უსასრულობასთან □00) როგორც მარადიული მოძრაობის სიმბოლიკასთან. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ 38,39,40 ასონიშანი კომბინირებულად წარმოაჩენს ქართულ ასომთავრულს, და მეტყველება- დამწერლობაში ისინი ფაქტობრივად აღარსად გვხვდება, მარტოოდენ სამყაროისეული განზომილებების აღსანიშნავად გვეძლევა ,,თასელების'' სწავლებით.

,,მესიის მახვილის'' შემეცნება ქართული ეზოთერიის გაცხადების თვალთახედვით საკვლევად კოლოსალური სივრცეა, და მომცრო წერილში გაგვიჭირდება ყველა ძირითადი დებულებების არათუ გამოწვლილვით, თვით მიახლოებითი გაშუქებაც კი, თუმცა უმთავრესი შტრიხების გალამბვას შეძლებისდაგვარად შევეცდებით გონიოს პრინციპის კვალობაზე, რომელიც ჭეშმარიტების მხოლოდ ერთი მეოთხედია, დანარჩენი სამი მეოთხედი ნებისმიერი მცნების მსგავსად დაფარულია, უკიდეგანო არსში განფენილი.

,,ადამიანი თავის თავში თესლია და ნაყოფი, რომელსაც საიდუმლო რელიგიით მარადიული სათი□საათი), გრაალის თასი ეწოდება. ესე იგი ადამიანი თავის თავში თორმეტი ზოდიაქოა, მზის სახლია, ანუ მიკრო კოსმოსია □ღვთის ხატია).... ადამიანის მე ინფორმაციის კოდით დევს მამაკაცის გენეტიკურ ხაზში დაკონსერვებულად, ცოლ-ქმრული აქტით მამაკაცის სისხლში დაკონსერვებული მარადიული მე □კაცი-წერილი) გადადის დედაკაცის საშვილოსნოში და სიცოცხლის სათი□საათი) ამუშავდება:

,,შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი'' □დაბ. 1,27).

,,გრაალელების'' სწავლებით რიცხვი ერთი □1), გრაფიკული სახითმეტყველებით, ადამიანის შინაგანი და გარეგანი წიგნის ინფორმაციის 1/4 ნაწილის □25%) იდეოგრამას და ლოგოგრამას წარმოადგენს. რიცხვი ერთი □1), შუაზე ვერტიკალურად გაჭრილი ადამიანის სხეულის ანალოგიას აჩვენებს. იგი მთლიანი პოტენციის 1/4 ნაწილის ადეკვატური კოდია.

,,ია''-ჯვარი-ძე; ია-კანი-11/20-დაბადებას''. იმის გამო, რომ ადამიანის ტ-ანი ჯვრის ფორმისაა, ჯვარი დადგინდა სამყაროს მარადისობის სიმბოლოდ. პირველმა ლაზმა □ქართველმა) მოძღვარმა პირველად ჯვარი დახატა დედამიწაზე. ასე დაიწყო დამწერლობის შექმნა 300 ათასი წლის წინ □ქრისტემდე), მდინარე ენგურის ნაპირთან იქ, სადაც მდებარეობს სოფელი ჯვარი''.

ისეთი დამაჯერებლობით გვამცნობენ ,,გრაალელები'', რომ იფიქრებ, რაღაც დოკუმენტური ფილმებიდან დანახულა სიცოცხლის გენეზისი კავკასიის წიაღშიო.

ყურადღებას იმსახურებს ,,გრაალის თასის საძმოს'' ეტიმოლოგიური ძიებანიც, რომელთაგან მოვიშველიებთ განსაკუთრებით ტიპიურს, სამახსოვროს და ამავდროულად საჯილდაო ქვას — პოლემიკის მოყვარულთათვის:

,,სვანურად ჩვილს — ახალდაბადებულს ბა-ვ-ი ხქვია. იტყვიან ახლაც:,,ბავილ'', ,,ბ-ავ-ულდ'', ,,ილდ'' და ,,ულდ'' კნინობითის გამომხატველის აფიქსებია, ხოლო ,,ავ'' ჩვეულებრივ თვისების, კუთვნილების, წარმომავლობის აღმნიშვნელი.

მაშ, შეგვრჩა ძირი ,,ბ'' მისი პირველქმნილი ფუნქციით, რომელსაც იგი მარადთან ატარებს, სხვაგვა-

რად ძე-იპოსტასს უღალატებდა.

უფრო მოსულ, მოჩორჩოტებულ ბავშვზე სვანურში იტყვიან ,,ბეფშვ'' —ბ-ე-ფ-შვ. ,,შვ'' შეკვეცილი ,,შვა'' არის, ,,ფ''-სულია, სუნთქვაა, ფშვინვა, ,,ბ-ე'' იგივეობაა ,,ბ-ა''-სი, ოღონდ გრძნობიერების, ცნობიერების უფრო ამაღლებულობაზე მიგვანიშნებს, ხდება არსის სუბსტანციური რანგის განსაზღვრა.

მართლაც, ,,ბ-ე''— ,,ე'' □192) ენ'' ენაა. ე.ი. ,,ბეფშვ'' — ბავშვია უკვე ენაადგმული, ან ცნობიერი, რასაც იგი დაბადებიდან ორმოცი დღის შემდეგ უკვე ავლენს.''

ჩვენ ზემორე მონაკვეთში შეგვინიშნავს, რომ ბავშვი ლაზურში ,,ბე-რე''-ა, მაგრამ მივყვეთ ბატონ გასევ გასვიანის ლოგიკას.

,,აქედან არის მიღებული სახელები: ,,ბეთქილ'', ,,ბეთქენ'', ხოლო ,,ბე-თან-ია'' პირდაპირ გვეუბნება, რომ ვარო დაბადების ნათელი ადგილი: ,,ბე''-დაბადება, ,,თან''-სინათლე, ნათელი, ,,ია''-ადგილი''.

ასეთნაირადაა ახსნილი სიტყვა ,,ბეთლემი'' — მზის სახლი. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ლემი — ლომი მზის სინონიმია. ,,თ'' —თან-მეცხრე რიგის ასო-ნიშანია, ,,ბეთ'' სახლი, საცხოვრისი. ამ რიგის სხვა ასო-ნიშნები: ,,ჟან'', ,,შინ'', ,,ხაე'' სინათლის პროექციალური კოდებია რიცხობრივი მნიშვნელობით: 9,90,900,9000.

ან-ი შესაქმის პროექტორია, იგი მამაა, ანბანის ღმერთია, არსის ორმოცი დედამიწიერი □პლანეტური) მიმოქცევობის, ორმოც ასო-ნიშანშივე აღნუსხული, დასაბამი, მომწესრიგებელი.

ამიტომაც აღნიშნავს იგი იბერიულ-ლაზურში არსთაგან არსთა წარმომავლობას, გვარისდა მიხედვით უდგენს მათ ვინაობას, რაობას, თვისებას, საგნობირიობას, სივრცობრიობას.

სპერმატოიზოდივით თავკომბალა ,,ბანი'' კი განხორციელებაა ამ მისტერიის, განსულიერებისაკენ რომ ისწრაფვის მიწყივ. ,,□ბ)-ბანი: მზიდან ეშვება სვეტი ცხოველი —სიცოცხლე, მიწასთან შეხებისას ქმნის გონიოს — მართ-ალ კუთხეს, ბედისწერის აღნიშვნას და მკვიდრდება.

იგი ბუდეც არის და საშვილოც. იგი თესლიც არის და ღვიაც''.

სხვაგან შევხედოთ:

,,სახარება გვეუბნება, იესოს მამა დურგალიაო, ანუ საიდუმლო რელიგიის მფლობელი ქართველი ქურუმის ხორციელი და სულიერი შთამომავალია იესო ქრისტე მაცხოვარი, ამიტომაც ამშვენებს სვეტიცხოველის ფასადს გონიო და იესოს ღვთიური უზენაესი მარჯვენა — ამინ''.

ასონიშანი ,,ინ''-ი, რიგითი სათვალავით მეათეა □10), იგივე გონიო — , 90^{0}, იგივე ,,ლი''-ს მეოთხედი. ,,ქართი'' ოთხი ,,ინ''-ია, მაგრამ ჯერაც უმოქმედო. და ოდეს იგი დაარღვევს უბრალოების სტატიკურ მდგომარეობას, კი ჩაერთვება სიცოცხლის სათის □საათის) მარადიულ კანონზომიერებაში, აღწევს კიდეც ზესრულყოფილებას, ,,ლი''-ს ფაზას. , იგივე 4/4-ს, 360 გრადუსს, ერთმთლიანს.

მაცხოვარი იესო ქრისტე დაიბადა ვირის ბაგაში. ვირი სწორზე მავალია, ,,მშობლების ტანი და ანბანი /დამწერლობა''.

დაბადება — არის დედას+ბაბა.

,,ჩვენი ორგანიზმის 49 სხეულთა შორის სამოთხის ცეცხლოვან-ფოტონურ-ლაზერულ პერანგს უფა-ლი ეწოდება. მზის სავანის სამოსელს □კაბას) ქრისტეს პერანგი ხქვია.

კაბადოკიელი, იგივე კაბა-დოკნელია.

,,ახსენით ჯაჭვი პრომეთეს და მისი ცეცხლი □ა-ლი) (**იგივე მე-ორმოცე ასონიშანი „ლი“ — , „დაწუნებული ლოდის“ მიხედვით „გრაალელებისამებრ“, გ.ო.)**, გაგვინათებს გონების წყდიადს. □მარგალში: სიტყვა ჯა — ხე — 65 — წერილი წმინდა'' მისი ინვერსიული ფორმაა 56 ადამი''. წმინდა წერილის სარკული ასლია ,,ადამი''; სიტყვა ჭვი — 48 — სიტყვა ,,დაწვი'', რაც ნიშნავს: თქვენში არსებული 24!24!48 სხეულებრივი სისტემის, ანუ კარმა ლიმიტის ა-ლით დაწვას, 48 ფერიცვალებას, 48 კაბის ცვლას, ნინო კაბა !დოკიელი □**დაწეული, გ.ო.**) სიტყვა ,,ა-ლი'' ნიშნავს 40 არსით □მცნებით) დახურულ არეს, რომლის პირველის სიმბოლოა ,,ა-ნი'' და მე-40-ე ,,ალი''. მათი შერწყმით მიიღება: 10 — 104, ამ ციფრის ინვერსიული ფორმაა ,,401'' □ტარ), რაც უდრის სიტყვა ,,გრა''-ს. ი. ზოსიმე მიგვანიშნებს, ,,104 წელი და წილი ანბანისაი'', 40 არსით დახურული არის ორ-გან-ადი წარმოგვიდგება როგორც: გრაალი — აბრამი.

მამა აბრამის მიერ დაარსებულმა საგანმანათლებლო სკოლამ, გრაალის თასის □თესლის) საძმომ, დაანთო პრომეთეს თესლი კავ-კასი-ონი-ს აკადემიაში, მარიამის ,,წილ'' ხვედრ ქვეყანაში, 4 ათასი წლის წინათ!''

საინტერესოა ,,მცხეთა''-ს წაკითხვა ,,მირონ ცხებულ ხეთად''.

ხოლო ,,რელიგიური ტერმინი ,,ხე'' □ხის კიდობანი) არსთა სამყოფსა და კოსმიურ-პლანეტარულ სხეულთა სისტემით (1+48=7x7), სიცოცხლის მარადიულ აღწარმოებას ნიშნავს — ხ□წერილი -6) და ე□წმინდა-5), მაშასადამე, ადამიანი და გარემომცველი უსასრულო სამყარო წარმოადგენს ღვთის □მარადისობის) წმინდა წერილს, სჯულის ცოცხალ წიგნს, ამ ცოცხალი წიგნის აღმწერ და გადმოთარგმნილ ბიბლიას, სახარებას, ,,ვეფხისტყაოსანს'', მათემატიკას, ფიზიკას, ბიოლოგიას, ქიმიას, კოდურ დამწერლობას, ხაზ-

ვას, გეოგრაფიას, ასტრონომიას და ა.შ. მათ, ერთად აღებულს, წმინდა წერილები და წიგნები ეწოდება. ... ადამიანმა დრო რომ აღრიცხოს □რომელიც უდრის 48 სულიერ-სხეულებრივ სუბსტანციის აღრიცხვას, ანუ საკუთარი და გარემომცველი უსასრულო სამყაროს მარადისობის შეცნობას), ანუ მზისა და მთვარის კალენდარის შესაქმნელად, საჭიროა უნიკალური სიზუსტის მქონე ანბანურ-რიცხობრივი სისტემა —ათვლის ეტალონის არსებობა. ბიბლიის მიხედვით ქართველები დროსა და ჟამს ქრისტეშობამდე 300 ათასი წლით ადრე აღრიცხავდნენ. მაშასადამე მათ ხქონდათ შესაბამისი აღრიცხვის სისტემა ანუ დამწერლობა''.

ამ დებულებას წარმატებულად ავითარებს, ,,გრაალის თასის საძმო'', მაგრამ შევხედოთ უფალ გურამ ყორანაშვილს:

,, ... მეგრულ-ჭანურ ენაში არ არსებობს სიტყვები ,,მეფის'', სამეფოს'', ,,სახელმწიფოს'' ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის და მისთ. გამოსახატავად, რომ შესაბამისი სიტყვები ამ ენამ ქართულიდან შეითვისა. ძალზე დაუჯერებულია კოლხური დამწერლობის არსებობაც.''

აბა, რა არის, ,,მაფა'', ,,უფალი''?

ყორანაშვილი დოგმატიკოსია. მართალია, ისტორიკოსს, დიახაც, მოეთხოვება გონებაფხიზელი წინასწორობა ფაქტების მიუკერძოებელი ანალიზისას, განსაკუთრებით, როცა საკითხი სამშობლოს ბედილბალს ეხება, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, რისთვის აკნინებს ედგარ პოს გახმაურებული ლექსის პერსონაჟის სეხნია ყოველივე საკუთარს, მეზობლის, თუნდაც ხაისატანის სასარგებლოდ და რისთვის მიუბოძებს მას სახელმწიფოებრიობის 3500 წლის პრაქტიკას დღეიდან, როცა საკუთარ ისტორიას პროკრისტეს სარეცელში აწვენს გულმოდგინედ? ხომ უნდა იყოს ერთგვაროვანი დამოუკიდებულება საგნებისა და მოვნელებისადმი, თავს ჭეშმარიტ ისტორიკოსობაზე თუ ვდებთ?

თუმცა ეს მეცადინეობანი ,,გრაალის თასის საძმოსათვის'' ირონიულ ღიმილისმომგვრელ ღლაბუცად წამოხროვდება, რამეთუ ქართული ცივილიზაციის პორტრეტი კავკასიაში სამასიათასწლეულს აჭარბებს მათი ზეპატრიოტული მჩქეფარებით, ხოლო ,,წმინდა წერილად'' წარმოსახული ხე, ადრეული საუბრების კვალობაზე ლაზური ,,ხჩეს'' მეზობლობაშია; მეგრულმა დღემდე შემოგვინახა სიტყვა ''ჩე'' თეთრის, ნათელის გაგებით. ,,ჩელაია'' თერთგვრემანია''. ლაზური ,,ხჩე'' ეკვივალენტურია ქართული ,,მხცესი''. მხცოვანი დასტურ ნიშნავს თეთრთმიანს. სომხური ,,ჩეჩილი'', კოლხიზმია უცილობლად ჰაიკურში ,,ჩე (თეთრი) ჩილი-ის (წნული, რბილი) სახით. ყველაფრის გათვალისწინებით არ არის გამორიცხული ,,ხე'' უტოლდებოდეს დაბადებას, ,,ხალას'' შობას? შვ, ბეფშვ, ბერე, იგივე ჩვილია, ნათელი. ამიტომაც იტყვიან გასათხოვარ თუ შვილიან დედაზე ქალიშვილობის გვარით — ხალიძონ-ხეო, ხალიძონიების ასულიო; ანთარ-ხეო, ანთარიების ასულიო ანუ გამჩენის უნარიანი ფენომენიო. ,,მუსხი ხე'', ,,მუსხი ხი'', რამდენი შვიო, იტყვიან ჩვენში, მაგრამ ამ სემანტიკას ,,ჩ'', ჩინი თუ მიესართება, შეიკვრება წრედი, ვინაიდან რასაც შობენ, რასაც გააჩენენ, ხორციელს ჩვილითურთ და მარადიულს ,,კოსმოსური ნათლის'' ზესიმძლავრით, იგივეობრივია. აქედან გამომდინარე შორეული აღმოსავლეთის აზროვნების მექას, ჩინეთს, შემთხვევით არ ეძახის ქართველი მზის სავანეს, ,,უსასრულო სამყაროს სატახტო დედაქალაქს, რომლის მარადიული მეფეა მაცხოვარი იესო ქრისტე'', ასომთავრულის მიხედვით კი ,,ან''—1 და ,,ჩინ'' — 28 = 2+8=10= 1+ 0= 1 ა), ე.ი. ,,ან'' უდრის ,,ჩინ''-ს.

და რადგანაც ,,პირველი რჯული — ნოე, მეორე რჯული — მოსე, მესამე რჯული — იესო''-ა; რადგანაც ,,გრაალელების'' შესატყვისად ,,ნოეს კიდობნის პირველი საფეხური — შონი, მეორე საფეხური — მარგალი □,,თასელების'' ცნების კვალდაკვალ თუ გავშიფრავთ —მა □მე) — რგ (დარგო1, ემსგავსება 2.) — ალი, ასო — ნიშანი მე-40-ე, , რასაც მოძრაობაში მოხყავს სრულიად სამყარო, ანუ ,,მე ვაბრუნებ სამყაროს'', ან კიდევ ,,მე ვემსგავსები სამყაროს ტრიალს'', გ.ო), მესამე საფეხური — ი-ბერი. და რადგანაც ლაზარე მეტყველებით რიცხვი ათასი შემდეგი სახის მოდელია: 1000 = 1, სამი გარშემოწერილია არის ერთიანი საზომი, თესლი, მარცვალი. □თასი — მარგალ'ში ნიშნავს მარცვალს, თესლს), და რადგანაც არსთა სამყაროს და უსასრულო კოსმოსის შესაქმის ათვლის სისტემა ექვსისა და ცხრიანის ერთობლიობაა, 69. მივყვეთ ,,გრაალელების'' მსჯელობის საფეხურებს:

,,პირველი ტრიადის □სამების) ჯამი გვაძლევს: 6 - ბაბა-წერილს, ანუ პირველ ფაქტორს, წერილ დონორს.

მეორე ტრიადის ჯამი გვაძლევს ცნებას ,,15'' —

— იე — სულიწმინდას — 6, ანუ მეორე ფაქტორს, წერილს დედას, რომელიც შეესაბამება — სულიწმინდა წერილ წიგნს, სიტყვათა აქცეპტორს.

მესამე ტრიადა ჯამში იძლევა მცნება ,,24'' — ქ-ანი 2+4=6, ანუ წერილ ქრისტეს, ძე ღმერთის წერილობით სახეს, ბაბასი და დედის, ანუ დაბადების წიგნიერ სახეს. ორი ქანის წილს, ქ-ორ-წილის კანონიკურ დოგმას — ძე-ს.

ყოველივე ეს კი არის კანონშემოქმედების ერთიანი მცნება: ,,მე''- 45- 9.45-ის ინვერსიული □სარკული) ფორმაა — 54, რაც ნიშნავს სულიწმინდა, წიგნი. გავაერთიანოთ ეს განმარტებები და მივიღებთ: ,,მე'' ვარ გარშემოწერილი ღმერთის წერილი, სული წმინდა წიგნი, სამების ათვლის დოგმა, დაბადების კანონის ნივთმტკიცება, მარადიული ფალოსის ნორმა, ათვლის ერთეული. 1-მე -1-9.''

და რადგანაც სიტყვა ათვლის ერთეულზე ჩამოვარდნილა, ,,დაწუნებული ლოდის'' მიხედვით შესაბამისობაშია -1,1-1- ხაე -37 - 10-1,და შემდგომ შემოთავაზებული სამი ასონიშანი - - 38- 20000, - 39, - 30 000 და - ა- 40-40 000, 37-ზე გაყოფით კვლავაც გვეძლევა სამების ახალი მწკრივი, ტრიპლეტი — 1,027,1, 054, 1,081. ეს მთავარი და ამით დაიხურება გონიო 4-ის, იგივე ჯვარის სრული მობრუნება თავისი ღერძის გარშემო.

ცხადია, ზღვას სათითურით ვერ დალევ, ანკი თუ ამოხვრეპ ხალხური ანდაზის შესატყვისად, ამასაც გარკვეული დრო სჭირდება, დიახაც, იმდენად მრავლისტევადი და ხანგრძლივი ჟამი, ასფუთეული მარილის ჭამაც რომ იცოტაოს, მაგრამ ვინაიდან და რადგანაც ,,გრაალის თასის საძმოს'' კოლექტიური ეზოტერიკული მსოფლგანცდა სრულიად ახალი წახნაგებით წარმოაჩენს ლაზარეს აღდგინების მითაჟამინდელ სურათს, ხატს, ვისურვებდი მეტ წონასწორობას დანარჩენ მსოფლიოსთან, რამეთუ ჩვენი მითოსური ძმების მსგავსად ყველაფერს მიპოტინებული ბაქიებად არ მოვინათლოთ ხვალ-ზეგ უშეღავათო ცივილიზაციისაგან. და რადგანაც კვლავაც გრძელდება ,,ოქროს საწმისის'', იგივე, ,,დაწუნებული ლოდის'', ,,ქრისტეს კვართის'' თუ კირბების გარშემო დისკუსია, ერთ მოსაზრებასაც შემოგთავაზებთ, ოღონდ უკვე პროფესიონალის პოზიციიდან, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელი ავტორეფერატიდან მილორდ სიჭინავას წიაღსვლებით:

მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ფონემა ,,ორინჯ''-ზე, ,,ორენჯ-ზე, ,,ქართა''-ზე, რომელთაგან პირველი ორი შინაური პირუტყვისა და რინა-ცხოვრების— ყოფიერების სემანტიკისაა. ქართაში კი ბ-ნ მ. სიჭინავა ხედავს ,,ქა ართო'', ,,რქოსანი პირუტყვი ერთად თავმოყრილი''.

ნაშრომში ორიგინალურად საბუთდება, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების, წარმოებისა და გაცვლის შემდგომ განვითარებას, წესით უნდა მოხყოლოდა შრომის საშუალებათა პროგრესიც.

ამ თვალსაზრისით, ბუღას, კურატს, ფართო გაგებით მენახირეობას, ადგილი უნდა დაეთმო უფრო წვრილ საყოველთაო ეკვივალენტზე, ვერძისათვის, კრავისათვის, კირიბისათვის. ბუღა ეცემა, იგი გადაიზრდება ხარში — გამწევი ძალის შინაარსში, თვინიერ მუშა-პირუტყვში, რომელიც შემდგომ უფრო იხვეწება, რაფინირდება და საბოლოოდ ჩამოყალიბდება ცხვრის ფარაში, ,,ცხვრის ფულში''.

ავტორმა ეტყობა თვალი ვერ მიადევნა ესპანეთის სინამდვილეს, სადაც გახლებული ხარების დესფილირება □მოკვდინება) ერთგვარი გამოძახილია მისმიერ წამოწეული ვერსიისა.

ტორო, ასრერიგად გამჯდარი ძვალ-რბილში მთელი ესპანეთის მოსახლეობაში, და განსაკუთრებით იბერიული წარმოშობის ესპანეთში, ხარის დაცემის, მესაქონლეობის გზის დაცლაა მეცხვარეობისათვის, როგორც უფრო მოქნილი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისათვის, ვაჭრობის აღორძინებისათვის, რამაც გამოიწვია ,,ხალხთა მასების საკმაო დიდი გადაადგილებანი დედამიწაზე'', და ქმნის ერთგვარი დასკვნის წინაპირობას:

,,ცხვარმა ერთგვარად გადაანაწილა კაცობრიობა დედამიწაზე''.

ავტორი ავითარებს თეზას პრომეთესა და ზევსის ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე, რაც ერთგვარი პრელუდიაა, წინარე სურათი ოქროს მონეტის აღმოცენებისა საქართველოში. ,,ოქროს საწმისი □მითებში: ტყავი ოქროს ვერძისა), ანუ ბრტყელი, მზის ფორმის, ოქროს მონეტა — ერთ-ერთი პირველი ოქროს მონეტა დედამიწაზე — მისი სავსებით ადეკვატური და ფრიად ამაღლებული სახელწოდებით — მანათი, რომელიც მომდინარეობს, უდავოდ, ცნებიდან ნათება, და მზესა და ნათელს უკავშირდება.

აიეტი მზის ბერძნული ღმერთის — ხელიოსის შვილია. იქნება აქ გადაიკვეთოს ბ-ნ მ. სიჭინავასა და ,,გრაალელების'' პოსტულატები, მით უფრო, რომ ბეოტიის ქალაქ ორქომენიდან □ორქო-ოქროა მეგრულად, მენი — მანეთს ეხმიანება), მოუსავლიანობისა და შიმშილის გამო ფრიქსე ჩამოიყვანს ხერმესის — ვაჭრობის ღმერთის მიერ ოქროცურვილ ვერძს, რომელიც მოგვიანებით ზევსს შეეწირება ტყავის სახით, ანუ იგივე დაბრტყელებულ ოქროდ, ფულის ეტალონად, და როგორც მატრიცა, ნიმუში ჩამოეკიდება ომის ღმერთის, არესის, წმინდა ჭალის ერთ დიდ მუხაზე, ცეცხლისმფრქვეველი დრაკონის სადარაჯოდ.

რაც შეეხება ბერძენთა ლაშქრობას კოლხეთში ოქროს საწმისის მოსატაცებლად, სულაც არაფრისმთქმელია საგნობრივად, ფეტიშის დონეზე, თუკი არ დავუშვებთ იმ კანონთა ერთობლიობის თვისებას, რაც მონეტარულ სისტემას, ფულად-სასაქონლო ურთიერთობას ახასიათებს საერთოდ, და ჩვენეული ადრეული ვერსიას: ოქროს საწმისი სიბძნისმეტყველი წიგნია, ბერძენი ავტორების ტირადებს დანდობით,

— ოქროს საწმისი, იგივე კირბია, კირიბიში, კრავისა, ანუ მატერიალური ცოდნა-ფორმულაა იმის თაობაზე თუ როგორ მოგვეპოვებინა ოქრო ქიმიის მეშვეობით, ფრიად საინტერესოდ წახნაგდება ბ-ნ მ. სიჭინავას წიაღსვლებით:

ოქროს საწმისი — ოქროს მონეტის ეტალონია, ყალიბი, მატრიცა და, ალბათ, ამ მონეტარულ სისტემასთან დაკავშირებული უამრავი წვრილმან-მსხვილმანი პრობლემა, მიღწეული ცხვრის ფარით, ცხვრით, როგორც ამ ცხვრის ღირებულების ტოლფასი. თუკი აქამდე ცხვარი ასრულებდა მონეტის როლს, აწი კოლხმა, □,,ხალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოხყვნენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან, □ხ)ალიბეს მხრიდან''), ანუ იმ ქვეყნიდან სადაც მეტალურგია დუღდა და გადმოდუღდა, ოქროს მონეტის ყალიბში მოქცევა იოტისოდენად არ გაუჭირდებოდათ. და თუ დავენდობით ბ-ნ მ. სიჭინავასეულ დასკვნებს: ,,აუცილებელია ფული მონეტარული მიმოქცევისა და მისი სახელმწიფოებრივი მოწესრიგების სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის''.

ჩვენეული განსჯისათვის რჩება თაგვის კუდისხელა — ,,კოლხური ეპოქის განვითარება ლეგენდარული აიეტის ეპოქაში, თითქოსდა, მართლაც მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ფულის უკვე საკმაოდ ფორმირებული მონეტარული მიმოქცევისა და, შესაბამისად, ასევე მიმოქცევაში სხვა ლითონებით □ან კიდევ რაიმე სხვა საშუალებით) ოქროს მონეტის შენაცვლების ბაზაზე, რომელიც უსასტიკეს სახელმწიფოებრივ მოწესრიგებაზეა დამყარებული''.

გაჩნდა სრულიად ახალი ვერსია ,,ოქროს ვერძის'' ვინაობის დადგენის ასპექტით, მაგრამ რადგანაც ამის თაობაზე სხვაგანაც გაცხადდება მრავალგზის, წუთშესვენება აქ ვამჯობინოთ.

ენდე, მაგრამ შეამოწმე

თვალსა და ხელს შუა იზრდება ,,გრაალის თასის საძმო''. ,,მესიის მახვილის'' სარედაქციო კოლეგია გაზეთის მე-8-ე ნომრიდან უკვე იწოდება, როგორც მეცნიერული რელიგიის შემსწავლელი საზოგადოება — ,,ქრისტეს მეგობარი ლაზარე''. ამ დღეებში მოხერხდება ეზოთერიული შემეცნების ამ სკოლასთან გამოცნაურება. ჩვენი პირველი გზამკვლევი ბატონი ვახტანგ აბრალავა გახლავთ. ორსაათიანი შინაარსიანი საუბრის მიწურულს ჩვენს დიალოგს თავად ამ მიმდინარეობის სულისჩამდგმელი და მმამოძრავებელი ენერგია, მირიან ქართველიც შემოუერთდება, იგივე ბატონი ნუგზარ ლატარია, და მრავალ საკითხს ბუნდოვნობის ლიბრი გადაეცლება.

დავიწყებთ ქართული ეკლესიის არქიტექტონიკით. მეცნიერული თეოლოგიის ფუძემდებლის განმარტებით სამნავიანი ტაძარი, შემთხვევით როდი შეესაბამება სამების სამ იპოსტასიანობის ბალავართა ბალავარს: პირველი საფეხური, ანუ შესასვლელი სამლოცველოში თანხვდება სვანურ ცივილიზაციას, იგივე ქამს, ,,ღან''-ით, უფლის პორტალით შედიხარ სავანეში, გაივლი ორგანზომილებიან მარგალი-გიორგისემის სათავსს, ანუ ქართლოსიანთა მეორე ცივილიზაციას, და მესამე—იბერიულის, დიახაც იაფეთის განზომილებასთან ზიარებით, შეაღწევ უფლის სასუფეველში.

ჩვენ ამჯერად ,,გრაალელების'' ორ უძირითადეს პოსტულატზე გავბედავთ ეჭვის შეტანას.

ეს გახლავთ რიცხვი 49 საკრალურობის საკითხი, ანუ ადამიანის ფერისცვალების ორმოცდარვაფაზიანი რეალობით მოხვეჭილი ორმოცდამეცხრე ,,მე'', ინდივიდუალობა, იგივე 48-1, და შესაბამისად, ამ საფუძველზე აღმოცენებული კომენტარები თუ რელიგიის მეცნიერული სწავლებით შეფერილი საზრისები.

მეორე კვლავაც ასომთავრულის წონასწორობას, მის არქიტექტონიკას, ანბანის პერიოდიზაციას ეხება. ადრე გამოთქმული ეჭვი, ასომთავრულის ორმოცწევრიანობის თაობაზე, მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერ გამიქარწყლა ბატონმა მირიანმა. ,,ურ''-ის, 38,20 000, , დავით აღმაშენებლის კვართზე აღმოჩენა ოთხკარედის სახით, გაუგებრობას იწვევს რატომ მოითრევა ყურით ,,დაწუნებული ლოდის'' ორმოცეულის ძალადშემავსებელ წევრად. იგივე პრეტენზიები კვებავს ,,ფონ''-ის 39-30 000, კომპოზიტის, ,,ფარისა და ,,ქან''-ის მათემატიკურ ჯამს. და არანაკლები მჭვრეტელობა ხვდება წილად ,,ქრისტეს კვართის'', იგივე ,,ოქროს საწმისის'' ყოვლისმომცველი შინაარსით დამუხტულ ,,ლი''-ს, 40- 40 000, სადაც ოთხი გონიოს ერთობლიობაა თავმოყრილი, იგივე ასომთავრული ,,ქან''-24-ის, ჯვრის ტრიალით მიღწეული უსასრულობა.

ჩვენ კი ზემორე ვავითარებდით მოსაზრებას, რომ ასომთავრულის ქაფიანიძის მიერ — ჯან-ით, 35-ე ასონიშანით დახურვა, ცდომილებაა, გრაალელების'' 40 ასონიშნამდე აჭიმვების მსგავსად-თქო.

,,37'' ასონიშანი იწყებს 0 მთელით და აგრძელებს სამწევრიან რიცხვებს ტრიპლეტური ვარიაციებით, ვიდრე 1 მთელს და ნულების უსასრულობას ჩამოამწკრივებდეს. მაგრამ, მოდით, მივყვეთ მსჯელობას, გაცხადებული თანამიმდევრობის შესაბამისად.

როდესაც ანთროპოლოგიის სახელმძღვანელოს გადავავლე თვალი, მყისვე გაირკვა, რომ ადამიანის ვერტიკალურ მდგომარეობაში გადასვლამ წარმოშვა წელის ლორდოზის განვითარება, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს გულმკერდის XI-XII მალები. ასოციაციურად ამოტივტივდა ეს ყველაფერი ჩემს ცნობიერებაში, ვინაიდან ადრეული პერიოდიდან მახსოვდა, რომ ხომო საპიენსის გულ-მკერდი ღრუ-ძვლოვანი კედელი იქმნება გულმკერდის 12 მალის, 12 წყვილი ნეკნისა და მკერდის ძვლის გაერთიანებით.

რომ ადამიანის თორმეტი წყვილი ნეკნი მკერდის ძვალთან დაკავშირების მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფს ეკუთვნის I-VII ნეკნი, რომლებიც მკერდის ძვალს უკავშირდებიან თავიანთი სამკერდე ბოლოთი ცალ-ცალკე, თითოეული დამოუკიდებლად და მათ ნამდვილი ნეკნები — სწთეფუ მუკფუ — ეწოდება;.

დანარჩენი ხუთი წყვილი ნეკნი — VIII-XII მიჩნეულია ცრუ ნეკნებად - სწთეფუ თზგკმფუბ ვინაიდან ისინი მკერდის ძვალს ერთმანეთთან დაკავშირების შემდეგ, ან სრულებით ვერ აღწევენ მას და მათი სამკერდე ბოლო თავისუფლად მთავრდება რბილ ქსოვილებში.

ამ უკანასკნელთ ეკუთვნის XI-XII ნეკნები, რომელთაც ცრუ ნეკნებისაგან გამოხყოფენ, როგორც მერყვ ნეკნებს — სწთეფ ადგსეგფტეუთ. ახლა ძნელია ამტკიცო, მაინცდამაინც რომელი ნეკნი ამოაცალა უფალმა ადამს მოწყენათა განსაქარვებელი ევას შესაქმნელად, მაგრამ ჩვენთვის უმთავრესი ის გახლავთ, რომ ,,გრაალელების'' 48 საფეხურიანი გრადაციის ამოსავალი ქვაკუთხედი, ყველა პარამეტრით მარტოოდენ 24-ის ოდენობით მოგვეპოვება ჩვენი თავსატეხი ამოცანის — ადამიანის ანატომიაში.

რა ვუყოთ დანარჩენ 24? გაისმის კითხვა და როდესაც იგივე ჩაძიებით მივაშტერდები ბატონ მირიან ქართველს, მყისვე მომიგებს ოსტატის თავდაჯერებით:

— კი, მაგრამ ადამიანის სხეული ფიზიოკრატული თვალსაზრისით მხოლოდ ნახევარია სრულფასოვანი ინფორმაცია, ანუ იდეაში არსებული ზუსტად ამდენივეთი რჩება ჩვენს მიღმა, უხილავში, და 48 სუბსტანცია, დიახაც ამ საკრალურობიდან გამოიყვანებაო.

დაკმაყოფილდება თითქოს ურწმუნო თომას მატერიალისტური ჩხირკედელაობანი; ახლა ჯერი ასომთავრულის სამმეტი ასო-ნიშნისკენაა — აქაც უმოკლესად გამჭოლითია მოძღვარის არგუმენტები: იესო ქრისტეს იგავური საუბარი მხოლოდ 25 პროცენტით შემოდის ჩვეულებრივ მოკვდავში. მხოლოდ ხელდასხმულები ეზიარებიან მას სრული დაიპაზონითო.

ასევე სრულყოფილი დამწერლობაა — იაკობისა, დანარჩენ ტომებს და ხალხებს განანათლებს იმ დოზით, რომელი დოზითაც შეუძლიათ მათ სიბრძნისმეტყველების ათვისებაო.

ყველაფრის სათავეთა სათავედ მიჩნეულია თვითონ მოსწავლის, შეგირდის აღქმის შესაძლებლობა და განვითარების დონე, მაგრამ მაინც გაურკვევლობის რიგს ჩამოამწკრივებს ასომთავრულის პერიოდული სისტემის ცთომილი ნაირგვარობა სხვა ტომსა და თესლში, რომელიც თითქოსდა ზიარებულთა ხელიდანაა გამოსული. მართლზომიერ ახსნას ვერ პოულობს ასო-ნიშანთა თანამიმდევრობის ხელოვნური აღრევა ანიდან ხოემდე, ალფადან ომეგამდე ბერძნულში, ,,ა''-ნიდან ,,ზეტამდე'' ლათინურში, ,,à''-დან ,,ß''-მდე ფინიკუიურ ანბანში, ,,ა''-დან — ,,ხ''-მდე ივრითის დამწერლობაში,'' ,,დან'' — ,,მდე რუსულში, ,,ა''-დან'' ჰ,,-მდე სომხურში.

შევეცადოთ მათ დალაგებას ქართული ასომთავრულის მიხედვით, ანუ იმ დალაგების პრინციპით მოწოდებას თითოეულისას, რომელიც ,,გრაალის თასის საძმოს'' წამოუწყია და მეტი სიცხადით ჩვენს მიერ თვალსაჩინოვდება:

ცოლკინის ბუნებაზე ბევრს მსჯელობს ეზოტერიკ-ფიზიკოსი, ბატონი ჰამლეტ წულაია თავის წიგნში ,,სად უნდა ვეძიოთ წარღვნით ჩაძირული ნოეს კიდობანი''.

მაიას კალენდრის თვეები ასე იწოდებოდნენ:

1. **იაშ-კინი** — ,, ახალი მზე''. ზამთრის მზებუდობის შემდეგ;
2. **მოლი** — ,,შეკრება'', ალბათ სიმინდის აღება, ნადი;
3. **ჩენი** — ,,ჭა'', დგება გვალვები პერიოდი;
   იაში (ავტორს გამოტოვებული აქვს, გ.ო.)
4. **საკი** — ,,თეთრი'', მინდორში გათეთრებული სიმინდის ჩალის ნარჩენი ღერებია. — ბედის ირონიაა სწორედ. სიმნდის კულტარამ ვერსად მოიკიდა ფეხი ესოდენ პოპულარულად, როგორუ სამეგრელოში.
5. **კეხი** — ,,ირემი''. იწჰება ნადირობის სეზონი;
6. **მაკი** — ,,დახურვა''. ტყის ცეცხლისაგან წართმეული ნაკვეთების გადახურვა ან ჩაქრობა;
7. **კან-კინი** — ,,ყვითელი მზე''. ტყის ხანძრების ცეცხლის კვამლში მომზირალი მზის სეზონი;
8. **მუანი** — ,,ღრუბლიანი''.ცა ღრუბლითაა მოფენილი. იწყება წვიმების სეზონი;
9. **პაში** — ,,დოლი''. საჭიროა გაიდევნოს ფრინველები სიმინდის მომწიფებული ტაროებყიდან;
10. **კაიაბი** — ,,დიდი წვიმები''. იწყება მარცვლეულის აკრეფა.მოსალოდნელია დიდი წვიმები;
11. **კუმჰუ** — ,,ჭექა-ქუხილის ხმაური''.ხშირი წვიმების სეზონი;
12. **ბოპი** — ,,ჭილოფი''. ან ,,ხეების მოჭრის თვე''.
13. **უო** — ,,ბაყაყი''. ისევ მოდის წვიმები. ან სიმინდის ტაროების გადაღუნვა — ოდოშღერი;
14. **სიპი** — ნადირობის მეფის სახელი. ან გვიანი სიმინდის ტაროების გადაღუნვა;
15. **სოცი** — ,,ღამურა''. ზამთარი. მოკლე დღეები.
16. **ცეკი** — ზუსტი თპარგმანი არ არსებობს. მიახლოებით კი ნარჩენი მარცვლის აკრეფაა;
17. **შული** — ,,დაბოლოება''. ზამთრის მზებუდობამდე დარჩა ხუთი დამატებითი დღე.
18. **უაიები** — ხუთი დამატებითი დღე.

ამიტომაც, როდესაც მაიას 20-დღიანი თვრამეტი თვე აქვს საანგარიშებლად, ბუნებრივია, ყოველთის 364 დღიანი წელიწადი გამოუვა. თავად დღეების სახელები ამდაგვარი გახლდათ:

0. **ები**
1. **ბენი**
2. **იში**
3. **მენი**
4. **კიბი**
5. **კაბანი**

6. **ესანაბი**
7. **კავაკი**
8. **აჰაუ**
9. **იშიში**
10. **იკი**
11. **აკბალი**
12. **კანი**
13. **ჩიკჩანი**
14. **კიში**
15. **მანიკი**
16. **ლამატი**
17. **მულუკი**
18. **ოკი**
19. **ჩუენი**

და, აი, ამ 20 18-ით ვღებულობდით კიდეც 364 დღეს. მაგრამ ვითარება კარდინალურად იცვლება მაიას ტომში. ასპარეზი ეთმობა ცოლკინს, რომელიც 365 დღიან კალენდრის ასტრონომიული გამოხატულებაა. რატომ? რა საჭიროებამ გამოიწვია მაიას ტომში კალენდრის შეცვლა? აი კითხვა რომელიც უამრავ ეჭვს აღუძრავს მეცნიერების წყებას და უწინარესად დედამიწის კატასროფას უკავშირებს, ანუ გიგპანტური ასტეროიდის დაჯახეყას მასთან, რომელიც 38 გრადუსით გადაღუნავს დედამიწის ღერძს, და დროთა ვითარებაში ყველაფერს გადაასხვა- ფერებს მის წიაღსა და ზედაპირზე, კლიმატს, ცოცხალს არსებებს, რელიეფს. თავად დედამიწის მოძრაობას მზის გარშემო თუ გეოიდურ აღნაგობას, რომელიც ადრეულ ფაზაში უცილობლად განსხვავებული იქნებოდა. ციფრი ,,13''-ის კვიმატად მიჩნევა, როგორც ჩანს, შემთხვევით არ მომხდარა დედამიწელების ცნობიერებაში. ჩვენ ვივარაუდეთ თავის დროზე დედამიწაზემომხდარი კატასტროფის თარიღი, რაც ნოეს ე.წ. კიდობნის პარამეტრებითაა კოდირებული ანუ 300 წყრთა — 144 მეტრის ნამრავლი 50 წყრთა — 24 მეტრზე და კიდევ 30 წყრთა — 14,4 მეტრზე. რაც საბოლოდ მეტრულ განზომილებაში გამოხატულია ციფრით — 38 28 1, **8 46153** აი, თარიღი რომელიც აკმაყოფილებს ტროანოს კოდექსში აღწერილ კატასტრფის თარიღს და დიმდი გამყინვარების ასაკის.ჩვენ მისტი- ციზმის საყმაწვილო სენი მოგვიხდია ერთხელ და სამუდამოდ, ჩვენი აზროვნების მოდელი პრაგმატიკულია და მეცნიერულ კანონზომიერებს დაყრდნობილი. ყველაფრის გათვალისწინებით მაიას კალენდარში ცრლკინის მოვლინება შემთხვევითი არ უნდა იყოს, ის უნდა ასახავდეს დედამიწაზე მოხდენილ კოლოსალურ კატასტროფას, რომელიც იმდროინდელმა ქურუმულმა გონებამ უზუსტესად დააფიქსირა მათემატიკური არტახებით. ცნობყისთის მაიელების გამოთვლილი მთვარის სინოდური პერიოდი 29. 53086 დღეს და ჩვენს მიერ გამოანგარიშებულს აჭარბებს 0, 000027 დღით. ხოლო მათ მიერ გაჩხიტბული ტროპიკული წლის ხანგრძლივობა 365,2420 დღეს შეესაბამება და 0, 0001 დღით ზუსტია ჩვენეულზე. იბადება კითხვა, კი მვნრვს ესოდენ აფთიაქარის სასწორითა და იუველური ცოდნივ აღჭურვილ მაიელებს რისთვის დასჭირდებოდათ 364 დღიანი დედამიწის კალენდრის 365 დღიან კალენდრად გადაკეთება თუკი საამისო პირობები არ შეიქმნებოდა დედამი- წაზე? ა მ მიმართებით ჩვენ ვივარაუდეთ ზოგი რამ ზემორე წერილში ''...სენსა ცია...'', აქ კი იმასღა დავსძენთ, რომ კაცობრიული ცოდნა დედამიწას მიჯაჭვული ამირანია რაღაც დიდი დანაშაულის თუ სასჯელის გამო. რომლის ფორმულა ,,666''-ია, იგივე მხეცის კუთრი წონა და რომელიც სინამდვილეში ჭეშმარიტების ქვაკუთხედია, მაგრამ კაცობრიული სულიერება ტაბუირებულ საკრალურობად აცხადებს მას ჯერ კიდევ უმწიფარი მსოფიოსათვის. მეტიც უკრძალავს ამ ცოდნაში ჩხირკედელაობას, ვინაიდან წყალბადის ბომბი და აინშტაინ-მორფების ჩხირკედელაობის შედეგია ნაგასაკი-ჰიროსიმა გუშინწინ და გამორიცხული არ არის იგივე, თანაც ხუთჯერ ან ათჯერ ძლიერი აფეთქების შედეგი გახლდათ ატლანტიდის ტრაგედია. ვინაიდან ზნეობრივად მცხოვრებ კაცობრიობას 3000-4000 წლის მანძილზე თავისუფლად ძალუძს ურთულესი ოპერაციების განხორციელება ადამიანის ანატომიასა თუ კოსმოსში. იოანეს გამოცხადების ,,666'' **,,SOS''-**ის მნიშვნელობით გაჟღერებული წამოძახილია — 846 153 პლუს 2004 წლის წინათ დაკივლებული სასოწარკვეთა! ამიტომაც და მხოლოდ ამიტომ გავამხელთ მომჭირნეობით კაცობრიობის უმთავრესი ქურუმის — ამირანის ცოდნას ,,პროექტ'' გვიმარაში მოგვიანებით, რათა ადამიანების მოდგმამ სასიკეთო საქმეების ნაცვლად ლუციფერულ სამსახურ შიმ არ ჩააყენოს დედამიწისეული კოლოსალური ენერგია, რომელიც 3—4 თაობის

ბენი
იუი
მენი
კიბი
კაბანი
მსანაბი
კაფაკი
აჰაუ
იმიუი
იკი
აკბალი
კანი
ჩიკჩანი
კიმი
მანიკი
ლამატი
მულუკი
ოკი
ჩუენი
ები

| | | |

მანძილზე შეიძლება აკუმულირდეს ერთადერთ სიცოცხლისუნარიან პლანეტაზე მზის სისტემაში და ბრძენის ხელში რძე-თაფლის მდინარედ იქცეს, ხოლო სალოსისა — ზოგადკაცობრიულ გილიოტინად, საქონდაქრედ, ქოცოდ, ჩინგიზ აითმათოვის ,,პლახად''.,, ცოდნა განდობილთათვის'' — ამნაირია ბატონ ჰამლეტ წულაიას განმარტება ეზოტერიკული ხასიათი, რომელიც ბევრ შემთხვევაში ამოხსნადია და უმეტესწილ ბურუსით მოცული. 7-ის,13-ის, 91-ის და კიდევ უამრავი ეზოტერიკული სიღრმის არსი წმინდა წერილებში იმარხებოდა ,,საზოგა- დოების გარკვეული ფენის სასარგებლოდ ან კიდევ მთელი კაცობრიობის უსაფრთხოების მიზნით''. დარწმუნებული ვარ 7, 13, 91, 666 განდობილი ხალხის მიერ, განგებ დაფპარული ცოდნაა, განგებ დამარხული სიბრძნე, რათა მოვლენებში ჯერ კიდეთ ჩაუხედავებმა, იგივე ბალღებმა კაცობრიული პოზიციიდან რეიმე ხიფათი არ ავუტეხოთ სრულიად სამყაროს. ამიტომაც ოტროველას მეტი ვერავინ გაკილავს ჩვენეულ დამოკიდებულებას სიბრძნის ინფორმაციული ბანკის წუწურაქულ მოხმარებსათან დაკავშირებით.

მოკლედ, მაიას ცივილიზაციის კალენდარული პრობლემა თავს იყრის ერთ დღესთან. ოცდღიანი კალენდრით აქ უაიები ოთხია, ხოლო ცამეტდღიანი კალენდრით 5. ,,სენსაციაში'' გამოვთქვით ჩვენ ვარაუდი ამ ერთდღიან სხვაობაზე, რომ იგი ადვილმოსალოდნელია დედამიწის კატასტროფის სურათი იყოს, ასტეროიდის დაჯახების შედეგად მისი ღერძის 38 გრადუსით გადახრა, რომელიც ნოეს კიდობნის ეზოტერიკულ განზომილებებშია დამარხული — **38 28 1, 846153. ეს სისტემა მაიელების მხარდამხარ ქართველებისა და ბასკების კუთვნილებაა მთელს დედამიწის ზურგზე.**

ავთლის ოცობით სისტემას კი საფუძვლად ადამიანის კიდურების დაბო- ლოება უდევს — ხელის 10 თითის პლუს ფეხის 10 თითი ტოლია 20-ის. ამ სიდიდეს ორმოცამდე გაგვიზრდის მირიან ქართველი ათვლის დოგმის დასადასტუ- რებლად ქართულ ასომთავრულში, რადგანაც სრულყოფილება მამრის და მდედრის ერთობლიობაა (20 + 20 = 40) და მას ამ პროკრუსტესეულ მეცადინე- ობაში ჩვენი 37-ნიშნიანი ანბანის დამატებით სამი ასო-ნიშნით გაწელვა მოუწევს. თუმცა ამის თაობაზეც გვითქვამს, გარდახდილია. ცოლკინი რომ მხოლოდ კალენ- დრის ცხრილს არ შეესაბამება ეს წინდებული დიაგრამების შეჯერებითაც დასტურდება: ერთი ჩვეულებრივი ნუსხაა, საყველპურო დავთარი, ხოლო მეორე — მართლაც ასტრონომიული, ჭეშმარიტად ქურუმული ჩანაწერი სამყაროს კანონზომიერებებზე, სადაც ორი რიცხვითი სიდიდე — ,,7'' და ,,13'' წონასწორ- დება მარადიულ მუდმივად, თუმცა, როგორც იტყვიან, თან — საქმე.

ქართული ცის ნოსტალგია

ცასთან, ცაბაოთთან, უფალთან მე უფრო ადრე მივალ, ვიდე ტერენ- ტი გრანელს წავიკითხავდე, ან ბატონ ვაჟა თორდიას გავიც ნობდე ზუგდიდ-ქალაქში — დიდედა-პაპა ხალხური პრეზიის გამოუსწორე-ბელი სალარონი მყვანან და იმათგან მოვისმენ პირველად ტოგო გუდავას წიგნებიდან ამოკითხულს —

ბეა დიდა რე ჩქიმი,
თუთა — ბუმა ჩქიმი,
ხვიჩა-ხვიჩა ბურიცხ ეფი —
და დო ჯიმა ჩქიმი.

ბზე დედაა ჩემი,
მთვარე — მამა ჩემი,
სავსე-სავსე ვარსკვლავები —
და და ძმაა ჩემი —

არა, არანაირად მასვენებს ბატონ ვაჟა თორდიას შემწეობით ქართული სულიერების ამსახველი წიგნის შექმნის იდეა. ვისი მეშვეობით არ დავუტრიალდები ხელმწიფის ტოლ კაცს: ხან ბატონ ოთარ ფაცაციას წავიძღოლიებ პროტექტორად, ხანაც — მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს ვიმეგზურებ ზურგის ქარად, საგრამ ჩემს მიზანსწრაფულობას ყოველთვის გამოუჩნდება რაღაც გადაულახავი ბარიერი.

ამასობაში მე ქართული ცის ნოსტალგიაზე რომანს გავასრულებ. „სიცოცხლემისჯილების“ პირველ წიგნში მეგრულ ფოლკლორში შემონახულ ფრაზას ავიტაცებ ლოცმანად — **ბუტუტია თიმწკუმა დინუ, მუჟამს ფსუა ქაჩანუ, მარა უფსუალეთ უღურალა მიქ თქუ** — ჭიანჭველა მაშინ იღუპება, როცა ფრთა გამოუვა, მაგრამ უფრთებოდ უკვდავება ვინა თქვა?! — გავასრულებ ტრილოგიის პირველ შიგნს, თუმცა ცასთან შეხების რეალური შანსი კვლავაც იგვიანებს.

მე თანდათან ვუღრმავდები „თბილავიამშენის“ ცხოვრებას, უკვე ჩემთვის ცასავით ნათელია ამ შეუდარებელი კოლექტივის საგინესო მონაცემები — ისინი მართლაცდა დაუჯერებელ ტემპში მოახერხებენ ტრიალ მინდორზე თანამედროვე მოთხოვნილების შესატყვისი ქარხნის აღმოცენებას — 20 დღეში. დამხმარე სამეურნეო ნაგებობას 27 დღე-ღამეში გაართმევენ თავს. აქ დღე-ღამეს შემთხვევით ვახსენაბ, ვინაიდან ქართველი ავიამშენებლებისთვის მნიშვნელობა დაყარგელბა ნათელი და ბნელის მონაცვლეობის კოსმოსურ გაგებას. აქ ყველაფერს მოახლოებული საფრთხის — გერმანული ფაშიზმის აჩრდილი თანგავს გადარჩენის იმპულსით. და 1941 წლის სასრულს 30 თვიმფრინავი ჩაებმება ხელჩართულ ბრძოლაში. აი, ნამდვილი ფრთოსანი ჭიანჭველები! ავიამშენებლების სიამაყე მაინც **CY**- 25-ია. სწორედ ეს ტექნოლოგიური და კონსტრუქციული სრულყო ფილება გახდება საერთაშორისო სერთიფიკატის — **ENISO**-9001 მინიჭების გარანტი. უფრო ა დრე კი — ზებგერითი ფრთოსანი რაკეტების — **K**-10 სერიული წარმოება ჩააფიქრებს ავიაციუნრ მსოფლიოს..

ამასობაში ჩემ წინ უამრავზე უამრავი მონაცემი დალაგდება საანალიზოდ — ქართველი ასტროფი- ზიკოსების თუ ეზოტერიკების მრავლისმეტყველი შემოქმედება.

ჰამლეტ წულაიას წლების მაინძილზე უმუშავია კოსმონავტების ქალაქ ბაიკანურში და მართლაც რომ იშვიათი მუხტის წიგნს გვისახსოვრებს — „სად ვეძებოთ წარღვნით ჩაძირული ნოეს კიდობანი“. აქ განსაკუთრებულია წარღვნის ბიბლიური სურათის მეცნიერული დასაბუთება, თითქოს დედამიწას ასტეროიდი დასცემია რამდენიმე ათასწლეულის წინათ და მისი ღერძი 38 გრადუსით გადახრილა. აქვე გავეცნობით მაიას ტომის კალენდარს **„ცოლკინს“** მეტეროლოგიური ნიუან- სებით. მაგრამ ჩემი მაძიებლური სული არ დას- ჯერდება მეცნიერულ წიაღმსვლებს და ჯიუტად გავაგრძელებ ნოეს კიდობნის პარამეტრებით მისი ყოფნა-არყოფნის დამტკიცებას.

ბიბლიის მიხედვით კიდობანის სიგრძე 300 წყრთაა , სიგანე — 50 და სიმაღლე — 30, რაც საბოლოო ჯამში ამისთანა არითმეტიკულ ნამრავლს გააცხა- დებს: **144 X 24 X 14,4 = 38 28 1, 8 64 1357** ანუ უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ეს პარამეტრები დედამიწაზე მომხდარი რაღაც კატასტროფის ჩაწერის ეზოტერიკა უფროა და შესაძლოა ნოეს კიდებანი საერთოდ არც აგებულა. ანუ ასტერო-იდის დაცემამ დედწამიწის ღერძი ჯერ 38 გრადუსით გადახარა, დროთა ვითარებაში ეს ტრავმა 28 გრადუსამდე შემცირდება, როგორც ამჯერადაა სინამდვილეში და საბოლოოდ იგი 1,8 პროცენტამდე აღიდგენს თავდაპირველ მდგომარეობას. აი, ამისთანა ჰიპოთეზებს ვეჯაჯგურები და არავინ მყავს

ახლომახლო პიროვნება, ვისაც დილეტანტურ დაკვირვებათა ლეგიონებს გულისფაეცქალით გავუზიარებდე.

„თბილავიამშენში“ მეშვიდე, მეცამეტე თუ მეერგასე მისვლა ყოველთვის ტატაიანა ივანოვნას თაფლნარევი ხმით სრულდება :

„უცხოელი სტუმრები ჰყავას, მოგვიანებით გამოიარეთ გეთაყვა“;

ან **„აშხაბადშია და ორ სამ - დღეში გამოიარეთ, ძვირთასო“**;

ან კიდევ **„ბატონი ვაჟა ამერიკაში გახლავთ სამსახურეობრივი საქმეებისათვის, დარეკეთ, მოგვიანებით, საყვარელო“**.

ეს რუსული აქცენტები მზესავით მუსრავს მამა დედალოსის მიერ ფაეტონის მხრებზე გამოსხმულ ცვილის ფრთებს, მაგრამ ნათქვამია, თავს ზემოთ ძალა არ არისო და შედარებით საფუძვლიან საუბარს ბატონ ვაჟა თორდიასთან ვერაფრით ველირსები, კოსმოლო- გიური შინაარსის წიგნზე მსჯელობა ხომ მთლად ფუფუნების თემაა ტატიანა ივანოვნას ყაზარმული წესრიგით გათანგულისათვის.

ჩემი სული კი არაფრით ცხრება ეზოტერიკული სფეროების კვლევის გზაზე. უკვე ცოლკინის ხულიო არგუელის თუ აკადემიკოს დვორინისეული ინტერ- პრეტაციები სასაცილოდაც არ მყოფნის, ვინაიდან მივხვდები, რომ ამ ტრაგიკული ხალხის შემოქმედებაში კალენდარს მიღმა რაღაც ასტრა- ლური, რაღაც არამიწიერი სიბრძნე, ცოდნა იდუმალებს.

მე იმთავითვე ვიაზრებ, რომ 7 -ის და 13-ის საკრალურობით მაიას ტომი ქმნიის რაღაც ზეკოსმოსურ ენერგიას, რომლის სიხშირეები წიბოთი მიწისკენ მიმართულ 2 სამკუთხედს განასახიერებს. საერთოდ სამკუთხედი ცნობლია, როგორც ადამიანის სიმბოლო. მზისგან წამოსული ენერგია დედამიწაზე ფიზიკურად კონუსის ფორმით აღწევს ვიზუალურად, რაც ეზოტერიკულად გეომეტრიული სხეულით — სამკუთხედით გამოიხატება . ეს პირველი ფაზაა ანუ სიცოცხლის ჩასახვისა და განვითარების მონაკვეთი. ხოლო, როდესაც **Homo sapiens**-ი მიაღწევს ცნობიერ საფეხურს, იგი ამ ციდან დაშვებულის სამკუთხედის სარკისებური ანარეკლით იწყებს სიცოცხლის მომნიჭებელი ძალისკენ სწრაფვას და ამ პროცესში ორი სამკუთხედის გადაკვეთის შედეგად ვღებულობთ დავითის ვარსკვლავს, დღესდღეობით ისრაელის სახელმწიფო დროშაზე რომაა გამოსა- ხული სრულყოფილი ადამიანის სიმბოლოდ.

დარწმუნებული ვარ ყველა საიდუმლოს ცხრა- კლიტული **ცოლკინის** პერიოდებშია მოცემული. აქ მახვილი თვალი ადვილად იპოვის ადამიანის პარამეტრებს. ცენტრალური ხაზი, რომელიც უფლისეული წონასწორობის გზაა, 140 ერთეულს მოითვლის, ხოლო მარცხენა — 139 და მარჯვენა — 141. ერთგან ნაკლებობაა, მეორეგან — მეტობა, ანუ თვალშისაცემი დისჰარმონია. აქ, ამ სურათის მიხედვით, ერთხელ დას სამუდამროდ დაფიქსირ- ებულა ადამიანში რეალურად არსებული ასიმეტრი- ულობა. მეტიც, ცოლკინის საკრალურ სივრცეში ჩაკრისტალებულია ენერგეტიკის ფორმულაც, რომლის გაშიფვრა მომავლი თაობის საქმეა, მაგრამ ჩვენთვის გაცხადებული საკმარისზე მეტიცაა.

ამასობაში სხვა განზომილებასაც მოეფინება ნათელი — ბატონი ვაჟა თორდია თურმე რუსეთის კოსმონავტიკის აკადემიის საპატიო წევრია. **ღურუშ წამალ ოლაფარეს ელაჩანდ ვოუჩქუდეს ვარავა** — უკვდავების წამალი ლაფაროსთან, ყურისძირას ხარობდა, არ იცოდნენ თორემო, თუმცა გოჯის- ხელასაც ვერ დავაცდენინებ ჩვენი სამომავლო წიგნის სასარგებლოდ. მეტყვის მხოლოდ ორაზროვან ფრაზას — **საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, დავუცადოთ მოშავალსო** და რაღას გავაწყობ ჩრდილოეთელი პრიმადონა ტატაიანა ივანოვნას სამდივნოს პატრონი?!

ისევ ჰომეროსის სამყაროს სიღრმეებს მივაჩერდები. ბერძნულ მითებს, ოქროს საწმისის ეზოტერიკას და აქ ერთ შეურყეველ შეხედულე- ბამდე მივალ: **კოლხები მართლაც მზის შვილები ვართ. შემთხვევით არ დაგვასახელებს ბერძნული მითოლოგია ჰელიოსის შთამომავლებად. კოლხურში კოსმოსური სივრცის მნიშვნელობის ინფორმაციაა შენახული წმინდა წერილებში, რომლებიც დროთა ვითარებაში განადგურდება, დაიწვება, დასახიჩრდება, გაიძარცვება და ოდესღაც უფლის ენაზე მოსაუბრე ჩვენი თვისტომი, სალოცავ გვიმრის ხესავით გიგანტი და ცადატყორცნილი, იქამდე დაჩიავდება, იქამდე დაკნინდება, იქამდე , გადაშენდნბა, რომ სავალალოდ აწ ცელითაც ითიბება.**

არადა, ტროას ცხენს ბერძნები კოლხეთში გაცილებით ადრე შეაგზავნიან, ვიდრე ამას ილიონის კარიბჭეში შესაღწევად მოიაზრებდნენ:

ოქროს ვერძი ბერძნული წარმომავლობისაა. იგი გრძნეულია ამავდრო ულად და მფრინავიც. შეასხდებიან მის მოსირმულ ზურნს ტყუპისცალი და-ძმა — ჰელე და ფრიქსე და კოლხეთისაკენ გამოეშურებიან. ჰელე გზაში ვერძიდან ჩამოვარდება და ზღვაში დაიხრჩობა. ამისთვისაც ეწოდება

ამ ზღვას ჰელესპონტი. ფრიქსე კი გამოაღწევს ნაპირზე და გრძნეულ ვერძს აიეტ მეფეს უსახსოვრებს. გაიხარებენ საჩუქრით კოლხები. გრძნეულ ვერძს უმაღლეს ღვთაებას — ჰელიოსს შესწირავენ მსხ!ვერპლად. ხორცს შეტრუსავენ და თავად ინებებენ, ხოლო ოქროცურ- ვილ ტყავს სალოცავ მუხაზე ჩამოჰკიდებენ, რომელსაც დრაკონი იცავს ზამთარ- ზაფხულ. ამისთანა საჩუქრით ხელდამშვენებულ ფრიქსეს გულში ჩაიხუტებს აიეტის სამეფო კარი და ასულსაც მიართმევენ საცოლედ. მოკლედ გაიჩარხება საქმე, თუმცა გაივლის სულ რაღაც ორი ათეული წელიწადი და ახლა ბერძენთა ახალი ნაკადი ჩამოლაგდება კოლხეთში იასონის მეთაურობით, ოღონდ განსხვავებულია მისია — ოქროს საწმისის წასაღებად მობრძანებულან. გაოგნებულია აიეტ-მეფე. ან ჩუქება რა იყო, ან წართმევა რა ბედენაა?! მოკლედ, არაფრით ეთმობა ოქროცურვილი ვერძის ტყავი — ოქროს საწმისად რომ მონათლულა აწ, ოქროს სარწმუნისად. თუმცა ჩაწვრილმანებას მოვერიდებით და გავაცხადებთ ვარაუდს, რომლის მიხედვით, გაუგებარია ჩვენთვის აიეტ- მეფის წუწურაქობა. რატომ, რის გამო, რის გულისათვის არ ეთმობა ბერძნების მიერ ნასახსოვრები ნივთი?! ისეთი რა საკრალურობა გააჩნია ოქროს საწმისს, რომ ვერაფრით გაუმეტებია ჰელიოსის შთამომავალს?! დიახაც საქმე აქ არის, მეგობრებო, ოქროს საწმისი ამ შემთხვევაში პირველი ტროას ცხენია კოლხურ სამყაროში შეგზავნილი ზედ გადატანილი საიდუმლოების მოსაპოვებლად, ოქროს საწმისი ხომ უკვე ეტალონის მნიშვნელობისაა, სამყაროს ანიაგანის საზომი და ამისთვისაც არ ეთმობა კოლხეთს მამათა და პაპათაგან ნაწერი წმინდა წერილების გახსნა უბირი, დაბალგანვითარებული გრეკისათვის. თუმცა მედეას შემწეობით მოიპარავენ ბერძნები ოქროს საწმისს და მთელი უბედურებებიც მას აქეთ დატრიალდება, რამეთუ წმინდა წერილებს, ქურუმების მიერ შესრულებულთ წამკითხავი სჭირდება, იგივე ხელდასხმული, რომელიც ბერძნულ სამყაროში არ იძებნება, თუმცაკი მედეაც ახლავთ. და დაიწყება ტროას ათწლიანი ომი ამ ოქროს საწმისის გასაღების საპოვნელად — უშედეგოდ მიმოლეწავენ ილიონის კედლებს გრეკები. ოქროს საწმისის საიდუმლოს გასაღები, შიფრი, არსად იძებნება ტროაში და მხოლოდ ახლა, ამდენი სისხლისღვრისა და ორომტრიალის შემდეგ გაახსენდებათ ბერძნებს კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანი, გაახსენდებათ კოლხების უმთავრესი ქურუმი, იაპეტოსის ძე, იგივე ნოეს შვილიშვილი. გაახსენდებათ და ნახევრად კოლხი ჰერაკლე მოკლავს მის ღვიძს შემოჩვეულ ზევსის არწივს, ახსნის მონობის ჯაჭვისაგან. მაგრამ რატომ? რისთვის? რა დამსახურების გამო კვლავაც უცნობია. ღმერთებისათვის წართმეული ცეცხლი ხომ კვლავაც ხალხშია ჩამოთესლილი და უკან არ მიუბრუნებია ჯერეთ. რა დამსახურების გამო უნდა აიხსნას მონობის ჯაჭვისაგან ჩვენი ამირანი, იგივე არამხუტუ, პრომეთე ზოგადად?! აქ ჰერაკლეს ქმედებას მოტივაცია არ გააჩნია . და პასუხი კვლავაც ცალსახაა — ოქროს საწმისი! დიახ, ოქროს საწმისის საიდუმლო ფაილების ყველა კლიტე ამირანის ხელთაა, მაგრამ როგორც პირუთველი ისტორია გვკარნახობს დაბალგანვითარებული გრეკი ვერ ეღირსება მას ხელდასხმული ადამიანისაგან. ასეთი და ამგვარია ჩვენეული ინტერპრეტაცია ოქროს საწმისის , იგივე კირბების , საკრალურობის თაობაზე.

ბატონ ვაჟა თორდიასთან მიმოსვლებს კვლავაც ვაგრძელებ ჩვეული გულმოდგინებით, კვლავაც მიხერხდება ეფემერული შეხვედრები ამ მართლაცდა უნიკალური ბიოგრაფიის ადამიანთან, რომელიც ქართული ავიატორული ხელოვნების ნიუანსებს თავისთავში აერთიანებს ზემოთ ხსენებულ ამირანივით, იგივე პრომეთეს მსგავსად, არამხუტუს ტოლფასად კოლხური მითოლოგიიდან. ჩვენ ფრაგმენტულად, ზოგჯერ ხელშესახებადაც ვიმსჯელებთ ბერძნულ-ქართულ მითოლოგიაზე, ქართული ავიაციის პრობლემებზე, მის პერსპექტივებზე, ხვალინდელ დღეზე საიერთოდ, მაგრამ კვლავაც ზერელობაა, კვლავაც ზედმეტი სიფრთხილეა ჩემი პერსონის მისამართით.

გური ოტობაიას დილეტანტური ინფორმაციის ბანკი კი წვეთ-წვეთობით ივსება რაღაც ახლის დასასადგურებლად, რაღაც ახლის გასაცხადებლად. არაფრით ვეხსნები გენეტიკას, ანთროპოლოგიას, ფიზიკისა და ქიმიის ურთულეს შრეებს. აბასთუმნის ობსერვატორიას თავსტრიალებ თავზე. იქ ჩემი თანაოტობაიელი ოთარ კვარაცხელია ცის კარს გამიხსნის ვარსკლავთა ხომლეულის სამწყემსად. უკვე მზი სისტემის შემოგარენს მშობლიურ ეზო-კარივით მოვუშინაურდები. უკვე ცასავით ნათელი შეიქმნება ჩემთვის მზის ენერგიის მიერ დედამიწაზე გვნხორციელებული სიცოცხლის ავანჩავანი. უფრო მასშტაბურს ვეჭიდები, ვინემ უბრალოდ ავიატორული ნიუანსებია. არ ვჯერდები ,,მიმინოსა'' და ,,შერეკილების'' გაბარიტებს. სხვა სფეროში გადანაც- ვლება მომგუნებებია, რომლის მიხედვით თამამად გადასერავ ატმოსფეროს, იონისფეროს, სტრატოს ფეროს, გაიჭრები უჰაერო სივრცეში, რათა გაგარინივით აღტაცებით შესძახო დედამიწის სილამაზით მონუხულმა: **× ÓÄÅÑÅÍ !** ეს ბედისწერაა, ჩემი ნებისყოფის ერთგვარი გამოცდა და აღარც მე ვუძალიანდები მოვლენების განვითარებას.

თანდათან ვუმეგობრდები ბატონ ვაჟა თორდიას ჯალაბს. ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი ხელდასხმისათვის გაიმეტებს ჩემს ბორგნეულ თხემს. აქა-იქ შალვას გავესაუბრები ცხოვრებისეულ ნიუანსებზე ნონა თორდხეს მესაჭეობის ფონზე. გავეთამაშები ოქროსფერ სანდრიკას. ოფიციალურ შეხვედ- რებზე გავუცვლი ფრაზას

ქართული ავიაციის ქურუმს, ეგ არის და ეგ. მერე საპარლამენტო არჩევნების ბაკქანალია ააბარბანჯებს სრულიად საქართველოს. აქაც კოლხური წონას- წორობით გამოჩეულია ჩვენი იუბილარი, არ აჰყება ახალგაზრდულ გამოწვევებს, ღირსეულად დააღწევს თავს სცილას და ქარიბდას. მერე და ,,ვარდების რევოლუციის'' ცუნამი მირეჯგვ-მორეჯგვავს მემლექ- ეთს ჩვენსას და ადრე წითელი დირექტორობით დაწუნებულ ავიატორს უხილავი რიფეები დახვდება გაშლილ ზღვაში, თუმცა სანთელ-საკმეველი თავის გზა-სავალს უპრობლემოდ გაიგნებს მაინც და ამერიკული ,,ბოინგებისკენ'' თუ ბეიკერის ფონდისკენ მიმავალ თემშარას წინ ვეღარაფერი აღუდგება.

მე ჩემი ლელო სისხლს ძალუმად გაგმომწოვს აქეთ. როგორღაც ჟურნალ ,,კირბისის'' პირველ ნომერს გავამზადებ საპუბლიკაციოდ. ამიერიდან ბატონი ვაჟა და მისი ,,ავიამშენი'' ჩვენი თანამოსაგრეა. ჩვენი მიზნები ნელინელ უახლოვდება ერთმანეთს — რადაც დაგვიჯდეს უკანასკნელი ენერგიის გაღეებით მოვახ-დინოთ ქართული სულიერების რეალური სივრცეების დაფიქსირება, მოვახდინოთ ქართული ფენომენის მოძიება ამ გადაბურუსებულ ოკეანეში, დავიბრუნოთ ის რეგალიები და სივრცეები, რომელსაც 6000, 4000 წლის წინათ ქართველი, კოლხი ჩინებყულად ართმევდა თავს, ვიდრე იმწზის შვილად იწოდებოდა და მზის კანონებით უხდებოდა ცხოვრება.

ქართული ფენომენის უმთავრესი ზოგადკაცობრიული მონაპოვარი საკუთრივ მისი ანთროპო-ლოგიური მონაცემებია. ჩვენმა ქურუმებმა, დიახაც, აქ , ადამიანის კორპუსში, სხეულში მოახდინეს მთელი საიდუმლოებების კოდირება. ადამიანი, რონორც ასეთი, ასიმეტრიული მოაზროვნე არსებაა, და მის გასაწონას- წორებლად უწინარესად შემოშველიებულ იქნა ბგერა, სიმღერა, რომელიც ხორხის იოგების მუსუკულა- ტურით ახერხებდა წინარე ჯირკვლების დარეგუ- ლირებას. მეტიც ამ მეთოდით ხერხდებოდა აშლილობებით გაწამებული ,,ჰომო საპიენსის'' გაწონასწორება. ეს უმთავრესი, მაგრამ ჩვენი ქურუმები სხვა მრავალ ფასეულობას დაანათლიდნენ ჩვენს ეთნოსს და უიწინარესად ეს გახლდათ ქორწინების ინსტიტუ-ტით, ანუ შორი შეჯვარებებით სრულყოფილი გენოტიპის ჩამოყალიბება. ამას ერთიათად ამაგრებდა რაციონის მიღების წესი, სადაც განსაკუთრე ბული მნიშვნელობა ენიჭება ბოსტნეულს, ცოცხალ კულინარიას ნახშირწყლებისა და ვიტამინების სიმრავლით. .ჩვენ ხომ გეორგიანელებად გვცნო მთელმა მსოფლიომ, ანუ ერთ ადგილზე და ერთ ტაფაზე მოსახრაკად გამეტებულ სხეულად.

ებრაელი, ჟბერი, იგივე ურია, მარადიულ ხეტიალ შია დღემოსწრება. ეს მოძრაობა, ეს გამუდმებული მიმოსვლები, წესია მისი სულის უკვდავებისა. ამიტომაც არ ეკიდება ხავსი ებრაელს დაგორებული ქვის მსგავსად. ამ ხეტიალებში ებრაელი ფუტკრის თვისებით საუკუთეკსო ნექტარს ამოსწუწნის მინდვრის ყვავილე- ბივით მორთმეულ მსოფილიოს და გაისაკუთრებს ხოლმე. ამიტომაც არის მის გენებში ახლო ქორწინებებით დამაგრებული გენური ნიშან-თვისებათა მთელი სპექტრი. გენეტიკის ავანჩავანი ებრაელს ფრიად მოეკითხება. გავიხსენოთ ეშმაკობით გამორჩეული იაკობი , რომელიც ლია და რახელის მამას ცარიელზე დასტოვებს, ოდეს დოლის პირას მიმდგარ ფარას ჭრელი ჯოხებიანი გობიდან დაამწყურვალებს და თეთრის ნაცვლად სულ დაფორაჯებულ ცხვარს აღმოუცენებს უმადურ სიმამრს.. გენეტიკის ნიუანსები მართლაც ახლობელია ებრაელისათვის, მან ჩინებულად უწყის ახლო ქაორწინებების დეპრესიები, მაგრამ ეს აუცილებ- ლობითაა ნაკარნახევი. მიწაზე მკვიდრი ქართველისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა შორიქორწინებები, აუტბრინდინგი; ხოლო მოხეტიალეებრაელისათვის — ინბრინდინგი — ახლოქორწინებები, რითაც მოსეს ერი მინიატურულ, მიკროსკოპულ მამულს ქმნის საქართველოს მსგავსად. ამიტომაც ებრაელი და ქართველი ერთმანეთის სარკისებური წაკითხვაა. აქ მნიშვნელობა არა აქვს რომელია დაღმა მსწრაფველი სამკუთხედი და რომელი — აღმა მლტოლველი, მთავარი ის გახლავთ, რომ ერთიცა და მეორეც შინაგანი ინდივიდუალიზმით ურთი- ერთშე პირაპირებულია, იგივე დავითის ვარსკვლავი — სრულყოფილების სიმბოლო. ცალკე აღებული ებრაელი კოჭლია. ცალკე ა ღებული ქართველი ნაკლულია, ისინი მხოლოდ და მხოლოდ მთლიანობაში ახდენენ სასწაულებს, ანუ შემოსავენ სიმთვრალის ჟამს გაშიშვლებულ მამას — ნოეს. ეს მისტიკა თანდათან გვებოძება ბატონი ვაჟა თორდიას ,,ავიამშენში'' მიმოსვლისას.

სხვანაირი ახსნა საცოდაობაა კაცის ფენომენისათვის. სხვანაირი საზრისი დამამცირებელია უფლის ხატად და სახედ მიჩნეული ძეხორციელისათვის. მე დღითი დღე მივდივარ გამოცდილებასთან, რომლის მთავარ ორიენტირი საქართველოში ასტრონომიული მუხტის შემცველი სკოლის, აკადემიის ჩამოყალიბაა. საამისოდ ყველა მონაცემი დალაგებულა ჩვენს წინარე: ჩვენ ვართ პოლიფონიური საგალობლების შემოქმედნი, ასე რომ, კოსმოსში შემთხვევით არ ხეტიალობს ჩვენი „ჩაკრულო“ სრულყოფილების ნიმუშად და ეტალონად; ფოადს ვადნობდით და ოქროს მოვიპოვებდით ჰომეროსის რწმუნებით; ჩვენ ვუწესებდით იატროგენულ მოვლენებს მედიკამენტებს ჰ ეკატეს ბაღიდან; ჩვენ მოგვყავდა ზანდური და ვამრავლებდით ალაწოდა რქებიან

ხარებს; ჩვენ ვასაიდუმლოებდით თიხის ფირფიტებზე ასომთავრულით ბუნების კანონზომიერებებს პრომეთე-ამირანის სწავლებით; ამიტომაც დარქმევია მეგრელს „მარგალი“, ანუ თიხაზე კოსმოსური სიბრძნის დამრგველი ეთნოსის, მწიგნობარი ხალხის სახელი. ამიტომაც დარქმევია ქართველს „ქართი“, იგივე შარავანდედიანი, ციდან ჩამოსული ხელისუფლების მემკვიდრე; არ არის ეს განცხადებანი როყიო, ან ტრაბა- ხით გათანგული კაცის ბოდვა, ყოველივე ჩვენი ბუნება-ხასიათის გულდასმითი კვლევის შედეგია. ჩვენ მყარად გვიხშობდნენ ათწლე- ულე ბის მანძილზე კოსმანავტების ქალაქის — ბაიკანურის კარიბჭეს. ვინმე ევლიავა ყოფილა იქ გაგარინისა და ტიტოვის კოლეგა, მაგრამ ქართულმა წარმომავლობამ ხელი შეუშალა მის შეუფერხებელ გაღწევას კოსმოსურ სივნრცეში;

ბატონი ვაჟა თორდია რუსეთის კომონავტიკის აკადემიის საპატიო წევრია, მაგრამ ხელს რა გვიშლის იგივე აკადემიის წევრი გავხდეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში?! დაგვიწუ- ნებენ ერთგან?! გზა გაგვეხსნება სხვაგნით! მით უფრო, როცა საამისოდ ყველა პირობა შემზადებულ-მომწიფებულია: **„-ქარხანაში იქმნება საფრენოსნო ცენტრი, როგორც მოყვარულთათვის, ისე პროფესიონალი მფრინავებისათვის.“**აქ მცირეოდენი კორექტივებია აზროვნების მოდელში შესატანი და ყველა კომპონენტი თავის ადგილას დალაგდება: იქმნება კოსმონავ- ტიკის ცენტრი-თქო და მორჩენილია საქმე. კოსმოსის კვლევის წინაპი- რობაა აბასთუმანის სახელოვანი ობსერვატორია, ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილის კოსმოსური ანტენა; ამისი გარანტიაა ისრაელის საავიაციო ფირმებთან **„ELBIT“** და „**TLGAD“-**თან გალარუ- ლი გზები; ამისი გარანტიაა საბაზრო ეკონომიკის მიუკერძოებელი ბუნება, რომელიც ეროვნულ პარტიკულარულ ინტერესებს გამორიცხავს არენიდან და ზოგადკაცობ- რიულ თვისებებს ანიჭებს უპირატესობას; ამისი გარანტიაა ბატონ ვაჟა თორდიას ნამუსიანად გავლილი სამოცდაათი წელიწადი, კვლავაც ვერცხლისწყლის დაუდგრომლობრით რომ გადასწვდება კონტინენტიდან კონტინენტს; ამისი უტყუარი გარანტია პროექტი „გვიმარა“, რომელიც პრომეთე-ამირან- არამხუტუს ხელდასხმულობის ერთადერთი მემკვიდრეა ცისქვეშეთში და ადრეულ ასაკში შეუძლია გამოარჩიოს საშუა- ლოსაგან — ნიჭიერი და ნიჭიერისაგან — გენიოსი; ამისი გარანტიაა სწორუპოვარი მონუმენტალისტი მხატვრის, სალვადორ დალის პანო „**Geopolitikal Child the Birth of New Man“**, სადაც ბრმისთვისაც საჩინოდ გაცხადებულა გადაგვარებული მსოფლიოს ერთადერთ გადამრჩენ ენერგიად კავკასია, საქართველო, ქართული ფენომენი, ქართული სულიერება, რომელ ეთნოსსაც დიდი ჰეგელი ინდოევ- როპული რასის სათავედ ახმოვანებდა. დიახ, ყველა წინაპირობა, თრითოეული ნაწილი და სახსარი, ყველა უმართ- სამართი დალაგებულია „თბილავიამშენის“ ზღურბლთან საქართველოს კოსმოსურ სიმაღლეზე ასატყორცნად, თუკი ქალბატონ ტატიანა ივანოვნას თაფლნარევ შლაგბაუმებს რაიმე ეშველა.

გიგლა გობეჩიას ეზოტერიკით გატაცება არახალია.

მისი პერიოდიკა „ფენომენი“ რუდუნებით იკვლევს ქართულ სულიერებაში მოტორტმანე სივრცეებს. მარტო თალეს შონიასთან ურთიერთობები რად ღირს. ჩვენი შემთხვევაც ერთობ უნიკალურია. რამდენიმე წლის წინათ ჩემი გულისხმიერი კოლეგა სალვადორ დალის ერთი პანოს კომენტარს მთხოვს. უფრო მეტიც აქ საკომენტარო არაფერი რჩება, ვინაიდან უკვე წინასწარაა გაცხადებული გობეჩიასეული სულისკვეთება — **სალვადორი ხსნას საქართველოდან ელისო,** რადგანაც ერთ-ერთ პანოზე მის პერსონაჟს თითი კავკასიაზე მიუშვერიაო. დიდხანს ვუკირკიტებ ნახატს. ლუპასაც მოვიშველიებ.

ოფლი წვეთავს აფრიკის კონტინენტიდან. ამერიკის კონტინენტი ამსხვრევს სიცოცხლის კვერპცხს, რაღაც ზრდასრული ფორმა იბადება ამ მშობიარობიდან. ჯერაც გაურკვეველია

ვინ იბადება, რა სქესის, ქალი თუ კაცი, მაგრამ ამ კითხვას პასუხი ირიბად გაეცემა დამატებითი შტრიხებით. სიცოცხლის კვერცხის უკანა პლანზე წითელმოსასხამიანი ქალისა და შავფრაკიანი კაცის დუეტია, როგორც განცდილი, განვლილი ეტაპი. წინა პლანწე კი ჟერმაფროდიტის ბიპოლარული ბუნებაიკვეთება განსჯის საგნად, რომელიცერთგვარად ეხმაურება პიკასოს გახმაურებულ ფერწერულ ტილოს „**ქალიშვილი ბურთზე**“. მოკლედ ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს დალის გმირების სექსუალური ორიენტაციები,ჩვენთის უმთავრესი თავად ამ პერსონაჟის სალოკი თითის მიმართულებაა — მართლაც მიანიშნებს თუ არა იგი კავკასიას თუ ეს გეზი ამერიკის კონტინენტიდან ამომავალ ფანტომს ეკუთვნის.ყოველ შემთხვევისათვის იმ მომენტში არ მივემხრობი გიგლას შეფასებას

სალვადორის ტილოს თაობაზემით უფრო ამას მიკარნახებს თავად ნაწარმოების დასახელება:**GeopoliticalChild the Birth of the New Man, 1943.** აქ ცხადია, საუბარია ახალ ადამიანზე, ამას გვიდასტურებს ე. დევიდსონის კომენტარი ამ

შიზოფრენულ განწყობილებაზე. შიზოფრენია ხომ ერთგვარი პიროვნებს გახლეჩვა ფსიქიატრიის ენით?!მაგრამ გაივლის კვირათა წყება, თვეების მწკრივი და ისევჩავუღრმავდები დალის შემოქმედებას, უკვე წმინდა ეზოტერიკული მომენტებითჩათულრმავდები ესპანელი გენიის სულიერ მდუღარებას და ჩემს გაოცებას საზღვარი წაეშლება

— ბუმბერაზი ხელდასხმული წარმომიდგება თვალწინ, რომლისთვის უმთავრესი სამყაროს ღვთაებრივი აგებულებაა თავისი მკაცრი გეომეტრიული ფორმებით —წრით, სამკუთხედითა და ოთხკუთხედით შექმნის სალვადორ დალი შიზოიდური ი მსოფლიოს მამხილებელ პანორამას, რომლის ხსნა მართლაც კავკასიურ ფენომენშია, ქართულ სიდიადეში. და შვიდი საოცრება, რომელიც მხატვარს მიყოლებით ჩამოუმწკრივებია კაცობრიული სულის უტყუარ საბუთად მოელის მერვეს, დაახლოებით იმნაირად, როგორც ეს იოანე ზოსიმეს მესიანსტურ ძეგლშია გაცხადებული: ,,**ქება და დიდება ქართულისა ენისა**'' — ეთნისისა ძმებო. ტომისა, საზოგადოებისა, კრებითობისა ჩვენის. იგივე საოხიოსი, იგივე მარგალი ტომის, რომელიც რაღაც ღვთიურ ნაპერწკალს ინახავს ლერწამივით თავის თავში. ეს ყველაფერი იოანეს აპოკალიფსური მოგვიანებით მეტის ცხოველმყოფელობით დაისადგურებს ჩემში. მხეცის ნიშანი კაცობრიული სულის გამომზევებაა , რომელსაც ფრიდრიხ ენგელსმაც უკირკიტა გვარიანხნობით, მაგრამ მთელის სიმძაფრით, აგერ, სამიათასის დამდეგს ალმოცენებულა ვინმე გური ოტობაიას ბორგნეულ სულში. და იშვება იგი ათასწლეულების კირბისებიდან. ოქროს საწმისიდან, რომლის მეოხებით საშვილიშვილო სიბრძნე მოგვპარეს კოხებს ინდოევროპულმა ურდოებმა. მაგრამ დაფარული არაფერი რჩება ცის ქვეშეთში.

გალაკტიონი ტყურილ-უბრალოდ იმშვიდებს თავს: ვ**ერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი. საიდუმლოს ვერ წაშართმევს**

ქალის ხვევნა და ალერსიო.

თავად საიდუმლოს ცნებაა მცდარი გაგება, ვინაიდან ადამიტანთათვის დაფარული ღვთიურ ი ძალისთვის ისედაც ვირეშმაკა სიცხადეა, მაგრამ თვით ადამიანებისთვისაც გამომზეურდება ყოველი მანკიერი თუ ამაღლებული . და ამის დასტურსაც თანდათან გაახლებთ ჟურნალის მსვლელობის ფეხდაფეხ.მოხდება ქართულ სულში რაღაც სალვადორის კვერცხის ფორმის დედამიწის

გახლეჩვის მაგვარი მუტაცია, ეს გარდუვალია, ბველა ნიშნით მოახლოებული,

მაგრამ გაცილებით მეტი მუხტის შემცველია ,,ვარდების რევოლუციისს'' ალისფერი იალქნები, როგორც ამას ზერელე გულარხეინობით

მისჩერებია ობივატელური მზერა. ანუ თამამად შეიძლება ითქვას რომ სრულია პაწაწკინტელა კენჭის ჩამობზრიალებას პიტალო კლდიდან

შეცძლებელია თეხიტ არ აუბას შედარებქით

მოზრდილმა ქვებმა და ლოდება,

რომელიც მოგვიანებით კოლოსალურ ზვავში გადაიზრდება

და აქ უკვე არავინ უწწის ვინ იყო პირველი და ვინ გახლავთ უკპაგასკნელი. ვინაიდან მეწყრის ფსიქოლოგია გამორიცხავს

დაწინაურებულს და ჩამორჩენილს,იგი ვერთი ორგანიზმია, ეოვ მსხეული ჯარასავით მბრუნავ-მოციბრუტე.ასე რომ კავკსიური იმპულსი გჯეროდეთ სულ მალე ზოგადკაცობრიულ მღელვპარებად გადაიქცკვა, მეტიც პლანეტარულ განზომილებას შეიძენს იგი და მთელს დედამსიწას გადაფარავს თავისი მკაუცრი ლოგიკით.მსოფლის შვიდ საოცრებას რეტროსპექტულად წარმოაჩენს სალვადორ დალის ყალამი და ამ მარადკოჭლ ციფრში , 3-ს და 4-ის კონფიგურაციაში, სამოთხედ რომ აღმოცენდება ჩვენს ცნობიერებაში, იგივე პირამიდად თუ სამოთხისეულ ბაღად ღვთისმეტყველებით ან კიდევ ადამიანის სხეულებრივ წონასწორობად ბიოლოგიური მოძღვრებიდან, დიახაც ამ შვიდიანში ყოველთვის იგულისხმება ღვთაებრივი რვიანი წონასწორობის სამყაროისეულ ჯილდოდ, თუმცა როგორც იტყვიან — თან საქმე.

26 000 კილომეტრი საქართველოს გარშემო

დიდი აფეთქების შემდეგ სამყარო 13 მილიარდ წელიწადს მოითვლის, მიხეილ. 7 მილიარდი წლისაა მზის სისტემა. Homo sapiens-ი დროის ამ ოკეანეთში ნაკადულზე მომცროა — ბინული — 70 000 წლის, ხოლო ლუმერული ცივილიზა -ციის ნამსხვრევებზე აღმოცენებული შუმერულ-ეგვიპტური კულტურების ანასხლეტი დღევანდელობა ჩვენი — სულ რაღაც 60 საუკუნის. უკიდეგანოდ მიჩნეული სამყარო გრავიტაციული ბადეა, რომელიც ატომიდან გალაქტიკე -ბამდე განსხვაებული მასშტაბებით, მაგრამ მსგავსი პრინციპებით გადაენასკვება ერთმანეთს; დაახლოებით ისევეა, როგორც კუთხე წვეროსთან თუ ათასი კილომეტრის მოშორებით. მოკლედ, სამყაროში არ არსებობს ცნება: დიდი და მცირე, სტრუქტურული თვალსაზრისით, ხოლო განსხვავება მატერიათა შორის კავშირებში ნულოვანია. ფუტკრის ფიჭა, ადამიანის ტვინის ნეირონები, გენი და კიდევ უამრავზე უამრავი ბიოლოგიური სუბიექტის აღნაგობა წესიერი ექვსკუთხედის აგებულებისაა — სექსტაგონური კონფიგურაციის, რომლიც ორი ტოლ- გვერდა სამკუთხედის შეპირაპირებით მიიღება. ისრაელის დროშაზე გამოხატული დავითის ვარსკვლავი გულისხმობს კოსმოსური ცოდნის, უფლისეული 1/6 ენერგიის შერწყმას ადამიანისეული ენერგიის 1/6-თან, რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს 0, 333 332 პოტენციას — ქრისტეს (60: 360 = 0,166666); ღერბეთ, ღორონთი, ღმერთი, ბრაჰმანი, იეჰოვა, ალაჰი, ÁÎ Ãთუ GOD განსხვავებული ვერბალური არქიტექტონიკით აშენებული განუყოფელი ენერგიაა შემოქმედის სახით. იგი ყველგან -მყოფია და ამავდროულად — სრულებით უჩინმაჩინიც; ადამიანებს უფალი ექვსი პრიზმით მოგვეცემა შეგრძნე- ბებში, ხოლო მეშვიდე — ასტრალური გამუდმებით თვლემს თითოეულ ჩვენგანში და მხოლოდ ზენაარული საჭიროებისას იღვიძებს იგი. პირამიდა ციდან მიწაზე დაშვებული ხელისუფლების არქიტექ- ტურული გამოსახულებაა. მსგავსი შინაარსის მატარებულია კოლხების მიერ წერილსვეტებზე აღმართული სამკუთხა დაფები — კირბები, რომლებზედაც წაეწერებოდა საზოგადოებრივი და რელიგიური კანონები ქრისტემდე სულ ცოტა 16 საუკუნის წინათ. ოქროს საწმისი გახლდათ ცოდნა იმის შესახებ თუ როგორ მიეღოთ ოქრო და ვერცხლი ქიმიის მეშვეობით და ამისთანა შინაარსის წიგნების ერთობლიობას ანტიკური ხანა კირბისს უწოდებს, რაც იგივე კირიბიშია მეგრულად — კრავისა. ყოველთვის გაიხსოვნე, შეგირდო, ჩემო, შენი გურუს სიტყვები:

სინდიყოვით დანაწევრებული მარგალიტი უაზრობაა. ის მშვენიერის და ამაღლებულის დაცინვაა, მაგრამ ბრილიანტი წახნაგებით ფასობს დისწულო, როგორც ლითონთა მჭრელი ალმასი, და რაც მეტი სიფხიანე ამკობს მის კუთხეებს, მით უფრო ელვარეა იგი და ფასეული. სამშობლოც ამნაირი უნდა აშენო, შეგირდო, ჩემო, არა მობლაგვებული, გამრთლიანებულ სინდიყსავით თუ მარგალიტისავით, ასეთი სამშობლო ერთგანზომილებიანი ამოცანაა, როგორსაც ელტვიან იმპერიები, რაჟამს ასიმილაციით, გადაჯიშებით ემუქრებიან პატარა ერებს. შენ კი პირიქით ბრილიანტის სიმახვილე დროშასავით უნდა აიტაცო შენი ერდო-კუნჭულების განუმეორებლობის ქვაკუთხედად, მაგრამ — ცენტრისკენ გამოქანებული საგანძურეთით ზოგადეროვნულის ჩამოსაქანდაკებლად. სამშობლო შენი, შეგირდო ჩემო, სადღაც უნდა ხგავდეს კიდეც მინიატურულ დედამიწას, რაღა თქმა უნდა ცნებითი მწვერვალებით: ევერესტებით, ჯომოლუნგმოებით, მყინვარწვერებითა და თეთნულდებით წამობასრული, რომელსაც კუმამანიჩის ღრმულიც ამშვენებს და მზის დასალიერთან, ოდესღაც ირეოდი სართანიას საუფლოსთან ცქროოებით თუ ჩალამებით გაბევრებული ჭურიის სანახებიც ამკობს მეტადრე; მაგრამ დედამიწას, ამ განუმეორებელი გეოიდის სხეულში, რომელსაც გარეგნულად ხან კარტოფილს მიამსგავსებენ ხოლმე, ხანაც — მსხალსა და ბოთლის ვიწრობში გაძვრენილ კვერცხს ძმრით დარბილებული ნაჭუჭით, ყველაფერი ცენტრისკენ მსწრაფველობს; გარეგნულად რამდენადაც მსხმოიარეა დედამიწის ბიოსფერო ათასფერადი ფაუნითა და ფლორით, იმდენად მყიფდება იგი საუკუნეებში მილიმეტრობით მოძრავ მანტიასთან მიმართება-

ში და ბირთვში ხომ მარადიული დუღილია ყოველივე გარეგანის, ყოველივე წახნაგის, აქ, ჩვენთან კუთხურობით გამოხატულის; ასე რომ, სათვალსაჩინოდ წამოსროლილი ფრაზა: „ქართლ-კახეთი-იმერეთი-გურია და სამეგრელო“... შეგირდო ჩემო, შენი ბრილიანტ-ალმასის წახნაგებია, ხოლო შემდგომი სიტყვა „ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“, დედამიწის ბირთვი, მარად მოთუხთუხე, ნაწილისა და მთელის შესინთეზება, შემადუღაბებელი, და აქ პარალელის გავლება დედაქალაქსა და კუთხეებს შორის უხერხულიცაა უგვანობასთან ერთად, ვინაიდან სათვისტომო ორღობეში კოლხურად, იგივე მეგრულად, სვანურად, ლაზურად, თუშურად თუ უამრავი წახნაგის კილოკავით მომასლაათე, დიახაც, ვალდებული ხარ ვაჟა-ფშაველას პროზის ენით უბნობდე სულისდგმა დედაქალაქში, შენი ერთიანობის შენივთების ბირთვ-სიმბოლოში ეპიცენტრის მნიშვნელობით. აქ ყოველგვარი განსხვავებულობა უკუდგება; აქ ოთხს კედელს შორის მოსახმარია ლამის ყოყლოჩინობის დონეზე აკვიატებული დიადი წარსულით ტკბობა; აქ უმთავრესი დღევანდელობაა, ამწუთიერი ბრწყინვალება; ამიტომაც სამუზეუმო ოქროს საწმისებსა და კირბებს, იგივე კერიათა თავქვებს, რომლებზეც უამრავი ასონიშანი ამოტვიფრულა ჩვენი ნაცარქექია-მოშუმერეს მჩხიბაობით, სიამაყის არანაირი საგანია, ზოგადქართული ცნობიერების თაროებზე შემოლაგებული სამუზეუმო ინვენტარია და აქ, ამ ლომისფერ ქალაქში ჩამოფუძნებულს, დიახაც გმართებს დღევანდელობით სუნთქვა, ამჟამიერობით რონინი, ოდეს სამოქმედო საშუალებად გადახაზულია ზმნის დრო „წარსული“ და მარტოკა ახლამყოფიერით, ნამდვილარსობისა და ფუტურუმების პერსპექტივით მიკვალავდე ბილიკებს. ეს დაუწერელი კანონი გულთან მიიხუტე, შეგირდო ჩემო. და ისიც, რაჟამს შენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გახვალ, როგორც კოსმოსური ხომალდი დედამიწის მიზიდულობის არედან — უსივრცობაში, იგივე მსოფლიო ცივილიზაციის ოკეანეში, იქ არაფრისმაქნისია ბრილიანტის წახნაგის მწვერვალების დალაშქვრა, ეს არ არის უკვე „კომუნიზმის პიკების“ დაურვების ტოლფასი; შენ აწ რომელი წახნაგიდანაც უნდა ეშვებოდე თავაწყვეტილ ენგურსავით, დონის და მტკვრის სიდინჯე გმართებს მსოფლიოს წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა პროპორცია ნაწილსა და მთელს შორის, როგორც საცივში ინდაურის, ნიგვზისა და სანელებლის ჰარმონია. ეს ყველაფერი იქითკენ მიბიძგებს, შეგირდო ჩემო, მიხეილ, ერთხელაც გავუმეორე მაგნიტივით შენს სიტყვათმიზიდულობას: წინ ენდემური ჯიშებისკენ-მეთქი; როცა დედ-მამა გეყვარება, პატივს მიაგებ მათ უზრუნველ, უღრუბლო სიბერებს; როცა მოკლე ჩართვებით, იგივე სისხლის აღრევებით, ინბრედული დეპრესიებით შენს ანთროპოლოგიურ უზადობას არ ხელყოფ; როცა წარსულის მონაპოვრები ობივატელის ტკბობის საგანი კი არა, სამომავლო მოსაქმეობის ბიძგი და გამოცდილებაა; როცა პოლიფონური საგალობლების ღვთაებრივი წესრიგით განალაგებ შენს გარშემო ქალაქებსა და სოფლებს, ხასიათებს და ტემპერამენტებს, თანამდებობებსა და ჯილდოებს, მრავალხმიანობის უკვდავი წონასწორობით; როცა იოტი-სოდენაც არ გზარავას გერმანული ზმნა „პუთსრეფკიუტ“, აღარც — ტერენტი გრანელისათვის მარადმსუსხავი „MEMENTO MORI“, არამედ მყარად გაგიცნობიერებია განვითარების დიალექტიკა, რომ ყოველივე არსებულის ბედისწერა გარდაცვალებაა, გარდაქმნა და გარდასახვა მარტივიდან რთულისაკენ, პრიმიტიულიდან ამაღლებულისაკენ; როცა ლერწამს დრეკადობაში აღარ დაენათესავები „ჰოსა“ და „არას“ შორის ყოყმანისას; რიგითი აღმსრულებლიდან მოიპოვებ შენს მეობას, რომლის დაკარგვას უმაღლეს უბედურებად გვიხასიათებს უფალთუფალი, და გაცისკროვნებული სახით შეუდგები საკუთარი სულის ერთადერთ ნათელი ტაძრის, სხვათა სალოცავად აღმართვას შენივე ხელით; და წარგეხოცება სრულიად სასინანულო თუ საქენჯნელო არარსებული ცდომილებების გამო, ვინაიდან უფლის ხატი ცაბაოთში განვითარდები, აზრისა და ფორმის მართლზომიერი მშენებლობით, რომელიც ცნობიერების კიბის უმაღლესზე უმაღლესი საფეხურია. იქიდან, იმ გრანდიოზული განზომილების გადასახედიდან, უკვე ადვილზე ადვილია არჩევანისამებრ შეეხო და ჩაეჭიდო ნებისმიერ კრიტერიუმს, ნებისმიერ აღნაგობას, ატომია იგი თუ პლანეტა, მაცხოვარი თუ რაციო, დობადონა თუ ქარით წაფერდილი ძელქვა, სიცოცხლე თუ სიკვდილი — ერთი ბილიკით წატატანებული ორი განუყრელი და-ძმა და მარად მოძიძგილავეც ამავდროულად. უფრო მეტიც, შეგირდო ჩემო, საკუთარი თავის გარშემო კოსმოსური ხომალდივით დაიწყებ მოგზაურობას, რათა მიუკერძოებლად აღიქვა ბუნებისგან ბოძებული ყოველი ავლადიდება; რომ მერმე დაუნჯებული მუშაკობით წარუმატო კიდეც მცირედი, შენეული ზედნაშენი ურყეველ ბაზისს და იგრძნო, მთელი არსებით შეიტკბო თავაწყვეტილი მშვილდის მარადიული შვება, ოდეს ლარიდან ასხლეტილი ისარი უხიფათოდ მიღწეულა მიზანს ახალი სიცოცხლის ასაღორძინებლად; თანაც სიმისმიერი ჟღერადობაც გამოუცია მოფოლ- ხვებისას ხარის გამოქნილ ძარღვს და მარადის ლარგარდაცმულ ტარსაც ნეტარი სიმშვიდე ხვდომია წილად უკუნითი უკუნისამდე. აღარც იგი დაივიწყო შეგირდო ჩემო, რომ აზიის ქვეყნებიდან ევროპისკენ გამოშურებული არიული ტალღა კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვავს

პროტოქართულ ეთნოსს სიმბოლურად, მაგრამ სინამ- დვილეშიც ბერძნული სამყარო კოლხური ეზოტერიკული ცოდნის მოსაპოებლად გრძნეულ ოქროს ვერძს შემოაგზავნის აიაში (ჯაია), რაც ტროას ცხენის ფუნქციას შეასრულებს ამ საიდუმლო წერილების მოპოვების გზაზე. გრძნეულ ცხვარს ჰელიოსს შესწირავენ, ხოლო მის ოქროცურვილ ტყავზე ყველა საკრალურ წარწერას გადაიტანენ კოლხი მოგვები ეტალონის მნიშვნელობით. ამიტომაც არ ეთმობა ინფორმაციული ბანკის ტოლფასი ოქროს საწმისი აიეტ მეფეს. არგონავ- ტები კი მოიპარავენ ოქროს საწმისს მედეას ხელშეწყობით, მაგრამ ვერაფრით მოახერხებენ მის ,,ფაილებში'' შეღწევას და დაიწყება კიდეც ტროას 10-წლიანი ომი ამ გრძნეული წიგნის გასაღების საპოვნელად. ტყუილუბ- რალოდ მიმოლეწავენ ბერძნები ილიონის კარიბჭეს. შიფრი არ იძებნება ტროაში, პრიამოსის სასახლის ტალანებში, და მხოლოდ მოგვიანებით გაახსენდებათ ელინებს კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ქურუმი ამირანი. აქამდე ზევსის არწივისაგან ღვიძლ დაკორტნილ პრომეთეს ახსნიან მონობის ჯაჭვისაგან, რათა გაცხადდეს ოქროს საწმისის საიდუმლო, თუმცა ამირანმა ჩინებულად უწყის, რომ მხეცის სიმბოლო — ,,666'' არ შეიძლება ებოძოს უბირს, უმწიფარს, რამეთუ ადვილმოსალოდ -ნელია, თავისი უმეცრებით ქვეყნიერებაც კი შეიწიროს. დაგვეკისრება ჩვენ ამ ,,ფაილების'' წაკითხვა და ინფორ მაციასაც კაცობრიული ზნეობრივი დონის შესატყ -ვისად გავიღებთ.

საზოგადოება პირველყოფილი თემური წყობილებ- იდან მოყოლებული, ყოველთვის კომფორტს ესწრაფის. მშვილდ-ისარს ბორბალი შეენაცვლება, ბორბალს — ატომი, მაგრამ ზნეობრივ ასპექტში ადამიანი კვლავაც პრიმიტი- ულია; მისი პოტენცია მხოლოდ 3-5 პროცენტით თუ არის რეალიზებული. სახელ- მწიფოები ვითშენარჩუნების გზაზე დამცავ მექანიზმს — გარსს — გალავნებს შემოიშენებდნენ ხოლმე. სამაგალითოდ ჩინეთის კედელიც გამოდგება, მაგრამ დრო მუსრს გაავლებს უამრავ ცივილიზაციას: ვერ უშველის აგურ-რკინა-ბეტონის ჯავშანი შუმერს, ეგვიპტეს, ელადას, რომს, საბჭოეთს, გაცამტვერდება თითოეული შინაგანი გახრწნილობის წყალობით.

ნებისმიერი საზოგადოების ხასიათს მისი ეკონომიკური საფუძვლები განსაზღვრავს. ოქროს საწმისი მონეტარულ ფუნ- ქციასაც ასრულებდა თავის დროზე, რაც სასაცილოდ გვეჩვენება შვეიცარიის ბანკების სეიფების პოზიციიდან, მაგრამ დაგროვების სინდრომს ადამიანი ვერაფრით შეუნაცვლებს ტოლერანტობას: აქლემს უფრო უადვილ- დება ნემსის ყუნწში გაძვრომა, ვიდრე მდიდარს — ქონების გასხვისება. სოციალისტური რევოლუციაც ვერაფრით დაამკვიდრებს მთელს პლანეტაზე ზიარი ჭურჭლის პრინციპს — კომუნიზმს და მასონების დროშაზე აღმარ- თული დევიზი: ძმობა, ერთობა, თავისუფლება, ოდენ ნანატრ მირაჟად ილანდება უძღები კაცობრიობის თვალსაწიერზე. საქართველოს არასდროს ეცალა ფუფუნებისათვის; იგი ათადან და ბაბადან მოყოლებული არსებობისათვის ბრძოლას ანდომებდა ეროვნული ენერგიის უმთავრეს მარაგს. საქართველო თემური ურთიერთობების კვალო- ბაზე ახერხებდა და ახერხებს რამდენადმე სახელმწიფო- ებრიობის ნამსუსრევის შენარჩუნებას, მაგრამ მესამე ათასწლეულის გადასახედიდან უნიათო ხავსს წაბღაუჭებაა თითქოსდა მრავალნაცადი საშუალებებით მოიმედეობა, ვინაიდან მალტის დოქტრინიდან ამოზრდილი ახალი აზროვნების მსოფლიო უკუაგდებს ნაწილისა და მთელის თანაქმედებას კოსმოპოლიტურის სასარგებლოდ ნაციონა- ლურის იგნორირების ხარჯზე. ბატონ ჯორჯ ბუშის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად განმეორებით მოსვლა, ცხადია, კვლავაც გააგრძელებს პოლიტიკას ძალისმიერი პოზიციიდან ტერორიზმის ალაგმვის მოტივაციით, მაგრამ ჩინებულად უწყის თითო-ოროლა მიხვედრილმა, რომ მსოფლიოს კრიტიკული ზღვარისათვის გადაუბიჯებია და აქ ძირითადი ბარიერი 600-მდე მილიარდერის ფინანსური ინტერესია, რომლებიც პლანეტარული სიმდიდრის 60-ამდე პროცენტს ფლობენ და რომელთა წარმომავლობა ძირითადად სემიტურია. ბიბლიის მიხედვით სიმთვრალეში განშიშვლებულ ნოეს ქამი დასცინებს, ხოლო იაფეტი და სემი უკუსვლით ქსოვილს მოახურავენ და ასე დაფარავენ მშობელი მამის გარდატევებას ნებაყოფლობითი სიგიჟის — სიმთვრალის ჟამს. სემი ებრაელების ეთნარქია, ხოლო იაფეტი — ქართველების მამამთავარი. ეს მინიშნება ზოგადკაცობ რიული მნიშვნელობისაა, ვინაიდან დადგება ხანა, როცა იაფეტისა და სემის შთამომავლებს მოუწევთ დედიშობილა პლანეტის შემოსვა კაცობრიული აზრით, ჭეშმარიტი ცოდნით. სხვანაირად სრული კატასტროფა ელის მთელს ქვეყნიერებას.

ქართული სახელმწიფო ორგანიზმის დამცავი მექანიზმები სადღეისოდ უკიდურესობამდეა მოცვეთილი, დაბლაგვე ბული, იმპერიასთან დაუსრულებელ ჭიდილში. პირველ ათასწლეულში ქართველობა ბიზანტიასა და ირანს შორის არჩევანისას მოკავშირე-პროტექტორად ადათ-წესით მსგავსს რომ ამჯობინებდა პრაგმატიკული მოსაზრებით, იგივე მიდგომებია მეორე ათასწლეულშიც, როცა ერთმორწმუნეობა დასახელდება სულიერი გადარჩენის ქვაკუთხედად. მაგრამ შემოაბიჯებს ღია დამოკიდებუ ლებათა მქადაგებელი მესამე ათასწლეული და ყველა გამოცდილება ქარს

გასატანებელი ბექთარი აღმოჩნდება წყალში გაჭირვებულისათვის.

ტერიტორიებდაკარგული საქართველო 13 წელიწადია ეძებს სახსარსაშუალებას მიტაცებული ნაწილების რეანი- მაციისათვის, როცა გლობალიზაციის დოქტრინა წაუყრუებს ამ სეპარატის ტულ ძალებს ჩვენი სახელმწიფო ინსტიტუტების მოსაშლელად. ადრეულ საუკუნეებში საქართველო თემური ფსიქოლოგიის შემწეობით წარმატე ბულად რომ ახერხებდა თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ახლა ეს თემური ფსიქოლოგია გვქცევია ბორკილად შეუფერხებელი მსვლელობისას. ოჯახის, გვარის, ტომის ბალავარზე აღმოცენებული ქართული სახელმწიფოს შენობა რაღაც მანქანებით კი აგვარებდა აქამდე ეროვნულ თანხმობას ერთობლივ მომავალზე, მაგრამ ადრე ნაციონალურ და უცხო ეთნოსებს შორის თანაფარდობა გაცილებით უმნიშვნელო პროპორციისა იყო. 1988 წლის სტატისტიკური მონაცემე- ბით ეს პროპორცია 71 შეფარდებაა 29-სთან; მესამე ათასწლეულის ოთხწლეულში დასახელებული წილადობილა მინიმუმ 60 შეფარდება 40-თან იძულებითი მიგრაციების წყალობით. დღეს მსოფლიოში გაბნეული მილიონ ნახევარი ქართველი იღვწის ლუკმაპურის საშოვნელად. მართალია, ყველა ვერ იქნება სოტკილავა და კიკაბიძე; ყველა ვერ იდასტაქარებს ბოკერია-ხუბუტიასავით; ბევრია მათ შორის ხარატი ფეტელავა და კალატოზი პაპავა. არიან თითლიბა- ზებიცა და ავტორიტეტებიც, მაგრამ სინამდვილეში შიდა ეკონომიკური მეტასტაზები ქართულ ეთნოს აიძულებს მეზობელ ქვეყნებს მიაშუროს ოჯახის გამოსაკვებად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში განთესილ ქართველობასაც ერთი ზნე სჭირს — ისინი საბჭოეთიდან წასულ ნარუსეთალ ებრაელობასთან ეძიებენ საშოვარს და მათი როლი უმეტესწილად სერვილურია, დიახაც, ისეთივე, როგორიც — სომხების, თათრების, ქურთების, აისორების თუ სხვათა, მზიურ საქართველოში ათწლეუ- ლების, საუკუნეების მანძილზე. ახლა ყველაფერს მიხვედრილია ემიგრაციაში მყოფი ქართველობა; მზად არის სახელმწიფო აშენოს დემოგრაფიული კუთრი წონის ადეკვატურად. საფრანგეთი, გერმანია ნაციონალურ თავმოყვარეობებს არბი- ლებენ უკვე 5-5 მილიონიანი თურქულ დიასპორათა სასარგებლოდ. უცხო ეთნოსის გამოყენება პატრონ-კლიენტელას ნიშნით, სახელმწიფოში ადრე თუ გვიან წარმოქმნის გარდუვალ შინაგან წინააღმდეგობებს. ამერიკის შეერთებული შტატები დიდი ხანია გამომცდარა თუმურ რთიერთობათა ჩარჩოებს. იგივე სურათია რუსეთშიც. საქართველოში ოჯახით, გვარით, ტომით რომ ინახებოდა სოციალური პრივილეგიები, იმპერიამ გეგმაზომიერად აამუშავა მათი მოშლის მექანიზმები. და რადგანაც ქართულ სინამდვილეში სომეხს, რუსს, თათარს... უჭირდა ხელისუფ- ლების უმაღლეს ეშელონებში უპრებლემო მოსვლა, დაიწყო ეროვნული რეკვიზიტების გაუგონარი დევალვაციები. საპასპორტო ჩანაწერებში მასობრივად გადასხვაფერდა უცხოური წარმომავლობის გვარები და ამით მივიღეთ ვითომცდა ეროვნული შეფერილობის ბირთვი, რომელსაც სინამდვილეში უამრავი ბზარი დატანებია სახელმწიფო შენობის მოსარყევად. ეთნიკური ინტერესებით ურთიერთ დაპირისპირებული ეროვნული ბირთვის ამოქმედება თანხმობის, თანაქმედების, თანამშრომლობის ასპექტით, უტოპიურია, ამაო გარჯა. ამიტომაც სანამ ქართულ პოლიტიკაში ამთავითვე არ გაჩაღდება სამზადისი სამოქალაქო თანხმობის მისაღწევად, ჩვენს ტერიტორიულ თუ ფსიქოლოგიურ მონოლითურობას საშველი არ უწერია. ეს კი თუნდაც 1988 წლის დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, სადღეისო 235 -მანდატიან პარლამენტში 10- პროცენტიან კვოტას ნიშნავს სომხობის, რუსობის, აზერბაიჯანელების მიმართ, რომლის გათვალისწინებით უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ვან ბაიბურთს დამატებით 22 სომეხი პარლამენტარი ეყოლება თანამოაზრედ და ამდენივე აზერბაი-ჯანელი კოლეგა ბატონ ჯემალ მურადხანოვასაც. სხვანაირად ქართულ სახელმწიფოში, ღამის უუფლებო ეთნიკურ უმცირესობებს სრულ მოქალაქეობაზე პასუხისმგებ ლობას ვერ დააკისრებ; სხვანაირად სახელ- მწიფოებრივ ფსიქოლოგიას ჩვენ ვერაფრით შევიმუშავებთ ეროვნული თანხმობის ილუზიური წარმოდგენებით. ხოლო ქვეყნებს შორის ზიარი ჭურჭლის პრინციპით თანაარსებობას დიდი ხანია დადგომია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, სადაც მოხსნილია საბაჟოები ტვირთბრუნვაზე; ერთიანი მონეტარული სისტემით შექმნილია გასაოცარი ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივები. ქონებრივი დიფერენცი -აციის შერბილებისკენ მიზანმიმართული სვლა — პლანეტარული სოციალიზაცია და საერ- თაშორისო პასუხისმგებ ლობის აღზრდა ერთობლივ მომავლზე იხსნის მსოფლიოს აქამდე გადაულახავი კაცობრიული ანტაგონიზმისაგან.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ უფლის ხატად და სახედ შექმნილი ბიოლოგიური არსებაა, რომელიც უნიკალურ ნიშან-თვისებებს ამჟღავნებს ათასწლეულების მანძილზე, მაგრამ სოდომისა და გომორის სახელწოდებით ცნობილმა სენმა წარყვნა სრულიად დედამიწა და ეს ყოველივე მასკულინუმის დეგრადაციის ხარჯზე მოდის კვლავაც. ცისფრები თუ ჰიჯრები ერთი ალქიმიის ნაირსახეობანია მამრის კასტრირებისა და სექსუალური ორიენტაციის გადასხვა- ფერების ხარჯზე.

მუხტგამოცვლილი ჰიჯრები ორგაზმსაც კი ვერ განიცდიან კოიტუსის დროს, მაგრამ მსგავს მანიპულაციებს მათ მეძავის უხსოვრობის დროინდელი პრივილეგიები აიძულებს — ქალი ყოველთვის განიხილებოდა, როგრც განძი, როგორც ფუფუნების საგანი, ძალა-უფლება მამრისათვის. ამას გასაოცრად ასტიმულებს ბიპოლარული მსოფლიო და წამითაც არ უფიქრდება საუკუნის მერმინდელ ბიოსოციალურ გადაგვარებას, როცა დედამიწა გადაიქცევა დეგრადი რებული ჰომო საპიენსის სარკოფაგად.

პროექტი ,,გვიმარა'' სულშეძრწუნებული მისჩერებია ხვალინდელ პერსპექტივებს და პლანეტარული ფასეულობების შენარჩუნების მისიით დასახავს ბიოლოგიურიჩიხიდან თავდაღწევის გზებს და მეთოდებს.მართლაცდა, მომხვეჭელობის წინდაუხედავ მადას ვერაფრით გადაჰყვება ძე ხორციელი — სამყაროს უნიკალური შემოქმედება. აქ ხსნა და საშველი საზოგადოების წიაღში მთვლემარე გენეტიკური ფონდის მოძიებაა, რომლის თუნდაც 0,1 პროცენტით გამოვლენა, კარდინალურად შეცვლის დეზორიენ- ტირებული მსოფლიოს მსწრაფველობას პროგრესისაკენ.

პროექტის უმთავრესი ორიენტირი ისევ ადამიანის ანთროპო- ლოგიური მონაცემების მეცნიერული წაკითხვაა — თავის ქალის აგებულების, შუბლის მაჩვენებელის შემოშველიება, რომელიც სადღეისო მონაცემებით კაცებისათვის 78 და ქალებისათვის 76 გრადუსია. რაც უფრო მიახლოებულია ეს მაჩვენებელი 90 გრადუსს, მით მეტია შინაგანად გაწონასწორებული პიროვნების გამოვლენის შანსი. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი ამ პროექტში გახლავთ ფეხის თითების განლაგება. ჩვენი კვლევებით საზოგა დოების მხოლოდ 0, 1 პროცენტს აღმოაჩნდა ბერძნული ტერფი, სადაც ცერის მომდევნო თითია დაწინაურებული დანარჩენთან შედარებით. ამგვარი ტერფითაა ხატწერილი ქრისტიანული წმინდანების სრული გალერეა. ტერფის მეორე თითი ცენტრია ადამიანი -სათვის სისხლის მიმოქცევასა და სექსუალურ მსწრაფვე- ლობების ასპექტით. ეს არის პროექტის ზოგადი კონტურები ფენომენური ნიჭიერების მოზარდების დაფიქსირების გზაზე. პროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე პიროვნების ნებელობას, იგივე პასუხისმგებლობის პოტენციას ინდივიდში, რასაც ხელის თითების ბალიშების მოხაზულობა — ტალღები გასცემს პასუხს. კიდევ მრავალზე მრავალი ვიზუალური მონაცემი ამჟღავნებს ჰომო საპიენსის არქიტექტონიკას კეთილშობილების ნიშნით. გეომეტრიაში იოლია წესიერი სხეულების დადგენა, ვინაიდან ისინი მკაცრ ხაზობრივ კანონზომიერებებს ექვემდება რებიან. იგივე პრინციპებია ადამიანთანაც, ოღონდ საჭიროა ქურუმთა წყების დაძვრა აღმოსავლეთიდან, რომლებიც სიმბოლურად ვარსკვლა- ვის წინამძღოლობით, სინამდვილეში კი ანთროპოლო- გიური ცოდნის მომარჯვებით მოახერ ხებენ მარიამ ღვთისმშობლის მკერდზე მოჟღურტულე ქრისტეში მაცხოვრის ამოცნობას. რა შედეგს მოგვიტანს მსოფლიო მასშტაბით 6 მილიონი გენიოსის გამოვლენა და საზოგადოების სამსახურში ჩაყენება?! მათი ზენაარული უნარები ხომ მთელი ცხოვრების მანძილზე მიწაში დამარხული ოქროს მსგავსად დახურულია კაცობრიო ბისათვის?! მათ ხომ წამითაც არ მოაფიქ რდებათ თუ რა კოლოსალურ პოტენციას ფლობენ?! უმაღლესი გამომსახველობითი უნარის ტელევიზორი მთელი საუკუნე უმეტყველოდ იდგმება თაროზე თუკი ვენმე არ ჩართავს დენის წყაროში. გენიოსის ბუნებაც ამგვარადაა მოწყობილი, სანამ მის მთვლემარე ძალებს ხელდასხმული არ შეეხება და ჰომო ეკეო (აი, კაცი), არ ეტყვის, იარსებებს საბადოს ძარღვში საუკუნო თვლემით გარინდული ოქროს ზოდივით. პროექტი ,,გვიმარა'' იაფეტის შთამომავალი ვინმე ფეტერიშის აღმოჩენილია. იგი, დიახაც, მოითხოვს ილია მოსიაშვილისმაგვარ ქომაგებს სემიანელთაგან, რათა ამ ორი ღვიძლი ეთნოსის ტანდემურობამ კვლავაც მოიკრიბოს საკაცობრიო ძალისხმევა და უფრო გრანდიოზული ქსოვილით დაფარონ გარდატეევ ბული მამა ნოეს — პლანეტა დედამიწის — კატასტროფული სიშიშვლე — უმეცრება. პიროვნულ ახირებუ ლობად ნურავის მოეჩვენება პროექტ ,,გვიმარას'' კატეგორიულობა, ვინაიდან ცაბაოთის ნაკარნახევს ადამიანები ვეღარაფრით აღკვეთენ, თუნდაც ქვეყნიერებას ას ერგას დღიანი წარღვნა ემუქრებოდეს.

უჩინარი ხელი. არადა სასოწარკვეთის უტყუარი ნიშნებია პარლამენტის წინ ეროვნული მოძრაობის საუკვდავო ქვა-ლოდი უჩინარი ხელების სალტეში მოაქციეს. ეს ხომ იგივე ამირანის პოზიციაა. ოღონდ არწივი არ ჩანს. წყალი შეუყენეს პარლამენტს, ფერადი შადრევნები მიიჩქარიან ცისკენ და ამავდროულად წყალშეყენებულია ვითომ ქართული კანონმდებლობა. უნივერსიტეტი გამესამედდა. დასავლური ჟღერადობის გვარისანი მაქსიმალურად გამოაბუნძურეს თეთრი ტაძრიდან და დაეუფლნენ უპატრონო ეკლესიას უვიცნი.

ასხვისებენ საძოვრებს, მაშინ როცა ათი ნაკრძალი და დაცულმი ტერიტორია 57 ათასი კვადრატული კილომეტრი ზღვის აკვატორიის ჩათვლით გამზადებულია ძიმრძველი მოსახლეობის ასაყრელად და გამოსაძევებლად, ვინაიდან წლების შემდგომ იქ ყოველგვარი სახის სასოფლო-

სამეურნეო სამუშაოები იკრძალება.

ონკოლდოგიური სტატისტიკა (1988 წელთან შედარებით გაზრდილია 400 -ჯერ, ანუ თუ ამ წელს 1000 შემთხვევა იყო დაფიქსიერბული, ამჯერად 400 ათასია. შაჰ-აბასის დროს ლითონით ჩეხავდნენ ვენახს ყიზილბაშები, ახლა საკუთრივ ქართველებს აკაფვინებენ მამაპურ საგანძურს, ვინაიდან. სპირტის ექსპოლრტმა წალეკა სრულიად საქართველო. ჭინჭებმა, ნარკოტიკებმა, პესტიციდებით გაჯერებქულმა საკვებმა შეანელა პროტოიბერიელს სიცოცხლისუნა- ირანობა. მასშტაბური გენოციდია. ტოტალური. არგაგონილი. ანახული. არსმენილი, გალაკტიონის სტრიქონების პერიფრაზით.ხელსაც ვერ კილავ ხმალზე ვინაიდან 16 წლიანი უთანასწორო ბრძოლების, დევნისა და პატიმრობების უსიერით შემუსვრილია ჩვენი მოწინავე გენოფოგნდი. უძაღლო ქვეყანაში ახლა კატებს აყეფებენ. თამამად. რუსთავი-2-ის ლოგო დაურიდლად ბრიცავს თვალს თავისი სახედ- რული სიფათიდან, მაგრამ იგი სულაც არ გახლათვთ ორიანის ციფრული გვარჯღნილობა ან რაიმე ფანტასმაგორია, დიახაც ცხენი გახლავს ჩვენს თავზე მერამდენედ აჭიხვინებული, ტროის ცხენი, ჩემო შთამომავლობავ. თწთ-მეთქი, მსოფლიოთ, ესოეს მეთქი, ქვეყნიერება, თწთ-მეთქი, უფალო, შენს ხატად და სახედ შექმნილ ქართველობას, მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილი მიწის მეპატრონეს ზეზეურად კლავენ, ზეზეურად ბასრავენ. ამიტომაც და არა მხოლოდ ამის გამო, ქვეყნიერებაც რომ იქცეოდეს, გული გეწურებოდეს მწუხარებისაგან, იმღერე და იცეკვე, ეროკე, რადგანაც შენი სახელი იბერიაა, იბერიკონი! სიმღერითა და ცეკვით შექმნილი ღვთაება ხარ უფლის ხატად, მისი მიკრომოდელი. შენი გაწონასწორება პოლიფონისაგან და ქორეოგრა- ფიისაგან მიდის. შენ გეორგიანელი ხარ და არასდროს დაგავიწყდეს შენი ცისა და მიწის მადლი. ანთეოსის ძლიერება მიწისგან სულდგმულობს. ჰერაკლე ვერაფრით დაამარცხებდა მას ხმელეთისაგან მოუწყვეტლად. თვალის ჩინივით მოუარე შენს ვენახს, შენს ზანდურს, შენს ფუტკარს და არვეს, ასწლეულებით დრო-ჟამისგან გამოცდილ ენდემურ კულტურებს. არ წაართვა წუთიერი ნეტარებისათვის სიცოცხლე ქოჩორა ნაძვის Xხეებს — იგივე შენ ხარ. არ მოუსწრაფო საწუთრო წამიერი გარინდები სათვის ბზას — იგივე შენ ხარ. ტრადიციული ჩიჩილაკი მიაგებე იმ რიტუალებს და ამით იბედნიერე. ახალგაზრდობისას იკვებე ხორცით. ჭარმაგობისას — მეტი ბოსტნეული და ხილი იგემე. მხცოვანების ჟამს კი თაფლს და რძის ნაწარმს არაფერი სჯობია.

სექსი არ არის ფუფუნების საგანი. იგი სიყვარულის საშუალებაა ისევ უფლის ხატად შექმნილი შენი მეორე ნახევართან შესამრთლიანებლად. კვირაში ერთხელ ჰიმენეს ზომერიად მიიჩნევენ ცნობიერების მეტრი არისტოტელე. ნუ ვიქნებით მასზე ჭკვიანი. ყველაფერი ეშმაკეულია უფლის მიერ დაწესე ბულის გარდა — ქალისა და კაცის ტრფიალის გარდა. სიყვარული ბრმაა, არ განარჩევს სწორსა და მართებულს. ბედნიერი იქნები შენს გულდისწორს ტერფზე ცერის მომდევნო თითი დაწინაურებული თუ აღმოაჩნდება. შვილსაც ამისთანა რძალს თუ მოჰგვრი, ჩინებულია. ხოლო ოდეს შვილიშვილსაც იგივე კანონებით დაადგამ საქორწილო გვირგვინს, ხომ მთლად უფალთან აღამაღლე ჯიშ-ჯილაგი შენი.

პატივი მიაგე დედას და მამას შვილების ტოლფასად. გაიხსენე ენეასი, რომელსაც ილიონიდან გამორიდებული მამა ანქიზე მხრებზე შესმული მოჰყავს პენატებითურთ, ვაჟიშვილი კი წინ მიუძღვის მომავლის იმედად.

ირწმუნე მამა ღმერთი, სამყაროს შემოქმედი, რომელიც ქრისტესა და სულიწმინდის მეშვეობით გადმოდის შენში. სამსაფეხურინია ეს პროცესი, დანარჩენი აღმსარებლობები კი მიაპყრობენ მოწყალე მზერას ცაბაოთს, მაგრამ უკლებლივ ჭეშმარიტების ზღურბლთან წრიალებენ, ვინაიდან აღარ ძალუძთ დახშული კარის გამოღება, იქით აწვებიან ჩაურაზავს. ეკლესიის დანახვისას გარდაისახე პირჯვარი და შენ უმტკივნეულოდ მიხვალ უფალთან, თანაც ხმის გაუღებლად გამოააშკარავებ შენს ირგვლივ მყოფ ადამიანებსაც. მიეჩვიე ჟანგბადის სწორ მიღებას. შენ სანამ მუცლით სუნთქავ, ჟანგბადის მხოლოდ 25 პროცენტს მოიხმარ, როცა შენს ფილტვებს შეუძლია ოხჯერ მეტი ოზონი მიაწდოს ტვინის უჯრედებს. დადექი კარის ზღურბლთან. მიეყრდენი სხეულით მას, ხელებაღმართული, როგორც ფარონის გამოსახულებაა და მიეძალე ღრმაა ამოსუნ- თქვებს 5-დან 10 წუთამდე. შენ სწრაფად გავარდები სიმაღლეში ფიზიკურადაც და ზნეობრივადაც, ვინაიდან დამდგარა დრო, წუთი, როცა უკვე მეტი შეცდომის დაშვებას არც მუხანათი ცხოვრება გვაპატიებს და აღარც — ყველგან მსუფევი უფალი ჩვენი, ცაბაოთი. ქვეყნიერებაც რომ იქცეოდეს, გული მწუხარებისგან რომ გეწურებოდეს, იმღერე და იცღეკვე, ეროკე, რადგანაც შენი სახელი იბერიაა, იბერიკონი! სიმღერითა და ცეკვით შექმნილი ღვთაება ხარ უფლის ხატად, მისი მიკრომოდელი. შენი გაწონასწორება პოლიფონისაგან და ქორეოგრაფიისაგან მიდის. სიმღერით სინქრონულდება შენი ხორცი და სული, ჰ არმონიული ხდება შენი ნებელობა და შესაძლებლობა, შენი სურვილი და მისი განხორციელების გზები. ხოლო ცეკვით გენეტიკუროად მაგრდება იგი შენში, წრიული ტრიალებით. შენ ჰიბრიდული გენოტიპი

ხარ, შორი ქორწინებების პროდუქტი. ებრალი ნათესაური შეჯვარებით ახერხებს ნიშან-თვისებათა მთელი კომპლექტის დამაგრებას. სამაგიეროდ სხეულებრივად ღარიბ- დება, ხორციელად კნინდება. შენ შორი ქორწინებებით უკუაგდებ ინბრედულ დეპრესიებს. სამაგიეროდ წრიული ტრიალებით როკვისას აღწევ განვითარების გზაზე მოპოვებული გენეტი- კური უპირატესობების მკვიდრად ჩადუღაბებას ორგანიზმში. ყურს ნუ უგდებ წუფთისოფლის ღავღავს, იარე ამ გზით და სისხლით ნათესავს ნუ შეერევი! შენ გეორგიანელი ხარ და არასდროს დაგავიწყდეს შენი ცისა და მიწის მადლი. ანთეოსის ძლიერება მიწისგან სულდგმულობს. ჰერაკლე ვერაფრით დაამარცხებდა მას ხმელეთისაგან მოუწყ- ვეტლად. თვალის ჩინივით მოუარე შენს ვენახს, შენს ზანდურს, შენს ფუტკარს და არვეს, დრო-ჟამისაგან ასწლეულებით გამოცდილ ენდემურ ჯიშებს. არ წაართვა წუთიერი ნეტარებისათვის სიცოცხლე ქოჩორა ნაძვის ხეებს — იგივე შენ ხარ. არ მოუსწრაფო საწუთრო წამიერი გარინდებისათვის ბზას — იგივე შენ ხარ. ტრადიციული ჩიჩილაკი მიაგებე იმ რიტუალებს და ამით იბედნიერე.

ახალგაზრდობისას იკვებე ხორცით. ჭარმაგობისას — მეტი ბოსტნეული და ხილი იგემე. მხცოვანების ჟამს კი თაფლს და რძის ნაწარმს არაფერი სჯობია. სექსი არ არის ფუფუნების საგანი. იგი სიფვარულის საშუალებაა ისევ უფლის ხატად შექმნილი შენს მეორე ნახევართან შესამრთლი- ანებლად. კვირაში ერთხელ ჰიმენეს ზომერიად მიიჩნევს ცნობი- ერების მეტრი არისტოტელე. ნუ ვიქნებით მასზე ჭკვიანი. სასაცილოა. ყველაფერი ეშმაკეულია უფლის მიერ დაწესებულის გარდა — ქალისა და კაცის ტრფიალის გარდა. სიფვარული ბრმაა, არ განარჩევს სწორსა და მართებულს. ბედნიერი იქნები შენს გულდისწორს ტერფზე ცერის მომდევნო თითი დაწინაურებული თუ აღმოაჩნდება. შვილსაც ამისთანა რძალს თუ მოჰგვრი, ჩინებულია. ხოლო ოდეს შვილიშვილსაც იგივე კანონებით დაადგამ საქორწილო გვირგვინს, ხომ მთლად უფალთან აღამაღლე ჯიშ-ჯილაგი შენი. პატივი მიაგე დედას და მამას შვილების ტოლფასად. გაიხსენე ენეასი, რომელსაც ილიონიდან გამორიდებული მამა ანქიზე მხრებზე შესმული მოჰ ყავს პენატებითურთ, ვაჟიშვილი ასკანიუსი კი წინ მიუძღვის მომავლის იმედად. ირწმუნე მამა ღმერთი, სამყაროს შემოქმედი, რომელიც ქრისტესა და სულიწმინდის მეშვეობით გადმოდის შენში. სამსაფეხურინია ეს პროცესი, დანარჩენი აღმსარებლობები კი მიაპყრობენ მოწყალე მზერას ცაბაოთს, მაგრამ უკლებლივ ჭეშმარიტების ზღურბლთან წრიალებენ, ვინაიდან აღარ ძალუძთ დახშული კარის გამოღება, იქით აწვებიან ჩაურაზავს. ეკლესიის დანახვისას გარდაისახე პირჯვარი და შენ უმტკივ- ნეულოდ მიხვალ უფალთან, თანაც ხმის გაუღებლად გამოააშკარავებ შენს ირგვლივ მყოფ ადამიანებსაც.

მიეჩვიე ჟანგბადის სწორ მოხმარებას. უჭმელად სამ კვირას ძლებს ადამიანი. უწყლოდ რამდენიმე დღეს გასტანს, მაგრამ უჟანგბადოდ ხუთ წუთსაც ვერ უმკლავდება. ამოავლეს ერთხელ უფლისწული ოქროს წყალში განსადიდებლად და ორიოდე საათშიც სული განუტევა. ადამიანი მთელი სხეულით სუნთქავს, მაგრამ ეს ძალზე მცირეა აუცილებელთან შედარებით. შენ სანამ მუცლით სუნთქავ, საჭირო ჟანგბადის მხოლოდ 25 პროც- ენტს მოიხმარ, როცა შენს ფილტვებს შეუძლია ოხჯერ მეტი ოზონი მიაწდოს ტვინის უჯრედებს. დადექი კედელთან. მთელი სხეულით — ქუსლებით, წვივებით, დუნდულოებით, მხრებით, კეფით — მიეყრდენი მას, ხელებაღმართული, მათითაც ზედვე მიტმასნილი, როგორც ამას ფარონის გამოსახულება მიგვითი- თებს გიზის პირამიდებში და მიეძალე ღრმაა ამოსუნთქვებს 5-დან 10 წუთამდე. შენ სწრაფად გავარდები სიმაღლეში ფიზიკურადაც და ზნეობრივადაც, ვინაიდან მთვლემარე ტვინის ნეირონებს საღათას ძილისგან გამოიფვან. აი, როდის გაიღვიძებს შენში ლაზარე — სრულიად საქართველოს კრებსითი სახე. შენი ძირები და წარსული გაცილებით ძველია, ვინემ ამას თანამედროვეობა იუწყება. შენი ცხვრის ტყავზე ნაწერი წიგნები — კირიბიშები განადგურებულია. იმდროინდელი აურწყავი ცოდნა დაინაწილეს უმწიფართა?! არაფერია, შენ მოახერხებ მის რესტავრაციას, თუკი ამ შეგონებას თვინიერად მიუგდებ ყურს, თუკი შენს წიაღში დაიწყებ მათ ძებნას. იქ უამრავი სალაროა ქურუმ-მოგვთაგან საგანგებოდ შენთვის დამარხული. ნიადაგ გახსოვდეს რიცხვი 6. დიახაც, ამ ოდენობით მოქმედებს ნებისმიერი მოვლენა სამყაროში — მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, საზოგადოებრივი, უფლისეული — ექვსი ეტაპის შემდეგ საწყის მდგომარეობას უბრუნდება. ჩაულრმავდი 7-ის, 13-ის და 91-ის ბუნებას. ეს ჯადოსნური „სეზამ გაიღეა“ შენთვის დაფარულ საიდუმლოთა კარების გასახსნელად. ნატურ- ალური რიცხვების მხოლოდ მათზე გაყოფით ვღებულობთ მარა- დიულ სიდიდეებს ბუნების მოვლენების იოლი მართვის საწინდრად... 142857.. 076923...010989...

კოლხები —კოლხიტები აპატისონებდნენ მუმიებს. გულზე ხელებს დაუკრეფდნენ გადაჯვარედინებულად. ეს სამაყაროს კლიტეა, იგივე ვიოლინოს გასაღები მუსიკაში. ქართუშები სამეფო რეგალიებით აღკაზმავდნენ ფარაონებს, იგივე ღმერთ-კაცებს. მათაც გადაჯვარედი ნებულად დააწყობი- ნებდნენ გულ-მკერდზე ხელებს, რომლებითაც მკვიდრად ეჭირათ სამკუთხედით და წრით

დაბოლოებული სკიპტრები, ანუ მიანიშნებდნენ ორი ურთიერთგამომრიცხავი სიდიდის — კაცური და ღვთიური საწყისის თანაბრად ფლობას.

მარგალები წერდნენ თიხის ფირფიტებზე გილგამეშის საგმირო ამბებს. წამახული ლერწმის ღეროთი რგავდნენ გამოუწვავ ალიზზე შავთმიანი ხალხის ისტორიას. სოლისებური იყო მათი კალმის კვალი, იგივე სამკუთხედებით აშენებული ამბები. პირამიდები კლასიკურ სიმაღლეს აღწევენ მოგვიანებით ეგვიპტეში ამ სამკუთხედებით, მაგრამ ერთსაც და მეორესაც კოლხური კირბები კვებავდნენ, ცხვრის ტყავებზე, კირიბიშებზე ნაწერი წიგნები სვეტებზე ქვის სამკუთხა დაფებად აღმართულები საზოგადო და რელიგიური კანონების ერთობლიობად. კოლხეთის ცხოვრება, ქართველის საწუთრო მიჯაჭვული პრომეთეა, მძინარე ლაზარე, უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული ხარი ტორიადორის წინაშე, მაგრამ საბოლოოდ მომავალი შენია, ვინაიდან განძის ერთადერთი მეპატრონე ხარ და ეს საუნჯეც შენს სხეულშია იბერიკონით — ცეკვა-სიმღერით კოდირებული. შენი მკურნალი შავგიორგაა, ქრისტესისხლა, მოლუსკები, თაფლში ნაზავი მრავალძარღვა, და ავიცენას ფორმულა: ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲐᲣᲖᲘᲓᲐᲜ, რამეთუ მორიელის ნაკბენს მორიელის შხამითვე არჩენენ. ასევეა ასპიტის გესლიც, ცხენის ორგანიზმში რომ შეიყვანენ იმუნიტეტის გამოსამუშავებლად და მერმე შხამსაწინააღმდეგო შრატს დაამზადებენ მისგან. ყველაზე დიდი უკვდავება ჩუმი ქველმოქმედებაა. ლაო ძიმ იცის ამის თაობაზე, კონფუციმაც და საერთოდ, ჩინური მიდგომები საგნებთან და მოვლენებთან ბუნების კანონების პატივისცემაა. ამიტომაც დაემსგავსა ჩინეთი თავისი ჰიპერტონიით კაშხალს, რომელსაც მსოფლიო საოცრება-საყრდენი მოაშორა კომპიუტე- რულმა საუკუნემ. თუმცა ჭეშმარიტება მხოლოდ შენშია, ოღონდ ჯერაც მთვლემარე ფორმით. ჩინელს შენგან წაუღია აურწყავი ცოდნის ნამცეცები, თორმეტი ათასი, ცხრა ათასი, ექვსი ათასი წლის წინათ და ხომ ხედავ, როგორ გაშლილა, თუმცა სხეულის სრულყოფისათვის მაინც ვერაფრით მიუღწევია, ცალმხრივია და იმიტომ.

ჩამავალი წყალი თავისით ჩაივლის ჩაღრმავებულ ალაგასო, იტყვის ჩინელი, თუმცა ლაზარეს ერს აღმა მიჰყავდა მდინარე წისქვილების დასატრიალბლად. ეს ცოდნა შენში მარხია დრომდე. მე გასწავლი მისი პოვნისა და გამოყენების გზებს. ლამარია დიდი დედაა, ღვთის მშობელი, სათნოების განსა ხიერება. ამის თაობაზე ბევრს ამბობს მაცხოვარი, რომ იგი უმაღ ლესი ფასეულობაა. თამარის მეფედ კურთხევამდე ქართველს ოჯახში ჰყავდა დედაკაცი გაბატონებული, ამისთვისაც ეძახდა კოშკის მთავარ საყრდენ სვეტს დედაბოძს. მდედრის სული ხავერდივითაა დაზღარბული მამრულის -გან განსხვავებით. ამდენად, პოლიტიკაში მათი სიმრავლე ალაგმავს პლანეტაზე ომების ქარავანს. მონა ბუნებითაც ჩნდება ქვეყანაზე, მაგრამ უფრო გარემო პირობები და მისივე მსგავსი ადამიანები აბეჩავებენ. თქვა ამის თაობაზე უფალმა: არიან საჭურისნი.

მოკლედ, როდესაც კატასტროფული სიტუაცია მწოფდება ამა თუ იმ ინდივიდუუმისათვის, ბუნება, ან საზოგადოების ელიტარული ფენა — ქურუმები, მოგვები მატრიცას მიმართავდნენ, მიმართავდნენ ხელუხლებელ ფონდს, რათა ჯიშ-ჯილაგი გადაერჩინათ. ბიბლიურად წინ გვიდევს ამისი მაგალითი — ნოეს კიდობანი და შიგ შებვანილი შვიდ-შვიდი წმინდა პოპულაცია და თითო დედალ-მამალი უწმინდურად მიჩნეულისა. გენეტიკური ფონდის მიმართვას თავად ბუნება ახერხებს ხოლმე, როცა სიტუაცია ამოსტყორცნის ხოლმე წინამძღოლს — მოსეს, ქრისტეს, სტალინს, მაგრამ ჩვენი მისია სულ სხვანაირია, არის კი შესაძლებელი ხელოვნურად მოვუხმორთ ამ ფასეულობებს, როცა სიტუაცია საკმაოზე მეტად შემმზადებულია?!

არიელობის მთავარ ნიშნად შიკლ გრიუბერს ამოღრუნტული ტერფიანი ინდივიდი შესთავაზეს გურჯიევებმა და სხვათა და ამ სურილიად ცდომილი დებულებით ნაცისტები გააფთრებით დაერივნენ ბრტყელტერფიანებს, როგორც დაბალი რასის წარმომადგენლებს, არასრულყოფილებს, პლებსს, ბარბაროსს რომ ეძახდნენ რომაელები. რასობრივი დებულება გაცამტვერდა მოგვიანებით უკვე მეცნიერულადაც ანთროპოლოგიური არგუმენტებით, რომ ბრტყელტერფიანობა პროფიესიული გადახრაა, გამუდმებით ფეხზე დგომის შედეგად შეძენილი თვისება და არა გენეტიკური, მემკვიდრეობითი. გასაკვირი არ არის, რომ ქალებს მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე დგომას რომ ურჩევენ გინეკოლოგები. მოკლედ, ასე გაიჟუჟა რამდენიმე მილიონი ადამიანი თავისი უწყინარი, თვინიერი სამუშაოსგან შეძენილი ზადით.

ღმერთმა დამიფაროს რასობრივი დოგმატიზმისაგან და საერთოდ რასობრივი გონჯგონებისაგან. ტერფის ცერის მომდევნო თითის ამაღლებულ მდგომარეობაში ყოფნა მემკვიდრეობითი ნიშანია. ის არ ექვემდებარება შრომით უნარებს. ეს წამოწეული თითი იგივე პიროვნების წახნაგია და მიუთითიებს გამორჩეულობას. მეტიც, ამისთანა თითის მქონე პიროვნება საზოგადოების კომპასია, ლოცმანი, მესვეური, თუკი მას ამის თაობაზე ადრეული ასაკიდან ეუწყა. მაგალითისათვის ქარდავების

გვარის ეგზემპლარებს შევეხოთ. ჩვენ შევისწავლეთ 100-ზე მეტი პიროვნება და აღმოჩნდა,რომ მათში კოლოსალურადაა შენახული დასახელებული ნიშან-თვისება. როგორც წესი, ქარდავების დიდი უმეტესობა ყირმიზსახიანია. სისინი კომპაქტურად სახლდებიან სოფლად თუ ქალაქად. მისდევენ ერთქორწინებას. გამოირჩევაიან სანგვინიკური მიდრეკილებებით. მე მინახავას კარის მეზობელი ზარენ ქარდავა, როცა იგიმ შეტაროვებული სიმინდის ყანაშიმ გამგელებული დასდევთდა ოჩან ღორს ამოშიშვლებული დანით. ღორი განწირულობით ჭყვიტინებს. მიხვედრილია სასიკეთო არაფერი ელის ამ ორფლიანი წითური დევკაცისაგან. აწყდება ჩაგრაგნილ, შამბმოკიდებულ ღობეს. თავის შესაყოფს ვერსად პოულობს. ეს არის და წვდება ქეჩოში ჩვენი ზარენი საბრალოს.

— ვისი ღორია ეს? — გადასძახებს გვერდითა მეზობელს.

— არ ვიცი შენი ჭირიმე, — პასუხობენ იქიდან.

ზარენი ელვისებურად წააცლის მარცხენა ყურს დედაღორს.

— არც ახლა იტყვით ვისია?

— არ ვიცით, პატენი! — კატეგორიულია დიასახლისი.

ახლა მეორე ყური წამოფრიალდება ელიავების სამოსახლოსკენ.

— არ იცით, ხომ?! — გაცოფებყულია ზარენი.

— ჩემი ყოფილა შენი ჭირიმე! — წიკვინებს წვრილ ხმაზე ნელიკო და დედაღორიც თვალის დახამხამებაში ღრუტუნ-ღრუტუნით გადაევლება ჩაგრაგნილ ღობეებს, ისე რომ ვერც კი უგრძვნია ჩლიქებიდან როგორ გამოაცალა ფუმფულა მიწა.

მინახავს სხვა ქარდავები, მიმხეილი, ნამდვილი მოგვი, შემლოცველი, შამანი თუ მჩხიბავი, ათასი ავადმყოფობის გამძევებელი სნეული სხეულიდან, წითელ მამალს რომ ჯერდება გასამრჯელოდ პაციენტისგან, თან ,,შური, შური, ფუი თაშ გაქარიო'' ეჩურჩულება ყურის ძირას უკბილებო პირით.

ჯათუ ქარდავას პიროვნება მთლად საარაკოა. დადიანის კარის ვეზირს განათლება უღხოეთში მიუღია. ტოლს ვერავინ უდებს. ერთხელს წაეანგლებიან აღრენილი თავადიშვილები გლეხუჭას: ვინც კი გენობანათელია თქვენში, ს ულ თავადების წყალობააო. არც ჯათუმ დააყოვნა და ხელად მოაგება: მით ხიაჩარ ქორენან, არძა ჩქინდე რე თქვანწკუმავა. — ვინც სახიჩარნი არიან თქვენში, ყველანი ჩვენგანაა, ასეთები კი მოგეცათ ლხენა, მრავლობდნენ აზნიანებში.

ერთხელ ყურსალებმა აიშვეს. ამას დადიანის კარი კი კრძალავდა, მაგრამ ბევრი ურჩი თავადი მაინც აგრძელეყდა მონებითვ ვაჭრობას თურქებთან. ამის თაობაზე უფრო ადრე არქანჯელო ლამბერტიც მოხდენილად მიუთითებს თავადი ჭილაიას ზნედაცემულობას, რომელმაც, მრველი პრომ არ გაიეკარა ცამეტი ბერი გააკრეჭვინა და ისინი მიჰიდა თურქებს. მიუთითებს მისიონერი იმის თაობაზეც, რომ ქმარს შეეძლო ცოლის გაყიდვა და გასამრჯელოს ნაწილით სიმამრის მხარის ჩაჩუმება. ყურსალობა კი ძველებურად მაინც ბოგინობდა სამეგრელოში. და აჰა, ერთ მშვენიერ დღეს ამბავი მოუტანეს ჯათუს, ყულევთან ჩვენი ვერცხლისწყალივით ბავშვები შეყარეს თავადებმა თურქებისთვის მისაყიდადო. იხილა თავისი თთვალით ჯათუმ ყოველივე. დაეთუთქა გული. დაელაპარაკა თურქულად ყურსალების უფროსს, რომ უფრო ფასეულ ძღვენს მიართმევდა, ოღონდ დაეცადათ. ასეც მოხდა ყოველივე. იმავე საღამოს ორი ათეული თავადიშვილი ყულევის ნავმისადგომს მიაყენა ყმა გლეხების ქალ-ვაჟების სანაცვლოდ. ეუწყათ ყოველივე აზნიანებს. იყარეს თავზე ნაცარი, გამოფხიკეს ბუხრიდან ოქრო-ვერცხლი და ვაივიშით მიეახლნენ ყულევში ჯათუს და ყურსალებს. კი დაბრუნდა სადადიანოში ჯათუ მოზარდების ორივე ნაკადით, მაგრამ მთავრის სასახლის კარიდან ფეხი ააკვეთინეს.

ჩვენი ნარკვევის გმირი, მერაბ ქარდავა სულით მოწადინებულია თავისი საგვარეულო ყოველნაირად გააძლიეროს, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებას დაუთმოს მეტი ყურადღ№ება. მისი შვილები ხომ 15-15 წლისანი ჩაირნიცხნენ მოსკოვის ბაუმანის სახელობის უნივერსიტეტში. განზრახული აქვს თითოეული ნიჭიერი ყმაწვილი თუ ასული უცხოეთში მიაღებინოს განათლება, სადაც სწავლასთან ერთად დაფინანსებული იქნება მათი ჩასაცმელ-დასახურისა და სასმელ-საჭმელის ღირებულება სწავლის პერიოდში.

ჩვენ სუფევის პირველ წიგნში მოგიყვით ერთი წარმტაცი გვარის — უბატონო მესხიების შესახებ, თუმცა მათთან სხვაგვარადაა საქმე, რაც შეეხება ქარდავებს, აქ საკრალურ, ეზოტერიკულ ფესვებთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი ქართების ეტიმოლოგია ასაიდუმლოებს ეგვთიპტიდან ჩამოსული ტომის ქარდების საიდუმლოს, ქართუშების მისიას. ისინი ხომ ათასწლეულების მანძილზე ახდენდნენ ფარაონების კორონაციას, დაგვირგვინებას და რაჟამს სიტუაციამ მოითხოვა მათი გამოხმობა სამშობლოში მოაშურესმ კიდეცქვეყნის გადარჩენის მისიით ფარნავთაზ მეფისა და ქუჯის ეპოქაში, ორიათას სამასი წლის წინათ.

გასაოცარი ფაქტი მოხსენა მერაბ ქარდავამ. ოქროს კვეთას პროპორციები ჯერ კიდევ ორი

ათეული წლის წინათ მეუწყა ხელდასხმულთაგან — 368:618-თან, მაგრამ აქ შეჩერდა ჩემი დაინტერესება იმ ფაქტის მიმართ, ვინაიდან იმ ზიარებულებმაც მეტი არა უწყოდნენ რა. რატომ მაინცდა მაინც ასეთი თანაფარდობა, რის გამო, რა მოსაზრებით? რის გამო ეწოდება მას ოქროს შუალედი. ან საერთოდ შეიძლება კი შუალედი ეწოდოს თანაფარდობას 362 გაყოფილი 618-ზე?! შუალედი ხომ ნახევარს ამოატივტივებს უნებლიეთ გონებაში, ხევი რომ მოიმოქმედებს ხორლმე, ორ ტოლ ნაწილად ნაჰყოფს ერთ მთლიან სხეულს. რა ხელი აქვთს ამ წილადობილას საშუალო არითმეტიკულთან?! ჰოდა მიმხელს ჩემი ქურუმი ნავკოსალარი ძმა:

მათი შეფარდებისას პირველი ნაშთის სახით გვრჩება 2600, რაც ცის თაღის სრული შემობრუნების მიმანიშნებელია ერთი ნულის წამატებით. მეორე ნაშთიმ 258-იმა, ეს კი უფლისეული თანაფარდობაა — 258. უფრო მთავარზე გეტყვი — მესამე ნაშთი 46-ია, რომელიც ადამიანის ანთროპოლოგიური პასპორტია ანუ მისი გენეტიკური კოდი. მეტი რა ქნას ოქროს შუალედმა9 გიხსნის, გეჩიჩინება ცის სრული ბრუნვის მონაკვეთში, 26 000 წელიწადში ადამიანი აღწევს ღვთიურ მდგომარეობას, თუკი ღვთიური სამების პრინციპით იცხოვრებსო.

მერაბის ბიჭების, თავად მისი ანთროპოლოგიური მონაცემები ზედმიწევნით ჯდება ჩვენს მატრიცაში — სიქსტაგონი რპომ ჰქვია, ფუტკრის ფიჭა, წესიერი ექვსკუთხედი, დავითის ვარსკვლავი, ცოლკინი ბოლოსდაბოლოს — ორი ტოლგვარდა სამკუთხედის სწრაფთა ერთმანეთისკენ.

ნავკოალარი და „ზღვის შვილები''

ანუ საქართველოს აქვს შანსი
მონოპოლია მოიპოვოს შავ ზღვაზე“

„ხოლო კოლხებმა დაუყოვნებლივ გამართეს, ყველა საბრძოლო გემი, სწრაფად აღჭურვეს იმავე დღესა, ზღვაში ჩაუშვეს სანაპიროზე გამწკრივებული ურიცხვი გემი. კაცი იტყოდა: გემთა კრებული კი არ გასულა გაშლილ ზღვაშიო, არამედ ფრთამალ ფრთოსანთა გუნდი გაფრენილაო ჟივილ-ხივილით.“

აპოლონიოს როდოსელი, ‘არგონავტიკა“,
(ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნე)

მერაბ ქარდავა. დაიბადა სოხუმში 1954 წელს. დაამთავრა როსტოვის რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტი. სტუდენტობის წლებში მუშაობდა სამეცნიერო ცენტრში და შვეულმფრენების ქარხანაში. მშობლიურ ქალაქში ჩარიცხვის შემდეგ ჩამოაყალიბა და შექმნა კერამიკული წარმოება, მინა-პლასტიკატის საწარმო, აშენებდა იახტებს, კატერებს, სავაჭრო ცენტრებს, პავილიონებს, კომპლექსებს, რომლებიც არა მხოლოდ ჩვენთან სარგებლობდა დიდი მოწონებით, არამედ სერიულად იყიდებოდა რუსეთსა და საზღვარგარეთ. ომის დაწყებამდე მისი საწარმოო ფართობები გაშლილი იყო ეშერის მინა-პლასტიკატის ქარხანასა და მაიაკის იახტ-კლუბში, სადაც დაწყებული იყო მასშტაბური სამუშაოები საზღვაოსნო საქმიანობის გასავითარებლად, რაც ბოლომდე გაანადგურა ომმა. იმ დროიდან 12 წელი დაჰყო მოსკოვში ერთ-ერთი უდიდესი ავია-საკონსტრუქტორო-სამონტაჟო ქარხნის მთავარი დირექტორის მოადგილედ. მერაბ ქარდავა გაიცნო რუსულმა სამეცნიერო-საკონსტრუქტორო ელიტამ, როგორც საოცრად შრომისმოყვარე, ნიჭიერი და სიახლის მოყვარე სპეციალისტი, რომელიც ახალი ტექნოლოგიით შექმნილი მასალების და დანადგარების (აღჭურვილობის) შესყიდვა-შეგროვებას აწარმოებდა, რომ შემდეგ აქ ჩამოეტანა. პარალელურად ამზადებდა კადრებს საკონსტრუქტორო-საინჟინრო სპეციალობებით და ასე შეიკრა 30-კაციანი ჯგუფი ‘**ზღვის შვილებად წოდებული**“, რომელიც მერაბ ქარდავას დაძახილზე პლანეტის ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერ დროს გაჩნდება და ნებისმიერი სირთულის დავალებას შეასრულებს. **მონოპოლურ ნაკეთობათა საწარმო** – ასე ჰქვია **მერაბ ქარდავას** ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებულ წარმოებას, რომელსაც არაერთი საუცხოო ობიექტი შეუქმნია 3-დან 6 თვეში სოხუმში, ლაზარევსკში, სოჭში, მოსკოვსა და მოსკოვის მიმდებარე ქალაქებში. ერთ დროს

მოსკოვის წარმოებებიდან ამ საწარმოს წილი წარმოადგენდა 3 მილიონ კვადრატულ მეტრს წელიწადში, რაც განსაცვიფრებელი მაჩვენებელი იყო 25 კაციანი ქართველ სპეციალისტთა ჯგუფისაგან (თუმცა ქართველების გარდა ამ ჯგუფში რამდენიმე რუსი და უკრაინელიც არის). სამშობლოდან 12-წლიან ემიგრაციაში მერაბ ქარდავამ შექმნა და დაამუშავა საჭირო, თანამედროვე და ეკონომიკურად მომგებიანი 6 საუკეთესო პროექტი: სასტუმრო და რესტორნების ქსელი 'ძველი გემი", ინერციული ძრავები, ეკრანოპლანები, მცურავი ელექტროსადგურები, წყალქვეშა ოტელები და იახტები. აქედან ერთ-ერთის, 'ძველი გემის", ორი ერთეული უკვე ამშვენებს ბათუმს, მაგრამ თუ რა კეთდება, რა – ვერ, რატომ და რისთვის, ამ ყველაფერზე სჯობს თავად **მერაბ ქარდავას** მოვუსმინოთ. იგი უკვე ოთხი წელია, რაც სამშობლოში დაბრუნდა.

– მინდოდა უფრო ეგზოტიკური, მიმზიდველი და სანახაობრივი კონსტრუქციები შემექმნა. ამ პროექტით დავიწყე სამშობლოში საქმიანობა. ეს არის **'ძველი გემი".** იგი თავის თავში მოიცავს სასტუმრო და რესტორნების ქსელის შექმნას, რამაც სწორი და მიზანმიმართული სტრატეგიით ევროპის ბაზარიც უნდა დაიკავოს. დღეს, ბათუმში ჩასული ნებისმიერი დამთვალიერებელი თავს ვალდებულად მიიჩნევს ამ გემ-რესტორან-სასტუმროსთან სურათი მაინც გადაიღოს, ავიდეს გემბანზე და თავად შეეხოს ხელით ამ მშვენიერ ხელოვნების ნიმუშს, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შესული. ამ გემებს ჩვენ სერიულად ვაშენებთ უკეთ, ვაძლევთ მე-17-18 საუკუნის გემის იერ-სახეს და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის დანიშნულებას ვძენთ. **პირველი გემი ნაწილობრივ საკუთარი თანხებით, ნაწილიც საბანკო სესხით აიგო. ბათუმში თუ ორი ნაგებობაა, მესამე მთავრდება ჩერნოგორიაში გასაგზავნად, მეოთხე კი პრაღისთვის. ეკონომიკური სქემა ასეთია – ერთი გემის თვითღირებულება თუ 500 ათას აშშ დოლარს შეადგენს.** უკვე უცხოეთში მისი კაპიტალიზაცია 2 მლნ. დოლარია და ორი წლის მანძილზე ყალიბდება ქსელი 21 გემისაგან, რაც საბოლოო ჯამში დაახლოებით 100 მილიონი დოლარის კაპიტალდაბანდებას შეადგენს ევროპის ცენტრალურ ქვეყნებში. მაგრამ ეკონომიკურმა კრიზისმა ბევრი საჭირო მოლაპარაკება და საქმე დაამუხრუჭა. ყოველივე ამას ბუნებრივია, განვიცდით. ფაქტობრივად, ამჯერად შეჩერებულები ვართ. **საქართველოში ჩამოსვლამდე ჩვენს ჯგუფს ბევრი შეპირება, ხელშეწყობა და საქმიანობის გაშლა ელოდა მრავალ პროექტზე, მაგრამ, როდესაც ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით, იძულებულნი ვართ ვეძებოთ ინვესტორი, ან ყველაზე ცუდი – რომელიმე უცხოური ბანკის შემოთავაზებებს დავთანხმდეთ.** ცუდი იმიტომ, რომ მე ეს ყველაფერი ჩემი ქვეყნისთვის და ჩემს ქვეყანაში მინდოდა, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა და არც ერთმა ქართულმა ბანკმა არ მოინდომა მისაღებ პროცენტში სესხის მოცემა, მაშინ სხვა გზა აღარ გვექნება, დავთანხმდებით ნორვეგიულ, ჩეხურ, თურქულ თუ ბულგარულ მხარეს. იმ დროს, როდესაც ჩვენი ბანკები, ასეთ პერსპექტიულ პროექტებზე 13 პროცენტზეც არავითარ შემთხვევაში თანხმდებიან, ჩეხური მხარე მზადაა ორწლიანი გადავადებით სიხარულით წამოვიდეს 3%-ზე. ინგლისის ბანკები 1%-ზეც კი დიდი ენთუზიაზმით ყაბულდებიან და კიდევ მრავალი სხვა, რაზეც, ვიმეორებ – ჯერ-ჯერობით თავს ვიკავებთ.

აღფრთოვანებაში მოვიდა ნორვეგიული წარმომადგენლობა ჩვენი მცურავი ელექტროსადგურების პროექტით, მაგრამ იმის იმედით, რომ გულისყურიანი და ყაირათიანი საქმის კაცი ჩვენთანაც გამოჩნდება, ჯერჯერობით შევწყვიტეთ ყველანაირი ინფორმაციის გაცემა. **მთელი წელია, დღე არ გავა რომელიმე მაღალი ინსტანცია არ მოვინახულო, პირადად არ შევხვდე შესაბამისი დარგის მაღალი ეშელონის წარმომადგენელს და... ამ ეტაპისთვის მხოლოდ ერთი და იგივე ისმის ყველა მხრიდან: აღფრთოვანება, მოწონება, გაოცებაც კი და სურვილი... სურვილი კი სურვილად რჩება ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. ამ სიარულსა და აზრთა გაცვლაში გამოიკვეთა ორი მიმართულება – მცურავი ელექტროსადგურები ცვლიან თუ ალტერნატიული საშუალებაა ჰიდროელექტრო სადგურებთან მიმართებაში? უფრო გამოცდილ და მცოდნე ენერგეტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ჩვენს მიერ შექმნილი მცურავი ელექტროსადგურები კაშხალის შემცვლელია. ფაქტობრივად ეს ჩვენი აზრია**

და წარმოიდგინეთ, რამხელა ეკონომიკური დანაზოგი და მოგება მოაქვს ერთ პატარა დანადგარს, რომელიც წყლის (ზღვის) რწევის ხარჯზე გამოიმუშავებს ელექტროენერგიას, იგივე ელექტროენერგიას, რასაც დავუშვათ, 'ენგურჰესის" უზარმაზარი კომპლექსი. 'ენგურჰესის" თაღოვანი კაშხალის სიმაღლეა 271,5 მეტრი, წყალსაცავში გროვდება წყალი იმისთვის, რომ 5 სადევრივაციო გვირაბით მუდმივად მიეწოდოს საბერიოში (აფხაზეთში) მდებარე ხუთ აგრეგატს, სადაც ხდება ელექტროენერგიის გამომუშავება. ელექტროენერგიის თვითღირებულება, რომელიც 'ენგურჰესზე" იწარმოება 1,8 თეთრია, სათანადო ფირმები კი 18 თეთრად ყიდიან. მუშახელი ამჯერად 300-დან 400-მდეა, საკმაოდ რთული და ძვირი ჯდება უზარმაზარი დანადგარების მოვლა-შენახვა და რემონტი და მრავალი სხვა. **რაც შეეხება მცურავ ელექტროსადგურს, აქ სულ სხვა სურათია. ამ შემთხვევაში გამოყენებულია მხოლოდ და მხოლოდ ზღვის ენერგია, რისთვისაც იქმნება კონსტრუქცია, რომლის დიამეტრი 30 მეტრია და ამნაირი დანადგარების კომპლექსით შესაძლებელია გამომუშავდეს ზუსტად იმდენი ელექტროენერგია, რაც 'ენგურჰესში" გნებავთ საათში, გნებავთ დღე-ღამის განმავლობაში. მცურავ ელექტროსადგურს სჭირდება 7-8 ადამიანი 12-16 მეგავატი ელექტროენერგიის მისაღებად.** მცურავი ელექტროსადგურების გეგმაზომიერი განვითარება იმ უპირატესობის გათვალისწინებით, რაც გააჩნიათ გიგანტურ კაშხლებთან შედარებით წყლის ნაკლებობის რაოდენობა შემოდგომა-ზამთრის რეჟიმის მიხედვით (რაც ყოველთვის ართულებს ჰიდროსადგურის უწყვეტ რეჟიმში მუშაობას) ეკოლოგიური თვალსაზრისით და ხმელეთის გამოთავისუფლებით, ფაქტობრივად სახელმწიფო ინტერესს უნდა იწვევდეს. **ბევრმა მსოფლიო დონის სპეციალისტმა ივარაუდა, რომ ეს არის მომავლის ელექტროსადგური, რომელიც აგერ, აქ, ჩვენთან, საქართველოშია უკვე და მხოლოდ და მხოლოდ ამუშავება სჭირდება. 10-15 წლის წინათ მცურავი (მოტივტივე) ელექტროსადგურების იდეა თუ ირონიას და სკეპტიციზმს იწვევდა, დღეს, განვითარებულ ქვეყნებში თითქმის ბუმი დაიწყო, რადგან ეს არის ყველაზე იაფი, ეკოლოგიურად საჭიროც კი და ყველაზე უსაფრთხო სადგურები, რომლებსაც ინგლისელები აშენებენ პორტუგალიის სანაპიროებთან. ავსტრალიაში უკვე 5-6-ია. დაინტერესებულია ჩეხეთის მხარე და გეომეტრიული პროგრესია სახეზეა. ასე რომ, ჩვენი ამბიცია (კარგი გაგებით) შავი ზღვის სრული ათვისებისა და საუკეთესო საზღვაოსნო ქვეყნისა, სავსებით შეიძლება დაკმაყოფილდეს თუნდაც ამ ერთი ეკონომიკურად ძალზე გამართული პროექტის მეშვეობით. ჩვენი სქემა სხვა ქვეყნებში შექმნილ მოტივტივე ელექტროსადგურებს რაციონალურობით სჯობნის. ისინი იყენებენ ტალღის ქოჩორზე შექმნილ ენერგიას, მის მიერ შექმნილ ჰაერთა სხვაობას, ტალღის სინუსოიდებზე შექმნილ ცვალებადობას, ჩვენ კი (ალბათ, საიდუმლო აღარ არის) ვიყენებთ ბუნებრივ პრინციპს – ზღვის რწევას.** მაგალითად, როცა გაჩერებული ორი გემი ერთმანეთის მიმართ ქანაობს. ჩვენ ვიყენებთ ზღვის რწევას და არა ტალღის სინუსოიდის თვისებებს. როდესაც 200-ტონიანი ორი გემი ერთმანეთის და მესამე სხეულის მიმართ მოძრაობს, ათასი ტონა წნევის შექმნა შეიძლება ერთ კვადრატულ მეტრზე. ფაქტობრივად, ზღვის სივრცეში შეიქმნა კაშხალის შემცველი ფიზიკური მოვლენების ალტერნატიული ელექტროსადგური. ასეთი სადგურის პრიორიტეტი ელექტროკარებია, რომელიც იმუხტება და გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობს, რაც ამ ახლო წარსულში შეიქმნა. ეს ელექტროსადგურიც ასევე ეფექტური და რაციონალური იქნება მომავალში. **ძალიან ბევრი გემი დგას ფოთის, ბათუმის აკვატორიებში ეგრეთწოდებულ 'ღუზის სადგომებში" (ÿêîðíàÿ ñòîÿíêà) და ეს ათი, ორმოცი, ორმოცდაათი გემი, ასობით და ხუთას კილოვატობით დიზელგენერატორს ამუშავებს, რომ ცხოვრების ავტონომია შეინარჩუნოს, ეს მოცდა ზოგჯერ თვეობით გრძელდება და შემდეგ შემოდიან პორტებში.** აი, მხოლოდ ასეთ სადგომებზე მაინც რომ განვახორციელოთ ჩვენი პროექტი, კოლოსალურ ეკონომიკურ ეფექტს მოიტანს. მაგრამ, სამწუხაროდ გავიმეორებ: ჩვენს ბანკებს არანაირად სურთ ასეთ მასშტაბურ და მომგებიან პროექტში ჩაებნან და სესხი მოგვცენ ხელმისაწვდომ პროცენტებში.

ჩვენ ვცდილობთ ყველანაირად გავამართლოთ ჩვენი სახელი – **'მონოპოლურ ნაკეთობათა საწარმო – ზღვის შვილები''**, რაც ითვალისწინებს შავ ზღვაზე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ენერგო და სხვა დარგებში საქართველოს მონოპოლიის შექმნას. ეს ამბიცია შემთხვევითი არ არის და გარდა იმისა, რომ 20-30 წლის დაუღალავი შრომით მოვიდა. მას კიდევ უძველესი ფესვები აქვს. გავიხსენოთ თქმულება არგონავტებზე, რაც ჩემმა მეგობარმა, მწერალმა **გური ოტობაიამ** ზედმიწევნით სწორად მიმანიშნა. მას შემდეგ, რაც არგონავტებმა მედეას დახმარებოთ ოქროს საწმისი გაიტაცეს და სასწრაფოდ აიღეს გეზი სამშობლოსკენ, კოლხმა მდევრებმა მეფისწულ აფსირტეს წინამძღოლობით ზღვაში სამი დღით ადრე გასულ არგონავტებს გადაასწრეს, გზა მოუჭრეს იონიის ზღვის უკიდურეს უბესთან. ამ ფაქტმა გვიბიძგა იდეისკენ, რომ შექმნილიყო ძველი კოლხების დარი წყალზე მავალი სწრაფი ტრანსპორტი. ასე დაიბადა ჩვენი ეკრანოპლანები. ეს არის ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ფსკერის ქვეშ იქმნის ჰაეროვან დინამიურ ბალიშს, ამის გამო სატრანსპორტო საშუალება წყალს არ ეხება, ისე გადაადგილდება და შესაბამისად ორჯერ იზრდება მისი სისწრაფე, ვიდრე დღემდე არსებული ყველაზე სწრაფი წყალზე მავალი ტრანსპორტისა. თუ კომეტებს სამ ბალამდე აქვთ შეზღუდვები, ამ ტრანსპორტის უსაფრთხოება გაცილებით მეტია, იმიტომ რომ მისი სიჩქარე საათში 160 კილომეტრია და თავისუფლად შეუძლია სწრაფად გაეცალოს ნებისმიერ სახიფათო ზონას. შტორმის დროს კი, კომეტისგან განსხვავებით, შეუძლია აიწიოს ჰაერში და გაფრინდეს 4 კილომეტრის სიმაღლით. ჩვენი ტრანსპორტო ორსაათნახევარში ჩადის შავი ზღვის ყველაზე მოშორებულ წერტილში. მინი-ეკრანოპლანი, რომელიც 10 მგზავრზეა გათვლილი,კომპლექტდება 'BMW''-ს ტიპის ავტომობილის ორი ძრავისგან, გამოიყენება ამავე და სხვა მანქანების სხვადასხვა ნაწილები და სპეციალური დანადგარები, თუ აღჭურვილობა. ამ აპარატს თავისუფლად შეუძლია ოთხი სვლა-გეზი აიღოს შავი ზღვისპირეთის ნებისმიერ ქვეყანაში. ბილეთის საფასური არავითარ შემთხვევაში ეღირსება ავიაბილეთებზე მეტი. ამ ტრანსპორტის თვითამწეობა 2 ტონას აღემატება და მხოლოდ ორი პერსონა – კაპიტანი და ბორტ-ინჟინერი ემსახურება. ასე რომ, დღის განმავლობაში ერთ ეკრანოპლანს შეუძლია გამოიმუშაოს 4 ათასი დოლარი. რაც შეეხება კადრს, საქართველოს ამის გასაჭირი ნამდვილად არ აქვს. საკმარისად გამოცდილი მეზღვაურები და მფრინავები გვყავს სამსახურის გარეშე და ამ კუთხითაც ერთგვარი შედავათი იქნებოდა ჩვენი ხალხისთვის. **ეკრანოპლანი საუკეთესო საშუალებაა საწყალოსნო ტურიზმის ასაღორძინებლად და შეგვიძლია არა მხოლოდ შავ ზღვაზე, არამედ საქართველოს შიდა წყლებშიც გადავაქციოთ საკმაოდ მოხერხებულ ტრანსპორტად. მას შეუძლია შევიდეს ჭოროხში, ხობის წყალში, ენგურში, რიონში, პალიასტომის ტბაში და არა მხოლოდ ტურისტული, არამედ სამგზავრო რეისებიც შეასრულოს. დაინტერესებულ პირს, (მინიმალური პროგრამით) სამი ეკრანოპლანის აშენება მილიონ ორასი ათასი დოლარი დაუჯდება, რომლის უკუგებაც ნახევარ წელიწადში მოხდება. პიროვნება კი, ვინც ამ საქმეს მოკიდებს ხელს აუცილებლად უნდა იყოს დაინტერესებული ქვეყნის წინსვლითაც და საქართველოს შიდა და გარე წყლებში სატრანსპორტო საშუალებების პირველობის მოსაპოვებლად.** სხვაგვარად ნებისმიერი პროექტი ჩვენი ჯგუფისთვის – ზღვის შვილებისთვის. უფერულია, რადგან 20 და 30 წელია ჩემი თანაკლასელები, ნათესავები, ამხანაგ-მეგობრები, ვინც კი მონოპოლურ ნაკეთობათა საწარმოში ვართ გაერთიანებული, ყოველთვის ვოცნებობდით იმაზე, რომ სამშობლოსთვის მოგვეხმარებინა ჩვენი ცოდნა და ენერგია. ცოტასაც დავიცდი, ვიდრე ყველა ინსტანციას არ მოვივლი, ვიდრე ყველა შესაძლებლობას არ მოვსინჯავ და თუ არა – საზღვარს იქით, შავ ზღვას იქით და კიდევ იქით – სამშობლოსგან შორს... რაც არასოდეს მინდოდა.

ზოგჯერ, ასეთ დროს ამბობენ ხოლმე – ნეტავ რა წყალში ჩავვარდეო, მაგრამ საქმემ აჩვენა, რომ რომელ წყალშიც არ უნდა აღმოჩნდნენ ჩვენი მეგობრები, სხვათა განცვიფრებას მაინც ახერხებენ. ან კი რა გასაკვირია

მათი მოდგმის და ჩამომავლობის ხალხისგან, როცა ჯერ კიდევ უძველესი სწავლულნი და მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ კოლხეთში არა მხოლოდ ოქროს საწმისი, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნები ინახება, რომლებშიც ოქროს მიღების წესი წერიაო; რომ ქართველებს ჰქონდათ თავიანთი მამა-პაპათგან ნაწერი კირბები, რომლებზედაც მოგზაურთათვის ნაჩვენები იყო ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარიო; რომ ქართველები უბადლო ზღვაოსნები იყვნენ, გემთა და ხიდთა შეუდარებელი მშენებლები; რომ მათ სანაოსნო ჭიშკარ-მდინარე ფაზისზე (რიონი) 120 ხიდი იყო აგებული და საზღვაო რუკები ჰქონდათ სათანადო აღნიშვნებითო.

ყოველივე ამის შემდეგ იმედია, გამოჩნდება გონიერი კაცი, რომელიც მერაბ ქარდავას და მისი ჯგუფის საზღვაოსნო მიგნებებს რეალობად აქცევს და უძველესი აიას დარად საოცნებო, სხვათაგან გამორჩეულ ქვეყნად აქცევს საქართველოს.

მეზღვაურული ნასკვი

ანუ პირველი ქალაქ-სახელმწიფო
შავი ზღვის აკვატორიაში

თურქეთ-საქართველოს კულტურული და
ეკონომიკური (რეგიონული)
ურთიერთობის პროექტი

ქართულ-თურქული ცივილიზებული ურთიერთობისათვის ლამის საუკუნეა ნიადაგი მზადდება. ნეტარხსენებული მუსტაფა კამილის – ათათურქის პრეზიდენტობიდან (1925-1935) მოყოლებული, თურქეთის სახელმწიფო ელვისებური სისწრაფით გადაეწყო ევროპულ ყაიდაზე. უმთავრეს ფასეულობად გამოაცხადა უფლის ხატად მიჩნეული ადამიანი. ამ კოლოსალურ გარდაქმნებს მოგვიანებით მხარს აუბამს ,,ვარდების რევოლუციის'' საქართველო. მოიხსნება ავბედითი ისტორიული შლაგბაუმები ჩვენი ქვეყნების ურთიერთხელსაყრელი კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობისათვის.

სამეგრელოს სადღეისო ლტოლვა თურქეთისკენ სულაც არ არის გამონაკლისი. სანიმუშოდ გამოდგება აბაშისა და არდაშირის დაძმობილება წლების წინათ, მაგრამ ამ მეგობრობას დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით ყველაზე უკეთესად შეესატყვისება ხოფას ილცესა და ხობის რაიონის სინამდვილე:

ხობი ოდითგანვე ცნობილია თავისი ისტორიული მნიშვნელობით საქართველოსათვის, იგი ცოტნე დადიანის, გუბაზ მეფის სამშობლოა. ხობის დედათა მონასტერი საქართველოს სულიერების უმთავრესი წყაროს – მარიამ ღვთისმშობლის კვართის მფლობელია. ხობში შეუფერხებლად მკვიდრდება საერთაშორისო რეზონანსის ინფრასტრუქტურა. სამაგალათოა აზერბაიჯანულ ფირმა „სოკარის“ მიერ ყულევის ტერმინალის შეძენა, რათა იქ წარმატებულად განხორციელდეს ენერგეტიკული პროექტები დანარჩენი მსოფლიოსთვის; ხობი გამორჩეულია ეთნოგრაფიული ფასეულობებით: მარტო მეგრული სიმღერების საერთაშორისო 4 ფესტივალის ჩატარება რად ღირს XXI საუკუნის დამდეგს! მსოფლიოში პირველად ხობში შეიქმნა ძუკუ ლოლუას სახელობის მადალ დონეზე აღჭურვილი მეგრული სიმღერების მუზეუმი. ხობს უკვე გააჩნია დამოუკიდებელი ნავსადგური ყულევში.

ხოფას ილცე ხობის რაიონის მსგავსად მიმზიდველია წარმტაცი ველებით, მადალი მთებით, ტყეებით... ეს სიმწვანე აღწევს შავი ზღვის 17-კილომეტრიან სანაპირომდე. ხოფას ილცეში ცხოვრობს 14 380 მოქალაქე (2007 წ.), ხოლო ხობის რაიონში – 42 700. ხოფას ილცე ხობის რაიონივით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რეგიონია, სადაც წარმატებულად შეიძლება განხორციელდეს ენერგეტიკული პროექტებიც;

ხოფას ეტიმოლოგია ხობის მსგავსად ნიჩაბს, ზღვაოსანს, ზღვის შვილს ნიშნავს. ამასთან ხობის რაიონის ხოფას ილცესთან დაძმობილების ერთ-ერთი ფაქტორი მის

წიაში, სოფელ პანჭოლში დაბადებული გენიალური მომღერლის, ქაზიმ ქოიუნჯუს ფენომენია. იგი 33 წლის ასაკში გარდაიცვალა 2005 წლის 25 ივნისს და მშობლიურ სოფელში განისვენებს აწ და მარადის. დღემდე მეგრული სიმღერები არავის შეუსრულებია ისეთი შთაგონებით, ისე კაეშნიანად, როგორც ეს ქაზიმ ქოიუნჯუმ მოახერხა. ყველაფრის გათვალისწინებით პროექტის საინიციატივო ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს:

1. მომზადდეს ნიადაგი ხოფას ილცესა და ხობის რაიონს შორის მემორანდუმის გასაფორმებლად კულტურულ-ეკონომიკური ასპექტით;
2 ხობი და ხოფა გამოცხადდეს დაძმობილებულ ქალაქებად;
3. საინიციატივო ჯგუფი წინადადებით შემოდის ხოფას ილცეს წინაშე, რათა ხოფაში აშენდეს ქაზიმ ქოიუნჯუს სახელობის გემი „ზოდაში ბერეფე" (ზღვის შვილები) მსოფლიოს – ხალხთა სიმღერების პირველი მოძრავი მუზეუმი პლანეტაზე – და დაწესდეს ქაზიმ ქოიუნჯუს სახელობის საერთაშორისო სამი პრემია (I – 3 000, II – 2 000, III – 1 000 აშშ დოლარის ოდენობით) ნაციონალური სიმღერების საუკეთესო შესრულებისათვის.
4. საინიციატივო ჯგუფი წინადადებით შემოდის ხოფას ილცეს წინაშე, რათა მისი წყლების აკვატორიაში აშენდეს პირველი წყალქვეშა ოტელი (6 000 000 აშშ დოლარი), რომლის გარშემო განლაგდება 10 მოტივტივე ელექტრო-სადგური (2,5 მეგავატის 1 ბლოკის ღირებულება – 2 500 000 აშშ დოლარი).

პროქტებით დაინტერესების შემთხვევაში, ქართული მხარე მზად არის მსოფლიო სტანდარტების დონის წყალქვეშა ოტელი, მოტივიტივე ელექტრო-სადგური და გემი (600 000 აშშ დოლარი), ხოფელებს გაცილებით იაფად აუშენოს ადგილზე. დღევანდელ მსოფლიოში მსგავსი დანადგარებისა და მოცურავე ობიექტების გამალებული მშენებლობებია გაჩაღებული ცენტრალურ ევროპასა თუ სხვაგან, მაგრამ ამნაირი კომპლექსი პირველია პლანეტაზე და მისი საბაზრო ფასიც რამდე- ნიმე ათეული მილიონი აშშ დოლარით ნაკლებია აქამდე არსებულთან შედარებით. ქართული მხარე საქვეყნოდ აღიარებული კონსტრუქტორის, გემთმშენებელ მერაბ ქარდავას ოსტატობით გაცილებით იაფად იმიტომაც ააგებს მას ხოფელების შემოშველიებით, რათა მომავალში უფრო წარმატებულად განხორციელდეს სხვა პროექტები, (თუნდაც წყლის დაწნევით მომუშავე რეზერვუარული ელექტრო სადგურები).

წყალქვეშა ოტელისა და მოტივტივე ელექტრო-სადგურის ასაშენებელი თანხის წარმომავლობას განსაზღვრავს ხოფის ილცეს ხელმძღვანელობა, ხოლო ქაზიმ ქოიუნჯუს სახელობის გემი „ზოდაშ ბერეფე" (ზღვის შვილები) აშენდება თურქეთში მცხოვრები ლაზების ფინანსური მონაწილოებით.

პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი

თოდუა ფრიდონ – საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ზუგდიდის მაჟორიტარი, საქართველოა მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრესიდენტი, საქართველოს რადიოლოგიის ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი, პროექტის კონსულტანტი და ხელშემწყობი;

ცხადაია ვახტანგ – საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილე სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, პროექტის საერთო ხელმძღვანელი და ხელშემწყობი;

ოტობაია გური (გულადი ფეტელავა) – მწერალი, პოეტი, ჟურნალ „კირბისის" მთავარი რედაქტორი, პროექტის ავტორი, კოორდინატორი და ხელშემწყობი;

ტყებუჩავა იგორ – ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის თავმჯდომარე, პროექტის კოორდინატორის მოადგილე და ხელშემწყობი;

გუნავა გურამ – აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის თავმჯდომარე, პროექტის ხელშემწყობი;

ბუკია ლაჟვარდ – „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალის მმართველი, პროექტის კოორდინატორის მოადგილე, პროექტის ხელშემწყობი;

გვასალია ლაშა – მწერალი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე, ჟურნალ „მწერლობა XXI"-ს მთავარი რედაქტორი, რევაზ ინანიშვილის პრემიის (I) ლაურეატი (20010);

თანდილავა იაშა – პოეტი, პროექტის კონსულტანტი, მეგზური და თარჯიმანი;

თათარიშვილი ლიდო – შ. პ. ს. „გროს ენერჯი ჯგუფის" დამფუძნებელი, პროექტის ხელშემწყობი;

ნაჭყებია ზაურ – საგამომცემლო სახლ „ინოვაციის" დამფუძნებელ-დირექტორი, ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის" მთავარი რედაქტორი, პროექტის პოლიგრაფიულად უზრუნველმყოფელი;

ფარულავა გიორგი – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორი, პროექტის ხელშემწყობი;

ძარდავა მერაბ – კონსტრუქტორი, გემთმშენებელი, ენერგეტიკოსი, პროექტის ხელშემწყობი;

შეროზია ჯიმშერ – „ლიბერთი ბანკის" სამეგრელოს რეგიონის სამსახურის მმართველი, პროექტის ხელშემწყობი;

წურწუმია თემურ – საქართველოს პარლამენტის წევრი, ფოთის მაჟორიტარი, პროექტის ხელშემწყობი;

პირველი დღე: 24 ივნისი. ხუთშაბათი.

ჩასვლა ბათუმში. ვახშამი და ღამისთევა სასტუმრო „ძველ გემზე".

მეორე დღე: 25 ივნისი. პარასკევი.

8. 00. საუზმე „ძველ გემზე".
9. 00. გასვლა ბათუმიდან.
12 00. საინიციატივო ჯგუფი ხვდება ხოფას ილცეს ხელმძღვანელობას პროექტის გასაცნობად. (ძველი გემების, წყალქვეშა ოტელების, ეკრანოპლანების, მოტივტივე ელექტრო-სადგურების ბუკლეტები, ბიზნეს-წინადადებები თან ერთვის)
15. 00. საინიციატივო ჯგუფი ხოფას ილცეს ხელისუფლებასთან ერთად მიემგზავრება სოფელ პანჭოლში, ქაზიმ ქოიუნჯუს საფლავთან გვირგვინისა და ყვავილების მისატანად. იქ გაიმართება ქაზიმ ქოიუნჯუს ხსოვნისადმი მიძღვნილი პარაკლისი მისი მეგობრებისა (ალი ალვარი, ფუათ საქა, ვოლქან ქონაქი, ბაიარ შაჰინი, ტურგუთ ჩელიქი, შუქრი თუთქუნი) და ქაზიმის სიმღერების ფონზე:
– ძუკუ ლოლუას სახელობის მეგრული სიმღერების მუზეუმის ექსპონატების კომპლექტების გადაცემა ღონისძიების მონაწილეთათვის საჩუქრად (იგორ ტყებუჩავა);
– ბროშურების გადაცემა ღონისძიების მონაწილეებისთვის, სადაც დაბეჭდილია ქაზიმ ქოიუნჯუსადმი მიძღვნილი ლაშა გვასალიას ნოველა „ბოღაშ ბერეფე" ქართულ-თურქულ ენებზე (ზაურ ნაჭყებია);

– ლექსების კრებულ „ჰოუნანას“ ჩუქება მასპინძლებისთვის (გური ოტობაია);
– იაშა თანდილავა თურქულ-ქართულ-მეგრულ-ლაზურად კითხულობს ქაზიმ ქოიუნჯუსადმი მიძღვნილ გური ოტობაიას სონეტს.
ქაზიმ ქოიუნჯუს საფლავთან გაიმართება მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი პარაკლისი.

პროექტის ხარჯთაღრიცხვა:

1. ღამისთევა სასტუმრო „ძველ გემზე”– 500 ლარი.
2. გვირგვინი პორტრეტითა და ლენტით თურქულ-ქართულ ენებზე: „მარადიული მოგონების საწინდრად ჰოუნანას უბადლო შემსრულებელს – ზოღაშ ბერე – ზღვის შვილ ქაზიმ ქოიუნჯუს”, ყვავილების თაიგულები – 400 ლარი;
3. ქაზიმ ქოიუნჯუს სულის მოსახსენიებელი სახელდახელო სუფრისა და საინიციატივო ჯგუფის 14 წევრის 2 დღის კვება – 1000 ლარი.
4. მიკროავტობუსი ბათუმიდან – 500 ლარი.

სულ: 2 400 ლარი

პროექტის განხორციელების დრო:
2010 წლის 24-25 ივნისი.

ფინანსური უზრუნველყოფა:
პროექტის განხორციელებისათვის თითოეული ხელშემწყობი იხდის 300 ლარს.

ღია წერილი
ბატონ იური გუგუჩიას

ბატონო ოთარ, ჩვენს გაერთიანებას მონოპოლურ ნაკეთობათა საწარმო ჰქვია, უფრო კონკრეტულად კი გემთმშენებლები ვართ. სახელმწიფოსგან დაუხმარებლად, საკუთარი სახსრებითა და ინვესტორების შემოშველიებით დღემდე აშენებული გვაქვს ძველი გემის ტიპის ოთხი ხომალდი. მათგან ერთი გაიყიდა, ორი კი წარმატებულად ფუნქციონირებს ქ. ბათუმში რესტორანისა და სასტუმროს პროფილით. ეს გემები შინა- არსიანი დასვენების ერთ-ერთი დაუვიწყარი კერაა მთელს შავზღვისპირეთში. ამ მიმარ- თულებით, შემუშავებული გვაქვს პროექტი, რომელიც 500 ათასი დოლარის ინვესტიციით (ერთი გემის გასაშენებელი თანხა) 21 გემის შექმნას ვარაუდობს და 90 მილიონი დოლა- რის კაპდაბანდების შესაძლებლობას ქმნის ორ წელიწადში.
ხობის რაიონში, მდინარე ხობისწყლის პირას, ყულევის ტერმინალის სიახლოვეს, ახ- ლაც ვაშენებთ საკეცანძებიან ძველ გემს, რომ- ელიც 80 პროცენტით გასრულებულია და ელის ინვესტორის ფინანსურ მონაწილეობას, აგვისტოს მოვლენებმა რომ შეაფერხა.
ბატონო იური, ამჯერად ჩვენი მიზანია გემთმშენებლობით თქვენი დაინტერესება. მოგეხსენებათ, ერთი გემის აშენება ხომ ერთი სარკინიგზო მაგისტრალის გაფანას ედრება. ამისთანა გემს თავისუფლად შეუძლია 20-25 ვაგონი ტვირთის გადაზიდვა ერთ ჯერობაზე.
განუკითხაობის წლებში საკონსერვო ქარხნების გაჩანაგების წყალობით, მოსახლეო- ბას დღეს ათასობით ტონა ხილ-ბოსტნეული უფუჭდება არა მხოლოდ სამეგრელოში. ყველაფერ ამას 2-3 სატვირთო გემის აშენებისთვის საჭირო 3 მილიონი ლარის მოძიება გამოასწორებს რეგიონში. ასეთი გემის საბაზრო ღირებულება 5-6 მილიონი აშშ დოლარია, მაგრამ მათი კონსტრუქტორი მთელს კოლექტივთან ერთად სამშენებლო თანხაში ვეტევით საქვეყნო საქმის აღორძინების სასარგებლოდ. ასეთი გემი 6 თვეში აშენდება და 1000 ტონამდე ტვირთს გადაზიდავს ერთ რეისზე ნებისმიერი მიმართულებით. მას უპრობლემოდ შეუძლია ზუგდიდის, ხობის და მეზობელი რაიონების ლამის მილიონი ტონა ხილ-ბოსტნეულის უდანაკარგოდ ჩატანა შავი ზღვის აუზის ქვეყ-ნების ნავსადგურებში. ეს წარმოუდგენლად წარმატებული ღონისძიებაა დღესდღეობით მწირი ჩვენი მხარის

ბიუჯეტის შესავსებად და შემდგომში უფრო თამამი პროექტების დასაფინანსებლად.

არანაკლები მნიშვნელობისაა შედარებით მომცრო გაბარიტების თევზსაჭერი გემები სამეგრელოსათვის. მათი აშენება ჯდება 600-700 ათასი ლარი, როცა საბაზრო ღირებულება 4-5 მილიონ დოლარს უტოლდება. სამეგრელოს რეგიონს ასეთი 3-4 თევზსაჭერი გემით ექნება ძვირფასი საკვები, როგორც საკუ- თარი მოსახ- ლეობისათვის, ისე ქვეყნის სხვა რეგიონებში გასატანადაც, სამაგიეროდ თურქებისგან საყიდ- ელი არ გახდება იგი, რომლებიც ჩვენი წყლ- ების აკვატორიაში ხელშეკრულების საფუძ- ველზე ყოველწლიურად 900 ათას ტონა თევზს იჭერენ.

ჩვენ უამრავ მიმართულებას ჩავუყარეთ საფუძველი საქართველოში საქმიანობის 4 წლის მანძილზე. ამათგან გამოვყოფდი ,,ეკრანოპლანებს''. ეს საზღაოსნო საშუა ლება ჯერ-ჯერობით მხოლოდ რუსეთშია აპრობირებული და ისიც ჩვენი თაოსნობით. ჩვენს მიერ შემუშა ვებული ,,ყველგანმავალი'' ათი მგზავრისთვისაა გათვალისწინებული. მისი საპროექტო-სამ- შენებლო ღირებულება 200 ათასი დოლარია. სამაგიეროდ სამ თვეში შეუძლია მასზე გახარ- ჯული თანხის ამოგება. იგი მოხერხებული იმიტომაცაა, რომ სერთიფიკატს საზღაო რეეს- ტრით იღებს და არა — ავიაციის ხაზით. საჭიროების შემთხვევაში, ამისთანა აპარატს, როცა ზღვაზე ღელვა 4-5 ბალს აღწევს, შეუძ- ლია ჰაერში აფრინდეს და უპრობლემოდ გაეცალს შტორმს. ეს გემი მფრინავი თევზი- ვითაა, მისი 4 ეგზემპლარის აშენება თავისუფ- ლად დააკმაყოფილებს საქართველოს და ჩვენი მეზობელი ქვეყნების მოთხოვნილებას.

ბატონო ოთარ, ჩვენ შეგვწევს უნარი საკუთარი ძალებით ავაშენოთ წყალქვეშა იახტები, წყალქვეშა ოტელები, რომელთა ღირებულება წარმოუდგენლად დიდია — 15-დიან 40-50 მილიონ დოლარამდე.

ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ შედარებით ნაკლებფასიანი ლაინერები 4-5 მილიონ დოლარად.

ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ მოტივტივე ელექტრო-სადგურები გემებისათვის.

უახლესი სტატისტიკური მონგაცემებით დღევანდელ მსოფლიოში ასეულ ათასზე მეტი გემი დაცურავს, ხოლო მათი გამონაბოლქვი მილიონობით კუბმეტრ ნახშიროჟანგს აღემატება. ჩვენეული მიდგომებით ეს სმოგი ხელად მოისპობა, თუკი ისინი დიზელის ნაცვლად გადავლენ ზღვის ღელვის ძალაზე მომუშავე მოტივტივე მიკრო-ჰესების ელენერგიაზე. ამ პროექტის განხორციელება არა მხოლოდ კოლოსალური მოგების მომტანია გონიერი ინვესტორისათვის, არამედ ზოგადკაცობრიული ეკოლოგიური საქმეც.

ჩვენ შეგვიძლია გადატრიალება მოვახდინოთ ენერგეტიკაშიც ჩვენს მიერ გამოგონებული ძრავის მასობრივი დანერგვით, რომელსაც 10-ჯერ, 20—ჯერ მეტი გაწევის უნარი შესწევს დღემდე არსებულთან შედარებით და რომლის პარამეტრებსაც აქ ვერ ვაქვეყნებთ ცნობილი მიზეზების წყალობით.

საქართველო ვალდებულია თავისი გემებით დაიპყროს შავი ზღვის აუზში კუთვნილი სივრცე. საქართველო ვალდებულია მავანთაგან ლობირებული უცხოური თევზმჭერი გემები უკლებლივ ალაგმოს საკუთარი აკვატორიიდან და თვითონ შეუდგეს ტვირთბრუნვას თუ თევზის რეწვას.

ბატონო იური, ამ სახელმწიფოებრივ საქმეში თქვენი აწონილი სიტყვა დიდი მნიშვნე- ლობისაა. სამეგრელოს რეგიონის მესვეურებთან თუ მამულიშვილ ინვესტორებთან თქვენს მიერ წარდგენილი ამ პროექტებით, გვჯერა, რომ ესოდენ მივიწყებული საშვილიშვილო საქმე ფრთებს უცილობლად შეისხამს.

მატრიცა

მატრიცა

მატრიცა

მატრიცა

მატრიცა

მატრიცა

მატრიცა

მატრიცა, მონოლითი, პალადიუმი...

პირველად მატრიცის შექმნის თაობაზე, ვინც სიტყვას დაძრავს საქართველოში, ბატონი თამაზ ბუთხუზია. აი, რანაირად წარსდგება მკითხველების წინაშე იგი წიგნით: ,,გაახელ თვალებს — იქნება გვიან''.

„ — თუ თქვენთვის ადამიანი საშუალებაა და არა — მიზანი;

— თუ თქვენ ქვეყნის მომავალი არ გაფიქრებთ;

— თუ თქვენ შვილების ღალატის გარდა აღარაფერი შეგიძლიათ;

— თუ თქვენ დანაშაულამდე მხოლოდ იმიტომ არ მისულხართ, რომ არც შემთხვევა გქონდათ და არც გამბედაობა გეყოთ;

— თუ თქვენ იჯერებთ მხოლოდ იმას, რაც თქვენთვის სასურველია;

— თუ თქვენ განსხვავებას ვერ პოულობთ ზრდილსა და ბრიყვს შორის;

— თუ თქვენ პატიოსნებაში ზნეობის გარდა რაციონალიზმს ვერ ხედავთ; მაშინ თქვენ ეს ნაშრომი არ დაგაინტერესებთ, შესაბამისად, არ გვაინტერესებს თქვენი შეხედულება, ჩვენს შორის დისკუსია საფუძველს მოკლებულია“.

ავტორი შორეული წლებიდან იწყებს კაცობრიობის ეთიკური სახის გარკვევას: ეგვიპტელი მაგებიდან — იეროფანტებიდან — რომელთაც მოეპოვებოდათ წმინდა წერილები, იგივე პალადიუმი, კირბები — კირბისი საკრალური კანონების ერთობლიობა. მათი სწავლებით წითელი ფერი სულის ამაღლებას გამოხატავს, ხოლო შავი — ტყვეობას, დაცემას, სულის განადგურებას. ამიტომაც შეიქმნება შინაგანად თავისუფალი ადამიანის ბუნების კანონებთან შეთავსებადი მოძღვრება. თავად ბუნებას კი ნახტომისებური განვითარება არ ახასიათებს, არ უყვარსო, — აყალიბებს თავის თეორიას მეცნიერი, — ცივილიზაციის ნახტომისებურ განვითარებას კაცობრიობა კატასტროფას უწოდებსო, — დაასკვნის.

ბუთხუზი მოიშველიებს თეთრ საყლოიანი პენდლტონის სიტყვებს:

„მადლობა შენდა დამბადებელო,
რომ ჩემგან შეჰქმენ ისეთი გუნდა,
როგორიც ახლა საჭირო არის,
ჩემს ქვეყნის წყლულებს როგორიც უნდა,
ეკლებზე ვწევარ, არაფერს ვიმჩნევ,
მადლობა უფალს, ეშმაკს შეშურდა!“

გონებამახვილ ადამიანს უჩნდება უმთავრესი კითხვა: ,,მე''-სა და ,,ჩვენ''-ის სურვილით შედეგს ვერ ვაღწევთ. მაშ, რა არის ის ,,მესამე'', რაც საზოგადოებას ქმნის? და აქ უმთავრეს ფასეულობად ბუთხუზი რწმენის ფაქტორს ასახელებს.იუმის მოშველიებული შეხედულებით, ყოველ- დღიური პრაქტიკული ცხოვრება რწმენას ეფუძნება. ,,ჭეშმარიტება თავისივე თავისა და შეცდომების საზომია''. და დგება ჩვენს სულში მომენტი, როცა უკუვაგდებთ ,,წმინდა ავტორიტეტის'' ბრმა მოთაყვანეობას და სასოწარკვეთით ამოვიგმინებთ: ,,ნუთუ საშველი არ არის''?

შემდგომ ამისა იწყება ძიება უმაღლესი მიზნის — თავის- უფლების მისაღწევად, რომლითაც შეეცდებით ყველა პრობლემის გადაჭრას, მაგრამ მოვიმკით დახვეწილ უაზ- რობას, ქაოსს, ბოროტებას, ვინაიდან რწმენაზე მაღლა თავიუფლებას დავაყენებთ. და ავტორი კატეგორიულად განაცხა დებს:,,გადარჩენის გზის ძიება კი არ არის მთავარი, არამედ იმ მასალისგან დამზადებული ადამიანების მოძებნა, ვინც ამ კითხვას არ ივიწყებს''.

ამ შემთხვევაში და უმეტესწილად ავტორთან სადავო არაფერია. დიახაც, მასალის კუთრი წონა განაპირობებს ნებისმიერ შედეგს. ატომგულის გასახლეჩად არ გამოდგება კუპრუმი. აქ უმთავრესად ურანს მოიხმარენ. მაგრამ გვეხსო- მება ადრინდელი მაგალითები ჩვენი ყოფითი სინამ დვილიდან, როცა თხმელის ტყეების მეპატრონენი საშვილიშვილო სასახლის აშენებას მოვიწადინებთ; ამ დროს მურყანი იჩრჩილება ხოლმე. და მაშინ სადაგ პერიოდში მოჭრილ თხმელას ორ-სამ წელიწადს წყალში დაძირავს მეურნე კაცი, ანუ წყლით გაჟიჟინებულს წყლითვე გაასალკდევებს. ანუ იმას ვადასტურებდით, რომ ნებისმიერი პრობლემის ამონახსნი თავად პრობლემაშია საძიებელი.

ადამიანურ სისუსტეებს ვერ ვუმკურნალებთ ჩვენ მისგან მოწყვეტილად, რადგანაც მეგრული ანდაზის შესაბამისად, უკვდავების წამალი ყურისძირას ხარობს, შემჩნევა იკითხე თორემ! იგივეს ამტკიცებს ნეტარი ავგუსტინი:

„ნუ მიდიხარ გარეთ, წადი შენს შიგნით და თუ შინაგანი „მე“ შენ შეგზღუდავს, მაშინ გადააბიჯე საკუთარ „მე“-ს“. ხოლო ლუკას შეგონებით „ვინც უდიდესი სიმართლისთვის დაიღუპავს თავს, ის იხსნის მას“ და ხელდასხმული მეცნიერი გულმოდგინედ შეამზა- დებს მრავალხარისხიანი კიბის პირველ საფეხურს: ,,კერძო და ფარდობითი ინტერესები აბსოლუტურ ჰარმონიაში უნდა იყოს... აბსოლუტური ფასეულობა მხოლოდ მის საპირისპიროსთან წინააღმდეგობაში მოიძებნება... ბედნიერების მიღწევის მთავარი პირობა ღმერთისა და ადამიანის ერთობაა''. მაგრამ ყველაფერი ამის მიღწევა შეუძლებელია უსიყვარულოდ. მოკვდავი ადამიანის ილუზორული გაღმერთება ამაღლებული სიყვარულიდან ამოიზრდება. სიყვარული სპობს ბარიერს ,,მე''-სა და ,,სხვა''-ს შორის. ამიტომაც მჟღავნდება იგი სრულფასოვნად უბიწო ბავშვში. მხოლოდ ჭეშმარიტ სიყვარულს ძალუძს ჩვეულებრივი ნახშირი ალმასად აქციოს და ალმასი — ბრილიანტად. სხვადქცევა უმთავრესი მოთხოვნაა ადამიანურ ფილოსოფიაში, სადაც მოყვასისადმი თავ- განწირულობა გაცილებით მაღალ კატეგო- რიამდე აიტყორცნება — მტრის სიყვარულამდეც კი, რამეთუ თავისი შეზღუდუ ლობით, უმეცრებითაა იგი ჩვენი მოშურნე, თორემ სინამდვილეში ისეთივე სრულყოფილია, როგორც ჩვენი ეთერული მეორე მე, ალტერ ეგო. ,,სირცხვილის, უსუსურობის, დანაშაულისა და განგაშის საფუძველი სწორედ სიყვარულის არარსებობაა, ანუ ბარიერის არსებობა ,,მე''-სა და ,,სხვას'' შორის''. და აქედან გამომდინარე, ვინც ერთ სიცოცხლეს გადაარჩენს, გადაარჩენს მთელ სამყაროს; ვინც დაღუპავს ერთ სიცოცხლეს, დაღუპავს მთელ სამყაროს. ანუ მდიდარი ის კი არ არის, ვისაც ბევრი აქვს, არამედ ის, ვისაც სიხარულით ბევრის გაღება შეუძლია. წიგნის ავტორი თანამიმდევრულად მიაშენებს კიბის საფეხურებს უმთავრესი მიზანდასახულობისკენ — მატრიცის შექმნისკენ. მოხმობილია ორი მორჩილის დიალოგი, რომელთაგან ერთ-ერთი ქალს გადაიფანს მდინარეზე:

— ეს რა ჩაიდინე? — შეაჩვენებს პირველი, — როგორ გაბედე იმ ქალის გაკარება? ხელშიც კი აიფანე?! და აქ ანკარაა სიკეთის მქმნელი:

— ის ქალი, რომელიც მე ნაპირზე ერთი საათის წინათ დავტოვე, შენ ჯერ კიდევ ხელში გყავს აფანილიო.

თამაზ ბუთხუზი მიზანმიმართულად ისწრაფვის კონკრეტულიდან ზოგადისკენ: **საშობლოს შიდა და გარე მტრებს მხოლოდ საშობლოს ინტიმური სიყვარული ანადგურებს. ჩვენი საშობლოს მტერს ჩვენი სისუსტე აძლიერებს. ჩვენი სისუსტის მიზეზი კი, საშობლოს სიყვარულის არაინტიმურობაა.**

„არ დაიჯეროთ, რომ მას საშობლო უყვარს, თუ მოყვასის სიყვარული არ შეეუძლია;

არ დაიჯეროთ, რომ ძლიერი პიროვნებაა, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია;

არ დაიჯეროთ, რომ ქრისტიანია, თუნდაც ეკლესიები აშენოს, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია;

არ დაიჯეროთ, რომ ჰუმანისტია, თუნდაც უპატ- რონო ბავშვთა სახლს ორი ყუთი ვერმიშელი გადასცეს, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია;

არ დაიჯეროთ, მისი დანაპირები, რომ ხალხს სიკე- თეს მოუტანს, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია;

...პრეზიდენტად, პარლამენტარად, გუბერნატორად კი არა, ფილატელისტთა კლუბის თავმჯდომარედაც კი არ აირჩიოთ, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია“.

ჩვენ კი გაცილებით შორს წავსულვართ, როცა მოყვასის სიყვარულს მებაჟეებისთვისაც ხელმისაწვდომ თვისებად ვასახელებთ და მტრის სიყვარულს ავიტაცებთ უმაღლეს კატეგორიად, მაგრამ მივედევნოთ ავტორის წიაღსვლებს.

შთამბეჭდავია ჰოლანდიელების აღმოჩენილი ჰოტენტოტების ფილოსოფია, რომელთათვის ბოროტება მეზო- ბელი ზულუსები წართმეული ძროხაა, ხოლო სიკეთე — ნაალაფარი ნახირი. მეცნიერი თანდათან უახლოვდება ამორჩეულ თემას:

„ერთი შეხედვით თანამოაზრეთა შეკრება სერიოზულ პრობლემას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ რატომღაც, სწორედ ეს სწრაფად და მარტივად გამოს- დით. არა. ისინი ერთმანეთს სოციალური პრინციპით არ ირჩევენ. მათ რიგებში ინტელექტუალურ ოჯახში გაზრდილი პირი საკმაოდ ბევრია, ასევე ოჯახურ ტრადიციებს აბსოლუტურად მოკლებული პირიც მრავ- ლადაა, არც ასაკობრივი პრინციპია გამოყენებული, არც ნაციონალური. სქესსა და სექსუალურ ორიენტაციასაც არა აქვს მნიშვნელობა. არ იფიქროთ, რომ მათი ერთო- ბის საფუძველი, როგორც მასონური ორგანიზაციისა, რაღაც იდუმალებითაა მოცული, უბრალოდ, ეს საფუძ- ველი იმდენად ინსტინქტურია, რომ ღიმილს იწვევს. „ელიტას“ აერთებს ე.წ. კომპლიმენტური პრინციპი“.

თავად ცნება ,,კომპლიმენტარული'' მომდინარეობს ფრანგული კომპლიმენტიდან, რაც საბოლოო ჯამში მაამებლობაა. ჩვენ ახლა არ შევუდგებით სერვილიზმის შუქ-ჩრდილების განხილვას, ან რამდენად ფასეულია თავად ჰედონიზმის პრინციპები, მაგრამ იმას კი უცილობლად შევნიშნავთ, რომ ავტორს სწორად მიჰყავს მსჯელობა: დიახაც, კომპლიმენტურია ძაღლის პატრონისადმი ერთგულება და ისიც — ზოგ სტუმარს ლაქუცით ეგებება ჩვენი ჯულბასია და ზოგსაც გააფთრებით. კომპლიმენტურ ურთიერთობებს უწოდებს შავი სამყაროს მამოძრავებელ მუხტს ბატონი თამაზი. იმპერიებს მაორგანიზებელ ძალად სიმპათია-ანტიპათიის პრინციპს ასახელებს მატრიცის მაძიებელი კაცი:

„ძველი ეგვიპტელები ინფორმაციის გადასაცემად იყენებდნენ არა მარტო კრიპტოგრამებს, იეროგლიფებს, არამედ — ფერსაც. ლიბიელებს მოყავისფრო-მოწით- ალო ფერით ხატავდნენ, სემიტებს — თეთრად, შავკანი- ანებს, გასაგებია, შავად,საკუთარ თავს კი — მზის ფრად, ყვითლად და ნათელი იყო, ვინ ვინ არის. უკვე გასაგებია, ვის უნდა სცე პატივი და ვინ დაჩაგრო.

ასევე მარტივად წყვეტდნენ ამ პრობლემას ძველი ბერძნები. მათ ნაკლებად აინტერესებდათ, ვინ ვინ არის, მათთვის მხოლოდ ორი ფერი არსებობდა — ჩვენ და ისინი, ე.ი. ელინელები და ველურები (ბარბაროსები, გ.ო.**). მათგან შორს არ წასულან რომაელებიც. მათ მსოფლიო, უფრო სწორად, რაც მათ მსოფლიო ეგონათ, ორ ნაწი- ლად დაყვეს — რომაელები და პროვინციელები, დაპყ- რობილი და ჯერ დაუპყრობელი ბარბაროსები".**

ამგვარი დიფერენციაცია, საუბედუროდ, შემდგომ პერიოდშიც არ განელდება: ველიკორუსული მორალი განასხვავებს არისტოკრატიულ რუსსა და ,,ჩორტ ნერუსკის''. საამისოდ ერმაკებს, დერჟავინებს, ვორონ- ცოვებს ორბელიანების თანამოსაგრეობით ცხოველური ჟინით აბევრებინებს იმპერია აღმოსავლეთიდან დასავლე- თით და ჩრდილოეთიდან სამხრეთით. ხოლო ჰიტლერული გერმანია არ დასჯერდება მუშტის პოლიტიკას, ბუჰენვალდისა და დაჰაუს გაზის კამერებს შემოიშველიებს არიული წარმომავლობის უპირატესობის გასაბატონებლად. გაირბენს წამი და ახლა აპოლონ ადონიას სამყაროისეული პოემის ,,უხმო მონოლოგები ალბერტ აინშტაინის უკან- ასკნელ სურათთან'' გმირების — დულკენმანების დოქტაიგნორაციული ანუ ვაშინერს, არ სახსენებელ არს, ტაბუირებულიას პრინციპით, გადაიხაზება ტრუმენის უყოყმანო ხელით ნაგასაკი-ჰიროსიმა და დმანისელი ,,ჰომო გეორგიკუსი'' ათასწილ ბედნიერი გამოდგება იქაურ მოსახლე- ობასთან შედარებით, რადგანაც მათი აღნაგობა უკლებლივ შეეზილება წყალ-ქვიშა-ჰაერ-ცეცხლს.

იგივეს კინტურმანტურობს ბუში ავღანეთსა თუ ერაყში და არავინაა მსოფლიოში გამოკვეთილი ფიგურა სოროსის მეტი, ფილოსოფიური არგუმენტებით წინ აღუდგეს ამერიკის ადმინისტრაციის სამყაროისეულ დანაშაულს უფლის ექვს დღიანი მუშაკობის წამში მოსასპობად.

ავტორის მტკიცებით ვიკინგების ეტიმოლოგია **„ტყეში გაშაგრებული სახლიდან"** მომდინარეობს — **ვიკ-**იდან. საქმე ის გახლავთ, რომ სკანდინავიის ქვეყნებში ზედმეტ შვილებს სახლიდან ყრიდნენ. ისინი გაცილებით მოგებ- ულები არიან პაპებთან შედარებით, რომელთათვის კარგა ხანია კლდიდან გადასაჩეხი გოდრები მოწნულა. არადა, ორი მილიონი წლის წინანდელი ,,დმანისელები'' ღრმა მოხუცებუ- ლებსაც კი საერთო კერიასთან აბედნიერებ- დნენ ბიბლიური შეგონებით: პატივი ეცი დედასა შენსა და მამასა შენსა... ჰოდა, ამისთანა მოკვეთილი ადამიანების კრებული წარმოშობს უკეთური ზნეობრიობის ფენას, რომელიც ჩამოქანდაკებულია ფრაზაში: ჰომო ჰომინი ლუპუს ესტ.

კაცობრიობა ვითარდება. იცვლება დროსა და სივრცეში გადაადგილების საშუალებები, ფორმები, მაგრამ შინაარსი იგივე რჩება — გეიტსის მილიარდები, რომელიც ათასჯერ აღემატება რუსული დანგრეული იმპერიის ყველა წარმომადგენელი ავაზაკის მიტაცებულ ქონებას, არაფრით განსხვავდება მაკედონელის ხმლით მოპოვებულ ძოწისფერ მარგალიტებზე, ნაპოლეონის ზარბაზნით მოხელთებულ სისხლისფერ ბრილიანტებსა თუ ჰიტლერის ბომბად მშენებით მობოჭილ მეწამულ განძეულობაზე, რადგანაც ადრე უშველებელი აღნაგობის სიმდიდრე უკიდურესობამდე იკუმ- შება, რაღაც 3-4 მეგაბაიტის ფაილში თავსდება აღური- ცხველი სივრცეებითა და შესაძლებლობებით.

მეცნიერის მრწამსით ,,ცნება — შემთხვევითობა'' უვიცობის პირმშოა და მათი რაოდენობრიობა განსა- ზღვრავს ჩვენი აზროვნების პრობლემის ხარისხს. ადამიანს ჩასახვისთანავე ღვთაებრივი თვისებები მოემადლება, რომლის წარმოსაჩენად მიებოძება კიდეც ხილული სამყარო. მხოლოდ სრულყოფილი პიროვნება აცნობიერებს თავის ღვთაებრივ წარმომავლობას. ყოფიერება და მოძრაობა იდენტურია და ახორციელებს ერთ მიზანდასახულობას, რომელსაც ჭეშმარიტი სიმართლის შეუვალი კანონები აწესრიგებს. აქ ორი პოლუსი ამოტივტივდება — **სურვილი და ნებისყოფა.**

ჰერმეს ტრისმეგისტრის პრინციპებს თუ ვერწმუნებით, სამყარო ღმერთის მენტალიტეტის შედეგია, ყველა- ფერი ურთიერთკავშირშია და თუ იცვლება რაღაც უმნიშვნელო, კოლოსალურად გადასხვაფერდება

გრანდიოზულიც, რადგანაც თითოეული ატომი თუ პლანეტა მუდმივად და უწყვეტლად მოძრაობს. შესაბამისად თუნდაც მცირედი გადახრა არსებული წესრიგიდან წარმოქმნის განსხვავებულ შედეგებს.

ავტორი იშველიებს ორი ებრაელი რაბინის, შამაისა და ჰამალილის შრომებს, რომლითაც დასრულდება თალმუდის რეფორმა. იმ პერიოდის ებრაელობა ოთხ სოციალურ ფენად იყოფა:

ერთნი გახლავან **ფარისეველნი**, რომლებიც მკაცრად იცავენ ძველ კანონებსა და ადათებს. გამოირჩევიან გრძე- ლი თმითა და დავარცხნილი წვერით. თავზე ოქროს რგოლი შემოუვლიათ შარავანდად. მწიგნობრობენ, ვერავინ ედრებათ თორისა და ბიბლიის ცოდნაში. სძულთ სხვა ებრაული ფენები, განსაკუთრებით — სადუკეველები და სიკარიელები.

მეორე ფენას **სადუკეველები** წარმოადგენენ, რომ- ლებიც ყველაფერში ძველ ელინელებს ბაძავენ: ქიტო- ნებით იმოსებიან; შვილებს აბრაამისა და იაკობის ნაცვლად არისტომაქეს და დიომიდეს არქმევენ. სადუკეველები შეძლებული ფენაა, პატრონობენ მიწებს, დიდძალ ფულს, ესწრაფვიან განათლებას და ძალაუფლებას.

მესამე ფენა — **საკირიელები,** იგივე ხანჯლოსნები, შედა- რებით მცირერიცხოვანია, მაგრამ დღევანდელი შავი სამ- ყაროს მსგავსად მთელს საზოგადოებას აკონტროლებენ.

თამაზ ბუთხუზი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქ- ცევს მეოთხე ფენას, რომელიც ტყაპუჭიანი მწყემსებისა და ონელი გლეხის ერთობლიობაა. ისინი გარეუბნის გამოქვა- ბულებში იკრიბებიან და იქ ისმენენ ქადაგებებს ნათელისა და ბნელის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილზე, სადაც გამარჯვებას ხალხის მხსნელი მოუტანს კაცობრიობას. და დიახაც, ამ ფენას დაეყრდნობა იესო ქრისტე თავის სამწლიანი მოღვაწეობის ჟამს. მისი მოძღვრების წარმატებულობის მთავარი საიდუმლო იმქვეყნიური სამარადისო ბედნიერებაა. იდეის გულისთვის ათასები უშიშრად გადიან კოცონზე. უკვდავების რწმენის შესაფერის ნიადაგზე დანერგვა გასაოცარ სიცოცხლისუნარიან ხეს აღმოაცენს, რომელსაც ოცი საუკუნეა კაფავენ და მაინც ვერ წაუქცევიათ.

ერთხელ იმპერატორი ტრაიანე ამნაირ კანონს გამოაქვეყნებს: **სიკვდილით დაისჯება თითოეული, ვინც პირ- ადად გამოცხადდება პროკურატორთან და ქრის- ტიანებთან კავშირს აღიარებს**. მოხდება გასაოცარი რამ, რიგების ზედახორა მიაწყდება პროკურატორის ალაყაფის კარებს. ჯალალ ედ დინის დროინდელი თბილისი გავიხსენოთ — 60 ათას ქრისტიანს მოაჭრიან ერთ დღეში თავს, სრუ ლიად უბრალო მიზეზის გამო — წმინდანთა ხატებით გალარულ ბილიკზე არ გაივლიან, ფეხს არ დააბიჯებენ მარა დიული სასუფევლის ნაწილებს.

მუჰამედის ფენომენზე გვისაუბრია სხვა ასპექტით, აქ კი დავსძენთ იმას, რომ იგი ქრისტიანულ მოძღვრებას ახლებურ სულს შთაჰბერავს და უფლის შთაგონებული უქადაგებს ათასებს: **„არ არსებობს ღმერთი ღმერთის გარდა“.** თავიდან გაუჭირდება კურაშაიტების ძეს ფართო მასების აყოლიება, მაგრამ მედინაში — წინასწარმეტყველის ქალაქში — ჩასვლის შემდეგ, ფანატიზ- მამდე შეაგონებს ხალხს, **„რომ ადამიანი არ შეიძლება იყოს მონა“** და სრულიად არაბეთი დაემხობა მის წინაშე. ანუ მუჰ ამედი ქრისტეს მსგავსად სუსტ წერტილს აღმოუჩენს მუსულმანურ სამყაროს — თავისუფლების უსაზღვრო მოთხოვნას.

ვინმე განდეგილი ასიტა იწინასწარმეტყველებს **„სრულყოფილის, დიდის, ანუ იგივე ბუდას“** დაბადებას. სწორედ ასიტა აღმოაჩენს ერთ-ერთი ბავშვის ტანზე 32 დიდ და 80 მეორეხარისხოვან ნიშანს, რაც ხალხური თქმულებით მხოლოდ გენიოსი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. ბუდა მიყოლებით აითვისებს სხვადასხვა რელიგიური სკოლის ანაბანას — იოგების, ბრამინების თუ სხვათა მოძღვრებებს. განსწავლის პირველი ეტაპი ერთ შეურყეველ დებულებამდე მიიყვანს „გაბრწყინებულს“: **სიკვდილის მთავარი მიზეზი დაუოკებელი სურვილებისადმი ლტოლვაა...** ამიტომაც ვინც შეგნებულად უკუაგდებს მას, დაეუფლება კიდეც უკვდავებას. სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე ჯერ კიდევ კაცობრიობის პირველი ლიტერატურული გმირი, გილგამეში ჩაფიქრდება. ბუდიზმის ანარეკლს ვპოულობთ ჩვენ ბალზაკის „შაგრენის ტყავში“, როცა ჯადოსნურ ძალასთან შეიკვრე ბა ვალენტინი და გრძნობებზე უარის თქმით ცდილობს სიცოცხლის გახანგრძლივებას.

შიმშილისაგან დასუსტებული ბუდა ერთხელ პატარა მდინარეში შეცურავს და როცა იქიდან გამოსვლა გაუჭირდება, ბრძანებს: **ყოფიერების მდინარე გაცილებით დიდია და იქიდან გამოღწევა ასწილ ძნელი.** ამიტომაც **6** წელიწადს განმარტოვდება იგი და სრულყოფილად დაეუფლება ნირვანაში გადასვლას. ჩვენეული გაგებით ნირვანა დაკონსერვებული მდგომარეობაა, სადაც ბიო- ლოგიური თუ ცნობიერი პროცესი მუდმივ დამუხრუჭებულ მდგომარეობაშია. ავტორი ეტაპობრივად მოიშველიებს კაცობრიობის დაუნჯებულ ნააზრევს, რომელიც გამოხატულია არისტოტელეს ლოგიკის სამ კანონში — **იგივეობის, წინააღმდეგობისა** და **გამორიცხვის** კანონში. ბუთხუზი განსაკუთრებით სტაგირელის მესამე კანონს მიაჩერდება, რომლის მიხედვით შეუძლებელია **A** ერთდროულად იყოს და არც იყოს **A.** დიახაც, ქართული

ლექსის მაგალითია: **ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო, დიდ ქვაბში არ ეტეოდა, ბატარაში არ კმარიყო.** და ბუდაც განერიდება წუთისოფელს, ნირვანაში გადავა, სადაც აბსოლუტური სიწყნარეა და სურვილების მოხმარებაც არაფრადაა საჭირო.

აინშტაინსა და თაგორს შორის 1914 წელს გამართულ საუბარზე გვიმსჯელია. სადაც ახალგაზრდა მეცნიერს ნობელიანტ მხცოვან ბელეტრის- ტთან არგუმენტები არ ყოფნის ობიექტური ჭეშმარიტების დასამტკი- ცებლად. არადა, ჭეშმარიტება იმდენია, რამდენიც განსხვავებული დონის აღმქმელი. სამ ცნობისმოყვარე პიროვნებას განსხვა- ვებულ სამ პასუხს მიაწვდის ბუდა უფლის არსებობის თაობაზე: მორწმუნე პირველს უარყოფითს, რადგანაც თურმე მისი სახელით აპირებს მომავალში მარიაჟობას; მეორეს დადებითს, ვინაიდან ათესტია; მხოლოდ მესამე ნაღდს მოისვამს გვერდით ბუდა და მრავლისმთქმელი დუმილით გაისტუმრებს გახარებულს.

ბატონი თამაზი ერთი მიზნითაა შეპყრობილი: კოლოსალური ცოდნის დემონსტრირებით ჰიპნოზურად შთაგვინერგოს მონოლითის როლი და მისი შექმნის ტექნოლოგია — **თავის სიმართლეში დარწმუნებულ ადამიანთა ჯგუფი უეჭველად შეძლებს იდეის გამარჯვებამდე მიყვანას.** ეს მომენტი წითელი ზოლივით გასდევს საანალიზოდ შერჩეულ ნებისმიერ მასალას, ქრისტიანული მრევლის დაბადებაა იგი, მუსულ- მანური, ბუდისტური თუ სხვა.

ყველა ცივილიზაცია უტრიალებს პირველსაწყისს. ჯერ კიდევ სტუდენტობიდან აგვითვისებია ბერძნული ,,გულუბრყვილო მატერია- ლიზმი,'' რომლის ჭერი უცილობლად ჰერაკლიტეა: **საშყარო მარადიული ცეცხლია, გეგმაზომიერად რომ ინთება და ქრება.** პითაგორა აბსტრაქციას ჩაებღაუჭება — რიცხვებს, რადგანაც მხოლოდ ისინია აბსოლუტურად დაწმენდილი ჩვენი ზეგავლენებისაგან. ლაო ძის (ბიბლიოთეკარი) ,,დაოს'' ნიუანსებზე გვიმსჯელია. ხოლო სოკრატეს კრედო: **„ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“**, მოუნელებელ მიკრობს შემოიტანს ევროპულ აზროვნებაში. ასეთივეა ნიცშეს ზარატუსტრა, რომელიც ბუდას 4 წლით გადასწრებს მარტოობაში, რათა სინანულით დასკვნას: **ღმერთი მოკვდა, უფალი გარდაიცვალა!** ამ მოსაზრებიდან გოჯისხელა რჩება თეზისამდე: **სიკეთე მოწესრიგებული ბოროტებაა, ბოროტება — უსისტემო სიკეთე.**

განსაკუთრებული მუხტის ჩვენთვის სოციუმის ბუთხუზისეული კლასიფიკაციაა: ტრანსცენდენტული, ენტელექიური, პასიონარული და ინდინფერენტული. ,,**ტრანსცენდენტული — კანტის ფილოსოფიიდან გამომდინარე — თანდაყოლილად გონიერი, შემეც- ნებისათვის მიუღწეველი თვისებების მქონე ადამიანი (ჩარჩოში ჩაუტეველი).**

ურთულესია ამგვარ ადამიანთა დახასიათება-განხილვა. მართლაც, იბადება, თითქოს ჩვეულებრივი ბავშვი და უკვე მოცარტია. ვინ აგვიხსნის როგორ გაჩნდა ვაჟა ფშავში?! ვინ ჩაატია მოკვდავში — გალა- კტიონი, დავითი, ტატო, ვან გოგი, აინშტაინი, ბახი, ბეთჰოვენი, მიქელანჯელო?! მიქელანჯელოს მოსეს ქანდაკებით აღფრთოვანე- ბული მოკვდავი ქანდაკებას ეკითხება:

— ვინ შეგქმნა ასეთი სრულყოფილი, ღმერთმა?

— არა, მიქელანჯელომ.

— სული ვინ შთაგბერა, ღმერთმა?

— არა, მიქელანჯელომ.

— ღმერთო, შენ რაღა შექმენი?

— მიქელანჯელო!

ღვთისგან მომადლებული გენია; სხვაგვარი ახსნა ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება, — ამგვარია მეცნი- ერის განმარტება ტრანსცენდენტულ პიროვნებაზე, იგივე შტაინერის ასტრალურ ინდივიდზე, მაგრამ მივყვეთ მსჯელობას.— **ენტელექიური — არისტოტელეს ფილოსოფიიდან — მიზანდასახული, მიზანმიმართული ძალის, აქტიური საწყისის, შესაძლებლობათა რეალურად განმახორციელებელი ადამიანი.**

პასიონარი—შარლ ფურიეს ფილოსოფიიდან — საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა. ენინის, ვნების, მგზნებარების, დაუდგრომლობის მქონე ადამიანი. პასიონარის ძირითადი ნიშან-მახასიათებელი, ანუ დომინანტა, არის პიროვნების (ცნობი ერი ან გაუცნობიერებელი) ქმედებისკენ დაუოკებელი შინაგანი სწრაფვა. ის ადამიანის ფსიქიკური კონსტი- ტუციის ნიშან-თვისებაა. მას ეთიკასთან არაფერი აკავ- შირებს. ის ბადებს როგორც გმირობას, ისე დანა- შაულს, შემოქმედებასა და ნგრევას, სიკეთესა და ბოროტებას.

ინდიფერენტული — გულგრილი.''

ბატონი თამაზი გამოწვლილვით მიმოიხილავს ამ სოცი- უმის ოთხივე კატეგორიას და გულგრილი ტიპების მიწას- თან გასწორების ემდეგ, ფორმულასავით დაასკვნის: **„ადამიანის ადამიანურობის**

„ხარისხი“ საკუთარი ნების შეზღუდვასა და ღვაწლის გაღებაში გამოიხა- ტება, ანუ იმ ჭეშმარიტების სამსახურში, რასაც კაცობრიობამ მარადისობის კანონი უწოდა“. მაგრამ, ვინაიდან ბატონ თამაზ ბუთხუზის გონიერი წიგნის ანალიზს აქ ვერაფრით ამოვწურავთ, უმჯობესია ერთხელაც მოვუბრუნდეთ ,,ჰომო საპიენსის'' საზრისს.

თანამედროვე მეცნიერებაზე დაყრდნობით სამყაროს ასაკს 13 მილიარდი წლით თუ განვსაზღვრავთ, ადამიანის ხნოვანება ფრიად ნაკლები გამოგვივა, დაახლოებით 400-300 მილიონი წელი. აქ სურათი ასეთნაირია სავარაუდე- ბელი: 12 მილიარდი წელიწადი მიმდინარეობს ქვების შეგრო- ვება ადამიანის შექმნის გზაზე და 1 მილიარდი წელიწადი — ქვების სროლა მის მოსავლინებლად. ასე რომ დმანისში აღმოჩენილი 2 მილიონი წლის ჩვენი პეპერა, გაცილებით ახალგაზრდა ნამარხია აწ აღმოსაჩენთან შედარებით. მაგრამ ერთი დებულების ხმამაღლა გაცხადების უფლება მართლაც მოგვნიჭებია მრავალი აპექტით:

ბიბლიური მონაცემებით უფალი ადამიანს მეექვსე დღის მეორე ნახევარში შექმნის, ანუ სადღაც 12 მილიარდი წლის სასრულს. ცხოველური სამყაროს ეგზემპლარები ამიტომაც გამოირჩევიან იშვიათი სიცოცხლის უნარიანობით. ისინი გაჩენისთანავე ფეხს აუბამენ ხოლმე ჯოგის ცხოვრებას. ეს მომენტი პრიმიტივებში ასგზის დახვეწილია თვითგადარჩენის საწინდრად. ჩვილი შობისთანავე დაიჭყლოპინებს ხოლმე. გამოსცემს პირველყოფილ ბგერებს, მაგრამ არც დალაპარა- კება შეუძლია და აღარც — გამართული სიარუ ლი, რამეთუ ერთიც და მეორეც გვიანდელი შენაძენია. ანუ ,,ჰომო ერკტუსი'' და ,,ჰომო საპიენსი'' ლამის განუყრელი ცნებაა ადამიანის ჩამოყალიბების გზაზე. ამ პროცესში დაწინაურებული ინსტრუმენტი ზედა კიდურებია. ამიტომაც ვასახელებთ ჩვენ ხელებს ადამიანის თანდაყოლილ გრძნობათა მომწესრიგებელ იარაღებად.

კანტის სწავლებით **ხელები გარეთ გამოსული ტვინია**. თუკი შევატრიალებთ ამ დებულებას, **ტვინი თავის ქალაში შემალული ხელებია**, რადგანაც მხოლოდ მისით წესრიგდება მაღალკალორიული საკვების მოპოვება. მზამზარეული ბალახის ძოვას, მოჩქრიალე ნაკადულით დამწყურვალებას ოთხფეხებიც ჩინებულად ახერხებენ, მაგრამ ზედა კიდურებს ჯერაც არ მინიჭებია შემოქმედებითი უნარი. ჯერაც არ მოღუნულა მშვილდად ჯოხი, არ შეუძენია ბორბლის ფორმა. მართალია, ამ დროს ჰომოიდების გვერდით არსებობენ ოთხხელიანი პითეკებიც, თუმცა მათი განვითარების პერსპექტივა ვერაფრით გაცდება ბუნებისაგან შეთავაზებული საკვების პრიმიტიულად მოხმარების დონეს. ადამიანი კი, დიახაც, წინა კიდურების შემწეობით შეუდგება სამყაროს გარდაქმნას საკუთარი საცხოვრისის გარშემო და უწყვეტად წარიმართება ეს პროცესი წრიულ-ტალღური სიხშირით. ანუ სამყაროს 12 მილიარდი წლის სპირალურ ხვანცალს ძუძუმწოვარა ცხოველის გამორჩეული სახეობა ,,ჰომო საპიენსი'' ღვთაებრივ საზრისს მიანიჭებს და მატრიცის გარშემო წრებრუნვის სემანტიკას დაექვემდებარება მისი არსებობა, მისი ყოფიერება, სუფევის მოსაპვებლად.

ჩვენ გვისაუბრია ზედა კიდურების როლის შესახებ ადამიანის ფორმირებაში, სადაც სიმეტრია გამოხატულია შუა თითით. ამიტომაც ადამიანის ხელებთან მიერთებული გრძნობათა ორგანოები სამკუთხედის აღნაგობისაა, სამკუთხ- ედივით მდგრადი და შეკრული. ხოლო ქვედა კიდურებთან მინასკვული — შედარებით მოუხერხებელი, ჩამორჩენილი ჰარ- მონიულ განვითარებას.

პიროვნების ბიოლოგიურ აღნაგობაში შექმნილია გადაულახავი დისკომფორტი. აქ სიმეტრია ემთხვევა ფეხის ცერის მომდევნო თითს. ეს წინააღმდეგობა არ არის ერთი და ორი ათასწლეულის შედეგი, არამედ გაცილებით ხანგრძლივი პერიოდის ნაყოფია. ჰოდა, მისი აღმოფხვრა დროის მომცრო მონაკვეთში, ნებისმიერი განვითარების საზოგადოების ძალისხმევას აღემატება. ცხადია, ჩვენი ხელდასხმული წინაპრები ჩინებულად ერკვევიან ადამიანის ამ ასიმეტ- რიულობაში: კაცს ერთდროულად შეუძლია ეზიაროს უმაღლეს ფასეულობებს და ამავდროულად — უზომოდ დატანჯოს დაბლა მდგომი ანთროპოლოგიურად თუ სოციალურად, მეტიც — წაართვას სოცოცხლის უზენაესი უფლება.

ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბატონ არნოლდ გეგეჭკორთან გასაუბრება. ბინაში ვესტუმრები. კორპუსი შემეშლება თურმე და ლამის ნახევარ ფანასკერ- ტელს შემოვივლი. ჩემი სიჯიუტე ცნობილია და საწადელს მაინც ვეწევი. ბატონ არნოლდს უკანასკნელად ცხრა წლის წინათ გავეცნობი ზუგდიდში გიაესართიას, აწ გიორგი ფარულავას ოჯახში. ტრილოგია ,,სიცოცხლემისჯილების'' პირველ წიგნს ვუსახსოვრებ. ბევრს ვილაპარაკებთ სამყაროს აგებულებაზე. უშუალობით მომხიბლავს. იმავე კვირაში ხელმეორედ შევხვედები გონებადაუნჯებულ მეცნიერს, ოღონდ უკვე — ზდუ-ს პრორექტორის, ბატონ ჯემალ პაჭკორიას კაბინეტში. აღმოჩნდება, რომ ჩემი რომანი სულ მოუთქმელად წაუკითხავს და გარკვეული მოსაზრებები გასჩენია ბუნებისმეტყველი გმირის მიმართ.

— ჟინი ანთარის პროტოტიპი აგლაძეაო, — მეტყვის, — ოცდაჩვიდმეტიან წლებში ვავილოვის მსგავსად საიქიოს გაისტუმრებენო, — დამიკონკრეტებს.

ბატონი არნოლდი კოლეგებს ზღვისპირა ჭურიაში წაუყვანიათ თურმე და იქაურობას ერთი-ორად მოუნუსხავს. მას აქეთ ცხრა წელიწადი წაგრიგალდება ტროასე- ულის მსგავსად. ხუთივე კონტინენტს

შემოივლის მეცნიერი. ისეთ ადგილებს ესტუმრება, სადაც ქართველს ჯერეთ ფეხი არ დაუბიჯებია. ჯუმბერ ლეჟავას ქვეყნიერება გადაუსერავს თავისი ორთვალათი და გინესის წიგნსაც არავინ უწყის, თუ რამდენგზის სწვევია სარეკორდო მაჩვენებლებით, მაგრამ ლეჟავა ლეჟავაა — პრიმიტიულ პოპულარობას მოწყურებული კაცის სიკერპე — და არნოლდ გეგეჭკორი — პიროვნება, რომელიც საკუთარ თავზე გამოცდის კაცობრიობის დიდი მიგრაციებს. ათობით უცხოური უნივერსიტეტის ქართველ პროფესორს გაფაციცებულად მიუგდებენ ყურს მსოფლიო მეცნიერების მეტრები.

ბატონი არნოლდის ჰობი ფოტოგრაფიაა. მართალია, მის ობიექტივს აკლია გურამ თიკანაძის პოეტური ხედვა, მაგრამ იმდენად მრავალფეროვანი მასალა დაგროვებია ნატურა- ლისტს, ათობით სქელტანიანი ალბომი ვერაფრით დაიტევს. დიახაც, ეგზოტიკურია არნოლდ გეგეჭკორის ცხოვრება: ღამის თევები კარვებში, როცა თოკს გარედან ლომი ან გარეული ხარი ეხახუნება; ასპიტებით სავსე ავსტრალიაში ჩხირკედელაობა; 150 მილიონი წლის ოკეანის ფსკერი — საოცრება „ულურუ"; კონტაქტები მასაელებთან თუ ბუშმენებთან; დაპორტრეტება ნიანგების გარემოცვაში; ბაობაბები... ხეგვიმრები...

ცხრაწლიანი ინტერვალის შემდეგ ჩვენი შეყრის მიზეზიც ეს გახლავთ. გვიმრასთან ვაიგივებ მე პროტოიბერიულ რასას, ოდესღაც გიგანტურს, აწ დამცრობილს, გაგვიმ- რუჭებულს, ცელითაც რომ ითიბება.

ბატონ არნოლდთან საერთო ბევრი მაქვს აზროვნების მოდელით. ჩვენ არ ვეძებთ გინესურ პოპულარობას, არამედ ჯიუტად მივყვებით დინოზავრების ნატერფალით გადათქერილ ცივილიზაციებს და ნამცეცისაგან ვცდილობთ გრანდიოზულის რესტავრაციას. მე გამაოცებს მექსიკელების ძალისხმევა ინკებისა და აცკეტების კულტუ რათა აღზევების საქმეში. რასაც კორტესი ცეცხლსა და ნიავქარს გაატანს, ბიზნესის ხასიათი ახალ სიცოცხლეს მიანიჭებს ფულის მოსაბევრებლად. მაიას კალენდარს ახსენებს და „ცოლკინი"-მეთქი, რომ დავუკონკრეტებ, გაოცებით შემომხედავს. მიხვდება მთლად ყეყჩითან არ უწევს საუბარი. ფოტოსაც მანახებს. დავხედავ ფრიზებს და უმალ დავაფიქსირებ 13 ფიგურას. 13 ხომ ცოლკინის საკრალურობაა 7-თან ერთად. მე ჯერჯერო- ბით თავს ვიზღვევ ჩემეული დაკვირვებების წარმოჩენისგან: ვაითუ დილეტანტურ კუდაბზიკობაში ჩამომარ- თვას-მეთქი. ისე კი ვახსენებ მწერლისეულ ზერელობებს, მაგრამ თვითვე შემისწორებს დაყვავებით: — რატომ, რის გამო, პროფესიონალიზმი გულმოდ გინებისაგან მოდისო, — დამანუგეშებს. უმთავრესი და ნიშანდობლივი ბატონ არნოლდის ბიოგრაფიაში გარდასულ ცივილიზაციათა მიგრაციებია დიდ გამყინვარებამდე თუ მას აქეთ; დარვინის გემ „ბიგლის" თუ ტიურ ჰეიერდალის „კონ ტიკის" აბსტრაქტულ, სველ შარაზე გავლა, თუმცა ხომ გაგვირკვევია ვახტანგ მიშველიასთან ვაჟასეული გენიალობა: „რაც იმ ერთ ღამეს მომხდარა, შაუნახია ჰაერსა". ეს ნაკვალევი უბირისთვისაა გამქრალი, თორემ არნოლდ გეგეჭკორს თუ მონამორჩილს თქვენსას სამუზეუმო ექსპონატივით უკიდია ცნობიერების კედელზე. ჩვენი საუბარი „კირბისის" მომდევნო ნომერს გადაწვდება, კონკრეტულად კი ანოტაციაში მოხმობილ ინფორ- მაციას — ბატონ დავით ლორთქიფანიძესთან შესაძლო დიალოგს. ეს მომენტი მთლად დასალტავს ჩვენს ოთხ საათიან საუბარს. ჩავუღრმავდებით დმანისის „ჰომო გეორგიკუსს" და ჩვენი შეხედუ- ლებები აქაც უზუსტესად დაემთხვევა: მეცნიერება გამორი ცხავს არქეოლოგიური მასალისადმი პატრიოტულ დამოკიდებულებას. ბატონი არნოლდი სჯერდება პროტოიბერიულის ზედნაშენობას — ელინურისგან აღმოცენებას, როცა პირიქითაა ყოველივე, მაგრამ ამისთვისაც მოვიცლით მომდევნო შეხვედრებზე. კორპუსის ნომერი ხომ ისედაც გარკვეულია — „6".

— ჰომო ერგასტერი ამოწყდაო, — დაასკვნის, — რად- განაც იგი ვერ მოახერხებს ძაღლის მოშინაურებას და პურ-ხორცის გამოყენებას საკვებად. დარჩება ვეგეტერიანელად და ამიტომაც დაიღუპაო, — უშეღავათოა მეცნიერი, — გამართული სიარული, რაც სქესობრივ ურთიერთობაში ისახება, საბოლოოდ დომინანტურ ხასიათს შეიძენს და ადამიანის ცერს იარაღის წარმოების მიზანსწრაფულობას მიანიჭებს. „ჰ ომო საპიენსის" ბიოგრაფიის 50 ათას წელს იქით ძებნა უაზროა, — დაუნდობელია და ვხედავ, წყალში როგორ ეყრება ეზოტერიკული ტუტყუნი მირიან ქარ- თველს თუ „გრაალის თასის საძმოს", როცა ასომთავ- რულის დასამკვიდრებლად ჩერეს მოთმაშე გურულებივით პელიკინივით არიგებენ მილიონებს.

დმანისის ნამარხი ჩონჩხის გაიდეალებას ბატონი არნოლდი ანტიმეცნიერულად მიიჩნევს, მით უფრო მის განსახლებას დმანისიდან ადრე არსებული მოსაზრების — აფრიკიდან მიგრირების საწინააღმდეგოდ.

— ჩვენ ვეპოტინებით არარსებულ მაქსიმალურს, როცა მინიმალურიც კი ზოგადკაცობრიული მნიშვნელობისაა. ასევე ხელოვნური მგონია ვაზის კულტურის დაკავშირება მილიონ შვიდას ათაწლიანი დმანისელი ზეზვა და მზიას ცხოვრებასთან. ამ დროის ჰომინიდები ჯერაც ვერ აზროვ- ნებენ „ჰომო საპიენსის" დონეზე. დიახაც, ადამიანის აზროვ- ნება დაამტკიცებს განსაკუთრებულ ცხოველმყო- ფელობას სხვა გრძნობებთან შედარებით: მყნოსველობას, ღამურა-დელფინის ულტრა-ბგერების სიხშირეებს მოკლებული ადამიანი, ერთადერთი გონიერების წყალობით მოაღწევს დღემდე.

ექვსას მილიარდამდე პოპულაცია გადაშენდება სიცო- ცხლის 5-მილიარდიან ფაზაში. ჰომინინი მეხეური ცხოველია მრავალი მსგავსი პრიმატივით, მაგრამ დაწინაურდება ის შტო, რომელიც ცალ ხელს გამოინთავისუფ ლებს საკვების მოსაძიებლად. ამის შემდგომ ეს პოპულაცია სულაც მიწაზე ჩამოეშვება და სექსუალური მომენტის გათვალის წინებით ზეაღიმართება. ახლა მას ტენის შემნარჩუნებელი ბალანი გასცვივა, ვინაიდან მზის სხივი ირიბად ეცემა. თუმცა შუბი ხელთა აქვს, ცერი ხომ 90 გრადუსამდე ეღება და მოინადი- რებს კიდეც ტყიურს. ხორცი და პური გადაარჩენს ,,ჰომო საპიენსს'' დაღუპვისაგან, ვინაიდან უმეტესი ხეძრომია ვეგე- ტერიანელი ამოწყდება. 12 ათასი წლის წინათ დიდი გამყინვარების პერიოდში მოპოვებული სამოსელი ყოველ- მხრივ წაადგება ბუნების რჩეულს, — მეცნიერს თვალები უბრწყინავს, სრულ ექსტაზშია შესული, — მონოგამიაც აქ უნდა ჩასახულიყო. ტერფის ოვალი მიუთითებს მისი კონსტრუქციის ღერძს, მაგრამ წარმოიქმნება ახალი დილემა. ცხოველი ეგრევე აგდებს საშოდან ნაყოფს და ნაშიერიც მაშინვე გარბის ზრდასრულივით, ხოლო მდედრს გავა დაუვიწროვდება გამართული სიარულის პროცესში და მშობიარობა ჩიხში შეიყვანს ადამიანს. მაგრამ კონგენიალური ბუნება კვლავაც დაუშვებს კომპრომისს და ჩვილიც ბოლომ- დე მოუმწიფებელი გაჩნდება. ყაფაზი მოგვიანებით ეხურება პატარას.

— ყიფლიბანდი?

— ჰო, ყიფლიბანდსაც ვეძახით. დააკვირდი, მამაკაცი ლარივით გარბის, ქალი კვატივით მიბაჯბაჯებს, ვინაიდან თეძო დავიწროვებია. ამასთან ჩვილი ბორკილად ექცევა, მარცხენა ხელი ძუძუსთან მიკრული პირმშოთი აქვს დაკა- ვებული მეტწილად. მხოლოდ მარჯვენით კი ძნელია ნადირის მოგერიება. საჭიროა გვერდით მამრი ახლდეს გამუდმებით და ხელს მიჰყოფს ჯადოქრულ მიმიკრიებს: კეკლუცობს, სახეს იხატავს, თმაში ფავილს იბნევს.მოკლედ, სულ კაცის მოხიბ- ლვაშია ჩაძირული, რაც ბოლოს და ბოლოს გადაიზრდება კიდეც ავადმყოფურ სიფარულში — ეპიგამიაში. ამგვარი და ამნაირია გონიერების წყალობით დღემდე მოღწეული ,,ჰომო საპიენსის'' ბიოგრაფია, — იტყვის ამას და დაიწყებს ფოტო- ებში ბუდრაობას. მე ქალაქისკენ მიმეჩქარება, ,,ვარდების რევოლუციის'' ეტნა-პომპეისკენ, რადგანაც ბუნების ჯილა მოაზროვნე ცხოველი საქართველოში ,,ნამარხი დმანისე- ლების'' ვითარებაშია ვაგლახ: თორმეტი წელიწადია თავზე საცხოვრისი გვემხობა და კოლექტიური თანხმობა ერთობ- ლივ მომავალზე აქამდე ვერაფრით მოგვიხერხებია.

გამოვართმევ ბატონ არნოლდს ხეგვიმრის ფოტოს და ჩემეულ ეზოტერიკულ წიაღსვლებს ალბომის დაბრუნების ჟამისთვის შემოვინახავ.

ატლანტიდური ცივილიზაციის შთამომავალ პროტო- იბერიელს, ვიცით უტყუარი წყაროებიდან, რომ კირბისის სახით გააჩნია წერილობითი ძეგლები დაგროვილი საკაცობ- რიო ცოდნის შესახებ და რადგანაც მის გასაწონასწორებლად სხვა სახსარი არსაიდან იძებნება, ზედმიწევნით განხორცი- ელდება ძეხორციელის პოლიფონიური საგალობლებით სინქრონიზაცია. აქ საყლაპავი მილი, იგივე ხორხი, განსა- კუთრებულ მისიას იტვირთავს და ადამიანის მთელი ორგანიზმიც სამყაროისეული რიტმიკით გაჯერდება. თანაც სიმღერის პროცესში ადამიანის ფილტვი ჟანგბადს მაქსი- მალურურად მოიხმარს — ბუნებრივთან შედარებით სამ- ოთხჯერ მეტს.

მრავალჯერ გამოცდილი რეალობაა: ადამიანი უჭმელად 14 დღე-ღამეს ძლებს; უწყლოდ — 72 საათს, მაგრამ უჰაეროდ — 3-4 წუთს. ამდენად, გასაგებია, ქურუმები ჩვენს პეპერათა ორგანიზმში ჟანგბადის მოჭარბებული შეფვანით ხელოვნურად იწვევენ ტვინის ნეირონების მაქსიმალურ ამოძრავებას. ჟანეგბადის ნაკლებობა ადამიანისათვის კაცობრიული სენია, ვინაიდან არასწორი სუნთქვის შედეგად ყოველი მეორე ძეხორციელი ლამის გადაგვარდეს. არსებობს მისგან მორჩენის სუნთქვითი პროფილაქტიკა: სწორ, მართკუთხოვან კედელს ვეყრდნობით შიშველი ქუსლებით, წვივებით, დუნდულოებით, ბეჭებით და კეფით; ხელები გონიოსებურადაა იდაყვებში მოხრილი, სუნთქვისას ვცდილობთ ხელების ზურგით კედელს მივეკრათ და ჰაერის ნაკადს ჩავისუნთქავთ ღრმად, ხოლო მუცლის იოგის მეშვეობით ვახდენთ ფილტვებში არსებულის გამოძევებას. ეს პროცესი 3-4 წუთს გრძელდება და დროთა ვითარებაში 12-13 წუთამდე ავაღწევთ, სანამ არ გამოვიმუშავებთ ფილტვებით სუნთქვის აუცილებელ ჩვევას.

დასახელებულ პოზას ეგვიპტურ პირამიდებშიც ვხვდ- ებით დიდაქტიკის ნიმუშად, თათხა იოგა მისით იწყებს სხეულის დაურვების ურთულეს მისტერიას. მაგრამ ქართველი მოგვები გაცილებით შორს მიდიან გუშინ- წინდელი მოწაფეებისაგან, რამეთუ შეგირდებმა არაფერი იციან ჰარმონიული ბგერებით — პოლიფონიური საგა- ლობლებით ადამიანის სინქრონიზაციის თაობაზე. ვინმე თუ შეეცდება ჩვენი ქურუმების შეცდომაში გამოჭერას მომღერლის უძრაობის გამო, აბსურდულია, ვინაიდან სიმღერა და ქორეოგრაფია განუყოფელია ქართულ ეთნოგრა ფიაში. სიმღერა ფერხულით, სიმღერა წრებრუნვებით და სიმღერა ცერებზე დგომით ერთმანეთისაგან განუყოფელი ატრიბუტიკაა. იგი შემოშველიებულია ორგანიზმის მთვლე- მარე ფაილების გასახსნელად, ვინაიდან ხორხის იოგების ვარჯიშის მხარდამხარ უნდა მოხდეს ხერხემლის მალების ჰარმონი ული მუსკულატურა.

სასიხარულოა, რომ ბოლო დროს ჩვენში ყურადღებას მიაქცევენ აღმოსავლური ბრძოლების ტრადიციას და საამ- ისოდ შეიქმნა კიდეც უიარაღო ორთაბრძოლების ეროვ- ნული სკოლა ,,ხრიდოლი''. ჩვენი წინაპრები უზუსტესად ერკვეოდნენ ადამიანის ანატომიაში — თითოეულ სასიხარ წერტილში. მოკლედ, უჩვეულო არაფერია თუ კანტს დასეს- ხებული ჰეგელი, იბერიულ-კავკასიურ, ქართულ ეთნოსს დაასახელებს ევროპეიდული რასის სათავედ.

ჩვენ ვისაუბრეთ ათასწლეულების კაცობრიულ გამოცდი- ლებაზე, როცა კირბისის ცოდნა დედუქციური მეთოდით გამოიყვანება, რადგანაც ცივილიზაციას ჯერაც არ მოეპოვება ზუსტი ხელსაწყოები. ამიტომაც შემოვლითი გზით, ხორხის მეშვეობით სიმღერის პროცესში ხორცი- ელდება ჰარმონიული ბგერებით მოჭარბებული ჟანგბადის შეგზავნა ორგანიზმში, რათა რაც შეიძლება მეტი საკვები მიეწოდოს თავის ტვინის მილიარდობით ნეირონს.მაგრამ როგორ მოიქცეს კაცობრიობა შემდგომ? ისევ კონგე ნიალური წინაპარი მოგვების დედუქციას დაესესხოს. ჰომო საპიენსის კაცობრიული ცოდნით აღჭურვისას, თუ რაიმე სიახლე შეიტანოს ამ შრომატევად საქმეში?! და აქ ენას ამოიდგამს ინდუქციური მეთოდი.

თანამედროვე მედიცინა ხშირად მიმართავს ინტერვენ- ციულ-სხივურ დიაგნოსტიკას, მაგრამ პრობლემა დღემდე თავდაყირა გამოიყურება. იგივე სურათია, როცა ზოოვე- ტერინალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული საწველი აპარატის წყვილ შლანგს რქებზე ჩამოაცმევს ძროხას და მორჩენილი ორისთვის ვერაფერი მოუხერხებია. ანუ იმის თქმას ვაპირებთ, რომ იმპულსატორები თავის ქალის გარშემო კი არ უნდა განლაგდს, (ეს მომენტი სხვა მხრივაც საზიანოა), არამედ ადამიანის ტვინში ჩვენ უნდა შევაღწიოთ ზედა და ქვედა კიდურების თითების მეშვეობით, თანაც მაინცდამაინც იმ ანაბეჭდების სიხშირით, როგორი აგებუ- ლებისაა თითოეული — მაგნიტური, წრიული თუ სპირა- ლური. ჩვენ მომავალში შევქმნით ფაქიზ აპარატს, რომლი- თაც გარეთ გამოსული ტვინით — თითებით, უპრობლემოდ შევალთ სამყაროს ლაბირინთში — ტვინის ნეირონების სექსტაგონურ ბადეში, რათა იქაურობა, 10-11 წელიწადში კი არა, რაღაც ცამეტიოდე თვეში ავავსოთ ბაჯაღლო ცოდნის გოლეულით.

ხელდასხმული ჩვენი მოგვები ადამიანის ტვინში შეღ- წევას სხვა მეთოდითაც ახარხებდნენ, იგივე ჭაში ჩასვლის სიმბოლიკით ლაერტიდის მსგავსად, მაგრამ ამ სიბრძნეს მხოლოდ ხელდასხმულთათვის მისახვედრებლად ვაცხადებ: ღურუშ წამალ ოლაფარეს ალაჩანს ვოუჩქუნა ვარა — უკვდავების წამალი ლაფაროსთან (ყურისძირას) ხარობს არ იციან თორემ.

პიროვნების განათლების პროცესს არაფერში არგია განსწავლის ტრადიციულად გაწელილი პერიოდი. საამი- სოდ, როგორც ვახსენეთ, ერთი წელიწადიც სრულიად საკმარისია, რათა ახდეს იოანე ზოსიმეს გაცხადებული: ,,და დღეი ვითარცა წელი ათასი''. სხვანაირად ჩვენ ადამიანს ვერ მივანიჭებთ 10, 100-ათასწლოვან სიცოცხლეს. ინფორმაციის განსხვავებული გადამუშავებისა და გადაცემის შემთხვევაში ჰომო საპიენსი მართლაც უფლის ძალმოსილებას შეიძენს გარემომცველი სამყაროს სიქრონიზაციის გზაზე. ნეირო- ნების უსასრულო ბადედ გარდაქმნილი, დასიმბო- ლოებული გარემომცველი სამყაროს წამში წაკითხვაც მოსახერხებელია, მისგან თუნდაც სინათლის მილიონი წელიწადი გვაშორებდეს. და ამგვარი მიდგომებით მოიხსნება კოსმოსის პერიფერიულ უბნებამდე თვითონ ადამიანის ფიზიკური მიღწევის ილუზია. მსგავსი მიმართება ერთიასად გაუიოლებს ცივილიზაციას საკუთარი მეობიდან ამოკითხ- ული სამყაროს მართვას. უფლის მიერ სახედ და ხატად შექმნილი ადამიანის მისიაც ეს არის უცილობლად — მოახ- დინოს ცაბაოთისგან 6 დღეში შექმნილი კოსმოსის სინქრო- ნიზაცია; 6 ტომარაში უდიერად ჩაყრილი ნივთები გეგმაზომიერად განათავსოს 1-ში, როგორც ამას ნოე მოიმოქმედებს თავის დროზე. და ამწუთას სამყაროში მღილის უსუსურობით მცოცავი ადამიანი, მეუფედ მოევლინოს მის უკიდეგანობას; არსებობის უმწეო ფაზაში მყოფმა მიაღწიოს ღვთიურ მდგომარეობას — სუფევას, ოღონდ ცხადია, არა გეიტსების მილიარდებითა და ბუშების პერშინგებით, არამედ — ჭეშმარიტ ფასეულობებს ზიარებული ინდივიდებით, ვისთვისაც უმთავრესი კრედოა: გიყვარდეს მტერი შენი. რამეთუ, ოდეს შენი საპირისპირო ძალაც მსგავსი ფილო- სოფიით განიმსჭვალება, სიტყვა ,,მტერი'' ფორმა-შინაარსს შეიცვლის, როგორც ეს უარყოფით ნიშნიან რიცხვებს ემართებათ ხოლმე გამრავლებისას.

წინდებული განკიდის მოსაბოჭად მერამდენედ გამოვკვეთავ: ადამიანის ტვინის სექსტაგონურ ბადურაში ჩვენ უნდა შევაღწიოთ წრიული, მაგნიტური თუ სპირალური აგებულების თითის ანაბეჭდის შემგრძნები აპარატურით, რადგანაც ისინი ცხადლივ მიუთითებენ პიროვნების მუხ- ტზე, იგივე ვოლტმეტრის მსგავსად, რათა ადამიანის კორ- პუსს სათანადო ძაბვის დენი მიუერთდეს: 12 ვოლტიანს 12 ვოლტიანით უნდა მივაკითხოთ; 127 ვოლტიანს — 127 ვოლტიანით და 220 ვოლტიანს — 220 ვოლტიანით. სხვანაირად ,,გადაიწვება'' ინდივიდი..

კომპიუტერული საუკუნე, დარწმუნებული ვარ, სულ რაღაც ერგას წელიწადში მოხსნის მიწიერ პრობლემებს. ჰოდა, დაიწყება ადამიანის სიცოცხლის ათვლა იოანე ზოსიმეს ანდერძის შესატყვისად: და დღეი ვითარცა წელი ათასი, თუმცა, როგორც იტყვიან, თან — საქმე.

ჰომო საპიენსის
არქიტექტურა მატრიცაში

ახლა საკუთრივ ადამიანის აღნაგობასაც მივადევნოთ მზერა. შტაინერის სიტყვებით იგი სამეტაპიანია: პიროვნული, უპიროვნო და ზეპიროვნული.

ადამიანი შესაძლოა რომელიმე ფაზის ტყვეობაში მოექცეს მთელი სიცოცხლე, ან სამივე საფეხური თანამიმდევრულად გაიაროს პირველიდან მესამემდე, ან კიდევ სამივე ერთდრო- ულად მოიაზროს თავისთავში უფლის მსგავსად. ამასთან ადამიანის აგებულებაც სამსახოვანია — ასტრალური (ვარსკვლავური), ეთერული და ფიზიკური. მე დიდხანს ვსწავლობდი ადამიანის თითების მოხაზუ- ლობებს. საერთოდ მეღიმილება ხოლმე ქირომანტების უსინდისო მჩხიბაობებზე.

ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრიდან მოყოლებული, ბოშა ქალების წყება მრავლად ამსდევნებია წუთისოფლის გზაზე და არასდროს მომიკლია ის სიამოვნება, რასაც მარჩიელობის თითლიბაზური პროცესი ჰქვია. ძვირადღირე- ბული გროშები, რომელიც ნებაყოფლობით ამოცლილა ჩემი ქესეტა ჯიბიდან, ამ განუმეორებელი ერთი მსახიობის თეატრის წარმოდგენის მოკრძალებულ გასამრჯელოდ მომინათლავს. ბოშა ქალები მართლაც შეუდარებელი ფსიქოლოგები არიან, პარაფსიქოლოგები, ცხოვრებისგან წელში გადამსხვრეულ ადამიანთა სიტყვით- მკურნალები. მათ ხელისგულის ხაზების შესახებ იმდენი უწყიან, როგორც, მაგალითად მიხომ და ძუკუმ კოსმოსსა თუ მიკრობიოლო- გიაზე. მარჩიელი ბოშა ქალი, გნებავთ ინტელეგენტი შინაბე- რა-ქირომანტი, თავს გახვევს შენი აღნაგობის, შენი აურის ადეკვატურ ხდომილებებს თუ უახლოეს დღეთა პერიპე- ტიებს. ეგ არის და ეგ. ჰოდა, რამდენად ძლიერია მისი გარდა- სახვის უნარი შენს დასაჰ იპნოზებლად, იმდენად გიმსუბუქდება ლარიანებისგან ჯიბე. არადა, სინამდვილეში მათ არაფერი უწყიან შენი წარსულის შესახებ. 13 უბნად დაყოფილი ხელისგული, დიახაც, თანამედროვე ტერმინოლოგიით გახლავთ ადამიანის სულიერ-ფიზიკური აგებულების პასპორტი. ჩვენ, იქ უკუვაგდებთ ანთროპოლოგიის შემადგე- ნელ ნაწილს — ეროვნულობას, ხელისგულზე კი ყველაფერი უკიდურესობამდეა კოდირებულ-გაშიფრული.

ანთროპოლოგია მიუთითებს სამი კატეგორიის ხაზებს თითებზე — მაგნიტურს, ტალღოვანს და წრიულს. აქაც ემთხვევა ნებისმიერი ინდივიდის ნათესაობა ატომგულის ბუნებასთან — პროტონულთან, ნეიტრონულთან და ელექტრონულთან. სხვანაირად შეუძლებელიცაა.

ჩვენ ჯერხანობით არ გაგვაჩნია ის აპარატურა, რომელიც სრულყოფილად წაიკითხავდა ხელისგულის რელიეფს, თორემ ინდივიდის ამოცნობის გზაზე ნაკლებად შევც- დებოდით. ჩვენ თავგადაკლულნი ვისწრაფვით კოსმოსისაკენ, ვისწრაფვით მარსისკენ, იუპიტერისკენ და გვიხარია იქ აღმოჩენილი ,,აკვა დესტილატას'' ნიშატი, როცა ადამი- ანის ტვინი რა მოსატანია, ჯერეთ მისი ხელისგული ვერ შეგვის წავლია. აკი, მეგრულში მოგვეპოვება ფრთიანი ფრაზა: უკვდავების წამალი ყურისძირას ხარობს, არ იციან თორემო. ჩვენ ვხეტიალობთ მიუწვდომელ არეებში, როცა უმეცრებით უგულებელყოფთ თვალწინმდებარეს.

პიროვნების თითების ანაბეჭდი იმდენად ინდივიდუალურია და განუმე- ორებელი, რომ მას კრიმინალისტიკაში სამხილ მასალადაც კი იყენებენს საგამო- ძიებლო სამსახური, მაგრამ ესაც ზერელე მიდგომებია მის ნამდვილ დანიშნულებასთან შედარებით. ადამიანის ხელისგული, თითების ანაბეჭდი, მისი პატრონის შინაგან-გარეგანი განზომილებების სრული პასპორტია, ანუ დადებითი მუხტის, უარყოფითი ენერგიის და ნეიტრონული, იგივე — გაწონასწორებული, შუალედური ბუნების გამოხატულება. დარწმუნებული ვარ მსოფლიო უფრო შთამბეჭდავს ვერაფერს ამოიკითხავს კოსმოსიდან, ვიდრე — ადამიანის ხელისგულიდან.

ჩვენ აქ სიტყვა არ გაგვექცევა რასიზმის სასარგებლოდ, როცა შიკლ გრიუბერის ნაციონალ- დემოკრატიული პარტია ზედმიწევნით გამოიყენებს გურჯიევების თუ რობაქიძეთა თეორიებს არიული რასის უპირატესობების დასამტკიცე- ბლად, მაგრამ გენეტიკური ხარისხი რომ არსებობს კაცობრი- ულ ფენებს შორის, ანთროპოლოგიურადაც დასტურდება.

მართალია, პიროვნული ინტელექტი საბოლოოდ დაი- ურვებს ნებისმიერი ხასიათის ჩამორჩენას დროსა და სივრცეში, თუმცა თავადეთნიკური კრებითობისათვის თუ რასისათვის უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება თუნდაც მცირეოდენ განსხვავებას პარამეტრებში. ჩვენ მივუთითებდით მაღლა ადამიანის პროპორციების თაობაზე, სადაც ზედა კიდურებთან მიბმული გრძნეობები ქვედასთან შედარებით იმყოფებიან პროპორციულ დამოკიდე- ბულებაში 3:4-თან. ამის საბუთი კი ხელის შუა თითისა (3) და ბერძნული, ანუ სრულყოფილი ტერფის დაწინაურებული თითის (4) დომინან- ტური მდგომარეობაა, რომლებიც ცხადლივ ადასტურებენ პიროვნების რაფინირებულ ხასიათს.

აქედან გამომდინარე ჩვენ ,,ჰომო საპიენსის'' იდეალური ტიპის შემჩნევა წესით არ უნდა გაგვიძნელდეს. ამისი დანახვა მოსახერხებელია ახალშობილის თვალის უბრალო შევლე- ბითაც, როგორც აღმოსავლელი მოგვები ლოცვას აღავ- ლენენ მარიამის პირმშოს წინაშე, მესიას მოვლინების ქვეტექსტით.

დიახ, სრულყოფილი ინდივიდის გამოვლენა შეუია- რაღებელი თვალითაც სავსებით შესაძლებელია. საამისოდ საცდელი ობიექტის ტერფის ვიზუალური დათვალი- ერებაც კმარა. მაგრამ არის ფორმები, როცა მისი ტერფი ნაკლებად შეესაბამება ,,სრულყოფილ'' ბერძნულს. ამისთანა შემთხვევაში საჭირო ხდება პიროვნების თავის ქალის ხელით მოსინჯვა. თურქულ კეხად წოდებული ,,ინიონი'', ანუ გამოშ- ვერილი ძვალი კეფაზე ამ ,,ჩავარდნის'' კომპენსაციაა. როცა ტერფზე ვერ განახორციელებს ძვლოვანი სისტემა იდეა- ლური ბუნების გამოხატვას, იგი მომცრო კუზივით ამოი- ბურცება კეფაზე, როგორც აუთვისებელი ენერგია. დავუ- მატებთ ამას თითების მოხაზულობებს და ჩვენ გვეცოდინება რა დიაპაზონის პიროვნებასთან გვაქვს საქმე.

დარწმუნებული ვარ, რომ წრიული ხაზების ინდივიდს განსაკუთრებული ჯგუფი შეესაბამება, ვინემ, ვთქვათ და ტალღისებურ-მაგნიტური აღნაგობისას. აქედან თავისუფ- ლად შეიძლება ერთი მყარი არგუმენტის მოშველიება, რომ ადამიანი, როგორც კოსმოსური სხეული, არის მინი ატურუ ლი მატრიცა თავად კოსმოსისა, რეაქტორი, რომლის პასპორ- ტიზაცია ტრადიციული მიდგომებით სასაცილოსთან ერთად დანაშაულებრივიცაა. მათ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შესაძლებლობა არ ეძლევათ იმოღვაწონ თავიანთი გენეტი- კური უნარების შესატყვისად. ხშირ შემთხვევაში ვლებულობთ მეგრული ლექსის სურათს — კოჭლი სარბენლად მიჰყავდათ, ყრუ — მოსასმენად და ბრმა — სათვალთვალოდო.

ამგვარი და ამისთანაა ადამიანის პერსპექტივა უმეტეს- წილად დღევანდელ მსოფლიოში. ამიტომაც იოტისო- დენად მაინც თუ გაგვიცნობიერებია დედამიწაზე არსე- ბული რეალობა, კონკრეტულად კი ის, რომ ჩვენ 5 მილი- არდის პატრონთ, თავად კაცობრიობის პრიმიტიული მოთხოვნები ვერ გადაგვიწყვეტია, უწინარესად იმიტომ, რომ მართებულად არ გამოიყენება პლანეტის საზოგა- დოების 99, 99 პროცენტი. და თუ რამეს ვახერხებთ ამ 0,1 პროცენტის, ანუ 5 მილიონი კაცის წყალობით, ესეც საფ- არსაგო საქმეა.

მსოფლიოს გარდაქმნა ზეპროგრესული კაცობრიობ- ისკენ 1-2 თაობის მანძილზეც სავსებით შესაძლებელია, ხოლო 4 თაობის (100 წელი) მიზანმიმართული ძალისხმევით კაცობრიობა დაეუფლება არათუ მზის სისტემას, არამედ თავად ირმის ნახტომის გალაქტიკასაც დედამიწიდან გაუს- ვლელად, თუმცა ჯერჯერობით ეს მატრიცა უმჯობესია ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდეს, ვიდრე მსოფლიო მოქალაქის სამკალში, არა რაიმე ეგოისტური ან ნაციონალ- ისტური დაწინაურების თვალსაზრისით, არამედ შედარებით მეტი ეფექტიანობისათვის.

ახლა, როცა სარი შვილი-ჭანტურიას ინტრიგით, წინა მთავრობას საიქიოსკენ მივყავდით, ხოლო ამჟამინდელ ვარდ-ბულბულიანს — საბავშვო ბაღისკენ, დამამცირებელი სრულებით არა მგონია ქალბატონი ირინას ირონიით წამოსროლილი სიტყვები, ვინაიდან თავად მაცხოვარიც მიუთითებს ბავშვის უცოდველ ბუნებაზე, და იმასაც ადას- ტურებს ჩვეული მჭევრმეტყველებით, რომ ცათა სასუფევ- ელი მხოლოდ მათთვისაა მარად ღია. მაგრამ მოვეშვათ თეოლოგიურ ოდისეას და განვსაზღვროთ, არის თუ არა შესაძ- ლებელი მატრიცას შექმნა საქართველოს მასშტაბით 5, 10, 15, 20, 25 წელიწადში. მე ამას საგილიოტინო თავით ვადას- ტურებ: შესაძლებელია! მიღწევადი!

5 წელიწადში საქართველოს შეილება ჰყავდეს 300-400 ქალ-ვაჟი, რომელთაც შეგნებული ექნებათ ქართული სულის მისია მთელი პლანეტის მასშტაბით.

10 წლის შემდეგ ეს ციფრი 2000-ს გაუტოლდება, რადგან თითოეულ მომდევნო წელს იგი დაახლოებით 300-400 პიროვნებით გაიზრდება მთელს კავკასიაში.

15 წლის თავზე ეს მაჩვენებელი 35 000 გადააჭარბებს პლანეტის მასშტაბით, და აქედან მოყოლებული აღნიშ- ნული თავისებუებანი უკვე გენეტიკურადაც გამყარდება.

20 წლის სასრულს ჩვენ გვეყოლება 100 000-ამდე მიზანმიმართული გონიერების ინდივიდი.

ხოლო 25 წლის შემდეგ — 600 000 - 700 000 მსოფ- ლიო გონის ინდივიდუუმი, რომლებიც თამამად გაიხედავენ კოსმოსისაკენ, რადგანაც უკვე თავად ადამიანის ანატომიას თუ ფსიქოლოგიას ავითვისებთ სრულფასოვნად. მართა- ლია, კი ვამბობთ ,,ათვისებულს'' შესწავლის მნიშვნელობით, მაგრამ მაინც რა ასწავლებაზეა საუბარი?

ჯერ შევხედოთ თავად ,,ჰომო საპიენსს'' და გავარკვიოთ, ვინ არის იგი სინამდვილეში?!

ადამიანი სრულყოფილი მხოლოდ ბიბლიურ განყოფამ- დეა. მას, დიახაც, ამ დანაწევრებამდე ეწოდება ,,სახედ და ხატად'' შექმნილი, მაგრამ რაჟამს ადამს სამოთხის ბაღში მოეწყინება, დანარკოზებულს ნეკნს ამოაცლის უფალ-დასტაქარი და ევას შეუქმნის — ხორცს ხორცთაგანს, რათა აქა-იქ მიეწებოს გულის სწორს მშობლების დასავიწყებლად. ეს მითოსური სურათი ადამიანის განყოფის თაობაზე, სინამ- დვილეში რეალურია თავდაპირველ დაშორებამდე, როცა მამრი და მდედრი ერთ სხეულს წარმოადგენს. თუმცა გახლეჩის შემდეგ განუწყვეტლივ გრძელდება მათი ბიოლოგი- ური კვლავწარმოება სპირალური ფორმით.

არავინ ჩაფიქრებია იმ მომენტს, რომ ცალკერძ ადამიანი, (გნებავთ — ,,კაცი'', გნებავთ — ,,ქალი''), ვერაფრით განიხილება სრულად, ვინაიდან ერთსაც და მეორესაც ბუნებაში მოეპოვება თავიანთი მეობის სარკისებური წაკითხვა ეთერული აღნაგობით, ზუსტად ის, რასაც შერ- წყმულად წარმოადგენენ ასტრალურ განზომილებაში. ამიტომაც იდეალურია ქალის და კაცის ურთიერთობა, როცა მსგავსი აგებულების, ანუ ერთმანეთის სარკისებური ფორმების თანხვდომაა დროსა და სივრცეში.

კონკრეტული ადამიანი, ინდივიდი, ბევრს გადაადგილ დება ბუნებაში. ხშირად ვითომ მარტოდმარტოა, მეუღლის გარეშე, თუმცა გამოთქმა ,,მარტოდმარტო'' აქ სრულიად უადგილოა, ვინაიდან ეთერული ბადურის სახით მას ყველგან დაჰყვება მეორე მე, ალტერ ეგო — ადამისაგან გამოთავისუფლებული ევა უფლის მიერ, იგივე პიროვნების მატერიალური, ფიზიკური სხეულის ეთერული მოცულობა სტერეომეტრიულად. ამიტომაც, როცა პიროვნებას რაიმე აშლილობა ახასიათებს, ფონენდოს კოპით მიაკითხავენ ხოლმე ბართლომე ფეტელავა თუ მუშნი უზარაშვილი; გნებავთ, პროვიზორი შოთა შამათავა შეყროდეს პაციენტს.

პირველი ნეკნებზე თითების ბაგუნით რევმატიზმებს გამოუძევებს სხეულიდან, არშინიან რეცეპტს მიართმევს სანემსე და საბებოს. მეორე მოსხლეტილია: მკვდარის აყენება მე რომ შემძლებოდა, ოტობაიაში ვინ გამაჩერებდაო. ხოლო მესამე პრეპარატების მთლად ზეწრისხელა ნუსხას ჩამოუწიკწიკებს, სადაც კოლეგათათვის საქირქილო ლათინურით გამოიწერება 100 კილოგრამი საქელეხო ლობიო, 300 კილოგრამი კომბოსტო, 50 კილოგრამი ქიშმიში ფლავისათვის და ასე შემდეგ.

ჭეშმარიტი დასტაქარი ბიქტორ ფეტელავაა, ბესარაბიაში გამოჯანდა- კებული პაპაჩემი ბიქტორ ფეტელა. მან მედიცინის თანამედროვე მიღწევებისა ნაკლები უწყის, სამაგიეროდ ადამიანის ანატომია ხელისგულზე ულაგია ღვთიურ კანონებთან შერწყმული. სიტყვის ი'შვიათი მშენებელია იგი და ავადმყოფის უნუგეშო მდგომარეობას უწინარესად რწმენით აჯანმრთელებს, ვინემ ევროპული ფარმაკო- ლოგიით თუ ჩინური ,,ნემსთერაპიით''. ამ შემთხვევაში ბიქტორ ფეტელავა პაციენტის ეთერული სხეულის ტიპიური მკურნალია, პარაფსიქოლოგიი. ანუ იმ რღვევების გამამრთლიანებელი, რესტავრატორი, უმალესად რომ ხელეწიფება მაცხოვარს ჩვენსას. რიგითები ამ ბადეს ხშირად აურასაც ვეძახით, ბიოველს, სინამდვილეში — ფიზიკური მოკვდავის ეთერული ბადურაა. ამიტომაც იდეალურ შემთხვევაში რომეო-ჯულიეტას ურთიერობა ერთსხეულებრივია, ადამისმიერი, რამეთუ მათი ფიზიკური თანხვდომა გამაგრებულია ეთერული თანხვდომითაც, რაც საბოლოოდ ასტრალურ თანხვდომაში გადაიზრდება და პიროვნება სრულფასოვნად მიუახლოვდება პირველ- სახესთან. თუმცა საკითხი გაგვირბის და საბავშვო ბაღისკენ გრძელი ნაბიჯებით მიმავალ საააკაშვილს ლამის სირბილით მივსდევთ, სადაც საქართველოს სამათასეულ სკოლაში დაახ- ლოებით 20 000 მეხუთეკლასელის მონახულება მოგვიწევს 300-400 ფენომენის გამოსარჩევად.

ამისი დანახვის უნარი, მიხსენებია, 2003 წლის 31 მარტს მომენიჭება ძმობილი ვახტანგ მიშველიას მოსკოვში გამგზავრების ღამეს-მეთქი და არაფერი ესაქმება გაიპარა- შვილ-მელითაურის ,,ნიჭიერი ახალგაზრდობის'' ჩხიკვ-მამიდაშვილურ საამქროსთან, სადაც უმეტესი სტიპენდი- ანტი თუ მეგრანტე მიკერძოებითი პრინციპით შერჩეულა და ზოგიერთები ამნაირი შინაარსის ლექსსაც თხზავენ: ,,მიყვარხარ ისე, როგორც უყვარს კურდღელს სტაფილო''. მერე? მერე რას მოვიმოქმედებთ?! რა განსხვავებულ სულიერ საზრდოს ვანიჭებთ ჩვენეული მიდგომებით გამორჩეულ 300-400 პატარას?! ზოგ მათგანს სახელმძღვანელო წიგნი აკლია; მრავალს — ყუათიანი რაციონი და სათბუ- ნებლები ყიამეთ ამინდში. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ჩვენი ჯილა სულაც არ ბრწყინავდეს უმეტესის ფონზე სითამამით თუ მრავალსიტყვაობით, მაგრამ, როგორც კიხელს დაადებ ამ ონავარს ათასში და ეტყვი: ჰომო ეკე — აი, კაციო, იგი მთელი სტადიონით გაიზრდება სიმაღლეში.

ამ 300-400 მოზარდის დასაფინანსებლად სახელმწიფოს თავდაპირველ ეტაპზე ფრიად სიმბოლური თანხა, 30000-40000 დოლარი დაეხარჯება ყოველწლიურად, ანუ 60 ათასი ლარი წელიწადში. აქ ძირითადი მომენტია დანახვა, შემჩნევა, ყურადღების მუხტი და ეს მცირედი მეოხებაც იმდენად კოლოსალური ენერგიის მომნიჭებელი აღმოჩნდება თითოეულისათვის, რომ რამდენიმე წელიწადში საგ- რძნობლად გაასწრებენ მორჭმულ თანატოლებს. რატომ? მთელი საიდუმლოც აქ სულდგმულებს.

წარმოიდგინეთ, მეორე თაობის კომპიუტერი, რომლის მეხსიერება სულ რაღაც 100 მეგაბაიტია და ,,პენტიუმ-5'', რომელიც რამდენიმე ათას მეგაბაიტს იტევს. ესეც არ არის მთავარი. არსებითი ის გახლავთ, რომ ,,ჰომო მედიოკრატები'' სამყაროის ნებისმიერ მოვლენას ადეკვატურად აღიქვამენ და გარდაქმნიან ჰ არმონიულ სრულყოფილად.

რაში არგია ძუკუს ,,ნოკიას'' ფირმის ფიჭური ტელე- ფონი, თუკი მიხოსთან დალაპარაკება სწადია და ამ უკანასკნელს არანაირი სასმენი აპარატი აღმოაჩნდება ბალნიანი ყურების გარდა?! გამოუვა რამე რო?!

ბუნებაშიც ასევეა. უფლისმიერ იმპულსებს ვერასდროს დაიჭერს ის ინდივიდი, რომელსაც ამისი წამკითხავი აპარატი არ გააჩნია. სრულყოფასთან მიახლოების პოტენცია მეტნაკლებად ყველა ინდივიდს მოეპოვება, მაგრამ განსაკუთრებულნი ,,მედიოკრატიული'' ტიპები არიან, ვინაიდან მათ ყველა, ან უმეტესი ფაილი ეხსნებათ სათანადო სიგნალის დროს, რამეთუ არაცნობიერად მოეპოვებათ ეს ფაილები. მართლაც, არაფერია უფრო ფასეული, ვინემ ერის, ზოგადად — კაცობრიობის მართებულად წარმართვის ძალისხმევა.

თავის დროზე ამას დავით აღმაშენებლის მეშვეობით მოახერხებს ჭყონდიდელი საქართველოს გადასარჩენად.

მსგავსი რეფორმა დაუსახავს მიზნად თამაზ ბუთხუზ- საც, ოღონდ მისი დამოკიდებულება თემისადმი მატრიცის შექმნის ორგანიზაციულ საკითხებს ვერ სცილდება;ჩვენ კი ვქმნით ნამდვილ მატრიცას ქვეყნის პრეზიდენტის მიერ მთავარ მიმართულებად ინტელექტის დასახვის ზურგის ქარებით. სააკაშვილმა მეტი გიყოს? გაანძრიე ხელი და ნაშველები ხარო, მიანიშნებს მთავარ ორიენტირს — ცოდნას, გონიერებას და ეს პრიორიტეტი სრულიად საკმარისია ახალი საქართველოს ასაშენებლად.

ჩვენ ერთიათად დავასწრებთ ბუნების სტიქიურ მოვ- ლენებს. უკეთ, შემთხვევითობებს და ალბათობებს კი არ დავუცდით აინშტაინთა მოსავლინებლად, არამედ წინას- წარვე გამოვიმუშავებთ უნარებს მათ აღმოსაცენებლად. ასეთნაირად ხდება ფუტკრის ოჯახშიც, როცა სადედე ეგზემპლარს განსაკუთრებულად კვებავს სკა უზადო შთამომავლობის მისაღებად 30 წლის მანძილზე. აქ კი გააზრებულად გამოიძერწება პოტენციური გენიოსისაგან რეალური გენიოსი. მაგრამ რა უნდა მოიმოქმედოს ბონდო- იების პატრონმა გური ოტობაიამ, რომელიც წლობით ცდილობს ქვეყნის პრეზიდენტებთან შეხვედრას და ვერანაირად უხერხდება პროფესიული საუბრის გაჩაღება?!

სააკაშვილს მართებულად მოუნიშნავს ინტელექტის პრიორიტეტი ნებისმიერ ფასეულობასთან შედარებით, რომლის დასტური მისი ინაუგურაციის დღეს დადებული ფიცია ქართველი ხალხის წინაშე. მაგრამ ჯერ მოდით და გავარკვიოთ, შეძლებს თუ ვერა თავად მსოფლიო ამირანის მიერ ღმერთებისათვის მოტაცებული ღვთიური ცეცხლის მოხმარებას?!

უფრო კონკრეტულად კი, ისიც ვთქვათ ბარემ, თუ რისი ეკვივალენტია თავად ღვთიური ცეცხლი. მართლაც პიროვნული ,,მეს'' ტოლფარდია თუ უფრო სიღრმისეული ეზოტერიკულობის შემცველი?!

კირბების, ოქროს საწმისის, გრაალის თასის, ფილოსო- ფიური ქვის, პალადიუმის ნამდვილი არსი ჯერ- ჯერობით მსოფლიოსათვის ლამის დახურულია. სხვანაირ შემთხვე- ვაში კაცობრიობა არ იქნებოდა ესოდენ პოლარული სოცია- ლურად, ინტელექტუალურად. ჩვენ, ქართველები 26 საუკუნე შევივრდომებთ სემიანელებს;

ყლგამოჭრილი მილიონნახევარი სომხის ოტებულ და-ძმებს გულითადი სიყვარულით შევითვისებთ ათწლეულე ბის მანძილზე, მაგრამ მხოლოდ ტოლერანტობა როდია ქართვე- ლი კაცის ჭეშმარიტი საგანძური, უფრო ზუსტად კი პრომე- თესეული ღვთიური ცეცხლის ნიშანსვეტი.

ეს ყველაფერი მართლმადიდებლობის ძალისხმევაცაა თავის მხრივ, რასაც ლიანა კავსაძე მთელს მსოფლიოს უწინასწარ მეტყველებს უახლოეს პერიოდში: მართლმადიდებლობის პოზიციები ხვალ და ზეგ გაცილებით რომ მომძლავრდება, ეს იეჰოვას მოწმეთა მომრავლებითაც დასტურდება. რასელის მრევლი ფაქტობრივად 2000 წლის წინათ ებრაე- ლებისაგან უარყოფილი ქრისტესკენ 180 გრადუსით შემობრუნებაა, მისი ახსნა ჯვარცმისაგან, თუმცა იგი მუსულმანი მწერლის, ჯიბრან ხალილ ჯიბრანისა არ იყოს, ჯერხანობით მხოლოდ **ძე კაცისაა**, ანუ ისეთივე სუბსტანცია, როგორც — მუჰამედი: ნათელმხილველი. თუმცა კოლოსა- ლური ნაბიჯია გადადგმული მაინც მართლმადიდებლო- ბისაკენ და ყველერი იმის მიმანიშნებელია, რომ ერგასწლეულის შემდეგ მრავალი კონფესიის პოსტულატები მართლმადიდებ- ლობის შესაბამისობაში მოწესრიგდება ადრე თუ გვიან, სადაც მტრის სიყვარული უმთავრესი კაცობრიული ფასეულობაა, მაგრამ ,,ღვთიური ცეცხლის'' ბუნება აქაც ბუნდოვანია.

ხორხი, საყლაპავი მილი, ერთ-ერთი უმთავრესი ორგა- ნოა ,,ჰომო საპიენსის'' გაადამიანების პროცესში. ბგერა, დანა- წევრებული მეტყველება, მოგვიანებით — პოლიფონია მკვეთრად გამოაცალკევებს მას ცხოველური სამყაროდან, როგ- ორც მოაზროვნე ინდივიდს. დიახაც, ჰარმონიული რად- იოტალღებით სინქრონიზებული ხორხი განსაზღვრავს ადამიანის სექსუალურ თავისებურებებს. ბავშვი, რომელიც დახშულ სივრცეში იზრდება, ვერასდროს ჩამოყალიბდება ადამიანად. ტკბილად მოუბარი ენა, ანუ ჰანგი, ერთგვარი შვებაა ავადმყოფისათვის. გაიხსენეთ ყვავილებით — ინფექციური სნეულებით — ,,დიდ ბატონებით'' დაოსებულ ბავშვებს როგორ მოუოხებენ ხოლმე საგალობლებით პერიფერიებში. პარაფსიქოლოგია დღითი დღე ფეხს იკიდებს საზოგადო ებაში და არც ნეტარხსენებული ჰამლეტ გონაშვილის დაკვირვება უნდა იყოს ხელწამოსაკრავი რეალობა, როცა იგი მრავალხმიანობას მიიჩნევს ნებისმიერი სოციალუ- რი აშლილობის მოწესრიგების უტყუარ ინსტრუმენტად.

იშვიათია დედამიწის ზურგზე ხალხი, რომელიც ასე ტოტალურად მღეროდეს, როგორც ქართველი: მწუხარე-ბის ჟამს გლოვის ზარს დააგუგუნებენ სვანები და უნუგეშობის ვითარებაში გულისწამღებად აკვნესდებიან მეგრელები; ცათა კორკონტიას გაივაკებს გურული ,,კლიმანჭური'' სულიერი შეჭირვებულობის დასაძლევად და კახური ,,ჩაკრულო'' ალაზანივით აღიმართება კოსმოსისკენ მუხრან-ბატონთა- თვის ბანის დასანგრევად.

ქართული სულიერება მართლაც ეტალონის დონეზე განიხილავს წრფისა და წრეწირის ერთობას. წრფე ხომ სივრცის გრაფიკული გამოხატულებაა, როგორც წრე — პლანეტარული აღნაგობისა. წრფისა და წრეწირის სიმბიოზს ჩვენ თვალნათლივ ვაფიქსირებთ ასომთავრულის ასო-ნიშან დონში'' — Ō. ჩვენ ამის თაობაზე გვიმსჯელია. ფერხულის ხაზი ქართულ ქორეოგრაფიაში, სრულფასოვნად შეესაბამება წრფის, სხივის სიმბოლიკას, ხოლო ხორუმის წრებრუნვები — კოლექტიური თუ ინდივიდუალური, მზის სხივის ცნობიერ მატერიად გარდასახვის საკრალურობაა. სიმღერისა და ცეკვის პროცესში ხორხისა და ხერხემლის მიზანმიმართული ვარჯიშით დროის ვრცელ მონაკვეთში მიღწეულია სინქრონიზებუ- ლი ეთნიკური კატეგორია პროტოიბერიული რასის სახით.

გავიხსენოთ ,,იავნანამ რა ქნა''. დაღესტანში გატაცებული ქართველ გოგონა ქეთევანს ვერაფერი მოაბრუნებს მშობ- ლიურ გარემოში ჰანგის გარდა, რომელიც ერთადერთი მოახერხებს მისი სულის ქვეცნობიერი ფირფიტის უცთო- მელ წაკითხვას. ეს დაფა უმთავრესი კრიტერიუმია ინდი- ვიდისავთის, მეტიც — განმსაზღვრელიც, ვინაიდან ოჯახში, სკოლასა თუ უნივერსიტეტში მეცადინეობით მოპოვებული ინტელექტი ერთგვარ ჩარჩოში აქცევს პიროვნების ქცევის ქვეცნობიერ სიდიდეს და გარკვეულ დრომდე ძალუძს კიდეც მისი მართვა, თუმცა აფექტში პოლიფონიურ-ქორეოგრაფიული სინ- ქრონიზაციით მიღწეულის მეტი ნებისმიერი გარჯილობა წყალში ჩაიყრება.

ჩვილი დედის საშოშივეა დაპროგრამებული ასტრალუ- რად, დედის წიაღშივეა შემზადებული ცხოვრებაში სამოღვა- წეოდ. მას უკვე მეიოზის შემდეგ, ანუ გენეტიკური დათიშ- ვების მერმე მკვეთრად განესაზღვრება უმთავრესი მაჩვე- ნებელი — თითის ანაბეჭდები და ტერფის კონფიგუ რაცია, ანუ (3-4-ის) სამოთხის სიმეტრია.

ზედასთან შედარებით ქვედა კიდურები გაცილებით მოუხე შავია. ასევეა მათთან მიბმული გრძნობათა ორგანო- ებიც. ანუ ადამიანის პროპორცია, მისი სიმეტრია, იმთავი- თვე კოჭლია, ელასტიკურისა და მოუხე შავის წყილე ული ერთდროულად, ერთ სხეულში. არადა, საჭიროა ამ ბიოლო გიური დისკომფორტის მოხსნა გარეგანი ჩარევებით. ჰოდა, პოლიფონია-ქორეოგრაფიის მეშვეობით ქართველი ქურუმი შინაგან წონასწორობას ამკვიდრებს ინდივიდში და ათასწლეულების მანძილზე ამ პრინციპ ებით ნასაზრდოები ერის ეთნიკური სახე, ცხადია, მიუკერძოებლად დააძახე- ბინებს კანტს დასესხებულ ჰეგელს: **ევროპეიდული რასა ქართველებისგან იწყებათ.**

პროცესი თითქოს დასრულებულია: დავღებთ პირს, დავუვლით დავლურს და მორჩა — ელვისებურად მოგვარ- დება პიროვნების გაწონასწორების პრობლემა! მაგრამ ინდივიდის სინქრონიზაცია მეთოდია ოდენ გაწონასწორებული ვითარების შესანარჩუნებლად. ჩვენ კი უფრო ქმედითი ნაბიჯები გველის წინ — სრულიად დედამიწის ჰარ- მონიაში მოყვანა შედარებით სრულყოფილი ადამიანების კრებულით. ასეთი ხალხი არაცნობიერად მოევლინება სამყაროს და ბევრი მათგანი ისე აღესრულება, რომ ერთხე- ლაც არ მიეცემა მის არსებაში კოდირებული ღვთაებრივი ნიჭის გამოვლენის საშუალება. არადა, მათი რაოდენობა 6 მილიარდიან მსოფლიოში აღარაფრით გადააჭარბებს 0,1 პროცენტს. ახლა ჩვენ რასიზმში ნუ დაგვადანაშაულებს ნაციზმით დაშინებული ზოგი პოლიტოლოგი, როცა ჰუმანიზმის ბაცილა შიკლ გრიუბერი ბრტყელ- ტერფიანობისა და ცისფერ სისხლიანობის თეორიებით წამლავდა ავარიულ ჯილაგს დანარჩენი მსოფლიოს მოსასრავად; როცა ხოლოკეტის ღღეებითა და ბართლომეს ღამეებით მასობრივად ჟუჟავდა **სემიტურ რასას — კაცობ- რიული სულის უნიკალურ გამონათებას.**

ჩვენ ვაღიარებთ ნებისმიერი ეთნიკიური ერთეულის საკაცობრიო მნიშვნელობას და აქვე მივუთითებთ ამ ეთნიკურ ჯგუფში მთვლემარე სრულყოფილი ინდივიდის დროზე გამოვლენა-პატრონობის აუცილებ- ლობას, ისევ და ისევ ზოგადკაცობრიული ინტერესებიდან გამომდინარე.

მოკლედ, სასაცილოა ეროვნული ჭუჭრუტანებიდან განვიხილოთ მომავალი ჩინელი აინშტაინი, ამერიკელი გოეთე, რუსი პითაგორა თუ ქართველი გაგარინი. ისინი უწინარესად ზოგადკაცობრიული სულის მატარებელი საუნჯეებია ეროვ- ნული წიაღიდან. ჰოდა, როდესაც ჩვენ შეძლებისდაგვარად ვაკონკრეტებთ ზეკაცის განზომილებებს, უნებლიეთ ერთ შეურყეველ ჭეშმარიტებამდე მივდივართ ყველა: ეროვნება არა აქვს მ ხოლოდ ცხოველს. ეროვნულობა მარტოოდენ ადამია- ნური განზომილებაა, რომელიც ერთგვა რი საფეხურია ცხო- ველურიდან უფლისე- ულისკენ მიმავალ გზაზე — იგივე პიროვნულიდან ზეპიროვნულისკენ. ეროვნება არც უფალს მოეპოვება, რადგანაც იგი ორივე, მამაკაცურ-დედაკაცური საწყისის ერთდროული შეზავებაა. ეროვნულობა ჭურჭელია საზოგადოებისათვის, რომლის მეშვეობით უდანაკარგოდ მიიტა- ნება ფასეული ზედაშე უფლის საკურთხეველთან. ჰოდა, რაც მეტი მაღალგანვითარებული ადამიანის კრებული ეყოლება მსოფლიოს, მით უფრო ჩქარა მოვიკითხავთ ,,ჰომო საპიენსის'' ტვინის ნეირონებს, რათა კონკრეტული მატრიცის დონეზე ხელის ერთი

მოსმითავითვისოთკოსმოსი, თორემ 16 ათასი კილომეტრწამითმსწრაფველობა უსასრულოსივრცეშიდიდი ვერაფერი ბედენაა, როცა 300 000-იც კამეჩის ზოზინია 27 მილიარდ წელიწადში მოსახილველი სამყაროს გრანდიოზულობით!

ააკაშვილი მართებულად ხედავს პრობლემის უმთავრეს მაგისტრალს — ,,დიდი აბრეშუმის გზა'' საშუალებაა ოდენ მსოფლიო ძალისხმევის საქართველოსკენ შემოსაბრუნ ებლად, თორემ უძირითადესი მიმართულება, ცხადია, ადამიანის ტვინია, მისი აზროვნების უნარი, ინტელექტი, ცნობიერება, მრწამსი და ამ გაწონასწორებული საზოგადოების მეშვეობით, სრულიად გამორჩეული ფასეულობების დაწინაურებაკაცობ- რიობის საკეთილდღეოდ.

სიტყვისთვის, 300-400 ქალ-ვაჟით დაფუძნებული მატ- რიცა 25 წლის შემდეგ სულ ცოტა 50 000-ამდე გაიზრდება პრობლემების მოსახსნელად ქვეყნის შიგნით თუ მის ფარ გლებს გარეთ, ხოლო ამნაირი 3-4 მილიონი კაცობ- რიული ახალგაზრდა მოსპობს არათუ საზოგადოებრივ დაპირისპირებებს პლანეტაზე, არამედ საკუთარი სულიდან განსწავლულ ქვეყნიერებას გზას გაუხსნის დაუსაბამო კოსმოსისაკენ. მაგრამ შესაძლებელია კი ამისთანა ინდივი- დების ჯგუფის ჩამოყალიბება? ან ვინ მოახერხებს მათ დარაზ- მვას ზოგადკაცობრიული ინტერესებისაკენ?! ცხადია, პიროვნება, ან პიროვნებათა ჯგუფი, რომელთაც მუჰ ამედის თქმულისამებრ მკვიდრად ჩაუბღუჯავთ მაგარტარიანი დანა იგივე ბუნების კანონების ცოდნა; იგივე უფლის ხატად და სახედ მოვლენილი ადამიანის მართებული წაკითხვა, რომელიც ერთი მიმარ- თულებით მიასწრაფებს უარყოფით-დადებით ემოციებს ჰარმონიული არსებობი სათვის. თუმცა არსებობა ჯერაც არ ნიშნავს ყოფნას და მით უფრო — სუფევას.

ჩვენ, ქართლოსიანები, პროტოიბერიული რასა, რომელიც ათასწლეულებია მივჯაჭულვართ კავკასიონის ქედს, პირინეებს — ბასკებივით და ბრიტანეთს — ირლანდიელებსავით; ვინაც აქამდე წარმატებულად მოგვიხდენია მატერიალურ-სულიერ ფასეულობათა სინთეზი და ძე-ხორციელის სხეულის წკნელივით გვიმართავს კომპიუტერების, ტელესკოპების, მიკროსკოპების თუ ათასი სკოპიის უქონლად; ჩვენ, პროტოიბერიელებს, ვისაც მაგელანების ჟინით აღმოგვიჩენია ჩვენივე სხეულის ნაწილი — მაიას ტომის ცივილიზაცია, (ლ)აკკეტები — (,,ლაც'' წყალი სვანურად, ი. კვეკვესკირი); ასე შემდეგ და ასე შემდეგ, ამასობაში უმოწყალოდ ვიკორტნებოდით ზევსის არწივის ნისკარტისაგან; ჩვენ, პროტოი- ბერიელები, რომელთაც მონობის ბორკილებს პერმანენტულად გვიფოლადებს ინდოევროპელთა სამსახურში შემდგარი შინაური მოყვარე — მეხუთე კოლონა; ისევ და ისევ შუალედური შთამომავლო- ბა გვიხსნის ფიზიკური განადგურებისაგან და უნებლიე სიკე-თის საფასურად გავუხსნით კიდეც დაბეჭდილ საიდუმლო წერილებს, რომელსაც კირბებზე, ოქროს საწმისზე, პალადი- უმზე, გრაალის თასსა თუ ფილოსოფიურ ქვაზე გადავ- რგავთ მწიგნობარი მარგალები; ჰოდა, ამ სამიათასის დამდეგს მამლის მესამე დაყვლებასავით ვაუწყებთ უფლის ხორციელ გამოცხადებას ჩიხში შესულ მსოფლიოს:

— კაცობრიობის გადარჩენა მარტოოდენ იბერიულ-კავ- კასიური რასის შემწეობითაა მოსახერხებელი, რადგანაც ამ ეთნოსში ზედმიწევნითაა პროექცირებული სამყაროისეული ცოდნა ათასწლების მანძილზე. ახლა მეტი ყურადღების გამახ- ვილებაა საჭირო იმ ასპექტებზე, რომლითაც ჩვენი მოგვები და ქურუმები ახერხებდნენ კაცობრიული სულის, იგივე ღვთი- ური ცეცხლის შენახვას. დიახ, კაცობრიობის გადარჩენის მატრიცა პროტოიბერიულ ეთნოსშია დასინთეზებული. ამჯერად უპრიანია ამ მოძღვრებისადმი უნდობლობის მუხტის ჩამოშორება, დინების აღმა მსწრაფველის იარლიყის ჩამოხსნა და მოვლენების წარმართვა იმ სიმწყობრით, რასაც ბუნე- ბაში არსებული რეაქტორის — ადამიანის მართებულად ამუშა- ვება მოითხოვს; რასაც იგივე მატრიცის ჰარმონიული წრებ- რუნვები საჭიროებს ჯერ თავად ინდივიდის სინქრონიზაციის მისაღ- წევად, მერმე — სრულიად კაცობრიობის გასაწონასწორებლად, რათა შემდგომ და შემდგომ გალაქტიკათა ქარავნებს გადავ- წვდეთ უსასრუ ლო კოსმოსის ნემსის წვერზე დასაბინავებლად, მაგრამ, როგორც იტყვიან, თან — საქმე.

ოსტატი და მორდია

ჩემს პარფიუმეიელ ძმობილს ანგეოლოგიური პრობლემები დარევს ხელს. შემოვივლით კლინიკების წყებას და არჩევანს მაინც აკადემსიკოს ბოხუას სახელობის სისხლ-ძარღვის ინსტიტუტზე შევაჩერებთ. ჩავლილია ანალიტი- კური პროცედურები. თავსაყრელადაა დრო რუსთა ველზე სახეტიალოდ. ვესტუმრებით მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხატვრების გარჯილობებს. მეუფე ელიზბარი (ოდიშვილი) ახალ განზომილებას გვაზიარებს ქვაშუეთის ეკლესიაში და აწ მიშველია ძმობილი პირწავარდნილ მორდიად მომევლინება, ,,კრიოსტნი ატეცად'', ნათლი მამად.

გული ძველებურად ბატონი გოგი გაჩეჩილაძისაკენ მიმიწევს. შევმყუდ როვ- დებით იქ ქალაქის ქუჩებში ხეტი- ალით დაქანცულები.

კოლხი დიასახლისის, ქალბატონ მაია რაფავას, სახე- ლდახელო სადილი და ღვინო საუბრის საღერღელს აგვიშ- ლის. მსჯელობა ძირითადად მატრიცის მიმართულებისაა. პალადიუმის განსაზღვრა, ანუ გენოფონდის

მოძიება ერის წიაღში, საუკუნოვანი ოთხი ხელისუფლების ზიგზაგიანი პოლიტიკის ახლოით განჩხრეკა, რადგანაც მათგან ერთსაც არ აღმოაჩნდება პრაგმატული პასუხისმგებლობა ბედკრული სამშობლოს წინაშე. მოდიან პარლამენტში შარახვეტიები, ავტორიტეტები და დახლიდარები, როცა ღვთაებრივი უნა- რების აღმაშენებელს — ხუცეს-იოანეს, წლობით წვრთნის სახელმწიფოკაცად — პალადინად ქურუმი-ჭყონდიდელი. დავულაგებ წინ მატრიცის შექმნის არგუმენტებს ბატონ გოგის და ჩემს ოსტატსაც თვალები გაუბრწყინდება.

— საკვირველი არაფერიაო, — იტყვის მღელვარედ, — გავიხსენოთ ქუჯისა და ფარნავაზის ეპოქა, როდესაც უპო- ვარ ადამიანს არათუ შეივრდომებს ეგრისის მეფე, არამედ ხელმწიფედაც აღიარებს და ეყმება. მთელი საიდუმლოც აქ არის ნამდვილად, ვინაიდან იცის ქუჯიმ საქართველოს გეოგრაფიული უპირატესობების შესახებ: ვინც ქართლს ფლობს, მთელი ევროპა-აზიაც მისია. ამას წინათ მგელაძის წიგნს გადავეყრები, სადაც ამნაირ საოცრებას ამოვიკითხავ: სტალინთან შეხვედრისას, სასხვათაშორისოდ ჰკითხავს დიდი ცივილიზაციების იავარქმნის ფონზე ქართული ცხოველმყოფელობის საიდუმლოს და იცით თურმე რას ეტყვის ჩვენს ფუნქციონერს გენიოსი პიროვნება? — მასპინ ძელი გამომცდელად გვიმზერს ორივეს, — მთები და ელასტიკური პოლიტიკის ხელოვნებაო. — გასუსუ- ლები მივუგდებთ ყურს ბატონი გოგის ხავერდოვან ხმას.

— აგერ, ხელთა მაქვს ჩინური ომების ენციკლოპედია, — იტყვის რაღაც ტერმინს, მაგრამ გამომიფრიალდება გონებიდან. ჩამწერი ჩანთაშია; ღილაკს აშკარად რომ დააწვე საუბრის ბუნებრივობა დაიკარგება. არადა, ფარულ ჩხირკედელაობას რანაირად შეკადრებ სულის თანაზიარს?! ეგ არის გადმოვუღებ ჩინებულ გამოცემას. ფურცლავს და თან მიყოლებით აყალიბებს ქართული სახელმწიფოებრიობის ოთხ საკვანძო დებულებას, რომელთაგან განსაკუთრებული ერეკლე მეფის ფენომენია.

— არავინ მიაქცევს ყურადღებას პატარა კახის კონგენიალურ ჩანაფიქრს, რომელიც ქართული სახელმწიფოებიობის რუსეთის შემადგენ- ლობაში ფორმირებას და გამოცალკევებას ითვალისწი- ნებს. თუმცა უფრო მძვინვარე მტერი არავინ აღმოაჩნდება რუსეთს, ვინემ თვითონაა. — წიგნების თაროს მიაშურებს. ამჯერად ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსს მოიმარჯვებს და შთაგონებული კითხულობს სტრიქონებს უმადურ ჩრდილოეთზე. მე უკვე საფუძვლიანად შემისწავლია ბატონი გოგის ეროვნული კონცეფცია, მაგრამ სულში ვახტანგის მისით მონუსხვა მიღიტინებს. — ჰოდა, საქართველოს დამკარგავი რუსეთი გაიშლება მხრებში ვითომ?! ჯერ კიდევ 90 წელს ამერიკაში ყოფნისას დამისვამენ შეკითხვას, თუ რას მოიმოქმედებს საქართველო აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაკარგვის შემთხვევაში. მე მაშინ სიღრმისეულად ვერ გავაცნობიერებ ამ შეკითხვას და გაოცებული ვიტყვი: **რა მნიშვნელობა აქვს ორასწლიანი პატიჟრობის მოხდას, თუკი მარცხენა ხელსა და მარჯვენა ფეხს მოგაჭრიან განთავისუფლებულს-მეთქი**. იქ ისევ დამიკონკრეტებენ შეკითხვას: **მისტერ, გიორგი, ჩვენ გეკითხებით საქართველოს რეაქციასთ**. და მეც არ დავაყოვნებ: **კონფრონ- ტაცია, ომი-მეთქი**. **აი, ეს გვაინტერესებდა ჩვენცო**, მოსჭრიან და რა ბატალიებსაც გადავიტანთ შემდგომ, სათქმელად არც ღირს. რუსეთი დაიშლება ბიჭებო, რაც ჩვენს ინტერესებში სულაც არ შედის, მაგრამ შეხედეთ, საქართველოს დამკარგავი ჩრდილოეთი როგორ შეელევა შუა აზიას?! თქვეს ამერიკელებმა: **ბევრს თუ გააჩმახებს რუსეთი, შევუშვებთ მის ძარღვებში ჩინურ სისხლს და ამით ყველაფერი მორჩებაო.** — აქ ვეღარ გაუძლებს ბაგემდუმარებას მორდია და ამეტყველდება ერთიანად ამბროზიულ ნათელში ამოვლე ბული:

— ახლა მოსკოვს ვეღარ იცნობთ ბატონო, გიორგი. იქ მიყოლებით ჩნდება ჩინური კედლები, ჩინური ზაბეგალოვკები. მოკლედ, მაგრად მოიკიდეს ფეხი.

— ეტყობა პირველი სიმპტომებია, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, ხელს არ გვაძლევს რუსეთის დაქუცმაცება, იმისდა მიუხედავად, რომ ორსაუკუნოვანი თავგადაკ ლული ერთგუ ლება ვერავითარ სიკეთეს გვარგუნებს ჭირ-ვარამის გარდა. სტალინი გძნობს უცხო თვალის მეშვეობით მოპოვებული თავისუფლების სიგონჯეს, ძმებო და სინდისი ქენჯნის ამის გამო. გავიხსენოთ მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიები. ორი კინოსცენარი შეიქმნება გიორგი სააკაძეზე: გიორგი ლეონიძის და ანტონოვსკაიასი. სტალინი ამ უკანასკნელს მიანიჭებს უპირატესობას, ვინაიდან გოგლასეულს მხატვრუ- ლად გაუმართავს და პოლიტიკურადაც ახლომხედველურს უწოდებს, რამეთუ შეუძლებელია უცხო ქვეყნის სამხედრო ძლიერებით სამშობლოში მოსული იმარჯვებდესო. ჩვენ ყოველთვის და ყველგან გარეგანი ძალებით ვამჯობინებდით შინაური პრობლემების მოგვარებას, როცა ქვეყნის შიგნითაც ჩინებულად შეიძლება გადარჩენის სახსარის მოძიება. აქ შეუდარებელი ერეკლე მეფეა, რომელიც რუსეთის შიგნით გამრთელიანებითა და გამოყოფით აღმოაჩენს ჩვენი გადარ- ჩენის ერთადერთ საშუალებას.

— ბატონო, გიორგი, — ისევ ახმიანდება ვახტანგ მიშველია, — სამოცდათხუთ- მეტში დიდი კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ ზვიადის შევიწროვებას აშკარად მიჰყოფს ხელს ,,კაგებე''. მე მახსოვს ბატონი კონსტანტინე ,,ლეჩკომბინატში''. იქ სტუდენტები ღამეებს ვუთენებთ შეუდარებელ

შოთა მესხიას. დიდი მეცნიერი აგონიაშია. თაკარა ზაფხული სულის შემხუთავად ტრიალებს პალატაში. ავადმყოფი ხალვათადაა, ტიტლიკანა. მხოლოდ ზეწარი აფარია და ამისთანა ვითარებაში შემოვა ჩია ტანის მწერალი კეხიანი ცხვი- რითა და ვეება გიშრის ბეჭდით სალოკ თითზე. მახსოვს, ღიმილით მიუახლოვდება სარეცელს. აუწევს ზეწარს, შიშველ სხეულს დასტაქარივით მოუსინჯავს ავადმყოფს და ეტყვის: ქალებში როგორ გაქვს საქმეო. რა დროს ქალებზე საუბარია, როცა რამდენიმე წუთის სიცოცხლე დარჩენია ადამიანს, მაგრამ გენიოსის ბუნება სასოწარკვეთას არასდროს მიეცემა. მე ზვიადის დიდი გულშემატკივარი ვიყავი. სულ კუდში დავდევდი, მალულად ვავრცელებდი აკრძა- ლულ ლიტერ- ატურას, დისიდენტურ გაზეთებს. აგერ, გულადიც დამემოწმება, კიდევ სხვა მრავალი, თუნდაც ემზარ სვიმონია... მაგრამ როდესაც აღსარების, მონანების ტექსტით წარსდგება ერის წინაშე და უცხო- ური პრესის კაპრიზების მერეც არაფრით მოიშლის ამ ცდომი- ლებებს, ერთ სიკვდილს იქ გავათავებ. იქ გადაეწურება ასპარეზი ჩემს ახალგაზ- რდულ ოცნებებს. დავქვეს- კნელდები. მას აქეთ ეროვნულ მოძრაობას განვერიდები და წარმოიდგინეთ, პარტიის რიგებშიც შევალ, ვინაიდან იდეალი დამემსხვრევა. თუმცა ახლა რომ ვაანალიზებ ჩავლილ პერიოდს, ჩანს, გამსახურდიას შინაგანი კომპრომისი ერთგვარი მომენტი იყო უფრო არსებითის გადასარჩენად. გავერი- დები ყველას და ყველაფერს. ეროვნული მოძრაობის ბუმის ხანაში მამარ- დაშვილი ამოტივტივდება რუსულ მედიაში.

— ჰო, საქართველო მანამდე არ გახსენებია. მერაბი ნიჭიერი ფილოსოფოსი გახლდათ, მაგრამ ზინოვიევის ცნობით, ფილოსოფიის ინსტიტუტი **სუკ**-ის დაკვეთებს ასრულებდა უმეტესწილად, ხოლო მამარდაშვილი ამ წიგნში ,,მისლი- ტელადაა'' მოხსენიებელი. მოკლედ, ეს მოაზროვნე ოთხ გასაოცარ დებულებას ამოაფრქვევს თავისი კრატერიდან. პირველი ისაა ჩემო ვახტანგ, რომ ზვიადს იქამდე გაუმწარებია თურმე ფილოსოფოსი კაცი, დაურიდლად აცხადებს: **თუკი ქართველი ხალხი გამსახურდიას აირჩევს პრეზიდენტად, მე წავალ ქართველი ხალხის წინააღმდეგო.** მეორე მისი ავად- სახსენებელი დებულებაა: **ჯერ დემოკრატია და მერე — თავისუფლება.** შეხედე, ფილოსოფიური სიმწყობრის როგორი აღრევაა?! თავისუფლების ალტერნატივა მონობაა, დემოკრატია კი — მიღწევის საშუალება, ანუ სრული დომხალია მეთოდოლოგიურად. ამას დავუმატოთ მთლად ძარღვების ამშლელი პოსტულატი: **ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას საშობლოზე.** შენ რა აზრისა ხარ ამ თვალსაზრისით?!

— მე? — ვახტანგ მიშველია აშკარად დაიბნევა. არ იცის მორდიამ საიდან შეუდგეს აღმართს. ერთ ხანს სიჩუმე დაისადგურებს წიგნებით დაყურსულ გარემოში და უცებ ჯიუტი სიკერპით მიაჩერდება ჩემს ოსტატს, — აქ კი ვერ დაგეთანხმებით, ბატონო, გიორგი. გააჩნია რას ვგულისხმობთ ჭეშმარიტე- ბის ქვეშ, რომელ ჭეშმარიტებაზეა საუბარი.

— პირველი ქართველი ხარ, ვინც ასე მართებულად მიუდგები საკითხს. მომიტევე ერთგვარი ეშმაკობისათვის. არც მე დამიკონ- კრეტებია ჭეშმარიტების საზღვრები. იგულისხმება ღმერთი.

გაჩეჩილაძეებს სტუმრები მოუმრავლდებიან. ქალბატონი მაია წარამარა გვაუწყებს მათ სადაურობას და, ვატყობ, ჩვენს საუბრს ცაიტნოტში მოუწევს დასრულება. მაგრამ უმთავრესი გარკვეულია, რომ **უცხო ქვეყნების სამხედრო ძალიერებებს დაყრდნობილი ეროვნული ხელისუფლება ვერასდროს მოიხვეჭს საშვილივილო იდეალს**. აქვე ისიც გაცხადდება, რომ **შემორან- დუმის ტექსტს პრეზიდენტის ხელმოწერა დღემდე ვერაფრით ღირსებია**. ჩანს, მიხეილ უდრეკელი თბილის-ბათუმის თავზე ხუთჯვრიანი დროშების აღმართვაზე უფრო მნიშვნელოვან თარიღს დადარაჯება. აქედან გამომდინარე, მრავალი პოლიტორგანიზაციის ჩუჩუნის მიუხედავად, ეროვნული კონსოლიდაციის საკითხიც ჯერაც თავმოუბ- მელია. კიდევ რა გვაქვს სანუგეშო, გულის მოსაოხებელი?! არაფერი არსებითი, არაფერი იმედის მომნიჭებელი და რადგანაც პალადიუმის ნიუანსებზე ზემოთ საჭიროზე მეტად გვისაუბრია, ერთგვარ შეჯამებასავით დავასკვნი:

— მატრიცა, ბატონო, გიორგი!

— ჰო, მატრიცა! — კვერს მიკრავს უმეტოქო ოსტატი.

—მატრიცა!—შურდულივით მოსხლეტილია სწორ- უპოვარი მორდიაც.

— მატრიცა, ძვირფასებო, თუნდაც იმისთვის, რომ ჩვენ ლამის საუკუნის მანძილზე ოთხ ეროვნულ ხელისუფლებას გამოვიცვლით და თაგვის კუდისხელაზე ვერ განვახორციელებთ ეროვნულ საქმეებს. რაც მთავარზე უმთავრესია, ჩვენ ვერ მივაღწევთ ეროვნულ თანხმობას და სინდიყივით დაფანტულებს ჰამლეტის დროინდელი დანიის ყროლების შეყნოსვა გვსი- ამოვნებს. ჩვენს სინამდვილეს ვეღარაფერს უშველის ვახტანგ მიშველიას ტონობით ნელსაცხებელი, ,,კენზო'' თუ ,,ალ კაპონე''... ჩვენ მივაღწიეთ ზღვარს, რომლის იქით სელინჯერის თვალუწვდენელი ხრამია რომანიდან ,,თამაში ჭვავის ყანაში''. ჩვენ მივენდობით ეშმაკის ბრჭყვიალა ანკესებს და თაკარა მზეზე ვსხმარტალებთ უკლებლივ. ჩვენ სრულფასოვნად ვიმსახურებთ ჯოისის სიმწრით დაკვესებულ სიტყვებს: **ირლანდია არის ღორი, რომელიც საკუთარ შვილებს ჭამს**. არა, ჩვენ გადა- ვასწრებთ დუბლინელ კინჩს და მიყოლებით

დავემსგავსეთ რვაფეხას, რომელიც შიმშილის ფაზაში საკუთარ საცეცებს მიაცხრება ხოლმე: ჯერ ერთს, მერე — მეორეს და მესამეს, შემდეგ — მეოთხეს, მეხუთეს, მეექვსეს, მეშვიდეს, მერვეს და ბოლოს პირში გამოსავლები რომ არაფერი დარჩება, დაეგდება ფუტურო კუნძივით ოკეანის ფსკერზე. მაგრამ საშვ ელი ყველგან არის და ეს საშველიც უწინარესად ამირანია, მორდიავ და ოსტატო, პრომეთე — ქართული პოლიფონია, ,,ხორუმი'', ბერი თევდორე, ექვთიმე თაყაიშვილი, პროფესორი ჟორდანია, გია აბესაძე... კიდევ ათასი ხილულ-უჩინარი მეხამრიდი — ჩვენს ბუნებაში არსებული, სწორედ იმისთანა პალადინი, როგორიც ტარკოვსკის ,,ზარების'' გმირი ყმაწვილია კინოფილმიდან ,,ანდრეი რუბლოვი:'' მონგოლების ურდოები გადაშენებულან სისხლისაგან დაცლილი რუსეთიდან, მაგრამ შერყვნილია ეკლესია-მონასტრები, ფრესკები, ხატები... დალეწილია ზარები. და ამისთანა ვითარებაში ერის წიაღში დაიბადება მათი აგუგუნების მოთხოვნილება. თუმცა, დახეთ, ამის მცოდნე ერთადერთი ოსტატი გარდაცვლილია და ხალხიც საგო- ნებელში ჩავარდნილა. ამგვარ ვითარებაში, ამნაირ დროს, მხოლოდ სწორუპოვარი ხელოსნის ბიჭიღა არ იტეხს იხტიბარს და მამის აღსასრულებელ საქმეს წარბის შეუხრელად შეეჭიდება. არის გაქანებული შრომის დინამიკა: ვის აყალო მიწა მოაქვს; ვინ ტყეს გაკაფავს ნახშირის მოსაპოვებლად; აგებენ ხარაჩოებს. ბოლოს საერთო ძალისხმევით როგორღაც ჩამოასხამენ ზარებსაც და აჰა, აგუგუნდებიან ისინიც მონგოლ-თათართა ორსაუ- კუნოვანი ბატონობით შეწკვარამებულ ცაზე. ზეიმობს ყველა. მხოლოდ ახალგაზრდა ოსტატი შეუპყრია მელანქოლიას — გულამოსკვნით ტირის ეკლესიის ყურეს მიყრდნობილი. მოგვიანებით ვინმე მოხუცთაგანი ჰკითხავს ყმაწვილს ამნაირი გულჩვილობის მიზეზს და ყრმაც უშურველად გაიღებს ხმას: — ზარების ჩამოსხმისა მე არაფერი გამეგებოდა. ეს თქვენ, ხალხმა, საზოგადოებამ მოიმოქმედეთ ყოველივეო. ამასობაში სამრეკ- ლოების გუგუნი მდინარის ყინულივით დაძრავს სრულიად რუსეთის ქედუხრელ სულს. დიახ, ზარებია ჩამოსასხმელი ოსტატო და მორდიავ! ახლა ტარკოვსკის სამრეკლო და გური ოტობაიას მატრიცა ერთი და იგივე ღონე-სახსარია — ერის გადარჩენის წამლის საკუთარ წიაღში მოძიება. ,,ვარდების რევოლუცია'' სულზე მოუსწრებს ლპობაშეყრილ ჩვენს სხეულებს: ოქროსფერი აღგვანთებს მრავალ დამტვერილ მონუმენტს, მაგრამ გარდუვალი კათარზისი ბიუსტს და ტორსს დაამსგავსებს ბევრ პატივმიგებულს, თუმცა ხომ განვიწმინდებით უმეტესი თხემით ტერფამდე?! და ამიერიდან, ამ საშვილიშვილო პროცესის ღალატი არ აფრით იქნება!

— მატრიცა! ზარები! — თავაწეულია შეუდარებელი ოსტატი, ბატონი გიორგი გაჩეჩილაძე.

—ზარები! მატრიცა! — ხელებს იფშვნეტს აფორიაქებული ,,კრიოსტნი'', ნათლიმამა ვახტანგ მიშველია. ცოტა ხანს სამივე გავირინდებით. უხილავი შორეთიდან წამით გამოჟო- ნავს პრეისტორიულ-პრომომავლური ხმიანება, რომელსაც თავ-ბოლოს ძნელად უპოვი. რაღაც უსაწყისო განზომილების ანასხლეტია, დაუსაბამო, ჰაერის მიერ მკვიდრად შენახული საუნჯე.

— **მატრიცა ხალხნო და ჯაბაათნო! მატრიცა , ბეჭურაზებო! მატრიცა-მეთქი, დედულ-მაჭულო!**

ამნაირი კავშირია ტვინის ნეირონებს შორის და რა თქმა უნდა — მთელს სამყაროში. ყოველი ნაწილაკი ექვსი მიმართულებით უკავშირდება გრანდიოზულ სიდიდეებს და პირიქით. შინაგანის თუ გარემომცველის მატრიცა ჩვენს ხელთაა. სექსტაგონი ფაქტობრივად იდეალური ადამიანის თავის ქალაა და ჩვენც სრულიად შეგნებულად მეზოკრანიულ





ᲛᲖᲔ, ᲘᲛᲘᲕᲔ ᲪᲐᲑᲐᲝᲗᲘ

ᲣᲙᲐᲜ ᲛᲘᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲙᲕᲔᲗᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲘᲡᲔᲑᲣᲠ ᲝᲠᲔᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘ, ᲑᲣᲓᲐ, ᲥᲠᲘᲡᲢᲔ — ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ.

ᲛᲖᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲘ ᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲡ

ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲡ



იოანე-ზოსიმე

ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

ამარხულ არს ენაი ქართული
დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა,
ყოველსა ენასა ღმერთმან
ამხილოს ამით ენითა.
და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა
ამას ენასა ლაზარე ხქვიან!
და ახალმან ნინო მოაქცია და ხელენე
დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამ და მართაი,
და მეგობრობაი ამისთ ვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმ-
ლო ამასა ენასა შინა
დამარხულ არს.
და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინას
წარმეტყუელმან რამეთუ
„წელი ათასი – ვითარცა ერთი დღე“,
და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო
მათჰესსა წილი ზის, რომელ ასო არს და იტყვის ყოვლად
ოთხ-ათასსა მარაგსა,
და ესე არს ოთხი დღე, და ოთხისა დღისა მკუდარი,
ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა
ნათლის-ღებითა უფლისაითა,
და ესე ენაი შემკული და კურთხეული
სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული,
მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისა,
და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი
უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან დღესამომდე.
და ესე ყოველი, რომელი წერილ არს,
მოწამედ წარმოგითხარ, ესე წილი ანბანისაი.

X-XI ს.

ფესტოსის დისკო
გახსნილია

ფესტოსის დისკო
გახსნილია

ავერსი

აია, ჭაბუკნო, გამწმენდელნო
დაფარული ტაძრისანო,
(ლაბირინთი)
აია ჭაბუკნო, სადარნო
გამწმენდელნო დედის კარის,
დაფარეთ თაღი
გაღვთიურებულნო!
ქვეყნის სიმაღლისანნო,
(სიცოცხლის ძალნო)
წინმავალო კორიბანტნო,
(მფარველნო ანგელოზნო)
ქვეყნის სიმტკიცენნო (შემწენო)
ჰქმენით დაფარული ტაძარი,
(ლაბირინთი)
ქვეყნის სიმტკიცენნო (შემწენო)
მარადმავალნო კორიბანტნო,
(მფარველნო ანგელოზნო)
გარდაჰქმენით აიას სიცოცხლე
ყველნაირად.
შუაღამის მთვარით
განათებულნო,
დედის ქვეყანა მუდამ
დაფარეთო,
დაასხნით ხელნი ბრუნვა-ფარვა
სხივოსანნო ფარავნო,
ოჯახის ფუძის, ჯიშის სვლა-
ბრუნვის განამწმენდელნო.

დასასრული.

აგაბგშგფგ | მაგჩხგ | გრჩხგმფგ
ნენგ ქგნგქგფგრგჩგ |
აგაბგშგფგ | ნეშკარგ |
მაგჩხგფგრგცო |
ფგრგქგ |კაგრგანა |
ქგნგგაგრგგრგქგნფგრგცო |
ქგაშქგქგფგრგცო |
წგშმგლო გარგფგნგქნგცო
ქგაშქგ ქგფგრგცო
რგჩხო |
გრჩხგმფგნექგნგფმრგცო |
ქგაშქგ ქგფგრგცო |
გკგშმაგლო | გარგფგნგქნგცო |
შქგფაგ | აგაშრგგრგფგრგცო |
თგფაცგმაგ | ნეკაცგფგრგცო |
ხგდგქგნგ | ფგრგთგწაქგნგ |
ჩხოთამაფგრგცო |
სკაჯგლგჯგლგ | თგშწალგჯგ |
ფგრგთაფა |
გაშმაგჩხგფგრგცო |

ლგა

რევერსი

ოჯახის წყაროვ, სულო
მშობელო,
მოდგმის ნენანავ,
ააყვავე ხუთი შტო, მშვენი,
ჯიშის სიწმინდით, ახლით
ნარშემოსილი
ერთო ძლიერო შტოვ,
ოჯახის წმინდავ ძლიერო,
თაურო ხუთი შტოისა,
მფარველ სხივოსანო
ნანალმერთო, (დედალმერთო)
წინაშძღოლო,
ხანგძელ ჰყავ დედის ტაძარი
(სპილენძისა),
მაყვავებელი თარხონო,
ნათელო ჰეფესტოო,
(ოსტატღვთაებაო)
მდნობელო წინაშძღოლო,
განმწმენდელსხივოსანო,
დაფარეთ მისი მოგიზგიზე
სასახლე, —
ჩვენო მჭედელო,
ახლით მოსილო მთვარისნაირო.

დასასრული

თგშწთ | ნგშგრგსკალგ |
თგრგნენანაცო |
თგგაფაგენქგ | ხგშთგცაჯგგე |
ფაგარგთგ | თგშწათგ |
ნეგათგ
ნგრგსკაქგნგ |
ცარშთგცაჯგლგგე |
თგშწაჯგლგ | ჩხგხგჯგლგ |
ხგშთგცაჯგგე |
მაგქგნგნქცო |
ჩხოფაგგრგნენანა |
მაგჩხოლგჯგ | გაგხა |
ნეოფაფალგჯგ
მაგაგანგქგნგ | თაცაქგაცო |
ნეთაფათგ | ნგხომფგნე |
გამაგჩხგთგა | ჩხოფაგმაგჩხგ |
მგშგარგხა | ფგრგოფაჩხო |
ქგრგნგგეჩქგშრგმფგგცო |
ნეთგწაქგნგ | თგთაგეფგრგცო |

ლგა

მათემატიკოსი
გია დ. კვაშილავა
giakvashilava @ yaho. com

ლინჯი (მეგრ.) — **სპილენძი**
ნანა (მეგრ.) — **დედა**
ნე — **მდედრობითი სქესის ნიშანი**
ნეოფაფალენჯი — **დედის სპილენძის (შესაკრებელი) ადგილი**
ოლუ (მეგრ.) — **სავალი გზა; ULU ინდოევროპულად არის — ტრიალი, ბრუნვა**
ორონე (ძვ. მეგრ.) — **ღმერთი**
ოფაფალი (მეგრ.) — **ბევრი ხალხის შესარებელი**
ფურკი (მეგრ.) — **ცეცხლი** (კვამლი, გ.ო.)
ჩხოფა (ლაზ.) — **სიცხე**
ჩხომოლაფა (ლაზ.) — **ბრწყინვა**
ჩხორია (მეგრ.) — **სხივი**
ჩხონა / **ჩხანა** (მეგრ.) — **ეზე** (მზიანი დარი, გ.ო)
ჩხოფა ორონე ნანა — **გაბრწყინებულ / გასხივოსნებული დედა ღმერთი„**

ფესტოსის დისკო“ 1908 წლის 3 ივლისს იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ კუნძულ კრეტაზე საარქეოლოგო ქალაქ ფესტოსში აღმოაჩინა. იგი დათარიღებულია ძვ. წ. აღ 1850-1600 წლებით და წარმოადგენს თიხის ფირფიტას, რომლის დიამეტრიც დაახლოებით 16 სანტიმეტრია. ამჟამად დისკო საბერძნეთში, კრეტის მთავარ პორტ-ქალაქ ჰერაკლიონის არქეოლოგიის მუზეუმში ინახება. (III გალერეა, 41-ე ყუთი, № EP-1358).

1992 წელს ვლადიკავკაზში 1880 წელს აგებულ შენობაში იპოვეს „ფესტოსის“ დისკოს მსგავსი თიხის ფირფიტის ფრაგმენტი (დიამეტრი 10 სმ.), რომლის შესახებაც ვლადიმერ კუზნეცოვმა მეცნიერული გამოკვლევა გამოაქვეყნა.

დისკოს მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერები: სერ არტურ ევანსი, ელ კობერი, ინგლისელი არქიტექტორი მაიკლ ვენტრისი (რომელმაც გაშიფრა მიკენური ბერძნული, ანუ B ხაზოვანი დამწერლობა) და სხვები იკვლევდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავსტრიელი მოყვარული ენათმეცნიერის ჰერბერტ ძებიშის ჰიპოთეზა „ფასტოსის დისკოს“ სავარაუდო ენის თაობაზე. მან 1988 წელს ბუდაპეშტში, ეირენის კომიტეტის მე-18 საერთაშორისო კონგრესზე განაცხადა, რომ „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა ქართულია.

ასავალ-დასავალი, 2006 წლის 13-19 ნოემბერი, №46, (636)

ფესტოსის დისკოზე ამოტვიფრულია 61 სიტყვა და ფესტოსის დისკოზე ამოტვიფრულია 61 სიტყვა და 244 ნახატ-ნიშანი, რომელიც ფირფიტის ორივენ მხარეზე ოქროს ყალიბით არის დაბეჭდილი. ეს ტექსტი გია კვაშილავამ მის მიერ შემუშავებული მათემატიკური მეთოდებყით წაიკითხა, რომლის შედეგადაც იგი ადასტურებს რომ:

1. კოლხი კორიბანტების (ალბათ, კირიბანტების, გ.ო.) მიერ შექმნილი ,,კირიბიშის'', ,,კირიბის'' ანუ წერილ-ფირფიტის — ,,ფესტოსის დისკოს'' წარწერის ენა ქართველურია.

2. კირბებზე ამოკვეთილ წარწერას ,,კირიბიში'' ეწოდება, სიტყვის ფუძეა კირიბი, რაც მეგრულად კრავს ნიშნავს. იგივე ფუძისგან ნაწარმოებია სიტყვა ,,დოკიროიბუა'' , რაც მეგრულად ამოტვიფვრას, ამობეჭდვას ნიშნავს.

გია კვაშილავას მტკიცებით დისკოზე აღბეჭდილი ნახატ-ნიშნები ,,კოლხური ოქროდამწერლობაა''.244 ნახატ-ნიშანი, რომელიც ფირფიტის ორივენ მხარეზე ოქროს ყალიბით არის დაბეჭდილი. ეს ტექსტი გია კვაშილავამ მის მიერ შემუშავებული მათემატიკური მეთოდებყით წაიკითხა, რომლის შედეგადაც იგი ადასტურებს რომ:

1. კოლხი კორიბანტების (ალბათ, კირიბანტების, გ.ო.) მიერ შექმნილი ,,კირიბიშის'', ,,კირიბის'' ანუ წერილ-ფირფიტის — ,,ფესტოსის დისკოს'' წარწერის ენა ქართველურია.

P. S.

,,ფესტოსის დისკოს'' გაშიფრვა ბატონ გია კვაშილავას მიერ, ხელშესახებად ადასტურებს ფილოსოფიაში ფუნდამენტურად დამკვიდრებულ აზრს: ევროპეიდული რასა ქართველებისგან იწყება (ჰ ეგელი). რაც შეეხება იოანე ზოსიმე ,,ქებაის'' მიხედვით ქართული ცივილიზაციის ასაკად გახმოვანებულ 4000 წელს, აშკარა მათემატიკური ცდომილებაა, ამ ცდომილებას თავად ბატონი გია კვაშილავაც ავტომატიურად იმეორებს, ვინაიდან, როდესაც ზოსიმე მოღვაწეობდა, მაშინ X საუკუნე იყო (1000 წელიწადი) ქრისტეს აქეთ, და იმ ხანად ნათქვამი ოთხი დღისა მკვდარი, ანუ ოთხიათასი წლის მიძინებული ეთნოსი, დღეს უნდა აღვიქვათ, როგორც 5 000 წლის ცივილიზაცია (3000 + 2000 = 5 000). მართლაც, გასაკვირი არაფერია, ვინაიდან, ქართული ციმვილიზაცია უნდა ყოფილიყო დანარჩენი მსოფლიოს მკვებავი ქურუმულ-ეზოტერიკული ცენტრი, მომთაბარე წარმართულ ტომთა შემოსევებისაგან მკვიდრად დაცული ადგილი. გაშლილ ველზე მესოპოტამიასა და ეგვიპტეში ამისი მიღწევა შეუძლებელი იყო. კოლხური კირბები, სამკუთხა დაფებზე წარწერილი კანონები, წერილსვეტები, შუმერული სამკუთხედებით შეკრული დამწერლობა და ეგვიპტური პირამიდების ტრიპტიქი ამისი ნათელი დასტურია. დიახ, სათავე, პირველყარო ცივილიზაციათა კოხეთია, აია-ქვეყანა, ქართლოსიანთა ნერჩი **(გური ოტობაია).**

მატრიცის გასაღები

ქართველებს ბერძნები ,,გიორგიოსებს'' გვიწოდებდნენ, მიწის დამმუშავებლებს, იგივე მარგალებს, დამრგველებს პრიმიტიული შეხედულებით. ,,გი'' მიწაა ბერძნულად, ,,ქი'' — შუმერულად, ,,გიმ'' — სვანურად. ,,ან'' — ცაა შუმერულად, ,,ქიანა'' — ქვეყანა მეგრულად. გიორგიოსი ფაქტობრივად მარგალის, დამრგველის ვულგარული ვერსიაა, გამოძახილი იმ ჭეშმარიტი ფუნქციისა, რასაც მწიგნობარი, ასოების თიხის ფირფიტებზე, პაპირუსებზე, კირბისზე დამრგველი ტომი აწარმოებდა.

,,ქ'' — 24-ე ასონიშანია ასომთავრულში — იგივე მბრუნავი ჯვარი, საქართველოს ეროვნულ დროშაზე ოთხ ადგილას რომ დასკუპებულა 8-ბოლოიანი ცენტრალურის ფრთებქვეშ — ამ კუდების შეერთებით ვღებულობთ 4 სამკუთხედის ერთობლიობას. რომელიც დავითის 2 ვარსკვლავის იდენტურ ია — ებრაელების დროშაზე ამოტვიფ რულია დავითის ვარსკვლავი — ქართველების დროშაზე 8-ბოლოიანი ჯვარი და პლუს 8 დავითის ვარსკვლავი, რაც საბოლოო ჯამში გულისხმობს ამ ორი ეთნოსის განუსაზღვრელ სულიერ და ფიზიკურ კროსინგოვერს საიდუმლო წერილის აღსასრულებლად. .

✡✡✡

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინა დღეებში გავესაუბრები გარკვეულწილად განხილული წიგნის (,,გაახელ თვალებს — იქნება გვიან''), ავტორს, ბატონ თამაზ ბუთხუზს. საათზე მეტ ხანს გასტანს ჩვენი დაზვერვითი დიალოგი. გამიხარდება ერუდირებულ პიროვნებასთან მასლაათი. მეცნიერი კაცი მატრიცის პრობლემაზე ჩაფიქრებულა, იგივე კრისტალის მნიშვნელობაზე, იმ ატომგულის საწყის ერთეულზე, რომელმაც უნდა იტვირთოს შემდგომ ერის სხეულის, გნებავთ რეამინაცია, გნებავთ — ხელახალი აღმოცენება. მაგრამ დავრწმუნდები, რომ მასაც, ლამის ოცამდე თანამემამულის მსგავსად, არ გააჩნია ეს ხელდასხმა, ანუ მუჰამედის ენით თუ ვიტყვით, არ მოეპოვება მაგარ- ტარიანი დანა სამოქმედოდ.

თავისთავად საკითხის დასმაც ცოტა როდია. ამას სხვანაირი რაკურსით ცდილობენ ბატონები: ვლადიმიერ ჩუბინიძე (,,სასწაული''); გივი ალაზნისპირელი (,,სამყაროსეული აღმოჩენა''); ჰამლეტ წულაია (,,სად ვეძებოთ წარღვნით ჩაძირული ნოეს კიდობანი''); ეპისკოპოსი იოანე-იონა (,,რა უნდა ვაკეთოთ''); როსტომ ჩხეიძე (,,ქალდეას მონატ- რება'') და ა.შ. სადაც ჩამოთვლილი ავტორები მეტნაკლებად ამჟღავნებენ იდეალური საზოგადოების მშენებლობის ტექნოლოგიებს და უნებ- ლიეთ თამაზ ბუთხუზისეული მატრიცის, კრისტალის თანაავტორ- ებადაც გვევლინებიან თითქოს, თუმცა ერთსაც ვერ მოუხელთებია მედინას კურაშატების ძის მიერ ნახსენები მაგარტარიანი დანა. იგი მხოლოდ და მხოლოდ 2003 წლის 31 მარტს განსხეულდება ვახტანგ მიშველიას პერანგის ძმობილის თვითგვემაში ბატონ ჭაბუა ამირეჯიბთან სიმბოლური ხელდასხმის მერმე.

ამიტომაც შეინახება დღესამომდე თავად მატრიცის, კრისტალის შექმნის ალქიმია, ურომლისოდ ნებისმიერი მოძღვრება და თეორია ქვიშისგან პირამიდების გრეხაა სფინქსის მონუმენტის სამხრეთით.

აწ საბოლოოდ გამოვკვეთავ სათქმელს: მისი ფორმულა უმარტივესია. ამის პასუხს, ცხადია, ვერც ცნობიერების სპეციალისტი **ფრუნსის კრიგი** გამცემს პასუხს და ვეღარც სეროტინის — ტვინის მთავარი მუშა ელემენტისა, რადგანაც მათი ცოდნა მწირია სამყაროს აგებულებაზე. იმიტომაც არ მოეპოვებათ მატრიცა, იგივე მირიან ქართველის ,,დაწუნებული ლოდი'', თუ ზვიად გამსახურდიას ,,მესია'', თორემ ნიადაგ თვალწინ მდებარე ყალიბის მიხედვით უმარტივესი საქმეა კოსმოსის რელიეფის დახატვა. ეს სიბრძნე სვანურ დედა- ბოძზეა აღყეჭდილი ათასწლეულების წინათ — სამისა და ოთხის ურთიერთკავშირი, მზისა და დედამიწის დამოკიდებულება.

ადამიანის ტვინში არსებულ ექვსწახნაგა ნეირონებს, სექსტაგონებს, ხილულ ბუნებაში ფუტკრის ფიჭა იმეორებს და ეზოტერიკულ განზომილებებში — დავითის ვარსკვლავი, რომლებიც წამში 40 ჰ ერცის სიჩქარით აღიგზნებიან ინდივიდში არსებული 6 შეგრძნების სხვადასხვა უბანში. სხვათა შორის გენეტიკური დათიშვაც (მიტოზი თუ მეიოზი) 6-6 ფაზისგან შედგება. ვგონებ, ეს ყველაფერი შემთხვევითს არა ჰგავს, განსაკუთრებით — სპირალის აღნაგობა.

სამყაროს არქიტექტურაში ხუროთმოძღვრის თვა ლით ჯერ არავის შეუხედავს ეს გახლავთ 10 დასახლებული პუნქტი, რომლის განაპირა სახლი პენტაგონის აღნაგობისაა, ხუთკუთხედი.(იგი მიიღება

ტოლგვერდა სამკუთხედისა და კვადრატის ერთიანობით) ხოლო თითო კოტეჯი ექვსკუთხა — სექსტაგონი და კიდევ ორ-ორი, წიბოებით შეწებებული ხატა, კროსინგოვერულად შეჭიდული ბაითი, პენტაგონ-სექსტაგონის ერთობა. პლუს ყოველივეს ორი წრე უფლისეულ სახედ. ,,ევრიკას'' წამოძახილამდე აღარაფერი დარჩენილა!

ადამიანის ტვინის ნეირონებში გატარებული ელექტრული ინფორ- მაციის მოძრაობის ამპლიტუდა 40 ჰერცია. ეს კი მიმანიშნებელია იმ გასაოცარი რეალობისა, რაც შემთხვევით თუ განგების ნებით წამოცდება მირიან ქართველს ,,**დაწუნებულ ლოდთან**'' დაკავშირებით, სადაც ქართული ასომთავრული 40 ერთეულამდე, 40 ასო-ნიშნამდეა გაზრდილი ტრადიციული 37-ის სანაცვლოდ: წამატებულია ,,ფონ'', ,,ურ'', და ,,ლი''. ამ მიხვედრილობის ამოსავალი პუნქტი გახლავთ ადამიანის კიდურების 5 თითით დაბოლოება, რაც გაორმაგებულია მდედრის და მამრის ერთობლიობით. როგორც თავდაპირველი სრულყოფილებისა, ვიდრე საკუთრივ ,,მამა-კაცად'' და ,,დედა-კაცად''განიყოფოდეს.

მოკლედ, ამ მთლიან, აღვსებულ პიროვნებას საბოლოო ჯამში 40 თითი (კითი) გააჩნია — ქალის 2 ხელს მიმატებული კაცის 2 ხელი, პლუს ქალის 2 ფეხს, კაცის 2 ფეხი — (5 + 5 + 5 + 5 = 40). და აქედან გამომდინარე ნებისმიერი კოსმოსური მოვლენის ამოსახსნელ ინსტრუმენტად გამოდგება თურმე უმართსამართის ზღაპრულ ხელსაწყოსავით. აქვე, ალბათ, ბევრის მიმანიშნებელია ბუდას ექვსხელიანი და ორფეხიანი სკულპტურაც, რომელიც ქართული ბორჯღალის ერთგვარი განსულიერებაა.

ამასთან ანგარიშგასაწევია ასტრონომების ს დამოკიდებულება სამყაროს ასაკთან, რომლის მიხედვით დიდი აფეთქების შემდეგ 1 3 მილიარდი წელია გასული და დაახლოებით 27 მილიარდი დაგვრჩენია კიდევ სატანტალოდ. ანუ კოსმოსის ასაკის კულმინაცია 40 მილიარდი წელიწადია. ერთი სიტყვით, სამყაროს უმართსამართის ინსტრუმენტად ბიბლიური გამოცდილებით ადამს თუ ვაღიარებთ (სანამ ცაბაოთი მოწყენილს მიაძინებდეს, ნეკნს ამოაცლიბდეს და სულის სალხენად ევას შეუქმნიდეს), სამყაროს მატრიცა თავად ,,ადამ''-ი გახლავთ — ყველა საიდუმლოს მატარებელი ყალიბი, ბეჭედი:

ა —	**დ** —	**ა** —	**მ**		
1	4	1	13	—	10
1	4	1	40	—	46

ამ სიტყვის რიგითი ადგილის ჯამია 10, ხოლო რიცხვითი მნიშვნელობა — 46; პირველი სრულყოფილებას შეესაბამება, ხოლო მეორე ,,ჰომო საპიენსის'' გენების ოდენობას, რომელიც საბოლოოდ კვლავ 10-ია (4 + 6 = 10), მაგრამ ჩვენი მსჯელობა რომ არ გადაიტვირთოს ბუნდოვანი პასაჟებით ეზოტერიკული ბუქის დასაფენებლად, შემჭიდროებულად ვაცხადებთ შემდეგ რეალობას:

ადამიანი დედამიწაზე ჩასახულ-აღმოცენებულ-განვითა რებული ინდივიდია დიდი დათვის თანავარსკვლავედის იმპულსებით. მისი შინაგანი სიმეტრია ამიტომაც აცხადებს ნათესაობას 3:4-თან, სამ-ოთხესთან და მისი მთავარი სამოქმედო პულტი — ტვინი დატენილია 6-წახნაგა, სექსტაგონური აგებულების ნეირონებით. და ამ კონკრეტული ნეირონის პოზიციიდან უახლოესი მონაკვეთი რომ ავიღოთ თავის თავთან ერთობლიობაში, ყოველთვის გამოგვივა საკრალური 7. ანუ 3 — 4, იგივე სამ-ოთხე. — ადამიანი თავად.

ებრაელი, ჟბერი, კი გახლავთ ცაბაოთის თაყვანის მცემელი ერი, მაგრამ მას არ ესმის სამების. იგი იესო ქრისტეს ჯვარს აცვამს ორი ათასწლეულის მიღმა და მხოლოდ ახლახან მიბრუნდება

მისკენ, როგ- ორც ძე-კაცისკენ და არა — ღვთის მემკვიდრისაკენ, ანუ აქაც არა აქვს გაცნობიერებული სემიანელს ქრისტიანული სამების აღნაგობა, რომელიც მის დროშაზე დავითის ვარსკვლავის სახითაა ამოტვიფრული. ღვთიური ცეცხლის მფლობელია თითქოს და სიცივისაგან ითოშება, ბუხრის გაჩაღება არ ძალუძს, ნაცარში ბუდრაობს ნიადაგ ნაცარქექიასავით.

უძველეს კოლხებს სამკუთხა დაფებზე მამაპაპური კანონები ჰქონდათ გამოცხადებული, სანამ ტროას ცხენად შემოჩეჩებული ოქროს საწმისით არ მოჰპარავდნენ ბერძნები, როგორც თიხის ფირფიტე ბიდან საკრალურ ცხვრის ტყავზე გადანაცვლებულ სიბრძნეს. ზოდიაქოთი კი თევზების თა ნავარსკვლავედი ერთმა- ნეთისკენდაპირისპირებული 2 ქორჭილაა — იგივე დავითის ვარსკვლავი რომელიც არავის ესმის დღეს გური ოტობაიის მეტს თუ რა კოსმოგონიური სიმაღლისაა. ეს ის ღვთაებრივი ცეცხლია, რომელიც პრომეთეს მოუტაცია ღმერთე- ბისათვის ადამიანთა საკეთილდღეოდ და დღემოსწრება ზევსის არწივისაგან იკორტნება.

არ ესმის ამ ვარსკვლავის ბუნება ეზოტერიკული მოძღვრებების- ათვის ზურგის შემაქცევარ ქამიანელს. არ ესმის ამ ვარსკვლავისა ამჟამად მის მეპატრონე სემიანელს — ალადინის ჯადოსნური ლამპა- რივით ზურგზე შემოსკუპებია საუნჯე იგი, თუმცა სულ უნავთობას წუწუნებს და სისხლსაც კი ღვრის აქა-იქ დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. არადა, საკმარისია ოდნავ გაეხახუნოს მის ზღაპრულ ზედა- პირს, რომ გიგანტური აღნაგობის ჯინი მსწრაფლ გამოეცხადება ნებისმიერი სურვილის აღსასრულებლად.

ებრაელი ერი აღიარებს მამა ღმერთს, უკუაგდებს სამყაროისეული ცოდნის ორ მესამედს — სამების პრინციპს და ამავდროულად ამ სამების ხატს ეთაყვანება. პარადოქსია! სამყაროს სინქრონიზაციის მოთხოვნა პროტოიბერიულ ეთნოსში, ქართველ ხალხშია კოდირებ- ული. ამას იგი ათასწლეულებია ასხივებს: კაფავენ და ველარ გაუჩ- ეხიათ. ათასწლეულების მანძილზე ჩვენი ჯიში პოლიფონიური საგალ ობლებით, ფერხულ-ხორუმების წრიული ტრაექტორიებით მუნჯის ენით გვიყვება სამყაროს უმთავრესი აგებულების შესახებ, მაგრამ არავინაა ცის ქვეშეთში ამისი გამგონე. ფიჭური ტელეფონის ქონა რა ბედენაა, თუ მეორე პიროვნებას მსგავსი აპარატი არ აღმოაჩნდება?! ერთბოლოიანი ჯოხით დიალოგი ვერ შედგება

,,მერსედეს ბენცის'' ემბლემა, ,,მაგთი კომის'' საფირმო ნიშანი — და კიდევ ათასი სხვა, სულ დავითის ვარსკვლავის არქიტექტურიდან ამოდის, ანუ თევზების ზოდიაქოს ბუნებიდან, ორი ტოლგვერდა სამკუთხედის ურთიერთ გამსჭვალვისაგან, მამა ღმერთის მიერ ადამის განყოფისაგან მამაკაცად და დედაკაცად. იგი 60 გრადუს იანი კუთხეების ერთობლიობით კრავს 180 გრადუსს, წრის ნახევარს და მის გარშემო შემოშენებული ექვსკუთხედი — სექსტაგონი, ფაქტობ რივად ფუტკრის ფიჭის თუ ადამიანის ტვინის ნეირონის იდენტურია. ამასთან სექსტაგონი 6 ტოლგვერდა სამკუთხედის ერთ წერტილში შეკრებით მიიღება. აი, ეს ავგაროზი იფარავს ებრაელ ერს, როგორც დავითის ვარსკვლავის მფლობელს. შევხედოთ ფიჭას. აქ მთავარი ღერძი 1-ია და მის გარშემო შემოშენდება ჯერ 6, შემდეგ — 12, მერე — 18, მას იქით — 24, ანუ ექვსის პერიოდულობით ზრდადი პროგრესია, და ამისი ეპიცენტრი ადამიანის გონებაშია საძიებელი და არა — მთვარეებსა თუ მარსებზე. ანუ სამყაროს უკიდურესი საყრდენი, ბურჯი — ადამიანის გონებაა. ამას ტვინის ნეირონების კავშირებიც ადასტურებენ. **მეტიცა ტვინის ნეირონები სინქრონიზებული კოსმოსის მატრიცაა** — ნემსის წვერზე დატეული უსასრულობა. სრულყოფა მხოლოდ პოლიფონიით მიიღწევა. დანარჩენი მეცადინეობანი წყლის ამაო ნაფვაა ოდენ. როცა ამგვარი ბგერების ოქტავით გაწონასწორდება ადამიანის სული, მომდევნო სპირალის დროს გაორმაგდება ეს ძალისხმევა გალაქტიკის შესატყვისი ბრუნვის კვალობაზე და ადრე თუ გვიან იგი მთელს კოსმოსს გამსჭვალავს, ანუ პატარაში ვერჩატეულ ჩიტს ჩინებულად მოათავსებს დიდ ქვაბში. მოკლედ, კაცობრიობა განფენილი სამყაროსკენ დღემდე გაბატონებული მეთოდებით კი არ გაეშურება, არამედ აქეთ, თავის წიაღში მოუხმობს სამყაროს, როგორც მებადური თევზების ქარავანს. ამგვარი ხერხით იგი სრულფას ოვნად დაეუფლება მთელს კოსმოსს. წინააღმდეგ შემთხვევაში უაზროა სინათლის მილიონი წელიწადით დაშორებული გალაქტი კე-ბის არათუ წამში, თვით სამყაროს დარჩენილ ასაკში მოხილვა.

ისევ კრისტალი
ისევ პალადიუმი
ისევ მატრიცა

პიროვნება სამი წრფის ერთობლიობაა, იგივე ციდან დაშვებული ნათელი — სამკუთხედი. ეზოტერიკულად იგი ასეთნაირად გამოიხატება: მამრი — . მდედრი — ; ამ სამკუთხედს 6000 წლის წინათ იყენებენ შუმერები დამწერლობის საწყის ელემენტად და შემდგომ ეგვიპტურ პირამიდებში ეზიარება იგი კლასიკურ სრულყოფას — 3 X 4 = 12. პირამიდის წიბოების ჯამი შეესაბამება ნატურალური რიცხვების 13-ზე გაყოფის საბოლოო ოდენობას — 12-ს. ამის შესახებ გვითქვამს გაკვრით და მოგვიანებით ვიტყვით უფრო ჯეროვნად. ახლა კი შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ ადამიანის შტაინერის- ეული სამსაფეხურიანი განსაზღვრა — პიროვნება, უპიროვნო და ზეპიროვნული (ზეკაცი, ნიცშე) სარბიელს მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებასთან თუ უფალთან ჰპოვებს. მარტოოდენ ამ სუბსტანციებთან ურთიერთობისას გამოიბასრება მისგან ალმასი თუ მარგალიტი, მაგრამ შევხედოთ დანარჩენ კატეგორიებსაც.

საზოგადოებას შეესატყვისება ოთხკუთხედი, ოთხი წრფის ერთობლიობა და მისი იდეალური პოზიცია კვადრატია — . თავისი აგებულებით კვადრატი, დიახაც, შეესაბამება უპიროვნო სუბიექტს, ვინაიდან მას არ გააჩნია დედაბოძი, შინაგანი სიმდგრადე. კვადრატი ნებისმიერი მხრიდან მიწოლით დეფორმირდება სამკუთხედისაგან განსხვავებით.

იდეალი კი უფალთან მიახლოებაა, როგორც პიროვნებისათვის — , ისე საზოგადოებისათვის — . უფალიც წრფული აღნაგობისაა, ოღონდ მას გააჩნია საწყისი და სასრული ერთდროულად. იგი სპირალიცაა ამავდროულად, რომელიც უსასრულო გზის მხოლოდ მონაკვეთია და ექვსი ტოლგვერდა სამკუთხედის კრებითობაა. არსებობს სექსტაგონის აშენების უფრო ოპტიმალური მეთოდი — ორი ტოლგვერდა სამკუთხედის შეპირაპირება. ამ გეომეტრიულ სხეულს ჩვენ თეოლოგიურად დავითის ვარსკვლავს ვეძახით , ხოლო შეუიარაღებელი თვალით ფუტკრის ფიჭაში ვპოულობთ და მიკროსკოპული ჩარევებით — ადამიანის ტვინში ნეირონების ტრილიონი დივიზიონის სახით. ადამიანის ტვინის ნეირონულ კომუ- ნიკაციებში მყარდება ელექტრული კავშირები, რომელიც იწვევს ქიმიურ წვიმებს ტვინის უბნებში და შესაბამისად ეს ყველაფერი ჩვენს ემოციებში მოითარგმნება ლექსად, სიმღერად, ფერად, გრაციად, ომად და მშვიდობად, სიყვარულად, შენების ჟინად და ასე შემდეგ.

ახლა კი სამყაროს შემოქმედის სუბსტანციათა კომბინაციებით შევეცადოთ ყველაზე ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრას:

ძველ კოლხეთში ოქროს საწმისს სამკუთხედით წარმოაჩენდნენ. ცხვრის ტყავი, სამკუთხა დაფები, ლურსმული დამწერლობა, თავად კაცის გეომეტრიული აღნაგობა სამკუთხედის იდენტურია — .ჩვენთვის ამჯერად ნიშანდობლივია მრავალთაგან გაქიაქებული 5-ჯვრიანი დროშის შინაარსში ამ სამკუთხედების მონაწილეობა. იქ, ცენტრალურ, 8-ბოლოიანი ჯვრის ფრთებქვეშ ოთხი მომცრო ჯვარი შეყუჟულა — . ეს სიმბოლიკა ქრისტეს ხუთ ჭრილობას ნიშნავს მართლმადიდებლური სწავლებით.

ბეთ
სახლი
დომ
ჰოუზ
ყუდე
სხივი
ფალოსი,
პალო,

კალამი,
ყალე,
ყალა-ციხე
ჰელ —
ჰელიოსი
სული
აზრი
სიტყვა

სამ-ოთხეა. იგივე პიროვნებისა და საზოგადოების მთლიანობა, რაც სიტყვა სახლშია განსხეულებული (სახე-სახეული-სხეული-სახელი-სახლი)

ესეც სამ-ოთხეა უსასრულობიდან ადამიანის სულისკენ წამოსწრაფებული, გამსჭვალავი მისი და გონიოს პრინციპით გარდატეხილი, მიზანსწრაფული, სინქრონიზებულად გასული მისგან, როგორც სავარცხლის კბილებით დაწყნარებული აბურდული ქოჩორი თუ დალალი.

დიდი დათვის თანავარსკვლავედიც ერთგვარი სამ-ოთხეა , სამისა და ოთხის თანამეგობრობა.

პირამიდაც სამ-ოთხეა ოთხი ტოლგვერდა სამკუთხედის დახშულობით. მაგრამ რა ესაქმება ადამიანის კიდურებს 3-4-თან, სამ-ოთხესთან, რომელთაც კანტი გარეთ გამოსულ ტვინს ეძახის?!

მთელი საიდუმლოც აქ არის.

აქ დაწინაურებული თითები ამჟღავნებენ ადამიანის სიმეტრიის ღერძს ზედა კიდურებიდან ქვედა კიდურებისკენ და მიანიშნებენ, რომ ხელის პროცესებთან დაკავშირებული გრძნობები გაცილებით დაწინაურებულია ფეხებთან მიერთებულ ემოციებთან შედარებით. ამიტომაც შემთხვევით არ წარმოაჩენდნენ ბერძნები კენტავრს ცხენ-კაცად. მოგვეპოვება ჩვენც ფოლკლორში პარალელები — ოჩოკოჩი, ოჩოპინტრე, თუმცა არსებითი ის გახლავთ, რომ ხელის ორგანოები დროში კოლოსალურად უსწრებს ფეხისას, დაახლოებით 25 პროცენტით და სამყაროს 13-მილიარდწლიანი არსებობის მანძილზე ჰომო ერექტიკუსს სულ ცოტა 4-3 მილიონი წლის პოპულაციად მაინც თუ შევრაცხავთ, ფეხის ორგანოები ხელისას 500 000 წლით ჩამორჩება.

ამდენად, ადამიანი ჯერხანობით არასრულფასოვანია, ასიმეტ- რიული, არაპროპორციული ბიოლოგიური არსება. თავად ასიმეტრიული ვარსკვლავური წყობის — დიდი დათვის თანავარ-სკვლავედის ასტრალური განლაგების მინიატურული ხორცშესხმა, გიგანტური პირამიდების რაფინირებული სიმეტრიებით სახოტბო სუბიექტი, ამიტომაც მოითხოვს იგი ღვთიურთან მიახლოებას გარეგანი ჩარევებით, რომელსაც ქართველი ქურუმები ახერხებდნენ ადამიანის 8-მდე, ღვთიურობამდე შევსებას.

დიახ, დავითის ვარსკვლავის, მდედრისა და მამრის საშუალო არითმეტიკული გახლავთ კაცობრიული გვირგვინი — , რომელიც ადამიანს მიწიერი სუფევისათვის ენიჭება, იგივე შარავანდედი მოციქულებისთვის თუ ხელდასხმულთათვის.

ხოლო ოდეს გადაილახება ეს ბარიერი, ანუ დაეუფლები ვარსკვლავის ორივე ნახევარს მთლად ცაბაოთურ საქმეებს ეზიარები იესო ნაზარეველის მსგავსად.

დავითის ვარსკვლავი კაცთათვის მოღვაწეობის ჟამს შეიძენს სექსტაგონის კონფიგურაციას და იქიდან სრულყოფილ წრემდე, ანუ მამა-ღმერთამდე ბევრი არაფერი რჩებათ ქრისტეს, მუჰამედს, ზარატუსტრას, ბუდა შაკია მუნის, გნებავთ — სალვადორ დალის.

დე შარნესა და ნერეტის გამოცემულ რეპროდუქციების წიგნის მომცრო სტატიაში ვკითხულობთ:

„ა. დევიდსონი თვალ-ყურს ადევნებდა შიზოფრენიული ცდუნების პერსონალურ აუცილებლობას, რათა მოძებნილიყო პასუხები კითხვებზე, რომელიც წამოჭრა მხატვრის შემოქ- მედებამ. იგი მიიჩნევდა, რომ დალის მოღვაწეობა უნდა განხილულიყო ფსიქოლოგიურ პროფილში. ცდუნება საუკ- ეთესო წინააღმდეგობა აღმოჩნდა. დალის პრივილეგია, მისი თავნებობა და დანაშაულებანი, მისი ძალადობით დარღვეული ბავშვობა დევიდსონისათვის მორიგი ჩანაწერი იყო, როგორც შეწუხებული კანდიდატი ფსიქოანალიზისათვის და არა ასლი გენიოსის ესთეტიკური სტრატეგიისა. ავრეთვე არაერთი ეჭვი, რომელიც აღძრა „საიდუმლო ცხოვრებამ“ — ასკვნიდა დევიდსონი — **რა თქმა უნდა მან შესთავაზა საკმარისი შესაძლებლობა მოეძებნა სიურეალიზმის წიაღში. მშვიდი ხელოვნების მიმოხილვისას სტეფან ქეისერმა მოიყვანა ფრანგი ფსიქოლოგი ფოისვიტტმანის ციტატა — ხედვა როგორც ჩარჩოები დალის მხატვრობაში, რომელიც**

ჰგავს ბრუგლეს და ბოშს. რთული იყო არა ის თუ როგორი ფანტაზიით წარმოგვიჩენდნენ ეს მხატვრები თავიანთ ნამუშევრებს, არამედ ის აკვიატებული აზრები, რომლებსაც დეტალებში, წინხედიდან ჩვენებით ამკვიდრებდნენ საზოგადოების თვალში. ასეთი მხატვრები იყვნენ „ქვეცნობიერების მისიონერები“. არ არს ნათელი რატომ მიეცა აქნაირი განმარტება განზრახვას, რომელიც მიზნად ისახავდა ქებას წყევლისას, მაგრამ დალი უფრო მოტყუებული იყო ვიდრე საბოლოოდ შეურაცხყოფილი.“(თარგმანი მარი ფეტელავასი).

აბსურდული იწილობიწილო ეთქმის ამგვარ შეფასებებს კონგენიალური მხატვრის მიმართ. ლეონარდო და ვინჩის შემდეგ ნაკლებად დაეკვეხნება მსოფლიოში ხელოვანს ცაბაოთთან ესოდენი მიახლოებით. უფლისეული კანონები ხომ ჭეშმარიტების ენით ღაღადებენ მარადიულ მშვენიერებებს და დალიც აქ შეუდარებელია. იგი სამყაროს სამი უმთავრესი შემადგენელი გეომეტრიული დეტალის — წრის (სფერო), სამკუთხედისა და პარალელე- პიპედის კონბინაციებით ქმნის ახალ მოდელს, ანუ უფრო მარტივად — გადააცილებს მილიონების მხედველობის შემლიბრავ მტვერს.

მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურსო, იტყვის გალაკტიონი და გასაკვირი არაფერია მსგავსი განცდა სასოწარკვეთით წამოცდეთ: გოიას, ფიროსმანაშვილს, დოსტოევსკის, გრანელს, ფოლკნერს, დალის თუ ... ამას ვერ დავარქმევთ სასჯელს არაპრაქტიკული კაპიტულაციისათვის ცხოვრე- ბასთან, არამედ, დიახაც, ტრიუმფია მომავალი სუფევისათვის, რომელიც შაუნახია ჰაერს ვაჟაისებურად და ამ ჰაერის მიერ განცდილ თუ ჯერაც განუხორციელებელი რეალობებს — კრიზისული მსოფლიოს წამხედუ- რებებს — ინკუბატორივით ჩეკავს დალის სული. ფერმოუბნე სალვადორს ნაკლებად აინტერესებს თავად მაცხოვარი თუ მისი ხატი ადამიანი, არამედ იმ ნეკნსაა ჩასაფრებული, რომელიც ეს-ეს არის ამოაცალეს მკერდიდან ადამს, რათა შეუქმნან მოწყენათა გამქარვებელი ევა —ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი. იგი დადარაჯებულია სამყაროს ნაწილების დამაკავშირებელი რგოლების შეკვანძვას და ძნელი მისაბაძია გოცაძეთათვის, ვინაიდან პირველი უფლის ნების აღმასრულებელია ჯადოქრული კოლოროქირურგიით, ხოლო მეასლე შეგირდები სახე- ების მათემატიკური ჯამით ამაოდ ცდილობენ საუკუნის პულსაციის დატყვევებას: გენია ხომ ობოლი მარგალიტია, როცა ტალანტის წყება რიყის ქვა სავით ყრია უკვდავების ზღურბლთან. იქ პედანტი მსაჯული ქარონი დგას წუწურაქი ნავით და სულის გაუღებლად არავის გადაატარებს, გნებავთ მდულარეში იხარშებოდეს დღემოს- წრება, თუმცა, როგორც იტყვიან, თან — საქმე

P
T
A
G
C
A
T
C
G
G
C
P





1. 1 : 13 = 0,
2. 2 : 13 = 0, 153 846
3. 3 : 13 = 0, 230 769
4. 4 : 13 = 0, 307 692
5. 5 : 13 = 0, 384 615
. 6 : 13 = 0,
7 : 13 = 0,
8. 8 : 13 = 0, 615 384
9. 9 : 13 = 0, 692 307
10. 10 : 13 = 0, 769 230
11. 11 : 13 = 0, 846 153
12. 12 : 13 = 0,
13. 13 : 13 = 1



6

5 1

4 2

3

ა



ჰომო საპიენსი.
შუბლის
მაჩვენებელი
78 გრადუსი.
თავის ქალა
— მეზოკრანიული
(შუალედური).

78°

95º



დ[illegible] პირა[illegible]
ონ[illegible]ის, [illegible]ის, [illegible]ანის,
რობილი — კაცის, გრაფიკული გამ[illegible]
ბლ[illegible]



ფენომენი მოზარდი თაობისამოცნობის პრობლემა უამრავ ნიუანსს შეიცავს, რომელიც საჭიროებს უფაქიზეს მიდგომებს, რათა თავად სუბიექტი არ აღმოჩნდეს უხერხულ მდგომარეობაში: „რჩეული“! ამიტომაც ჩვენს მიერ შერჩეული სუბიექტი ყველა შემთხვევაში გააამართლებს საკომპანიოდ, ვინაიდან აქ უმთავრესი მომენტი მაინც საზოგადოების ყურადღებაა ახალგაზრდისადმი, რომელიც ერთი ასად უმძაფრებს პასუხისმგებლობისგრძნობას ქვეყნისმომავლისადმი. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პატარა გენიოსებს ჯიბეში უდევთ უფალთან სალაპარაკო ფიჭური ტელეფონი, მაგრამ ამის თაობაზე მათ არაფერი იციან. ჩვენ კი დავანახებთ ამ უპირატესობას და ვასწავლით აპარატის ჩართვას დიალოგის გასამართავად უკიდეგანო ძალასთან. პარაფსიქოლოგიის კოლოსალურ შესაძლებლობებს ადასტურებს ქართული ანდაზა: გახმი, გახმიო, თუ შესძახებ ხეს გამუდმებით, გახმება. საკმარისია შეგატრიალოთ ეს სენტენცია და ზოგად კაცობრიული მისიით საბუთიერად შთაგონებული ახალგაზრდა, მთებს დაძრავს ადგილიდან. ამასთან ფენომენი მოზარდების გამორჩევა არ შეიცავს რაიმე ანტიადამიანურ მომენტს, სხვა თანატოლების დაჩაგვრას და ასე შემდეგ. ვისი ადამიანური უფლებებია უფრო შელახული, ინდივიდის, რომელსაც პირობების უქონლობის გამო ვერაფრით გამოუვლენია თავისი კონგენიალური უნარები თუ იმის, ეს უნარები რომ ნაკლებად მოეპოვება?! განა მეტი სამართლიანი არ იქნება კეისარს კეისრისა მიებოძოს და ღმერთს — ღმრთისა?!

გვიმარა

ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?
ვეკანგარა ირიათო
თი თუთა დო თი მარას,
ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?!
ჩელაია ნირსი ცაშე მირაცვალუ,
გოკურცხია, დიდა ინგირ გირაქვალუ,
გოლვაფირო, გოლვაფირო, ირო ფალუ,
კუჩხეფიშა წყურგილეფი ქუმოიდვალუ,
ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?!
შხურიშ ტყების გეჭარუდუ სქან ნინაშა,
მუჭო ოკო ონდღულესკო ფულანდი,
ითამ კუჩხი გეიდგუმუდკო ტინტილაშა,
ეკორჩვილი გილეში დო ქულანდი!
შხურიშ ტყების გეჭარუდუ სქანობურო,
ორქო ქვიშაშ კორობუაშ წესეფი,
გიკურცხინე, გიკურცხინე, გოლვაფირო,
სი მუნაფას გიწილოხუნს მესეფი!
ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?
ბირგულ მუშენ გიდირკუ,
კოლხურ ბირაშ მარჩქილეს,
ქარწყენ — ჰავაქ ქიდირქუ,
ფსუა გეკოვარჩხილე!
ქიგიშინი ხიოლი,
რე მუმულიშ ციონი,
მობაღუნა ქირონი,
უზისხირე, გვიმარა!
ნჭყოლირ გური მუჭო ვემკისქილადე,
ღურა თელათ მუჭო ვემკიზგილატე,
კოლხიდაშე ლანდი ქიდოსქილადე,
უზისხირე, გვიმარა!
ჩელაია ნირსი ცაშე მირაცვალუ,
გოკურცხია, დიდა ინგირ გირაქვალუ,
გოლვაფირო, გოლვაფირო, ირო ფალუ,
კუჩხეფიშა წყურგილეფი ქუმოიდვალუ.
ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?
გიკურცხინე, გოლვაფირო,
ვარა გიმორჯგინანა!
ქიგიშინი თი მარა,
ქარწყენ: მუსხის გიღვარა?!
გემწოდირთი, გემწოჟვენგი,
გემწოსოფი, გვიმარა!

გვიმრა

ვით სულს ესატკივარა,
ვით გულს ესამძიმარა,
სად დახკარგე ის სიმაღლე,
სალოცავო, გვიმარა?!
ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა,
სად გუგუნებს ის გრიგალი,
საით წაგამდინარა,
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი, გვიმარა?!
შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია,
შენ ენგურის კვნესა გულში ჩაგიწნია,
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია,
შენ ხელები მთიებამდე აგიწვდია.
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი, გვიმარა?!
შენს ენაზე ქუხდა ოქროს საწმისი,
თუ რარიგად გამოედნოთ ფოლადი,
მოილიე ჟამი გაუსაძლისი,
როს ურჩხულის მოკარებით თრთოლავდი.
იმ საწმისზე ჩაშანთულა შენებურად,
ოქრო-ქვიშის მოპოვების წესებიც,
გაიღვიძე, ჯერ არ გადაშენებულა
ღრუბლის წვიმად მომწურავი მესეფი,
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი, გვიმარა?!
მუხლი რისთვის გეღუნვის,
კოლხურ ხანგის გამგონეს?!
შენ, რომელიც გეყუდნის,
იმ ქარებში ჩამკონე!
გაიხსენე ხარება,
დილების გამყარება,
ვიკმარისოთ მთქნარება,
უსულგულო, გვიმარა!
ჭრილობიდან სისხლი მოგდის ტბორებად?
ძველ დიდების ლანდიღა იზმორება?!
კვდომა ისევ ყოფით აიშორება,
უსულგულო, გვიმარა!
შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია,
შენ ენგურის კვნესა გულში ჩაგიწნია,
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია,
შენ ხელები მთიებამდე აგიწვდია.
ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა?!
გაიღვიძე, შემოგევლე,
თორემ გამოგვივა რა!
ვით სულს ესატკივარა,
ვით სულს ესამძიმარა,
წამოდექი, წამოფრინდი,
წამოხეთქე, გვიმარა!

ეზოტერიკულად კი გვიმრა –
პლანეტა მარსი – წითელი ფერი –
მაჟორული ბგერა – ლარო
ვენერა – დღე კვირა – ვრცელი აღნაგობისა

1. განაცხადი

პროექტის სახელწოდება:	**„გვიმარა“ („GVIMARA“)**
განმცხადებლის სტატუსი:	იურიდიული პირი
განმცხადებელი:	შ. პ. ს. „გვიმარა“
მისამართი	თბილისი,
ტელეფონი	
ფაქსი	
ელ-ფოსტა	
პროექტის ავტორი	**გური ოტობაია**
ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა	871 21 27 70
პროექტის დირექტორი	**ვახტანგ მიუველია**
ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა	877 41 43 43
პროექტის დასაწყისი (რიცხვი, თვე, წელი)	1 სექტემბერი, 2011 წელი
პროექტის დასასრული (რიცხვი, თვე, წელი)	30 ივლისი, 2017 წელი
პროექტის საროთო ღირებულება (ლარში, შვიდი წლის მანძილზე)	150 000

გური ოტობაია
პროექტის ავტორი: ----------

ვახტანგ მიუველია
პროექტის დირექტორი ----------

4. პროექტის შესრულება და განრიგი

ფრიდონ თოდუა

ლევან მებონია

ვახტანგ მიშველია — ბიზნესმენი, პროექტის დირექტორი;

კობა ნაყოფია

გური ოტობაია — მწერალი, პოეტი, ჟურნალ „კირბისის" რედაქტორი, პროექტის ავტორი.

ჯიმშერ შეროზია

ვახტანგ ცხადაია

ჯონი ჭანია

5. ბიუჯეტი

პროექტი მოიცავს 2010 — 2017 წლებს.. ხორციელდება სამეგრელოს ბავშვებისთვის მეხუთე კლასის ასაკიდან, რომლის განხორციელებას მოემსახურება ორი თანამშრომელი.

პროექტი „გვიმარა“

პრობლემის განსაზღვრა

საქართველო კრიზისულ სიტუაციაშია შესული. დაკარგულია აფხაზეთი, სამაჩაბლო. იზრდება მისი საგარეო ვალი. დაძაბულია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. საშუალო ფენა გაჩანაგებულია. მოსახლეობის მესამედი გახიზნულია უცხოეთში ლუკმა-პურის საშოვნელად. საქართველო იმყოფება გვიმრის ვითარებაში, რომელიც დიდი ხნის წინათ გიგანტური ხე იყო, ახლა კი გადაშენებულა, გადაჯიშებულა, გაგვიმრუჭებულა და აწ ცელითაც ითიბება. არადა, შინაგანი რესურსების მართებული მოძიებით საქართველოს შესწევს უნარი ისევ წამოიმართოს ფეხზე, აზიის ვეფხვი ქვეყნებივით (ჰონ კონგი, კორეა) სწრაფად გაიჭრას წინ ეკონომიკური აზროვნების გარდაქმნით, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, კანონის უზენაესობის დამკვიდრებით ქვეყნის შიგნით.

საამისოდ ყველა პირობა გააჩნია ქართველს, უწინარესად — გენოფონდი, მაგრამ ჩვენი მოზარდი თაობის სასწავლო პროცესი ისეა გაწელილი დროსა და სივრცეში, იმდენადაა გადატვირთული მეორე ხარისხოვანი საგნებით, რომ ვკარგავთ ძვირფას დროს და შესაბამისად ვერ ვახორციელებთ კონტროლს სიტუაციაზე.

ნიჭიერი ახალგაზრდების სტიმულირებას შეეცადა შევარდნაძის ხელისუფლება ახალგაზრდობასთან მუშაობის დეპარტამენტის შექმნით. აქ უამრავ ნიჭიერ ჭაბუკს თუ ასულს დაენიშნა პრეზიდენტის სახელობის სტიპენდია და დაფინანსდება მათი პროექტები გრანტებით 3000 ლარის ფარგლებში, მაგრამ ჩვენის ღრმა რწმენით, ეს არ იყო პროცესი. საჭიროა გახლდა მატრიცის, პალადიუმის, ერთი გუნდის, ერთმოაზროვნე ადამიანების კრებულის ჩამოყალიბება, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებდა ქვეყნის მომავალზე და რეალურადაც განახორციელებდა საქართველოს ინტეგრაციას განვითარებულ მსოფლიოსთან.

მიზანი

ქართველი კაცი ნიჭიერია, მაგრამ უამრავი ობიექტურ-სუბიექტური ფაქტორის წყალობით ვერ ხერხდება მისი ჩართვა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. დღეს უმაღლეს კანონშემოქმედებით ორგანოში ადამიანი ხშირად გამორჩენის მიზნით უფრო მიისწრაფვის, ვინემ ქვეყნის მომავალზე ფიქრით. პარლამენტში არც თუ იშვიათად გაიელვებენ ავტორიტეტების სახეები, ბიზნესმენები, რომლებიც უმთავრესად იმუნიტეტის მოპოვებით ახერხებენ თავიანთი ჩრდილოვანი ეკონომიკის ლობიერებას. ამასობაში კი ჩაკვდა სახელ-მწიფოში სახელმწიფოებრივი აზროვნება.

პროექტის მიზანია საქართველოს წიაღში მოიძის ჯანსაღი ანთრო პოლოგიისა და გენოტიპის ინდივიდები, რომელთაც ადრეული ასაკიდანვე შეაყვარებენ სახალმწიფოს მართებულად აშენების საქმეს. აქ უკიდურეს ობამდე გამოირიცხება შემთხვევითობა, დილეტანტიზმი. ისინი მიზანმიმა- რთულად განისწავლებიან სიტუაციის ჩიხიდან გამოსაყვანად და სამართავად.

არაქირურგიული მეთოდით სრულიად შესაძლებელია ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში ერთი თაობის შიგნით შეიქმნას კაცობრიული სულის მართებული გზებით აღმაშენებელი ადამიანების ერთობა. ამ მონოლითს ეცოდინება ნებისმიერი წინააღმდეგობა მსოფლიოში: რელიგიური, ეკოლოგიური, სოციალური და ა.შ. მაგრამ შეუთავსებელ განზომილებათა შეთავსების განსაკუთრებული უნარით მას არ გაუჭირდება ზოგადკაცობ რიული პოზიციიდან ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, რომელიც უწინარესად ეროვნული ფასეულობებიდან ამოიზრდება.

6. განხორციელების გზები

ასპარეზობის სათანადო ჰუმუსს თუ შევუქმნით ხელდასხმულ მოზარდებს, ისინი რამდენიმე წელიწადში გადაასწრებენ მოჩვენებითად პრივილიგებულ თანატოლებს, ვინაიდან მათთვის განგებას მიუნიჭებია ღვთიური ძალა. ისინი მაქსიმალურად იხსნებიან უფლისეულ საქმეთათვის, თუმცა სათანადო პირობების უქონლობის გამო შესაძლოა ეს უნარი ვერასდროს გამოამჟღავნონ. ამისთანა მეხუთე-მეექვსნ კლასელი სრულიად საქართველოს სამას ათას დევნილთან ერთად, შესაძლოა ჰყავდეს 150-200 პოტენციურად. დაწყებითი კლასებიდან მათი ამორჩევა იმიტომაც ხდება, რომ ამ პერიოდიდან იწყება მოზარდის სქესობრივი მომწიფება, ანუ პიროვნული აფეთქების პროცესი და სწორედ აქიდან უნდა აშენდეს კაცობრიობის გადამრჩენელი თაობის ინტელექტიც. ისინი ისწავლიან სკოლისგან მოუწყვეტლივ. განათლების სისტემის არსებულ კომპეტენციაში პროექტი არ ჩაერევა, მაგრამ გამორჩეულ მოზარდებს ჩვენ შევთავაზებთ საბუნებისმეტყველო დარგების ათვისების უსწრაფეს მეთოდს. ვასწავლით საჭირო წიგნების კითხვას და სწორად კითხვას. ვასწავლით მშობლიურ ფასეულობებს ზოგად-კაცობრიულთან ერთად. ვასწავლით მშობლიურ ენას რუსულ-ინგლისურთან ერთად. თანაც მიდგომები ყველგან ინდივიდუ- ალურია. ეს ახალგაზრდები წელიწადში 12-ჯერ შეიკრიბებიან და სასკოლო არდადაგების დროს განსაკუთრებულად დაეწაფებიან პიროვნული ღირსებების სრულყოფას. მომდევნო წელს 30 ახალგაზრდას დაემატება უმცროკლასელების ახალი ტალღა. ხუთი წლის თავზე რეგიონში უკვე გვეყოლება 150 მსმენელი, რომელთაგან პირველი ნაკადი მზადაა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. პროექტის სხვა ეტაპები დამოკიდებულია პირველი ეტაპის სრულყოფილ განხორციელებაზე, რომელიც არ მოითხოვს განსაკუთრებულ სუბსიდიებს. ამის შემდეგ ახალგაზრდა თვითონ განაგრძობს დამოუკიდებელ ცხოვრებას. ეს პიროვნება გამორჩეული იმითაც არის ათასებისაგან, რომ მას გააჩნია, სიტყვისთვის, ფიჭური ტელეფონი უფალთან სასაუბროდ, ოღონდ არ იცის ამის თაობაზე. ჩვენ ჩავახედებთ მას სულის სარკეში და ვასწავლით მობილურის ჩართვას. დანარჩენი მომავლის საქმეა.

„რუბურ“ — ფენომენური პოტენციის თითეულ ახალგაზრდას უტარდება ინდივიდუალური საუბრები, თუ რა მიზნით შეირჩა იგი ათასებისაგან; გაცნობიერდება მისთვის სამშობლოში, მსოფლიოში შექმნილი ვითარება და ამ სიტუაციის გამოსწორებაში მისი განუსაზღვრელი როლი. ახალგაზრდებს მიეწოდებათ ყოველთვიური გასამრჯელო 10 დოლარის ოდენობით და აუცილებელი მეთოდური ლიტერატურა. ისინი პარალელურად ითვისებენ სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამას, მაგრამ სწორი მობილიზაციის წყალობით მალე გაასწრებენ თანატოლებს აზროვნების დონით. ამასთან ამნაირ ყმაწვილებს ზედმიწევნით შთაენერგებათ ქრისტიანული მორალი: „გიყვარდეს მტერი შენი,“ რამეთუ ბოროტმა არ იცის რასა იქმს.

მოზარდებს განსაკუთრებით გაუმახვილდებათ პასუხისმგებ ლობის გრძნობა სამშობლოს, კაცობრიობის წინაშე. ისინი მზადდებიან პალადინებად, ანუ სახელმწიფო კაცებად. მათი აკადემიური მოსწრების ყველა მონაცემი აღინუსხება კომპიუტერში და ასე გაგრძელდება მთელი 6 წლის მანძილზე. ასეთი ახალგაზრდები ქვეყნის პოლიტიკაში უეჭველად მოვლენ 15-20 წლის შემდეგ.

„ვინ“ — პროექტის ავტორია გულადი ფეტელავა, (მწერლობაში — გური ოტობაია), რომელიც ეზიარა ფილოსოფიის თითქმის ყველა სკოლას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, უმეტეს რელიგიურ მიმდინარეობას და ზოგადკაცობრიული მოთხოვნილების საფუძველზე ეკარნახა მსგავსი ნაბიჯის გადადგმა. პროექტის ავტორს მისი პირველი ეტაპის განხორციელების პერიოდში გვერდით ეყოლება ადამიანების ჯგუფი, რომელთათვის მთავარი ფასეულობაა პიროვნების ფორმირება მშვენიერის, ამაღლებულის კატეგორიებით; რომელთათვის ძირითადია ზოგადკაცობრიული პასუხისმგებლობა საუკეთესო ეროვნული ტრადიციების მხარდამხარ. ასეთი ინდივიდი უამრავია ზრდასრულ ასაკშიც, უკვე პროექტების ავტორები თუ საკმაოზე მეტად განათლებულნიც, მაგრამ ბევრი მათგანის სული მიტაცებულია ათასი სექტის, ფონდის, თუ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ და ძნელია მათგან

მამულიშვილური საქმეების აღძვრა. ხოლო როდესაც ადრეულ ასაკში მიზანმიმართულად ჩაენერგება ახალგაზრდას მისი განსაკუთრებული როლი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში, მიზანმიმართულად აღიზრდება მისგან პალადინი — ერთდროულად პატრიოტული და კოსმოპოლიტური ფასეულობების შემთავსებელი პიროვნება; თანაც ამისთანა ინდივიდს არ ექნება ენობრივი ბარიერი ჩრდილოეთთან, ევროპასთან თუ სამხრეთთან. აქვე ამნაირ ხალხს, როცა ეცოდინება ნაწილისა და მთელის განუყოფლობა, შეუთავსებლის შეთავსების ალქიმია, რომ საქართველო და მსოფლიო ერთმთლიანის სხვადასხვა ასპექტია, როგორც უჯრედისა და სხეულის დამოკიდებულება, აქ ყოველგვარი წინააღმდეგობა მოიხსნება სრულიად ცივლიზაციის სასარგებლოდ.

პროექტის ძირითადი მიზანია პალადინების მეშვეობით სრულიად დედამიწის სინქრონიზაცია, სრულიად ცივილიზაციის პოლიფონია, სრულიად კაცობრიობის კონსენსუსი, მიუხედავად ქონებრივი თუ სხვა მრავალი დიფერენციაციისა.

პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ რეგიონიდან წამოსული ახალგაზრდები სწავლას გააგრძელებენ სამამულო თუ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ მათი მიშვება უმეურვეოდ სულაც არ შეიცავს რაიმე ხიფათს, ვინაიდან ამიერიდან ისინი პალადინებად — სახელმწიფო მოქალაქეებად ჩამოყალიბებულან და უპრობლემოდ გაიკვლევენ გზას წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრებაში, საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ნიჭიერების, ინტელექტის პრიორიტეტს პრეზიდენტი სააკაშვილიც ჩინებულად მიანიშნებს. ამიტომაც დაასახელებს იგი მთავარ ფასეულობად ცოდნას, განათლებას, ნიჭიერებას.

ამ მიმართებით პროექტს წინააღმდეგობა არ უნდა შეხვდეს, განსაკუთრებით, როცა კავკასიის ინტეგრაციაზეა საუბარი და საერთო, ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებაზე.

გამორიცხული არ არის, რომ დიახაც, მიხეილ სააკაშვილი მოევლინოს პროექტ ,,გვიმარას'' საერთაშორისო რეზონანსის მიმნიჭებელ ძალად. საამისოდ მას ყველაფერი გააჩნია: ინტელექტი, მამულიშვილობა, მსოფლიო მოქალაქეობა.

რომ არა ჩვენი უმოქმედობა და ,,ხვალინდელი კვერცხის'' უარყოფა ,,დღევანდელი ქათმის'' სასარგებლოდ; რომ არა ჩვენი აღიარებული უმეცრება და მცონარობა, დოყლაპიობით არ დავკარგავდით ძვირფას წლებს და ჩვენს ახალგაზრდა პრეზიდენტს დღეს გაცილებით უმცროსი ასაკის საპარლამენტო უმრავლესობა ეყოლებოდა, რომელმაც ხელდასხმულ ქურუმზე არანაკლებ უწყის სამამულო პრობლემების ზოგადკაცობრიულთან შეთანა- წყობის ალქიმია.

გენიოსი თაობის გამოჩენა ცხოვრების ასპარეზზე საქართველოს გაათავისუფლებს, როგორც პარტიკულარული მსოფლშეგრძნებისაგან, ისე — განუკითხავი უპასუხისმგებლობისგანაც. ხოლო ვისაც მსოფლიო, დედამიწა თავის ერთადერთ საცხოვრისად შეურაცხავს, არაფერს დაიშურებს ამ პროექტის ძირითადი მიმართულებების ავტომატიურად გადასაღებად თავიანთ ქვეყანაში და სწორედ აქიდან დაიწყება ფინანსური აღმასვლებიც, ვინაიდან მოთხოვნა უამრავი იქნება, ხოლო ქირურგიის ჩაურევლად გენიის გამოვლენის მცოდნე — მარტოოდენ

პროექტი ხორციელდება მოზარდი თაობის სასწავლო პროცესისაგან მოუწყვეტლივ. იმდენად დიდი იქნება ამნაირი ბავშვების ზეგავლენა თანატოლებზე, რომ რაღაც ნაწილით მათაც გადაესხმებათ გენიალურობის ღვთიური მადლი. ათასებისგან გამორჩევის ჩვენეული მეთოდი არ შეიცავს სხვათათვის დამამცირებელ რაიმე ელემენტს. არ გამოიწვევს ფენომენ ბავშვსა და რიგითებს შორის კონფლიქტს, ვინაიდან ჩვენს ხელში გავლილი მოზარდი საამისოდაც სათანადოდ შეემზადება.

პროექტში მონაწილე აღსაზრდელები თვეში ერთხელ აუცილებლად იკრიბებიან სათავო ოფისში საჭირო ინსტრუქციების, ლიტერატურის მისაღებად და გასული პერიოდის მანძილზე მიღწეული წარმატების თუ შეფერხების გასაცნობიერებლად. ასე რომ, 120-150 ბავშვის დაკვალიანება სულაც არ არის სირთულე 4-5-კაციანი ჯგუფისათვის. აქ უმთავრესია მეთოდური ლიტერატურის მომზადება და კონტროლი მის ათვისებაზე.

პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემასთან ერთად განხორციელებს თავის მიზნებს და ახალგაზრდებს ერთგვარად ჩამოუყალიბებს პასუხისმგებლობის უნარს სამშობლოს,

ადამიანის, ბუნების თუ კაცობრიობის წინაშე. უმეცრებაა მოზარდი თაობის უყურადღებოდ მიტოვება, მაგრამ სამყაროს წინაშე დანაშაულის ტოლფასია ჩვენი ერთადერთი ხსნის, ნაღები გენოფონდის უგულებელყოფა, მით უფრო, როცა ცივილიზაციის მომავალს უფრო დიდი მეოხი არსაიდან ეგზავნებაფენომენური უნარის მოზარდთა ადრეულ ასაკში არაქირურგიული მეთოდით დადგენა სავსებით შესაძლებელია. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა მსოფლიო ცხოველ ინტერესს გამოამჟღავნებს აღნიშნული ცოდნისადმი, ჩვენ ამ სწავლებით თვითვე მოვემსახურებით დაინტერესებულ ქვეყანას თუ ქვეყნებს, რათა ფენომენური ხალხის ამოცნობის მეთოდი არ ჩაიკეტოს ერთ სახელმწიფოში. პირიქით, რაც მეტ ქვეყანას მოიცავს იგი, მით უფრო გადაიჭრება მსოფლიოს გლობალური პროცესები.

საქართველო კი ბუნებრივია, ამ სწავლების სანიმუშო ბარომეტრად მოგვევლინება და ახდება იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველება, რომ ამ ენით, ანუ ეთნოსით — ე.ი. ქართველებით განიკითხება — განიწმინდება — აღზევდება მთელი კაცობრიობა.

7. ფენომენური ნიჭის მოზარდი თაობის დადგენის მეთოდი

პიროვნება ათწლეულობით წასწევს ხოლმე საზოგადოებას, ხოლო ასეთი პიროვნებების გუნდი , იგივე მატრიცა — საუკუნეებით. ტალახში ჩაფლულ რუსეთს ევროპულ ფასეულობებს აზიარებს პეტრე დიდი. იგივეს მოიმოქმედებს ათა თურქი, მაგრამ ჰომეინი უკან მოაჩოჩიალებს ირანს. ხოლო ჰიტლერი რა სიკეთეს დაათენებს გოეთეს გერმანიას, გამოცდილია 50 მილიონი ზვარაკეულით.

მატრიცის შექმნის თაობაზე ბევრს მსჯელობს ბატონი თამაზ ბუთხუზი წიგნში ,,გაახელ თვალებს — იქნება გვიან'', მაგრამ იქ წამოწეულ პრობოლემებთან ჩვენი მიდგომები განსხვავებულია. უკეთ ზრდასრული ადამიანებისგან გამორჩევით ჩვენ მოზარდ თაობაზე ვამახვილებთ ყურადღებას და უხერხულებას სრულებით არა ვგრძნობთ, როცა საჩვენო ტვირთის ახალგაზრდა თაობას გადავულოცავთ. თურმე საკმარისი არ არის ქვეყნის გარდაქმნაზე შიშველი ცოდნის ქონა, არც — ცარიელი ენთუზიაზმი, თუკი იგი რწმენაში არ არის გადაზრდილი. .მაშ, ასე, მოზარდი თაობის მოყვანა ქვეყანაში გლობალური რეფორმების ჩასატარებ- ლად, ობიექტური რეალობებითაა ნაკარნახევი და იგი პროექტის საკვანძო კონცეფციას წარმოადგენს.

დიდი აფეთქებიდან მოყოლებული სამყარო 12-13 მილიარდი წლისაა.

ადამიანის არსებობა დროის ამ კოლოსალურ მონაკვეთში დაახლოებით 1-2 მილიონ წელს მოითვლის, ხოლო,,ჰომო საპიენსი''— 60-50 ათას წელიწადს.

ჩამოვა ხიდან მაიმუნის ერთ-ერთი შტო, , ვეგეტერიანობას მოიშლის, ხორცის ჭამას მიჰ ყოფს ხელს და სწრაფადაც დაწინაურდება დროსა და სივრცეშიც

კანიბალიზმს უამრავი პოპულაცია მისდევს: ღორი, ნიანგი და ა.შ., მაგრამ მხოლოდ ადამიანი ეზიარება საკუთარი თავის შეცნობის რეალობას, ვინაიდან ორ ფეხზე მდგომელი არსება გახდება — ,,ჰომო ერექტიკუსი''. ეს მომენტი განსაკუთრებულია ამ სახეობისათვის, ფეხზე დგომა უამრავ პოპულაციას ემარჯვება: დათვს, მაიმუნს, კენგურუს და ვინ მოსთვლის, თუმცა ბორბლის შეკვრა არავის ძალუძს.

,,ჰომო საპიენსი'' თავის თავს მზის შვილად აცხადებს, სინათლის ნაფოტად (მზე დედაა ჩემი) და ამას ნათლად მეტყველებენ მის მიერ შექმნილი ცივილიზაციების წყება შუმერებში, ეგვიპტეში, მაიაში, კოლხეთში... და წარმოიდგინეთ, ყველაფრის საწყისი ეზოტერიკულად, საკრალურად, ქარაგმულად ჩვენი გაგებით სამკუთხედია: თიხის ფირფიტებში სამწერლობო ერთეული — მარცვალი; პირამი- დებში ამ გეომეტრიული სხეულის წიბო; ოქროს საწმისებში — კირბებში — სამკუთხა ქვის ფირფიტები კანონთა სამეტყველოდ.

თავად სამკუთხედი მზის შუქის ნაკადის გრაფიკული გამოხატულებაა. 6 ასეთი სამკუთხედის ერთი წერტილში თავმოყრა გვაძლევს სექსტოგრამას — წესიერ ექვსკუთხედს. ხოლო 2 ამნაირი სამკუთხედის შეპირაპირება გვანიჭებს დავითის ვარსკვლავს. ანუ მზის

კულტის მიერ შექმნილი ადამიანი, როდესაც მიწიერ კულტურაში გარდასიახება და აირეკლება შემოქმედის მიმართულებით, სავსების ფორმულას მივიღებთ.

აბა, კარგად გავიხსენოთ სახარება, როცა აღმოსავლელ მოგვებს ვარსკვლავი მიუძღვით ჩვილი იესოსკენ. დიახაც, ამ ვარსკვლავის მეშვეობით იპოვიან ისინი ქალწული მარიამის მკერდზე მოჟღურტულე ნორჩ მეუფეს ჩვენსას. მაგრამ საკითხში ჩახედულ ადამიანს ამ ვარსკვლავის გარეშეც ჩინებულად შეუძლია თვალის ერთი შევლებით ამოიცნოს პოტენციურად გენიოსი ათასებიდან, მით უფრო თუკი მადონას მკერდს ფუნჩულაფეხიანი პირმშო მიკვრია. რენესანსის მხატვრები და სკულპტორები დიდ ყურადღებას მიაპყრობენ ადამიანის სხეულის პარამეტრებს, განსაკუთ რებულს და კანონზომიერს. აქ სანიმუშოდ გამოდგება მიქელანჯელოს „მოსე", „დავითი"; ჯოტოს „იუდას ამბორი" და სხვ.

ადამიანი, როგორც ასეთი, არა სიმეტრიული ბიოლოგიური არსებაა. მას მარჯვენა კიდური რამდენიმე სანტიმეტრით მეტი აქვს მარცხენასთან შედარებით. ეს ყველაფერი მისი ცხოვრების რიტმის შედეგია, რომ იგი ზედმიწევნით ბუნების პროდუქტია, მზის სისტემის კანონ ზომიერების ანარეკლი, რადგანაც ჩვენს გალაქტიკაში ძირითადად ყველაფერი მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობს.

მაგრამ ადამიანი ასიმეტრიულია შინაგანადაც, რაც განსაკუთრებით მის კიდურებშია აღბეჭდილი. ადამიანის შინაგანი მუხტის ფსიქოლოგიური ცენტრი ზედა კიდურების მიხედვით შუა თითზე გადის, ხოლო ქვედა კიდურების შესაბამისად ცერის მომდევნო თითზე. ანუ მარტივად თუ ვიტყვით ხელის ორგანოებთან შედარებით ფეხის ორგანოები საგრძნობლადაა ჩამორჩენილი სრულყოფის პროცესს და ადამიანი თავისი აღნაგობით ადასტურებს პროპორციას 3 : 4-თან. თუმცა ეს ნაკლული თანაფარდობაც ყველა ინდივიდისთვის როდია ნიშანდობლივი.

ხელის თითის მიხედვით კაცობრიობის 99 პროცენტი მსგავსია, ვინაიდან ხ ელი — როგორც გარეთ გამოსული ტვინი (კანტი) გაცილებით ადრეა ჩართული გაადამიანების პროცესში, ხოლო ფეხი: როგორც საყრდენი ორგანო მოკლებულია ამ ფუფუნებას და რამდენიმე ათასწლეულით იმიჯნება მათი ბუნება. თუმცა ფეხის ტერფის იდეალური აღნაგობა ბერძნულ ს შეესაბამება, სადაც ცერის მომდევნო თითია დაწინაურებული და ასეთი ტერფი ყოველი 10 ეგზემპლარიდან მხოლოდ ერთს გააჩნია ჩვენეული სტატისტიკით.

ადამიანს, რომელსაც ხელის შუა თითი — მესამე და ფეხის მეოთხე თითი დაწინა-ურებული გააჩნია, იდეალურია სადღეისო მონაცემებით. ეს პირველი ნიშანი..

ამასთან „ ჰომო საპიენსისათვის" განუზომელი მნიშვნელობისაა თავის ქალის აგებულება. ანთროპოლოგები განარჩევენ სამი ფორმის თავის ქალას — დოლიქოკეფალიურს (გრძელთავიანი), მეზოკრაინულს (საშუალო) და ბრაქკოკეფალურს (მოკლეთავიანს). თითეული ფორმა ამ აღნაგობათაგან მისაღებია ჩვენეული მიდგომებით, მაგრამ მაინც შუალედურს ვამჯობი ნებთ, რაც ჩვენს მიერ მოკვლე- ული ყოველი 100 ტიპიდან 30 მოეპოვება.

შუბლის თაღი რენესანსის მხატვრების მიხედვით (ჯოტო) ქრისტეს აქვს 90 გრადუსი. ამ ციფრს ანთროპოლოგები აზუსტებენ შემდეგ- ნაირად: ადამიანის თავის ქალას აბსტრაქ-ტულად ათავსებენ კოორდინატთა სისტემაში, სადაც ყურის ნახვრეტი X-ღერძზეა განთავ-სებული. ხოლო Y-ღერძის გადაკვეთა შუბლის უმაღლესი წერტილია. სადღეისო მონა-ცემებით კაცობრიობის უმეტესი ნაწილის ათვის დამახასიათებელია 78-76 გრადუსიანი შუბლი (კაცი, ქალი). ხოლო 90-გრადუსიანი ინდივიდი ყოველი 1000 ეგზემპლარიდან ერთია. ამისი უმთავრესი მიზეზია ჩვილის გაჩენა, შობა.

შორეულ წარსულში მდედრი ფეხზე რომ წამოიმართება, მას გავა დაუვიწროვდა და ბავშვის გაჩენა პრობლემური შეექმნა. ცხოველთა სამყარო ჩვილებს არსებობისათვის სრულიად შემზადებულს აჩენს, როცა ადამიანის ნაშიერი აბსოლუტურად უმწეოა.

ანთროპოლოგები აკვირდებოდნენ შიმპანზისა და ადამიანის პირმშოებს და დაბე-ჯითებით ადასტურებენ, რომ 2 წლის მაიმუნს შეესაბამება ადამიანის 20 წლის ნაშიერი მორფო-ფიზიოლოგიური ასპექტით. ადამიანის შთამომავალს ამიტომაც ეხურება ყიფლიბანდი გაჩენიდან 1,5 წლის შემდეგ. რაქიტიანებში ეს მაჩვენებელი გაორმაგებულია. მაგრამ ბუნება კომპრომისს უშვებს ფეხზე წამომართული ადამიანის მიმართ და შეაფერხებს

მისი ძვლოვანი სისტემის ჩამოყალიბებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე დაიღუპებოდა — დედაც და ნაყოფიც, ვინაიდან მსხვილთავიანი პატარა ვერ გამოეტეოდა დედის დავიწროვებული წიაღიდან. ჰოდა, დაუშვებს ბუნება კომპრომისს ჩვილის მოვლინების გზაზე, თუმცა გნებავთ რაფინირებულ ად მოვლენილ გენოტიპს დეფორმაციები უამრავი ეღობება წინ საბოლოო ჩამოყალი -ბებებამდე: კვება, გარემო, საქმიანობა, ოჯახის შექმნა (შეჯვარება წყვილებს შორის ხდება სიყვარულით და კიდევ — მატერიალური ინტერესებით, სადაც აბსოლუტურად იგნორირებულია ინდივიდების ანთროპოლოგიური მონაცემები), ანუ დედამიწის ზურგზე არავინაა იმდენად ,,დაჩაგრული'', როგორც გენიოსის თვისებების მატარებელი გენოტიპი. ახლა რამდენს არა აქვს გაცნობიერებული თავისი უნარები; რამდენს არ მოაკითხავენ აღმოსავლელი მოგვები; რამდენი ვერ შეისწავლის ჭეშმარი ტების ანაბანას და ისინი ფაქტობრივა დ ეგზემპლარებამდე უნარჩუნდება მსოფლიოს და გამოდის რომ კაცობრიობა როსტოკაკა ფენომენის ძალისხმევით მიიწევს წინ არსებობისათვის ბრძოლის ჟინით შეპყრობილ მსოფლიოში. ე.ი, გვყავს გენოტიპი, რომელსაც წინა კიდურების მესამე და ქვედა კიდურების მეოთხე თითები დანარჩენთან შედარებით დაწინაურებული აქვს. ამასთანავე ამ გენოტიპის შუბლის მაჩვენებელი 90 გრადუსს უახლოვდება, მაგრამ ხომ არ ვიცით მისი შინაგანი წყობა? რა მასალაა ჩაღვრილი ამ რაფინირებულ ხორცის ჭურჭელში?! აქ გამოგვადგება კრიმინალისტიკაში ფრიად მიღებული თითის ანაბეჭდის პრაქტიკა, რაც სამი აღნაგობის მოეპოვება ,,ჰომო საპიენსს'' — ,,მაგნიტური'', ,,წრიული'' და ,,ტალღოვანი.'' ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს ,,წრიული''. წრედი შეიკრა: ბერძნულ ტერფიან პიროვნებას, რომელსაც შუბლის მაჩვენებელი 90 გრადუსს მიახლოებია და კიდევ — თითის ანაბეჭდები ,,წრიული'' მოეპოვება, ანთროპოლოგიურად სრულყოფილია ინდივიდია.

ფუტკარი მწერებს შორის კონგენიალურია. სკა თავად ქმნის დედებს, რომლებიც 30 წლის მანძილზე ამარაგებენ ოჯახს ახალ-ახალი თაობით. ფუტკრის უჯრედი რაფინირებული სექსტაგონია, წესიერი ექვსკუთხედი. აღმოჩნდა, რომ ადამიანის ტვინის ნეირონებიც ამისთანა აგებულებისაა. სექსტაგონი წვეროთი ერთ წერტილში თავმოყრილი ექვსი ტოლგვერდა სამკუთხედის ჯამია. სამყაროს 6 დღე-ღამეში (დღეი ვითარცა წელი ათასი) შექმნის ღმერთი; სამყაროში ყველა ფაზა ექვსგანზომილებიანია (პერიოდი ათწილადებში); ადამიანის ტვინის ნეირონების ბადე სიქსტაგონთა ერთობლიობაა, მათი მეშვეობით ხორციელდება პიროვნების სინქრონიზაცია და სხეულის ნებისმიერი უჯრედის მომენტალური შეგრძნობა. კაცობრიობის მიზანია სამყაროც ამდაგვარად სინქრონიზებული გახადოს, რათა წამში შევძლოთ უშორესი გალაქტიკების აღქმა. 6 ტომარაში უდიერად ჩაყრილი ნივთები გენიოსის ხელში ერთშიც ჩინებულად თავსდება, ანუ გენიოსი არის ზედმიწევნით მოწესრიგებული ინდივიდი. და როდესაც 600-700 იშვიათი უნარების ბავშვი გააცნობიერებს მათ წინაშე წამოჭრილ პრობლემებს სამშობლოს სიყვარულისა და კაცობრიული ფასეულობების ურთიერთშე-ხამების აუცილებლობაზე, ანუ გახდება პალადინი — სახელმწიფო ინტერესების დამცველი კაცი, ყველა პრობლემა უმალესად მოგვარდება, არა მხოლოდ საქართველოში. და წინდებული პროექტიც, რაც უფრო მალე შეიძენს მასშტაბურ ხასიათს, მით უფრო ჩქარა მოვაგვარებთ ურთიერთ- გამომრიცხავ დაპირისპირებებს ნებისმიერი ასპექტით; მით უფრო მივუახლოვდებით იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველებას: ,,ყოველი ენა (ტომი) განიკითხოს (გასამართლდეს, ანუ განიწმინდოს, აღსდგეს ფერფლიდან ფენიქსივით) ამითა ენითა'' (ტომით, ეთნოსით, ე.ი. ქართველებით).

პრაგმატული მოსაზრებებით, გნებავთ, ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე, პროექტის 70 პროცენტს გარკვეულ დრომდე საგულდაგუ- ლოდ ვასაიდუმლოებთ. ესენია: საყლაპავი მილის, ხორხის პრობლემა; ინიონის, ,,თურქული კეხის'' როლი ფენომენის მოძიების გზაზე; წინა ჯირკვალთან, პროსტატასთან დაკავშირებული ნიუანსები; სუნთქვის თავისებურებებანი; კვების, ფიზიკური ვარჯიშების თუ სხვა... და კიდევ, ის მეთოდიკა, რომლითაც განგვიზრახავს ფენომენი ხალხის დაკვალიანება.

ინტერვიუ **HOMO ECCE**-სთან — საქართველოს პარლამენტის წევრთან, ბატონ კოტა ნაყოფიასთან

— სამყარო დიდი აფეთქების შემდეგ 13 მილიარდ წელიწადს მოითვლის. 7 მილიარდი წლისაა მზის სისტემა. Homo sapiens-ი დროის ამ ოკეანეთში ნაკადულზე მომცროა — ბინული — 70 000 წლის, ხოლო ლუმერული ცივილიზაციის ნამსხვრევებზე აღმოცე- ნებული შუმერულ-ეგვიპტური კულტურების ანასხლეტი დღევან- დელობა ჩვენი — სულ რაღაც 60 საუკუნის.

უკიდეგანოდ მიჩნეული სამყარო გრავიტაციული ბადეა, რომე- ლიც ატომიდან გალაქტიკებამდე განსხვავებული მასშტაბებით, მაგრამ მსგავსი პრინციპებით გადაენასკვება ერთმანეთს; დაახ ლო ებით ისევეა, როგორც კუთხე წვეროსთან თუ ათასი კილო- მეტრის მოშორებით. მოკლედ, სამყაროში არ არსებობს ცნება: დიდი და მცირე, სტრუქტურული თვალსაზრისით, ხოლო განსხვა- ვება მატერიათა შორის კავშირებში ნულოვანია.

ფუტკრის ფიჭა, ადამიანის ტვინის ნეირონები, გენი და კიდევ უამრავზე უამრავი ბიოლოგიური სუბიექტის აღნაგობა წესიერი ექვსკუთხედის აგებულებისაა — სექსტაგონური კონფიგურაციის, რომლიც ორი ტოლგვერდა სამკუთხედის შეპირაპირებით მიიღება. ისრაელის დროშაზე გამოსატული დავითის ვარსკვლავი გულის ხმობს კოსმოსური ცოდნის, უფლისეული 1/6 ენერგიის შერწყმას ადამიანისეული ენერგიის 1/6 -თან, რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს 0, 333 332 პოტენციას — ქრისტეს (60 : 360 = 0, 166 666);

ღმერთი, ბრაჰმანი, იეჰოვა, ალაჰი, ბოგ თუ გოდ განსხვავებული ვერბალური არქიტექტონიკით აშენებული განუყოფელი ენერგიაა შემოქმედის სახით. იგი ყველგანმყოფია და ამავდროულად — სრულებით უჩინმაჩინიც; ადამიანებს უფალი ექვსი პრიზმით მოგვეცემა შეგრძნებებში, ხოლო მეშვიდე — ასტრალური გამუდ- მებით თვლემს თითოეულ ჩვენგანში და მხოლოდ ზენაარული საჭიროებისას იღვიძებს იგი.

პირამიდა ციდან მიწაზე დაშვებული ხელისუფლების არქიტექ ტურული გამოსახულებაა. მსგავსი შინაარსის მატარებელია კოლხების მიერ წერილსვეტებზე აღმართული სამკუთხა დაფები — კირბები, რომლებზედაც წაეწერებოდა საზოგადოებრივი და რელიგიური კანონები ქრისტემდე სულ ცოტა 16 საუკუნის წინათ. ოქროს საწმისი გახლდათ ცოდნა იმის შესახებ თუ როგორ მიეღოთ ოქრო და ვერცხლი ქიმიის მეშვეობით და ამისთანა შინაარსის წიგნების ერთობლიობას ანტიკური ხანა კირბისს უწოდებს, რაც იგივე კირიბიშია მეგრულად — კრავისა.

აზიის ქვეყნებიდან ევროპისკენ გამოშურებული არიული ტალღა კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვავს პროტოქართულ ეთნოსს სიმბო ლურად, მაგრამ სინამდვილეშიც ბერძნული სამყარო კოლხური ეზოტერიკული ცოდნის მოსაპოებლად გრძნეულ ოქროს ვერძს შემოაგზავნის აიაში, რაც ტროას ცხენის ფუნქციას შეასრულებს ამ საიდუმლო წერილების მოპოვების გზაზე.

გრძნეულ ცხვარს ჰელიოსს შესწირავენ, ხოლო მის ოქროცურ- ვილ ტყავზე ყველა საკრალურ წარწერას გადაიტანენ კოლხი მოგვები ეტალონის მნიშვნელობით. ამიტომაც არ ეთმობა ინფორ- მაციული ბანკის ტოლფასი ოქროს საწმისი აიეტ მეფეს. არგონავ- ტები კი მოიპარავენ ოქროს საწმისს მედეას ხელშეწყობით, მაგრამ ვერაფრით მოახერხებენ მის „ფაილებში“ შელწევას და დაიწყება კიდეც ტროას 10-წლიანი ომი ამ გრძნეული წიგნის გასაღების საპოვნელად. ტყუილუბრალოდ მიმოლეწავენ ბერძნები ილიონის კარიბჭეს. შიფრი არ იძებნება ტროაში, პრიამოსის სასახლის ტალანებში, და მხოლოდ მოგვიანებით გაახსენდებათ ელინებს კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ქურუმი ამირანი.

აქამდე ზევსის არწივისაგან ღვიძლ დაკორტნილ პრომეთეს ახსნიან მონობის ჯაჭვისაგან, რათა გაცხადდეს ოქროს საწმისის საიდუმლო, თუმცა ამირანმა ჩინებულად უწყის, რომ მხეცის სიმბოლო — „ნნნ“ არ შეიძლება ებოძოს უბირს, უმწიფარს, რამეთუ ადვილმოსალოდნელია, თავისი უმეცრებით ქვეყნიერებაც კი შეიწიროს. დაგვეკისრება ჩვენ ამ „ფაილების“ წაკითხვა და ინფორ მაციასაც კაცობრიული ზნეობრივი დონის შესატყვისად გავიღებთ.

საზიზაღლობა პირველყოფილი თემური წყობილებიდან მოყო- ლებული, ყოველთვის კომფორტს

ესწრაფის. მშვიდად-ისარს ბორბალი შეუნაცვლება, ბორბალს — ატომი, მაგრამ ზნეობრივ ასპექტში ადამიანი კვლავაც პრიმიტიულია; მისი პოტენცია მხოლოდ 3-5 პროცენტით თუ არის რეალიზებული. სახელ- მწიფოები ვითშენარჩუნების გზაზე დამცავ მექანიზმს — გარსს — გალავნებს შემოიშენებდნენ ხოლმე. სამაგალითოდ ჩინეთის კედელიც გამოდგება, მაგრამ დრო მუსრს გაავლებს უამრავ ცივილიზაციას: ვერ უშველის აგურ-რკინა-ბეტონის ჯავშანი შუმერს, ეგვიპტეს, ელადას, რომს, საბჭოეთს, გაცამტვერდება თითოეული შინაგანი გახრწნილობის წყალობით.

ნებისმიერი საზოგადოების ხასიათს მისი ეკონომიკური საფუძვლები განსაზღვრავს. ოქროს საწმისი მონეტარულ ფუნ- ქციასაც ასრულებდა თავის დროზე, რაც სასაცილოდ გვეჩვენება შვეიცარიის ბანკების სეიფების პოზიციიდან, მაგრამ დაგროვების სინდრომს ადამიანი ვერაფრით შეუნაცვლებს ტოლერანტობას: აქლემს უფრო უადვილდება ნემსის ყუნწში გაძვრომა, ვიდრე მდიდარს — ქონების გასხვისება. სოციალისტური რევოლუციაც ვერაფრით დააძკვიდრებს მთელს პლანეტაზე ზიარი ჭურჭლის პრინციპს — კომუნიზმს და მასონების დროშაზე აღმართული დევიზი: ძმობა, ერთობა, თავისუფლება, ოდენ ნანატრ მირაჟად ილანდება უძღები კაცობრიობის თვალსაწიერზე.

საქართველოს არასდროს ეცალა ფუფუნებისათვის; იგი ათადან და ბაბადან მოყოლებული არსებობისათვის ბრძოლას ანდომებდა ეროვნული ენერგიის უმთავრეს მარაგს.

საქართველო თემური ურთიერთობების კვალობაზე ახერხებდა და ახერხებს რამდენადმე სახელმწიფოებრიობის ნამსუსრევის შენარ- ჩუნებას, მაგრამ მესამე ათასწლეულის გადასახედიდან უნიათო ხავსს წაბღაუჭებაა თითქოსდა მრავალნაცადი საშუალე- ბებით მოიმედეობა, ვინაიდან მალტის დოქტრინიდან ამოზრდილი ახალი აზროვნების მსოფლიო უკუაგდებს ნაწილისა და მთელის თანაქმედებას კოსმოპოლიტურის სასარგებლოდ ნაციონალურის იგნორირების ხარჯზე.

ბატონ ჯორჯ ბუშის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზი- დენტად განმეორებით მოსვლა, ცხადია, კვლავაც გააგრძელებს პოლიტიკას ძალისმიერი პოზიციიდან ტერორიზმის ალაგმვის მოტივაციით, მაგრამ ჩინებულად უწყის თითო-ოროლა მისვ�- რილმა, რომ მსოფლიოს კრიტიკული ზღვარისათვის გადაუბი- ჯებია და აქ ძირითადი ბარიერი 600-მდე მილიარდერის ფინანსური ინტერესია, რომლებიც პლანეტარული სიმდიდრის 60-ამდე პროცენტს ფლობენ და რომელთა წარმომავლობა ძირითადად სემიტურია.

ბიბლიის მიხედვით სიმთვრალეში განშიშვლებულ ნოეს ქამი დასცინებს, ხოლო იაფეტი და სემი უკუსვლით ქსოვილს მოახუ- რავენ და ასე დაფარავენ მშობელი მამის გარდატეხვებას ნებაყოფ- ლობითი სიგიჟის — სიმთვრალის ჟამს.

სემი ებრაელების ეთნარქია, ხოლო იაფეტი — ქართველების მამამთავარი. ეს მინიშნება ზოგადკაცობრიული მნიშვნელობისაა, ვინაიდან დადგება ხანა, როცა იაფეტისა და სემის შთამომავლებს მოუწევთ დედიშობილა პლანეტის შემოსვა კაცობრიული აზრით, ჭეშმარიტი ცოდნით. სხვანაირად სრული კატასტროფა ელის მთელს ქვეყნიერებას.

ქართული სახელმწიფო ორგანიზმის დამცავი მექანიზმები სადღეისოდ უკიდურესობამდეა მოცვეთილი, დაბლაგვებული, იმპერიასთან დაუსრულებელ ჭიდილში. პირველ ათასწლეულში ქართველობა ბიზანტიასა და ირანს შორის არჩევანისას მოკავშირე-პროტექტორად ადათ-წესით მსგავსს რომ აჭარბინებდა პრაგმა- ტიკული მოსაზრებით, იგივე მიდგომებია მეორე ათასწლეულშიც, როცა ერთმორწმუნეობა დასახელდება სულიერი გადარჩენის ქვაკუთხედად. მაგრამ შემოაბიჯებს ღია დამოკიდებულებათა მქადაგებელი მესამე ათასწლეული და ყველა გამოცდილება ქარს გასატანებელი ბექთარი აღმოჩნდება წყალში გაჭირვებულისათვის.

ტერიტორიებდაკარგული საქართველო 13 წელიწადია ეძებს სახსარსაშუალებას მიტაცებული ნაწილების რეანიმაციისათვის, როცა გლობალიზაციის დოქტრინა წაუყრუებს ამ სეპარატისტულ ძალებს ჩვენი სახელმწიფო ინსტიტუტების მოსაშლელად.

ადრეულ საუკუნეებში საქართველო თემური ფსიქოლოგიის შემწეობით წარმატებულად რომ ახერხებდა თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ახლა ეს თემური ფსიქოლოგია გვქცევია ბორკილად შეუფერხებელი მსვლელობისას. ოჯახის, გვარის, ტომის ბალა- ვარზე აღმოცენებული ქართული სახელმწიფოს შენობა რაღაც მანქანებით კი აგვარებდა აქამდე ეროვნულ თანხმობას ერთობლივ მომავალზე, მაგრამ ადრე ნაციონალურ და უცხო ეთნოსებს შორის თანაფარდობა გაცილებით უმნიშვნელო პროპორციისა იყო.

1988 წლის სტატისტიკური მონაცემებით ეს პროპორცია 71 შეფარდებაა 29-სთან; მესამე ათასწლეულის ოთხწლეულში დასახელებული წილადობილა მინიმუმ 60 შეფარდება 40-თან იძულებითი მიგრაციების წყალობით.

დღეს მსოფლიოში გაბნეული მილიონ ნახევარი ქართველი იღვწის ლუკმაპურის საშოვნელად.

მართალია, ყველა ვერ იქნება სოტკილავა და კიკაბიძე; ყველა ვერ იდასტაქარებს ბოკერია-ხუბუტიასავით; ბევრია მათ შორის სარატი ფეტელავა და კალატოზი პაპავა. არიან თითლიბაზებიცა და ავტორიტეტებიც, მაგრამ სინამდვილეში შიდა ეკონომიკური მეტასტაზები ქართულ ეთნოს აიძულებს მეზობელ ქვეყნებს მიაშუროს ოჯახის გამოსაკ- ვებად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში განთესილ ქართველობასაც ერთი ზნე სჭირს — ისინი საბჭოეთიდან წასულ ნარუსეთალ ებრაელობასთან ეძიებენ საშოვარს და მათი როლი უმეტესწილად სერვილურია, დიახაც, ისეთივე, როგორიც — სომხების, თათრების, ქურთების, აისორების თუ სხვათა, მზიურ საქართველოში ათწლეულ- ლების, საუკუნეების მანძილზე.

ახლა ყველაფერს მიხვედრილია ემიგრაციაში მყოფი ქართვე- ლობა; მზად არის სახელმწიფო აშენოს დემოგრაფიული კუთრი წონის ადეკვატურად.

საფრანგეთი, გერმანია ნაციონალურ თავმოყვარეობებს არბი- ლებენ უკვე 5-5 მილიონიანი თურქულ დიასპორათა სასარგებლოდ. უცხო ეთნოსის გამოყენება პატრონ-კლიენტელას ნიშნით, სახელ- მწიფოში ადრე თუ გვიან წარმოქმნის გარდუვალ შინაგან წინააღ- მდეგობებს. ამერიკის შეერთებული შტატები დიდი ხანია გამომ- ცდარა თუმურ რთიერთობათა ჩარჩოებს.

იგივე სურათია რუსეთშიც. საქართველოში ოჯახით, გვარით, ტომით რომ ინახებოდა სოციალური პრივილეგიები, იმპერიამ გეგმაზომიერად აამუშავა მათი მოშლის მექანიზმები. და რადგანაც ქართულ სინამდვილეში სომეხს, რუსს, თათარს... უჭირდა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში უპრეტენზიო მოსვლა, დაიწყო ეროვნული რეკვიზიტების გაუგონარი დევალვაციები. საპასპორტო ჩანაწერებში მასობრივად გადასხვაფერდა უცხოური წარმომავლობის გვარები და ამით მივიღეთ ვითომცდა ეროვნული შეფერილობის ბირთვი, რომელსაც სინამდვილეში უამრავი ბზარი დატანებია სახელმწიფო შენობის მოსარყევად. ეთნიკური ინტერესებით ურთიერთ დაპირისპირებული ეროვნული ბირთვის ამოქმედება თახმობის, თანაქმედების, თანამშრომლობის ასპექტით, უტოპიურია, ამაო გარჯა. ამიტომაც სანამ ქართულ პოლიტიკაში ამთავითვე არ გაჩაღდება საშზადისი სამოქალაქო თანხმობის მისაღწევად, ჩვენს ტერიტორიულ თუ ფსიქოლოგიურ მონოლითუ- რობას საშველი არ უწერია. ეს კი თუნდაც 1988 წლის დემოგ- რაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, სადღეისო 235 -მანდატიან პარლამენტში 10- პროცენტიან კვოტას ნიშნავს სომხობის, რუსობის, აზერბაიჯანელების მიმართ, რომლის გათვა- ლისწინებით სადღეისო უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ვან ბაიბურთს დამატებით 22 სომეხი პარლამენტარი ეყოლება თანამოაზრედ და ამდენივე აზერბაიჯანელი კოლეგა ბატონ ჯუმალ მურადხანოვასაც. სხვანაირად ქართულ სახელმწიფოში, ლამის უუფლებო ეთნიკურ უმცირესობებს სრულ მოქალაქეობაზე პასუხის- მგებლობას ვერ დააკისრებ; სხვანაირად სახელმწიფოებრივ ფსიქო- ლოგიას ჩვენ ვერაფრით შევიმუშავებთ ეროვნული თანხმობის ილუზიური წარმოდგენებით. ხოლო ქვეყნებს შორის ზიარი ჭურჭლის პრინციპით თანაარსებობას დიდი ხანია დადგომია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, სადაც მოხსნილია საბაჟოები ტვირთბრუნვაზე; ერთიანი მონეტარული სისტემით შექმნილია გასაოცარი ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივები. ქონებრივი დიფერენციაციის შერბილებისკენ მიზანმიმართული სვლა — პლანე- ტარული სოციალიზაცია და საერთაშორისო პასუხისმგებლობის აღზრდა ერთობლივ მომავლზე იხსნის მსოფლიოს აქამდე გადაულახავი კაცობრიული ანტაგონიზმისაგან.

ადამიანი უფლის ხატად და სახედ შექმნილი ბიოლოგიური არსებაა, რომელიც უნიკალურ ნიშან-თვისებებს ამჟღავნებს ათასწლეულების მანძილზე, მაგრამ სოდომისა და გომორის სახელწოდებით ცნობილმა სენმა წარყვნა სრულიად დედამიწა და ეს ყოველივე მასკულინუმის დეგრადაციის სარჯზე მოდის კვლავაც. ცისფრები თუ ჰიჯრები ერთი ალქიმიის ნაირსახეობანია მამრის კასტრირებისა და სექსუალური ორიენტაციის გადასხვა- ფერების სარჯზე. მუსტგამოცვლილი ჰიჯრები ორგაზმსაც კი ვერ განიცდიან კოიტუსის დროს, მაგრამ მსგავს მანიპულაციებს მათ მეძავის უსსოვრობის დროინდელი პრივილეგიები აიძულებს — ქალი ყოველთვის განიხილებოდა, როგორც განძი, როგორც ფუფუნების საგანი, ძალა-უფლება მამრისათვის. ამას გასაოცრად ასტიმულებს ბიპოლარული მსოფლიო და წამითაც არ უფიქრდება საუკუნის შერმინდელ ბიოსოციალურ გადაგვარებას, როცა დედამიწა გადაიქცევა დეგრადირებული ჰომო საპიენსის სარკოფაგად.

პროექტი „ბვიმარა“ სულშეძრწუნებული მისჩერებია ხვალინდელ პერსპექტივებს და პლანეტარული ფასეულობების შენარჩუნების მისით დასახავს ბიოლოგიურიჩიხიდან თავდაღწევის გზებს და მეთოდებს.

მართლაცდა, მომხვეჭელობის წინდაუხედავ მადას ვერაფრით

გადაჭყვება ძე ხორციელი — სამყაროს უნიკალური შემოქმედება. აქ ხსნა და საშველი

საზოგადოების წიაღში

მთვლემარე გენეტიკური ფონდის მოძიებაა, რომლის თუნდაც 0,1 პროცენტით გამოვლენა, კარდინალურად შეცვლის დეზორიენ- ტირებული მსოფლიოს მსწრაფველობას პროგრესისაკენ.

პროექტის უმთავრესი ორიენტირი ისევ ადამიანის ანთროპო- ლოგიური მონაცემების მეცნიერული წაკითხვაა — თავის ქალის აგებულების, შუბლის მაჩვენებელის შემოშველიება, რომელიც სადღეისო მონაცემებით კაცებისათვის 78 და ქალებისათვის 76 გრადუსია. რაც უფრო მიახლოებულია ეს მაჩვენებელი 90 გრადუსს, მით მეტია შინაგანად გაწონასწორებული პიროვნების გამოვლენის შანსი.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი ამ პროექტში გახლავთ ფეხის თითების განლაგება. ჩვენი კვლევებით საზოგა დოების მხოლოდ 0, 1 პროცენტს აღმოაჩნდა ბერძნული ტერფი, სადაც ცერის მომდევნო თითია დაწინაურებული დანარჩენთან შედარებით. აშგვარი ტერფითაა ხატწერილი ქრისტიანული წმინდანების სრული გალერეა. ტერფის მეორე თითი ცენტრია ადამიანისათვის სისხლის მიმოქცევასა და სექსუალურ მსწრაფვე- ლობების ასპექტით.

ეს არის პროექტის ზოგადი კონტურები ფენომენური ნიჭიერების მოზარდების დაფიქსირების გზაზე. პროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე პიროვნების ნებელობას, იგივე პასუხისმგებლობის პოტენციას ინდივიდში, რასაც ხელის თითების ბალიშების მოხაზულობა — ტალღები გასცემს პასუხს. კიდევ მრავალზე მრავალი ვიზუალური მონაცემი აშკარავნებს ჰომო საპიენსის არქიტექტონიკას კუთილშობილების ნიშნით. გეომეტრიაში ითლია წესიერი სხეულების დადგენა, ვინაიდან ისინი მკაცრ საზოგრივ კანონზომიერებებს ექვემდება რებიან. იგივე პრინციპებია ადამიანთანაც, ოღონდ საჭირო ა ქურუმთა წყების დაძვრა აღმოსავლეთიდან, რომლებიც სიმბო- ლურად ვარსკვლავის წინამძღოლობით, სინამდვილეში კი ანთრო- პოლოგიური ცოდნის მომარჯვებით მოახერხებენ მარიამ ღვთისმშობლის მკერდზე მოჟღურტულე ქრისტეში მაცხოვრის ამოცნობას.

რა შედეგს მოგვიტანს მსოფლიო მასშტაბით 6 მილიონი გენიოსის გამოვლენა და საზოგადოების საამსახურში ჩაყენება?! მათი ზენაარული უნარები ხომ მთელი ცხოვრების მანძილზე მიწაში დამარხული ოქროს მსგავსად დახურულია კაცობრიო ბისათვის?! მათ ხომ წამითაც არ მოაფიქრდებათ თუ რა კოლოსალურ პოტენციას ფლობენ?! უმაღლესი გამომსახვე- ლობითი უნარის ტელევიზორი მთელი საუკუნე უმეტყველოდ იდგმება თაროზე თუკი ვენმე არ ჩართავს დენის წყაროში. გენიოსის ბუნებაც ამგვარადაა მოწყობილი, სანამ მის მთვლემარე ძალებს ხელდასხმული არ შეეხება და ჰომო ეკეო (აი, კაცი), არ ეტყვის, იარსებებს საბადოს ძარღვში საუკუნო თვლემით გარინდული ოქროს ზოდივით. პროექტი „გვიმარა“ იაფეტის შთამომავალი ვინმე ფეტერიშის აღმოჩენილია. იგი, დიახაც, მოითხოვს ილია მოსიაშვილისმაგვარ ქომაგებს სემიანელთაგან, რათა ამ ორი ღვიძლი ეთნოსის ტანდემურობამ კვლავაც მოიკრიბოს საკაცობრიო ძალისხმევა და უფრო გრანდიოზული ქსოვილით დაფარონ გარდატეხებული მაპა ნოეს — პლანეტა დედამიწის — კატასტრო- ფული სიშიშვლე — უმეცრება. პიროვნულ ახირებულობად ნურავის მოეჩვენება პროექტ „გვიმარას“ კატეგორიულობა, ვინაიდან ცაბაოთის ნაკარნახევსადამიანები ვეღარაფრით აღკვეთენ, თუნდაც ქვეყნიერებას ას ერგას დღიანი წარღვნა ემუქრებოდეს.

ᲨᲘᲜᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲘ. არადა სასოწარკვეთის უტყუარი ნიშნებია

პარლამენტის წინ ერთვნული მოძრაობის საუკვდავო ქვა-ლოდი უჩინარი ხელების საოლტეში მოაქციეს. ეს ხომ იგივე ამირანის პოზიციაა. ოღონდ არწივი არ ჩანს.

წყალი შეუყენეს პარლამენტს, ფერადი შადრევნები მიიჩქარიან ცისკენ და ამავდროულად წყალშეყენექულია ვითომ ქართული კანონმდებლობა.

უნივერსიტეტი გამესამედდა. დასავლური ეღერადობის გვარი- სანი მაქსიმალურად გამობუნძურეს თეთრი ტაძრიდან და დაეუფ- ლნენ უპატრონო ეკლესიას უვიცნი.

ასხვისებენ საძოვრებს, მაშინ როცა ათი ნაკრძალი და დაცულმი ტერიტორია 57 ათასი კვადრატული კილომეტრი ზღვის აკვატორიის ჩათვლით გამზადებულია ძიმრძველი მოსახლეობის ასაყრელად და გამოსაძევებლად, ვინაიდან წლების შემდგომ იქ ყოველგვარი სახის სასოფლო- სამეურნეო სამუშაოები იკრძალება.

ონკოლოგიური სტატისტიკა (1988 წელთან შედარებით გაზრდილია 400 -ჯერ, ანუ თუ ამ წელს 1000 შემთხვევა იყო დაფიქსიერბული, ამჯერად 400 ათასია.

შაჰბასის დროს ლითონით ჩეხავდნენ ვენახს ყიზილბაშები, ახლა საკუთრივ ქართველებს აკაფვინებენ მაპაპურ საგანძურს, ვინაიდან. სპირტის ექსპოლრტმა წალეკა სრულიად საქართველო. ჭინჭებმა, ნარკოტიკებმა, პესტიციდებით გაჯერებულმა საკვებმა შეანელა პროტოიბერიელს სიცოცხლისუნაირანობა. მასშტაბური გენოციდია. ტოტალური. არგაგონილი. ანახული. არსმენილი, გალაკტიონის სტრიქონების პერიფრაზით.ხელსაც ვერ კილავ ხმალზე ვინაიდან 16 წლიანი

უთანასწორო ბრძოლების, დევნისა და პატიმრობების უსიერით შემუსვრილია ჩვენი მოწინავე გენოფოგნდი. უძაღლო ქვეყანაში ახლა კატებს აყეფებენ. თაშაშად. რუსთავი-2-ის ლოგო დაურიდლად ბრიცავს თვალს თავისი სახელ- რული სიფათიდან, მაგრამ იგი სულაც არ გახლათვთ ორიანის ციფრული გვარჯღნილობა ან რაიმე ფანტასმაგორია, დიახაც ცხენი გახლავს ჩვენს თავზე მერამდენედ აჭიხვინებული, ტროის ცხენი, ჩემო შთამომავლობავ.

SOS-მეთქი, მსოფლიოთ, ესოეს მეთქი, ქვეყნიერება, SOS-მეთქი, უფალო, შენს ხატად და სახედ შექმნილ ქართველობას, მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილი მიწის მეპატრონეს ზეზეურად კლავენ, ზეზეურად ბასრავენ.

ამიტომაც და არა მხოლოდ ამის გამო, ქვეყნიერებაც რომ იქცეოდეს, გული გეწურებოდეს მწუხარებისაგან, იმღერე და იცეკვე, ეროკე, რადგანაც შენი სახელი იბერიაა, იბერიკონი! სიმღერითა და ცეკვით შექმნილი ღვთაება ხარ უფლის ხატად, მისი მიკრომო- დელი. შენი გაწონასწორება პოლიფონისაგან და ქორეოგრა- ფიისაგან მიდის. შენ გეორგიანელი ხარ და არასდროს დაგავიწყდეს შენი ცისა და მიწის მადლი. ანთეოსის ძლიერება მიწისგან სულდგმულობს. ჰერაკლე ვერაფრით დააშარცხებდა მას ხმელეთისაგან მოუწყვეტლად.

თვალის ჩინივით მოუარე შენს ვენახს, შენს ზანდურს, შენს ფუტკარს და არვეს, ასწლეულებით დრო-ჟამისგან გამოცდილ ენდემურ კულტურებს. არ წაართვა წუთიერი ნეტარებისათვის სიცოცხლე ქოჩორა ნაძვის ხეებს — იგივე შენ ხარ. არ მოუსწრაფო საწუთრო წამიერი გარინდებისათვის ბზას — იგივე შენ ხარ. ტრადიციული ჩიჩილაკი მიაგებე იმ რიტუალებს და ამით იბედნიერე.

ახალგაზრდობისას იკვებე ხორცით.

ჭარმაგობისას — მეტი ბოსტნეული და ხილი იგემე.

მხცოვანების ჟამს კი თაფლს და რძის ნაწარმს არაფერი სჯობია.

სექსი არ არის ფუფუნების საგანი. იგი სიყვარულის საშუა- ლებაა ისევ უფლის ხატად შექმნილი შენი მეორე ნახევართან შესაერთლიანებლად. კვირაში ერთხელ ჰიმენეს ზომერიად მიიჩნევენ ცნობიერების მეტრი არისტოტელე. ნუ ვიქნებით მასზე ჭკვიანი. ყველაფერი ეშმაკეულია უფლის მიერ დაწესე ბულის გარდა — ქალისა და კაცის ტრფიალის გარდა.

სიყვარული ბრმაა, არ განარჩევს სწორსა და მართებულს. ბედნიერი იქნები შენს გულდისწორს ტერფზე ცერის მომდევნო თითი დაწინაურებული თუ აღმოაჩნდება. შვილსაც ამისთანა რძალს თუ მოჰგვრი, ჩინებულია. ხოლო ოდეს შვილიშვილსაც იგივე კანონებით დაადგამ საქორწილო გვირგვინს, ხომ მთლად უფალთან აღამაღლე ჯიშ-ჯილაგი შენი.

პატივი მიაგე დედას და მამას შვილების ტოლფასად. გაიხსენე ენეასი, რომელსაც ილიონიდან გამორიდებული მამა ანქიზე მხრებზე შესმული მოჰყავს პენატებითურთ, ვაჟიშვილი კი წინ მიუძღვის მომავლის იმედად.

ირწმუნე მამა ღმერთი, სამყაროს შემოქმედი, რომელიც ქრისტესა და სულიწმინდის მეშვეობით გადმოდის შენში. სამსაფეხურინია ეს პროცესი, დანარჩენი აღმსარებლობები კი მიაპყრობენ მოწყალე მზერას ცაბაოთს, მაგრამ უკლებლივ ჭეშმარიტების ზღურბლთან წრიალებენ, ვინაიდან აღარ ძალუძთ დახშული კარის გამოღება, იქით აწვებიან ჩაურაზავს. ეკლესიის დანახვისას გარდაისახე პირჯვარი და შენ უმტკივნეულოდ მიხვალ უფალთან, თანაც ხმის გაუღებლად გამოააშკარავებ შენს ირგვლივ მყოფ ადამიანებსაც.

მიეჩვიე ჟანგბადის სწორ მიღებას. შენ სანამ მუცლით სუნთქავ, ჟანგბადის მხოლოდ 25 პროცენტს მოიხმარ, როცა შენს ფილტვებს შეუძლია ოხჯერ მეტი ოზონი მიაწდოს ტვინის უჯრედებს. დადექი კარის ზღურბლთან. მიეყრდენი სხეულით მას, ხელებაღმართული, როგორც ფარონის გამოსახულებაა და მიეძალე ღრმაა ამოსუნ- თქვებს 5-დან 10 წუთამდე. შენ სწრაფად გავარდები სიმაღლეში ფიზიკურადაც და ზნეობრივადაც, ვინაიდან დამდგარა დრო, წუთი, როცა უკვე მეტი შეცდომის დაშვებას არც მუსანათი ცხოვრება გვაპატიებს და აღარც — ყველგან მსუფევი უფალი ჩვენი, ცაბაოთი.

ქვეყნიერებაც რომ იქცეოდეს, გული მწუხარებისგან რომ გეწურებოდეს, იმღერე და იცეკვე, ეროკე, რადგანაც შენი სახელი იბერიაა, იბერიკონი! სიმღერითა და ცეკვით შექმნილი ღვთაება ხარ უფლის ხატად, მისი მიკრომოდელი. შენი გაწონასწორება პოლიფონისაგან და ქორეოგრაფიისაგან მიდის. სიმღერით სინქრონულდება შენი ხორცი და სული, ჰარმონიული ხდება შენი ნებელობა და შესაძლებლობა, შენი სურვილი და მისი განხორციელების გზები. ხოლო ცეკვით გენეტიკუროად მაგრდება იგი შენში, წრიული ტრიალებით. შენ ჰიბრიდული გენოტიპი ხარ, შორი ქორწინებების პროდუქტი. ებრალი ნათესაური შეჯვარებით ახერხებს ნიშან-თვისებათა მთელი კომპლექტის დამაგრებას. სამაგიეროდ სხეულებრივად ღარიბ- დება,

ხორციელად კნინდება. შენ შორი ქორწინებებით უკუაგდებ ინბრეედულ დეპრესიებს. საშაგიეროდ წრიული ტრიალებით როკვისას აღწევ განვითარების გზაზე მოპოვებული გენეტი- კური უპირატესობების მკვიდრად ჩადუღაბებას ორგანიზმში. ყურს ნუ უგდებ წუფთისოფლის ღავღავს, იარე ამ გზით და სისხლით ნათვესავს ნუ შეერევი!

შენ გეორგიანელი ხარ და არასდროს დაგავიწყდეს შენი ცისა და მიწის მადლი. ანთეოსის ძლიერება მიწისგან სულდგმულობს. ჰერაკლე ვერაფრით დაამარცხებდა მას ხმელეთისაგან მოუწყ- ვეტლად. თვალის ჩინივით მოუარე შენს ვენახს, შენს ზანდურს, შენს ფუტკარს და არვეს, დრო-ჟამისაგან ასწლეულებით გამოც- დილ ენდემურ ჯიშებს. არ წაართვა წუთიერი ნეტარებისათვის სიცოცხლე ქოჩორა ნაძვის ხეებს — იგივე შენ ხარ. არ მოუსწრაფო საწუთრო წამიერი გარინდებისათვის ბზას — იგივე შენ ხარ. ტრადიციული ჩიჩილაკი მიაგებე იმ რიტუალებს და ამით იბედნიერე.

ახალგაზრდობისას იკვებე ხორცით.

ჭარმაგობისას — მეტი ბოსტნეული და ხილი იგემე.

მხცოვანების ჟამს კი თაფლს და რძის ნაწარმს არაფერი სჯობია.

სექსი არ არის ფუფუნების საგანი. იგი სიყვარულის საშუალებაა ისევ უფლის ხატად შექმნილი შენს მეორე ნახევართან შესაერთლი- ანებლად. კვირაში ერთხელ ჰიმენეს ზომერიად მიიჩნევს ცნობი- ერების მეტრი არისტოტელე. ნუ ვიქნებით მასზე ჭკვიანი. სასაცილოა. ყველაფერი ეშმაკეულია უფლის მიერ დაწესებულის გარდა — ქალისა და კაცის ტრფიალის გარდა.

სიყვარული ბრძაა, არ განარჩევს სწორსა და მართებულს. ბედნიერი იქნები შენს გულდისწორს ტერფზე ცერის მომდევნო თითი დაწინაურებული თუ აღმოაჩნდება.შვილსაც ამისთანა რძალს თუ მოჰგვრი, ჩინებულია. ხოლო ოდეს შვილიშვილსაც იგივე კანონებით დაადგამ საქორწილო გვირგვინს, ხომ მთლად უფალთან აღამაღლე ჯიშ-ჯილაგი შენი.

პატივი მიაგე დედას და მამას შვილების ტოლფასად. გაიხსენე ენეასი, რომელსაც ილიონიდან გამორიდებული მამა ანქიზე მხრებზე შესმული მოჰყავს ჰენატებითურთ, ვაჟიშვილი ასკანიუსი კი წინ მიუძღვის მომავლის იმედად.

ირწმუნე მამა ღმერთი, სამყაროს შემოქმედი, რომელიც ქრისტესა და სულიწმინდის მეშვეობით გადმოდის შენში. სამსაფეხურინია ეს პროცესი, დანარჩენი აღმსარებლობები კი მიაბყრობენ მოწყალე მზერას ცაბაოთს, მაგრამ უკლებლივ ჭეშმარიტების ზღურბლთან წრიალებენ, ვინაიდან ალარ ძალუძთ დახშული კარის გამოღება, იქით აწვებიან ჩაურაზავს.

ეკლესიის დანახვისას გარდაისახე პირჯვარი და შენ უმტკივ- ნეულოდ მიხვალ უფალთან, თანაც ხმის გაუღებლად გამოააშკა- რავებ შენს ირგვლივ მყოფ ადამიანებსაც.

მიეჩვიე ჟანგბადის სწორ მოხმარებას. უჭმელად სამ კვირას ძლებს ადამიანი. უწყლოდ რამდენიმე დღეს გასტანს, მაგრამ უჟანგბადოდ ხუთ წუთსაც ვერ უმკლავდება. ამოავლეს ერთხელ უფლისწული ოქროს წყალში განსადიდებლად და ორიოდე საათშიც სული განუტევა. ადამიანი მთელი სხეულით სუნთქავს, მაგრამ ეს ძალზე მცირეა აუცილებელთან შედარებით. შენ სანამ მუცლით სუნთქავ, საჭირო ჟანგბადის მხოლოდ 25 პროც- ენტს მოიხმარ, როცა შენს ფილტვებს შეუძლია ოხჯერ მეტი ოზონი მიაწდოს ტვინის უჯრედებს. დადექი კედელთან. მთელი სხეულით — ქუსლებით, წვივებით, დუნდულოებით, მხრებით, კეფით — მიეყრდენი მას, ხელებაღმართული, მათითაც ზედვე მიტმასნილი, როგორც ამას ფარონის გამოსახულება მიგვითი- თებს გიზის პირამიდებში და მიეძალე ღრმაა ამოსუნთქვებს 5-დან 10 წუთამდე. შენ სწრაფად გავარდები სიმაღლეში ფიზიკურადაც და ზნეობრივადაც, ვინაიდან მთვლემარე ტვინის ნეირონებს სალათას ძილისგან გამოიყვან. აი, როდის გაიღვიძებს შენში ლაზარე — სრულიად საქართველოს კრებსითი სახე.

შენი ძირები და წარსული გაცილებით ძველია, ვინემ ამას თანამედროვეობა იუწყება. შენი ცხვრის ტყავზე ნაწერი წიგნები — კირიბიშები განადგურებულია. იმდროინდელი აურწყავი ცოდნა დაინაწილეს უმწიფართა?! არაფერია, შენ მოახერხებ მის რესტავ- რაციას, თუკი ამ შეგონებას თვინიერად მიუგდებ ყურს, თუკი შენს წიაღში დაიწყებ მათ ძებნას. იქ უამრავი სალარია ქურუმ- მოგვთაგან საგანგებოდ შენთვის დამარხული.

ნიადაგ გახსოვდეს რიცხვი 6. დიახაც, ამ ოდენობით მოქმედებს ნებისმიერი მოვლენა სამყაროში — მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, საზოგადოებრივი, უფლისეული — ექვსი ეტაპის შემდეგ საწყის მდგომარეობას უბრუნდება. ჩაულრმავდი 7-ის, 13-ის და 91-ის ბუნებას. ეს ჯადოსნური „სეზამ გაიღეა“ შენთვის დაფარულ საიდუმლოთა კარების გასახსნელად. ნატურ- ალური რიცხვების მხოლოდ მათზე გაყოფით ვღებულობთ მარა- დიულ სიდიდეებს ბუნების მოვლენების იოლი მართვის საწინდრად... 142857.. 076923...010989...

კოლხები —კოლხიტები აპატისონებდნენ მუმიებს. გულზე ხელებს დაუკრეფდნენ გადაჯვარედინებულად. ეს სამაყაროს კლიტეა, იგივე ვიოლინოს გასაღები მუსიკაში.

ქართუშები სამეფო რეგალიებით აღკაზმავდნენ ფარაონებს, იგივე ღმერთ-კაცებს. მათაც გადაჯვარედინებულად დააწყობი- ნებდნენ გულ-მკერდზე ხელებს, რომლებითაც მკვიდრად ეჭირათ სამკუთხედით და წრით დაბოლოებული სკიპტრები, ანუ მიანიშნებდნენ ორი ურთიერთგამომრიცხავი სიდიდის — კაცური და ღვთიური საწყისის თანაბრად ფლობას.

მარგალები წერდნენ თიხის ფირფიტებზე გილგამეშის საგმირო ამბებს. წამახული ლერწმის ღეროთი რგავდნენ გამოუწვავ ალიზზე შავთმიანი ხალხის ისტორიას. სოლისებური იყო მათი კალმის კვალი, იგივე სამკუთხედებით აშენებული ამბები.

პირამიდები კლასიკურ სიმაღლეს აღწევენ მოგვიანებით ეგვიპტეში ამ სამკუთხედებით, მაგრამ ერთსაც და მეორესაც კოლხური კირბები კვებავდნენ, ცხვრის ტყავებზე, კირიბიშებზე ნაწერი წიგნები სვეტებზე ქვის სამკუთხა დაფებად აღმარ- თულები საზოგადო და რელიგიური კანონების ერთობლიობად.

კოლხეთის ცხოვრება, ქართველის საწუთრო მიჯაჭვული პრომეთეა, მძინარე ლაზარე, უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული ხარი ტორიადორის წინაშე, მაგრამ საბოლოოდ მომავალი შენია, ვინაიდან განძის ერთადერთი მეპატრონე ხარ და ეს საუნჯეც შენს სხეულშია იბერიკონით — ცეკვა-სიმღერით კოდირებული.

შენი მკურნალი შაგეიორგაა, ქრისტესისხლა, მოლუსკები, თაფლში ნაზავი მრავალძარღვა, და ავიცენას ფორმულა: MIIRMIVI WYARM SAKUTMARI AUZIDAN, რამეთუ მორიელის ნაკბენს მორი- ელის შხამითვე არჩენენ. ასევეა ასპიტის გესლიც, ცხენის ორგანიზმში რომ შეიყვანენ იმუნიტეტის გამოსამუშავებლად და მერმე შხამსაწინააღმდეგო შრატს დააშზადებენ მისგან.

ყველაზე დიდი უკვდავება ჩუმი ქველმოქმედებაა. ლაო ძიმ იცის ამის თაობაზე, კონფუციმაც და საერთოდ, ჩინური მიდგომები საგნებთან და მოვლენებთან ბუნების კანონების პატივისცემაა. ამიტომაც დაემსგავსა ჩინეთი თავისი ჰიპერტონიით კაშხალს, რომელსაც მსოფლიო საოცრება- საყრდენი მოაშორა კომპიუტე- რულმა საუკუნემ. თუმცა ჭეშმარიტება მხოლოდ შენშია, ოღონდ ჯერაც მთვლემარე ფორმით. ჩინელს შენგან წაულია აურწყავი ცოდნის ნამცეცები, თორმეტი ათასი, ცხრა ათასი, ექვსი ათასი წლის წინათ და ხომ ხედავ, როგორ გაშლილა, თუმცა სხეულის სრულყოფისათვის მაინც ვერაფრით მიუღწევია, ცალმხრივია და იმიტომ.

ჩამავალი წყალი თავისით ჩაივლის ჩაღრმავებულ ალაგასო, იტყვის ჩინელი, თუმცა ლაზარეს ერს აღმა მიჰყავდა მდინარე წისქვილების დასატრიალებლად. ეს ცოდნა შენში მარხია დრომ- დე. მე გასწავლი მისი პოვნისა და გამოყენების გზებს.

ლამარია დიდი დედაა, ღვთის მშობელი, სათნოების განსა- ხიერება. ამის თაობაზე ბევრს ამბობს მაცხოვარი, რომ იგი უმაღ- ლესი ფასეულობაა. თამარის შეფედ კურთხევამდე ქართველს ოჯახში ჰყავდა დედაკაცი გაბატონებული, ამისთვისაც ეძახდა კოშკის მთავარ საყრდენ სვეტს დედაბოძს. მდედრის სული ხავერ- დივითაა დაზღარბული მამრულისგან განსხვავებით. ამდენად, პოლიტიკაში მათი სიმრავლე ალაგმავს პლანეტაზე ომების ქარავანს.

მონა ბუნებითაც ჩნდება ქვეყანაზე, მაგრამ უფრო გარეშო პირობები და მისივე მსგავსი ადამიანები აბეჩავებენ. თქვა ამის თაობაზე უფალმა: არიან საჭურისნი... რომელთაც ადამიანები გამოასაჭურისებენო. არიან ისეთებიც, რომლებიც თავად გამო- საჭურისდებიან ცაბაოთის საქმეთათვისო, მაგრამ არასრულ- ფასოვანი ადამიანი უწინაესად ფულის მქონეელ კაცს აძლევს ხელს, რამეთუ ასეთი კლიენტელა პატრონისათვის უპრობლემო ცხოვრებაა. არავინ ეჯავრება ქონებიერს ისე, როგორც მეამბოხე და გონიერი ადამიანი. ორივე საფრთხეა მისი უზრუნველი ცხოვრე- ბისათვის — ერთი მუშტით ართმევს სიმდიდრეს, მეორე — ჭკუით. ამისთვისაც მოუწოდებს ათასებს გაუკუღმართობებისკენ; ამიტო- მაც ხვანჯავს პლანეტაზე ერთსქესიანთა შეუღლებებს, რათა ყოველთვის მონური აღვირით ეჭიროს მათი ნებელობა და პირუ- ტყვივით მართოს ნიადაგ. ამიტომაც გაპურებს ჯერაც გამოუც- დელს ცდომილი, ფუჭი ფასეულობებთ, რათა განსჯის უნარი წაგერთვას. თუმცა შენ ეს არ გემუქრება, შეგირდო ჩემო, ბოცვე- რივით შეგულებულ შენს მეობას არაფრისდიდებით დაუთმობს საჯიჯგნად შენი გურუ მათ ავხორცულ აღვირახსნილობას.

RESUME

1. World counts 13 milliard years after a big explosion. Sun system is 7 milliard years old. Home Sapiens is smaller than brook in this time of ocean – waterfall – 70 000 years old, and culture of Shumer-Egyptian existed at Lumeral civilization crash – composes only 60 centuries.

As desert considered world is a gravitation net, which ties up by different scale from atom to galactic, but with the similar principles. It's nearly as a corner to tip a thousand kilometer aloof. In short words, there is no notion in the world: with big and cultural aloof, and no difference between the relationship of the matter. Honeycomb, neurons of a man's brain, genetic and culture of many other biological subject has regular six-cornered construction – sextagonic configuration-which Is got by two equal-sided triangle. David's star exposed (expressed) on Israel flag considers the merging of cosmos knowledge, God's 1/6 energy, merging to a man's energy 1/6, which gives at the end 0,333 332 potency- Jesus (60:360=0, 166 666).

2. GMERTI, BRAHMANN, IEHOVA, ALAH, BOG or GOD is inseparable energy, built with different verbal architectonic, by the view of creator. He was everywhere and at the same time – absolutely invisible; God came to our feelings with six-prism and wakes only abovementioned necessity. Pyramid is an architectural construction of the government flying over from the sky to the ground. The same meaning has triangle blackboards – Kirbs, rised on the letter column by Kolkhs, where was written social and religion laws before Christ, 16 centuries ago. Golden fleece was acknowledgings about receiving gold and silver by chemistry and such totally contended books were called Karbis by antique era, which is the same lamb.

Arial stream, coming from Asia countries to Europe, chains ProGeorgian ethnos to Caucasian range symbolically, but even in early Greece world spent golden barn to Aia, which fulfills the function of Troa's hoarse at the way of the finding of these secret letters. Magician sheep will be sacrified to Hellios, and Kolkh Magic will remove all sacrarial handwrightings to golden skin with the meaning of standard. That's why the Golden Fleece doesn't possess the king Aiet. Argonauts stole the Golden Fleece by Medea's help, but couldn't manage to find her "file" and began 10 years war to find the key of this magician book. In vain, the Greece ruined the Ilion entrance. The shift can't be found in Troa, in the halls of Priamos palace, and only later Elins remembered Amiran, chained at Caucasian range. Before that, from eagle's liver multilated Promete would be released from chain, to declare the secret of Golden Fleece, though Amiran knows well, that wild's symbol – "666"shouldn't be granted to unripe, because it is possible to sacrify the world with his ignorance. We would be obliged to read the "file"and we gave this information according to the level of human morals.

3. Society always wants comfort from the communal system. The wheel changes an arrow, the atom changes wheel, but in moral aspect a man is again primitual. His potency is realized with 3-5 percent. States build around protect mechanism – cover – build up columns. For example it will be good China wall, but time will ruin many civilization: metal – concrete –brick- jacket can't help Egypt, Elada, Rome, Soviet Union will crush the help of each inner depravity. Economic bases determine the character of each society. At its time, the Golden Fleece made monetary function, which seems funny from the safe of Sweden banks, but a man can't change tolerantness with collecting syndrome: camel takes it easier to pass through the needle than rich – to give property.

Social revolution couldn't settle the principle of common vessel – the communism and motto, raised on mason flag: **friendship, unity, freedom** appears with so missed mirage on the view of greedy humidity. Georgia had never had time for living luxuriously.

4. Georgia, with the trace of communal relation managed and manages to keep state, but from the view of third decade he holds of weak moss. Mr. George Bush, the secondly becoming president of USA, will continue the politics with the motivation of restraining terrorism from force position, but some knows, that he stepped over critical limit and here the main barrier is the financial interest of 600 milliards, who possesses 60 percent of planetary property and whose generation is mainly semitical.

According to Bible, Kami laughs at drunk Noe covered him with special cloth and so they cover their father's forgiveness of freewill voluntary madness – at the time of being drunk. Semi is Jew's etnanrchy and Iapet – Georgians forefather. This mark has the meaning of common to all kind. The protect mechanism of Georgian state organism today is wear till extremeness, blunted with the endless struggle to empire.

Territory lost Georgia looks for the means to return his captured pieces for 13 years, when globalization doctrine disregards these separatistic forces to disorder our state institutions. In early centuries, when Georgia managed successfully to maintain the independence by the help of communal psychology, now the communal psychology became fetter during interrupted pacing. Georgian state building has arranged then the national consent about joint future, but earlier the equalrattioness between national and foreign ethnos was considerably insignificant proportion. By 1988 statistic facts this proportion is 71:29.Today half and million Georgians are scattered in the world in search of a living. It is the truth that everyone can't be Sotkilava and Kikabidze; everyone can't treat like Bokeria and Khubutia. Among them many are turner Fetelava and brick-layer Papava. There are authorities too, but in reality, inner economical metastases make Georgian ethnos go to neighbour countries to keep family.

In USA being Georgians have one nature – they are in search of a living between Jews, gone from Soviet Union and their role is mostly Servial, such as – Armenians, Tatars, Kurds, Aisors or others, in sunny Georgia for decades and centuries. Now, in the emigration being Georgians guessed everything. They are ready to build the state.

France and Germany softens national self-respect with the profit of already 5-5 million being Turkish Diaspora. Use of foreign ethnos forms inevitable inner resistance early or later in the state. USA went past the frames of communal relation.

The same picture is in Russia. If in Georgia was kept social privileges with the family, name and tribe disorder systematically. And because of the fact that in Georgia reality Armenians , Russians , Tatars took it difficult to come to higher echelon of the state, there began an unheard devaluation of nation props. In passport records there modified foreign generation surnames massively and we get as though national kernel, to which in relatively survived many breach. While in Georgian politics wouldn't start the preparation to reach civil consent, our territorial or psychological monolity has no end. And this, according to 1988 demographical condition, in Today's higher legislative origin Van Beiburt would have 22 Armenian bearers of a flag of truce and so much Azerbaijanian colleges – Mr. Jemal Muradkhanov would. In another way, in Georgian State, ethnic minority, having not rights, we cannot impose responsibility ethnic minority, who has no rights to absolute citizenship. In other ways, we cannot work out state psychology by illusive ideas of national consent. Purposed motion to soften the property differentiation – planetarial socialization and the growth of international responsibility will deliver the world since till here insuperable human antagonism.

5. A man is a biological creator made by God's icon and face who exposes unique features for a thousand years, but the disease, known as Sodam and Gomor debauch the whole world and this all come at the expense of the degradation of masculinum and sexual orientation. The charge changed Hijres can't feel their organism during coitus, but such manipulations are made by the privileges of prostitutes,- a woman was always exposed as treasure, as the object of luxury, the power of male.

The world doesn't think at all about the biological degeneration of the century; when earth will convert to Sarcophagus of degrade Homo sapiens.

6. Project "Gvimara" (**Fern**) looks at future perspectives terrifyingly and with the mission of keeping planetarial values, he finds the ways to get rid of biological blind alley and methods.

The main aim of the project is a scientific reading of a man's anthropolic data – utilizing of the construction of scull and forehead index, which are 78 degree for men and 76 – for women by today's facts. How much nearer are the facts to 90 degree, as much is the chance of a balanced person's showing. The second and not less important moment is the construction of feet toes in this project. According to our searches, only 0,1 percent of society has Greece foot, where is promoted next toe of the thumb comparing to others. By such thumbs is icon-written the whole gallery of Christian sacreds. The thumb's second toe is the center by the aspect of a man's blood circulation and sexual attraction.

The project will pay special attention to a person's will too, the same potential of responsibility in individum, to what answers the outline of hand's fingers – waves. Many other visual data expressing the architectonic of Homo Sapiens with the mark of nobility. In Geometry, it's easy to ascertain regular figures, because they subordinate to severe, underling regularity.

The same principle is with people, but it's necessary to move from a place priest row from the East, who could manage our savior recognition of the virgin's breast chirping Christ.

What result would give of 6 million geniuses and the setting in public service? Their abilities are covered for humanity like the gold, buried in the ground. They don't think for a while, what collapsed potential they have? Television sets are put on the shelf without speech during the whole century, if anyone can't switch on the electricity source. The nature of genius is organized so, while his drowsy powers wouldn't be touched priest and while **Homo Eko** (here, the man) wouldn't say, it will exist in the layer vein. The project "Gvimara" is discovered by the generation of Iapet, someone Peterish. It really demands the persons like Ilia Mosiashvili from Jews. It demands to concentrate power and to cover the father Noe with mostly grandiose cloth – catastrophic nakedness – ignorance. Don't consider as personal obstinacy the categoriousness of the project "Gvimara", because God's dictation people can't suppress, even the countries international symposium dead about the theme: "Home Georgicus" (with the mean of earth master) and the project **"Gvimara".**

სარჩევი

ენა

თავდაპირველი

ღვთიური სამება **005**
ზოგოდკაცობრიული მნიშვნელობის აღმოჩენა **016**
ენის წარმოშობის საიდუმლეობა **024**
„ქართლის ცხოვრების“ პირუთვნელი
რევიზორი (ჯ. ჯ. კაკულია) **038**
ლაზარე აღდგინებულია **059**
მეათე ზეღირსეული ქართველი **064**
ხელდასხმული — იოანე-იონა **068**
აბსოლუტური ჭეშმარიტების
მფლობელი **071**

ნობელი — კაღლყურაქენა
ქართული მწერლობისთფვის —152

დათა თუთაშხია —
ქართული რომანის მწვერვალი
მონუმენტი წარხოცილ სახეთათვის —
ჰოუნანა — **209**

სარწმუნოება

ხეცნობადი
შემეცნების ალტერნატივა- 280
ზღვის შვილები 394

მატრიცა — **473**
რეზიუმე — **520**

გური ოტოგბაია

ენგიდუნია

ბელეტრისტული
მატიანე

III

რედაქტორი — **ნანა ხუფენია**
კომპიუტერული მომსახურება — **კოკა ფეტელავა**
კორექტურა — **მარი ფეტელავა**
პოლიგრაფიული უზრუნველყოფა —
საგამომცემლო სახლი **„ინოვაცია“**
თბილისი, ძმები კაკაბაძეების 22.
ტირაჟი — 500 ეგზემპლარი.
ფასი — 17 ლარი

თბილისი
2010

446